Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლენინი

ლენინი

თხზულებანი

43

იბეჭდება
საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСИЗМА-ЛЕНИНИЗМА при ЦК КПСС

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
МОСКВА — 1966

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის
ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გამოცემა მეოთხე

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1972

ვ. ი. ლენინი

ტომი

43

1893 წლის დეკემბერი — 1917 წლის ოქტომბერი

წინასიტყვაობა

ორმოცდამესამე ტომში შეტანილია წერილები, ჩანაწერები, დეპეშები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა 1893 — 1917 წლებში, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დაწერა. ყველა ეს დოკუმენტი თხზულებათა სრული კრებულის 46-ე, 47-ე, 48-ე და 49-ე ტომებში შევიდა. ისინი არსებითად ავსებენ თხზულებათა მე-4 გამოცემის 34-ე, 35-ე და 36-ე ტომებში გამოქვეყნებულ ვ. ი. ლენინის მიმოწერას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პ. პ. მასლოვისათვის გაგზავნილ წერილებს, რომლებიც იმ პერიოდს ეხება, როცა რუსეთში მუშათა მოძრაობა და მარქსიზმის გავრცელება დაიწყო. ეს წერილები გვიჩვენებენ, თუ რა ღრმა ინტერესით ეკიდებოდა ვ. ი. ლენინი რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას; მათში მოცემულია ლიბერალური ნაროდნიკების (ვ. ე. პოსტნიკოვის, ვ. პ. ვორონცოვის და სხვ.) ეკონომიურ შეხედულებათა მეცნიერული კრიტიკა.

ტომში შევიდა იმ პერიოდის მრავალი დოკუმენტი, როცა წარმოებდა ბრძოლა რუსეთის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. შეურიგებელი ბრძოლა, ერთი მხრივ, მემარჯვენე ოპორტუნიზმის («ეკონომიზმის», მოგვიანებით კი მენშევიზმის) და მემარცხენე ნაროდნიკების ანარქიული წვრილბურჟუაზიული რევოლუციონარიზმის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიული ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა თავისი მიზნებისათვის დაემორჩილებინა მუშათა

და დემოკრატიული მოძრაობა, — ასეთია ამ პერიოდის მიმოწერის ძირითადი შინაარსი.

იცავდა რა აზრს ახალი ტიპის დამოუკიდებელი პროლეტარული მარქსისტული პარტიის შექმნის აუცილებლობის შესახებ, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, თუ რაოდენ საჭირო იყო აშკარა პოლიტიკური ბრძოლა ყველა ჯურის ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, რუსეთის მუშათა მოძრაობის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის. «რა თქმა უნდა,—წერდა ვ. ი. ლენინი, — ბრძოლა ლიტერატურაში არაერთ ახალ წყენას შეგვახვედრებს, ბევრ მუჯლუგუნს გვითავაზებენ, მაგრამ არც ისეთი აზიზნი ვართ, რომ მუჯლუგუნებისა გვეშინოდეს! გვინდოდეს ბრძოლა უმუჯლუგუნოდ, უთანხმოებანი უბრძოლველად — ინსტიტუტელის გულუბრყვილობა იქნებოდა, და თუ ბრძოლას ვაწარმოებთ ა შ კ ა რ ა დ,... იგი ასკეც უფრო მალე მიგვიყვანს, ვიმეორებ, მტკიცე ე რ თ ო ბ ა მ დ ე» (ეს ტომი, გვ. 14).

წერილები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი პირველი საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის «ისკრისა» და ჟურნალ «ზარიას» გამოცემის ორგანიზაციისათვის, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნაში. სტატიების იდეური მიმართულების განსაზღვრა, ავტორების შერჩევა, მასალების განხილვა და რეცენზირება, გაზეთის ტრანსპორტირება და გავრცელება რუსეთში — ვ. ი. ლენინის მთელი ეს რედაქტორული და ორგანიზაციული მუშაობა მკაფიოდ აისახა წერილებში.

ტომში შეტანილია პარტიის II ყრილობის შემდეგ დაწერილი მთელი რიგი წერილები. ისინი მნიშვნელოვნად ავსებენ მენშევიკ გამთიშველთა წინააღმდეგ ბოლშევიკების ბრძოლის სურათს. იმ პირობებში, როცა მენშევიკთა ლიდერები ანგრევდნენ ერთიან, ის-ის იყო ჩამოყალიბებულ პარტიას. ვ. ი. ლენინი მგზნებარედ იბრძოდა მისი ერთიანობისათვის, ერთიანი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წერილებს,

რომლებიც გაუგზავნა ე. დ. სტასოვას, თ. ვ. ლენგნიკს, ვ. პ. ნოგინს, ი. ი. რადჩენკოს, მოსკოვისა და სხვა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს.

იცავდა რა ძველი «ისკრის» რევოლუციურ დამსახურებას და ამხილებდა რა მენშევიკებს, მათ შორის ტროცკის, რომელიც თავის ცილისმწამებლურ ბროშურაში უარყოფდა «ისკრის» მნიშვნელობასაც და პარტიის II ყრილობის მნიშვნელობასაც, ვ. ი. ლენინი წერდა: «კითხულობ ასეთ ბროშურას და ნათლად ხედავ, «უმცირესობა» ისე ჩაფლულა ტყუილებისა და სიყალბის ჭაობში, რომ ცხოვრებისეულს ვერაფერს ვერ შექმნის. ბრძოლის გუნებაზე დგები, ხედავ, აქ ბევრი რაღ არის, რის გამოც უნდა იბრძოდე» (გვ. 114).

როგორც წერილებიდან ჩანს, ვ. ი. ლენინს კოლოსალური მუშაობა გაუწევია პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა აღსადგენად, ბოლშევიკების ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «ვპერიოდის» გამოცემის მოსაგვარებლად, რსდმპ III ყრილობის მოსამზადებლად.

ტომში შევიდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროინდელი წერილები, რომლებშიც გაშუქებულია ბოლშევიკების ტაქტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში. მაგალითად, გაზეთ «ლუმანიტეს» კორესპონდენტ ე. ავენარისათვის გაგზავნილ წერილში განმარტებულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის ჰეგემონიას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, დასაბუთებულია ბოლშევიკების ტაქტიკური ხაზი, ის, რომ საჭიროა პროლეტარიატისა და დემოკრატიული გლეხობის კავშირი «ბურჟუაზიის უნამუსობისა და გამცემლობის წინააღმდეგ, რომელიც დღითი დღე სულ უფრო კონტრრევოლუციური ხდება» (გვ. 170).

ტომში შეტანილი წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი რეაქციის პერიოდს განეკუთვნება. მათ შორის ბევრია წერილი II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივნის კ. ჰიუისმანსისადმი, რომელთანაც ვ. ი. ლენინს მიმოწერა ჰქონდა, როგორც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს. არის წერილები აგრეთვე საერთაშო-

რისო მუშათა მოძრაობის სხვა მოღვაწეებისადმი. ეს წერილები გვიჩვენებენ, თუ რა ფართო კავშირურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული ვ. ი. ლენინს, რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან, აშუქებენ ვ. ი. ლენინის მტკიცე ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის რევოლუციური ტაქტიკისათვის, რევოლუციონერ მარქსისტთა რიგების ერთიანობისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ძმური სოლიდარობისათვის.

რეაქციის პერიოდის წერილებში დიდი ადგილი უკავია მიმოწერას, რაც დაკავშირებულია ბრძოლასთან მენშევიკებისა და ტროცკის წინააღმდეგ, რომლებიც აფერხებდნენ და საბოტაჟს უწევდნენ პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა მუშაობას, აგრეთვე ვპერიოდელების, ოტზოვისტ-ულტიმატისტების წინააღმდეგ, რომლებსაც თავიანთი «მემარცხენე» ფრაზებითა და ავანტიურისტული პოლიტიკით პარტია მიჰყავდათ იქითკენ, რომ გამიჯვნოდა მუშათა კლასს, მოსწყვეტოდა მასებს, მიჰყავდათ ფაქტობრივად მისი ლიკვიდაციისაკენ. ვ. ი. ლენინმა ამხილა ოტზოვისტების მიერ კაპრის პარტიული სკოლის შექმნა როგორც ფრაქციული წამოწყება და დიდხანს აწარმოებდა ბრძოლას, რათა შეექმნა ნამდვილი პარტიული სკოლა მუშა-რევოლუციონერებისათვის.

ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდის მიმოწერა ეძღვნება არალეგალური პროლეტარული პარტიის განმტკიცებასა და ლიკვიდატორობის წინააღმდეგ ბრძოლას. წარმოიშვა რა მენშევიკებს შორის ჯერ კიდევ რეაქციის პერიოდში, ლიკვიდატორობა კვლავ უდიდეს ზიანს აყენებდა მუშათა კლასსა და მის პარტიას რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობის პერიოდშიც. ვ. ი. ლენინი ებრძვის ლიკვიდატორებს, რომლებიც უგულებელყოფდნენ იატაკქვეშეთს და მოითხოვდნენ ბოლო მოეღოთ ბრძოლის არალეგალური მეთოდებისათვის, პარტიული კადრების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ შეეხამებინათ მუშაობის არალეგალური და ლეგალური ფორმები: გამოეყენებინათ სათათბიროს ტრიბუნა, მონაწილეობა მიეღოთ მუშათა სალაროებსა და სხვადასხვა ლეგალურ საზო-

გადოებაში და სხვ. ტომში დაბეჭდილი რამდენიმე დოკუმენტით მხილებულია ლიკვიდატორების კონფერენცია, რომლებმაც შეაკოწიწეს აგვისტოს ანტიპარტიული ბლოკი და რომელიც მალე დაიშალა.

დოკუმენტების ნაწილი მიმართულია შემარიგებელთა წინააღმდეგ. «ორ სკამზე ჯდომა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არ შეიძლება — ან ლიკვიდატორებთან, ან მათ წინააღმდეგ» (გვ. 288). მიმოწერიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ტაქტიკა გამოიყენებოდა ანტიპარტიული მიმდინარეობებისა და მათთან შემარიგებლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლიკვიდატორების წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა დაუნდობელ ბრძოლას მთავარ, პრინციპულ საკითხებში. ამასთანავე იგი ასწავლიდა ბოლშევიკებს, რომ შემარიგებელთა მიმართ გაეტარებინათ სხვა, განმარტებითი ხაზი, მიემხროთ ისინი. მაგალითად, ლ. ბ. კამენევისადმი გაგზავნილ წერილში, რომელშიც გამოთქმულია შენიშვნები მისი ბროშურის «ორი ტაქტიკის» გამო, ვ. ი. ლენინი წერდა: «არ შეიძლება მოუწოდებდეთ შ ე მ ა რ ი გ ე ბ ლ ე ბ თ ა ნ გათიშვისაკენ. ეს სულ ზედმეტია და სწორი არ არის. მათ «განმარტებითი» ტონით უნდა მივმართოთ, და სულაც არ არის საჭირო მათთვის ხელის კვრა» (გვ. 298).

ბოლშევიკების შეურიგებელი ბრძოლა ლიკვიდატორების წინააღმდეგ წარმატებით დამთავრდა — VI (პრაღის) კონფერენციამ პარტიიდან განდევნა ისინი. 1913 წლის 25 თებერვალს ვ. ი. ლენინი დიდი სიხარულით წერდა: «პიტერიდან. მოსკოვის ოლქიდან და სამხრეთიდან კ ა რ გ ი ამბებია. იზრდება და ყალიბდება მ უ შ ა თ ა არალეგალური ორგანიზაცია» (გვ. 372).

ტომში შეტანილია დიდი ჯგუფი წერილებისა, რომლებიც გაეგზავნა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების — «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის» რედაქციებს და განსაკუთრებით «პრავდის» რედაქციას. წერილებში მოცემულმა ვ. ი. ლენინის მითითებებმა (და მისმა სტატიებმა) განსაზღვრეს «პრავდის» პოლიტიკური ხასიათი და იდეური მიმართულება, მისი შეურიგებელი პოზიცია ლიკვიდატორების, აგრეთვე მათი გაზეთის

«ლუჩის» წინააღმდეგ ბრძოლაში. ვ. ი. ლენინის მითითებებთან დაკავშირებით 1913 წლის გაზაფხულზე მოხდა «პრავდის» რეორგანიზაცია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი შინაარსი, გადიდდა გაზეთის მოცულობაც. მიულოცა რა «პრავდის» რედაქციას და ყველა თანამშრომელს გაზეთის შინაარსის გაუმჯობესება, ვ. ი. ლენინმა დასახა ამოცანა «ვ ი ბ რ ძ ო ლ ო თ *100 000* მკითხველისათვის... **დ ი დ ი** (და ერთადერთი) საშიშროება «პრავდისათვის» ახლა ფ ა რ თ ო მკითხველის დაკარგვა, მკითხველისათვის ბრძოლის პოზიციების დაკარგვაა» (გვ. 388).

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დოკუმენტებს, რომლებიც დაიწერა მრავალი პარტიული კონფერენციის, თათბირების მომზადებასა და მოწყობასთან დაკავშირებით. მაგალითად, არის წერილები, რომლებშიც მოცემულია პარტიულ მუშაკებთან ცენტრალური კომიტეტის კრაკოვისა და პორონინის თათბირების, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის ლენინური შეფასებანი და სხვ. ეხებოდა რა 1913 წლის იანვარში გამართული კრაკოვის თათბირის მუშაობის მსვლელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: «ჩინებულად მიმდინარეობს. 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ექნება. რეზოლუციები იქნება ყ ვ ე ლ ა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მ ა თ შ ო რ ი ს გაერთიანების შესახებაც» (გვ. 357).

წერილების დიდი ჯგუფი გაეგზავნა ი. არმანდს იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიუროომ 1914 წლის ივლისში ბრიუსელში მოიწვია «გამაერთიანებელი» კონფერენცია. ვ. ი. ლენინის მითითებათა შესაბამისად ცენტრალური კომიტეტის დელეგაციამ კონფერენციაზე ამხილა ლიკვიდატორობის მთელი მავნეობა და მოუწოდა მუშათა მოძრაობის ერთიანობისათვის ქვემოდან. ლიკვიდატორებმა ვერ მიაღწიეს მიზნებს, საერთაშორისო ოპორტუნიზმის დახმარებას არ მოჰყოლია ნავარაუდევი შედეგები. «ლიკვიდატორთა **უკანასკნელი** იმედია საზღვარგარეთის დახმარება, — წერდა ვ. ი. ლენინი,—მაგრამ ეს იმედიც ჩაეფუშებათ» (გვ. 478).

ტომში შეტანილია მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდის (1914 — 1917 წწ.) ძალიან ბევრი წერილი. მიმოწერა გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა ვ. ი. ლენინი, რათა შეემუშავებინა და პროპაგანდა გაეწია იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლის ბოლშევიკური ტაქტიკისათვის, რა შეურიგებლად ეკიდებოდა იგი სოციალ-შოვინიზმსა და კაუცკელობას. ვ. ა. კარპინსკის, ს. ნ. რავიჩის, გ. ლ. შკლოვსკის, მ. ნ. პოკროვსკისა და სხვათა სახელზე გაგზავნილი წერილები აშუქებენ მთელი რიგი ისეთი უმნიშვნელოვანესი სტატიებისა და წიგნების დაწერისა და გამოქვეყნების ისტორიას, როგორიცაა «სოციალიზმი და ომი», «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» და სხვები. წერილები ავსებენ ლენინის ისეთ ნაშრომებს, როგორიცაა «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება», «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» და სხვები. ეს ნაშრომები მარქსიზმის რევოლუციური თეორიისადმი შემოქმედებითი მიდგომის ნიმუშია. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიული გამოცდილების ღრმად შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ამ ნაშრომებში ვ. ი. ლენინი ახასიათებს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა და მუშათა მოძრაობის ამოცანებს მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში, აკითარებს უმნიშვნელოვანეს დებულებებს სამართლიანი და უსამართლო ომებისა და სამშობლოს დაცვისადმი მარქსისტთა დამოკიდებულების შესახებ. ტომში შეტანილია წერილები, რომლებიც მიმართულია ნ. ი. ბუხარინის, გ. ლ. პიატაკოვის, ე. ბ. ბოშის ანტიმარქსისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ. მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავს რა მარქსიზმის საპროგრამო დებულებებს, ვ. ი. ლენინი ამავე დროს იბრძვის გ. ე. ზინოვიევის შემარიგებლობის წინააღმდეგაც.

წერილები ვ. ა. კარპინსკისადმი ასახავენ ვ. ი. ლენინის უდიდეს პრაქტიკულ საქმიანობას, რაც დაკავშირებული იყო პარტიის ცენტრალური ორგანოს—გაზეთ «სოციალ-დემოკრა-

ტის» გამოცემის განახლებასთან. გაზეთის ტრანსპორტირება რუსეთში, გაზეთისათვის კორესპონდენციების გაგზავნის მოგვარება და ბევრი სხვა რამ, წვრილმანი საგამომცემლო საქმეებიც კი (შრიფტები და ქაღალდი), — ყოველივე ეს **იყო** ვ. ი. ლენინის თვალთახედვის არეში. მაგალითად, ვ. კარპინსკისათვის გაგზავნილ 1914 წლის 22 ნოემბრის წერილში ნათქვამია: «მოიწერეთ, **რამდენი ნომრისთვის** გაქვთ თხელი ქაღალდი. თუ ბევრი გაქვთ (პარიზიდან, ალბათ, კიდევ ვიშოვით) და **თუ** იგი ძალიან ცუდი არაა აქ გამოსაყენებლად, მაშინ ჩვენ გავადიდებთ თხელი ქაღალდის %-ს» (გვ. 492).

მიუხედავად იმისა, რომ გაძნელდა კავშირის დამყარება ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვ. ი. ლენინის მეთაურობით აგვარებს ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებას რუსეთში, რომელიც განმარტავდა ომის იმპერიალისტურ ხასიათს, პოლიტიკურად ანათლებდა და ასწავლიდა მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, როგორ ებრძოლათ ომის წინააღმდეგ, მოუწოდებდა ებრძოლათ საკუთარი მჩაგვრელების წინააღმდეგ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის კავშირურთიერთობა რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებთან ხორციელდებოდა სტოკჰოლმით, შემდეგ კი — ოსლოთი, სადაც იმყოფებოდა ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის რწმუნებული ა. გ. შლიაპნიკოვი. ამიტომ ნაწილი წერილებისა ა. გ. შლიაპნიკოვისადმი უნდა მივიჩნიოთ წერილებად ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსადმი. კავშირურთიერთობა რუსეთთან უზრუნველყოფილი იყო აგრეთვე მ. მ. ლიტვინოვის, ა. მ. კოლონტაისა და სხვათა მეშვეობით.

ვ. ი. ლენინი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ძალების შეკრებას ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. ტომში შეტანილია წერილები ჰოლანდიის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, შვეციის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისადმი. ვ. ი. ლენინმა შოაწყო ცენტრალური ორგანოს, ბოლშევიკური გამოცემების, რსდმ პარტიის საზღვარ-

გარეთის სექციათა კონფერენციის რეზოლუციების დაგზავნა და ა. შ., ზრუნავდა იმისათვის, რომ პირადი კონტაქტი დაემყარებინა მრავალი ქვეყნის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებთან. წერილში ჰ. გორტერისადმი იგი მხარს უჭერს იდეას, რომ შეიქმნას მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ინტერნაციონალური ჟურნალი, რომლის ამოცანა იქნება იბრძოლოს სოციალ-შოვინისტთა იმ საზიზღარი მანერის წინააღმდეგ, რომ «დაიცვან საძაგელი მარკის ოპორტუნიზმი სოფიზმების შემწეობით» (გვ. 511). დ. ვაინკოპისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: «ჩვენ გვესაჭიროება არა ბელადების პარადული განცხადებანი..., არამედ პრინციპების თანმიმდევრული რევოლუციური დეკლარაცია, რათა დავეხმაროთ მუშებს იპოვონ სწორი გზა» (გვ. 543).

ომის დაწყებისთანავე, როცა II ინტერნაციონალმა იდეურ-პოლიტიკური კრახი განიცადა და ფაქტობრივად მთელ რიგ ერთმანეთთან მეომარ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებად დაიშალა, ვ. ი. ლენინმა დასახა ამოცანა შეექმნათ III ინტერნაციონალი, სადაც უნდა შესულიყვნენ მემარცხენე, ნამდვილად რევოლუციური ინტერნაციონალისტები. გ. ე. ზინოვიევისადმი გაგზავნილ წერილში ვ. ი. ლენინი წერდა: «გიგზავნით ვაინკოპის წერილს. **დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ**... ორივე ხელით ჩავეჭიდები მემარცხენე ინტერნაციონალის ამ «ბირთვს». საჭიროა **ყოველნაირად** დავუახლოვდეთ მათ» (გვ. 521).

ტომში შეტანილია მთელი რიგი წერილები, რომლებშიც გაშუქებულია ციმერვალდისა და კინტალის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების მომზადება და მათი გადაწყვეტილებების პროპაგანდა. კინტალის კონფერენციისათვის მზადებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა ჰოლანდიელ ინტერნაციონალისტებს ურჩია დაკავშირებოდნენ ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის უმცირესობას, **წინადადებით** მიემართათ მისთვის გამოეგზავნათ «თავისი წარმომადგენელი, ანდა განცხადება მაინც გამოგზავნოს. თუ ამ კონფერენციის შედეგად ჩვენ მივიღებთ... პრინციპების მემარ-

ცხენე მარქსისტულ ინტერნაციონალურ დეკლარაციას, ეს ძალიან სასარგებლო საქმე იქნება» (გვ. 548).

განსაკუთრებით საინტერესოა ის წერილები, რომლებიც დაწერილია 1917 წლის პირველ თვეებში და ემიგრაციის უკანასკნელ დღეებში, როცა ცნობილი გახდა თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება. ეს წერილები მნიშვნელოვნად ავსებენ სხვა დოკუმენტებით უკვე ცნობილ რუსეთში მომხდარი რევოლუციური მოვლენებისა და იმ ახალი ამოცანების ლენინურ ანალიზს, რომლებიც მან დაუსახა პროლეტარულ პარტიას, მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს. წერილების ერთი ნაწილი ეხება შვეიცარიიდან რუსეთში ვ. ი. ლენინისა და პარტიის სხვა მუშაკთა გადმოსვლის მოწყობას.

ტომი მთავრდება ბარათით მ. ვ. ფოფანოვასადმი, რომელიც დაწერილია 1917 წლის 24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) გვიან საღამოს: «წავედი იქ, სადაც თქვენ არ გინდოდათ, რომ წავსულიყავი. ნახვამდის. ილიჩი» (გვ. 757). ვ. ი. ლენინი წავიდა რევოლუციის შტაბში — სმოლნში, რათა სათავეში ჩასდგომოდა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი

1893 წელი

1

პ. პ. მასლოვს

გუშინწინ მივიღე თქვენი წერილი * და გუშინვე მოგწერეთ, რომ გამოგიგზავნეთ სტატიები საგლეხო რეფორმის შესახებ [1]. შემატყობინეთ, თქვენთან არის თუ არა სტატია პოსტნიკოვის შესახებ **. თუ თქვენთან არის, რაც შეიძლება მალე გაუგზავნეთ ნ. ე.-ს და სთხოვეთ, წაკითხვისთანავე დამიბრუნოს: სტატია მჭირდება.

ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ ჩამომისწარით სამარაში ***: ხომ არ აპირებთ სადღესასწაულოდ დედაქალაქებში წამოსვლას? — მაშინ შევხვდებოდით ერთმანეთს.

თქვენგან მოველი პოსტნიკოვის შესახებ სტატიის რაც შეიძლება დაწვრილებით გარჩევასა და კრიტიკას: იმედი მაქვს, შეამჩნევდით, რომ სტატიაში მოცემული დებულებანი საშუალებას მაძლევენ უფრო დიდმნიშვნელოვანი და უფრო შორსგამიზნული დასკვნები გამოვიტანო, ვიდრე თვითონ სტატიაშია გაკეთებული. ჩვენი წვრილი მწარმოებლების (გლეხებისა და შინამრეწველების) გახრწნა მე მიმაჩნია ძირითად და მთავარ ფაქტად, რომელიც ახსნის ჩვენს საქალაქო და მსხვილ კაპიტალიზმს, აცამტვერებს მითს გლეხური მეურნეობის განსაკუთრებული წყობის შესახებ (ეს ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წყობაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო მეტად

---

* ჩემი მისამართის გაგება თქვენ შეგეძლოთ აქაურ ნაფიც ვექილთა საბჭოს მეშვეობით.

** იხ. ვ. ი. ლენინი. «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 1 — 74). რ ე დ.

*** და ვერ გაიკანით იქ ჩემი მეგობრები.

არის შებოჭილი ფეოდალური ბორკილით) და გვაიძულებს ეგრეთ წოდებულ «მუშებში» დავინახოთ არა ერთი მუჭა განსაკუთრებულად აღზევებული პირები, არამედ მხოლოდ ზედაფენა გლეხობის იმ უდიდესი მასისა, რომელიც საკუთარი მეურნეობით კი არა, უფრო იმით ცხოვრობს, რომ ყიდის თავის სამუშაო ძალას. სწორედ იმიტომ ვაფასებ ასე დიდად პოსტნიკოვის წიგნს, რომ იგი იძლევა მასალას ამ მდგომარეობის უზუსტესი ანალიზისათვის, ფაქტობრივად ამტკიცებს, თუ რა უაზროა მოარული წარმოდგენა ჩვენი «თემური» სოფლის შესახებ და გვიჩვენებს, რომ, არსებითად, ჩვენი წესწყობილება არ განსხვავდება დასავლეთევროპულისაგან.

ეს სტატია გავუგზავნე «რუსკაია მისლს»[2], მაგრამ მან არ მოისურვა მისი გამოქვეყნება. ახლა ვფიქრობ, ხომ არ აჯობებდა შემევსო, რამდენადმე შემეცვალა და ბროშურად გამომეცა?

ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო იქნებოდა გავცნობოდი თქვენს შეხედულებას; ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია მიმოწერის საშუალებით.

ჩემი შენიშვნები ნაშრომებზე რეფორმის შესახებ ემყარებოდა იმ ძირითად დებულებას, რომ ეს რეფორმა სასაქონლო მეურნეობის განვითარების პროდუქტია და მთელი მისი აზრი და მნიშვნელობა ის იყო, რომ დაიმსხვრა ბორკილი, რომელიც ბოჭავდა და ზღუდავდა ამ წყობილების განვითარებას. უფრო დაწვრილებით კიდევ ვისაუბრებთ ამის თაობაზე: ეგებ, მოხერხდეს პირდაპირ მოგაწოდოთ შენიშვნები, რომლებიც ავტორს გავუგზავნე; ეს იქნებოდა ყველაზე ადვილი და ყველაზე მოსახერხებელი.

რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ, დაუყოვნებლივაც კი, თორემ შეიძლება წერილმა ვეღარ მომისწროს.

დაწერილია 1893 წლის
დეკემბრის მეორე ნახევარში
გაგზავნილია პეტერბურგიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს
ლენინის XXXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1894 წელი

2

პ. პ. მასლოვს

$\frac{30}{V}$ 94. გუშინწინ მივიღე თქვენი წერილი. მართლაც, თითქმის სულ დამავიწყდა ჩვენი მიმოწერაც და რეფერატიც, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტად მოხარული ვარ განვაახლო მიმოწერა რეფერატით აღძრული და სხვა საკითხების გამო.

ერთი რამ მაკვირვებს — რად დაგჭირდათ ჩემი «ძებნა»? ნუთუ სანკტ-პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ნ. მ. ა.-ს * არ უნახავხართ? და არ უთქვამს თქვენთვის (რაც მას ვთხოვე), რომ მე მაქვს მუდმივი — ყოველ შემთხვევაში ზამთრისათვის მაინც — მისამართი, სახელდობრ: ნაფიც ვექილთა საბჭო, ნაფიცი ვექილის თანაშემწეს № №-ს.

თქვენი შენიშვნების ** გამო აი რას ვიტყვი. ჯერ ერთი, რაც შეეხება მეტისმეტად ფრთხილ დასკვნებს, მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ნაკლი [უთუოდ გეთანხმებით, ეს მართლაც ნაკლია] აიხსნება ჩემი განზრახვით, სტატია დავბეჭდო ლიბერალურ ჟურნალში. გულუბრყვილობაც კი გამოვიჩინე, რომ მოვინდომე მისი გაგზავნა «რუსკაია მისლში». საიდანაც, რა თქმა უნდა, უარი მივიღე: ეს სავსებით გასაგები გახდა, როცა «რუსკაია მისლის» № 2-ში წავიკითხე «ჩვენი ცნობილი» ლიბერალური უხამსის ბ-ნ ვ. ვ.-ს სტატია პოსტნიკოვის შესახებ. მართლაც, დიდად დახელოვნებული უნდა

---

* გაურკვეველია, ვინ იგულისხმება. რ ე დ.

** იხ. წინა წერილი. რ ე დ.

იყო, რომ სავსებით დაამახინჯო საუცხოო მასალა და ყველა ფაქტი ფრაზიორობით მიაფუჩეჩო!

მართლაც, ამ მონაცემებიდან დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გამომაქვს. სწორედ — მონაცემები ამტკიცებენ, ჩემი აზრით, გლეხობაში არსებული ეკონომიური ურთიერთობის ბურჟუაზიულობას. ისინი თვალსაჩინოდ ამჟღავნებენ ანტაგონისტურ კლასებს ამ «თემურ» გლეხობაში და ამასთან ისეთ კლასებს, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობის კაპიტალისტურ ორგანიზაციას რომ ახასიათებს. ეს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი დასკვნაა, რომელიც სავსებით შეიძლება გავავრცელოთ დანარჩენ რუს გლეხობაზე. მეორე დასკვნა ის გახლავთ, რომ უკვე ახლა გლეხობის პურის ვეებერთელა მასა (ალბათ, $^1/_2$-ზე ნაკლები კი არა, მეტი) ბაზარზე გადის — და ამ პურის მთავარი მწარმოებელია თანამედროვე სოფლის ზედა ჯგუფი, გლეხთა ბურჟუაზია *.

შემდეგ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ პოსტნიკოვის მიერ მთელი რუსეთის მიმართ დამტკიცებულ კანონს, რომ შრომისნაყოფიერება 2 — $2^1/_2$-ჯერ მეტია გლეხობის ზედა ჯგუფებში. ამას თეორიულად უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის **სავაჭრო** ფართობის გამოყოფასთან ერთად (ეს რუსეთელ თვითმყოფობის მოტრფიალეთათვის იმდენად საშიში პუნქტია, რომ სავსებით მესმის ბ-ნ ვ. ვ-სი, ასე გულმოდგინედ რომ აუარა გვერდი ამ საკითხს).

გადავდივარ თქვენს მეორე შენიშვნაზე — ნატურალური მეურნეობის ნორმის შესახებ. უნდა გამოგიტყდეთ, აქ მთლად ვერ მიგიხვდით.

ჩემი შეხედულებით, «ნორმის» საკითხს შეიძლება მნიშვნელობა მივანიჭოთ შემდეგი აზრით: საჭიროა ვიცოდეთ, რაოდენ დიდი უნდა იყოს (საშუალო) გლეხის სამიწათმოქმედო

---

* ამიტომ გურვიჩი ტყუილად ამბობს, მომავლის რუსეთი გლეხური ბურჟუაზიის ქვეყანა იქნებაო. ეს უკვე აწმყოა.

ძალიან კარგი წიგნია: Hourwich. «The Economics of the Russian Village». 1892. New York (გურვიჩი. «რუსული სოფლის ეკონომიური მდგომარეობა». 1892. ნიუ-იორკი. რედ.).

მეურნეობა, რომ დააკმაყოფილოს ყველა მისი მოთხოვნილება (საწარმოოც და პირადიც) და თავიდან ააცილოს იმის საჭიროება, რომ სხვაგან მიდიოდეს საშოვარზე.

ეს იმიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა ქვემდგომი მეურნეობა პირდაპირ განეკუთვნება ისეთებს, რომლებიც ყიდიან სამუშაო ძალას, და მეურნეობის სიდიდეს შეუძლია საკმაოდ ზუსტად გვიჩვენოს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შემოსავლის ეს წყარო. ზემდგომი მეურნეობანი პირდაპირ განეკუთვნებიან მთლიანად წვრილბურჟუაზიულ მეურნეობებს.

რაც შეეხება მეურნეობის «ნატურალურობას», ასე ვფიქრობ: უმეტესი ნატურალურობა მუდამ იქნება გლეხობის საშუალო ჯგუფში, მაგრამ იქაც ვერასოდეს ვერ წავლენ იოლად, თუ არ იქნა სასაქონლო მეურნეობის მნიშვნელოვანი წილი (ალბათ, მთელი ბიუჯეტის 40% ფულადი ფორმით უნდა იყოს). უდაბლესი და უმაღლესი ჯგუფის მეურნეობანი მუდამ უფრო სასაქონლო იქნებიან, რადგან პირველი ყიდის სამუშაო ძალას, მეორე — პურის ნამეტს.

პოსტნიკოვის შესახებ სტატიაში ჯგუფები სწორედ ამ გეგმით არის გაანალიზებული.

თქვენ ცალკე ლაპარაკობთ «ნატურალური მეურნეობის ნორმისა» და «სასაქონლო მეურნეობის ნორმის» შესახებ. თუ ზუსტად გაგიგეთ, სწორედ მეორე ნორმაა ჩემი საშუალო ნორმა [17 — 18 დეს. ნათესი პოსტნიკოვის მიხედვით], სადაც, რა თქმა უნდა, საჭირო გამოვყოთ და ზუსტად გამოვთვალოთ ნატურალური და ფულადი ნაწილი. დამოუკიდებელი «ნატურალური მეურნეობის ნორმა» კი არ მესმის: ჩვენი თანამედროვე გლეხური მეურნეობა, რა სიდიდისაც უნდა იყოს, ვერ იქნება წმინდა ნატურალური.

თუმცა — აქ უნდა დაველოდო თქვენს უფრო დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას.

ნ. კ. მიხაილოვსკის კრიტიკის შესახებ — მეც ვფიქრობ, რომ არც ერთი რედაქცია არ გამოაქვეყნებს — არა იმდენად

ცენზურული პირობების გამო (დადის ხმები, ცენზურამ რუსული მარქსიზმი განდევნა «რუსკოე ბოგატსტვოს» მიერ ატეხილი აურზაურის შემდეგო[3]) — რამდენადაც იმის გამო, რომ თქვენ არ გეთანხმებიან და სიმხდალეს იჩენენ თავხედი დ. გაყოყოჩებული «ბობოლას» წინაშე. ამ მხრივ ერთგვარი გამოცდილება უკვე მაქვს [[არცა მგონია, რომ შ ე ი ძ ლ ე ბ ო დ ე ს და ღირდეს ვუპასუხოთ მას ჩვენს პრესაში.]] თქვენს პასუხს სიამოვნებით წავიკითხავდი.

აქ დავრჩები, ალბათ, 12 ივნისამდე, შესაძლოა მეტხანსაც. როცა წავალ, შეგატყობინებთ ახალ მისამართს. ჯერჯერობით კი შეგიძლიათ მომწეროთ (12-ის შემდეგ) მ. გ. გ.-ის მეოხებით: იქიდან უფრო ადვილი იქნება გამოგზავნა — ახლოსაა.

გაგზავნილია პეტერბურგიდან
სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს
ლენინის XXXIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

3

პ. პ. მასლოვს

$\frac{31}{V}$ 94.

ახლა მივიღე თქვენი მეორე წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ: შესაძლებელია, თუკი იჩქარებთ, თქვენმა პასუხმა მომისწროს (12. VI-მდე ალბათ აქ ვიქნები).

თქვენი წინადადება ძალიან მომწონს პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ. ნაწილობრივ, რა თქმა უნდა, ვერ ვიმსჯელებ, რადგან თქვენი სტატია არ წამიკითხავს. რაც შეეხება ჩემს სტატიას *, კაცმა რომ თქვას, არა მგონია, რომ ასეთი სახით (ვ. ე. პოსტნიკოვის

---

* იხ. «ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხთა ცხოვრებაში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 1 — 74). რ ე დ.

წიგნზე უბრალო რეფერატის სახით) მისი დაბეჭდვა შეიძლებოდეს *.

(რაც შეეხება გამოცემის ფასს — ვფიქრობ, არცთუ ისე დიდი სტატია გაცილებით იაფი დაჯდებოდა.).

საერთოდ, როგორც ჩანს, შემოდგომამდე მოგვიწევს ** საქმის გადადება — კიდევაც რომ მოასწროთ სტატიის გამოგზავნა, გამოცემამდე ხომ ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. საჭირო იქნება დაწვრილებით და საფუძვლიანად შევთანხმდეთ მიმოწერის საშუალებით. უკეთესი კი იქნებოდა ერთმანეთს შევხვედროდით ***: თუ გაქვთ სახსრები (და სურვილი) გამოცემისა, წერის ხალისი და თუ სოლიდარული ვართ,— მაშინ შეიძლება მოგვარდეს და კიდევაც უნდა მოგვარდეს საქმე****...

გაგზავნილია პეტერბურგიდან
სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

4

ლ. ფ. მილოვიდოვას [4]

მივიღე «ბინის საკითხისათვის»***** და ჩავუჯექი. საქმე ის არის, რომ ეს საქმე დაუმთავრებელი მიატოვეთ. როცა «თეორი» რვეულები წაიკითხეთ, უამრავი შეცდომა აღმოჩნდა (ნახაზებიც, როგორც დავრწმუნდი, ძლიერ სცოდავდნენ). ჩვენმა საერთო ნაცნობებმა რომ წაიკითხეს, თქვეს, ძალიან

* ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

** ეს ხომ დიდი ვადა არ არის.

*** რადგან მიმოწერა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ძალიან ნელა მიიწევს წინ.

**** აქ წყდება ხელნაწერი. რ ე დ.

***** იგულისხმება ფ. ენგელსის ნაშრომი «ბინის საკითხისათვის». რ ე დ.

ცუდი ნამუშევარიაო. ამიტომ იძულებული გავხდი, თუმცა საშინლად მომბეზრდა, ჩავჯდომოდი და გადამეთვალიერებინა. ამის შედეგად კი თეთრი რვეულებიდან შავი გამოვიდა.

ხომ არ გამომიგზავნით ენგელსის...*, 1894 წლის ბოლოსიტყვაობით. გადმოგზავნა შეიძლება ჩვეულებრივ. მისამართი იგივეა 15 აგვისტომდე, მერე კი ზამთრისა.

თქვენს წერილში მთლიანად არ გამოგიყვიათ გერმანელები ნემეცისაგან. ის, რომ პირველთ «თეორიული ინტერესი» არ გააჩნიათ, ჩემთვის გასაგებია (თუმცა სამწუხაროა), მაგრამ ნუთუ მეორის შესახებაც იგივე შეიძლება ითქვას? რაკი გადმოცემულია საკითხის ცნობილი გაგება, ამიტომ ხომ არ შეიძლება თავი აარიდო გარჩევას. მართალია, ახლახან მომსწრე ვიყავ მათი უუნარობისა — მიმხვდარიყვნენ თუნდაც იმას, რა საკითხია ეს და როგორია მისი მნიშვნელობა, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ ამას იქაც უნდა მოველოდეთ.

დაწერილია 1894 წლის 21 ივლისს
გაგზავნილია ნიჟნი ნოვგოროდიდან
შვეიცარიაში

პირველად დაიბეჭდა 1961 წელს
ჟურნალში «ისტორია სსსრ» № 2

იბეჭდება მანქანაზე
დაბეჭდილი პირის მიხედვით (ბერლუსტრაცია)

---

* მანქანაზე დაბეჭდილ პირში გამოტოვებულია. რედ.

1900 წელი

5

ი. მ. სტეკლოვს

ნახამკისს

გიპასუხებთ თქვენს შეკითხვებზე: 1) შენიშვნა «ჩვენსა» და «რედაქციის» გამო მხოლოდ და მხოლოდ «რაბოჩეე დელოს»[5] პროგრამის შესახებ დაწერილი სტატიის თაობაზე გამოვთქვი *. 2) თანამოსაუბრენი ბელრიეში ორნი ვართ: პოტრესოვი და მე, თქვენი ახალი ნაცნობები. 3) თუ წინათ გეუბნებოდით, მართალი არა ხართ, მერე კი დავწერე და ხაზი გავუსვი, მართალი ხართ-მეთქი, — ეს ნიშნავს, რომ ჩემი შეხედულებანი შეიცვალა და თქვენსას დაუახლოვდა.

ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში შევძლებთ გაცნობოთ თქვენ და გოლდენდახს (თქვენს უახლოეს თანამშრომლობაზე დიდ იმედებს ვამყარებთ) ჩვენი (2 თანამოსაუბრე ბელრიეში + 1 რუსეთში) და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის ურთიერთობის (სარედაქციო ურთიერთობის) საბოლოო ფორმა[6].

გმადლობთ სტატიისათვის «რუსეთის ს.-დ-ის ისტორიული მომზადება»: მეტად მოხარული ვიქნებით დავბეჭდოთ იგი და დარწმუნებული ვართ, ჩვენი ჟურნალი[7] ბევრს მოიგებს, თუ ხშირად გამოაქვეყნებს ხოლმე ასეთ სტატიებს. სტატია

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 1—4. რედ.

გადაეგზავნება კიდევ «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს, ასევ: რომ, ნუ დაგვემდურებით, გეთაყვა, მოსალოდნელი დაყოვნებისათვის.

ერთ შენიშვნას არსებითად გამოთქვამს ჩემი კოლეგა: მუშებთან პირველი ურთიერთობის დამყარებაში დამსახურება მიუძღვის არა იმ ჯგუფებს, რომლებზედაც თქვენ მიუთითებთ, არამედ ჩაიკოვსკელებს [8].

დაწერილია 1900 წლის 25 სექტემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

6

დ. ბ. რიაზანოვს

გოლდენდახს

მეტად მოხარული ვართ, რომ ასე მალე გინდათ გამოგზავნოთ სტატია. თქვენმა პასუხმა ჩვენს შენიშვნებზე სავსებით დაგვაკმაყოფილა, დაგვანახვა, რომ სავსებით სოლიდარული ვართ ყოველივე არსებითში, და განგვიმტკიცა იმედი, რომ ჩვენსა და თქვენს შორის დამყარდება უფრო მჭიდრო ურთიერთობა, იმედი, რომ მუდამ ითანამშრომლებთ ჩვენთან.

მაგრად გართმევთ ხელს და გითვლით ამხანაგურ სალამს პირადად ჩემი და პოტრესოვის სახელით.

პეტროვი

დაწერილია 1900 წლის 25 სექტემბერს
გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

7

ვ. პ. ნოგინს

10/X. 00.

ძვირფასო ვასილ პეტრეს ძევ! მხოლოდ გუშინ მივიღე პ. ბ.-გან (აქსელროდისაგან) თქვენი მისამართი და 23-ის ⁹ რეზოლუცია «*Credo*»-ს წინააღმდეგ. ალექსიმ უკვე დიდი ხანია მომწერა, რომ თქვენ საზღვარგარეთ იქნებით, მაგრამ ვერ მოგნახეთ (უცნაური კაცი ყოფილა, რომ არ მოუცია მისამართი, რათა ჩემთვის წერილები გამოგეგზავნათ!). ძალიან გთხოვთ, ხმა მომაწვდინეთ და რაც შეიძლება დაწვრილებით მომწერეთ, როგორ ცხოვრობთ; დიდი ხანია ლონდონში ხართ, რას შვრებით, როგორი ხალხია ლონდონში, როგორია თქვენი გეგმები, როდის ფიქრობთ გამგზავრებას? რატომ აირჩიეთ ლონდონი?

პაროლები არ არის დათქმული: ვცვლი პაროლს (თქვენ ხომ არ მიცნობთ? რა გითხრათ ალექსიმ ჩემს შესახებ, ვინ არისო? მისმა ნაამბობმა მოგცათ თუ არა საკმაო წარმოდგენა ჩვენს საქმეზე?) — ჰო, ვცვლი პაროლს იმ პირის ინიციალებით, რომლის მისამართით უნდა მივწერო ხოლმე ალექსის. ალექსი მწერს, თუ მისამართი ვერ გაარჩიო, ნოვოსიოლოვს ჰკითხეო. აი მისამართის ინიციალები: კ. ა. გ. გ. * — ჩასვით დანარჩენი ასო-ნიშნები, და მაშინ მე და თქვენ «დაკავშირებული» ვიქნებით.

მაგრად გართმევთ ხელს.

პ ე ტ რ ო ვ ი

მიპასუხეთ მისამართით:

Herrn Philipp Rögner, Cigarrenhandlung, Neue Gasse, *Nürnberg*.

2 კონვერტში, მეორეზე: პეტროვისათვის.

---

* გაურკვეველია, ვინ იგულისხმება. რ ე დ.

P. S. მომეცით, გეთაყვა, სავსებით საიმედო (გარეშე, არა რევოლუციონერებისა) ადამიანების 2 — 3 მისამართი, რომ მივაკითხო მათ პოლტავაში და შევიტყო ალექსის ამბავი.

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

8

ი. მ. სტეკლოვს *

1) ნ ა ხ ა მ კ ი ს ი. გაზეთისათვის ინტერნაციონალური ყრილობის + საფრანგეთის ეროვნული კონგრესის შესახებ დაახლოებით 6 ათასი ასონიშანი.

2) ჟ უ რ ნ ა ლ შ ი: რომ გავყოთ ნახამკისი და გურევიჩი.

სად იქნება მიღება?

როდის მიაქვთ? (ფუთა)

ჩაბარების მისამართი აქ არის.

უფრო გარკვევით მოიწერონ, საწყობი ხომ არ უნდათ? (აქვთ თუ არა საწყობი?)[10]

იმედი გვაქვს, რუსეთში მოვნახავთ ადამიანებს — მაგრამ არცა ძალიან ახლოს საზღვართან. (ხომ არ შეიძლება რიგაში ან ფსკოვში მიიღონ?)

თუ საქმე სავსებით მოგვარებულია, მაშინ მოგცემთ გარკვეულ დავალებებს რუსეთში.

სტატია დამიბრუნეთ.

დაწერილია 1900 წლის 10 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* წერილის მონახაზი, ფანქრით დაწერილი ი. მ. სტეკლოვის წერილის თავისუფალ გვერდზე; სტეკლოვის წერილის ზედა ნაწილში უცნობის ხელით წარწერილია: «მიღებულია 10/X, პასუხი მიეცა 10/X და მონახაზი დაბრუნებულია». რ ე დ.

9

ა. ა. იაკუბოვას *

აი თქვენს წერილშიც მეგობრისადმი ნათლად ვხედავ 2 ნაკადს: ერთი — სრულიად კანონიერი ხაზგასმა იმისა, რომ საჭიროა ეკონომიური ბრძოლა, რომ უნდა გამოვიყენოთ მუშათა ლეგალური საზოგადოებანიც, რომ საჭიროა «ყოველგვარი გამოხმაურებანი მუშათა ყოველდღიურ და საარსებო მოთხოვნილებებზე» და სხვ. ყოველივე ეს კანონიერი და მართებული. გაუგებრობაა, თუ ფიქრობთ, რომ რევოლუციონერები «უარყოფითად ეკიდებიან ლეგალურ საზოგადოებებს», რომ მათ «სძულთ» ეს საზოგადოებანი, რომ «ზურგს აქცევენ საზოგადოებას» და სხვ. რევოლუციონერებიც აღიარებენ, რომ საჭიროა ეკონომიური ბრძოლა, უნდა ვეხმაურებოდეთ აგრეთვე ყოველდღიურ და საარსებო მოთხოვნილებებს, უნდა ვისწავლოთ ლეგალურ საზოგადოებათა გამოყენებაო. რევოლუციონერებს არათუ არსად და არასოდეს არ ურჩევიათ, ზურგი შეაქციეთ საზოგადოებასო, არამედ, პირიქით, ხაზს უსვამდნენ, სოციალ-დემოკრატია სათავეში უნდა ჩაუდგეს საზოგადოებრივ მოძრაობას და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით ყველა დემოკრატიული ელემენტი გააერთიანოსო. მაგრამ საჭიროა ზრუნვა იმისათვის, რომ ლეგალური საზოგადოებანი და წმინდა ეკონომიური ორგანიზაციები კი არ აშორებდნენ მუშათა მოძრაობას სოციალ-დემოკრატიასა და რევოლუციურ-პოლიტიკურ ბრძოლას, არამედ, პირიქით, რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ და უფრო განუყრელად გაეერთიანონ ისინი. თქვენს წერილში კი არის მეორე (მავნე და, დარწმუნებული ვარ, ღრმად რეაქციული) ნაკადიც, სოციალ-დემოკრატიისა და რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლისაგან მუშათა მოძრაობის ჩამოშო-

---

* წერილის ნაწილის ვარიანტი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 42 — 46). რედ.

რ ე ბ ი ს ნაკადი, — პოლიტიკურ ამოცანათა გვერდზე გადადება, «პოლიტიკური ბრძოლის» ცნების შეცვლა «სამართლებრივი ბრძოლის» ცნებით და სხვ.

როგორ გავავლოთ ზღვარი ჯანსაღ და სასარგებლო ნაკადსა და მავნე ნაკადს შორის? ვფიქრობ, არ არის საჭირო გიმტკიცებდეთ თქვენ, რომელსაც უკვე გიგემნიათ «საზღვარგარეთის კრებები», რომ შეუძლებელია დავჯერდეთ დავა-კამათს და განა სასაცილო არ არის გეშინოდეს ლიტერატურაში საკითხის განხილვისა, როცა მას უკვე დიდი ხანია მაინც იხილავენ წერილებსა და კამათში. ვითომ რაო, რატომ შეიძლება ვდავობდეთ კრებებზე და ვწერდეთ წერილებს, ხოლო ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ვარკვევდეთ სადავო საკითხებს — ეს არის «ყველაზე მავნე რამ, რაც ვარგა მხოლოდ (???) ჩვენი მტრების გასართობად». ეს არ მესმის. მხოლოდ ლიტერატურულ პაექრობას ძალუძს ზუსტად გაავლოს ის ზღვარი, რომლის შესახებაც ვლაპარაკობ, რადგან ცალკეული პირები ძალიან ხშირად და გარდუვალად ვარდებიან ხოლმე უკიდურესობაში. რა თქმა უნდა, ბრძოლა ლიტერატურაში არაერთ ახალ წყენას შეგვახვედრებს, ბევრ მუჯლუგუნს გვითავაზებენ, მაგრამ არც ისეთი აზიზნი ვართ, რომ მუჯლუგუნებისა გვეშინოდეს! გვინდოდეს ბრძოლა უმუჯლუგუნოდ, უთანხმოებანი უბრძოლველად — ინსტიტუტელის გულუბრყვილობა იქნებოდა, და თუ ბრძოლას ვაწარმოებთ ა შ კ ა რ ა დ, იგი ასკეცად აჯობებს საზღვარგარეთულ და რუსეთულ «გუბარეველობას», ასკეც უფრო მალე მიგვიყვანს, ვიმეორებ, მტკიცე ე რ თ ი ა ნ ო ბ ა მ დ ე.

დაწერილია 1900 წლის 26 ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

10

პ. ბ. აქსელროდს

7/X.II. 00.

ძვირფასო პ. ბ., მაპატიეთ, რომ არ გიპასუხეთ ბაინოვასადმი წერილში: უქეიფობამ შემიშალა ხელი. მაგრამ ახლა, როცა ვ. ი.-ს მოვეთათბირე, ვხედავ, რომ მდგომარეობა ფრიად სერიოზული ყოფილა: უცხოეთის ქრონიკა აუცილებელია, გაზეთის პირველი ფურცელი უკვე იბეჭდება, მეორე მზად არის ქრონიკის გარდა[11]. ნავარაუდევია ქრონიკის ზომა იყოს დაახლოებით 26 ათასი ასო-ნიშანი *. უკიდურეს შემთხვევაში ამოვაგდებთ რაიმეს.

აშიტომ ძალიან გთხოვთ ს ა ს წ რ ა ფ ო დ გამომიგზავნოთ რაც გაქვთ და რაც შეიძლება. მოუთმენლად დაველოდები პასუხს.

მისამართი:

Herrn Georg Rittmeyer.
Kaiserstraße 53. o.
München (შიგნით: für Meyer).

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი *Petroff*

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ასე ჩაგაცივდით. მაგრამ რა ვქნა? ვიმედოვნებ, ისევე როგორც სტატიას ლიბკნეხტის შესახებ, ამასაც მოუხერხებთ რამეს.

გავზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* რაკოუსკის სტატიასთან ერთად, რომელსაც მიეცა 10 ათასამდე ასო-ნიშანი.

1901 წელი

11

დ. ბ. რიაზანოვს

5/II. 01.

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი სტატია უკვე გავასწორეთ და ახლა ალბათ დაბეჭდილია, ასე რომ ცვლილებათა შეტანა უკვე შეუძლებელია. რაც შეეხება გამოტოვებულ ადგილებს, გავაკეთეთ. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მივცემდით თავს უფლებას შეგვეტანა რაიმე ცვლილებები, რომლებიც ავტორის უაღრესად მნიშვნელოვან აზრებს ეხება, რომ წინასწარ არ გვეთხოვა დასტური. მაგრამ ეს შემოკლება გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ სარედაქციო-ტექნიკური მოსაზრებებით. ამგვარი სახის შემოკლებების უფლებამოსილებაზე უარს ვერც ერთი რედაქცია ვერ იტყვის. სრულიად დარწმუნებული ვიყავით, თვითონვე აღიარებდით, რომ მსგავსი შემოკლებანი სრულებით არ ცვლიან არც ავტორის აზრთა მიმდინარეობას, არც მისი არგუმენტაციის საფუძვლიანობას. ძალიან გვინდა, რომ ცუდად არ მიიღოთ ეს და განაგრძოთ ჩვენთვის ესოდენ ძვირფასი თანამშრომლობა.

ხელშეკრულება ლიბერალებთან, რომლის შესახებაც გადაკვრით გწერდით წინა წერილში *, დადებულია [12]. ჩვენ ვიწყებთ კიდევ «ზარიას» ცალკე საერთო-პოლიტიკური დამატების გამოცემას, სადაც დაიბეჭდება ჩვენი მიმდინარე მასალის

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 45 — 46. რ ე დ.

ნაწილიც. იმედი გვაქვს, რომ თქვენი ჯგუფი [13] ხელს შეუწყობს ამ დამატებასაც. განცხადებას მისი გამოცემის შესახებ მალე გამოგიგზავნით.

ხომ არა გსმენიათ რა კიევის ამბებზე [14]? ამბობენ, იქ 13 კაცი მოკლესო. ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, რაც იცით.

მაგრად გართმევთ ხელს. პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

12

ვ. პ. ნოგინს

5/II. 01.

გმადლობთ წერილისა და «ისკრის» დაწვრილებით გარჩევისათვის. საფუძვლიან და დასაბუთებულ შეფასებას (ამ ძნელ საქმეში გარდუვალი) შეცდომების აღნიშვნით ისე იშვიათად ხვდები, რომ ორმაგად აფასებ მას და თქვენი ყურადღება «ისკრისადმი» განმიმტკიცებს იმედს, რომ ჩვენ ერთად ვიმუშავებთ მისთვის.

სავსებით გეთანხმებით, რომ საშინაო მიმოხილვა ღარიბია. მეორე ნომერში იგი უფრო მდიდარია, მაგრამ მაინც ღარიბია: ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელი განყოფილებაა, და მხოლოდ თანდათანობით შეიძლება მისი დამაკმაყოფილებლად მოგვარება.

ჩემი აზრით, მთლად სწორ შეფასებას არ აძლევთ კორესპონდენციებს. დამთხვევა «რაბოჩაია მისლის» [15] № 10-თან [სიტყვამ მოიტანა და იგი არ მინახავს — გამომიგზავნეთ, გეთაყვა] არ მაშინებს.

იგი ადასტურებს, რომ ჩვენცა გვაქვს კავშირი სანქტ-პეტერბურგის კავშირთან [16], ეს კი ძალიან კარგია.

წერილში კრიზისის შესახებ [17] მოწოდება «ვერ[illegible]», ჩვ-

ში აზრით, მცდარად და ნაძალადევად გაქვთ განმარტებული. კონტექსტიდან ჩანს, გვარიდებენ მ ხ ო ლ ო დ გ ა ფ ი ც ვ ე ბ ს, და რადგან იქვე წერია, რომ გაფიცვა ბრძოლის ერთადერთი საშუალება არ არის, რომ სწორედ ამ მძიმე დროით უნდა ვისარგებლოთ, რათა გამოვიყენოთ ბრძოლის სხვა საშუალებანი. პროპაგანდა («განვმარტავდეთ») და აგიტაცია («ვამზადებდეთ უფრო გადამწყვეტი — NB — ბრძოლისათვის»), — კატეგორიულად ვაცხადებ პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ერთმანეთს შეადარონ მოწოდება «ვერიდოთ» და რაბოჩაიამისლელობა. რჩევას «ვერიდოთ» გაფიცვებს და ვემზადოთ>გადამწყვეტი ბრძოლისათვის სულ საწინააღმდეგო ხასიათი აქვს, ვიდრე «რაბოჩაია მისლს». დემონსტრაციებზე თქვენი მითითება სავსებით სამართლიანია, მაგრამ, ჯერ ერთი, სწორედ ეს გამოხატავს «უფრო გადამწყვეტი ბრძოლის» უფრო ფართო ცნებას; მეორეც, ამ მოწოდებისათვის მეტი კონკრეტულობის, გარკვეულობის მინიჭება უხერხული იქნებოდა იმ პირობებში, როცა არა გვაქვს პირდაპირი საბაბი და შეუძლებელია დეტალურად ავწონ-დავწონოთ მთელი სიტუაცია. № 2-ში — ერთი გაფიცვისა და «იუჟნი რაბოჩიში»[18] მოთავსებული წერილის გამო ცდილობენ უფრო გარკვევით თქვან.

ვერ დავეთანხმები იმას, რომ გამაღიზიანებელი მოთხოვნა უნდა ყოფილიყო უმუშევრობისაგან სახელმწიფო დაზღვევა. ვეჭვობ, რომ ეს ნამდვილად პრინციპული იყო: კლასობრივ სახელმწიფოში უმუშევრობისაგან დაზღვევა საეჭვოა სხვა რამ იყოს, გარდა გაბრიყვებისა. ტაქტიკურად ეს განსაკუთრებით მოუხერხებელია ჩვენში, რუსეთში, ვინაიდან ჩვენს სახელმწიფოს უ ყ ვ ა რ ს «გასახელმწიფოებრივების» ექსპერიმენტები, უყვარს მათი «საერთო სარგებლობის» რეკლამირება, და ჩვენ გადაჭრით უნდა წინააღვუდგეთ ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი სახელმწიფოს ფუნქციათა გაფართოებას და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ მეტი გასაქანი მიეცეს საზოგადოებრივ თვითმოქმედებას. ვიბრძოდეთ უმუშევრებისადმი დახმარებისა და შემწეობისათვის — კი ბატონო, მაგრამ «სახელმწიფო დაზღვევისათვის» — ?

თქვენი შითითება, სტატია ზუბატოვის შესახებ რამდენადმე დაუმთავრებელიაო, მგონი, სამართლიანი უნდა იყოს[19].

დეკაბრისტთა 75 წლისთავის შესახებ — მართლაც ხარვეზია[20].

თუ გნებავთ, შემიძლია ბულგარული პასპორტი გიშოვოთ. მ ო მ წ ე რ ე თ, გ ჭ ი რ დ ე ბ ა თ თ უ ა რ ა, და თუ გ ჭ ი რ დ ებ ა თ — ნიშნები შემატყობინეთ.

გადაზიდვის საქმე გაგვიუმჯობესდა, და, შესაძლოა, იოლად გავიდეთ ახალ პირთა დაუხმარებლად.

გ ე თ ა ყ ვ ა, გ ა მ ო მ ი გ ზ ა ვ ნ ე თ «რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ ი», აგრეთვე «ბ ი ლ ო ე»[21] და ლ ო ნ დ ო ნ ი ს ს ხ ვ ა გ ა მ ო ც ე მ ა ნ ი. გთხოვდით აგრეთვე «Fabian Society»-სა * და სხვა სოციალისტური ფირმების გამოცემათა კატალოგს. რომელ ინგლისურ გაზეთს მირჩევდით? ხომ არ გამომიგზავნით ორიოდე ნომერს ნიმუშისათვის? ერთხანს გამოწერილი მქონდა «Justice»[22], მაგრამ უკმაყოფილო დავრჩი.

«ისკრის» 4 ეგზემპლარი ახლა არა გვაქვს. მალე გვექნება. თუმცა, რად გინდათ? ნუ დაგავიწყდებათ, რომ საზღვარგარეთ გავრცელება ყ ო ვ ლ ა დ შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა. გამოგზავნილი ეგზემპლარი მ ხ ო ლ ო დ თქვენთვის და თქვენი მეგობრისათვის ** არის განკუთვნილი, საერთოდ კი ჯერჯერობით ეს უნდა იყოს ფრიად საიდუმლო.

მაგრად გართმევთ ხელს. პ ე ტ რ ო ვ ი

გიგზავნით კიდევ ჩვენს ბროშურას ***. ჯერჯერობით ამასაც მ ხ ო ლ ო დ თქვენთვის და ს ა ი დ უ მ ლ ო დ.

ძალიან გთხოვთ გამიზიაროთ ყველა თქვენი შთაბეჭდილება.

---

* — «ფაბიანელთა საზოგადოება». რ ე დ.

** როგორც ჩანს, ლაპარაკია ს. ვ. ანდროპოვზე. რ ე დ.

*** იგულისხმება, როგორც ჩანს, ბროშურა «მაისის დღეები ხარკოვში» ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 438 — 448). რ ე დ.

როდის აპირებთ რუსეთში გამგზავრებას? თუ აპირებთ, მაშინ უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. ხომ არ შემოივლიდით ერთი კვირით? [23] როგორა გაქვთ ხელფასისა და საერთოდ ფინანსების საქმე?

კიდევ ერთხელ გართმევთ მაგრად ხელს.

თქვენი *Petroff*

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 3

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

13

ვ. ბ. ჩოგინს

21/II. 01.

გმადლობთ გაზეთებისათვის. ამ დღეებში გამოგიგზავნით «ისკრის» № 2-ს — აგრეთვე ს ა ვ ს ე ბ ი თ საიდუმლოდ.

იქნებ გამოარკვიოთ «ნაკანუნეში» [24]. ჯერ კიდევ 31 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს გავუგზავნეთ (Dr. K. Lehmann-ის სახელით) ფული და 3 მარკა გაზეთის გამოსაგზავნად. დღემდე არაფერი არ ისმის!

გამომიგზავნეთ ჯარისკაცებად სტუდენტთა გაგზავნის წინააღმდეგ პროტესტის პირი. საინტერესოა იგი შევუდაროთ სტატიას ამის შესახებ «ისკრის» № 2-ში *.

ალექსი მპირდება, მალე ჩამოვალო.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

მაპატიეთ წერილის სიმოკლე: ვერ მომიცლია უამრავი წვრილმანი საქმის გამო.

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «183 სტუდენტის გაგზავნა ჯარისკაცად» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 510—516). რ ე დ.

14

პ. ბ. აქსელროდს

11/III. 01.

ძვირფასო პ. ბ.! დღეს მივიღე თქვენი წერილი (პარიზელთა[25] მეტისმეტად სახოტბო შეფასების პირითურთ) და ვიჩქარი გამოგიგზავნოთ № 2-ის * მეორე ეგზემპლარი. როგორ გამომრჩა მხედველობიდან, რომ თქვენთვის გამოგზავნილი ეგზემპლარი ასე ცუდი გამოდგა? თუმცაღა, მაშინ აბსოლუტურად არა მქონია ა რ ჩ ე ვ ა ნ ი.

მე რომ მკითხოთ, ლეიტეიზენის სტატია არც ისე... მაგრამ, მგონი, მაინც გამოდგეს. სხვებს, როგორც ჩანს, ჩემზე უფრო მოსწონებიათ.

შოუერზე წარმოდგენაც არა მაქვს. სხვებს ვკითხავ.

გიგზავნით «Weltpolitik»-ის[26] №№-ს, რაც კი ხელთა მაქვს. თუ თქვენ ყველა ნომერი თანმიმდევრობით გჭირდებათ, მაშინ, ვფიქრობ, მოგიხდებათ თვით ავტორს მიმართოთ, რომელიც კვლავ წინდახედულად ბეჭდავს თავის მისამართს.

გავასწორეთ «ზარიას» უკანასკნელი ფურცელი. მალე...

1/III. 20 წლისთავის შესახებ ალექსის სურდა დაეწერა. დაწერა თუ არა, — არ ვიცი. მას მალე მოველი.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

15

ვ. პ. ნოგინს

23/III. 01.

გიგზავნით «ისკრის» № 2-ის 5 ეგზემპლარს გასავრცელებლად და გასაყიდად. თუ შეგიძლიათ მათი საშუალებით ცოტა-

---

* გაზეთ «ისკრის». რ ე დ.

ოდენი ფული შეაგროვოთ, ძალიან დამავალებთ. ფული ძალზე გვჭირდება. ეგებ ლონდონიდანაც შეგიძლიათ განახორციელოთ რაიმე ღონისძიება გასავრცელებლად და შესაგროვებლად?

ალექსის დღე-დღეზე ველი. მან მიიღო პასპორტი და გასული კვირის დამლევს უნდა წამოსულიყო.

«ზარია» ამ დღეებში უნდა გამოგიგზავნონ შტუტგარტიდან.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი..

გაგზავნილია მიუნხენიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

16

ბ. ვ. პლეხანოვს *

მივიღე მიხაილოვსკისადმი მიძღვნილი კრებული «ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ პ ო ს ტ ზ ე»[27]. «ზარიას» მეორე წიგნში შავი დღე უნდა დავაყენოთ: ჩემზე იყოს ჩერნოვი, რომელიც კაუცკის ანიავებს á la ბულგაკოვი. კარგს იზამთ, თუ რაფაილოვს, იუჟაკოვსა და სხვა «სოციოლოგებს» გაუსწორდებით. ეს იქნება რევანში მიხაილოვსკის წინააღმდეგ.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

დაწერილია 1901 წლის 15 აპრილს
გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1956 წლის 7 სექტემბერს გაზეთ „სმენაში" (ლენინგრადი) № 210

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* წერილი ი. ო. მარტოვისათვის გაგზავნილ წერილზე მიბაწერია. რ ე დ

17

მ. ბ. ვეჩესლოვს *

22 აპრ.

იურიევს

წითელი ფურცლები პიტერში უნდა გადაიგზავნოს, ამიტომ ჩემოდანი, რომელშიც ეს ფურცლებია ჩაწყობილი, იმ მხარეს უნდა გაგზავნოთ (ფსკოვში, მაგრამ არა სმოლენსკში და არც პოლტავაში).

100 მარკას სესხად ვუგზავნით ბერლინის ჯგუფს[28]. სასურველია, ჩემოდნების გადასაგზავნ ფულს ადგილზე აგროვებდეთ და «ისკრისათვის» თავიდან მოგეცილებინათ ეს ხარჯები. ამ საქმისათვის ფულის საშოვნელად ყოველგვარი ღონე იხმარეთ, რადგან ჩვენი სალარო სახსრების მწვავე ნაკლებობას განიცდის.

რაც შეეხება თქვენს გამოსვლას ნეიტრალური ჯგუფიდან, თვითონ უკეთ იცით, როგორ მოიქცეთ. აჯობებდა კი მოგეცადათ და არ გამოსულიყავით, რადგან არის შესაძლებლობა, ვინმე გადმოვიბიროთ.

ბეჭედი შეკვეთილია. გაიმეორეთ გამოგზავნილი ვენის მისამართი, უცნაური რაღაც გამოდის.

რაც შეეხება ტრანსპორტს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წევრის მეშვეობით, დაეთანხმეთ მის წინადადებას და ყველაფერი იღონეთ, რაც კი თქვენზეა დამოკიდებული, რომ რაც შეიძლება მალე მისცეთ მას ერთი ან ორი ფუთი ლიტერატურა გადატანის ცდების ჩასატარებლად. რამდენი ლიტერატურა მოგეძებნებათ ამისათვის? გამოგიგზავნით, რაც გაკლიათ — «ზარიას» და (1. V-ის შემდეგ) «ისკრის» № 3-ს.

მაინც არ მოიწერეთ, სახელდობრ რამდენი ლეგალური

---

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. რ ე დ.

ლიტერატურა მიიღეთ. გამოგზავნეთ დაწვრილებითი ანგარიში.

დაწერილია 1901 წლის 22 აპრილს
გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

18

«ბორბას» ჯგუფს [29]

12/V. 01 წ.

პატივცემულო ამხანაგებო!

რაკი ახლაც, ისევე როგორც წინათ, გაერთიანების პრინციპული მომხრენი ვართ, განმეორებით გაძლევთ თანხმობას, რომ განვაახლოთ მოლაპარაკება გაერთიანების თაობაზე, და მადლობით ვიღებთ «ბორბას» ჯგუფის წინადადებას თავს ვიდოთ ინიციატივა და შუამავლობა გავწიოთ მოლაპარაკების წინასწარ ფაზაში. თქვენ მიერ დასახელებული ს.-დ. ორგანიზაციათა წინასწარი კონფერენციის გამართვაზე თანახმა ვართ.

ზედმეტი არ იქნება დავძინოთ, რომ პრინციპულ პოლემიკას, რომელიც «რაბოჩეე დელოსთან» დავიწყეთ, თავისთავად ცხადია, ვერ შევწყვეტთ.

პატივისცემით «ისკრის» ჯგუფის სახელით...

გთხოვთ რაც შეიძლება მალე გვიპასუხოთ, ყველა თანახმაა თუ არა, რომ გაიმართოს კონფერენცია [30]. მაისში უთუოდ შეეძლებდით მონაწილეობა მიგვეღო ამ კონფერენციაში, მოგვიანებით კი ჩვენთვის ეს ზოგიერთ სიძნელესთან იქნება დაკავშირებული.

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას
ხელით დაწერილი პირის
მიხედვით

19

მ. გ. ვეჩესლოვს

18. V. 01-ის წერილის შავი

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით თქვენს გეგმას, ახლავე დავიწყოთ ბიულეტენების[31] გამოცემა. ოღონდ საჭიროა ორგანიზაციულად შევიმუშაოთ ეს გეგმა, ე. ი. გადავჭრათ ზოგიერთი წინასწარი საკითხი, რომლებიც უცილობლად წამოიჭრებიან ხოლმე. მაგალითად, ბიულეტენებს გამოსცემს და რედაქციას გაუკეთებს «ისკრის» ხელშემწყობი მთელი ბერლინის ჯგუფი (თუ არ ვცდები, მთელი ამ ჯგუფისათვის ჯერ-ჯერობით არ უნდა გვეცნობებინა ორგანიზაციის ჩვენი გეგმა) თუ მხოლოდ მისი ნაწილი, ან რამდენიმე პირი? გამოხატავს თუ არა ბიულეტენების სახელწოდება მათს დამოკიდებულებას «ისკრისადმი»? სასურველი იქნებოდა აგრეთვე, რომ ბიულეტენების პროგრამა შეესაბამებოდეს ჩვენ მიერ შემუშავებულ პროგრამას ჩვენს პროექტში და რომ რედაქციამ იზრუნოს, რათა განყოფილებანი (პოლონური, ფინური და სხვ. ლიტერატურის თარგმანები) გაანაწილოს «ისკრის» თანამგრძნობთა და მასთან სოლიდარულ პირთა შორის. დაბოლოს, საჭიროა გარკვევით გადავწყვიტოთ (ასეთი გადაწყვეტილება, რასაკვირველია, არ უნდა გამოქვეყნდეს), რომ ჯგუფი, რომელიც სცემს და რედაქციას უკეთებს ბიულეტენებს, ამ საქმეს ხელს ჰკიდებს პროვიზორულად, რათა გადასცეს იგი არჩევითს ლიტერატურულ კომისიას, როცა აშკარად იქნება კონსტიტუირებული ჩვენ მიერ ნავარაუდევი «ისკრის» საზღვარგარეთის ორგანიზაცია. არის კიდევ სხვა საკითხებიც, რომლებსაც თქვენ, რა თქმა უნდა, თვითონ დაინახავთ და გადაწყვეტთ, როცა შეუდგებით თქვენი გეგმის საბოლოო ორგანიზაციულ შემუშავებასა და გაფორმებას.

ჩვენ, ჩვენი მხრივ, შევარჩევთ ზოგიერთ მასალას, რომლებიც მოგვეპოვება, და გამოგიგზავნით. გვაცნობეთ, როდის არის ნავარაუდევი პირველი გამოცემა? აპირებთ თუ არა გა-

მოსცეთ ისეთივე (ფორმითა და სიდიდით) ბიულეტენები, როგორიც ადრე იყო, თუ სხვაგვარი იქნება?

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

20

გაზეთ «ისკრის» სტამბას

სტატიების თანმიმდევრობა აუცილებლად უნდა შევცვალოთ.

ააწყვეთ, ვიდრე შრიფტი არის, **ანაწყობი დაიტოვეთ.** ვიმედოვნებთ, ხვალ-ზეგ სტატიებს გამოგიგზავნით.

გიგზავნით:

1) კორექტურა
2) ხარკოვი
3) კოვნა და სხვ.
4) სამარა
5) კრამოლა და ა. შ.
6) 2 ლექსი
7) ნიჟნი ნოვგოროდი *.

გამოგვიგზავნეთ საბეჭდი საღებავი, არ ვიცით, როგორ ვიშოვოთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაბეჭდილია 1901 წლის 22 მაისსა და 1 ივნისს შუა მიუნხენში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წლის 5 მაისს გაზეთ «პრავდაში» № 122

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ჩამოთვლილი მასალები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია «ისკრაში» № 5. რ ე დ.

21

გ. დ. ლეიტეიზენს

24. V. 01.

ძვირფასო ლეიტეიზენ! რაც შეეხება «მუსიკოსს», ვფიქრობთ, რომ რაკი იგი se met à notre disposition * და თავისთავად მოხერხებული კაცია, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ უნდა შეეცადოთ გაგზავნოთ იგი ზ ე დ საზღვარზე, რათა უშუალოდ თავს იდოს განაგებდეს გადაზიდვის საქმეს, და არა მარტო განაგებდეს, არამედ თვითონვე გადაზიდოს და გადაიტანოს (respective **: გადადიოდეს კონტრაბანდისტთან ერთად).

რაკი ამაზე თანახმაა, უნდა მისცეთ მას 200 frs (ე. ი. 100+100, რის შესახებაც იწერებით) და, როგორც ჩანს, მისი ჩ ვ ე ნ თ ა ნ გამოგზავნა მოგიხდებათ. ჩვენ ისევ და ისევ იმაზე ვფიქრობთ, უნდა შემოიაროს მან აქ თუ მხოლოდ ბერლინში, რათა იქ ჩვენს წარმომადგენელს მოელაპარაკოს, მაგრამ იქ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენთან შემოვლა აუცილებელია: ჩვენ გვაქვს რამდენიმე მეტ-ნაკლებად გარკვეული კავშირი საზღვარზე და მის ახლოს, და თუ ყოველმხრივ არ მოვეთათბირეთ თვით წამსვლელ პირს, ვერ გადავწყვეტთ, სახელდობრ სად წავიდეს და რას «ჩასჭიდოს» ხელი.

ფული ახლა ძალიან ცოტა გვაქვს, იძულებული ვართ ხელმომჭირნედ ვიყოთ, გადაზიდვის გარდა, ვერაფერზე ვერ დავხარჯავთ. მაგრამ, თუ მუსიკოსი ამ 200 frs-ით ადგილზე ჩავა და ცოტა ხანს მაინც ირჩენს თავს, მაშინ, ალბათ, შეძლებს ჩვენი კავშირის მეოხებით მაშინვე შეუდგეს გადაზიდვასაც.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ახლა აქ იმყოფება რიაზანოვი, რომელთანაც ვსაუბრობთ ჩვენი ორგანიზაციის პროექტის თაობაზე. ჯერ მან კა-

---

* — თავის სამსახურს გვთავაზობს. რ ე დ.

** — შესაბამისად. რ ე დ.

ტეგორიულად და «წყენით» უარყო ჩვენი პროექტი, მერე კი, — როცა დავთქვით, ყოველივე ეს დროებით, 1 წლითაა-თქო, — პირობითად დათანხმდა, მხოლოდ საკუთარ თავზე ვაგებ პასუხსო, თანაც გვარწმუნებდა, ნევზოროვი არასგზით არ დაეთანხმებაო (?). ყოველი შემთხვევისათვის — სხვაგვარი პროექტიც გვაქვს დასახული: ფედერაცია «სოციალ-დემოკრატს», «ზარიასა» და «ბორბას» შორის, ამასთან ეს უკანასკნელი სცემს მხოლოდ ბროშურებს (ორგანო არ არის), სათათბირო ხმით მონაწილეობს «ზარიასა» და «ისკრაში», როგორც ყველა სხვა ფედერატს, ფედერალურ სალაროში შეაქვს შემოსავლის გარკვეული ნაწილი, აგროვებს ფულს დამოუკიდებლად მის მიერ მოწყობილი საღამოების საშუალებით და ა. შ. რას იტყვით, როგორია ეს უკანასკნელი პროექტი? მე რომ მკითხოთ, იგი უსამართლოა — მეტისმეტად ბევრს აძლევს «ბორბას», — და არა მგონია, რომ ყველამ გაიზიაროს.

საზოგადოდ ვფიქრობთ, რომ «ბორბასთანაც» შეიძლება მოვრიგდეთ: ეტყობა, ისინიც მიდიან დათმობაზე, როცა ხედავენ, რომ არ ვაპირებთ ხელი ავიღოთ ჩვენს პოზიციაზე.

თქვენი ლენინი

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

22

რ. ე. ძლასტნს *

ჯგუფი, რომელიც სცემს და რედაქციას უკეთებს «ისკრასა» და «ზარიას», მოგმართავთ თქვენ, როგორც პირს, რომე-

* წერილი დამატებაა 1901 წლის 28 მაისის წერილისა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 65). რედ.

ლიც ჩვენთან ერთად მონაწილეობდა ერთ-ერთ პირველ მარქსისტულ საგამომცემლო წამოწყებაში [32], და მუდამ თანაუგრძნობდა სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ საქმიანობას, თხოვნით, რომ ფულადი მხარდაჭერა გაუწიოთ საქმეს. ამჟამად მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ წ ი ლ ა დ ამ მხარდაჭერაზეა დამოკიდებული მთელი საქმის ბედი, რადგან თავდაპირველი ფონდი მთლიანად მოწყობას მოხმარდა, ხოლო იმისათვის, რომ წამოწყება ნაზღაურდებოდეს, მინიმუმ კიდევ ერთი წლის დაძაბული მუშაობაა საჭირო. გასული წლის (1900) გაზაფხულზე ერთი ჩვენთაგანი ესაუბრა თქვენს მეგობარს (რომელსაც ახლა, ალბათ, ხშირად ხვდებით) და რომელმაც აგრეთვე რწმენა გამოთქვა, რომ უარს არ იტყვით დახმარებაზე. იმედი გვქონდა, თქვენი ნაცნობობის წყალობით შეძლებდით შეგეკრიბათ ერთდროულად სოლიდური თანხა, მაგრამ ჩვენს ორგანიზაციას, რა თქმა უნდა, ამის გარდა, პერიოდული შესატანებიც სჭირდება.

დაწერილია 1901 წლის 28 მაისს
გაგზავნილია მიუნხენიდან ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
ჩიხედეით

23

გ. ვ. პლეხანოვს

12. VI. 01.

გწერთ თქვენ, ძვირფასო გ. ვ., რამდენიმე სიტყვას, რათა გაცნობოთ, რომ ორთოდოქსის სტატია ბერდიაევის წინააღმდეგ დღეს გაიგზავნა სტამბაში. ეს სტატია უნდა დაიბეჭდოს მ ე ო რ ე ადგილზე, ე. ი. თქვენი მოწინავის შემდეგ. რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე გ ა მ ო მ ი გ ზ ა ვ ნ ე თ **სათაური,** თორემ სტატია სრულიად «უთავოა».

სტატიის გამო ცოტა შევეკამათე არსენიევსა და ველიკას... მათ მიიჩნიეს, რომ plump-ია* გამოხდომა კისტიაკოვსკის წი-

* — უხეიროა. რ ე დ.

ნაადმდეგ (2×2=5) და ბერდიაევის «ბურჟუაზიულობის» დასრულების შესახებ...

გართმევთ ხელს.

თქვენი პეტროვ

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

24

დაუდგენელ ადრესატს *

18/VII.

თქვენი წერილი მივიღეთ. გვაცნობეთ, სახელდობრ როდის, ვადა ზუსტად მიუთითეთ, შეგიძლიათ წახვიდეთ ან გაგზავნოთ ვინმე ჩემოდნისათვის (კენიგსბერგში ანდა ბერლინში). მაშინ მოგიწევთ მიღებული ლიტერატურა ჩაიტანოთ X-ში მისამართით: ...** ცოტა მაინც თუ იცით გერმანული ენა, ვინაიდან გერმანელთან გექნებათ საქმე. დაიანგარიშეთ, რა ხარჯები დასჭირდება ყოველ მგზავრობას კენიგსბერგში, და გვაცნობეთ, დროის რა მონაკვეთში შეიძლება მგზავრობა. იმ შემთხვევისათვის, თუ ვინმემ დააპიროს ბერლინში წასვლა, აი მისამართი (და პაროლი), რომ მივიდეს ჩემოდნისათვის. საჭიროა გქონდეთ რაიმე ნივთები ჩემოდნის ასავსებად.

დაწერილია 1901 წლის 18 ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. რ ე დ.

** მისამართისათვის ხელნაწერში დატოვებულია ადგილი. რ ე დ.

25

პ. ბ. აქსელროდს

21. VII. 01.

ძვირფასო პ. ბ.! სულ ვაპირებდი მეპასუხა თქვენს წერილზე, მაგრამ სტატიის მიღებამდე ვაყოვნებდი. მაინცდამაინც ნუ დააჩქარებთ ამ სტატიას, რახან გიძნელდებათ, — ანდა სულაც თავი მიანებეთ კითხვას, რომ კარგად დაისვენოთ და იმკურნალოთ. გ. ვ-მ უკვე საკმაოდ დაწვრილებით მომწერა, თუ რა მიაჩნია მას სასურველ ცვლილებებად, და მე, რასაკვირველია, შევეცდები შევიტანო ყველა ეს ცვლილება[33] (მხოლოდ რაც შეეხება კილოს შეცვლას... არ ვიცი სწორედ, მოვახერხებ თუ არა. საეჭვოა, რომ შევძლო დიპლომატიური კილოთი ვწერო ვაჟბატონზე, რომელიც ჩემში მძაფრ გრძნობებს იწვევს. არა მგონია სავსებით მართალი იყოს გ. ვ.. ჩემი «სიძულვილი» მკითხველისათვის გაუგებარი იქნებაო: მაგალითისათვის დავიმოწმებ Parvus-ს, რომელმაც, თუმცა ავტორს არ იცნობს, წინასიტყვაობის წაკითხვისას ასევე მტრობა გამოიტანა «როჭოსადმი», როგორც მან თქვა, — მაგრამ ეს ფრჩხილებში იყოს). ძალიან უკმაყოფილო ვიყავი იმით, რომ ორი სამუშაო თქვენ დაგაკისრეთ (სტატიების კითხვა — ჩემი * და ორთოდოქსისა) სწორედ მაშინ, როცა სამკურნალოდ და დასასვენებლად გაემგზავრეთ. ეცადეთ კარგად გამოიყენოთ მკურნალობის დრო და ხელნაწერების გარჩევით თავს ნურასგზით ნუ გადაიტვირთავთ.

მოგვწერეთ, გეთაყვა, (და ხელნაწერები და ყოველივე დანარჩენი გამოგვიგზავნეთ) მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი მისამართით:

Herrn Dr. Med. Carl Lehmann.
Gabelsbergerstraße 20 a/II.
München (შიგნით: *für Meyer*).

---

* იხ. «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89). რედ.

რიტმაიერის მისამართი უკვე აღარ ვარგა (მაგრამ, თუ თქვენ ამ წერილის მიღებამდე რიტმაიერის სახელზე რაიმეს გამოგზავნით, ჩვენ ჯერ კიდევ მივიღებთ).

ხომ არ გაქვთ თქვენ ან რომელიმე ციურიხელ გენოსეს Liebknecht-ის წიგნი «Zur Grund und Bodenfrage» (Leipzig, 1876) *?. წიგნი ძალიან მჭირდება ჩერნოვის ** წინააღმდეგ სტატიისათვის, აქ კი არც ბიბლიოთეკაშია, არც პარვუსს აქვს და არც ლემანს.

ახლა კი ნახვამდის! მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ კარგად დასვენებას და სრულ გამოჯანმრთელებას.

თქვენი პეტროვი

P. S. კიდევ ერთი თხოვნა: ხომ არ გაქვთ თქვენ (ან გრეილიხს) ინტერნაციონალის კონგრესების ოქმები? ან «*Vorbote*»[34] (სადაც, მგონი, ზუსტი ანგარიშები იყო)? ჩერნოვი მოსვენებას არ მაძლევს, — ეს არამზადა, ეტყობა, ამახინჯებს საქმეს, როცა ინტერნაციონალის კონგრესების ოქმებს იმოწმებს და (რიტინგჰაუზენის)[35] «სოლიდარიზებულ თემებსაც» კი «დოგმატურ მარქსიზმს» მიაწერს. რომ შეძლებდეთ და დამეხმარებოდეთ ამ მასალების შოვნაში, თქვენი ძალიან, ძალიან მადლობელი ვიქნებოდი.

[თუ ამ ცნობებისთვის დავიდარაბა დაგჭირდებათ, მაშინ თავი დაანებეთ ამას, **გეთაყვა**: როგორმე იოლად წავალ.]

და კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. (ვგრძნობ, უსინდისოდ ვიქცევი, ასე რომ გაწუხებთ უამრავი თხოვნით, მაგრამ რაკი დავიწყე, ძნელია თავის შეკავება. მაგრამ ღვთის

---

*— ლიბკნეხტის «აგრარული საკითხისათვის» (ლაიფციგი, 1876). რედ.

** იხ. «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277). რედ.

ᲗᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, თუ ეს საზრუნავს გაგიჩენთ, მაგალითად, წიგნების საძებრად წასვლა-წამოსვლა და სხვ. მოგიწევთ, მაშინ მოეშვით და ყველა ჩემი თხოვნა «უმოძრაოდ» დატოვეთ. როგორმე იოლად წავალ. ყოველ შემთხვევაში, ჩერნოვს დავანიავებ.) აი რაშია საქმე. ამ არამზადა ჩერნოვს ციტატა მოჰყავს ენგელსის სტატიიდან «გერმანელი გლეხი» («რუსკოე ბოგატსტვოში», 1900, № 1). ეს სტატია რომ მოვძებნე, აღმოჩნდა, რომ იგი თარგმანი ყოფილა ენგელსისეული სტატიისა «*Die Mark*» (Anhang-ი ბროშურისა «Entwicklung des Sozialismus von der Utopie zur Wissenschaft») [36]. (მე მაქვს მხოლოდ ამ ბროშურის მე-4 გამოცემა, 1891 წ.). მაგრამ ამ თარგმანს ბოლოში რუსულად ორიტირადა აქვს დამატებული, რომლებიც **ორიგინალში არ არის** და შეიცავს ძალიან საეჭვო ადგილებს: «აღდგენილ იქნეს (Sic!) მარკა» და ა. შ.

რა არის ეს? «რუს. ბ-ვოს» თაღლითობაა? — მაშინ კარგადაც უნდა დავგმოთ. მაგრამ თავდაპირველად ყოველნაირად უნდა გამოვარკვიოთ საქმე: რუსული სტატიის შენიშვნაში ნათქვამია, რომ ენგელსის სტატია «გამოქვეყნდა 80-იან წლებში ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში ხელმოუწერლად. მაგრამ ანაბეჭდზე, რომელიც ენგელსმა ერთ-ერთ თავის მეგობარს გამოუგზავნა, თავისი ინიციალები მიაწერა». ხომ არ იცით, 1) რომელია ეს «გერმანული ჟურნალი»? «*Neue Zeit*»-ი [37] ხომ არა? 2) ხომ არ გაქვთ ერთ-ერთი პირველი გამოცემა ბროშურისა «Die Entwicklung des Sozialismus von der Utopie etc.» «*Die Mark*» Anhang-ითურთ. აუცილებელია შედარდეს, ხომ არ ყოფილა პირველ გამოცემებში ის ტირადები, რომლებიც მე-4 გამოცემაშია? (თუმცა ეს ნაკლებად დასაჯერებელია).

შემდეგ შესადარებლად მჭირდება ბროშურა: *W. Wolff*. «Die schlesische Milliarde» [38], რომელიც ვერ ვიშოვე აქაურ

ბიბლიოთეკაში და რომელიც არც «Vorwärts»-ის Buchhandlung-შია * [39] — გაყიდულა.

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1925 წელს ლენინის III კრებულში

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

26

პ. ბ. აქსელროდს

30/VII. 01.

ძვირფასო პ. ბ.!

მივიღე თქვენგან «ლიბკნეხტი» და «Vorbote». დიდი, დიდი მადლობა!

ჯერ ცოტა რამ ერთ განსაკუთრებულ საქმეზე. ჩვენ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ შეხვედრა «რუსეთში რევოლუციონიზმის აღორძინების»** ავტორთან, მაგრამ არამც და არამც მიუნხენში. დავსახეთ ციურიხი — იმისათვის, რომ ჩვენმა დელეგატმა (ნავარაუდევია, რომ მე წამოვალ) გზად თქვენთანაც შემოიაროს. ეს შეხვედრა გათვალისწინებულია *8—10* აგვისტოს (12-მდე) ახალი სტილით.

ძალიან გთხოვთ მოიწეროთ, შეიძლება თუ არა შეხვედრისათვის ვისარგებლოთ თქვენი ბინით და შეძლებთ თუ არა ამ დროისთვის ციურიხში იყოთ, რათა თქვენც გინახულოთ (ესე იგი, უფრო სწორად რომ ვთქვათ: შემიძლია თუ არა ჩამოვიდე თქვენთან, რადგან რაკი თქვენ მკურნალობთ, რაღა საჭიროა თქვენი ჩამოსვლა? ჩემთვის კი, ცხადია, ეს არაფერი ღირს)

---

*— წიგნის მაღაზიაში «წინ». რ ე დ.

** «რუსეთში რევოლუციონიზმის აღორძინება» სტატიის ავტორია ლ. ნადეჟდინი. რ ე დ.

ეს კაცი მოვა თქვენს ბინაში (ასე ვწერთ ახლა ჟენევაში ალექსის დას, რომელიც შეატყობინებს ამ კაცს, თუ თქვენგან არ იქნება კონტრგანკარგულება), იტყვის, სოკოლოვსკი ვარო და გკითხავთ თქვენ (ანდა თქვენს ცოლს) «ისკრის» წარმომადგენელს. ალექსის და კი ამ კაცის გამომგზავრების შესახებ მომცემს დეპეშას, ხოლო მე დროზე ვიქნები ციურიხში, ამასთან არ გავუმხელ (მასთან მთლად გულახდილობისა გვეშინია!) ჩემს ადგილსამყოფელს.

ნაროდოვოლელთა ჟურნალი «ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი»[40] ჩვენ ვნახეთ (ერთი ეგზემპლარი რიაზანოვმა გვიჩვენა), მაგრამ მიუხედავად დაპირებისა, ჯერ არ მიგვიღია. თვალი გადავავლე მხოლოდ მოწინავეს და რეცენზიას «ისკრის» შესახებ (უთანაგრძნობენ, მაგრამ ტერორის მომხრენი არიან). მალე, ალბათ, ჩვენც მივიღებთ და თქვენც.

კაუცკის წინასიტყვაობა მივიღეთ. თქვენმა შენიშვნებმა ჩემი სტატიის * გამო, რომლებიც დისთვის გაგზავნილ დღევანდელ წერილში გამოთქვით, ბევრი რამ ამიხსნა თქვენს ურთიერთობაში. იმედი მაქვს, კიდევ ვისაუბრებთ ამის თაობაზე და — —au revoir **!

თქვენი *Petroff*

გ. ვ. მწერს, რომ თქვენ ეწვევით მას. როდის აპირებთ გამგზავრებას? რაკი მალე მიემგზავრებით, ჩვენ შეგვიძლია დავაჩქაროთ მგზავრობა ციურიხში სოკოლოვსკისთან შესახვედრად.

გაგზავნილია მიუნხენიდან ნიდელბადში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. «ეროობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89). რედ.

** — ნახვამდის. რედ.

27

ლ. ე. გალპერინს *

ჩვენ გამოვგზავნეთ თანხმობის დეპეშა,— აზრი გასაგებია — მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ ტელეგრაფით მიმოწერა ძალიან საშიშია, დეპეშებიდან ხომ პირებს იღებენ. ეცადეთ ფოსტით შემოიფარგლოთ. დეტალების შესახებ მოსალაპარაკებლად ჩამოსვლა საჭირო არ არის. ყველაფერზე შეიძლება წერილობით შევთანხმდეთ. გყავთ თუ არა გამოცდილი მბეჭდავი? თუ გყავთ, მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ მატრიცები, რომლებიც ადვილი გადასაგზავნია (ჟურნალებში და სხვ.). ამ ხერხის უპირატესობანია: 1) საჭირო არ არის შრიფტი, 1ა) გაცილებით უფრო მალე იქნება, 2) ნაკლები ხალხია საჭირო — მაშასადამე, უფრო უსაფრთხოა კონსპირაციის თვალსაზრისით, 3) გაზეთს საზღვარგარეთული იერი ექნება, რაც აგრეთვე კონსპირაციისათვის გაცილებით მოსახერხებელია. საცდელად ამ დღეებში კ...ს ** მისამართით გამოგიგზავნით ყდაში ჩადებულ მატრიცებს. გახსენით ფრთხილად, დააყენეთ ყველა ცდა და რაც შეიძლება მალე გვაცნობეთ შედეგები. მატრიცებიდან ჩამოსასხმელად საჭირო «უნივერსალური აპარატი სტერეოტიპისათვის» ღირს დაახლოებით 300 მარკა, მაგრამ არ ვიცით, შეიძლება თუ არა რუსეთში მისი თავისუფლად შეძენა. შეგვატყობინეთ, რა ფორმატის მანქანა გაქვთ? შეიძლება თუ არა ვბეჭდოთ ჩვენი «ისკრის» ფორმატით? საერთოდ რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნეთ თქვენი ნამუშევრის თუნდაც რაიმე ნიმუში.

თუ ტექნიკა მოგვარებული გაქვთ, შეეცადეთ რაც შეიძლება მალე გამოსცეთ მთლიანად «ისკრის» თუნდაც ერთი ნომერი (თუ ძნელია გამოცემა 8-გვერდიანისა, როგორიც № 6-ია, მაშინ გამოეცით თუნდაც მე-5 ნომერი — იგი 4-გვერდიანია). უაღრესად საჭიროა, რომ აქაური ყრილობისათვის [41], ესე იგი

---

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. რ ე დ.

** ფსევდონიმი დადგენილი არ არის. რ ე დ.

ერთი (maximum $1^1/_2$) თვის შემდეგ გვქონდეს «ისკრის» რუსული გამოცემის ეგზემპლარი.

რა დროიდან ითვლება ვალად 800 მან.? ახლა ჩვენს სალაროს ცუდად აქვს საქმე და ამ ვალის დაფარვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ტექნიკა თვეში ნამდვილად მოგვცემს (4 — 8-გვერდიანი) «ისკრის» თუნდაც სამ-ხუთი ათას ეგზემპლარს. თუ ეს მოახერხეთ, შემოსავალი, რასაკვირველია, იქნება.

სად გაგზავნეთ მიღებული ამანათები? რატომ გზავნით ეკატერინოსლავში 5 ფუთს? ჩვენ ვერ ვბედავთ პირველ ხანებში გავგზავნოთ 1 — 2 ფუთზე მეტი, დაე უფრო ძვირი დაჯდეს. შეიძლება თუ არა გაიგზავნოს ეკატერინოსლავში «Bücher»-ი *. რამდენი დრო დასჭირდება დანიშნულებისამებრ მიტანას? ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მისამართები ისე მოგვწერეთ ხოლმე, რომ განაცალკევოთ სიტყვები, თორემ ვერ გაიგებ, სადაა სახელი, სად ქალაქი და ქუჩა.

დაწერილია 1901 წლის 31 ივლისსა
და 12 აგვისტოს შუა
გაგზავნილია მიუნხენიდან ბაქოში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

28

ლ. ი. გოლდმანს

ბაქომს

ძვირფასო ამხანაგო! რა გაგვახარეთ თქვენი ამანათით! ჩინებულადაა გაკეთებული, ამას ცვეტოვიც კი აღიარებს. თქვენ სწორად ვერ გაგვიგეთ. ჩვენ სულაც არ ვყოფილვართ იმის წინააღმდეგი, რომ «ისკრა» გამოდიოდეს რუსეთში. პირიქით, ჩვენ სავსებით ვაღიარებთ, რომ საქმე ამით ძალიან მოიგებს, და ყოველთვის გვინდოდა ეს, მხოლოდ, გამოგიტყდებით, ამ წამოწყების წარმატებისა არ გვჯეროდა. ახლა კი დაგვაჯერეთ. გიგზავნით X-ის სტატიას, იგი განკუთვნილია «ზარიას» მე-2 ნომრისათვის, მაგრამ,

* — წიგნები. რ ე დ.

ჩვენი აზრით, ძალიან სასარგებლო იქნება გამოსცეთ ცალკე ბროშურად, როცა წაიკითხავთ, ალბათ, დაგვეთანხმებით. დაბეჭდეთ იგი 1000 ეგზემპლარად. მასალებს აღარ დავაყოვნებთ, დანიშნეთ ვადა, როდის გამოგიგზავნოთ მასალები შემდეგი ბროშურისათვის; შემდეგ კი უკვე გამოგიგზავნით მასალას გაზეთისათვის *. ვიმეორებთ, თქვენ ძალიან გაგვახარეთ.

Veto-ს შესახებ იგავის გამო წერილი № 7-ში იქნება, — ყველაფერი მტკნარი სისულელეა.

თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, როცა წერთ, «ისკრას» ორგანიზება უნდაო, მხოლოდ მართალი არა ხართ, როცა ამბობთ, თქვენს შემდეგ რუსეთში ორგანიზაცია უნდა დაგეტოვებინათო.

ამის გაკეთება, ასე ვთქვათ, წინასწარ შეუძლებელი იყო: მხოლოდ, როცა საქმე კეთდება, შეიძლება გამოირკვეს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ორგანიზაცია. ახლა — თქვენ მართალი ხართ — ქაოსია (ნაწილობრივ დანშნულებისამებრ მიტანის ხერხით გამოწვეული), ამას გვწერს ჩვენი წარმომადგენლების უმრავლესობა. ვფიქრობთ, ასე მოვიქცეთ: ორგანიზაციის ჩვენ მიერ შემუშავებული პროექტი განსახილველად გავუგზავნოთ რუსეთში 2 — 3 პირს, რომელთა დახმარებით შეეიმუშავებთ ორგანიზაციის წესდებას. ოდესის ფურცლები არა გვაქვს. გამოგვიგზავნეთ.

[ახალი ნაცნობი, რომელსაც აქ უნახავხართ, სამმაგ ვაშას გითვლით ასეთი წარმატების გამო!!!] **

დაწერილია 1901 წლის 31 ივლისსა
და 12 აგვისტოს შუა
გაგზავნილია მიუნხენიდან კიშინიოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

29

ჯ. ბ. აქსელროდს

4/VIII. 01.

ძვირფასო ჯ. ბ.! მივიღეთ თქვენი 30-ის წერილი და დღეს თქვენი წერილი ნიდელბადიდან, რომლებითაც გვატყობინებთ,

---

* უაღრესად საჭიროა, რაც შეიძლება მალე გვქონდეს «ისკრის» რუსული გამოცემა. თუ საკმარისი არაა, გამოეცით «ისკრის» ცალკეული სტატიები.

** მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რედ.

რომ შეხვედრის მოწყობა თქვენთან შესაძლებელი ყოფილა. ძალიან გამახარა ამ ამბავმა. ვიმედოვნებ, რომ ამ კვირაში ერთმანეთს ვინახულებთ და ლაპარაკით გულს ვიჯერებთ, ამიტომ «საქმის გამო» მოკლე ბარათს ვჯერდები.

დღესვე გავუგზავნე წერილი შტუტგარტით ციურიხში ვინმე ფინს: წერილით მას რეკომენდაცია ეძლევა თქვენთან. ამ ფინს იცნობდნენ **(ცოტათი)** რუსეთში (მ ი ს დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ა მ დ ე) ჩემი ცოლი და ჩემი და. იგი ზერელე კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ არ ყოფილა საფუძველი ეჭვი შეეტანათ მის პატიოსნებაში. იგი დაიჭირეს მოსკოვის საქმის[42] გამო ცნობილ მოღალატე რ უ მ ა ს თ ა ნ ერთად და ასტრახანში გადაასახლეს. ასტრახანელ გადასახლებულებს (ჩვენთვის სავსებით ცნობილთ) მის პატიოსნებაში ეჭვი არ შეჰპარვიათ, მით უმეტეს, რომ ფინმა ე რ თ-ე რ თ მ ა პ ი რ ვ ე ლ მ ა აღიარა რუმას ღალატი.

გადასახლების დამთავრების შემდეგ საზღვარგარეთ რომ ჩამოვიდა, ფინმა ერთხანს ბერლინში დაჰყო, სადაც, როგორც ჩანს, ჩვენი წარმომადგენლები ჯერ მეგობრობდნენ მასთან, მერე კი დაშორდნენ, და **გუშინ** უცებ ბერლინელისაგან მომდის მოულოდნელი წერილი, რომ ფინი «პარტიულ ეთიკას არ ცნობს», რომ «იგი საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებს», რომ «მან იცოდა ზუბატოვთან რუმას კავშირურთიერთობის ამბავი», რომ მას, ფინს, იგი ჯაშუშად არ თვლის, მაგრამ სიფრთხილეს გვირჩევს.

ამ წერილით თავზარდაცემულები, იმდენად გავფრთხილდით, რომ არც კი შევხვედრივარ ფინს * (ალექსიმ მხოლოდ შეხვედრის ადგილი მიასწავლა, ისე რომ არც კი გაუმხელია ამ საქმეში თავისი მონაწილეობა), მხოლოდ ცოლმა ინახულა, რომელმაც ჩემზე უთხრა, შ ტ უ ტ გ ა რ ტ შ ი ცხ ო ვ რ ო ბ ს და ახლა იქ არისო.

სწორედ ამიტომ მივწერე მას შტუტგარტით და გთხოვთ შეუნარჩუნოთ ეს რწმენა.

---

* (ფინს არასოდეს არ ვიცნობდი და არ მინახავს).

ფინი ლიტერატორობს. და მგონი, მე და ალექსის შეცდომა მოგვივიდა, რომ არ შევხვდით მას და პირადად არ გავერკვიეთ საქმეში. როგორც ჩანს, ფინი ბერლინელებს იმიტომ გაშორდა, რომ უარი თქვა შეესრულებინა მათი მოთხოვნა: «ისკრისათვის» ეცნობებინა რუმას საქმის ყველა პერიპეტია. ამან დააეჭვა ისინი. ფინმა ცოლს უთხრა, ამას ვერ ჩავიდენ, რადგან რუმა მაშინ ნაღდად შეიტყობს, რომ არალეგალურ პრესასთან კავშირი მაქვსო. ამის ნაცვლად ფინმა ცოლს რამდენიმე სტრიქონიანი ბარათი გადასცა, რომელშიც მოკლედ არის ნათქვამი რუმასა და ზუბატოვის უცილობელი ურთიერთობის შესახებ.

უკეთ რომ გავერკვე ყოველივე ამაში, ახლავე წერილს ვწერ დას. იგი ფინს იცნობდა დაპატიმრებამდე და მოსკოვშიც უნახავს. დას ვთხოვ, გვიპასუხოს მეც და პირდაპირ თქვენც. თქვენ კი, თუ კაცი ხართ, მოელაპარაკეთ ფინს და მოსინჯეთ იგი, ამასთანავე, თუ ეს უხერხული არ იქნება, კიდევ ორიოდე დღით დააკავეთ ციურიხში, რათა მეც შევხვდე (ეს ბევრად უფრო მოსახერხებელია, ვიდრე აქ) და შევეცადო გამოვასწორო ჩემი შეცდომა, ბერლინელთა თავზარდამცემმა წერილმა რომ ჩამადენინა.

ფინი გ. ვ-სთან მიემგზავრება. მიეცით მას ორიოდე სტრიქონი გ. ვ-თვის და ამავე დროს გადაუგზავნეთ გ. ვ-ს ჩემი ეს წერილი, რომ გ. ვ. საქმეს გაეცნოს.

ერთხელ კიდევ ნახვამდის.

თქვენი პეტროვი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გ. ვ. პლეხანოვს

18/IX. 01.

ძვირფასო გ. ვ.!

ჩანართები, რომლებიც თქვენ მთხოვეთ თქვენს სტატიაში შერნშტეინის წინააღმდეგ, ეს-ესაა შევიტანე, თანაც თავებად დავყავი. ძალიან ვშიშობ, რომ ეს დაყოფა უხეირო გამომივიდა (ისევე, როგორც უხეიროდ ჩავრთე შენიშვნა კაუცკის შესახებ). მაგრამ ამას ადვილად ჩაასწორებთ კ ო რ ე ქ ტ უ რ ა შ ი.

თქვენს ყურადღებას მივაქცევ აგრეთვე ჩემს ჩანართს ხელნაწერის 77-ე გვერდზე (უკანა მხარე) და ამოშლილ (78-ე გვ.) ადგილს. იქნებ აჯობებდა საერთოდ ყოველივე ეს შეგვერბილებინა?

თქვენს სტატიას ბერნშტეინის წინააღმდეგ უკვე აწყობენ. კორექტურას ხელნაწერთან ერთად გიგზავნით, რომ შეგეძლოთ ნახოთ, რა ჩანართები გავაკეთე.

ამასთან გიგზავნით წერილს რაჩინსკისათვის.

რატომღაც დიდი ხანია თქვენგან ამბავი არ მიმიღია. ჯანმრთელად ხომ ხართ? აპირებთ თუ არა მოინახულოთ პავლე ბორისის ძე და როდის?

საკმაოდ ბეჯითად ვმუშაობ ჩემს «აგრარულ» სტატიაზე *, რომელიც საშინლად იზრდება და იზრდება.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი პ ე ტ რ ო ვ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
კრებულში
««შრომის განთავისუფლების»
ჯგუფი» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. «აგრარული საკითხი და «მარქსის კრიტიკოსები»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 119 — 277). რ ე დ.

31

ლ. ი. აქსელროდს

დიდად პატივცემულო ლ. ი.! ძალიან გთხოვთ, დასვითვინმე, რომ დაუყოვნებლივ გადაწეროს ჩვენი ყრილობის მთავარი დოკუმენტები, და მაშინვე გამოგვიგზავნეთ მისამართით

Herrn Dr. Med.
Carl Lehmann
Gabelsbergerstraße 20 a
München.

ჩვენ უაღრესად გვჭირდება ეს დოკუმენტები სასწრაფოდ, რადგან უნდა ვუჩვენოთ ისინი მეგობრებს, რომლებიც ამ დღეებში რუსეთში მიემგზავრებიან. ამიტომ ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება მალე დასვათ 2—3 ქალი და გადააწერინოთ შემდეგი დოკუმენტები:

1) ჟენევის რეზოლუციები.

2) ფრეის სიტყვაში დასმული 2 საკითხი.

3) კავშირის განცხადება ბუნდის შესახებ და ჩვენი პასუხი, რომელიც ცნობს ბუნდს, მაგრამ «არ ეხება» დანარჩენს.

4) კავშირის შესწორებანი ჟენევის რეზოლუციებისათვის.

5) «ბორბას» ჯგუფის განცხადება.

6) ჩვენი დეკლარაცია ყრილობიდან წასვლის შესახებ[43].

ერთი სიტყვით, ბიუროში შემოტანილი ყველა ქაღალდი.

გვიპასუხეთ, გეთაყვა, რაც შეიძლება მალე მიუნხენში (ჩვენ ახლა მივემგზავრებით).

მაგრად გართმევთ ხელს.

ფ რ ე ი

დაწერილია 1901 წლის 5 ან 6 ოქტომბერს ცაურიხში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

32

პეტერბურგის ისკრელთა ჯგუფს *

გვაცნობეთ აუცილებლად და გვაცნობეთ რეგულარულად, რა მიმდინარეობანი და რამდენი პირით არიან წარმოდგენილნი საერთოდ სანქტ-პეტერბურგის კავშირში და კერძოდ მის ცენტრში, არიან თუ არა გამრჯე და გავლენიანი ადამიანები და სხვ. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ ყოველთვის უაღრესად ზუსტად სანქტ-პეტერბურგის კავშირის[44] ამბავი.

დაწერილია 1901 წლის 15 ოქტომბერზე
გვიან

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

33

ლ. ი. აქსელროდს

22/X. 01.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

მაპატიეთ, რომ დაგვიანებით და ძალიან მოკლედ გპასუხობთ: ისევ შემეყარა რაღაც ინფლუენცისმაგვარი, და თავი სულ არ მუშაობს. ჩემი აზრით, თუ შეუძლებელია ყრილობის ანგარიშის შედგენა, მაშინ ასე უნდა მოიქცეთ: გადაბეჭდეთ თანმიმდევრულად თავიდან ბოლომდე ყველა დოკუმენტი და განცხადება, რომლებიც ყრილობაზე იყო შეტანილი ბიუროში (ყენევის ** რეზოლუციები, მათი შესწორებანი, კავშირისა და ჩვენი განცხადება ბუნდის შესახებ, ჩვენი დეკლარაცია გამოსელის შესახებ და სხვ.), რაც შეეხება სიტყვებს, არც ერთის შინაარსი არ უნდა მოიყვანოთ (არათუ დაწვრილებით, არამედ სულაც არ მოიყვანოთ შინაარსი), და მხოლოდ ორიო-

* წერილი ი. ო. მარტოვის წერილის მინაწერია. რ ე დ.
** ხელნაწერში შეცდომაა: «ლონდონის». რ ე დ.

დე სიტყვით დააკავშირეთ ეს დოკუმენტები. ჩემი აზრით, ეს დოკუმენტები იმდენად მჭევრმეტყველურია და თავისთავად ისე ნათლად მეტყველებენ, რომ საკმარისია მათი გადაბეჭდვა (მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, თუ როგორ, რა თანმიმდევრობით და რის გამო იყო შეტანილი respective* წაკითხული) — და ეს სავსებით ახსნის ჩვენს წასვლას ყველა საზრიანი ადამიანის თვალში[45].

თუ თქვენ არა გაქვთ ფრეის მიერ დასმული საკითხები, მაშინ შეეკითხეთ ლეიტეიზენსა და დანს: იქნებ მათ ჰქონდეთ.

სცადეთ დასჯერდეთ დოკუმენტების ასეთ შეჯერებას და რაც შეიძლება მალე გადაგზავნეთ ჟენევაში ის, რაც გამოვა: იქ უკვე დაბეჭდავენ და თუ საჭირო იქნება, შეიტანენ ალბათ მცირე ცვლილებებს.

გართმევთ ხელს. თქვენი...

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

34

გ. დ. ლეიტეიზენს

10. XI. 01.

ძვირფასო ლეიტეიზენ! ვნახე ის კაცი**, რომლისთვისაც თქვენ გაგიმხელიათ ლიგის[46] კონსპირაციული საიდუმლოება და რომელიც ხმაურს ტეხს.

არ შემიძლია არ გითხრათ, რომ თქვენ საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვით.

ჯერ ერთი, რატომ გაუმხილეთ ამ კაცის ვინაობა ლეიბოვსა და ვასერბერგს, რომლებიც ლიგის წევრები არ არიან?? ამის გამო ეს კაცი განსაკუთრებით მწარედ ჩივის. და იგი მართალია. მე-3 პირებთან ლიგის ურთიერთობა **მხოლოდ**

---

* — ან. რედ.

** იგულისხმება ა. ი. ფინ-ენოტაევსკი. რედ.

ლიგის წევრებმა უნდა იცოდნენ. მე მგონია, ეს ლეიბოვი და ვასერბერგი მაგრად უნდა შეახუროთ და ასეთი ნდობით აღარ მოეკიდოთ მათ: მაგრამ, თუ შესაძლებლად სცანით მათთვის გეთქვათ, მაშინ ცხადია, მათ ხმა არ უნდა ამოეღოთ.

მეორე, რატომ მაშინვე არ მოსპეთ ეს საქმე, რომ თ ა ვ ი-დ ა ნ ა გ ე ც ი ლ ე ბ ი ნ ა თ ამით ამ კაცის მოსვლა გ. ვ-სთან და ჩვენთან?? თქვენ ხომ ოფიციალური პირი, ადმინისტრაციის წევრი ხართ. ამიტომ თქვენ უნდა მ ი გ ე ღ ო თ ამ კაცისაგან ესა თუ ის განცხადება და, ამ განცხადების კოლეგიალურად განხილვის შემდეგ, უნდა მიგეცათ მისთვის კოლეგიის შესაბამისი პასუხი და გეთქვათ ამ კაცისათვის, რომ **მხოლოდ** თქვენი მეშვეობით შეუძლია დაუკავშირდეს ლიგას და რომ ამიტომ **ყოველგვარი** პრეტენზია საერთოდ ლიგის მიმართ ან კერძოდ ლიგის რომელიმე წევრის მიმართ ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა წარმოგიდგინოთ თქვენ და უფლება არა აქვს მიმართოს ამ საქმის გამო არასათანადო მისამართით (გ. ვ.-ს ან ჩვენ).

ჩემი აზრით, თქვენ გადაგიხვევიათ წესდებიდან (რომლის მიხედვით ყველა პრეტენზიის განხილვა ადმინისტრაციას ევალება) და, გარდა ინდისკრეტულობისა, ბრალი მიგიძღვით ხელისუფლების უმოქმედობაში.

კარგი, რაც იყო, იყო. ნუ დამძრახავთ გულახდილობისათვის. ახლა l'incident est clos*. ჩვენ, რასაკვირველია, ამ კაცს ასე ვუთხარით: არ გირჩევთ მიმართოთ ლიგას შეკითხვით იმაზე, თუ რას ფიქრობს თქვენს შესახებ (ე. ი. გენდობათ თუ არა ლიგა და სხვ.). ამას აზრი არ ექნებოდა. ლიგა ვალდებული არ არის გიპასუხოთ. თქვენ კი აი რა უნდა ქნათ: ყ ო ვ ე ლ ი ღონე იხმარეთ, რომ განმარტოთ რუმას საქმე (**ყველა მისი** განტოტებით), შეკრიბეთ ყ ვ ე ლ ა მოწმის ჩვენებანი და თხოვნით მიმართეთ ლიგას განიხილოს ეს საქმე და დაბეჭდოს გარჩევის შედეგები (ე. ი. რუმას დანაშაულობა და, eventuellement **, დანარჩენების გამართლება).

---

* — ინციდენტი ამოწურულია. რ ე დ.

** — საჭიროების შემთხვევაში. რ ე დ.

მან აღიარა, მხოლოდ ასე მოვიქცეოდა, და თავისი ჩვენების შედგენას ჩაუჯდა. თუ თქვენ თუნდაც ერთი მოწმე კიდევ გეგულებათ, თვითონაც იღონეთ რაიმე ჩვენებათა ჩამოსართმევად.

ამრიგად, ახლა ჩვენი ტაქტიკაა: ლიგის შიგნით — ჯერჯერობით რეზერვად გვყავდეს ეს «კაცი». **მაგრამ არც** ლიგის გარეთ **ვინმესთან, არც** ლიგის **თუნდაც** შორსმდგომ წევრებთან კრინტიც არ დავძრათ ამაზე. N'est ce pas? *

თქვენი ფრეი

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში. ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

35

ბ. დ. ლეიტეიზენს

14. XI. 01.

ძვირფასო ლეიტეიზენ! ვისწრაფვი დაუყოვნებლივ გიპასუხოთ თქვენს წერილზე, რომელიც ეს-ეს არის მივიღე.

სწორი გითხრათ, თქვენ მთლად... მიუკერძოებლად არ მოჰკიდებიხართ «ინციდენტს». თუ თქვენ კონსპირაციული საიდუმლოება გაუმხილეთ არცთუ ისე თავდაჭერილ კაცს, აშკარაა, გარკვეული ინდისკრეტულობა ყოფილა. თავისთავად ცხადია, ეს შეიძლება ყველას შეემთხვეს, და, თუ კაცი ხართ, არ იფიქროთ, რომ ამას ვიმეორებ სხვა რამისათვის, გარდა ინციდენტის საბოლოოდ მოსასპობად. დაგვეთანხმეთ, რომ ჩვენი მიზეზით როდი გავხდით იძულებული განგვეცადა ერთობ უსიამოვნო წუთები და მიგვეცა ახსნა-განმარტებანი, რადგან ჩვენ ხომ არ გვითქვამს ლეიბ...თვის ის, რასაც არ შეეძლო არ გაეგულისებინა ეს «ბ-ნი»!

* — ასე არ არისᲩ რედ.

შემდეგ კი საქმის არსზე. რაკი ამ «ბ-ნმა» შეიტყო (როგორც არ უნდა ყოფილიყო), რომ ლიგას გამოუტანია დადგენილება მის წინააღმდეგ (ან რომ ლიგის ერთ-ერთ წევრს გამოუთქვამს აზრი, რეზერვაღ უნდა გვყავდეს იგი, ეს კაციო *: ეს ერთი და იგივეა), ლ ი გ ა უ კ ვ ე ჩ ა რ ე უ ლ ი ა საქმეში. ამას კი ვეღარ გამოასწორებ, როგორც ვეღარ დაიჭერ წამოცდენილ სიტყვას.

და, თუ ღმერთი გწამთ, პირველ შეცდომას მეორეს ნუღარ დაუმატებთ: ნუ ამბობთ ა ხ ლ ა, «ლიგა აქ არაფერ შუაშიაო»!

ლიგა უკვე ჩარეულია, და ახლა საკითხი შეიძლება იყოს მ ხ ო ლ ო დ ის, თუ როგორ დავიხსნათ იგი.

«ბ-ნს» უნდოდა ლიგისათვის მიემართა შეკითხვით მ ი ს, «ბ-ნის» შესახებ (თქვენ, ვგონებ, ამის თაობაზე მთლად ვერ გამიგეთ?), ე. ი. შეკითხვით, რა საფუძველზე მიაყენეს მას ჩრდილი ლიგის წევრებმა.

ჩვენ იგი დავარწმუნეთ, რომ «ჩრდილი» არავის არ მიუყენებია, ხოლო რაც შეეხება რეზერვებს, ლიგა ვალდებული არაა, პასუხს იძლეოდეს თავის რეზერვებზე.

ამით მოთავდა ამ «ბ-ნის» პ ი რ ა დ ი საკითხი. მაგრამ რჩება კიდევ საზოგადოებრივი საკითხი რუმას საქმეზე, რომლის შესახებ დიდი ხანია გვწერენ, ეს საქმე უნდა განმარტოთო.

ამ კაცის რეზერვად ყოლა სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ იგი ამ საქმეში «ერია».

ამიტომ არ შეიძლებოდა არ გვერჩია ამ «ბ-თვის», ხელი მოეკიდა რუმას საქმისა და მისი ყველა განტოტების «მიკვლევისა და გამოძიებისათვის».

რაკი «ბ-ნი» ამაზე დასთანხმდა, — ჩვენი საქმეა დავეხმაროთ მას: bdx, იმიტომ, რომ პროვოკატორ რუმას ხერხებისა და ქსელის ყოველმხრივ გახსნა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ინტერესებისათვის აუცილებელია; მეორეც, იმიტომ, რომ ჩვენ, ლიგის

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ.

წევრებს, ცოტათი ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ ლიგამ «ბ-ნს» უდიდესი უსიამოვნება მიაყენა, შესაძლოა არცთუ სავსებით დამსახურებული.

დაგვეთანხმეთ, რომ გვაქვს უფლება და მოვალეობაც ვართ: რეზერვად გვყავდეს X, Y, Z, მაგრამ არ უნდა ვეუბნებოდეთ ამის შესახებ ამ X, Y, Z-ს. და რაკი «ცოდვა» ჩავიდინეთ, ხომ იცით, «ცოდვა უნდა გავიყოთ».

ნუ დავუმატებთ ერთ შეცდომას მეორეს, ნუ ვიტყვით ახლა, «ჩვენი ქოხი ნაპირასაა», — მაშინ როცა ჩვენ თვითონვე გავიტანეთ ქოხიდან ნაგავი...

თქვენი ფრეი

P. S. მოკითხვა ეფრონს! კმაყოფილია თუ არა იგი ყრილობის შედეგებით და ლიგის მოწყობით?

გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის ნიხედვით

36

გ. ვ. პლეხანოვს

19. XI. 01.

მაინც არ გაძლევთ მოსვენებას და წერილებით გაწუხებთ, ძვირფასო გ. ვ.! მგონი, ყოველდღე ყუმბარებივით გაყრით.

გამოგიგზავნეთ სტატია «თანამედროვე სამრეწველო კრიზისი» *. ჩემი აზრით, არა უშავს რა, და მცირეოდენი გადაკეთების შემდეგ შეიძლება წავიდეს «ზარიას» № 4-ში. წაიკითხეთ, გეთაყვა, რაც შეიძლება მალე თავისუფალ დროს და მომაწვდინეთ ხმა. თუ მოიწონებთ, ძალიან

* სტატიის «თანამედროვე სამრეწველო კრიზისის» ავტორია ა. ი. ფინენოტაევსკი. სტატია არ გამოქვეყნებულა. რედ.

მალე (1½ კვირის შემდეგ) ავაწყობინებთ, რომ დიტცს სტამბა არ მოუცდეს. თუ საჭირო იქნება, ეგებ კოლცოვმა არ თქვას უარი და დაგვეხმაროს ამ სტატიის გასწორებაში?

ყრილობის შესახებ დოკუმენტების ბეჭდვის საკითხზე უმრავლესობამ უკვე გამოთქვა აზრი, რომ დაუყოვნებლივ დაიბეჭდოს (ველ. დიმ., ბლუმენფელდმა, ორმა ბერლინელმა წევრმა და მე, ე. ი. ხუთმა ცხრიდან — ექვსი რედაქტორი და სამი ადმინისტრატორი). მაშასადამე, საკითხი გადაჭრილია. დაე, რამდენადაც შესაძლებელია, ბ. აბრ.-მა იჩქაროს.

ხომ არ გექნებათ «მერე რაღას?» რუსული გამოცემის ზედმეტი ეგზემპლარი. ჩვენ არც ერთი არა გვაქვს. გამოგვიგზავნეთ, გეთაყვა.

თქვენი ფრ ე ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

37

ლ. ი. აქსელროდს

17/XII. 01.

დიდად პატივცემულო ლ. ი.! მივიღე თქვენი სამი წერილი და უმალვე გიპასუხებთ. ჩამოსვლა არასგზით არ შემიძლია [47]: ახლა მთელი გაზეთი კისერზე მაწევს და ტრანსპორტის შეფერხებისა და რუსეთში დომხალის გამო ადმინისტრაციული საქმეებიც გართულდა. ჩემი ბროშურა კი მთლად მიტოვებული მაქვს *. უმოწყალოდ დავაგვიანე! და სულაც არა ვარ მომზადებული: ის კი არადა, «ისკრის» № 13-თვის ბერგს ვთხოვე შენიშვნა დაეწერა, რადგან ჩვენი რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე ძალიან დიდი ხანია აღარაფერი წამიკითხავს. მე

* იგულისხმება წიგნი «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 431 — 673). რ ე დ.

რომ მკითხოთ, ტყუილად გგონიათ, რომ არ ვარგიხართ, რადგან საზოგადოება ასეა განწყობილი. პლეხანოვის იუბილე თავისი ფიზიონომიით იმდენად გარკვეული დღესასწაულია, რომ ამ დღესასწაულზე, ცხადია, მხოლოდ სავსებით გარკვეული მიმართულებისა და განწყობილების ადამიანები წავლენ.

აი მისამართი, რომლითაც წერილები უნდა გაუგზავნოთ ცვეტოვს (ბლუმენფელდს):

Herrn Dittrich Buchbinder.
Schwanthalerstraße 44.
München.

ამ მისამართს იმიტომ გატყობინებთ, რომ ჩემი მეშვეობით წერილები რომ უგზავნოთ, შეიძლება მთელი ორი დღით დაგვიანდეს! იგი ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობს და ერთმანეთს იშვიათად ვნახულობთ.

«უცნაური» წერილი შეკითხვით ქ-ნ დ.-ს შესახებ ბლუმენფელდისათვის კი არა, იმავე წერილში აღნიშნული მისამართით უნდა გაგეგზავნათ.

გართმევთ ხელს. თქვენი ფრეი

გაგზავნილია მიუნხენიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

38

გ. ვ. პლეხანოვს

20/XII. 01.

ძვირფასო გ. ვ.! დამავიწყდა მეთხოვა თქვენთვის შემდეგი რამ: გეთაყვა, მოძებნეთ წერილი, რომელიც ცოლმა გამოგიგზავნათ «მუშათა პარტია დაგლეხობის»*

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 517 — 527. რედ.

სტატიის გამო (სამი თუ ოთხი ფურცელი საფოსტო ქაღალდი, წვრილად დაწერილი, უსათაურო და ხელმოუწერელი).

თქვენ არ მოგიწვდენიათ ხმა «ზარიაში» მისი დაბეჭდვის შესახებ. შეგახსენებთ, რომ არ დაგავიწყდეთ და აუცილებლად წამოსვლამდე[48] გამომიგზავნოთ (ანდა თან წამოიღოთ).

მოიწერეთ, გეთაყვა, როდის დაადგენთ საბოლოოდ თქვენი გამომგზავრებისა და ჩვენთან ნავარაუდევი ჩამოსვლის დროს.

ბერგს, ამბობენ, წარმატება ჰქონია პარიზში. კავშირელებმა კი რუსეთში ვერაფერსაც ვერ მიაღწიეს! ჩვენ ახლა, სწორედ ახლა უნდა გავსრისოთ ისინი!

მე მათ წინააღმდეგ ბროშურას* ვწერ და რაც უფრო მეტს ვწერ, მით უფრო ვბრაზდები. სივდება მხოლოდ ჩემი ბროშურა — უბედურებაა!

თქვენი ფრეი

გაგზავნილია მიუნხენიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს კრებულში ««შრომის განთავისუფლების» ჯგუფი» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

39

პ. ბ. აქსელროდს

23. XII. 01.

ძვირფასო პ. ბ.!

ორიოდე კვირის წინ თქვენს მისამართზე დაუზღვეველი წერილი გამოვგზავნე**. თუ შესაძლებელია, მოიკითხეთ

---

* იხ. «რა ვაკეთოთ?» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 431—673). რ ე დ.

** ამავე წერილის შესახებ ვ. ი. ლენინი ატყობინებდა პ. ბ. აქსელროდს 1901 წლის 19 დეკემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 86). რ ე დ.

ფოსტაში, თუნდაც კონვერტს თან დართული ჩემი ხელწერა უჩვენეთ, იქნებ გამოდგეს.

რასაკვირველია, უკეთესი იქნება, რომ გ. ვ-მ აქეთობისას შემოიაროს. გზის ფული უკვე გავუგზავნე მას. «ზარია», რა თქმა უნდა, მიიღეთ?

შეძლებდით თუ არა ახლა გადაგეთვალიერებინათ ჩემი ბროშურა (წიგნი?) ეკონომისტების წინააღმდეგ? თუ ჰო, მაშინ ამ დღეებში ან მომავალი კვირის დამდეგს გამოგიგზავნით ნახევარს, რადგან მინდა რჩევა გკითხოთ. მომწერეთ ორიოდე სიტყვა.

მალე შეხვედრამდე.

თქვენი ფ რ ე ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1902 წელი

40

ვ. ნ. კროხმალს

3/I. კიევიდან მივიღეთ კორესპონდენცია, რომელიც კომიტეტის საქმიანობის კრიტიკას შეიცავს. კორესპონდენციაში მითითებულია, რომ (1) კომიტეტი არასაკმაოდაა ინფორმირებული (1. XII ღამით მოხდა დაპატიმრებანი, კომიტეტს კი ვერ გაურკვევია, ვინ დააპატიმრეს და რის გამო), რომ იგი ფეხს ითრევს. (2) საჭირო იყო გამოგვეშვა ფურცელი მუშებისადმი, რომელშიც გამოქვეყნდებოდა ცნობა სტუდენტთა მღელვარების შესახებ და გამოირკვეოდა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მუშები. კომიტეტი დაგვეთანხმა, ასეთი ფურცელი საჭიროაო, მაგრამ იგი დროზე არ გამოუშვა. ჩვენ ვაპირებთ ამ კორესპონდენციის მოთავსებას № 14-ში, რომელიც 10 დღის შემდეგ გამოვა. ამიტომ ამ წერილის მიღებისთანავე **დაუყოვნებლივ** გვიპასუხეთ, ხომ არა გაქვთ საწინააღმდეგო მოსაზრებანი ორივე ფაქტის გამო ან შეგვატყობინეთ, თუ როგორ გესმით ამ ფაქტებთან დაკავშირებული გარემოებანი. საერთოდ კორესპონდენცია საინტერესოა, მაგრამ არ გვსურს მოვათავსოთ კრიტიკა მეგობარი კომიტეტის საქმიანობაზე ისე, თუ არ შევიტყვეთ მისი აზრი. ძ ა ლ ი ა ნ გ თ ხ ო ვ თ იჩქაროთ *.

დაწერილია 1902 წლის 3 იანვარს
გაგზავნილია მიუნხენიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერი. რ ე დ.

41

პ. ბ. აქსელროდს

3/III. 02.

ძვირფასო პ. ბ.!

ბერგი გწერთ თქვენ საქმიან წერილს, რომელიც კოლექტიურად წავიკითხეთ. ისლა დამრჩენია დავუმატო, რომ შემაქვს შემდეგი შესწორებანი ჩემს პროექტში* (შესწორებანი გ. ვ-ის მიმართ): — იხ. შემდეგი ფურცელი **. ამ შესწორებებიდან თქვენ დაინახავთ, რომ «პრინციპულ» უთანხმოებებზე ლაპარაკი ზედმეტია.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია მიუნხენიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

42

გ. დ. ლეიტეიზენს

კიდევ კრიჩევსკის zur Frage (თაობაზე). გ. ვ. ამბობს, რომ პარიზის კოლონიაში დ ა ჟ ი ნ ებ ი თ ა მ ტ კ ი ც ე ბ დ ნ ე ნ, ხსენებულმა ბორის კრიჩევსკიმ მ ა დ ლ ო ბ ი ს წერილი მიიღო მილიერანისაგან (მისი «Vorwärts»-ში გამოქვეყნებული კორესპონდენციისათვის) და თითქოს ერთ დროს თ ა ვ ი მ ო ჰ ქ ო ნ დ ა კიდეც ამითო. მაშ ასე, რაკი ახლა დაიწყო პოლემიკა «Vorwärts»-სა და «ზარიას»[49] შორის და საკითხი გადაჭრით არის დასმული, საჭიროა დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ ვიხმაროთ ყ ო ვ ე ლ ი ღონე, რომ უმკაცრესად («მიკერძოებით») გამოვი-

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 13 — 22. რ ე დ.

** იხ. «სამი შესწორება პროგრამის პროექტისათვის» (თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 23 — 24). რ ე დ.

ძიოთ ეს საქმე. ახლავე მოჰკიდეთ ხელი, გეთაყვა, ამ ამოცანას. შეკრიბეთ ყველა მოწმის ჩვენება — იმათი, ვისაც ამის შესახებ რაიმე უნახავს, ი მ ა თ ი ც, ვისაც რაიმე ს მ ე ნ ი ა, და, როცა შეკრებთ, მოგვწერეთ წერილი და ჩამოთვალეთ ყველა ეს მოწმე და მათი ჩვენებანი. უკიდურეს შემთხვევაში — მიმართეთ Petit-ს, მაგრამ უმჯობესია «ნადირს ნუ დავაფრთხობთ» და დავიჭიროთ, სანამ თავდასხმას არ ელიან.

მაშ ასე, იმოქმედეთ! მთელი ენერგიით!

ველით პასუხს!

თქვენი ფ რ ე ი

დაწერილია 1902 წლის 23 მარტზე ადრე
გაგზავნილია მიუნხენიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

43

გ. ვ. პლეხანოვს

17. IV. 02.

ძვირფასო გ. ვ.!

კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს. მისწერეთ, გეთაყვა, წერილი კველჩს და სთხოვეთ დაგვეხმაროს იმ საქმეში, რომლის გამო უკვე მიუმართავს მისთვის ჩემს მეგობარს (ველიკა დიმ-ის წერილით), დღეს კი მეც მივმართავ, რომ ყველაფერი იღონოს, რაც მასზეა დამოკიდებული, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ფრანგულადაც მისწეროთ. ასეთი წერილი ძალიან გამიადვილებდა საქმის მოგვარებას, რომელსაც უკვე კარგი პირი უჩანს და საჭიროა მხოლოდ მისი ბოლომდე მიყვანა.

აი, ყოველი შემთხვევისათვის, მისი მისამართი:

M-r *H. Quelch.*
37 A. Clerkenwell Green.
London E. C.

ჯერჯერობით მწერეთ ალექსეევის მისამართით, რომელიც ორ ნაბიჯზე ცხოვრობს. ვიმედოვნებ, ერთი კვირის შემდეგ სავსებით მოვეწყობი.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი...

P. S. ველ. დიმ. სავსებით მართალს ამბობს: ერთი შეხედვით საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ლონდონი!!

მზად არის თუ არა თქვენი ასოთამწყობი დაიძრას ჩვენკენ?

ხომ არ იცით, სად არიან ბერგი და ველ. დიმ. და როდის მოდის პირველი მათგანი?

აგრარული წიგნები ველ. დიმიტრის ხელით გამოგიგზავნეთ. მიიღეთ თუ არა?

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

44

პ. ბ. აქსელროდს

18. IV. 02.

ძვირფასო პ. ბ.!

ვსარგებლობ შემთხვევით და გწერთ ორიოდ სიტყვას: საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა გადასცეთ ბ. ნ-ს მისთვის ეს-ეს არის მიღებული წერილი. თუ იგი თქვენთან არ არის, ძალიან გთხოვთ, უკან დაადევნეთ ეს წერილი.

თუ ბერგი თქვენთანაა, სთხოვეთ მას მომწეროს ორიოდე სიტყვა და შემატყობინოს თავისი გეგმები: როდის და სად მიდის, რამდენი დღით. ხოლო რაც მთავარია: მიიღო თუ არა ჩემი 2 წერილი, რომლებიც შაბათს (12) დილით გავუგზავნე ქალაქის ფოსტით?

ახლა ვეწყობით: ბევრი საზრუნავი გაგვიჩნდა. ჯერჯერობით გვწერეთ ალექსეევის მისამართით — მაშინვე ვიღებ (Mr.

Alexejeff. 14. Frederickstr. 14. Gray's jun. Road. London W. C.). ჩემი წერილი კელნიდან, რა თქმა უნდა, მიიღეთ? * თქვენი სტატიის საქმე როგორღა არის?

მაგრად გართმევთ ხელს.

თ ქ ვ ე ნ ი...

(ლონდონისაგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება საზიზღარია. და ყველაფერი საკმაოდ ძვირია!)

გაგზავნილია ლონდონიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

45

პ. ბ. აქსელროდს

23. IV. 02.

ძვირფასო პ. ბ.! გიგზავნით ახალ მისამართს (ძალიან გთხოვთ, ნურავის, ლიგის წევრებსაც კი ნუ აცნობებთ, ყველაზე ახლობელი პირების გარდა, როგორიც არიან, მაგალითად. ლ. გრ. ან ბ. ნ.: დანარჩენებმა კვლავ ალექსეევის მისამართით ისარგებლონ, უცხო პირებმა კი — დიტიცის მისამართით. თუ შეიძლება, — ეცადეთ ლაპარაკშიც კი სისტემატურად იხმაროთ მიუნხენი ლონდონის ნაცვლად და მიუნხენელები ლონდონელთა ნაცვლად).

Mr. Jacob *Richter* (Holford)
30. Holford Square. Pentonville. *London W. C.*

ბერგი, ალბათ, უკვე გაემგზავრა. დღეს მისი წერილი მივიღე, ხუთშაბათს მივემგზავრებიო. თუ იგი ჯერ კიდევ თქვენ-

* იგულისხმება «შენიშვნები კომისიის პროგრამის პროექტის გამო» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 29 — 76). ნაწილი «შენიშვნებისა» ვ. ი. ლენინმა დაწერა კელნში, სადაც მიუნხენიდან ლონდონში გზად მიმავალი შეჩერდა. რ ე დ.

თან არის, გადაეცით, რომ, თუ ალექსეევი ვერ ნახა, შეუძლია რიხტერთან წავიდეს — ორ ნაბიჯზეა.

«ყოფილი ეკონომისტი» თუ თქვენთანაა (პიროვნება, რომელიც თქვენ მოგეწონათ), ჰკითხეთ მას, ან არადა კი ნუ ჰკითხავთ, არამედ: ჩაციებით დაჰკითხეთ, გ ა გ ზ ა ვ ნ ა თ უ ა რ ა ის დაზღვეული წერილები, რომლებიც 11. IV. 02-ს მიუნხენში გასაგზავნად გადაეცა? თუ ჰო, მაშინვე ქვითრები გამოგვიგზავნოს, თუ არა, კარგად შეახურეთ, ჰკითხეთ, წერილები სადღაა-თქო, — ანდა უმჯობესია დაავალოთ, ჩვენ მოგვწეროს (ალექსეეის მისამართით).

დღესვე გიგზავნით ბანდეროლით (დაუზღვეველად) ლ. გრ-თვის მეტად საინტერესო რაღაცას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

დაწერა თუ არა გ. ვ-მ დაპირებული მოწინავე «ისკრის» № 20-თვის? თუ ჰო, გაგზავნილია თუ არა იგი სტამბაში? გაგზავნეთ თუ არა სტამბაში კიდევ რაიმე? თუ არა, **რაღა მოვუხერხოთ** მოწინავეს? ნუთუ თქვენ ყველამ საკითხი ღიად დატოვეთ? ბერგი არაფერს არ იწერება ამის შესახებ!?!?

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი...

გაგზავნილია ლონდონიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის III კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

46

ა. ი. კრემერს

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს

4. V. 02.

პატივცემულო ამხანაგო! ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვშიშობდეთ, რომ ჩვენი დელეგატი (კონფერენციაზე) კონფერენციის შემდეგ მალე დააპატიმრეს, ისე რომ ვერ მოასწრო

თავისი თანამდებობის გადაცემა[50]. ამიტომ გთხოვთ გვაცნობოთ: 1) ჩვენი დელეგატის გარდა, კიდევ ვინ არის არჩეული მოსამზადებელი (ან საორგანიზაციო და მისთ.) კომიტეტის წევრად? და 2) როგორ დავუკავშირდეთ ამ პირებს (მისამართი, გასაღები, პაროლი და მისთ.)?

თქვენი ცნობა შეგიძლიათ დაწეროთ ქიმიისა და შიფრის საშუალებით, ამასთან თუ საჭიროა, გასაღები პირადად მომტანს გადაეცით. საზოგადოდ კავშირურთიერთობა უფრო მოსახერხებელია მომტანის მეშვეობით იქონიოთ, რომელსაც საგანგებო შემთხვევებში შეუძლია გვიდეპეშოს კიდეც, ის კი არადა ზოგი განსაკუთრებით სასწრაფო და აუცილებელი რამ პირადად გადაწყვიტოს.

გავზავნილია ლონდონიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის ნიხედვით

47

რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის კავშირს

კ ა ვ შ ი რ ს

4. V. 02.

სრულიად მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო ჩვენ მხოლოდ გუშინ მივიღეთ თქვენი წერილი და არ შეგვეძლო გვეპასუხნა ამაზე ადრე. ჩვენი დელეგატისაგან არავითარი მითითება არ მიგვიღია «პირობითი ადგილის» შესახებ. ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუკი თქვენ უშუალოდ მიიღებთ ზომებს, რათა კომიტეტს ფურცელი გადასცენ[51]. ალბათ, რომელიღაც ჩვენიანი დაპატიმრებულია. ცნობას ბელოსტოკში მომხდარ დაპატიმრებაზე ჯერჯერობით არ ვბეჭდავთ. დაბეჯითებით გთხოვთ ყველაფერი გვაცნობოთ პარიზელი ამხანაგის (ლეიტეიზენის) მეშვეობით, რათა დ ი დ-მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი საქმეები სწრაფად გაკეთდეს, ამასთან

გამოგვიგზავნოთ (მისამართით: Herrn Philipp Rögner. Cigarrenhandlung. Neue Gasse. 44. Nürnberg) ან პარიზელისათვის გადაცემული განცხადებების პირი, ან მათი მოკლე შინაარსი.

«ისკრის» რედაქციის მაგიერ ფ რ ე ი

გაგზავნილია ლონდონიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

48

პ. ნ. ლეპეშინსკისა და ი. ი. რადჩენკოს *

მივიღე სტატისტიკა. ძალიან დიდი მადლობა. გამომიგზავნეთ კიდევ მასალები ვლადიმირის გუბ. მიწების შეფასების შესახებ, ტ. V, III გამ., 1901 წ. (გოროხოვაიას ქ.), — აგრეთვე სხვა ტომებიც.

დაწერილია 1902 წლის 5 მაისს
გაგზავნილია ლონდონიდან ფსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

49

ლ. ი. აქსელროდს

23. VI. 02.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

დიდად ვწუხვარ, მაგრამ ვერაფრით ვერ შევასრულებ თქვენს თხოვნას და ვერ ჩამოვალ ბერნში. ძალზე უქეიფოდ ვარ, ის კი არადა, არ ვიცი, გავართმევ თუ არა თავს რეფერატს პარიზში: მომზადება ვერ მოვასწარი, თითქმის სრული

* წერილი ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერია. რ ე დ.

Arbeitsunfähigkeit *, ნერვები აღარაფრად მივარგა. რომ შეიძლებოდეს, — პარიზსაც დავუსხლტებოდი, მაგრამ მოტყუება უსინდისობა იქნებოდა[52]. თუ თავი არ მომეჭრა პარიზში და თუ ოდნავ მაინც დავისვენე მის შემდეგ, — მაშინ შევეცდები (შესაძლოა შემოდგომაზევე) აუცილებლად ჩამოვიდე როგორმე თქვენთან, ახლა კი, ღმერთმანი, არ შემიძლია.

მაგრად გართმევთ ხელს და მადლობას მოგახსენებთ, რომ შემატყობინეთ თქვენი ამბავი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ცოლი მთხოვს გკითხოთ: მიიღეთ თუ არა წერილი ლ. გრ-თვის, აგრეთვე მისი წერილი ფულის თაობაზე (თხოვნით გამოითხოვოთ ფული უკან ან გადაგზავნოთ რიხტერის სახელზე)?

გაგზავნილია ლონდონიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

50

გ. ვ. პლეხანოვს

12. VII. 02.

ძვირფასო გ. ვ.! მივიღე თქვენი სტატია **. დიდი მადლობა გადაკეთებისათვის. იგი მაშინვე ლონდონში გავგზავნე. რაც შეეხება ბერგის სტატიას, ვ. ი-ს აზრით, სავსებით შესაძლებელია იქვე დაიბეჭდოს, მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა გადაგვედო. ვთხოვოთ ბერგს.

მომწერეთ ლონდონში, რადგან არა ვარ დარწმუნებული, რომ აქ დიდხანს დავრჩები. თუმცა minimum ერთ კვირას

---

* — შრომისუუნარობა. რ ე დ.

** იგულისხმება სტატია «ჩვენი კრიტიკოსების კრიტიკა», რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა ჟურნალში «ზარია» № 4. რ ე დ.

დავყოფ და იმ შემთხვევისათვის, თუ მომწერთ ამ ხნის მანძილზე, — აი მისამართი:

M-me Leguen (pour M. Olinoff)
Loguivy (par Ploubazlanec).
Côtes du Nord.
France.

რატომ ჩაიშალა ბრიუსელში თქვენი გამგზავრება?[53] განა კონფერენცია არ იქნება? ყოველ შემთხვევაში იმედი მაქვს ლონდონში განახავთ. მე მგონია, მეტად უხეირო უნდა იყოს ლ. გრ-ის გეგმა შევცვალოთ ეს შეხვედრა ჩემი და ბერგის გამგზავრების გამო, შვეიცარიაში 10 — 12 დღით (sic!) და მოვინახულოთ იქ რამდენიმე ჩამოსული რუსეთელი, მაგრამ 10 — 12 დღეში სარფიანი რა უნდა გააკეთო? რუსეთელებს ხომ აუცილებლად საფუძვლიანად და სათითაოდ უნდა გავეცნოთ, და თანაც ჩვენც ბევრი სასაუბრო გვექნება. დიდი ხნით კი ჩამოსვლა შვეიცარიაში შეუძლებელია (საქმეები უნდა მივატოვოთ). დაბოლოს, რუსეთელებმა უნდა შეისწავლონ მთელი (ან ნაწილი) ჩვენი მიმოწერისა რუსეთთან (თუ ეს რუსეთელები ისკრელები არიან), ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ლონდონში. მიმოწერის შესწავლის გარეშე შეხვედრა უმიზნო და თითქმის უსაქმური იქნება. ყველა ამ მიზეზის გამო, მე ძალიან მომხრე ვარ, შეხვედრა ლონდონში მოხდეს.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

P. S. ჩემი აზრით, ახლა საჭირო არ არის «კავშირელებთან» გაერთიანება: მათ თავი თავხედურად უჭირავთ და ბერგს პარიზში[54] სასტიკად «აწყენინეს». იქნებ, ჩემი წერილი მან გადმოგიგზავნოთ, სადაც დაწვრილებით ვასაბუთებ, რომ მათთან სიმკაცრე და დიდი სიფრთხილე გვმართებს. რუსეთში ახლა ჩვენი საქმე ძალიან კარგად მიდის, «კავშირელები» კი იმუქრებიან, დამოუკიდებლად ვიმოქმედებთო! ღმერთმა დაგვიფაროს...

«ზარია» ვერა და ვერ დაძრულა ადგილიდან. Dietz-ი იცინის: კამოსვლა არ უწერიაო!

გაგზავნილია ლოგვივიდან
(საფრანგეთის ჩრდილოეთი ნაპირია)
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

51

ვ. ბ. შკლიარევიჩს

29. VII. 02.

თქვენი ცნობა «მემკვიდრეობის» შესახებ მივიღეთ[55]. ჩვენ გვგონია, რომ აქ ბევრი რამ «უცნაური და გაუგებარია», — განსაკუთრებით დავალება თეკლესადმი * მონახოს ადვოკატი? სადა აქვს თეკლეს ამის თავი? და რატომ არ შეუძლია ეს თვით მემკვიდრემ გააკეთოს? რა თქმა უნდა, ცდა ბედის მონახევრეა, და შეიძლება კიდეც ვცადოთ, მაგრამ მაინც საჭიროა კარგად მიმოვიხედოთ. თორემ საბნის ბუშტთან ჯახირით შეიძლება ხალხი გავაცინოთ. მაშ ასე, დაზვერვის ყოველი ღონე იხმარეთ და გვაცნობეთ, რა გზით შეიძლება «ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდეს მემკვიდრე»? საზღვარგარეთ ხომ არ გამოვგზავნოთ იგი? მოგვეცით მისი დაწვრილებითი დახასიათება. შემდეგ, რატომ არ მიმართა «თქვენმა» მემკვიდრემ იმ ადვოკატებს, რომლებსაც საქმე ჰქონდათ თანამემკვიდრეებთან? (ფულს ამ საქმეზე, ცხადია, ჩვენ ვერ დავხარჯავთ).

ძალზე მნიშვნელოვანია, კარგად და უშალოდ თუ დაგვაკავშირებთ **სამხრეთის მუშათა ორგანიზაციასთან**[56]. იზრუ-

---

* თეკლე «ისკრის» რედაქციის კონსპირაციული სახელწოდებაა. რედ.

ნეთ ამაზე და რაც შეიძლება დაწვრილებით მოგვწერეთ ამის შესახებ *.

გაგზავნილია ლონდონიდან კორეიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

52

კარტავცევს **

4/VIII.

1) მივიღეთ კიდევ თქვენი 2 წერილი და ვერაფერი ვერ გავარჩიეთ. თქვენ ცუდი მელნით წერთ, ყოველთვის, ვიდრე დაწერდეთ, შეამოწმეთ. ძალიან საწყენია, როცა წერილს მიიღებ და ვერ წაიკითხავ.

2) მიიღეთ თუ არა ჩვენი წერილი, სადაც გთხოვდით გამოგვგზავნათ სამასიოდე მანეთი ჩვენი ფულიდან.

3) რა ამბები ისმის საპყრობილიდან?

4) IIIg-ის მისამართი. თქვენ სწორად არ წერთ, უნდა იყოს:***

5) გვაცნობეთ, რა ხდება თქვენს კომიტეტში. ამბობენ, ბერლინში ჩამოსულა ვინმე «ლენტი» (პოტიომკინი) ****. ჩვენი ბერლინელი ამხანაგისათვის მას თითქოს ეცნობებინოს. რომ a) კიევის კომიტეტი ართმევს ყველა უფლებამოსილებას «მოხუცთა მომხრეებს», b) რომ იგი ბრაზობს «ისკრის» წერილის გამო და თითქოს აპირებს წინააღუდგეს «ისკრის» პარტიულ ორგანოდ აღიარებას, c) რომ კომიტეტმა დაავალა მას ურთიერთობა დაამყაროს «ჟიზნთან», რომელიც კიეველთა ვარაუდით პარტიული ორგანო უნდა იყოს, d) რომ კომიტეტს არ ძალუძს წინააღუდგეს სოციალისტ-რევოლუციონერებს. ვერ ბედავს გამოვიდეს ტერორის წინააღმდეგ და მხოლოდ სურს ხელი შეუშალოს ისეთი ლიტერატურის გავრცელებას, როგორიცაა, მაგალითად, «ვინ რით ცხოვრობს» და სხვ. აქ, ალბათ, რაღაც სხვანაირადაა საქმე, და ჩვენ ვთხოვეთ გადაეცათ ლენტისათვის, რომ მას დაწვრილებით მოეწერა ჩვენთვის საქმის ვითარება. მაგრამ იგი არ გვწერს. აგვიხსენით, რაშია საქმე.

---

* ეს აბზაცი ხელნაწერში გადახაზულია. რ ე დ.

** ფსევდონიმი არ არის დადგენილი. რ ე დ.

*** მისამართი ხელნაწერში მოყვანილი არ არის. რ ე დ.

**** დაუდგენელია, ვინ იგულისხმება. რ ე დ.

დაბეჯითებით და დაჟინებით გთხოვთ ყველა რამდენადმე დიდმნიშვნელოვანი საქმის გამო უშუალოდ ჩვენთან იქონიოთ ურთიერთობა, ვინაიდან გადაცემანი **ბერლინის** საშუალებით და ა. შ. მუდამ საშინელ არევ-დარევას იწვევს. ვფიქრობთ, რომ აქაც დომხალია. თუ დავალება ეძლევა საზღვარგარეთ მიმავალთაგანს, მას აუცილებლად უნდა მოვთხოვოთ, რომ მარტო ლიგის რომელიმე წევრთან შეხვედრას კი არ დასჯერდეს, არამედ აუცილებლად მიმართოს რედაქციას ან პირადად, ან საკუთარი ხელით დაწერილი (ე. ი. თვითონ დაწეროს და არა ლიგის რომელიმე წევრს დაავალოს დაწერა) წერილით (დაზღვეული წერილები საზღვარგარეთიდან დიტცისა და სხვათა მისამართებზე სრულიად არ არის საშიში). აღნიშნული ღონისძიებანი საჭიროა, რადგან ლიგის წევრები და მისი ადმინისტრაციის წევრებიც კი გაფანტული არიან ევროპის ყველა კუთხეში და ბევრი რამ არ იციან რუსეთთან კავშირურთიერთობის შესახებ *.

მისამართი კი თქვენთან საიდუმლო შეხვედრის ადგილისა მაინც არა გვაქვს. ალბათ, იგი გამოგზავნილი იყო ერთ-ერთ გაურკვეველ წერილში, ბაგრამ აქ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. ველით პასუხს.

დაგვაკავშირეთ ვაკართან.

დაწერილია 1902 წლის 4 აგვისტოს
გაგზავნილია ლონდონიდან კიევში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

53

ი. ი. რადჩენკოს

6) საშინლად გვაწუხებს არკადის ბედი, თავს გაუჭრთხილდეს და ნუ დაინანებს ფულს, სჯობს თეკლეს ნუ გაუგზავნის.

მეექვსე პუნქტისათვის. არკადი აუცილებლად უნდა წავიდეს პიტერიდან, რაკი მის კვალს მიაგნეს. ახლა წასვლა შეიძ-

* ნ. კ. კრუპსკაიას წერილის ჩანართი. რ ე დ.

ლება, რაკი კოლიას[57] ვნახავთ. არკადის უნდა ახსოვდეს, რომ ახლა მხოლოდ იგიღა შემოგვრჩა და საჭიროა თავს გაუფრთხილდეს რადაც უნდა დაუჯდეს*.

დაწერილია 1902 წლის 7 აგვისტოს
გაგზავნილია ლონდონიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

54

გ. ვ. პლეხანოვს

8. VIII. 02.

ძვირფასო გ. ვ.! გუშინ ჩვენთან ჩამოვიდა ამხანაგი **, რომელსაც ჩვენ ველოდით და რომელსაც იცნობს ჩვენი ძველი მეგობარი[58], თქვენ რომ ფული ჩამოგიტანათ. მაშ ასე, გეთაყვა, უპირველეს ყოვლისა, ამ ძველ მეგობარს გადაეცით, რომ წამოვიდეს: იგი საჭიროა საერთო მოლაპარაკებისათვის, ჩამოსული ამხანაგი კი აქ სულ $1^1/_2$ — 2 კვირას დარჩება.

შემდეგ — ჩამოსულთან თქვენი შეხვედრის საკითხი. თვით ჩამოსულსაც სურს თქვენი ნახვა — და საქმისათვის ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასარგებლოა. საქმე მხოლოდ ის არის, რა სჯობია, ეცადოთ აქ ჩამოხვიდეთ ცოტა ადრე, რომ აუცილებლად ჩამოუსწროთ მას, — თუ პირიქით, დაელოდებით ჟენევაში, სადაც იგი ჩვენგან წამოვა. გუშინ, როცა მან ჯერ არ იცოდა, რომ თქვენც მალე იქნებით აქ, უკვე მთხოვა წერილები მომეწერა თქვენთვის.

მიიღეთ მხედველობაში კიდევ ასეთი რამ: ახლა შვეიცარიაში (ლამის Montreux-ში?) თითქმის ყველა რაბოჩედელოელს (მარტინოვი, აკიმოვი, ოლხინი, მოდის კრიჩევსკი და

* ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერი. რედ.
** იგულისხმება ვ. პ. კრასნუხა. რედ.

სხვ.) მოუყრია თავი და ჩვენი სტუმარი მიემგზავრება მათ სანახავად. პირველი შთაბეჭდილებით, ეს სტუმარი ისკრელი უნდა იყოს, ასე გვაცნობენ მას რუსი მეგობრებიც. მაგრამ... მაინც. რაიმეს ხომ არ მოუჩმახავენ მას კავშირელები (რაბოჩედელოელები)? ივარგებს კი, თუ იგი უკანასკნელად იქნება მათთან და, ალბათ, ვერ შეძლებს, წინააღუდგეს რაიმე ახალ ჭორს და ა. შ.? და სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ, მგონი, უკეთესი იქნება, თუ იგი გაგიცნობთ და არაერთხელ შეგხვდებათ ჟენევაში. მაშინ, იქნებ მოახერხოთ ესაუბროთ მას კავშირელებთან შეხვედრების დროსაც და ამ შეხვედრების შემდეგაც? მაშინ, იქნებ შევძლოთ რაიმე ახალ ჭორს ერთბაშადვე მოვუღოთ ბოლო? და ა. შ.

აწონ-დაწონეთ (ძველ მეგობართან ერთად) ეს მოსაზრება, გადაწყვიტეთ, სად უნდა ნახოთ ჩამოსული, და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ. ნეტავი არ ასცდებოდეთ ერთმანეთს გზაში — ეს იქნებოდა ყველაზე ცუდი.

თუ გადაწყვეტთ თქვენთან ნახოთ (ძველი მეგობარი კი ყოველ შემთხვევაში აქეთ წამოვიდეს), მაშინ ჩვენ კიდევ მოგწერთ დაწვრილებითს წერილს და გაცნობებთ ყველა მონაცემს ჩამოსულის შესახებ.

ხავსებით უსაშიშროა თუ არა თქვენი მისამართი წერილებისათვის? დარწმუნებული ხართ, რომ წერილებს **არ წაიკითხავენ?**

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

ვაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

55

ი. ი. რადჩენკოს

12. VIII. 02.

თქვენი 25. VII-ის წერილი ახლა მივიღეთ და მოქალაქესთან ერთად წავიკითხეთ. გვიკვირს, **რატომ არ ასრულებთ**

თქვენ, საორგანიზაციო კომისიის [59] წევრი, წინანდელ განზრახვას მოახდინოთ ახალ წევრთა კოოპტირება მანიას * გარეთ მყოფ მუშათა წრიდან? მოქალაქე ფიქრობს, რომ ეს არის ერთადერთი ღონისძიება მთელი მანიას სახის შესაცვლელად, და ეს ღონისძიება რაც შეიძლება მალე უნდა განახორციელოთ.

არკადის უნდა გაუფრთხილდეთ: თქვენ აგებთ პასუხს მისთვის, და სამართალში მიგცემთ, თუ დაპატიმრებამდე არ გამოაგდებთ პიტერიდან. ნუ გადაჰყვება ცოცხალ მუშაობას და ნუ დაივიწყებს, რომ ჟანდარმებიც ცოცხლები არიან. ჩვენ ძალიან გვჭირდება კაცი სამხრეთში (ხარკოვში ან კიევში!)? ხომ არ შეიძლება იქ არკადის გაგზავნა?

გაგზავნილია ლონდონიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

56

გ. დ. ლეიტეიზენს

ძვირფასო ლეიტეიზენ! ი-მ ** გადმომცა თქვენი რეზოლუცია თათბირისათვის ფორმულირების გამო. მე სავსებით დამაკმაყოფილა «კონფიდენციალურმა ცნობამ», მაგრამ ვერდიქტი, ჩემი აზრით, უფრო დამაჯერებელი, უფრო კატეგორიული უნდა იყოს. კერძოდ, ჩემი წინადადებაა:

§ 3 შეუერთეთ § 4-ს, რადგან § 3 თავისთავად დაუმთავრებელია და არაფერს არ იძლევა.

§ 1-ს დაუმატეთ: «გუროვიჩის როგორც პიროვნების შესახებ ყველა მონაცემის გულდასმით განხილვის შედეგად კომისია დარწმუნდა, რომ ზნეობრივი თვისებებით გუროვიჩი

* მანია პეტერბურგის მუშათა ორგანიზაციის კონსპირაციული სახელწოდებაა. რედ.

** ფსევდონიმი დადგენილი არ არის. რედ.

სრულიად არ ჰგავს გულწრფელ და პატიოსან რევოლუციონერს».

§ 2-ს. «მაშასადამე, გუროვიჩი ამბობდა ტყუილს ანდა დამალა ბევრი რამ, თუ რა სახსრებით ცხოვრობდა».

§ 3. იხ. ზემოთ (და § 4).

§ 5. კომისიას მიაჩნია, თუნდაც ერთ-ერთი ამ შემთხვევის მიხედვით შეიძლებოდეს დავუშვათ, რომ ყანდარმებს შეეძლოთ დაედგინათ ფაქტები რაიმე სხვა, შემთხვევითი და გაურკვეველი გზით, ყველა ამ შემთხვევის შეჯერება აბსოლუტურად გამორიცხავს ასეთ ვარაუდს და არ გვაძლევს საშუალებას დავეჭვდეთ გუროვიჩის გამცემლობაში.

გადასვით §§ 6 და 5.

§ 7. ჩასვით «ერთსულოვნად და დაჟინებით». დაუმატეთ: «კომისიას მიაჩნია, რომ ამ აზრს სავსებით ადასტურებს მისთვის მიწოდებული მრავალი დეტალური ფაქტი, რომლებიც შეუძლებელია გამოქვეყნდეს კონსპირაციული მოსაზრებებით. მაგრამ ზოგიერთ ამ ფაქტს კომისია აღნიშნავს თავის კონფიდენციალურ ცირკულარში რევოლუციური ორგანიზაციებისადმი».

«ვიღებთ რა მხედველობაში» გადაიტანეთ შესავლიდან დასკვნით პუნქტში, ვინაიდან ბევრი პუნქტი ერთმანეთთან დაკავშირებული არაა და თავისთავად არცთუ საფუძვლიანია.

იღებს რა მხედველობაში ყოველივე ზემოაღნიშნულს, კომისიას მიაჩნია, რომ ბრალდებულ გუროვიჩის მიერ მოშველიებული საბუთი, თითქოს გარკვეული სამხილები და უეჭველი დამამტკიცებელი საბუთები არ არსებობს, ვერავითარ შემთხვევაში მას ვერ გაამართლებს. ისეთი დანაშაული, როგორიც არის საიდუმლო სამსახური პოლიტიკურ პოლიციაში, საზოგადოდ ერთეული შემთხვევების გამოკლებით, შეუძლებელია სავსებით გარკვეული სამხილებით და ესოდენ კონკრეტული ფაქტებით დამტკიცდეს, რომელთა შემოწმებას შეძლებდა ყოველი გარეშე პირი. მაგრამ, როცა კომისიამ აწონ-დაწონა ყველა სამხილი ერთად და გულდასმით შეამოწმა რევოლუციონერთა მრავალრიცხოვანი განცხადებანი, გამოიტანა უდავო

დასკვნა, რომ (უფრო დაწვრილებით) მიხეილ ივანეს ძე გუროვიჩი (წოდება* etc. უფრო დაწვრილებით) იყო **დაცვის განყოფილების აგენტი** და ს.-პეტერბურგის რევოლუციურ ორგანიზაციებში მოქმედებდა როგორც **პროვოკატორი.**

ამიტომ კომისია მოუწოდებს ყველა პატიოსან რუს მოქალაქეს უმკაცრესი ბოიკოტი გამოუცხადოს გუროვიჩს და განუხრელად დევნონ როგორც მოღალატე და ჯაშუში.

აი ჩემი აზრი, ძვირფასო ლ. არ დაგავიწყდეთ, გეთაყვა, რომ ...ინ არ მქონდა უფრო საფუძვლიანად მეფიქრა ფორმულირებაზე (რადგან ი. ახლავე მთხოვს ხელნაწერებს) და რომ მე მხოლოდ მონახაზი გავაკეთე იმისა, თუ რა ცვლილებანი მიმაჩნდა სასურველად. საჭიროა შთაბეჭდილება რაც შეიძლება დამაჯერებელი იყოს**: მაშინ მე მომხრე ვიქნებოდი, რომ განაჩენი ცალკე ფურცლად, ფოტოსურათით და «ისკრის» წინასიტყვაობით გამოიცეს, რომ საჭიროა სისტემატური ბრძოლა პროვოკატორებისა და ჯაშუშების წინააღმდეგ, რომ უნდა შეიქმნას რაზმები, რათა ამხილონ, უთვალთვალონ მათ, დევნონ ისინი, და ასე შემდეგ.

თუ «მებრძოლმა»*** თავის დაძვრენა მოინდომა, — ეცადეთ აიძულოთ შეიტანოს ოქმში განსაკუთრებული აზრი ან რაიმე ამდაგვარი, რათა მელაკუდობის კვალი დარჩეს.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1902 წლის
5 ოქტომბერზე ადრე
გაგზავნილია ლონდონიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ სასურველია დაუმატოთ: ასაკი, ნიშნები და სხვ. და გამოთქვათ სურვილი გამოიცეს ფოტოსურათი.

** როგორც სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი უაღრესად საფუძვლიანი უნდა იყოს და ს უ ლ ა ც ა რ უ ნ დ ა გ ვ ე შ ი ნ ო დ ე ს გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ი ს ა.

*** დაუდგენელია, ვინ იგულისხმება. რ ე დ.

57

ლ. ი. აქსელროდს

სამშაბათი. ჟენევა.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

რეფერატის შესახებ ვფიქრობ, რომ შ ა ბ ა თ ს მოვაწყოთ. გუშინ წავიკითხე ლოზანაში, დღეს აქ, რომ ზეგ აქვე კამათია ნავარაუდევი[60]. ძ ა ლ ი ა ნ გ თ ხ ო ვ თ, ეცადეთ გააკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რომ ა რ ა ფ რ ი ს დ ი დ ე ბ ი თ შაბათზე გ ვ ი ა ნ არ მოვაწყოთ, წინათ ვფიქრობდი, პარასკევს მოვაწყობთ-მეთქი, მაგრამ ამბობენ, უკეთესია შაბათსო. მე უაღრესად მჭირდება რაც შეიძლება მალე დავაღწიო თავი და, თუ კამათია საჭირო, სასურველი იქნებოდა მოგვეწყო არა უგვიანეს კვირისა. მერე კიდევ ციურიხში უნდა ჩავიდე და იქ წავიკითხო.

ვაპირებ წამოსვლას 12 საათსა და 45 წუთზე პარასკევს და თქვენთან ვიქნები ასე საათის 4-ზე და რაღაც წუთებზე. ვაგზლიდან თქვენთან მოვალ. მიპასუხეთ, გეთაყვა, დაუყოვნებლივ, დანიშნულია თუ არა ნამდვილად რეფერატი შაბათისათვის.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ფ რ ე ი

დაწერილია 1902 წლის 11 ნოემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

58

ლ. ი. აქსელროდს

28. XI. 02.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

გმადლობთ თქვენი წერილისა და ფულისათვის, რომლებიც დღეს მივიღე.

«კრასნოე ზნამია»[61] მივიღე, მაგრამ ჯერ არ წამიკითხავს.

მოგზაურობის შემდეგ საკმაოდ დაღლილად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ახლა უკვე «სულს ვითქვამ», თუმცა ხვალ აქ უნდა გავიმეორო რეფერატი.

მოსაწყენია! ჯერ არ ვიცი, დავწერ თუ არა ბროშურას ს. რ-ის წინააღმდეგ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

59

ფიტს *

16/XI.

თქვენი 15/XI-ის წერილი მივიღე.

I. იგი დაწერილია ჩვენთვის უცნობი გასაღებით, თუმცაღა ჩვენ ყველაფერი გავშიფრეთ, მისამართების გარდა. (ნუ დაშიფრავთ სხვაგვარად, თუ არა მთელი ფრაზებით, თორემ ძალიან ადვილია გასაღების ამოცნობა.) მისამართები გაიმეორეთ...

III. კომიტეტში აუცილებლად უნდა შეხვიდეთ, შეხვიდეთ და შიგნიდან დაიწყოთ აგიტაცია იმ აზრის სასარგებლოდ, რომ საჭიროა მიემხრონ სრულიად რუსეთის ორგანიზაციას. ამავე დროს ზეგავლენა უნდა მოახდინოთ სამხრეთის კავშირზეც იმავე მიმართულებით. ორი ორგანიზაციის არსებობა ერთ ქალაქში ნორმალური არ არის[62], და საჭიროა, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს შეერთდნენ და შექმნან ისკრული კომიტეტი; როგორ უნდა გაკეთდეს ეს — თქვენ თვითონ, რა თქმა უნდა, უკეთ იცით.

(ცხადია, მხოლოდ იმ პირობით უნდა შევაერთოთ, თუ უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია დაველოდოთ და დავტოვოთ ერთი ორგანიზაცია «ისკრის» მხარეზე, მეორე კი შიგნიდან დავშალოთ.**)

---

* ფსევდონიმი არ არის დადგენილი. რ ე დ.

** ნ. კ. კრუპსკაიას წერილის ჩანართი. მოგვიანებით მთელი III პუნქტი გადაიშალა. რ ე დ.

IV. საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ.

V. ჩვენ გვაცნობეს, რომ «ისკრის» რომელიღაც ტრანსპორტი ჩავარდნილა ოდესაში. რაშია საქმე?

დაწერილია 1902 წლის 16 დეკემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
ნიხედვით

60

ლ. ი. აქსელროდს

18. XII. 02.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

მივიღე ახლა თქვენი წერილი და ვჩქარობ გიპასუხოთ, რათა მოგილოცოთ ისეთი დიდი შენაძენი, როგორიც არის სტავსკი. დონის როსტოვიდან მიღებულ წერილებში მისი გვარი მოხსენიებული იყო, მაგრამ ვშლიდი მას, რადგან მეშინოდა, სახელი არ გასტეხოდა კაცს *. ამასთან გიგზავნით «ისკრის» № 29-ს თქვენთვის და მ ი ს თ ვ ი ს, რათა რაც შეიძლება ჩქარა ვაჩვენოთ მას, თუ როგორ აღვწერთ მოვლენებს. თან ვურთავ წერილსაც მისდამი და ვთხოვ ბროშურას როსტოვის ამბების შესახებ.

შემდეგ, «ასოთამწყობ მიშას» შესახებ. ასეთი მეტსახელი არ გამიგონია, მაგრამ მის მიერ დასახელებულ ვას. ანდრ. შელგუნოვს ვიცნობ და მასთან ერთად მიმუშავია. ამიტომ გთხოვთ პირადად ჩემგან გადასცეთ «მიშას» სალამი, რაკი შელგუნოვი ელაპარაკა მას ჩემს შესახებ, და სთხოვეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით მომწეროს ყველაფერზე, ე. ი. საქმეებზეც და თავის თავზეც, ვ ი ნ არის და რა გეგმები აქვს ახლა, დიდ-

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «ახალი მოვლენები და ძველი საკითხები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 340 — 347). რ ე დ.

ხანს დარჩება თუ არა საზღვარგარეთ და სხვ. ისევ თქვენ უნდა მიაქციოთ ყურადღება ამ ხალხს: ძალიან მნიშვნელოვანია მათი სავსებით მოზიდვა. თუ ძალიან მოუცლელი ხართ, გავგზავნეთ ისინი ციურიხში ან ჟენევაში ჩვენებთან. ეგებ როგორმე მოვახერხოთ მალე გამოგიგზავნოთ აქედან მოსაშველებლად ახალგაზრდა და მეტად ენერგიული და ნიჭიერი ამხანაგი (მეტსახელი: «პერო»).

ჰო, ოდესის შესახებ «მიშა» ცდება: იქიდან გვაქვს წერილები «მოქმედების ველიდან». იქ არის სრკ (ს.-დ-ის სამხრეთის რევოლუციური კავშირი) და კომიტეტი. ეს უკანასკნელი «ბორბისტული», ანტიისკრულია. პირველი უფრო ახლოს დგას «ისკრასთან», მაგრამ ჯერჯერობით მ თ ლ ა დ «ჩვენი» არ არის. ოდესის კომიტეტმა გამოუშვა «რაბოჩეე სლოვოს» № 3 (ნაბეჭდი გაზეთი). სრკ ბეჭდავს ფურცლებს. რომელიღა «ჯგუფს» ეკუთვნოდა «მიშა»? სამხრეთის რევოლუციური კავშირის, ოდესის კომიტეტისა თუ კიდევ რომელიღაც სხვა ჯგუფს?

დავალებას პიტერისა და მოსკოვის შესახებ ცოლი შეასრულებს, ე. ი. მისწერს, ვისაც ჯერ არს.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

61

ბ. ვ. კლეხანოვს

19. XII. 02.

ძვირფასო ბ. ვ.! მივიღე თქვენი წერილი და ვჩქარობ გიპასუხოთ. მაშ ასე, ბროშურას თქვენ წერთ. ეს ძალიან მახარებს. ძალიან კარგი იქნებოდა «ისკრის» ფელეტონში მოგვეთავსებინა ბროშურის ზოგიერთი თავი და მათ შორის თქვენ მიერ და-

სახელებული. ბროშურას **იმ კვირას** მოველი: თორემ არ მოხვდება № 30-ში. სასურველი კია, რომ მოხვდეს, რათა შეუჩერებლივ ვესხმოდეთ თავს სოციალისტ-რევოლუციონერებს.

განა ტარასოვს არ უპასუხებთ (ანაბეჭდი № 3-დან)? ძალიან გთხოვთ, ხელს ნუ აიღებთ თქვენს განზრახვაზე. მას აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ჭკუა.

შემატყობინეთ ორიოდე სიტყვით, წერთ თუ არა რაიმეს და როდის ფიქრობთ დამთავრებას: რომ ვიცოდე ნომრის შემადგენლობა.

საჭიროა თუ არა ბრიუსელში გამგზავრება, ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი, რა იქნება კონფერენციაზე [63]. ფული ახლა გვაქვს (ამერიკამ გამოგზავნა 5000 frs) — მაშასადამე, თუ საჭიროა, შეიძლება წასვლა. ჩემი აზრით, თქვენი შეცვლა გინზბურგით შეიძლება მხოლოდ გ ა მ ო ნ ა კ ლ ი ს ი ს ს ა ხ ი თ, **ერთჯერ**, მაგრამ არამც და არამც მუდმივად, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია, რომ იქაც დაგვჭირდეს გადამწყვეტი ნაბიჯები.

თუ წასვლა გადაწყვიტოთ, მოიწერეთ ან დეპეშა გამოგვიგზავნეთ ფულის შესახებ.

ლევინსონი იმუქრება, წავალო, რადგან ლალაიანცი დავნიშნეთ სტამბის გამგედ, იგი კი წაჩხუბებულია მასთან. ლალაიანცს მივწერე და ვთხოვე «მოაგვაროს» ეს საქმე. თქვენც დაგვეხმარეთ დავაწყნაროთ ლევინსონი და ლალაიანცს **ჩავაგონოთ**, რომ ლევინსონს «ფრთხილად» მოეპყრას.

ვუგზავნი ასაწყობად (ლალაიანცს) **კაუცკის თარგმანის** დასაწყისს და პოპულარულ ბროშურას ჯარისკაცთა ცხოვრების შესახებ, მის კორექტურას მაინც გადაავლეთ თვალი.

პიტერში ჩვენი მ უ შ ე ბ ი შ ე უ პ ყ რ ი ა თ, ჩვენი ინტელიგენტებიც. აი ეკონომისტებმა მუშათა ერთი ნაწილი კიდევაც ააჯანყეს. Inde * ნადეჟდინის სიხარული. საჭიროც იქნებოდა დემაგოგიისათვის გაგვეჯორა. **არამზადა!**

---

* — აქედან. რ ე დ.

ლეპეშინსკი ციხეშია, იქ გადაუყვანიათ და ეყოლებათ, «სანამ დაკითხვას არ მოისურვებენო». სასამართლო პალატით (ესე იგი კატორღით) ემუქრებიან. მისთვის ჩამოურთმევიათ წერილი საორგანიზაციო კომიტეტის შესახებ [64].

ბერნში ახლა იმყოფება სტავსკი,—როსტოველი მუშა-აგიტატორი. ლ. ი-მ ურთიერთობა დაამყარა მასთან: იგი ისკრელია. კარგი იქნებოდა უფრო დაგვეახლოვებინა.

ტომსკელებმა ხელახლა გამოსცეს პროგრამის ჩვენი პროექტი წინასიტყვაობით, რომელშიც დითირამბს უგალობენ «ისკრა» — «ზარიასა» და მთელ მის მუშაობას.

ძალე მივიღებთ ახალ ცნობებს საორგანიზაციო კომიტეტის ნაბიჯების შესახებ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ტრანსპორტის საქმე ცუდადაა, ძალიან ცუდად! პირდაპირ უბედურებაა!!

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

62

ბ. ვ. პლეხანოვს

25. XII. 02.

ძვირფასო ბ. ვ.! მხოლოდ ახლა მივიღე თქვენი და ა. ნ-ს წერილი (ვერ გამიგია, როგორ მოუვიდათ, რომ დღესასწაულზე მოიტანეს იგი!). აქ, ეტყობა, ფორსირებული სვლებია, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან ხოლმე. გასაგებია, ასეთ პირობებში ბონჩი უნდა გადმოვიბიროთ, და თქვენს ნაბიჯს (წახვიდეთ ბონჩ-ბრუევიჩთან და ლიგაში «მიიწვიოთ»), ალბათ, ყველა მოიწონებს.

მაგრამ საქმე ის არის, შემდგომ როგორ უნდა ვიმოქმედოთ? ჩემი აზრით, თუ თქვენი მოლაპარაკება ბონჩ-ბრუევიჩთან წარმატებით დამთავრდება (ან უკვე დამთავრდა), საჭიროა უწინარეს ყოვლისა (უნდა აღუთქვათ, რომ მის კანდიდატურას წამოაყენებთ ლიგაში და წარმატების დიდი იმედიც გაქვთ) მოსთხოვოთ, რომ მანაც გადადგას ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ნ ა ბ ი ჯ ი, ეს იგი ოფიციალურად და საქვეყნოდ განაცხადოს, რომ გ ა ნ ხ ე თ ქ ი ლ ე ბ ა ა «ჟიზნში» და ს უ რ ს «ისკრაში» გადმოვიდეს.

ასეთი ნაბიჯის გარეშე, ჩემი აზრით, მის კანდიდატურას ვ ე რ წამოვაყენებთ ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ ლიგის წინაშე, ვინაიდან ბონჩ-ბრუევიჩი ჯერ არ გამოსულა ფორმალურად «ჟიზნიდან» და უაზრობა იქნებოდა უცხო ორგანიზაციიდან მიგვეღო კაცი. თანაც, თუ ბონჩ-ბრუევიჩი ჯერ კიდევ მხოლოდ ე ო მ ე ბ ა პოსეს, ჯერ კიდევ «ე ყ რ ე ბ ა» მას, თანაც ჩვენს ინტერესებს იცავს, — ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით, რა შედეგი ექნება ამ გაყრას!! **ეს არ უნდა დავივიწყოთ.** და რაკი «ბონჩი მტკიცედ და გადაჭრით მოდის ჩვენთან», როგორც ა. ნ იწერება, მას სულაც არ გაუძნელდება თქვენი მოთხოვნა, იგი თვითონ აღიარებს, რომ სანამ ფორმალურად «ჟიზნი» არ დაუტოვებია და თავისი სიტყვა არ უთქვამს, — ჩვენ, ლ ი გ ა, მას კენჭს ვერ ვუყრით. თუ განხეთქილება «ჟიზნში» ს ა ვ ს ე ბ ი თ გადაწყვეტილი და უ თ უ ო დ გარდუვალი საქმეა, მაშინ ბონჩის პირდაპირი მიზანი და პირდაპირი მოვალეობაცაა რაც შეიძლება მ ა ლ ე განაცხადოს ეს საჯაროდ, თუნდაც წერილი * გამოგზავნოს «ისკრაში». ამ წერილს მაშინვე მოვა-**თავსებთ № 30-ში, მოწინააღმდეგეებს გავაფრთხილებთ,** «პირობას ვადებინებთ ბონჩს» (და ჩვენს თავსაც, რადგან წერილი მოთავსებულია **). მერწმუნეთ, ეს ყველაფერს აჯობებდა,

---

* რომ გათიშვა «ჟიზნში» ა მ ი ტ ო მ დ ა ა მ ი ტ ო მ მოხდა. რომ მე და კომპ. თ ა ვს ვ ა ნ ე ბ ე ბ თ და გ ვ ს უ რ ს ვიმუშაოთ «ისკრისა» და «ზარიასათვის», ვიზიარებთ ან ყველაზე ახლოს ვართ... აი როგორი წერილი უნდა იყოს.

** წერილი «ისკრაში» არ დაბეჭდილა. რ ე დ.

ყველაზე უხიფათო იქნებოდა, თორემ ვინ იცის, რას გადავეყ-
რებით...

ამრიგად, ჩემი აზრია: «ყოველგვარი დაპირებანი» ბონჩი-სადმი (რომელთა შესახებ ა. ნ. იწერება და რომლებსაც თქვენ აძლევთ) მეც საჭიროდ მიმაჩნია, მაგრამ თუ, იგი, ბონჩი, გადამწყვეტ ნაბიჯს არ გადადგამს და სანამ არ გადადგამს ფორმალურ ნაბიჯს, უნდა დავჯერდეთ ამ დაპირებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ფორმალურად არ ავალდებულებენ ლიგას, და ვიკმაროთ ეს.

რაც შეეხება მომავალს, იქ უკვე აღარ გაგვიჭირდება. როცა ბონჩ-ბრუევიჩი წავა «ჟიზნიდან», ამასთან განცხადებას გამოაქვეყნებს, როცა მისი სატრანსპორტო ჯგუფი მიემხრობა ამ განცხადებას, მაშინ იგი ადვილად მიიღებს ჩვენი ადმინისტრაციისაგან ლიტერატურას და დაიწყებს გადაზიდვას. თუ საჭირო გახდა ამ სატრანსპორტო ჯგუფის მიღებაც (როგორც თქვენ, გ. ვ., ვარაუდობთ), მაშინ უკვე ბონჩისაგან შევიტყობთ ყველაფერს და განვიხილავთ, ვინ და როგორ მივიღოთ.

[თქვენ მწერთ, გ. ვ.: «ველით ინსტრუქციას სატრანსპორტო ჯგუფთან მოლაპარაკებისთვისო». მაგრამ ჯერ სატრანსპორტო ჯგუფმა გ ვ ა ც ნ ო ბ ო ს დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, თორემ ვის შეუძლია იცოდეს, რა არის მასში?]

თქვენ არაფერს არ მწერთ, გ. ვ., თქვენი ფქლეტონის შესახებ «ისკრისათვის»? და ტარასოვზე სტატიის შესახებ?

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ შეიძლება, გაუგზავნეთ ან გადაეცით ეს წერილი ა. ნ-საც.

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

63

ა. ნ. პოტრესოვს

26. XII. 02.

გიგზავნით № 29-ს და «საარსებო საკითხს» *. ორი სხვა ბროშურა ჯერ ვერ ვნახეთ: აქაური ბიბლიოთეკა მეტად უბადრუკია და, კომუნაში ყოფნისას, ბუნაგის უწესრიგობა გადმოუღია [65].

«ჟიზნის» შესახებ გუშინ მივწერე გ. ვ-ს და ვთხოვე თქვენთვის გადმოეცა **.

გაიცანით სანინი (გ. ვ-ს ან ლალაიანცის მეშვეობით). რაღაცნაირი მიზანთროპია, ყველაფერს ჩამორჩა, მაგრამ, ვგონებ, წერა შეუძლია. ძალიან სასარგებლო იქნებოდა ზეგავლენა მოგვეხდინა მასზე, დაგვეინტერესებინა და საქმეში ჩაგვება. ახლა იგი გვითარგმნის კაუცკის («Die sociale Revolution» ***).

გართმევთ ხელს...

გიგზავნით კიდევ ხელნაწერს: «ფურცელს ახალგაზრდა რევოლუციონერის ცხოვრებიდან». გთხოვთ, **თვითონვე** დაგვიბრუნეთ უკან. (დაკარგვის თავიდან ასაცილებლად მხოლოდ გ. ვ-ს უჩვენეთ) და მოგვაწვდინეთ თქვენი აზრი და ხმა ამ ხელნაწერის შესახებ.

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

64

«ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის ბიუროს [66]

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ საორგანიზაციო კომიტეტი, ბრძოლა გავუმართოთ ყველას, ვინც

---

* სტატიის «საარსებო საკითხი» ავტორია ა. ი. ბოგდანოვიჩი. რ ე დ.

** იხ. წინა წერილი. რ ე დ.

*** — «სოციალურ რევოლუციას». რ ე დ.

არ გვეთანხმება, ამ საორგანიზაციო კომიტეტის ცნობის ნიადაგზე და შემდეგ რაც შეიძლება სწრაფად მოვამზადოთ ყრილობა. გთხოვთ, ყოველი ღონე იხმაროთ, რათა ყველამ სწორად გაიგოს და ენერგიულად განახორციელოს ეს ამოცანა. დრო კია ბრუტოსი სცენისაკენ დაიძრას! საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოვაცხადოთ საორგანიზაციო კომიტეტის ამბავი *.

დაწერილია 1902 წლის 28 დეკემბერს
გაგზავნილია ლონდონიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* წერილი ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერია. რ ე დ.

1903 წელი

65

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

1. I. 03.

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი 21. XII-ის წერილი და 19-ვე ხელნაწერი მივიღე [67]. ვფიქრობ ზოგიერთი კორესპონდენცია (კერძოდ სექტანტების შესახებ) მოვათავსო «ისკრის» უახლოეს ნომრებში, შესაძლოა № 31-შიც კი, რომელიც ორიოდე კვირის შემდეგ გამოვა.

მხოლოდ ჩემთვის მთლად ცხადი არ არის, უნდა დავბეჭდოთ თუ არა «რაიმე «ჟიზნის» მასალიდან». ერთი მხრივ, ეს ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა; ასეა მიღებული; არავითარ გაკვირვებას არ გამოიწვევდა რუსეთში, — განსაკუთრებით თუკი კიდევ ერთი შენიშვნა იქნებოდა (ან თქვენი წერილი რედაქციისადმი) «ჟიზნის» შეწყვეტის შესახებ.

მეორე მხრივ, თქვენი წერილიდან ჩანს, რომ «ჟიზნის» ორგანიზაციას არ მოუსურვებია მასალები გადმოეცა «ისკრისათვის» და რომ ეს თქვენი პირადი ნაბიჯია. ამ უკანასკნელ შემთხვევაში — გსურთ თუ არა თქვენ, რომ მასალები იბეჭდებოდეს ყოველგვარი პირობის დაუდებლად და წყაროს მიუთითებლად?

თუ შეიძლება, განმიმარტეთ, რაშია აქ საქმე, და მაცნობეთ თქვენი აზრი იმაზე, თუ როგორ აჯობებს დაბეჭდვა. გთხოვთ მიპასუხოთ მისამართით, რომელიც, ჩემი თხოვნაა, არავის გაუმხილოთ, რომ მარტო თქვენ გამოგადგეთ: Mr. Jacob Richler.

30. Holford Square 30. Pentonville London W. C.
გართმევთ ხელს და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალში «ოქტიაბრ» № 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

66

ა. ნ. პოტრესოვს

1/I. 03.

დანარჩენი ბროშურები (რომლებსაც თქვენ გვთხოვთ) არა გვაქვს, ვერ ვნახეთ.

«ახალგაზრდა რეკოლუციონერის» ხელნაწერი დაგვიბრუნეთ, მანამდე კი უჩვენეთ (ანდა ნუ უჩვენებთ) პლეხანოვს.

ხომ არ დაწერდით წერილს, სტატიას ან ფელეტონს «ისკრისათვის» ნეკრასოვის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო? კარგი იქნებოდა მოგვეთავსებინა რაიმე. მოიწერეთ, მოკიდებთ თუ არა ხელს.

რაც შეეხება ბონჩს, ჩემი სურვილი მნიშვნელოვანწილად დაკმაყოფილებულია უკვე იმ წერილით, რომელიც მან გამოგვიგზავნა აქ და რომელსაც თან მოაყოლა 19 ხელნაწერი «ჟიზნიდან». სწორედ ასეთი ფორმალური ნაბიჯის გადადგმის მ ი ღ წ ე ვ ა ს გირჩევდით და არა «უარის თქმას» (ანდა რაზე უნდა «ეთქვა უარი»??), არ მიმაჩნდა, რა იგი conditio sine qua *.

(მაგრამ პოსეს ინტრიგა უნდა გამოგვემზეურებინა, და სწორედ პოსეს და არა ბონჩის წინააღმდეგ ვიძლეოდი რჩევას გადაგვედგმევინებინა ბონჩისათვის პირდაპირი ნაბიჯი და პოსეც ამისათვის წ ა გ ვ ე ქ ე ზ ე ბ ი ნ ა.)

გართმევთ ხელს...

* — აუცილებელ პირობად. რ ე დ.

«ყიზნის» ტრანსპორტისა არ მჯერა. ფული ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალიან გვჭირდება და, რომ მოვახერხებდეთ დიდი თანხის ხელში ჩაგდებას, ამის გულისათვის შეიძლებოდა ბევრ დათმობაზე (დაპირებანი რა მოსახსენიებელია) წავსულიყავით. მაგრამ სწორედ «ამის გულისათვის» და «ამისათვის»...

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

67

გ. ვ. პლეხანოვს

10/I. 03.

ძვირფასო გ. ვ.! გადაეცით, გეთაყვა, თანდართული წერილი ლუბოვ ისაკის ასულს: მან მომცა თქვენი მისამართი. წერილი ერთობ სასწრაფო და მნიშვნელოვანია, — და თუ ლუბოვ ისაკის ასული არ არის, მაშინვე გადმომიგზავნეთ; მაგრამ მანამ თვითონაც წაიკითხეთ. საქმე ის არის, რომ დაყოვნდა მასალები როსტოვის გაფიცვის შესახებ, — ჩვენ კი ძალიან უნდა დავაჩქაროთ ბროშურა. თუ როსტოველები თქვენთან ჟენევაში არიან, თქვენც დაგაჩქარეთ ისინი, გეთაყვა.

ფელეტონი № 31-ში უკვე აწყობილია და კორექტურა გამოგეგზავნათ. თუ გაქვთ დიდმნიშვნელოვანი შესწორებანი, — დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნეთ.

როგორაა ბროშურის საქმე? * დაახლოებით რა ზომისა იქნება და რა ვადაში აპირებთ მის დამთავრებას? თუნდაც ზოგადად, მაგრამ მაინც უნდა ვიცოდეთ ეს, რათა მოვიფიქროთ, როგორ დავბეჭდოთ.

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 129. რ ე დ.

შემდეგ, როგორ არის სტატიის «პროლეტარიატი და გლეხობა» გაგრძელების საქმე? ხომ არ დაამთავრებდით მას კიდევ ერთი ფელეტონით? და ხომ არ გამოგვიგზავნიდით № 32-სთვის? (თუ არ გამოგვიგზავნით, — მაშინ ალბათ მოგვიწევს მოვათავსოთ იულის მიერ გამოგზავნილი «დღის საკითხები»: ისიც აგრეთვე ს.-რ-ის წინააღმდეგ მიმართული, მოწინავე სპეციალურად «რევოლუციონაია როსიის» № 14-ის გამო, რომელიც აგრეთვე რამდენიმე ნომრისთვისაა გათვალისწინებული. ამის გამო ძალზე საჭირო იყო ჯერ დაგემთავრებინათ თქვენი სტატია). მ ი პ ა ს უ ხ ე თ რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე.

როგორ ჩაიარა თქვენმა რეფერატმა 7-ში? როგორ არის «ჟიზნის» საქმე? ბონჩ-ბრუევიჩმა გამომიგზავნა მასალები — ნაწილი გადაწყდა № 31-თვის. წერილიც გამოგვიგზავნა ტრანსპორტის შესახებ: აქ, როგორც ვფიქრობდი, მათ თ ი თ ქ მ ი ს ა რ ა ფ ე რ ი გააჩნიათ. რაც შეეხება ფ უ ლ ს ა დ ა ს ტ ა მ ბ ა ს, უნდა ვეცადოთ, რომ საგნობრივი ნიშნებით გამოხატონ არასაგნობრივი კეთილი განწყობილება ჩვენდამი. ჰო მართლა, მისწერეთ თუ არა ლ. გ — ძეს (იგი ახლა პარიზშია), რომ ბონჩებს კენჭი უყარეს ლიგაში?

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

P. S. მინდოდა კიდევ რჩევა მეკითხა ჩემი ლექციების შესახებ (აგრარულ საკითხზე) პარიზის უმაღლეს სკოლაში. მათ მიმიწვიეს, მე დავთანხმდი, მაგრამ... კაი კომპანია კი ჰყავთ (ჩერნოვი, ფილიპოვი, ტუგანი). მეორე მხრივ, პარიზიდან «ჩვენიანები» მწერენ «კომპანიასთან» თქვენ საქმე არა გაქვთ, ხოლო სასწორის გადმოსაწონად მეტად საჭიროა იქაც გამოხვიდეთო. თქვენ რას იტყვით?

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

68

«იუჟნი რაბოჩის» რედაქციას *

ერთხელ კიდევ: დაბეჯითებით და დაჟინებით ვთხოვთ და ვეევედრებით ჟენიას[68], რაც შეიძლება ხშირად და დაწვრილებით მოგვწეროს, კერძოდ, დაუყოვნებლივ, აუცილებლად იმავე დღეს, როგორც კი წერილს მიიღებს, თუნდაც ორიოდე სიტყვით შეგვატყობინოს ჩვენი წინა წერილების მიღების, ბორისის პასუხის, «განცხადების» გეგმის შესახებ. ეს განცხადება დღემდე არა გვაქვს — პირდაპირ სასკანდალოა! დაბოლოს: დაბეჯითებით გირჩევთ, რაც შეიძლება მალე გამოუშვათ განცხადება. თუ ბორისი ჯიუტობს, მაშინ უიმისოდ. მოუთმენლად ველით პასუხს.

დაწერილია 1903 წლის 10 იანვარს
გაგზავნილია ლონდონიდან ხარკოვში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

69

ლ. ი. აქსელროდს

15. I. 03.

დიდად პატივცემულო ლ. ი.!

მივიღე როსტოველთა მასალები (ეს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მხოლოდ მასალების მონახაზია!) და სამი მათგანის წერილი. № 31-ში ვერ მოვასწრებ. და, იცით, მე რომ მკითხოთ, არც კი ღირს მისი დაბეჭდვა: ვერაფერი ბედენაა, რომ საზღვარგარეთ გაქცეული სამი კაცი სოლიდარობას გვიცხადებს![69].

ნაცვლად ამისა, აიღონ და მისწერონ დონის როსტოვში, რომ დ ო ნ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ მ ა (იგი ხომ იცნობს მათ. და,

* წერილი ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერია. რ ე დ.

რა თქმა უნდა, სჯერა მათი,) — 1) გამოგვიგზავნოს განცხადება სოლიდარობის შესახებ და 2) მოგვცეს ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი დავალება გამოვცეთ ბროშურა როსტოვის შესახებ. უმჯობესი ხომ არ იქნება ერთ ხანს დაველოდოთ ა ს ე თ განცხადებას, ვიდრე კერძო წერილი დავბეჭდოთ?

თუ მათი მისამართები არ მოქმედებს როსტოვში? თუ მოქმედებს, მაშინ მოგვცენ ყველა მითითება, და ჩვენ შევეცდებით გავგზავნოთ ვინმე კავშირის აღსადგენად.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

70

გ. ვ. პლეხანოვს

28. I. 03.

ძვირფასო გ. ვ.!

გიგზავნით საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებას (№ 32-ში დაიბეჭდა) და პეროს სტატიას № 32-თვის[70]: გთხოვთ, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე დამიბრუნოთ ორივე ნაწერი: საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება აუცილებლად უნდა შევინახოთ (როგორც ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტი), რაც შეეხება პეროს სტატიას, ეს საკითხი გადასაწყვეტია იმის გამო, რომ ბლომადაა სტატიები ს.-რ-ის წინააღმდეგ. როსტოველები პროტესტს წერენ. ეს ერთი. პერო — № 2. ა. ნ.-მ., ალბათ, უკვე დაწერა (მწერდა, ვამთავრებო) ს.-რ-ზე[71]. ეს მესამე. თქვენი მოწინავე «პროლეტარიატის ვითომდა მეგობრები» — მეოთხე. უნდა განვიხილოთ, des Guten zuviel * რომ არ გამოვიდეს. უმჯობესია თქვენ განიხილოთ, რადგან თქვენ-

* — მეტისმეტად ბევრი სიკეთე. რ ე დ.

თან როსტოველებიც ახლოს არიან და ა. ნ-ც, რომელსაც შეგიძლიათ მოელაპარაკოთ. ჩემი აზრით, მოწინავე (მ ქ უ ხ ა რ ე) უეჭველად თქვენ უნდა დაწეროთ, სწორედ თქვენ, რადგან თქვენ კამათობდით საჯაროდ ამის თაობაზე და როსტოველი ამხანაგებიც გინახავთ. შემდეგ როსტოველთა პროტესტიც უნდა მოვათავსოთ № 33-ში, მაგრამ რაც შეიძლება მ ო კ ლ ე და sachlicher *. ჩემი აზრით, პეროს სტატიაც (იგი არც ისე დიდია) უნდა მოვათავსოთ, რადგან ეს საფუძვლიანი პასუხია სულელურ გამოხდომაზე. ა. ნ-ის სტატია კი, ალბათ, შეიძლება გადაიდოს, რადგან ეს არც პასუხია და არც პირველი რიგის საკითხია. საერთოდ ზომიერი მამები და ს.-რ. შვილებია.

მოიფიქრეთ ყოველივე ეს და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ, როგორ გადაწყვეტთ.

სტატია ნეკრასოვის შესახებ № 33-ში წავა.

სომხური «პროლეტარიატი»[72] (წარწერით რ უ ს. ს.-დ. მ. პ.) უკვე რამდენიმე დღეა მივიღე და ერთი ხელნაწერი (წერილი მის შესახებ): ვეცდები № 33-ში მოვათავსო.

გიგზავნით «პროლეტარიატსაც». გეთაყვა, ლალაიანცს ან ვინმე სხვას სთხოვეთ მ თ ლ ი ა ნ ა დ თ ა რ გ მ ნ ო ს აქედან ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი, რაც ნაციონალიზმსა და ფ ე დ ე რ ა ლ ი ზ მ ს შეეხება, და **რაც შეიძლება მალე** გამომიგზავნოს. წერილი მათ შესახებ აუცილებლად უნდა მოვათავსოთ (გამოგზავნილი წერილი გასასწორებელია, ამისათვის კი ტექსტია საჭირო).

ბონჩის შესახებ კი?!. «გამოვრჩით» მხოლოდ ცოლ-ქმარს,— ცოტაა! ლიკვიდატორია (იხ. «ჟიზნის» № 6) ბ-ნი კუკლინი. გაიცანით იგი ბონჩის მეშვეობით. ხომ არ შეიძლება რაიმეს მოვეჭიდოთ. მას ხომ, მგონი, წინათაც იცნობდით? იქნებ შეიძლებოდეს თუნდაც რუსული ყრილობისათვის? საორგანიზაციო კომიტეტისათვის (საზღვარგარეთ არის საორგანიზაციო კომიტეტის ერთი წევრი, შეიძლებოდა ისიც კი გაგვეგზავნა

* — უფრო საქმიანი. რ ე დ.

თუ საჭირო იქნებოდა კუკლინთან)? ხომ არ შეჭამს კუკლინ-სტამბას? პირდაპირ მას უნდა გადავახდევინოთ 10 000 კონ-ტრიბუცია იმისათვის, რომ «ჟიზნი» არ ვლანძღეთ (ტყუილად როდი ვიცავდი მას თავისი ქარაფშუტობით!) ანდა იმისათვის, რომ არ ვლანძღოთ...

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ნახეთ რუდინის ბროშურა («ს.-რ.», «გლეხთა საკი-თხისათვის»)? უთავხედესი არამზადები არიან! ს ა შ ი ნ ლ ა დ მექავება ხელი რუდინზე და № 15-ზე სოციალიზაციის გამო! მომწერეთ, **გეთაყვა,** წერთ თუ არა ბროშურას და რა მოცუ-ლობისას, როდის აპირებთ დამთავრებას? საჭირო არ არის, რომ სტატიებით ავავსოთ «ისკრა»: უმჯობესია გამოვცეთ ბრო-შურა, რომელშიც გარჩეული იქნებოდა ყ ვ ე ლ ა მ ხ ა რ ე, ახლა ტრანსპორტი კარგად დადის: ჩ ვ ე ნ გავანადგურებდით მ ა თ არსებითად საქმიანი და პრინციპული გარჩევით. ღირს თუ არა დავწერო რუდინის წინააღმდეგ? თქვენ როგორ ფიქ-რობთ? აზრი მომივიდა: დავწერო სტატია რუდინის [73] წინააღ-მდეგ და ცალკე გამოვცე «სტატიები ს.-რ-ის წინააღმდეგ» «რევოლუციურ ავანტიურიზმთან» ერთად.

რას ფიქრობთ ამის შესახებ?

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

71

გ. ვ. პლეხანოვს

5/II. 03.

ძვირფასო გ. ვ.!

თქვენი სტატია და წერილი მივიღე. ჯერ არ ვიცი, სტატია რომელ №-ში მოხვდება. ამ დღეებში მოგწერთ, — ეს დამოკი-დებულია თქვენს პასუხზეც ნეკრასოვისადმი მიძღვნილი სტა-ტიის შესახებ.

კავშირისათვის პასუხი რომ დამეჩქარებინა, ასე მოვიქეცი. მე, ვ. ი-მ და ლ. გრ-მ შევადგინეთ აქ პასუხის პროექტი და გავუგზავნეთ იულის (იქ საჭიროა მისი განხილვა პ. ანდ-თ-ნაც). იულიმ დაუყოვნებლივ უნდა გადმოგიგზავნოთ ეს პასუხი ჩემს წერილთან ერთად.

თუ თქვენ პასუხს მოიწონებთ, მაშინ გადაეცით ოლხინს (და დათქვით, რომ მას ურთიერთობა ჰქონდეს ან თქვენი შეშვეობით, ან მიეცით რიხტერის მისამართი. უმჯობესია თქვენი მეშვეობით).

თუ არ ეთანხმებით პასუხს, დაუყოვნებლივ უყარეთ კენჭი ზუსტად ფორმულირებულ შესწორებებს (ან ახალ ტექსტს), ოლხინს კი უთხარით, საქმე ცოტა გაჭიანურდა «სხვადასხვა ადგილას განლაგებული» კოლეგიის კენჭისყრის შედეგად-თქო.

მეტად მოხარული ვარ, რომ თქვენ წერთ მოწინავეს «პროლეტარიატის ვითომდა მეგობრების» შესახებ და ტუნის წინასიტყვაობაში შავ დღეს აყრით ტარასოვს (ფურცელი სოციალისტური აზრის ისტორიიდან). რა თქმა უნდა, სწორედ ტუნის წინასიტყვაობისთვისაა ეს ზედგამოჭრილი.

«ისკრას» ავსტრიული გზა ჩაეფუშაო, — მოჩმახულია. დღემდე იქ ყველაფერი ჩინებულად მიდის სამი გზით. დემენტიევი საუცხოოდ მუშაობს და წესიერად წერს.

(კარგი იქნებოდა, გამოგეძახათ აგრეთვე ა. ნ., რომ აზრი გამოეთქვა კავშირისადმი წერილის შესახებ, საორგანიზაციო კომიტეტის მთელი ტაქტიკისა და ჩვენგან საორგანიზაციო კომიტეტის[74] საზღვარგარეთის განყოფილებაში წევრთა არჩევის შესახებ).

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

P. S. მაშ ასე, მოწინავეს დღე-დღეზე ველი? N'est ce pas? *

P. P. S. მოიწერეთ, რაზე შეთანხმდით თქვენ და ოლხინი? დასახეთ თუ არა რაიმე გამაერთი-

* — ასე არ არის? რედ.

ანებელი და სახელდობრ რა? გქონდათ თუ არა ლაპარაკი «ბორბაზე», «სვობოდაზე», «კრასნოე ზნამიაზე»?

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

72

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

8. II. 03.

ძვირფასო ამხანაგო! ყველა მასალა მივიღე. გმადლობთ. რაც შეეხება ბელეტრისტიკას, ჯერ არ ვიცი, წავა თუ არა. ჯარებში სექტანტობის შესახებ ვფიქრობ გაგუშვა № 33-ში. გალიციაში მომხდარი გაფიცვის შესახებ — ჯერ ვერაფერს გეტყვით: მეტისმეტად დიდია.

ფულის შეგროვების შესახებ (პოპულარული ლიტერატურისათვის) უნდა მიმართოთ (ისევე როგორც ყველა ადმინისტრაციულ საქმეზე) Mr. Leo Alleman-ს 26. Granville Square 26. Kings Cross Road London W. C. იგი ვნახე ამ დღეებში და, მგონი, მეთანხმება, რომ ახალი ხელმოწერითი ფურცლები ზედმეტი იქნება. ლიგას ხომ აქვს უკვე ხელმოწერითი ფურცლები: აი სწორედ ისინი უნდა გამოვუშვათ რაც შეიძლება ფართოდ. რაც შეეხება «ისკრის» ბიბლიოთეკას, ეს რა თქმა უნდა, დამოკიდებულია მთელ სარედაქციო კოლეგიაზე. მოელაპარაკეთ პლეხანოვს. მე, მართალი გითხრათ, ახლა არა ვარ ამის მომხრე. «ბიბლიოთეკა» რომ დავაარსოთ, საჭიროა, გვყავდეს ცალკე რედაქტორი (იგი ჩვენ არა გვყავს) ანდა ცალკე ძალები (ისინი ჩვენ არა გვყავს). უნდა გვქონდეს ხასიათის მიხედვით შერჩეული წიგნებისა და ბროშურების სერია (რაც ჩვენ არა გვაქვს). ბიბლიოთეკაში კი კაუცკის, ტუნის etc. ჩაკერება, ჩემი აზრით, უაღრესად ხელოვნური იქნებოდა.

რად გვინდა «ბიბლიოთეკა?» კარგი ბროშურები თუ იქნება უბიბლიოთეკოდაც გამოვცემთ. ახლა კი ბროშურები ცო-

ტაა, **კარგი მთარგმნელები არა გვყავს.** (აგერ ვჯახირობ თარგმანის გ ა დ ა კ ე თ ე ბ ა ზ ე), — მაშ რაღა საჭიროა ქვეყნის გასაგონად «ბიბლიოთეკის» დ ა პ ი რ ე ბ ა??

თუ მოახერხებთ და დარაზმავთ **კარგ** მთარგმნელთა ძალებს და შეარჩევთ კარგ სათარგმნ მასალას, **ძალიან** სასარგებლო იქნება და საქმე უსათუოდ გამოვა.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალში «ოქტიაბრ» № 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

73

გ. ვ. პლეხანოვს

2. III. 03.

მე წინადადებით მივმართავ რედაქციის ყველა წევრს, კოოპტაციის წესით «პერო» სრული თანასწორი უფლებით რედაქციის წევრად შეიყვანონ. (ვფიქრობ, კოოპტაციისთვის საჭიროა არა უმრავლესობა, არამედ ე რ თ ხ მ ა დ მიღებული გადაწყვეტილება.)

ჩვენ **ძალიან გვჭირდება** მეშვიდე წევრი, რათა კენჭისყრა მოხერხებული იყოს (6 ლუწი რიცხვია) და ძალების შესავსებადაც.

უკვე რამდენიმე თვეა «პერო» ყოველ ნომერში წერს. საზოგადოდ «ისკრისათვის» უაღრესად ენერგიულად მუშაობს, კითხულობს რეფერატებს (ამასთან უდიდესი წარმატებით სარგებლობს) etc.

საჭირბოროტო საკითხებზე სტატიებისა და წერილების განყოფილებაში იგი არა მარტო ფრიად სასარგებლო, არამედ პირდაპირ საჭირო იქნება ჩვენთვის.

იგი, უეჭველად, არაჩვეულებრივად ნიჭიერი, მტკიცე, ენერგიული კაცია, რომელიც უფრო წინ წავა.

თარგმანებისა და პოპულარული ლიტერატურის დარგშიც ბევრი რამის გაკეთებას შეძლებს.

ჩვენ უნდა მივიზიდოთ ახალგაზრდა ძალები: ეს წაახალისებს მათ და იძულებულს გახდის პროფესიონალი ლიტერატორების თვალით შეხედონ თავიანთ თავს. ხოლო ასეთები რომ გვაკლია, — ეს ცხადია (ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ 1) ძნელია თარგმანის რედაქტორების მონახვა; 2) გვაკლია საშინაო მიმოხილვითი სტატიები და 3) გვაკლია პოპულარული ლიტერატურა). სწორედ პოპულარული ლიტერატურის დარგში სურდა გამოეცადა თავი «პეროს».

შესაძლებელია საწინააღმდეგო მოსაზრებანი: 1) ახალგაზრდობა; 2) ახლო დროში (შ ე ს ა ძ ლ ო ა) რუსეთში გამგზავრება; 3) კალამი (უბრჭყალებოდ) ფელეტონური სტილის ნიშნებით, მეტისმეტი ღვარძნილობით და ა. შ.

Ad 1) ჩემი წინადადებაა «პერო» დამოუკიდებელ პოსტზე კი არ დავნიშნოთ, არამედ კოლეგიაში შევიყვანოთ. სწორედ აქ მიიღებს იგი გამოცდილებას. პარტიის კაცის, ფრაქციის კაცის «ალღო» უდავოდ აქვს, ცოდნასა და გამოცდილებას კი ადვილად შეიძენს. იგი რომ მეცადინეობს და მუშაობს, ესეც უდავოა. კოოპტირება აუცილებელია, რომ იგი საბოლოოდ მივიზიდოთ და წავახალისოთ.

Ad 2) თუ «პერო» ყველა სამუშაოში გაერკვევა, მაშინ, ეგებ, მალე არც კი წავიდეს. თუ წავა, მაშინაც კი ორგანიზაციული კავშირი კოლეგიასთან, მისდამი დაქვემდებარება მინუსი კი არა, უდიდესი პლუსია.

Ad 3) სტილის ხარვეზები უმნიშვნელო დეფექტია. გამოსწორდება. ახლა იგი «შესწორებებს» ხმის ამოუღებლად (თუმცა არც ისე დიდი ხალისით) იღებს. კოლეგიაში იქნება დავაკამათი, კენჭისყრა, და «მითითებებს» უფრო ჩამოყალიბებული და მტკიცე სახე მიეცემა.

ამრიგად, ჩემი წინადადებაა

1) რედაქციის ექვსივე წევრმა უყაროს კენჭი «პეროს» ს რ უ ლ ი კოოპტაციის საკითხს;

2) შემდეგ, თუ მას მიიღებთ, დაიწყოთ შიდა სარედაქციო

ურთიერთობისა და კენჭისყრის საბოლოო გაფორმება, ზუსტი წესდების შემუშავება. ეს ჩვენც გვჭირდება და ყრილობისთვისაც საჭიროა.

P. S. კოოპტაციის გადადება **ძალზე** უხერხულად და საჩოთიროდ მიმაჩნია, რადგან გამოირკვა, «პერო» უკვე საკმაოდ უმაყოფილოა (რასაკვირველია, ამას პირდაპირ არ ამბობს) იმის გამო, რომ იგი კვლავ «ჰაერშია» გამოკიდებული, რომ ისევ არაფრად აგდებენ (ჰგონია მას) როგორც «ყმაწვილ კაცს».

თუ ახლავე არ მივიღებთ «პეროს» და იგი წავა, ვთქვათ ერთი თვის შემდეგ რუსეთში, **დარწმუნებული ვარ,** ამას ისე გაიგებს, რომ ჩვენ არამც და არამც არ გვსურს რედაქციაში მისი მიღება. ჩვენ შეგვიძლია «ხელიდან გავუშვათ» იგი და ეს ძალიან ცუდი იქნებოდა.

გაგზავნილია პარიზიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

74

გ. ვ. პლეხანოვს

10/IV. 03.

ძვირფასო გ. ვ.! ისევ უქეიფოდ ვიყავი ამ დღეებში და ამიტომ არ გიპასუხეთ. ბრეშკოვსკაიას შესახებ სტატია მივიღეთ, მაგრამ ამ №-თვის დაგვიანებულია. შემდეგში გავუშვებთ.

ურთიერთთავდებობის შესახებ წერთ? (დავავალე თქვენთვის გამოეგზავნათ «ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი» [75]). კარგი იქნებოდა ამის შესახებ შემდეგი №-თვის გვქონოდა სტატია. ჩამოსული კაცი წავიდა. არ ვიცი, მოხერხდება თუ არა საქმის მოგვარება. ყოველ შემთხვევაში იგი დავითანხმე საორგანიზაციო კომიტეტის შუამავლობაზე.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი...

P. S თქვენ არაფერს არ იწერებით ჩემს ბროშურაზე *. ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გადაეცით იგი ასაწყობად: ფრიად საჭიროა, რომ არ შეფერხდეს. თუკი ვინმეს კიდევ აინტერესებს, ხომ შეიძლება კორექტურა მისცეთ და არა ხელნაწერი.

გაგზავნილია ლონდონიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ლენინის IV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

75

გ. მ. კრჟიჟანოვსკის

პირადად ლენინისაგან.

ძვირფასო მეგობარო! ძალიან მაწუხებს შენი დიდი ხნის დუმილი. მშვენივრად მესმის, რატომ არა გაქვს ხალისი ხელი მოჰკიდო კალამს, როგორ ძნელია, თუ შეუძლებელი არა, წერო უამრავ წვრილმანზე, მაგრამ მაინც, ნუ დაივიწყებ, რომ ეს (ხშირად უაზრო) წვრილმანები სხვა წყაროებიდან აღწევენ ჩვენამდე. მერწმუნე, თუნდაც ორიოდე სიტყვა მოიწერე, თუნდაც შენი საერთო ხაზი შეგვატყობინე, თორემ ჩვენც უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებით შენს გამო. ორივე ყურში ჩაგვყვირიან, საორგანიზაციო კომიტეტში დავაა, იურის წაეჩხუბნენ, ლიზას გამო ერთმანეთს წაეკიდნენო და სხვ. მე, რა თქმა უნდა, ყოველივე ამას უხალისოდ ვისმენ და არასოდეს არ მივცემ (ჩემდა თავად) მსვლელობას რაიმეს, სანამ შენს წერილს არ მივიღებ ან არ შეგხვდები, მაგრამ გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნებოდა, შენგან მოგვსვლოდა ამბავი. თორემ თვეობით არაფერი ისმის! მაშ ასე, დაველოდები ამბავს, თავად კი მოკლედ გეტყვი: მგონია (დარწმუნებული არა ვარ), რომ ცოტა არ იყოს გაგიტაცა ლიზამ (უსაქმურია

* იგულისხმება ბროშურა «სოფლის ღარიბებს» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 445 — 537). რ ე დ.

ეგ თქვენი ლიზა, არც თავის საქმეს აკეთებს და ტყუილუბრალოდ აწყდება აქეთ-იქეთ), რომ ბრალდებანი იურის წინააღმდეგ გაზვიადებულია, რომ ყველაზე და ყველაზე მთავარია დავაჩქაროთ ყრილობის მოწვევა, დავაჩქაროთ ყველა საშუალებით. ყველა საშუალებით.

როგორ არის კურცი? ახლახან შევიტყვე მისი ჯანმრთელობის ამბავი და დავრწმუნდი, რომ უსაფუძვლოდ ვიყავი მასზე უკმაყოფილო (გადაეცი ჩემი ნათქვამი მას, თუ შეგიძლია. მაგრამ მე მაინც დავძენ, რომ ისიც დამნაშავეა თავისი დუმილით). როგორ შეხვდი ჟაკსა და კოსტიას? რა უაზრობას ქადაგებს ჟაკი 2 ცენტრის წინააღმდეგ და ხომ ვერ შეძლებდი დაგეყოლიებინა ეს საკმაოდ ჭკვიანი, მაგრამ მოუქნელი ყმაწვილი? როგორაა დათუნია? რა ურჩიე მას? მაგრად, მაგრად გართმევ ხელს.

შენი...

დაწერილია 1903 წლის 24 მაისს
გაგზავნილია ჟენევიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის VIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

76

კ. კაუცკის

29/IV. 03.

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ამასთან ერთად გიგზავნით თქვენი ბროშურის («სოციალური რევოლუცია») რუსული თარგმანის ეგზემპლარს. მე მხოლოდ ერთი შენიშვნა შევიტანე 129 — 130-ე გვერდებზე, სადაც რუსეთის სამრეწველო სტატისტიკის მონაცემების საფუძველზე ცხადვყავი, რა ეკონომიის გაწევა შეძლო რუსეთმაც, როცა შექმნა უფრო მსხვილი 2 ან 3-ცვლიანი საწარმოები (100 და მეტი მუშა), და დახურა წვრილი საწარმოები.

ბროშურის რუსული თარგმანი დაბეჭდილია 5000 ცალად [76].

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Ulianoff
Chemin du Foyer. 10.
Sécheron — Genève

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე 1964 წელს ჟურნალში *„International Review of Social History“. Volume IX. Part 2*

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში. ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

77

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

16/VII. 03.

ძვირფასო ვ. დ.! გ. ვ-მ მითხრა, რომ თქვენ შეგიძლიათ იშოვოთ ერთ-ერთ თქვენ ნაცნობთაგან ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თუ ეს ასეა, ძალიან გთხოვთ მიშოვოთ ის ტომები, სადაც მოთავსებულია სტატიები:

გლეხები,
ბატონყმობა,
ბატონყმური მეურნეობა,
საბატონო ბეგარა,
ღალა.

ძალიან მჭირდება ეს ტომები სტატიის შესამოწმებლად,

რომელსაც სასწრაფოდ ვწერ *. ძალიან გთხოვთ, მოიწერეთ, შეიძლება თუ არა მათი შოვნა?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ახლა მივიღე ენგელსის ბროშურა [77] და გიგზავნით თქვენ. სთხოვეთ ვ. მ-ს გადათარგმნოს **ყველა** Vorbemerkung ** და რაც შეიძლება მალე დამიბრუნოს ბროშურა.

როდის შეძლებს დამიბრუნოს?

ახლა მივიღე თქვენი მოხსენება [78]. გმადლობთ!

დაწერილია ქენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ჟურნალში «ოქტიაბრ» № 12

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

78

ი. ო. მარტოვს

ჩემი განცხადება მარტოვს
(მეხსიერებაში დაახლოებით აღდგენილი)

მე სავსებით ვუერთდები ამხ. მარტოვის სურვილს, ამხ. ჰანსის მეშვეობით გამოთქმულს, რომ განცხადებათა გაცვლის გზით აღმოვფხვრათ ჩვენი კონფლიქტის [79] პირადული მხარე, და ჩემი მხრივ, ვთავაზობ ასეთ განცხადებას.

მე ეჭვი არ შემპარვია და არც მეპარება მარტოვის კეთილსინდისიერებასა და გულწრფელობაში. რაკი მარტოვი აცხადებს, რომ, როცა 2 სამეულის არჩევის ჩემეულ პროექტს ეცნობოდა და იწონებდა ამ პროექტს, მას პირადად მუდამ საჭიროდ მიაჩნდა თავდაპირველი სარედაქციო სამეულის გაფართოება, თვითონაც არ ვეჭვობ და მარტოვის გულმართლობაში

* იმ დროს ვ. ი. ლენინი მუშაობდა სტატიაზე «პასუხი პროგრამის ჩვენი პროექტის კრიტიკაზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6. გვ. 544 — 563). რ ე დ.

** — წინასწარი შენიშვნები. რ ე დ.

არა მგონია სხვა ვინმეს ეპარებოდეს ეჭვი, ძალიან მოხარული ვიქნები დავრწმუნდე, რომ ბრალდებანი, რომლებიც მან წამომიყენა, გაუგებრობით იყო გამოწვეული.

29. XI. 03.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ქენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1904 წელს წიგნში: ვ. ვ. ვოროვსკი. «რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარები», ქენევა

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

79

ვ. ი. ზასულიჩს

3/XII.

პატივცემულო ამხანაგო! დამავიწყდა მეცნობებინა, რომ გთხოვთ ყველა ჩემს სტატიას მიაწეროთ ნ. ლენინი და არა «თანამშრომელი».

თუ წერილი რედაქციას ან აგრარული სტატია უ ნ დ ა გადაიდოს, მაშინ გთხოვთ № 53-ში მოათავსოთ «წერილი» და აგრარული სტატია * გადადოთ.

ს.-დ. სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1903 წლის 3 დეკემბერს ქენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის X კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ამასვე სწერდა ვ. ი. ლენინი გ. ვ. პლეხანოვს 1903 წლის 18 ნოემბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 217). რ ე დ.

80

ი. ო. მარტოვს

გაგზავნილია 19. XII. 03.

პატივცემულო ამხანაგო!

ცენტრალური კომიტეტი ნებას რთავს ცენტრალური ორგანოს რედაქციას მითითებანი მისცეს ამხ. ბონჩ-ბრუევიჩს როგორც მის ფურცელში [80] დაბეჭდილი განცხადების — «რედაქციისაგან» — ტექსტის შესახებ, ისე ლიტერატურული კონტროლის ხასიათის შესახებაც: — ერთიც და მეორეც, ჩვენი აზრით, ცენტრალური ორგანოს კომპეტენციაში შედის და ჩვენ ამხ. ბონჩ-ბრუევიჩს შესაბამის მითითებებს ვერ მივცემთ.

ბონჩ-ბრუევიჩის სტატიების სიმდარისა და გამოუცდელობის შესახებ რედაქციას ცენტრალური კომიტეტისათვის კი არა, არამედ თვითონ ამხ. ბონჩ-ბრუევიჩისათვის უნდა ეცნობებინა.

ცენტრალური კომიტეტი, მიიღებს, რა თქმა უნდა, კორექტურებს და შეძლებისდაგვარად შეეცდება მისცეს თავისი რჩევა-დარიგებანი განსაკუთრებულ მნიშვნელოვან შემთხვევებში. განცხადების ტექსტის საკითხი მაინცდამაინც მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია, მაგრამ ცენტრალური ორგანოს «განსაკუთრებული კონტროლი» ისეთი გამოცემისადმი, როგორიც ბონჩ-ბრუევიჩის ფურცელია, ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნებოდა.

უფრო მოსახერხებელი შრიფტის საკითხს განვიხილავთ.

ჩვენ ამხ. ბონჩ-ბრუევიჩს ნება დავრთეთ თვითონ ჩააბაროს ხოლმე მასალები სტამბაში, თუ ცენტრალური ორგანოს რედაქციას საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

დაწერილია ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1904 წელი

81

«ისკრის» რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო! ალბათ, «ი ს კ რ ი ს» № 61-ში შეცდომითაა დაბეჭდილი, რომ აქსელროდის მისამართით არა მარტო წერილები უნდა იგზავნებოდეს, არამედ **ფულიც «ისკრისა» და «ზარიასათვის».**

საზოგადოებამ ეს შეიძლება ისე გაიგოს, რომ «ისკრისა» და «ზარიას» გამოცემისათვის იქმნება განსაკუთრებული სალარო, მაშინ როცა, სინამდვილეში, «ისკრისა» და «ზარიას» გამოსაცემად საჭირო მ თ ე ლ სახსრებს ვიღებთ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ცენტრალური პარტიული სალაროდან, რომელსაც მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ ცენტრალური კომიტეტი განაგებს.

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოასწოროთ ეს შეცდომა.

ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა-
რ ე თ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ი ს მ ო ა დ გ ი ლ ე.

P. S. დაბეჭითებით გთხოვთ გვიპასუხოთ ამ წერილზე.

დაწერილია 1904 წლის 18 მარტს
ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველ ჯ დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

82

«ისკრის» რედაქციას

20. VI. 1904.

რსდმპ ცენტრალურ ორგანოს

პატივცემულო ამხანაგებო

ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის მოლარედ დანიშნეს ამხანაგი ლიადოვი (ექსპედიციის მისამართი). გთხოვთ მასთან შეიტანოთ ფული და მასვე მოსთხოვოთ ხელწერილები.

ცენტრალური კომიტეტის წევრები ნ. ლ ე ნ ი ნ ი
ბ. გ ლ ე ბ ო ვ ი

დაწერილია ჟენევაში (ადგილობრივი)
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს,
ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-5 გამოცემაში,
ტომი 46

იბეჭდება უცნობის
ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის
მიერ ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

83

მ. ნ. ლიადოვს

საქმის[81] განსამარტავად დავსძენ: 1) ოსიპოვი რომ «გამოვიდა წინა კრებაზე», ეს ა შ კ ა რ ა ს ი ც რ უ ე ა, რადგან გლებოვმა, რ ო მ ე ლ ი ც ა მ კ რ ე ბ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ა, თვითონ **მოაწერა ხელი** V. 904 ხელშეკრულებას, რომელშიც ლაპარაკი იყო... ცენტრალური კომიტეტის წევრებზე, ე. ი. მათ შორის ოსიპოვზეც.

2) ტრავინსკის გადადგომის ამბავი ა რ ა ს ო დ ე ს ჩემთვის ფორმალურად არ უცნობებიათ.

დაწერილია 1904 წლის
1 სექტემბერს შვეიცარიაში
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება უცნობის
ხელით დაწერილი
პირის **მიხედვით**

84

პარტიული სტამბის ასოთამწყობებს

პატივცემულო ამხანაგებო! იმედი მაქვს, რომ არ დააყოვნებთ და შეასრულებთ ამხანაგ გალიორკის[82] თხოვნას. საკითხი, რომ მას უფლება აქვს თავის ბროშურაზე, იმდენად უდავოა და იმდენად შორს არის ახლანდელი კონფლიქტისაგან, რომ ზედმეტად მიმაჩნია ამაზე კიდევ შევჩერდე.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ლენინი

დაწერილია 1904 წლის 2 თუ
3 სექტემბერს შვეიცარიაში
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

85

ი. ს. ვილენსკის

პარტიული სტამბის გამგეს ამხ. ილიასა და პარტიულ ასოთამწყობებს

ამხ. გლებოვის კანონიერ პრეტენზიათა საკითხის მიუხედავად (ამ საკითხზე ყველა მასალა გადავეცი ამხანაგებს ოლინს, ბონჩ-ბრუევიჩსა და ლიადოვს) საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი გამგე და ასოთამწყობნი ვალდებული არიან რიადოვოისა და გალიორკის* ბროშურა მისცენ მის ავტორებს შემდეგ საფუძვლებზე:

1) ეს ბროშურა მთლიანად ავტორთა სახსრებით იბეჭდება და მათ სრულ საკუთრებას შეადგენს.

2) განკარგულება პარტიულ სტამბაში მისი აწყობისა და დაბეჭდვის შესახებ ცენტრალური კომიტეტის აგენტებმა დიდი

* იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ.

ხნით ადრე გასცეს, სანამ გლებოვი გამოჩნდებოდა თავისი «რეფორმებით». ცენტრალური კომიტეტის თუნდაც კანონიერ კრებათა შემდგომი გადაწყვეტილებანი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გააბათილებენ იმ პირთა მიერ გაცემულ უკვე კანონიერ განკარგულებებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის აგენტები იყვნენ.

3) ავტორები სულაც არ მოითხოვენ დაჟინებით, ბროშურაზე აღნიშნული იყოს, რომ პარტიულ სტამბაში იბეჭდებოდაო.

ავტორებისათვის ბროშურის დაუყოვნებლივ მიცემაზე უარის თქმას, უდავოდ სხვისი საკუთრების აშკარა მიტაცებად ჩავთვლიდი.

ცენტრალური კომიტეტის წევრი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 5 და 13 სექტემბერს შუა შვეიცარიაში
გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

86

მ. ს. მაკაძიუბას *

პ ი რ ა დ ა დ ა ნ ტ ო ნ ს

ძვირფასო ამხანაგო! ორიოდე სიტყვით მაინც შემატყობინეთ ამ წერილის მიღება. არ ვიცი, ნამდვილია თუ არა თქვენი მისამართი, ზემლიაჩკამ კი მთხოვა წერილები თქვენი მისამართით მივწერო. გარდა ამისა, მინდა მოვაგვაროთ სწორი მიმოწერა. ეს ფრიად და ფრიად მნიშვნელოვანია. თქვენი წერილი შემთხვევით სხვას რომ არ ჩაუვარდეს ხელში, დააწერეთ: «პი-

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

რადად ლ-ს» ანდა «პირადად ნ. კ-ს». ხომ ვერ მაცნობებდით, სად არის ტომიჩი (=ემანუილი=ემა)? მასთან მიმოწერა შეწყდა. რამდენიმე წერილი გავუგზავნეთ, მაგრამ არ ვიცით, მიიღო თუ არა. თუ იცით მისი მისამართი შეგვატყობინეთ.

ეტყობა, ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციას კომიტეტების უმრავლესობა მაინცდამაინც ალერსიანად არ შეხვედრია *. კავკასიაში მას დიდი გულისწყრომა გამოუწვევია, ოდესაში, ნიკოლაევში, ეკატერინოსლავში მეტად უარყოფითად შოკიდებიან, საპყრობილეებიდან ძველი ამხანაგები გულისწყრომით აღსავსე რეზოლუციებს გზავნიან... «შემარიგებლებს» პარტიაში ზავის დამყარების შესახებ მონაჩმახით ზოგიერთების მოტყუება მოუხერხებიათ. ასე, ამბობენ, ტულას, სარატოვს, ასტრახანს უკან წაუღიათ რეზოლუციები ყრილობის შესახებ, მაგრამ, რასაკვირველია, როგორც კი საქმის ნამდვილ ვითარებას შეიტყობენ, კვლავ დაჟინებით მოითხოვენ ყრილობას. თუმცა, არ ვიცი რამდენად ნამდვილია ხმები, იმის შესახებ, რომ ზემოთ აღნიშნულ კომიტეტებს უკან წაუღიათ თავიანთი რეზოლუციები. «შემარიგებლები» ყოველთვის საკმაოდ ზუსტად როდი გადმოგვცემენ ცნობებს, რედაქციები კი ზავის საბაბით კომიტეტების რეზოლუციებს ყრილობის შესახებ (პეტერბურგის, ეკატერინოსლავისას) არ ბეჭდავენ. 10 პუნქტის გარდა რამდენიმე პუნქტი კიდევაა, რომლებშიც არაფერი კონსპირაციული არ არის, მაგრამ «კოლეგიამ» (ისარგებლა რა თავისი ყველაზე მტკიცედ განწყობილი წევრების დაპატიმრებით და უკანონოდ გარიცხა ერთი სხვაგვარად მოაზროვნე წევრი **) ზედმეტი ხმაურის თავიდან ასაცილებლად გადაწყვიტა პარტიის წევრებისათვის დაემალა იგი, იქ არის დადგენილება: გაუქმდეს სამხრეთის ბიურო [83], არ გამოქვეყნდეს უმცირესობისათვის არასასურველი საბჭოს ოქმები, რომ

---

* იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის «ივლისის დეკლარაცია». იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 93. რ ე დ.

** იგულისხმებიან თ. ვ. ლენგნიკი, მ. მ. ესენი და რ. ს. ზემლიაჩკა. რ ე დ.

ლენინს აეკრძალოს პარტიულ სტამბაში მასალების ბეჭდვა, განსაკუთრებული «კოლეგიის» მიერ დანიშნული აგენტის ნებართვის გარეშე... უმრავლესობამ გადაწყვიტა საშუალება არ მისცეს გააყალბონ პარტიის საზოგადოებრივი აზრი და პირში ბურთი ჩასჩარონ, მან წამოიწყო უმრავლესობის ნაწარმოებთა გამოცემა, გამოცემა თავს იდო ბონჩ-ბრუევიჩმა. ლიტერატურული ძალების გამო საქმე არ შეფერხდება, თუკი ფინანსებმა ხელი არ შეგვიშალა. გამოვიდა გალიორკის ბროშურა: «ძირს ბონაპარტიზმი!» (ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამო), გალიორკისა და რიადოვოის სტატიათა კრებული, მზად არის დასაბეჭდად რიადოვოის პოპულარული ბროშურა სოციალიზმის შესახებ, მზადაა აგრეთვე ბევრი სხვა რამ..

ყოველივე ეს შეატყობინეთ ზემლიაჩკას, თუ მისი მისამართი იცით, აგრეთვე აცნობეთ, რომ მისი ორივე წერილი მიღებულია.

წერილის მიღება დაუყოვნებლივ შემატყობინეთ.

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ნამდვილია თუ არა თქვენი საიდუმლო **შეხვედრის** ადგილი?

ნამდვილია თუ არა პედერისა და დილონის მისამართები? იყო თუ არა თქვენთან ცენსკი? მიიღეთ თუ არა ჩვენი წერილი? შეატყობინეთ ზემლიაჩკას, თქვენი მშობლები ძალიან წუხან თქვენზე და დარწმუნებული არიან, რომ ავად ხართ-თქო. დაუყოვნებლივ მაცნობეთ წერილის მიღება, და მაშინ გამოგიგზავნით ჩვენს ახალ მისამართს.

დაწერილია 1904 წლის 16 სექტემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

87

მ. ლეიბოვიჩს *

პირადად ევსეის (მალიუტკინს) **ლენინისაგან**

20/IX.

ძვირფასო ამხანაგო! მივიღეთ გრიცკოს გასაღებით დაწერილი თქვენი წერილი, დიდი გაჭირვებით გავარჩიეთ, იმის გამო, რომ სხვა გამოცემით დაგიწერიათ. იმავე გასაღებით გწერთ.

შემარიგებლები აქ უმრავლესობის დაშლით არიან დაკავებული. კომიტეტებს რომ აცნობებდა პარტიაში დამყარებული ზავის ამბავს, ცენტრალურ კომიტეტს დავიწყებია ისიც ეთქვა, რომ თვითონ უმცირესობად გადაიქცა და უმრავლესობის დევნა დაიწყო. გარდა იმ პუნქტებისა, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებში ქვეყნდება, არის კიდევ პუნქტები. რომლებიც არ უნდა გახმაურდეს რაიმე კონსპირაციულ მოსაზრებათა გამო კი არა, არამედ ცთუნების თავიდან ასაცილებლად. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: დაშალოს სამხრეთის ბიურო იმისათვის, რომ ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციას ეწევა, დაშალოს ექსპედიცია, ბოდიში მოუხადოს ამკინძველებს, არ გამოაქვეყნოს საბჭოს ოქმები [რადგან ისინი სახელს უტეხენ უმცირესობას და ცხადყოფენ, რომ უმრავლესობამ (მტკიცემ), სანამ ყრილობის სასარგებლოდ აგიტაციას დაიწყებდა, პატიოსანი ზავი შესთავაზა, დაჟინებით მოითხოვდა ყოველგვარი ბოიკოტის შეწყვეტას, ორივე მხრიდან ცენტრალური ორგანო ამ წინადადებაზე დაცინვით უპასუხებდა], განსაკუთრებული ცენზურა დაუწესოს უმრავლესობის ნაწარმოებებს, შემარიგებელთაგან გამოყოფილია განსაკუთრებული ცენზორი, რომელიც გადაწყვეტს, შეიძლება თუ არა დაიბეჭდოს ლენინის ესა თუ ის ნაწარმოები, ლენინს ჩამოერ-

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

თვის საზღვარგარეთული წარმომადგენლის ყველა უფლება. გარდა ამისა, ცენტრალური კომიტეტი უმცირესობასთან ერთად აწყობს კონფერენციას, ამასთან სრულიად უგულებელყოფს უმრავლესობას. უმცირესობა, რა თქმა უნდა, ზეიმობს და ხოტბას ასხამს ცენტრალურ კომიტეტს. **ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა შეიცვალა, ორი წევრი დაპატიმრებულია, ორი გადადგა, ერთი წევრი გარიცხულია** სრულიად უკანონოდ. ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც აპრილში უმრავლესობის თვალსაზრისს ადგა, ახლა მიაჩნია, რომ ცენტრალური ორგანო მოწოდების სიმაღლეზე დგას. ამავე დროს, თუ დასაწყისში პრინციპული უთანხმოებანი არ ყოფილა, ახლა საკმარისად არის. თავი რომ გაიმართლოს, უმცირესობა ლაფს ასხამს ძველ «ისკრას». იგი აცხადებს (დანის მოხსენება საერთაშორისო კონგრესზე. ტროცკის ბროშურა), ძველი «ისკრა» იმდენად სოციალ-დემოკრატიული კი არ ყოფილა, რამდენადაც დემოკრატიული ორგანო იყო, «ისკრა» მუშათა კლასის ორგანიზებაზე კი არა, ინტელიგენციის ორგანიზებაზე ფიქრობდა, აქსელროდი «ისკრაში» იმიტომ არ მონაწილეობდა, რომ ეს სოც.-დემ. ორგანო არ იყოო. «მასებისადმი» ლოზუნგი მხოლოდ ახალმა «ისკრამ» წამოაყენაო და სხვ. და ა. შ. ძნელია მთელი იმ სისულელის გადმოცემა, რასაც ისინი ახლა როშავენ, სარგებლობენ რა საზოგადოების უვიცობით, იმით, რომ იგი არ იცნობს მოძრაობის ისტორიას. ცენტრალურ კომიტეტს სრულიადაც არ აშფოთებს ეს და უხარია, რომ თავისი დეკლარაციით * პატიება დაიმსახურა ცენტრალური ორგანოსაგან... პარტიაში დამყარებული ზავის საბაბით ცენტრალური ორგანო არ ბეჭდავს **კომიტეტების** რეზოლუციებს, რომლებშიც მხარს უჭერენ ყრილობას, ასევე არ ბეჭდავენ ისინი ეკატერინოსლავის, პეტერბურგის, მოსკოვის, ნიჟნი ნოვგოროდის, ყაზანის კომიტეტების რეზოლუციებს.

---

* ივულისხმება ცენტრალური კომიტეტის «იელისის დეკლარაცია» რ ე დ.

რუსეთის 20 კომიტეტიდან (რომელთა ხმები სათვალავშია მისაღები) ყრილობას უკვე მხარი დაუჭირა 12-მა (სპბ., ტვერის, ტულის, მოსკოვის, ციმბირის, თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ეკატერინოსლავის, ნიკოლაევის, ოდესის, ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტებმა), გარდა ამისა, ყრილობას მხარს უჭერენ: რიგის, ყაზანის კომიტეტები. მაგრამ ახალმა ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ახლა იმ კომიტეტებს, რომლებსაც ხმა აქვთ, ემატებიან კიდევ სამარის, ორიოლ-ბრიანსკის, სმოლენსკის კომიტეტები. ეს კომიტეტები შემარიგებლური არიან და იქ მუშაობა სულ უმნიშვნელოა...

ყოველივე თქმულის გამო უმრავლესობამ გადაწყვიტა, პირში ბურთის ჩაჩრის ნება არავის არ მისცეს და თავის ნაწარმოებებს ცალკე ბეჭდავს, გამოცემა ბონჩ-ბრუევიჩმა იკისრა[84]. საბჭომ, რომელსაც კრინტიც არ დაუძრავს, როცა რიაზანოვი და აკიმოვი თავიანთ ბროშურებს უშვებდნენ, ალიაქოთი ატეხა და მოითხოვს, რომ ბროშურებს არ ეწეროს: «რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტია». ბონჩ-ბრუევიჩის გამოცემით უკვე გამოვიდა გალიორკის ბროშურა «ძირს ბონაპარტიზმი!» და გალიორკისა და რიადოვის სტატიათა კრებული «ჩვენი გაუგებრობანი». ამ დღეებში გამოდის ბროშურა «ბრძოლა ყრილობისათვის», სადაც გამოქვეყნდება კომიტეტების რეზოლუციები, მათ შორის რიგისაც. რიგელები აცხადებენ, გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიული დაწესებულებანი უმრავლესობის ხელში იყოს, როგორც ეს ყრილობამ დაადგინა, ამისათვის ვიბრძოლებთ ყრილობაზე, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ უმცირესობისათვის გარკვეული უფლებანი იყოს გარანტირებულიო. რიგის რეზოლუციას უკვე შეუერთდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის კომიტეტები.

აი როგორია საქმის ვითარება.

მხედველობაში იქონიეთ, ჩვენ უკვე დაშლილი ვართ[85], ამიტომ, თუ გინდათ, რომ თქვენი წერილები დანიშნულებისამებრ მოდიოდეს, წააწერეთ: პირადად შარკოს. წერილებისათვის ახალ მისამართებს გიგზავნით.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენ ყოველნაირად დაუჭერთ მხარს

უმრავლესობის გამოცემებს. კარგი იქნებოდა, ამის გამო შესაბამისი რეზოლუცია მიგეღოთ. გამოგზავნეთ კორესპონდენციები და ყოველნაირი მასალები.

თქვენი წინა წერილი ისევ გაურჩეველი დევს. გვაცნობეთ, რა გასაღებით არის ნაწერი, მართალია მოძველდა, მაგრამ მაინც საინტერესოა. ხომ არ იცით, ეკატერინოსლავსა და ოდესაში როგორ არის საქმე? უმცირესობა ხმებს ავრცელებს, ოდესის კომიტეტმა რეზოლუცია ყრილობის შესახებ უკან წაიღოო. იქიდან რაღაც დიდი ხანია არ მოგვსვლია წერილები, მაგრამ ცნობა ნაკლებად დასაჯერებელია. გვაცნობეთ, როგორ მიდის გრიცკოს საქმეები. გითვლით სალამს.

P. S. ყველა სიახლეს მალე გამოგიგზავნით.

დაწერილია 1904 წლის 20 სექტემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან ნიკოლაევში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

88

ვ. პ. ნოგინს

21/IX.

ლ ე ნ ი ნ ი ს წ ე რ ს მ ა კ ა რ ს

ბარონი მწერდა, ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტმა ყრილობის შესახებ რეზოლუცია მიიღოო, მაგრამ თვით რეზოლუცია რატომღაც არ გამოუგზავნია. რაც შეიძლება მალე გამომიგზავნეთ იგი მისამართით: 1————*. ეს მისამართი საერთოდ გამოსადეგია ლენინისათვის წერილების გასაგზავნად. თქვენთან გამოემგზავრა ერთი ქალიშვილი, რომელსაც მუშაობა სურს, პარტიულ საქმეებში კარგად ვერ ერკვევა, ჯერ არასოდეს არ უმუშავია. თუ შეგიძლიათ მისცეთ სამუშაო, მაშინ მისი მონახვა შეიძლება შემდეგი მისამართით*. დანარჩენი

* მისამართი ხელნაწერში არ არის მოყვანილი. რ ე დ.

პირადი წერილია ოლღა ივანეს ასულ ჩაჩინასადმი.

დაწერილია 1904 წლის 21 სექტემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან
ნიჟნი ნოვგოროდში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

89

ე. დ. სტასოვას, ფ. ვ. ლენგნიკასა და სხვ. *

ძვირფასო მეგობრებო! უსაზღვროდ გაგვახარა თქვენმა წერილმა, იგი ისეთი მხნეობით არის გამსჭვალული, რომ ჩვენც შეგვმატა ენერგია[86]. თქვენი გეგმა უსათუოდ განახორციელეთ. იგი საუცხოოა და უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მეტად საჭიროა აგრეთვე წერილი გავუგზავნოთ გერმანელს. მოუთმენლად ველით თქვენგან შემდგომ წერილებს. თქვენი რჩევა გამომცემლობის შესახებ უკვე სანახევროდ განხორციელებულია. ლიტერატურული ძალები არიან, მზა მასალა აუარებელია. საერთოდ ახლა ჩვენ ძალიან კარგ გუნებაზე ვართ, უამრავი გეგმები გვაქვს, მოხუციც შეუდგა მუშაობას, მიმოწერა რუსეთთან და საზღვარგარეთთან გამოცოცხლდა, და ახლა, ვიმედოვნებ, საზოგადოება შეჯგუფებას მალე დაიწყებს. უმცირესობა ახლა შემარიგებლებს ლოშნის, ცენტრალური ორგანო იწყებს პოპულარული ორგანოს გამოცემას, იუჟნირაბოჩელებს ლუკმა მიეცათ. უმრავლესობის გამომცემლობის დაწვრილებითს ამბებს საერთო ნაცნობები შეგატყობინებენ, **რომლებსაც** ვრცლად ვწერთ ამის შესახებ. **კოლის ცოლი და ბავშვი ჯანმრთელად არიან, ეკატერინოსლავში ცხოვრობენ**. გაიმეორეთ **იმ პირთა გვარები, რომელთა ჩაბმა ლიტე-**

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

რატურულ მუშაობაში სასურველია. ჩამოვიდა ბროდიაგა, რომელსაც უმცირესობა ელოლიავება, გარკვეული პოზიცია მას ჯერ კიდევ არ დაუკავებია. ჟოზეფინა ჩვენთანაა, ფიზიკურად ძალიან ცუდად გრძნობს თავს. ექსპედიცია ცენტრალურ კომიტეტს ჩავაბარეთ. აი, მგონი, ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა. მაგრად გეხვევით, ძვირფასებო, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ძალ-ღონეს.

მ ო ხ უ ც ი და კ ო შ ა.

დაწერილია 1904 წლის 23 სექტემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

90

კ. კაუცკის

ჟენევა, 1904 წლის 10 ოქტომბერი

პატივცემულო ამხანაგო!

ბანდეროლით გიგზავნით ჩემს სტატიას, რომელიც პასუხი უნდა იყოს ამხანაგ როზა ლუქსემბურგის * გამოხდომაზე. ჩემთვის ცნობილია, თუ რა სიმპათიებით ეკიდება «Neue Zeit»-ის რედაქცია ჩემს მოწინააღმდეგეებს, მაგრამ ვფიქრობ, სამართლიანი იქნებოდა უფლება მოგეცათ როზა ლუქსემბურგის სტატიაში უზუსტობანი გამესწორებინა. ჩემი სტატია ამხ. ლიდინმა გადათარგმნა. თქვენ უკვე დაბეჭდეთ მისი ერთ-ერთი სტატია, მაშასადამე, შეგიძლიათ განსაჯოთ, რამდენად ფლობს იგი გერმანულ ენას. თვითონ მე გერმანულად ვერ ვწერ. ჩემი სტატია ძალიან მოკლედ დავწერე: მინდოდა, როზა ლუქსემბურგის სტატიაზე ნაკლები ადგილი დაეკავებინა და მოცუ-

* იხ. «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 592 — 607). რ ე დ.

ლობით მეტისმეტად ვრცელი არ ყოფილიყო «Neue Zeit»-ისათვის. მაგრამ თუ მაინც მიიჩნევთ, რომ სტატია მეტისმეტად ვრცელია, მაშინ მზადა ვარ კიდევ ერთხელ შევამცირო რედაქციის მიერ მითითებულ მოცულობამდე. მაგრამ, ამავე დროს, იძულებული ვარ დაჟინებით მოვითხოვო, რომ ჩემს დაუკითხავად არ შეამცირონ.

გთხოვთ მაცნობოთ, ბეჭდავს თუ არა რედაქცია სტატიას *.

სოციალ-დემოკრატიული სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართია:
Vl. Oulianoff
3. Rue David Dufour. 3.
Genf. Genéve, Suisse.

გაგზავნილია ბერლინში
პირველად დაიბეჭდა გერმანულ
ენაზე 1964 წელს ჟურნალში
„International Review of Social History". Volume IX. Part 2
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის
ბიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

91

ე. დ. სტასოვას, ფ. ვ. ლენგნიკსა და სხვ. **

14/X.

საყვარელო, ძვირფასო მეგობრებო! სამიოდე კვირის წინ გამოვიგზავნეთ წერილი **ირინეს** ხელით ***. **სულით და გულით**

---

* ლაპარაკია სტატიაზე «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან. ნ. ლენინის პასუხი როზა ლუქსემბურგს» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 592 — 607). რ ე დ.

** წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

*** იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 89. რ ე დ.

ვუერთდებით თქვენს გეგმას. თუ ცოტაოდენი საშუალება მაინც გაქვთ, წერილი მოიწერეთ. გამომცემლობა ბონჩმა და ლენინმა იკისრეს. უკვე გამოვიდა: «ძიროს ბონაპარტიზმი», «ჩვენი გაუგებრობანი», «პარტიისადმი».. მალე გამოვა: «ახალი გზით», «ბრძოლა ყრილობისათვის», «სოციალიზმის შესახებ». ყრილობას, ჩვენი ანგარიშით, უკვე დაუჭირა მხარი 14 კომიტეტმა, მათ შორის 11 სრულუფლებიანმა. უნაყოფო გამოდგა, ცენტრალური ორგანოს, ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოს ცდები შეეფერხებინათ აგიტაცია ყრილობის სასარგებლოდ, ცენტრალურმა კომიტეტმა დაინახა, რომ უმრავლესობასაც უნდა უწევდეს ანგარიშს, და, როგორც ჩანს, მზად არის «აბრუნდისათვის». უმცირესობასთანაც არ გამოსდით მათ სრული ერთიანობა. ერთი სიტყვით, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

წინათ ცენტრალური ორგანო ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ აქეზებდა კომიტეტებს და ცენტრალურ კომიტეტს სდევნიდა, ახლა პერიფერიას აქეზებს კომიტეტების წინააღმდეგ და ცდილობს დაამტკიცოს, კომიტეტების აზრი პარტიის აზრი არ არის, პარტიაც, არსებითად, არ არისო. ყველაფერი იღონეს, რომ პარტიაში განხეთქილება ჩამოეგდოთ, ახლა კი გაჰყვირიან, პარტია არ არისო.

ცენტრალური კომიტეტის პოზიციამ ხელები გაგვიხსნა, და ახლა გაცილებით უფრო ადვილია ცხოვრება, ვიდრე წინათ. რასაკვირველია, ბევრი რამ არის უსიამოვნო, მაგალითად, **ბროდიაგა უმცირესობად იქცა, სამსონოვიც.** მაგრამ უამისოდაც აღარ შეიძლება. ვიმუშაოთ, დავიცვათ ჩვენი თვალსაზრისი, მერე კი ვნახოთ. ახლახან ტროცკის ახალი ბროშურა გამოვიდა, როგორც გამოცხადებული იყო, «ისკრის» რედაქციით. ამრიგად, იგი თითქოს «Credo»-ა ახალი «ისკრისა». ბროშურა მეტად უტიფრად ცრუობს, ამახინჯებს ფაქტებს. და ეს ცენტრალური ორგანოს რედაქციით ხდება. ისკრელთა მუშაობა ყოველნაირად ნაძაგებია. ეკონომისტებმა გაცილებით მეტი გააკეთესო, ისკრელებს ინიციატივა არა ჰქონიათ, პროლეტარიატზე ნაკლებად ფიქრობდნენ, უფრო ბურჟუაზიული

ინტელიგენციისათვის ზრუნავდნენ, ყველგან დახავსებულ ბიუროკრატიზმს ნერგავდნენ, — მთელი მათი მუშაობა იმით ამოიწურებოდა, რომ ცნობილი «Credo»-ს პროგრამას ახორციელებდნენო. II ყრილობა, — მისი თქმით, იყო რეაქციული ცდა ორგანიზაციის წრეობრივი მეთოდები დაემკვიდრებინათო და ა. შ. ეს ბროშურა შეურაცხყოფს ცენტრალური ორგანოს ახლანდელ რედაქციასაც და ყველა პარტიულ მუშაკსაც. კითხულობ ასეთ ბროშურას და ნათლად ხედავ, «უმციერესობა» ისე ჩაფლულა ტყუილებისა და სიყალბის ჭაობში, რომ ცხოვრებისეულს ვერაფერს ვერ შექმნის. ბრძოლის გუნებაზე დგები, ხედავ, აქ ბევრი რამ არის, რის გამოც უნდა იბრძოდე.

კოლის ცოლი ჯანმრთელადაა, იგი ეკატერინოსლავშია.

ყველას გითვლით მხურვალე სალამს.

სტარიკი და კომპ.

დაწერილია 1904 წლის 14 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

92

კ. კაუცკის

26/X. 04.

პატივცემულო ამხანაგო!

ორი კვირის წინათ «Neue Zeit»-ის რედაქციაში წერილთან * ერთად გამოგიგზავნეთ ჩემი სტატია (პასუხი როზა ლუქსემბურგს). გთხოვთ მაცნობოთ, მიღებულია ეს სტატია თუ არა. თუ მიღებულია, რამდენიმე მცირე დამატება (ახალი რუსული რეზოლუციების შესახებ) და შესწორებანი უნდა შევიტანო. თუ არა — იძულებული ვიქნები ვეძებო სხვა გზე-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 90. რედ.

ბი, რათა გერმანელ სოციალ-დემოკრატებს გავაცნო როზა ლუქსემბურგის სტატიაში არსებული უზუსტობანი.

სოციალ-დემოკრატიული სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან ბერლინში
პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1964 წელს ჟურნალში
„International Review of Social History“. Volume IX. Part 2

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1965 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

93

ი. ი. რადჩენკოს *

სწერს ლენინი პირადად არკადის. ु र ा ल ში
28/X.

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი წერილი მივიღე. გამომიგზავნეთ, გეთაყვა, რეზოლუცია, რომელიც ურალის კომიტეტმა მიიღო. უმცირესობა ამტკიცებს, ურალის კომიტეტმა ყრილობის წინააღმდეგ გამოთქვა აზრიო, «ისკრაში» კი დაიბეჭდა, რომ ურალის კომიტეტმა პარტიული ზავის სასარგებლოდ გამოთქვა აზრი, ამასთან თანაგრძნობით მოეკიდა ცენტრალური კომიტეტის მოქმედებას. ზავი პარტიაში ყველას სწადია და საკითხი მხოლოდ ის არის, თუ რა გზით უნდა გადაიჭრას კრიზისი, პარტიული გზით, ე. ი. ყრილობის მოწვევის გზით, თუ უმცირესობასთან კერძო გარიგების გზით. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დეკლარაციაში მეორე ხერხს დაუჭირა მხარი. მაშასადამე, «ისკრის» განცხადება მხოლოდ იმ აზრით

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

შეიძლება გავიგოთ, რომ ურალის კომიტეტმა ყრილობის წინააღმდეგ გამოიტანა რეზოლუცია.

წერილებს წააწერეთ ქიმიით: «პირადად ლენინს».

თქვენი წერილიდან ჩანს, რომ სრულებით არაფერი გცოდნიათ პარტიის საქმის ვითარების შესახებ. მოკლედ მოგახსენებთ. (შემდეგ იხ. წერილი ციმბირის კავშირისადმი). ამჟამად ყრილობას უკვე დაუჭირეს მხარი კომიტეტებმა: ციმბირის, კავკასიის კავშირის კომიტეტმა (უკვე იმ რეზოლუციის შემდეგ, რომელიც მოთავსებულია №№ 73 — 74-ის დამატებაში), თბილისის, ბაქოს, სამეგრელო-იმერეთის, ოდესის, ნიკოლაევის, ეკატერინოსლავის, პეტერბურგის, მოსკოვის, ტვერის, ჩრდილოეთის კომიტეტებმა (უკვე ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის შემდეგ), ნიჟნიმ, ყაზანმა, რიგამ, ტულის კომიტეტმა (13 სრულუფლებიანმა ორგანიზაციამ), წინათ ეს საკმარისი იქნებოდა, მაგრამ საბჭომ ხმის უფლება კიდევ 5 კომიტეტს მისცა (სმოლენსკის (?), ორიოლ-ბრიანსკის (?), სამარის, ასტრახანისა და კიდევ რომელიღაც, ეტყობა, კრემენჩუგის კომიტეტებს). ეს ის კომიტეტებია, რომლებიც აშკარად გამოთქვამენ აზრს ყრილობის წინააღმდეგ. შემდეგ საბჭო ყრილობის მომხრეებად მხოლოდ იმ კომიტეტებს ცნობს, რომელთა რეზოლუციები აქვს მიღებული (ნიკოლაევის, ჩრდილოეთისა და ნიჟნი ნოვგოროდის კომიტეტების რეზოლუციები, ჩანს, გადაგზავნის დროს დაკარგულა). შემდეგ მოითხოვენ რეზოლუციების დადასტურებას ყოველ ორ თვეში, რაც შესაძლოა ვერ შეიტყონ კომიტეტებმა იმის გამო, რომ წესიერად არ მისდით «ისკრა» და მიმოწერა სწორად არ წარმოებს. რეზოლუციებზე საჭიროა კომიტეტის ყველა წევრის ხელმოწერა, ვაითუ ყრილობას ვინმემ ორჯერ მისცეს ხმაო (მხოლოდ საბჭოს წევრებს შეუძლიათ სამჯერ მისცენ ხმა ყრილობის წინააღმდეგ: საბჭოში, რედაქციასა და ლიგაში). იმ პოზიციის გამო, რომელიც საბჭომ, ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა ორგანომ დაიკავეს (დევნონ ის პირნი, რომლებიც ყრილობის სასარგებლოდ ეწევიან აგიტაციას), ხელმოწერის მოთხოვნას სავსებით გარკვეული მნიშ-

ვნელობა აქვს. ყოველივე ამის მიზანი ის არის, რომ აგიტაცია გააძნელონ ყრილობის სასარგებლოდ. მაგრამ, ვინაიდან კომიტეტები ერთობ გარკვევით გამოთქვამენ აზრს, ახლა უმცირესობამ შეტევა წამოიწყო კომიტეტების წინააღმდეგ. ყოველნაირად ცდილობენ შელახონ კომიტეტის ავტორიტეტი ადგილობრივი საზოგადოების თვალშიც და მუშების თვალშიც, რომლებსაც პირდაპირ აქეზებენ კომიტეტის წინააღმდეგ. განსაკუთრებით კი ცდილობენ ზეგავლენა პერიფერიაზე მოახდინონ. ადვილი წარმოსადგენია, მუშაობის რა დეზორგანიზაცია შეიძლება მოჰყვეს ამას. ახლა უმცირესობა პეტერბურგის ალყაში მოქცევას ცდილობს. ასეთია საქმის ვითარება პარტიაში. რა თქმა უნდა, არასახარბიელოა იგი. შეგვატყობინეთ შესახვედრი ადგილის მისამართი, აქედან ხშირად მოდიან ადამიანები. ეგებ ურალშიც წამოვიდნენ.

ამხ. სალმით **ლ.**

P. S. მოსთხოვეთ ცენტრალურ კომიტეტს უმრავლესობის გამოცემანი.

დაწერილია 1904 წლის 28 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის **მიხედვით**

94

ა. ა. ბოგდანოვს *

2 ნოემბერი

თქვენი 9 (22) ოქტომბრის წერილი მივიღეთ. გაურჩეველი წერილი უკვე განმეორებულია. თავქარიანი ნაღმოსანის შესახებ არაფერი ისმის. რა მისამართით გამოგზავნეთ ფული? ლიდინი, ალექსეევი, აფანასიევა გაემგზავრნენ. პოპოვასაგან ამბავი არ მოგვსვლია.

ახლა შეგატყობინებთ ზოგიერთ ნახევრად საზღვარგარეთულ, ნახევრად რუსულ ამბებს.

---

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიასთან ერთად. პეტიტით აწყობილი ნ. კ. კრუპსკაიას ტექსტია. რ ე დ.

ბონჩ-ბრუევიჩისა და ლენინის გამომცემლობა ძალიან ნელა მოქმედებს, ბროშურები ცოტ-ცოტა გამოდის. მხოლოდ ახლა გამოვიდა დიდი ხნის წინ დაპირებული ბროშურა «ბრძოლა ყრილობისათვის». საქმე უფერხდებათ ნაწილობრივ სტამბის, უმთავრესად კი ფულის გამო. საზოგადოდ ფულის საკითხი ყველაზე მწვავეა, რადგან აუარება ფული გვჭირდება რუსეთში ხალხის გამოსაგზავნად (ძალიან დიდი მოთხოვნაა) და ტრანსპორტისათვის. ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ დიდი თანხა იშოვოთ. ახლა მხოლოდ ეს აყოვნებს საქმეს, დანარჩენი ყველაფერი გვაქვს. მაგრამ უთანხოდ გარდაუვალია ისეთი აუტანელი, მტანჯველი უმიზნო ცხოვრება მოგველის, როგორიც აქა გვაქვს ახლა. გინდ ცხრად გაიჭერით, მაგრამ ფული იშოვეთ. რუსეთი კი ირაზმება და ჩვენგან გადამწყვეტ ნაბიჯებს მოელის! რიგის კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია ამ გამომცემლობის მხარდაჭერის შესახებ, ასევე მოიცნენ ოდესის, ნიკოლაევის, ეკატერინოსლავის კომიტეტებიც. ბევრი სვამს კითხვას, რატომ არ ითხოვა უმრავლესობამ ნებართვაო, ამასთან სრულიად უგულებელყოფენ სიტუაციას და ავიწყდებათ, რომ ბონჩ-ბრუევიჩი და ლენინი გამოვიდნენ როგორც კერძო პირები და არა ჯგუფის სახელით. თუმცა რუსეთში ამას ვერ მიხვდნენ და მიიღეს რეზოლუცია იმ პირთა ჯგუფის მხარდასაჭერად, რომელსაც სათავეში ბონჩ-ბრუევიჩი და ლენინი უდგანან. დიდი უაზრობაა. ცენტრალურმა კომიტეტმა უარი თქვა უმრავლესობის ლიტერატურის გადაზიდვაზე, არაპარტიული ლიტერატურა არისო.

ფაქტიურად პარტიაში სრული განხეთქილებაა. უმცირესობამ და ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე მოახდინეს გარიგება, და ისინი ადგანან ერთ ხაზს, რომელიც გულისხმობს ყრილობის გაყალბებასა და «ქვემოდან» კომიტეტების დაშლას. ამ დაშლას იმ გზით ცდილობენ, რომ უმრავლესობის მებრძოლ კომიტეტებში გზავნიან მენშევიკების კომპანიებს, რომლებიც ალყაში აქცევენ კომიტეტს, ეწევიან აგიტაციას, ცდილობენ ყოველნაირად შეარყიონ საზოგადოების, მუშებისა და განსაკუთრებით პერიფერიის ნდობა კომიტეტისადმი. შემდეგ, როცა პერიფერიის დახმარებით ნიადაგს მოამზადებენ, სკანდალს უტეხენ კომიტეტს, დაგვნებდიო. ასეთი ამბავი დატრიალდა ახლა, ცენტრალური კომიტეტის მწყალობელი მონაწილეობით, პიტერში. უმრავლესობის კომიტეტების წინაშე ცენტრალური კომიტეტი ფარისევლურ პოლიტიკას ახორციელებს, აცხადებს, თუ უმცირესობას არ შეურიგდით, რაც ადვილი შესაძლებელია (დახეთ ამ ფარისეველებს!), მაშინ ცენტრალური კომიტეტი ყრილობას მოიწვევს, ცენტრალური კომიტეტი ყრილობის წინააღმდეგი არ არის და თავისი

შეხედულებანი არ შეუცვლია, შესაძლოდ მიაჩნია ცენტრალური ორგანოს რედაქციასთან გარიგება მოახდინოს, რადგან პარტიის ორგანოდ კი არა, წრის ორგანოდ ნიაჩნიაო. თუმცა ცენტრალური კომიტეტი უმრავლესობაა, მაგრამ ყრილობაზე და მის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების დროს მხოლოდ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, საკმაოდ კარგი პრაქტიკოსია თუ არა X ან Y; ყრილობაზე ცენტრალურ კომიტეტს არავითარი ligne de conduite * არ ჰქონია მიცემული, და ამიტომ მას შეუძლია ჰქონდეს საკუთარი ხაზი და ეალდებული არ არის უმრავლესობის თვალსაზრისზე იდგესო. ერთი სიტყვით, ღმერთმა უწყის რას ჩმახავენ.

რუსეთში მათზე ძლიერ არიან გაბრაზებული. ნიკოლაევის, ოდესის, ეკატერინოსლავის კომიტეტებმა კონფერენციები მოაწყვეს და რეზოლუცია მიიღეს... უმრავლესობის მონაწილეებმა მათ შემდეგი უპასუხეს... ნავარაუდევია კანდიდატების არჩევნები მოაწყონ რამდენიმე თვეისი კომიტეტის მეშვეობით, მერე გამოაქვეყნონ ცნობა უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს შექმნის შესახებ, შემდეგ მოიაროონ დანარჩენი კომიტეტები, წინადადებით მამართონ მათ შეუერთდნენ და კანდიდატების სია თავიანთი ერთი-ორი კანდიდატით შეავსონ.

სად არის ბოროდა? გორკისთან დათქვით პაროლი. როდის ჩამოხვალთ?

ყოველი ღონე იხმარეთ, რომ თავქარიანი ნაღმოსანი უფრო ჩქარა წამოვიდეს. დაყოვნება აუხსნელი და ყოვლად საზიანოა. მიპასუხეთ დაუყოვნებლივ რაც შეიძლება დაწვრილებით და გარკვეულად.

ბიუროში ჯერჯერობით დასახელებული არიან დემონი, ფელიქსი, ბარონი, ლიდინი, ალექსეევი, გუსეევი, პავლოვიჩი.

დაწერილია 1904 წლის 2 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

95

ი. პ. გოლდენბერგს

2/XI. მ ე შ კ ო ვ ს კ ი ს

ძვირფასო ამხანაგო! მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი წერილი მოგსვლიათ, იგივე წერილი გაიგზავნა მარიამ პეტრეს ასულის

* — ქცევის წესი. რ ე დ.

მისამართით. მიღება შეგვატყობინოს. მოუთმენლად ველით თქვენს პასუხს, ნუ გადადებთ დიდი ხნით, ახლა უაღრესად საჭიროა სწორი მიმოწერა გვქონდეს. ვიმეორებ მისამართებს წერილებისათვის. ამავე მისამართებით შეგიძლიათ გაგზავნოთ აგრეთვე სხვადასხვაგვარი კორესპონდენციები და ფურცლები. შემდეგი წერილით კიდევ ერთ მისამართს გამოგიგზავნით. «ისკრის» № 75-ში დაბეჭდილია, რომ სარატოვის კომიტეტმა პარტიული ზავის სასარგებლოდ გამოთქვა აზრი და «თანაგრძნობით მოეკიდა ცენტრალური კომიტეტის მოქმედებასო». პარტიული ზავი ყველას სურს, საკითხი მხოლოდ ის არის, დასაშვებია თუ არა ცენტრალური კომიტეტის გარიგება უმცირესობასთან იმ შეთანხმების საფუძველზე, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა ყოველნაირად გაუწიოს წინააღმდეგობა ყრილობას. №№ 73 — 74-ის დამატებაში გამოქვეყნებული საბჭოს დადგენილებანი გვიხატავენ სურათს, თუ რა შედეგები მოჰყვა ამ გარიგებას. «ისკრა» აღარ ბეჭდავს უმრავლესობის კომიტეტების რეზოლუციებს ან ადგილს უთმობს მათ დამატებაში, რომელიც არც კი გამოდის გასაყიდად (№ 74-ის შემდეგ კავკასიიდან მოვიდა რეზოლუციები ყრილობის შესახებ: კავკასიის კავშირის კომიტეტისაგან, თბილისის, ბაქოსა და სამეგრელო-იმერეთის კომიტეტებისაგან), არის რეზოლუციები ოდესის (37 კაცი აწერს ხელს) და მოსკოვის საპყრობილეებიდან. «ისკრაში» კი შეუქმნიათ განყოფილება: პარტიული ზავის სასარგებლოდ. სადაც ყრილობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიმართული რეზოლუციები იბეჭდება.

რაღაც საეჭვოა, რომ სარატოვის კომიტეტს გამოეთქვას აზრი ყრილობის წინააღმდეგ და ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის სასარგებლოდ. გამომიგზავნეთ, გეთაყვა, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე. სარატოვის კომიტეტის ყველა რეზოლუცია, მოიწერეთ, რას წარმოადგენს «სვობოდნოე სლოვო», უმცირესობა ამბობს, ყველა კავშირურთიერთობა ჩვენს ხელშია. გთხოვთ გამოგვიგზავნოთ კომიტეტის უკანასკნელი ორი თვის ყველა გამოცემა ანდა მათი ნუსხა მაინც. გვაცნობეთ, როგორ მიდის მუშაობა, როგორ არის იგი ორ-

განიზებული, არის თუ არა ლიტერატურა, დამყარებული გაქვთ თუ არა კავშირურთიერთობა გლეხებთან. აგზავნეთ კორესპონდენციები, განსაკუთრებით მოიზიდეთ კორესპონდენციების საწერად პერიფერია, კორესპონდენციებისათვის ხომ იქ უამრავი თემაა.

ხომ არ შეგიძლიათ დაგვაკავშიროთ ასტრახანთან და ურალთან?

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

დაწერილია ლენინის დავალებით.

დაწერილია 1904 წლის 2 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

96

ო. ა. პიატნიცკის

პ ი ა ტ ნ ი ც ა ს. «პიატნიცას» პირადად ლენინისაგან

ძვირფასო ამხანაგო! ჩვენმა საერთო მეგობარმა* შემატყობინა, რა წერილები აღმოჩნდა თქვენს განკარგულებაში[87]. (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წევრის წერილები ცენტრალური კომიტეტის რუსი წევრებისადმი, სადაც ნათქვამია, რომ საზღვარგარეთის უმცირესობა გათავხედდა და რომ 22-ის** რეზოლუცია უეჭველად, პარტიის ნამდვილ ნებას გამოხატავს). მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გამომიგზავნოთ აქ ეს წერილები.

ჯერ ერთი, მე ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ და ამიტომ სრული უფლება მაქვს ვიცნობდე ცენტრალური კო-

---

* იგულისხმება რ. ს. ზემლიაჩკა. რ ე დ.

** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 565—575. რ ე დ.

მიტეტის საზღვარგარეთელი წევრის მიმოწერას რუს წევრებთან, მით უმეტეს, როცა ეს მიმოწერა ეხება საერთო-პარტიულ საკითხს უმცირესობის პოზიციების შესახებ. ნუთუ თქვენ დაეხმარებით უმცირესობის მხარეზე გადასულ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომ პარტიას (ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრებსაც კი), საქმის ნამდვილი ვითარება დაუმალონ?

მეორე, წერილების შინაარსიდან ჩანს, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები (გლებოვი, კონიაგინი და ნიკიტიჩი) პირდაპირ ცრუობენ, როცა რუსეთის კომიტეტებისათვის დაგზავნილ წერილებში აცხადებენ, საზღვარგარეთის უმცირესობა დამთმობლობას იჩენსო. რაკი ჩვენ და თქვენ აშკარა ომი გამოვუცხადეთ ამ ბონაპარტიზმს, პარტიის ამ მოტყუებას (თავის ბროშურაში გალიორკამ ჩვენი სახელით გამოაცხადა ომი), ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა პარტიის წინაშე ვამხილოთ ცენტრალური კომიტეტის წევრთა ყოველი ტყუილი. თუ ჩვენ ხელთ გვექნება ასეთი ტყუილის დამამტკიცებელი საბუთები და არ მივუთითებთ პარტიას ამ დამამტკიცებელ საბუთებზე, ვერ შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას პარტიის წინაშე. თუ ჩვენ პრესაში და საჯაროდ ვილაპარაკებთ ბონაპარტიზმზე, ამასთან არ ვისარგებლებთ შემთხვევით დოკუმენტურად დავამტკიცოთ ეს ბონაპარტიზმი, ჩვენ მაშინ უბრალოდ ყბედები ვიქნებით. მაგრამ ჩვენ ხომ სიტყვა ბონაპარტიზმს ლანძღვა-გინებისათვის არ ვხმარობთ, როგორც ამას შვრებოდნენ მარტოვი და პლეხანოვი.

ზოგჯერ ამბობენ: პოლიტიკურ ბრძოლაში კერძო წერილების გამოყენება არ შეიძლებაო. ეს არ არის სწორი. როცა კერძო წერილები პარტიის თანამდებობის პირთა მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას ააშკარავებენ, ასეთი წერილები აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. პლეხანოვი თავის Vademecum-ში ისეთ კერძო წერილებს იყენებდა, რომლებიც თანამდებობის პირებსაც კი არ ეხებოდა. გარდა ამისა, ის

---

* — მეგზურში. რ ე დ.

წერილები, რომელთა შესახებ ლაპარაკია, სულაც არ არის კერძო, არამედ ცენტრალური კომიტეტის წევრთა მიმოწერაა ცენტრალური კომიტეტის საქმეებზე. და მე, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრი, და თქვენ, როგორც ცენტრალური კომიტეტის აგენტი, ვალდებული ვართ ხელი შევუშალოთ პარტიისათვის ჭეშმარიტების დამალვის ცდებს.

ყველა ამ მიზეზის გამო, უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია, მყისვე გამომიგზავნოთ ეს წერილები, ან მათი სრული პირები მაინც. რა თქმა უნდა, მათი ნაწილი კონსპირაციულია, და ჩვენ არასოდეს არ გავამხელთ ამ ნაწილს. მაგრამ ის, რაც მთელი პარტიის ინტერესებს ეხება და კონსპირაციულს არაფერს არ შეიცავს, უნდა ვამხილოთ. როგორ გავაკეთოთ ეს და როდის, ამას აქ მოვიფიქრებთ.

ამ წერილზე **აუცილებლად** მიპასუხეთ რაც შეიძლება მალე. არა უშავს თუ რუსულად ცუდად დაწერთ. შეიძლება ებრაულადაც დაწეროთ. ყოველ შემთხვევაში აუცილებლად მიპასუხეთ.

თუ თქვენ არ დამეთანხმებით წერილების გამოგზავნის საკითხში, მაშინ ჩვენ ყველანი გთხოვთ, რაც შეიძლება მალე, **ამ დღეებში**, ჩამოხვიდეთ აქ. ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი საქმეა, რომ უნდა განვიხილოთ და გადავჭრათ რადაც უნდა დაგვიჯდეს.

გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლენინი

P. S. აუცილებლად უთხარით ნიკ. ი-ძეს*, «იაკობინელს» და ჟიტომირსკის, რომ დაუყოვნებლივ გამომიგზავნონ თავიანთი მისამართები. პირდაპირ უმსგავსობაა, ყველა ცალ-ცალკე რომ დაეხეტება, ერთმანეთს არ უკავშირდება.

დაწერილია 1904 წლის 16 ნოემბერზე ადრე
გაგზავნილია ჟენევიდან ოდესაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* დადგენილი არ არის, ვინ იგულისხმება. **რ ე დ.**

97

რსდმპ ტვერის კომიტეტს *

26/XI. ძვირფასო ამხანაგო! თქვენი რეზოლუციის ორივე ეგზემპლარი მივიღეთ. ცენტრალური ორგანოსათვის ისინი არ გადაგვიცია, რადგან ამას წინათ ასეთი ამბავი მოხდა. ნიკოლაევის კომიტეტმა გამოგვიგზავნა რეზოლუცია «ისკრისათვის» გადასაგზავნად. ასეც მოვიქეცით. რეზოლუცია დააბრუნა მარტოვმა, თანაც მეტად უხეშად დაგვლანძღა. ცენტრალურმა კომიტეტმა და ცენტრალურმა ორგანომ დანამდვილებით იციან, რომ ნიკოლაევში არავითარი კომიტეტი არ არის, ამიტომ რეზოლუცია, ეტყობა, ვიღაც თაღლითებსა და თვითმარქვიებს დაუწერიათო. ვინაიდან რეზოლუცია ხელმოუწერელია, უთარიღოა და აღნიშნული არ არის, თუ როგორ მოეკიდა რეზოლუციას პერიფერია, რეზოლუციას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, და მან, მარტოვმა, უარიც კი თქვა ეს რეზოლუცია ცენტრალური ორგანოსათვის გადაეგზავნა, რადგან ყალბი რეზოლუციების მთელი ეს ფაბრიკაცია მომბეზრდაო. ჩანს ტვერის რეზოლუციასაც ასეთივე ბედი ეწევა. ჩვენ მას უმრავლესობის ფურცელში დავბეჭდავთ.

მოიწერეთ, გეთაყვა, როგორ მიდის საქმე?

მიიღეთ თუ არა «ისკრის» ფურცელი პარტიული ორგანიზაციებისადმი საერობო კამპანიის შესახებ, «ახალ უმაღლეს ტიპს» გამოდევნებულმა რედაქციამ ამ ფურცელში ბევრი უაზრობა, და ის სისულელეც კი მოჩმახა, რომ მუშებმა არ უნდა დააშინონ ლიბერალები და ისე იმოქმედონ, რომ მათ შორის პანიკა არ გამოიწვიონო. ეს ფურცელი ცხარე კამათს იწვევს, ლენინმა მასზე უპასუხა ბროშურით «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» **.

---

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 621—648. რ ე დ.

გთხოვთ შეგვატყობინოთ მისამართები, რათა ლიტერატურა გადმოგიგზავნოთ. მისამართები, რომლებითაც რეზოლუცია გამოგზავნეთ, სავსებით კარგია. თქვენთან პერმიდან ჩამოვა როგოვა, ამბობენ, კარგი მუშაკიაო, ჩვენ მას არ ვიცნობთ, ნახეთ, ეგებ გამოგადგეთ კიდეც, იგი არალეგალურია, დაეხმარეთ მოწყობაში.

ბოლშაკს გამბეტას გასაღები აქვს: სამხრეთ ამერიკის შტატები 34 ბ., შუაში ი, ბოლშაკი თხოულობს, ჩექმის ლანჩაში დაატანოთ პასპორტი და ხერხუნას ხერხები და ნეკრასოვას ან ახლობლების ხელით გადასცეთ.

დაუყოვნებლივ შეგვატყობინეთ ჩვენი წერილების მიღება. გითვლით სალამს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 26 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

98

რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს *

ს ა მ ე გ რ.-ი მ ე რ ე თ. კ ო მ.

28/XI.

ძვირფასო ამხანაგებო, ორივე თქვენი წერილი, 23 და 28-ისა, მივიღეთ, პირველი (სტატისტიკითა და მისამართებით) — უმცირესობას ჩავარდნია ხელში და მხოლოდ დღეს მოგვიტანეს, მისამართები გავარჩიეთ, ლიტერატურის გამოსაგზავნი მისამართით უმალვე ვისარგებლებთ. ყრილობის საარგებლოდ გამოტანილი თქვენი რეზოლუცია მივიღეთ და

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ. ვ. ი. ლენინის **დავალებით.** რ ე დ.

ცენტრალურ ორგანოს გადავეცით. ხმების მეორე დათვლაზე არაფერი არა გვსმენია, საეჭვოა, რომ ეს მოხდეს.

ამას წინათ მოვიდა ნიკოლაევის კომიტეტის რეზოლუცია, რომელიც ცენტრალურ ორგანოს გადაეგზავნა. მარტოვმა იგი უხეში ლანძღვით დაგვიბრუნა, ცენტრალურმა ორგანომ და ცენტრალურმა კომიტეტმა დანამდვილებით იციან, რომ ნიკოლაევში არავითარი კომიტეტი არ არის (აშკარა სიცრუეა, ცენტრალური კომიტეტი თავისი დეკლარაციით იყო ნიკოლაევის კომიტეტში და მშვენივრად იცის, რომ პირები, რომლებმაც ხელი მოაწერეს რეზოლუციას, ნიკოლაევის კომიტეტის წევრები არიან), რომ რეზოლუცია გამოგზავნეს ვიღაც თვითმარქვიებმა და თაღლითებმა, რომლებმაც ყალბი რეზოლუცია დაწერესო... კავკასიის რეზოლუცია ყრილობის სასარგებლოდ არ დაბეჭდილა, ხოლო მოსული... ყრილობის წინააღმდეგ დაბეჭდილია. დაიბეჭდა, რომ სარატოვის, სამარის, ურალისა და ასტრახანის კომიტეტებმა მოიწონეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა (რეზოლუციები მოყვანილი არ არის), ჩვენ კი იმავე დღეს, როცა «ისკრის» ეს № გამოვიდა, ურალიდან მოგვდის წერილი, ცენტრალური კომიტეტის შესახებ უკვე რამდენიმე თვეა არაფერი არ გვსმენია და საზოგადოდ ისიც კი არ ვიცით, არის თუ არა პარტიაო. პლეხანოვი პირდაპირ ამბობს, ყრილობა არ იქნებაო... ცენტრალური კომიტეტი კი ფარისევლურად აცხადებს, ახლა ყრილობის წინააღმდეგი არა ვართ, საჭიროა მხოლოდ იმისათვის ვიზრუნოთ, რომ ყრილობა ნამდვილად გამოხატავდეს პარტიის აზრსო. ცენტრალური კომიტეტი განუხილველად ტოვებს კომიტეტის რეზოლუციებს, ხოლო ფურცელში პარტიული ამხანაგებისადმი ამბობს: «ახლა, როცა პარტიამ მხარი დაგვიჭირა...»

კომიტეტებმა ცენტრალურ კომიტეტს უმრავლესობის ლიტერატურა მოსთხოვა, ცენტრალურმა კომიტეტმა უარი თქვა მის მიწოდებაზე, განაცხადა, ჯერ ერთი, იგი პარტიული არ არის, მეორე, ვერაფერს ვერ მოგვცემს პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებისთვისო. ეჰ, ფარისევლებო! ალბათ, ტროცკის ახალი ბროშურა, რომელიც ახა-

ლი «ისკრის» რედაქციით გამოვიდა და ამიტომ, გარკვეულწილად, მის «Credo»-ს წარმოადგენს, პროლეტარიატის თვითშეგნების განვითარებისათვის ბევრ რამეს იძლევა... ბროშურაში ნათქვამია, ძველ და ახალ «ისკრას» შორის მთელი უფსკრულია, ყრილობა იყო რეაქციული ცდა დაემკვიდრებინათ ბრძოლის წრეობრივი მეთოდები, რომ ძველ «ისკრას» პროლეტარიატისათვის არ სცალოდა, ისკრელები პროლეტარიატს უთაურებს უწოდებენო, და ა. შ. და ა. შ. ტყუილად როდი შეაქო სტრუვემ უმცირესობის ტენდენციები, როგორც ცხოვრებისეული... (იხ. ლენინის ფურცელი «თავაზიანი ლიბერალი» *). მიიღეთ თუ არა «ისკრის» ფურცელი ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი საერობო კამპანიის შესახებ? პროპაგანდისა და აგიტაციის ახალ, «უმაღლეს» ტიპს გამოდევნებულმა «ისკრამ» ბევრი სისულელე მოჩმახა, ისიც კი თქვა, ფრთხილად უნდა ვაწყობდეთ დემონსტრაციას, რათა ერობელთა პანიკური შიში არ გამოვიწვიოთო. ლენინმა ამ ფურცელზე უპასუხა ბროშურით «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» **...

ახლა, როცა ცენტრალურმა კომიტეტმა ცენტრალურ ორგანოსთან ყრილობის დაუშვებლობის შესახებ გარიგება მოახდინა, ყრილობა გაურკვეველი ვადით გადაიდება. უმრავლესობამ გადაწყვიტა მაინც მიაღწიოს ყრილობის მოწვევას, მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ შეკავშირდება და დაირაზმება.

ჯერჯერობით ვამთავრებ.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 28 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ი.ზ.ზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 608 — 612. რ ე დ.

** იხ. იქვე, გვ. 621 — 648. რ ე დ.

99

რსდმპ მოსკოვის კომიტეტს

მოსკოვი

29/XI.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი რეზოლუცია მივიღეთ. მადლობა აღთქმული ხელშეწყობისათვის[88]. გთხოვთ გვაცნობოთ კომიტეტის საქმის ვითარება. ვარგა თუ არა ეს მისამართი წერილებისათვის. დარწმუნებული არ ვართ და ამიტომ ასე მოკლედ გწერთ, ბევრი რამ კი უნდა მოგვეწერა[89]. დაუყოვნებლივ გვაცნობეთ წერილის მიღება.

ამხანაგური სალმით

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 29 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1963 წლის
21 აპრილს გაზეთში «მოსკოვსკაია
პრავდა» № 95

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

100

რსდმპ ბაქოს კომიტეტს *

ბ ა ქ ო

29/XI.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენს თხოვნას შევასრულებთ, ჯერჯერობით საცდელად გიგზავნით ნახევარ ფუთ მხოლოდ ჩვენს ლიტერატურას, ყიდვა რომ არ დაგჭირდეთ. თუ ცდა გაგვიმართლდა, გამოგიგზავნით, როგორც თქვენ გვთხოვთ. გარდა ამისა, პაკეტებს ვგზავნით რაისას ** მიერ მოცემული მისამართით. ძალიან გაგვახარა ლენას ამბავმა. რატომ არ

* წერილი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას მიერ ვ. ი. ლენინის დავალებით. რ ე დ.

** ფსევდონიმი დადგენილი არ არის. რ ე დ.

გვწერს? თუმცა, წესიერად მაინცდამაინც არც სხვები იწერებიან. მიიღე თუ არა ჩვენი 10 ნოემბრის წერილი *.

სულ უფრო და უფრო ცხადი ხდება, რომ საბჭო არაფრის დიდებით არ დაუშვებს ყრილობას. პლეხანოვი პირდაპირ ასე აცხადებს: ყრილობა არ იქნებაო! ცენტრალური ორგანო უკეთეს შემთხვევაში მაგიდის ქვეშ ყრის კომიტეტების რეზოლუციებს, ანდა აბრუნებს მათ უხეში ლანძღვით, როგორც ნიკოლაევის კომიტეტის მიმართ გააკეთეს, რომელმაც ყრილობის სასარგებლოდ გამოგზავნა რეზოლუცია, მაგრამ არ დაუცავს საბჭოს მიერ დადგენილი ფორმა, რისთვისაც რეზოლუციის ავტორებს უწოდეს თაღლითები, თვითმარქვიები, რომლებიც ყალბ რეზოლუციებს თხზავენო... საბჭო რომ ა ი ძ უ ლ ო ს და ყრილობა მოაწვევინოს, უმრავლესობა უნდა დაირაზმოს, ამის შესახებ უკვე წერდა ლენინი წინა წერილში. მიიღეთ თუ არა «ისკრის» ფურცელი პარტიის წევრებისადმი საერობო კამპანიის შესახებ? (იხ. წერილი სამეგრელო-იმერეთის კომიტეტისადმი.) **

ჯერჯერობით ვამთავრებ. გამოგვიგზავნეთ კორესპონდენციები, უმრავლესობა ფიქრობს თავისი ორგანო გამოსცეს, პარტიულ დაწესებულებათა ფარისევლური საქციელი სულ უფრო და უფრო გვაიძულებს ამას.

მივიღეთ კავკასიის კავშირის კომიტეტის წერილი (ცენტრალური ორგანოს რედაქციის საშუალებით), მალე ვუპასუხებთ.

გითვლით სალამს. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ბათუმში რა ხდება? როგორია იქ განწყობილება?

დაწერილია 1904 წლის 29 ნოემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 293—295. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 98. რ ე დ.

101

რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს

5/XII. ძვირფასო ამხანაგო! ჩვენ მივიღეთ: 1) შეგნებულ მუშათაგან არჩეულ წარმომადგენელთა განცხადება რსდმპ ბაქოს კომიტეტისადმი ბაქოს კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ, 2) ბალახნელ და ბიბიეიბათელ მუშათა 20 ოქტომბრის ფურცელი, 3) ბაქოს კომიტეტის ფურცელი «მელაკუდობის ახალი პოლიტიკა», 4) საჭირო განმარტება, 5) 9/XI-ის განცხადება. ბაქოს კომიტეტის რეზოლუცია არა გვაქვს, არა გვაქვს აგრეთვე კავკასიის კომიტეტების კონფერენციის რეზოლუცია, რომელიც, ამბობენ, ჩვენთვის გამოუგზავნიათ.

«განცხადების» გამო შემდეგი უნდა ვთქვა. თავის დროზე (ზაფხულში) მოვიდა ცენტრალური კომიტეტის კავკასიელი წარმომადგენლის უაღრესად დაწვრილებითი წერილი უმცირესობის ამბავის გამო. ეს წერილი დაუყოვნებლივ გადაეგზავნა ცენტრალურ ორგანოს, ასე რომ საბჭომ მშვენივრად იცოდა მისი აზრი, იცოდა იგი აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის წევრმა გლებოვმა, რომელიც საქმის გარჩევაში მონაწილეობდა.

უმრავლესობა უშვებს ბროშურას «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», სადაც დაწვრილებით იქნება გარჩეული ეს საქმე ცენტრალური კომიტეტის კავკასიელი წარმომადგენლის შეფასების საფუძველზე [90].

გთხოვთ გვაცნობოთ, რა ზომის შეიძლება იყოს პაკეტები, რომლებიც სოსნოვიციდან იგზავნება. ამ კითხვაზე რაც შეიძლება ჩქარა გვიპასუხეთ.

ახლა «ისკრის» რედაქციასა და უმრავლესობას შორის მიმდინარეობს ცხარე კამათი საერობო კამპანიის საკითხის გამო. რედაქციამ გამოსცა სულელური ფურცელი «მხოლოდ პარტიის წევრთათვის», სადაც სასტიკად აურდაურია ერობებისადმი დამოკიდებულების საკითხში. ლენინმა უპასუხა ბროშუ-

რით «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» *. საკითხი არ შეიცავს რაიმე კონსპირაციულს, ამავე დროს ეს საკითხი იმდენად დიდმნიშვნელოვანია, რომ საჯარო განხილვას მოითხოვს.

ამიტომ მოითხოვეთ, რომ რედაქციის ფურცელი ერობის შესახებ ყველასათვის გადაიბეჭდოს. თორემ საძაგლობაა: «ისკრაში» ერთს ამბობენ, პარტიის წევრებისათვის გამოცემულ ფურცელში კი სხვას. ეს საკითხი ყველას აღელვებს. პარვუსმა გამოგზავნა წერილი, რომელშიც მხარს უჭერს ლენინის თვალსაზრისს და უმცირესობის თვალსაზრისის წინააღმდეგია. ბროშურა «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» თქვენ გამოგეგზავნათ.

გადაეცით ლენას, რომ მისი წერილი მიღებულია, იგი უმცირესობის ხელში მოხვდა და გახსნილი გადმოგვცეს. ამ დღეებში მივწერ მას, ძალიან დიდი პესიმისტია...

ამხანაგური სალმით ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 5 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
ტექსტის მიხედვით

102

მ. მ. ლიტვინოვს

პ ა პ ა შ ა ს ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ

ძვირფასო მეგობარო! ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს წერილზე, რომელიც ძალიან, ძალიან მომეწონა. თქვენ ათასჯერ მართალი ბრძანდებით, რომ საჭიროა მტკიცედ, რევოლუციურად

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 621 — 648. რ ე დ.

ვიმოქმედოთ და ვიდრე რკინა ცხელია, უნდა გამოიჭედოს. გეთანხმებით აგრეთვე, რომ საჭიროა სწორედ უმრავლესობის კომიტეტების გაერთიანება. ახლა ყველა ჩვენთაგანისათვის ცხადია, რომ საჭიროა რუსეთის ცენტრი და იქაური ორგანო. უკანასკნელისათვის ჩვენ უკვე ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეგვეძლო. რიადოვოი თავგამეტებით მუშაობს, მოიზიდა მონაწილენი, მთელ თავის ენერგიას ამას ახმარს, მთელი ძალ-ღონით ეძებს მილიონერს და წარმატების შანსებიც მცირე როდი აქვს. დაბოლოს, თქვენ ათასჯერ მართალი ხართ აგრეთვე, რომ აშკარად უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენს შორის სადავო საკითხი მხოლოდ წვრილმანს ეხება და იგი მშვიდად უნდა განვიხილოთ, სახელდობრ: კომიტეტების კონფერენცია თუ პირდაპირ «უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს» შექმნა (ეს სახელწოდება უფრო მოგვწონს, ვიდრე საორგანიზაციო კომიტეტი, თუმცა, რა თქმა უნდა, სახელწოდებაში როდია საქმე) იმ პირობით, რომ ეს ბიურო სცნოს უმრავლესობის ჯერ რამდენიმე, შემდეგ კი ყველა კომიტეტმა. თქვენ მხარს უჭერთ პირველს, ჩვენ — მეორეს. კონფერენციის მოწვევა საზღვარგარეთ რომ იყოს შესაძლებელი, მე სავსებით დავუჭერდი მხარს ამ კონფერენციას. რუსეთში კი ეს მეტისმეტად სახიფათო, სადავიდარაბო და ნაკლებ ნაყოფიერია. სხვათა შორის ოდესა+ნიკოლაევი+ეკატერინოსლავი უკვე შეთანხმდნენ და «22-ს» დაავალეს «დანიშნონ საორგანიზაციო კომიტეტი». ჩვენ იმით ვუპასუხეთ, რომ ვურჩიეთ სახელწოდება «უმრავლესობის კომიტეტთა ბიურო» და შვიდი კანდიდატი (რუსალკა, ფელიქსი, ზემლიაჩკა, პავლოვიჩი, გუსევი, ალექსეევი, ბარონი). ვწერთ ამის შესახებ ოდესასა და ს.-პეტერბურგს. ალექსეევი უკვე წამოვიდა თქვენთან. უმჯობესი ხომ არ იქნება კანდიდატების არჩევნები მოვაწყოთ რიგაში, ს.-პეტერბურგში + მოსკოვში, შემდეგ ამის შესახებ მაშინვე განვაცხადოთ **საჯაროდ** (გიგზავნით ცნობის პროექტს *), შემდეგ

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 615 — 619. რ ე დ.

გავეშუროთ ჩრდილოეთის კომიტეტში, კავკასიაში, სარატოვში, ნიჟნიში და სხვ., ამასთან ვთხოვოთ მათ შემოგვიერთდნენ და შეძლებისდაგვარად ლიბერალურად ბიუროში დამატებით შევიყვანოთ ორიოდე **მათი** კანდიდატი (თუმცა ნაკლებად დასაჯერებელია, რომ შემოერთებულმა კომიტეტებმა ბიუროს შემადგენლობის დიდი დამატებანი მოითხოვონ). სრულიად ვერ წარმომიდგენია, რომ ბიუროს შემადგენლობის გამო სიძნელეები შეგვხვდეს.

ასეთი ხერხი ხელსაყრელია თავისი სისწრაფით, სიიაფით, უშიშროებით. ამ ხელსაყრელობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან სისწრაფე ახლა ყველაფერია. ბიურო კომიტეტთა გაერთიანების ოფიციალური ორგანო იქნება და ფაქტიურად ცენტრალურ კომიტეტს გათიშვის შემთხვევაში სავსებით შეცვლის. მომავალი ჩვენი ცენტრალური ორგანოს ლიტერატურული ჯგუფის შემადგენლობაც თითქმის დადგენილის (ხუთი ან ექვსი კაცი: რიადოვი, გალიორკა, მე, შვარცი + **ლუნაჩარსკი**+შესაძლოა **ბაზაროვი**). ტრანსპორტს თქვენ მოჰკიდეთ ხელი და რაც შეიძლება ენერგიულად. ჩვენ **აქ** გამოვნახეთ ერთი ყოფილი ბუნდისტი, რომელსაც ძალიან ბევრი უმუშავია ორ საზღვარზე; გვპირდება, თვეში 200 — 300 მანეთად მოვაწყობ საქმესო. ველით მხოლოდ ფულს და შემდეგ მას დაგიკავშირებთ.

თქვენი ხერხი არახელსაყრელია იმით, რომ საქმე ჭიანურდება. სრულიად უსარგებლოდ მიმაჩნია ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოსათვის ულტიმატუმების წაყენება. ცენტრალური კომიტეტი თვალთმაქცობს, ახლა ერთი წამითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ისინი მთლიანად უმცირესობას მიეყიდნენ და ყრილობა სავსებით და უთუოდ უნდათ გააყალბონ. ნუ მივეცემით ილუზიებს. ახლა, როცა ყველა ცენტრი მათს ხელშია, ათასობით საშუალება აქვთ გააყალბონ ყრილობა და მათ **ეს უკვე დაიწყეს.** ჩვენ ამას პრესაში დავამტკიცებთ საბჭოს გადაწყვეტილებათა ანალიზით («ისკრის» № 73 — 74, დამატება). ჩვენ, რასაკვირველია, ყრილობის მომხრე ვართ და ვიქნებით, მაგრამ ყველგან უნდა გავყვიროდეთ, რომ ისინი უკვე

აყალბებენ ყრილობას და რომ ჩვენ ვამხილებთ სიყალბეს. ფაქტიურად კი მე ახლა მეცხრე ადგილზე ვაყენებ ყრილობას, ხოლო პირველზე — ორგანოსა და რუსეთის ცენტრს. არალოიალურობაზე ლაპარაკი სასაცილოა, როცა ჩვენ პირდაპირ გვაიძულეს გაგვეკეთებინა ეს, უმცირესობასთან რომ დადეს გარიგება. სიცრუეა, რომ უმცირესობის ფარული ორგანიზაცია დაიშალა; არა, ამ ფარულ ორგანიზაციაში ცენტრალური კომიტეტის სამი წევრი შევიდა, მეტი არაფერი. ახლა სამივე ცენტრი შეადგენს ფარულ ორგანიზაციას პარტიის წინააღმდეგ. ამას მხოლოდ რეგვნები ვერ ხედავენ. ჩვენ აშკარა ორგანიზაციით უნდა ვუპასუხოთ და ვამხილოთ მათი შეთქმულება.

გთხოვთ, განუმტკიცოთ ყველას ჩვენი ორგანიზაციისა და მომავალი ორგანოს რწმენა. საჭიროა მხოლოდ ცოტა კიდევ მოვითმინოთ, ვიდრე **რიადოვოი** თავის საქმეს დაამთავრებდეს. აგროვეთ და გზავნეთ კორესპონდენციები (ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს წარწერით: ლენინს) და მასალები, **განსაკუთრებით** მუშებისაგან. მე და თქვენ ვერ ვთანხმდებით წვრილმანში, რადგან მე, რასაკვირველია, მხოლოდ გამეხარდებოდა კონფერენცია. მაგრამ, სწორე გითხრათ, ჩიტი ბდღვნად არ ღირს; გაცილებით სჯობს ერთბაშად და დაუყოვნებლივ გამოვაქვეყნოთ ცნობა ბიუროს სახელით, რაც შეეხება მის პირად შემადგენლობას, ამაზე ადვილად შევთანხმდებით. კონფლიქტები ამ ნიადაგზე მოსალოდნელი არ არის. ხოლო რაკი ბიურო თავს გამოიჩენს, მას ყველა უმალ ცნობს და იგი უკვე ყველა კომიტეტის სახელით ილაპარაკებს. ერთხელ კიდევ კარგად დაუფიქრდით ამას და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ.

დაწერილია 1904 წლის 8 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
ბიხედვით

103

გ. დ. ლეიტეიზენს

12/XII. 04.

ძვირფასო ლეიტეიზენ! დღეს ჩვენ საბოლოოდ, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ, გადავწყვიტეთ ორგანოს საკითხი. ვფიქრობთ გამოვცეთ 1 — 10 იანვრიდან; ფორმატი ძველი «ისკრის» ნახევარია («ოსვობოჟდენიეს» მსგავსი); მოცულობა — 100 ათასი ასონიშანი, ესე იგი ძველი «ისკრის» 4 გვერდამდე. გამოსცლა — ორკვირიანი, ხოლო უმჯობესია ერთკვირიანი იყოს [91].

ნომერი დაახლოებით 400 frs ეღირება. ე რ თ ი ნომრისათვის ფული არის, შემდეგ კი — დ ა პ ი რ ე ბ ა ნ ი... ეს ცოტაა, ხოლო პირველ ხანებში გაძლება განსაკუთრებულად ძნელია. ამიტომაც, მახსოვს რა თქვენი წინადადება, მოგმართავთ: რაც შეიძლება ყურადღებით განიხილეთ საკითხი და მოიწეროთ, რა თანხით შეგიძლიათ დაგვეხმაროთ: უკიდურეს შემთხვევაში თქვენი იმედი გვექნება (ჩვენ, გარდა იმისა, რომ რუსეთიდან გვპირდებიან «დიდ თანხას». იმედი გვაქვს, რომ აქაც რამდენიმე ადგილიდან მივიღებთ რამდენიმე ასეულ frs, და, გარდა ამისა, დღემდე მაინც ვახერხებდით ბროშურისათვის გვეშოვა ერთი-ორი ათასი ფრანკი უკანასკნელ სამ-ოთხ თვეში). კარგი იქნება ვიცოდეთ, სულ რამდენი შეგვიძლია უ კ ი დ უ რ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მივიღოთ თქვენგან ნაღდი, როცა ვერსად ვერაფერს გავხდებით და ორგანოს სიკვდილი დაემუქრება.

შემდეგ თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ იმედს ვამყარებთ თქვენზე, როგორც მუდმივ კორესპონდენტზე საფრანგეთის მოძრაობის შესახებ. საჭირო კია ორ კვირაში ერთხელ ვათავსებდეთ 8 — 12 ათას ასონიშანს საფრანგეთის სოციალიზმსა და მუშათა მოძრაობაზე etc. ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ გ ა მ ო გ ვ ი გ ზ ა ვ ნ ე თ 1 ი ა ნ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს.

შემდეგ. რაკი თქვენ საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრე-

ბის au courant * ხართ (როგორც თქვენ მითხარით) და საშუალებაც გაქვთ თვალყური ადევნოთ ახალ ლიტერატურას, ზოგჯერ უკეთ, ვიდრე პარიზიდან, მაშინ, ეგებ, შეძლოთ მიგვანიშნოთ, ხანდახან კი გვიშოვოთ და გამოგვიგზავნოთ, ზოგჯერ რეცენზია დაწეროთ etc., ახალ საინტერესო წიგნებზე, ჟურნალებში დაბეჭდილ სტატიებსა და წერილებზე და სხვ. ახლა ხომ საზღვარგარეთის პრესა რუსეთის შესახებ ძ ა ლ ი ა ნ ბ ე ვ რ ს წერს. ჩვენ ბევრ რამეს ვერასოდეს ვერ შევიტყობთ, ვერ მოვისმენთ, თქვენ კი გაცილებით უფრო მეტ გაზეთს, ჟურნალს, წიგნს ნახულობთ. მაგალითად, ამას წინათ წავიკითხე ომის დროს რუსეთიდან გაქცეული ერთი ფრანგი კორესპონდენტის წიგნის «Rouble et roublards» ** შესახებ. გაზეთისათვის უაღრესად საჭიროა თვალი ადევნოს ასეთ სიახლეებს და წ ე რ ო ს ს ტ ა ტ ი ე ბ ი მათს შესახებ. ძალიან გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ამას და დაგვეხმარეთ ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი ლიტერატურული თანამშრომლობით. მიგვითითეთ ხოლმე აგრეთვე საინტერესო სიახლეებზე და გამოგვიგზავნეთ, ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან გაზეთში სათარგმნად, ამონაწერები etc. თქვენ ხომ თვალს ადევნებთ, ალბათ, თითქმის მთელ ფრანგულ **(და ბელგიურ? ***)** სოციალისტურ პრესას?

მხედველობაში იქონიეთ, რომ ჩვენ, ამგვარად უ ა ღ რ ე ს ა დ ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ ვამყარებთ თქვენზე იმედს.

აუცილებლად ჩამოდით აქ საშობაოდ. უაღრესად საჭიროა მოვილაპარაკოთ, თავისუფლად, საფუძვლიანად, კონკრეტულად.

ხომ არ მიგიწერიათ პლეხანოვისათვის ახალი «ისკრის» «ერობულ» შეხედულებათა შესახებ? რა სულელურია მათი

---

* — კურსში. რ ე დ.

** — «მანეთი და გაქნილები». წიგნის სახელწოდებაში ფრანგული სიტყვების უთარგმნელი თამაშია, რასაც საფუძვლად უდევს მათი თანახმიანობა. რ ე დ.

*** ბელგიაში ჩვენ არა გვყავს კორესპონდენტი. იქნებ თქვენ იკისროთ ან გვირჩიოთ ვინმე?

წერილი, არა? [92] ხოლო სტაროვერი № 78-ში რა საუცხოო რამ არის.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

სხვათა შორის. ხომ არ გამომიგზავნით მასალას, რომ უარვყო სტაროვერის მიერ Clémenceau-ს დამოწმება. დამოწმება ხომ მცდარია [93]. გთხოვთ გამომიგზავნოთ, მიშოვოთ. ერთობ ჭკუის სასწავლებელი იქნებოდა, ფაქტობრივად უარგვეყო იგი.

გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა
1963 წლის 21 აპრილს გაზეთ
«მოსკოვსკაია პრავდაში» № 95

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

104

რ. ს. ზემლიაჩკას

პ ა ს უ ხ ი

13. XII.

მივიღეთ მე-2 წერილი. 1-ლმა ვერ მოაღწია. გილოცავთ ბუკვაზე ლაშქრობის წარმატებით დაწყებას და გთხოვთ ბოლომდე მიიყვანოთ. ორგანო მოგვარებულია, ვფიქრობთ იანვარში გამოვუშვათ. **(ფული საშინლად გვჭირდება.** დაუყოვნებლივ მიიღეთ ყოველი ღონისძიება, რომ თუნდაც 1 — 2 ათასი მანეთი გამოგვიგზავნოთ, თორემ ჰაერში ვართ გამოკიდებული და ალალბედზე ვმოქმედებთ). გვიპასუხეთ დაუყოვნებლივ: 1) როდის ნახავთ ბუკვას და როდის იმედოვნებთ საბოლოოდ გამოარკვიოთ საქმე, 2) რა გითხრათ ბუკვამ, სახელდობრ რამდენს მოგცემთო თვეში? 3) ელაპარაკეთ თუ არა ბუკვას **სისოიკას** შესახებ და სახელდობრ რაზე? 4) რა ხასიათისა უნდა ყოფილიყო ბუკვას შეხვედრა **ჩ ა რ უ შ ნ ი კ ო ვ თ ა ნ** (ლაპარაკი სისოიკასთან? საერთო ნაცნობობა? თუ თანხის გა-

დაცემა?)? მოხდა თუ არა ეს შეხვედრა და როდის შეიტყობთ შედეგს!

დაწერილია 1904 წლის
13 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

105

ლ. ბ. კამენევს

კავკასიის კავშირის საბჭოს მეშვეობით
იურის

ძვირფასო ამხანაგო! დიდი მადლობა თქვენი წერილისათვის და სტატიის: «ისკრის» სამხედრო კამპანიის» დასაწყისისათვის (ბოლო ჯერ არ მოსულა). ჩვენ აქ ისე იშვიათად მოგვდის რუსეთიდან ამბები, ისე იშვიათად გვწერენ «არა მოვალეობით», არამედ აზრთა გაზიარებისათვის, რომ თქვენმა წერილმა განსაკუთრებით გამახარა. გთხოვთ, რაც შეიძლება ხშირად მოგვწერეთ და უფრო ახლო მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს ახალ ორგანოში, რომლის გამოცემასაც უახლოეს მომავალში ვიწყებთ (დაწვრილებითს წერილს ორგანოს შესახებ კავკასიის კავშირს ვუგზავნით და ვთხოვთ თქვენც გადმოგცენ *; გამოითხოვეთ ეს წერილი და რაც შეიძლება ფართოდ გააცანით იგი უმრავლესობის თვალსაზრისზე მდგომ ამხანაგებს). მე მგონია, რომ თქვენი სტატია უდავოდ მოწმობს ლიტერატურულ ნიჭს, და მე ძალიან გთხოვთ ნუ დაანებებთ თავს ლიტერატურულ მუშაობას. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სტატიაც გამოვიყენოთ და გადავაკეთოთ პრე-

* იხ. ვ. ი. ლენინი. «წერილი ამხანაგებისადმი» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 653 — 660). **რ ე დ.**

სისათვის (ახლანდელი სახით, როგორც თქვენ თვითონ უკვე აღნიშნეთ, იგი რამდენადმე მოძველდა). შეეცადეთ რაც შეიძლება მალე გვიპასუხოთ ამ წერილზე და დაამყაროთ ჩვენთან **უშუალო** წერილობითი ურთიერთობა, უაღრესად რეგულარული მიმოწერა. ეს მეტად საჭიროა, როცა ლიტერატურული თანამშრომლობა ესოდენ მცირეა რუსეთიდან. მოიწერეთ ადგილობრივ საქმეებზეც. უმრავლესობის რა ლიტერატურა ნახეთ.

ამხანაგური სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 14 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან კავკასიაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

106

რსდმპ ტვერის კომიტეტს

20/XII. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენი წერილი მივიღეთ. ნადსონის ლექსი «მეფისტოფელის სიმღერები» *. უშუალოდ თქვენ მხოლოდ ორი წერილი გამოგიგზავნეთ, თქვენ კი გვატყობინებთ, 3 მივიღეთო... რატომ არაფერს არ გვიპასუხებთ საერობო კამპანიის გამო და არაფერს არ იწერებით ადგილობრივ საქმეებზე. შემარიგებლები ამტკიცებენ, ტვერის კომიტეტი ჩვენ გვემხრობაო, რის დასამტკიცებლად თქვენი კორესპონდენცია მოჰყავთ, რომელიც მოთავსებულია «ისკრის» № 79-ში ხელმოწერით: «ტვერის კომიტეტი». ამხანაგის ხელით გამოგიგზავნეთ წერილი, რომელშიც გაცნობებთ უმრავლესობის ახალი გაზეთის «ვპერიოდის» გამოცემის ამბავს. იქ დაწვრილებით ვარკვევთ, რამ გვაიძულა გაზეთის გამოცემა დაგვეწყო, განვმარტავთ მის ამოცანებს და სხვ.

---

* გასაღები, რომლითაც სარგებლობდნენ წერილის წაკითხვის დროს. რ ე დ.

შეგვატყობინეთ, მიიღეთ თუ არა ეს ჩვენი დაწვრილებითი წერილი, მოიწერეთ, როგორ ეკიდებით მას. ღვთის გულისათვის, მოგვწერეთ საქმის ვითარების, ადგილობრივი მუშაობის შესახებ. ჩვენ სრულიად არაფერი ვიცით, ტვერში ახლა როგორ წარმოებს მუშაობა, არის თუ არა ლიტერატურა, ტექნიკა, გამოდის თუ არა ფურცლები, როგორი, ფართოა თუ არა კომიტეტის კავშირურთიერთობა, როგორ მიმდინარეობს საერობო კამპანია და სხვა და სხვა. გაიმეორეთ 1) როგოვას შესახებ, 2) ბოლშაკის შესახებ, 3) დედუშკას შესახებ. —

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1904 წლის 20 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

107

მ. პ. გოლუბევას

ი ა ს ნ ე ვ ა ს პ ი რ ა დ ა დ ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ

მოგწერეთ სარატოვში, მაგრამ პასუხი არ მიმიღია *. მოიწერეთ, რას ნიშნავს ეს: განა არ მიიღეთ ჩემი წერილი? თუ ჩვენ გზაში ავცდით ერთმანეთს? თუ პირველია, თქვენი დუმილი მაინც მიუტევებელია: თითქმის წელიწადია ვცდილობთ კავშირი დავამყაროთ სარატოვთან. ხმა გაგვეცით ბოლოს და ბოლოს!

დაწერილია 1904 წლის 23 დეკემბერსა
და 1905 წლის 4 იანვარს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან სარატოვში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 130. რ ე დ.

108

რსდმპ კავკასიის ბიუროს

კავკასიის ბიუროს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღეთ თქვენი განცხადება. არ ვიცით, ბიურო რას იწერებოდა. გაცნობებთ, რაც ვიცით. თავის დროზე თქვენ გადმოგიგზავნეთ სამხრეთის კომიტეტების კონფერენციის რეზოლუცია და 22-ის კონფერენციის მონაწილეთა პასუხი. მცირე შესწორებას შევიტანთ თქვენს მითითებაში იმის შესახებ, რომ სამხრეთის კომიტეტების წინადადება იყო 22-ის ჯგუფს თავისი წრიდან დაენიშნა უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შემადგენლობა. წინადადებას აყენებდნენ დაესახელებინათ საერთოდ ამხანაგები, რომლებიც, 22-ის კონფერენციის მონაწილეთა აზრით, გამოდგებოდნენ ბიუროსათვის. 22-ის კონფერენციის მონაწილეთა პასუხიდან ჩანს, რომ ისინი არამც და არამც არ თვლიდნენ თავს უფლებამოსილად ეკისრათ «დანიშვნა» და, სთავაზობდნენ რა სიას, სთხოვდნენ კომიტეტებს თავიანთი შეხედულებისამებრ შეეცვალათ ან შეევსოთ იგი. თქვენ ხომ მიიღეთ ეს წერილი? ასე უყურებდნენ საქმეს სამხრეთელი ამხანაგებიც, რადგან სავარაუდო შემადგენლობას იგი არ დაეთანხმა და წამოაყენა წინადადება ბიუროში **რიადოვოისა და ზემლიაჩკას** შეყვანის შესახებ (პატარა შენიშვნა: ყველა დასახელებული კანდიდატი, 2-ის გარდა, რუსეთშია, ამასთან ერთი მათგანი ეს-ესაა რუსეთიდან დაბრუნდა და ისევ იქ მიეგზავრება). რამდენადაც ვიცით, მათი არჩევანი კავკასიის ბიუროს არჩევანს დაემთხვა. მაგრამ ამ პირებს უფლებამოსილად არ მიაჩნდათ თავი რაიმე ნაბიჯი გადაედგათ ჩრდილოეთის კომიტეტების კონფერენციამდე, რომელიც უკვე გაიმართა. აი მისი რეზოლუცია *. ამრიგად, ყრილობასა და უმრავლესობის კომიტეტთა ბიუროს შექმნას მხარი დაუჭირა (4 კავკასიის კომიტეტმა+3 სამხრეთის+6 ჩრდილოეთის) ესე იგი 13-მა

* რეზოლუციის ტექსტი არ არის მოყვანილი. რ ე დ.

კომიტეტმა. როგორც ხედავთ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ შესაძლებლობა მიეცეთ რუსეთის კომიტეტებს გამონახონ საერთო ენა. გარდა ამ 13-ისა, ყრილობას კიდევ სხვა კომიტეტებმაც დაუჭირეს მხარი, თვით ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ ყრილობას უკვე 16-მა კომიტეტმა დაუჭირა მხარი, მაგრამ აცხადებს, ახლა ყრილობისათვის უკვე 19 კომიტეტია საჭიროო (ეს განუცხადეს ოდესის კომიტეტს).

ყოველ შემთხვევაში უმრავლესობის კომიტეტებმა უნდა იჩქარონ და დაირაზმონ. ამ დღეებში თქვენ მიიღებთ დოკუმენტებს, საიდანაც დაინახავთ, როგორ დაიწყო ცენტრალური კომიტეტის მოლაპარაკება უმცირესობასთან და რით დამთავრდა ეს მოლაპარაკება: უმცირესობისათვის ტექნიკურ დაწესებულებათა ავტონომიის შენარჩუნებით და ცენტრალურ კომიტეტში სამი ყველაზე თავგამოდებული მენშევიკის (ჯერჯერობით არაოფიციალური) კოოპტაციით, რომელთა კოოპტაციას ცენტრალურ კომიტეტში უმცირესობა თავიდანვე მოითხოვდა. მენშევიკებმა მბრძანებლობა დაიწყეს. ამას ადასტურებს პიტერის ამბავი. მუშები პირდაპირ მიიწევდნენ დემონსტრაციაზე, კომიტეტმა 28-ისათვის დანიშნა დემონსტრაცია, მაგრამ ბევრ რაიონში ორგანიზატორები მენშევიკები იყვნენ (პეტერბურგის კომიტეტს შეუძლებლად მიაჩნდა მუშაობას ჩამოეშორებინა მენშევიკები) და ისინი გამუდმებით ეწეოდნენ გაძლიერებულ აგიტაციას კომიტეტის წინააღმდეგ, ცენტრალურ კომიტეტს ლიტერატურა არ მიუცია კომიტეტისათვის, მენშევიკებს კი ჰქონდათ ლიტერატურა, მაგრამ რასაკვირველია, კომიტეტისათვის არ მიუციათ, დემონსტრაციისათვის მზადება თავიანთ რაიონებში მენშევიკებს არ უწარმოებიათ. დემონსტრაციამდე 3 დღით ადრე მენშევიკები შლიან კომიტეტის კრებას და, სარგებლობენ რა სამი ბოლშევიკის არყოფნით, ფუშავენ დემონსტრაციას, წვავენ 15 ათას ფურცელს, როცა შეძრწუნებული ბოლშევიკები ახალ კრებას იწვევენ, უკვე გვიანაა, ვერაფრის გაკეთებას ვერ ასწრებენ და მუშები თითქმის არ ესწრებიან დემონსტრაციას. საშინელი აღ-

შფოთებაა კომიტეტის წინააღმდეგ, და აი მენშევიკები, რომლებმაც მთელი ეს სისაძაგლე ჩაიდინეს, იმიჯნებიან, ლამის ყველა რაიონს იმხრობენ. მათ ეხმარებიან ლიტერატურით, კავშირურთიერთობით, ფულით. ახლა პიტერში 2 კომიტეტია. ასევე მოიქცევიან, უეჭველია, სხვა ქალაქებშიც. მენშევიკები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, და, სარგებლობენ რა იმით, რომ ხელში ჩაიგდეს ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური ორგანო და საბჭო, ისეთ ხაზს დაადგებიან, რომ უმრავლესობის სახსენებელიც აღარ იქნება. სადღაა აქ პრინციპების ბრძოლა! ყველაზე თავხედური აბუჩად აგდებაა პარტიისაც და პრინციპებისაც. აი რატომ დავიწყეთ ჩვენი ორგანოს გამოცემა. პარტიაში სრული განხეთქილებაა და დაყოვნება არ შეიძლება, თუ არ გვინდა შევურიგდეთ იმას, რომ პარტიულობა შეეწიროს წრეობანას, რომ პარტიაში დიდი ხნით გამეფდეს უპრინციპობა ან ეკონომიზმისა და რაბოჩედელოელობისაკენ იქნეს იგი უკუგდებული.

დაწერილია არა უადრეს 1904 წლის
25 დეკემბრისა
გაგზავნილია ჟენევიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

109

ა. ი. ისაენკოს

გუშინ შევიტყვეთ პეტერბურგის გათიშეის ამბავი. ვერაფერს იტყვი! ოსტატურად მოქმედებენ, ჩანს, არაფერს არ ერიდებიან...

იქნებ ამან მაინც გამოაცოცხლოს ბოლშევიკები და მიახვედროს, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა, თორემ ეს არამზადები გათიშავენ ყველა კომიტეტს *.

დაწერილია 1904 წლის 26 დეკემბერს
გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 46

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ნ. კ. კრუპსკაიას წერილის მინაწერი. **რ ე დ.**

1905 წელი

110

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს ვ. ა. ნოსკოვს, ლ. ბ. კრასინს, ლ. ე. გალპერინს *

ცენტრალური კომიტეტის წევრებს გლებოვს
ნიკიტიჩს
ვალენტინს

ჟენევა. 13. I. 05.

მოწყალეო ხელმწიფენო!

ამასთანავე გიგზავნით ჩემს განცხადებას, რომელიც «ისკრის» № 77-ში დაბეჭდილი თქვენი განცხადების პასუხია[94]. სამედიატორო გარჩევაში ჩემი წარმომადგენლები არიან ამხანაგები შვარცი და ვოინოვი. მათთან ურთიერთობის დასამყარებლად გიგზავნით მისამართს: გაზეთ «ვპერიოდის» ექსპედიცია მავანსა და მავანს.

ნ. ლენინი

გამოგზავნილია ორ კონვერტში მისამართით: Mr. P. Axelrod. 4. Bd. Pont d'Arve. 4.

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* წერილზე არის ვ. ი. ლენინის ჩანაწერი «ასლი». რედ.

111

«ვპერიოდის» კორესპონდენტს

პატ. ამხანაგო!

თქვენი სტატია «როგორ მოვიქცეთ?» პრესისათვის არ გამოდგება. თქვენ ა რ ა რ ს ე ბ უ ლ უთანხმოებებს ქ მ ნ ი თ. ჩვენ იმდენი სერიოზული უთანხმოება გვაქვს, რომ უნდა ვერიდოთ მათს გამრავლებას. ვინ და სად ამბობდა ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ, ძალით უნდა გავრეკოთო?[95] ვფიქრობთ, არავინ. ამას მხოლოდ ვარაუდობდნენ, როგორც ჩვენდა უნებურ გ ა რ დ ა უ ვ ა ლ შედეგს. ჩვენ მოვუწოდებდით წასულიყვნენ კრებებზე, ძ ა ლ ი თ ა ც კი შეეღწიათ, რათა ექადაგათ თ ა ვ ი ა ნ თ ი ლოზუნგები, დასაშვებად მიმაჩნია, რომ ზოგჯერ უხერხული გამოთქმებიც იყო, მაგრამ შარი მოსდო მათ, — ეს ნიშნავს გაიმეორო ახალი «ისკრის» საზიზღარი ხერხები. თქვენ, რასაკვირველია, შარის მოდების სურვილი არა გაქვთ, ეს უეჭველია. მაგრამ «უტაქტობის» არსებობას ვერაფრით ვერ ამტკიცებთ. ხოლო იმის თქმა, რომ «მთელი ტაქტიკა სიტყვა ტაქტით უნდა გამოიხატებოდეს» და სხვ. ეს ვერაფერი შვილი განმარტებაა.

ამხ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის იანვარში
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
წიგნში ««ვპერიოდ» და «პროლეტარი».
1905 წლის პირველი ბოლშევიკური
გაზეთები».
მოსკოვი, გამომც. «კრასნაია ნოვ»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

112

ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს [96]

27. II. 05.

მოწყალეო ხელმწიფევ,

გმადლობთ 24 თებერვლის წერილისათვის. რა თქმა უნდა, თანახმა ვარ ჩემი ორგანიზაციის (გაზეთ «ვპერიოდისა» და რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის უმრავლესობის კომიტეტთა რუსეთის ბიუროს) სახელით მივიღო თქვენი პირობები და აღგითქვამთ, რომ შეასრულებ მათ. ხელწერილი 60 გირვანქისა და 20 გირვანქის მიღების შესახებ მათი დანიშნულების აღნიშვნით ჩვენს გაზეთ «ვპერიოდში» დაიბეჭდება.

გთხოვთ მაპატიოთ ჩემი ცუდი ინგლისური ენის გამო.

გულწრფელად თქვენი ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ჟენევიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ინგლისურიდან

113

რსდმპ პეტერბურგის კომიტეტს

ინგლისის პროლეტარული დაწესებულების — «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტისაგან» (Labour Representation Committee, მდივანი მაკდონალდი) — «ვპერიოდის» რედაქციის მეშვეობით მიღებულია 60 გირვანქა სტერლინგი (1506 ფრანკი) * იმ მუშათა ქვრივებისა და ობლების სასარგებლოდ, რომლებიც 9 (22) იანვარს დაიღუპნენ პეტერბურგში. «ვპერიოდის» რედაქციამ ეს ფული რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ს.-პეტერბურგის კომიტეტს გაუგზავნა და სთხოვა აუცილებლად აცხო-

* დაახლოებით 600 ნანეთი.

ბოს ამ შეწირულების ამბავი ჩვენი პარტიის უკლებლივ ყველა მუშათა ორგანიზაციას (რაიონულ კომიტეტებს, ორგანიზატორთა შეკრებებს, საქარხნო ჯგუფებს და ა. შ.), რომლებიც თვითონ შეძლებდნენ დაგვხმარებოდნენ ფულის სწორად განაწილებაში. სასურველი იქნებოდა, რომ ინგლისელი ამხანაგებისათვის მუშებს თვითონ ეცნობებინათ ფულის მიღება.

გამოგზავნა რა დაზარალებულთა საჭიროებებისათვის 60 გირვანქა სტერლინგი, «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტმა» მაშინვე გამოუგზავნა «ვპერიოდს» კიდევ 20 გირვანქა სტერლინგი აჯანყების საჭიროებისათვის.

ახლა 13 მარტს (28 თებერვალს) «ვპერიოდის» რედაქციამ იმავე კომიტეტისაგან მიიღო კიდევ 90 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 900 მანეთი), აქედან 50 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 500 მანეთი) თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ მუშათა ობლებისა და ქვრივების დასახმარებლად. ფულს ამ დღეებში მივიღებთ და პიტერში გამოვგზავნით.

ყოველი შემთხვევისათვის, იმის გამო, რომ ზოგიერთ მუშას მეგობრები ჰყავს ლონდონში, გაცნობებთ ამ კომიტეტის ზუსტ მისამართს: Labour Representation Committee, Victoria Mansions, 28, Victoria Street, London. S. W. მდივანი — J. Ramsay Macdonald.

აუცილებლად გვიპასუხეთ ამ წერილზე.

დაწერილია 1905 წლის 13 მარტს
ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

114

ი. ი. შვარცს

ეკატერინოსლავში

ძვირფასო ამხანაგო! თქვენს წერილზე დაწვრილებით ამ დღეებში გიპასუხებთ. ახლა სასწრაფოდ გაცნობებთ მხოლოდ შემდეგს: თუ არიან უმრავლესობის მომხრე ორგანიზატო-

რები, მაშინ დაუყოვნებლივ ორიდან ერთი გააკეთეთ: 1) მათი სახელით გაუგზავნეთ ყრილობას წერილი კომიტეტის წინააღმდეგ პროტესტით და გამოთქვით ყრილობაში მონაწილეობის სურვილი; 2) თუ იშოვით 50 მან. და კაცს, მაშინვე გამოგვიგზავნეთ დელეგატი (ჩვენი მისამართი ჟენევაში), ამასთან მანდატი დაუწერეთ ჩვენი გასაღებით.

ნახვამდის. ამ დღეებში კიდევ მოგწერთ. აბა თქვენ იცით, ნუ დააყოვნებთ და შეეცადეთ ახლავე შეასრულოთ ჩვენი თხოვნა, უმჯობესია მეორე, ვიდრე პირველი.

დაწერილია არა უადრეს 1905 წლის
31 მარტისა, ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

115

გ. დ. ლეიტეიზენს

19/4. 05.

ძვირფასო ლ.! შეუძლებელია საორგანიზაციო კომიტეტისაგან მივიღოთ მანდატი, რომ თქვენ მიესალმოთ ყრილობას [97]. ჯერ ვფიქრობდი, ჩვენი ყრილობა 22. 4-მდე გაიხსნებოდა და თვით ყრილობისაგან შევძლებდით თქვენთვის მანდატის მიღებას, მაგრამ ეს არ მოხერხდა; ჩვენი ყრილობა ჭიანურდება *. დაიმოწმეთ «ვპერიოდის» რედაქცია და ყრილობას მიესალმეთ მისი სახელით, ხოლო მისი მეშვეობით — რსდმპ პარტიის სახელით, ეს ყველაფერს აჯობებს.

წერილს მარტოვის სიცრუის შესახებ გავუშვებთ [98]. მოიწერეთ ყრილობიდან.

თქვენი ვ. ულიანოვი

P. S. კაუცკიმ «Neue Zeit»-ის № 29-ში ისევ დაწერა ტყუილები «ვპერიოდისა» და «ისკრის» შესახებ! [99] ურიგო არ

* რსდმპ III ყრილობა გაიხსნა 1905 წლის 12 (25) აპრილს. რედ.

იქნება, სიტყვაში, რომელიც ყ რ ი ლ ო ბ ა ზ ე უნდა წარმოთქვათ, თუ «გაუსწორებთ» მას.

გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

116

ა. ა. პრეობრაჟენსკის

ძვირფასო ამხანაგო! მივიღეთ თქვენი წერილი და ცნობამ ძალიან გაგვახარა. გილოცავთ, რომ დაგიძლევიათ დაბრკოლებანი, რომლებიც შექმნეს ცნობილმა აგენტებმა, სიმართლის დასაფარავად რომ ინიშნებიან [100]. აუცილებლად მიიღეთ ყველაზე ენერგიული ზომები, რათა დაგვიკავშირდეთ უაღრესად წესიერი მიმოწერით. ეს ფრიად საჭიროა. როგორც კი მოგვარდება მიმოწერა, მაშინვე საინტერესო დავალებებს მოგცემთ. ახლა ყრილობას ველოდებით. უახლოეს დღეებში გაიხსნება. ჯერ კიდევ არ გამორკვეულა საბოლოოდ ცენტრალური კომიტეტისა და პლეხანოვის პოზიცია. ისეთი სუნი ტრიალებს, თითქოს გათიშვა გარდუვალი იყოს. გვიპასუხეთ დაუყოვნებლივ, თუ გსურთ შეიტყოთ ყველაზე ზუსტად და ყველაზე მალე ყრილობის შესახებ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი,

ყოფილი ხუტორელი მეზობელი [101]. ცოცხალია თუ არა ის რადიკალ-გლეხი *, რომელიც ჩემთან დაგყავდათ? რა საქმიანობას ეწევა ახლა იგი? რატომ არ გვაკავშირებთ გლეხებთან?

დაწერილია 1905 წლის 21 აპრილამდე
გაგზავნილია ჟენევიდან სამარაში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

*რადიკალ-გლეხი — დ. ი. კისლიკოვი. რ ე დ.

117

პროექტი წერილისა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგისადმი

ლიგას

პატივცემულო ამხანაგებო!

გიგზავნით უწყებას რსდმპ III ყრილობის შესახებ. გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი დამოკიდებულება III ყრილობისა და მის მიერ შექმნილი პარტიის ცენტრისადმი.

ს.-დ. სალმით. ცენტრალური კომიტეტი

P. S. ძალიან გთხოვდით პასუხი ორ კვირაში მოგვეცათ. თუ პასუხი არ იქნა, იძულებული გავხდებით ჩავთვალოთ, რომ ლიგა არ ცნობს III ყრილობას *. რა თქმა უნდა, საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია გავაგრძელოთ აღნიშნული ვადა.

დაწერილია 1905 წლის 23 და 26 მაისს შუა ყენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

118

ი. მ. სტეკლოვს **

პატივცემულო ამხანაგო!

სარედაქციო კოლეგიის წევრმა ამხ. ვას. ვას.-მა მაცნობა, რომ თქვენ ახლა, საზოგადოდ, ს.-დ.-ს შორის თანამედროვე

---

* აქ ტექსტში უცნობის ხელით ჩაწერილია: «რადგან ამას გვაცარაუდებინებს თქვენი წარმომადგენლის ხელმოწერა ცნობილ წერილზე III ყრილობის დელეგატებისადმი». რ ე დ.

** მ. ს. ოლმინსკის მოწმობით, წერილი ი. მ. სტეკლოვისადმი არ ყოფილა გაგზავნილი. რ ე დ.

ტაქტიკურ და ორგანიზაციულ დავაში «პროლეტარის»[102] პოზიციის მხარეზე ყოფილხართ. ჩვენ ყველანი, «პროლეტარის» სარედაქციო კოლეგიის წევრები, ძალიან გაგვახარა ამ ცნობამ. ეჭვი არ გვეპარება, რომ წრეების ეპოქის ძველმა შეტაკებებმა არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეუშალონ ერთობლივ მუშაობას საერთო პრინციპულ ნიადაგზე მტკიცე პარტიული ურთიერთობის პირობებში. აი რატომ მიგვაჩნია ჩვენს მოვალეობად მოგმართოთ წინადადებით, ითანამშრომლოთ რსდმპ ცენტრალურ ორგანო «პროლეტარიში». დიდად მოხარული ვიქნებით, თუ შევძლებთ ასეთი გზით გავაერთიანოთ სოციალ-დემოკრატიის რაც შეიძლება მეტი გავლენიანი წარმომადგენელი ნამდვილად პარტიული კავშირით

სოც.-დემ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის 27 მაისზე
გვიან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

119

ბრაკე-დერუსოს

47 Bd. Port Royal 47. *M. Derousseau.*

ძვირფასო ამხანაგო!

თქვენ ამხანაგ ბელსკისათვის გითქვამთ, რომ არსებობს პ. ლაფარგის სიტყვა დროებით რევოლუციურ მთავრობაში სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობის შესახებ. ძალიან დაგვავალებთ, რაც შეიძლება მალე თუ გამოგვიგზავნით ბროშურას, სადაც ეს სიტყვაა დაბეჭდილი, ანდა დაწვრილებით თუ შეგვატყობინებთ ცნობებს ამ სიტყვის შესახებ[103].

მაპატიეთ ჩემი ცუდი ფრანგული ენის გამო.

დაწერილია არა უადრეს 1905 წლის
11 ივნისისა
გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

120

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს

ჟენევა, 1905 წლის 3 ივლისი.

ძვირფასო მოქალაქევ!

მივიღეთ თქვენი წერილი, რომელშიც იტყობინებით, რომ ბ-ნ პლეხანოვისათვის გაგიგზავნიათ 5049 ფრ. 23. ჩვენი ექსპედიციის გამგემ ბ-ნ პლეხანოვს მისწერა, რომ მოველით აღნიშნული თანხის ნახევრის ჩვენს მისამართზე გამოგზავნას.

მინდა გაგაფრთხილოთ, ძვირფასო მოქალაქევ, რომ თქვენი მხრივ შეცდომაა ბ-ნ პლეხანოვისათვის ფულის გაგზავნა. უკვე გვქონდა პატივი გვეცნობებინა თქვენთვის, რომ ჩვენი პარტიის III ყრილობის შემდეგ «ისკრა» აღარ არის პარტიის ორგანო და ბ-ნი პლეხანოვი აღარ არის ჩვენი პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო ბიუროში. ჩვენ აგრეთვე გვქონდა პატივი გვეცნობებინა თქვენთვის, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ არ გამოუგზავნია დელეგატად სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო ბიუროში და ყველა შემთხვევაში უნდა მიმართოთ ბ-ნ ულიანოვს.

თქვენ გვირჩევთ, ბ-ნ პლეხანოვთან შეთანხმდითო. თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ აბსოლუტურად შეუძლებე-

ლია ჩვენი პარტიის რაიმე შეთანხმება ბ-ნ პლეხანოვთან, სანამ ოფიციალურად არ მოწესრიგდება მისი ურთიერთობა პარტიასთან. აი რატომ ვარ ვალდებული გთხოვოთ, აცნობოთ ბ-ნ პლეხანოვს, რომ თანხის ნახევარი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს (ბ-ნ ულიანოვს) გამოუგზავნოს.

მიიღეთ, ძვირფასო მოქალაქე, ჩვენი ძმური სალამი!

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის
ცენტრალური კომიტეტის სახელით
ვლ. ულიანოვი (ნ. ლ ე ნ ი ნ ი)

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

121

ბ. ჰიუისმანსს

ჟენევა, 1905 წლის 8 ივლისი.

ძვირფასო მოქალაქენო!

ჩვენ მივიღეთ იმ თანხის ნახევარი, რომელიც თქვენ გამოუგზავნეთ რუს სოციალ-დემოკრატებს, ესე იგი 2524 ფრ. $61^1/_2$ სანტიმი. მაგრამ შეცდომა იყო ამ თანხის ამხანაგ პლეხანოვისათვის გაგზავნა. ჩვენ უკვე გვქონდა პატივი გვეცნობებინა თქვენთვის, რომ ამხანაგი პლეხანოვი აღარ არის ჩვენი პარტიის წარმომადგენელი და ყველა გარემოებაში, რომლებიც ჩვენს პარტიას ეხება, უნდა მიმართოთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ე. ი. Mr. Oulianoff, 3 rue de la Colline, Geneve.

მიიღეთ, ძვირფასო მოქალაქენო, ჩვენი ძმური სალამი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტის სახელით
ნ. ლ ე ნ ი ნ ი (ვლ. ულიანოვი)

გაგზავნილია ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-5 გამოცემაში,
ტომი 47

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

122

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

ძვირფასო ვლ. დიმ.!

გიგზავნით «ქაღალდს»*.

თქვენი დანიშვნა სამეურნეო კომისიაში ჯერჯერობით მიზანშეუწონელი გამოდგა: ეს არათუ არ შეამცირებს, გააძლიერებს კიდეც უთანხმოებებს.

რამე თუ მოხდეს, მუდამ მე მომმართეთ. არა მგონია, რომ შოსალოდნელი იყოს უთანხმოებანი. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ცვლილების დროს ტაქტი და სიფრთხილე გვმართებს.

ამბობენ, შემდეგი ნომრისათვის ქაღალდი არ არისო!

მოკითხვა ვ. მ-ს. გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის 31 ივლისს
ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 47, გვ. 308. რ ე დ.

123

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ძვირფასო ან. ვ.!

გიგზავნით პლეხანოვის ახალ ბროშურას. რა უხეირო გამოხდომებსა და «ჩანისკარტებას» მიმართავს მახისტთა წინააღმდეგ! ეს ჩემთვის მით უფრო საწყენია, რომ, არსებითად, პლეხანოვი, სწორად უნდა აკრიტიკებდეს მახს.

ვფიქრობ დავწერო სტატია: «გ. პლეხანოვის ახალი გამოსვლა» [104].

მოამზადეთ წინასიტყვაობა თქვენი ბროშურისა «დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ნარკვევები» [105]. თებერვლის რევოლუციის შესახებ ცალკე გამოვუშვებთ [106].

რუსეთიდან მოგვდის ცენტრალური კომიტეტის წერილები, რომლებშიც თქვენს ლიტერატურულ მუშაობაზე ამყარებენ იმედს [107]. ძალიან გვიჭირს თქვენი მუდმივი და ახლო თანამშრომლობის გარეშე. მართალია, გაზეთი მოდის, მაგრამ მასშიც არის ერთგვარი ერთფეროვნება. ეს ერთი. მეორეც: არ არის ბროშურები, განსაკუთრებით პოპულარული. უნდა განაგრძოთ «მეფესთან პეტერბურგელ მუშათა მისვლის ამბავის» სულისკვეთებით.

ჩემი ბროშურა ამ კვირაში გამოვა *. გამოგიგზავნით.

ყრილობის ოქმები, ალბათ, აგვისტოში გამოვა.

ვას. ვას. მთლად ჩაეფლო წვრილ-წვრილ საქმეებში და არ იწერება, რაც მეტად საწყენია.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1905 წლის 1 აგვისტოს
გაგზავნილია ჟენევიდან
ვიარეჯოში (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* ლაპარაკია ბროშურაზე «სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 1 — 162). რ ე დ.

124

რსდმპ ცენტრალურ და პეტერბურგის კომიტეტებს

აბსოლუტის მისამართით

ცენტრალური კომიტეტისა და ს.-პეტერბურგის კომიტეტის წევრებს ლენინისაგან

14. VIII.

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე რა ამხ. კონსტანტინე სერგის ძის წერილი და «განცხადება», ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გიპასუხოთ შემდეგი და გთხოვოთ წაუკითხოთ ეს პასუხი პეტერბურგის კომიტეტის ყ ვ ე ლ ა წევრს. რა თქმა უნდა, კონფლიქტი, პარტიის წესდების თანახმად, ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა განიხილოს, და მე სულაც არ ვჩემულობ აქედან განსჯას, მაგრამ იმის გამო, რომ დაიმოწმეს «ლუშინის წერილი», როგორც საზღვარგარეთის პროდუქტი, უნდა მოგაწვდინოთ ჩემი ხმა. ლუშინი უმრავლესობიდან უმცირესობასთან გადასული ერთი მურტალი კაცია, განაწყენებულია იმის გამო, რომ III ყრილობაზე არ მიიწვიეს. «ლუშინის წერილი» გამოცემული იყო მის მიერ (ბეჭდურად) III ყრილობამდე, და შეიცავდა სულელურ საყვედურს უმრავლესობისადმი, რომ ს ა კ მ ა ო დ მ ტ კ ი ც ე დ ა რ (!) ომობენ უმცირესობის წინააღმდეგ. ამ წერილზე ამხ. კონსტანტინე სერგის ძის ხელის მოწერა შეცდომა იყო, მაგრამ დიდი უგუნურება იქნებოდა დანაშაულად ჩაგვეთვალა ეს. შეცდომა სავსებით შეიძლება ეპატიოს კაცს, რომელიც არ იცნობს საზღვარგარეთის «ზნე-ჩვეულებებს» (ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უზნეობას), კონსტანტინე სერგის ძემ ამ სუბიექტს — ლუშინს თვითონ მაშინვე შეაქცია ზურგი. კონსტანტინე სერგის ძეს ჯერ ვიცნობდი როგორც ს ა უ ც ხ ო ო, ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას კორესპონდენტს, შემდეგ კი პ ი რ ა დ ა დ გავიცანი ჟენევაში და უნდა გამოვთქვა აზრი საზოგადოდ მისი, როგორც მუშაკის სასარგებლოდ, და გადა-

ჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ დაიმოწმონ «ლუშინის წერილი», რათა ბრალი დასდონ კონსტანტინე სერგის ძეს[108].

დაწერილია 1905 წლის 14 აგვისტოს
გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

125

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

ლენინისაგან ცენტრალურ კომიტეტს

30. IX. 05.

ძვირფასო მეგობრებო!

1) გიგზავნით მალიხთან ხელშეკრულების პროექტს მთელი ცენტრალური კომიტეტის დასამტკიცებლად[109]. გირჩევთ დამტკიცოთ — თორემ აქ უამრავ ხალხს პურის ფული არა აქვს, პარტია კი ვერ არჩენს მათ (მათ შორის არიან «პროლეტარის» რედაქტორები და თანამშრომლები). ეს სერიოზული საკითხია, და ძალიან გთხოვთ ერთის დაკვრით ნუ გადაჭრით: თორემ შეიძლება სასტიკი კრიზისი გამოიწვიოთ.

2) გირჩევთ 50% 100%-მდე გაზარდოთ. მალიხი უნდა დაგვეთანხმოს.

3) შემდეგ დაავალეთ მას აუცილებლად ახლავე დაემორჩილოს იმ პირის იდეურ ხელმძღვანელობას (და არა მხოლოდ კონტროლს), რომლის შესახებაც შეუთანხმდეს ცენტრალურ კომიტეტს. ეს სავსებით შესაძლებელია, იგი თანახმა იქნება, ამ პუნქტის პრინციპული მნიშვნელობა კი უდიდესია, ხოლო ხვალ პრაქტიკული მნიშვნელობაც უაღრესად დიდი იქნება.

4) მეც და განსაკუთრებით თქვენს თავსაც საერთაშორისო ბიუროს წინაშე უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ, როცა არ ნიშნავთ წარმომადგენელს კონფერენციაზე და არ

გზავნით აქ დაპირებულ ცენტრალური კომიტეტის წევრებს [110]. ღვთის გულისათვის, გამიგეთ, რომ ამით იმხედრებთ მთელ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას. მე უკვე მაქვს საერთაშორისო ბიუროს შეკითხვა ცენტრალური კომიტეტის უცნაური დუმილის შესახებ (მე ვუპასუხე, რომ თქვენ პრინციპულად თანახმა ხართ, გაიმართოს კონფერენცია სამედიატორო სასამართლოს გარეშე, რომ მალე თქვენგან იქნებიან დელეგატები და რომ რუსეთში წარმოებს მოლაპარაკება საორგანიზაციო კომისიასა და ცენტრალურ კომიტეტს შორის).

საჭიროა საერთაშორისო ბიუროს ზუსტი და ნათელი ოფიციალური პასუხი მისცეთ, თორემ თქვენ საშინლად იტეხთ სახელს, თითქოს თავს არიდებთო [111].

5) თქვენი ჩამოსვლის იმედი აღარ მაქვს, რატომ სიტყვაც არ მოიწერეთ სისოიკას დაღუპვის შესახებ? მოიწერეთ, საბოლოოდ აიღეთ თუ არა ხელი ჩამოსვლის გეგმაზე? საერთოდ თვეზე მეტია თქვენგან არავის ამბავი არ მომსვლია.

6) პლეხანოვის შესახებ გაცნობებთ აქ დარხეულ ხმებს. იგი აშკარად გაავებულია ჩვენზე იმის გამო, რომ საერთაშორისო ბიუროს წინაშე ვამხილეთ. მეეტლესავით იგინება «დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში [112]. ლაპარაკობენ ხან მის განსაკუთრებულ გაზეთზე, ხან «ისკრაში» მის დაბრუნებაზე. დასკვნა: მისდამი უნდობლობა უნდა გაძლიერდეს.

გართმევთ ხელს. მოკლედ მაინც მიპასუხეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

126

ხერსონელ ბოლშევიკებს

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენთან ნამყოფი ამხანაგისაგან მივიღეთ მისამართი წერილებისათვის და ვჩქარობთ ვისარ-

გებლოთ ამ მისამართით, რათა უშუალოდ დაგიკავშირდეთ. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ უშუალო კავშირურთიერთობასა და აზრთა გაზიარებას და სწორედ ამიტომ ვცდილობთ დავამყაროთ კავშირი. მოგვწერეთ მისამართით: ბ-ნ ალბერტ მილდეს, მარიენშტრასე, 13. II. ლაიფციგი. (Albert Milde, Marienstrasse, 13. II).

ნ. ლენინი

დაწერილია 1905 წლის 10 ოქტომბერს ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალში «კრასნი არხივ» № 1

იბეჭდება მანქანაზე ნაბეჭდი პირის მიხედვით (პერლუსტრაცია)

127

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

ცენტრალურ კომიტეტს

16. X. 05.

ძვირფასო ამხანაგებო! მოველაპარაკე ივანე ვასილის ძის კაცს და გუშინ გამოვგზავნე დეპეშა ჩემი თანხმობის შესახებ. დაე ივანე ვასილის ძემ ან სერგი ვასილის ძემ მოახდინონ საჭირო შემცირებანი «ბედნოტაში» [113], თუ მას პეტროვს გამოართმევთ. მე თანახმა ვარ გამოართვათ იგი პეტროვს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს არ იყოს კავშირის გაწყვეტა პეტროვთან ან ჩემ მიერ პეტროვის პირდაპირი მოტყუება, ვინაიდან მე მივეცი პეტროვს ნებართვა ესინჯა და გაეყვანა ეს ბროშურა. მაშასადამე, საჭიროა 1) ყოველ შემთხვევაში ავუნაზღაუროთ პეტროვს უკვე გაწეული ხარჯები (ივანე ვასილის ძის კაცი დაეთანხმა ამას); 2) დავიყოლიოთ პეტროვი იმ აზრით, რომ დაემორჩილოს უმაღლესი კოლეგიის გადაწყვეტილებას (ე. ი. მე ნება დავრთე პეტროვს მოესინჯა, ცენტრალურმა კომიტეტმა კი დაადგინა ბელოვს გადასცემოდა, — რათა პეტროვს უფლება არ ჰქონოდა უწესო

კონტრაგენტად მივეჩნიე). თუ პეტროვმა უკვე მოახერხა გაყვანა, ძალიან გირჩევთ არ გამოართვათ, რადგან არ ვიცი, ბელოვი პეტროვს რით სჯობს; 3) გთხოვთ ამის თაობაზე მისწეროთ ჩემს დას* (ეს ძნელი არ არის), იგი როგორმე ჩემი სახელით უკვე მოაგვარებდა ამ საქმეს.

რაც შეეხება პეტროვს, აქ ყველას ვაცნობებ, 1) რომ ცენტრალურ კომიტეტს ხელშეკრულება არ დაუმტკიცებია; 2) რომ აყრილი არა გვაქვს უფლება გავურიგდეთ პეტროვს ცალ-ცალკე ყოველი სტატიის შესახებ, რადგან მონოპოლია დაწესებული არ არის; 3) რომ რეკომენდებულია მიმართონ ხოლმე, როგორც უფრო ხელსაყრელსა და უფრო პარტიულს, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობას.

ყველაფერი ვთქვი? მოიწერეთ, სავსებით სწორად გაგიგეთ თუ არა.

თქვენი ხელშეკრულება ნოლინთან კარგია, მაგრამ ვ'შიშობ. ფიქტიური ხომ არ არის? «სარედაქციო კომიტეტი» = 7 — 4 — 1 = 2!! და ეს ორი კაციც ყელამდეა ჩაფლული სხვა საქმეში!! ეს სარედაქციო კომიტეტი კი არა, ფიქციაა. მერე, ნოლინთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, ყველანი თქვენ უამრავ სამუშაოს (რადინი, კამენევი, ვერნერი, შმიდტი, ლიადოვი, ბაზაროვი, ფედოროვიჩი და ა. შ. და ა. შ., — თუ ბელოვმა არ მომატყუა?) აძლევთ ბელოვს. ეს რაღას ნიშნავს? ნოლინი — სულისათვის, ბელოვი კი ხორცისათვის, ასეა ხომ? თუ ჩვენი შეხვედრა არ გაიმართა, ნუ დაიზარებთ და წერილობით გამარკვიეთ დაწვრილებით, რაშია საქმე. საერთოდ შეუძლებელია, რომ გამომცემლობის რთულ და სადავიდარაბო საქმეს არალეგალური პირები ანდა რსდმპ წევრები ეწეოდნენ. აი რატომ არის, რომ ბელოვი (პეტროვი კი ბელოვზე უარესი არ არის) წინ გვისწრებს. და მე ძალიან დაბეჯითებით გაფრთხილებთ, რომ კვლავაც ასე იქნება, რადგან ბელოვს ჰყავს საქმის კაცები, რომლებიც მ თ ლ ი ა ნ ა დ საქმეს არიან გადაყოლილი. ნოლინის «სარედაქციო კომიტე-

* იგულისხმება ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა. რ ე დ.

ტი» კი (დარწმუნებული ვარ) ვერ შეძლებს ძალების თუნდაც $^{1}/_{100}$ მოახმაროს ამ საქმეს. ჩვენ გადავყვებით ლაპარაკს, განსჯა-გამგებლობას, შევიკრიბებით ხოლმე (ჩვენ ამ საქმეებური საქმით ზაფხულიდან, ნახევარი წელიწადია, დაკავებული ვართ), ხოლო ბელოვი და პეტროვი საქმეებს მოაკვარახჭინებენ. მე ამას სასაყვედუროდ არ ვამბობ, რადგან სასაცილოა ამის გამო საყვედურის თქმა, — ეს გარემოებათა გარდუვალი შედეგია. ეს შეიცვლება 1) ან თავისუფლების პირობებში — მაშინ საზოგადოდ ყველაფერი შეიცვლება; ან 2) თუ პიატნიცკი ისევე მოჰკიდებს ხელს საქმეს, როგორც ბელოვი და პეტროვი, რის ძალაც პიატნიცკის აო შესწევს, რადგან მთელი ყურადღება სხვა რამეზე აქვს გადატანილი.

P. S. მივიღე «რაბოჩის» № 2. ფელეტონის შესახებ ვაპირებ დაწვრილებით მოგწეროთ. მის ავტორს არ უნდა აეღო ასეთი თემები: გამოდის რაღაც «სენტიმენტალური» სოციალიზმი, ძალიან საშიში რამ [114].

გაგზავნილია ქენევიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის კრებულში XVI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

128

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს *

17. X. 05.

პატივცემულო ამხანაგო!

შოლცთან საქმე ისე შეტრიალდა, რომ ნათელი ხდება — სტამბის გამგის მიზეზით პარტიას შესაძლოა დიდი ზარალი **მოუვიდეს.** [115].

---

* წერილზე არის ვ. ი. ლენინის ჩანანიშნი. «გაგზავნილია 17/X. 05». რ ე დ.

გარდა ამისა, პარტიულ სტამბაში «დემოსის» შეკვეთების შესრულება ასევე დაკავშირებულია პარტიისათვის ზიანის მიყენებასთან საქმის არასწორად წარმართვის გამო.

ამიტომ და იმის გამო, რომ «დემოსის» საქმეები, რომლისადმი კონტროლი ცენტრალურმა კომიტეტმა მე დამავალა, ა რ მ ო ი თ ხ ო ვ ს თქვენს ლონდონში ყოფნას ახ. სტ. 21 ოქტომბერზე ადრე, მე **დ ა ბ ე ჯ ი თ ე ბ ი თ** გთხოვთ, ივ. პ.-სთან შეთანხმებით, უარი თქვათ ბერლინში გამგზავრებაზე და **დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ** გამოემგზავროთ ჟენევაში იმ საქმეების მოსაგვარებლად, რომლებიც თქვენ ცენტრალურმა კომიტეტმა დაგავალათ.

ნ. ლ ე ნ ი ნ

P. S. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ იმას, რომ «დემოსის» საქმეების მომიზეზება თქვენი შემდგომი არყოფნის გასამართლებლად, თქვენი მხრივ სწორი არ იქნებოდა, რადგან აზრი ვკითხე ი. პ.-ს და დავრწმუნდი, რომ «დემოსის» საქმეები ასევე მოითხოვენ ახლა თქვენს **დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ** დაბრუნებას.

P. P. S. სარჩელი შოლცმა წარადგინა (2031 frs. 25-ზე) 17. X-ს. გადახდის ვადაა 27. X. საჭიროა კიდევ რამდენიმე (minimum 5) დღე ვექილთან მოსათათბირებლად.

გაგზავნილია ჟენევიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

129

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო, საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ გამომიგზავნა ვალიანის წერილი, რომელშიც მოყვანილია საფრანგეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წინადადება. **ბიურო მთხოვს ეს წერილი განსახილველად** გადავცე ჩემი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებას და რაც შეიძლება მალე მივცე პასუხი. ვალიანის წერილში ნათქვამია:

«ჩემს წერილში დასმულ საკითხს, რომელიც თქვენ დაგზავნეთ ცირკულარულად, გარკვეული წინადადება უნდა დაესახა. დღეს გიგზავნით ამ წინადადებას. ეს ადრე ვერ მოვახერხე, რადგან ამ წინადადებისათვის მეტი წონის მისანიჭებლად საჭირო იყო, რომ იგი დაეყენებინა მთელ პარტიას, სოციალისტურ პარტიას (საერთაშორისო მუშათა პარტიის საფრანგეთის სექცია), რომელმაც ეროვნული საბჭოს კრებაზე 24 სექტემბერს (11 სექტ.), კვირას, პარიზში მიიღო კიდეც იგი ერთხმად თავის რწმუნებულთა სახით. აი ეს წინადადება გადაწყვეტილების მისაღებად საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მიერ განხილვის შემდეგ: «როგორც კი მოვლენები, აშკარა თუ ფარული, აღგვიძრავენ შიშს მთავრობათა ნოსალოდნელი კონფლიქტის გამო და შესაძლებელს გახდიან ომს, მაშინვე დაინტერესებული ქვეყნების სოციალისტურმა პარტიებმა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს თხოვნით უშუალო ურთიერთობა უნდა დაამყარონ ერთმანეთთან იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ და თავი მოუყარონ მუშათა და სოციალისტთა შეერთებული ძალების ზემოქმედების საშუალებებს, რათა თავიდან აიცილონ და ხელი შეუშალონ ომს.

ამავე დროს, საერთაშორისო სოციალისტური ბიურო სხვა ქვეყნების პარტიებს მიიწვევს კრებაზე, რომელიც გაიმართება ისე ნაღვ, როგორც ეს შესაძლებელი იქნება, რათა გამოარკვიონ, მთელი ინტერნაციონალისა და ორგანიზებული მუშების რა მოქმედებაა ყველაზე შესაფერისი, რომ თავიდან აიცილონ და ხელი შეუშალონ ომს».

ყორესთან ერთად მე გთხოვთ დაუყოვნებლივ გაუგზავნოთ ახალი ცირკულარული წერილი ყველა პარტიას. თქვენ გესმით, როგორ გაიგებენ ყველა ქვეყნის სოციალისტებიც, თუკი ისინი დაგვეთანხმენ, რაოდენ მნიშვნელოვანია, შესაძლო მოვლენათა გამო, არ გადადოთ ამ საკითხის განხილვა ბიუროს შორეულ კრებამდე და პირდაპირ გამოუგზავნოთ ბიუროს თქვენი თანხმობა; ამრიგად, თუ წინადადებას მიიღებთ, როგორც ვიმედოვნებთ, მას შეტაკების შემთხვევაში მაშინვე აღვასრულებთ».

ჩემდათავად დავძენ, რომ, ჩემი აზრით, ეს წინადადება რამდენადმე გულუბრყვილოა, რადგან ერთადერთი, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მთავრობათა კონფლიქტის შემთხვევაში, ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა.

დაწერილია 1905 წლის 18 ოქტომბერს
გაგზავნილია ჟენევიდან რუსეთში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება უცნობის
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით,
ვ. ი. ლენინის
შესწორებებით.

130

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო კომისიას

ამხანაგების თხოვნით მომყავს შეძლებისდაგვარად ზუსტი ცნობები სამეურნეო კომისიის შესახებ [116].

სამეურნეო კომისია შედგება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის მიერ საგანგებოდ დანიშნული ამხანაგებისაგან.

ამჟამად (20. X. 05) მასში შედიან ამხანაგები: ბონჩ-ბრუევიჩი (სტამბის გამგე), კრუჩინინა (მოლარე და ექსპედიციის გამგე), ილინი, ლენინა (ცენტრალური კომიტეტის მდივანი), აბრამოვი *, კნოლი, ვეტჩინკინი, ლადიჟნიკოვი და ნიკ. ვასილის ძე.

საზოგადოდ, სამეურნეო კომისიის ფუნქცია ის არის, რომ ასრულებდეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის სამეურნეო მუშაობას და ხელს უწყობდეს ცენტრალურ კომიტეტს მთელ მის საზღვარგარეთის მუშაობაში. ამას განეკუთვნება ტექნიკაც (სტამბა, ექსპედიცია და სხვ), ფინანსებიც, ტრანსპორტიც, რუსეთში ადამიანების გაგზავნაც, შეიარაღების ღონისძიებანიც და სხვ., ცენტრალური კომიტეტის ყველა აგენტის მუშაობის გაერთიანებაც, ცალ-ცალკე ყველა აგენტის მუშაობისადმი კონტროლიც, და სხვ., ის საქმეებიც, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი საგანგებოდ ავალებს სამეურნეო კომისიას.

სამეურნეო კომისია თვითონ ირჩევს თავის თავმჯდომარეს ან მდივანს და ა. შ. და თავის წევრებს შორის სამუშაოს ანაწილებს, გარდა მუდმივი გამგეების (ექსპედიციის, სალაროს, სამდივნოს, სტამბის, ტრანსპორტისა და სხვ.) დანიშვნისა. რაც დამოკიდებულია ცენტრალურ კომიტეტზე.

---

* აბრამოვი — იხ. ავრამოვი (აბრამოვი), რ. პ. რედ.

სამეურნეო კომისიის გადაწყვეტილებანი შეიძლება გააუქმოს ცენტრალურმა კომიტეტმა ან მისმა საზღვარგარეთელმა წარმომადგენელმა, მაგრამ თავისთავად, თუ სამეურნეო კომისიის რომელიმე წევრის აპელაცია ან ვინმეს პროტესტი არ იქნა, მის გადაწყვეტილებებს ცენტრალური კომიტეტი არ უნდა ამტკიცებდეს.

ცენტრალური კომიტეტის ცალკეული აგენტების (მოლარის, მდივნის, სტამბის გამგის და ა. შ.) საქმიანობისათვის კონტროლის გასაწევად სამეურნეო კომისია თავისი წრიდან ნიშნავს ამხანაგებს, რომლებიც სრულად გაეცნობიან აგენტის მთელ საქმიანობას და სამეურნეო კომისიას მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს მოახსენებენ, აგრეთვე პერიოდულად რევიზიას გაუწევენ მისი მუშაობის მსვლელობას. გამონაკლისი შეიძლება იყოს ცალკე საქმეები ან საქმეთა ცალკე დარგები, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით ცენტრალური კომიტეტი გამოყოფს სრულიად ცალკეულ და სამეურნეო კომისიის კონტროლს დაუქვემდებარებელ საქმეებად. ცენტრალური კომიტეტის ყველა ჩვეულებრივი და მიმდინარე საქმე სამეურნეო კომისიის კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს.

სამეურნეო კომისია ცენტრალურ კომიტეტს ეხმარება საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტის[117] საქმიანობისადმი ხელმძღვანელობაში — არა იმ ფორმით, რომ მითითებანი აძლიოს საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტს, ვინაიდან საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტი ავტონომიური ორგანიზაციაა, არამედ იმ ფორმით, რომ მის ანგარიშებს სწავლობდეს, განიხილავდეს მის ნამუშევრებს, ეცნობოდეს საქმის დაყენებას და ეძიებდეს მისი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თუ ამხანაგებს, რომლებმაც სამეურნეო კომისიის ფუნქციათა უფრო ზუსტი განსაზღვრის სურვილი გამოთქვეს, საჭიროდ მიაჩნიათ შედგეს დაწვრილებითი წესდება, მაშინ სამეურნეო კომისიამ განიხილოს მთლიანი შემადგენლობით ეს

წესდება, შემდეგ კი მას ცენტრალური კომიტეტი დაამტკიცებს.

დაწერილია 1905 წლის 20 ოქტომბერს
ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ლენინის V კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

131

გ. დ. ლეიტეიზენს

ჟენევა, 1905 წლის 23 ოქტ.

ძვირფასო ლ.!

ახლა მივიღე ბრაკის ცნობა საფრანგეთის Parti Socialiste-საგან, რომ მათი პარტიის ყრილობა გაიმართება Châlon-sur-Sâone-ში, 27 — 30. X — 1. XI. Le meilleur accord est réservé aux délégués de l'Etranger *.

იქნებით თუ არა თქვენ? მ ო ი წ ვ ე რ ე თ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ თუ იქნებით, იყავით ჩვენი წარმომადგენელი და აუცილებლად თქვით ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ა ნ ი სიტყვა და მიესალმეთ რუსეთის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი სოციალ-დემოკრატიის სახელით.

თუ არა, მ ა შ ი ნ ვ ე შემატყობინეთ. მაშინ ჩვენ აქედან გავგზავნით დაწვრილებითს მისალმებას [118].

მაშ ასე, მიპასუხეთ!

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* საზღვარგარეთის დელეგაციებს საუკეთესოდ მიიღებენ. რ ე დ.

132

გ. დ. ლეიტეიზენს

ძვირფასო ლ.! გეთაყვა, ნუ დაიზარებთ და დაგვიწერეთ სტატია ან თუნდაც წერილი გედთან, ლაფარგთან და ბრაკესთან თქვენი ინტერვიუს შესახებ, რომელიც ეხებოდა დროებითს რევოლუციურ მთავრობასა და ჩვენს მონაწილეობას. ეს საჭიროა «პროლეტარისათვის» (ანდა «ნოვაია ჟიზნისათვის» [119], იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარება იქნება). თუნდაც რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ მოიწერეთ, და რაც შეიძლება ჩქარა! [120]

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1905 წლის
ნოემბრის დამდეგს
გაგზავნილია ჟენევიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

133

ნ. თ. ნასიმოვიჩს

ამხ. დირკს! გეთაყვა, უთხარით ვლ. დიმ. ბონჩ-ბრუევიჩს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გამოსცეს პარტიის პროგრამა ცალკე ბროშურად ყდით, გამოცემათა სიით, ექსპედიციის მისამართით და სხვ. და დაამატრიცოს იგი.

მანამდე კი ძალიან გთხოვთ ერთხელ კიდევ ორივემ გულდასმით შეამოწმოთ, ხომ არ არის უმცირესი კორექტურული შეცდომები. შეუჯერეთ II ყრილობის ოქმებს.

ამ ბროშურის ფასი უნდა დაწესდეს საცალოც და საბითუმოც (100 ეგზ., 1000 ეგზ.).

დაწერილია 1905 წლის
9 ნოემბერზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1906 წელი

134

გ. ა. კუკლინს

A Mr. G. Koukline 15. Rue de Candolle. Genéve.

პატივცემულო ამხანაგო!

მე უაღრესად მაწუხებს ბედი ერთი პაკეტისა, რომელშიც ისტორიული მნიშვნელობის ქაღალდებია[121]. ეს პაკეტი იმ ქაღალდებს შორის ჩარჩა, რომლებიც თქვენთან აწყვია და რომელთა თაობაზე ამ ზაფხულს საისტორიო ჟურნალის რედაქტორი გესაუბრათ.

ძალიან დამავალებთ, თუ მაცნობებთ, როგორ არის ამ პაკეტის მონახვისა და აქ გამოგზავნის საქმე: სად არის ჩემოდანი ან ყუთი და ადვილად შეიძლება თუ არა იქ ამ პაკეტის ნახვა?

ს.-დ. სალმით ვ. ულიანოვი

მისამართი: ქალ. პეტერბურგი.
რკინიგზების სამმართველო, ფონტანკა, ობუხოვის ხიდთან. ივანე ნიკოლოზის ძე ჩებოტარიოვს.

დაწერილია 1906 წლის 14 სექტემბერს
გაგზავნილია კუოკალიდან
(ფინეთი) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

1907 წელი

135

ე. ავენარს [122]

1907 წლის 1 (14) მარტი

ძვირფასო ბატონო ავენარ!

გმადლობთ წერილისათვის.

მე გთხოვდით შეგეტანათ შემდეგი შესწორებანი:

(1) გვერდი 6 (№ 1). თქვენ ჩემს სიტყვებს ასე გადმოსცემთ: «არ ვაწარმოოთ მუშაობა ბურჟუაზიული რევოლუციის სასარგებლოდ, რომელიც გააბრიყვებდა მუშათა კლასს».

ეს ძალზე არაზუსტია. ჩვენ, ს.-დ. რევოლუციონერებმა, არა მარტო უ ნ დ ა ვაწარმოოთ მუშაობა ბურჟუაზიული რევოლუციის სასარგებლოდ, არამედ სათავეშიც უნდა ჩავუდგეთ მას, წარვმართოთ იგი, გ ლ ე ხ ებ თ ან ე რ თ ა დ, ცარიზმის წინააღმდეგ და ლ ი ბ ე რ ა ლ ებ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

იქნებ, სჯობდეს ვთქვათ: «... ერთობლივ მუშაობაში არა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად, რომელსაც სურს ბოლო მოუღოს რევოლუციას, არამედ დემოკრატიულ გლეხობასთან ერთად ბურჟუაზიის უნამუსობისა და გამცემლობის წინააღმდეგ, რომელიც დღითი დღე სულ უფრო კონტრრევოლუციური ხდება».

ჩვენ, ბოლშევიკები, **აგრეთვე** იმის მომხრენი ვართ, რომ პროლეტარიატი მონაწილეობდეს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციაში. მაგრამ ჩვენ კ. კაუცკისთან ერთად მიგვაჩნია, რომ სწორედ გლეხობასთან ერთად, და არა ლიბერალებთან ერთად, პროლეტარიატს შეუძლია საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანოს ბურჟუაზიული რევოლუცია.

(2) გვერდები 3 — 4.

სტოლიპინის სტატია «ნოვოე ვრემიაში»[123] გამოქვეყნდა არა 6 იანვარს, არამედ 4 იანვარს (ძველი სტილით).

(3) უნდა დაუმატოთ, რომ მილიუკოვი სტოლიპინთან 15 იანვარს იყო.

(4) თქვენი სტატიის ბოლო სიტყვები: «... გლეხ პროლეტართა აურაცხელი მასები».

«გლეხ პროლეტართა» კი არა, «დემოკრატიული გლეხობის».

სოციალურ (სოციალისტურ) რევოლუციაში ჩვენ შეგვიძლია იმედი დავამყაროთ მხოლოდ ქალაქის პროლეტარებსა და სოფლის პროლეტარებზე. მაგრამ ახლა ჩვენთან რუსეთში სოციალური რევოლუცია კი არა, ბურჟუაზიული რევოლუციაა. მხოლოდ პროლეტარიატს გლეხებთან ერთად, დემოკრატიულ გლეხობასთან ერთად, გლეხობის ფართო მასებთან ერთად შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს ასეთი რევოლუცია.

თქვენი ნ. ლენინი

P. S. თქვენი წერილი ძალიან გვიან მივიღე, რამდენიმე წუთიღა მრჩება. მაპატიეთ, რომ ასე ნაჩქარევად ვწერ.

გაგზავნილია კუოკალიდან
(ფინეთი) პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

136

გ. ა. ალექსინსკის

პეტრესათვის

ძვირფასო პ.! არ ვიცი, წერილი აქაურ მეგობართან შეხვედრამდე დაწერეთ, თუ შემდეგ. ყოველი შემთხვევისათვის გიპასუხებთ კითხვებზე.

ფულის შესახებ ნ კ.-ს უკვე ბ ე ვ რ ჯ ე რ უთქვამს. კიდევ გაიმეორებს და მეც გავიმეორებ.

«რ.»-ში მე არ დამიწერია, რადგან თვითონ ვნახე ახლახან (იმ მხარეში როცა ვიყავი) ორი იქაური ამხანაგი და ყველაფერზე მათ მოველაპარაკე თქვენს შესახებ [124].

თქვენ მეკითხებით, რას და როგორ ვფიქრობ თქვენი იქ მუშაობის შესახებ?

ორიოდე სიტყვით ამის გადმოცემა ცოტა ძნელია. როცა მიიხედ-მოიხედავთ, თქვენ თვითონ დაინახავთ, რა მასალები, ცნობები და სხვ. შეიძლება მოგვაწოდოთ იქიდან, მაგრამ ეს შედარებით მეორეხარისხოვანი და ადვილად გადასაწყვეტი საკითხია. უფრო ძნელია იქაური მუშაობის საერთო პირობები. მე ვფიქრობ, რომ ისეთი საზიზღარი პირობები, როგორიცაა საზღვარგარეთის ემიგრანტობა, ჯერ არ გინახავთ. იქ ძ ა ლ ი ა ნ ფრთხილად უნდა იყოთ. იმ აზრით კი არა, რომ ოპორტუნისტების წინააღმდეგ საომარი მოქმედება გადაგათქმევინოთ. პირიქით, ომი იქ ძალზე საჭიროა და კიდევაც ძალიან დიდი ომი გადაგხდებათ თავს. მაგრამ ომის ხასიათია საზიზღარი. ყოველი მხრიდან ბოროტ ხრიკებს წააწყდებით, მენშევიკების პირდაპირ «პროვოკაციას» (ისინი სისტემატურად მოგიწყობენ პროვოკაციებს) — ხოლო ს ა ქ მ ი ა ნ თანაგრძნობის წრე მეტად სუსტი იქნება, რადგან რუსეთისაგან იქ საშინლად მოწყვეტილი ხარ, სჭარბობს უსაქმურობა და უქნარობის, ნერვიულობის, ისტერიულობის, სისინისა და უდარდელობის ფსიქიკა. თქვენ იქ მუშაობაში სიძნელეებს წააწყდებით, რომლებსაც რუსეთულ სიძნელეებთან ს ა ე რ თ ო ა რ ა ა ქ ვ ს რ ა: თითქმის სრული თავისუფლებაა, მაგრამ ც ო ც ხ ა ლ ი მუშაობა და ცოცხალი მუშაობისათვის გარემო თითქმის არ არის.

ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იქ საქმე გქონდეთ, საკუთარი საქმე. «რ.»-ს შეუძლია ამის მოცემა... შემდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, კავშირი გქონდეთ რუსეთის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ: მაშინ თქვენ იქ არ იქნებით უნიადაგოდ. დაბოლოს, უაღრესად მნიშვნელოვანია,

რომ ყველანი ჩვენ, იქაც და აქაც, შ ე ხ მ ა ტ კ ბ ი ლ ე ბ უ ლ ა დ ვმოქმედებდეთ, ფეხაწყობილი მივდიოდეთ, უფრო ხშირად ვუზიარებდეთ ერთმანეთს შეხედულებებს (თუ პრესაში გამოსვლებიდან ყველა შეხედულება თვალსაჩინო არ იქნება). ვინც საზღვარგარეთ შეძლებს უზრუნველყოს მუშაობა რუსეთის ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ს თ ა ნ კ ა ვ შ ი რ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი თ, — ის და მხოლოდ ის შეძლებს დაიცვას თავი სევდის, კინკლაობის, ნერვიულობისა და გაავების შთანთქმელი ჭაობისაგან და სხვ. მე ეს «საზღვარგარეთი» თავიდან ვერ ამომიგდია, და ცოტა გამოცდილება როდი მალაპარაკებს.

ია ლიან კარგი იქნებოდა, თქვენ რომ კნუნიანცთან და ტროცკისთან ერთად გემოქმედათ. ასეთ სამეულში ბევრი რამ გაადვილდებოდა.

თქვენ თვითონ მიიხედ-მოიხედავთ და ყოველივე ამას დაინახავთ.

წერილების მოწერა აქ იმ მისამართით, როგორითაც თქვენ იწერებოდით, შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. გარდა ამისა, მე აქედან მალე გავემგზავრები. ჯერჯერობით მომწერეთ მისამართით: Herrn Kakko *Paavo*, Terijoki, შიგნით (**მხოლოდ** შიგნით) ლ-თვის. რაც შეიძლება მალე გამომიგზავნეთ თქვენი იქაური მისამართი.

გართმევთ ხელს. დიდი მოკითხვა ყ ვ ე ლ ა კ ნ ი პ ო ვ ი ჩ ს.

თქვენი... *

მისამართი: I. Ladyschnikoff Uhlandstrasse № 145. *Berlin*

შესასვლელი ე ზ ო შ ი ა. ეს პირადი მისამართია. იქვე, ერთი სართულით ზევით, Abramoff. მოპირდაპირე მხარეს, Uhlandstrasse, 52, ბიურო, სადაც დილით შეიძლება მათი

---

* ხელნაწერში ხელი გაურკვევლადაა მოწერილი. რ ე დ

ნახვა. გწერთ ყოველი შემთხვევისათვის, თუმცა თქვენ ეს უკვე უნდა იცოდეთ.

დაწერილია 1907 წლის სექტემბრის
დამლევს — ოქტომბრის დამდეგს
კუოკალაში (ფინეთი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

137

ჯ. ი. ბრანტინგს

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ამ წერილის მომტანი ჩვენი პარტიული ამხანაგია[125]. ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ მას რჩევა-დარიგებით და ხელი შეუწყოთ. განსაკუთრებით დავალებული აქვს მოძებნოს სტოკჰოლმში ჩვენი სოციალ-დემოკრატიული წიგნები და დოკუმენტები და, თუ საჭირო იქნა, გადაგზავნოს ისინი დანიშნულებისამებრ. ნაწილი ამ წიგნებისა და სხვ. სტოკჰოლმის სახალხო სახლის სარდაფშია (ხის ყუთებში), ნაწილი კი, შესაძლოა, ამხანაგებს ბიორესონს ან ბიორკს ჰქონდეთ (Bokhandel Björck & Börjeßon, Drottninggatan. 62).

იმედი მაქვს, თქვენი დახმარებით ამ წერილის მომტანი შეძლებს შეასრულოს მინდობილი დავალება, რომელიც მეფრიად მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

საუკეთესო სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1907 წლის ოქტომბრის
დამდეგს
კუოკალაში (ფინეთი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

138

დაუდგენელ ადრესატს [126]

28. XII. 07.

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ბატონ ბიორესონს შევუთანხმდი. მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ვერ უზრუნველყოფს, რომ ყველა წერილი და პაკეტი მივიღოთ. მაპატიეთ, გეთაყვა, რომ ამიტომ ერთხელ კიდევ მოგმართავთ თხოვნით მოგვინახოთ პარტიის კიდევ ერთი წევრი, რომელიც შეძლებდა ყოველკვირეულად მიეღო სტოკჰოლმში ამანათები წერილებითა და წიგნებით და გადაეგზავნა დანიშნულებისამებრ (ფინეთში და უკან ჟენევაში).

სამშაბათს * ვაპირებ ბერლინში გამგზავრებას.

საუკეთესო სალმით.

თქვენი ი. ფ რ ე ი

Malmstens Hotell
Mastersamuelsgatan 63

P. S. მე თქვენთან მოვალ ორშაბათს დღის 4 საათზე. თუ ეს თქვენთვის უხერხულია, დამირეკეთ, გეთაყვა, ტელეფონით სასტუმრო მალმსტენში.

დაწერილია სტოკჰოლმში
(ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

---

* სამშაბათს. ესე იგი 1907 წლის 31 დეკემბერს. რ ე დ.

1908 წელი

139

ა. ვ. ლუნაჩარსკის

13. I. 08.

ძვირფასო ან. ვას.!

აი უკვე რამდენიმე დღეა მე და ჩემი ცოლი ჟენევაში ვსხედვართ. ეშმაკმა დალახვროს, მწყინს ისევ წყეულ ჟენევაში დაბრუნება, მაგრამ სხვა გზა არაა. ფინეთის განადგურების შემდეგ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ «პროლეტარი» საზღვარგარეთ გადავიტანოთ. ასეც გადაწყვიტა კოლეგიამ. საკითხი მხოლოდ ის არის, ჟენევაში თუ სხვა ადგილას. ჯერჯერობით ვარკვევთ, თუმცა მე პირადად ვფიქრობ, რომ ჟენევა და ლონდონი ერთადერთი ადგილებია, სადაც თავისუფლებაა. ლონდონში კი ძვირი ჯდება ცხოვრება.

თქვენი ბროშურა შტუტგარტის შესახებ მთლიანად წავიკითხე: III დამატება ძალიან გვიან მოვიდა, და მე გამგზავრების წინ ძლივს მოვასწარი წაკითხვა: ჩემი აზრით, თქვენ ძალიან კარგად გამოგსვლიათ, და ყველა ამხანაგი ძალიან კმაყოფილი დარჩა ბროშურით *. მისი «შესწორება» ჩვენ ყველამ ზედმეტად ჩავთვალეთ: ძალიან გვენანება, რომ წავშალოთ

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 419—421. რ ე დ.

თქვენი საღებავები და გავაფუჭოთ ცოცხლად დაწერილი ბროშურა. მასში არ არის სინდიკალიზმი: ჩემი აზრით, არის მხოლოდ მთელი რიგი ძალზე გაუფრთხილებელი გამოთქმები, პლეხანოვი და კომპ. «გამოვიყენოთო». ნახეთ მისი შარის მოდება და საზიზღარი საკინკლაო მოსაზრებანი «ობრაზოვანიეში» ან «სოვრემენნი მირში»? [127] ჩვენ მუდამ გვეყოლებიან ასეთი მოწინააღმდეგენი და სამგზის უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ. გარდა ამისა, თქვენ ესერებიც დაგვიწყებიათ, რომლებიც უკვე დიდი ხანია თავს ესხმოდნენ გერმანელ ს.-დ-ებს, სარგებლობდნენ რა სინდიკალისტთა კრიტიკით და ამახინჯებდნენ კრიტიკას მარქსიზმის გასანადგურებლად.

არ ვიცი, მოახერხებენ თუ არა ჩვენიანები გამოსცენ ახლა თქვენი ბროშურა. ძნელია ახლა გამოცემა.

მიიღეთ თუ არა ჩემი 1-ლი ტომი?

როგორ ცხოვრობთ? როგორ არის მემკვიდრე? ამბობენ, საუცხოოდ გიმოგზაურიათ გორკისთან ერთად.

მოიწერეთ, თუ მუშაობთ. ჩვენ უთუოდ ვამყარებთ თქვენზე იმედს, რომ «პროლეტარიშიც» ითანამშრომლებთ და რეფერატებსაც წაიკითხავთ. ასეა ხომ?

სად არის გორკი? მე მას მივწერე კაპრიზე (villa Blaesus). მიუვა კი?

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

მისამართი: Mr. Vl. *Oulianoff*.
17. Rue des deux Ponts. 17.
(chez Küpfer). *Geneve*.

გაგზავნილია იტალიაში

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

140

ჯ. ჰიუისმანსს

14. I. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ჩემი მისამართი უკვე ფინეთი კი არა, სამწუხაროდ, ჟენევაა: VI. Oulianoff, rue des Ponts 17 (chez Küpfer), Genéve... *

... ფინეთში უკანასკნელი დევნის დროს [დაიკარგა] ლონდონში გამართული ჩვენი უკანასკნელი ყრილობის ოქმების ნაწილი. თუ არ ვცდები, მე მითხრეს, რომ ამ ყრილობის მასალები და დოკუმენტები საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში გაუგზავნიათ [128]. სწორია თუ არა ეს? დიდად [მადლიერი] ვიქნები თქვენი, თუ შეძლებთ...

გაგზავნილია ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-5 გამოცემაში,
ტომი 47

იბეჭდება ჟურნალის
ტექსტთან შეჯერებული
ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

141

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ანატოლი ვასილის ძეს

ძვირფასო ან. ვას.! მოიწერეთ, კარგად მოეწყვეთ თუ არა, გახდით თუ არა შრომისუნარიანი? ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ითანამშრომლებთ «პროლეტარისთან» და გამოგვიგზავნით 1) კორესპონდენციებს იტალიიდან თვეში ორჯერ (დაახლო-

* ორი სტრიქონი გაურკვეველია. ამ ადგილას ფურცელი გახეულია, ბოლო არ აქვს. ქვემოთ მოყვანილი ტექსტი დაწერილია ფურცლის მეორე მხარეზე. რ ე დ.

ებით) 8 — 12 ათას ასონიშანს. პირველს — სამიოდე კვირის შემდეგ. 2) პოლიტიკურ ფელეტონებს დროდადრო. ნახულობთ თუ არა რუსულ გაზეთებს (გორკის ისინი ბევრი აქვს)?

მოგვწერეთ.

გართმევთ ხელს. თქვენი სტარიკი

დაწერილია 1908 წლის 14 იანვარსა
და 13 თებერვალს შუა
გავზავნილია ჟენევიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

142

მ. ნილსენს

27. I. 08.

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ბრიუსელის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანმა კამილ ჰიუისმანსმა გადმომცა თქვენი შეკითხვა. მე ვარ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში და შემიძლია გაცნობოთ, რომ ესტონელი სოციალ-დემოკრატები (თუ არ ვცდები, ეგრეთ წოდებული «ესტონელ სოციალ-დემოკრატთა კავშირი») ჩვენი პარტიის ნაწილს შეადგენენ. ეჭვი არ არის, რეველში არსებობს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომიტეტი, რომელიც უმთავრესად ესტონელებისაგან შედგება რაც შეეხება მოქალაქეებს მ. იურისონსა და ჟ. გ. სეპინს, ეს სახელები ჩემთვის უცნობია. ეს აბსოლუტურად არაფერს ამბობს ამ მოქალაქეთა წინააღმდეგ: ჩვენი პარტიის ორგანიზაციები ფარულია და პირადად მე არც ერთ ესტონელ ამხანაგს არ ვიცნობ. მე მივწერ რუსეთში და ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომი-

ტეტს შევეკითხები ამ მოქალაქეთა ვინაობის შესახებ (ყოველი შემთხვევისათვის რეველის კომიტეტსაც), მაგრამ ვერ ვიქონიებთ იმედს, რომ პასუხს მალე მივიღებთ.

სოც.-დემ. სალმით

ვლ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

მისამართი: Vl. *Oulianoff*. 17. Rue des deux Ponts. 17. (chez Küpfer). *Genf*. *Geneve*.

გაგზავნილია ქრისტიანიაში
(ამჟამად ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

143

კ. ჰიუისმანსს

27. I. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

მივიღე თქვენი 24/I. 08-ის წერილი და ამხანაგ მაგნუს ნილსენს ქრისტიანიაში * ვუპასუხე, რომ რსდმპ რეველის კომიტეტი ნამდვილად არსებობს და რომ ესტონელი სოციალ-დემოკრატები შედიან [ჩვენი პარტიის] შემადგენლობაში **. რაც შეეხება მოქალაქეებს [იურისონს] და სეპინს, მათ მე არ ვიცნობ, [როგორც საერთოდ არ] ვიცნობ პირადად არც ერთ ესტონელ სოციალ-დემოკრატს; არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი პარტიის ორგანიზაციები ფარულია. მე მივწერ რუსეთში და ვთხოვ მაცნობონ დაწვრილებით ამ

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით. რ ე დ.

მოქალაქეთა ვინაობა, მაგრამ არ შეიძლება ვიქონიოთ იმის იმედი, რომ პასუხს მალე მივიღებთ.

ძმური სალმით ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

144

კ. ჰიუისმანსს

29. I. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

მე მატყობინებენ, რომ შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი სხვადასხვა პარტიათა მოხსენებების მესამე ტომი რამდენიმე დღის შემდეგ უნდა გამოვიდეს და რომ ჩვენი პარტიის მოხსენება ჯერ მზად არ არის... *

შესაძლებელი იქნება თუ არა ჩვენი პარტიის მოხსენება გამოქვეყნდეს მესამე ტომში? როდისაა მოხსენების წარმოდგენის უკანასკნელი ვადა? ** როგორც ჩანს, ფინეთში დევნამ ჩვენს ამხანაგებს ხელი შეუშალა დაემთავრებინათ მოხსენება, რადგან ორი თვის წინათ, როცა ფინეთში ვიყავი, პირადად მოვისმინე, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა [ეს დაავალა] ერთ

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით. რ ე დ.

** მოხსენების წარდგენის ვადის შესახებ იხ. 1908 წლის 2 თებერვლის წერილი კ. ჰიუისმანსისადმი (თხზულებანი, მე-5 გამოც. ტომი 47, გვ. 131, რ ე დ.

ამხანაგს, რომელიც ერთობ ენერგიულად მუშაობდა მოხსენების [დასამთავრებლად].

[მიიღეთ ძვირფასო] ამხანაგო, [ჩემი ძმური სალამი].

ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

გაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

145

გაზეთ «BERNER TAGWACHT»-ის რედაქციას [129]

 განცხადება. გაზეთ «Berner Tagwacht»-ის 24-ე ნომერში (ხუთშაბათი, 30 იანვარი) მოთავსებულია ლ. მარტოვის განცხადება ჟენევაში დაპატიმრებული რუსი ამხანაგის დოქტორ სემაშკოს საქმის გამო [130]. ამ განცხადებაში მარტოვი ახირებულად ლაპარაკობს სემაშკოზე მხოლოდ როგორც ერთ-ერთ ჟურნალისტზე, რომელიც შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს ესწრებოდა; ამავე დროს იგი თავის თავს უწოდებს «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დელეგატს შტუტგარტის კონგრესზე».

მარტოვის ამგვარ გამოთქმას, უეჭველია, ისე გაიგებენ შვეიცარიელი მუშები, თითქოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს სემაშკოსთან.

იმისათვის, რომ მარტოვის გამოთქმის ამგვარმა მანერამ თავისი აბსოლუტური არასარწმუნოობით ვინმე შეცდომაში არ შეიყვანოს, მე, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში, ვაცხადებ, რომ დოქტორი სემაშკო ჩვენი პარტიის ძველი წევ-

რია და საერთაშორისო კონგრესზე იგი იყო როგორც ჩვენი პარტიის წევრიც და როგორც პარტიული პრესის ჟურნალისტიც.

ასეთი განმარტება საჭიროდ მიმაჩნია, რადგან ჩვენი შვეიცარიელი ამხანაგები, უეჭველია, სემაშკოს დაპატიმრების გამო განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ყველა რუსი ამხანაგი, რომელიც მას იცნობს, მტკიცედაა დარწმუნებული, რომ მას ოდნავადაც არ ურევია და არც შეიძლება ერიოს ხელი თბილისის «ექსპროპრიაციაში». და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი პარტიის უკანასკნელმა (ლონდონის) ყრილობამ გადაჭრით უარყო «ბრძოლის ეს საშუალება», არამედ იმიტომაც, რომ დოქტორი სემაშკო 1907 წლის თებერვლიდან განუწყვეტლივ ცხოვრობდა ჟენევაში და ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა.

ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ უახლოეს დროში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის პრესა ისეთივე საფუძვლიანი სიხარულით შეხვდება ჟენევაში დაპატიმრებული ამხანაგის განთავისუფლებას, როგორც თავის დროზე პარიზში უდანაშაულოდ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას მიესალმნენ «Vorwärts!»-ი (ბერლინში) და «L'Humanite» (პარიზში).

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ
ბიუროში

ნ. ლენინი

დაწერილია 1908 წლის
30 იანვარსა და 2 თებერვალს შუა
გაგზავნილია ჟენევიდან ბერნში

დაბეჭდილია გერმანულ ენაზე
1908 წლის 5 თებერვალს გაზეთში
«Berner Tagwacht» Nr. 29

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება გაზეთის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

146

ა. ვ. ლუნაჩარსკის

27. II. 08.

ძვირფასო ანატოლი ვასილის ძევ! ისევ და ისევ მოგაგონებთ ფერის. პირდაპირ უბედურება იქნება, თუ არ გაგიგზავნიათ!

შემდეგ ძალიან გვინდა შეგიკვეთოთ «პროლეტარის» მე-3 (23) (საიუბილეო) ნომრისათვის სტატია პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ი ს შესახებ[131]. იქნებ თქვენ მოგეპოვებოდეთ Jaurés-ისა და Dubreuil-ის ახალი წიგნი, — თუმცა საეჭვოა, რომ ამ ბატონებს შეეძლოთ სწორად შეეფასებინათ კომუნა. აი მარქსის წერილები კუგელმანისადმი, რომელთა შესახებ ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, უსათუოდ უნდა ვახსენოთ კვლავ და ციტატად მოვიყვანოთ ოპორტუნისტთა ჭკუის სასწავლებლად.

ამ საიუბილეო სტატიის ზომა maximum 15 ათასი ასონიშანი უნდა იყოს. ვადა — შ ე მ დ ე გ ი ო თ ხ შ ა ბ ა თ ი (4. III). გეთაყვა, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მიპასუხეთ, გამოგზავნით თუ არა.

გამოგზავნეთ!

გართმეეთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ჟენევიდან
კაპრის კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს
ლენინის XXVI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

147

ჯ. ჰიუისმანსს

1. III. 08.

ძვირფასო ამხანაგო!

ჩემი მეგობრები ბრიუსელიდან მწერენ, რომ ახლო მომავალში მიმელიან იქ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაში მონაწილეობისათვის.

ძალიან დამავალებთ, თუ მაცნობებთ, მართალია ეს თუ არა. შეგიძლიათ თუ არა თქვენ [მითხრათ მე]* ზუსტად (ან ყოველ შემთხვევაში [დაახლოებით]), როდის უნდა გაიმართოს ბიუროს უახლოესი სხდომა. მე იძულებული ვარ მალე რამდენიმე კვირით გავემგზავრო იტალიაში, ამიტომ ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანია ვიცოდე, არის თუ არა საჭირო ჩემი წამოსვლა ბრიუსელში.

შიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ვ ლ. ულიანოვი

გაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა
ფრანგულ ენაზე 1962 წელს
ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
შე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება
ხელნაწერის ფოტოპირის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

148

ლ. ტიშკას

18. III. 08.

ძვირფასო ამხანაგო!

გუშინ კონი მეწვია და მიჩვენა თქვენი დეპეშა, თანაც მეტად ნერვიულად, აღელვებით საყვედურობდა მისი შეუწყნარებლად უხეში, «პოლიციური» ტონის გამო, რაც ყველაზე ნაკლებად შემიძლია ვაპატიო მას, როგორც გერმანული ენის სხვადასხვა ელფერის მცოდნესო. ვფიქრობ, უნდა გადმოგცეთ კონთან ამ საგულისხმო საუბრის შინაარსი. მე, რა თქმა უნ-

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით. რ ე დ.

და, ვუპასუხე, რომ არ ვიცი როგორია neue Wendung *, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ არა სერიოზული საფუძველი, ასეთ დეპეშას არ გამოგიგზავნიდათ-მეთქი და რომ სასაციილოზე სასაციილოა დააბრალონ ალექსინსკის, მით უფრო თქვენ გამოძიებისადმი entgegenarbeiten **-ის სურვილი [132].

კონმა მითხრა — საიდუმლოდ (თქვენგან კი არა, რა თქმა უნდა), რომ ლიტვინოვის წინააღმდეგ სერიოზული მონაცემებია ბრალდებისათვის, რომ იგი, კონი, ლიტვინოვს კარგად იცნობს და არ სურს სიცოცხლე მოუსპონ მას ან ისეთი ღონისძიებანი იხმარონ, რაც ლიტვინოვისათვის ძალიან მძიმე იქნება. არა, მაგრამ მას, კონს, უცილობლად მიაჩნია დაუმტკიცოს ევროპას (და გერმანიის სოციალ-დემოკრატიას განსაკუთრებით), რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სამსჯავრო ფიქცია არ არის და რომ ამ პარტიას შეუძლია პასუხისმგებლობა მოიხსნას. «ნუთუ ამისათვის არ შეიძლება გამოინახოს ფორმები ისე, რომ ვინმეს არ მოუსპონ სიცოცხლე?» — წამოიძახა კონმა. მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე, რომ, ჩემი აზრით, სავსებით შეიძლება და რომ ტყუილად ღელავს. რაც არ უნდა მოხდეს გასამართლება უეჭველად იქნება, პარტია ამას გააკეთებს, — რა არის აქ ასაღელვებელი? სკანდალი მოხდება, ამბობდა კონი, თუ ალექსინსკიმ ხელი შეუშალა გასამართლებასო. სისულელეა! — ვამბობდი მე. ალექსინსკის ა რ უ ნ დ ა დ ა ა რ ც შ ე უ ძ ლ ი ა ხელი შეუშალოს გასამართლებასა და გამოძიებას. სკანდალი კი უკვე ა რ ი ს და მას მ ე ნ შ ე ვ ი კ ე ბ ი ტეხენ: წაიკითხეთ სტატია «დროა დავამთავროთ» «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 1 — 2-ში-მეთქი [133]. კ ო ნ ს ი გ ი ა რ წ ა უ კ ი თ ხ ა ვ ს!! თვითონ განსაჯეთ, სანამ გამოძიება მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, სანამ ლიტვინოვს პირში ბურთი აქვს ჩაჩრილი, სანამ არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა გამოძიების აქტების ბეჭდვა, გაზეთში ანონიმურად ტალახში სვრიან! როგორიღაა ლიტვინოვის მდგომარეობა?? ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე-

* — საქმის სხვაგვარად შეტრიალება.
** — წინააღმდეგობის გაწევა. რ ე დ.

შ ი კ ი ეს გაზეთი ხომ ცენტრალური საზღვარგარეთული ბიუროს[134] ო რ გ ა ნ ო ა, იგი კვებავს. და ესენი არიან გამ-კითხველები??! აი როგორ ავუხსენი კონს ელექსინსკის ქცევა. ყოველგვარი გაუგებრობისა და მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიმაჩნია გადმოგცეთ ეს. ძალიან გა-მიკვირდა, რომ კონმა მ ე მომმართა, მაგრამ ფაქტი ფაქ-ტია. და მე ძალიან ვშიშობ, რომ მან, გ ე რ მ ა ნ ი ი ს პარ-ტიის წარმომადგენელმა ცენტრალურ საზღვარგარეთულ ბი-უროში, არ დაამახინჯოს ჩემი სიტყვები. მე ვფიქრობ, ვერ დავენდობით ა ს ე თ მომხსენებელს რუსეთის საქმეებზე გერმანიის პარტიის Vorstand*-ის წინაშე. საჭიროა, პირადად თქვენ თვითონ, როგორც მაღალი კოლეგიის წევრი, შოელაპარაკოთ Vorstand-ს და **აუცილებლად** უთარგმნოთ მათ სტატია «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 1 — 2-დან. თორემ არ ამცდება ასეთი საწყენი უაზრობანი, რომ მოვიდეს კონი და «შემომჩივლოს», თითქოს ალექსინსკი გასამართლე-ბის წინააღმდეგ მოქმედებდეს. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს...

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

P. S. აუცილებლად **დაუყოვნებლივ** მიპასუხეთ, გვაძლევთ თუ არა ნებას რუსულად დავბეჭდოთ **«პროლეტარიში»** თქვენდამი ჩემ მიერ გამოგზავნილი სტატია** (შენიშვნით, რომ დაწერილია «Przegląd Socjaldemokratyczny»-სათვის) და **როდის.** ჩვენ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს ა თ ვ ი ს», მასალების ს ა შ ი ნ ე ლ კ რ ი ზ ი ს ს განვიცდით და მე მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს[135].

P. P. S. ჩემს შემდეგ კონს რიადოვოი უნახავს და, მგონი, გადაკვრით უთქვამს, რომ პრივატულად მაინც უჩვენებია

---

* — გამგეობა. რ ე დ.

** იგულისხმება სტატია «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 15, გვ. 45 — 61). რ ე დ.

თავისი მეგობრებისათვის, მენშევიკებისათვის, ოქმი, რომლის ჩვენებაც თქვენ აკრძალეთ [136]... რა ჯანდაბაა!

გაგზავნილია ჟენევიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

149

ა. ა. ბოგდანოვს

გუშინ ვესაუბრე ტიშკას, რომელიც დღეს თქვენთან იქნება. ჩვენი აზრით, მან ჯერ არაფერი არ იცის ჩვენს ფილოსოფიურ უთანხმოებათა გ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ა ზ ე და უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება (ცენტრალურ კომიტეტში ჩვენი საქმეების წარმატებისათვის), რომ ვერც შეიტყოს რაიმე ამის შესახებ.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ

დაწერილია 1908 წლის
მარტის დამლევს
ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

150

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

დიდად ვწუხვარ, რომ ვერ მოგისწარით სახალხო სახლში [137]. ჩემთან ერთად იყო ჩემი ამხანაგი, მეორე სათათბიროს ყოფილი დეპუტატი რომანოვი, რომ თქვენთვის რჩევა ეკითხა. მე მითხრეს, რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუ-

როში არის სათათბიროს დეპუტატებისათვის [განკუთვნილი]* 200 (ფრ.). სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი...

...არ გვპასუხობს. ვფიქრობ, რომ ახლანდელ [ვითა]-რებაში უფლება მაქვს გთხოვოთ მისცეთ, ჩემი [პასუხის]-მგებლობით, ორმოცდაათი ფრანკი დეპუტატ რომანოვს, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა უმუშევარია.

თუ შეიძლებოდეს, მიპასუხეთ მისამართით:

Mr. Georges Salomon. Rue Goppart. Bruxelles...

ვლ. ულიანოვი

ჩემი მისამართი:...

დაწერილია 1908 წლის
16 მაისს ბრიუსელში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში
***«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

151

კ. ჰიუისმანსს

ჟენევა, 1908 წლის 30 ივნისი.

ძვირფასო ამხანაგო!

მე გწერდით, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტის წევრები დაატიმრეს რუსეთში. ახლა ჩემი მეგობარი მატყობინებს, რომ ცენტრალური კომიტეტის [ერთი წევრი] ** თა-

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით და ცალკეული შენარჩუნებული ასოების მიხედვით. რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით და ცალკეული შემორჩენილი ასოების მიხედვით. რ ე დ.

ვისუფალია. იგი [იწე]რება, რომ თქვენ [გამოგიგზავნეს პირველი] ნახევარი [ჩვენი პარტიის] მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი ს ა... მოხსენებისა... შტუტგარტისათვის.

ერთი თვის შემდეგ — [განაგრძობს] ჩემი მეგობარი — ჩვენ შევძლებთ გამოგიგზავნოთ მოხსენების მეორე ნახევარი; [თუ] ამხანაგი ჰიუისმანსი [დაადასტურებს], რომ ჩვენს მოხსენებას გამოაქვეყნებენო.

ძვირფასო ამხანაგო, თუ შეიძლება, მიპასუხეთ ამ წერილზე... და მე დაუყოვნებლივ გავგზავნი [თქვენს პასუხს პარიზში].

ძმური [სალმით] ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში »*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

152

ჰ. ჰიუისმანსს

8. 7. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

დიდი მადლობა თქვენი თავაზიანი წერილისათვის. მე ვაცნობებ თქვენს პასუხს ჩვენს ამხანაგებს რუსეთში და იმედი მაქვს, ისინი მალე გამოგიგზავნიან ჩვენი მოხსენების დანარჩენ ნაწილს. რაც შეეხება 1600 ფრ. გადახდას, შემიძლია აღგითქვათ, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაიხდის ამ თანხას, ალბათ, [არა უგვიანეს] რამდენიმე... *

* ერთი სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

[ცენტრალური კომიტეტის პლენუმი] მოწვეულია *, და მე იძულებული ვარ ველოდო მის გადაწყვეტილებას. თანხა უთუოდ გადახდილი იქნება შეუფერხებლად.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ბაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში »*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

153

მ. ნ. პოკროვსკის

18 აგვ. 08.

მოწყალეო ხელმწიფევ მიხეილ ნიკოლოზის ძევ!

ნება მიბოძეთ მოგმართოთ თქვენ, როგორც «რუსეთის ისტორიის» ყოფილ რედაქტორს [138]. ამას წინათ მდივანმა მაცნობა, სხვადასხვანაირი გეგმებია საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ისტორიისადმი მიძღვნილი სტატიის შესახებო, თუმცა ჩვენ სავსებით შევთანხმდით ყველაფერზე, მინდა ვიცოდე თქვენი აზრი: უხერხული ხომ არ იქნება მისი აღება, თუ ტუგან-ბარანოვსკის უარი თქვა?

მიპასუხეთ, თუ შეიძლება, ორიოდე სიტყვით ამ წერილზე. გარდა იმ თემისა, რომელსაც აქ შევეხეთ, არის კიდევ მრავალი, რომელთა გამო საერთო ნაცნობებს სურთ მოგმართონ. მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, გამოდგება თუ არა

---

* ლაპარაკია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. პლენუმი გაიმართა 1908 წლის 11 — 13 (24 — 26) აგვისტოს ჟენევაში. რ ე დ.

მისამართი, შეიძლება თუ არა მიმოწერა. ველი ამის შესახებ დაწვრილებითს მითითებებს.

გართმევთ ხელს. ვ. ულიანოვი

Vl. Oulianoff.
61. Rue des Maraîchers. 61.
Genève. Suisse.

გაგზავნილია რუსეთში

პირველად დაიბეჭდა არასრულად
1962 წელს ჟურნალ «კომუნისტში» № 4

სრულად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

154

ჯ. ჰიუისმანსს

21. Tavistock Place, London W. C.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამხანაგმა ისეკკიმ (Salomon, Rue Goppart 78, Bruxelles), ალბათ, უკვე გაცნობათ, რომ სამი რუსი ამხანაგი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები, სარა რავიჩი, ხოჯამირიანი, ბოგდასარიანი, რომლებიც რამდენიმე თვის წინათ დააპატიმრეს მიუნხენში [139], უაღრესად... * პირობებში არიან.

... რომ მათ პროტესტი განაცხადეს შიმშილობით (გერმანულად Hungerstreike, [არ ვიცი], შეიძლება თუ არა თქვა ფრანგულად «პროტესტი განაცხადეს შიმშილობით»).

მათი ადვოკატი, გერმანელი სოციალისტი ბერნჰაიმი, გვწერს, აბსოლუტურად საჭიროა დაამტკიცოთ, რომ დაპატიმრებულნი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები

* აქ და შემდეგ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

არიანო. მე მას გავუგზავნე ჩემი ოფიციალური განცხადება, რომელიც ადასტურებს, რომ დაპატიმრებულნი ჩვენი პარტიის წევრები არიან. მაგრამ მას მიაჩნია, რომ ჩემი განცხადება არ არის საკმარისი და რომ საჭიროა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დადასტურება.

ვიმედოვნებ, ძვირფასო ამხანაგო, რომ თქვენ...

... რომ მოწმობას, რომელიც ადასტურებს, რომ მიუნხენში დაპატიმრებული სამი პირი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრია, ხელს აწერდეს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წარმომადგენელი ანდა მდივანი, ხოლო მის ხელმოწერას ადასტურებდეს ნოტარიუსი. ამხანაგი ისეკი (Salomon) ამ მოწმობას გადაგზავნის ჟენევაში...

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ვლ. ულიანოვი (ნ. ლენინი)

დაწერილია 1908 წლის 19 აგვისტოს
გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში. ტომი 47

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

155

ჯ. ჰიუისმანსს

8. IX. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

გმადლობთ თქვენი 31 აგვისტოს წერილისათვის. სამი დღით სხვაგან ვიყავი წასული, ამიტომ უფრო ადრე ვერ გიპასუხეთ [140]. რაც შეეხება მოხსენებას, ჩვენ მოვაგვარეთ ეს საქმე... *

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რ ე დ.

...მაგრამ უნდა დაველოდო ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას. სრულიად ეჭვგარეშეა, რომ ფულს დაუყოვნებლივ გადავიხდით[141].

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ნ. ლენინი

ჩემი მისამართია: Vl. Oulianoff.
61. Rue des Maraîchers.
Genève.

გაგზავნილია ბრიუსელში
პირველად ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა
1962 წელს ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

156

ჯ. ჰიუისმანსს

25. IX. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გეგზავნებათ 600 ფრანკი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსათვის.

იმედი მაქვს, ჩვენი პარტია მალე შეძლებს ასევე გადაიხადოს დანარჩენი თანხაც.

თქვენი ვლ. ულიანოვი

გაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში

პირველად ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა
1962 წელს ჟურნალში «*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

157

კ. ჰიუისმანსს

ჟენევა. მარეშეს ქუჩა. 61.
26. X. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ალბათ, გამოქვეყნდება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1908 წლის 11 ოქტომბერს გამართული კონფერენციის ოფიციალური ანგარიში. ყველა სოციალისტურ გაზეთში, რომლებმაც გამოაქვეყნეს ცნობა ბიუროს ამ სხდომის შესახებ («Le Peuple»[142] — ბრიუსელი, «Vorwärts» — ბერლინი, «Justice» — ლონდონი, «L'Humanité» — პარიზი და ასე შემდეგ) ცუდად არის გაგებული, ზოგჯერ კი სრულიად დამახინჯებულია ჩემი შესწორებისა კაუცკის რეზოლუციისათვის. ჩემი შესწორების ტექსტი, თუმცა ბიუროს წარვუდგინე, მაგრამ არსად არაფერი არ ჩანს. ამიტომ ვშიშობ, რომ ოფიციალურ ცნობაში შეიძლება იგივე უზუსტობანი განმეორდეს. თუ შეიძლება, ძვირფასო ამხანაგო, იზრუნეთ, რომ ჩემი შესწორების თ ვ ი თ ტ ე ქ ს ტ ი დაიბეჭდოს ოფიციალურ ანგარიშში. ეს ტექსტი თქვენს ქაღალდებში უნდა იყოს, რადგან ძალიან კარგად მახსოვს, რომ ბიუროში წარმოვადგინე საკუთარი ხელით დაწერილი ტექსტი ჩემი შესწორებისა. თუ ვინიცობაა ეს ტექსტი დაიკარგა, გიგზავნით ამ წერილით ჩ ე მ ი შ ე ს წ ო რ ე ბ ი ს ზ უ ს ტ პ ი რ ს და თარგმანს ფრანგულ ენაზე (იმედი მაქვს, თუ ცუდი თარგმანია, სიკეთეს მიზამთ და გაასწორებთ).

ძალიან დამავალებთ, ძვირფასო ამხანაგო, თუ ორიოდე სიტყვას მოიწერთ ამ საკითხის თაობაზე[143].

გთხოვთ მიიღოთ ჩემი ძმური სალამი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

VI. Oulianoff.
Rue des Maraîchers, 61. Genéve.

კაუცკის რეზოლუცია (თარგმანი ბრიუსელის გაზეთისა «Le Peuple», 1908 წლის 12 ოქტომბერი):

«იღებს რა მხედველობაში საერთაშორისო კონგრესების წინანდელ გადაწყვეტილებებს, რომ დაიშვება ყველა ორგანიზაცია, რომლებიც დგანან პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე და აღიარებენ პოლიტიკურ ბრძოლას, —

— საერთაშორისო ბიურო აცხადებს, რომ ინგლისის მუშათა პარტია დაიშვება საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე, რადგან იგი, თუმცა არ აღიარებს პირდაპირ პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ სინამდვილეში ეწევა მას და ამ ბრძოლის ნიადაგზე დგება თავისი ორგანიზაციით, რომელიც დამოკიდებული არ არის ბურჟუაზიულ პარტიებზე და, მაშასადამე, ადგება საერთაშორისო სოციალიზმის თვალსაზრისს».

ლ ე ნ ი ნ ი ს შესწორება:

უკანასკნელი აბზაცი, რომელიც იწყება სიტყვებით «რადგან იგი, თუმცა არ აღიარებს» და ასე შემდეგ, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

«რადგან ეს პარტია არის ინგლისის ნამდვილად პროლეტარულ ორგანიზაციათა პირველი წინგადადგმული ნაბიჯი შეგნებული კლასობრივი პოლიტიკისა და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მუშათა პარტიისაკენ».

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1960 წლის 22 აპრილს ჟურნალში «ნოვოე ვრემია» № 17

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

158

ჯ. ჰიუისმანსს

1908 წლის 7 ნოემბერი.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის [საზღვარგარეთის]* ბიუროს ც ნ ო ბ ა ს**. ძალიან და-

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით. რ ე დ.

** ვერ პოხერხდა იმის დადგენა, თუ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს რა ცნობა გაუგზავნა ვ. ი. ლენინმა. რ ე დ.

გვავალებთ, ძვირფასო ამხანაგო, თუ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სახელით გადასცემთ ამ წ ე რ ი ლ ს ბიუროში წარმოდგენილ ყველა ეროვნულ პარტიას.

დიდად გმადლობთ თქვენი წერილისათვის, [რომელშიც მატყობინებთ], რომ ჩემი შესწორების ტექსტი [ზუსტად იქნება გადაცემული].

ძმური სალმით

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

[Vl.] Oulianoff.
[Rue] des Maraîchers. 61. Genève.

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

159

ვ. კ. ტარატუტას

1. XII. 08. წ.

ძვირფასო ამხანაგო!

პასუხად თქვენი შეკითხვისა, რომელსაც დართული აქვს ამხანაგ ტიშკოს დეპეშა, იძულებული ვარ, სამწუხაროდ, გაცნობოთ, რომ უარს ვამბობ დ ა ვ ს ვ ა ს ა კ ი თ ხ ი ისე, როგორც ამხ. ტიშკოს უნდა, რადგან აბსოლუტურად უმართებულოდ მიმაჩნია საკითხის ასეთი დ ა ს მ ა.

ჩვენი ფრაქციის წარმომადგენელმა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში ამხ. ვიქტორმა აცნობა ამხ. ტიშკოს, რომ ჩვენი ფრაქცია ვ ე რ დაეთანხმება იმას,

რომ ცენტრალური კომიტეტის წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ე ბ ა დ დაინიშნოს ბოლშევიკიც და მენშევიკიც[144].

ახლა ამხ. ტიშკო ამხ. ვიქტორის შემდეგ პ ი რ ა დ ა დ მე მომმართავს აპელაციით: «თ ვ ი თ ლენინს თუ არ სურს იგორთან ერთად იყოს» — ნათქვამია დეპეშაში — «მაშინ იგორს ჩვენც უარვყოფთ»!! ეს უდრის აპელაციას პ ი რ ა- დ ა დ ჩ ე მ დ ა მ ი **ჩვენი ფრაქციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.** მე არ ვუპასუხებ ამხანაგ ტიშკოს ასეთ «თუზე». ჩემი აზრით, ამხანაგმა ტიშკომ თ ვ ი თ ო ნ უნდა წაიღოს უკან თავისი წინადადება იგორის დანიშვნის შესახებ.

ამხ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია ჟენევაში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის პირის მიხედვით

160

ჰ. ჰიუისმანსს

13. XII. 08.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

გმადლობთ თქვენი წერილისათვის. რაც შეეხება მესამე სათათბიროს ს.-დ. დეპუტატებს, მე ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ვიღონე, რ ა ც კ ი ძ ა ლ მ ი ძ დ ა. იმედი მაქვს, მოვახერხებ პირადად ვინახულო ზოგიერთი დეპუტატი, და მაშინ ერთხელ კიდევ შევეცდები გავიმეორო ის, რაც უკვე რამდენჯერმე მიმიწერია მათთვის[145].

რაც შეეხება მოხსენებასა და 300 ფრანკის გადახდას, ამაზე რამდენიმე დღის შემდეგ გიპასუხებთ. ხვალ პარიზს მივემგზავრები, სადაც ამიერიდან დავსახლდები. სწორედ ამ გამგზავრების გამო ვერ გწერთ ახლა პასუხს. 3 — 4 დღის შემდეგ

თქვენ მიიღებთ ჩემს მისამართს. თუ დაგჭირდეთ სასწრაფოდ მაცნობოთ რაიმე, მოიწერეთ მისამართით: M-fle Oulianoff (pour N. Lénine), 27. Boulevard [St.-marcel]. Paris.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ვაგზავნილია ჟენევიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში. ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

———

1909 წელი

161

პ. ჰიუისმანსს

19. I. 09.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

იმედი მაქვს, მაპატიებთ, ასე რომ დაგიგვიანეთ პასუხი. სრულიად მოუცლელი ვარ საქმეების გამო. მთელი ჩვენი ორგანიზაცია ამჟამად იმყოფება (როგორც იქნა!) პარიზში.

ამასთან გიგზავნით 300 ფრანკს. ეს ის თანხაა, რომელიც ჩვენს პარტიას მართებს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსი 1908 წლისათვის.

რაც შეეხება მოხსენებას, გუშინ ვნახე ამხანაგი, რომელსაც დავალებული აქვს მისი შედგენა. იგი დამპირდა ყველაფერი იღონოს, რათა რაც შეიძლება ჩქარა მოამზადოს მოხსენების დანარჩენი ნაწილი.

ახლა ჩემი მისამართია: Mr. Wl. Oulianoff.
24. Rue Beaunier, 24. Paris (XIV)

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *»Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

162

კ. ჰიუისმანსს

1909 წლის 25 თებერვალი

პატივცემულო ამხანაგო!

ვილნოს მეტყავეებმა გაფიცულთათვის ფულის შესაგროვებლად ამხანაგი მარცელი საზღვარგარეთ გაგზავნეს. ამხ. მარცელი იყო ამხ. ლეგინთან, მაგრამ ამხ. ლეგინი უნდობლობით მოეკიდა მას, რადგან მარცელის არავითარი მოწმობა არ ჰქონდა.

მე ვიცნობ ამხანაგ მარცელის, და იგი მთხოვს ახლა, რომ საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ აცნობოს ამხანაგ ლეგინს, რომ ამხანაგი მარცელი ნამდვილად არის ვილნოს მეტყავეთა რწმუნებული და რომ გაფიცულთათვის შეგროვებული ფული უნდა გაიგზავნოს მისამართით, რომელსაც ამხანაგი მარცელი მისცემს ამხანაგ ლეგინს.

ვილნოს მეტყავეთა კავშირი ამხანაგ ლეგინს გაუგზავნის კიდევ სპეციალურ მინდობილობას. მე თან ვურთავ ამ კავშირის ბეჭედს.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

24. Rue Beaunier.
Wl. Oulianoff. Paris.

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 5

«ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

163

ჯ. ჰიუისმანსს

9. III. 09.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

დიდი მადლობა, რომ ჩემი წერილი ამხანაგ ლეგინს გაუგზავნეთ. ახლა ეს საქმე საბოლოოდ მოგვარებულია*.

რაც შეეხება მოხსენებას, მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ იგი არათუ დამთავრებულია, არამედ ამხანაგმა რუსელმა (თქვენ იგი გინახავთ ბრიუსელში საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ბოლო სხდომაზე, რომელსაც იგი ესწრებოდა როგორც დელეგატი საფრანგეთის სექციისაგან) უკვე დაიწყო მისი თარგმნა. მიყავით სიკეთე, გამომიგზავნეთ, რაც გაქვთ, მაშინ მე მოხსენებას მთლიანად გამოგიგზავნით, როგორც კი მოქალაქე რუსელი დაამთავრებს მის თარგმნას.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Oulianoff. 24. Rue Beaunier. Paris.

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

164

რსდმპ მოსკოვის კომიტეტს

მ ო ს კ ო ვ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ს

NN-ის მიერ «პარტიული სკოლის»[146] შესახებ ხელმოწერილ «ღია წერილზე» მოსკოვის კომიტეტის პასუხის გამო

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

«პროლეტარის» რედაქცია (გაფართოებული შემადგენლობით) თავის სრულ სოლიდარობას უცხადებს მოსკოვის კომიტეტის იმ შეხედულებას, რომ ადგილობრივ ორგანიზაციას არ შეუძლია იკისროს და არც უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ამგვარი წამოწყებისათვის. ინიციატორების მიერ დასახული საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის და აგრეთვე ადგილობრივი მუშაობის რაიონებიდან მომავალი სკოლის ადგილსამყოფელის მეტისმეტი სიშორის გამო, ამგვარი სკოლისადმი ნამდვილი კონტროლის გაწევას შეძლებდნენ მხოლოდ პარტიული ცენტრები.

შემდეგ, «პროლეტარის» რედაქციას საჭიროდ მიაჩნია შეავსოს ერთი იმ ცნობათაგანი, რომლებსაც თქვენ მიერ მიღებული «ღია წერილი» შეიცავს.

იქ, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ «მოგვარდა და წარმატებით მიდის» «ლიტერატორთა და პრაქტიკოსთა (მასწავლებელთა პერსონალი) ძალებით სკოლის უზრუნველყოფის» საქმე; რომ სკოლაში «მონაწილეობას მიიღებს პარტიის ყველა თვალსაჩინო თეორეტიკოსი უმთავრესად ბოლშევიკთაგან».

ამ ცნობებს სწორედ ის დამატება სჭირდება, რომ «პროლეტარის» რედაქციამაც, ჩვენი ფრაქციის თეორეტიკოსებმა და პრაქტიკოსებმაც, რომლებიც რედაქციის ვიწრო და ფართო შემადგენლობაში და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედიან, ამ სკოლის მოწყობის ამბავი პირველად მოსკოვის კომიტეტისაგან შეიტყვეს, სკოლის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან კი დღემდე არავითარი ცნობა არ მიუღიათ. რედაქცია იძულებულია აღიაროს, რომ წამოწყების ორგანიზატორების მიერ არჩეული განცალკევების ასეთი გზა ამ კერძო შემთხვევაში გარდუვალია და ღრმა იდეური საფუძვლები აქვს. აქ საკმარისი იქნება აღვნიშნოთ «პროლეტარის» (იხ. № 42) აშკარა გამოსვლა «ღვთისმშენებლობისა» და მასთან დაკავშირებულ მარქსიზმის სხვა დამახინჯებათა წინააღმდეგ.

ასეთ ორგანიზაციულ პირობებში და იმის გამო, რომ თვალ-

ნათლივ ჩანს მომავალი სკოლის უაღრესად მჭიდრო კავშირი ელემენტებთან, რომლებიც «ღვთისმშენებლობას» ქადაგებენ ან მხარს უჭერენ ამ ქადაგებას, «პროლეტარის» რედაქცია თავის მოვალეობად თვლის განაცხადოს, რომ ვერ იქნება სკოლის ვერც ბოლშევიკური, ვერც საზოგადოდ მარქსისტული ხასიათის თავდები.

ამასთანავე, რედაქცია ფიქრობს, რომ ამჟამად უდავოა გათვალისწინებული სკოლის იერიდიული უფლებანი არსებობდეს პარტიის ფარგლებში. ფრაქცია არ უნდა შეიბოჭოს წესდებებით, რომლის ბოლშევიკური და მარქსისტული ხასიათი უზრუნველყოფილი არ არის; პარტია კი მთლიანად მისი ახლანდელი მდგომარეობის პირობებში, როცა მის ფრიადმნიშვნელოვან დაწესებულებებში (მაგ. სათათბიროს ფრაქციასთან არსებულ მცოდნე პირთა კოლეგიაში) პროკოპოვიჩ-კუსკოვას ტიპის უკიდურესი ოპორტუნისტებიც კი მოქმედებენ, მას არსებობის უფლებაზე უარს ვერ ეტყვის. ამიტომ რედაქცია ფიქრობს, რომ ბოლშევიკებმა ცკ-ტში, რომელსაც სკოლის დასამტკიცებლად უნდა მიმართონ ინიციატორებმა, მხარი უნდა დაუჭირონ დამტკიცებას.

დაწერილია 1909 წლის
11 აპრილამდე პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

165

ი. თ. დუბროვინსკის

23/IV. 09.

ძვირფასო მეგობარო! ჩვენთან სტუმრად არის პოკროვსკი. წმინდა წყლის ობივატელია. «რა თქმა უნდა, ოტზოვიზმი სისულელეა, რა თქმა უნდა ეს სინდიკალიზმია, მაგრამ მორალური მოსაზრებით მეც და, ალბათ, სტეპანოვიც მაქსიმოვს დავუჭერთ მხარსო». დახეთ, როგორ ჩაგრავენ კრისტალურ

არამზადებს სხვადასხვა ბოროტი ადამიანები! ეს «თხუპნია» ობივატელები მაშინვე «ითხუპნებიან», როცა მათი თანდასწრებით ლაპარაკობ ისტორიულ ამოცანაზე, რომ საჭიროა ფრაქციის მარქსისტული ელემენტების შეკავშირება ფრაქციისა და სოციალ-დემოკრატიის გადასარჩენად!

ეს მჯღაბნელი ოპოზიციამ დაიბარა,—ჩვენ იგი არ დაგვიბარებია, რაკი ვიცოდით, რომ საერთო შეხვედრა უნდა გადადებულიყო *.

ლინდოვისა და ორლოვსკისაგან ჯერჯერობით ცუდი ამბები მოდის: პირველი ავად არისო, მეორეს მხოლოდ პიტერში შეუძლია ჩასვლაო. თუმცა, უშუალოდ მათთვის გაგზავნილ ჩემს წერილებზე პასუხი ჯერ არ მიმიღია. დაველოდოთ.

ჩანს, რომ ახლა ბედს ვლასოვი წყვეტს: თუ იგი ბრიყვებთან, ობივატელებთან და მახისტებთან ერთად არის, მაშინ, ალბათ, გათიშვა და შეუპოვარი ბრძოლა მოგველის. თუ იგი ჩვენთან ერთადაა, მაშინ, ეგებ, მოვახერხოთ საქმე მოვრჩეთ ორიოდე ობივატელის გამოთიშვით, რომლებიც პარტიაში ნულს შეადგენენ.

არამზადა ნიკიტიჩმა ესერებთან იჭორავა და უსინდისობა ჩაიდინა! ეს «თხუპნია» ბაღლინჯოებს ჰგავს: სხვის პარტიას შესჩივლო და შენსას ცილი დასწამო. ამბობენ, «გასამართლებაზე» ესერები, ნიკიტიჩის მიერ აშკარად საქმეს გაცნობილნი, თავხედურად იქცევიანო [147]. ჩვენ ამას პირდაპირ ჩავუთვლით ანგარიშში ნიკიტიჩს, ამას არ ვაპატიებთ!

«იური — ნიკიტიჩის» ინციდენტის შესახებ არაფერი არ ვიცი [148]. მეგონა, თქვენგან შევიტყობდი. ჩემი აზრით, თქვენ თვითონ და სწორედ ახლა უნდა მისწეროთ იურის respective ** დაიბაროთ და მოაცემინოთ გარანტიები, ან უმჯობესია დაცულ ადგილას გადაატანინოთ ნაშთი.

---

* იგულისხმება «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირი. რ ე დ.

** — ან. რ ე დ.

დომოვი+ბოგდანოვი+მარატი დღეს ბოლშევიკური ცენტრისაგან მოითხოვენ პლენუმის ვადად დანიშნონ V-ის დამლევი — VI-ის დამდეგი. სინამდვილეში, პლენუმი მხოლოდ უფრო გვიან არის შესაძლებელი.

იმკურნალეთ სერიოზულად, ყველაფერში დაუჯერეთ ექიმებს, რათა პლენუმამდე მაინც მოასწროთ ცოტათი მომჯობინება. გ ე თ ა ყ ვ ა, მოეშვით სანატორიუმიდან გაქცევის ფიქრს. ჩვენთან სრული უკაცრიელობაა და, თუ თავი არ მოირჩინეთ (ეს კი ადვილი როდია, ნუ მიეცემით ილუზიებს, ამისათვის ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ უნდა იმკურნალოთ!), შეიძლება დავიღუპოთ.

ლიუბიჩთან შეეცადეთ დაამყაროთ და ი ქ ო ნ ი ო თ ყველაზე წესიერი მიმოწერა: ე ს აუცილებელია, რადგან შესაძლებელია, უკიდურესობამ გამოგვაძახებინოს ივი. აუცილებლად დაამყარეთ მასთან პირდაპირი მიმოწერა.

გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან დავოსში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ძე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

160

წერილი «პროლეტარის» რედაქციას

ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ც ე ნ ტ რ ი ს წ ე ვ რ ე ბ ს —
ა მ ხ. ა მ ხ. მ ა ქ ს ი მ ო ვ ს, მ ა რ ა ტ ს ა და დ ო მ ო ვ ს

... თქვენს წინადადებაზე, ახლა ბოლშევიკური ცენტრის მოწვევის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია გაცნობოთ შემდეგი:

1) ბოლშევიკური ცენტრის მთელმა რიგმა წინა კრებებმა გვიჩვენეს, რომ ამ სხდომებზე აღძრული მეტ-ნაკლებად არ-

სებითი საკითხების მთელი ჯგუფი აშკარად უკავშირდება უფრო ზოგადი ხასიათის საკითხებს, რომელთა გადასაწყვეტად ვიწვევთ ახლა ბოლშევიკური ცენტრის გაფართოებულ კრებას. საკითხთა ამ ჯგუფის გადაწყვეტა მანამ, ვიდრე გადაიჭრებოდეს ზოგადი საკითხი იმაზე, თუ რა მიმართულებით უნდა ხორციელდებოდეს ბოლშევიკური ცენტრის, როგორც ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელი ორგანოს, მთელი პრინციპული და პრაქტიკული პოლიტიკა, ასეთ პირობებში ან შეუძლებელია ან სინამდვილეში იქცევა კინკლაობად და მის ელემენტებს აძლიერებს. ბოლშევიკური ცენტრის გადაწყვეტილებებისადმი ისეთი დამოკიდებულებისას, რასაც «ოპოზიციის» მხრივ ვხედავთ, საქმეთა ამხანაგური განხილვა იქცევა ამ ამხანაგების მთელ რიგ გამოხდომებად ბოლშევიკური ცენტრის ცალკეული წევრების წინააღმდეგ ამ ამხანაგების მთელ რიგ გამოხდომებად, ჭორებისა და ცილისწამების დაუმტკიცებელ გამეორებად.

2) ამის გამო ბოლშევიკურმა ცენტრმა, აღნიშნა რა, რომ ბოლშევიკური ცენტრის ზოგიერთი წევრი გამთიშველ გზას დაადგა, უკვე მიიღო დადგენილება, რომ გადაუდებელ პრაქტიკულ საკითხთა გადასაწყვეტად პლენუმის მოწვევამდე დასაშვებია ბოლშევიკური ცენტრის წევრთა გამოკითხვა. ამიტომ ახლა ვერ ვხედავთ იმის საჭიროებას, რომ მოვიწვიოთ ბოლშევიკური ცენტრი პარიზში ამჟამად მყოფი წევრების შემადგენლობით, მით უმეტეს, რომ მისი უახლოესი სიბაბი — გაფართოებული კრების მოწვევის ვადის განსაზღვრა — შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ ბოლშევიკური ცენტრის ყველა წევრის, უმთავრესად, რუსეთში მყოფთა, გამოკითხვის გზით. შესაბამისი შეკითხვები ყველას გაეგზავნა და ველით პასუხს, რასაც მდივანი შეგატყობინებთ.

ოლქებიდან წარმომადგენელთა მოწვევის საკითხი განსაკუთრებულ განხილვას არ მოითხოვს, რადგან ბოლშევიკური ცენტრის გაფართოებულ კრებაზე ამ წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

ამხ. ნ.-ს განცხადებას მისთვის სასურველი ვადის შესახებ,

რა თქმა უნდა, უაღრესი ყურადღებით განვიხილავდით მაშინაც კი, სამი სხვა წევრის მეშვეობითაც რომ არ გადმოეცა იგი.

ამხ. სალმით

ი. კამენევი
ნ. ლენინი
გრიგოლი
ვიქტორი

დაწერილია არა უგვიანეს 1909 წლის
26 აპრილისა
პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება უცნობის
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

167

ი. თ. დუბროვინსკის

29. IV. 09.

ძვირფასო მეგობარო! თქვენი წერილი დღეს მივიღე. არავითარ შემთხვევაში არ წამოხვიდეთ სანატორიუმიდან. არავითარ შემთხვევაში არ გადახვიდეთ სასტუმროში. Plenum-ამდე სერიოზულად უნდა გამოკეთდეთ, ეს კი სხვაგვარად განუხორციელებელია, თუ არა სანატორიუმში. ჩვენ აქ საშინლად დაგვაწყდა ნერვები ამ სულელურ, წვრილმან, იატაკქვეშურ და საზიზღარ კინკლაობასთან ბრძოლაში: ავირიდეთ ბოლშევიკური ცენტრის კრება (რადგან აუტანელი ხდება), — და ამით გამოვიწვიეთ მარატისა და დომოვის სამმაგი ისტერიკა! აი დარდი! მაგრამ კრების მოწვევის დროისათვის თქვენ სავსებით ჯანმრთელი გვჭირდებით, და ამიტომ იმკურნალეთ სერიოზულად და ნუ მიატოვებთ სანატორიუმს.

ი.-სთან, მგონი, ყველაფერი ძოგვარდა ახლა მგზავრობით, თუმცა დაგვიანებულით.

რუსეთში ცუდადაა საქმე: ურალი მთლად ჩავარდა,

მთელი კონფერენცია. როგორც ჩანს, შჩურიც ჩავარდა; სხვა-გვარად ვერ ახსნი მის დუმილს. ვლასოვისაგან არაფერი ისმის.

წაიკითხეთ თუ არა ვოლსკი?[149] მაცნობეთ თქვენი აზრი და, თუ წიგნი არ გჭირდებათ, გამომიგზავნეთ.

როზას შესახებ არაფერი არ ვიცი. ხომ არ აჯობებს, პირდაპირ დაუკავშირდეთ მას წერილობით?

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან დავოსში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

168

ი. ი. დუბროვინსკის

4/V. 09.

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი წერილი და უაღრესად გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს. ვთქვათ, ჩვენ შეცდომა მოგვივიდა პოკროვსკის მიმართ (მე მზად ვარ ვივარაუდო ეს და მთლიანად ვიკისრო ბრალი, რადგან გრიგოლი მე დავიყოლიე), მაგრამ ამის გამო თქვენი წამოსვლა დიდი უაზროობაა. პოკროვსკის საქმეს ახლა აღარაფერი ეშველება. მეშკოვსკის გამოძახება ვლასოვთან და ოლქების წარმომადგენლებთან (შჩური უვნებლადაა და თავდებობს, ოტზოვისტი მოსკოვისაგან ვერ გავაო, ლიადოვი და ალექსინსკი... * — იგი ახლა კაპრიზეა — აგრეთვე ვერ გავა. პიტერისაგან, ამბობენ, ანტიოტზოვისტი იქნებაო) სრულებით არ არის საჭირო. ა ხ ლ ა — საჭიროა: დაველოდოთ ბოლშევიკური ცენტრის

* ხელნაწერში ერთი სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

plenum-ს. თორემ კინკლაობა იმატებს, — ჩვენ ხომ მაინც ა ღ ვ კ ვ ე თ ე თ იგი. უეჭველია, პოკროვსკისთან შეხვედრისას ბოგდანოვი ათობით ა ხ ა ლ საწყენს იტყოდა და ამაში პოკროვსკის ჩაითრევდა, ახლა კი ერთი იკმარა. ეს კი გარდუვალი იყო: ნუ გააზვიადებთ, თუ ღმერთი გწამთ! ნიკიტიჩის, ლიადოვის, პოკროვსკის, გუშინდელი ნეიტრალურეტის, «გაავება» შემთხვევითი კი არა, გ ა რ დ უ ვ ა ლ ი ა: გაიზარდა საქმე. გაიზარდა და ჩირქგროვა სკდება, მოთმენით კი ყოველთვის როდი მოითმენ, როცა ხედავ, რომ ირგვლივ მყრალი კინკლაობაა.

მაგრამ თქვენი წამოსვლა უგუნურებაა. ჩვენ აქ გავძლებთ კიდევ ერთ თვეს, დარდი ნუ გექნებათ, საქმე არ გაუარესდება. თქვენთვის კი ნერვების მოშლა (პარიზი ძალიან უშლის კაცს ნერვებს) კ რ ე ბ ა მ დ ე დიდი უაზრობაა.

1000-ჯერ ვაცხადებ პროტესტს: აუცილებლად დარჩით სანატორიუმში თ ვ ი თ plenum-ა მ დ ე. 200—300 frs-ის დაზოგვა სისულელეა. თუ თქვენ ს ა ნ ა ტ ო რ ი უ მ შ ი დარჩებით, plenum-ისათვის გვეყოლება თუნდაც ერთი სავსებით ჩვენი კაცი, სავსებით ჯანმრთელი ნერვებით და წვრილმან კინკლაობაში ჩაუთრეველი (აქ თ ქ ვ ე ნ ჩ ა გ ი თ რ ე ვ ე ნ, რაგინდ დიდი ჭკუის პატრონი იყოთ). თუ წამოხვალთ, გაზრდით გაღიზიანებულთა რიცხვს, საქმეს კი ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ა ს ვ ე რ მ ო უ ტ ა ნ თ.

გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს: არავითარ შემთხვევაში არ წამოხვიდეთ, აუცილებლად დარჩით სანატორიუმში თ ვ ი თ plenum-ა მ დ ე.

ვლასოვისაგან ცნობები ჯერ არ არის. უნდა მოვითმინოთ. ლინდოვისაგან მოვიდა წერილი: პრინციპულად თანახმაა ჩამოვიდეს 1 — 2 თვის შემდეგ. სწორედ ზედგამოჭრილი იქნება. ორლოვსკი არ გვპასუხობს. სწორედ ერთი თვის შემდეგ ყველანი მოვიყრით თავს და მაშინ ვნახავთ, ჯერჯერობით კი მომჯობინდით რ ი გ ი ა ნ ა დ და თქვენ მაინც ნუ ინერვიულებთ, ღვთის გულისათვის.

დღეს მივიღე 18 აპრილის წერილი, შენი წიგნი მზად არი-

სო *. ძლივს არ მეღირსა! მისმა დაყოვნებამ ყველაზე მეტად მომიშალა ნერვები. 25 — 26 აპრილისათვის ძველი სტილით მპირდებიან, ჩამოგიტანთო.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ლავოსში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

169

ი. თ. **დუბროვინსკის**

5/V. 09.

[ძვირფასო მეგობარო!] ** გუშინ ჩამოვიდა მარატი (მთლიანად ოპოზიციის მხარეზეა) და ვლასოვი (ჩვენ მხარეზეა). ვლასოვი დ ა გ ვ პ ი რ დ ა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ თქვენთან წ ა მ ო ვ ა. მაშასადამე, ელოდეთ და არამც და არამც ადგილიდან ა რ დ ა ი ძ რ ა თ, ერთმანეთს რომ არ ასცდეთ. ვლასოვი თქვენებურადაა განწყობილი: პრინციპულად ჩვენთან ერთად არის, ოღონდ გვკიცხავს აჩქარებისათვის, პოკროვსკის გამარჯვებისათვის etc. მაშასადამე, ნ უ გ ე შ ი ნ ი ა თ: ამიერიდან ვლასოვი ხელისუფლების სათავეში იქნება! და ახლა არც ერთ შეუსაბამო რამეს არ ვიზამთ.

ვლასოვი გვისაყვედურებს, არ იცით, ადამიანებს როგორ უნდა მოეპყრათ და დააჯეროთო. (და ამას მართალს ამ-

---

* ლაპარაკია წიგნზე «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 14). რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრით. რ ე დ.

ბობს). მაშასადამე, ნურც აქ გეშინიათ: ამიერიდან ვლასოვი ყოველივე ამას მოაგვარებს.

მეშკოვსკი, ოლქების წარმომადგენლები გამოემგზავრნენ. მაშასადამე, ყველაფერს გავაკეთებთ. [მაშასადამე], ნუ შეწუხდებით, იმკურნალეთ სერიოზულად. არავითარ შემთხვევაში ფეხი არ მოიცვალოთ, დარჩით სანატორიუმში.

თუ თქვენ სამი კვირის შემდეგ (უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამიოდე კვირის შემდეგ, რადგან ზუსტად ჯერ არ არის ცნობილი) სავსებით არ გამოკეთდით, დაგვღუპავთ. ნუ დაიშურებთ რამდენიმე ასეულ ფრანკს, ეს უაზრობაა. იმკურნალეთ, ისეირნეთ, იძინეთ, ჭამეთ [აუცილებლად], რადგან [პარტიისათვის] ჩვენ ჯანსაღნი გვჭირდებიან.

დღეს გაიმართა პარიზის ჯგუფის კრება. ჟენევის ჯგუფმა გამოაცხადა, რომ გაწყვიტა კავშირი ბოლშევიკურ ცენტრთან და ამასვე მოუწოდებს პარიზის ჯგუფს. მარატმა სიტყვა წარმოთქვა ჟენევის სახელით: ვლასოვი მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ეს კარგია: ჟენევამ დაიწყო გათიშვა და მარატი ბოლშევიკური ცენტრის დაუკითხავად ბოლშევიკური ცენტრის წინააღმდეგ აქეზებდა ჯგუფს, თანაც ეს საკითხი არ შემოუტანია ბოლშევიკურ ცენტრში.

თვითონ იწყებენ და თვითონვე სასაცილოდ იგდებენ თავს.

ყოველივე [საუკეთესოს] გისურვებთ. იმკურნალეთ, იმკურნალეთ და ნუ იჯავრებთ!

თქვენი [ლენინი]

გაგზავნილია პარიზიდან ციურიხში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

170

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს

პარიზი, 1909 წლის 26 მაისი

ძვირფასო ამხანაგო,

გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს მეფის გამგზავრებასა და იმაზე, რომ იგი აპირებს ეწვიოს შვეიცარიას, იტალიას, ინგლისსა და საფრანგეთს *.

შვედმა სოციალისტებმა უკვე საჭიროდ მიიჩნიეს ამის გამო გამოსულიყვნენ, და მატი სახელით ჩვენმა ამხანაგმა ბრანტინგმა შვეიცის პარლამენტში — მთავრობისადმი შეკითხვის ფორმით — განაცხადა საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის სულისკვეთებით გამსჭვალული ენერგიული პროტესტი.

დარწმუნებული ვართ, ჩვენი ამხანაგები სხვა ქვეყნებში გაიზიარებენ ბრანტინგის აზრს, რომ მეფის ვიზიტი არ არის ოფიციალური დიპლომატიის ჩვეულებრივი აქტი და რომ თავის მხრივ განაცხადებენ პროტესტს, როგორც ამას ვითარება მოითხოვს.

საჭიროა მხოლოდ მოვუწოდოთ მათ სასწრაფო მოქმედებისაკენ. ცხადია, რუსეთის სექცია ვერ გამოვა უშუალოდ. ჩვენ გვგონია აგრეთვე, რომ აღმასრულებელ კომიტეტსა და საპარლამენტთაშორისო კომისიას შეუძლიათ იკისრონ ინიციატივა და მიმართონ მიმხრობილ პარტიებს, ისევე როგორც შესაბამის საპარლამენტო ჯგუფებს, ამასთან დაანახვონ მათ მეფე ნიკოლოზ II-ს როლი იმ რეჟიმის მხეცობაში, რომლისაც იგი არა მარტო წარმომადგენელია, არამედ აქტიური და დამნაშავე სულისჩამდგმელიც.

სხვა სექციებიდან ჩვენი ამხანაგების უაღრესად განსაკუ-

---

* იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «მეფის გამგზავრება ევროპაში და შავრაზმული სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატისა — ინგლისში». (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 565 — 571). რ ე დ.

თრებული ყურადღება უნდა მიექცეს მხეცობას რუსეთის პოლიტიკურ საპყრობილეებში, სადაც ათეული ათასობით ჩვენი ამხანაგი ზღავს თავის მისწრაფებას თავისუფლებისადმი და თავის ბრძოლას მუშათა საქმისა და სოციალიზმისათვის. ეს ფაქტები გახდა საგანი ინტერპელაციისა, რომელიც ამ დღეებში შეიტანა სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, და ჩვენ გიგზავნით ამ ინტერპელაციის[150] თარგმანს, ამასთან გთხოვთ გაითვალისწინოთ იგი თქვენი მიმართვის შედგენის დროს და საჭიროების შემთხვევაში გადაუგზავნოთ ტექსტი სექციებს თხოვნით, გამოაქვეყნონ იგი პრესაში.

ძმური სალმით

ნ. ლენინი
ი. რუბანოვიჩი

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 5

იბეჭდება ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

171

ჯ. ჰიუისმანსს

1909 წლის 20 ივლისი.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

გთხოვთ მაპატიოთ, რომ რამდენადმე დავაყოვნე პასუხი. მთელმა რიგმა გარემოებებმა შემიშალეს ხელი და უფრო ადრე ვერ მოგწერეთ.

მე მგონია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამის თარგმანი, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, მეტად არასრულყოფილია. მაგრამ ფრანგული ენა იმდენად არასაკმარისად ვიცი, რომ ვერ ვბედავ ხელი მოვკიდო თარგმანის გასწორებას. ამხანაგი შარლ რაპოპორტი

(ჟურნალ «სოციალიზმის» [151] რედაქციიდან) თავაზიანად დაგვთანხმდა შეასრულოს ეს სამუშაო. იგი რედაქციას გაუკეთებს თარგმანს, და იმედი მაქვს მალე გამოგიგზავნით.

რაც შეეხება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომას, მე ხმას ვაძლევ ნოემბერს.

ჩემი ახალი მისამართია: Mr. Wl. Oulianoff
4. Rue Marie-Rose. 4.
Paris (XIV).

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი უაღრესად მეგობრული სალამი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა ფრანგულ
ენაზე 1962 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 4

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

172

3. ჰიუისმანსს

29/VII — 09.

ძვირფასო ამხანაგო!

აი სოციალ-დემოკრატების — III სათათბიროს დეპუტატების სია:

პრეზიდენტი
გეგეჭკორი
კუზნეცოვი

პოლეტაევი
ზახაროვი
ეგოროვი
სურკოვი
ჩხეიძე
პოკროვსკი 2 (სათათბიროში ორი დეპუტატია ასეთი გვარით)
ვოილოშნიკოვი
პუტიატინი
ბელოუსოვი
ვორონინი
შურკანოვი
ასტრახანცევი

რაც შეეხება დეპუტატთა მისამართებს, ახლა, სათათბიროს შუშაობაში გამოცხადებული შესვენების დროს, მე არ შემიძლია შეგატყობინოთ არავითარი სხვა მისამართი, გარდა შემდეგისა: „Gosoudarstvennaja Douma. Tavricheskij Dvoretz. *St.-Pêtersbourg*. ბ-ნ დეპუტატ მავანს“.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი უაღრესად მეგობრული სალამი.

ვლ. ულიანოვი

---

4. Rue marie-Rose. 4.
Paris (XIV).

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

173

კ. ჰიუისმანსს

30/VII. 09.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ნება მიბოძეთ გაგაცნოთ ამ წერილის მომტანი, ამხანაგი ბოგდასარიანი, ჩვენი პარტიის წევრი. ამ ამხანაგს, საპატიმროდან გამოსულს, ნათესავებმა უარი უთხრეს ყოველგვარ დახმარებაზე, და იგი ვეღარ განაგრძობს მეცადინეობას უნივერსიტეტში. მან კარგად იცის ფრანგული ენა, და იმედი მაქვს, არ გაგიჭირდებათ მოუნახოთ რაიმე გონებრივი სამუშაო.

წინასწარ გიძღვნით მადლობას და გითვლით ჩემს ძმურ სალამს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

174

კ. ჰიუისმანსს

1909 წლის 26 აგვისტო.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

მივიღე თქვენი 23. 8-ის წერილი და დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ გამომიგზავნეთ ჰერციკის წერილის პირი.

ეს ვაჟბატონი დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს თავისი წერილებით; მას ლაპარაკიც კი უნდოდა ჩემთან, მაგრამ, თა-

ვისთავად ცხადია, უარი შევუთვალე, რადგან არის განაჩენი რევოლუციური ტრიბუნალისა, რომელიც შედგებოდა ყ ვ ე ლ ა პ ა რ ტ ი ი ს წარმომადგენლებისაგან, და თანახმად ამ განაჩენისა. ბ-ნი ჰერციკი არ შეიძლება იყოს **რევოლუციური პარტიის** წევრი. ეს განაჩენი კასირებული არ არის და ბ-ნი ჰერციკი ნამდვილად ტყუის, როცა თქვენდამი წერილში გამოტოვებს ყველაზე არსებითს ამ განაჩენიდან [152].

იგი გადასინჯვას ითხოვს? ამისი სრული უფლება აქვს. მაგრამ ამ ვაჟბატონმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ არსებობს კანონიერი და პატიოსანი გზა, რომ მოითხოვოს გადასინჯვა, და თუ იგი არიდებს თავს ამ გზას, თუ იგი ამჯობინებს მიმართოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს — ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს (როგორც მგონია) მ ი ს ა რ ა კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ე ბ ა ს.

ლეგალური და პატიოსანი გზა იმისა, რომ ითხოვო გადასინჯვა, ისაა, რომ შენი თხოვნა გაუგზავნო იმ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, რომელთა წარმომადგენლები ჟენევაში მონაწილეობდნენ ტრიბუნალში. რატომ არ მიმართავს ბ-ნი ჰერციკი ამ კომიტეტებს? რატომ მოჰყავს ციტატად ბ-ნ ბურცევის კერძო აზრი და არ მიმართავს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ თ ა პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ს. რომლის წევრია ბურცევი? რატომ მიმართავს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ინსინუაციებით ბოლშევიკების წინააღმდეგ, თან ამბობს, ისინი «არაკეთილსინდისიერად» მოქმედებენო, და არ მიმართავს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს? ბოლშევიკები ამ პარტიის ნაწილს შეადგენენ. ბოლშევიკებს მხოლოდ 5 წევრი ჰყავთ ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც 15 წევრისაგან შედგება.

თვითონ განსაჯეთ, ვინ მოქმედებს არაკეთილსინდისიერად ამ საქმეში.

მე არასოდეს არ ვყოფილვარ ჟენევის ბოლშევიკური წრის წევრი, რომელიც იძიებდა ჰერციკის საქმეს. თუ ბ-ნ ჰერციკს მიაჩნია, რომ ამ საგამომძიებლო კომისიის წევრები უკანონოდ

მოქმედებდნენ და ა. შ., მას აქვს უფლება (და ეს მისი ვალიცაა) მიმართოს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, ჩემი აზრით, არ უნდა იღებდეს საჩივრებსა და თხოვნას, თუ ისინი წინასწარ არ განუხილავთ ინტერნაციონალში შემავალ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს. მე კარგად მესმის, ბ-ნ ჰერციკს, ისევე როგორც ყოველ სხვა მოქალაქეს, უფლება აქვს საჩივრით მიმართოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს ინტერნაციონალში შემავალ პარტიათა ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილების გამო. მაგრამ, თუ მას არ სურს მიმართოს ინტერნაციონალის წევრ პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მაშინ, ჩემი აზრით, არც იმის უფლება აქვს, რომ მიმართოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს.

ჩემი აზრით, ერთადერთი პასუხი, რომელიც ბ-ნ ჰერციკს უნდა გასცეს საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ, შემდეგია: მიმართეთ ყველა იმ პარტიის, ესე იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის, ბუნდისა და სხვა პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ტრიბუნალში. თუ ამ კომიტეტებმა არავითარი პასუხი არ მოგცეს ანდა უარით გიპასუხეს, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ მიმართოთ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს თხოვნით ან საჩივრით ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამო, ინტერნაციონალში შემავალი პარტიის ამა თუ იმ ცენტრალური კომიტეტის გამო. ასეთია ჩემი აზრი, რომელსაც გაცნობებთ თქვენ, როგორც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრი, როგორც ბოლშევიკი, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. (პარიზში არის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული ბიურო და ბ-ნმა ჰერციკმა ძალიან კარგად იცის, რომ ამ ბიუროსათვის უნდა მიემართა. მე ხომ არა ვარ მისი წევრი).

ძალიან ვწუხვარ, ძვირფასო ჰიუისმანს, რომ ვერ ვიქნები

პარიზში 1909 წლის 30 და 31 აგვისტოს და ამის გამო ვერ გესაუბრებით ამ საკითხზე. იმედი მაქვს მაპატიებთ, რომ გაგაწვალეთ ჩემი ცუდი ფრანგულით ამ წერილში, რომელიც მართალი გითხრათ, ერთობ გრძელი გამოდგა.

ახლა მე ვისვენებ ქალაქგარეთ (Mr. Wl. Oulianoff. Chez m-me Lecreux. *Bombon*. Seine-et-Marne). პარიზში 15 სექტემბრამდე დავბრუნდები.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში **«*Cahiers du Monde Russe et Soviétique*» № 4**

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით ორიგინალი ფრანგულიდან

175

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

მივიღე ორივე წერილი და სტატია. ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, შესამოკლებელია. შეეცდები შევამოკლო — არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა?

დაველოდები სტატიას პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის შესახებ (ამ საკითხზე მე მაქვს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ცირკულარი; არ გიგზავნით, რადგან გვიანაა). აცნობეთ ამის შესახებ გრიგოლს.

რა იყო, რა დაიბეჭდა გაზეთებში სოკოლოვის შესახებ? მე ეს ძალიან მაწუხებს, რადგან ვაპირებდი დამეწერა ს.-პეტერბურგის არჩევნებზე. «რ ე ჩ შ ი»[153] წავიკითხე, რომ სოციალ-დემოკრატები სოკოლოვს ასახელებენ. უფრო დაწვრილებით მომწერეთ, რა «ზღაპრები» წაიკითხეთ, და გამომიგზავნეთ ეს ნომრები.

«ვოზროჟდენიასა» და «სოვრემენნი მირში» დაბეჭდილი რეცენზიები წავიკითხე[154].

პარიზში დაბრუნების შესახებ გრიგოლი იწერება, 4 სექტემბერს ვიქნებიო. მე ვაპირებ დაბრუნებას არა უადრეს 15 სექტემბრისა. თქვენს კითხვაზე, წამოხვიდეთ თუ არა, გეტყვით მხოლოდ: თუ სავსებით დაისვენეთ, კარგი იქნება წამოხვიდეთ, დაუყოვნებლივ დაიწყოთ «პროლეტარის» კლუბი, წაუკითხოთ მუშებს ორი რეფერატი (პოპულარული) პოტრესოვის ლიკვიდატორობის შესახებ, ერთი «მემარცხენეთა» შესახებ — ბოლშევიკებს, შემდეგ მოემზადოთ სექტემბრის დამლევისათვის (დაახლოებით) გასამგზავრებლად, რათა რეფერატი წაუკითხოთ საზღვარგარეთის ჯგუფებს. ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ.

მენშევიკების და პროკოპოვიჩისა და კუსკოვას შესახებ საინტერესო იქნება მოვისაუბროთ შეხვედრისას. სტატიებშიც და რეფერატებშიც პოტრესოვის ლიკვიდატორობას რაც შეიძლება ძლიერ უნდა დავესხათ თავს. ჩვენ დაგვიგვიანდა ეს.

გართმევთ ხელს.

P. S. რუსეთიდან იწერებიან, საქმე ცუდად არისო. დავიდოვი დაუპატიმრებიათ. უნდა გავაძლიეროთ მუშაობა საზღვარგარეთ აგიტაციისათვის.

დაწერილია 1909 წლის 27 აგვისტოს
გაგზავნილია ბომბონიდან
არკაშონში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

176

გ. ე. ზინოვიევს

ძვირფასო გრ.! გიგზავნით «Vorwärts»-ს[155] და კამენევის სტატიას. ეს უკანასკნელი, ჩემი აზრით, აუცილებლად

და დაუყოვნებლივ უნდა მოვათავსოთ, რადგან უამისოდაც საშინლად დავაყოვნეთ «პროლეტარისათვის» ეს ყოველმხრივ უთუოდ საჭირო სტატია. მოგვიწევს მისი 2 ფელეტონად გაყოფა. პირველი დავნიშნე (გვ. 1 — 33) და გავასწორე. იქნებ მოახერხოთ და კიდევ შეამოკლოთ იგი? მე უარს არ ვამბობ ვეცადო კიდევ შევამოკლო კორექტურაში: დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ასაწყობად და უბრძანეთ მაშინვე გამომიგზავნონ კორექტურა. ეს დიდმნიშვნელოვანი სტატიაა, და მეტი ყურადღებით გვიხდება მასზე მუშაობა.

სამწუხაროა, რომ კამენევი დაუდევრად მუშაობს. უაღრესად მადლიანი თემაა, — ის კი იფანტება, იბნევა, ღობეყორეს ედება, ჯეროვნად ვერ სწვდება საქმის ცენტრსა და არსს.

ხომ არ გაგვეგზავნა მისთვის მე-2 ნახევარი, რომ გადაეკეთებინა ამ მხრივ? კარგი იქნებოდა! მისწერეთ ორივე ჩვენგანის სახელით, რომ ვთხოვთ ხელახლა დაწეროს მე-2 ნაწილი (**დატოვოს 1-ლი ვარიანტიც**) — ცვლილებანი შეიტანოს აღნიშნულის მიხედვით და მაშინ საუცხოო სტატია გამოგივათ-თქო და ა. შ. — და გაუგზავნეთ მე-2 ნაწილი. მაინცდამაინც დიდი იმედი არა მაქვს, რომ გადაამუშავებს, მაგრამ დაჟინებით უნდა მოვთხოვოთ.

ჯერ კიდევ ამ დღეებში დამპირდა მოწინავეს «პროლეტარისათვის». ვნახოთ.

სტატიებს «პროლეტარისათვის» დავწერ და პირდაპირ ასაწყობად* გავგზავნი, — რადგან 4 სექტემბერს გინდათ იყვეთ პარიზში.

მე არ ვაპირებ 15 სექტემბერზე ადრე დაბრუნებას.

ტყუილად აკავებთ კამენევს Arcachon-ში. უკეთუ დაის-

---

* საქმე ეხება ვ. ი. ლენინის სტატიებს «პროლეტარის» 47 — 48 №№-სათვის: «მხილებული ლიკვიდატორები», «მოსკოვის საოლქო კომიტეტის აღმასრულებელი კომისიის ღია წერილის გამო», «პეტერბურგის არჩევნებისათვის» და ნომრის დამატებაში მოთავსებული სტატია «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ». (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 1 — 64). რედ.

ვენა, დაბრუნდეს, და აუცილებლად უნდა გავგზავნოთ აგი რეფერატებით.

გართმევთ ხელს. ნ. ლენინი

მე ვერ მოვკიდებ ხელს ბუნდელთა გარჩევას. მაგრამ მათს № 2-ს უთუოდ უნდა დავესხათ თავს. ეს თქვენ ითავეთ, გამოვუშვათ დიდი საბრძოლო ნომერი. დაწერეთ სტატია № 2-ის [156] წინააღმდეგ.

დაწერილია 1909 წლის 27 აგვისტოს
გაგზავნილია ბომბონიდან
არკაშონში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

177

კ. ჰიუისმანსს

11. 9. 09.

ძვირფასო ჰიუისმანს!

ძალიან მიკვირს, რომ შარლ რაპოპორტს, რომელიც დამპირდა, თქვენი პარტიის პროგრამასა და წესდებას გითარგმნითო, დღემდე არ მოუწერია თქვენთვის. უკვე რამდენიმე კვირის წინათ დამპირდა, მივწერო.

ორი-სამი დღის შემდეგ პარიზში ვიქნები, მაშინვე ვკითხავ რაპოპორტს და შეგატყობინებთ.

რაც შეეხება ბ-ნ ჰერციკის საქმეს, ძალიან კარგია, რომ უკან წაიღეთ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ უაღრესად უსამართლო ბრალდება.

თქვენ მეკითხებით იმ ამხანაგის მისამართს, «რომელსაც ჰერციკმა უნდა მიმართოს». ვიმეორებ: მან უნდა მიმართოს იმ პარტიათა კომიტეტებს, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ სასამართლოში, რომელმაც ჰერციკის საქმე განიხილა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მისამართი შემდეგია: ბ-ნ დ. კოტლიარენკოს (ბიუროსათვის და ა. შ.) 110. Rue d'Orleans 110. Paris. XIV. ეს მისამართი სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს გაზეთებში. ვიმეორებ აგრეთვე, რომ არასოდეს არ ვუპასუხებ ჰერციკს, რადგან ეს არამზადა ნებას აძლევს თავს მეტად შეურაცხმყოფელი ქარაგმები გამოთქვას რუს სოციალ-დემოკრატთა მიმართ. ამაზე ადვილი რაღაა. თუ იგი ბედავს და ამტკიცებს, რუსი სოციალ-დემოკრატები «მიმკერძავი» მოსამართლენი არიანო, რატომ არ მიმართავს სხვა პარტიათა კომიტეტებს, რომლებმაც იგი გაასამართლეს?

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Oulianoff
4. Rue Marie Rose. 4
Paris. XIV

გაგზავნილია ბომბონიდან
(საფრანგეთი) ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ
ენაზე 1962 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde
***Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

178

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო მარკ! გუშინ, როცა სტატიაზე ვმუშაობდი, შეცდომა მომივიდა — გრიგოლის პროექტში (პასუხი კაპრიელებს აღმასრულებელი კომისიის * სახელით) დავტოვე რ წ მ უ ნ ე-

* ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელი კომისიის. რ ე დ.

ბ ულ ი ს მ ი წ ვ ე ვ ა. ეს სისულელე აუცილებლად ამოაგდეთ: პარიზში რწმუნებული კი არა, მ ო წ ა ფ ე ე ბ ი უნდა მივიწვიოთ სასწავლებლად. რწმუნებულად შეუძლიათ თავგამოდებული ოტზოვისტი, მეტიც ლიადოვი ან ალექსინსკიც აირჩიონ, და მაშინ გაბრიყვებული დავრჩებით. არა, რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ს გამოძახებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია[157].

პლეხანოვის «დნევნიკი» ისევ არა მაქვს. დაბეჭითებით ვთხოვთ გასცეთ განკარგულება, რომ ექსპედიციამ დაუყოვნებლივ გამომიგზავნოს. უმისოდ ვერ ვწერ შეკვეთილ სტატიას *.

გართმევთ ხელს. ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გუშინ დაზღვეული წერილით ჩეკი გამოგიგზავნეთ. იმედი მაქვს, მიიღებდით.

დაწერილია 1909 წელს
სექტემბრის პირველ ნახევარში
გაგზავნილია ბომბონიდან
(საფრანგეთი) პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

179

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» რედაქცია იმის გამო, რომ საზღვარგარეთის ს.-დ. ჯგუფებს შორის გაავრცელეს ნაბეჭდი ფურცელი «საშას» ხელმოწერით (ფურცელს თან ვურთავთ), რომელიც შეიცავს ბრალდებებს «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს»[158] რედაქციის წინააღმდეგ, — შემდეგ, იმის გამო, რომ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» ზოგიერთი მოწინააღმდეგე როგორც ამასწინანდელი კონფერენციის შემდეგ «გაძევებული» ბოლშევიკების

* იხ. სტატია «მხილებული ლიკვიდატორები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 1 — 10). რ ე დ.

წრიდან, ისე მენშევიკების წრიდან. ამ ფურცელს იყენებს, რათა განიხილოს ჯგუფებში «სენსაციური» «საქმე», რომელიც სულაც არ არის რომელიმე ადგილობრივი პარტიული ჯგუფის საგამგებლო და გასარჩევი,

— სთხოვს რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს გაარჩიოს საქმე «საშას» ბრალდებათა გამო, არსებითად განიხილოს ეს ბრალდებანი და გამოიტანოს პარტიის უმაღლესი ორგანოს ოფიციალური გადაწყვეტილება.

დაწერილია 1909 წლის
17 სექტემბერს პარიზში
(ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

180

ჟ. ჰიუისმანსს

17. 9. 09

ჩემო ძვირფასო ჰიუისმანს!

პარიზში ჩასვლისთანავე მივიღე თქვენი 15. 9. 09-ის წერილი. ჩვენი კომიტეტის ბიუროს მდივანთან ვიყავი. მან მაცნობა, რომ ამას წინათ მიიღო ჰერციკისა და ბუნდის კომიტეტის წერილი. წერილიდან ჩანს, რომ ჰერციკს როგორც იქნა მიუმართავს სხვა პარტიათა კომიტეტებისათვის — რაც უფრო ადრე უნდა ექნა. ბუნდი გადასინჯვის მომხრეა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო განიხილავს თხოვნას გადასინჯვის შესახებ. მაშ ასე, იმედი მაქვს, «ჰერციკის ინციდენტი» ამოწურულია.

რაც შეეხება რაპპორტს, იგი გთხოვთ აცნობოთ ზუსტი თარიღი, როდისთვის უნდა გქონდეთ აუცილებლად პროგრამისა და წესდების თარგმანი. ძალიან გთხოვთ შეგვატყობინოთ **საბოლოო** თარიღი ჩემი მისამართით ან რაპპორტის მისამართით, 39 Boulevard Port Poyal, 39. Paris. XIII.

ამხანაგი რაპოპორტი ამბობს, რომ მისი მდგომარეობა ლიტერატურული პროლეტარისა აიძულებს ითხოვოს თარგმანის ანაზღაურება თქვენი შეხედულებისამებრ. იგი მტკიცედ დამპირდა, რომ თარგმანს იმ თარიღისათვის მოამზადებს, რომელსაც თქვენ დათქვამთ.

რაც შეეხება ისტორიულ მიმოხილვას, მე ვნახე ერთი რუსი ამხანაგი, რომელიც ამ სამუშაოს რამდენიმე დღის შემდეგ შეასრულებს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში
**«Cahiers du Monde
Russe et Soviétique» № 4**

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

181

მ. პ. ტომსკის

ძვირფასო ამხანაგო, ეს არის დაგბრუნდი ჩვენს აქაურ ღედაქალაქში და წავიკითხე თქვენი წერილი საქმეთა თაობაზე. სკოლის შესახებ ტყუილად ფიქრობთ, რომ «ცუდადაა» ჩვენი საქმეები». სულაც არ არის ცუდად. მუშები, რაკი მათ ფულს აძლევენ, თანხმდებიან წავიდნენ მშვენიერ სამხრეთში, ეს ბუნებრივია, ამაზე ჩვილი ზედმეტია. საჭიროა მხოლოდ მივაღებინოთ რეზოლუციები, რომ უ კ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ი ს ა ს ამ მუშებმა ერთი თვით შემოიარონ აქ *, — ეს არის მთავარი. აქ შემოუვლელად ყველა ფრაზა «კონტროლის», «ხელმძღვანელობის» შესახებ და სხვ. მხოლოდ და

* — ე. ი. პარიზში, სადაც ბოლშევიკური ცენტრი იყო. რ ე დ.

მხოლოდ «ბლიაგა»* ან თვალთმაქცობაა. შემოიარე აქ — და შენ მარტოოდენ ალექსინსკის წივილსა და ლუნაჩარსკის «სოციალიზმს» როდი ისწავლი. და მერწმუნეთ, ამ გ ზ ი თ **, — შ ე ნ ი მეცნიერებით 20 — 50 მუშის გამოჩერ. ჩეტების გზით — შორს ვერ წახვალ. ოჰ არა, ეს ვარგა ხმაურისათვის, კაუცკის წერილით[159] ტრაბახისათვის, საზღვარგარეთული თამაშისათვის, სერიოზული კი ამ ჩურჩულში არაფერია, იცოდეთ მტკიცედ, რომ ეს «სკოლა» კი არა, ახალი საზღვარგარეთული ეროგინის საერთო საცხოვრებელია ათობით მუშისათვის ოტზოვისტური მონაჩმახის ჩასაჩურჩულებლად. მაქსიმოვი და კომპ. აყაყანდებიან ამის გამო და სირცხვილს ჭამენ.

რაც შეეხება ტროცკის, სამწუხაროდ, საქმე არ გამოდის. ჩვენ მას შევთავაზეთ იდეალურად ხელსაყრელი პირობები, რადგან უაღრესად გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ გვსურს ბლოკი გვქონდეს მასთან; ხელფასი, **«პრავდის» დეფიციტის დაფარ-**ვა, თანასწორობა რედაქციაში, აქ გადმოსვლა; არ გვეთანხმება, მოითხოვს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ს რედაქციაში (ორი ტროცკისტი და ერთი ბოლშევიკი!) გასაგებია, არაპარტიული, ტროცკისტული გაზეთის სხვა ქალაქში შენახვის თავი არა გვაქვს. ტროცკის სურს პარტია კი არ აშენოს ბოლშევიკებთან ერთად, არამედ **თავისი** ფრაქცია შექმნას. ეგრე იყოს, — დაე სცადოს! «თავისი» ფრაქციით იგი ზოგ ვინმეს მენშევიკებს ჩამოაცილებს, ცოტას ჩვენ, ბოლოს და ბოლოს კი გარდუვალად მიიყვანს მუშებს ბოლშევიზმთან.

რაც შეეხება «აგრარული საკითხის ზერელე გადაჭინჯვას», როგორც თქვენ ირონიულად ამბობთ, თუ აქ საქმე ეხება გლეხობის როლს რევოლუციაში, მაშინ ამ შემთხვევაში უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ. **უნდა დავიწყოთ** დისკუსიით საერთო-პარტიულ ან საერთო-ბოლშევიკურ პრესაში. განსა-

---

* — ფრანგული **blague**-საგან: ყბედობა. რ ე დ.

** იგულისხმება კაპრის სკოლის ორგანიზატორთა ფრაქციულ-გამთიშ. ველი საქმიანობა. რ ე დ.

კუთრებით გაფრთხილებთ ბოლშევიზმზე ნაჩქარევი უარის თქმისა და სტოლიპინის აგრარული რეფორმის წარმატების გაზვიადებული რწმენის წინააღმდეგ. **თქმა არ უნდა, მან წა-**მოაყენა ახალი პრობლემები, რომლებიც უნდა შ ე ვ ი ს-წ ა ვ ლ ო თ და შ ე ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ, მან დ ა ს ა ხ ა არარევოლუციური დაბოლოების შესაძლებლობა, მაგრამ აქე-დან მის სრულ წარმატებამდე ისე შორსაა, როგორც ვარსკვ-ლავებამდე.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1909 წლის
20 სექტემბერზე ადრე
გაგზავნილია პარიზიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

182

ჟ. ჰიუისმანსს

30/9 09.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

დღეს გიგზავნით ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების თარგმანს (დაზღვეული ბანდეროლით). თუ შეიძლებოდეს, გამომიგზავნეთ ანაბეჭდი კორექტურისათვის.

რაც შეეხება მიმოხილვას, მას რამდენიმე დღის შემდეგ გამოგიგზავნით.

მთარგმნელის (რაპოპორტის) შრომის ანაზღაურების საკითხი მოვაგვარე. ამ ხარჯს ჩვენი ცენტრალური კომიტეტი გაიღებს.

პირველად მესმის, რომ თვით ბიუროში ყოფილა საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელი. შტუტგარტის შემდეგ ჩვენ ბიუროს ერთი სხდომა გვქონდა და იქ ერთხელაც არ უხსენებიათ, რომ ბიუროს საპარლამენტო ჯგუფს წარმომადგენელი

ჰყავს. თქვენი წერილის მიღებისთანავე მივწერე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელს III სათათბიროში და ვაცნობე ვითარება. პასუხს მალე ვერ მივიღებთ, რადგან სათათბიროს მუშაობაში შესვენების დროს პეტერბურგში დეპუტატები არ იმყოფებიან.

რაც შეეხება ჩვენი პარტიის მოხსენებას კოპენჰაგენის კონგრესისადმი, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ამჯერად უმოხსენებოდ არ დავრჩეთ. მე უკვე გადავდგი საჭირო ნაბიჯები. დავიდის გეგმის შესახებ, მე ვფიქრობ, რომ ეს «კეთილი სურვილებია» * და მეტი არაფერი. განა ბ ი უ რ ო მ მოიწონა ეს გეგმა? განა «ერთიანი ნიმუში» ნამდვილად არსებობს როგორც რეალობა და არა როგორც პროექტი?

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1962 წელს ჟურნალში
***«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
ფოტოპირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

№ 183

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო მარკ!

სკოლის გამო მართლაც რომ თამაში იწყება და თქვენ მართალი ბრძანდებით, როცა ამბობთ, პასუხი გულდასმით

---

* რას გულისხმობდა ე. დავიდის გეგმა, ამის დადგენა ვერ მოხერხდა. რ ე დ.

უნდა მოვიფიქროთო *. გთავაზობთ პროექტს, ხოლო იმ შემთხვევისათვის, თუ აღმასრულებელი კომისიის (ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელი კომისია) ყველა წევრთან დაკავშირებას ბევრი დრო დასჭირდა (უნდა დავუკავშირდეთ, ჩემი აზრით, ერთი პირის მეშვეობით, ესე იგი თქვენი მეშვეობით), ვურჩევ ბოლშევიკური ცენტრის მდივანს უპასუხოს «სკოლის საბჭოს», რომ წერილი მიღებულია და გადაეგზავნა აღმასრულებელი კომისიის წევრებს, რომელთა პასუხს და რომელთა გადაწყვეტილებას ახლა გარკვეული დრო დასჭირდება, რადგან ყველანი წავიდ-წამოვიდნენ-თქო. საჭიროა მხოლოდ მისწეროთ მათ რამდენადმე გესლიანად: ვიცი, რომ სკოლის აღმასრულებელ კომისიას უკვე უპასუხეს თავის მხრივ გრ-მა, ინოკმა და ლენინმა, ხოლო სკოლის საბჭოს იძულებული ვართ მთელი კოლეგიით ვუპასუხოთ-თქო.

თქვენთან სათხოვარი მაქვს. გამომიგზავნეთ წერილი «პროლეტარის» რედაქციისათვის და ხელი მოაწერეთ მარკი ან სხვა თქვენი მეტსახელი. დაახლოებით ასეთი შინაარსისა: «ამხ. დომოვის პრესაში გამოსვლის გამო, რომელშიც ბრალად სდებს «პროლეტარის» რედაქციას გათიშვას, პოპულარული ბროშურების შეუდგენლობას, ბოლშევიზმის ღალატს, პლეხანოვთან დაახლოებას, «დუმიზმი» და სხვა და სხვა, სასარგებლოდ მიმაჩნია პარტიულ ამხანაგებს გავაცნო ამხ. დომოვის ახლანდელი შეხედულებანი. ამხ. მაქსიმოვის, ლიადოვისა და ჩემი თანდასწრებით მან განაცხადა: «ახლა ორი მავნე ცრურწმენაა: პირველი — რომ ჩვენ გვყავს პარტია, მეორე — რომ რუსეთში მოხდება რევოლუცია». რეფერატზე პარიზელ ბოლშევიკებთან მე ეს ვთქვი ამხ. მაქსიმოვის წინაშე, რომელმაც სადავოდ ვერ გახადა ფაქტის უტყუარობა. დაე იცოდნენ ამხანაგებმა, ვინ იწყებს ახლა ლაშქრობას «პროლეტარის» წინააღმდეგ» [160].

---

* იხ. მომდევნო დოკუმენტი. რედ.

ღმერთმანი, უნდა ვამხილოთ ეს კომპანია! დავბეჭდავთ თქვენს წერილს და ვუპასუხებთ მათ **როგორც ჯერ არს.**

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1909 წლის
2 ოქტომბრისა, პარიზში
(ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

184

პროექტი პასუხისა კაპრის სკოლის საბჭოს წერილზე

ჩ ე მ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა ა ვ უ პ ა ს უ ხ ო თ:

«პატივცემულო ამხანაგებო! იმის გამო, რომ აშკარად დამ-ციანავი ხასიათისაა თქვენი 28. 9. 09-ის წერილი ჩვენი იმ წინადადების პასუხად, რომ «საზღვარგარეთ პროპაგანდისტული სკოლის შექმნის საქმის ფ ა ქ ტ ი უ რ ი ო რ გ ა ნ ი-ზ ა ც ი ა და ხელმძღვანელობა გადაეცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ან «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» გაფართოებულ რედაქციას», ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია გიპასუხოთ ამ წერილზე და შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ გითხრათ: დაბეჭდეთ თქვენი წერილი» [161].

დაწერილია არა უადრეს 1909 წლის
2 ოქტომბრისა, პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

185

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო კ.!

გთხოვთ მაცნობოთ, როგორ გადაწყვიტეთ ბიბლიოთეკის საქმე [162]. მართალია თუ არა, რომ სტუდენტთა საზოგადოებასთან მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა?

თუ მართალია, რომ საბოლოოდ გადაწყვიტეთ არ წამოხვიდეთ?

ვიქტორმა ხომ არ შეგაყოყმანათ? ცოტა არ იყოს გულმოსული ვარ მასზე იმის გამო, რომ მარტო გადავიდა და აქ მოგვაკლდა დახმარება მეტად სასარგებლო ადმინისტრატორისა, როგორადაც მას ვთვლი. იგი ახლა «ჟენევის მომხრეა». ვფიქრობ, რომ ტყუილად: ჩვენ ჟენევაში არ წამოვალთ.

გაქვთ თუ არა თქვენ ბოლშევიკური (ბონჩის) ბიბლიოთეკის კატალოგი? [163] გთხოვთ, გამომიგზავნეთ, თუ გაქვთ.

ველი რაც შეიძლება ზუსტ პასუხს თქვენი გადმოსვლის შესახებ. ჩვენთან რედაქციაში ლაპარაკობენ ბონჩის ერთი ბიბლიოთეკის გადმოტანის თაობაზე. უნდა გამოვარკვიოთ საქმე ზუსტად და რაც შეიძლება ჩქარა.

მოკითხვა ოლღას, ნიკ. ივ-ს და სხვა მეგობრებს.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1909 წლის ოქტომბრის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პარიზიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

186

ბოლშევიკური ცენტრის სამეურნეო კომისიას

სისტემატურად რომ ვადევნოთ თვალი მეურნეობას და შესაძლებლობა გვქონდეს სისტემატურადვე ვამცირებდეთ ხარჯებს, საჭიროა

1) შევადგინოთ ხოლმე თვიური ანგარიშები ერთმანეთთან შესადარი რუბრიკების მიხედვით, რომლებშიც გამოყოფილია ის, რაც ყველაზე არსებითი და ყველაზე ნაკლებად შესაცვლელია იმისაგან, რაც ყველაზე შემთხვევითი და ყველაზე შესამცირებელია (გაზეთის გამოცემა — დახმარებისაგან; ექსპედიციის ბინა და სტამბის ხარჯები — ქაღალდის ფასებისაგან და ამწყობთა ჯამაგირისაგან და ა. შ.).

2) შევეცადოთ შევადგინოთ დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთის (მაგალითად, 1/2 წლის) რაციონალური კრებსითი ანგარიში თითოეულ მუხლზე საშუალო ხარჯის გამოანგარიშებით. (სხვადასხვა დიეტა ცალკე; დახმარება ცალკე; შემთხვევითი ხარჯები და მსუბუქი ტრანსპორტი არ უნდა იყოს ერთმანეთში არეული; გაზეთის ხარჯი გაანგარიშებულია მუხლების მიხედვით: ამწყობები — ქაღალდი — ბინა — ექსპედიტორის ჯამაგირი — სტამბა და ა. შ.), შემდეგ ყოველ მუხლზე უნდა მოვიფიქროთ შემცირებანი უკვე არა დაახლოებით, არა თვალდათვალ, არამედ ზუსტი ვარაუდების საფუძველზე (შემცირდეს ესა და ეს და ასე და ასე; ვიყიდოთ ქაღალდი უფრო იაფად ან დავიქირაოთ ბინა უფრო იაფად და ა. შ. და ა. შ.; შევამციროთ «ოკაზიისა» და მსუბუქი ტრანსპორტის ხარჯები და ა. შ.).

	1909. თვეები (ძვ. სტ.)				Σ*	საშუალო თვეში (დამრგვალებული) $\frac{1}{4}$ Σ
	VI	VII	VIII	IX		
ა სხვადასხვა დიეტა	2 560	1 055	1 930	1 505	7 051	1 762
ბ დახმარება ამხანაგებს	359.$_{2}$	553.$_{70}$	208.$_{35}$	653.$_{3}$	1 774.$_{60}$	444
გ ეროვნულ ორგანიზაციებს	400	475	600	600	2 075	519
დ ტრანსპორტი	730	1064.$_{65}$	1 615	1 760	5 169.$_{65}$	1 292
ე მემკვიდრეობა	300	265	21 000	1 135	22 700	5 675
ა ექსპედიცია	1 501	2 705	800	1 080.$_{90}$	6 086.$_{90}$	1 522
ა ჰონორარი	454.$_{5}$	66.$_{50}$	77.$_{50}$	103.$_{50}$	701.$_{50}$	175
ა შემთხვევითი	207	169.$_{75}$	185.$_{10}$	380	941.$_{85}$	235
ა სამდივნო და ფოსტა	26.$_{7}$	47.$_{70}$	118.$_{15}$	136.$_{20}$	328.$_{75}$	82
ვ არალეგალური გამოცემანი (ოქმები)	1 725	1 545	—	—	3 270	817
ზ კონფერენცია	2 258	—	—	—	2 258	566
თ რუსეთში	5 947.$_{55}$	4 648.$_{75}$	933.$_{40}$	6 562.$_{70}$	18 092.$_{40}$	4 523
ე ძველი ვალების დაბრუნება	—	4 012.$_{40}$	—	300	4 312.$_{40}$	1 078
ი სხვადასხვა	—	—	1 000	—	1 000.$_{0}$	250
ს უ ლ	16 468.$_{95}$	16 608.$_{45}$	28 467.$_{30}$	14 216.$_{35}$	75 761.$_{35}$	18 940

$$\begin{array}{r|l} -\ 240 & 36 \\ 216 & \overline{6{,}66\ .\ .\ .} \\ \hline 24 & \end{array}$$

* — Summa — ჯამი. რ ე დ.

		დაახლოებით შესაძლო შემცირებანი minimum	maximum	? minimum
		აღ ასი		
ა) საზღვარგარეთის ორგანიზაციებისა და გაზეთების ხარჯები	3 776	2.5	—3.0	2.5
ბ) დახმარება ამხანაგებს	444	0.8	—0.5	0.3
გ) ეროვნულ ორგანიზაციებს	519	0.2	—0.3	0.1 (მხოლოდ ლატვიელებს)
დ) ტრანსპორტი	1 292	0.5	—0.8	0.5
ე) Σ მიღების ხარჯები და ვალები	| 6 753 |	—	—	—
ვ) არალეგალური პარტიული გამომც-ბა	817	0.3	—0.5	—
ზ) კონფერენციები	566	0.6	—0.6	0.5
თ) რუსეთში	4 523	2.5	—3.5	2.5 (მხოლოდ ცკ-ს, ადგილობრივების გარეშე,
ი) სხვადასხვა	250	0.1	—0.2	—
	18 940	7.1	—9.4	6.3

— 18 940
6 753
12 187

დაწერილია 1909 წელს, არა უადრეს ოქტომბრისა, პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

187

ამხანაგ ცენტრალური ორგანოს რედაქციის მდივანს

პატივცემულო ამხანაგო!

გთხოვთ ცენტრალური ორგანოს უახლოეს ნომერში მოათავსოთ ჩემი რეზოლუცია, რომელიც უარყვეს ორი ხმით

ორის წინააღმდეგ (ერთმა თავი შეიკავა), და ჩემი განცხადება ცენტრალური ორგანოს რედაქციიდან გამოსვლის შესახებ [164], აგრეთვე გამომიგზავნოთ პირები ჩემი, მარტოვისა და მიღებული რეზოლუციისა კენჭისყრის შედეგებითურთ.

ს.-დ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პარიზი, 1909 წლის 4 ნოემბერი.

P. S. ცენტრალური ორგანოს რედაქციას ვთხოვ აგრეთვე მიპასუხოს, მიიღებს თუ არა ცენტრალური ორგანოს უახლოესი ნომრისათვის ჩემს სადისკუსიო სტატიას ჩვენი პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების მეთოდების საკითხებზე.

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში	იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

188

რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს

ქვემორე ხელის მომწერ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ბოლშევიკებს, საჭიროდ მიაჩნიათ განაცხადონ, რომ, მათი აზრით, რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს მოწვეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ხმას ვაძლევთ რა პლენუმის უსწრაფესად მოწვევის წინადადებას, ჩვენ ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ეს კრება უახლოეს დროში გაიმართოს.

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს ვთხოვთ ეს ჩვენი განცხადება აცნობოს ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს რუსეთში და საზღვარგარეთ.

1909 წლის 14 ნოემბერი (ახ. სტ.).
პარიზი.

ცენტრალური კომიტეტის წევრები: ინოკენტიევი
გრიგოლი
ლენინი
ვ. სერგეევი

პირველად დაიბეჭდა 1926 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 11

იბეჭდება
გ. ე. ზინოვიევის
ხელით დაწერილი და
ვ. ი ლენინის მიერ
ხელმოწერილი
ტექსტის მიხედვით

189

მიმართვა-თხოვნა საერობო, საქალაქო და მთავრობის დაწესებულებათა სტატისტიკოსებს

ვ. ილინი, წერს რა თავისი იმ თხზულების გაგრძელებას, რომელშიც განიხილავს საზოგადოდ აგრარულ საკითხს და კერძოდ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კაპიტალიზმს, დაბეჭითებით სთხოვს საერობო, საქალაქო და მთავრობის დაწესებულებათა სტატისტიკოსებს გამოუგზავნონ სტატისტიკური ცნობები და ა. შ.

პარიზი 9/II

ვ. ულიანოვი

დაწერილია 1909 წლის 9 დეკემბერს
გაგზავნილია მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 11

იბეჭდება
უცნობის ხელით
დაწერილი ტექსტის
მიხედვით

1910 წელი

190

დაუდგენელ ადრესატს

22/I 1910.

მოწყალეო ხელმწიფევ!

ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი ლექსიკონის მეცნიერული ხასიათი და მე დიდი სიამოვნებით მოგცემდით ინფორმაციას ყოველივე იმის შესახებ, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიას ეხება. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, სრულიად მოკლებული ვარ შესაძლებლობას დავწერო რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის მოკლე ნარკვევი.[165]

1904 წლამდე არის კარგი ინფორმაცია ანგარიშში ამსტერდამის 1904 წლის საერთაშორისო კონგრესისადმი — ლ ი დ ი ნ ი, [მ.] «მასალები რუსეთის ს.-დ-იის კრიზისის ახსნისათვის» (ჟენევა) [1904] და სხვადასხვა ავტორის რამდენიმე სტატია «*Neue Zeit*»-ში

1910 წლის აგვისტოში გაიმართება საერთაშორისო კონგრესი კოპენჰაგენში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ გამოქვეყნდება ჩვენი პარტიის (რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიის) ოფიციალური ანგარიში.

1903 — 1909 წლების ს.-დ. მოძრაობაში არის ორი დიდი მიმართულება: «მენშევიკები» და «ბოლშევიკები». «*Neue Zeit*»-ში თქვენ ნახავთ ორივე მიმართულების წარმომადგენელთა სტატიებს.

წიგნები: ჩ ე რ ე ვ ა ნ ი ნ ი (მენშევიკი), რეცენზიები «*Vorwärts*»-სა და «*Leipziger Volkszeitung*»[166]. ფრაქციათა გარეშე (Vermittlerstellung)* ტროცკი («Russland in Revolution»**, 1910).

მე «ბოლშევიკების» მიმართულებას ვეკუთვნი.

ტროცკის სტატიები გერმანულ ენაზე [არის] აგრეთვე «Kampf»-ში (ავსტრ. ს.-დ. მიმოხილვა)[167].

გთხოვთ მაპატიოთ, რომ სისტემატურ ნარკვევს ვერ გაძლევთ.

დიდი პატივისცემით ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი
ლ ე ნ ი ნ ი***

4. Rue Marie Pose. 4. Paris. XIV.

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

191

მისალმება ა. ბებელს

ა მ ხ ა ნ ა გ ა ვ გ უ ს ტ ბ ე ბ ე ლ ს

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით, რუსეთის ყველა მუშის სახელით, რომლებიც მძიმე ბრძოლას ეწევიან კონტრრევოლუციით გაერთიანებული ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ, გითვლით თქვენ, თქვენი დაბადების 70 წლისთავის გამო, მხურვალე სალამს, როგორც საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მოწინავე მებრძოლსა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადს.

---

* შუალედური პოზიცია. რ ე დ.

** «რუსეთი რევოლუციაში». რ ე დ.

*** სიტყვა «ლ ე ნ ი ნ ი» მოგვიანებით მიწერილია ფანქრით. რ ე დ.

თქვენ თქვენი მოღვაწეობა მუშათა მოძრაობაში თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დაიწყეთ, როცა ახალგაზრდა ხარატი იყავით, ჯერ პატრიოტად, მერე დემოკრატად, გულმოდგინედ მუშაობდით საგანმანათლებლო მუშათა საზოგადოებებში, — და თქვენი განვითარებით გამოხატეთ ის ნაბიჯი, რომელიც წინ გადადგა ამ პერიოდში მთელმა საერთაშორისო პროლეტარიატმა. ამ პერიოდის დასაწყისში შეგნებული მუშათა უმრავლესობა ან მიჰყვებოდა ბურჟუაზიულ პარტიებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ეძებდა საკუთარ კლასობრივ გზას სოციალიზმისაკენ, აწყდებოდა რა ხან ერთ სოციალისტურ თუ ანარქისტულ სექტას, ხან მეორეს. ახლა ცივილიზებული სამყაროს შეგნებულ მუშათა უდიდეს უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ, და სწორედ გერმანიაში მარქსიზმის თეორიულმა საფუძვლებმა ყველაზე ღრმად და ყველაზე ფართოდ შეაღწიეს პროლეტარიატის მასებში და კაშკაშა სინათლით აშუქებენ მის ბრძოლას კაპიტალიზმის სრული დამხობისათვის.

თქვენი სახით ჩვენ საჯაროდ ვცემთ პატივს მუშათა ბელადს, რომელმაც თავისი მაგალითით გვიჩვენა, რომ ძუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმე უნდა იყოს. მარქსიზმის თეორიაზე დაყრდნობით, გერმანელმა შეგნებულმა მუშებმა უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, შეძლეს თავიანთი მოძრაობა დაეცვათ ოპორტუნიზმისა და ანარქიზმის შეცდომებისაგან, — შეძლეს შეექმნათ მძლავრი მასობრივი, პროფესიული და პოლიტიკური ორგანიზაციები, — შეძლეს შეკავშირებულიყვნენ ერთიან კლასობრივ ძალად. და ისტორიის ყველა მოსახვევზე, მაშინ, როცა ზვირთდებოდა ეროვნული შოვინიზმი, თუ მაშინ, როცა ძლიერდებოდა ფეოდალურ-მონარქიული და კლერიკალური რეაქცია, რომელიც გამანადგურებელ ომს უცხადებდა სოციალისტურ ორგანიზაციებს, ამ კლასობრივ ძალას შეეძლო სწორად გამოენახა თავისი გზა, შეეძლო დაეცვა და უფრო ფართოდ, უფრო ღრმად გაეტარებინა მასებში თავისი რევოლუციური **მსოფლმჭვრეტელობა,** იმის შეგნება, რომ მომავალი დიადი სოციალისტური რევოლუცია გარდუვალია.

თქვენს ნახევარსაუკუნოვან მოღვაწეობაში რუსეთის მუშები ხედავენ იმის ერთ-ერთ თავდებს, რომ ამ მომავალ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომლის გარიჟრაჟი მკაფიოდ ჩანს გერმანიასა და სხვა მოწინავე ქვეყნებში, სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატი შეძლებს არა მარტო იბრძოლოს ისეთივე თავდადებული ენერგიითა და საკუთარი ძალების რწმენით, რომლებითაც მთელი რიგი გამარჯვებანი მოუპოვებია ბურჟუაზიულ რევოლუციათა ეპოქაში, არამედ შეძლებს აგრეთვე გაიმარჯვოს და სამუდამოდ დაანგრიოს კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელი შენობა.

რუს. ს.-დ. მუშ. პარტიის
ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრები ლ. მ ა რ ტ ო ვ ი
ნ. ლ ე ნ ი ნ ი
ი. კ ა მ ე ნ ე ვ ი*

დაწერილია 1910 წელს 22 თებერვალს
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება უცნობის
ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის მიერ
ხელმოწერილი
ტექსტის **მიხედვით**

192

ა. ე კ ს

23/II. 10.

პატივცემულო ამხანაგო! წავიკითხე თქვენი წერილი. გავიხსენე ჩვენი ერთობლივი მუშაობა ლონდონში. გავიხსენე, **რომ მაშინ (ან ცოტა მოგვიანებით) ყური** მოვკარი თქვენი საქმის გამო შექმნილი კომისიის **ამბავს**[168].

ასეთი საქმის თითქმის სამი წლით გაჭიანურება, ჩემი აზრით, პირდაპირ საშინელებაა, და მე სავსებით მესმის თქვენი

---

* მისალმებას ხელს აწერენ აგრეთვე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრები. რ ე დ.

გულისწყრომა. როგორ მოიქცეთ? რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ოფიციალურად უნდა მიმართოთ რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ ს და სწორედ მის საზღვარგარეთის ორგანოს, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს (მისამართი იგივეა; შიგნით — რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი ს ბ ი უ რ ო ს). მე რომ მკითხოთ, ყველაზე კარგი იქნება თქვენი წერილი სწორედ იქ გადმომცენ. თუ თქვენ თანახმა ბრძანდებით, მე გავაკეთებ ამას.

თუ თქვენ გინდათ ჯერ შეეცადოთ დაძრათ ეს საქმე მთავარი სამმართველოს წევრთა მეშვეობით, — ყველაფერს აჯობებს მიმართოთ იუზეფს (რადგან თქვენ მ ი ს მიუკერძოებლობაში სრულიადაც არ გეპარებათ ეჭვი). და ეს დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ უნდა გაკეთდეს, გაუგზავნეთ მას წერილი (დაზღვეული) მთავარი სამმართველოს მისამართითაც და პოლონეთის ს.-დ-ის, ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრის მისამართითაც (მისამართი აგრეთვე კოტლიარენკოს სახელზე: შიგნით: ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრს პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისაგან). თუ ამას ს წ რ ა ფ ა დ გ ა ა კ ე თ ე ბ თ, ვფიქრობ, მიაღწევთ იმას, რომ იუზეფი პასუხსა და რჩევა-დარიგებას მოგცემთ.

საქმე შეიძლება დაამთავროს (და კიდევაც უნდა დაამთავროს) ცენტრალური კომიტეტის მუდმივმა საზღვარგარეთულმა ორგანომ, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ. რუსეთის ცენტრალური კომიტეტი, ჩემი აზრით, ფიზიკურად ვერ შეასრულებს ამას. ვერ გამიგია, როგორ შეეძლო პოლონეთის მთავარ სამმართველოს ასე გაეჭიანურებინა საქმე და თავისი ყრილობისათვის არ დაეჯერებინა!

ს.-დ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ლონდონში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

193

ლ. ბ. კამენევს

21. III. 10.

ძვირფასო ლ. ბ.! სტატია კოლცოვის შესახებ მივიღე, წავიკითხე და გადავეცი... *; ძალიან მომეწონა, ჩემი აზრით, კარგი უნდა იყოს [169]..., ალბათ ატეხენ მის გამო დიდ ამბავს? მაგრამ იქ სულ ერთია უკვე გ ა უ თ ა ვ ე ბ ე ლ ი კინკლაობაა!! გაფუჭდა ცენტრალური ორგანოს შემადგენლობა [170] — ერთ წელიწადში plenum-ამდე ა რ ც ე რ თ ი წაკინკლავება არ ყოფილა. ახლა ა რ ც ე რ თ ი ნ ო მ ე რ ი არ გამოვა, [რომ არ იყოს] საპროტესტო ქაღალდები, მუქარა და ისტერიკა მარტოვისა....

მოხსენების [საქმე როგორ არის]?

არ გამამხილოთ, თუ ღმერთი გწამთ!

მე ისევ «მეწევიან» საერთაშორისო ბიუროდან, ესე იგი მახსენებენ. წერეთ, წერეთ [მოხსენება] რაც შეიძლება ჩქარა ღვთის [გულისათვის].... როგორც კი მორჩებით მოხსენებას, [ხელს მოვკიდებთ] ბოლშევიკების ლეგალურ [ჟურნალს] [171].

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ტროცკი კი, ღმერთმანი, ცოტა უნამუსოდ იქცევა «პრავდის» [172] № 10-ში!

გაგზავნილია პარიზიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. „ვადრატულ" ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრითა და ცალკეულ შემორჩენილი ასოების მიხედვით. რ ე დ.

194

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს

პატივცემულო ამხანაგებო!

ჩვენს შეკითხვაზე, თვითონ რ ო გ ო რ გესმით თქვენი კომპეტენცია საკითხებში, რომლებიც ეხება კონფლიქტებს ცენტრალურ ორგანოში, — პასუხი დღემდე არ მიგვიღია. მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია წარმოგიდგინოთ ზოგიერთი ახსნა-განმარტება იმ რამდენიმე კონფლიქტის გამო, რომლებიც ცენტრალური ორგანოს ახალ რედაქციაში პლენუმის შემდეგ მოხდა. ასევე მოვიქცევით უახლოეს მომავალში, რათა ეს ამბავი გავაგებინოთ მ თ ე ლ პარტიას და ყ ვ ე ლ ა სოციალ-დემოკრატს.

ვიწყებთ ამხ. დანისა და ამხ. მარტოვის უკანასკნელი, 29 მარტის განცხადებით.

1. სწორი არ არის, თითქოს გადაგვეწყვიტოს დაგვებეჭდა თბილისიდან მიღებული სტატია, «რომელიც შეიცავს უაღრესად უხეშ გამოხდომებს კავკასიის საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ», რადგან გადაწყვეტილი გვქონდა სტატიის ეს ნაწილი ამოგვეღო და დაგვეტოვებინა მხოლოდ პრინციპული პოლემიკა ქართულ გაზეთთან, რომლის ლიკვიდატორობას ამხილებს ავტორი, ადგილობრივი მუშაკი. ამასთან, განცხადების ავტორები იმას კი აღარ გწერენ, რომ ამ პოლემიკის ხელნაწერი გაეგზავნა ქართული სტატიის ავტორს, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა ცენტრალური ორგანოს იმავე ნომერში დაებეჭდა პასუხი. (შემდეგ კი, რედაქციის უკანასკნელ სხდომაზე გადავწყვიტეთ მთელი ეს პოლემიკა პასუხიანად გადაგვეცა «დისკუსიონი ლისტოკისთვის» *).

2. განცხადების ავტორები არაფერს არ გწერენ, რატომ უარვყავით ამხ. დანის სტატია იმის შესახებ, თუ რა ამოცანები ეკისრება პარტიას პროფესიული კავშირების დევნის

* იგულისხმება ი. ბ. სტალინის სტატია «წერილი კავკასიიდან». რ ე დ.

გამო. ჩვენ კი ეს სტატია იმიტომ უარვყავით, რომ ავტორს «პარტიის ამოცანებად» მხოლოდ და მხოლოდ ის მიაჩნია, რომ დააწვრილმანოს ბრძოლა თვითმპყრობელობის დამხობისათვის და აქციოს კადეტურ «ბრძოლად ლეგალობისათვის».

3. ამხ. დანსა და ამხ. მარტოვს «არაბუნებრივად» მიაჩნიათ, რომ ცალკე ვითათბირეთ იმის შესახებ, თუ როგორ მოგვეეერიებინა საზიზღარი თავდასხმა ცენტრალურ ორგანოსა და პარტიის ერთიანობაზე, ხოლო თვითონ «სავსებით ბუნებრივად» მიაჩნიათ ის, რომ ცენტრალური ორგანოს ორი რედაქტორი შეხვდა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» სხვა რედაქტორებს, რათა საზიზღრად დასხმოდნენ თავს ცენტრალურ ორგანოს [173]. კოლეგიის შიგნით თანამოაზრეთა **თათბირი და საერთო** მსჯელობა სტატიის გამო, სანამ მას სარედაქციო მაგიდაზე დადებდნენ განსახილველად (ისიც ასეთ შემთხვევაში), მათ კანონის დარღვევად მიაჩნიათ. მაგრამ პოლიტიკური პატიოსნების შელახვად არ მიაჩნიათ ერთსა და იმავე დროს იყვნენ ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, რომელსაც ცენტრალურმა კომიტეტმა, სხვათა შორის, დაავალა ლიკვიდატორობისა და ოტზოვიზმისაკენ «გადახრის საფრთხის განმარტება», და «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციაშიც, რომელიც ხელს აფარებს, აქეზებს, იცავს ლიკვიდატორებს და, რომლის მიმართ ცენტრალურმა კომიტეტმა სურვილი გამოთქვა, უნდა შეწყდეს მისი არსებობაო. ამ მანერას, რომ ზურგიდან ესხმოდნენ თავს ცენტრალურ ორგანოსა და პარტიის ერთიანობას და თან «კოლეგიალობას» მოითხოვდნენ ზურგიდან მათს თავდასხმაზე პასუხის შედგენის დროს, ამ მანერას, რომელიც იატაკქვეშა ადვოკატურას ახასიათებს, განცხადების ავტორებსვე ვუტოვებთ. მათთან ერთად მსჯელობა ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ მათივე გამოხდომის გამო კი ჩვენი მხრივ ულირსი კომედია იქნებოდა. ერთადერთი, რაც შეგვეძლო გვექნა, სტატია უნდა დაგვედო სარედაქციო მაგიდაზე, რათა მიგვეცა საშუალება გასცნობოდნენ მის შინაარსს, ჩვენ კი მოგვესმინა მათი საწინააღმდეგო მოსაზრებანი. ასეც მოვიქეცით.

4. განცხადების ავტორები წერენ, რომ ჩვენ ისინი «პირდაპირ მოვატყუეთ», «სიტყვაც არ დაუძრავთ, რომ განზრახული ჰქონდათ გამოექვეყნებინათ — ამასთან აღმაშფოთებლად დაამახინჯეს ჭეშმარიტება — ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მიმოწერის ნაწილია». მართლაც სიტყვა არ დაგვიძრავს, საერთოდ არაფერი არ გვითქვამს სტატიის შინაარსის შესახებ, რადგან ეს სტატია ხელში მივეცით. ამხ. დანმა გადაფურცლა კიდეც ამ სტატიის ხელნაწერი. დანისა და მარტოვის მხრივ ეს მართლაც სიცრუეა, თან იმის იმედით ტყუიან, რომ თქვენ ვერ შეამჩნევთ რამდენიმე სტრიქონით ზემოთ თვით ავტორები რომ წერენ, მათ სტატიის ხელნაწერი წასაკითხად მოგვცესო. მაშასადამე, არაფრის დამალვა არ გვქონია განზრახული. იმისათვის კი, რომ ცხადვყოთ, თუ რა «აღმაშფოთებლად დავამახინჯეთ ჭეშმარიტება», ცენტრალური ორგანოს მე-12 ნომერში დავბეჭდავთ ყველა ამონაწერს ცენტრალური კომიტეტის წერილიდან, რომლებიც ამ საქმეს ეხება. მკითხველი თვითონ განსჯის.

5. განცხადების ავტორები წერენ «საქმის პოლიციურ-კონსპირაციული მხარის» თაობაზე. მაგრამ ის კი ავიწყდებათ, გითხრან, რომ ჩვენ პრესაში არ გვიხსენებია, თუ რა ორგანიზაციული მდგომარეობა უკავია პარტიაში ამ სამ ლიკვიდატორს, რომ თვით დანმა და მარტოვმა დაბეჭდეს «გოლოს სოციალ-დემოკრატას» 19 — 20 ნომრებში არა მარტო მათი, არამედ სხვა ლიკვიდატორთა სახელებიც. ჩვენ კი ამაზე შეგვიძლია ვუპასუხოთ მხოლოდ პლეხანოვის სიტყვებით: რომ პარტიის ლიკვიდატორებს მოელით მხოლოდ ერთი «საფრთხე» — «ორდენის მიღება».

6. განცხადების ავტორები წერენ, ბოლშევიკებიც უარს ამბობენ წავიდნენ ცენტრალურ კომიტეტშიო*. მაგრამ განზრახ ავიწყდებათ თქვენთვის იმის თქმა, რომ საქმე ის კი არ არის, ვის სურს ან არ სურს ცენტრალურ კომიტეტში წასვლა, არამედ ის, თუ ვის მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი და პარტია საჭირო არ არის და საზიანოა.

7. განცხადების ავტორები ჩივიან, სტატიებს არ გვიბეჭდავენო. მაგრამ ყველა ამ საჩივარს ერთი მიზანი აქვს: შექმნან ხელოვნური ნიადაგი «გოლოს სოციალ-დემოკრატას» არსებობისათვის. ამ მიზნით განცხადების ავტორებმა ბოიკოტი გამოუცხადეს «დისკუსიონი ლისტოკს», სადაც შეუფერხებლად შეიძლებოდა მათი სტატიების დაბეჭდვა. ისინი შეგნებულად ცდილობენ ჩაშალონ პარტიის ეს გამოცემაც, რომლის დანიშნულებაა ზედმეტი გახადოს ფრაქციული ორგანოები, საშუალება მისცეს პარტიის ყველა მიმდინარეობას თავისუფლად გამოთქვან აზრი იმ შემთხვევებში, როცა მათი შეხედულებანი განსხვავდება ცენტრალური ორგანოს შეხედულებებისაგან. მაგალითად, ამხ. მარტოვს შევთავაზეთ **მისი** სტატია «სწორი გზით» ან დაგვებეჭდა ცენტრალურ ორგანო-

---

* აქ განცხადების ავტორები აღშფოთებას გამოთქვამენ, რომ «სტატიის მკითხველებს იმასაც არ აგებინებენ, რომ პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა დღემდე ვერ ი პ ო ყ ე ს კ ა ც ი, რ ო მ ე ლ ი ც თ ა ნ ა ხ მ ა ი ჭ ნ ე ბ ა მ ა თ ი წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი ი ყ ო ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ კ ო მ ი ტ ე ტ შ ი ო». ამასთან ჰყოფნით განსაკუთრებული გამბედაობა ხაზი გაუსვან ან სიტყვებს. ეს ისეთივე ს ა ზ ი ზ ღ ვ ა რ ი ს ი ც რ უ ე ა, როგორც განცხადების სხვა მტკიცებანი. პოლონელ სოციალ-დემოკრატებს როგორც პლენუმამდე ჰყავდათ წარმომადგენელი ცენტრალურ კომიტეტში, ისე ახლაც, პლენუმის შემდეგ, ჰყავთ წარმომადგენელი, რომელიც ელოდება გამოძახებას ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე. მაგრამ ჯერ კიდევ ერთი კვირის წინათ პოლონელმა ცეკისტმა მიიღო მოსკოველი კოლეგის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ უნდა მოიცადოს, რადგან ცენტრალური კომიტეტი ჯერ ვერ შეიკრიბებაო.

ში რედაქციის შენიშვნით (ვინაიდან სტატია იბრძვის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ), ან «დისკუსიონი ლისტოკში». პირველ წინადადებაზე თქვეს. სტატიას «ჟანდარმს» აყოლებენო, მეორეზე კი — ეს «გადასახლებაოო». და პირდაპირ ასევე გამოგვიცხადეს: «ახლა ჩვენ დავიწყებთ თქვენს წინააღმდეგ საომარ მოქმედებასო».

8. განცხადების ავტორები ჩივიან, რომ ჩვენ გამოვაქვეყნეთ სტატია კონფერენციის შესახებ, რომელშიც თითქოს «სრულიად დამახინჯებული იყო პლენუმის გადაწყვეტილებანი ამ საკითხზე». ამ საჩივრის აზრი ასეთია: ეს სტატია სავსებით შეესაბამება ცენტრალური კომიტეტის წერილს კონფერენციის[174] შესახებ, ხოლო ცენტრალური კომიტეტის ანტილიკვიდატორული წერილი კონფერენციის შესახებ არ მოსწონს უკიდურეს ლიკვიდატორს — დანს. სტატია დაწერა იმავე ამხანაგმა, ვინც ცენტრალური კომიტეტის წერილს წერდა. ცენტრალური კომიტეტის წერილს კი ამხ. მარტოვმა მოაწერა ხელი. ეს წერილი ერთხმად მიიღეს. როცა ამხ. მარტოვი წერილის კორექტურას უგზავნიდა ავტორს, წერდა: «კონფერენციის შესახებ წერილის თქვენი ტექსტის წინააღმდეგ არაფერი არ მაქვს სათქმელიო». ახლა კი, ჯერ სამჯერაც არ უყივლია ლიკვიდატორთა მამალს, რომ ლ. მარტოვი (დანთან ერთად) ჩქარობს უარყოს წერილი, რომელიც თვითონ მიიღო. ... განცხადებაში, რომელიც დანმა დაწერა და მარტოვმაც მოაწერა ხელი, გულუბრყვილოდ გამომეღავნდა ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ არიან გოლოსელები უკმაყოფილო კონფერენციის შესახებ ცენტრალური კომიტეტის წერილით და ჩვენი სტატიით ამავე თემაზე: თურმე, ნუ იტყვით, პლენუმს გადაუწყვეტია «შეერიგებინა» პარტია «ე. წ. ლიკვიდატორობასთან» და «ამოევსო უფსკრული» მათსა და პარტიას შორის. ცენტრალური **კომიტეტი კი ამ ამოცანას** არ ასრულებს. უნდა გამოვტყდეთ: სწორედ ამის საწინააღმდეგო ამოცანას ვასრულებთ. საკვირველი მხოლოდ ის არის: რატომ იყო, რომ განცხადების ავტორებმა, რომლებიც ჩივიან,

სტატიებს არ გვიბეჭდავენო, თვითონ არ დაბეჭდეს «გოლოს სოციალ-დემოკრატაში» სტატია, რომელსაც მარტოვიც აწერდა ხელს, ე. ი. «ცენტრალური კომიტეტის წერილი» კონფერენციის შესახებ? რატომ არ გადაბეჭდეს ეს წერილი მთლიანად, ან თუნდაც მისი ნაწილი? ალბათ იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტის წერილი «სავსებით ამახინჯებს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს».

9. განცხადების ავტორებს ჰყოფნით გამბედაობა მოგმართონ თქვენ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს, და მოითხოვენ «დაკმაყოფილებას» იმ წყენისათვის, რომელიც სამი პრაქტიკოსი ლიკვიდატორის მხილებამ მიაყენა მათ. როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ თქვენ თანახმა იქნებოდით უპასუხოდ დაგეტოვებინათ საშინელი შეურაცხყოფა, რომელიც მათმა თანამოაზრეებმა მიხეილმა, რომანმა და იურიმ მიაყენეს ჩვენს პარტიას. როგორც ჩანს, მათ ჰგონიათ, რომ თქვენ პარტიას დაუმალავთ იმ შეთქმულებას პარტიის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენ ვამხილეთ და რომლის შესახებ მოგწერათ ცენტრალური კომიტეტის წევრმა რუსეთიდან, გთხოვთ საჯაროდ გამოიტანოთო. თქვენი პარტიული სინდისის ასეთი შებღალვისათვის, რა თქმა უნდა, თქვენვე გიტოვებთ შესაძლებლობას გასცეთ საკადრისი პასუხი. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ არ მოიძებნება ისეთი პარტიული დაწესებულება, რომელიც გაბედავს და რამდენადმე მაინც, რაიმე ფორმით, არაპირდაპირი გზითაც კი სოლიდარობას გამოუცხადებს რომანებს, იურებს, მიხეილებსა და მათს თანამოაზრეებს. ასეთი პირნი თუ დაწესებულებანი მთელი პარტიის სახელით დაუყოვნებლივ და აშკარად უნდა გაგვეკრა სამარცხვინო ბოძზე. და ჩვენ, ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში, სადაც პლენუმის ნებით ვართ დაყენებული, განუხრელად განვახორციელებთ ასეთ ხაზს. ყველას, ვინც თავის ბედს დაუკავშირებს პარტიის დამანგრეველს, ასეთივე ხვედრი მოელის — ვინც უნდა იყოს იგი.

10. განცხადების დასასრულს ავტორები გემუქრებიან, თუ ჩვენს ნებას არ დაჰყვებით, ვამხილებთ იმ საქმეებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოსპო. და განზრახული აქვთ ეს გააკეთონ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საწინააღმდეგოდ. მაგრამ ეს მუქარა უკვე ჩვეულებრივი fraktioneller Dreck-ი * როდია, როგორც თქვა ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იმის გამო, რომ გოლოსელები ამ საქმეებში ითითხნებიან ფრაქციული სიბინძურის გულისთვის: ეს უკვე აშკარა ფრაქციული შ ა ნ ტ ა ჟ ი ა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მიმართ. და, თქმაც არ უნდა, რომ, თქვენ თვითონ, ამხანაგებო, გიტოვებთ უფლებას ღირსეულად გაუსწორდეთ ფ რ ა ქ ც ი უ ლ ი ს ი ბ ი ნ ძ უ რ ი ს შ ა ნ ტ ა ჟ ი ს ტ ე ბ ს.

მაგრამ უარს ვამბობთ ვსდიოთ ყველა ფალსიფიკაციას, ფაქტების დამახინჯებასა და აშკარა ტყუილს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ დაგროვდა მარტოვისა და დანის განცხადებებში, საჩივრებში, პროტესტებში. ეჭვიც არ გვეპარება, ამხანაგებო, რომ თქვენ თვითონ გაერკვევით მთელ ამ ფრაქციულ სიბინძურეში, თუმცა არ ვეჭვობთ, რომ თქვენშიც ზიზღის ისეთსავე ბუნებრივ გრძნობას გამოიწვევს, როგორიც ჩვენში გამოიწვია. მაგრამ დასასრულ გვინდა თქვენი ყურადღება მივაქციოთ ორ გარემოებას.

ჯ ე რ ე რ თ ი. მოგაგონებთ, რომ გოლოსელთა ახლანდელი ცდა ჩაშალონ ცენტრალური კომიტეტი — პ ი რ ვ ე ლ ი რ ო დ ი ა. 1908 წლის ზაფხულში, როცა დააპატიმრეს ცეკისტი ბოლშევიკები, გოლოსელები უკვე ერთხელ ვაჟკაცურად შეეცადნენ ამას, რაც მხილებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე (1908 წლის აგვისტოში). მაშინ გოლოსელებმა ბუნდელ ამხანაგებს მისცეს წინადადება მონაწილეობა მიეღოთ შეთქმულებაში ცენტრალური კომიტეტის დასამხობად. მაგრამ ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წევრმა

* — ფრაქციული ნეხვი. რ ე დ.

(ამხ. ე-მ) ეს შეატყობინა ცენტრალური კომიტეტის წევრ ბოლშევიკს (ამხ. გ-ს), რომელიც ის იყო გაძევიდა საპყრობილედან, და შეთქმულების ცდა ჩაიფუშა. ჩვენ ახლაც შენახულია გვაქვს ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წევრის წერილი, სადაც წერს, გოლოსელთა მეთაურები უარყოფენ თვით ცენტრალური კომიტეტის «Existenzrecht»-ს (არსებობის უფლებას) და წინადადებას გვაძლევენ, ცენტრალური კომიტეტი რაღაც საინფორმაციო ბიუროთი შევცვალოთო[175]. ფაქტი, რომ გოლოსელმა ცეკისტებმა ბუნდის ცენტრალურ კომიტეტს მიმართეს ასეთი წინადადებით ეღალატნა პარტიისათვის, სხვა ბუნდელმა ამხანაგებმაც დაადასტურეს დეკემბრის (1908 წლის) კონფერენციაზე (იხ. კონფერენციის ოქმები). თუ ამას შეუდარებთ მენშევიკი ამხანაგების ალექსი მოსკოვსკისა და გ. ვ. პლეხანოვის ამასწინანდელ მხილებებს, აგრეთვე იმ ფაქტს, რომ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» არც ერთხელ არ გაულაშქრია ლიკვიდატორთა წინააღმდეგ, პირიქით, ყოველთვის იცავს მათ, ახლა კი მოითხოვს, რომ პარტიის თანასწორუფლებიან მხარედ ცნონ და რომანს, მიხეილსა და იურისაც კი იცავს, მიიღებთ იმის საკმაოდ მკაფიო სურათს, თუ რამდენი ხანია ლიკვიდატორები დაუცხრომლად, შეუპოვრად ათასნაირი გველური ცდებით ესწრაფვიან თავიანთ მიზანს — დაანგრიონ პარტია. ამასთან ბრმაც კი დაინახავს, თუ რამდენად საშიშია ლიკვიდატორული მიმდინარეობა, რომ მის წინააღმდეგ საჭიროა უაღრესად ენერგიული ბრძოლა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უკვე დროა გამოვაქვეყნოთ ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წევრის ამხ. ე-ს წერილიცა და საერთოდ ყველა ფაქტი, რომლებიც ეხება პარტიის ლიკვიდაციის ცდებს.

მეორე. თუ ორი გოლოსელი — ჩვენი კოლეგები ცენტრალურ ორგანოში — გწერენ ჩვენს შესახებ, რომ «პარტიის მინიმალური პატივისცემა ავალებთ უარი თქვან პასუხისმგებელ პარტიულ თანამდებობებზეო», ვფიქრობთ, რომ უბრალო პოლიტიკურ წესიერებასა და საკუთარი თავისადმი მინიმალურ პატივისცემას უნდა აეძულებინა ისინი უარი ეთქვათ იმ ყალბ

პოზიციაზე, რომელიც პარტიაში და ცენტრალურ ორგანოში უკავიათ, როცა ამავე დროს ლიკვიდატორებს იცავენ. თუმცა, მათგან განსხვავებით, ჩვენ სულაც არ გვსურს ბოროტება მათს პირად ბუნებას დავაბრალოთ. სიცრუე, შანტაჟისტური მუქარა და ყველა სხვა მათი ღირსებანი გამომდინარეობს არა მათი ბოროტი სურვილებიდან, არამედ მათი ყალბი პოზიციიდან, რომელიც აიძულებთ ყოველ ნაბიჯზე ამრავლონ სიყალბე. Es ist der Fluch der bösen Tat, *dass sie immer Böses muss gebähren* *. ხოლო მათი უდიდესი უბედურება ის არის, რომ ერთსა და იმავე დროს სხედან პარტიის ორგანოშიც და ისეთ ორგანოშიც, რომელიც ესწრაფვის პარტიის ლიკვიდაციას, რის გამოც კისრულობენ წინააღმდეგობრივ მისიას: იყვნენ პარტიის მომხრენიც და პარტიის მოწინააღმდეგენიც. ამიტომ მათ რომანების, იურებისა და მიხეილების «ვაქკაცობაც» კი არ ჰყოფნით. მათი ასეთი პოზიცია შეუთავსებელია როგორც უბრალო პარტიულ წესიერებასთან, ისე საკუთარი თავისადმი მინიმალურ პატივისცემასთან. სწორედ ეს ქმნის იმ ყალბ პოზიციას, იმ — თუ შეიძლება ასე ითქვას — თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა ზ ე ფ ო ვ ე ლ ო ბ ა ს ლიკვიდატორული მიზნებისათვის, რომელიც, რაც არ უნდა კეთილი განზრახვა ჰქონდეთ, აიძულებს ჩაიდინონ ყველაზე უღირსი საქციელი.

ცენტრალური ორგანოს რედაქციის წევრები

ა. ვ ა ტ ი ნ

გ. ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი

ნ. ლ ე ნ ი ნ

10 წლის 5 აპრილი

P. S. ამ განცხადების პირს ჯერჯერობით დაუყოვნებლივ ვუგზავნით მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის

---

* — ბოროტება ხომ იმითაც საშინელია, რ ო მ ნ ი ა დ ა გ წ ა რ მ ო შ ობ ს ბ ო რ ო ტ ე ბ ა ს. (შილერი. ტრილოგია «ვალენშტაინი». «პიკოლომინი», მოქმედება V, გამოსვლა პირველი.) რ ე დ.

კოლეგიას, «ეროვნულ» ცენტრალურ კომიტეტებსა და ჩვენი პარტიული პრესის ორგანოებს.

დაწერილია პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება
ხელნაწერის ტექსტის
ჰექტოგრაფიული
ამონაბეჭდის მიხედვით

195

ლ. ბ. კამენევს

6. IV. 10.

ძვირფასო კ.! მივიღე (*როგორც იქნა!* — სერიოზულად გიპირებდით *წაჩხუბებას*) თქვენი წერილი. ექსპრესისა თუ დეპეშის გამოგზავნა გვიანღაა.

ძალიან «ჩქარობთო» — იწერებით. რა ვიცი...* ნუთუ შეიძლებოდა დანისა და კომპანიის გაშვება? ან რიღასთვის... უნდა გვეცადა. თქვენ კი ტყუილად არ «აჩქარდით» და მაშინვე არ მოგვწერეთ პრავდელ ლიკვიდატორთა «ფორმალური ეჭვების» შესახებ. ამონაბეჭდი 10 დღის წინათ გამოგიგზავნეთ: რომ გეჩქარათ და *მაშინვე* გეპასუხათ, ესა და ეს ჩემთვის გაუგებარიაო, *ერთი კვირის* წინათ უკვე გექნებოდათ რუსეთიდან მიღებული წერილების სრული პირები. ახლა ცენტრალური ორგანო, რომელიც წუხელ გვიან გამოვიდა, კიდევ ბეჭდავს ციტატებს წერილებიდან.[176]

გვჭირდება თუ არა, რომ «პრავდიდან» გამოხვიდეთ?[177] თქვენ თითქმის გადაგიწყვეტიათ ეს საქმე, — ამასთან «აჩქარებულხართ», როცა ეს მოიწერეთ ტროცკისთან *პირველი* კონფლიქტის შემდეგ.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და შემდგომში რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია შინაარსისა და ცალკეული შემორჩენილი ასოების მიხედვით. *რედ.*

პირადად მე არა მგონია, რომ (ჩვენთვის) აუცილებელი იყოს თქვენი გამოსვლა «პრავდიდან», ს ა ნ ა მ «პრავდა» ასეთი უფერულია. როცა № 11 «პრავდაში» წავიკითხე (თქვენი) წერილი... გავიფიქრე ([და] გრიგოლმაც თქვა): ეს უვნებელი, უფერული, (უმაქნისი), რახარუხია-მეთქი...

ა ხ ლ ა, ამ წუთში რა არის ჩვენი პოლიტიკის მიზანი? შევქმნათ პ ა რ ტ ი ი ს ბირთვი არა ტროცკისტებისა და K^0-ს უხამსი ფ რ ა ზ ი ს საფუძველზე, არამედ პლეხანოველთა და ბოლშევიკთა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ იდეური დაახლოების საფუძველზე. არ ვიცი, გ ა მ ო გ ვ ი ვ ა ეს თუ არა. თუ არ გამოგვივიდა, ისევ დავუბრუნდებით ბოლშევიკურ ცენტრს. თუ გამოგვივიდა, — დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ჩვენ მივწერთ რუსეთის ცენტრალურ კომიტეტს (მოვითხოვთ, რომ მაკარმა მოიწვიოს ისე, რომ არ დაელოდოს არამზადა მენშევიკებს), რომ დანი (და მარტოვი) გ ა ა ძ ე ვ ო ნ ცენტრალური ორგანოდან, იგორი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროდან და პლეხანოველებით შეცვალონ ისინი. პლეხანოველებმა დაბეჭდეს... «გოლოს ს.-დ»-ს [ნომერში] (ამ დღეებში [178], [ალბათ მიიღებთ]).

...[53] გოლოსელებს მისცეს... წინააღმდეგ... 10... პლეხანოველებს 11....., მაგრამ საქმე იმდენად რაოდენობა როდია, რამდენადაც ის, რომ დ ა ი წ ყ ო ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა. ყველაზე ძნელი საქმის წამოწყებაა.

ა მ დ ღ ე ე ბ ში მენშევიკები აქვეყნებენ მარტინოვის პასუხს პლეხანოვისადმი და, ალბათ, პასუხს ცენტრალური ორგანოსადმი. თუმცა პლეხანოვს ს უ რ ს დაიტოვოს შესაძლებლობა «დაუბრუნდეს» გოლოსელებს, მაგრამ მგონი ჯერ არაფერი არ გამოდის.

ჩემი აზრით, თქვენი გამოსვლა «პრავდიდან», — თუკი ეს გარდუვალია — არქიზედმიწევნით უნდა მოეწყოს (დაწერეთ სტატია ლიკვიდატორობის წინააღმდეგ და «გოლოს»-ის წინააღმდეგ, გითხრათ ტროცკიმ უარი!) ცენტრალურ ორგანოში წარსადგენი მოხსენებებისა და იმ გადაწყვეტილების პროექ-

ტის მოსამზადებლად, რომ ცენტრალურმა ორგანომ გამოსცეს პოპულარული გაზეთი. ან ეს, ან უკან...

ვენის ჯგუფი ხმას არ ამოიღებს.

მოხსენების თაობაზე კმაყოფილი არ ვარ. გახსენება არ ნიშნავს — «გულის გაწყალებას». დასაწყისი გამოგზავნეთ. მთელი მოხსენება 1/V-სათვის — გვიანაა.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია პარიზიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

196

პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მთავარ გამგეობას

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენს წარმომადგენლებთან გუშინდელმა აზრთა გაზიარებამ საერთო პარტიულ დაწესებულებაში* დაგვანახვა, რომ თქვენი დელეგატები მერყეობას იჩენენ პარტიულობისათვის და ლიკვიდატორთა წინააღმდეგ მტკიცე ბრძოლაში და ადგებიან «შემრიგებლობის» გზას, რაც ობიექტურად მხოლოდ ლიკვიდატორებს უწევს სამსახურს.

პარტიული ცხოვრების გარდატეხის ამ დიდმნიშვნელოვან მომენტში მერყეობა, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ პარტიის მტრებისათვის იქნება სასარგებლო.

იძულებული გავხდებით პარტიულობის ხაზი გავატაროთ თქვენი დელეგატების გარეშე, ან, შესაძლოა, მათ წი-

* როგორც ჩანს, იგულისხმება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს სხდომა. რედ.

ნ ა ა ღ მ დ ე გ ა ც კი. ამას ახლავე გაცნობებთ რამდენიმე სიტყვით. დაწვრილებით კი უახლოეს დღეებში აგიხსნით ყოველივეს, ალბათ, პრესაში.

იმედი გვაქვს, რომ გაგვიგებთ, რატომ მოგმართავთ უწინარეს ყოვლისა სწორედ თქვენ, ორგანიზაციას, რომელთანაც ყველაზე ახლო ვართ იდეურად და პოლიტიკურად.

ამხანაგური სალმით

ცენტრალური ორგანოს წევრი ბოლშევიკები: ლ ე ნ ი ნ ი
გ რ ი გ ო ლ ი

10/IV 10 წ.

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
გ. ე. ზინოვიევის
ხელით დაწერილი და
ვ. ი. ლენინის მიერ
ხელმოწერილი ტექსტის
მიხედვით

197

ა. ი. ლიუბიმოვს

ამხ. მ ა რ კ ს

1910 წლის 10 აპრ.

პატივცემულო ამხანაგო! გუშინდელმა თათბირმა საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რაშიც არც მანამდე გვეპარებოდა ეჭვი, სახელდობრ ის, რომ თქვენ სრულებით არა ხართ ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენელი, თუმცა მის წარმომადგენლობას ჩემულობთ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში.

ყველა საფუძველი გვაქვს თავი მიგვაჩნდეს ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლებად, აგრეთვე რუს თანამოაზრეთა წერილებისა და იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც საზღვარგარეთელი ბოლშევიკების პოლიტიკას ეხება,

ვაცხადებთ, რომ თქვენი მერყეობა პოლიტიკაში, თქვენი სურვილი შეურიგდეთ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში ლიკვიდატორისა და პარტიის წინააღმდეგ შეთქმულის იგორის ყოფნას, ხელი დააფაროთ მის მიერ პარტიის გაერთიანების ჩაშლას [179] (იმის ნაცვლად, რომ ამხილოთ იგორი, ულტიმატურად მოსთხოვოთ ცენტრალურ კომიტეტს მისი გაძევება და გადაჭრით დაადგეთ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ბოლშევიკებისა და პ ა რ ტ ი უ ლ ი მენშევიკების კავშირის დაცვის გზას, რადგან, შ ე ს ა ძ ლ ო ა, მხოლოდ ამ კავშირს შეუძლია კიდევ გადაარჩინოს გაერთიანების საქმე), — თქვენი მთელი ეს საქციელი გვარწმუნებს, რომ ნებსით თუ უნებლიედ, თქვენ ლიკვიდატორების სათამაშო გამხდარხართ.

ვიტოვებთ უფლებას ჩვენი განცხადება გავაცნოთ ბოლშევიკებს, ხოლო თუ საჭირო გახდა, მთელ პარტიას და პრესასაც.

ცენტრალური ორგანოს წევრი
ბოლშევიკები: ლ ე ნ ი ნ ი*

დაწერილია პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

198

ა. ი. ლიუბიმოვს

ამხ. მარკს

პატივცემულო ამხანაგო!

უკან მიგვაქვს ჩვენი წერილი და ვწუხვართ, რომ უსამართლოდ დაგაბრალეთ, თითქოს ცენტრალური კომიტეტის სა-

* წერილს გ. ე. ზინოვიევიც აწერს ხელს. რ ე დ.

ზღვარგარეთის ბიუროში ლიკვიდატორობას უჭერდეთ მხარს *.

ლ ე ნ ი ნ ი **

10/IV 10 წ.

დაწერილია პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება გ. ე. ზინოვიევის ხელით დაწერილი და ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი ტექსტის მიხედვით

199

კ. ჰიუისმანსს

6. VI. 10.

ძვირფასო ამხანაგო!

ამასთან გიგზავნით ორ მოწოდებას 1 მაისის დემონსტრაციისათვის, რომლებიც ჩვენმა პარტიამ გამოსცა — ერთი საზღვარგარეთ, მეორე კი რუსეთში — იატაკქვეშა სტამბაში დაბეჭდილი. ვეცდები კიდევ გიშოვნოთ ასეთი გამოცემები, რაც, თუმცა, ძალიან ძნელია, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი პარტიის მდგომარეობას.

რაც შეეხება ჩვენი პარტიის წინადადებებს, რეზოლუციებსა და მოხსენებას, უაღრესად ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ შეგატყობინოთ: ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯერ არ ჩამოუყალიბებია რეზოლუცია და, რომ მოხსენებაც, სამწუხაროდ, ჯერ მზად არ არის[180].

---

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

** წერილს გ. ე. ზინოვიევიც აწერს ხელს. რ ე დ.

მიიღეთ, ძვირფასო მეგობარო, ჩემი მეგობრული სალამი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი.

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში **«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 4**

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის ფოტოპირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

200

პ. ჰიუისმანსს

15. VI. 10.

ძვირფასო ამხანაგო! ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოგიძებნეთ ვერც დოკუმენტები, ვერც ცნობები თბილისისა და მიუნხენის საქმეებზე.[181]. მაგრამ თქვენი წერილის მიღებისთანავე გადავეცი იგი ერთ ამხანაგს, რომელმაც იქნებ შეძლოს მოგიძებნოთ დოკუმენტები ან თქვენთვის საჭირო ცნობები. დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ ღონეს იხმარს, თუმცა ძნელია ამის მოსწრება ხუთშაბათისა თუ პარასკევისათვის.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო,
ჩემი ძმური სალამი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალ **«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 4**

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

201

დ. მ. კოტლიარენკოს

პირადად ამხანაგ **კოტლიარენკოს**

1. 8. 10.

I. ძვირფასო ამხანაგო! გთხოვთ გამოგვიწეროთ შემდეგი წიგნები რედაქციისათვის:

1) ხალხის თავისუფლების ფრაქციის ანგარიში სახელმწიფო სათათბიროს მე-3 სესიის შესახებ. (წიგნის მაღაზია «პრავო». სპბ. ან ვ. ა. ხარლამოვს, 7. პოტიომკინის ქუჩა. სპბ., მათ მიმართონ.) ფასი 50 კაპ.

2) ნ. გ. ჩერნიშევსკის ხსოვნას. ანენსკის, ანტონოვიჩის, ტუგან-ბარანოვსკისა და სხვ. მოხსენებები და სიტყვები. ფასი 50 კაპ. (ობშჩესტვენაია პოლზა, სპბ., ნევსკის 40, ბ. 43.)

II. შემდეგ. მოხსენების შესახებ ძალზე გაუფრთხილებლად მოიქეცით, რომ შეკვეთილი წერილით არ გამოგზავნეთ. აქაურ ფოსტას რაპოპორტის მისამართი მივეცი. მაგრამ ეს არ კმარა. ახლავე გაუგზავნეთ განცხადებები Administration des postes Pornic-ში და სთხოვეთ, როგორც გამომგზავნმა, პაკეტი გადაუგზავნონ რაპოპორტს, თან დაურთეთ თქვენი მისამართიანი ღია ბარათი პასუხისათვის.

III. «ობშჩესტვენოე დვიჟენიეს» შესახებ — ამბობენ ბრიტმანმა ჩამოიტანა და ექსპედიციას ჩააბარა ჩემთვისო. თუ არა, გრიგოლს შეეკითხები, თუ შემთხვევა მოგეცათ, თქვენც შეეკითხეთ.

IV. კოპენჰაგენის კონგრესის სტუმრების შესახებ ვერაფერს ვერ გეტყვით[182]. ჩვეულებრივ, მგონი, თავისუფლად უშვებდნენ ქანდარაზე. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში გაგზავნილი ჩემი ამანათიდან (ამას ბანდეროლი მოჰყვება) აიღეთ ერთი ფურცელი — იქ არის დაბეჭდილი ფურცელი ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის[183] თავმჯდომარის მისამართით. სწორედ მას უნდა შეეკითხოთ, თუ გსურთ წინასწარ ზუსტად შეიტყოთ.

V. ამასთან გიგზავნით წერილს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროსათვის *. გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გადასცეთ.

VI. მოხსენების საქმე როგორ არის? ძალიან, ძალიან გთხოვთ, **დააჩქაროთ** გამოცემა.

გართმევთ ხელს. თქვენი ნ. ლენინი

ვაგზავნილია პორნიკიდან
(საფრანგეთი) პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

202

ა. ი. ლიუბიმოვს

ძვირფასო მ.!

გთხოვთ, თანდართული წერილი ექსპრესით გაუგზავნოთ პიატნიცას.

მივიღე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მდივნის წერილი. იწერება, შვარცმა თქვა, რომ ჰიუისმანსმა აკრძალა 4-გვერდიანზე დიდი მოხსენებებიო. გთხოვთ, ამ მდივანს შეატყობინოთ, რომ თუ სურს, შეუძლია უშუალოდ დაუკავშირდეს ჰიუისმანსს. მე ერთი რამ ვიცი: მოხსენებას ჩვენ თვითონ ვბეჭდავთ; ვიღას შეუძლია აგვიკრძალოს, რომ დიდი იყოს? მხოლოდ საჭიროა, რომ მოხსენება მზად იყოს არაუგვიანეს კონგრესისა — და ჩვენ თვითონ დავურიგებთ დელეგატებს. მოთხოვნა, რომ მოხსენება 3 ენაზე დაიბეჭდოს, დიდი ხანია ცნობილია ჩემთვის, მაგრამ ფული თუ არა გვაქვს? როგორ, ერთ ენაზე «აგვიკრძალავენ»?

ამასთან გიგზავნით ბანკიდან მიღებულ წერილს. ანგარიშს მატყობინებენ და ჩემგან მოითხოვენ (როგორც ყო-

* წერილი არ შემონახულა. რედ.

ველთვის) წერილობითს პასუხს, რომელიც ჩემი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ ანგარიში სწორია. გიგზავნით ჩემს წერილობით პასუხს *, ე. ი. ჩემ მიერ ხელმოწერილ ბლანკს (რომელიც დაგვთარიღე 4 აგვისტოთი: ეს N B-ა: ადრე არ გაგზავნოთ). შეამოწმეთ ანგარიში და თუ სწორია, გაგზავნეთ ჩემი წერილი.

გართმევთ ხელს. მოიკითხეთ ო. ა.

თქვენი ლენინ

P. S. კოპენჰაგენის შესახებ გუშინ წერილი გავუგზავნე ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს, რომელშიც ვთხოვდი ეცნობებინათ ბუნდის ცენტრალური კომიტეტისა და ლატვიელებისათვის. თუ გაითვალისწინეთ კოპენჰაგენში წასვლის ხარჯები? ამბობენ, 250 — 300 frs. მოვა თითო დელეგატზეო, რომელთა რიცხვი მაქსიმუმ 8-მდეა. გეყოფათ თუ არა ამისათვის 7 5 ა თ ა ს ი დ ა ნ?

Exp. par. Vl. Oulianoff. R. Mon Désir. V. les Roses. *Pornic* **.

დაწერილია 1910 წლის 2 აგვისტოს
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

203

მ. ვ. კობეცკის

8 აგვისტ. ახ. სტ. 1910.

პატივცემულო ამხანაგო!

ნება მიბოძეთ მოგმართოთ მცირე პირადი თხოვნით. მინდა ვისარგებლო კოპენჰაგენის კონგრესით და წავიმუშაო კოპენ-

---

* ჩადებულია ორ კონვერტში დაბეჭდილი მისამართით Comptoir National და სხვ.

** სააქეთო მისამართი აწერია კონვერტს. რ ე დ.

ჰაგენის ბიბლიოთეკაში. ძალიან დამავალებთ, თუ შემატყობინებთ:

1) სექტემბერში ყოველთვის ღია თუა კოპენჰაგენის ბიბლიოთეკა (ეროვნული თუ უნივერსიტეტის; არ ვიცი რომელი ჯობია; მჭირდება ჰასალები დანიის სოფლის მეურნეობის შესახებ).

2) რა ღირს კოპენჰაგენში, ერთი კვირით ან ერთი თვით, ოვეჯით გაწყობილი ოთახი და თუ შეგიძლიათ ისე, რომ თ ქ ვ ე ნ ს ს ა ქ მ ე ს ა რ მ ო ს ც დ ე თ, დამეხმაროთ ოთახის შოვნაში.

23 აგვისტომდე ჩემი მისამართია:

Mr. Wl. Oulianoff.
Rue Mon Désir. Villa les Roses.
Pornic (Loire — Inférieure).
France.

ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის. წინასწარ მადლობელი ვარ და გართმევთ ხელს.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

204

მ. ვ. კოგბეცკის

პატივცემულო ამხანაგო!

დიდი მადლობელი ვარ ცნობებისა და დახმარების შემოთავაზებისათვის. თუ არ შეწუხდებით. 26-დ ა ნ დამიქირავეთ ჩვეულებრივი, იაფი, პატარა ოთახი.

კოპენჰაგენში ვიქნები 26-ში დილით (ბიუროს კრებაა). ვეცდები დილითვე (არ ვიცი მატარებელი როდის მოდის: ალბათ Hamburg — Korsör-ის გავლით წამოვალ) მოვიდე თქვენთან. თუ შინ არ იქნენით, ბარათი დამიტოვეთ დიასახლისთან

(für Herrn Ulianoff). ოთახი მჭირდება ერთი კვირით, ან ერთი თვით — გააჩნია, რა არის უფრო მიღებული კოპენჰაგენში

კოპენჰაგენში 26 აგვისტოდან ათ დღეს დავრჩები, შემდეგ იქნებ ერთი კვირით წავიდე პირად საქმეზე[184], მერე კვლავ დავბრუნდები კოპენჰაგენში. ამიტომ იაფი ოთახი ერთი თვით (თქვენ თუ დიდხანს ცხოვრობთ და 12 kr. იხდით, მე ალბათ ასეთ ოთახში 15 — 18 kr. მიცემა მომიწევს) ჩემთვის უფრო მოსახერხებელია. თუ არ გცალიათ, ნუ შეწუხდებით, მე თვითონ მოვძებნი 26 — 27 აგვისტოს, რადგან ბიუროს სხდომას მხოლოდ ერთ დილას მოვანდომებ.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1910 წლის 12 და 23 აგვისტოს შორის.
გაგზავნილია პორნიკიდან (საფრანგეთი) კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

205

მ. თ. ანდრეევას

14. VIII. 10.

ძვირფასო მ. თ.!

ვჩქარობ შეგატყობინოთ, რომ როგორც იქნა პასუხი მივიღე ტრიას მოხსენების შესახებ. რედაქციის მდივანი მწერს, «ტრიას მოხსენებას კენჭი ვუყარეთ, ვთარგმნეთ და უკვე თითქმის აწყობილია — დამატებად წავაო» (ე. ი. პარტიის საერთო მოხსენების დამატებად). ამრიგად, ყველაფერი კარგად მოგვარდა[185].

ახალი არაფერია. 23. VIII. კოპენჰაგენში მივდივარ. თქვენთან რა არის ახალი? რა ჩამოგიტანათ იმ დიდძალმა ხალხმა, რომელთა შესახებ მწერდით, «სახლი სტუმრებით ამევსოო»?

მაგრად გართმევთ ხელს. ნადიაც. მომიკითხეთ ა. მ. და ყველა კაპრიელი.

თქვენი ვ. უ-

გაგზავნილია პორნიკიდან (საფრანგეთი)
კაპრის კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში «ტეატრ» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

206

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას

კოპენჰაგენი, 2 სექტემბერი * 1910.

პატივცემულო ამხანაგებო!

«Vorwärts»-ის 28 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ანონიმური სტატია რუსეთის პარტიაში საქმეთა ვითარების შესახებ. ეს სტატია გაუგონარი სკანდალია[186]. მაშინ, როცა გაჩაღებულია საერთაშორისო კონგრესის მუშაობა, სადაც ყველა გამსჭვალულია მისწრაფებით შეინარჩუნონ სოციალისტური ერთობა, რაც შეიძლება ფრთხილად განიხილონ პარტიების შინაური დავა ცალკეულ ქვეყნებში, რამდენადაც შეიძლება მოერიდონ ამ დავაში ჩარევას, პროპაგანდა გაუწიონ სოციალ-დემოკრატიის ძალას, სიდიადესა დ მორალურ პრესტიჟს ყველა ქვეყანაში, — სწორედ ასეთ დროს გერმანიის პარტიის ცენტრალური ორგანო უცებ, სრულიად უსაბაბოდ, ისე რომ გაუგებარია რა საჭირო იყო, ბეჭდავს სტატიას, რომლის ავტორი წარმოუდგენლად ილაშქრებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. ზემოხსენებულ სტატიაში მოურიდებლად გაკრიტიკებულია რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. სტატიის ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მუქ ფერებში წარმოუდგინოს საზღვარგარეთის რუსეთის

* დედანში შეცდომით წერია: «აგვისტო». რ ე დ.

სოციალ-დემოკრატიის დაქვეითება, უძლურება და გახრწნა. შემდეგ სტატიაში გაკრიტიკებული და გაბიაბრუებულია პარტიაში არსებული უკლებლივ ყველა ფრაქცია და მიმდინარეობა, თავიდან ბოლომდე; დაბოლოს, სტატია შეიცავს უხეშ გამოხდომებს პარტიის ოფიციალურ ცენტრალურ დაწესებულებათა — ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური ორგანოს წინააღმდეგ, — აბრალებს მათ ფრაქციულ ცალმხრივობასა და სხვ.; გაუგონრად ცილს სწამებს ამ ცენტრალურ დაწესებულებათა ცალკეულ წევრებსაც.

გერმანიის პარტიის ცენტრალურ ორგანოში დაბეჭდილი ასეთი სტატია, რომლის ანონიმურ ავტორს მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ შური ეძია რაღაც წვრილმანი პირადი წყენისათვის, ზიანს მიაყენებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ინტერესებს; ეს სტატია რუსეთის სოციალ-დემოკრატიისადმი ინტერნაციონალური სოლიდარობისა და ძმობის უმაგალითო დარღვევაა. და თუ რუსეთის პარტია, რომელსაც ჰყავს მრავალი და ცნობილი ლიტერატორი, მთელი რიგი წლების მანძილზე ერიდებოდა თავისი შინაური საქმეების გამოტანას გერმანიის პარტიული პრესის ფურცლებზე, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ უცხოეთის პრესა არ მიაჩნია ბრძოლის შესაფერის ასპარეზად თავისი დავის გადაწყვეტისათვის. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთიანობის შექმნა არის და რჩება რუსეთში მომუშავე ყველა ამხანაგის და უწინარეს ყოვლისა პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ცხადია, რომ ერთიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის უნდა მოვერიდოთ ყოველივეს, რაც ხელს უშლის შინაგან უთანხმოებათა დაძლევას. რუსეთის პარტიული ცხოვრების პრობლემათა მშვიდი, ობიექტური გაშუქების წინააღმდეგი, რა თქმა უნდა, არავინ არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ რაც შეიძლება ენერგიულად ვილაშქრებთ მოძრაობის, პარტიისა და მის დაწესებულებათა ბოროტი, წვრილმანი და ვერაგული კრიტიკის წინააღმდეგ, როგორიცაა ზემოხსენებული სტატია, მით უმეტეს, რომ ანონიმური ავტორი, რომელიც ჩემულობს პარტიისათვის უცხო

ყოვლისმცოდნე ადამიანის როლს, წარმოდგენილია, როგორც ცენტრალური ორგანოს გაზეთ «Vorwärts»-ის კორესპონდენტი, რაც ამ სტატიას ოფიციალურ სარედაქციო ხასიათს აძლევს.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის
ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის»
დელეგატები
გ. პლეხანოვი
ა. ვარსკი

ცენტრალური კომიტეტის დელეგატი,
საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრი
ნ. ლენინი (ვ. ულიანოვი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ა. ვარსკის
ხელით დაწერილი
და ვ. ი. ლენინის
ხელნაწერილი ტექსტის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

207

მ. ვ. კოგეცკის

16. IX. 10.

პატივცემულო ამხანაგო! აქ ვრჩები 10 წლის 25. IX.-მდე. 10 წლის 26. IX. (ორშაბათს) დილით ვაპირებ კოპენჰაგენში ჩამოსვლას და მინდა რაც შეიძლება ნაკლებ ხანს დავრჩე მანდ. თუ ღირს საჯარო ან პარტიული რეფერატის მოწყობა კოპენჰაგენის კონგრესის შესახებ, მაშინ, ძალიან გთხოვთ, მოაწყვეთ ორშაბათსვე (საღამოს, რასაკვირველია, რადგან სამუშაო დღეს დღისით არ შეიძლება) *. მაშინ სამშაბათს წავიდო-

* ვ. ი. ლენინის რეფერატი მოეწყო კოპენჰაგენში 1910 წლის 26 სექტემბერს. რ ე დ.

დი, რადგან დროა პარიზში ჩავიდე, ახლა უნდა ვიჩქარო. ოთახის თაობაზე, გთხოვთ გამიგოთ, შეიძლება თუ არა იქ 26-ში გავათიო ღამე. თუ არ შეიძლება, გასაღებს დავაბრუნებ როცა და სადაც საჭიროა (გასაღები თან მაქვს). გამახსენდა: მაგიდაზე დავტოვე ერთი წიგნი (ანგარიშები და მოხსენება კოპენჰაგენის ყრილობისათვის ფრანგულ ენაზე, საქაღალდეში). თუ 26. IX დილით ძველი მდგმური დაბრუნდა თავის ოთახში, გთხოვთ, შეიაროთ და ის წიგნი წამოიღოთ, რომ შემდეგ გამოგართვათ.

ჩემი მისამართია: Herrn Wl. Ulianoff. Adr. Frk. W. Berg. 17. I. Kaptensgatan. 17. I. Stockholm. მომწერეთ რამდენიმე სიტყვა, როცა გამოარკვევთ და გადაწყვეტთ რეფერატის საკითხს.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

208

ი. პ. პოკროვსკის

პატივცემულო ამხანაგო!

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანი კ. ჰიუისმანსი გვთხოვს გავუგზავნოთ სათათბიროს დეპუტატ სოციალ-დემოკრატთა სია, რომლებიც შეუერთდნენ «Commission interparlementaire»-ს* და გვახსენებს, რომ წელიწადში თითოეულ დეპუტატზე შესატანია 15 ფრ. თუ შეიძლება, დაუკავშირდით მას. მიეცით ფრაქციის მდივნის მისამართი.

* «პარლამენტთაშორისო კომისია». რ ე დ.

მე უკვე მოგწერეთ ასე ორიოდე კვირის წინათ, — პასუხი არ გამეცით. სამწუხაროა, მეტად სამწუხარო.

დაწერილია 1910 წლის 5 ოქტომბერს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

209

ჯ. ჰიუისმანსს

17. X. 10.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაზინადარს შეგატყობინე, რომ გადასახდელია შესატანები. ვიმედოვნებ, რომ მალე გადავიხდით. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მდივანი ან ხაზინადარი შეგატყობინებთ ამას.

რაც შეეხება სათათბიროს იმ დეპუტატთა შესატანებს, რომლებიც საპარლამენტთაშორისო კომისიაში შედიან, მივწერ და ისევ ვთხოვ, რომ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის მდივანმა შეგატყობინოთ თავისი მისამართი.

თქვენი პატივისმცემელი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ
ენაზე 1962 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde
***Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

210

კ. ჰიუისმანსს

6. XI. 10.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ერთ-ერთი ჩემი მეგობარი, ამხანაგი პეტროვი, ხვალ ან ზეგ შემოიცლის თქვენს სანახავად. თუ არ შეწუხდებით, გადაეცით მას კოპენჰაგენის კონგრესისათვის დაწერილი სხვადასხვა პარტიის მოხსენებათა თითო ეგზემპლარი. რუს სოციალისტებს ძალიან უჭირთ ამ მოხსენებების შოვნა. აი, რატომ არის ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი კერძო პირთა მოგზაურობის «გამოყენება» იმისათვის, რომ მოხსენებათა რამდენიმე ეგზემპლარი გავავრცელოთ რუსეთში.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო,
ჩემი ძმური სალამი

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1962 წელს ჟურნალში
***«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 47

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

211

ამხანაგ ცენტრალური ორგანოს რედაქციის კრების თავმჯდომარეს [187]

პატივცემულო ამხანაგო!

დღეს კრებიდან წამოვედი და რადგან შესაძლოა ატყდეს ყოველნაირი პარტიული (და კვაზი-პარტიული) მითქმა-მოთქმა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აგიხსნათ ჩემი საქციელის

მნიშვნელობა. მე არათუ უფლება მაქვს, არამედ ვალდებულიც ვარ უარი ვთქვა ვმონაწილეობდე ისეთ ეგრეთ წოდებულ «განხილვაში», რომელიც საბაბს აძლევს რედაქციის ლიკვიდატორულ ნაწილს გამოიტანოს უარესზე უარესი ანტიპარტიული ელემენტების უარესზე უარესი ჭორები. როცა, მაგალითად, მარტოვი აცხადებს, ოტზოვისტები პარტიის ნაწილია და ამასთან ხმამაღლა იმეორებს ოტზოვისტური ემიგრაციის ყველაზე ხულიგნური ელემენტების ჭორს, ამხ. ვიქტორის საქმე მ ო ს ყ ი დ ვ ი ს შ ე დ ე გ ა დ[188] დაამთავრეს თუ მიაფუჩეჩესო, და ამასთან მოითხოვს დაიცვან ისინი, მარტოვი და დანი, «პარტიის ნაწილის» ასეთი ეჭვებისაგან, ყველასათვის ცხადია, რომ ოტზოვისტთა შანტაჟისაგან «დ ა ც ვ ი ს» საბაბით ჩვენ გვთავაზობენ მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე ცუდი ყაიდის ოტზოვისტურ გამოხდომათა ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ უ ლ ხ ე ლ შ ე წ უ ყ ო ბ ა ს.

პირადი ღირსების შებღალვად მიმაჩნია მონაწილეობა «გ ა ნ ხ ი ლ ვ ა შ ი», სადაც ასეთი ლაპარაკია შესაძლებელი, და ვაცხადებ, რომ მომავალშიც შევეცდები კრებიდან წავიდე, თუ ასეთი «დისკუსია» გაიმართა.

ამხანაგური სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

7. XI. 10.

დაწერილია პარიზში (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

212

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

ძვირფასო ვ. დ.! დღეს კიდევ მივიღე ცნობები ახალი ლიტერატურული პირმშოს[189] შესახებ, მაგრამ, საკვირველია, თქვენგან ჩამიჩუმი არ ისმის. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? უაღრესად მაწუხებს პირმშოს ბედი. მაგალითად, იწერებიან,

გვეშინია გამოგზავნილი ხომ არ მოძველდაო. ეს უაღრესად მაწუხებს. კატეგორიულად მოვითხოვ, რომ იბეჭდებოდეს ყველაფერი, რაც იგზავნება (გასწორება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ იქნა «დამოუკიდებელი გარემოებანი» თუ ეს აუცილებელია). ეს ხომ პრინციპის საკითხი, მიმართულების საკითხია. ჩვენ ჯერ არა გვაქვს მონაცემები ამ საკითხზე, თქვენი იმედი გვაქვს, თქვენ კი ხმას არ იღებთ. ასე შეუძლებელია. მინიმუმ კვირაში ორჯერ უნდა მივიღოთ თქვენგან თუნდაც პატარ-პატარა ცნობები, რომ კავშირი არ გაწყდეს და ვგრძნობდეთ სიახლოვეს ამ საქმესთან. აქ კიდევ «უკმაყოფილონი» გვწერენ (დღეს მივიღე ერთი უკმაყოფილოს გრძელი წერილი: ალბათ მიხვდებით, ვისიც იყო). ამიტომ ძალიან გთხოვთ: მოგვწერეთ, მოგვწერეთ, რაც შეიძლება ხშირად და დაწვრილებით.

გადაეცით დიდი მოკითხვა ვ. მ.-ს

თქვენი **სტარიკი**

დაწერილია 1910 წლის 8 ნოემბერს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

213

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

ძვირფასო ვ. დ.! ამას წინათ * მოგწერეთ. დღესაც გწერთ, რადგან ძალიან შემაშფოთებელი ამბები მომივიდა, თითქოს თქვენთან რაღაც უთანხმოებანი ხდებოდეს. რის გამოა უთანხმოება არ მესმის. რა მოხდა, — არ ვიცი [190]. არ შეიძლება ჩვენი ასე დატოვება უინფორმაციოდ, — მერე კი აქეთ გვიჩივიან, საქმე ფერხდებაო. რატომ არ შეიძლება თანამოაზრეები ერთად მუშაობდნენ გაზეთში, თუ მთავარში, რომ ახლოც არ უნდა გავაჭაჭანოთ ბატონი პოტრესოვები და სხვა ვიგინდარე-

* იხ. წინა წერილი. რ. ე. დ

ბი «ნაშა ზარია»-დან [191]? ამაში ხომ არის თანხმობა. დღესვე გწერთ ჩვენს აზრს მესამე კაცის შეყვანის შესახებ (პირობა ხომ ასეთი იყო, რომ მესამე ადგილი ჩვენია) [192]. გაცნობებთ, რათა მითქმა-მოთქმა არ იყოს. მესამეზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მესამედი მოდის — განა ეს ბევრია? განა თქვენ წინააღმდეგი ხართ? ვიმედოვნებ, რომ არა. ძალიან, ძალიან მინდა, რომ საქმე შეხლა-შემოხლის გარეშე მოგვარდეს. დროა, საშინლად საჭიროა, რაც შეიძლება მალე მოვკიდოთ ხელი გაზეთსა და ჟურნალს. ჟურნალის გამო ბევრს არ ვთხოულობთ. ვიშოვეთ მთავარი მდივანი და ერთი ან ორი განაცხადი [193]. ნუთუ ეს ასე ძნელი მოსაგვარებელია? მაშ ასე, ველი ცნობებს.

იმედი მაქვს, რომ ახლა უკმაყოფილოებთან ყველაფერი მოგვარდება. საჩხუბარი ხომ აღარაფერია.

დაწერილია 1910 წლის 10 ნოემბერს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

214

ნ. გ. პოლეტაევს

ძვირფასო კოლეგა! დღეს გამოგიგზავნეთ რამდენიმე ხელნაწერი 1) მურომცევის შესახებ სტატიის მინაწერი (არ შეიძლება ამას არ გამოვეხმაუროთ, ახლაც კი არ შეიძლება), 2) ბოლშევიკებისა და მენშევიკების დაახლოების მიზეზებისა და მნიშვნელობის შესახებ (შეიძლება შეიცვალოს სათაური), 3) მუშათა მოძრაობაში პოლიტიკურ უთანხმოებათა შესახებ *, 4) ოქტიაბრისტების შესახებ, 5) ხელოსანთა ყრილობა და მუშები, 6) პროფესიული მიმდინარეობა.

---

* იხ. ვ. ი. ლენინის «უთანხმოებანი ევროპის მუშათა მოძრაობაში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 433 — 439, რუს. 317 — 322) **რ ე დ.**

გეთაყვა, ეცადეთ დაბეჭდოთ და რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ.

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გადასცეთ ჩვენს რედაქტორს *, სასწრაფოდ. მომწერეთ ყველა უთანხმოება თუ აღმოიფხვრა.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1910 წლის 4 დეკემბერს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანუსკრიპტზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(ვერსტაცია)

- 215

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს

ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს

5. XII. 10.

პატივცემულო ამხანაგებო!

სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ერთმა წევრმა ** მოგვმართა კატეგორიული განცხადებით. მეორე ათასი თუ არ მექნა, გაზეთის დაწყება არ შემიძლიაო [194]. ამიტომ დაჟინებით მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაუგზავნოთ მეორე ათასი.

ნ. ლენინი***

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. რედ.
** ლაპარაკია ნ. გ. პოლეტაევზე. რედ.
*** წერილს გ. ე. ზინოვიევიც აწერს ხელს. რედ.

216

ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს

ძვირფასო ვ. დ.! თქვენი ერთი წერილი კი მივიღე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან წარმოდგენა ვერ მომცა ჩემთვის საინტერესო თარგმანის თაობაზე. გავიგე, რომ რაღაცით ძალიან უკმაყოფილო ყოფილხართ. რითი? როგორ? რატომ? თუ მოახერხეთ მოგვარება? არაფერი არ ვიცი. ეს ძალიან, ძალიან, საწყენია. არადა უაღრესად უნდა ვიჩქაროთ, რადგან მტრული ელემენტები ზურგიდან გვიელიან. რაც შეიძლებოდა, აქ ვიღონეთ იმის საშოვნელად, რაც გვაკლდა. მოიძებნა ერთი კეთილისმყოფელი. გიგზავნით. ისე მოახერხეთ, გეთაყვა, რომ უინფორმაციოდ არ დაგვტოვოთ. კვირაში ერთხელ მაინც ხომ უნდა შეგვატყობინოთ, რა თარგმანებს იღებთ და ა. შ. და სხვ. თორემ რაღაც ხმები მოდის უკმაყოფილების შესახებ და მეტი კი არაფერი. ზოგი იგონებს, მგონი, ლიკვიდატორობასა და ლიკვიდატორებს შორის განსხვავება არისო. ამას ჰქვია სოფისტიკა! არც ერთია საჭირო და არც მეორე. თუმცა, თქვენ თვითონაც გასცემთ საკადრის პასუხს. მოიკითხეთ ვ. მ. ცოლმა ძალიან მთხოვა მოკითხვა გადმოგცეთ.

სტარიკი

დაწერილია 1910 წლის 9 დეკემბერს
გაგზავნილია ჟარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

217

გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას [195]

ჩემი წინადადებაა:

1) ახლავე დაიბეჭდოს ცენტრალურ ორგანოში ამ წერილის თარგმანი (იქნებ მცირე შემოკლებით);

2) ჩვენი სახელით მოუწოდოთ ტრანსპორტის მუშების, გემმშენებელი მუშების, თოფხანების, ვაზნის, ზარბაზნების, სამხედრო დანიშნულებისა და სხვა ქარხნების პროფესიულ კავშირებს (აგრეთვე სხვადასხვა ქალაქის პროფესიული **კავშირების** ბიუროებს, ხოლო თუ პროფესიული კავშირები არ არის, მუშათა ჯგუფებს), რომ ცენტრალურ ორგანოს გამოუგზავნონ თავიანთი მასალები, ცნობები, ყოფილი გაფიცვების აღწერილობა და სხვ.;

3) დაუყოვნებლივ დაიბეჭდოს მოკლედ ჩვენი აზრი, (a) რომ საქმე ეხება არა იზოლირებულ აქტს «ხელი შევუშალოთ ომს», (თავიდან ავიცილოთ), არამედ საერთოდ პროლეტარიატის მასების რევოლუციურ იერიშს და (b), რომ რუსეთის ახლანდელ ვითარებაში ჩვენ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმის გამორკვევას, თუ როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა გაფიცვები 1905 წელს.

დაწერილია 1910 წლის 17 დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

———

1911 წელი

218

კ. კაუცკის

31. I. 11.

პატივცემულო ამხანაგო!

ალბათ არ დაგვიწყებიათ, რომ სტატიას შეგვპირდით ჩვენი ჟურნალ «მისლისათვის». «მისლის» პირველი ნომერი უკვე გამოვიდა (მოსკოვში) და მისი კონფისკაცია არ მომხდარა. ეს ნომერი შეიცავს, კერძოდ, პლეხანოვის სტატიებს ტოლსტოიზე და იტალიურ ოპორტუნიზმზე (ჩვენს ლიკვიდატორებთან შედარებით), ჩემს სტატიას რუსეთის რევოლუციის * დროს მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ, როჟკოვის სტატიას რუსეთის კონტრრევოლუციის ახალი აგრარული პოლიტიკის შესახებ და სხვ. № 2 ამ დღეებში გამოვა. დიდი მადლობელი ვიქნებოდით თქვენი, ჩვენთვის რომ რაიმე დაგეწერათ — თუნდაც, მაგალითად, პროფესიული კავშირების ნეიტრალიტეტის შესახებ და ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ. ამ საკითხს ჩვენში კვლავ განიხილავენ ან ეხებიან და, იქნებ, თქვენც ხელს მოგკიდეთ, თუ უფრო ვრცლად განავითარებთ იმას, რასაც ლეგინის შესახებ წერდით «Neue Zeit»-ში. თავისთავად იგულისხმება, რომ სიხარულით შევხვდებით თქვენს ყველა სტატიას ყოველ თემაზე [196].

ამასთან ერთად ბანდეროლით გიგზავნით ჩემს სტატიას მარტოვისა და ტროცკის წინააღმდეგ — დასაბეჭდად კი არა,

* იხ. «რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 423 — 528). რ ე დ.

არამედ რჩევის სათხოვნელად. კარსკიმ უკვე უპასუხა მარტოვს. თქვენ გინდოდათ ჩემთვის დაგეტოვებინათ სტატია ტროცკის წინააღმდეგ. მაგრამ ჩემს სტატიას რომ წაიკითხავთ, დაინახავთ, რომ ძალიან მიჭირს ტროცკის წინააღმდეგ ვწერო და მარტოვს არ შევეხო. იქნებ მირჩიოთ, როგორ გავაკეთო აქედან სტატია «Neue Zeit»-ისათვის *.

მინდა «Neue Zeit»-ის რედაქციას შევთავაზო კიდევ ორი სტატია: 1) 1905 — 1907 წლების რუსეთში მომხდარი გაფიცვების სტატისტიკის შესახებ. ვფიქრობ, რომ პირველად გვაქვს მასობრივი გაფიცვების სტატისტიკა (ამასთან ცალ-ცალკე ეკონომიური და პოლიტიკური გაფიცვებისა) რევოლუციის მთელ პერიოდში. ჩვენ, რუს ბოლშევიკებს, ოპორტუნისტები (= ლიკვიდატორები-მენშევიკები) სულ «რომანტიზმსა» და «ბლანკიზმს» გვაბრალებენ. ამის საუკეთესო პასუხი, ვფიქრობ, მშრალი სტატისტიკაა, რომელიც შესაძლოა გერმანელი ამხანაგებისთვისაც საინტერესო იყოს. თუ პრინციპულად თანახმა ხართ, გამოგიგზავნით ან ვრცელ ამონაწერს ჩემი სტატიიდან, ან ერთბაშად მის თარგმანს. მხოლოდ ვშიშობ, რომ «Neue Zeit»-ისთვის ჩემი სტატია ძალიან დიდია.

2) ერთი რუსული ჟურნალისთვის დავამუშავე გერმანიის 1907 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის (უკვე გამოსული სამი ტომი) შედეგები **. რუსეთში დამიბეჭდავენ თუ არა, ჯერ არ ვიცი. როგორც გერმანიის სოც.-დემოკრ. პრესიდან ჩანს, ამ თემაზე უკვე იყო მსჯელობა, მაგრამ, სამწუხაროდ, (მაგ. «Vorwärts»-ში) მხოლოდ მასალის ბურჟუაზიული დამუშავების საფუძველზე. მე დავასკვენი, რომ 1907 წლის აღწერა ადასტურებს მარქსისტულ თეორიას და უარყოფს ბურ-

* იხ. «ისტორიული ანარი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 468 — 492). რ ე დ.

** იხ. სტატია «თანამედროვე მიწათმოქმედების კაპიტალისტური წყობილება» და მისი მოსამზადებელი მასალები «გერმანიის აგრარული სტატისტიკა (1907)» და «გერმანიის 1907 წლის 12 ივნისის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების დამუშავების გეგმა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 529 — 559 და ტომი 40, გვ. 323 — 397 და 398 — 401.). რ ე დ.

ჟუაზიულს (მათ შორის დავიდის თეორიასაც). განსაკუთრებით საინტერესოდ მეჩვენება, მაგალითად, მონაცემები ქალთა და ბავშვთა შრომის შესახებ (ამ შრომას უფრო მეტად იყენებენ გ ლ ე ხ ე ბ ი, რომლებსაც აქვთ 5 — 10 ჰექტარი, ვიდრე კაპიტალისტები და პროლეტარული მეურნეობები). აქ პირველად არის მოყვანილი ოჯახის წევრი-მუშაკებისა და დაქირავებული მუშების რიცხვი. თურმე 10 — 12 ჰექტარის მფლობელთა ჯგუფში დაქირავებულ მუშათა რიცხვი საშუალოდ ერთ მეურნეობაში უკვე შეადგენს 1,7-ს, ხოლო ოჯახის წევრ-მუშაკთა რიცხვი 3,4-ს. მაშასადამე ეს უკვე მსხვილი გლეხები არიან, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ დაქირავებული შრომა.

შემდეგ მეტად საგულისხმოა მეურნეობათა დაჯგუფება მუშათა საერთო რიცხვის მიხედვით (მე სამ მთავარ ჯგუფად ვყოფ მათ: 1 — 3,4 — 5,6 და მეტი — საერთოდ ყველა მუშას, მათ შორის დაქირავებულსაც).

ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი დამუშავება საინტერესო იქნება გერმანელ მკითხველთათვის? თუ იქნება, სიამოვნებით დავწერდი ამ საკითხზე «Neue Zeit»-ისათვის, — ოღონდ ჩემი ნაშრომის მოცულობა ძ ა ლ ზ ე დიდია!

თუ «გლეხთა მეურნეობებმა» (5 — 10, 10 — 20 ჰა) განსაკუთრებული წარმატებანი მოიპოვეს 1895 — 1907 წლების პერიოდში, ჩემი აზრით, ეს სულაც არ ამტკიცებს «წვრილი წარმოების» წარმატებას. ეს ადასტურებს მხოლოდ ინტენსიური კაპიტალისტური მეურნეობის და განსაკუთრებით მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს წარმატებას. მეურნეობათა ფართობის შემცირება ნიშნავს კაპიტალისტური და მსხვილგლეხური მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ი ს გადიდებას.

იმედი მაქვს, რომ ახლა სავსებით ჯანმრთელად ხართ და თვითონ უპასუხებთ კვესელსა და მასლოვს.

საუკეთესო სალმით თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. დიდად მადლობელი ვარ თქვენი პატივცემული მეუღლისა წერილი რომ გამომიგზავნა თქვენი ავადმყოფობის დროს. მინდოდა მისთვის მიმეწერა, მაგრამ, ვიფიქრე, აჯობებს

ნაცვლად იმისა, რომ ჩემი აზრი ტროიცკის სტატიის შესახებ წერილში მივწერო, ჩემი სტატია გავუგზავნო-მეთქი. ამ სტატიას მარტო თქვენთვის კი არა, თქვენი მეუღლისთვისაც ვგზავნი, როგორც პასუხს მის წერილზე.

ჩემი მისამართია: Mr. Vl. Oulianoff
4. Rue Marie Rose. 4
Paris. XIV.

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1928 წლის 31 დეკემბერს
გაზეთ «*Der Abend*»-ში

მთლიანად გერმანულ ენაზე
დაიბეჭდა 1964 წელს ჟურნალში
«International Review of Social History , Volume IX. Part 2

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1965 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 54

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

219

ა. ი. რიკოვს

ამხ. **ვლასოვს (ხოლო თუ მას** სურს, პოლონელებსაც)

ძვირფასო მეგობრებო!

როცა ვუფიქრდები მ თ ლ ი ა ნ ა დ იმ წეოანხმებას (ჩვენთვის ყველასათვის საერთო ბაზისა და მოქმედების ხაზის იმ ფორმულირების resp. *), რომელიც ბიუროში დამთავრდა P. S. D **-სა და ორივე ელფერის ბოლშევიკებს შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ ბაზის ს ი ს უ ს ტ ე და ნ ა კ ლ ო ვ ა ნ ე ბ ა ნ ი[197].

* — **respective** — ანუ შესაბამისად. რ ე დ.
** — პსდ — პოლონეთის სოციალ-დემოკრატია. რ ე დ.

შეთანხმების არსია (a) ზუსტად და მკაფიოდ განისაზღვროს პრინციპული ხაზი: ანტიგოლოსური და ანტივპერიოდული, ე. ი. აუცილებლად კონკრეტულად, ისე რომ გამორიცხული იყოს ყოველნაირი გადასხვაფერება და ხრიკები (რომლებმაც ასეთი ზიანი მიაყენეს პარტიას), განმეორდეს და დადასტურდეს, რომ საჭიროა ბრძოლა როგორც ლიკვიდატორობის, ისე ოტზოვიზმის წინააღმდეგ;

(b) პრაქტიკული «რეფორმა», ე. ი. ყ ვ ე ლ ა ც ე ნ ტ რ ი ს პირადი (უფრო სწორად: ფრაქციული თუ «მიმდინარეობრივი») შემადგენლობის ისეთი შეცვლა, რომელიც უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს ამ პრინციპული ხაზის განხორციელებას.

რა გამოდის? თეორიულ «ხაზსაც» და პრაქტიკულ საქმიანობასაც განსაზღვრავს ცენტრალური კომიტეტი. მისი შემადგენლობა კი როგორია? საკმარისია აშკარა ცანცარების, ჩიტირეკიების, გაიძვერებისა და უპრინციპო ჩარჩ-ვაჭრების (ბუნდისმაგვარი) და სხვათა უბრალო (და იაფფასიანი, არქიიაფფასიანი) «ულტიმატუმი» და **თ ქ ვ ე ნ «მზად ხართ»** ეს შემადგენლობა 8 კაცით განსაზღვროთ. ეს 8 კი (ახლა ეს ცხადია) ო რ ოთხეულს უდრის.

შედეგი: ცენტრალური კომიტეტის ნეიტრალიზაცია, ე. ი. ს რ უ ლ ი იმპოტენტობა!!

სწორედ ეს არის ის, რაც ლიკვიდატორებს სურთ.

ვერავითარ ჩ ვ ე ნ ი სულისკვეთების რეფორმებს (ე. ი. რომელთა გამო ყ ვ ე ლ ა ნ ი შევთანხმდით) **ვერ განახორციელებთ,** თუ ასეთი რვიანი იქნა.

გამოდის აბსურდი: **ჩ ვ ე ნ** თ ა ნ ა ხ მ ა ვ ა რ თ მივცეთ პარტიას ფულიცა და «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა ც»[198] და მთელი ჩვენი ძალები პ ი რ ო ბ ი თ ა დ, — რა არის პირობა? პრინციპული ხაზი და რეფორმა. — ვინ ახორციელებს ერთსაც და მეორესაც? ცენტრალური კომიტეტი. — მაგრამ ვინ უზრუნველყოფს ამის განხორციელებას ცენტრალურ კომიტეტში? — შემთხვევითი **ულტიმატუმი** სოციალ-დემოკრატიის მტრებისა (როგორიც არიან ლიკვიდატორები ბუნდელი ინტელიგენციიდან)!!

შეთანხმება არის იმის შესახებ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას რვიანის შემადგენლობით არ შეუძლია.

აი შედეგი.

ეს შედეგი იმეორებს პლენუმის[199] შეცდომას: კეთილი სურვილები, ტკბილი სიტყვები, კარგი აზრები — და იმპოტენტობა მათს განხორციელებაში. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ლიკვიდატორთა წინააღმდეგ, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ლიკვიდატორთა ტყვეობაში ვართ.

«შეთანხმების» განხორციელება მოგიხდებათ თქვენ, პრაქტიკოსებს — თქვენვე შეიტანეთ პუნქტი რვიანის შესახებ. ჩემი მოვალეობაა — შეთანხმების საგულდაგულოდ განხილვის შემდეგ **გაგაფრთხილოთ**: ლიკვიდატორები ისევ მოგატყუებენ!

ადვილია პლეხანოველი «დაირქვა» (ადრიანოვი თუ მისი დამქაშები ალბათ ქაჯს და ეშმაკს დაირქმევენ, ოღონდ მცირე შეღავათი მაინც მიიღონ: სახელწოდება სიტყვაა, შეღავათი კი საქმე).

საქმით რვიანის სახით თქვენ მიიღებთ ლიკვიდატორთაგან ტყვექმნილ იმპოტენტურ დაწესებულებას. აი ის საფრთხე, რომლის გამო მოვალედ ვთვლი თავს სერიოზულად გაგაფრთხილოთ.

თუ თქვენ, როგორც პრაქტიკოსები, კისრულობთ შექმნათ ისეთი ცენტრალური კომიტეტი (ანუ: ისეთი რვიანი), რომელიც შეძლებს გოლოსელებისა და ვპერიოდელების დაგმობას, აგრეთვე რეფორმების განხორციელებას, — **თქვენი საქმეა.** სულითა და გულით მინდა თქვენთან თანხმობა და მშვიდობიანი დამოკიდებულება მქონდეს, ამიტომ ვალდებული ვარ დაგეხმაროთ თქვენი გეგმის განხორციელებაში.

მაგრამ დაეხმარო როდი ნიშნავს დაწყნარო «ლამაზ ოცნებათა მომხიბვლელობით». დაეხმარო — ნიშნავს უჩვენო რეალური საფრთხე, რომლის თავიდან აცილება უნდა შევძლოთ.

I. 10-ის პლენუმმა ერთი წლით შეაფერხა ცენტრების პრაქტიკული მუშაობა, იმიტომ, რომ დაატყვევა ისინი, ტყვედ ჩაუგდო ლიკვიდატორებს. 1910 წლის გაზაფხულზე ინოკმა თავი **ვერ დაალწია** ტყვეობას. 1911 წლის დამდეგს იმას ვერც თქვენ შეძლებთ, თუ სასწრაფო ზომებს არ მიიღებთ შეთანხმების განხორციელებისათვის.

გართმევთ ხელს და მოგესალმებით! ნ. ლენინი

დაწერილია 1911 წლის 11
თებერვალზე გვიან
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

220

ა. ი. რიკოვს

ძვირფასო ალ.!

გიგზავნით სიახლეებს:

1) იგორის განცხადებას (პირს), რომელიც დღეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში[200] შეიტანა *.

2) სან-რემოს ჯგუფის (რომელ არს პლეხანოვი «ჯალაბითურთ») რეზოლუციას.

დღეს ლიბერმა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში განაცხადა, ადრიანოვი მოსკოვის მახლობლად იმყოფება და ცნობები მაქვს, რომ განიხილავენ საკითხს, სად მოიწვიონ ცენტრალური კომიტეტი — რუსეთში თუ საზღვარგარეთ.

ჩემი აზრით, სამოვრებთან ** უნდა გავგზავნოთ მიხეილ მირონის ძე (ხვალ ვეცდებით გავგზავნოთ, ე. ი. ვეცდებით,

* როგორც კი წაიკითხავთ (და პირს გადაიღებთ), დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ. რედ.

** «სამოვრები» — ვ. პ. ნოგინი და გ. დ. ლეიტეიზენი (ლინდოვი) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრები, რომლებიც იმ დროს ტულაში იყვნენ.

ხვალვე თქვენთან წამოვიდეს. დღეს ველაპარაკე, თანახმაა). მისთვის ახლა უხერხულია რუსეთში წასვლა, მაგრამ ეს უხერხულობა უმნიშვნელოა და იგი თანახმაა წავიდეს რუსეთშიც. ასე გააკეთეთ: დაუყოვნებლივ გაგზავნეთ ორი დავალებით: 1) მაშინვე გაისტუმროს საზღვარგარეთ ლუბიჩი; 2) ნახოს სამოვრები, დაიყოლიოს, რომ საზღვარგარეთ დანიშნონ და წამოვიდეს.

უგუნურობა, სისულელე, საოცრებაა ჩაშლის რისკი გავწიოთ, როცა იგორი **ოფიციალურ** ქაღალდში, რომელსაც ამასთან გიგზავნით, თანხმობას აცხადებს საზღვარგარეთ მოვიწვიოთო, და იმასაც გვპირდება, საზღვარგარეთ მარტო ადრიანოვს კი არა, «ლონდონელ კანდიდატებსაც»[201] კი (ე. ი. რომანს + ადრიანოვს, საერთოდ ორს: აქედან ცხადია, რომ უთუოდ საჭიროა ლუბიჩი, ისე ჩვენების სამეული უმრავლესობას ვერ მოგვცემს) მოგვგვრითო.

ხვალ გამოვგზავნით ლიკვიდატორთა და ოტზოვისტთა შესახებ დეკლარაციის თეზისებს.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1911 წლის 17 თებერვალს
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

221

ნ. გ. პოლეტაევს

ძვირფასო კოლეგა!

მივიღე თქვენი 10 თებერვლის წერილი, სადაც მწერთ, რომ გაუციათ ერთი კაცი, რომელსაც თქვენ ე-ს უწოდებთ.

თქვენ მთხოვთ «ეს გამოვუცხადო» 58 მეწშვეიკს.[202] მაპატიეთ, რომ უარი უნდა გითხრათ ამ თხოვნაზე. სულაც არ ვაპირებ ამ სუბიექტებისთვის რაიმეს თქმას და მათთან რაიმე

ურთიერთობას. თუ არ გესმით რატომ, კიდევ ერთხელ გეტყვით.

წერილს ამთავრებთ სიტყვებით: «ნუთუ პარიზში არ ესმით, რა გავლენას ახდენს ჩვენზე თქვენი კინკლაობა?»

პარიზში ლიკვიდატორებს მშვენივრად ესმით, რასაც შვრებიან. სამწუხაროა, რომ თქვენთან ს.-პეტერბურგში კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც არ ესმით, რას სჩადიან, რას კითხულობენ. სამწუხაროა! ასეთი ადამიანების ხვედრია, მუდამ მოტყუებული რჩებოდნენ. აქაური ლიკვიდატორები, ე. ი. გოლოსელები სწორედ იმიტომ უშვებენ სპეციალურად 58-ის ფურცლისმაგვარ ფურცლებს, რომ გამოიწვიონ კინკლაობა და არივ-დარიონ პრინციპული ბრძოლა. ჩვენ განვაცხადეთ (ცენტრალური ორგანოს თითოეულ ნომერში და სხვა, თქვენთვის ცნობილი — მანძილითაც — და თქვენთან უფრო ახლო გამოცემების თითოეულ ნომერში *), რომ ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის ჯგუფს, «ნაშა ზარიას» იდეებს და ა. შ. არ ვურიგდებით. ვერ შევურიგდებით, არამედ დაუნდობლად ვებრძვით და კვლავაც ვიბრძოლებთ მათს წინააღმდეგ. ესენი ლიკვიდატორთა კომპანია, სოციალ-დემოკრატიის მტრები არიან და მათი იდეები — მოღალატეთა იდეებია.

გოლოსელებს არ შეუძლიათ ამის წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა და ამიტომ ბატონები მარტოვები, დანები, აქსელროდები, მარტინოვები წვრილ-წვრილი სკანდალებითა და შანტაჟით უპასუხებენ. განა 58-თა ფურცელი შანტაჟი არ არის? 58-თა ფურცელში წამოყენებულია ყალბი ბრალდებანი (გადაკრული სიტყვები)... **, მაგალითად, თუმცა ბოლშევიკებმა 1910 იანვრის... პლენუმის შემდეგ აბსოლუტურად ლოიალურად მოსპეს ყველაფერი, რაც მათთან იყო დაკავშირებული. რატომ სჭირდებათ ამ ბრალდებათა წამოყენება ასეთი ბუნდოვანი ფორმით? პასუხი ასეთია: ეს ფურცელიც დაბეჭდილია, პარიზიდანაა, გოლოსე-

* გაზეთი «ზვეზდა» და ჟურნალი «ბისლი». რედ.

** აქ და ქვემოთ ტექსტში გამოტოვებულია სიტყვები. რედ.

ლებისაა, ოღონდ მას 58 კი არ აწერს ხელს, არამედ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქცია. რა შინაარსისაა ეს ფურცელი? ეს შინაარსი აი რით ამოიწურება: თანასწორობა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში და მაშინ ზავიო[203].

ერთი ამხანაგი გვწერს: განა ეს საძაგლობა არ არის? — დღეს წაუყენო სისხლის სამართლის ბრალდებანი. ხვალ კი მისწერო: «კიდევ ერთი კაცი შეუშვით რედაქციაში — და ზავიო». ეს ხომ შ ა ნ ტ ა ჟ ი ა!

ნუთუ ადამიანები, რომლებიც ოდნავ მაინც გამოცდილი არიან პოლიტიკაში, ყველგან (განსაკუთრებით III სათათბიროში) ვერ ხედავენ ათობით ასეთ მაგალითს. ნუთუ მენშევიზმის ისტორიას არ უჩვენებია ასეთივე მასობრივი შანტაჟის ხერხები: რამდენჯერ წამოუყენებიათ «სისხლის სამართლის დანაშაულობა» და მაშინვე დ ა ვ ი წ ყ ე ბ ი ა თ იგი, როცა თანასწორობა ან უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა მოუპოვებიათ.

მე კი შანტაჟისტებს შანტაჟისტები ვუწოდე პრესაში 1910 წლის მაისში და «დისკუსიონი ლისტოკშიც» *. თუ ვინმემ არ შეისმინა გაფრთხილება, მ ი თ უ ა რ ე ს ი მ ი ს თ ვ ი ს.

— ე.-მ ამ ქაღალდს «საზიზღრობა» უწოდა. — ე. მართალია. მე არ ვიცნობ — ე-ს. არ ვიცი, რა უარყოფას მოითხოვს პრესაში, არ ვიცი, როგორია მისი შეხედულებანი, მისი გაგება, ან რას აკეთებს. შედეგი: სანამ არ ისწავლით ბრძოლას შანტაჟისტების წინააღმდეგ, ისინი ყოველთვის ჩაგიშლიან მუშაობას სკანდალებით, შემოგაფურთხებენ სახეში. თუ ეს არ მოგწონთ, ისწავლეთ ბრძოლა და არა წუწუნი.

თქმაც არ უნდა, რომ შანტაჟისტებს საკადრისი პასუხი გავეცით და არავითარ თანასწორობას არ დავეთანხმებით. პოტრესოვის ხროვის ლ ი კ ვ ი დ ა ტ ო რ ო ბ ა ჩვენ ბოლომდე ვამხილეთ. უფრო მეტიც, ახლა ეს ხროვა ეკეკლუცება იმ ჯგუფს, რომელმაც 1910 წლის იანვრის პლენუმის შ ე მ დ ე გ

* იხ. «პუბლიცისტის შენიშვნები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 234 — 323). რ ე დ.

დაარღვია რეზოლუცია...* შესახებ. გოლოსელები ხელს აფარებენ....., რომლებიც ლ ე ნ ი ნ-პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს «წინააღმდეგ» არიან. გარწმუნებთ, რომ ა მ ა ს ა ც ვ ა მ ხ ი ლ ე ბ თ.

ორ საკმაზე ჯდომა არ შეიძლება — ან ლიკვიდატორებთან, ან მათ წინააღმდეგ. მე კი ვიტოვებ უფლებას გამოვაქვეყნო ეს ჩემი წერილი. როგორ არის რედაქციის** საქმე? უნდა იზრუნოთ, რომ წარმომადგენელი გვყავდეს. თუ სხვა არავინაა, თქვენ იყავით. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ვალდებული ხართ მოგვიძებნოთ წარმომადგენელი. რატომ არ აბრუნებთ უარყოფილ სტატიებს? რ ა პ ო პ ო რ ტ მ ა 2 სტატია **გამოგზავნა**, და არავითარი პასუხი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, თქვენთან ერთი ყმაწვილი მოვა: დაბალ-დაბალი, ჩაფსკვნილი (ებრაელი), ჩემგან რეკომენდაცია ექნება. რითიც შეძლებთ, დაეხმარეთ.

გაზეთის თაობაზე: ჩემი აზრით, დროებით თქვენ თვითონ უნდა შეხვიდეთ, რათა ჩვენი მიმდინარეობა უწარმომადგენლოდ არ დარჩეს, თორემ სკანდალია. იმედი გვაქვს, რომ პირველი შევიწროებისთანავე არ ჩააბარებენ საქმეებს და განაგრძობენ ცდებს დახურვის მიუხედავად. მით უმეტეს იქ უნდა იყოთ. დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოგზავნეთ იმ პლატფორმის[204] ტექსტი, რომელიც ფრაქციამ მოსკოვის არჩევნებისათვის შეიმუშავა. საღდგომოდ აქ ხომ არ ჩამოხვალთ ჩვენს სანახავად? ბევრი რამ გვაქვს მოსალაპარაკებელი. ხომ არ იცით, ოს. პეტრ. როგორ არის?

დაწერილია 1911 წლის 7 ან 8 მარტს
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(ფერლუსტრაცია)

---

* როგორც ჩანს, ლაპარაკია პლენუმის რეზოლუციაზე «ფრაქციული ცენტრების» შესახებ (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 300 — 302). რ ე დ.

** გაზეთ «ზვეზდის» რედაქცია. რ ე დ.

222

ა. ი. რიკოვს

10/III. 11

ძვირფასო ვლასოვ! გიგზავნით (მე და გრიგოლი გიგზავნით) იმ წერილის პირს, რომელიც დღეს სემაშკომ (ცენტრალურ კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრი) გრიგოლს მოსწერა.

ამ წერილიდან, რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ კრიზისი უკვე დასასრულს უახლოვდება. ბუნდელებმა გამოამჟღავნეს თავიანთი განზრახვა [205], (თუ მაკარმა აიძულა გაემჟღავნებინათ, ან იქნებ ამის მიზეზია დაპატიმრებანი პიტერში? [206] ალაჰმა უწყის).

სავსებით ცხადია, რომ ბუნდელები შესანიშნავად მიხვდნენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ახლა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ხ მ ე ბ ზ ე ა დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ი: ექნებათ პოლონელებს + ბუნდელებს ერთი ხმით მეტი თუ არა.

ბუნდელები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან იმისათვის, რომ ზედმეტი ხმა ჰქონდეთ ცენტრალურ კომიტეტში.

ეს ცხადია. ბუნდელები ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს, ყოველგვარ თაღლითობას კადრულობენ, ოღონდ ზედმეტი ხმა ჰქონდეთ ცენტრალურ კომიტეტში.

უკვე სახეზეა ორი ლონდონელი, უდავო მენშევიკი — გოლოსელი: კოსტროვი და **პეტრე,** რომელიც ამას წინათ ციხიდან გამოუშვეს (რის შესახებ ცნობები გვაქვს).

მაშ ასე, მტრები სავსებით შეკავშირდნენ. ერთადერთი ხსნაა: რადაც უნდა დაგვიჯდეს გამოვიხსნათ და საზღვარგარეთ გამოვიყვანოთ მაკარი, ლინდოვი, **ლიუბიჩი** (და, თუ შესაძლებელია, ვადიმი) და დაუყოვნებლივ გამოვიხსნათ.

ამისათვის კაცი უნდა გავგზავნოთ. მიხვდით, ღვთის გულისთვის, იმით, რომ აყოვნებთ კაცის გაგზავნას, ყ ო ვ ე ლ დ ღ ე რისკსა სწევთ, რომ მაკარი ჩავარდება, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ჩაიშლება. რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ მიხეილ მირონის ძე (თუ უარი თქვა, ჩასოვნიკოვი ლიეკიდან

ან პიატნიცას ცოლი — იგი ლეგალურია და ერთხელ უკვე იყო), — გაგზავნეთ ლუბიჩთანაც და მაკართანაც.

თუ ამას არ იზამთ, რისკსა სწევთ, რომ დავკარგავთ პლენუმის მოწვევისა და საერთოდ ცენტრალური კომიტეტის აღდგენის უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ შანსს.

თუ იუდინი მაკარს ეჩხუბება, შესაძლოა მაკარიც მიხვდა ბუნდელთა ტყუილებსა და თაღლითობას: მაგრამ მარტო მიხვედრა რას უშველის, ბრძოლა უნდა შეძლოს.

თუ ლინდოვს საზღვარგარეთ წამოსვლა ა რ შ ე უ ძ ლ ი ა, **მარტო** მაკარი ჩამოვიდეს (წინასწარ აიღოს რწმუნებულება, რომ შეუძლია ბიუროს სახელით იმოქმედოს): მაშინ აქ მაკართან ერთად ვიპოვით გამოსავალს.

დაუყოვნებლივ მიპასუხეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

223

ა. ი. რიკოვს

ძვირფასო ვლასოვ! უცნაურ რაღაცას გვთავაზობთ! ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა ს ე თ ი დეპეშის გაგზავნა, ასეთ რისკს ვერ ვიკისრებთ. თქვენ გაგზავნეთ ლაიფციგიდან, თუ რისკის გაწევა გინდათ, რასაც ჩვენ არ გირჩევთ.

ნუთუ შესაძლებელია, რომ საქმე ფულის გამო ფერხდებოდეს? ნუთუ ვერსაღ ისეხეს ბერლინამდე ბილეთის ფული?

როგორც ჩანს, ფულის გამო არ ჭიანურდება საქმე.

ბუნდელი — არამზადა და ლიკვიდატორი (ლიბერი) აქ ყბედობს, ვიცი ერთი გაჭიანურებისა და კავკასიაში ერთი გამგზავრების ამბავიო (!!?) [207].

კიდევ ერთი ამბავი: კოსტროვიც და პ ე ტ რ ე ც გაათავისუფლეს. ორივენი თავის თავს პლეხანოველებს უწოდებენ.

ჩვენ კი ზუსტად ვიცით პლენუმიდან, რომ ორივე ლიკვიდატორია.

უდიდესი შეცდომა მოგვიდათ, რწმუნებანი რომ არ გამოართვით სამოვრებს, ახლა კი უფრო აღრმავებთ მას იმით, რომ არავის არ გზავნით სამოვრებთან. ნახეთ, რა გამოდის! ვერო გადის (პრავდელები უკვე ირჩევენ მოსკოვში კონფერენციაზე [208], — გათიშვა კარზე მოგვადგა). თქვენ მოთმინება გელევათ. კომედიაა და მეტი არაფერი.

ცხადია, ის უნდა გექნათ, რასაც ჩვენ მოვითხოვდით: **დაუყოვნებლივ** გაგეგზავნათ კაცი სამოვრებთან. დაუყოვნებლივ ახლ მოიქეცით, თორემ აბსურდი გამოვა.

მას შემდეგ, რაც მოხდა, და თქვენი ნათქვამის შემდეგ, ვერც ჩვენ ვენდობით სამოვრებს და ვერ **მოვიცდით**, თვეობით ლოდინი არ შეგვიძლია. ამ გაჭიანურებით გვაიძულებენ გავწყვიტოთ ყველა ურთიერთობა, განვუცხადოთ გერმანელებს, რომ ცენტრალური კომიტეტი არ არის და დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ ფული.

მეტი არაფერი არ დაგვრჩენია, და ყოველივე ამის მიზეზია თქვენი პასიურობა («იქნებ სამოვარი დაიძრას»).

გართმევთ ხელს. ლენინი

დაწერილია 1911 წლის მარტის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

224

ა. ი. რიკოვს

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მწერთ, მ. მ-ს გამოძახების შესახებ.

კარგს აკეთებთ, რომ გზავნით. დღემდე გზავნიდნენ «4-ს» (თუ 6-ს არა) არა შემარიგებლები. ამაშია არსებითი განსხვავება.

ეს ერთი. მეორე კი, დროა წამოაყენოთ ულტიმატუმი, როგორც თვითონ დარწმუნდით, და თქვათ: «უნდა დაკარგო პარტიისადმი ყოველგვარი პატივისცემა, რომ უსასრულოდ აჭიანურო ეს საქმე». სწორია! მართებულია! სამართლიანია!

ოღონდ ცენტრალური კომიტეტიდან გამოსვლით კი არ უნდა დაემუქროთ, როგორც თქვენ აპირებთ, ეს სწორი არ არის. ეს არ ჩაიდინოთ *. დაემუქრეთ, რომ საჯარო პროტესტს განაცხადებთ ბიუროს წინააღმდეგ და ნულად ან უფრო უარესად გამოაცხადებთ მას, თუ ისინი, ვინც გენდობათ და რწმუნებებს გთავაზობთ, **დაუყოვნებლივ** არ წამოვლენ საზღვარგარეთ.

ტყუილად არ იძახებთ ლუბიჩს. ეს შეცდომაა. ზედმეტი 200 — 300 მანეთის დანანება, როცა საქმე ეხება მთელი ცენტრალური კომიტეტის **ფინალს,** სასაცილოა. ლუბიჩი კი **სწორედ** იმისთვის არის საჭირო, რომ დამოკიდებული არ ვიყოთ «ობივატელსა და ლაჩარზე»[209]. მე მხოლოდ თქვენი წერილიდან გავარკვიე, რამდენად სულმდაბალია ეს «ობივატელი და ლაჩარი». ასეთი ხალხი ჩიხში უნდა მოამწყვდიო და თუ არ გემორჩილებიან, ლაფში ამოსვარო. ამას საჯაროდ ვიზამ — დავბეჭდავ ბიუროსთან ურთიერთობის ისტორიას, როცა მოთმინება გამომელევა.

საქმე სავსებით გაირკვა. ხელჩართული ბრძოლა. ან $^1/_2$ + ერთი ჩვენ და P. S. D. **-ს[210], ან მენშევიკების გამარჯვება ცენტრალურ კომიტეტში, ჩვენი გამოსვლა და სამარცხვინო

---

* თუ ცენტრალური კომიტეტიდან გამოხვალთ, ეს იქნება გაქცევა ბრძოლის ველიდან, ბოლშევიზმის ღალატი გაჭირვების ჟამს. კი არ უნდა გამოხვიდეთ, არამედ გაუგზავნოთ ულტიმატუმი მაკარს და თუ არ გამოცხადდა და არ დაგითმოთ, იბრძოლოთ, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ფულის დაბრუნებისათვის.

** შვიდიანში ვერ გავიმარჯვებთ. ესე იგი უნდა გადავიდეთ საზღვარგარეთის პლენუმზე: გამოვიძახოთ მაკარი და ლუბიჩი და განვუმარტოთ საქმე.

ჩაშლა. მაგრამ, თუ ჩამოვიყვანეთ თუნდაც მხოლოდ მაკარი დ ლუბიჩი, კიდევ შეიძლება საქმის გადარჩენა: პლეხანოვი და ფრაქცია ჩვენ დაგვიჭერენ მხარს და მენშევიკების გათიშვას ჩანასახშივე ჩავახშობთ. მაშინ ვეღარ გაბედავენ ეგ არამზადები.

ამასთან გიგზავნით იმ წერილის პირს, რომელიც ბოლონიელმა მუშამ მომწერა. იგი მიხვდა ვპერიოდელთა «პლატფორმას»!! არამზადა გოლოსელები როგორ მოგწონთ: ვოლონტიორი — «გოლოსის» აგენტი, **პარტიული** სასკოლო კომისიის წევრი, ილაშქრებს მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ და აგიტაციას ეწევა მის წინააღმდეგ მსმენელთა შორის!! [211] ახლა კი ვამხილებ პრესაში!

ბოლონიაში სასკოლო კომისიისაგან გავგზავნეთ სემაშკო. წაუსწრეს არამზადებს, თავს ვეღარ დაიძვრენენ!

წერილის პირი დამიბრუნეთ.

ამასთან გიგზავნით ფინიკოვის წერილს (წაკითხვისთანავე **დაუყოვნებლივ** დამიბრუნეთ). აბა მითხარით, სწორი არა ვარ, რომ ასეთი ბოლშევიკი ასობით «შემარიგებელზე» უფრო ძლიერია, ვინაიდან იგი მიხვდა ვითარებას, იმათ კი არ სურთ მიხვდნენ?

და ჩვენ ასეთი ერთგულებით დავამარცხებთ ასობით «შემარიგებელს».

სალამი! ნ. ლენინი

დაწერილია 1911 წლის მარტში
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

225

N N *

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით ორ წერილს **. 1-ელი პოლეტაევისაგან, მე-2 ნეგორევისაგან (იორდანსკისაგან).

ესენი «ზვეზდის» ნამდვილი რედაქტორები არიან.

მათ უნდა დაეხმაროთ.

წყარო ერთია — გერმანელები. მიმართეთ Vorstand-ს *** Pfannkuch-ის მეშვეობით, სთხოვეთ 5000 მარკა (მაშინ 3000 მოგცემენ). ტიშკამ ერთხელ მიიღო მათგან «ტრიბუნისათვის» [212], ახლა მ ე ო რ ე დ რომ სთხოვოთ, ვაითუ «კონკურენტად» ჩაგთვალონ. ეს გაითვალისწინეთ, შეეცადეთ მოძებნოთ ს ა ვ ს ე ბ ი თ საიმედო მთარგმნელი (ჩვენ გვყავს ნაცნობები, მაგრამ ძალზე «კოლონიური» ხალხია) და აუცილებლად გამოართვით ფული Vorstand-ს «ზ ვ ე ზ დ ი»-სათვის.

ტიშკა ასე იქცევა: კარსკის პირით სთხოვს Vorstand-ს. Vorstand-ი ეკითხება ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს და აძლევს ფულს, თუ პროტესტი არავინ არ განაცხადა. თქვენ ზომები უნდა მიიღოთ, თუ არ გინდათ, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ იცოდეს, რომ თქვენ ბერლინში ხართ. ყოველი შემთხვევისათვის გიგზავნით «მოწმობას» ****.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

მიიღეთ თუ არა წერილი, რომელშიც იდო ალექსანდროვის წერილი ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში ლიბერის მოხსენების შესახებ? [213]

---

* როგორც ჩანს, წერილი გაეგზავნა ა. ი. რიკოვს. რ ე დ.

** ეს წერილები შეინახეთ და **აუცილებლად** დამიბრუნეთ **გამოყენებისთანავე.**

*** — გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობა. რ ე დ.

**** გერმანელებისათვის ვადასტურებ, რომ თქვენ ცენტრალური კომიტეტის წევრი ხართ.

რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოირკვეს ეს საქმე.

დაწერილია 1911 წლის მარტში
გაგზავნილია პარიზიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

226

III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას

ამხ. პოლეტაევმა ლენინის მეშვეობით გადმოგვცა ს.-დ. ფრაქციის ანგარიშის გამოცემის გეგმა, რომელიც ფრაქციამ განიხილა პოლეტაევის ბერლინში გაგზავნის წინ.

ჩვენი მხრივ, ფრაქციის გეგმას სავსებით თანაგრძნობით შევხვდით და წინადადებას ვაძლევთ მას დათანხმდეს შემდეგ საბოლოო პირობას.

ჩვენ აქ ვქმნით ანგარიშის გამომცემ სარედაქციო კომისიას ასეთი შემადგენლობით: სტეკლოვი+სემაშკო+ზინოვიევი (ან კამენევი).

კომისია კისრულობს (1) ანგარიშის გეგმის შედგენას და ფრაქციასთან ურთიერთობას ამ გეგმის დასამტკიცებლად; (2) პარტიისაგან ფულის მიღებისათვის ზრუნვას, ამასთან ფრაქცია იძლევა სულ ცოტა 500 მან.; (3) ანგარიშის საბოლოო რედაქტირებას (20 თაბახი) (ამა და ამ) ვადისთვის.

ამ წინადადებაზე პასუხი უნდა გაგვცეს მთელმა ფრაქციამ.

(ხელმოწერა პოკროვსკი+გეგეჭკორი) [214].

დაწერილია 1911 წლის 19
აპრილამდე
გაგზავნილია პარიზიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

227

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს

პატივცემულო ამხანაგო!

წერილით *, რომელსაც ამასთან გიგზავნით, ფორმალურად დამთავრდა მოლაპარაკება, რომელიც ბერლინში დავიწყე პოლეტაევთან სათათბიროს ფრაქციის დავალებით.

ანგარიშის გამომცემი სარედაქციო კომისია ფრაქციასთან შეთანხმებით შევადგინე მე ამხ. გრიგოლის (კანდ. — კამენევი), სტეკლოვისა და ალექსანდროვის შემადგენლობით.

ვინაიდან ფრაქციამ იკისრა ხარჯებისთვის მოგვცეს ს უ ლ ც ო ტ ა 500 მან., ხოლო ანგარიშის გამოცემის მთელი ხარჯები ჩვენ განვსაზღვრეთ 2100 — 2200 მან., გთხოვთ, დანაკლისი თანხა 1600 მან. გასცეთ პარტიული («მფლობელთა») ფულიდან (სარედაქციო კომისიის განკარგულებაში), რაზედაც თანახმა არიან ბოლშევიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები.

ლ ე ნ ი ნ ი

30 აპრილი 1911.

დაწერილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
პირის მიხედვით

228

ა. ი. ლიუბიმოვს და მ. კ. ვლადიმიროვს

პატივცემულო ამხანაგებო! თქვენ მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა II ჯგუფში 1. VII. 11, რომელთაც ჩვენ უკვე ვუ-

---

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

წოდეთ «ეკონომისტთა»[215] უარესზე უარესი სიტყვების უარესზე უარესი განმეორება, და თქვენმა «ბლოკმა» პოლონელებთან ახალი «ინტრიგების თამაშის» მიზნით — და გოლოსელებთანაც (ლედერის «გამოსვლა»)[216], ტროცკისთანაც («10-ჯერ მოწვევა»), ეპერიოდელებთანაც, ლიკვიდატორებთანაც (იმ შეთანხმების ჩაფუშვა, რომელსაც იგორევიც კი ცნობდა), — ყოველივე ამან ცხადად და საბოლოოდ დაგვანახვა, რომ ჩვენს მოქმედებაში შეუძლებელია რაიმე პოლიტიკური და მორალური ერთიანობა. ვინაიდან ამ ბოლო დრომდე ყველა უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გამო გეთათბირებოდით, მოვალეობად მიგვაჩნია ეს შეგატყობინოთ.

მარკმა ინება და ბოლო თათბირზე განაცხადა: «ჩვენ, «შემარიგებლები», გამოვალთ ტექნიკური კომისიიდან და საორგანიზაციო კომისიიდან, თუ თქვენ, ბეკები, კვლავაც «ფრაქციულ» პოლიტიკას განახორციელებთო».

ვაცხადებთ, რომ ჩვენ წავალთ ტექნიკური კომისიიდან და საორგანიზაციო კომისიიდან, თუ განაგრძობთ თქვენს პოლიტიკას. რომელიც, ჩვენი აზრით, უაღრესად მავნეა პარტიისათვის.

ოთხშაბათამდე, 5. VII. 11 — დილის 11 საათამდე კამენევთან ველოდებით თქვენს პასუხს — თუ იგი საჭირო გახდა — შემდეგ კი განცხადება შეგვაქვს ტექნიკურ კომისიასა და საორგანიზაციო კომისიაში და თქვენს წინააღმდეგ გამოვდივართ პარტიის წინაშე.

ს.-დ. სალმით ნ. ლენინი*

დაწერილია 1911 წლის 3 ივლისს
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* წერილს ხელს აწერენ აგრეთვე გ. ე. ზინოვიევი, ლ. ბ. კამენევი, ნ. ალექსანდროვი (ნ. ა. სემაშკო), კამსკი (მ. თ. ვლადიმირსკი). რ ე დ.

229

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

ვიგზავნით კორექტურას *.

§-ში «ორი პარტია» (განსაკუთრებით ბოლოს, გვ. 86 in fine ** — იხ. ცალკე ფურცელი) აუცილებელია გადაკეთდეს. (1) არ შეიძლება მოუწოდებდეთ შემარიგებლებთან გათიშვისაკენ. ეს სულ ზედმეტია და სწორი არ არის. მათ მიმართ უნდა ავიღოთ «განმარტებითი» ტონი და სულაც არ არის საჭირო მათთვის ხელის კვრა. (2) გათიშვაზე უფრო გადაკვრით უნდა ვილაპარაკოთ, **ყოველთვის** უნდა შევარჩიოთ ასეთი ფორმულირება: ლიკვიდატორებმა გაწყვიტეს ურთიერთობა, შექმნეს და გამოაცხადეს «უცილობელი განხეთქილება», პარტია კი ტყუილად უთმენს-თქო («შემარიგებლები კი ტყუილად ურევენ-თქო») და ა. შ.

მეტწილად სწორედ ასე გაქვთ. მაგრამ ყოველთვის **არა**. გადახედეთ მაინც §-ს «ორი პარტია».

გერმანელებისადმი პასუხს შევარბილებთ. მართალი ხართ, უკმეხი გამოვიდა.

აუცილებლად გამოგზავნეთ ხოლმე შემარიგებლების შესახებ §-ის კორექტურები.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1911 წლის 2 აგვისტომდე
პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ლაპარაკია ლ. ბ. კამენევის ბროშურაზე «ორი პარტია». ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობა ამ ბროშურისათვის იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 260 — 265. რედ.

** — ბოლოს. რედ.

230

კ. ჰიუისმანსს *

5 სექტემბერი 1911.

ძვირფასო ამხანაგო!

ამას თან ვურთავ სათათბიროს შემადგენლობის ცხრილს. მასში შესწორებანი შევიტანე, რისთვისაც გამოვიყენე სათათბიროს ოფიციალური წელიწდეული (ცნობარი, 1910, გამოშვება 2).

ძმური სალმით, ძვირფასო ამხანაგო.

ვ. ულიანოვი

სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობა (1910)

მემარჯვენეები		**51
ნაციონალისტები	99	**89
ოქტიაბრისტები		135
პოლონელთა, ლიტველთა და სხვ. ჯგუფი		7
პოლონელთა ჯგუფი (კოლო)	18	**11
პროგრესისტები		39
მაჰმადიანები		9
კონსტიტუციური დემოკრატები (ეგრეთ წოდ. კადეტები)		52
ტრუდოვიკების ჯგუფი (ტრუდოვიკები)	15	**14
სოციალ-დემოკრატები	14	**15
უპარტიონი		18
სულ		440 წევრი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ფრანგულ ენაზე ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 4

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

---

* ეს წერილი პასუხია კ. ჰიუისმანსის წერილზე, რომელშიც სთხოვს შეასწოროს III სახელმწიფო სათათბიროს შემადგენლობის ცხრილი. რ ე დ.

** ხელნაწერში ციფრი წაშლილია. რ ე დ.

231

Ი. ფრიმს

ძვირფასო ამხანაგო!

ორი პოლიტიკური ემიგრანტი, ნიკიტა პაშევი და ივანე დემიდოვსკი მუშაობდნენ ბ-ნ ჩერკეზთან კიტილის აეროდრომზე. ბ-მა ჩერკეზმა მუშები ისე დაითხოვა, რომ არ გადაუხდია კუთვნილი ფული, მაგრამ ნიკიტა პაშევის საქმე გართულდა, რადგან უკანასკნელს კონტრაქტი ჰქონდა დადებული. ჩერკეზმა მოისურვა ნ. პაშევის თავიდან მოშორება. იცოდა, რომ ნიკიტა და ივანე, როგორც პოლიტიკური ემიგრანტები, ხმას ვერ ამოიღებდნენ. ბ-ნმა ჩერკეზმა ნიკიტა პაშევს წაუყენა ყალბი ბრალდება, ამტკიცებს, რომ ერთ აეროპლანს ქანჩი მოხსნაო. ნიკიტა დააპატიმრეს და, ალბათ, ივანეც. მე კარგად ვიცი, რომ ორივე (ნიკიტა პაშევი და ივანე დემიდოვსკი) — პოლიტიკური ემიგრანტია და ასეთ საქმეს არ ჩაიდენდნენ. ამიტომ გთხოვთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩაერიოთ ამ საქმეში, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ჩვენი ამხანაგების გაცემა. გთხოვთ მიიღოთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ნ. ლენინი (ვლ. ულიანოვი) —
რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი
საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში

დაწერილია 1911 წლის 4 ნოემბერს
გაგზავნილია პარიზიდან ბუქარესტში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» (ოდესა) № 33

იბეჭდება
ბანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(ბერლუსტრაცია)

232

ლ. ბ. კამენევს

Mr. Vl. Oulianoff. 6.
Oakley square. London. N. W.

Cher camarade *! ვზივარ ბრიტანეთის მუზეუმში და ვატაცებით ვკითხულობ შვეიცერის 60-იანი წლების ბროშურებს: რა მშვენივრად დასტურდება მასზე შეხედულება, რომ ოპორტუნისტი იყო გაერთიანების გზების საკითხში!

ცხადია, ამ საკითხზე რომ დავწერო, ყოველივე გადაუდებელის გაკეთებას ვერ მოვასწრებ. ამიტომ გთხოვთ, ერთ დღესაც ნუ დააყოვნებთ, წადით (ან ერთგულ ადამიანს სთხოვეთ წავიდეს) Bibliothèque Nationale-ში და გაიგოს, რა აქვთ იქ 60-იანი წლების სოციალისტთა ლიტერატურიდან. ეს ასე უნდა გაიგოთ: გამოიწეროთ **ყველა** უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები (**საჭიროა** გამოცემის ზუსტი თარიღი და ადგილი) და მიიღოთ პასუხი: ესა და ეს არ არისო.

შეავსეთ (ბებელისა და მერინგის და Cust. Mayer-ის მიხედვით) სია, რომელსაც გიგზავნით და **მალე** მიპასუხეთ.

თქვენი ნ. ლენინი

J. *B. von Schweitzer*: «Der Zeitgeist und das Christentum». Leipzig. 1861.

მისივე: «Die österreichische Spitze». Leipzig. 1863.

მისივე: «Der einzige Weg zur Einheit». Frankfurt a/M. 1860.

მისივე: «Zur deutschen Frage». Frkf. a/M. 1862.

დაწერილია 1911 წლის 10 ნოემბერს
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ძვირფასო ამხანაგო! რ ე დ.

233

ჰ. ჰიუისმანსს

7/XII. 11.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით დეპეშას, რომელიც დღეს მივიღე [217]. ამ ცნობას გამოვაქვეყნებთ ჩვენს ცენტრალურ ორგანოში. იმედი მაქვს, ყოველ ღონეს იხმართ, რათა ამ დეპეშის შინაარსი გააცნოთ ინტერნაციონალში შემავალ ყველა პარტიას.

მარად თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა
შემოკლებით 1961 წელს ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» — № 5

მთლიანად დაიბეჭდა ფრანგულ
ენაზე 1962 წელს ჟურნალ
«Cahiers du Monde
***Russe et Soviétique»* № 4**

რუსულ ენაზე
პირველად მთლიანად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის
თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

1912 წელი

234

ჯ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით წერილს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კონფერენციის შესახებ *.

ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ ამ წერილს დაბეჭდავთ თქვენს მომდევნო ცირკულარში, რათა ჩვენი კონფერენციის შესახებ ყველა პარტიას აცნობოთ. იმედი მაქვს, არაფერი შეგიშლით ხელს, დაბეჭდოთ ეს წერილი თქვენს ცირკულარში, მით უმეტეს, უკვე დიდი ხანია ცირკულარში არ ყოფილა რაიმე ოფიციალური ცნობა რუსეთის შესახებ; ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ შემატყობინებთ, როდის უნდა გამოვიდეს ეს ცირკულარი.

რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამირჩია რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

თქვენი ნ. ლენინი

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს რსდმპ სრულიად რუსეთის კონფერენციის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 603 — 605). რედ.

ამასთან გიგზავნით რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ოფიციალური გამოცემის ერთ ეგზემპლარს *.

დაწერილია 1912 წლის 10 მარტამდე
გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
*«Cahiers du Monde
Russe et Soviétique»* № 1-2

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

235

კ. ჰიუისმანსს

5. 4. 12.

ძვირფასო მოქალაქევ!

მივიღე თქვენი ცირკულარი № 5. ამ წერილთან ერთად გიგზავნით ოფიციალურ ცნობას ** და გთხოვთ გადასცეთ იმ პარტიების მდივნებს, რომლებიც ყველა დადგენილი წესის დაცვით შეეიდნენ საერთაშორისო გაერთიანებაში.

გარდა ამისა, ძვირფასო მოქალაქევ, ერთი თხოვნა მაქვს № 5 ცირკულარისათვის დაწერილი თქვენი წინასიტყვაობის გამო. თუ არ შეწუხდებით, განმიმარტეთ ერთი პუნქტი, რომელიც ჩემთვის რამდენადმე გაუგებარია. საქმე ის არის, რომ თქვენი წინასიტყვაობის მეორე ფრაზაში, ჩემი აზრით, მშვენიერ პრინციპს გამოთქვამთ: აცხადებთ, რომ სამდივნო მოვალეა გადასცემდეს (ყველა ორგანიზაციას) დოკუმენტებს, რომ-

* ბროშურა «რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის 1912 წლის სრულიად რუსეთის კონფერენცია». ცენტრალური კომიტეტის გამოც., Paris. **რ ე დ.**

** იხ. «წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს ჰიუისმანსს» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 17. გვ. 656 — 660).

ლებსაც მიიღებს ყველა დადგენილი წესის დაცვით საერთაშორისო გაერთიანებაში შესული ორგანიზაციებისა და ბიუროს წევრებისაგან... ეს სავსებით სწორია. მაგრამ, ძვირფასო მოქალაქე, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი წინასიტყვაობის პირველი ფრაზა, სადაც ნათქვამია, რომ გაერთიანებაში შესულ პარტიებს ატყობინებთ საპროტესტო რეზოლუციას, რომელიც, როგორც თქვენ თავაზიანად მაცნობეთ, მოქალაქე ბაბინმა გამოგზავნაო, აშკარად ეწინააღმდეგება ამ პრინციპს? არის თუ არა ბაბინი ორგანიზაციის წარმომადგენელი და ყველა დადგენილი წესის დაცვით გაერთიანებაში შესული რომელი ორგანიზაციისა? იქნებ ბაბინი ბიუროს წევრია? თუ ბიუროს წევრია, რომელი ორგანიზაციის წარმომადგენელია? აგრეთვე გაერთიანებაში შემავალი რომელი ორგანიზაცია აგგებს პასუხს ბიუროს წინაშე პარიზის რეზოლუციისათვის? უსაზღვროდ მადლობელი ვიქნები თქვენი, ძვირფასო მოქალაქე, თუ ეჭვს გამიფანტავთ.

ძმური სალმით ნ. ლენინი

გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე 1963 წელს ჟურნალში *«Cahiers du Monde Russe et Soviétique»* № 1-2

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება მანქანაზე დაბეჭდილი პირის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

236

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო მოქალაქე ჰიუისმანს!

სავსებით გეთანხმებით და თქვენსავით ვფიქრობ, რომ ბიურო არ შეიძლება გახდეს შუამავალი პოლემიკის გადასაცემად. აგრეთვე ვფიქრობ, ამას რომ ხელი შევუშალოთ, საუკეთესო და ერთადერთი საშუალებაა გადაგზავნოთ მხოლოდ ის

დოკუმენტები, რომლებსაც იღებთ ბიუროში შემავალი პარტიების უმაღლესი დაწესებულებებისაგან და, რომლებიც აჰ პარტიებს ეხება. არ შემეძლო თქვენთვის არ მეცნობებინა დადგენილებანი ჩვენი პარტიული კონფერენციისა, რომელმაც აღადგინა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც იმ მომენტში პარტიას არ ჰყავდა, და მე, რა თქმა უნდა, პროტესტს არ განვაცხადებდი იმის წინააღმდეგ, რომ ცნობები მოეწოდებინა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ცენტრალურ კომიტეტს, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, პროტესტი განმეცხადებინა საზღვარგარეთის ჯგუფების პოლემიკის გადაცემის წინააღმდეგ.

აგრეთვე მეკითხებით ჩემს აზრს მოწოდების თქვენი პროექტის თაობაზე, რომელიც შეიცავს საერთო კონფერენციის მოწვევის მოთხოვნას. ვფიქრობ, რომ ამ მომენტში ეს მიზანშეწონილი არ იქნება, ხოლო ვინაიდან მიუკერძოებლობას ვერ დავიჩემებ, თავს ნებას ვაძლევ დავიმოწმო პოლონელთა აზრი (იხილე «Vorwärts»-ი). პოლონელებმა უარი თქვეს ჩვენს კონფერენციაში მონაწილეობაზე, მაგრამ ასევე უარი თქვეს მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში, რომლის მოწვევას ბუნდი აპირებს, და განაცხადეს, ეს ლიკვიდატორთა კონფერენციაა. აჯობებს მოვიცადოთ: ვნახოთ, გაიმართება თუ არა ლიკვიდატორთა კონფერენცია და რას იზამს.

ამ დღეებში გამოგიგზავნით რამდენიმე საკმაოდ საინტერესო დოკუმენტს, რომლებიც უკეთ გაგაცნობენ საქმეთა ვითარებას რუსეთის სდმ პარტიაში.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია 1912 წლის 19 **აპრილამდე**
გაგზავნილია პარიზიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 1-2

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
ორგანი ფრანგულიდან

237

ვ. ა. ტერ-იოანისიანს

5/V. 12.

Werte Genossin!

არ ვიცი, გაიგეთ თუ არა სამწუხარო ამბავი ჩვენი საერთო მეგობრის სურენ სპანდარიანის შესახებ, რომელმაც ჩვენ ერთმანეთი გაგვაცნო ბერლინში. იგი ბაქოში დაუპატიმრებიათ. მისი ცოლი მამამისს სწერს, არავინაა სურენისთვის რომ იზრუნოს. მას არც ლოგინი და არც არაფერი არა აქვსო. რძის მიმტანიც არა ჰყავსო და ა. შ. მამამისმა მითხრა, ბევრი ნაცნობი მყავს ბაქოში და ერთს მივწერეო. რატომ მხოლოდ ერთს, არ ვიცი.

სპანდარიანის მამა აქ ცხოვრობს (Hotel Nicole, 19. Rue Pierre Nicole, 19. Paris). ძალიან ავადმყოფი და მოხუცია. შვილი შეჰპირებია, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ბაქოდან ფული გამოგიგზავნოო, მაგრამ დაპატიმრების გამო ვეღარ შეძლო. მამამისი უფულოდაა, ბინიდან აგდებენ. საშინელ, მეტიც, უკიდურეს მდგომარეობაშია.

ავადმარეთ იმით, რომ ცოტა ფული ვასესხეთ. მაინც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა. ალბათ იცნობთ სპანდარიანის ნაცნობებსა და მეგობრებს ბაქოშიც და პარიზშიც. სპანდარიანის მამა ხშირად გზავნის წერილებს ისე, რომ მისამართის დაწერა ავიწყდება. ამიტომ ძალიან ვშიშობ, რომ ბაქოში ვერ მივა მისი წერილები. ბაქოში ხომ არავის იცნობთ, რომ შეიძლებოდეს მიწერა სურენის შესახებ და თხოვნა იზრუნოს მისთვის?

შემდეგ, თუ გყავთ საერთო ნაცნობები, უაღრესად საჭიროა მამამისისთვისაც იზრუნოს ვინმემ. ამბობდნენ, ეკატერინოდარში მდიდარი ვაჟიშვილი ჰყავსო. კარგი იქნებოდა მისთვისაც მიგეწერათ **ენერგიული** წერილი, მამას რაც შეიძლება მეტი ფული გამოუგზავნე, რომ ვალების გადახდა და აქედან წასვლა შეძლოს-თქო.

იმედი მაქვს, ორივე სპანდარიანისთვის ყველაფერს გააკეთებთ, რაც შეგიძლიათ და ერთ-ორ სიტყვას მომწერთ ამის გამო.

თქვენი საქმეები როგორ არის? სულ მოველოდი, რომ შეშატყობინებდით თქვენს ამბებს. მოჰკიდეთ თუ არა ხელი სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურას? ესდეკი გახდით თუ ბოლშევიკი?

სულით და გულით გისურვებთ ყოველივე კარგს და გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Vl. Oulianoff.
4. Rue Marie Rose. *Paris*. XIV.

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

238

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

. . . * მიკვირს, რომ თქვენგან არც ერთი წერილი არ მიმიღია. საჭიროა უფრო აკურატული მიმოწერა გვქონდეს და განსაკუთრებით თქვენ უფრო ხშირად იწერებოდეთ. ყველა ამბობდა, «პარიზი დაჩიავდებაო». ახლა ეს თქვენზეა, ესე იგი, ამას თქვენ უნდა შეუშალოთ ხელი. თუნდაც კვირაში ერთხელ, ხალხი შეკრიბეთ, ესაუბრეთ, დარაზმეთ, ყოველდღე ინახულეთ ალექსი და მისი დახმარებით გაამხნევეთ მთელი ჯგუფი. არ შეიძლება ბედის ანაბარა «დატოვო შენიანები». არ ვარგა მთავარი (დღემდე) ცენტრის დეზორგანიზაცია. გახსოვდეთ, რომ ამისთვის თქვენა ხართ პასუხისმგებელი!! მოიწ-

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე ხიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

ვიეთ ხოლმე საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი, შთაბერეთ ენერგია: ლაიფციგში ვიყავი და უამრავი საჩივარი მოვისმინე საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის გამო (საზღვარგარეთის ჯგუფების ცენტრალური ბიუროსაგან განსხვავებით *) არაფერს არ აკეთებსო. მისგან კი მოელიან ფურცლებს (პარიზის ყ ვ ე ლ ა ფურცელს), ბიულეტენებს. წერილებს... მოაგვარეთ ეს საქმე...

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის 28 ივნისამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5
გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

239

გაზეთ «პრავდის» რედაქციას [218]

პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი პაკეტი «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» ** კომპლექტებით. ძალიან გთხოვთ, შეავსოთ ძველი «ზ ვ ე ზ დ ი ს» იმ ნომრებით, რომლებიც მე მაკლია (ამ ნომრების სია თქვენ უნდა გქონდეთ). თუ არა გაქვთ იმ ნომრების სია, რომლებიც მაკლია, შემატყობინეთ და მაშინვე გამოგიგზავნით.

მივიღე აგრეთვე თქვენი ვრცელი წერილი** თანამშრომლობის თაობაზე. ვეცდებით, რასაც შევძლებთ, შევასრულოთ ფრიად ვრცელი პროგრამიდან. ოღონდ კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ აბსოლუტურად შეუძლებელია განვაგრძოთ მუშაობა, თუ არ გამოგზავნეთ:

---

* საზღვარგარეთის ჯგუფების საზღვარგარეთის ბიურო. რ ე დ.

** თქვენს წერილს 18. VI-ის შტემპელი აქვს, მაგრამ 17. VI-ის «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» ჯერ არ მიგვიღია!! იზრუნეთ ა კ უ რ ა ტ უ ლ ა დ გამოგზავნისათვის, გეთაყვა.

(1) ფული. კანტორას უკვე მართებს 200 მან., რაც უკვე გამოგზავნილი უნდა იყოს: 100 მან. 1 ივნისს, ძველი სტილით, და 100 მან. 15 ივნისს. უნდა იჩქაროთ ვალის გადახდა და ფული აკურატულად გამოგზავნოთ დათქმულ რიცხვებში.

(2) უნდა გამოგზავნოთ **წიგნები** ახალი, საცნობარო გამოცემები და ა. შ. ახალი წიგნები თუ არ გამოგვიგზავნეთ, მაშინ თანამშრომლობის თქვენი პროგრამის მეათედის შესრულებაც კი **შეუძლებელია**. წინა წერილში უკვე გამოგიგზავნეთ წიგნების სია და გთხოვთ მიპასუხოთ, ყველას გამოგზავნით თუ არა.

შემდეგ, თქვენს წერილში მთხოვთ შეგატყობინოთ «კიდევ რა გაზეთები უნდა გამოგიგზავნოთ». სია წინა წერილში გამოგიგზავნეთ და ისღა დამრჩენია, გაგიმეოროთ თხოვნა შემატყობინოთ დეპეშით: «გაზეთები გამოწერილია»; უამისოდ შ ე ფ ე რ ხ დ ე ბ ა სტატიების გამოგზავნა.

სინკლერის რომანის თაობაზე შეეკითხეთ ლაიფციგს. ეს ხომ თარგმანია ინგლისურიდან. ან იქნებ გერმანული თ ა რ გ მ ა ნ ი დ ა ნ გინდათ თარგმნოთ?

მზად ვარ გემსახუროთ.

ვ. ულიანოვი

P. S. კერძოდ, ა გ რ ა რ უ ლ ს ა კ ი თ ხ ზ ე განსაკუთრებით გვჭირდება მ ი მ დ ი ნ ა რ ე გამოცემები — **მთავრობისა და საერობო**. აუცილებლად დაბეჭდეთ უახლოეს ნომერში, რომ გაზეთის დიდი თხოვნაა გამოუგზავნონ **ყველა** ასეთი გამოცემა და კ ი ს რ უ ლ ო ბ ს ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ა ს დაბეჭდოს მათი სია და ყველაზე მნიშვნელოვანი რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი.

Vl. Ulijanow. Zwierzyniec. L. 218. Oesterreich. Krakau.

P. S. უაღრესად გვჭირდება აგრეთვე გაზეთი «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს ი»[219] (არა გვაქვს № 4 **და მომდევნო ნომრები**) და **ყველა** პროფესიული გამოცემა. უამისოდ ვ ე რ შ ე ვ ქ მ ნ ი თ თქვენთვის სასურველ განყოფილებას შრომისა და კაპიტალის ბრძოლის შესახებ.

P P. S. არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაქციო იმასაც, რომ სტატიებში უაღრესად არასასიამოვნო კორექტურული შეცდომებია. ახლა მივიღე (არც გაზეთის კანტორიდან და არც საერთოდ სანკტ-პეტერბურგიდან) «ნევსკაია ზვეზდის» № 13. «არალიბერალი სკეპტიკოსის» * სტატიაში ნაცვლად სიტყვისა «ისპოლზოვატ» ** დაბეჭდილია «ისპოვედოვატ»!! ***

ამ დროს კი ამ სტატიის ავტორს არცთუ ისე ძნელად გასარჩევი ხელი აქვს. გარდა ამისა, შეუძლებელია, რომ ასოთ-ამწყობები და კორექტორი კარგად არ იცნობდნენ ამ ხელს. დაბოლოს, კორექტორს შინაარსის მიხედვით ადვილად უნდა შეეგჩნია ეს შეცდომა.

სასურველია, ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ ასეთი კორექტურული შეცდომა რაც შეიძლება ნაკლები იყოს.

ახლა მივიღე № 43 «პრავდის» 5 ეგზემპლარი, როგორც შეგვპირდით. მაგრამ № *41* და *42* არა მაქვს. გთხოვთ, ეს ნომრებიც ხუთ-ხუთი ეგზემპლარი გამომიგზავნოთ.

დაწერილია არა უგვიანეს 1912 წლის
6 ივლისისა
გაგზავნილია პეტერბურგში
პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

240

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გუშინ გამოგიგზავნეთ № 16 «ნევსკაია ზვეზდა».

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «კაპიტალიზმი და «პარლამენტი»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 144 — 147). რ ე დ.

** გამოყენება (ქ ა რ თ. რ ე დ.)

*** აღიარება (ქ ა რ თ. რ ე დ.)

№ 6 «ნევსკი გოლოსმა» ჩვენც არქიაღგაშფოთა, და უკვე აღშფოთებული წერილი გავუგზავნეთ «პრავდას». დღეს კიდევ ვწერთ «ნევსკაია ზვეზდას» 17 ნომრისათვის... *

«პარტიულ კანდიდატებზე» ლეგალურად ლაპარაკი არ შეიძლება, ეს შეგვიძლია ცენტრალური კომიტეტის ფურცელში და «რაბოჩაია გაზეტაში».

აქ გადმოსვლამ ჯერჯერობით მოგვცა: 1) 1 დღით ნაკლები სავალი გზა; 2) ჩამოვიდა აბრამჩიკი (ეს საიდუმლოა). უკვე აქ არის. როგორც ჩანს, საზღვრის საკითხში დაგვეხმარება. იქნებ (კიდევ ეს?) სანკტ-პეტერბურგის არჩევნებშიც; 3) იმედი გვაქვს, რომ კიდევ მოვაწყობთ მთელ რიგ შეხვედრებს. ამისათვის უკვე წამოვიდა ორი**. თუ არ ჩავარდნენ, სარგებლობა იქნება. მაგრამ ყველაფერი ნელა მიდის და რამდენიმე ჩავარდნაც იყო.

გაზეთის თაობაზე ასე უნდა მოიქცეთ. თქვენთვის გამოიწერეთ «რუსკიე ვედომოსტი»[220] («რ. ვ.»-ს ხომ თვითონაც ირჩევთ) (და მიღებიდან 4 — 5 დღის შემდეგ კვირაში ორჯერ გამოგვიგზავნეთ). ფულს ჩვენ გადავიხდით. «პრავდას» მეტს ვერ გამორჩება კაცი: ტირაჟი 30 000-მდე შემცირდაო, საქმე გაძნელდაო...

ფოსტით გამოგზავნეთ... «ვპერიოდის» [ფურცელი] (მე არა მაქვს) და ყველა პარიზული. აუცილებლად უნდა აიწყოთ ბიულეტენების [საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის] საქმე (ჯერჯერობით მორიდებულად) პარიზული [ფურცლების] სიით და მათი მოკლე კრიტიკით.

თქვენ ხომ შეგვპირდით, რომ იურის გამოართმევდით პლეხანოვის პარტიული რეფერატის შესახებ! დღემდე არ არის. გამოგზავნეთ!!

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქედან ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. კვადრატულ ფრჩხილში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რედ.

** როგორც ჩანს, იგულისხმება ი. თ. არმანდი და გ. ი. საფაროვი. რედ.

პლეხანოვმა რა თქვა ტ.-სა და გერ-ის შესახებ?..

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის 24 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

241

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა!

გიგზავნით სტატიას — «ნახევარი წლის მუშაობის ზოგიერთი შედეგები» *. შინაარსიდან დაინახავთ, თუ რ ა ტ ო მ გამოვგზავნე **«პრავდაში»** ეს უზარმაზარი სტატია. იგი შეიძლება დაიბეჭდოს ოთხი დღის მანძილზე **წვრილი შრიფტით** აწყობილ ფელეტონებად. შეიძლება ცალ-ცალკე დასათაურდეს ოთხივე სტატია (მაგალითად: I. მუშათა თანხების შეგროვება გაზეთისათვის 1912 წელს თვეების მიხედვით. — II. მუშათა თანხების შეგროვება გაზეთისათვის რაიონების მიხედვით. — III. მუშათა თანხების შეგროვება ლიკვიდატორული და ა რ ა ლიკვიდატორული გაზეთებისათვის. — IV. მუშის კაპიკი მუშათა გაზეთისათვის).

ჩემთვის უაღრესად სასურველი იქნებოდა, რომ ეს სტატიები, რომლებიც მთლიანად «პრავდისთვისაა» განკუთვნილი და **მიმართავენ** «პრავდის» **მკითხველებს,** «პრავდამ» დაბეჭდოს. ვფიქრობ, ცენზურის მხრივ დაბრკოლება **არ** უნდა იყოს. ცენზურის შესწორებებზე, რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, მ ა გ რ ა მ III თ ა ვ ი ს გ ა მ ო ტ ო ვ ე ბ ა ს **არ** დ ა ვ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი.

* იხ. ვ. ი. ლენინი. «ნახევარი წლის მუშაობის შედეგები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 217 — 236). რ ე დ.

თუ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამ სტატიას «პრავდისათვის» არ მიიღებთ და თუ თქვენი კოლეგები უარყოფენ მას «ნევსკაია ზვეზდისათვის» (რომელსაც გაცილებით ნაკლებად შეეფერება), მაშინ ერთ-ერთ ჟურნალში გამოვაქვეყნებ, თუმცა ეს ძალიან საწყენი იქნება ჩემთვის. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ ან უკან გამომიგზავნოთ ეს სტატია.

ვილკამ ამას წინათ წერილი გამომიგზავნა. უარს ამბობს «ზვეზდასა» და «პრავდაში» თანამშრომლობაზე იმის გამო, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, «მავნე» ტენდენციები განჭვრიტა, როცა № 6 «ნევსკი გოლოსი» წაიკითხა და პლეხანოვის «წასვლა» გაიგო. ეს ვილკა პირველად როდი გადადის სხვა ბანაკში. თუ მოინდომა აურზაურის ატეხა თავისი სტატიის დაბეჭდვის თაობაზე (თუმცა ხომ არ შემეძლო ტელეგრაფით შემეთვალა უარი!!), ნუ უპასუხებთ, არ ღირს.

«მემარჯვენე» გაზეთების ცალკეული ნომრების გამოგზავნისთვის დიდი მადლობა. საინტერესო გაზეთების ასეთი ცალკეული ამანათები ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, თქვენ რომ არა, სულ ვერ ვიშოვიდით.

ძალიან გამეხარდა, როცა «პრავდაში» ვნახე ი. კ.-ს წერილი «სოვრემენიკის»[221] შესახებ. გვთხოვთ, სხვადასხვა თემებზე წერეთო. სწორედ ამითაა კარგი ი. კ. გაზეთში არ არის ლიტერატურულ-კრიტიკული მიმოხილვები, პატარ-პატარა სტატიები და წერილები. ჩემი აზრით, თითოეული თანამშრომელი უნდა დავაფასოთ მისი სპეციალური თემებისათვის. ი. კ. ნამდვილად შეძლებდა — თქვენ რომ ოდნავ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოთ ამ თანამშრომლისადმი — მოეცა უფრო მრავალფეროვანი წერილები, რომლებიც მნიშვნელოვნად გამოაცოცხლებდნენ მუშათა გაზეთს.

რატომ არ გაუშვით ჩემი სტატია იტალიის ყრილობის შესახებ? * საერთოდ არა გიშავთ რა, რომ შეგვატყობინოთ, სტა-

* იხ. ვ. ი. ლენინი. «იტალიელ სოციალისტთა ყრილობა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 195 — 198). რედ.

ტია არ მივიღეთო. ეს თხოვნა სულაც არ არის მეტისმეტი. «კალათისათვის», ესე იგი გადასაგდები სტატიების წერა სულაც არ არის სასიამოვნო. სტატიები, რომლებსაც არ დაბეჭდავთ, უნდა დააბრუნოთ. ბურჟუაზიული გაზეთის ყველა თანამშრომელიც კი მოითხოვს ამას.

ამხანაგური სალმით ვ. ულიანოვი

გთხოვთ *Wiener «Arbeiter-Zeitung»*-ს [222] მისწეროთ, რომ გაცვლითი ეგზემპლარი მე გამომიგზავნონ (მიეცით ჩემი მისამართი). თქვენთან მას მაინც არ გამოუშვებენ. არ დაგავიწყდეთ მიწერა!!

დაწერილია 1912 წლის 28 ან 29 ივლისს
გაგზავნილია სალვატორიდან (კრაკოვის მახლობლად) პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით 1930 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა 2 — 3 გამოცემებში, ტომი XVI

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

242

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! უწინარეს ყოვლისა, მხურვალე სალამი ყველა მეგობარს, მადლობა დეპეშისათვის და ათასნაირი საუკეთესო სურვილები! (მელნის ლაქა არ ითვლება.) Salut, salut á vous...* ეჰ, ახლა კი მოვუსმენდი Montégus-ს.

აი, გადავუხვიე «სერიოზულ» კილოს.

არადა «საქმეები» მაქვს.

---

* — სალამი, სალამი თქვენ... რ ე დ.

(1) ამასთან გიგზავნით ჩვენს პასუხს გერმანული Vorstand-ისადმი *. უჩვენეთ ვიწრო წრეს+**საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტს** და დამიბრუნეთ.

(2) ზაქსის წერილს **თქვენთვის.** წაიკითხეთ. ჩასწვდით, უპასუხეთ და დამიბრუნეთ...

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

მოროზოვი კი სისულელეს ჩმახავს... ** ბესპრიზორნი ყოველად უმაქნისია.

რიაზანოვი ვენაში სისინებს და იბუტება: **მშრალზე დარჩა** «პრავდაში» პლეხანოვის წერილის შემდეგ. (დიდი წერილი მივწერე კისელიოვს, «გულამაჩუყებელი». ვფიქრობ, **რომ** ამაოა.)

ლუნაჩარსკი «კიევსკაია მისლში»[223] წერს «მეცნიერულ მისტიციზმზე». იშოვეთ და საჯაროდ, მამაშვილურად გაწკეპლეთ.

რატომ არაფერს არ წერთ **«პროსვეშჩენიესთვის?»**[224]

დაწერილია 1912 წლის 30 ივლისს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

243

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გიგზავნით ვერას წერილს. აქედან გაიგებთ, რატომ გადავწყვიტეთ **დაგვბეჭდა** გერმანელებისადმი პასუხი ხემნიცის-

* პასუხი გერმანიის ს.-დ. პარტიის გამგეობას. იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 238. რედ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რედ.

თვის და დაგვებეჭდა ლაიფციგში [225]. მაშასადამე, პარიზის მუშაობა უნდა ვავაუქმოთ. იმედი მაქვს, რომ ჯერ არ დაწყებულა და გაუქმება ძნელი არ იქნება.

ხემნიცში აუცილებლად უნდა იყოთ ერთი-ორი დღით ადრე. «რაბოჩაია გაზეტასგან» მანდატს მივცემთ აქაურ ბეკს, რომელიც ზაკოპანეში მიდის. იგი გერმანულად ლაპარაკობს.

ხემნიცში სერიოზული ომი მოგელით.

იხ. გვერდ. 2 სექტემბრიდან ვიცვლით ბინას. ახალი მისამართია: Ulica Lubomirskiego. 47, au premier, à gauche. (გრიგოლი № 35 იგივე ქუჩა).



მოიწერეთ, ნამდვილად იქნებით თუ არა ხემნიცში 12 ან 13. IX. გერმანელებისათვის პასუხს გამოვგზავნით ხემნიცში postlagernd * თქვენს სახელზე.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

«*Peuple*»-შიც (ბრიუსელისა) **«რუსკოე სლოვოდან** [226] გადაბეჭდილია, რომ **ვენაში** (sic!) მალე გაიმართება ს.-დ. ორგანიზაციების + ბუნდის + ლატვიელების + პოლონელების etc. კონფერენცია!!!

[პარიზის ჯგუფში მიდით ერთი-ორჯერ და რეფერატი წაუკითხეთ. თორემ შორი-შორ დადიან...]

---

* — მოკითხვამდე. რედ.

P. S. თუ გამოვა ცნობა ლიკვიდატორთა კონფერენციის შესახებ, ე ქ ს პ რ ე ს ი თ გამოგზავნეთ.

დაწერილია 1912 წლის 25 აგვისტოძდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
კ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

244

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

დღეს მივიღეთ ტროცკის მიწვევა «მათს» კონფერენციაზე (25. VIII-სათვის) [227].

ესე იგი, მაინც მოიწვიეს!

რა თქმა უნდა, არ მივდივართ.

ცენტრალური ორგანო გვინდა მოვამზადოთ ²/₃, რათა **მაშინვე**, როგორც კი მათი განცხადება გამოვა, დავბეჭდოთ პასუხი... *

ხვალ ვიწყებთ ხელნაწერების გაგზავნას ცენტრალურ ორგანოში.

იზრუნეთ სწრაფი შესრულებისა და კორექტურის კარგი სწორებისათვის.

რატომ არ მიპასუხებს ანტონოვი (ბრიტმანი)? პარიზშია თუ არა? ავად ხომ არ არის?

მოიწერეთ, როდის ფიქრობთ ხემნიცში წასვლას. ქაღალდი გერმანელებისათვის წინასწარ უნდა დავწეროთ.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

რატომ აბრუნებთ წერილებს... და არ მიპასუხებთ პანეკუკის სტატიის შესახებ...

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის 25 აგვისტომდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

245

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

ხომ არ შეგიძლიათ იშოვოთ «*Neue Zeit*»-ი, ბოლო ნომრები, პანეკუკისა და კაუცკის სტატიები? თუ არ შეგიძლიათ, მოგვწერეთ — გამოგიგზავნით. ხემნიცამდე აუცილებლად უნდა გაეცნოთ მათ და იქ მოძებნოთ პანეკუკი და დაუახლოვდეთ მას: კაუცკიმ ა რ ქ ი ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ ა დ უპასუხა მას უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. უაღრესად სასურველია, დაუახლოვდეთ მემარცხენეებს (განსაკუთრებით პანეკუკს, რომელიც ახლა ტიშკას უხამს «თამაშს» ეხმარება) და აგიტაცია გაუწიოთ მათ, რომ პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ი პასუხი გასცენ კაუცკის. სკანდალი იქნება, თუ არ აღსდგენ ა ს ე თ ი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ! სამწუხაროდ, ხალხი არა ჰყავთ: მათ Radek-ი გამოჩენილ პიროვნებადაც კი მიაჩნიათ... *

«პრავდისთვის» უნდა წეროთ პ ო პ უ ლ ა რ უ ლ ი სტატიები («რაბოჩაია გაზეტას» ტონით), ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები. თუ «რაბოჩაია გაზეტას» ტონით დაწერთ... ისინი დაგიბეჭდავენ. თორემ... სკანდალია: დნევნიკი წავიდა და «ზ ვ ე ზ დ ა შ ი» გაუქმდა ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილება!! იგი კი «პ რ ა ვ დ ა შ ი ც» საჭიროა.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

«ზავეტი»[228] თუ გაქვთ? ხომ არ შეგიძლიათ დროებით როპშინი გამომიგზავნოთ? მინდა ცენტრალური ორგანოსთვის დავწერო მის შესახებ.

«პროსვეშჩენიესთვის» თუ წერთ? იჩქარეთ!

(გერმანულ გაზეთში წავიკითხე, რომ ხემნიცში ბინები ცოტაა და წინასწარ უნდა მიმართო Wohnungsaus schuß* — (Faites attention!**).)

გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მაშ ასე, ხემნიცის შ ე მ დ ე გ ჩვენთან ჩამოხვალთ. C'est entendu ***, თ უ... განსაკუთრებული გარემოებანი არ გვაიძულებენ ხემნიცამდე გთხოვოთ აქ ჩამოსვლა. წინასწარ შეგვატყობინეთ, მიდიხართ თუ არა შვეიცარიაში, როდის, სად და რამდენი ხნით.

P. P. S. გიგზავნით გორკის წერილს, რომლის ნაწილი ყველასთვის საინტერესოა. **დამიბრუნეთ.**

დაწერილია 1912 წლის 6 სექტემბრამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

246

ბარათი ცენტრალური ორგანოს რედაქციას

ეს ინფორმაციისთვისაა. ლატვიელი დელეგატის მოხსენება, რომელიც გადმოგვცა ლატვიელმა, ლატვიელთა ჯგუფის მსმენელმა. ყველა შემარიგებელსაც კ ი ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს ლიკვიდატორთა სრული ფ ი ა ს კ ო ა ო.

---

* — საბინაო ბიურო. რ ე დ.

** — მიაქციეთ ყურადღება! რ ე დ.

*** — ეს გადაწყვეტილია. რ ე დ.

მოიწერეთ, მიიღეთ თუ არა ბროშურა და როგორ დაიწყო კონგრესი.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1912 წლის
6 სექტემბერზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

247

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გიგზავნით Müller-ისადმი ჩვენი პასუხის პირს (პასუხს ხვალ ალბერტი გაგზავნის ლაიფციგიდან).

ალბერტი გამოგიგზავნით აგრეთვე ჩვენს პასუხს ფურცლად დაბეჭდილს. (Postskriptum-ი ბროშურისათვის «Zur gegenwärtigen Sachlage» etc.*). ეს ფურცელი, ისევე როგორც ბროშურა, რაც შეიძლება ფართოდ **გაავრცელეთ**. გერმანელებს უნდა შეაგნებინოთ, რომ **სანამ** (ლიკვ. კონფერენცია) პრესაში არ გამოვა და პრესაში ღია დისკუსიით არ შემოწმდება, **არც ერთ სიტყვას** არ დაეჯერება-თქო.

ბერლინიდან შეგვატყობინეს, რომ ლიკვიდატორებს **ფიასკო** მოუვიდათ. სხვათა შორის, ალექსინსკი წასულა მათი კონფერენციიდან და ემუქრება, **გამხილებთო**.

მალე მოიწერეთ, როგორ არის საქმეები.

თქვენი ლენინი

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «პოსტსკრიპტუმი ბროშურისა: «რსდმპ თანამედროვე მდგომარეობა»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტ. 18, გვ. 257—260). **რედ.**

Postskriptum zu der Schrift «Zur gegenwärtigen Sachlage» etc.

Vertraulich...* *an die Delegierte des... zum Chemnitzer Parteitag***.

დღეს, 15 სექტემბერს, პარიზიდან მივიღეთ Vorstand-ის შემდეგი წერილი, რომელიც განსაკუთრებით თვალნათლივ უჩვენებს გერმანელ ამხანაგებს, თუ რამდენად მართალი ვიყავით, როცა პროტესტს ვაცხადებდით კერძო, უპასუხისმგებელო «ინფორმატორების» წინააღმდეგ, რომლებსაც საჯაროდ გამოსვლისა ეშინიათ. Vorstand-ი 10. IX წერს:

. . . . . .

ჩვენ ვუპასუხეთ Vorstand-ს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყოველივე, რაც Vorstand-ს აცნობეს, ტყუილია, რომ ეს სულ ლიკვიდატორთა მონაჭორია.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ზღაპარი Vorstand-ს შეატყობინეს ლატვიელებმა, ბუნდელებმა ან Trotzky-Leute***. მათ ამას წინათ დაამთავრეს «თავიანთი» კონფერენცია, რომელსაც პარტიულს უწოდებენ, და, რომელიც სინამდვილეში ლიკვიდატორთა კონფერენციაა.

რომ არ მივმართოთ დაუსაბუთებელ განცხადებებს, რომ არ მოვიყვანოთ ციტატები ჩვენი ორგანიზაციული მიმოწერიდან, დავიმოწმებთ თუნდაც მხოლოდ ერთ დაბეჭდილ, სანკტ-პეტერბურგში აშკარად გამოქვეყნებულ **დოკუმენტს. (კარგი იქნებოდა, Vorstand-ს ერთხელ და სამუდამოდ გადაეწყვიტა, რომ აღარ დაუჯეროს ლიტონ სიტყვებს.)**

პეტერბურგის ყოველდღიურმა მარქსისტულმა გაზეთმა «პრავდამ» 28 აგვისტოს (10. IX ახ. სტ.) № 102-ში დაბეჭდა

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

** კონფიდენციალურად... დელეგატებს... ხემნიცის პარტიულ ყრილობაზე. რ ე დ

*** — ტროცკის მომხრენი. რ ე დ.

ხარკოვის ერთ-ერთი უდიდესი ქარხნიდან მიღებული წერილი სპეციალურად არჩევნების შესახებ. ამ წერილში აშკარად და ზუსტად ნათქვამია, რომ «ლიკვიდატორთა კანდიდატები» «გამოცხადებული არ არიან» და რომ ისინი, ლიკვიდატორები, «უარყოფენ მუშათა პარტიის საჭიროებას» («პრავდა» № 102, გვ. მე-4, სვეტი პირველი).

უკვე ამით უნდა მიხვდნენ გერმანელი ამხანაგები, თუ რა უსინდისოდ ატყუებენ მათ ლატვიელები, ბუნდი, ტროცკი და ყოველნაირი კერძო «ინფორმატორები».

ცხადია, საქმე ის არის, რომ იმავე ტროცკიმ, ბუნდმა, ლატვიელებმა თუ კავკასიელებმა მიიღეს ფული იმ angeblichen * «ორგანიზაციების» სახელით, რომელთა არსებობას ვერც Vorstand-ი და საერთოდ ვერავინ ვერ დაამტკიცებს და ვერ შეამოწმებს.

ნუთუ გერმანიის პარტიას, რომელსაც 90 სოციალ-დემოკრატიული გაზეთი აქვს, არ შეუძლია — თუ არ **სურს** თავი უცნაურ მდგომარეობაში ჩაიგდოს სერიოზულ საქმეებში ჩადენილი შეცდომების გამო — დაიწყოს დისკუსია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკითხზე და აიძულოს ყველა... ინფორმატორი გამოვიდნენ აშკარად, ხელი მოაწერონ თავიანთ ნათქვამს, დაასაბუთონ? რუსეთი ცენტრალური აფრიკა როდია, და გერმანელი სოციალ-დემოკრატი მუშები მაშინ ადვილად დაინახავდნენ ჭეშმარიტებას და ამასთან ერთად Vorstand-ის ზოგიერთ წევრს აღარ მოუხდებოდა კერძო პირთა იმ მონაჭორების მოსმენა, რომელთა შ ე მ ო წ მ ე ბ ა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა

Im Auftrage des Zentralkomitees **

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის 15 სექტემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან ხემნიცში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — ვითომდა. რ ე დ.
** — ცენტრალური კომიტეტის დავალებით. რ ე დ.

248

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გილოცავთ სიტყვის წარმოთქმას *.

ეშმაკმა იცის, რა ღორობაა: Vorstand-ი მისცემს «გავრცელების» ნებართვას...**

გიგზავნით სტატიას, რომელიც «Bremer Bürger-Zeitung»-ისთვის დავწერე, და ამ სტატიის მალეცკისეულ[229] თარგმანს. გადავწყვიტე, თქვენთვის გამომეგზავნა, როცა წავიკითხე, რომ პანეკუკი გაიცანით. აჯობებდა, პირადად გადაგეცათ მისთვის სტატია და მოლაპარაკებოდით სტატიის თაობაზე. გაძლევთ შემოკლებისა და შეცვლის უფლებას, მაგრამ მხედველობაში იქონიეთ, რომ თანახმა არა ვარ მხოლოდ «რადეკის მომხრე»[230] ვიყო. თუ არ სურთ მოისმინონ მთელი ჩემი განცხადება (როზას წინააღმდეგ და **ჩვენი პარტიის დასაცავად**), მაშინ ეშმაკსაც წაუღია მათი თავი.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწვრილებით მოიწერეთ აქსელროდის შესახებ და სხვა ამბები. (ლაიფციგში ფურცლად გამოვეცით ჩვენი პასუხი Vorstand-ისადმი. უდეპეშეთ ან ტელეფონით უთხარით ალბერტს, რომ ეს ყველაფერი მაშინვე მოგაწოდოთ, თუ ჯერ არ მიგიღიათ).

---

* ლაპარაკია ლ. ბ. კამენევის სიტყვაზე, რომელიც წარმოთქვა გერმანიის **სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე** ხემნიცში 1912 წლის 16 სექტემბერს. რედ.

** **დოკუმენტის ხელნაწერი** ნაწილობრივ დაზიანებულია. რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რედ.

Vorstand-ი, რა თქმა უნდა, აგიკრძალავთ. პრივატულად მოაწყვეთ და აუცილებლად დაარიგეთ.

დაწერილია 1912 წლის
17 სექტემბერზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

249

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით № 235 (9. X. 1912.) «Leipziger Volkszeitung»-ის * პატარა სტატიას ლიკვიდატორთა კონფერენციის შესახებ.

ეს პატარა სტატია, რომელიც ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაწერა, წარმოდგენას მოგცემთ ამ ვითომდა სოციალ-დემოკრატიული კონფერენციის შესახებ.

ძმური სალმით.

ვ. ულიანოვი

დაწერილია 1912 წლის
9 ოქტომბერზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1963 წლის
21 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 111

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

---

* იხ. «პასუხი ლიკვიდატორთა სტატიაზე «Leipziger Volkszeitung»»-ში (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტ. 54, გვ. 366 — 368). რ ე დ.

250

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით ჩვენი პარტიის (რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია) ცენტრალური კომიტეტის ომის საწინააღმდეგო მანიფესტის გერმანულ თარგმანს *. გთხოვთ, ამ მანიფესტის ტექსტი გააცნოთ ბიუროში წარმოდგენილ პარტიათა მდივნებს და სოციალისტურ პრესას.

მიიღეთ, ძვირფასო ამხანაგო, ჩემი ძმური სალამი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის
23 ოქტომბერზე ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 1-2

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

251

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

ამასთან გიგზავნით პოლონეთის სოც.-დემ. პარტიის ვარშავის კომიტეტის ცნობას. ვარშავის კომიტეტი მთხოვს გადმო-

* საქმე ეხება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას «რუსეთის ყველა მოქალაქეს» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 22, გვ. 135—139). დოკუმენტის გერმანული თარგმანი არა გვაქვს. რ ე დ.

გიგზავნოთ ეს ცნობა, რომელიც საბოლოოდ ამტკიცებს, რომ პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ინტერნაციონალური სოციალისტური ბიუროსადმი წარდგენილი ბრალდებანი ვარშავის კომიტეტის წინააღმდეგ, სავსებით მცდარია.

დიდად მადლობელი ვიქნები, ძვირფასო ამხანაგო, თუ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს გააცნობთ ბიუროში წარმოდგენილი ყველა პარტიის მდივნებს.

ძმური სალმით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის
24 ოქტომბერზე ადრე
გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 1-2

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

252

ნ. გ. პოლეტაევს

პატივცემულო კოლეგა! ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა, რადგან ასე იშვიათად იწერებით. ჟურნალების გამოწერისათვის უდიდესი მადლობა. ლიტვინოვის წიგნი შემიძლია მოთხოვნისთანავე გამოგიგზავნოთ. ჩისტიაკოვის წიგნი რაღაც არ მახსოვს. რას ეხება, რა წიგნია? [231] სამწუხაროდ, სავსებით უსაფუძვლოა თქვენი იმედი, რომ მე ჩახედული ვარ ამ საქმეში. ეს დაცინვადაც კი მეჩვენება... რა თქმა უნდა, სავსებით მესმის თქვენი, როცა «ციებ-ცხელებას» იმიზეზებთ, — მაგრამ, იცით, პოლიტიკური ციებ-ცხელება იშვიათად გამოი-

ხატება... დუმილით ან გულჩათხრობილობით. როგორც «პრავდის» თანამშრომელს, პოლიტიკურ საკითხებში, მეც «ციებცხელება» მჭირს — და ამიტომ ვერ გავჩუმდები იმ პირობებშიც კი, რომლებიც (თანამოსაუბრის დუმილის გამო) სულაც არ განმაწყობენ სასაუბროდ. 17 ოქტომბრის არჩევნების წინ[232], ჩემი აზრით, უკიდურესად საჭირო იყო უფრო პირდაპირ და გადაჭრით გაგვეშალა ანტილიკვიდატორობის პრინციპული პლატფორმა, — კვლავ მთლიანად დაგვებეჭდა ჩვენი სია, გაგვეფრთხილებინა სუდაკოვისნაირი მერყეობისაგან[233] (საოცარია, ოჰ, რა საოცარია, რომ თქვენ ამას დუმილით უელით გვერდს). კიდევ და კიდევ გიგზავნით სტატიებს ამის შესახებ. ირეკდით, და განგეღოთ თქუენ... თუ გამოადგება ეს თქვენს გაზეთს? კარგი იქნებოდა ოთხშაბათს გამოგეშვათ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ჩანართი ფურცელი. ეს რაღაც 100 ან 200 მან. ეღირება — ასეთი თანხაც კი ერთიათად ანაზღაურდება არჩევნების მთელი საქმის წარმატებით, რადგან ჩვენ ხომ დიდი ხნით გვჭირდება მტკიცე მეგობრები, ეს ნუ გავიწყდებათ. ნუ დაიშურებთ 100 — 200 მან. გადამწყვეტ მომენტში, ამით გაცილებით მეტს დაზოგავთ შემდგომში... ტექნიკურად კიდევ საჭიროა ყურადღება მიაქციოთ რწმუნებულთა ყრილობის თავმჯდომარის ალაგმვას. გირჩევთ ტელეფონით მიმართოთ იურისტებს და დაწეროთ სტატია, თუ რა უფლებები აქვთ რწმუნებულთა ყრილობის წევრებს თავმჯდომარის წინააღმდეგ. კანონი არა მაქვს (კანონთა კრებული, ტ. I'I, გამოც. 1892 წელი, 179 — 191 მუხლები, გუბერნ. საერთ. დაწეს.), თან იურისტებმა უკეთ უნდა იცოდნენ და თვალსაჩინო და ნათელი რჩევა მოგცენ, როგორ უნდა უჩივლო თავმჯდომარეს და უზრუნველყო შენი უფლებები. ნუ იძუნწებთ და მიდეპეშეთ არჩევნების შედეგები.

ნ. ლ.

დაწერილია 1912 წლის 25 ოქტომბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება მანუსკრიპტზე
დაბეჭდილი პირის
მიხედვით
(პერლუსტრაციი)

253

ა. მ. გორკის [234]

წინა წერილის გამოგზავნა ვერ მოვასწარი, რომ მივიღე თქვენი წერილი ბიბლიოთეკის შესახებ. დიდებული ვეგმაა, რომ შეგროვდეს რევოლუციის ისტორიის მასალები. სულით და გულით მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას.

რაც შეეხება ბებუთოვს, მან, როცა მაისში ბერლინში გავიცანი, მითხრა, ისე მივეცი ბიბლიოთეკა Vorstand-ს (გერმ. ს. დ. ცკ). რომ უკან გამოართმევა აღარ შემიძლია. მაქვს მისი წერილი, რომ ეს ბიბლიოთეკა ეწირება ს.-დ. პარტიას, როცა იგი გაერთიანდება და სხვ. მაშასადამე, როგორც ჩანს, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ მაინც შეეცადეთ თქვენ დაუკავშირდეთ ბებუთოვს.

ვლ. ლენინი

დაწერილია 1912 წლის ოქტომბრის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა
1960 წლის 21 აპრილს გაზეთში
«კომსომოლსკაია პრავდა» № 95

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
ა. მ. გორკის დამოწმებული
პირის მიხედვით

254

ლ. ბ. კამენევს

პარასკევი.

ძვირფასო ლ. ბ.! **რაც შეიძლება მალე** გამოუშვით ცენტრალური ორგანო, გთხოვთ.

გტუქსავთ დუმილისათვის. ვენიდან არ მოიწერეთ, ავსტრიის ყრილობაზე [235] მისალმება არ თქვით. ასე არ ვარგა. არც ციურიხიდან მოიწერეთ!!

ვარშავაში იაგელო[236] გავიდა. მოსკოვის ამბავი ჯერ არ ვიცით.

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი *

. . . . . .

დაწერილია 1912 წლის 8 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

255

ლ. ბ. კამენევს

10. XI.

ძვირფასო ლ. ბ.! ახლა გავიგე, რომ კონგრესი ბაზელში, ა ლ ბ ა თ, **24 ნოემბერს**[237] გაიმართება. რეზოლუციის მოსამზადებელ კომისიაში ვნიშნავთ ერთ დელეგატს (+ თითო-თითოს საფრანგეთისაგან, გერმანიისაგან, ავსტრიისა და ინგლისისაგან + თავმჯდომარე Vandervelde, 4. Rue... * XIV. Bruxelles). მისამართი შეინახეთ.

შესაძლოა მე არ წავიდე და **თ ქ ვ ე ნ დ ა ვ ნ ი შ ნ ა ვ თ.** ამიტომ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოემზადეთ: შეაგროვეთ ყ ვ ე ლ ა მანიფესტი ომის წინააღმდეგ, იშოვეთ «Neue Zeit»-ის ბოლო ნომერი (№ 6, 8. XI), სადაც კაუცკი წმინდა ოპორტუნისტულად მსჯელობს და სხვ...[238]

წახვალთ. დ ე პ ე შ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე (ბაზელში 1—2 დღით ადრე კონგრესამდე, ესე იგი 22 ან 23. XI).

ცენტრალური ორგანო (8 გვ.) **ა ხ ლ ა ვ ე** გაჰოუშვით.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

მოიწერეთ, რა და რამდენი დარჩება შემდეგი ნომრისთვის, რომელსაც (4 გვერდიანს) **მალე** გამოვუშვებთ. მალინოვსკი გავიდა მოსკოვის გუბერნიაში.

Saluts et félicitations!

Bien à vous* ვლ. ლენინი

. . . . . .

დაწერილია 1912 წლის 10 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

256

ჯ. ჰიუისმანსს

10. XI.

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს!

დიდად მადლობელი ვარ შეტყობინებისათვის [239]. შევეცდებით მივიღოთ ზომები, რათა დავნიშნოთ ბაზელის კონგრესის დელეგატები.

ჩვენი პარტიის რწმუნებულს რეზოლუციის პროექტის სარედაქციო კომისიაში დავასახელებთ, როგორც კი შესაძლებელი იქნება.

ძმური სალმით. ნ. ლენინი

P. S. ვალდებული ვარ, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წარვუდგინო ანგარიში ბიუროს უკანასკნელი სხდომის შესახებ. ანგარიშის შესადგენად მჭირდება ზოგიერთი ცნობა. კარგად ვიცი, რომ ძალიან მოუცლელი ხართ, ძვირფასო ამხანაგო, და გთხოვთ თანხმობას 5 — 10-წუთიანი აუდიენცია დაუნიშნოთ ამხანაგ პოპოვს, რომელიც თქვენთან მოვა. საფრან-

* — მოგესალმებით და მოგილოცავთ! თქვენი. რ ე დ.

გეთის და გერმანიის გაზეთებმა («Le Peuple», Wiener «Arbeiter-Zeitung», «Bremer Bürger-Zeitung», «Leipziger Volkszeitung» და «Vorwärts») გამოაქვეყნეს ძალზე საწინააღმდეგო ცნობები საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს[240] უკანასკნელი სხდომის შესახებ.

P. P. S. მხოლოდ დღეს მივიღე ცნობა IV სათათბიროს მოსკოვის გუბერნიის დეპუტატთა არჩევნების შესახებ. ახლა შემიძლია გითხრათ, რომ მუშათა კურიის (Arbeiterkurie) ყველა დეპუტატი სოციალ-დემოკრატია! 12 სოციალ-დემოკრატი უკვე აირჩიეს არჩევნების სრულიად გაუგონარი ფალსიფიკაციის მიუხედავად.

ძმური სალმით.

ნ. ლენინი

დაწერილია 1912 წლის 10 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № 1-2

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
ჟურნალის ტექსტთან
შედარებული
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

257

ლ. ბ. კამენევს

კომისია დანიშნულია შაბათს, 26. XI, დილის 10 საათზე Burgvogtenhalle-ში. 9³/₄ იყავით, რომ ჰიუისმანსი და პლეხანოვი ნახოთ (ორივეს მივწერე თქვენს შესახებ *). არ დაგვიანოთ! აჯობებს უფრო ადრეც მიხვიდეთ, რომ ყველაფერი მოაგვაროთ.

* წერილი გ. ვ. პლეხანოვს იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 206 — 207. რედ.

თქვენ ეროვნული მდივანი ხართ. შესასვლელი ბილეთის **მიღების უფლება არავის არა აქვს თქვენ და პლეხანოვის გარდა.**

რადგან თქვენს შესახებ მივწერე (*Kameneff* — ოფიციალური სახელი, თქვენი მისამართიც მივეცი და ნამდვილი სახელიც) ჰიუისმანსს, მანდატს, თუ საჭირო არ იქნა, ნურც უჩვენებთ.

Suppléant-ად * მოიწვიეთ თუნდაც მალეცკი. ამასთან **თქვენი თანდასწრებით** ხმას ნუ იღებს და სიტყვა მოითხოვოს **მხოლოდ** პოლონეთის საკითხებზე. ეს მხოლოდ ჰიუისმანსს უნდა უთხრათ.

დელეგაციისათვის გიგზავნით ორ მანდატს — **რომელიც** გინდათ აირჩიეთ.

ვრცელი წერილი დელეგაციის **ამოცანებზე**, ხმებზე და სხვ. გაეგზავნა ტროიანოვსკის, რათა გადაუგზავნოს იურის (Bekzadian. Bolleystraße. 4. Zurich).

უღვთოდ გლანძღავდით დუმილისათვის, მაგრამ ახლა შევრიგდით!

თუ შემთხვევა მოგეცათ, **რუბანოვიჩს ჰკითხეთ, რამე თუ** უთქვამს პლეხანოვს ს.-რ.-თან **გაერთიანების** შესახებ.

თქვენი ლენინი

სამგზავრო: 40 frs. რეფერატისა +50. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი თავის ხარჯზე გზავნის.

დაწერილია 1912 წლის 17 და
23 ნოემბერს შორის
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* — თანაშემწედ. რედ.

258

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

. . . * თქვენს სახელზე ბაზელში გამოგზავნილი უნდა იყოს (პოპოვის მიერ) [და ლაიფციგიდან] (ზაგორსკის მიერ) ჩვენი ბოლო 2 დოკუმენტი: ჩემი Rapport-ი [საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში] IV სათათბიროს არჩევნების შესახებ და «რუსი მუშები ომის წინააღმდეგ» **... გაფიცვები და რწმუნებულთა რეზოლუცია. ეს უნდა **დაურიგოთ** [საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. ეს] დიდად მნიშვნელოვანია...

თქვენი ლენინი

P. S. . . . მოამზადეთ **საქმიანად.** ეს მათზე ახდენს ...ყვავ ლაზე. **მთელ მსოფლიოში** 3 ნიშნით განსაზღვრავენ-თქო სოციალ-დემოკრატიის ძალა: 1) votants-თა***... რიცხვი (ჩვენში არ შეიძლება: ორიოდ სიტყვა ლეგალისტების წინააღმდეგ); 2) სოც. პრესა; 3) სოც. დეპუტატები. [უნდა ავიღოთ ასეთი] ანგარიშისთვის ლეგალური პრესა?

მთელი *1912* წლის მანძილზე (10 თვის მანძილზე, I—X) ჩვენ («პრავდა») «ლუჩზე»[241] რამდენჯერ ძლიერი ვართ? (ხ ო ლ ო *A d. 3.* დაიწყეთ III სათათბიროდან) «Der Anonymus aus

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია შინაარსის მიხედვით. რ ე დ.

** ვ. ი. ლენინის მოხსენება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში «IV სათათბიროს არჩევნები», რომელიც წინათ დაკარგულად ითვლებოდა, გამოქვეყნებული იყო 1912 წლის 20 ნოემბერს გაზეთში «Le Peuple» № 325. 1963 წელს გადაბეჭდილია წიგნში «Correspondance entre Lénine et Camille Huysmans, 1905 — 1914». Paris.

«რუსი მუშები ომის წინააღმდეგ» — როგორც ჩანს, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება «რუსეთის ყველა მოქალაქეს» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 22, გვ. 135 — 139). რ ე დ.

*** — კენჭისყრაში მონაწილენი. რ ე დ.

dem «Vorwärts»» u. s. w.* IV სათათბირო **მ უ შ ა თ ა კ უ - რ ი ა** (2 სიტყვა მის შესახებ) ჩვენია.

დაწერილია 1912 წლის 20 ნოემბრამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

259

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! თქვენმა დაუდევრობამ საშინლად გამაცოფა: თავი ვერ მოაბით კონგრესიდან წერილების გამოგზავნას!! მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს. კობას ა რ ქ ი ძვირფასი დრო დაეკარგვინეთ.

საქმის თაობაზე. ჩემი აზრით, ბაზელში თქვენ — ამ პირობებში — ბრწყინვალედ გაართვით თავი საქმეს. უკეთესად შეუძლებელია. ლიკვ. მხილების უ კ ე თ ე ს ი საბაბი რა უნდა ყოფილიყო. (გაგიგეთ, რადგან თქვენ ხომ ჯერ «არ დაგიმთავრებიათ» წერილი! — ასე რომ, საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს **სულაც არ** განუხილავს ხმებია განაწილების საკითხი.) ფრე გამოვიდა, და ეს ს ა უ კ ე თ ე ს ო იყო ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში...** «ნაციონალთა» საკითხი, ჩემი აზრით, **დროული** იყო, ისევე როგორც სამივე საკითხი. ერთი სიტყვით, არსებითად — félicitations les plus chaleureuses!***

---

* ლაპარაკია ვ. ი. ლენინის შრომაზე ««Vorwärts»-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 639 — 655). რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დახიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

*** — მხურვალედ მოგილოცავთ! რ ე დ.

მურანოვის ხელმოწერა რატომ არ იყო? დეპეშა ხომ **კვირას** მიიღეთ!!..[242]

ექვსიდან ჯერჯერობით ორი ვნახეთ: მალინოვსკი და მურანოვი. შთაბეჭდილება საუცხოოა... ნიადაგი მდიდარია, მაგრამ საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა...

P. S. ჩემი აზრით, შეიძლება პარიტეტს დავთანხმდეთ, მაგრამ თქვენ წამოაყენებთ ერთ პირობას: ჰააზეს მისცენ **აცილება** ბიუროზე მიკერძოებულობისა და შეურაცხყოფისათვის.

ასეთი აცილება ჩვენი კანონიერი უფლება და მორალური მოვალეობაა. პოლიტიკურად კი ცხადია... გვიმზადებს ღვარძლიან კინკლაობას...

დაწერილია 1912 წლის 25
ნოემბერზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

260

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! სირცხვილია — სირცხვილი—სირცხვილი!

არც ერთი სიტყვა «პრავდაში» ბაზელის შესახებ!! ეს რას ჰგავს?? 5 აგენტი გყავდათ და **ბაზელიდან** არც ერთი წერილი ჩვენ!! — არც ერთი კორესპონდენცია «პრავდას»!!

ან რატომ არ მიეცით მანდატები «ქალიშვილებს» (ყველას, ვინც ბაზელში იყო), როცა თქვენ ჩემი ბლანკიანი მანდატი გქონდათ?

თქვენი ლენინი

დაწერილია 1912 წლის 3 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

261

დემიან ბედნის

პატივცემულო ამხანაგო! ვჩქარობ შეგატყობინოთ, რომ მივიღე თქვენი 1912 წლის 15 ნოემბრის წერილი. როგორც ჩანს, მისამართი ვარგა — შეიძლება შემდგომშიც ასე მომწეროთ. ძალზე გვეწყინა თქვენი დროებით წასვლა «პრავდიდან» და გაგვეხარდა დაბრუნება. «პრავდის» თანამშრომლებთან მიმოწერა ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით უკანასკნელი დღეების სამწუხარო ამბების[243] შემდეგ, ცუდად მიდის. ეს გვიმძიმს. ძალიან გაგვეხარდება, თუ ახლა, როცა მისამართი შეამოწმეთ, ესე იგი დარწმუნდით, რომ თქვენმა წერილმა მოაღწია, უფრო დაწვრილებით მოგვწერთ თქვენს თავზეც და «პრავდის» ახლანდელ რედაქციაზეც, როგორ წარმართავენ ახლა «პრავდას», მის მოწინააღმდეგეებზეც, «ლუჩზეც» და ა. შ.

რად გინდათ კიდევ დადასტურება «პრავდის» რედაქციის საშუალებით? არ მესმის.

გართმევთ ხელს და მოგესალმებით მეც და ჩემი კოლეგაც.

ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1912 წლის 5 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

262

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გიპასუხებთ პუნქტების მიხედვით.

1) ჰაზეს მიერ რიაზანოვისათვის მიწერილი წერილის გამო. ეს «დოკუმენტი» პრივატულია. ჩვენ არა გვაქვს. მას ვ ე რ

ეს რა ტონია!? როგორ შეიძლება საკითხების ასე დასმა?? სირცხვილი არ არის საკითხების დასმა?

საქმეს რა დაუშავდა იმით, რომ ბაზელში წახვედით. ამიხსენით, ღვთის გულისათვის!

როგორ შეგიძლიათ თ ქ ვ ე ნ იმეორებდეთ იურისა და კიეველთა უშინაარსო წუწუნს, ყოვლად გა-უ-გე-ბა-რი-ა!

თქვენთვის რითი იყო ცუდი? ამიხსენით!

ახლა — თათბირი. მე უნდა (ა) თავი დავანებო ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ მუშაობას «პრავდაში»; (ბ) დავხარჯო ორჯერ ან სამჯერ მეტი დრო თქვენთან შედარებით; (გ) დავხარჯო ორჯერ ან სამჯერ მეტი ფული — ფ უ ლ ი კ ი ა რ ა გ ვ ა ქ ვ ს; (დ) მოვხვდე მტრების ხაფანგში, რომლებსაც სურთ გამოიყენონ ჩემი მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ი (სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ომის მთელი მსვლელობის პირობებში) გ ა ღ ი ზ ი ა ნ ე ბ ა??

ამიხსენით, ღვთის გულისათვის, რა მოგდით?? რატომ მოხდა ისე, რომ ბროშურა თ ქ ვ ე ნ დაწერეთ, წასვლით კი მ ე უნდა წავიდე??

...«მაშინვე უცნაურ იერს მისცემს მთელ ამბავსო»!? ეს რას ნიშნავს?? რატომ იყო, რომ მარტინოვმა, რომელიც ბაზელში გახლდათ, «უ ც ნ ა უ რ ი იერი» არ მისცა?? რატომ ა ჰ ყ ო ლ ი ხ ა რ თ პარიზელი ჭორიკნების დედაკაცურ ლაყბობას??

...«მაშინვე გადახრის სასწორს საორგანიზაციო კომისიის მხარეზე»... ღმერთმანი, ეს უკვე ზედმეტი გულუბრყვილობაა. ვ ი ნ ა ი დ ა ნ გერმანელები ჩვენს წინააღმდეგ არიან (ეს კი ფაქტია), «სასწორი» უ კ ვ ე გადაიხარა საორგანიზაციო კომისიისაკენ. ნუთუ ვერ ხედავთ ამას?? პირადად ჩემი დასწრება მხოლოდ გ ა ა ა თ კ ე ც ე ბ ს **ასეთ** გადახრას, რადგან არ შ ე მ ი ძ ლ ი ა (თქვენსავით) მშვიდად ვისაუბრო ჰააზესთან, ან მის შესახებ. თქვენ ეს მშვენივრად იცით!

მაგრამ საქმე ის არის, რომ «სასწორი» **ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ** წყვეტს არ ამას, არ ბიუროს წინ, არ თათბირზე, არამედ ძალთა რ ე ა ლ უ რ თანაფარდობაში. ჩვენ **გ ვ ყ ა ვ ს**

კურიის 6 მუშა ს.-დ. ფრაქციაში იაგელოს საკითხზე — 6 და 6: დღეს მალინოვსკი წერს: «ჩვენ გვყავს 6 კურიის + 4 ლიკვიდატორი + 2 შერყევი. ცომბირელები ჯერ არ ჩამოსულან».

ჩვენ დავრაზმავთ ამ ექვსეულს, რომლებიც **პიტერის, მოსკოვისა და სამხრეთის** პროლეტარიატის წარმომადგენლები არიან და **ვიბრძოლებთ** ტიშკას+როზას+რიაზანოვისა და სხვათა ჭორებისა და ინტრიგების წინააღმდეგ... აი სად არის სერიოზული «სასწორი»! ეს ხომ იცით! მაშ რა საჭიროა «ოჯახური სცენების» გამართვა, როცა ბრძოლა უამისოდაც არც ისე ადვილია??

«გერმანელები განაწყენდებიან... გაბოროტდებიან»... ეს უკვე ფაქტია. და ჩვენ პროტესტს გავგზავნით, რომ გერმანელებმა ფული მისცენ საორგანიზაციო კომისიას. დაე გაბოროტდნენ. ახლა ისინი ერთ-ერთი მხარეა. ჩვენ გარდუვალად უნდა ვეომოთ გერმანელებს და **დავიწყეთ** კიდეც ომი (ა) «ანონიმით» + (ბ) ხემნიცით. ჰააზემ ხემნიცში «გვიპასუხა» ომია, თქვენ კი გულუბრყვილობას იჩენთ: გაბოროტდებიან, განაწყენდებიანო. არ მესმის თქვენი!

ვფიქრობ, ბიუროს წინადადებას ასე ვუპასუხოთ: ა) ყველა გერმანელს აცილებას ვაძლევთ, რადგან ფული მისცეს ბუნდსა და კავკასიას; (ბ) თათბირზე წავალთ მხოლოდ ლიკვიდატორთა გარიცხულ ჯგუფთან ერთად უნაციონალებოდ; (გ) წინასწარი პირობაა — მათ მიერ ფორმალური დეზავუირება უხამსი ცილისწამებისა «ლუჩში» ვარშავაში მოწყობილი პროვოკაციის შესახებ. მოტივები ნათელია. თქვენი აზრი?

მიპასუხეთ უფრო ზუსტად, პირდაპირ, გადაჭრით. მე **არსად არ** წავალ, თუ თქვენ «სცენებს» განაგრძობთ და ბოლოს უარს იტყვით, ან სემაშკოს, ან...* გაყვანას ვეცდები. ეს გინდათ? კიდევ ერთხელ: განა თქვენ გამოდექით მართალი,

---

* სიტყვა გაურკვეველია. რედ.

დავიმოწმებთ. ჰააზეს ჩ ვ ე ნ რომ მივმართოთ (თუნდაც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მეშვეობით) — და «ახსნა-განმარტება» ვთხოვოთ — უხერხულია, სრულიად უხერხულია.

თქვენი შეკითხვა, «მისცეს (ვინ?) თუ არა მას (ჰააზეს) შესაძლებლობა «ახსნა-განმარტებისთვისო», იხსნება.

მას ყოველთვის ჰქონდა დ ა აქ ვ ს ამის შესაძლებლობა. რიაზანოვმა შ ე ა ტ ყ ო ბ ი ნ ა კიდევაც. Ergo*, არ სურს ჰოდა, ეშმაკსაც წაუღია! ჩვენ კი გამოვიჭერთ მასაც და **ყველა გერმანელსაც**, რადგან ახლა გვაქვს დოკუმენტი, რომ Vorstand-მა ფული მისცა ლატვიელებს + ბუნდს + კავკოლქ.

2) თქვენი შეკითხვა, «ვინმე უკეთესი თუ გყავთო», მაპატიეთ და ძალზე უცნაურია. და უფრო უცნაურია: «მან (ჰააზემ) რამე თუ იცისო» (??) (le préjugè est plus éloigné de la vérité que l'ignorance!**) და «შეუძლია (?) გაიგოს (??) იდეურ (????) უთანხმოებათა ფასი (???)»... ღმერთმანი, ეს საოცარია. ვ ე რ გაიგებს ის, ვისაც ა რ ს ურ ს გაიგოს. გერმანიის Vorstand-მა კი (მის მეთაურთან, ჰააზესთან ერთად) **დაამტკიცა**, რომ არ სურს.

«უკეთესს» არ ვეძებთ, არ შეგვიძლია და ვალდებულიც არა ვართ ვეძებოთ. საქმე ეს ხომ არ არის. უნდა ავიცილოთ აშკარა «მიკერძოებულობა», და მეტი არაფერი. მერე კი ჩვენთვის სულ ერთია.

3) რა ამბავია, ბაზელში «ოპოზიციის მანდატებს ადასტურებდნენო»? არ გრცხვენიათ, რომ დ ღ ე მ დ ე ამის შესახებ სიტყვაც არ მოგიწერიათ??

ვინ «ადასტურებდა»? რუსები? ს.-დ. + ს.-რ.?? ვინ მისცათ ნება ამ საქმეში ცხვირი ჩაეყოთ? როგორ შეეძლოთ რუსებს ამ საქმეში შეჩრილიყვნენ, სანამ ვ ე რ მიაღწიეს პოლონეთის **მთელი** დელეგაციის მონაწილეობას კენჭისყრაში, რაც სავალ-

---

* — მაშასადამე. რ ე დ.

** — ცრურწმენა უვიცობაზე შორს არის ჭეშმარიტებისაგან! რ ე დ.

როცა ბაზელისა «გეშინოდათ»? თუ მე, რომ ს ა ქ მ ე ს ა ც არაფერი დაუშავდა და სასარგებლოც იყო, როგორც **საქმისთვის,** ისე ჯიბისთვის?

7) ფულის კრიზისი ს ე რ ი ო ზ უ ლ ი ა. კობასთან გვქონდა ცენტრალური კომიტეტის სხდომა[244]. გადავწყვიტეთ, **სასწრაფოდ** გაგაფრთხილოთ: დაიწყეთ შემოსავლის ძ ე ბ ნ ა! 3 თვეს იქონიეთ იმის იმედი, რომ მიიღებთ 100 — 100 frs. + «პრავდიდან» ბწკარობით, მერე კი აღარაფერს.

მოიფიქრეთ და ჩქარა მოიწერეთ პასუხი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «პრავდიდან» გვწერენ: ალექსინსკიმ და K⁰-მ (sic!) შემოგვთავაზეს, თქვენს სტატიებს დავბეჭდავთ, ოღონდ იმ პირობით, რომ თქვენც დაგვიბეჭდოთ სტატიები, რომლებსაც რედაქცია არ ეთანხმებაო.

მათ უპასუხნიათ: ძალზე გვიხარია თანამშრომლობა, მაგრამ ამ პირობაზე ვერ დაგეთანხმებით, ვინაიდან ახლა ჩვენი ამოცანაა დავრაზმოთ ანტილიკვიდატორთა მთელი ძალები ლიკვიდატორებთან საბრძოლველადო.

ჩემი აზრით, შესანიშნავი და სავსებით სწორი პასუხია.

ეს მხედველობაში იქონიეთ! რა უნდა ალექსინსკისა და K⁰-ს? (ან ვინ არის ეს K⁰? მარტო ლუნაჩარსკი? თუ კიდევ ვ ი ნ მ ე? ვინ?) მ ხ ო ლ ო დ კიკლაობაა, როგორც ვფიქრობ (აი «ლ უ ჩ ი» უფრო გულკეთილია, «პ რ ა ვ დ ა მ» კ უარი მითხრაო და ა. შ.), — თუ დაახლოება, როგორც გრიგოლი ფიქრობს? თქვენ ხვდებით... ან ხვდებით..., შეამოწმეთ, გაიგეთ, თუ შესძელით, რაშია საქმე და მოიწერეთ.

კიდევ ფრაქციის შესახებ: არის წერილი (ჩვენდამი არა, მაგრამ უტყუარი წერილი), რომ **ჩაშალეს** კულტურულ-ეროვნული ავტონომია ლიკვიდატორებისა + ჩხეიძის წინააღმდეგ. ეს ერთადერთი ფ ა ქ ტ ი ა, რომელიც ვიცით იმის შესახებ, რომ 12-ის შემადგენლობით შეიქმნა ჩვენი უმრავლესობა

ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ მეტი არაფერი ვიცით. როგორც კი შევიტყობთ, მოგწერთ.

დაწერილია 1912 წლის 8 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

263

ი. ბ. სტალინს

ვასილიევს

14/XII.

ძვირფასო მეგობარო, დღეს გავიგეთ, რომ კოოპერატივის[245] გამგეობას ერთ კვირაში დაშლიან. მაშასადამე, სულ ცოტა დრო გვრჩება. დაბეჯითებით გთხოვთ, ყოველი ღონე იხმაროთ, რათა 1) მოასწროთ და «დენი»[246] გადაიტანოთ № 5-ის[447] სახელზე ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნამდვილად და რეალურად, უზრუნველყოთ რაც შეიძლება სრული გარანტიით, რომ სალარო მის ხელში იყოს. ფინანსური კრიზისი საშინლად გამწვავდა. ხელმოწერის ფული ახლა ყველაფერია. ეს ფული რომ არასაიმედო კაცს ჩავუგდოთ ხელში, დანაშაული იქნება! 2) ახლავე უნდა დაამზადოთ (ან აიღოთ ჩვენ მიერ დამზადებული და დიდი ხნის წინათ გამოგზავნილი) ექვსი კოოპერატორის სტატიები და განცხადებანი «დენში» და დაუყოვნებლივ დაბეჭდოთ. თუ არ დავიწყეთ გაძლიერებული აგიტაცია ხელმოწერისათვის, შეგროვებისათვის, მხარდაჭერისათვის, საქმე დაიღუპება. 3) მიშას კოლეგიაში[248] გაიყვანეთ რეზოლუცია № 16 *-ის წინააღმდეგ, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ ლიკვიდატორთა რეზოლუციებს. 4) საბოლოოდ უზ-

* № 16 — ე. ი. იაგელო. რ ე დ.

დებულია ინტერნაციონალის წესდებით? მონაწილეობდა თუ არა პოლონეთის მ თ ე ლ ი დელეგაცია კენჭისყრაში? თუ მონაწილეობდა, ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე ჩვენ გ ვ ჭ ი რ დ ე ბ ა (თქვენი ნაამბობის გარდა) **დოკუმენტი**, რომელსაც ხელს აწერს **ყველა** დელეგატი, რომლებიც «ადასტურებდნენ». ნუთუ თქვენ, რომელიც აქ ნამყოფი ხართ და იცით, რაოდენ მწვავეა ოპოზიციის საკითხი, ვერ შენიშნეთ, რამდენად მნიშვნელოვანია დოკუმენტი ასეთ საქმეზე საერთოდ? ჩვენთვის კი, კრაკოვში, ერთიორად უფრო მნიშვნელოვანი რომ არის??

4) თუ მურანოვის ხელმოწერა იყო, მისწერეთ [თუ შეიძლება] * ჰიუისმანსს, ანგარიშებში შეცდომაა ან გამორჩათ და ძალიან გთხოვთ, ოფიციალურ ანგარიშში შეავსოთ ეს ხარვეზი, ჩაუმატოთ მურანოვი, ვიმოწმებ დოკუმენტს, მოგაგონებთ-თქო და ა. შ.

5) ცენტრალურ ორგანოში ხომ წერთ არჩევნებისა და ბაზელის შესახებ, ხომ კი? არჩევნების შესახებ წაიკითხეთ სტეკლოვის უხამსი სტატია «*Neue Zeit*»-ში და მხედველობაში იქონიეთ, რა თქმა უნდა, ნუ უპასუხებთ...

ბაზელის შესახებ რაც შეიძლება მალე გადაეცით ასაწყობად და რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნეთ კორექტურა, რადგან უ ნ დ ა მ ო ვ ი თ ა თ ბ ი რ ო თ: აქ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხებია (როგორ დავწეროთ პლეხანოვზე? და პოლონელთა ოპოზიციაზე?) ჩემი აზრით, დაწერეთ უკმეხად. მაგრამ აქ ჯერ არა გვაქვს კოლეგიური გადაწყვეტილება და, სანამ ჩვენი სტატია არ იქნება, არც შეიძლება გვქონდეს.

6) ღმერთმანი, აღარ მესმის თქვენი, ლ. ბ. — თუმცა ჩვენ უკვე, შეიძლება ითქვას, ერთი ფუთი მარილი გავათავეთ ერთად, — მას შემდეგ, რაც დაიწყეთ «ოჯახური სცენების გამართვა» (ა) ბაზელში წასვლის გამო, (ბ) თათბირზე დელეგატად თქვენი (სავარაუდო) გაგზავნის გამო.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილში ჩასმული სიტყვა აღდგენილია შინაარსის მიხედვით. რ ე დ.

რუნველყავით ყველას (უკლებლივ) გათვალისწინებული შეხვედრა — ახლა ეს ერთი სამად უფრო საჭიროა. სპიცასაც მოვათრევთ. 5) ვასილიევი რაც შეიძლება მალე გამოაგდეთ, რადგან სხვაგვარად ვერ გადაარჩენთ, ის კი გვჭირდება და უმთავრესი უკვე გააკეთა.

გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მიპასუხოთ ამ წერილზე და განსაკუთრებით «პრავდის» * შესახებ. თქვენ ხომ მოიწერეთ, «სისხლის სამართლის სუნი უდისო» [249]. საბოლოოდ გამოგვეჭრება ყელი, თუ საქმეს მთლიანად არ გადავიტანთ (ესე იგი გამომცემლობასა და სალაროს არ გადავიტანთ) № 5-ის სახელზე.

გართმევთ ხელს. თქვენი **

P. S. ჩამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ახლავე იზამთ ამას, პასპორტები ყველასთვის ერთად აიღეთ დაუყოვნებლივ, თქვენი თანდასწრებით, დაპირება კი არა, საქმე რომ იყოს. თუ გადადეთ, აქეთ-იქით წავლენ და აღარაფერი გამოვა. უაღრესად საჭიროა, რომ ყველა ერთდროულად მონაწილეობდეს, თორემ სხვაგვარად გადაწყვეტილებები, ორგანიზებულობა კი არ იქნება, არამედ მარტო დაპირებანი, მარტო ლაპარაკი.

P. P. S. ყოველნაირად ეცადეთ № 16-ის საკითხი 1913 წლამდე გადადოთ, ბევრი ხომ არ იცნობს **პარტიულ** დოკუმენტებს, უდოკუმენტებოდ კი სირცხვილია ასეთი საკითხის გადაწყვეტა.

დაწერილია 1912 წლის 14 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

---

* ხელნაწერში ეს სიტყვა წაშლილია და მის ნაცვლად წერია «ლუჩის» (კონსპირაციული მოსაზრებებით). რ ე დ.

** ხელმოწერა გაურკვეველია. რ ე დ.

264

ი. ბ. სტალინს [250]

ვასილიევისათვის

16/XII.

ძვირფასო მეგობარო, მივიღე ყველა თქვენი წერილი (უკანასკნელი № 16-ის საკითხში თქვენი კომპატრიოტის * «დამთმობლობის» შესახებ... ოღონდ საეჭვო კია!) და გიპასუხებთ. ნუთუ ჩვენი წერილები იკარგება?

1) ღვთის გულისათვის, ყველაზე ენერგიული ზომები იხმარეთ, რათა W. ** წაართვათ კრასს და ფორმალურად მურანოვის, № 5 სახელზე გადაიყვანოთ, განსაკუთრებით კი სალარო და ხელმოწერის ფული წამოიღოთ. უამისოდ ყელი გვეჭრება. თანაც, «პანამას» ზრდის საშუალება რომ მივცეთ, დანაშაული იქნება.

2) თქვენი თანდასწრებით მოუწყვეთ შეხვედრა ექვსივეს, ნუ მისცემთ საშუალებას, რომ გაიფანტონ. ახლა ბევრი დრო აქვთ; შეხვედრის შემდეგაც მოასწრებენ ყველაფრის გაკეთებას.

3) აუცილებლად მიაღწიეთ იმას, რომ ექვსნი გამოვიდნენ W.-ში (უკიდურეს შემთხვევაში ხუთი მაინც, აღარ შეიძლება მეტი გადადება და ლოდინი).

4) ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად ასწავლეთ შიბაევსა *** და ყველა მის კოლეგას, აქ მოგვწერონ კვირაში ორჯერ და კეთილსინდისიერად მოგვაწოდონ კორესპონდენცია. უამისოდ **არ შეიძლება** ერთად მუშაობა.

5) იგივე ვეტროვის შესახებ. არც ერთხელ არ მოუწერია. არადა ლიკვიდატორთა დეკლარაციის ტექსტის გამოგზავნაც კი მშვენივრად შეეძლო. ეს არ ეპატიება.

6) მიიღეთ თუ არა რეზოლუციების პროექტები მიშას კოლეგიისათვის? ყოველი ღონე იხმარეთ, რომ გაიყვანოთ.

---

* იგულისხმება ნ. ს. ჩხეიძე. რ ე დ.

** იგულისხმება გაზეთი «პრავდა». რ ე დ.

*** როგორც ჩანს, ლაპარაკია ა. ე. ბადაევზე. რ ე დ.

წერილებს უმთავრესად ბანკის მისამართით ვგზავნიდით. ფურცლის პროექტი შიბაევის სხვა მისამართით გამოვგზავნეთ. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ, თუნდ ორი სიტყვით, მიიღეთ თუ არა ეს წერილი?

სალამი

P. S. ახლა შევიტყვეთ დამარცხების ამბავი.

უნდა გაიყვანოთ მიშას კოლეგიაში **საწინააღმდეგო** რეზოლუცია (ის, № 3-ს რომ ჰქონდა), იმ დამატებით, რომ ფრაქციის გადაწყვეტილება არის შვიდი ნახევრად პარტიული ადამიანის გადაწყვეტილება, და წაიღოთ რაიონებში. თუ 7 მენშევიკის უხამსი რეზოლუცია იაგელოს სასარგებლოდ (და ბუნდის სასარგებლოდ) საბოლოოდ ჩვენსკენ არ უბიძგებს № 6-ს, მაშინ ხუთნი უნდა გამოვიდნენ W.-ში და გამოვიდნენ სულ უფრო და უფრო **მკაცრად.**

თუ რეზოლუცია იაგელოს შესახებ მიღებულია ისეთ პირობებში, როცა რუსანოვი ჯერ ჩამოსული არ იყო ან ზუსტი ცნობები არ ჰქონდათ, არის თუ არა იგი სოციალ-დემოკრატი, მაშინ 7-ს მოუტყუებია 6, ცხვირსახოცი ამოუცლია ჯიბიდან. რუსანოვის ადგილზე მე რომ ჩამოვსულიყავი, არ შევიდოდი სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში და არქისკანდალს ავტეხდი.

ხოლო თუ ცნობილია, რომ რუსანოვი სოციალ-დემოკრატი არ არის, მაშინ არ შეიძლება დაეთანხმოთ უხამს რეზოლუციას.

ყოველ შემთხვევაში ვურჩევ პეტერბურგის კომიტეტს მიიღოს დაახლოებით ასეთი რეზოლუცია: (გაიმეორეთ რეზოლუცია, რომელიც № 3-ს აქვს.).

პეტერბურგის კომიტეტი გადაჭრით გმობს სათათბიროს ფრაქციის 7 წევრის რეზოლუციას, რომლებსაც: ა) არ შეუგროვებიათ ზუსტი ცნობები ვარშაველი ს.-დ. მუშების შესახებ; ბ) არ უხსენებიათ რეზოლუციაში, რომ ყველა პოლონელმა ს.-დ.-მა პ რ ო ტ ე ს ტ ი განაცხადა იაგელოს წინააღმდეგ; გ) არ უხსენებიათ ვარშაველ მუშათა ორი (სამიდან) ამრჩევი; დ) ისე წარმოადგინეს საქმე, თითქოს ბურჟუებმა რომ ხმა

მიისცეს პოლონეთის სოციალისტურ პარტიას, ეს «ბურჟუაზიის შეგნებულობის ზრდა» იყოს, მაშინ როცა მხოლოდ იმის თქმა შეიძლებოდა, ორი ქურდის ჩხუბში პატიოსანმა კაცმა მოიგოო; ე) იაგელო სოციალ-დემოკრატად გამოიყვანეს მისი «განცხადებიდან» და პოლონელ ს.-დ.-თა წინააღმდეგ ს.-დ.-თა ნაწილის, და არა ს.-დ. პარტიის ბლოკის საფუძველზე; ვ) მთავარი კი ის არის, რომ შემოიღეს გაუგონარი რამ: გაყვეს «ს.-დ.-ის შინაგანი ცხოვრების საკითხები» და «სათათბიროს პოლიტიკური საქმიანობის საკითხები, რითაც აქეზებენ პირველთაგან მეორეთა **განცალკევებას**».

პეტერბურგის კომიტეტი გმობს ადამიანებს, რომლებმაც გაბედეს ასეთი ანტიპარტიული ნაბიჯის გადადგმა და ამით თავისი თავი ჩამოაშორეს «რუსეთის ს.-დ.-ის შინაგან ცხოვრებას».

დაწერილია 1912 წლის 16 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 2

ბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

როგორც ვ. ი. ლენინის წერილი
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

265

IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკებს *

17/XII.

ძვირფასო მეგობრებო! იმდენად № 16-ის გამო დამარცხება არ გვწყინს, რამდენადაც მეგობრების (6-ის ან თუნდაც 5-ის) შეუწყნარებელი დუმილი ამ საქმეზე და უდარდელობა საქმეთა გამო. ეს ხომ ნიშნავს — ყელი გამოვჭრათ საქმეს, დავ-

* წერილი გაგზავნილია ნ. ი. პოდვოისკის მისამართით. რ ე დ.

ღუპოთ ყველაფერი. დღემდე არ არის ხუთის ან ექვსის მოწოდება, რადგან ჯერაც ვერ დაალწიეს თავი არასაიმედო ხალხს. (№ 3 თვითონ ამბობს: სისხლის სამართლის სუნი ტრიალებსო!) გახსოვდეთ, ღვთის გულისათვის, რომ ყველანი ვაგებთ პასუხს, თუ ეს საშინელი ვარაუდი გამართლდა. მაგრამ რადაც უნდა დაგიჯდეთ, ჩეკი უნდა გადაიტანოთ № 3-ის, ან № 5-ის სახელზე, დაუყოვნებლივ მიუჩინოთ სალაროს სანდო კაცი * ან № 5-მა იკისროს კონტროლი *. დაუყოვნებლივ ყველა ადგილიდან უნდა დაიწყოთ კამპანია ხელმოწერისათვის და ყოველდღე დაბეჭდოთ კოოპერატორთა წერილები ამის შესახებ.

სათათბიროს მასალები მაინც არა გვაქვს, არც სტატისტიკური ანგარიშები (1), არც (2) სათათბიროს ფურცლები, არც (3) კადეტთა შეკითხვა, (4) არც კოკოცოვის ახსნა-განმარტებითი ბარათი, (5) არც კადეტთა და სხვათა კანონპროექტი. ყოველი ღონე იხმარეთ, რომ ეს სათათბიროს დათხოვნამდე იშოვოთ და მალე გამოგვიგზავნოთ.

ორი სიტყვით მაინც გვიპასუხეთ, ოღონდ ნუ დააყოვნებთ.

დაწერილია 1912 წლის 17 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

266

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს

19/XII.

ძვირფასო მეგობრებო! ცნობამ, რომ ლიკვიდატორებმა შეიტანეს «კულტურულ-ეროვნული ავტონომია», საბოლოოდ აღგვაშფოთა! არა, ყველაფერს ხომ საზღვარი უნდა ჰქონდეს! ადამიანებს, რომლებმაც პარტია დაანგრიეს, ახლა უნდათ ბო-

* პერლუსტრაციაში ამ სიტყვის შემდეგ გამოტოვებულია ადგილი და ახლავს ბწკარედის შენიშვნა: «სიტყვები გაურკვეველია». რ ე დ.

ლომდე დაანგრიონ პროგრამაც. ისინი იქაც კი არ ჩერდებიან, სადაც არქიშემარიგებელი პლეხანოვი ჩერდება. ასე არ შეიძლება. არც უნდა მოვითმინოთ და... * რადაც უნდა დაგვიჯდეს, საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ და პროტესტი განვაცხადოთ. აუცილებლად უნდა წავუყენოთ ულტიმატუმი: დაე ჩვენ გვქონდეს სიტყვა, [დაე] მ ა თ წაიკითხონ ეს საზიზღრობა, კულტურულ-ეროვნული ავტონომია და ა. შ.! ყოველი ღონე იხმარეთ, ეს რომ გააკეთოთ, თუნდაც ხუთის სახელით (სჯობია ხუთი იყოს პარტიის პოლიტიკით, ვიდრე ექვსი, რომლებიც პარტიასა და მის ლიკვიდატორებს შორის მერყეობენ).

საზიზღარი რეზოლუციაც № 16-ის შესახებ, კულტურულ-ეროვნული ავტონომიის უხამსი შეტანაც, და პრეტენზიაც «შეძვრნენ» გაზეთების საკითხში, ნათლად გვიჩვენებენ, რომ ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ილუზიებს, თითქოს ასეთ ხალხთან «მშვიდობიანობა» შეიძლებოდეს [251]. ამ ნაბიჯის გადადგმით მათ ომი დ ა ი წ ყ ე ს. სისტემატურად უნდა გავიაზროთ ომი და ენერგიულად ვაწარმოოთ. ამისათვის, ზემოაღნიშნულის გარდა, უნდა გადაიდგას ორი ნაბიჯი: (1) ყველა ზემოაღნიშნულ და ამდაგვარ საკითხებზე ხუთის ხელმოწერით უნდა შეგქონდეთ წერილობითი პროტესტები მუქარით, პარტიულ ორგანიზაციებს მივმართავთ-თქო; (2) აქ უნდა შევიკრიბოთ ხუთნი თუ ექვსნი (ამას უნდა მივაღწიოთ!) და საბოლოოდ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ.

ტექსტი დაახლოებით ასეთი...: «ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვაცხადებთ, რომ ფრაქციის გადაწყვეტილება იაგელოს შესახებ, რეზოლუცია მის შესახებ, გადაწყვეტილება «კულტურულ-ეროვნული [ავტონომიის] შეტანის შესახებ იმდენად ეწინააღმდეგება პარტიის ყრილობათა ყ ვ ე ლ ა გადაწყვეტილებას, რომ ვიხსნით პასუხისმგებლობას ამ გადაწყვეტილებებისათვის, ანტიპარტიულად ვაცხადებთ მათ, ვიტოვებთ უფ-

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რ ე დ.

ლებას აპელაციით მივმართოთ პარტიის ორგანიზაციებს და გაფრთხილებთ, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღებით ფრაქცია მთლიანად ტოვებს პარტიულობის გზას».

ცხადია, რომ შვიდეული უფრო შორს წავა ლიკვიდატორობის გზით.

უნდა ვიჩქაროთ ორგანიზაციის საქმეში, უფრო დაწვრილებით მოიწერეთ «დენის» შესახებ. ფინანსები როგორაა? ლიტერატურული ნაწილი? განსაკუთრებით გამოგიგზავნეთ წერილი, რომ № 1 და № 3 (ან ორივემ ერთად, უფრო კარგი) ჩამოგვიტანონ ჩამოთვლილი წიგნები.

დაბეჯითებით გთხოვთ ეს გაგვიკეთოთ. ხარჯებს ავანაზღაურებთ... ფალინსკის წიგნი გადაეცით, ჩვენ კი გვლანძღავენ.

2. მიიღო თუ არა № 3-მა ფული ვენიდან, ეს ვეტროვისთვისაა.

3. როგორმე ხომ ვერ გაიგებთ, მიიღო თუ არა ვეტროვმა ჩვენი წერილები? ბევრჯერ მივწერეთ რედაქციის მისამართით და არც ერთი სიტყვა არ უპასუხია. ნუთუ შეუძლებელია წერილებისათვის მისამართების შოვნა?

P. S. მთხოვენ კიდევ მივაწერო: ბიბლიოთეკიდან წიგნების წაღება თქვენი უფლებაა... ორი კვირით.

დაწერილია 1912 წლის 19 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

როგორც ვ. ი. ლენინის წერილი
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
ნ. კ. კრუპსკაიას
ხელით დაწერილი
პირის მიხედვით

267

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს

ვასილიევისა და № 3-ისათვის. ძვირფასო მეგობრებო! დღეს მივიღე თქვენი ცნობა, რომ კოოპერატივის უმრავლესობამ

კვლავ მიიღო ეროვნ.-კულტ. ავტონომია ებრაელ ნაციონალისტთა და სხვა კომპანიის საამებლად. ეს რა, ექვსის აბუჩად აგდებაა? ნუთუ ამ ვაჟბატონებს არ ესმით, რომ, როცა პროგრამას განმარტავენ ამ კომპანიის საამებლად, ამით დამორჩილებისაგან ათავისუფლებენ უმცირესობას? ეს ხომ საჯარო სირცხვილია, რომ გვჯობნიან, სარგებლობენ ერთი შემთხვევითი დაბნეული მენშევიკის ხმით ან, იქნებ, იმით, რომ ამ საკითხში № 16-ს ეყრდნობიან. არ ვიცით, ამის გამო ექვსეულმა რა ილონა.

მაგრამ, როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევაში დუმილით დამორჩილება, როგორ შეუძლია № 3-ს დათანხმდეს და ასეთი საზიზღრობა საჯაროდ წაიკითხოს (და ამით იკისროს პასუხისმგებლობა), როგორ შეეძლო ექვსეულს (ან თუნდაც მარტო № 3-ს) მაშინვე არ დაებეჭდა «დენში» განცხადება, ეს ვაჟბატონები აბუჩად იგდებენ პროგრამას და გათიშვისკენ მივყავართო, — არაფრით არ გვესმის. თუ გავჩუმდით, ებრაელი მარქსისტები * ხომ ხვალვე თავზე დაგვაჯდებიან. საერთოდ, ყველაფერს საზღვარი აქვს. და თუ ეს ვაჟბატონები ფიქრობენ, რომ უმცირესობა ვალდებულია დაემორჩილოს მაშინაც კი, როცა პროგრამას აშკარად ნაკუწ-ნაკუწ ხევენ, სასტიკად ცდებიან.

ჩვენ გამოვგზავნეთ ერთი ზოგადი სტატია კულტ.-ეროვნ. ავტონომიის შესახებ ჯერ კიდევ თქვენი წერილის მიღებამდე (იქ ციტირებ. პლეხ.: კავკასიელები და ბუნდი ცდილობენ სოციალიზმი შეუგუონ ნაციონალიზმს). დღეს უკვე გიგზავნით სტატიებს უკვე უშუალოდ კოოპერატივის წინააღმდეგ. გთხოვთ ხელი შეუწყოთ, რომ რაც შეიძლება მალე დაიბეჭდოს, და ვფიქრობთ, რომ, თუ ჯერ გვიან არ არის, გადამწყვეტ ღონისძიებებს უნდა მიმართოთ, რათა ხელი შეუშალოთ პროგრამის შეცვლას. უნდა იომოთ, რახან ისინი ასეთ საქციელს ქადრულობენ. «ვეჩერნაია პოჩტისა»** და «დენის» გაერთია-

* — ბუნდელები. რ ე დ.

** «ვეჩერნაია პოჩტა» — გაზ. «ლუჩის» პირობითი სახელწოდება. რ ე დ.

ნების შესახებ თქვენ ალბათ ყველანი, მოლიკვიდატორეთა გარდა, გამოიტანთ რეზოლუციას. თქმაც არ უნდა, რომ მათი მხრივ ეს თაღლითობა იყო და ჩვენ მათთან საერთო არაფერი არ გვინდა. რატომ მოდიან მხოლოდ ოთხნი? ძალიან, ძალიან გთხოვთ ისე გააკეთოთ, რომ მთელი ექვსეული ჩამოვიდეს. ეს უაღრესად საჭიროა.

დაწერილია 1912 წლის 20 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს წიგნში
««ზვეზდისა» და «პრავდის» ეპოქიდან
(1911 — 1914 წწ.)» გამოშვება III

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

268

ა. პიუისმანსს

კრაკოვი, 1912 წლის 22 დეკემბერი

ძვირფასო მოქალაქევ!

ვერ გავიგე თქვენი 12 წლის 5. XII-ის[252] წერილი. ან რაღაც გაუგებრობაა, ან არსებობს ბიუროს რეზოლუცია, რომლის შესახებ არაფერი არ ვიცი.

«Le Peuple» (ბრიუსელისა) წერდა: «რაც შეეხება ბიუროში რუსეთის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლობას, მდგომარეობა უცვლელია». («Le Peuple 30. XII. 12). თუ არის ბიუროს ს ხ ვ ა რეზოლუცია? თუ არის, ვიმედოვნებ, რომ პატივს მცემთ და შემატყობინებთ.

თუ არ არის, ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფლება აქვს დანიშნოს თავისი წარმომადგენელი.

რატომ «მხოლოდ დროებით»? რა თქმა უნდა, ბიუროს ა ხ ა ლ ი გადაწყვეტილება ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ ამ თვალსაზრისით ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი წარმომადგენლობა «დროებითია».

თუ არის ბიუროს რეზოლუცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ორივე სოციალ-დემოკრატიულ «ფრაქციას» (?) (1912

წლის იანვრისა და აგვისტოს კონფერენციები?) წინადადება ეძლევა შეთანხმდნენ ბიუროში წარმომადგენლობის **საკითხზე?**

დიდად დამავალებთ, თუ გამაცნობთ ამ **რეზოლუციას** და დოკუმენტებს (თუ ასეთები არსებობს), **რომლებიც** ლიკვიდატორთა «საორგანიზაციო კომიტეტისაგან» **მიიღეთ.**

ძმური სალმით.

ნ. ლენინი*

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

---

* ხელნაწერში არ:ს შემდეგი ხაზგადასმული ტექსტი, რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის ხელით და, როგორც ჩანს, განკუთვნილი იყო ი. ფ. პოპოვისათვის:

«წაკითხვისთანავე დამიბრუნეთ (და მაცნობეთ თქვენი აზრი; თანაც იქნებ ფრანგმა ენა გამისწოროს) **რაც შეიძლება მალე** და აუცილებლად **დამიბრუნეთ ჰიუისმანსის** წერილი.

ჰ — ს სურს ყველაფერი მოაგვაროს არა ფორმალურად. ამის ნებას **არ მივცემთ». რ ე დ.**

1913 წელი

269

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! მივიღე თქვენი წერილი და ვ ე ც დ ე ბ ი შეგასრულოთ თხოვნა. თუმცა ჯერ წარმატებას ვერ შეგპირდებით.

აქ უკვე თითქმის მთელი საზოგადოებაა...*

პირველი შთაბეჭდილება (sous toutes réserves **) — ძ ა ლ ზ ე კარგია. არავითარი «მანჭვა-გრეხა». დღეს ვიწყებთ თათბირს და დიდ წარმატებათა იმედი გვაქვს. როცა მოვრჩებით, კიდევ მოგწერ.

ჩამომიტანეს ალექსინსკის წერილი. გიგზავნით; წაკითხვის შემდეგ (თქვენთვის პირი გადაიღეთ) **აუცილებლად** დაუყოვნებლივ **დამიბრუნეთ.**

გუშინ მოვიდა გორკის არქიმეგობრული წერილი. როგორც ჩანს, საბოლოოდ «მოხიბლა» ვპერიოდელთა მოსვლამ «პ რ ა ვ დ ა შ ი».

 მწერს, მე და ტიხონოვი ვიკისრებთ ბელეტრისტიკას **«პრავდაშიო»**, ...«მახიზმი და ღვთისმშენებლობა და ყველა ეს ოინები სამუდამოდ დაჭკნაო». დიდებულია!

სტეკლოვზე რეცენზიის დაწერა კი ტყუილად იკისრეთ: სიყალბე გამოვა...

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

** — შემდგომ რა იქნება. არ ვიცი. რ ე დ.

გვპირდებიან, რომ «პროსვეშჩენიეს» იანვრის შუა რიცხვებში გამოუშვებენ.

პლეხანოვმა (დნევნიცკის მეოხებით) «პრავდას» მისწერა, თუ გნებავთ, მაევსკის ვუპასუხებ, «თუ ორმაგი ცენზურა არ იქნაო». თანხმობით უპასუხეს. ელოდებიან სტატიას. ბურიანოვი პლეხანოვთან არის. პლეხანოვს მისთვის იაგელოს მიღების წინააღმდეგ მიუწერია.

Vorstand-ი გვიწვევს გამაერთიანებელ კონფერენციაზე. ცენტრალური კომიტეტი+საორგანიზაციო კომისია+პლეხანოვი + სათათბიროს ფრაქცია + P. S. D. არ გვინდა, ჯანდაბამდეც გზა ჰქონიათ. Entre nous!*

მეჩქარება. ვამთავრებ წერას. ყველანი უზარმაზარ მოკითხვას გითვლიან, განსაკუთრებით მალინოვსკი და კობა, ყველანი საშინლად ვნანობთ, რომ აქ არა ხართ. საქმე საერთოდ, როგორც ჩანს, კ ა რ გ ა დ მ ი დ ი ს. «პრავდის» ფინანსების საქმე ცუდად არის, მაგრამ ახლა გორკის იმედით ვართ.

სულ კარგად იყავით! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წლის 8 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 48.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

270

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! ვსარგებლობ თავისუფალი წუთით, რომ გიპასუხოთ წერილზე. თათბირი გაჩაღებულია: მონაწილეობს 11 კაცი[253]. საქმე კარგად მიდის. თუ მოვასწარი, ამასთან გა-

* — ჩვენს შორის დარჩეს! რ ე დ.

მოგიგზავნით პირველ რეზოლუციას, რომელიც დღეს მივიღეთ. რა თქმა უნდა, ეს ჯერ **არ ავის...** * პარტიული მუშაკებისა **არც ისე ცუდადაა:** 3 — პიტერი, 2 — მოსკოვი, 2 — საშჩ. რეთი, მთელი რიგი თვალსაჩინო ლეგალური მოღვაწენი და ასე შემდეგ. კარგად გამოდის. ექვსეულში იყო შემარიგებელური მერყეობა, მაგრამ მათ შორის მთავარ «შემარიგებელთან», პეტროვსკისთან, **ჯერჯერობით** სულ უფრო და უფრო შეხმატკბილებულად ვართ. მთავარი იქნება «გაერთიანების» საკითხი. ალბათ ასე გადავწყვეტთ: ქვემოდან მუშები მობრძანდნენ, «ლუჩის» ლიკვიდატორთა ჯგუფს კი — ომი. ყოველ შემთხვევაში, რევოლუციური გაფიცვების გამო მივიღეთ (ერთხმად) ასეთი რეზოლუცია.

გერმანელებმა Vorstand-მა გამოგვიგზავნეს ქაღალდი...

ეი პოზიცია: ისინი აწყობენ ცდას ლეგალურ ასპარეზზე. ჩვენ გვიხარია. მაგრამ ჩვენ არქიფრთხილად ვართ. **არავითარი** გაერთიანება ჯგუფთან: **შემოდით** ორგანიზაციებში და მოვაწყოთ ცდა. ღვთის გულისათვის, როგორმე ეცადეთ, **რომ** საზღვარგარეთმა **რაიმე** ნაბიჯი არ გადადგას. წაუკითხეთ წერილი (აჯობებს წერილის ეს ნაწილი უამბოთ) 2—3 ენაშენახულ და სერიოზულ კაცს: კამსკის, ნიკ. ვას.-ეს., მაგრამ **არა ყველას და არა ფართოდ.** ღვთის გულისათვის, დააჩქარეთ ცენტრალური ორგანო და მაშინვე კორექტურა მაინც გამოგზავნეთ!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1913 წლის 10 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* **დოკუმენტის ხელ**ნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. **რ ე დ.**

271

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გწერთ თათბირის დროს. ჩინებულად მიმდინარეობს. 1912 წლის იანვრის კონფერენციაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ექნება. რეზოლუციები იქნება ყველა დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის გაერთიანების შესახებაც.

ყველანი საშინლად ვნანობთ, რომ აქ არა ხართ და ვერ შეძელით ჩამოსვლა.

გიგზავნით პირველ რეზოლუციას. **ჯერჯერობით** საიდუმლოდ შეინახეთ; ოღონდ გული გაუმაგრეთ... * ბოლშევიკთა ნაწილს, **ენაშენახულებს.**

გილოცავთ ახალ წელს. თქვენი ლენინი

ყველა რეზოლუციას **ერთხმად** ვიღებთ...

გიგანტური წარმატებაა!

2—3 დღეში დავამთავრებთ.

დაწერილია 1913 წლის 12 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

272

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.!

გიგზავნით დანარჩენ რეზოლუციებს...

მკაცრად დავადგინეთ: **საიდუმლოა** პრესაში გამოქვეყნებამდე....*

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

თქვენი წერილი მალინოვსკის გადასცეს.

ჰიუისმანსისთვის მშვენიერი პასუხი გაგიგზავნიათ.

თათბირის გამო საერთო შთაბეჭდილება საუცხოო დაგვრჩა. იმედი მაქვს, თქვენც ასეთივე დაგრჩებათ. ახლობლებს გაუმხილეთ, ჯერჯერობით **საიდუმლოდ** შეინახონ (კამსკის, ალბერტს...).

პეტროვსკი ახლა მთლიანად ჩვენია — ექვსეულიც — რუსეთში დაბრუნდა ორი კარგი არალეგალი. ერთი «ღრუბელია» (ავდრის ღრუბელი): ფული არ არის და არა. სრული კრახია.

ათასი მოკითხვა.

თქვენი ლენინი

30 ბოლშევიკის დეპეშა მივიღე. ათასი სალამი და საუკეთესო სურვილები ახალ წელს!! ჩემგან და ყველა აქაური მეგობრისაგან.

თქვენი ლენინი

დაწერილია: არა უადრეს 1913 წლის
14 იანვრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

273

ი. ა. პიატნიცკის

ძვირფასო ამხ. ალბერტ!

მინდა გესაუბროთ ნაციონალთა* შესახებ თათბირის რეზოლუციის გამო. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს «დიპლომატიაა» — ეს უაღრესად მცდარი აზრია.

* ლაპარაკია კრაკოვის თათბირის რეზოლუციაზე «ეროვნული» ს.-დ. ორგანიზაციების შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 562 — 564). რედ.

რა მიგაჩნიათ დიპლომატიად?

ჯერ ერთი ის, რომ გაშმაგებით ვესხმით თავს P. S. D. მთავარ გამგეობას, — «ყველა ცნობა კი ოპოზიციის წევრებიდან მოდის».

ეს აღმაშფოთებელი შეცდომაა!

ის, რომ ტიშკა მთავარ გამგეობაში იწვევს ოპოზიციასა და უკმაყოფილებას P. S. D-თა შორის, რამდენიმე წელია, ვიცით. ეს იცის ყველამ, ვისაც მთავარ გამგეობასთან უმუშავნია.

ამ ოპოზიციის განვითარება 1910 წლიდან ყველას თვალწინ ხდება.

1912 წლის გაზაფხულზე ტიშკამ და კომპანიამ გამოაცხადეს, რომ ვარშავის კომიტეტი ოხრანკაზეა დამოკიდებული, დაითხოვეს იგი და შექმნეს «საკუთარი».

შემოდგომაზე გაიმართა არჩევნები. და რა მოხდა? ვარშავის ყველა სოციალ-დემოკრატი ამრჩევი მუშა ოპოზიციის მხარეზე აღმოჩნდა!

ეს ფაქტი შევამოწმე.

ამრჩევთა გვარებია — ზალევსკი და ბრონოვსკი. ისინი ნახა მალინოვსკიმ და თვითონ შეამოწმა ეს ფაქტი.

რა, განა ეს დამამტკიცებელი საბუთი არ არის?

ამასთანავე ოპოზიციის მხარეზე არიან საზღვარგარეთიცა და ლოძიც.

უკვე დიდი ხანია თანდათან მზადდება ტიშკას დიპლომატიის კრახი. იგი გარდუვალია. და ჯერ კიდევ 1912 წლის იანვრის კონფერენციამ (რომელიც სულ არ შეხებია ტიშკას (=მთავარი გამგეობა) ოპოზიციისაგან გათიშვის საკითხს) მოგვცა მოვლენათა ასეთი მსვლელობის პრინციპული შეფასება.

ემხობა უარესზე უარესი ტიპის ფედერაცია[254].

«ძველისკენ (1907 — 1911) დაბრუნება **შეუძლებელია.**

ეს უნდა შევიგნოთ.

ავსტრიაშიც იყო ასეთი პერიოდი: ნაციონალების ცალკე ცენტრალური კომიტეტი; ცალკე ცენტრალური კომიტეტი არა აქვთ გერმანელებს.

ავსტრიაში ასეთი მდგომარეობა არ შენარჩუნებულა: აქედან ორი გზაა — ან სრული ფედერაცია, ან სრული ერთიანობა.

ჩვენშიც ნახევარფედერაცია (1907 — 1911) ვერ დარჩება: ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა პარტიული მუშაკები ამას ბოლომდე მიხვდნენ.

ჩვენ გვსურს სრული ერთიანობა — ქვემოდან ეროვნულ საკითხში.

ეს შესაძლებელია. ასე იყო და არის კავკასიაში (4 ერი) ასე იყო 1907 წელს რიგაშიც (ლატვიელები, ლიტველები, რუსები) და ვილნოშიც (ლიტველები, ლატვიელები, პოლონელები [რუსები] *, ებრაელები) — ამ ორივე ქალაქში ბუნდის სეპარატიზმის წინააღმდეგ.

ავსტრიაში ფედერაცია დამთავრდა სეპარატიზმით და ერთიანი პარტიის კრახით[255]. ჩვენშიც დანაშაული იქნება წყალობის თვალით ვუყურებდეთ ბუნდის სეპარატიზმს და ხელს ვაფარებდეთ მას.

თქვენ «დიპლომატიად» (2°) მიგაჩნიათ ის, რომ ბუნდს ვგმობთ და «თითქმის ამნისტიას ვუცხადებთ ლატვიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ბუნდს მიჰყვება».

არა, ცდებით. ეს დიპლომატია როდია. ლატვიელი ს.-დ. მუშები ყოველთვის მხარს უჭერდნენ ერთიანობას ქვემოდან, ყოველთვის მხარს უჭერდნენ ტერიტორიულ ავტონომიას, ესე იგი ადგნენ ანტისეპარატისტულ, ანტინაციონალისტურ თვალსაზრისს.

ეს ფაქტია.

თქვენ ვერ შეძლებთ ამის გაბათილებას.

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რედ.

აქედან კი გარდუვალი დასკვნა: ლატვიის ცენტრალური **კომიტეტი** არის ს.-დ. ლატვიელთა რევოლუციური პროლეტარიატის ერთ-ერთი ინსტანციის **გადახვევა სწორი გზიდან.**

ბუნდში კი არ არის ეს სწორი გზა, არ არის პროლეტარიატი, არ არის მასობრივი ორგანიზაციები — არაფერი არ არის ინტელიგენტთა წრისა (ლიბერი+მოვიჩი+ვინიცკი — პირწავარდნილი ოპორტუნისტები და ბუნდის **დიდი ხნის** «ბატონ-პატრონები») და ხელოსანთა წრეების გარდა.

აღმაშფოთებელი შეცდომა იქნებოდა ბუნდისა და ლატვიელთა ერთმანეთში არევა.

«ეროვნული» საკითხი რსდმპ-ში **დღის წესრიგში** **დადგა.** [ამას ვერ გავექცევით.] «ნაციონალთა» დაშლა შემთხვევითი **არ** არის. და ჩვენ **მთელი** ძალ-ღონე უნდა მოვახმაროთ ამ საქმის განმარტებას, ძველი «ისკრის» ბრძოლის განახლებას.

ჩვენ პრინციპულად წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა. ჩვენ გვსურს გამოვიყენოთ ნახევარფედერაციის (1907 — 1911) საევალო გამოცდილება. ჩვენ გვსურს დავიწყოთ კამპანია **ქვემოდან** ერთიანობისათვის.

ამხანაგებმა, რომლებსაც უმუშავიათ რუსეთის ს.-დ. **ებრაელ** მუშებთან ან საერთოდ იცნობენ შესაბამის პირობებს, **უნდა მოაგროვონ** [მონაცემები, რომლებიც მეტყველებენ], თუ რამდენად მავნეა ბუნდის სეპარატიზმი. ბუნდმა **ჩაშალა** **სტოკჰოლმის** [დადგენილება] (1906) [256]. თვითონ **არსად** არ **გაერთიანებულა** ადგილებზე (ლატვიელებს ამის მსგავსი არაფერი არ ჩაუდენიათ).

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენ ამას დავივიწყებთ და საშუალებას მივცემთ კვლავაც დაგვანაყრონ ფუჭი დაპირებებით??

არასოდეს! გაერთიანდით ვარშავაში, ლოძში, ვილნიუსში და ა. შ., ბატონო ბუნდელო «გამაერთიანებელნო»!

[გამეხარდებოდა], ეს წერილი რომ აჩვენოთ ბოლშევიკებს, რომლებსაც აინტერესებთ [ეროვნული საკითხი] [და თუ] შე-

საძლებელი გახდა, ყველგან დაიწყოს **მუშაობა** საკითხის სეერიოზული შესწავლისა და «ხეპარატისტ»-ბუნდელთა წინააღმდეგ მასალების (რუსეთის გამოცდილება) შეგროვებისათვის.

Beste Grüße*. თქვენი ლენინ

დაწერილია 1913 წლის
14 იანვარზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

274

«BREMER BÜRGER-ZEITUNG»-ის რედაქციას

პატივცემულო ამხანაგო!

დიდად დამავალებთ, თუ გამომიგზავნით «Bremer Bürger-Zeitung»-ის ორივე ნომერს, სადაც დაბეჭდილია **რეცენზია** რ. ლუქსემბურგის წიგნზე **. ამასთან გიგზავნით საპასუხო საერთაშორისო ქვითარს = 20 პფენიგს.

ძალიან მიხარია, რომ მთავარი პუნქტის გამო გამოგაქვთ იგივე დასკვნა, რომელიც მე გამოვიტანე 14 წლის წინათ ტუგან-ბარანოვსკისა და «Volkstümler»-თან პოლემიკის **დროს**, სახელდობრ, რომ ზედმეტი ღირებულების რეალიზაცია შესაძლებელია «წმინდა კაპიტალისტურ» საზოგადოებაშიც***. რ. ლუქსემბურგის წიგნი ჯერ არ მინახავს, მაგრამ ამ

---

* — საუკეთესო სალამი. რ ე დ.

** ლაპარაკია რ. ლუქსემბურგის წიგნზე «Die Akkumulation des Kapitals. Ein Beitrag zur ökonomischen Erklärung des Imperialismus». Berlin, 1913 («კაპიტალის დაგროვება. იმპერიალიზმის ეკონომიური განმარტების საკითხისათვის». ბერლინი, 1913). რ ე დ.

*** **იხ.** ვ. ი. ლენინი. «შენიშვნა ბაზრების თეორიის საკითხისათვის (ბბ. ტუგან-ბარანოვსკისა და ბულგაკოვის პოლემიკის გამო)». (**თხზულებანი**, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 55 — 66). რ ე დ.

პუნქტში თქვენ თ ე ო რ ი უ ლ ა დ სავსებით მართალი ხართ. მხოლოდ ვფიქრობ, თქვენ მკაფიოდ არ გაუსვით ხაზი მარქსის ერთ ძალიან დიდმნიშვნელოვან დებულებას («კაპიტალი», ტომი II, გვ. 442) [257] — სახელდობრ, სადაც ძარქსი ამბობს, რომ ყოველწლიურად წარმოებულ მატერიალურ ღირებულებათა ანალიზის დროს სულაც ა რ ა რ ი ს ს ა ჭ ი რ ო საგარეო ვაჭრობის ჩარევა (ციტატი მომყავს რუსული თარგმანიდან). ლუქსემბურგის «დიალექტიკა» მეც (აგრეთვე «Leipziger Volkszeitung»-ში დაბეჭდილი სტატიის მიხედვით) ე კ ლ ე ქ ტ ი კ ა დ მეჩვენება. კიდევ რომელიმე ორგანომ თუ დაბეჭდა რეცენზია რ. ლუქსემბურგის წიგნზე? «Hamburger Echo»-მ? [258] ბურჟუაზიულმა ორგანოებმა?

კიდევ ერთი შეკითხვა მაქვს. «Bremer Bürger-Zeitung»-მა (1912, № 256) დაბეჭდა არასწორი ანგარიში საერთაშორისო სოც. ბიუროს ოქტომბრის სხდომის შესახებ. ან ლუქსემბურგის ხროვამ, ან ლიკვიდატორმა, ან არამზადამ, რომელიც სიმპათიით ეკიდება ლიკვიდატორებს, შეცდომაში შეიყვანეს რედაქცია და ჰააზეს მიაწერეს სიტყვები: «ლენინმა შეცდომაში შეიყვანა ინტერნაციონალიო».

ლიკვიდატორებმა, გასაგებია, თავის გაზეთში გაიმეორეს ეს სიცრუე (პეტერბურგის «ლუჩი») და ღვარძლიანი შენიშვნები დაურთეს. ჩვენი პარტიის (რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიის) ცენტრალურმა კომიტეტმა მისწერა ჰააზეს. ჰააზემ უპასუხა, ჩემი ნათქვამი სწორად არ გადმოუციათო. ახლა ჰააზეს წერილი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში (პეტერბურგის «პრავდა») *.

ამჟამად მინდა ვიცოდე, აპირებს თუ არა «Bremer Bürger-Zeitung»-ის რედაქცია უკან წაიღოს ან სწორად ჩამოაყალიბოს მცდარი მტკიცება, რომელიც გამოაქვეყნა? თუ აპირებს, შემიძლია რედაქციას გამოვუგზავნო ჰ ა ა ზ ე ს წ ე რ ი ლ ი ს პირი.

პარტიული სალმით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

* იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 568 — 570). რ ე დ.

ჩემი მისამართია: Wl. Ulijanow. 47. *Lubcmirskiego.* Krakau.

დაწერილია 1913 წლის
იანვრის პირველ ნახევარში
გაგზავნილია ბერლინში (გერმანია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

275

ა. მ. გორკის

21/I. 13.

ძვირფასო ა. მ.! ამხანაგი, რომელიც ამ წერილს გადმოგიგზავნით, არის ამჟამად ვენაში მცხოვრები ტროიანოვსკი. მან და მისმა ცოლმა ახლა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი «პროსვეშჩენიეს», იშოვეს ცოტაოდენი ფული, და იმედი გვაქვს, რომ მათი ენერგია და დახმარება საშუალებას მოგვცემს, მარქსისტული ჟურნალი დავუპირისპიროთ რენეგატ ლიკვიდატორებს. ვფიქრობ, თქვენც უარს არ იტყვით და დაეხმარებით «პროსვეშჩენიეს».

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. იმედი მაქვს, მიიღეთ ჩემი გრძელი წერილი ვპერიოდელთა შესახებ? * ნეტა «ლუჩში» როგორ მოხვდით??? ნუთუ დეპუტატებს გაჰყევით? მაგრამ ისინი ხომ ხაფანგში გაებნენ და, ალბათ, მალე წავლენ.

გაგზავნილია კრაკოვიდან
კაპრის კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 55 — 58. რ ე დ.

276

გ. მ. ვიაზმენსკის

პატივცემულო ამხანაგო! ვეცდები შევასრულო თქვენი თხოვნა და გიშოვოთ ხოლმე რუსული ფურცლები[259]. ოღონდ ახლა ეს იოლი საქმე არ არის და ბევრის იმედი არ უნდა ვიქონიოთ: ძალიან სუსტად არის გამოცემის საქმე რუსეთში და ძალზე უხალისოდ გვიგზავნიან იქ გამოცემულს, თუმცა ყოველთვის ვთხოვთ ამას. პიტერში იყო 2 — 3 ფურცელი 1913 წლის 9 იანვრის წინ.

პოლონური ლიტერატურის შესახებ ცდებით, თუ ფიქრობთ, რომ მე კარგად მამარაგებენ. პოლონეთის სოციალისტთა პარტიასთან ურთიერთობა არა მაქვს, იშოვეთ საორგანიზაციო კომისიისა და ლიკვიდატორთა მეშვეობით. ს.-დ. «ზაკონდოველებთანაც» * (როზა და ტიშკა) არაფერი საქმე არა მაქვს.

თუ შეიძლება, გამომიგზავნეთ ერთი კვირით 1907 წლის «იზვესტია ცკ რსდრპ» ორივე ნომერი — ძალიან მჭირდება[260]. დროზე დაგიბრუნებთ.

ამასთან გიგზავნით წერილს ამხ. კუზნეცოვისადმი, რომელიც მთხოვეთ[261].

ამხანაგური სალმით.

ნ. ლენინი

დაწერილია 1913 წლის
22 იანვარზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
მანკანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

---

* — პოლონეთისა და ლატვიის სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობის მომხრეებთან. რედ.

277

ნ. ა. რუბაკინს

25/I. 1913.

პატივცემულო ამხანაგო!

ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გიგზავნით ისეთ მოკლე «ექსპოზე»-ს, რიგორის დაწერაც შეეძელი[262]. რომ არ მოგეწერათ, ჩემს წიგნში «პოლემიკის ისტორია» გამორიცხული არ იქნებაო, ბოლშევიზმის გადმოცემა საგანგებით შეუძლებელი იქნებოდა.

გარდა ამისა, დამაეჭვა თქვენმა ფრაზამ: «ვეცდები თქვენს დახასიათებაში არავითარი ცვლილება არ შევიტანოო». მე დაბეჭდვის პირობად უნდა წამოგიყენოთ ის, რომ არავითარი ცვლილება არ შეიტანოთ (წმინდა ცენზურულ ცვლილებებზე, რა თქმა უნდა, შეიძლება განსაკუთრებით შევთანხმდეთ).

თუ არ გამოგადგეთ, გთხოვთ დამიბრუნოთ ეს ფურცელი.

ამხანაგური სალმით

ნ. ლენინი

ჩემი მისამართია: Wl. Uljanow. 47. Lubomirskiego. *Krakau*. Autriche.

გაგზავნილია კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

ბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

278

IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს *

მივიღეთ სულელური და თავხედური წერილი რედაქციიდან. არ ვუპასუხებთ. ისინი უნდა გავყაროთ.

---

* ეს წერილი მინაწერია გ. ე. ზინოვიევის წერილზე; გაიგზავნა ნ. ი. პოდვოისკის ნისამართით. რედ.

№ 4 «ლუჩი» ა ر მიგვიღია. ძალიან გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ!! [263]

ძალზე გვაღიზიანებს რედაქციის რეორგანიზაციის გეგმის შესახებ ცნობების უქონლობა. მაინც რა გაკეთდა ამ რეორგანიზაციისათვის? [264] რატომ არაფერს არ იწერებიან არც ვერა, არც ფრამი, არც ანდრია, არც ალექსი. დაბეჯითებით ვთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოიწეროს. რეორგანიზაცია, ხოლო უმჯობესია ყველა ძველის სრული გაძევება. უკიდურესად საჭიროა. სულელურად მიჰყავთ. აქებენ ბუნდსა და «ცაიტს»: ეს პირდაპირ უხამსობაა. ვერ განუხორციელებიათ ხაზი «ლუჩის» წინააღმდეგ. საზიზღრად ეკიდებიან სტატიებს. უაღრესი სისულელე გამოიჩინეს «რაბოჩი გოლოსის» მიმართ [265]. პირდაპირ, მოთმინება გველევა... ველით და ვეღარ ველირსეთ ცნობებს ყოველივე ამის შესახებ...

რა გაკეთდა ფულის კონტროლისათვის? ვინ იღებს ხელმოწერის თანხებს? ვის ხელშია ფული? რამდენია?

დაწერილია 1913 წლის 25 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «ჭრასნაია ლეტოპისი» № 1

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

279

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიბრუნებთ კორექტურას. შემდეგის, ესე იგი რეზოლუციათა კორექტურის გამოგზავნა არ ღირს. გამოუშვით **დაუყოვნებლივ,** აუცილებლად რაც შეიძლება იაფად (ფული არ არის), ესე იგი **სამ სვეტად,** როგორც გაზეთის გვერდი (გვერდის $1/2$ ან $3/4$), **ორივე მხარეს,** უმინდვროდ.

25. ტ. 43.

არ იყავით, ჩემი აზრით, უდიდესი შეცდომაა[267]. მაგრამ წარსულს ვერ დააბრუნებ. მისი გაკვეთილი მომავლისათვის უნდა გამოიყენო. დიდი გაზეთის გეგმა ჩინებულია. დარწმუნებული ვარ: საჭიროა ორი გაზეთი, დიდი — 5 კაპ. და პატარა — 1 კაპ. და ახლანდელი უნდა განვავითაროთ «პატარისაკენ». 5 — 10-ფურცლიანი ბროშურებისა და წიგნების გამოცემაც სწორი აზრია. მასაც ენერგიულად ვკიდებთ ხელს. ყველას ძალიან, ძალიან გაგვეხარდებოდა, თქვენ რომ ენერგიულად შესდგომოდით ამ საქმეს და ჩვენ ერთობლივი მუშაობა აგვეწყო უფრო სისტემატურად და უფრო ერთსულოვნად და წარმატებით, ვიდრე 1912 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში. ამის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა: შეხვედრა და რეგულარული მიმოწერა. ახლა გორკი ძალიან ენერგიულად ეხმარება «პროსვეშჩენიეს» და დიდ ჟურნალად გადააქცევს მას. დიდი გაზეთისა და წიგნების გამოცემას ყველა შანსი აქვს გადაიქცეს უზარმაზარი მნიშვნელობის უზარმაზარ სასარგებლო საქმედ. მით უფრო საჭიროა თავიდანვე სწორად დავაყენოთ ეს საქმე. გამოცდილებამ სავსებით დაგვარწმუნა, რომ პლეხანოვთან, როჟკოვთან და ა. შ. მორიგების ცდა (რომლის შესახებ იწერებით) — უიმედოა. ჩვენ მეორე ბოლოდან ვიწყებთ. და უკეთეს შედეგს ვაღწევთ. თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ალექსინსკი და დნევნიცკი არაფერზე არ მოგვრიგებიან, ისე მოვიდნენ ჩვენთან. სწორი და მტკიცე ტაქტიკის პირობებში ეს უფრო გამართლდება დიდი გაზეთისა და წიგნების გამოცემის დროს. ამაში სავსებით დარწმუნებული ვართ. მტკიცე ტაქტიკა — ძველი ჯგუფისადმი ხელმძღვანელობის შენარჩუნება — მოზიდვა არა ხელშეკრულებით, არამედ, როგორც თანამშრომლებისა — ყველა ეს პირობა ჩვენთვის ულტიმატურია. თანამშრომლებს, დარწმუნებული ვართ, იმდენს მოვნახავთ, რომ დიდი გაზეთისთვისაც, წიგნებისთვისაც და სქელტანიანი ჟურნალისთვისაც სავსებით საკმარისი იქნება. ბოგდანოვთან, მაგალითად, თანამშრომლობაც კი შეუძლებელია: ეს ცხადია მისი ახალი ნაწარმოებებიდან[268]. ალექსინსკისთან და დნევნიცკისთან (პლეხანოვთან) შესაძლე-

ბელია, და შრომის ანაზღაურება თანამშრომელთა ამ რიცხვს ერთიხუთად გაზრდის. მოველი დაუყოვნებლივ პასუხს: 1) ეთანხმებით ზემოაღნიშნულს თუ არა; 2) თუ არა, როგორია თქვენი გეგმა; 3) რამდენი ფულია საჭირო; 4) თქვენ რამდენს იშოვით; 5) როგორ განსაზღვრავთ ან გეგმავთ თქვენს მონაწილეობას ამ საქმეში კომპეტენციის ფარგლების თვალსაზრისით და ა. შ. მიპასუხეთ, რაც შეიძლება ზუსტად. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. ამბები არ ითმენს. მოსკოვის გაზეთიც უნდა... * თქვენთან მოვა ჩემი კარგი ნაცნობი, რომელსაც თქვენც იცნობთ, ესაუბრეთ საქმიანად და რაც შეიძლება ზუსტად.

დაწერილია 1913 წლის 25 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

282

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიგზავნით პოლეტაევის წერილს (დ ა მ ი ბ რ უ ნ ე თ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ) და სტატიას (აგრეთვე დამიბრუნეთ)... **

წავიკითხე «დღევანდელობის თემები». ოჰ, რა არამზადები არიან! ოღონდ არ ვიცით, გავლანძღოთ, თუ ხმა არ ა მ ო ვ ი ღ ო თ ამ გოჭებზე. იქნებ ახლა მათი გალანძღვაც კი არ ღირდეს? თქვენი აზრი?

---

* იგულისხმება გაზეთი «ნაშ პუტ». რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ და ქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

სახელწოდება: «ცენტრალური კომიტეტის [თ]...* პარტიულ [მუშაკებთან]»... ** არ ერთი დღითარ გააჭიანურ ოთ.

დაბეჭდეთ *3000* ეგზ. მირონს სთხოვეთ, პირადად გაადევნოს თვალი, რომ კორექტურა **ნამდვილად** გაასწორონ (ჩვეულებრივ კორექტურა გაუსწორებელი რჩება!) და საერთოდ, მალე რომ გამოვიდეს.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1913 წლის
თებერვლის დამდეგს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

280

ნ. ოსინსკის ***

პატივცემულო ამხანაგო! ძალიან გამეხარდა თქვენი 21/I წერილი. ახლა ისეთი დროა, რომ უთანხმოებებსა და რღვევას «ბოლო არ უჩანს». ამიტომ უაღრესად სასიამოვნოა თანამზრახველთან დაკავშირება. გთხოვთ, ხელს ნუ აიღებთ განზრახვაზე, რომ თებერვალში გამოგვიგზავნოთ სტატია და საერთოდ დროდადრო აუცილებლად მოგვწერეთ. იმედი მაქვს, ჩვენი გაზეთებიდან და ჟურნალებიდან იცით, თუ რა

---

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

** იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 361 — 377. რ ე დ.

*** ეს წერილი მინაწერია ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

ჩემი აზრით, ცენტრალური ორგანოს უახლოეს ნომერში მაინც უნდა გავამათრახოთ, ოღონდ მეტისმეტი არ მოგიგიდეთ.

თქვენ, მგონი, საუცხოოდ გამოგვიდათ რეფერატი...

ათასი სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. პიტერიდან, მოსკოვის ოლქიდან და სამხრეთიდან კ ა რ გ ი ამბებია. იზრდება და ყალიბდება მ უ შ ა თ ა არალეგალური ორგანიზაცია. «პრავდაში» **დაიწყო** რეფორმა.

ტროიანოვსკიმ რაღაც კინკლაობა წამოიწყო კობას სტატიის გამო «ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია», რომელიც «პროსვეშჩენიესთვის» დაწერა. უთხარით, სადისკუსიოა-თქო, რადგან გალინა კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მომხრეა!!

რა თქმა უნდა, ჩვენ აბსოლუტურად წინააღმდეგი ვართ. სტატია ძ ა ლ ი ა ნ კ ა რ გ ი ა. საკითხი საბრძოლოა და იოტისოდენადაც არ დავთმობთ პრინციპულ პოზიციას ბუნდელი არამზადების წინააღმდეგ.

იქნებ «მოგვარდეს», მაგრამ... tenez vous pour averti! *

გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე თ გავლანძღოთ ვპერიოდელები. მირონმა მოიწეროს, არის თუ არა ფული ცენტრალური ორგანოს 4 გვერდისათვის?

«მეტეორი» თუ წაიკითხეთ «რუსკოე ბოგატსტვოში»? რა არის? პასკვილი?

დაწერილია 1913 წლის 25 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა
შემოკლებით 1950 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-4 გამოცემაში, ტომი 35

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

* — საგანგებოდ დაიხსომეთ! რ ე დ.

283

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! დღეს წავიკითხე «მანიფესტი»[269]...

ვგონებ, ლიტერატორთა სრული ამნისტიაა. უნდა სინჯოთ დაბრუნება, — **მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯერ გაიგოთ, შარს ხომ არ მოგდებენ «სკოლის»*** **გამო და ა შ.** ალბათ ამისთვის პასუხს ვერ გაგებინებენ.

იმედი მაქვს, რომ ამ საქმეს არ უდგებით ისე, თითქოს არ შეიძლებოდეს ამნისტიის «მიღება»? ეს სწორი შეხედულება არ იქნებოდა: დღევანდელ პირობებში რევოლუციონერი მ ე ტ ს გააკეთებს შიგ რუსეთში, ჩვენი დეპუტატები კი «საჯარო პირობასაც» აწერენ ხელს.

თქვენ ხელის მოწერას კი არ გეუბნებიან, არამედ ამნისტიის გამოყენებას. მომწერეთ თქვენი აზრი და **რას აპირებთ.** ალბათ აქ გამოიცლით, თუ ადგილიდან დაიძარით, — გზა მაინც აქეთ გაქვთ!

რევოლუციონერი მწერლისთვის კი შესაძლებლობა იხეტიალოს რუსეთში (ახალ რუსეთში) ნიშნავს, რომ შესაძლებლობა მიეცემა ასჯერ უფრო ძლიერად დაარტყას შემდეგ რომანოვებსა და კომპანიას...

ჩემი წინა წერილი თუ მიიღეთ? რაღაც დიდი ხანია თქვენგან არაფერი მიგვიღია. ჯანმრთელად ხომ ხართ?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. თუ მიიღეთ ნ. კ.-ს წერილი და მ ა ს ა ლ ე ბ ი?

დაწერილია 1913 წლის 6 მარტის შემდეგ
გაგზავნილია კრაკოვიდან კაპრის
კუნძულზე (იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* ლაპარაკია კაპრის სკოლაზე (1909 წ.). რ ე დ.

საერთო ხაზი უნდა გავატაროთ ახლა — მტრისა და (იქნებ უფრო მეტად) მერყეევთა წინააღმდეგ. თქვენი თანამშრომლობა, რახან ერთნაირი აზრისა ვართ — ერთიორად უფრო ძვირფასია, რადგან თქვენ ახლოს ხართ დედაქალაქებთან. ეცადეთ იშოვოთ ადგილობრივი საერობო-სტატისტიკური და საფაბრიკო-სტატისტიკური და სხვ. გამოცემები. ამ მხრივ არქიუკმარად გვამარაგებენ.

გართმევთ ხელს...

დაწერილია 1913 წლის 13 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

281

ნ. გ. პოლეტაევს

კრასისთვის

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გამეხარდა თქვენი 2 თებერვლის წერილი და ძალზე ვწუხვარ, რომ მიუხედავად მთელი **რიგი** ცდებისა ჩვენი მხრივ, რეგულარული მიმოწერა ჩვენს შორის დღემდე ვერ დამყარდა. ასეთი მიმოწერის უქონლობა წარმოშობს გაუგებრობას. მახარებს, რომ გააკრიტიკეთ «ლუჩიდან» გამოსვლა, რადგან რუსეთიდან ყოველნაირ კრიტიკას მივესალმები: უკრიტიკოდ ყოველი საქმე მკვდარია. მაგრამ ამჯერად თქვენი კრიტიკა სწორი არ არის, — ოღონდ **ის** კი არ ვიცი, საიდან მივუდგე მის გაბათილებას[266]. შემდეგ წერილს დაველოდები. ერთ გაზეთში მომხდარი «რეფორმების» გამო გეტყვით, რომ თქვენი იქ არყოფნა ძალიან და ძალიან სამწუხაროა. არ დაგიმალავთ, რომ ამ საქმის ფეხზე დაყენება თქვენს ისტორიულ დამსახურებად მიმაჩნია, ხოლო ის, რომ «დიდი და»* დახურეთ და ზაფხულში «სანახევროდ

* «ნევსკაია ზვეზდა». რ ე დ.

284

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! განეცკი ჩემთან ზის. აწყობს საერთო პროტესტს ბაზელის დელეგაციის[270] შესახებ.

ხელი მოაწერეთ და გაუგზავნეთ (თქვენ და ბაზელის **ყველა** დელეგატმა).

1. შკლოვსკის—Schklowsky. Falkenweg. 9. *Bern*.

2. იურის—Bekzadian. Bolleystr. 4. Zürich.

3. ტროიანოვსკებს, რათა უკანასკნელმა (მას შემდეგ, რაც ყველა მოაწერს ხელს) ყველაფერი აქ დააბრუნოს.

თქვენი ლენინი

საჭიროა, რომ **ყველა** დელეგატმა მოაწეროს ხელი.

დაწერილია 1913 წლის 8 მარტს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1960 წელს ჟურნალში «ნოვაია
ი ნოვეიშაია ისტორია» № 3

ბოლოანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

285

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიგზავნით კორექტურას. უამრავი კითხვის ნიშანია: ძალიან ბევრი რამ დამავიწყდა (ათზე მეტ წელიწადში საკვირველიც არ არის). ეს გაითვალისწინეთ და მიეცით **ძალიან ფრთხილი** და ძალიან ტაქტიანი რედაქციის შენიშვნა.

პლეხანოვსა და მარტოვს **ტყუილად** სთხოვეთ თანხმობა ანონიმთა მხილების გამო. თუ უარი გითხრეს (თქვენ კი, ალბათ,

უარს გეტყვიან), უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით, — ამ დროს კი **ჩვენ უფლება გვაქვს** და **ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ვ ა რ თ** გამოვაქვეყნოთ ანონიმები ძველ «ისკრაში»: რადაც უნდა დაგვიჯდეს, ეს უნდა გავაკეთოთ. ეს დაუკითხავად **უ ნ დ ა გ ვ ე ქ ნ ა.**

მე და გრიგოლი თანახმა ვართ ნიღაბი ჩამოვხსნათ «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს ა» და «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი ს» ანონიმებს [27].

გიგზავნით შენიშვნებიან ფურცელს.

მაშ ასე, ზაფხულში ვნახავთ ერთმანეთს. სულითა და გულით გთხოვთ, ჩამობრძანდეთ. ზაკოპანესთან აგარაკი ვიქირავეთ (4 — 6 საათის სავალზეა კრაკოვიდან, სადგური პორონინი) 1. V-დან 1. X-მდე; თქვენთვის არის ოთახი. ზინოვიევები ახლოს არიან.

რაც შეიძლება მეტი წიგნი **ჩამოიტანეთ,** განსაკუთრებით ჟურნალები, რომლებიც არა გვაქვს. თან ვურთავ ს ი ა ს, თუ რა **გ ვ ჭ ი რ დ ე ბ ა.** კიდევ დავაზუსტოთ წერილებით, რომ პარიზიდან (პარიზიდან) წამოიღოთ **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი,** რაც შესაძლებელი იქნება.

Au revoir *.

თქვენი ლ.

P. S. . . . ამოკრიბეთ ალექსინსკისა და ლუნაჩარსკის მთელი პოლემიკა... ** და ჩამოიტანეთ. როგორ ფიქრობთ, შეესაძლებელია თუ არა ალექსინსკის მოწვევა «სკოლაში»***? გრ. მომხრეა, მე — წინააღმდეგი. მოიფიქრეთ. ხომ არა გაქვთ შესაძლებლობა, რომ ალექსინსკისთან მოაწყოთ **ტ ა ქ ტ ი ა ნ ი** tête-á-tête **ზოგადი** საუბრისათვის ისე, რომ **ს კ ო ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ჯ ე რ ა ფ ე რ ი ა რ უ თ ხ რ ა თ?** მოიწერეთ, რაიმე თუ გამოაცხო ლოზოვსკიმ გაფიცვების შესახებ?

* — ნახვამდის. რ ე დ.

** დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. აქ დაქვემოთ რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რ ე დ.

*** ლაპარაკია პარტიულ სკოლაზე, რომლის შექმნას რსდმპ ცენტრალური კომიტეტი პორონინში აპირებდა. რ ე დ.

«სოვრემენი მირ»
პლეხანოვის სტატიით როპშინის რომანის შესახებ
» » ბოგუჩარსკის შესახებ (წიგნი ნ. ვოლიას ისტორიის [შეს.])
»ლ. ი. აქსელროდის რეცენზიით...
ვ. ილინის წიგნზე «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» და სხვა საინტერესო სტატიები...
სტატიები მიწათმოწყობისა და სტოლიპინის აგრარული პოლიტიკის შესახებ.

«რუსკოე ბოგატსტვოში» — 1910 — **1911** — 1912 წლებისა
და **«სოვრემენი მირში»**
«ზავეტებში»
«სევერნიე ზაპისკებში» [272]
} იგივე წლებისა.

დაწერილია 1913 წლის 7 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

286

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიგზავნით «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» კრებულს — №№ 1 — 20, რომელიც მთხოვეთ.

ნაწილი გადავიკითხე. არ დაგავიწყდეთ თქვენი ლეგალური ბროშურისთვის («ორი პარტიიდან») [273] აუცილებლად ჩაურთოთ მთელი თავი ნაციონალ-სოციალისტ ლიკვიდატორთა შესახებ. (**პეშეხონოვი,** №№ 7 და 8 «რუსკოე ბოგატსტვო», 1906 — შეადარეთ «პროლეტარი» № 4, «ესერი მეკები» *).

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 11, გვ. 220 — 232. რ ე დ.

საზოგადოებას ახლა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი დაავიწყდა. ახალ-ბედებმა ა რ ა ფ ე რ ი არ იციან.

ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი თქვენ სახალხო-სოციალისტთა ლიკვიდატორების (და **«ლ ი ა პ ა რ ტ ი ი ს»**) შესახებ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წლის 17 აპრილს
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 განოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

287

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიგზავნით ჩეკს. რახან გვპირდებით, დაგიბრუნებთო, რა გზაა, უნდა მოგცეთ, თუმცა საქმე ცუდად გვაქვს. მოაწესრიგეთ, გეთაყვა, რეფერატები ა ხ ლ ა ვ ე, აქეთობას. დღეს დავბრუნდი ლაიფციგიდან[274]: *6 4* მ ა რ კ ა — მაინც ფულია! რამდენიმე ქალაქში რომ იყოს, მაშინ ბევრად მეტი იქნება.

დღეს გამოგიგზავნით სათათბიროს მასალებს. უნდა დაეხმაროთ დეპუტატებს (6) ს ი ტ ყ ვ ი ს დ ა წ ე რ ა შ ი. აუცილებლად თვითონაც ჩაუჯექით (24. IV. ძ ვ. ს ტ. იხსნება სათათბირო — უნდა ვ ი ჩ ქ ა რ ო თ) და ა ლ ე ქ ს ი ნ ს კ ი ც დასვით. კარგ საბაბს მოგცემთ: pneu * მისწერეთ, როგორც «პრავდის» თანამშრომელს და შეხვდით. სასურველია (მაგრამ ა რ ა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო) სიტყვები გაგზავნოთ კრაკოვით.

თემებს გიგზავნით.

---

* — პნევმატური ფოსტით. რ ე დ.

ეს საქმეები რაც შეიძლება მალე და ენერგიულად მოაგვარეთ. «დაუკავშირდით» ალექსინსკის...

ათასი სალამი.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1913 წლის 26 აპრილზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

288

ი. ე. გერმანს

ძვირფასო ამხანაგო! 1 ოქტომბრამდე მივდივართ *Poronin*-ში (galizien, მისამართია: Herrn Ulianow). 4—6 საათის სავალზეა კრაკოვიდან «ზაკოპანეს» ხაზით. მოიწერეთ ახალი მისამართით.

თქვენი ცენტრალური კომიტეტის ფურცლისათვის, რომელიც გამომიგზავნეთ, მადლობელი ვარ [275]. მალე განიხილეთ და რომ გადაწყვეტეთ, შემატყობინეთ, გსურთ თუ არა ყრილობის წინ აგიტაციის განზოგადებისთვის გამოაქვეყნოთ ლატვიელი ბოლშევიკების (ან პარტიელების, ან ანტილიკვიდატორების) პლატფორმა.

ჩემი აზრით, საჭიროა. თუ ფული არა გაქვთ, ჰექტოგრაფზე დაბეჭდვა შეიძლება.

პლატფორმაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სამ პუნქტს:

(1) ლიკვიდატორებმა უარყვეს რევოლუციური ტაქტიკა. მომენტს ისინი აფასებენ (ფარულად) ლიბერალურად. ეს უნდა განვმარტოთ.

(2) ლიკვიდატორებზე; გადავბეჭდოთ (ან ვრცელი ციტატები ავიღოთ № 101 «ლუჩის» მოწინავიდან) და ლატვიელ მუშებს ვუთხრათ სიმართლე.

(3) ეროვნული საკითხი. სეპარატიზმი და ფედერალიზმი ბუნდელებისა, რომლებმაც «იყიდეს» ლიკვიდატორები. კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მავნეობა.

ხომ არ აჯობებდა, რომ თქვენი ჯგუფი გამოსულიყო ამ საკითხებზე **რეზოლუციის პროექტითაც?** თუ პ ლ ა ტ ფ ო რ მ ი ს დაწერა აჯობებს? როგორ უფრო მოსახერხებელია წინასაყრილობო აგიტაციისა და ყრილობის დელეგატობის კანდიდატთა არჩევნების დროს?

მოიწერეთ თქვენი (და მეგობრების) აზრი. თუ საჭირო იქნა რეზოლუცია ან პლატფორმა, ჩვენ დაგიწერდით. რამდენ ხანში? როდის არის ყრილობა? 2/6

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წლის 6 მაისამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

289

გ. ლ. შკლოვსკის

ძვირფასო შ.! მიაქციეთ ყურადღება, რომ მისამართი გამოვიცვალე. აქ, ზაკოპანეს ახლო სოფელში ჩამოვედით, რათა ნად. კონსტ., რომელსაც პაზედოვის დაავადება აქვს, მთის ჰაერით ვუმკურნალოთ (აქ 700-მდე მეტრი სიმაღლეა). მაშინვე ბენ: თუ მიუშვით, აღარაფერი ეშველებაო, ახ ლ ა ვ ე წაიყვანეთ კოხერთან, ბერნში, პირველი კლასის ექიმიაო... ერთი მხრივ, კოხერი ქირურგია. ქირურგებს ადამიანის გაჭრა უყვართ, ეს ოპერაცია კი, მგონი, არქისაშიში და არქისაეჭვოა... მეორე მხრივ, მკურნალობენ მთის ჰაერითა და ს ი მ შ ვ ი დ ი თ. მაგრამ ჩვენთვის «სიმშვიდე» ასეთი ნერვიული ცხოვრების პირობებში ძნელი საქმეა. დაავადება კი ნერვულ ნიადაგზეა. 3 კვირას ელექტრონით მკურნალობდნენ. წარმატება=0.

ყველაფერი ძველებურად დარჩა: თვალებიც ებერება, კისერიც, გულისცემაც ხშირი აქვს, ბაზედოვის დაავადების ყველა სიმპტომია.

ხომ არ შეგიძლიათ მიიკითხ-მოიკითხოთ კოხერის შესახებ? არ ვიცი, როგორ გავაკეთო ეს და რჩევა მინდა. ხომ არ შეიძლება ვინმესთან, სტუდენტთან ან ექიმთან ერთად მიხვიდეთ კოხერთან მოსალაპარაკებლად? თუ ავადმყოფის უნახავად არაფერს არ იტყვის? ან იქნებ აქაური (ვ. ი. კრაკოველი) მკურნალი ექიმის წერილი ვიშოვოთ და ისე ვესაუბროთ? ან საერთოდ, თუ შესაძლებელია სერიოზული ცნობები მივიღოთ ბერნში კოხერის შესახებ ან კოხერისაგან (ეს აჯობებდა, რა თქმა უნდა), ძალზე დამავალებთ. თუ აღმოჩნდა, რომ ბერნში ჩამოსვლაა საჭირო, მოიწერეთ, როდის იღებს კოხერი, როდის წავა დასასვენებლად და როგორ უნდა მოვეწყოთ ბერნში, სამკურნალოში (ძალიან ძვირია თუ არა) თუ სხვაგან.

გართმევთ ხელს და წინასწარ მადლობელი ვარ გარჯისათვის.

თქვენი ნ. ლენინი

Absender: Wl. Ulianow. *Poronin* (Galizien).

დაწერილია 1913 წლის 8 მაისს
გაგზავნილია ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 8

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

290

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! გიგზავნით ტროიანოვსკის წერილს [277].

ჩემი აზრით, თუ არამზადა სემკოვსკის ვუპასუხებო («Kampf»-ს გრიგოლი გიგზავნით), უნდა ვუპასუხოთ მხოლოდ რიხიანად და არა ისე, როგორც «Neue Zeit»-ში სტეკლოვს.

დაწერეთ მოკლედ, მაგრამ გადაჭრით და მტკიცედ სოციალიზმისა და დემოკრატიის მოღალატეებზე, შტრაიკბრეხერთა

გაზეთ «ლუჩზე», მუშების უმრავლესობაზე, რომლებიც «პრავდას» მიჰყვებიან. თუ ოპორტუნისტმა ავსტრიელებმა არ დაბეჭდეს, მაშინ ჩვენ გამოვცემთ ვენის 1914 წლის ყრილობის[278] ანგარიშში. მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ, რომ დაიწეროს «Neue Zeit»-ისა თუ «Kampf»-ის ოპორტუნისტთა «უხამსობის შესაბამისად».

თქვენ რა აზრისა ხართ?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მე იმის მომხრე ვარ, რომ «Kampf»-ს რიაზანოვის ჩ ა უ რ ე ვ ლ ა დ მივმართოთ. ეს «პატიოსანი მაკლერი» მთელ საქმეს ჩააოხრებს, გააძნელებს გარეგნული თავაზიანობითა და შინაგანი უხამსობით. აჯობებს პირდაპირ ვიმოქმედოთ და პირდაპირი პასუხი მოვაცემინოთ. რიაზანოვი კი, თუ სურს, შორიდან «მოგვეხმაროს» (ჰმ, ჰმ)...*

დაწერილია 1913 წლის 20 მაისამდე
გაგზავნილია პორონინიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

291

კ. ჰიუისმანსს

ძვირფასო ამხანაგო ჰიუისმანს! უკვე რამდენიმე ხანია IV სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხაზინადარია მურანოვი. ს.-პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში იგი აქვეყნებს ანგარიშებს ფრაქციის მიერ მიღებული თანხების შესახებ. როგორც გაზეთები წერენ, ბელგიაში საყოველთაო გაფიცვის დაწყებიდანვე რუსი მუშები აგროვებენ სახსრებს «ბელგიელი მუშებისათვის»[279]. მაგალითად, №№

* დოკუმენტის ხელნაწერი ნაწილობრივ დაზიანებულია. რამდენიმე სიტყვა გაურკვეველია. რ ე დ.

101, 102, 109, 116 გაზეთ «პრავდაში» დაბეჭდილია მურანოვის ხელმოწერილი ანგარიშები. მას ბელგიელი მუშებისათვის მიუღია 500 მანეთამდე, რომლებიც რუს მუშებს შეუგროვებიათ რუსეთის ყველა კუთხეში. ეჭვი არ მეპარება, რომ 800+700 ფრანკი, რომლებიც თქვენ მიიღეთ, რუსმა მუშებმა შეაგროვეს ბელგიელი მუშებისათვის. მურანოვს მივწერ, და თუ ამ თანხებს სხვა დანიშნულება აქვს (რაც ფრიად სათუოა), შეგატყობინებთ.

[წერილის ვარიანტი *]

ძალზე შესაძლებელია, რომ 1500 ფრანკი, რომლებზეც ლაპარაკია, რუსმა მუშებმა შეაგროვეს ბ ე ლ გ ი ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. სახსრებს აგროვებდნენ მას შემდეგ, რაც ბელგიაში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა. სიები იბეჭდება ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში მ უ რ ა ნ ო ვ ი ს ხელმოწერით, რომელიც ამჟამად IV სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის ხაზინადარია. მურანოვს მივწერ და ვთხოვ, რომ დააზუსტოს.

(ს ი ნ ა წ ვ რ ი ბ ე ლ გ ი ე ლ ი მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს
ფ უ ლ ი ს შ ე გ რ ო ვ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ **)

ბელგიელებისათვის შეგროვებული ფული.

1 500 frs.=დაახლოებით 600 მანეთი.

„პრავდა" № 116	36.30 5.80	42.10
№ 109	24.60 18. 1.60 16.45 53.24 1.40 7.25 6.30 8.15	136.99

* ქვემოთ იბეჭდება ტექსტი, რომელიც დაწერილი იყო წინა წერილის მინდორზე. რ ე დ.

** ეს რუსულად წარწერილია წერილის მეორე გვერდზე. რ ე დ.

№ 102	132.16	291.99
(შბ. 4.V.1913) № 101	159.83	
		471.08

დაწერილია 1913 წლის
4 ივნისზე გვიან
გაგზავნილია პორონინიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ეპოსი ისტორიი
კპსს» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

292

ი. რუდის-გიპსლისს

ძვირფასო ამხანაგო! პლატფორმის პროექტი გუშინ გავუგზავნე ბერლინში გერმანს *.

ბერზინის [280] სტატიიდან ამონაწერი, რომელიც თქვენ გამომიგზავნეთ, ცხადყოფს, რომ იგი ძალიან სულელი შემარიგებელი ყოფილა. თქვენს გარშემო მტკიცე ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ, რომლებსაც ესმით საქმე, ხოლო ბერზინის მსგავსი ადამიანები საქმით **ლიკვიდატორებს** ეხმარებიან. ესენი ლიკვიდატორთა მსახურნი არიან.

გამომიგზავნეთ ბერზინის მთელი სტატიის თარგმანი (რუსულ ან გერმანულ ენაზე, რომელიც უფრო ადვილი იქნება თქვენთვის).

ბერზინს უნდა ეუპასუხოთ **დაწვრილებით** და **მკვახედ**.

სალამი! თქვენი ლენინი

ჯერჯერობით, სანამ თქვენგან მხოლოდ პატარა ამონაწერი მაქვს, ბერზინის წინააღმდეგ მხოლოდ შემდეგი შემიძლია ვთქვა:

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «პლატფორმის პროექტი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობისათვის» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 110 — 121). რედ.

ბერზინი ცდილობს, საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს «ბოლშევიკები», ესე იგი უფრო სწორად რსდმპ 1912 წლის იანვრის კონფერენცია გათიშვას ახდენდეს იმით, რომ არღვევს სტოკჰოლმის დადგენილებას. ბერზინი ამით მხოლოდ თავის უმეცრებას ამჟღავნებს. მან არ იცის, როგორია სტოკჰოლმის დადგენილება.

სტოკჰოლმის ყრილობას ფედერაცია არ მიუღია. მან მიიღო **ხელშეკრულება** ნაციონალებთან (ე. ი. პოლონელებთან, ლატვიელებთან და ბუნდთან) [281].

ეს ხელშეკრულება მოითხოვდა ნაციონალთა გაერთიანებას ადგილებზე. ბერზინი ამას გვერდს რატომ უვლის? უმეცრებით თუ ლიკვიდატორებისათვის ხელის დასაფარებლად?

ამის დამამტკიცებელი საბუთია — **პარტიის** გადაწყვეტილება **1908 წლის** დეკემბრის კონფერენციაზე (ესე იგი ორ წელიწადნახევარი სტოკჰოლმის შემდეგ).

გადაწყვეტილებაში ნათქვამია (იხ. ბროშურა «რსდმპ სრულიად რუსეთის 1908 წლის დეკემბრის კონფერენცია», გვ. 46) —

(3. 1) «კონფერენცია წინადადებას აძლევს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ზომები ადგილობრივ ორგანიზაციათა გაერთიანებისათვის... სადაც ეს დღემდე — **სტოკჰოლმის ყრილობის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ,** არ მომხდარა».

(3. 2) «გაერთიანებას საფუძვლად უნდა ედოს **ერთობის** პრინციპი». კონფერენცია «**გადაჭრით წინააღმდეგია** იმისა, რომ გაერთიანებას საფუძვლად ჰქონდეს **ფედერალიზმის** პრინციპი» [282].

ამის შემდეგ რაღა უნდა ითქვას ბერზინის უნამუსობაზე, რომელიც გვარწმუნებს, სტოკჰოლმის ყრილობამ ფედერაცია მიიღოო??

ბერზინი ამახინჯებს საქმეს!

ბუნდელებმა არ შეასრულეს ყრილობისა და პარტიის დადგენილება იმით, რომ არ განახორციელეს ერ-

თ ო ბ ა, ქმნიან ფედერაციას **პარტიის გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ.**

იანვრის კონფერენცია გმობს ბუნდელებს და გმობს ფედერაციას[283]. თუ იანვრის კონფერენციაზე არ გამოცხადებულა ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტი (კონფერენციის უ ნ ე ბ უ რ ა დ, რომელმაც ივი მოიწვია), ეს **მისი** ბრალია.

ბერზინი იცავს გამთიშველ-ლიკვიდატორებს და ბუნდელებს, იცავს ფ ე დ ე რ ა ც ი ა ს **პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.**

დაწერილია 1913 წლის 7 ივნისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს კურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

ბეჭდება ხელნაწერის ნიხედვით

293

ი. რუდის-გიპსლისს

7/VI. 1913.

ძვირფასო ამხანაგო! მივიღე და წავიკითხე ბერზინის მ თ ე ლ ი სტატიის თარგმანი.

სტატია კ ა რ გ ი ა. არ ვარგა მხოლოდ ის ადგილი, რომელმაც დიდად გამაბრაზა. მაგრამ **მაშინვე** გთხოვეთ, რომ მ თ ე ლ ი სტატია გამოგეგზავნათ და ამით გიჩვენეთ, რომ საჭიროდ მიმაჩნია მ თ ე ლ ი სტატიის წაკითხვა. როცა ბერზინს მისი სტატიის ნაწილისათვის ვლანძღავდი, იქვე გთხოვეთ მ თ ე ლ ი სტატია გამომიგზავნეთ-მეთქი. ეს კი ნიშნავს, რომ თქვენ ა ჩ ქ ა რ დ ი თ, როცა ბერზინს გადაუგზავნეთ ჩემი მკვახე შენიშვნა მისი სტატიის ნაწილის შესახებ.

ბერზინმა წერილი მომწერა, სადაც ამბობს, ალბათ, ცუდად იცნობთ საქმესო. (რა თქმა უნდა, სტატიის ერ.თ ი ნაწილის წაკითხვით არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა კარგად იცნობდე მ თ ე ლ სტატიას!)

ბერზინის მთელი სტატია რომ წავიკითხე, ვრწმუნდები, არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ი ს ი დ ა ყ ე ნ ე ბ ა ბ რ ა უ ნ ი ს

გვერდით. ვიმეორებ, ბერზინის სტატია **კარგი სტატიაა**; მის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი **უთანხმოებანი** მასთან (სტოკჰოლმის გადაწყვეტილების შეფასებაში და ა. შ.) საკმაოდ კერძო ხასიათისაა. არა მგონია, ახლა ღირდეს პრესაში ამ უთანხმოებათა განხილვის დაწყება. ისე ჩანს, რომ ბერზინი ჩვენთან მოდის და მოვა კიდეც.

თუ უკვე გაგზავნეთ (პრესისათვის) პასუხი ბერზინისადმი, გირჩევთ **შეაჩეროთ** და მე გამომიგზავნოთ: ჩვენ მოვითათბირებთ.

მალე მოიწერეთ, რა ბედი ეწია პლატფორმის ჩემს პროექტს, რომელიც მე გამოგიგზავნეთ.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

294

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! დამავიწყდა დამემატებინა, რომ «პროსვეშჩენიესთვის» ლიბერალებთან თათბირის შესახებ არ დამიწერია და არ ვწერ.

დაწერეთ ამ თემაზე. თემა ზედმიწევნით უნდა დაღეჭოთ, დოკუმენტები გამოიყენოთ, გაბეროთ, ლოზუნგად აქციოთ. შეეცადეთ!

თქვენი ვ. უ.

დაწერილია 1913 წლის 8 ივნისს
გაგზავნილია პორონინიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

295

მელითონეთა პროფკავშირის გამგეობის წევრ ბოლშევიკთა ჯგუფს

ძვირფასო მეგობრებო! ორივე წერილი მივიღეთ, გმადლობთ. სიხარულით დაგეხმარებით, რითაც შეეძლებთ. სპეციალური ინსტრუქციის დაწერა არ ღირს. ამ დღეებში ამ თემაზე დავბეჭდავთ გრ.-ის სტატიების სერიას. შეეცადეთ, რომ «მეტალისტმა» გადაბეჭდოს. «მეტალისტისთვისაც» დავწერთ, რამდენადაც შესაძლებელი იქნება. საჭიროა, ჰონორარი გადაიხადონ, — მაშინ უცებ გავაფართოებთ თანამშრომელთა წრეს. როგორც ჩანს, ამ დღეებში იქნება ახალი გადამწყვეტი კრება. ჩვენები იწერებიან, ლიკვიდატორები თავს უყრიან მთელ ძალებს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გაგვიმართონო; რა თქმა უნდა, არც ჩვენებს სძინავთ და ალალბედზე არ მიუშვიათ საქმე. საქმე უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და სერიოზულია. რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავიცვათ მონაპოვარი. ამ ბრძოლაში მთელი სულითა და გულით თქვენთან ვართ. რატომ აირჩიეთ მდივნად ლიკვიდატორი? [284] დამზღვევი კომისიის გამოც რა ამბავი იყო? ველით წერილებს. ყოველთვის გვაცნობეთ, იქ რის შესახებ მივწეროთ. შეგვატყობინეთ ხოლმე ვითარება. სულით და გულით გისურვებთ წარმატებას.

დაწერილია 1913 წლის 16 ივნისს
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანუსკრიპტზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

296

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! მხოლოდ **დღეს, 16. VI. 1913,** მივიღე გაფართოებული ფორმატის **«პრავდის»** ნომრები,

ვჩქარობ მოგილოცოთ რედაქციას და თანამშრომლებს. გისურვებთ ყოველნაირ წარმატებას. ახლა, ჩემი აზრით, მთავარია არ დავივიწყოთ, რომ უნდა ვიბრძოლოთ 100 000 მკითხველისათვის. ამისათვის საჭიროა (1) პატარ-პატარა, არქიპოპულარული 1-კაპიკიანი საკვირაო დამატებანი. აუცილებლად ჭოიწერეთ თქვენი აზრი ამის თაობაზე, აგრეთვე მონაცემები ხარჯთაღრიცხვის შესახებ: ესე იგი რამდენი ფულია **აღებული** ფორმატის გასაფართოებლად? და ახლა თვეში რამდენი იხარჯება, წინანდელზე რამდენით მეტი? **დიდი** (და ერთადერთი) საშიშროება «პრავდისათვის» ახლა ფართო მკითხველის დაკარგვა, მკითხველისათვის ბრძოლის პოზიციების დაკარგვაა.

ეს არის პირველი საქმიანი პუნქტი და ძალიან გთხოვთ ყველა საქმიანი პუნქტი გააცნოთ გამომცემელს, მე კი უარი არ მითხრათ და პასუხი გამომიგზავნოთ.

(2) ფოსტის მოსამსახურეთა და ა. შ. 7-საათიანი სამუშაო დღის საკითხში რედაქცია აშკარად შეცდა. შეცდომა შეიძლება ყველას მოუვიდეს და აქ განსაკუთრებით ცუდი არაფერია. მაგრამ იმით, რომ დაჟინებით არ სურს შეცდომის გამოსწორება, რედაქცია დიდი ხნით, სამუდამოდ თუ არა, «ტოვებს ხიწვს», იფუჭებს სახელსა და მდგომარეობას რუსეთშიც და ევროპაშიც. ძალიან გამეხარდებოდა მდივნის წერილიდან რომ შემეტყო, შეცდომას რედაქციაში ყველა როდი უჭერდა მხარსო. დაბეჯითებით გირჩევთ, გადასინჯოთ საკითხი და გაზეთში გამოაქვეყნოთ სხვა პოზიცია (ხელმოუწერლად დაბეჭდოთ გ. ზ.-ს სტატია **რედაქციის სახელით**). საკმარისია ორი სტრიქონი: «რედაქციამ გადასინჯა საკითხი და გამოიტანა შემდეგი დასკვნა» — **გ. ზ.**-ს სტატია ან: «გადასინჯა რა საკითხი რედაქციისა და თანამშრომელთა უფრო სრული შემადგენლობით». ეს უარესია, ვიდრე უბრალოდ **«გადასინჯა»** [285].

დაე «ლუჩელმა» მატყუარებმა ბუქნა ჩამოუარონ ამ გასწორების გამო — მხოლოდ **ცრუ** მორცხვობას შეუძლია ხელი შეუშალოს ამას. 1000-ჯერ უარესია, თუ «ლუჩს» სამუ-

დ ა მ ო დ მიეცა საშუალება იმოწმებდეს ამ შეცდომას. გამოსწორებული შეცდომა ქრება. გამოუსწორებელი ჩირქოვან იარად იქცევა. ასეთ შემთხვევებში ვაჟკაცობა უნდა გვეყოს და მაშინვე დავთანხმდეთ ოპერაციაზე. სხვაგვარად ნაკლებად სასიამოვნო იქნება, როცა «პრავდის» მთელი რიგი მეგობრები — ცალკეული ლიტერატორებიც და პ რ ე ს ი ს ო რ გ ა ნ ო ე ბ ი ს თანამშრომლებიც გაემიჯნებიან «პრავდის» პოზიციას.

ძალიან გთხოვთ იმსჯელოთ ყოველივე ამაზე და მაშინვე მომწეროთ ორიოდ სიტყვა.

(3) ი. კ.-ს გამო უკვე ერთხელ მოგწერეთ. მისი სტატია ალექსეენკოს შესახებ ჩინებულია. და, რა თქმა უნდა. აიტორს შეუძლია განუწყვეტლივ წეროს ასეთი სტატიები. მაგრამ ჰონორარს არ აძლევთ — ეს უმსგავსობაა!! მწერს, მეტს აღარ დავწერო, იმედი მაქვს, არ შეგეძლოთ გეფიქრათ, რომ ფორმატის გაფართოება მოითხოვს ა ხ ა ლ ხარჯებს მ ხ ო ლ ო დ ქაღალდისა და დაბეჭდვისათვის. რასაკვირველია, თქვენ ითვალისწინებდით აგრეთვე ხარჯების გარდუვალ ზრდას ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი მ ხ ა რ ი ს თ ვ ი ს ა ც. ი. კ. პირველ ადგილზე უნდა დააყენოთ. მას ახლა რაიმე საარსებო სახსარი არა აქვს. «პრავდისა» და «პროსვეშჩენიეს» თანამშრომლის დაკარგვა არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა. ამიტომ დაბეჯითებით გირჩევთ, ახლავე მიიღოთ გადაწყვეტილება, რომ ი. კ.-ს გადაუხადოთ თვეში 75 (სამოცდათხუთმეტი) მანეთი. ეს — minimum-ია როგორც გაზეთის, ისე ჟურნალის მუდმივი თანამშრომლისათვის; გაიხსენეთ ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილებაც, რომელიც ჩვენთან საერთოდ მოიკოჭლებს, უმისოდ კი «დიდი» გაზეთი შეუძლებელია.

ძალიან გთხოვთ, ამ საკითხზე დაუყოვნებლივ მიპასუხოთ. ი. კ.-საგან მივიღე ულტიმატური კილოთი დაწერილი წერილი და მოვალეობად მიმაჩნია გავაფრთხილო «პ რ ა ვ დ ი ს» რედაქცია და გამომცემელი, რომ გაფართოებული გაზეთის გამოცემას ისე, რომ უარი ეთქვას ასეთ თანამშრომელს, არ ვიცი, ვინ მიიჩნევს შესაძლებლად.

(4) ვიტიმსკის სტატია № 123-ში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით კარგი იყო. ვულიციავ ავტორს. სტალინ კი, ჩემი აზრით, უნდა გადაბეჭდოთ: კარგია! [286].

[ამასთან გიგზავნით პასუხს ვიტიმსკისადმი*, რომელიც (პასუხი), მგონი, თქვენც უნდა წაიკითხოთ (ვერ მივხვდი, ვიტიმსკის წერილი პირადია თუ არა; ვფიქრობ, არა).]

(5) როგორც გვატყობინებენ, რედაქციაში უკვე ერთი თვეა დევს ალექსინსკის წერილი «სადავო საკითხთა»** გამო. არ მესმის ასეთი დამოკიდებულება!!! რედაქცია, როგორც ჩანს, არ იცნობს ვითარებას, არ იცის «ვპერიოდის» ჯგუფის ისტორია და **შეცდომა** მოუვიდა ბ-ნ **ბოგდანოვის** თაობაზე. (ამაზე ცალკე). რატომ აქ არ გამოგზავნეთ ალექსინსკის წერილი? ეს აუცილებელია, რათა მოვითათბიროთ ერთადერთი «ვპერიოდელის» გამო, რომელსაც ეყო ჭკუა, აღმდგარიყო ბილწი ემპირიომონიზმისა და მისთანა სიზიზღრობის წინააღმდეგ, რომლებიც ჩირქს სცხებენ პროლეტარულ პარტიას. რედაქცია კი იმით, რომ ბეჭდავს ბოგდანოვის [287] სიცრუით სავსე წერილებს, აძნელებს ალექსინსკის შესახებ საერთო თათბირის მოწვევის საქმეს: იქნებ არც მისი წერილი ვარგა, მაგრამ უნდა მოვითათბიროთ. ამისთვის ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ მისი წერილი და საერთოდ გამოგზავნოთ ხოლმე ასეთი რამეები.

(6) ბ-ნ ბოგდანოვთან მომხდარი ინციდენტის გამო ცალკე გიგზავნით მიმართვას «პრავდის» სარედაქციო კოლეგიისა და გამომცემლისადმი***. ეს საკითხი უაღრესად სერიოზულია. ჩემთვის ძალიან არასასურველია «პრავდის» რედაქციის წინა-

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 189—191. რედ.

** იქვე, გვ. 159 — 188. რედ.

*** იხ. ვ. ი. ლენინი. «ბ. ბოგდანოვისა და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის («პრავდის» სარედაქციო კოლეგიისათვის)» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 192 — 194). რედ.

ალმდეგ პრესაში გამოსვლა — ჩვენ ძალიან დიდხანს ვმუშაობდით ერთად. — მაგრამ ოტზოვიზმის მხარდაჭერა ჩემთვის 100-ჯერ უარესი ცოდვაა, ვიდრე ლიკვიდატორთა მხარდაჭერა, და არათუ უარესი ცოდვა, არამედ უსინდისობაც. და მე, სინდისის წინაშე გეუბნებით, არ შემიძლია პრესაშიც არ გამოვიდე ამ მხარდაჭერის წინააღმდეგ, რომელიც აშკარა გახდა ბ-ნ ბოგდანოვის წერილის დაბეჭდვით. თუ ეს შეცდომაა, გამოვასწოროთ. თუ არა, ვიომოთ.

ალექსინსკის წერილი გამოგზავნეთ. ძალზე საჭიროა.

ალექსინსკი მეგობრულად გელაპარაკებათ, თქვენ კი მას... ბოგდანოვს!!

(7) აპრილის ფული მივიღე. უნდა გამოგზავნოთ მაისის. ძალიან გთხოვთ, ნუ დააგვიანებთ. (ფული უკიდურესად მჭირდება ცოლის მკურნალობისათვის, ოპერაციისათვის.)

მზად ვარ გემსახუროთ ვ. ი.

ძალზე მეშინია, პლეხანოვი ხომ არ გაინაპირეთ!! პოტრესოვი ტყუის და ჩირქს გვცხებს. პლეხანოვს კი აიძულებთ ჩუმად იყოს?? ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა[288].

დაპირებისათვის, რომ გამომიგზავნით «პრავდისა» და «ლუჩის» ნომრებს, რომლებიც მაკლია, დიდი მადლობა. ოღონდ თქვენ ერთხელ შეცდომით ახსენეთ ერთი ნომერი 1912 (თორმეტი) წლის № 8 (მერვე ნომრის) ნაცვლად. ეს № 8 (1912 წ.) ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნოთ. მისი 180 ეგზ. რედაქციას დაუბრუნეს დაპატიმრების შემდეგ.

დაწერილია 1913 წლის 16 ივნისს
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

297

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო ლ. ბ.! სანამ არ გვიჩხუბია (და იმედი მაქვს, არც ვიჩხუბებთ) — — — ვხუმრობ — «განსაკუთრებული და არასასიამოვნო» საბაბით, სხვაზე ვილაპარაკოთ.

ამასთან გიგზავნით საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წერილს. იკისრებს საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი თუ არა? თუ იკისრა, ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ მაცნობოს. თუ არა, დამიბრუნეთ წერილი.

საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტს გადაეცით: მოიპარეს (ან საერთოდ იშოვეს) ჟანდარმთა ცნობა, რომ ვინმე **პოლონსკის**, რომელიც რუსეთიდან ლეგალურად წამოსულა, დაბრუნებისთანავე დააპატიმრებენ.

თუ შეიძლება, საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტმა ყველას შეატყობინოს და შეეცადოს **პოლონსკის** მოძებნას. მეტი არაფერი არ ვიცი.

ალექსინსკის გამო მივწერე «პრავდას», ვთხოვე, მისი წერილი დაებრუნებინათ*. ბ-ნ ბოგდანოვის სიცრუის გამო გაშმაგებული წერილი და ულტიმატუმი გავგზავნე, რომ დაბეჭდონ. ვნახოთ. თუ არადა, წავალ **«პროსვეშჩენიეში»**. («პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» მივწერე თქვენს სტატიაზეც: **მე სავსებით მომხრე ვარ**—«ლუჩთან» ლიბერალთა და «პრავდის» თათბირის თაობაზე).

გირჩევთ ალექსინსკის პატიოსნად და პირდაპირ, ამხანაგურად დაუსვათ საკითხი. მიდიხარ, რათა რჩევა იკითხო ლუნაჩარსკის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ? Bon! Mais alors de deux choses une**: ან პრესაში ილაშქრებ **«ვპერიოდის»** ფილოსოფიური ფრთის წინააღმდეგაც (c'est déjà fait ***) **დ ა ო ტ ზ ო ვ ი ს ტ უ რ ი** ფრთის წინააღმდეგაც, აცხადებ — ამ ჯგუფში

---

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

** — კეთილი! მაგრამ მაშინ ორში ერთი. რ ე დ.

*** — ეს უკვე გაკეთდა. რ ე დ.

იყო როგორც ფილოსოფიურ-რეაქციული, ისე პოლიტიკურ-**ანარქისტული** ტენდენცია. მე (ალექსინსკის) მიხარია, რომ ისინი მოვიშორე-თქო.

მაშინ ჩვენ შეგვიძლია დავთანხმდეთ პატიოსან ბლოკს. არ გავიხსენებთ ძველ კინკლაობას და სიხარულით შევხვდებით თანამშრომელს (პლეხანოვზე 100-ჯერ ნაკლებს) «პრავდაშიც» და «პროსვეშჩენიეშიც».

თუ შენ ეშმაკობ? მაშინ მარტო იარე. იქნები შემთხვევითი თანამშრომელი, ჩვენ კი ხელს დავიბანთ.

დიპლომატია საჭირო არ არის. პირდაპირ ელაპარაკეთ. აუცილებლად.

თქვენი ლენინი

P. S. 20-იან რიცხვებში ნ. კ.-სთან ერთად მივდივარ **ბერნში:** იქ ვიქნები 27. VI. ალბათ, ოპერაცია მოგველის.

P. S. ჰიუსმანსმა დაახსახელა პოლონელი დელეგატები ოპოზიციიდან და არ უთქვამს, რომ ისინი პოლონელები არიან!!! თქვენ კი ჩაგრიცხათ (+ მე, + პლეხანოვი!!) საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წარმომადგენლად. (უკანასკნელი Bulletin! [289])

P. P. S. ადრე უკვე მივწერე «პრავდას» თქვენი ჰონორარის შესახებ *. ახლა ვწერ 75 მან. შესახებ, გრიგოლის წერილის შესაბამისად.

დაწერილია 1913 წლის 16 ივნისს
გაგზავნილია პორონინიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

298

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! დიდი, დიდი ხნის წინათ მოგწერეთ კრაკოვიდან — პასუხი კი არ მიმიღია.

* იხ. წინა წერილი. რედ.

დღეს მოვიდა წერილი რუსეთიდან, ოდესიდან. მწერენ, რომ სტარკს (?) (კაპრიელს) უკვირს, რატომ არ შევატყობინე ოდესელს, რაც სტარკისგან და თქვენგან ვიცოდი (!) ოდესის ბოლშევიკური გაზეთის შესახებ!!

ეს რა გაუგებრობაა და საიდან წარმოიშვა?? მე ვუთხარი ოდესელს, რომ თქვენ მწერთ ოდესის ბოლშევიკურ გაზეთზე, რომლის შესახებ მე არაფერი არ ვიცი*. და დღემდეც არაფერი არ ვიცი. ოდესელი იწერება, მასში «უმცროსი მალიანტოვიჩიც» მონაწილეობსო. პირველად მესმის. რომელი მალიანტოვიჩია? «ნიკიტიჩევსკი»? [290] (პირადად არც ერთ მალიანტოვიჩს არ ვიცნობ). მოსკოველი ადვოკატია თუ სხვა ვინმე?

მოიწერეთ, რაც იცით. უნდა გავარკვიოთ გაუგებრობა.

საზაფხულოდ გადმოვედი (*Poronin*-ში (ზაკოპანესთან) ცოლის სამკურნალოდ. 1913 წლის 27. VI-სთვის მასთან ერთად მივდივარ ბერნში ოპერაციის გასაკეთებლად. ჩემი მისამართია: *Poronin* (Galizien). Austria.

ბერნში 2 — 3 კვირას დავრჩები. იქ შეიძლება მომწეროთ მისამართით: Herrn Schklowsky. 9. Falkenweg. 9. *Bern* (ლენინისთვის).

თქვენ როგორა ხართ? თუ მოიკეთეთ გაზაფხულს აქეთ? სულით და გულით გისურვებთ, რაც შეიძლება კარგად დაისვენოთ და გამოჯანმრთელდეთ.

თქვენი ლ. ენინი

დაწერილია 1913 წლის 22 ივნისს
გაგზავნილია კაპრის კუნძულზე
(იტალია)

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის I კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* დადგენილი არ არის, რომელ გაზეთზეა ლაპარაკი. რ ე დ.

299

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო! ძალიან გთხოვთ აქ, ბერნში, გამოგიგზავნოთ მაისის (აგრეთვე ივნისის) ჰონორარი (100 მან.) მისამართით:

Herrn *Ulianow*. 4. Gesellschaftsstraße. 4.

შ ვ ე ი ც ა რ ი ა. *Bern*. Schweiz.

აქ ერთ თვეს უნდა დავრჩე, რადგან ცოლს ოპერაციას უკეთებენ. ფული უკიდურესად მჭირდება.

იმედი მაქვს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ აქედანაც შევძლებ «პ რ ა ვ დ ა შ ი» თანამშრომლობას.

ბოგდანოვის წინააღმდეგ ჩემი სტატიის გამო ძალზე გაკვირვებული ვარ, რომ რედაქცია გვერდს უვლის საქმის ა რ ს ს: ბოგდანოვმა რ ე დ ა ქ ც ი ა მოატყუა და მისი საშუალებით 40 000 მკითხველი. ნუთუ ამას უნდა შევურიგდეთ?? თანახმა ვარ ამოვიღო სიტყვა «ბატონი» და დავტოვო მ ხ ო ლ ო დ «ბოგდანოვი» *. ვფიქრობ, ეს დაგაკმაყოფილებთ.

სალამი! ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია არა უადრეს 1913 წლის 25 ივნისისა
გაგზავნილია პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

300

ლ. ბ. კამენევს

29/VI. 1913.

ძვირფასო ლ. ბ.!

მივიღე ცენტრალური ორგანო და წერილი. დიდი მადლობა.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 192 — 194.
რ ე დ.

კოხერმა გაგვაწვალა. ჭირვეულია. ჯერაც არ მივუღიეართ, ლოდინი მოგვიწევს.

თუ შეიძლება, «პრავდას» მიხედეთ. მ ი რ ო ნ ი დ ა ა პ ა-ტ ი მ რ ე ს. **ხალხი არა გვყავს.** ახლა წერა არ შემიძლია.

პიტერიდან პეტერბურგის კომიტეტისა და მელიფონეთა კავშირის შესახებ კარგი ამბები მოვიდა, აგრეთვე სკოლის გახსნის შესახებაც: ექვსეული **შეგვპირდა.** სამოილოვი 10 დღეში ზაკოპანეში უნდა იყოს. ამბობენ, პლეხანოვი პარიზშიაო. თუ შეგიძლიათ, ინახულეთ, არქისაჭიროა: მე მივწერე (არქიკონსპირაციულად — **მარტო** პირადად მას) სკოლის შესახებ და ვთხოვე ჩამოსულიყო *. ხმას არ იღებს ყალთაბანდი, იგნატი ლიოლა, მელაკუდობის გენერალი. ჰოდა, მით უარესი მისთვის. სკოლა იქნება. გორკი თითქმის დაგვეთანხმა.

Au revoir!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. დიდი მოკითხვა ყველა პარიზელ მეგობარს.

P. S. ტულიაკოვზე სერიოზულ იმედებს ვამყარებთ. **დანარჩენებზე** (ჩვენიანი ვინც არ არის) ნაკლებს. სწყურიათ «მეცნიერება» და მოითხოვენ პლეხანოვს. სულელი იქნება, თუ არ წავა.

აქ ხმა დაირხა, რომ პლეხანოვი დაახლოებით 10 ივლისს წავა Beatenberg-ში **. პარიზში რას ამბობენ?

ალექსინსკისთან ჯერ **არ ღირს** სკოლაზე ლაპარაკი. მოვასწრებთ, **თუ** საჭირო გახდა საქმე მხოლოდ აგვისტოში დაიწყება.

გაგზავნილია ბერნიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 90 — 91. რ ე დ.
** — ბეატენბერგი (შვეიცარია). რ ე დ.

301

ლ. მ. კნიპოვიჩს

ძვირფასო ლიდია მიხეილის ასულო!

გივზავნით თქვენთვის ნაყიდ ღია ბარათს ბერნის გეგმითურთ, რომელზეც აღნიშნულია საჭირო მისამართები.

ძალიან გირჩევთ ბერნში წასვლას: **უნდა იმკურნალოთ, და მხოლოდ კოხერი** მოგარჩენთ. ყოველნაირი ცნობები შევკრიბე, სამედიცინო ლიტერატურაშიც ვნახე (მისი შვილის, ალბერტ კოხერის სქელი წიგნი ბაზედოვის დაავადებაზე), ბერნელ ექიმებსაც ვეთათბირე და საკუთარი გამოცდილებითაც გირჩევთ.

სექტემბერში მისწერეთ წერილი პროფ. კოხერს, სთხოვეთ დაგინიშნოთ მიღების ზუსტი დრო (თან აღნიშნეთ, რომ **მხოლოდ** ესა და ეს თანხა გაქვთ: თორემ შემდეგ მოგელით არასასიამოვნო ვაჭრობა **კულაკ** Frau Professor-თან). კოხერი გიპასუხებთ. დაგინიშნავთ მიღების **დ რ ო** ს. მაშინ წადით. ბერნში ცხოვრება იაფია. ჩვენ მოგცემთ წერილებს შკლოვსკისთან და შენდეროვიჩთან: დაგეხმარებიან. რამდენიმე თვეში ინვალიდიდან ადამიანად გადაიქცევით.

გართმევთ ხელს და ნახვამდის.

თქვენი ვ. ი.

დაწერილია 1913 წლის 5 და
7 აგვისტოს შუა
გაგზავნილია მიუნხენიდან
სიმფეროპოლში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

302

ვ. მ. კასპაროვს

პატივცემულო ამხანაგო! თქვენ სულ სხვა რამ მისწერეთ შკლოვსკის. საჭირო იყო, **რ ო გ ო რ** მოეძებნა, და არა

ბიოგრაფია. არც თქვენი მისამართი მიგიციათ შკლოვსკისა-თვის. როცა დიდმნიშვნელოვან დავალებას ასრულებთ, აკუ რატული უნდა იყოთ, თორემ 100-ჯერ დამნაშავე იქნებით, რომ ვერ მოძებნეს საჭირო კაცი საქმის დასახმარებლად.

დაუყოვნებლივ გამოასწორეთ შეცდომა [291].

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1913 წლის 21 აგვისტოს
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

303

გაზეთ «სევერნაია პრავდის» რედაქციას [292]

პატივცემულო კოლეგებო! გუშინ «პროსვეშჩენიეს» გავუგზავნე დიდი სტატია «როგორ კლავს ვ. ზასულიჩი ლიკვიდატორობას» *. თუ «სევერნაია პრავდა» კიდევ გამოდის, წინადადებას გაძლევთ ეს სტატია დაბეჭდოთ ექვს ფელეტონად, თითო თავი ფელეტონში, მაგრამ აუცილებლად შეინახეთ ხელნაწერი და დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ «პროსვეშჩენიეს».

ვიმეორებ, გაზეთებს ვერ ვხედავ და ამიტომ მუშაობა არ შემიძლია. ათასჯერ გთხოვეთ და მაინც არ მიგზავნით არც «რაბოჩაია პრავდას» [293] და «ჟივაია ჟიზნს» (კომპლექტებს) [294], არც «სევერნაია პრავდას» და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» [295]. წინათ ეს კეთდებოდა.

არ მესმის, რა საჭიროა ყოველდღე გამოშვება. გირჩევთ ყოველკვირეულზე გადასვლას. რა ზარალი გაქვთ დღეში? როგორია ტირაჟი?

სალამი და საუკეთესო სურვილები!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 465 — 492. რ ე დ.

დაპირებული, **დიდი ხანია გამომუშავებული** ჰონორარი «პრავდიდან» არ მიმიღია! ეს უკვე დაცინვას ჰგავს!!

დაწერილია 1913 წლის
21 აგვისტოზე გვიან
გაგზავნილია პორონინიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

304

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო ამხანაგო! თუ შეიძლება, **დაუყოვნებლივ** გამომიგზავნეთ «სევერნაია პრავდის» (№ 1-ის გარდა) და «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» **ყველა** №№.

არაფერი არ მინახავს!!!

აბელს სთხოვეთ, პიტერიდან ყოველდღე გამომიგზავნოს ბანდეროლით, მაგრამ აუცილებლად გაახვიოს ერთ-ორ ბურჟუაზიულ, არქიმშვიდი, არქიზომიერი შინაარსის გაზეთში. სანამ აბელის პასუხს მიიღებდეთ, გამომიგზავნეთ (გამოყენებისთანავე), ძალიან გთხოვთ, «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაც» და «სევერნაია პრავდაც» და მოსკოვის «ნაშ პუტ» [296].

თქვენი ლენინი

P. S. პატარა გაუგებრობა: შკლოვსკისთვის არ მიგიციათ თქვენი მისამართი შკლოვსკისა და თქვენი მიმოწერისათვის და იმისათვის, რომ შეგკითხოდათ.

Abs.: Ulianow. Poronin (Galizien).

დაწერილია 1913 წლის 25 აგვისტოს
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

305

ბ. დიცს

Poronin (Galizien), 3 ოქტომბერი 1913.

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

როგორც წევრი «ისკრის» და «ზარიას» რედაქციებისა, რომლებსაც თქვენ ათი წლის წინათ ესოდენ დიდი სამსახური გაუწიეთ, და როგორც წარმომადგენელი რსდრპ პარტიისა, რომელიც არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს ძმურ დახმარებას პარტიის მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდში, ვჩქარობ პირადად ჩემი და რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მთელი სულით და გულით მოგილოცოთ თქვენი დაბადების სამოცდაათი წლისთავი.

გისურვებთ კიდევ დიდხანს იმუშაოთ ინტერნაციონალური მარქსიზმის სასარგებლოდ.

პარტიული სალმით
ნ. ლენინი (ვლ. ულიანოვი)

Wl. Ulianow. Poronin (Galizien).

გაგზავნილია შტუტგარტში
პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

306

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას [297]

პატივცემულო კოლეგებო!

ამ წუთში წავიკითხე № 8 და თავს ვერ ვიკავებ არ გამოვთქვა ჩემი გაკვირვება იმის გამო, რომ დაბეჭდეთ ისეთი სტატია, როგორიცაა «მარქსისტთა თათბირი» [298] და ა. შ.!! ჩემი აზრით, ეს უაღრესი უგუნურობაა და, თუ ავტორი «გატა-

ცებული» იყო გარკვეული მიზეზების გამო, თქვენ ადგილზე არ შეიძლება არ ხედავდეთ, რომ ეს სტატია აუტანელია. ღვთის გულისათვის, ასე გაუფრთხილებლად ნუღარ მოიქცევით: ამით საშინლად ეხმარებით ჩვენს **ყველა** მტერს.

საჭიროა № 8-დან (თანდათანობით) გადაბეჭდოთ პეტროვსკისა და ყოფილი შემარიგებლის[299] სტატიები.

საუკეთესო სალამი ვ. ი.

ძალიან გთხოვთ შეცვალოთ ჩემი მისამართი: გთხოვეთ, მოგწერეთ, არ მოქმედებს!!

Ulianow. 51. Ulica Lubomirskiego. *Kraków*.

დაწერილია არა უადრეს 1913 წლის
27 ოქტომბრისა
გაგზავნილია პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

307

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

წერილი რედაქციას

პატივცემულო ამხ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნოთ ჩვენი პასუხი ბევრი პირისადმი, რომლებიც შორეული ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სხვა ადგილებიდან გვეკითხებიან «დაზღვევის» მოღვაწის, ამხ. X-ის წინააღმდეგ ლიკვიდატორთა «კამპანიის» შესახებ.

ლიკვიდატორებმა მას ორპირობა დასწამეს: მეპატრონეებსაც ემსახურებოდა და მუშებსაც[300].

როგორ იქცევა ორგანიზაცია ასეთი ბრალდების წაყენების დროს?

იგი იწვევს იმ დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რომლებიც მუშათა მოძრაობას ემსახურებიან, და ავალებს საქმის გამორკვევას. ასევე მოვიქეცით. № 12 «ზა პრავდუში» (17 ოქტომბერი) დაიბეჭდა ხუთი დაწესებულების წარმომადგენელთაგან (1. «პრავდის» რედაქციის; 2. «პროსვეშჩენიეს» რედაქციის; 3. პოლონეთის მარქსისტული ორგანოს რედაქციის; 4. სახ. სათათბიროს ს.-დემ. დეპუტატთა ექვსეულის; 5. მელითონეთა კავშირის თავმჯდომარის) * შემდგარი კომისიის დასკვნა.

კომისიამ ცნო,

——რომ ლიკვიდატორთა მტკიცება «არ შეესაბამება ჭეშმარიტებას»;

——რომ X-მა, რომელმაც თავი დაანება მეპატრონეებთან სამსახურს, ამით მოიხადა თავისი ვალი.

წინა დღეს (16 ოქტომბრის «ზა პრავდუ» № 11) ა. ვიტიმსკიმ დაწვრილებით განმარტა, რომ X. «დამნაშავეა» მხოლოდ იმაში, რომ მეპატრონის სამსახურიდან გადავიდა მუშათა მოძრაობის სამსახურში. ვიტიმსკიმ დასძინა, რომ «ზა პრავდუს» მდივანს შეატყობინა იმ ლიკვიდატორთა **გვარები**, რომლებიც **მეპატრონეთა ორგანოების მდივნები** იყვნენ **.

რა უპასუხეს ლიკვიდატორებმა? არც კი უფიქრიათ საფიქრად გაეხადათ ვიტიმსკის განცხადება, არც მეპატრონეთა სამსახურიდან X-ის წასვლის ფაქტი.

არც უფიქრიათ მოეწვიათ რაიმე **«თავიანთი»** კომისია «თავიანთი» შვიდეულისაგან, რომელიმე პროფესიული კავშირისა თუ ლატვიელთა, ებრაელთა, კავკასიელთა «ხელმძღვანელი დაწესებულებისაგან».

არაფერი ამის მსგავსი!

ორგანიზაციის ერთგული ადამიანები იწვევენ კომისიას, ირკვევენ საქმეს, გამოაქვთ გადაწყვეტილებანი.

---

* საქმე ეხება სტატიას «მატყუარები!» (ხელმოუწერელია). რ ე დ.

** იგულისხმება ა. ვიტიმსკის (მ. ს. ოლმინსკის) სტატია ««დამნაშავეთა» შესახებ». რ ე დ.

მუშათა ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებელი ლიბერალი მჯღაბნელები «ნოვაია რაბოჩაია» (??) გაზეტადან» განაგრძობენ უსაზიზღრესი სიცრუისა და ცილისწამების კამპანიას!! ისინი ატყუებენ მიამიტებსა თუ უმეცართ, «ორპირობას» არქმევენ იმას, რომ როცა X. ჯერ მეპატრონეთა სამსახურიდან წ ა ს უ ლ ი ა რ ი ყ ო, უ კ ვ ე ფარულად, ფსევდონიმით ეხმარებოდა მუშებს!! *

ცხადია, რომ მუშები ზიზღით არიდებენ თავს ამ საძაგელ ლიბერალურ მჯღაბნელებს ლიკვიდატორული გაზეთიდან, რომელიც ბურჟუაზიის დახმარებით ინახავს თავს.

მაგრამ ეს ცოტაა. თავის არიდება საკმარისი როდია. ლიკვიდატორები, რომლებსაც სურთ დ ა ა ნ გ რ ი ო ნ მუშათა ორგანიზაციები, უკვე დ ი დ ი ხ ა ნ ი ა ასეთ ხერხს მიმართავენ: უსირცხვილოდ ცილს სწამებენ ამა თუ იმ პიროვნებას.

შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა რაიმე ორგანიზაცია, თუ ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ა დ არ მოიგერია პოლიტიკური «ბრძოლის» ასეთი ხერხი. როგორი უნდა იყოს ორგანიზაციული მოგერიება?

თითოეულმა მუშამ უნდა მოითხოვოს, რომ ლიკვიდატორებმა, რომლებსაც ზიზღით შეაქციეს ზურგი მარქსისტებმა, მოიწვიონ «თავიანთი» კომისია «თავიანთი» შვიდეულისაგან, ებრაელთა, ლატვიელთა, კავკასიელთა და **მისთანათა** «თავიანთი» «ხელმძღვანელი დაწესებულებისაგან». სინჯონ «თავიანთი» გადაწყვეტილების გამოტანა, შეატყობინონ იგი ინტერნაციონალს. მაშინ ამ არამზადა ცილისმწამებლებს მთელი მსოფლიოს წინაშე შევარცხვენთ.

ხოლო სანამ ეს არამზადები, ბინძური პიროვნებები თავს აფარებენ ლიკვიდატორული გაზეთის ანონიმურ სტატიებს, მუშათა თ ი თ ო ე უ ლ მ ა კ ა ვ შ ი რ მ ა უნდა დაავალოს თავის გამგეობას საქმის გამორკვევა, ისე, რომ ყველგან აიღოს ყველა დოკუმენტი და ცნობა, შ ე ა მ ო წ მ ო ს ხ უ თ ი

---

* სტატიები «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» №№ 55 და 56-ში — «პასუხი აგონ!», № 60-ში — «სამარცხვინო ბოძზე!». რ ე დ.

დაწესებულების მარქსისტული კომისიის გადაწყვეტილება და გამოიტანოს თავისი დადგენილება.

ცილისმწამებელთა საყოველთაო დაგმობა, საყოველთაო მოთხოვნა მათ მიმართ: «უკან წაიღეთ საზიზღარი ცილისწამება, თორემ არც ერთ ორგანიზაციაში შესვლის ნებას არ მოგცემენო», — აი პასუხი მუშათა კლასისა, ორგანიზაციული პასუხი ორგანიზაციის დამანგრეველებს.

ვ. ილინი*

ეს პრინციპული საკითხი სათათბიროში უნდა დაისვას.

P. S. თუ «ზა პრავდუ» დახურეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, **ხუთჯერ** უნდა დავუკლოთ ტონს, უფრო ლეგალური და თვინიერი გავხდეთ. ეს **შესაძლებელია** და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. ისე ვწეროთ, როგორც «ვოპროსი სტრახოვანიაში»[301] იწერება და დავნიშნოთ **საკუთარი** ცენზურა. ღვთის გულისათვის, ასე გააკეთეთ, თორემ სულ **ტყუილად** ღუპავთ საქმეს.

დაწერილია არა უადრეს
1913 წლის 1 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

308

Ჯ. ᲰᲘᲣᲘᲡᲛᲐᲜᲡ

ძვირფასო მოქალაქე ჰიუისმანს!

თქვენ, რა თქმა უნდა გახსოვთ, რომ რსდმპ 1912 წლის იანვრის კონფერენციის შემდეგ, რომელმაც აღადგინა ჩვენი პარტია, რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა მე დამნიშნა პარ-

---

* წერილს ხელს აწერენ აგრეთვე ლ. ბ. კამენევი და გ. ე. ზინოვიევი. რედ.

ტიის წარმომადგენლად საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში.

პარიზიდან ჩემი წამოსვლის გამო იძულებული გავხდი პარიზში მცხოვრებ ამხ. კამენევისთვის მეთხოვა, ჩემს მაგივრად ყოფილიყო. კრაკოვი ძალზე შორს არის ბრიუსელიდან, და გთხოვთ ბიულეტენში შეიტანოთ კამენევის გვარი და ჩვენი პარიზის ბიუროს ოფიციალური მისამართი. Mr. Kouznetzoff (pour Kameneff). 102. Rue Bobillot. 102. Paris. XIII. კამენევი რამდენიმე ხანს აქ დარჩება, მაგრამ გთხოვთ მისი მისამართი კრაკოვში არ გამოაცხადოთ. ეს გაუფრთხილებლობა იქნება კონსპირაციული თვალსაზრისით.

სასწრაფო შემთხვევებში ძალიან გთხოვთ მოიწეროთ ჩემი ახლანდელი მისამართით.

ყველა წმინდანის დღესასწაულის გამო თქვენი წერილი მცირე დაგვიანებით მივიღე.

დაწერილია 1913 წლის 3 ნოემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

309

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას *

P. S. როძიანკო მ.-ს სთხოვს ფრაქციის ახალ სახელწოდებას? ჩინებულია! აი ასარჩევად ოთხი, ჩამოწერილია რიგრიგობით, რომელიც უფრო სასურველია: 1) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქცია; 2) რუსეთის ს.-დ. ფრაქცია; 3) რუსეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიის ფრაქ-

* ეს წერილი მინაწერია სტატიისა, რომელიც ჯერ უცნობია ჩვენთვის. რ ე დ.

ცია; 4) რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ფრაქცია. მომწერეთ, რომელი აირჩიეთ: მე გირჩევთ № 1.

სალამი და საუკეთესო სურვილები.

დაწერილია 1913 წლის 11 და
28 ნოემბერს შუა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

310

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას *

რედაქტორს:

საჭიროა გადაბეჭდოთ «მასალები», თუნდაც ნაწილ-ნაწილ, რადგან №-ის კონფისკაცია ამ «მასალების» გამო **არ** მომხდარა [302]. ლეგალობა, ლეგალობა აუცილებლად!!

თუ არ შეიძლება ერთბაშად გადაბეჭდვა, დაუყოვნებლივ გამოაცხადეთ გაზეთში იმათთვის, ვისაც 29. X-ის № არ უნახავს, რომ გადაბეჭდავთ.

დაწერილია არა უადრეს
1913 წლის 14 ნოემბრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXV კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

311

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

უნდა დაგეწერათ: ბ-ნო კოლცოვ, თქვენ, ისევე როგორც გამა, შანტაჟისტი ხართ. მე თქვენ არ გიპასუხებთ. აღშფოთებული და თიჯქმის გაცოფებული ვარ კოლცოვთან «საუბ-

* ეს წერილი ჩინაწერია სტატიისა, რომელიც ჯერ უცნობია ჩვენთვის. რ ე დ.

რით»!! და ასეთ არამზადას «პატივცემულ ამხანაგს» უწოდებთ? ეს რა არის? ეს როგორ?? [303]

დაწერილია 1913 წლის 8 ან
9 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

312

გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

... * ჩვენი წარმომადგენლის დეპეშაში, რომელიც გუშინ მივიღე, ამ საკითხზე ნათქვამია მხოლოდ: «გაერთიანება დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს (ეკზეკუტივს)».

მაშ ასე, საკითხი ბუნდოვანია [304].

ყოველი შემთხვევისათვის — უაღრესად მნიშვნელოვანი პირობით, რომ არ უნდა ვიჩქაროთ დაბეჭდვა — გთავაზობთ რედაქციის განცხადების ასეთ ტექსტს (რახან უკვე ატყდა «ქარიშხალი» ბატ. ბურენინ-გამის გაზეთის ბინძურ ჭიქაში).

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილება რუსეთის ს.-დ. კონფერენციის მოწვევის შესახებ — რა თქმა უნდა, რუსეთში მომუშავე და არა საზღვარგარეთელი ლანდებისა — ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს. სწორედ ასეთ კონფერენციაზე იქნება საუკეთესოდ მჩილებული ბატონ ლიკვიდატორთა მხრივ პარტიის ღალატი და ბურენინისეული ხრიკები გამისმაგვარი სუბიექტებისა, რომელთაგან დიდი ხანია დროა, გავწმინდოთ სოციალ-დემოკრატია.

ხვალ (ან უკიდურეს შემთხვევაში ზეგ) ალბათ მივიღებ დაწვრილებით წერილობითს ცნობას ლონდონიდან. მაშინვე კვლავ მოგწერთ, ხოლო თუ **საჭირო არ არის** იმ ცნობის დაბეჭდვა, რომელსაც ახლა გიგზავნით (ესე იგი რომელიც წინა,

---

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

მე-3, გვერდზე წერია *), გ ი დ ე პ ე შ ე ბ თ: შეაჩერეთ. მაშასადამე, ეს სიტყვა ნიშნავს: ნუ დაბეჭდავთ მე-3 გვერდს.

დაწერილია 1913 წლის 16 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა
შემოკლებით 1961 წელს ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 2

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

313

დეპეშა გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას

ექვსეულის მოთხოვნა სულაც არ არის წამოყენებული წესდების შედეგად. გაკიცხვის მსგავსი ბიუროს არაფერი არ გამოუტანია. უარყავით ლიკვიდატორთა თავხედური სიცრუე [305].

ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1913 წლის 18 დეკემბერს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს წიგნში
«ვ. ი. ლენინი და პრავდა. 1912 — 1962»

იბეჭდება
ტელეგრაფის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

314

ვ. ს. ვოიტინსკის

20/XII. 1913.

იმ სტატიის გამო, რომლის
დაბეჭდვა გ ვ ი რ ჩ ი ე თ.

ძვირფასო კოლეგა! მივიღე სტატია «საერთო დროშისათვის» ** და სინდისის წინაშე უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად არაფრად არ ვარგა. გულახდილობა და პირდაპირობა უპირველეს ყოვლისა — ასე არ აჯობებს?

---

* იგულისხმება წინა აბზაცი. რ ე დ.

** სტატია «საერთო დროშისათვის» ვოიტინსკიმ გაგზავნა ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» დასაბეჭდად. რ ე დ.

ავტორი აბსოლუტურად ვერ მიმხვდარა საქმეთა ვითარებას რუსეთში და იგი გაუტაცნია... როგორ ვთქვა, რომ უხეშობა არ გამომივიდეს?.. «ამიკოშონობას» პოშეხონელ მენშევიკებთან.

რუსეთში მიმდინარეობს მარქსისტული მუშათა პარტიის აღდგენისა და განმტკიცების პროცესი. დისკუსიებსა და რეზოლუციებს, რომლებიც იწვევენ ავტორის დაცინვას, რაც მის სიბეცეს ადასტურებს, გიგანტური აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვთ. «ვაშას ყვირიან» — დაგვცინის ავტორი — ეს არის წმინდა წყლის ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ირონია, მუშათა მოძრაობას სავსებით მოწყვეტილი ინტელიგენტის ირონია. რატომ არის, რომ რუსეთის არც ერთ სხვა ოპოზიციურ პარტიაში პარტიის წევრთა ადგილობრივი ჯგუფები საჯაროდ ა რ განიხილავენ პარტიის შინაგან უთანხმოებებს?? ა??

ავტორი ადგას რაღაც სანტიმენტალურ-ისტერიულ თვალსაზრისს. რეზოლუციებში ჩანს მ უ შ ა თ ა პარტიის შეკავშირების უდიდესი პროცესი, — რადგან მსოფლიოში ვერაფერი ვერ ა ი ძ უ ლ ე ბ ს მუშებს ა ი რ ჩ ი ო ნ ორ ვაშას შორის (პარტიულთა ვაშასა და ლიკვიდატორთა ვაშას შორის), თუ არა შ ე გ ნ ე ბ უ ლ ი სიმპათია და მიმართულებათა გარჩევა. პროლეტარული «შეხლა-შემოხლის» ოდნავ უხეში ფორმის იქით ვერ დაინახო, თუ რა გიგანტური იდეური და ორგანიზაციული მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის ბრძოლას 2 მიმართულების გამო — ფენომენალური სიბეცეა. უკეთესი ახსნა ავტორის ამ სიბეცისა, ვიდრე მისი მოწყვეტა და «დატყვევება» მენშევიკ არამზადათა კომპანიისაგან, ვერ წარმომიდგენია.

აბსოლუტურად ვერ მიმხვდარა ავტორი მუშათა კურიის დამოწმებას. 47% — 50% — 67% მე-2 — 3 — 4 სათათბიროებში *. ეს ფაქტი ა რ ა რ ი ს?? რა შუაშია აქ «კურიების

* II, III და IV სახელმწიფო სათათბიროების მუშათა კურიებში ბოლშევიკთა რიცხვის თანმიმდევრული ზრდა. რ ე დ.

რეაქციულობა» (რომლის შესახებაც თვალის ასახვევად გაჭ-კივიან თაღლითები და ბურენინები «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ფურცლებზე)?? განა სამივეში არ იყო ერთნაირად რეაქციული, ესე იგი ერთნაირად კურიული, კანონი?? ბალღიც კი მიხვდება, რომ კურიების რეაქციულობა აქ არაფერ შუაშია. ფაქტი კი რჩება: ინტელიგენცია წავიდა (გზაც იქით ჰქონია ამ ბ...ს), მუშები თვითონ დადგნენ ფეხზე ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. ახალი ისტორიული ზოლი. ახალი ეპოქა. ავტორი კი იგონებს «საშუალო ხაზს» — ეს სასაცილო იქნებოდა, ესოდენ სავალალო რომ არ იყოს. ავტორი $^1/_{100}$-ითაც ვერ ჩასწვდა ლიკვიდატორებთან ბრძოლის სიღრმეს. არ შეიძლება პარტიის აღდგენა სხვანაირად, თუ არა ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. ახლა ამას თვით მუშებიც მიხვდნენ.

ერთ თვეში 20. X — 2. XI-მდე — 4800 6-ეულის მომხრემ **მოაწერა** ხელი (NB) და 2500-მა **7-ეულის** მომხრემ (მათ შორის 1000 ბუნდელმა. NB! NB!). ეს ფაქტი არ არის?? ეს ფაქტია და არა ინტელიგენტური წუწუნი! ეს პარტია არ არისო, ბრძანებთ, რადგან არ არის «საერთო» და არ არის «ყრილობაო»!!! ხა-ხა!! საერთო ლიკვიდატორებთან და ბუნდელებთან არც იქნება — დროა ამას მიხვდეთ და არ შეჰყურებდეთ სამუდამოდ გარდასულ ძველ ამბებს. ყრილობის მოწვევა არქიძნელია (სწორედ ამიტომ არის, რომ პარტიის დამანგრევლები «ყრილობას» ეპოტინებიან როგორც ad kalendas graecas! *). სწორედ ძველი პარტიის ახალი ფორმაა ეს **ხელმოწერები.** და ეს ვერ გაიგოს კაცმა??

ძველი ეროვნული «უარესი ტიპის ფედერაცია» სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. ავტორს არც ეს ესმის.

6-ეულისა და 7-ეულის თანასწორუფლებიანობა (ავტორი ტყუილად ახსენებს 8-ანს, რადგან რვიანს პარტია სულაც არ

---

* — ისეთი დროისთვის გადადება, რომელიც ერასოდეს არ დადგება! რედ.

ცნობს ს.-დემოკრატიად *) ავტორს სწორად არ ესმის. რა მოხდება, პარტიამ თანასწორუფლებიანობა რომ მისცეს **სათათბიროში** პარტიის ახლომყოფთა ჯგუფს?? ** ავტორი ვერ მიხვდა, თუ რა უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვს «პარტიის ახლომყოფთა» ცნებას.

ჩვენი ჟურნალი ალმანახი კი არა, მეზრძოლი ორგანოა. ამიტომ სტატიის დაბეჭდვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ მოხარული ვიქნები, თუ ავტორი მიპასუხებს ჩემს კრიტიკაზე, როგორც საერთოდ ძალიან გამიხარდებოდა ყოველნაირი აზრთა გაზიარება ძველ მეგობრებთან. თუ რაიმე «ზედმეტი დავწერე» ამ კრიტიკის დროს და ზოგჯერ არცთუ ისე თავაზიანი ვიყავი — გთხოვთ მოწყალება გაიღოთ და მაპატიოთ. ღმერთმანი, არავის წყენინება არ მინდოდა, არამედ ძველი მეგობრობის ხათრით პირდაპირ ვთქვი ყველაფერი, რასაც ვფიქრობდი და ვფიქრობ.

რა დიდებულად გაიშალა კამპანია 6-ეულისათვის 7-ეულის წინააღმდეგ! რა ჩინებული შეკავშირება და აღზრდაა მუშებისა ლიბერალური მუშათა პოლიტიკოსების წინააღმდეგ! რა შესანიშნავი, რუსეთში პირველი მაგალითია იმისა, რომ მუშათა პარტია მართლაც წ ყ ვ ე ტ ს სათათბიროში **თავისი** წარმომადგენლობის ბედს! ეს უკვე მხოლოდ «ნება-ნება მკითხველი» ბრბო კი არა, არამედ ორგანიზებული ძალაა. თათბირმა გადაწყვიტა — ექვსეულმა გააკეთა — ორგანიზებულმა ათასებმა მოიწონეს — განიხილეს და ხელი მოაწერეს — აი რას ეწოდება პ ა რ ტ ი ა იმ გაზეთის, ძველი «ტოვარიშჩის» ახალი გამოცემის, «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» საწინააღმდეგოდ, რომელიც ინტელიგენტური მ... ით სვრის და წამლავს მუშათა მოძრაობას. და რა შესანიშნავად გაშალა სათათბიროს მუშათა ფრაქციამ თავისი საქმიანობა! ერთბაშად გადაიდგა ნაბიჯი წინ არა მარტო სახელწოდების, არამედ

---

* იგულისხმება ე. ი. იაგელო. რ ე დ.

** ეს არაფრით არ ბოჭავს პარტიას; ამას შ ე უ ძ ლ ი ა აღზარდოს პარტიის ახლომყოფნი.

მთელი მუშაობის მხრივაც! რა დიდებული იყო ბადაევის სიტყვა კოალიციათა თავისუფლების შესახებ ტულიაკოვის ლიბერალური აზრების განმეორებასთან შედარებით!

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგო, უფრო ხშირად მიაფურთხეთ ხოლმე მენშევიკებს, შეისწავლეთ ახლანდელი მუშათა მოძრაობის **ფაქტები**, დაუფიქრდით მათს მნიშვნელობას და თქვენი, მაპატიეთ, დამქავებულობა გაივლის და ძებნას კი არ დაუწყებთ «საშუალო ხაზს», არამედ დაეხმარებით მუშებს შეკავშირდნენ მოღალატეთა ხროვის წინააღმდეგ.

თქვენი ვ. ი.

გაგზავნილია კრაკოვიდან ირკუტსკში

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» №2

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

315

ბარათი გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» რედაქციას *

ამ სტატიას ახლავს სამი კ (ККК) [3-6]. საჭიროა ყველგან, საყოველთაოდ მივცეთ ბოიკოტის ლოზუნგი, მაგრამ სწორედ ამ ფორმით, მხოლოდ ამ ფორმით, ისე, რომ არ ვახსენოთ სიტყვა ბოიკოტი.

ღმერთებს გაფიცებთ, ნუ გაგიტაცებთ ასეთი ვაკბატონუბისათვის «მწარ-მწარე» პასუხები!

დაწერილია 1913 წლის დეკემბრის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს წიგნში
«ვ. ი. ლენინი და პრავდა.
1912 — 1962»

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* «პროლეტარსკაია პრავდა» გაზეთ «პრავდის» ერთ-ერთი სახელწოდებაა. რ ე დ.

1914 წელი

316

ი. ე. გერმანს

2/I. 1914.

ძვირფასო ამხანაგო!

ფრიად გაგვიკვირდა, რომ ასეთი მოკლე წერილი მოიწერეთ.

სად წავიდა («შემდეგ»?) დელეგატი? [307]

ჰამბურგში? ბრიუსელში? კოპენჰაგენში?

ვინ არის ეს დელეგატი? ნამდვილი ბოლშევიკი? თუ ლიკვიდატორი? თუ მერყევი? რა გიამბოთ? **სულ** რამდენი დელეგატია? რამდენი დელეგატია რიგიდან? სოფლებიდან? ლიბავიდან? სხვა ქალაქებიდან?

მიმოწერის შესახებ თუ მოელაპარაკეთ ამ დელეგატს? **ეს ხომ ყველაზე უფრო საჭიროა:** საჭიროა, რომ იგი **ყოველდღე,** ზუსტად და დაწვრილებით გწერდეთ ყველაფერს. მოგცათ თუ არა რაიმე მისამართი?

გვიდეპეშეთ მაშინვე, როგორც კი რაიმეს გაიგებთ: მისამართია — Ulianow. 51. Lubomirskiego. Krakau.

პირობითი სიტყვები:

პირველი — ბრიუსელი

მეორე — ჰამბურგი

მესამე — კოპენჰაგენი

ყრილობის გახსნის თარიღი: რიცხვი (იანვრისა)+10 (ესე იგი თუ **11. I — მაშინ 21).**

და ა. შ.

ან: «გაურკვეველია»
ან: «ჭიანურდება»
პლუს = ნამდვილად სჭარბობენ ბოლშევიკები
მინუს = « » ლიკვიდატორები
ექსი = არ ვიცით.

მოიწერეთ დელეგატებთან თითოეული შეხვედრისა თუ წერილის შემდეგ. (დელეგატების უმრავლესობა ზღვით ხომ არ მიდის?)

დღეს მივიღეთ (29/XII) წერილი ბრიუსელიდან, რომ გვიწვევენ ყრილობაზე, რომელიც 10—12 დღეში იქნება; ადგილს და დროს ცალკე შეგატყობინებთო.

ეს არის და ეს!! ცოტაა!

მაშ ასე, მოგვწერეთ და გვიდეპეშეთ ხოლმე!

თქვენი ვ. უ.

თუ დელეგატი ბრიუსელშია, თუ შეგიძლიათ სავსებით საიდუმლოდ მისწეროთ, მიეცით მისამართი: Jean *Popoff*. Rue du Beffroi. 2. *A. Bruxelles*.

ეს ჩვენი წარმომადგენელია, რომლის მეშვეობით შეიძლება ყველაფრის გაგება და რომელთანაც შეიძლება ლაპარაკი. სავსებით სანდოა.

თუ იძახებენ ტიშკას (პოლონეთის ს.-დ. «მთავარი გამგეობა»), საჭიროა, რომ გამოიძახონ «ოპოზიციაც» = ვარშავისა და ლოძის კომიტეტები. მისწერეთ ამის შესახებ კარლსონს.

მისწერეთ კარლსონს ბრიუსელში (თუ იგი ჩვენი კაცია). რომ პოპოვსაც და **ჩვენც** შეგვატყობინოს დეპეშით და წერილით.

გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

317

ი. ე. გერმანს და ი. რუდის-გიპსლისს

7/I. 1914.

ძვირფასო ამხანაგებო! ახლა მივიღე ცნობა ჩვენი ბრიუსელელი წარმომადგენლის—პოპოვისაგან (Jean *Popoff*, rue du Beffroi. 2. A. Bruxelles), რომ ყრილობა გაიმართება იქ (ან მახლობლად) «სულ დიდი ერთი კვირის შემდეგ» (დაწერილია 4 ან 5. I).

ახლა ამოცანაა: შეეცადეთ შეაკავშიროთ ბოლშევიკები. თქვენ ვეებერთელა შეცდომა დაუშვით, როცა მიმოწერის შესახებ არ შეუთანხმდით (საზღვარგარეთ ეს საშიში არ არის) თქვენთან გზად გამოვლილ ბოლშევიკს. **შეეცადეთ დაუყოვნებლივ** გამოასწოროთ ეს შეცდომა: ამისათვის ახლავე გაუგზავნეთ ამ ბეკს წერილი — 2 კონვერტი პოპოვის მისამართით, შიდა კონვერტს ლატვიურად წააწერეთ: **პირადად ამას და ამას-თქო.**

პოპოვი მას მოძებნის და პირადად გადასცემს წერილს.

წერილში კი თქვენ უნდა (1) სრული რეკომენდაცია მისცეთ პოპოვს (მე ვარ თავდები) (და მისცეთ (N B) პოპოვის მისამართი (N B) ბრიუსელში) და (2) სთხოვოთ, რომ ლატვიელმა ბეკმა **დაუყოვნებლივ** აგიწეროთ ყველაფერი დაწვრილებით (უშუალოდ თქვენ ან პოპოვის მეშვეობით), განსაკუთრებით შემადგენლობა (1. რამდენი ლიკვიდატორია? 2. რამდენი ბეკი? 3. რამდენი ბრაუნისტი? * და **ა. შ.**, და დაწვრილებით თითოეული ჯგუფის გეგმების შესახებ).

ამასთან გაგზავნით პატარა ბარათს პოპოვისათვის, რომელსაც თქვენ რუსულად მისწერთ.

შემატყობინეთ ზუსტად სამიკიტნოს სახელწოდება, **ქუჩა** და სახლის ნომერი და ზუსტად პაემნის **საათი.**

P. S. თქვენ თუ გერმანს, თუ ორივეს უნდა გიდეპეშოთ?

---

* იგულისხმება ი. იანსონ-ბრაუნის მომხრენი, შემარიგებლები. რ ე დ.

გავიგე განრიგი. ჩემთვის ყველაზე მოსახერხებელია აქედან წამოვიდე ადრე დილით. ბერლინში ვიქნები 4.40 Nachmittag* და წამოვალ 9 ს. 34 Abends** Friedrichstraßenbahnhof-იდან. ჩვენ რომ ერთმანეთს შევხვდეთ (აუცილებელია შეგხვდეთ თქვენცა და გერმანსაც), ახლავე დანიშნეთ **საათი** (საღამოს 7 — 8 — 8½ ს.) და **სამიკიტნო** Friedrichstraßenbahnhof-ის **მახლობლად**. დეპეშით შეგატყობინებთ წამოსვლის დღეს, და ამ სამიკიტნოში[306] შევხვდებით ერთმანეთს.

ველი სასწრაფოდ პასუხს. თქვენი ნ. ლენინი

P. S. შეგიძლიათ მოიგონოთ რაიმე პირადი საქმე ამ ლატვიელ ბოლშევიკთან, რათა მიმოწერის დაწყების საბაბი გქონდეთ.

გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

318

ი. ფ. პოპოვს

Mr. Jean Popoff.
Rue du Beffroi. 2. A. Bruxelles.

7/I. 1914.

ძვირფასო ამხანაგო! თუ შეიძლება, შეეცადეთ შეასრულოთ იმ ლატვიელი ამხანაგების თხოვნა, რომლებიც გწერენ. ესენი ჩვენი საუკეთესო მეგობრები არიან.

თქვენი ნ. ლენინი

დაწერილია კრაკოვში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

* — ნაშუადღევს. რ ე დ.
** — საღამოს. რ ე დ.

319

ი. რუდის-გიპსლისს ან ი. ე. გერმანს

11/I.

ძვირფასო ამხანაგო!

პაემნის საქმე თქვენ ჩინებულად მოაგვარეთ.

დელეგატის გამო კი ძალზე უნდა დაგტუქსოთ. როგორც ჩანს, იგი სულელი ან ქალაჩუნაა, რომელიც ადვილად ჰყვება ლიკვიდატორ არამზადათა ჭორებსა და ცილისწამებას. პოპოვს გაეგზავნა ცენტრალური კომიტეტის ფორმალური მინდობილობა და იგი, პოპოვი, ელაპარაკა მხოლოდ ზ ა უ ე რ ს (საზღვარგარეთის ბიუროს ოფიციალურ პირს!!). ცხადია, რომ პოპოვს ცილს სწამებენ ლიკვიდატორები.

მაგრამ თქვენს დელეგატს დამიხედეთ! კაი ვინმეც ყოფილა, თუ ლიკვიდატორებს უჯერებს. ასეთი ჯარის პატრონებმა სასაცილოცაა ომი დავიწყოთ ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. ასეთმა «მეომრებმა» ისღა დაიმსახურეს, რომ თავიანთი დღე და მოსწრება ჩექმა ულოკონ ლიკვიდატორებს.

ან თქვენ, თუ იცოდით, რომ ეს დელეგატი საიმედო არ იყო, რატომ მისწერეთ, რომ ამ ცნობები მჭირდება??! ლაპარაკი იყო, რომ ცნობები მისთვის თ ქ ვ ე ნ გეთხოვათ. ახლა ეს დელეგატი თქვენს წერილს ჩ ე მ წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მოაბრუნებს: ესღა მაკლდა!

საშინლად გაბრაზებული ვარ.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 11 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

320

ი. თ. არმანდს

...* მივიღე ცენტრალური ორგანო. მე-8 გვერდი საზიზღარია. ეშმაკმა იცის, რატომ არ შეგვატყობინეთ: კიდევ მოვძებნიდით მასალას!! თანაც 28/XII-ით კი არ უნდა დაგეთარიღებინათ, არამედ უფრო ადრინდელი რიცხვით, თორემ არც ერთი სიტყვა არ არის საერთაშორისო ბიუროს შესახებ.

ბევრი ნერვიულობს ბიუროს გადაწყვეტილებათა გამო. **სისულელეა!**

«აზრთა გაზიარება» სავსებით მისაღებია, და ასეთი რეზოლუციის ჩაშლა არ შეიძლებოდა.

ხოლო ექვსეული უარყვესო — **ტყუილია.** ექვსეულს არც კი წაუყენებია მოთხოვნები! წესდებით **არ შეეძლო:** თუ სათათბიროშია 7 ს.-რ-ი+6 ს.-დ-ი, მაშინ მხოლოდ 1 ს.-რ-ს აქვს ხმა საპარლამენტთაშორისო კომისიაში.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს შეუძლია მხოლოდ შემოგვთავაზოს «bons offices»** სხვა პარტიებთან, ფრაქციებთან etc. მოლაპარაკებისათვის, «აზრთა გაზიარებისათვის». მხოლოდ ეს არის მისი საქმე. მხოლოდ ეს! კონფერენციის მოწვევა etc. — საქმის სულელური Versimpelung-ია*** ლიკვიდატორთა და ობივატელ არამზადათა მხრივ. მურდალი ხალხია ეს ლიკვიდატორები. ჩვენ კი «აზრს გავუზიარებთ» — კმაყოფილი დაგვრჩებიან!

ვინ დაწერა სტატია ბეილისის საქმეზე ცენტრალურ ორგანოში?

კორექტურა რატომ არ გამოგვიგზავნეთ?? საჭირო იყო იმის თქმა, რომ ბურჟუებმა უნდა შექმნან რესპუბლიკუ-

---

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. რედ.

** — «კეთილი სამსახური». რედ.

*** — გაუბრალოება. რედ.

რ ი პარტია, თუ მ ა რ თ ლ ა ც ბეილისის საქმის წინააღმდეგი არიან ისინი.

დაწერილია არა უადრეს
1914 წლის 11 იანვრისა
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

321

ვ. ა. მილიუტინს

პატივცემულო კოლეგა! მივიღე თქვენი წერილი და ვჩქარობ გიპასუხოთ, რომ უაღრესად გვჭირდება სტატიები ფილოსოფიასა... და «ტექტოლოგიაში» ბოგდანოვის უხამსობის წინააღმდეგ. გთხოვთ უშუალოდ მე გამომიგზავნოთ, ყველას აჯობებს დაკვეთილი ბანდეროლით[309]. ანალოგიურ თემებზეც საჭიროა სტატიები; ძალზე გამახარებთ, თუ მოიფიქრებთ და შემატყობინებთ.

სალამი ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 14 იანვარს
გაგზავნილია კრაკოვიდან ვოლოგდაში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში «სევერ» (ვოლოგდა) № 1

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

322

ი. თ. არმანდს *

P. P. S.

მხოლოდ ახლა, როცა კუზნეცოვის დეპეშა გადავიკითხე, მივხვდი, რომ, როგორც ჩანს, საქმე რეფერატს კი არ ეხება, არამედ 9. I-ადმი მიძღვნილ მიტინგს! ასეთ მიტინგზე მალი-

* ეს წერილი მინაწერია ვ. ი. ლენინის უცნობი წერილისა ი. თ. არმანდისადმი. რ ე დ.

ნოვსკის ანონსირება **საერთოდ შეუძლებელია** (რადგან ხომ მოგწერეთ **აბსოლუტური** ლეგალობის შესახებ და ისევ და ისევ გთხოვთ უმკაცრესად **დაიცვათ** იგი: **არც** პარტიების, **არც** ჯგუფების, **არც** რევოლუციის, **არც** სოციალ-დემოკრატიის **სახსენებელიც** არ უნდა იყოს). ხოლო რაც შემეხება მე, შეიძლება შემიტანოთ ორატორთა რიცხვში 9 იანვრისათვის, თუ ეს სასარგებლო იქნება თქვენი წარმატებისათვის (ფულადი წარმატებისათვის), მაგრამ **ვიტოვებ უფლებას მოგატყუოთ** (ვაცხადებ **არაოფიციალურად**, კიდევაც რომ ვიყო პარიზში. აღარ წ ა ვ ა ლ 9. I მიტინგზე ათასნაირ ს.-რ.-ების, ლედერებისა და კომპანიისმაგვარ მხეცებთან) [310].

დაწერილია 1914 წლის 22 იანვრამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

323

ი. თ. არმანდს

25/I.

ძვირფასო მეგობარო! მოკლედ გწერთ საქმეებზე: გავიმარჯვეთ!! ვაშა! უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. აქ დავრჩები დაახლოებით ერთ კვირას და, ალბათ, ბევრი მუშაობა მომიწევს.

აღფრთოვანებული ვარ იმის გამო, რომ გავიმარჯვეთ [311].

თქვენი ერთგული ვ. ი.

Oulianoff, rue de la Tulipe. 11.
Bruxelles (Ixelles)

დაწერილია 1914 წლის 25 იანვარს
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

324

ი. თ. არმანდს

№ 2.

...* ახლა (დღის 2 საათი) მოიტანეს რიგგარეშე დამატებითი ფოსტა. შენგან კვლავ არაფერი არ არის...

მივიღე ბუხარინის წერილი ვენიდან. უნახავს ბურიანოვი, რომელიც პლეხანოვისაგან მოდიოდა. როგორც ჩანს, პლეხანოველები და სხვა არაფრაქციელები აპირებენ რაღაც საერთო «აქციას»: მგონი პლეხანოვს უნდა გაზეთის გამოცემა. ტროცკი და სხვანი სულ მოკლე ხანში გამოუშვებენ საკუთარ ჟურნალ «ბორბასო». ისინი «ლუჩს» შეურიგდნენ; ამის გამო იყო მიწერ-მოწერა. «წმინდა წყლის» ლიკვიდატორები დარჩებიან «ნაშა ზარიაში» — ასეთი «იმედი აქვს» ამ ხალხსო.

ასე იწერება ბუხარინი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ამბებია. კვამლი უცეცხლოდ არ არის ხოლმე და, ალბათ, ჩვენ მოწმენი ვართ იდიოტური შემარიგებლობის ახალი ტალღისა, რომლის გამოყენებასაც, ალბათ, მოისურვებს საერთაშორისო სოციალისტური ბიურო, რათა გამართოს 1910 წლის იანვრის პლენუმის მსგავსი კომედია. მაგრამ ჩვენ ახლა მაგრად ვდგავართ ფეხზე და ვამხილებთ ამ ვიგინდარებს.

რ ა ც ძ ა ლ ი და **ღ ო ნ ე** გვაქვს, უნდა ვეცადოთ (რა თქმა უნდა, არქიტაქტიკურად) ვაგროვოთ და ვაგროვოთ ყოველნაირი ინფორმაცია პარიზში. შტერმა ანტონოვმა არ იცის, **როგორ** დასტყუოს ჭორები სტეკლოვს, სტეკლოვი კი კარგად ცინცლავს ფულს. ფული კი კაპიკი აღარა გვაქვს, კამენევს და მის ოჯახს **სულ არაფერი** არა აქვთ. ამიტომ ეცადე, რომ საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი, ჩვენს გარდა **არავის** არ აძლევდეს **არც ერთ** კაპიკს. ფული ძალიან დაგვჭირდება **მალე** ცენტრალური ორგანოს, განსაკუთრებული ბროშურისა და ერთი **უმნიშვნელოვანესი** გამოცემის გამოსაშვებად (absolument entre nous: we will publish a

---

* წერილის დასაწყისი და დასასრული ნაპოვნი არ არის. რ ე დ.

special bulletin of the Central Committee — for Russia we've got a special transport possibility *).

ყველა ჯურის შემარიგებლები აპირებენ ჩვენს «გამოჭერას»! Bon! ** ამ არამზადებს, ამ ტაკი-მასხარებს გავაბამთ. ხომ მიძვრებიან ლიკვიდატორებთან ბლოკის ჭაობში? Bon! ჩვენი ტაქტიკაა: მოწინააღმდეგე მცდარ გზას დაადგა — მივცეთ რაც შეიძლება მეტი დრო, რომ უფრო ღრმად ჩაეფლოს ჭაობში. იქ გამოვიჭერთ ამ ნამუსგარეცხილებს. ჯერჯერობით კი, მაშასადამე, მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და ფული, — თავი შევიკავოთ (არქი!) — რაც შეიძლება მეტი ამბავი გავიგოთ. პარიზში მოსახერხებელი ცენტრია ამბების გასაგებად და «დივერსიისათვის». ყველაზე სასურველია, რომ სექციამ მიიღოს **გამანადგურებელი** რეზოლუცია კაუცკის წინააღმდეგ (მის განცხადებას პარტიის სიკვდილის შესახებ უწოდოს უსირცხვილო, თავხედური, საოცარი, იგნორანტული). ხოლო ცალკეულმა «თითქმის შემარიგებელმა» ჩვენი სექციიდან ინფორმაცია მიიღონ პლეხანოველებისაგან, შემარიგებლებისაგან (მაკარი, ლიოვა, ლოზოვსკი და კომპანია) და ტროცკისტებისაგან, — აგრეთვე ბუნდელებისა და ლატვიელებისაგან.

საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტში დასვი საკითხი, რომ ცხვირ-პირი ჩაუმტვრიონ კაუცკის და კენჭი უყარე: თუ უმრავლესობა წინააღმდეგი იქნა, ჩამოვალ და ისე გავწკეპლავ ამ უმრავლესობას, რომ ახალი წკეპლის შემოსვლამდე არ დაავიწყდეთ. მე კი უნდა ვიცოდე, **ვინ** იქნება **ასეთ** უმრავლესობაში, ვინ რისი მაქნისია. აბა, იმოქმედე, რაც ძალი და ღონე გაქვს!

შესაძლოა, ნიკ. ვას.-მა თავის მისამართით მიიღოს ჩვენთვის საჭირო ცნობები (საერთაშორისო სოციალისტური ბიუ-

---

* — (მკაცრად ჩვენს შორის: განზრახული გვაქვს გამოვცეთ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ბიულეტენი [312] — ახლა გვაქვს რუსეთში ტრანსპორტის განსაკუთრებული შესაძლებლობანი). რ ე დ.

** — ქეთილი! რ ე დ.

როდან ან ლატვიელებისაგან). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ **მაშინვე** შენ გადმოგცეს — შენ შეგიძლია გახსნა, რათა მიდეპეშო მოკლე შინაარსი: **თუ ეს უხერხული არ იქნება,** მოახერხე ეს ამბავი, რადგან სწორედ ამ დღეებში (სანამ მაღინოვსკი აქ არის) ერთი-ორი დღის დაგვიანებას (= სხვაობა წერილსა და დეპეშას შორის) შეიძლება ჰქონდეს უაღრესად არსებითი მნიშვნელობა. ვფიქრობ, რომ **შეგეძლო** ნ. კ. დაგემოწმებინა, მაგრამ თვითონ გადაწყვიტე, შენ უკეთ იცი.

საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტმა მოიფიქროს, ვის შეუძლია პარიზში დაეხმაროს ექვსეულს სიტყვების დაწერაში. ძალიან გაგვიჭირდა კრილენკოს დაპატიმრების შემდეგ. სიტყვების სიას გამოვგზავნით. აქ ყველაზე მოსახერხებელი და შესაძლებელია დავიხმაროთ სხვადასხვა ფრაქციის ყ ვ ე ლ ა მერყეები.

დაწერილია 1914 წლის 26 იანვრამდე
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

325

ი. თ. არმანდს

26/I.

ძვირფასო მეგობარო! საოცრად გამიხარდა შენი მეგობრული, კარგი, გულთბილი წერილის მიღება. უსაზღვროდ მადლობელი ვარ მისთვის.

აქ საქმე წახდა. ერთი უკვე შემარიგებლების მხარეზე გადავიდა — ასე რომ, უმრავლესობა აღარ გვყავს და ყველაფერი გამოვა ისე, როგორც დამპალ შემარიგებლებს უნდათ.

აქედან მივდივარ მომავალ სამშაბათს ან ოთხშაბათს და მალე (მხოლოდ რეფერატი ლაიფციგში) ვიქნები კრაკოვში.

იქიდან იწერებიან, რომ «პრავდის» საქმე ცუდადაა — არ არის ფული. ტირაჟი ნაკლებია. დეფიციტი. პირდაპირ უბედურებაა.

ჩემი ახალი მისამართია: Oulianoff, rue Souveraine. 18. (Ixelles) Bruxelles.

ნიკ. ვას.-ის წერილში, რომელსაც ამასთან გიგზავნი, გაიგებ პასუხს შენს შეკითხვაზე, გაბრაზებული ვარ თუ არა რეფერატის წარუმატებლობის გამო. მოდი და ნუ გაბრაზდები! ეს იდიოტი ანტონოვი!! და თან უნარიც არა გვაქვს უ ა მ ი ს ო დ მოვაგვაროთ პრაქტიკული საქმეები.

ექსპრესი მივიღე და ყველაფერი გადავეცი მალინოვსკის. აქ არის და კიდევ 2 — 3 დღეს დარჩება.

საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტში ყოველ კაპიკს გაუფრთხილდი და ანტონოვს პროექტიორობის ნებას ნუ აძლევ.

მაგრად, მაგრად, მაგრად გართმევ ხელს, ჩემო ძვირფასო მეგობარო. მაპატიე, რომ სიჩქარით მოკლედ გწერ. არ მცალია.

შენი ვ. უ.

ბიულეტენი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა. **გემუდარები,** მიხედე და შენ თვითონ ადევნე თვალი ან უანტონოვოდ მოაგვარე.

დაწერილია 1914 წლის 26 იანვარს
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

326

ნ. ვ. კუზნეცოვს

ძვირფასო მეგობარო! პარიზში აღარ ვიქნები.

რაც შეეხება ეროვნული რეფერატის გამოცემის გეგმას — არაფერი არ გამოვა.

ვიმეორებ: ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენების გარდა, არ ა ფ რ ი ს ა თ ვ ი ს არ დახარჯოთ არც ერთი კაპიკი. ისინი დაბეჭდეთ რ ი ს კ ი ნ ი ს ს ტ ა მ ბ ა შ ი (არ ა სტეპანთან) და მოელაპარაკეთ უდიდეს კონსპირაციაზე. თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ ა ნ ინესას — **დ ა ა რ ა ა ნ ტ ო ნ ო ვ ს** — უნდა მიგქონდეთ უკან **ყ ვ ე ლ ა** ხელნაწერი და **ყ ვ ე ლ ა** კორექტურა.

ხვალ გიგზავნით მასალას ბიულეტენისათვის. ფორმატი=9. I. 1914 ფურცელს. ო თ ხ ი გვერდი ასეთი იყოს, შრიფტი — მსხვილი სააგიტაციო ფურცლისათვის (1 გვ.); წვრილი **მე-2 და მე-3 გვერდებისათვის.**

საქმე გააკეთეთ ს უ ფ თ ა დ არა ანტონოვისებურად და უანტონოვოდ. სასაცილოა და სამარცხვინო ამ ფანტაზიორის საშუალებით აკეთო პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი საქმეები. ამისათვის საჭიროა **შეიქმნას ს ა ქ მ ო ს ა ნ თ ა კომისია** და არა ფანტაზიორი (იგი საყვარელი და კარგი კაცია, მაგრამ საოცარი ფანტაზიორი).

დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოგზავნეთ მ თ ე ლ ი დანარჩენი ლიტერატურა (ცენტრალური ორგანო, პროგრამა, წესდება, კამენევის ბროშურა, ლონდონის ოქმები* და ა. შ. **ყველაფერი**) Leipzig-ში. Herrn Koiransky. Sophienstraße: 30[I] rechts. Leipzig. (წააწერეთ expéditeur**.) **მაშინვე** შემატყობინეთ, რ ო დ ი ს და რ ა გამოგზავნეთ მისამართით Mr. Wladimir Oulianoff. Rue Souveraine. 18. Bruxelles (Ixelles).

გართმევთ ხელს. თქვენი ვ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 26 იანვარს
გაგზავნილია პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იგულისხმება რსდმპ V (ლონდონის) ყრილობის ოქმები. რ ე დ.
** — გამომგზავნი. რ ე დ.

327

ი. თ. არმანდს

...* პარიზში არის ერთი დიდმნიშვნელოვანი საქმე — საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის რეორგანიზაცია. და ახლა ეს საქმე კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანია.

ჩვენ მოვაგვარეთ ტრანსპორტის საქმე, ახლებურად, ჩინებულად მიდის. ახალი ხერხია, საუცხოო ნახელავი, უკვე გამოვცადეთ (გუშინ მივიღე წერილი). იაფია. აღფრთოვანებული ვართ. თვეში 2 ფუთი მოაქვთ [313].

უნდა გამოვცეთ. ჩვენ კი **არც** ფული გვაქვს და, პარიზის გარდა, არც სტამბა. ამიტომ უპირველესი პარტიული მნიშვნელობა აქვს, რომ პარიზში **მოვაგვაროთ** გამოცემის საქმე. ძალიან გთხოვ, თუ ხათრი გაქვს, **გააკეთო** ეს.

გუშინ ნ. ვ — ძეს გავუგზავნე ხელნაწერები № 1 «ბიულეტენისათვის». გავუგზავნე ინსტრუქციაც პუნქტების მიხედვით.

წაიკითხე. ეცადე, რომ ზუსტად ასრულებდნენ. დაარწმუნე ხალხი, რომ ნამდვილად გავაუქმებთ საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტს, ესე იგი უმისოდ დავნიშნავთ ჩვენს კომისიას (ცენტრალური კომიტეტისაგან), ღმერთმანი, არ ვხუმრობ, თუ «ბიულეტენის» გამოცემისა და გაგზავნის საქმე (უპირველესი საერთო-პარტიული მნიშვნელობის საქმე) არ წარიმართება არქიაკურატულად და არა ანტონოვისებურად.

მოვითხოვ, რომ ზედმიწევნით ზუსტად შესრულდეს ჩემი ინსტრუქციები «ბიულეტენის» შესახებ. ეს ერთი. მეორე: საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტმა უნდა შექმნას საქმიანი კომისია, რათა ანტონოვი (მშვენიერი კაცი და ამხანაგი, მაგრამ უაღრესად უსაქმური ფანტაზიორი, სასაცილოდ **უილაჯო** კაცი) **არ** წარმართავდეს საქმის პრაქტიკულ მხარეს.

---

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. ხელნაწერი იწყება მე-3 გვერდიდან რედ.

გამოიცეს და დაიბეჭდოს სტამბაში. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის (+ კომისიის) კონტროლი უნდა იყოს **სპეციალური** და **ყოველდღიური**. ინსტრუქციები გადაიწერეთ და დაიცავით არქიზუსტად.

გაიყვანე ეს საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტში, მოაგვარე კომისიის საქმე. ვიმეორებ, ეს უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. მალე მომწერე, ყველაფერი გაკეთდა თუ არა. ჯერ აქა ვარ, ბრიუსელში, ველოდები კორექტურებს.

ამასთან გიგზავნი წერილს ვლ. ქრ.-სთვის. წაიკითხე და მიეცი ნ. ვ.-ს და **გადაეცით.**

დამხმარე კომისია დანიშნეთ, **სანამ** აქედან წავიდოდე (ერთ კვირას დავრჩები, სამშაბათ-ოთხშაბათამდე).

შენ მიხვდები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საქმე და დარწმუნებული ვარ გაირჯები, რაც ძალი და ღონე გექნება.

შენი ვ. უ.

NB. კაპიკი არა გვაქვს. ყველაფერი საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტმა უნდა გადაიხადოს.

P. S. ედიშეროვი მკედარი კაცია. კამსკიც. შენ წახელალ. ვინღა დარჩა?

საჭიროა 2—3 **მარიფათიანი**, საქმიანი კაცი მიუჩინოთ, რომ ისინი დარბოდნენ, ხლაფორთობდნენ, ყოველდღე 2—3-ჯერ დადიოდნენ სტამბაში და «ბიულეტენს» დროზე უშვებდნენ, ჩვენთან არქიაკურატული კავშირი ჰქონდეთ. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტი კი ახორციელებდეს «კონტროლს» ზემოდან.

დაწერილია 1914 წლის 28 იანვარს
გაგზავნილია ბრიუსელიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

328

ჯ. ჰიუისმანსს

ჩემო ძვირფასო ჰიუისმანს!

მადლობა თქვენი თავაზიანი წერილისათვის [314]. ძალიან ვნანობ, რომ ლატვიელ ს.-დ.-თა ყრილობაზე იყავით არა პირველ დღეს, როგორც ყველა მოელოდა, არამედ ოთხშაბათს, სწორედ მაშინ, როცა არ გელოდნენ და მე საქმეებზე წავედი. მით უმეტეს ვწუხვარ ამას, რომ წამერთვა შესაძლებლობა მომესმინა თქვენი, ფრიად საინტერესო, **სიტყვა.**

რაც შეეხება აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნას «პირადად ჩემი სახელით დამეწერა» მოკლე მოხსენება უთანხმოებათა შესახებ, დიდად ვწუხვარ, რომ ვერ შევასრულებ თქვენს თხოვნას.

ასეთი მოხსენების წარდგენა არ შეიძლება «პირადად ჩემი სახელით», არა მაქვს ამის უფლება. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს სჭირდება არა «პირადად ჩემი აზრი», არამედ ცენტრალური კომიტეტის აზრი. მაგრამ, როგორც კი კრაკოვში ჩავალ და დავუკავშირდები ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრს, მოხსენებას, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტს უნდა, დავწერთ, მას დაამტკიცებს ცენტრალური კომიტეტი და გამოგიგზავნით *.

არ შემიძლია წერილი ისე დავამთავრო, რომ მადლობა არ გადაგიხადოთ თქვენი თავაზიანი მიწვევისათვის. სამწუხაროდ, სწორედ დღეს სათათბიროს ჩვენი პარტიის ფრაქციის თავმჯდომარესთან ერთად უნდა ვიყო ყრილობის სხდომაზე, რომელიც განიხილავს სწორედ რუს. სდმ პარტიის გაერთიანების საკითხს. ამიტომ მინდა ჩვენი პაემანი გადავიტანოთ (რუს. სდმ ფრაქციის თავმჯდომარეც სიამოვნებით შეგხვდებოდა) ხვალისთვის დღის 4 საათზე Maison du Peuple-ში.

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 74 — 83 და 278 — 281. რ ე დ.

თუ შეიძლება მიდეპეშეთ, მოსახერხებელია თუ არა ეს თქვენთვის, მისამართით: Oulianoff. 18. Rue Souveraine. 18. Ixelles-Bruxelles.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 29 იანვარს
გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde
Russe et Soviétique» № *1-2*

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

329

ჯ. ჰიუისმანსს

ბრიუსელი, 1914 წლის 2 თებერვალი *.

ძვირფასო ჰიუისმანს!

ამ წუთში დავამთავრე მოხსენება და სანამ ბრიუსელიდან წავიდოდე, გატყობინებთ, რომ ამხანაგმა პოპოვმა იკისრა მისი თარგმნა და თქვენთვის გადმოცემა.

თქვენი ნ. ლენინი

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde
Russe et Soviétique» № *1-2*

ბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

* წერილზე შეცდომით იყო თარიღი 1914 წლის 3 თებერვალი. 1914 წლის 7 მარტის წერილში ჰიუისმანსისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 336) ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ ეს წერილი დაწერა 2 თებერვალს. რ ე დ.

330

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო ამხანაგო! უაღრესად მაკვირვებს და მაღონებს თქვენი დუმილი. უ-«Vorwärts»-ოდ მუშაობა არ შეიძლება.

უკვე 3 — 4 წელია, რაც ყოველთვის უფასოდ ვიღებდი «Vorwärts»-ს — 1914 წლის **თებერვლამდე**. უცებ... აღარ გზავნიან!!

რაშია საქმე? თვითონ არაფერი არ მიმიწერია, რადგან (თუ ეს ლიკვიდატორთა ინტრიგაა) უხეში პასუხის მიღებისა მეშინია.

მაგრამ, იქნებ, ეს მხოლოდ შეცდომაა?

ძალიან გთხოვთ მიხვიდეთ **ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა შ ი** (და არა რედაქციაში), გაიგოთ ამბავი და **მაშინვე**[315] მიპასუხოთ. ნადიამ უკვე დიდი ხანია მოგწერათ ამის შესახებ, — პასუხი არა და არ არის. რა მოხდა? ავად ხომ არა ხართ? გაგვეცით ხმა!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ამასთან გიგზავნით დაბეჭდილ მისამართს «Vorwärts»-ისათვის.

NB ‖ ვიმეორებ: 3—4 წლის მანძილზე ვიღებდი **„სოციალ-დემოკრატისათვის“**, „რაბოჩაია გაზეტასთვის“, პიტერში **„პრავდისათვის“** და ა. შ.

დაწერილია 1914 წლის 11
თებერვალზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

331

ლ. ბ. კამენევს

ძვირფასო მეგობარო! 1-ელი *. როგორც ამბობენ, ბოგდანოვის წასვლას უკმაყოფილება გამოუწვევია (როგორც ჩანს.

* პერლუსტრაციის ტექსტში შეცდომით წერია «მე-2». რ ე დ.

ინტელიგენტი ვიგინდარებისა). მგონი, ყურები ჩამოყარა ჩვენმა «საყვარელმა კეთილმა» გალიორკამ. პრიბოელებმა [315] ხმა მაცცეს ბოგდანოვს.

იმას იმიზეზებენ (ბილწი ინტელიგენტების ჩვეულებრივი მანერა), ყველგან არიან ვპერიოდელი მუშებიო (რატომ არსად არ იყვნენ...). ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ტყუილია. «ვპერიოდის» ჯგუფის ავანტიურიზმის შესახებ საჭირო იქნება დაიწეროს «პროსვეშჩენიეში». ახლა კი საჭიროა, რომ თქვენ (1) მიიღოთ ზომები. უნდა განმარტოთ საქმე, შეეკამათოთ ვპერიოდოველობისა და ბოგდანოვის ბრიყვ დამცველებს (დანსკი, როგორც ჩანს, მათ ეკუთვნის), გააფრთხილოთ ისინი. (2) უნდა მიაღწიოთ იმას, რომ აუცილებლად დაიბეჭდოს თქვენი წერილი «პოლიტიკური ეკონომიის შესავლის» [317] შესახებ. ახლავე დაწერეთ. თუ თქვენი არ წავიდა, მე გამოვგზავნი.

მე-2. როგორ არის კრებულის საქმე? მოიწერეთ («მარქსიზმი და ლიკვიდატორობა») [318].

მე-3. რა საზიზღრობა ხდება ლიტერატურული საზოგადოების კომისიებში (ბრძოლა პრესის კანონის წინააღმდეგ) [319]... ლიბერალთა ბლოკი+ლიკვიდატორები (ხეისინი, სტივა ნოვიჩი, გულიკო). ნ. დ. სოკოლოვიც იქ არის... მიიღეთ ზომები. გააგდეთ იგი. მთავარია — რადაც უნდა დაგიჯდეთ, დაიწყოთ კამპანია ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ამისათვის. მოიწერეთ

მე-4. სიტყვების საქმე როგორ არის? სათათბიროში ბიუჯეტი ხომ მხოლოდ 20. III — ძვ. სტილით. ხომ კი? მოიწერეთ ამის შესახებ.

დაწერილია 1914 წლის 27 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

332

ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» რედაქციას

პირადი, ანდრია ნიკოლოზის ძეს *

პატივცემულო კოლეგა! დღეს გამოვგზავნე კიდევ ბუხარინის სტატია. ყველაფერი ეს № 2-სთვის **. იმედი მაქვს, ჯერჯერობით იოლად გახვალთ. ბოგდანოვის წასვლის შესახებ, როგორც ჩანს, არსებობს სავსებით მცდარი აზრი, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა.

1. ვინ წავიდა მისი გულისთვის? არავინ. მაშასადამე, გამოდის, თითქოს ჩვენ ვიღაცას ხელი ვკარით; უნდა გაყაბათილოთ ეს სიცრუე.

2. თვით იგი მინუსია (და არა 0). მიკვირს, რომ «პრიბოი»-ში ხმას აძლევენ ბოგდანოვს და ამავე დროს არ იცავენ მის ყალბ უხამსობას, არ იცავენ მის უხამსობას «პოლიტიკური ეკონომიის შესავალში». ეს **კოლეგიალობა როდია. თქვენ** დაგავიწყდათ. დააწერეთ. განმარტეთ. დაასაბუთეთ. თორემ ხმის მიცემა კოლეგიურად აზრთა გაუზიარებლად. ლაჩრობაა. ველურობა. უხამსობა. მავნეა. განმარტონ გ. გ. ***, რისთვის ეწევიან მუშებში სიდამპლის პროპაგანდას.

3. არის გადაწყვეტილება «ვპერიოდის» ჯგუფის სასარგებლოდ. ტყუილია. სად არის? მომეცით მათი წერილები «პრავდაში»... ასეთები არ არის. ეს გულჩვილი, გზააბნეული ინტელიგენტების ზღაპრებია...

მე ვგზავნი ხოლმე მხოლოდ რედაქციის **მიერ მოწონებულ** სტატიებს. მათ შორის პავლოვის სტატიასაც. იგი შესაფერი-

---

* — ა. ი. ელიზაროვა-ულიანოვას. რ ე დ.

** ლაპარაკია ჟურნალ «პროსვეშჩენიეზე». რ ე დ.

*** დადგენილი არ არის, რა იგულისხმება. რ ე დ.

სია. ბოგდანოვი არარაობაა. სასაცილოა, მას ამდენი ყურადღება ექცეოდეს.

დაწერილია 1914 წლის 27 თებერვალს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე **დაბეჭდილი**
პირის **მიხედვით**
(პერლუსტრაცია)

333

თ. ნ. სამოილოვს

ძვირფასო თევდორე ნიკიტას ძე! მივიღე თქვენი წერილი და ძალიან გამეხარდა, რომ მოეწყვეთ.

ახლა კი სიმშვიდე, მზე, ძილი, **ჭამა-სმა**, ყურადღება მიაქცეთ ყოველივე ამას. კარგად თუ გაჭმევენ?

რაც შეიძლება მეტი რ ძ ე უ ნ დ ა ს ვ ა თ. სვამთ კი?

უნდა აიწონოო კვირაში ერთხელ და ჩაიწეროთ, რამდენს იწონით.

უნდა მიხვიდეთ ადგილობრივ ექიმთან 10 დღეში ერთხელ **მაინც**, რათა თვალყური ადევნოს მკურნალობის მსვლელობას. თუ გაქვთ ექიმის მისამართი? თუ არა, მომწერეთ, მე მოვ-**ძებნი.**

მაგრამ მთავარია ძილი **(რამდენ [საათს] * გძინავთ?)** — მზე და [საჭმელი], განსაკუთრებით რ ძ ე.

დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ მომწერეთ ყველაფერი.

ნადიამ მოგიკითხათ! გართმევთ ხელს და გისურვებთ კარგ დასვენებას.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

---

* წერილის ხელნაწერის კიდეები ჩამოხეულია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აღდგენილია აზრის მიხედვით. რ ე დ.

P. S. ძალიან ხომ არ მოიწყინეთ? თუ ჰო. შემიძლია სტუმრად გამოგიგზავნოთ ხოლმე ნაცნობები ჟენევიდან და ლოზანადან. მაგრამ ვიზიტებით ხომ არ დაიღლებით? მოიწერეთ.

აბაზანა თუ არის თქვენს პანსიოხში?

დაწერილია 1914 წლის თებერვალში
გაგზავნილია კრაკოვიდან მონტრეში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 2

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

334

ი. თ. არმანდს

2. III. 1914.

ძვირფასო მეგობარო! ჯერ ისევ გასაჭირში ვართ: გაზეთი არ არის. იგრძნობა მუშაობის მთელი სისტემის «გარდატეხა» კამენევის წასვლის შემდეგ, ხოლო რა მოჰყვება ახალს, როგორ წარიმართება საქმე, არ ჩანს.

პიტერიდან იყო ცნობები 1) მიხ. სტეფ. (ოლმინსკისგან), რომელიც ჩივის, რომ ჩვენ გავლანძღეთ და გავაგდეთ ბოგდანოვი, საზოგადოება წუწუნებსო etc. რა დონდლოა ეს ჩვენი საყვარელი მ. სტ.!

2) იყო წერილი პეტერბურგის კომიტეტისაგან, უფრო სწორად, პეტერბურგის კომიტეტზე. ცოცხალია, კარგად მუშაობს. საოცრად სასიამოვნოა.

3) წერილი ერთი ცეკისტისაგან, რომელიც ციმბირში «აღსდგა» 2 წლის შემდეგ (საპყრობილე და გადასახლება).

რომ არ დამავიწყდეს. ხომ არ იცი, რა დაემართა პოპოვს ბრიუსელში? 2 — 3 კვირაა არ მპასუხობს (!!) სასწრაფო და დიდმნიშვნელოვან წერილებზე. მე კი მჭირდება! ავად ხომ არ გამხდარა? თუ მისმა ამბავმა, love-story *,

* — სატრფიალო ამბავი. რედ.

დამართა რაიმე, გააქცია ბრიუსელიდან და ა. შ.? თუ არაფერი არ იცი, ძალიან გთხოვ, ასე მოიქეცი: ორი დღე მოიცადე, თუ ამ ხნის მანძილზე ჩემგან სხვა ამბავი არ იქნა, ბრიუსელში მისწერე სხვა ნაცნობების მეშვეობით მას და მის შესახებ ისე, რომ მე დანამდვილებით გავიგო, რა მოხდა. რაღაც საოცარი და შეუძლებელი ამბავია!

თუკი რაიმე იცი მის შესახებ, დაუყოვნებლივ მომწერე.

გართმევ ხელს. შენი ვ. უ.

P. S. სამოცლოვი იწერება, რომ ცოტა მოსწყინდა Monfreux-ში. სულ იმას ვფიქრობ, სად ვიშოვო კარგი ექიმი აქ, რომ მიხედოს (ნერვული დაავადებაა). კამსკი ხომ არავის იცნობს?

გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

335

რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს

ე.-სთვის *

ძვირფასო მეგობრებო, დიდი ხანია თქვენი ამბავი არ ვიცი. საქმე ცუდად მიდის. არსებითად, ამ ბოლო თვეებში დაპატიმრების შემდეგ თქვენ ხომ არა გაქვთ... არა გაქვთ კოლე-

* — ე. ფ. როზმიროვიჩი. რ ე დ.

გია ორგანიზაციული მუშაობისათვის. ეს პირდაპირ აუტანელი მდგომარეობაა. ჩემი აზრით, საჭირო იქნებოდა, რომ თქვენ დამატებით შეიყვანოთ კოოპტაციის წესით 3 — 4 პიტერელი მუშა (მათ შორის ერთი ნოქარი), როგორც სამართლიანად აღნიშნავდა... უამისოდ საქმე ვერ წავა. კოოპტირებულნი კი უმკაცრესად უნდა გამოვყოთ და განვაცალკეოთ კოოპერატივის გამგეობისა და ლეგალური საწარმოებისაგან. რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ. აქ გამოვიძახეთ ზოგი ვინმე, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია.

შემდეგ — ძალიან გთხოვთ, აუცილებლად დაგვაკავშიროთ უშუალოდ პეტერბურგის კომიტეტთან. ეს ძალზე საჭიროა. შემდეგ, «ტრანსპორტიორის» გამო. მიიღეთ თუ არა № 1 «ბიულეტენი»? რა დაემართა კაცს, არაფერს არ იწერება... საქმე თითქმის ერთი თვეა შეჩერებულია. შეუწყნარებელია. იკითხეთ და გაიგეთ, ხომ არაფერი დაემართა, ცოცხალი თუა? კოსტიამ ხომ იცის მისი სახელი.

დაბოლოს ფულის შესახებაც გთხოვთ გვიპასუხოთ. 1) ზუსტად რა გაიგეთ თაფლაკვერზე? გაიგეთ, დაიჩქარეთ. მდიდრებს თუ ჩამოუარეს ფულის შესაგროვებლად? მოიწერეთ ამის შესახებ... [320] სალაროში სრული სიცარიელეა და საორგანიზაციო მგზავრობისა და მთელი ორგანიზაციული მუშაობისათვის კაპიკი არა გვაქვს. არის ხალხი, რომელთა გამოყენება შეიძლება..., მაგრამ ფულის უქონლობის გამო ჯერჯერობით ვერაფერს ვიღონებთ. მოიწერეთ, კმაყოფილი თუ ხართ ვოლკოვით, ხომ ყველაფერი მოგვარდა, კერძოდ სიტყვები.

მოკითხვა ყველას. ფ რ ე ი

დაწერილია 1914 წლის 4 მარტს
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(ბერლუსტრაცია)

336

კ. ჰიუისმანსს

მოქალაქე ჰიუისმანსს

კრაკოვი, 1914 წლის 7 მარტი.

ძვირფასო ჰიუისმანს!

ჯერ ერთი, არაფერი რომ არ ვთქვათ თქვენი წერილის [illegible] სრულიად შეუწყნარებელ ტონზე, გატყობინებთ ფაქტებს, რომლებიც ჩემს მოხსენეპას ეხება.

1914 წლის ორ თებერვალს ბრიუსელიდან მივდიოდი; ჩემი დაპირების თანახმად მოხსენება უკვე დაწერილი მქონდა. წასვლამდე თხუთმეტი წუთით ადრე ჩრდილოეთის ვაგზლის მახლობლად, კაფეში მოგწერეთ წერილი (ამხანაგ პოპოვის თანდასწრებით); ამ წერილში გწერდით, რომ ჩემი მოხსენება უკვე მზად არის (20 პატარა გვერდი და ლატვიელთა კონგრესის რეზოლუცია*) და რომ ამხანაგმა პოპოვმა იკისრა მისი თარგმნა და თქვენწთვის გადმოცემა**.

ამ წერილის კონვერტს ეწერა კაფეს მისამართი და თუ წერილი თქვენთვის არ მოუტანიათ, საპროტესტო განცხადებას შევიტან ბრიუსელის ფოსტამტში.

თუ თქვენ მიიღეთ ეს წერილი, უაღრესად გაოცებული ვარ იმის გამო, რომ არ ახსენებთ.

თუ ამხანაგ პოპოვს დღემდე არ გადმოუცია თქვენთვის ჩემი მოხსენების თარგმანი, არაფერი არ მესმის. უკვე ბევრჯერ მივწერე, ვიფიქრე, ავად თუ გახდა-მეთქი, რადგან უკვე რამდენიმე კვირაა, არ მოუწერია ჩემთვის.

დღეს კვლავ ვუგზავნი შეკვეთილ წერილს ჩაბარების შეტყობინებით, რათა საბოლოოდ გამოვარკვიო ეს უცნაური ამ-

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «რეზოლუციის პროექტი» რსდმ პარტიისადმი ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატთა დამოკიდებულების შესახებ. (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 41, გვ. 287 — 288). რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 329. რ ე დ.

ბავი. ვწერ აგრეთვე ამხანაგ კარლსონს (256. Rue Grau. Bruxelles) და ვთხოვ, პირადად მივიდეს პოპოვთან.

მეორე. გამოთქმები, რომლებიც თქვენს წერილში იხმარეთ («თავის არიდება», «გაჭიანურების პოლიტიკა» და სხვ.), შეურაცხმყოფელია და არავითარი უფლება არა გაქვთ, იხმაროთ ისინი ამხანაგის მიმართ. ამიტომ იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ უთუოდ უკან წაიღოთ ეს გამოთქმები. თუ ამას არ იზამთ, ეს ჩემი უკანასკნელი წერილია თქვენდამი.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde Russe et Soviétique» № *1-2*

რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 48

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

337

ი. რუდის-გიპსლისს

ძვირფასო ამხანაგო რუდე!

ძალზე მაკვირვებს, რომ წერთ: «ჩემთვის გაუგებარია ამხ. ლენინის დამოკიდებულება ამ საკმისადმი» (ესე იგი ჩემი დამოკიდებულება ლატვიელთა ყრილობის[322] შემარიგებლური რეზოლუციებისადმი).

ნუთუ გერმანს თქვენთვის არ უთქვამს, რომ ყოველნაირად ვიბრძოდი? მაგრამ შემარიგებლებმა გაიმარჯვეს. ახლა კვლავ უნდა ვიომოთ, მაგრამ ვიომოთ ჭკვიანურად.

დაპატიმრებანი არ მაკვირვებს, რადგან ლიკვიდატორებმა ყრილობა გამართეს ს ა ზ ი ზ ღ ვ რ ო ბ ა მ დ ე არაკონსპირაციულად. მთელმა ბრიუსელმა იცოდა! მთელმა პარიზმა იცოდა!

გაკვეთილი იქნება: გეშინოდეთ ლიკვიდატორებისა!

ეს წერილი უჩვენეთ გერმანს. ველოდები ცნობებს, როდისღა უნდა გამოქვეყნდეს რეზოლუციები? საჭიროა, რომ «პრავდამ» **უველაზე ადრე** გამოაქვეყნოს [323].

ნ. კ-მ მოგიკითხათ!

გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 12
მარტზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

338

ძმები გრანატების ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციის მდივანს

კრაკოვი, 1914 წლის 15 მარტი.

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქციის მდივანო!

თანახმა ვარ რედაქციის წინადადებაზე, ლექსიკონისათვის დავწერო სტატია მარქსის შესახებ *. გთხოვთ მაცნობოთ, საჭიროა თუ არა ბიბლიოგრაფია სტატიის ბოლოს. პროსპექტისა და ლექსიკონიდან ამონაჭრებისათვის დიდი მადლობა.

გულწრფელი პატივისცემით

ვ. ლ ე ნ ი ნ ი

* იხ. ვ. ი. ლენინი. «კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ)» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 35 — 97). სტატიაზე მუშაობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 148, 149, მე-5 გამოც., ტომი 48, გვ. 295 — 296. რ ე დ.

ჩემი მისამართია: Herrn Wl. Ulianow.
51. Ulica Lubomirskiego. *Krakau.*
(ხოლო 1914 წ. მაისიდან: Poronin (Galizien). ავსტრია.)

გაგზავნილია პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

339

პ. ჰიუისმანსს

15/III. 1914.

ძვირფასო ჰიუისმანს!

როგორც იქნა მივიღე პოპოვის ახსნა-განმარტება და ცნობა, რომ მოხსენება ბოლოს და ბოლოს გამოგზავნეს. რადგან თქვენ ხართ «უბრალოდ მდივანი (და კარგი კაცი)», და არა «მნიშვნელოვანი პიროვნება», შემიძლია გითხრათ, რომ წერილი, რომელიც პოპოვს 1914 წ. 10 მარტს გაუგზავნეთ, ერთი ან ორი კვირით აღრე რომ გაგეგზავნათ, ეს ინციდენტი არ მოხდებოდა.

მაგრამ თქვენი გონებამახვილური და მეგობრული წერილის [324] მიღების შემდეგ არ მინდა რაიმე საკითხის დასმა, განსაკუთრებით, მახარებს, რომ ინციდენტი ბოლომდე ამოიწურა.

თქვენი ვ. ლ.

გაგზავნილია კრაკოვიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე
1963 წელს ჟურნალში
«Cahiers du Monde
Russe et Soviétique» № *1-2*

 რუსულ ენაზე
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

340

ი. თ. არმანდს

. . . * ჩვენ კი ახლა **უნდა** გვქონდეს **საკუთარი** უკრაინელთა სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, თუნდაც პატარა. მოიწერე, შეგიძლია თუ არა გაიცნო ვინმე და რაიმე **გააკეთო ამ** მიმართულებით.

რა დიდებული გამარჯვებაა დაზღვევის საბჭოს არჩევნებზე! [325] საუცხოოა! ეცადე წერილი ამის შესახებ lancer ** საფრანგეთის სოციალისტურ (ან პროფესიულ) პრესაში. არა და როგორ დამშვენდა «პრავდა» brother ***-ის ხელში, პირდაპირ მზეთუნახავი ხდება! შეხედვა გესიამოვნება კაცს. **პირველად** ჩანს ინტელიგენტი, საქმის მცოდნე რედაქტორის ხელმძღვანელობა ადგილზე.

რა შთაბეჭდილება მოახდინა შენზე le geste de M-me Caillaux ****? [326]. მართალი გითხრა, ვერ მომიშორებია ერთგვარი სიმპათიის გრძნობა: მეგონა, მთელ იმ გარემოში მ ა რ ტ ო გამყიდველობა, ლაჩრობა და საძაგლობაა-მეთქი. უცებ კი ამ ყაჩაღანა დედაკაცმა გადაჭრით მისცა leçon. *****!! საინტერესოა, რას იტყვიან ნაფიცი მსაჯულები და რა **პოლიტიკური** შ ე დ ე გ ი მ ო ჰ ყ ვ ე ბ ა. წავა თუ არა Caillaux? დაამხობენ თუ არა რადიკალებს?

მაგრად, მაგრად გართმევ ხელს.

შენი ვ. უ.

დაწერილია 1914 წლის
15 მარტზე გვიან
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. ხელნაწერი იწყება მხოლოდ მესამე გვერდიდან. რ ე დ.

** — დაბეჭდო. რ ე დ.

*** — ძმის. რ ე დ.

**** — ქ-ნ. კაილოს ჟესტი. რ ე დ.

***** — გაკვეთილი. რ ე დ.

341

ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს

24/III. 1914.

ძვირფასო კოლეგა! მგონი მეტისმეტი კონსპირაცია მოგვივიდათ და დიდხანს ვერ მივხვდი, ვინ იყავით.

ცნობისთვის დიდი მადლობა*. ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, თქვენ მიერ აღნიშნული პირობებით თქვენი მონაწილეობა სავსებით სწორი და საქმისათვის სასარგებლოა. სიფრთხილეებით შევასრულებ თქვენს თხოვნას (თუ საჭირო იქნა, განვაცხადო, რომ თანამოაზრეთა ზურგს უკან არაფერი ჩაგიდენიათ), რა თქმა უნდა, იმის იმედით, რომ დაწვრილებით ინფორმაციას მომაწვდით. ვიმეორებ, ეს ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა სიმპტომის თვალსაზრისით; თქვენი შენიშვნები, «უაღრესად საინტერესოა ახალი აფორიაქების პროცესისათვის თვალყურის გადევნებაო», უთუოდ სწორია. ჩვენთვის უაღრესად საჭიროა ინფორმაცია ამ პროცესის შესახებ.

თქვენს შეცდომად მხოლოდ ის მიმაჩნია, რომ მოიწვიეთ «თვალსაჩინო» და ა. შ. «მენშევიკებისაკენ ძალზე გადახრილი, პუნქტუალობამდე კორექტული» და ა. შ. ადამიანი. «თუ საჭირო იქნა — მწერთ, — იგი განაცხადებს, როგორ მეჭირა თავი შეხვედრებზეო». ვფიქრობ, რომ ამ ვაჟბატონებს აბსოლუტურად სხვანაირად ესმით კორექტულობა, ვიდრე ჩვენ. ეს ერთი. ისინი ვერ ხვდებიან, რას ნიშნავს უღალატო მუშებს ბურჟუაზიის სასარგებლოდ. შემდეგ, ასეთი სუბიექტის დაცვა არასოდეს არ დაგჭირდებათ; იმითაც კი, რომ შესაძლებლად მიგაჩნიათ ასეთი დაცვა, აღიარებთ (ტყუილად, სულ ტყუილად) თქვენს სისუსტეს ან თქვენი პოზიციის მერყეობას და ა. შ. ამით მახინჯდება შეხვედრებში თქვენი მონაწილეობის მიზანი და აზრი. კაცი, რომელსაც შეუძლია უშუალოდ

---

* იხ. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის წერილი ვ. ი. ლენინისადმი. (ჟურნალი «ისტორიჩესკი არხივ» № 2, 1959, გვ. 14 — 17). რედ.

მიაწოდოს ინფორმაცია ორგანიზებული ძალის ცენტრს, თვითონ იღებს ინფორმაციას მერყეევების, მეტიც, მტრების განწყობილებათა შესახებ. აქ ცუდი არაფერია, კარგის გარდა. მაგრამ მოწვევა ვიღაც ინტელიგენტისა (და ამით მისი გადაქცევა «ძალად»!!), რომელიც ერთმანეთისგან ვერ არჩევს ბურჟუაზიასა და მის ანტიპოდს, არ იყო საჭირო. სწორედ ამის გამო დაიწყება, ალბათ, მითქმა-მოთქმა, ჭორები, კინკლაობა.

მაგრამ ეს არსებითი შეცდომა არ არის. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თვით საქმე (თქვენი და ჩვენი ინფორმაციის საქმე).

ძალიან გთხოვთ, უფრო ხშირად მოიწეროთ და ამისთვის დაამყაროთ რეგულარული ურთიერთობა. მიპასუხეთ რაც შეიძლება მალე. ხომ არ შეიძლება «ეგზემპლარისგან» * ფულის შოვნა? ძალიან გვჭირდება. 10 000 მანეთზე ნაკლების აღება არ ღირს. მიპასუხეთ. შემდეგ შემატყობინეთ, რამდენად გულახდილად შეგიძლიათ ესაუბროთ: ა) «ეგზემპლარს», ბ) მის ცალკეულ მეგობრებსა და ნაცნობებს, თანამოსაუბრეებსა და სხვ., გ) «შეხვედრის» ყველა მონაწილეს. ჩემი აზრით, უნდა გამოჰყოთ ისინი, ვისთანაც გულახდილად ლაპარაკი შეიძლება, და მათ გულახდილად მისცეთ ასეთი შეკითხვები: აა) ჩვენ ვაპირებთ გამოვიყენოთ ბრძოლის ესა და ეს საშუალება; ხომ არ გვეტყვით, თქვენ რას აპირებთ? არაოფიციალურად, პრივატულად!! ბბ) ჩვენ შეგვაქვს ესა და ეს ძალები, სახსრები და სხვ.; ხომ არ გვეტყვით, რა წვლილი შეგიძლიათ შეიტანოთ «საათობიროს გარეშე» ბრძოლაში. თქვენ კი ამბობთ: «ეგზემპლარს» მიაჩნია, რომ «ლიბერალებმა 1905 წელს ადრე შეცვალეს ფრონტიო», — ჰოდა, უნდა «მიიღოთ ინფორმაცია» — ყველა ამ აზრისაა თუ არა და დაახლოებით როდისთვის აპირებენ ფრონტის შეცვლის ვადის გადადებას (რა თქმა უნდა, ეს შეიძლება გამოიხატოს არა დროით, არა ვადით, არამედ პოლიტიკური ცვლილებებით).

---

*როგორც ჩანს, საქმე ეხება ა. ი. კონოვალოვს. რ ე დ.

გგ) თუ შეუძლიათ ფულის მოცემა?
დდ) » » ლეგალური ორგანოს შექმნა?
და ა. შ.

ჩვენი მიზანია, მივიღოთ ინფორმაცია და ბიძგი მივცეთ რევოლუციისათვის ყოველნაირ აქტიურ ხელშეწყობას. ამასთან, რაც შეიძლება უფრო პირდაპირ და გულახდილად დავსვათ საკითხი (ა-სთვის ან ბ-სთვის და გ-სთვისაც კი: ამას თქვენ უკეთ დაინახავთ) სწორედ რევოლუციის შესახებ. თუ შესაძლებელია, კარგი იქნებოდა თქვენც წაგეკითხათ მოხსენება, რომლის თეზისების შესახებ, თუ საჭირო იქნა, სიამოვნებით გამოვთქვამდი აზრს.

გაგზავნილია კრაკოვიდან მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს ჟურნალში «ისტორიჩესკი არხივ» № 2

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

342

ი. თ. არმანდს

. . . .* გერმანელ ოპორტუნისტთა ოპორტუნიზმის შესახებ მე და გრიგოლი, ვგონებ, სავსებით სოლიდარული ვართ და მათი **საზიზღრობის** შეფასებაში უთანხმოებანი არ შემხვედრია. (სტატია «ახალი სიოს» შესახებ არ წამიკითხავს.)

გერმანელებს ფაქტობრივად ჰყავთ *2 პარტია*, და ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, ამასთან ხელი არ დავაფაროთ ოპორტუნისტებს (*როგორც ახლა ამას შვრებიან «Neue Zeit»*-ი *და კაუცკი*).

მაგრამ სწორი არ არის, თითქოს გერმანიის *პარტია* ყველაზე ოპორტუნისტული პარტია იყოს ევროპაში. იგი მაინც ყველაზე უკეთესია და ჩვენი ამოცანაა *ყოველივე* მნიშვ-

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. ხელნაწერი იწყება მხოლოდ მე-5 გვერდიდან. *რედ.*

ნელოვანი გადმოვიღოთ გერმანელებისაგან (უამრავი გაზეთი, ბევრი პარტიის წევრი, პროფესიული კავშირების უამრავი წევრი, სისტემატური ხელმოწერა გაზეთებზე, მკაცრი კონტროლი პარლამენტარებისადმი — გერმანელებს იგი მაინც ფრანგებზე და იტალიელებზე უ კ ე თ ე ს ი აქვთ, ინგლისზე რომ აღარაფერი ვთქვათ — და ა. შ.), გადმოვიღოთ ყოველივე ეს ისე, რომ ოპორტუნისტები **არ** წავახალისოთ.

ოპორტუნისტებს «Sozialistische Monatshefte»-დან [327] (იქ კი უ ა მ რ ა ვ ი ბელადია) ხელს კი არ უნდა ვაფარებდეთ (როგორც იქცევიან «Neue Zeit»-ი და კაუცკი და გერმანელთა *Vorstand*-ი), . ა რ ა მ ე დ რ ა ც ძ ა ლ ი დ ა ღ ო ნ ე გ ვ ა ქ ვ ს, ვ დ ე ვ ნ ი დ ე თ დ ა დ ღ ე ს ვ უ მ წ ა რ ე ბ დ ე თ. გრიგოლიც ყოველთვის ამასვე აკეთებს თავის სტატიებში გერმანელთა შესახებ. ახლა ვკითხულობ Legien-ს (პროფესიული კავშირების **ბ ე ლ ა დ ს)** ამერიკაში მოგზაურობის შესახებ და განზრახული მაქვს მაგრად გავლანძღო ეს გათახსირებული ოპორტუნისტი *.

მაგრად გართმევ ხელს.

შენი ვ. უ.

სამოილოვი, ალბათ, ამ დღეებში გამოიცვლის მისამართს. მოგწერ, როგორც კი გავიგებ **.

დაწერილია 1914 წლის 8 აპრილამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «რას არ უნდა წავბაძოთ გერმანიის მუშათა მოძრაობაში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20. გვ. 303 — 308). რ ე დ.

** გ. ლ. შკლოვსკიმ 1914 წლის 9 აპრილის წერილში შეატყობინა ვ. ი. ლენინს, რომ ფ. ნ. სამოილოვი მოაწყო ბერნის ქალაქის სანატორიუმში. რ ე დ.

343

ი. თ. არმანდს

შაბათი. 11/IV. 1914.

ძვირფასო მეგობარო! ჯერ არ ვიცი, მიიღე თუ არა ჩემი წერილები, რომლებშიც გწერდი, რომ დაიკარგა წერილი რახმეტოვის შესახებ, და რა იღონე.

ბანდეროლი (კრებულ «ნაჩალოს»[328] დასაწყისითურთ) მიგიღია, მაგრამ ძალიან გვიან. თუ ბანდეროლი შეგოგრჩა, იქ უნდა იყოს ფოსტის შტემპელები და გირჩევთ საჩივარი გაგზავნო სამინისტროში და თან დაურთო ეს ბანდეროლი: საშინლად აღშფოთებული ვარ რახმეტოვის შესახებ წერილის დაკარგვის გამო და საჭიროდ მიმაჩნია საჩივრები, პროტესტები და ა. შ. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ პარიზში იპარავენ (და ადრესატებისათვის გადაცემამდე პოლიციის წასაკითხად მიაქვთ) რუსი ემიგრანტების წერილებს. ყურადღებ: უნდა მივაქციოთ წერილების მიღების თარიღს.

ვიმედოვნებ, ალექსინსკის ამბავი მოათავეთ? ასეთ შემთხვევებში ერთადერთი საშუალებაა (გეუბნები დიდი ხნის, 15 წელზე მეტი ხნის გამოცდილებით)—მთელი სექციის აბსოლუტური ბოიკოტი (ძაგრამ სექციაში ალბათ ბევრი მტირალაა, რომლებიც ბოიკოტს არ გამოუცხადებენ და, მაშასადამე, «კინკლაობაში» ბრალი მათაც მიუძღვით)[329].

ძალიან მიხარია, რომ შენთან ბავშვები მოდიან და მათთან ერთად მალე წახვალ მთელი ზაფხულით.

მაგრად, მაგრად გართმევ ხელს. შენი ვ. უ.

P. S. ბოდიშს ვიხდი დღევანდელი მოკლე წერილისთვის: ძალიან მეჩქარება.

კრებული («ნაჩალო») ჯერ არ მიმიღია.

კვლავ ფოსტის ბრალი ხომ არ არის!??

გაგზავნილია კრაკოვიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

344

დეპეშა გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას მისი ორი წლის იუბილეს დღეს[330]

თანამშრომლებისაგან

პატ. ამხ.! მხურვალედ მივესალმები «პუტ პრავდის» იუბილეს დღეს და ვუსურვებ რა წარმატებებს მუშათა პრესას, ამასთან გიგზავნი 6 მან. 68 კაპ., როგორც ორი პრავდელის დღიურის ხელფასის ანარიცხს და 2 მან., როგორც პრავდელი განეცკის განსაკუთრებულ შესატანს დღიური ხელფასის ანარიცხის გარდა.

ამხ. სალმით ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 5 მაისამდე
გაგზავნილია კრაკოვიდან პეტერბურგში

დაიბეჭდა 1914 წლის 22 აპრილს (ძვ. სტ.) გაზეთში «პუტ პრავდი» № 67

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

345

გ. ლ. შკლოვსკის *

ძვირფასო გ. ლ.!

რატომ არ მიპასუხეთ სამოილოვის შესახებ (აუცილებლად მოუწყვეთ ფიზიკური შრომა — მოძებნეთ ახლომახლო ვინმე გლეხი ან მებოსტნე სოციალისტების დახმარებით[331] — Zgr.-ს ** შესახებ?).

სალამი! თქვენი ვ. ი.

დაწერილია 1914 წლის 12 მაისს
გაგზავნილია პორონინიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუციი» № 8

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ეს წერილი მინაწერია ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

** — ცგრაგენი. რ ე დ.

346

ი. თ. არმანდს

...* 1912-ში კი არა, ალბათ 1911 წელს) «სოციალ-დემოკრატის» რედაქციაში მივიღეთ ვინიჩენკოს პატარა ბროშურა რუსულ ენაზე, რომელშიც იგი თავს იცავს იმ ბრალდებებისაგან, რომლებიც ს.-დ.-ებმა წაუყენეს «საკუთარ თავთან პატიოსნების» თაობაზე. ვინიჩენკო გვთხოვდა გვეპასუხა პრესაში და წერილობით. მახსოვს, რომ ბროშურამ ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, და მინდოდა მეპასუხნა, მაგრამ სხვადასხვა წვრილმანმა საქმეებმა (ჰოი, ეს «წვრილმანი საქმენი» საქმის მსგავსნი, საქმის სუროგატები, საქმის ხელშემშლელნი, როგორ მძულს წრიალი, ფაციფუცი, წვრილმანი საქმეები და როგორ ვარ მათთან განუყრელად და სამუდამოდ დაკავშირებული!! That'is a sign more that I am lazy and tired and badly humoured. Generally I like my profession and now I often almost hate it**) ხელი შემიშალეს. აქვე უნდა ვთქვა, დავკარგე ის ბროშურა (ლვოვში გამოცემული) და სათაურიც დამავიწყდა. თუ შეგიძლია, მოძებნე, წაიკითხე და გამომიგზავნე.

მომეჩვენა, რომ ვინიჩენკო გულწრფელი და გულუბრყვილოა, როცა სვამს საკითხს: «აქვს თუ არა უფლება (!! sic!!) სოციალ-დემოკრატს საროსკიპოში იაროსო?» და ღეჭავს ამ საკითხს ათასნაირად, მაგრამ ყოველთვის ინდივიდუალურად. რაღაც ნახევრად ანარქისტია, თუ სულ ანარქისტი, და ვპერიოდელები, ალბათ, სულ უბნევენ გონებას. მან ხომ ერთხელ პარიზში წაიკითხა რეფერატი «საკუთარ თავთან პატიოსნების» შესახებ ლუნაჩარსკის თავმჯდომარე-

---

* წერილის დასაწყისი ნაპოვნი არ არის. ხელნაწერი იწყება მხოლოდ მე-3 გვერდიდან. რ ე დ.

** — ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ გავზარმაცდი, დავიღალე და ცუდ გუნებაზე ვარ. საერთოდ მიყვარს ჩემი პროფესია, ახლა კი ხშირად თითქმის მძულს. რ ე დ.

ობით? ან იქნებ საქმე ისეა, რომ ლუნაჩარსკი ვინიჩენკოს მ ო მ ხ რ ე ა, ალექსინსკი კი—წინააღმდეგი? I would like to know some more details about it*.

Before leaving Paris you must** უნდა **განიხილო** ნიკ. ვას.-თან, კამსკისთან, ლუდმილასთან ერთად საკითხი ვენის კონგრესის დელეგაციის შესახებ. ძალზე სასურველია, რაც შეიძლება მეტი დელეგატი გვყავდეს. სიძნელეა ფ უ ლ ი (გზის ხარჯი + 15 frs. კონგრესის ბილეთისათვის). ამოცანაა: 1) წინასწარ ვეძებოთ ადამიანები, რომლებიც დელეგატებადაც ივარგებენ და საკუთარი ხარჯით წასვლასაც შეძლებენ; 2) კიდევ ვიშოვოთ ფული; 3) გამოვარკვიოთ, რ ა მ დ ე ნ ი აკლიათ NN-ს, MM-სა და ა. შ.

მაგრად გართმევ ხელს. Your ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის მაისის
პირველ ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

347

ი. რუდის-გიპსლისს

ძვირფასო მეგობარო!

მივიღე თქვენი 15/V. წერილი. «პრავდის» ლატვიური დანართის გამო ეჭვი მეპარება... ადრე ხომ არ არის? და საერთოდ რუსებისთვის უხერხული ხომ არ იქნება ასეთი ფორმით ჩაერიონ ლატვიელთა საქმეებში??

თუ შეიძლება გამოგზავნეთ თარგმანი (1) თქვენი დაუბეჭდავი სტატიებისა, (2) «ცინაში»[332] და ახლანდელ ლეგალურ

* — მინდა უფრო დაწვრილებით ვიცოდე ამის შესახებ. რ ე დ.
** — პარიზიდან წასვლამდე. რ ე დ.

ლატვიურ გაზეთში დაბეჭდილი ყველაზე უარესი «შემარიგებლური» სტატიებისა.

ცენტრალური ორგანო მალე გამოვა. გამოგზავნეთ სტატია ლატვიელთა ყრილობის შესახებ.

გილოცავთ წარმატებითს მაისობას, განსაკუთრებით რიგასა და პიტერში!

სალამი თქვენ და გერმანს (ნუთუ მასთან წაჩხუბებულ ხართ?).

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 15 და 31 მაისს შორის
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

348

ვ. ა. კარპინსკის

19/V. 1914.

ძვირფასო მეგობარო! თქვენთან სათხოვარი მაქვს: ბიბლიოთეკაში ხომ არა გაქვთ ან ხომ ვერ მიშოვით შვეიცარიაში რუბაკინის «წიგნებს შორის» **პირველ** ტომს?

აქვე მინდა გკითხოთ: პირველი ტომი ჩემთვის თქვენ ხომ არ გამოგიგზავნიათ? [333] თუ თქვენ გამომიგზავნეთ, მე ხომ არ გამომიგზავნია გადმოგზავნის ხარჯები!! თქვენ კი არ გამახსენეთ. გთხოვთ, მომწეროთ და ორივე ტომისას გამოგიგზავნით. (1-ელი ძალიან ცოტა ხნით მჭირდება.)

«პუტ პრავდის» ყოველთვის თუ ხედავთ?

რა დაემართა იმ ახალგაზრდა ბოლშევიკს, ვიტმეროველს, ნერვულ ვეგეტარიანელს, რომელიც თქვენთან ვნახე ერთი წლის წინათ? *

* იგულისხმება ა. თ. ილინ-ჟენევსკი. რ ე დ.

თქვენს ნაცნობებში ვინმეს ხომ არ შეუძლია თავისი ხარჯით (ჩვენ ფული არა გვაქვს! სამწუხაროდ!) წავიდეს ჟენევაში დელეგატად?[334] მოძებნეთ, გაიგეთ. დელეგაცია უნდა შევადგინოთ.

ბაგრად გართმევთ ხელს. მოიკითხეთ ამხ. ოლღა. ნ. კ. ორივეს გიგზავნით მოკითხვას.

თქვენი ლენინი

Wl. Uljanow.
Poronin (Galizien), Autriche.

გაგზავნილია ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

349

ნ. თ. არმანდს

25/V. 1914.

Dear friend! * მალინოვსკის ამბავი თამაშდება. იგი აქ არ არის. «გაქცევასავით»[335] გამოდის. გასაგებია, რომ ეს უარესზე უარეს ფიქრებს იწვევს. ალექსი გვიდეპეშებს პარიზიდან, რუსული გაზეთები უდეპეშებენ ბურცევს, მალინოვსკის პროვოკაციას აბრალებენო.

You can imagine what it means!! Very improbable but we are obliged to control all «oui-dire». Wiring does not cease between Poronin, სანქტ-პეტერბურგი. et Paris **. დღეს პეტროვსკიმ გვიდეპეშა, «ცსლისმწამებლური ხმები გაიფანტა. დღეს ლიკვიდატორები ეწევიან საზიზღარ კამპანიასო».

---

* — ძვირფასო მეგობარო! რ ე დ.

** — წარმოგიდგენია, ეს რას ნიშნავს!! ეს თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ვალდებული ვართ შევამოწმოთ ყველა «ჭორი». დეპეშების გაცვლა პორონინს, სპბ-სა და პარიზს შორის არ წყდება. რ ე დ.

«რუსკოე სლოვომ» უდეპეშა ბურცევს, ეჭვი მნიშვნელოვნად გაიფანტა, მაგრამ «სხვა გაზეთები (???) (ლიკვიდატორული ???) კვლავ ბრალს სდებენო».

You can easily imagine how much I'am worried*.

Your ვ. ი.

გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

რეპროდუქცია ხელნაწერის
მიხედვით

350

გ. ი. პეტროვსკის

დიდად პატივცემულო გ. ი.!

ახლა მივიღე თქვენგან ლიტერატურული ვალი. გმადლობთ. გვაკვირვებს, რომ თქვენგან არ არის ამბავი და წერილები.

სალამი და საუკეთესო სურვილები!

ვ. ლ ე ნ ი ნ ი

გისურვებდით უფრო მტკიცედ გადაიტანოთ მალინოვსკის ახირებული წასვლა და არ ინერვიულოთ. ნუ გარიცხავთ. თვითონ ჩამოგვშორდა. მსჯავრდებულია. პოლიტიკური თვითმკვლელობაა. გინდათ კიდევ დასჯა?? რაღა საჭიროა?? ნუ ნერვიულობთ. გამოსვლები ჩინებულია. მედგრად წინ. ლიკვიდატორებს კი **აკლებენ** გაიცხვას ჭუჭყისა და ნაგვისათვის. აგრეთვე უნდა ვუძახოთ ყოველდღე: სანაგვე გაზეთი, სანაგვე ლიტერატორები. მათი საქმეა ნაგავი. ჩვენი საქმეა მუშაობა. მალინოვსკის ამბავი გათავებულია, ყველაფერი დაიღუპა.

* — ადვილად წარმოიდგენ, როგორა ვარ შეშფოთებული. რ ე დ.

თვითმკვლელობაა. რაღა საჭიროა კიდევ ღეჭვა და დროის დაკარგვა? საქმეს მიხედეთ და ძირს სანაგვე ლიტერატორები!

დაწერილია 1914 წლის 25 მაისის შემდეგ
გაგზავნილია პორონინიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1962 წელს
ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 1

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

351

ძმები გრანატების ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციის მდივანს

გრანატების ამხანაგობის გამოცემათა რედაქციის მდივანს
დიდად პატივცემულო კოლეგა!

მივიღე თქვენი 24. V. წერილი. გთხოვთ შემატყობინოთ, რა ზომისა და როდისთვის გსურთ გქონდეთ ავტობიოგრაფიული მონაცემები.

აქვე ძალიან გთხოვთ აგრეთვე შემატყობინოთ მარქსის შესახებ სტატიის მოწოდების **უკიდურესი** ვადა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მზად ვარ გემსახურეთ.

ვ. ი ლ ი ნ ი

მისამართი: Uljanow. Poronin (Galizien). ავსტრია.

დაწერილია 1914 წლის 6 ივნისსა
და 21 ივლისს შორის
გაგზავნილია პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

352

წერილიდან გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» რედაქციისადმი

... მართალია თუ არა, რომ არის შემარიგებლური ტენდენციები გამოჩენილ პრავდელ მუშებში, რომ ერთი მათგანი — გვარად მალინინი თუ დოლინინი უნდა იყოს — ამის შესახებ დიდხანს ესაუბრა გაზეთის თანამშრომელს, ლიტერატორ მ. ნ.-ს? ძალიან საჭიროა გავიგოთ მიმდინარეობაა ეს თუ არა და როგორი. რა არის მისი არსი, როგორია ერთობის მათი პირობები, თუ ეს ცალკეული პირია და შემთხვევითი ფანტაზია.

პლეხანოვის გამო მის «ერთობასთან»[336] დაკავშირებით თავიდანვე უნდა ავიღოთ ასეთი ტონი: გამოჩენილი თეორეტიკოსი, რომელსაც უდიდესი დამსახურება მიუძღვის ოპორტუნიზმის, ბერნშტეინის, ანტიმარქსიზმის ფილოსოფოსებთან ბრძოლაში, — ადამიანი, რომელსაც 1903 — 1907 წლების ტაქტიკაში დაშვებულმა შეცდომებმა ხელი არ შეუშალეს მძიმე, 1908 — 1912, წლებში ედიდებინა «იატაკქვეშეთი» და ემხილებინა მისი მტრები და მოწინააღმდეგენი, ახლა, სამწუხაროდ, კვლავ გვიჩვენებს თავის სუსტ მხარეს. მისი აზრის სრული ბუნდოვანება იქნებ გამოწვეულია ნაწილობრივ იმით, რომ სრულიად ჩაუხედავია საქმეში: ბუნდოვანი კი ის არის, თუ ვისთან სურს ერთობა, ნაროდნიკებთან (იხ. «სოვრემენნიკი», სადაც მისი სახელით უკვე თავი მოაქვთ ბ. გიმერებს)? თუ «ნაშა ზარიას» ლიკვიდატორებთან და ბ-ნ პოტრესოვთან, — მერედა რა პირობებით? და როცა ამ შეკითხვებს დასვამთ, მშვიდად უნდა განაცხადოთ: ნათელ პასუხს ამ ბუნებრივ შეკითხვებზე მკითხველი ალბათ ვერ ეღირსება-თქო. რადგან ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ს წ ო რ ე დ ეს საკითხები პლეხანოვისთვის გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი ა.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით, გილოცავთ უდიდეს წარმატებას (მხოლოდ მეურნეობა, მეურნეობა!!!) და გისურვებთ ყოველივე კარგს.

«პ უ ტ პ რ ა ვ დ ი ს» თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი

აუცილებლად უნდა შეიცვალოს გაზეთის ტონი ვენის ყრილობამდე. დადგა ბრძოლის პერიოდი. რაც ძალი და ღონე გვაქვს, უნდა ვურტყათ თავხედებს პატარ-პატარა ჯგუფებიდან. დაუნდობლად აღვკვეთოთ დეზორგანიზაციის ცდები. ისინი ბედავენ 4/5-ის გათიშვას!! * მომწერეთ 2 სიტყვით, თანახმა ვართ? როდის უშვებთ?

ლიკვიდატორებისა და პატარ-პატარა ჯგუფების შესახებ იმთავითვე რაც შეიძლება მაგრად უნდა დაიწეროს: 40 000-მა უნდა იცოდეს ჩვენი მტკიცე აზრი. ჩვენი მოვალეობაა ავანტიურისტები გავამასხარაოთ.

დაწერილია 1914 წლის 18 ივნისის შემდეგ
გაგზავნილია პორონინიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1962 წლის 22 აპრილს გაზეთ «პრავდაში» № 112

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

353

ი. თ. არმანდს

Dear friend! დღეს მივიღეთ ცნობა, რომ საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელმა კომიტეტმა 16, 17 და 18 ივლისს დანიშნა ბრიუსელში ეგრეთ წოდებული «გამაერთიანებელი» კონფერენცია **.

უნდა შევადგინოთ დელეგაცია. არ ვიცი, ჩვენ წავალთ თუ არა. იქნებ გრიგოლი წავიდეს, მაგრამ უფრო არც ის წავა.

ცენტრალური კომიტეტის დავალებით გთხოვ, თანხმობა მოგვცე დელეგაციაში შესვლაზე. მგზავრობის ხარჯებს აგინაზღაურებთ.

უაღრესად დაწვრილებითს ტაქტიკას შევიმუშავებთ.

თუკი რაიმე შესაძლებლობაა მოაწყო ბავშვები 6 — 7 დღით (ნაკლებითაც კი, რადგან კონფერენცია 3 დღეს გას-

* — ესე იგი ბოლშევიკური «პრავდის» გარშემო გაერთიანებული მოწინავე მუშების 4/5. რ ე დ.

** იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 613 — 665. რ ე დ.

ტანს), მე გთხოვ, დათანხმდე. შენ კარგად იცნობ საქმეებს, ჩინებულად ლაპარაკობ ფრანგულად, კითხულობ «პრავდას». ვფიქრობთ კიდევ პოპოვზე, კამსკიზე, იურიზე. ყველას მივწერეთ.

ვაშ ასე, მაშინვე მიპასუხე, ერთ საათსაც ნუ დააყოვნებ. დათანხმდი!

Very truly * ვ. ი.

ჯერ არ გადაგვიწყვეტია და არ შეგვიდგენია დელეგაციაზ: **ვეძებთ.** ჯერჯერობით სულ წინასწარი მოლაპარაკებაა. მაგრამ დრო ცოტა გვაქვს.

ძალიან უნდა ვიჩქაროთ!!

დათანხმდი, რა! გამოცოცხლდები და საქმესაც არგებ!!

გრიგოლს ცოლი ჰყავს ავად. მე წასვლა არ მინდა «პრინციპულად». როგორც ჩანს, გერმანელებს (გაბოროტებული კაუცკი და კომპანია) უნდათ გაგვამწარონ. Soit! ** ჩვენ მშვიდად (მე ამისთვის არ ვვარგივარ) $^{8}/_{10}$ უმრავლესობის სახელით, უაღრესად თავაზიან (მე ამისთვის არ ვვარგივარ) ფრანგულ ენაზე შევთავაზებთ ჩვენს პირობებს. შენ კი ახლა გათამამდი, რეფერატები წაკითხული გაქვს და საუცხოოდ ჩაატარებდი! თუ ძვირფასს ამხანაგებს ერთობა სურთ, აი რუსეთის შეგნებული მუშების უმრავლესობის პირობები. არ უნდათ, როგორც ენებოთ!!

«მათ» სურთ (გენერალური) «ბრძოლა» გაგვიმართონ ვენაში. ფუჭი მუქარაა!! ვერაფერს **ვერ** იზამენ!!

დაწერილია 1914 წლის 4 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოერანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

დაბეჭდილია ხელნაწერის
მიხედვით

---

* — თქვენი ერთგული. რ ე დ.
** — ეგრე იყოს! რ ე დ.

354

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს

პატივცემულო ამხანაგო!

ცენტრალური კომიტეტის დავალებით უნდა შეგატყობინოთ, რომ ჩვენმა ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებული დადგენილებით სავსებით შეუძლებლად მიიჩნია მონაწილეობა ბრიუსელის 16 — 18 ივლისის კონფერენციაში, თუ არ იქნა მიწვეული, თათბირის დანარჩენ მონაწილეებთან თანაბარი უფლებებით, პოლონეთის ოპოზიცია[337]. ჩვენთვის სრულიად შეუძლებელია რუსეთის საქმეების განხილვაც კი, პოლონეთის საქმეებზე რომ არაფერი ვთქვათ, ისე, თუ მონაწილეობას არ მიიღებს რუსეთის პოლონეთის ს.-დ. მუშების ერთადერთი რეალური, ეროვნულად თავისუფალი ორგანიზაცია.

ძალზე დამავალებთ, ძვ-რფასო ამხანაგო, თუ ამ წერილზე დეპეშით მიპასუხებთ. ვიმედოვნებ, რომ დაბრკოლება არ უნდა იყოს ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მოწვევისათვის.

ძალიან გვინდა ზუსტად ვიცოდეთ, რომელი ორგანიზაციები და ცალკეული პირები მოიწვიეთ.

დაწერილია არა უადრეს
1914 წლის 4 ივლისისა
გაგზავნილია პორონინიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

355

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გუშინ მთებში გავისეირნე (მას შემდეგ, რაც რამდენიმე კვირას განუწყვეტლივ წვიმდა, გამოიდარა) და ამიტომ გუშინ ვერ გიპასუხე შენს წერილზე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ყველანი ჯანმრთელად ბრძანდებით, ავად არა ხართ და, რომ საქმეები გაქვთ.

კონგრესისათვის მინდა გთხოვო მოამზადო ყველა საჭირო მითითებანი (ციტატები) და დოკუმენტები ლიკვიდატორების შესახებ. პარიზსა და მე გვინდა დაგეხმაროთ. სტოკჰოლმის ოქმები — ციტატები ჩვენი ციტაკქვეშეთის შესახებ (№ 2 «ნაშა ზარია»[338] და სხვ.), — ჩვენი ცენტრალური ორგანო და უმნიშვნელოვანესი სტატიები ლიკვიდატორთა წინააღმდეგ. შესაძლოა, მოგიხდეს «კონფერენციის» (ყველა «ფრაქციის») წევრობა და საჯაროდ გამოსვლა, როგორც ლიკვიდატორთა ბრალმდებელსა და, როგორც პარტიის მომხრეს (უფრო მეტიც, როგორც ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს).

ალექსინსკის «გაჯორვის» გამო პარიზელებისათვის არაფერი არ მიმიწერია და არც მინდა მიეწერო. მაგრამ... თუ გადასედეთ გაზეთის ამონაბეჭრს, რომელიც გამოგიგზავნეთ? * ნიკ. ვას.-ი სწორი არ იყო: ეხმარებოდა ალექსინსკის, რომელიც ახლა «მსხვერპლის» როლს შეასრულებს. ეს ცხადია. ბოიკოტი და საერთო რეზოლუცია. ეს კარგია. გაჯორვა ცუდია: ახლა **ყ ვ ე ლ ა** მომხრე ნიკ. ვას.-ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ქნება. და «ზნე-ჩვეულებანი» ემიგრაციაში შეიძლება სულ ხულიგნური გახდეს, თუ ჩხუბი საერთო გახდა... რეზოლუციები, ბოიკოტი **ერთადერთი** შესაფერისი ზომებია...

აქ ახალი არაფერია. სტუმრები ჯერ არ ჩამოსულან. გრიგოლის ცოლი ჯერაც ჰოსპიტალშია.

გულწრფელად თქვენი ერთგული ვ. ი.

გისურვებთ ყოველივე კარგს და საუკეთესოს...

დაწერილია 1914 წლის 6 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

* ლაპარაკია გ. ა. ალექსინსკის ღია წერილზე, რომელიც დაიბეჭდა 1914 წლის 21 ივნისს № 41 «ნაშა რაბოჩაია» გაზეთაში». რ ე დ.

356

ი. თ. არმანდს

Dear friend! საშინლად მეშინია, რომ უარს იტყვი ბრიუსელში წასვლაზე, რითაც სრულიად აუტანელ მდგომარეობაში ჩაგვაყენებ. და აი, მოვიგონე კიდევ ერთი «კომპრომისი», რომ ვერაფრით ვეღარ თქვა უარი.

ნადია ფიქრობს, რომ შენი უფროსი შვილები უკვე ჩამოსულები არიან და თავისუფლად შეძლებ მათი 3 დღით დატოვებას (ან ანდრიუშას თან წაყვანას).

იმ შემთხვევაში, თუ უფროსები არ ჩამოსულან და ბავშვების 3 დღით დატოვება **აბსოლუტურად** შეუძლებელია, — გაძლევ წინადადებას: წახვიდე **ერთი დღით** (16-ში, **ნახევარი დღითაც** კი, მოხსენების წასაკითხად), ან დატოვო ბავშვები ერთი დღით, ან ამ ერთი დღით გამოიწერო კ — ვიჩი, თუ უკიდურესად საჭირო გახდა. (ხარჯს აგინაზღაურებთ.)

საქმე, გესმის, ის არის, რომ **უკიდურესად** საჭიროა ძირითადი მოხსენება მაინც რომ **ნამდვილად აზრიანად** იყოს წაკითხული. ამისთვის უთუოდ საჭიროა კარგი ფრანგული — კარგი, რადგან სხვაგვარად შთაბეჭდილება იქნება ნული, — **ფრანგული**, რადგანაც თარგმნის დროს $^{9}/_{10}$ დაიკარგება სწორედ აღმასრულებელი კომიტეტისათვის, რომელსაც უნდა მოვახდინოთ გავლენა (გერმანელები **უიმედონი** არიან და შეიძლება არც იყონ).

რა თქმა უნდა, კარგი ფრანგულის გარდა საჭიროა **საქმის არსის ცოდნა** და ტაქტი. შენს გარდა **არავინ არ არის.** ამიტომ გთხოვ, ძალიან გთხოვ დათანხმდე თუნდაც ერთი დღით (წაიკითხავ მოხსენებას, ბოდიშს მოითხოვ, ოჯახში ავადმყოფები მყავსო, პოპოვს გადასცემ საქმეებს და წახვალ). თუ წერილობით უკვე უარი შეუთვალე, გამოგზავნე დეპეშა (Uljanow. Poronin — 10 სიტყვა 60 გალერი ღირს): «თანახმა ვარ ერთ დღეზე», «თანახმა ვარ მარტო 16» და ა. შ.

მაგრად გართმევ ხელს. გულწრფელად შენი ერთგული ვ. ი.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას ჩვენ დავწერთ *. შენი საქმე იქნება ორგანონ და წაიკითხო **კომენტარებით,** რომელთა გამო შეუთანხმდებით.

P. S. The new chairman is not here but must come very soon **.

კამსკი, პოპოვი, შენ. საფაროვი, მხოლოდ როგორც მდივანი, აი როგორ ვგეგმავ ბელეგაციის შემადგენლობას.

I hope you will not now decline my demand. A good «lecture» in French, in good French will help our party *extremely****.

ძალიან ვღელავ ბრიუსელის გამო. **მხოლოდ შენ** ჩაატარებდი ჩინებულად. გრიგოლი ალბათ ვერ შეძლებს წასვლას: ზინა ჯერაც საავადმყოფოშია (ცუდი «ფლეგმონა» აქვს) და კაცს სულ მოეშალა ნერვები. **მე ამ საქმეში არ გამოვდგები.** თანაც გრიგოლი მხოლოდ გერმანულად ლაპარაკობს (ისიც ცუდად), ჩვენ კი «ფრანგი» თუ არ გვეყოლა $^{9}/_{10}$-ს ვკარგავთ!!

დაწერილია 1914 წლის 6 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1959 წელს ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 5

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენება და ინსტრუქციული მითითებანი ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას ბრიუსელის თათბირზე» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 613—665). რ ე დ.

** — ახალი თავმჯდომარე ჯერ არ არის, მაგრამ ძალიან მალე უნდა ჩამოვიდეს. რ ე დ.

*** — იმედი მაქვს, რომ ახლა უარს აღარ მეტყვი თხოვნაზე. კარგი «ლექცია» ფრანგულად, კარგ ფრანგულ ენაზე, **დ ი დ ა დ** დაეხმარება ჩვენს პარტიას. რ ე დ.

357

ს. გ. შაუმიანს

ძვირფასო სურენ!

მაკვირვებს, რომ არ უპასუხეთ (თუ ვერ შეამჩნიეთ) არსებითი კანონპროექტში. **როგორ** უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ერის განათლების ხარჯების პროპორციული წილი? (თუ მოვითხოვთ, რომ ეს წილი არ იყოს მოსახლეობაში ამ ერის წილზე ნაკლები).

ამაზე უნდა იფიქროთ. შეაგროვოთ მონაცემები. გადაათვალიეროთ ლიტერატურა. დეტალურად დაამუშაოთ. მოიყვანოთ რიცხობრივი მაგალითები კავკასიის ცხოვრებიდან.

თქვენ კი ამის შესახებ სიტყვაც არ დაგიწერიათ!

ავტონომიის შეტანა თვითგამორკვევაში **სწორი** არ **არის**. ეს აშკარა შეცდომაა. იხ. ჩემი სტატიები «პროსვეშჩენიეში» *. თქვენ ყოყმანობთ და რაღაცას «ეძებთ», ამაოდ. უნდა **გაიგოთ** პროგრამა და მისი მომხრე იყოთ.

მომწერეთ «პროსვეშჩენიეში» დაბეჭდილი ჩემი სტატიების კრიტიკა. ვიბაასოთ.

სახელმწიფო ენის მოთხოვნა სამარცხვინოა. ეს პოლიციურობაა. მაგრამ მცირე ერებს **უქადაგო** რუსული ენა — აქ პოლიციურობის ნატამალიც არ არის. ნუთუ არ გესმით განსხვავება პოლიციელის ხელკეტსა და თავისუფალი ადამიანის ქადაგებას შორის?! საოცარია!

«მე ვაზვიადებ ველიკორუსული ნაციონალიზმის საშიშროებას»!!! აი, **კურიოზი**! ხომ არ იტანჯება რუსეთის 160 მილიონი **სომხური** ან **პოლონური** ნაციონალიზმისაგან? სირცხვილი ხომ არ არის **რუსეთელი** მარქსისტისათვის სომხური საქათმის თვალსაზრისს ადგეს? ველიკორუსული ნაცი-

---

* იხ. «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე» და «ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 1 — 46 და 479 — 560). **რ ე დ.**

ონალიზმი თრგუნავს და წარმართავს რუსეთის მმართველი **კლასების პოლიტიკას** თუ სომხური, პოლონური?? «სომხური» სიბეცის გამო თქვენ პურიშკევიჩებისა და **მათი** ნაციონალიზმის Handlanger-ი * ხდებით.

ახლა სხვაზე. დაუყოვნებლივ შეკრიბეთ და გამოგზავნეთ ზუსტი მონაცემები: 1) როდის და რამდენად ხშირად გამოდის კავკასიაში ს. დ.-ი გაზეთები ქართულ, სომხურ და სხვა ენებზე (ამა და ამ წლის ამა და ამ რიცხვიდან ამა და ამ დრომდე...). ამდენი №№. **ლიკვიდატორული** და **ჩვენი.** 2) ყველას ტირაჟი. 3) იმ მუშათა ჯგუფების რიცხვი, ვისაც შესატანი შეჰქონდათ. 4) სხვა მონაცემები. **ი ჩ ქ ა რ ე თ.** ვენისთვის გვჭირდება **ფაქტები** და არა ფრაზები. სასწრაფოდ მიპასუხეთ.

თქვენი ვ. ი.

დაწერილია 1914 წლის 6 ივლისამდე
პორონინში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

358

ი. თ. არმანდს

Dear friend! ლიკვიდატორებთან საერთო თუ ცალ-ცალკე დელეგაციების საკითხს, გირჩევთ, ახლა ნუ გადაწყვეტთ, ესე იგი ნუ იტყვით. თვითონ დელეგატი ქალები გადაწყვეტენ» [339].

(ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ჩავატარებთ 2 სხვადასხვას: ინტერნაციონალის წესდებით ჯერ უნდა ვსინჯოთ ერთად, ხოლო თუ **არ დათანხმდებიან,** ხმების განაწილებას წყვეტს ბიურო).

---

* — ხელშემწყობი. რ ე დ.

კოლონტაის მოხსენების შესახებ გეთანხმები: დარჩეს, მაგრამ არა რუსეთისაგან. შენ კი დისკუსიაში პირველი ან მეორე აიღებ სიტყვას.

Best wishes. Yours truly * ვ. ი.

დღეს ველოდი პასუხს შენგან. არ მოსულა. აქ წერილები უფრო გვიან მოდის, ვიდრე ბრიუსელში!

ამანათი მივიღეთ. Many thanks. I've got your despatch. Many, many thanks! M-r chairman is *not yet* here!! And I do not yet know, if my proposition (to send you) will be voted (if not, Gregory will go himself). More thanks!!**

დაწერილია 1914 წლის 9 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

359

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! უკვე საბოლოოდ შევუთანხმდი გრიგოლს, რომ ის არ მოდის (ზინა ისევ ავად არის!) (არც მე მივდივარ) — და რომ **შენ და პოპოვი** (და ალბათ + კამსკი + **საფაროვი** მხოლოდ როგორც მდივანი) **დაგამტკიცათ ცენტრალურმა კომიტეტმა.**

ხვალ გამოვგზავნი მოხსენების დასაწყისსა და დასასრულს. კიდევ გიმზადებ უამრავ რჩევას: დარწმუნებული ვარ, რომ

---

* — საუკეთესო სურვილები. თქვენი ერთგული. რ ე დ.

** — დიდი მადლობა. მივიღე შენი დეპეშა. დიდი, დიდი მადლობა! ბ-ნი თავმჯდომარე ჯ ე რ ა ც ა რ ჩ ა ნ ს!! და ჯერ არც ვიცი, დათანხმდებიან თუ არა ჩემს წინადადებას (შენ გაგგზავნოთ) (თუ არა, გრიგოლი თვითონ წავა). კიდევ ერთხელ გმადლობთ!! რ ე დ.

შესანიშნავად გააცამტვერებ პლეხანოვსაც (მოდის!!) და კაუ-
ცკისაც (მოდის). ვასწავლით ჭკუას... დიდებულია!

შენი ვ. უ.

დაწერილია 1914 წლის 9 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

360

ი. თ. არმანდს

Dear friend!

ახლა გავუგზავნე წერილი მამილოს (Mr. Harrison. 35. Mornington Crescent. 35. London. N. W.), იგი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრია, რათა პოპოვს (Popoff, rue du Beffroi. 2. A. Bruxelles) გაუგზავნოს 5 კაცის მანდატი.

პეტროვა (= ინესა; არ ღირს ლიკვიდატორებისათვის
სახელის თქმა!)
პოპოვი
ვლადიმირსკი
იურიევი
ვოლოდინი * (საფაროვი).
უკანასკნელი ორი, **ალბათ, არ წავა.**

სულგრძელად მაპატიე ეს არეული წერილი. We have many guests and I am extremely nervous, almost ill **.

შეკვეთილი წერილით გიგზავნი ცენტრალური კომიტეტის

---

* ხელნაწერში გვარები — იურიევი, ვოლოდინი — ხაზგასმულია. რ ე დ.
** — ბევრი სტუმარი გვყავს და საშინლად ვნერვიულობ, თითქმის ავად ვარ. რ ე დ.

მოხსენებას. გთხოვ, თარგმნე, ესე იგი მაშინვე დაიწყე თარგმნა (ამასთან **მაქსიმალურად თავაზიანი** გახადე, **მოაკელი** უხეშობა და გინება) — და, თარგმნის კვალობაზე, გაუგზავნე რუსული ტექსტი **პოპოვს.**

(შავი ჩემთვის დავიტოვე, რათა გამოვგზავნო შესწორებანი და დამატებანი, და, რათა I could take a counsel of Mr. Chairman who is not yet here but *must* come soon *)

გირჩევ თარგმნო შენი სიტყვისათვის და არა პრესისა და არა ბიუროსთვის (პოპოვი შემდეგ გადაათეთრებს და პირს გადაიღებს შენი შავიდან და ბიუროში შეიტანს) — შეეცადე ისე მოიქცე, თითქოს სიტყვის თქმის დროს, შენიშვნებში იყურებოდე. (რუსული ტექსტი თან წაიღე, ოღონდ ლიკვიდატორებს **არ მისცე**, უთხარი, თან არ წამომიღია, მხოლოდ თარგმანი წამოვიღე-თქო.)

თარგმნა დაიწყე IV ნაწილიდან («პირობები»). ეს ყველაზე მნიშვნელოვანია და ყველაზე სწრაფად უნდა გაუგზავნო პოპოვს (რომელმაც უნდა შეისწავლოს და თვითონაც მოემზადოს და ბერზინსაც მოელაპარაკოს).

NB [ფრანგულ ენაზე მოხსენების შავად დაწერის დროს ადგილი დატოვე გასწორებებისა და დამატებებისათვის.

აჯობებს, რომ ბრიუსელში 15-ში იყო. მაგრამ, თუ არ შეგიძლია, 16-შიც კარგია. მისწერე პოპოვს.

NB [ფანქრით დაწერილი ციფრებით აღნიშნულია ჩემი შავის ფურცლები იმ შემთხვევისთვის, თუ იქნა გასწორებანი და დამატებანი.

ძალიან გთხოვ, **რაც შეიძლება ხშირად** შემატყობინე (თუნდაც ძალიან მოკლე წერილებით), როგორ მიდის შენი მომზადება, ბუნდოვანი პუნქტების შესახებ etc.

Yours very truly ვ. ი.

---

* — შემიძლია მოვეთათბირო ბატონ თავმჯდომარეს, რომელიც ჯერ არ ჩამოსულა, მაგრამ მალე უ ნ დ ა ჩამოვიდეს. რ ე დ.

P. S. გირჩევ, სიტყვა მოხსენებისათვის პირველმა მოითხოვო, თუ საჭირო იქნა მოიმიზეზო ბავშვების ავადმყოფობა, რამაც შესაძლოა, თუ დეპეშა მიიღე, გაიძულოს მაშინვე შინ წახვიდე.

კამსკის ვწერ და ვთხოვ შეაგროვოს **ყველა** მასალა. აქედან ხვალ და ზეგ გამოგიგზავნით **ფუთებს** შენ და პოპოვს.

წაიკითხე მეორე გვერდზე, გამოგადგება, შეცდომით შენი წერილის მეორე გვერდზე მიმიწერია პოპოვისთვის!! *

დაწერილია 1914 წლის 10 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

361

ი. თ. პოპოვს

ყველა დოკუმენტი, რომლებსაც გამოგიგზავნიან პარიზიდან, პიტერიდან და სხვ., შეინახეთ კონფერენციაზე თქვენი მუშაობისათვის და შემდეგ **აკურატულად დამიბრუნეთ.**

თუ პიტერიდან გამოგიგზავნიან № 18 «სტოიკაია მისლს»[340] და 1914 წლის 4. IV. და 5. IV. ბურჟუაზიულ გაზეთებს, ეს უნდა დაუმატოთ, როგორც მასალა, ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას (4. IV დემონსტრაციისადმი ლიკვიდატორთა დამოკიდებულების საკითხზე[341]). მოხსენება ეგზავნება ინესას.

თქვენი და ვლადიმირსკის ყველაზე მთავარი მოვალეობაა (ინესა ორატორია ფრანგულად) — ჩაიწეროთ რაც შეიძლება ზუსტად ყოველივე, რაც მოხდება, განსაკუთრებით გერმა-

* იხ. შემდეგი წერილი. რედ.

ნელთა სიტყვები და **განსაკუთრებით კაუცკისა** — და მოხსენება ამის შესახებ გამოგზავნოთ ცენტრალურ კომიტეტში.

მტკიცედ მოითხოვეთ ყველაფრის თარგმნა ფრანგულად და არ ცნოთ (ამ თვალსაზრისით) გერმანული ენა.

დაწერილია 1914 წლის 10 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ბრიუსელში

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1959 წელს ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 5

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

362

წიგნის გამომცემლობა «პრიბოისს»

პატივცემულო კოლეგა! დიდად მადლობელი ვარ, რომ გამომიგზავნეთ წიგნის «მარქსიზმი და ლიკვიდატორობის» დასასრული. თქვენთან კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი სათხოვარი მაქვს. თუ შეიძლება, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ ამ წიგნის ყველა დაბეჭდილი ფურცელი (ესე იგი მთელი წიგნი) მისამართით: rue du Beffroi. 2. A. Bruxelles. M-r Jean *Popoff*. საქმე უაღრესად მნიშვნელოვანია და არც ერთი წუთით არ შეიძლება მისი გადადება. გამოგზავნეთ ექსპრესით, იქირავეთ შიკრიკი და სპეციალურად გაგზავნეთ ვარშავის ვაგზალში. ყველა ხარჯს მაშინვე აგინაზღაურებთ ფულის განსაკუთრებული გზავნილით, თუ ამას მოითხოვთ.

თუკი რაიმე შესაძლებლობა გაქვთ, გთხოვთ (ეს ისეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს ეხება, რომ ორ წელიწადში ერთხელ ხდება) შეაგროვოთ დამატებითი მასალები («პრავდისა» და «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას»[342] 2 კვირის კომპლექტები, «ნაშა ზარია» და ლიკვიდატორული ლიტერატურის მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი, მოეთათბირეთ «ტრუდოვაია პრავდის»[343]

რედაქტორს). იმავე პაკეტით. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით. ბულკინისა და მარტოვის სტატიები № 3 «ნაშა ზარიაში», აქსელროდის სტატიები პარტიული რეფორმის — უკაცრავად, რევოლუციის შესახებ, № 18 «სტოიკაია მისლი», პიტერის ბურჟუაზიული გაზეთები 1914 წლის 4. IV. საღამოსა და 1914 წლის 5. IV. დილისა, სტატიები ნაროდნიკებისა და ლიკვიდატორების ბლოკის შესახებ სადაზღვევო კამპანიაში. ყველაფერი, რასაც მოასწრებთ ვარშავის რკინიგზის საფოსტო მატარებლის (მგონი, საღამოსი) გასვლამდე.

დაწერილია 1914 წლის 11 ივლისს
გაგზავნილია პორონინიდან
პეტერბურგში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ჟურნალში
«ისტორიჩესკი არხივ» № 4

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

363

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! დღეს (კვირას) ჩამოვიდა ორი მუშა, ძალიან კარგი ბიჭები, ჩვენი დედაქალაქიდან. ჩვენი საპარლამენტო ჯგუფის ახალი თავმჯდომარე * ჩამოვა ხვალ ან უახლოეს დღეებში.

კარგი ამბებია. ახლა უაღრესად საჭიროა შენი ყოფნა ბრიუსელის «გამაერთიანებელ» კონფერენციაზე. შეგიძლია ძალიან, ძალიან სწრაფად მოაწყო ეს საქმე — ჩახვიდე 16-ში, დილით, და ბრიუსელიდან წახვიდე 18-ში, საღამოს. თანახმა ხარ, ხომ კი?

ძალიან გთხოვ, თანხმობა მოგვცე.

შენი ვ. ი.

* — გ. ი. პეტროვსკი. რ ე დ.

P. S. ახლა ხშირად მოგწერ, რათა მოვლენათა კურსში იყო.

დაწერილია 1914 წლის 12 ივლისს
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

364

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! უაღრესად მადლობელი ვარ თანხმობისათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩინებულად შეასრულებ შენს დიდმნიშვნელოვან როლს და საკადრის პასუხს გასცემ პლეხანოვს, როზა ლუქსემბურგს და კაუცკისა და რუბანოვიჩს (თავხედი!), რომლებიც ბრიუსელში იმის იმედით მიდიან, რომ მოაწყობენ დემონსტრაციას საერთოდ ჩვენს წინააღმდეგ და კერძოდ, ჩემს წინააღმდეგ.

შენ საკმაოდ კარგად იცნობ საქმეს, სიტყვაც გიჭრის. და დარწმუნებული ვარ, რომ ახლა შეძლებ საკმაოდ «თავხედი» იყო. ძალიან გთხოვ, «ცუდად არ გამიგო», თუ ზოგიერთ რადაც კერძო რჩევას მოგცემ შენი მძიმე ამოცანის შესამსუბუქებლად. პლეხანოვს უყვარს ამხანაგი ქალების «შეცბუნება» იმით, რომ «უცებ» იწყებს ქათინაურების ლაპარაკს (ფრანგულად და ა. შ.). ამისთვის მზად უნდა იყო, რათა სხარტად უპასუხო — აღტაცებული ვარ, ამხანაგო პლეხანოვ, თქვენ ჭეშმარიტად ძველი მუსუსი ბრძანდებით (ან გალანტური კავალერი) — ან რაიმე ამგვარი, რათა თავაზიანად მ ო - უ ჭ რ ა ს ი ტ ყ ვ ა. უნდა იცოდე, რომ ყველა გულზე გასკდება (ძალიან მიხარია!), როცა დაინახავენ, რომ არ ჩამოვედი, და, ალბათ, შენზე მოინდომებენ ჯავრის ამოყრას. მაგრამ

დარწმუნებული ვარ, შენ საუკეთესოდ უჩვენებ «ბრჭყალებს». წინასწარ აღფრთოვანებული ვარ, როცა ვფიქრობ, რომ საჯაროდ წაწყდებიან გულცივ, მშვიდ და ოდნავ ზიზღნარევ პასუხს.

პლეხანოვს უყვარს «შეკითხვების მიცემა», ისე რომ დასცინის იმას, ვისაც ეკითხება. გირჩევ: მაშინვე მოუჭრა — თქვენ, ისევე როგორც კონფერენციის ყველა წევრს, უფლება გაქვთ შეკითხვები მომცეთ, მაგრამ მე პირადად თქვენ კი არ გიპასუხებთ, არამედ მთელ კონფერენციას და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, ნუ შემაწყვეტინებთ-თქო, — იმისათვის, რომ «შეკითხვების მოცემა» მაშინვე გადააქციო მასზე **თავდასხმად.** ყოველთვის შეტევითი პოზიცია უნდა გეკავოს. ან ასე: მე-თქო, პასუხის ნაცვლად და პასუხისათვის (**ასე** მირჩევნია), **სიტყვას ავიღებ,** როცა ჩემი რიგი მოვა და თქვენ სავსებით კმაყოფილი დამრჩებით-თქო. ჩემი გამოცდილებით, ეს საუკეთესო ხერხია თავხედების წინააღმდეგ. ლაჩრები არიან და მაშინვე დაიჩუტებიან, სიტყვა გაუწყდებათ.

მათ არ უყვართ, როცა ციტატები მოგვყავს რეზოლუციებიდან. ეს კი საუკეთესო პასუხია: აქ უმთავრესად იმიტომ მოვედი-თქო, რომ გადმოგცეთ ჩვენი მუშათა პარტიის გ ა ფ ო რ მ ე ბ უ ლ ი პარტიული გადაწყვეტილებანი. ვისაც ეს გადაწყვეტილებანი აინტერესებს, აი მოგიყვებით ერთ მათგანს-თქო.

განსაკუთრებით nota bene და წინასწარ გადახედე:

1) 1912 წლის იანვრის კონფერენციის რეზოლუციას კონფერენციის კონსტიტუირების* შესახებ. ეს 1912 წლის იანვრის კონფერენციის **კანონიერების** საკითხზე (როზა ლუქსემბურგი, ალბათ, დასვამს საკითხს კანონიერების შესახებ, და ალბათ სხვებიც). (აქვე უნდა ვთქვა: მახარებს, რომ... გერმანელები ვერ გაიგებენ ან თითქმის ვერ გაიგებენ, რას ლაპარაკობ — ახლო მიუჯექი აღმასრულებელ კომიტეტს და

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 541—542. რ ე დ.

მ ა თ თ ვ ი ს ილაპარაკე. თვითონ შენ კი **სრული** უფლება გაქვს გერმანელთა ყოველი სიტყვის შემდეგ სთხოვო ჰიუისმანსს: თუ შეიძლება, თარგმანი!)

2) 1912 და 1913 წლების რეზოლუციები **მოქნილი** ფორმების შესახებ * (კაუცკისთვის: ამ სულელმა ვერ გაიგო განსხვავება ი ა ტ ა კ ქ ვ ე შ ე თ ი ს ცნობასა და ამ იატაკქვეშეთის **დ ა ფ ა რ ვ ი ს ა** და მისი ორგანიზაციის **ახალი** ფორმების ძიებას შორის).

3) 1913 წლის II. რეზოლუციები **ქვემოდან ერთიანობის შესახებ** ** («თქვენ მუშათა 670 ჯგუფს გამორიცხავთო??» სისულელეა! ჩვენ **მათ ვეძახით.** — «უმრავლესობას არა აქვს უმცირესობის გარიცხვის უფლებაო». — იმ შემთხვევის გარდა, როცა უმცირესობა არ ასრულებს უმრავლესობის ნებას, არ ემორჩილება ფორმალურ გადაწყვეტილებებს. სწორედ ეს არის ჩვენი შემთხვევა).

შენი ვ. უ.

გირჩევ არ დაივიწყო კონფერენციის მიზნის ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი განსაზღვრა (პოპოვს ან ჰიუისმანსს გამოართვი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1913 წლის XII. რეზოლუციის ფრანგული ტექსტი):

ერთობლივად გამოთქვათ აზრი
სადავო პუნქტების გამო!!

მხოლოდ და მხოლოდ! ერთობლივად გამოთქვათ აზრი — სწორედ ამას ვასრულებ-თქო.

პ ო პ უ ლ ა რ უ ლ ი (ფრანგებთან არქიპოპულარული უნდა იყო) განმარტებისათვის ძალზე საჭიროა აგრეთვე თემა არალეგალური ორგანიზაციის შესახებ, იმის შესახებ, რომ მ ა ს სჭირდება უდიდესი ნდობა, კონსპირაცია etc. თქვენ, ევროპელებს, რა გიშავთ: ღია პარტია, ლეგალური, გაქვთ პარ-

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 565 — 566 და ტომი 18, გვ. 553 — 554. რ ე დ.

** იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 560 — 562. რ ე დ.

ტიის წევრთა სიები, გაქვთ ღია კონტროლი და შემოწმება!! ასე **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი** ადვილია!!

ჩვენში კი **შ ე უ ძ ლ ებ ე ლ ი ა** პარტიის წევრობის ზუსტი და აშკარა განსაზღვრა არალეგალურ ორგანიზაციაში და შეუძლებელია აშკარა კონტროლი. ამიტომ საჭიროა maximum ნდობა, რათა დავიცვათ დისციპლინა და ერთსულოვნად ვიმუშაოთ, ხოლო ლიკვიდატორები უარს ამბობენ რა ბატაკქვეშეთზე, შეუძლებელს ხდიან ერთად მუშაობას.

მაგრამ, მცდარია აზრი, თითქოს რუსეთში ახლა არ შეიძლებოდეს განისაზღვროს მიმდინარეობათა **ძ ა ლ ებ ი**, განისაზღვროს **ვ ი ს მ ი ს დ ე ვ ს** უმრავლესობა.

გაზეთის, მუშათა ჯგუფების შენატანების etc. საშუალებით **შ ე ი ძ ლ ებ ა** ამის განსაზღვრა, სავსებით საიმედოდ და უთუოდ.

(პოპოვს გავუგზავნე მთელი რიგი ცხრილები და დოკუმენტები სათაურების სათარგმნად და ბიუროში შესატანად.)

გრიგოლის აზრით, არ შეიძლება წასვლა იმის გამო, რომ უარს ამბობენ ოქმების წერასა და მათს პუბლიკაციებზე; მაგრამ წერილობითი განცხადების შეტანა საჭიროა. **ა ღ მ ა ს რ უ ლ ებ ე ლ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი — შ უ ა მ ა ვ ა ლ ი ა.** ეს კარგად უნდა დაიმახსოვრო (ეს არის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1913. XII. ოფიციალურ რეზოლუციაში). მოსამართლე კი არა, არამედ **შ უ ა მ ა ვ ა ლ ი**. თუ რამე მოხდა, ასევე უნდა განაცხადოთ: მადლობელი ვართ შუამავლობისათვის, ხალისით მივიღეთ, მოიყვანოთ ციტატა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციიდან (1913. XII.). სიტყვა «შუამავლობა», მაგრამ შუამავალს ვთხოვთ გადასცეს მოწინააღმდეგეს: 1) ჩვენი **პირობები** და 2) **ობიექტური მონაცემები.** ეს არის და ეს!!

NB. ჩვენ **ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი** პარტია ვართ. ეს მტკიცედ გახსოვდეს. **ა რ ა ვ ი ს** არა აქვს უფლება თავს მოგვახვიოს სხვისი ნება, **ა რ ც** საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს არა აქვს **ა მ ი ს უ ფ ლ ებ ა**. თუ **დ ა გ ვ ე მ უ ქ რ ნ ე ნ**, ეს **მ ხ ო ლ ო დ ფ რ ა ზ ა** იქნება.

ხვალ გამოგიგზავნი მოხსენების დასასრულს. ახლა შენ დაგადგება ჯაფა, რა ვქნათ, დრო ცოტაა, საქმე კი ბევრი! წინასწარ მადლობელი ვარ.

შენი ერთგული ვ. ი.

დაწერილია 1914 წლის 13 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა შემოკლებით
1959 წელს ჟურნალში
«ეოპროსი ისტორიი კპსს» №5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

365

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ვსხედვართ სპეციალურ სხდომაზე ახალ თავმჯდომარესთან და სხვა მუშებთან ერთად [344]. მდგომარეობა საუცხოოა. შენი ამბავი ძალიან მახარებს და მადლობელი ვარ, რომ გამათავისუფლე ჩემი მოვალეობისაგან ბრიუსელში (მარტოვი ბრიუსელშია. შენი ამოცანა ძალზე ძნელია, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი). დიდი მადლობელი ვარ შენი ესოდენ არასასიამოვნო და ესოდენ ოსტატური მუშაობისათვის.

ჩვენი ყრილობა აგვისტოში გაიმართება. თითქმის მთელი საჭირო ფული უკვე ხელთა გვაქვს.

გთხოვ, ესაუბრე ბერზინს. როგორია მისი აზრი და მისი გეგმები? მათგან ვის შეუძლია მონაწილეობა? მათს ცენტრალურ კომიტეტს? თუ არა? თუ თუნდაც მათს დელეგატებს ადგილებიდან? ჩვენმა ყრილობამ კარგად უნდა ჩაიაროს.

გულახდილად ელაპარაკე, შემდეგ ამბებზე კი წერილების საშუალებით შევთანხმდეთ.

შაბათს ღამით აუცილებლად და რაც შეიძლება დაწვრილებით მიდეპეშე შედეგები და ა. შ. კვირას ჩვენი ტელეგრაფი ღიაა **მხოლოდ** დილის 8 — 10 საათზე.

ჩვენი თავმჯდომარე აქ იქნება კვირამდე. მან უნდა გაიგოს შედეგები.

თუ კონფერენციაზე იკითხავენ, ისინი (ესე იგი ჩვენი ცენტრალური კომიტეტი) მოიწვევენ თუ არა ყრილობაზე **ეროვნულ** ორგანიზაციებსო, პასუხი: **ჰო.**

გულწრფელად შენი ერთგული ვ. ი.

დაწერილია არა უგვიანეს 1914 წლის
16 ივლისისა
გაგზავნილია პორონინიდან ბრიუსელში
პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

366

ბ. ლ. შკლოვსკის

ძვირფასო მეგობარო! ალბათ იცით, როგორ დამთავრდა ბრიუსელის კონფერენცია! პოლონეთის ოპოზიცია ლიკვიდატორთა მხარეზე გადავიდა!

ახლა დაიწყება ღალატის ხანა, მაგრამ იგი არაფერს არ შეცვლის.

ცხადია, ჩვენ არ ავყვებით «საერთო ყრილობას» — ლიკვიდატორები + როზა + ალექსინსკები + პლეხანოვები[345].

სამოილოვი როგორ არის? ნამდვილად გამოჯანმრთელებისაკენ თუ მიდის საქმე? ვენისთვის კარგად თუ იქნება? (მართლა, ვენისთვის თუ ემზადებით? მიპასუხეთ დაწვრილე-

ბით.) რაც შეიძლება დაწვრილებით მოიწერეთ სამოილოვის შესახებ.

რა თქვეს, კუჭში რა აქვსო?

მოიკითხეთ ოჯახი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 18
ივლისზე გვიან
გაგზავნილია პორონინიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

367

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გთხოვთ გაისარჯოთ და მოგვაწოდოთ ინფორმაცია რ უ ს ე თ ში რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი დ ღ ე ე ბ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე [346].

უგაზეთებოდ ვართ.

გთხოვთ

1) ყოველდღე გამოგვიგზავნოთ (უბრალო ბანდეროლით) **ბერლინის** გაზეთები, სადაც **ყველაზე მეტი** ცნობები იქნება რუსეთიდან («Vorwärts»-ი, ან, მგონი, უკეთესია «Berliner Tageblatt»-ი [347]: აარჩიეთ ისეთი, სადაც **მ ე ტ ი დ ე პ ე შ ე ბ ი** იქნება რუსეთიდან).

2) აგრეთვე რუსული გაზეთები **პ ი ტ ე რ ი დ ა ნ დ ა მ ო ს კ ო ვ ი დ ა ნ** (ჩვენ მხოლოდ «კიევსკაია მისლი» გვაქვს) — «რეჩი», «ნოვოე ვრემია» (ი ვ ლ ი ს ი ს დ ღ ე ე ბ ი ს დ ა წ ყ ე ბ ი დ ა ნ ვ ე)...

3) დეპეშები **განსაკუთრებით**, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ამბების შესახებ, თუ ასეთი მოხდა, ჯარში აჯანყების შესახებ და ა. შ.

მისამართი ყველაფრისათვის (და დეპეშებისათვის) *Uljanow* (მხოლოდ ორი სიტყვა). *Poronin*.

ხარჯებს აგინაზღაურებთ. **მაშინვე** გამოგზავნეთ ღია ბარათი, კისრულობთ თუ არა (იმედი მაქვს, უარს არ იტყვით) და რამდენი ფული გამოგიგზავნოთ.

(აქამდე ფოსტისა და ტელეგრაფის ტარიფი იგივეა, რაც **შიგ** გერმანიაში.).

მაშ ასე, ველი პასუხს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გთხოვთ გამოგზავნოთ აგრეთვე ამონაჭრები «Vorwärts»-იდან **ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე,** რაც კი ეხება ბრიუსელის 1914 წლის 16 — 18. VII. კონფერენციას და იქაურ «ბლოკს» (როზა+პლეხანოვი+ალექსინსკი+ლიკვიდატორები და ა. შ.).

დაწერილია 1914 წლის 18
ივლისზე გვიან
გაგზავნილია ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

368

ი. თ. არმანდს

ჰიუისმანსი და ვანდერველდე **ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ** დაგვემუქრნენ. საცოდავი დიპლომატები! ჩვენს (ან თქვენს) დაშინებას ფიქრობდნენ. რა თქმა უნდა, არ გამოუვიდათ.

მე და გრიგოლი ვამბობთ: უფრო გონივრული იქნებოდა, სულაც უარი რომ გვეთქვა წასვლაზე. მაგრამ რუსი მუშები ამას ვერ მიხვდებოდნენ, ახლა კი **ი ს წ ა ვ ლ ო ნ** ცოცხალი მაგალითით.

შენ უკეთ მოაგვარე საქმე, ვიდრე ამას მე შევძლებდი. ენის გარდა, მე ალბათ **ა ვ ფ ე თ ქ დ ე ბ ო დ ი.** ვერ მოვითმენდი კომედიანტობას და ვეტყოდი, არამზადები ხართ-თქო. **მათ კი მხოლოდ ეგ უნდოდათ** — სწორედ ამისთვის აწყობდნენ პროვოკაციას.

თქვენ კი და შენც მშვიდად და მტკიცედ გამოგივიდათ. Extremely thankful a greeting you *.

მიკვირს, რომ დღეს (კვირას) არ არის დეპეშა კონფერენციის **დახურვის** შესახებ. ალბათ შაბათს 4 საათზე უკვე დახურეს. შეიტანეთ თუ არა (სამმა დელეგატმა, თქვენ, ლატვიელებმა + პოლონეთის ოპოზიციამ) წერილობითი განცხადება?

ველი შენს შთაბეჭდილებებს. შენი ვ. უ.

დაწერილია 1914 წლის 19 ივლისს
პორონინში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

369

ი. თ. არმანდს

კვირა. 19/VII.

ჩემო ძვირფასო მეგობარო! დღეს პირველად მივიღე კარგი ცნობა (ძალიან, ძალიან კარგი!) — როგორც ჩანს, კამსკის დაწერილია. ათას მადლობას გითვლი!! შენი ამოცანა ძნელი იყო და ... ჰიუისმანსმა რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა შენსა და ჩვენი დელეგაციის წინააღმდეგ, მაგრამ შენ საუკეთესოდ მოიგერიე ყველა მისი გამოხდომა. შენ დიდი სამსახური გაუწიე ჩვენს პარტიას! განსაკუთრებით მადლობელი ვარ იმისთვის, რომ მე შემცვალე. დეპეშაში (გუშინდელში) ნათქვამია «თქვენ (ჩვენ) და ლატვიელები» მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ დ ი თ ტაქტიკისა და ორგანიზაციის შესახებ საკმაოდ მოზრდილი რეზოლუციის კენჭისყრაში (აღარ არის ტაქტიკური უთანხმოებანი etc.). დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეცდომაა. თქვენ და ლატვიელებს მონაწილეობა **არ** მიგიღიათ (ისევე, როგორც პროგრამაში იყო).

* — დიდად მადლობელი ვარ და მოგესალმები. რ ე დ.

ლიკვიდატორთა **უკანასკნელი** იმედია საზღვარგარეთის დახმარება, მაგრამ ეს იმედიც ჩაეფუშებათ.

შენს ვაჟს გავუგზავნე 150 ფრ. ალბათ ეს ძალზე ცოტაა, არა? გთხოვ, დაუყოვნებლივ შემატყობინო, რამდენით მეტი დახარჯე. მაშინვე გამოვგზავნი.

ჩვენი ყრილობა გაიმართება აქ დაახლოებით 20 — 25 აგვისტოს ახალი სტილით. დელეგატი შენ უნდა იყო

1) საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტისაგან

2) ბრიუსელის დელეგაციისაგან.

აჯობებდა, ადრე რომ ჩამოსულიყავი. ბევრი საქმეა. მოდი, წინასწარ შევთანხმდეთ წერილების საშუალებით.

შენი ვ. უ.

... P. S. ვანდერველდე და კაუცკი ჭორს ავრცელებდნენ «ლენინი ბრიუსელში იმალებაო»!! როგორია! ოჰ, ეს საზიზღარი ჭორიკნები — მათ ბრძოლის **ერთი** ხერხი აქვთ.

შენ და პოპოვმა მშვენივრად მოიშორეთ ჰიუისმანსი. ახია მაგაზე. მოიწერე, ძალიან ხომ არ დაიღალე, ძალიან გაბრაზებული ხომ არა ხარ. ჩემზე გაჯავრებული ხომ არა ხარ, რომ დაგაჯერე წასულიყავი?

დაწერილია 1914 წლის 19 ივლისს
პორონინში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

370

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! დღეს მივიღე შენი წერილი და პოპოვის წერილი. ზუსტად ვერ გამიგია, რაშია თქვენი უთანხმოება, და, ვფიქრობ, იგი არც ისე მნიშვნელოვანია. მნიშვნელო-

ვანია მ ხ ო ლ ო დ კენჭისყრა და შენ სწორი იყავი, რომ არ მიიღე მონაწილეობა. ეს ყველაფერია.

რატომ არის შენთვის «უაღრესად არასასიამოვნო» მოიწვერო დელეგაციის წარმომადგენლის მოვალეობის შესრულების შესახებ? — არ მესმის. შენი და პოპოვის წაჩხუბებას მნიშვნელობა არა აქვს. რატომ ხარ წინააღმდეგი, რომ დელეგატი იყო??? ძალიან გთხოვ, გულახდილად მომწერო!!

მადლობელი ვარ, რომ დაწვრილებით მომწერე კონფერენციის შესახებ! ამხანაგი ლატვიის პარტიიდან აქ არის. ზუსტად მოვილაპარაკებთ ჩვენს ყრილობაში მათი მონაწილეობის შესახებ.

ძალიან კარგი იქნებოდა მიმოწერა დაგეწყო კაუცკისთან (იგი გათახსირებული, სრულიად უნებისყოფო, ადვილად ამყოლი კაცია, წამდაუწუმ იცვლის პოზიციას ფარული წადილისა და ჩემს წინააღმდეგ «ფულის თაობაზე მომხდარი ამბის» გამო განწყობილების მიხედვით: განსაკუთრებით საზიზღრობაა, როცა გამოდის, როგორც «მიუკერძოებელი» ან ასრულებს «მიუკერძოებლის როლს», სინამდვილეში კი მისი აზრი მიკერძოებულია და გაბოროტებულია უმთავრესად ჩემს წინააღმდეგ პირადად ჩემთან ფულის თაობაზე მომხდარი ჩხუბის შემდეგ. საზიზღრობაა!). თუ გთხოვა. მომწერეო და თუ შენ შეგიძლია იკისრო ყველა მოხსენების თარგმნა ფრანგულ ენაზე და მისთვის გაგზავნა (**უმთავრესად 1914. IV. 4-ის შესახებ**) — ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მეტად რთული საქმეა და, მე, ჩემდა თავად, ამას არ **გთხოვ. თუ შენ** გინდა — გააკეთე! (ჩემი პირადი აზრია: კარგი იქნებოდა კაუცკისთვის გაგვეცნო საქმე და განსაკუთრებით დეტალურად **გაგვეშუქებინა** 1914. IV. 4-ის საკითხი და ჯგუფების სტატისტიკა: ეს სტატისტიკა ნაწილობრივ გამოქვეყნებულია «Leipziger Volkszeitung»-ში 1914 წლის 21. VII. თუ გინდა, გამოგიგზავნი, და თუ გინდა, პ რ ი ვ ა ტ უ ლ ა დ დ ა გ ე ხ მ ა რ ე ბ ი კ ა უ ც კ ი ს ა დ მ ი წ ე რ ი ლ ი ს მ ო მ ზ ა დ ე ბ ა შ ი. მაგრამ ახლა ძალიან ძნელია საზიზღარი ინტრიგების პარალიზება და კაუცკი როზა ლუქსემბურგის, პლე-

ხანოვისა და კომპანიის ინტრიგების მსხვერპლია. პლეხანოვი, როგორც ყოველთვის, უსაზიზღრესი მოღალატეა. თუ ნახე, როგორ დავარტყი № 7 «რაბოჩიში»[348] და № 6 «პროსვეშჩენიეში»? *).

ახლა არ შემიძლია «Neue Zeit»-ის მისამართის მონახვა. თუ გინდა, შეგიძლია მისწერო «Neue Zeit»-ის გამომცემლობის მისამართით: *Stuttgart*, Furtbachstraße. 12 *für* Genossen Karl Kautsky.

იდიოტებსა და ინტრიგანებს სურთ კაუცკის დახმარებით ვენის კონგრესზე გამოიტანონ რეზოლუცია ჩვენს წინააღმდეგ. დაე!! ჩვენ ამას ხელს ვერ შევუშლით. მაგრამ მშვიდად ვიქნებით. ეს უკანასკნელი «შეარიგებს» ოპორტუნისტებს, რომლებსაც აგრეთვე სურთ გაიმარჯვონ.

კონფერენციაზე თქვენ სწორად მოიქეცით და დიდი სამსახური გაუწიეთ პარტიას. პოპოვი შენზე მწერს, ავად არისო. ძალიან სუსტი ხმა გქონდა. რითი ხარ ავად? ძალიან გთხოვ, უფრო დაწვრილებით მოიწერე!! თორემ მშვიდად ვერ ვიქნები.

გულითადად მოგესალმები და გისურვებ ყოველივე საუკეთესოს. გისურვებ ჯანმრთელობასა და სიმშვიდეს.

შენი ვ. უ.

დაწერილია 1914 წლის 24 ივლისამდე
გაგზავნილია პორონინიდან ლოვრანში
(ავსტრია-უნგრეთი, ამჟამად
იუგოსლავია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

---

* იხ. «ავანტიურიზმის შესახებ» და «მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 434 — 439 და 561 — 602). რ ე დ.

371

იანსონს ან შტიცს

პორონინი, 1914 წლის 25 ივლისი.
(გალიცია)

დიდად პატივცემულო ამხანაგო!

ძალიან გთხოვთ მაპატიოთ, რომ თავს ნებას ვაძლევ მოგმართოთ თხოვნით, თუმცა პირადად არ გიცნობთ. მაგრამ ამას მაიძულებენ ბოლო რევოლუციური ამბები რუსეთში.

თქვენი მისამართი, ისევე როგორც ამხანაგ კ. ვ. კ. იანსონის მისამართი ვიპოვე «Vorwärts»-ში (ბერლინი), 1913 წ. № 33 (1913. 8. II.) («პარტიული ცხოვრებიდან»: «სტოკჰოლმში მცხოვრები გერმანელი პარტიის წევრები»). ჩვენი კავშირი ს.-პეტერბურგთან ჩვეულებრივი გზით (ვარშავის გავლით) ახლა შეუძლებელი გახდა.

ამიტომ გთხოვთ მოგვცეთ რამდენიმე კარგი კონსპირაციული მისამართი ან ერთი კარგი კონსპირაციული მისამართი სტოკჰოლმში. ეს უნდა იყოს საიმედო და ძ ა ლ ზ ე ა კ უ რ ა ტ უ ლ ი ამხანაგის მისამართი. სასურველია მივიღოთ მ უ დ მ ი ვ ი მისამართი. შეგვიძლია მიმოწერა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

ამ ამხანაგმა შვედური მარკები უნდა დააკრას ჩვენგან მიღებულ წერილებს და გაგზავნოს ფინეთში (ან ს.-პეტერბურგში). აგრეთვე ფინეთიდან (ან რუსეთიდან) მიღებული წერილები **(კონვერტიანად)** გამოგზავნოს ჩვენი მისამართით: Ulianow. *Poronin* (Galizien). თუ დეპეშები იქნა, უნდა გადმოგვცეს ტელეგრაფით.

თუ გაირჯებით და ამას მოგვიხერხებთ, ფოსტისა და ტელეგრაფის ხარჯებისთვის (აგრეთვე კონვერტებისა და სხვ.) საჭირო თანხას სასწრაფოდ გადმოგიგზავნით.

ამასთან გიგზავნით საპასუხო საერთაშორისო ქვითარს.

პირადობის მოწმობაში გატყობინებთ, რომ 1907 — 1911 წლებში ვიყავი რსდმ პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. ჩემი პარტიული სახელია ლენინი,

ნამდვილი გვარი — ულიანოვი. ჩემი წინანდელი მისამართი, რომელიც ჩაწერილია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ბევრ ნაბეჭდ დოკუმენტში, ასეთია: Oulianoff. 4. Rue Marie Rose. Paris (XIV).

მას აქეთ, რაც გადმოვსახლდი გალიციის სოფელში, უარი ვთქვი ამ პოსტზე. ახლა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ჩვენი წარმომადგენელია ამხ. ჰარისონი (35. Mornington Grescent. London. N. W.).

შვეიცის პარტიის ლიდერი, ამხანაგი ბრანტინგი, მიცნობს. შეგიძლიათ დაურეკოთ ტელეფონით. იმ შემთხვევისთვის, თუ სტოკჰოლმში არ იმყოფება, ამასთან, ჩემი პიროვნების დასადასტურებლად გიგზავნით იმ სოციალისტური გაზეთების ბანდეროლებს, რომლებსაც ვღებულობ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით
პარტიული სალმით წინასწარ გიხდით მადლობას

ნ. ლ ე ნ ი ნ ი
(ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი)

P. S. ძალიან გთხოვთ, წერილი, რომელიც ამას ახლავს, გაგზავნოთ ფინეთში.

Wl. Uljanow.
Poronin (Galizien).

გაგზავნილია სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 48

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით
ორიგინალი გერმანულიდან

372

ი. რუდის-გიპსლისს [349]

ძვირფასო ამხ. რუდე! ამას წინათ ვნახე ერთი მეტად პატივცემული და ძვირფასი ს.-დ. ლატვიელი *, რომელმაც მიამ-

* იგულისხმება ე. ზვირბულისი. რ ე დ.

ბო ლატვიის პარტიაში ეგრეთ წოდებული «მემარცხენე ოპოზიციის» შესახებ. თქვენც მას მიგაკუთვნათ.

არ ვიცი, თქვენ და თქვენი მეგობრები რამდენად და ნამდვილად თუ ახორციელებთ «მემარცხენე ოპოზიციას» ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტის მიმართ. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ამას შვრებით, უაღრესად ლოიალურად იქცევით.

ყოველ შემთხვევაში, ფაქტი სახეზეა: ეს არის ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტის გადანაცვლება მარცხნივ. დამადასტურებელი საბუთია № 32 «ტრუდოვაია პრავდაში» დაბეჭდილი რეზოლუცია და უარის თქმა ბრიუსელში ლაყე, სულელური, ლიკვიდატორთა დაჩცველი რეზოლუციისთვის კენჭისყრაზე. პოლონეთის დელეგაციამ ხმა მ ი ს ცა: ჩემი აზრით, ეს ან ღალატია ან უნამუსო «თამაში», ან უარესზე უარესი ყაიდის დიპლომატია.

ამბობენ, რიგის მე-4 რაიონი მოითხოვს უფრო მჭიდრო კავშირს ჩვენს ცენტრალურ კომიტეტთანო.

მართალია?

ლატვიელი მუშების უმრავლესობა ამის მომხრეა თუ არა? ჩემი აზრით, საჭიროა ლატვიელ მუშებს გავაცნოთ ჩვენი «14 პირობა». ისინი გერმანს გაუგზავნე. იმედი მაქვს, უარს არ გეტყვით და ცოტა ხნით მოგცემთ წასაკითხად.

შემდეგ, საჭიროა გამოვარკვიოთ ჩვენი პრინციპული დამოკიდებულება ფედერაციისადმი. ჩვენ **პრინციპულად** მისი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ვართ. ჩკენ დემოკრატული ცენტრალიზმის მომხრე ვართ. და თუ ეს ასეა, რაღა საჭიროა ლატვიის ს.-დ.-სთან 1906 წლის ძველი, დამპალი «ხელშეკრულების» შენახვა, სადაც რჩება **ფედერაციული** პუნქტები, როგორიცაა, მაგალითად, საერთო ცენტრალურ კომიტეტში ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტის დ ე ლ ე გ ა ც ი ა? სტოკჰოლმში (1906) პოლონელებმაც კი პრინციპულად უარყვეს ეს **ფედერალისტური** პუნქტი.

არა მჯერა, რომ შეგნებული ლატვიელი მუშები ამ პუნქტის მომხრენი იყვნენ — იგი აადვილებს თამაშს, დიპლომატიას, წრეობანას. მუშაობისთვის იგი მავნეა.

შემდეგ, მართალია თუ არა, რომ შეგნებული ლატვიელი მუშები მერყეობენ იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა ბრძოლა ბუნდის სეპარატიზმისა და კულტურულ-ეროვნული ავტონომიის წინააღმდეგ?? ეს ძალზე სამწუხარო იქნებოდა!

ლატვიურ ენაზე თარგმნილი თუა და თუ დაიბეჭდა ეროვნულ საკითხზე[350] ჩვენი ზაფხულის (1913) თათბირის რეზოლუცია?

პოლონეთის ოპოზიცია ბრიუსელში ლიკვიდატორთა და «ტროშკისეული» დიპლომატობანის თამაშის პოზიციას დაადგა: კვანტი, ზურგში ლახვარი პრავდისტებს, მათგან გამოყოფა «ევროპის წინაშე». ახლა სურთ «ტროშკისებურად» დაიცვან ხელშეკრულების ფედერალისტური პუნქტები და «დაიცვან» ბუნდის ნაციონალიზმი (კულტურულ-ეროვნული ავტონომია), დაიცვან პარტიის ძირმომპალი (ლიკვიდატორებისთვის სასარგებლო) «კანონიერება» **1912 წლამდე** (ე. ი. ლიკვიდატორთა წინააღმდეგ პარტიის აღდგენამდე).

იმედი მაქვს, რომ ლატვიელები ამ გზას არ დაადგებიან. მინდა ვიცოდე თქვენი და თქვენი რიგელი მეგობრების, მე-4 რაიონისა და სხვების აზრი.

გართმევ ხელს. საუკეთესო სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 26 ივლისს
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1935 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

373

ვ. მ. კასპაროვს

ძვირფასო ამხანაგო!

«Vorwärts»-ი არა მაქვს, იქ კი დაბეჭდილია (სხვა სოციალისტური გაზეთებიდან ამონაწერებით თუ ვიმსჯელებთ) დიდმნიშვნელოვანი მასალები — მაგალითად, გამოხმაურებანი (და კორესპონდენციები) პეტერბურგის მუშათა მოძრაობაზე, მანიფესტაციების გამო etc.

უკიდურესად გვჭირდება (ცენტრალური ორგანოსთვისაც და სხვა საქმისთვისაც).

ხომ არ შეგიძლიათ შეადგინოთ (და შემდგომშიც შეგვიდგინოთ ხოლმე) ამ საკითხებზე «Vorwärts»-იდან ამონაჭრების კომპლექტი (გაზეთის თარიღის აღნიშვნით) და გამოგვიგზავნოთ?

თუ შეგიძლიათ, გამოგიგზავნიო სახარჯო ფულს (მოიწერეთ, რამდენი).

თუ არ გცალიათ ან საერთოდ არ შეგიძლიათ, შეგვატყობინეთ.

იმედი მაქვს, თვალს ადევნებთ «Vorwärts»-ს? თუ დაიბეჭდა პლეხანოვის სტატიის თარგმანი «პარტიისათვის»? [351]

ძალიან დამავალებთ, თუ შეაგროვებთ აგრეთვე ამონაჭრებს ბურჟუაზიული გაზეთებიდან პიტერის ახლანდელ ბობოქარ ამბებზე.

იჩქარეთ!

ველი პასუხს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის ივლისის
მეორე ნახევარში
გაგზავნილია პორონინიდან ბერლინში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

374

დეპეშა
ქალაქ კრაკოვის პოლიციის დირექტორს[352]

აქაურ პოლიციას ჯაშუშად მივაჩნივარ. ორ წელიწადს ვცხოვრობდი კრაკოვში, ზვეკინცში და ლუბომირსკის ქუჩა 51. პირადად მიმიცია ცნობები ზვეკინცის პოლიციის კომისრისთვის. ვარ ემიგრანტი, სოციალ-დემოკრატი. გთხოვთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უდეპეშოთ პორონინში და ნოვი ტარგის მამასახლისს.

ულიანოვი

დაწერილია 1914 წლის 7 აგვისტოს
გაგზავნილია პორონინიდან კრაკოვში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის II კრებულში

იბეჭდება
უცნობის ხელით
დაწერილი ტელეგრაფის
ბლანკის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

375

გრანატის გამოცემათა რედაქციის მდივანს

Berne, le 15 sept. 1914.

პატივცემულო რედაქციის მდივანო! გატყობინებთ, რომ მისამართი შევიცვალე. ეს არის თავი დავაღწიე ხანმოკლე ტყვეობას ავსტრიაში და ახლა ვიცხოვრებ ბერნში. გთხოვთ მაცნობოთ, რომ ეს წერილი მიიღეთ და როდის უნდა წარმოგიდგინოთ სტატია (იმედი მაქვს, ომი საკმაოდ საპატიო მიზეზია ვადის გასაგრძელებლად) *. თუ საჭიროა — გამოგზავნეთ დეპეშა, სადაც ერთი სიტყვა (თვის რიცხვი ძვ. სტ.) სტატიის

* ლაპარაკია სტატიაზე «კარლ მარქსი (მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემითურთ)» (იხ. ვ. ი. ლენინი. მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 35 — 97). რედ.

წარმოდგენის ვადა იქნება. ჯერ სავსებით დარწმუნებული არა ვარ, დროზე მიდის თუ არა ახლა ხელნაწერები.

მზად ვარ გემსახუროთ. ვ. ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 15 სექტემბერს
გაგზავნილია მოსკოვში

პირველად დაიბეჭდა 1959 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

376

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! უ დ ი დ ე ს ი მოკითხვა გადაეცი ჩვენგან აბრამს. წავიდეს მეგობრებთან ლოზანაში. იქ დახვდება საინტერესო დოკუმენტები *, და გთხოვთ ეს დოკუმენტები გადათარგმნოთ ფრანგულ ენაზე, გაუგზავნოთ გაზეთ «Sentinelle»-ს (და ყოველივე ეს გამომიგზავნოთ, როცა შემთხვევა მოგეცემათ) [353]. (რომელი პარტია გამოსცემს ამ გაზეთს? სად გამოდის? წესიერი ორგანო თუა? გამომიგზავნეთ, გეთაყვა, ამ გაზეთის ყველაზე დამახასიათებელი ნომრების თითო ეგზემპლარი).

ძალზე მაშფოთებს და მაღელვებს ამ ომში ევროპელ სოციალისტთა პოზიცია. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა — და უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად გერმანელი სოციალისტები — «შოვინისტებად» იქცნენ. სავსებით აუტანელი გახდა გერმანული და ფრანგული («L'Humanité»!!) სოციალისტური გაზეთების კითხვა!! უკიდურესი «შოვინიზმი»! ვშიშობ, რომ თანამედროვე კრიზისმა ბევრ, მეტისმეტად ბევრ სოციალისტს აურია თავგზა (თუ შეიძლება ასე ითქვას) და რომ საბოლოო ანგარიშით ევროპის სოციალიზმის ეს საცარი «სირცხვილი» ოპორტუნიზმის ბრალია. მითხრეს, რომ მარტინოვს (ლიკვიდატორს) ციურიხში მოუწვევია თათბირი (ვფიქრობ, კერძო) და

* წერილის დასაწყისი დაწერილია რუსულად. რ ე დ.

ჯერ გერმანელ სოციალისტებს დასხმია თავს, შემდეგ კი (კამათის მეორე დღეს) აზრი შეუცვლია (აქსელროდის გამხრწნელი ზეგავლენით) და ყველაფერზე უარი უთქვამს, რაც ადრე განუცხადებია!!! სირცხვილი!! ასე თუ ისე, უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი — მაგრამ ეს უაღრესად ძნელია, ძალიან ძნელია ასეთ დროს. გთხოვ, ლოზანაში აბრამი წამოვიდეს და ახალი ამბები ჩამოგიტანოთ.

გრიგოლი ოჯახითურთ ჩამოვიდა. ბერნში ვრჩებით. პატარა მოსაწყენი ქალაქია, მაგრამ... გალიციას მაინც სჯობს და სხვა უკეთესი არც არის!! არა უშავს რა. შევეგუებით. დავეხეტები ბიბლიოთეკებში: მომენატრა *. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს და გულითადად გართმევთ ხელს. გთხოვთ, უფრო მეტი მოიწეროთ თქვენს შესახებ.

თქვენი ერთგული ვ. ლ ე ნ ი ნ ი

იმედი მაქვს, მალე შევხვდებით, არა? როგორ ფიქრობთ?

P. S. როგორი ამინდია ლეზ-ავანში? თუ სეირნობთ?

ახლა უკეთესად თუ იკვებებით? წიგნები თუ გაქვთ? გაზეთები?

ლოზანაში უნდა მოხერხდეს შვეიცარიის ყ ვ ე ლ ა იმ ფრანგული გაზეთის შეგროვება, სადაც იქნება სოციალისტური გამოხმაურება ომზე, გერმანელ და ფრანგ სოციალისტებზე და ა. შ. აბრამი დაფაცურდეს. უნდა ვაგროვებდეთ დოკუმენტებს, რაც ძალი და ღონე გვაქვს!! **

დაწერილია 1914 წლის 28 სექტემბრამდე
გაგზავნილია ბერნიდან ლეზ-ავანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ეპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი ინგლისურიდან

* აბზაცის პირველი სტრიქონები დაწერილია რუსულად. რ ე დ.
** ბოლო აბზაცი დაწერილია რუსულად. რ ე დ.

377

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით დანარჩენ სტატიებს. ყველაფერი პეტიტით ააწყვეთ.

აიღეთ ცენტრალური ორგანოს ძ ვ ე ლ ი ფორმატი.

სასურველია ჩაატიოთ 48 ათასი ასო.

ასეთი თანმიმდევრობით:

1) ცენტრალური კომიტეტის განცხადება *
2) რუს ს.-დ.-თა პასუხი
3) დ ი ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ
4) სტატია ინტერნაციონალის შესახებ **
5) ინტერნაციონალი და სამშობლოს დაცვა
6) სანქტ-პეტერბურგი. წერილი სანქტ-პეტერბურგიდან.
7) რ. ვ. მალინოვსკი.

აუცილებლად დაბეჭდვამდე გამოგზავნეთ **დაკაბადონებული** ნომერი.

ორშაბათს ვკითხულობ Montreux-ში: შეიძლება შემოვიარო? თუ უფრო ადრე იქნება მზად?

თქვენი სტატია გამოგზავნეთ: ვეჭვობ, რომ № 1 ნოვრია ტიპს მოუხდეს. № 2-ისთვის ხომ არ გადავდოთ?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 20 ოქტომბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» (იხ. თხზულებანი. მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 13 — 24). რ ე დ.

** ლაპარაკია ვ. ი. ლენინის სტატიაზე «სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 25 — 32). **რ ე დ.**

378

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

სულგრძელად მაპატიეთ, რომ დიდი ხანია ვერ გიპასუხეთ: გრანატისთვის სასწრაფო სტატიას ვწერდი. შემიძლია გაგახაროთ სასიამოვნო ამბით, რომ ცენტრალური ორგანო გადაიტანეს ერთ-ერთ პუნქტში საზღვრის მახლობლად და, **რ**ოგორც ჩანს, მალე გადაგზავნიან. გილოცავთ! და კიდევ ერთხელ სულით და გულით გიძღვნით მადლობას, გაზეთისათვის რომ გაისარჯეთ! მალე ვფიქრობთ შემდეგ №-ზე. პირველი კარგად საღდება. (თქვენი სტატია შვეიცარიის არჩევნების შესახებ, ვშიშობ, არ გამოდგება ხ ა ს ი ა თ ი ს გ ა მ ო: კოლეგას მივეცი განსახილველად.) ამ დღეებში გამოგიგზავნით № 265 (13. XI. 1914) de «La Sentinelle»-ს, რომელიც გამოდის La Ghaux-de-Fonds-ში. იქ ცენტრალური ორგანოდან გადაბეჭდილია მანიფესტის შემოკლებული შინაარსი. რა კარგი იქნებოდა, იგივე რომ ჟენევის გაზეთში დაგვებეჭდა!!

საუკეთესო სალამი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისა და ყველა აქაური მეგობრისგან.

თქვენი ვ. უ-

დაწერილია 1914 წლის 14 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

379

ვ. ა. კარპინსკის და ს. ნ. რავიჩს *

ძვირფასო მეგობრებო! ხომ არ დაგრჩენიათ შრიფტი (გაურჩეველი)? ** თურმე ცოტა გამოგვიცია. თუ ჯ ე რ ა რ

* ეს წერილი მინაწერია ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

** ლაპარაკია № 33 «სოციალ-დემოკრატის» ანაწყობზე. ამ ნომერში დაბეჭდილი იყო რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია». რ ე დ.

ჩაგირჩევიათ, გვიპასუხეთ (დაუყოვნებლივ); მაშინ გადავწყვეტთ, რა ვქნათ.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 18 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

380

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

ძალიან გთხოვთ გასცეთ განკარგულება, დაბეჭდონ კიდევ 1000 ეგზემპლარი. შემდეგ უკვე სთხოვეთ, რომ შრიფტი დაუყოვნებლივ ჩაშალონ და მომწერეთ, როდის შეიძლება დაიწყოს მომდევნო №-ის * აწყობა. იგი უკვე სანახევროდ დაწერილია.

Salut! ** თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 20 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

381

ვ. ა. კარპინსკისა და ს. ნ. რავიჩს ***

ეს-ესაა თქვენი წერილი მივიღეთ. ვინ არის ღორი, სიგი თუ პლეხანოვი? თუ ორივე? უფრო დაწვრილებით, გეთაყვათ. პლეხანოვის საზიზღარი ნაციონალისტური აგიტაციის გამო

---

* იგულისხმება «სოციალ-დემოკრატის» № 34. რ ე დ.

** — სალამი! რ ე დ.

*** ეს წერილი არის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

ძალიან გთხოვთ როგორმე მოახერხოთ, რომ ინესამ **ფრანგულ** ენაზე წაიკითხოს რეფერატი: «სხვადასხვა მიმდინარეობანი რუს სოციალისტთა შორის ომისადმი დამოკიდებულების საკითხში».

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 21 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

382

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

არ ვიცი, რამდენი გაქვთ თხელი ქაღალდი (რომელიც ჩვენ ხომ არაფერი გვიღირს). ნახევარი თხელზე დაბეჭდეთ. მოიწერეთ, **რამდენი ნომრისთვის** გაქვთ თხელი ქაღალდი. თუ ბევრი გაქვთ (პარიზიდან, ალბათ, კიდევ ვიშოვით) და **თუ** იგი ძალიან ცუდი არაა აქ გამოსაყენებლად, მაშინ გავადიდებთ თხელის %.

ყოველივე კარგს გისურვებთ! თქვენი ლენინი

მასალას ხვალ გამოგიგზავნით. სულ ერთია, დაშლასაც ხომ დრო უნდა.

მიიღეთ «La Sentinelle»? მოთავსება მოხერხდება?

დაწერილია 1914 წლის 22 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

383

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით მასალის ნაწილს № 34-ისათვის (დაახლოებით 25 ათასს 45-დან). დანარჩენი — ხვალ ან ზეგ.

(მასალა მოგვეძალა: ვფიქრობთ ახლავე გავუშვათ № 35).

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 25 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

384

ა. გ. ზლიანიკოვს

25/XI.

ძვირფასო მეგობარო! გუშინ საღამოს წავიკითხეთ, რომ პიტერთან 11 კაცი დააპატიმრეს (მათ შორის რსდმ ფრაქციის[354] 5 წევრი) და დღეს გავუგზავნეთ დეპეშა ბრანტინგს, გამოარკვიოთ (le cas échéant * ფინელთა მეშვეობით), აყვანილია თუ არა, დაპატიმრებულია თუ არა რსდმ ფრაქციის 5 წევრი.

ვაითუ ასეა!

მაგრამ მით უფრო დაუშვებელი იქნება თქვენი გამგზავრება დანიაში. მე საერთოდ ენერგიულად ვეწინააღმდეგები ასეთ გადასვლას. სწორედ ახლა უნდა იყოთ თქვენ თვითონ სტოკჰოლმში, რათა უფრო სწორად, ხშირად, ფართოდ დაამყაროთ კავშირი. ეს საქმე ძნელია, თუნდაც ერთი უცხო ენის მცოდნე გამოცდილ ადამიანს მოითხოვს. არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ეს «ვინმეს» მიენდოს.

უკეთუ შეგავიწროებენ სტოკჰოლმში (პოლიცია), უნდა დაიმალოთ სტოკჰოლმის ა ხ ლ ო სოფელში (ეს ადვილია, მათ ყველგან აქვთ ტელეფონი). ვფიქრობ, კოლონტაისაც გაუადვილდებოდა მაშინვე incognito **-დ ჩამოსულიყო სტოკჰოლმში ან სადმე გარეუბანში.

მალე გამოვუშვებთ ცენტრალური ორგანოს № 34-ს, შემდეგ კი № 35-საც.

---

* — თუ შემთხვევა მოგეცემათ. რ ე დ.

** — ფარულად. რ ე დ.

გვიპასუხეთ სასწრაფოდ. თქვენი ყველა წერილი მოგვდის. ლიკვიდატორთა დოკუმენტიც (მათი პასუხი ვანდერველდესადმი) [355] მივიღეთ. გმადლობთ.

მაგრად გართმევთ ხელს და ველოდები ამბებს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 25 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის II კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

385

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით მასალას ცენტრალური ორგანოსათვის.

თუ მთლიანად არ ჩაეტევა, დაე ასოთამწყობმა ზუსტად გვაცნობოს, ზედმეტი რამდენია. ზოგ რამეს ამოვიღებთ, — უწინარეს ყოვლისა, გადავდებთ (უკვე გამოგზავნილ) შენიშვნას ვანდერველდეს შესახებ.

სალამი, სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 26 ან
27 ნოემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

386

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

კიდევ გიგზავნით მასალებს.

გამოვცეთ ორი ნომერი ზედიზედ. მასალა ჭარბადა გვაქვს. სტატია იმ კრების დაპატიმრების შესახებ, რომელშიც რსდმ

ფრაქცია მონაწილეობდა, მზადაა და აუცილებლად № 34-ში უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ სტატიას ვაჩერებთ, ვინაიდან დეპეშა გაიგზავნეთ (არ ვიცით, დაპატიმრებულია თუ არა 5 დეპუტატი).

გენდობით, რომ შრიფტი 2 ნომერს ეყოფა: აშიტომ მთელი მასალა ააწყოს, ჩვენ კი ამ დღეებში დავწერთ № 34 და № 35-ის შემადგენლობას (თუ შრიფტი ორივე ნომერს არ ეყოფა, **ახლავე** მოიწერეთ).

თქვენი ლენინი

კორექტურა გამოგზავნეთ.

დაწერილია 1914 წლის 28 ნოემბრამდე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

387

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიპასუხებთ პუნქტების მიხედვით

1) ამასთან გიგზავნით სტატიების განაწილებას № 34 და 35-სათვის
2) კორექტურები **გამოგზავნეთ**
3) დაიბეჭდოს 2 0 0 0-2 0 0 0 ეგზემპლარი
4) თხელ ქაღალდზე 2 5 0-2 5 0 ეგზემპლარი (ვიდრე არ მოვა კიდეე პარიზიდან)
5) ფულს ნუ გამოგზავნით.

მოიწერეთ, რამდენი გვმართებს.

ახლავე მოიწერეთ, როდის შეიძლება გამოვიდეს № 34 და 35?

დავგეგმოთ ისინი დაახლოებით ერთი კვირის შუალედით. ახლა დაუყოვნებლივ უნდა გამოვცეთ.

სალამი! თქვენი ლენინი

№ 34	ათას.
1) ომი და რსდმ ფრაქცია (საბრძოლო საგუშაგოზე)	8
2) რევოლუციური ს.-დ.-ის პროლი .	15
3) გერმანული ხმა* .	4
4) ორდანსკი	4
5) გორკი**	2
6) ქალი და ომი*** .	5
7) სპბ-ის **ქრონიკა** (ლიკვიდატორთა დოკუმენტი და შეფასება)	$5^1/_2$

№ 35	ათას.
1) შოვინიზმი და სოციალიზმი**** . .	12
2) ველიკორუსების ეროვნული სიამაყე*****	9
3) დაჩოქებული სტუდენტობა	3
ქართველთა რეზოლუციის[358]	2
ფელეტონი ხაზს ქვემოთ:	
ინტერნაციონალი და „საშშობლოს დაცვა“	14
სპბ-ის **ქრონიკა.** წერილები სპბ-დან — 10 და 11.X . .	$5^1/_2$

თუ **მ ო გ ვ ი ხ დ ე ბ ა** გადადება, მაშინ № 34-ში გადავდოთ «გერმანული ხმა», ხოლო № 35-ში «ქართველთა რეზოლუცია»: თუ დიდი შეცდომა გვაქვს ანგარიშში, ახლავე მოიწერეთ.

დაწერილია 1914 წლის 28 ნოენბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში
პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «ერთი გერმანული ხმა ომის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 93 — 99). **რ ე დ.**

** იხ. ვ. ი. ლენინი. ««შევარდნის სიმღერის» ავტორს» (თხზულებანი, მე-5 გამოც., (რუს.) ტომი 26, გვ. 96 — 97). **რ ე დ.**

*** 2 — 6 პუნქტები დაწერილია უცნობის ხელით. **რ ე დ.**

**** იხ. ვ. ი. ლენინი. «მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი (როგორ აღვადგინოთ ინტერნაციონალი?)» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 100 — 109). **რ ე დ.**

***** იხ. ვ. ი. ლენინი. «ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 110 — 115). **რ ე დ.**

388

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით დაპატიმრების შესახებ მთავრობის ცნობის ტექსტს, რომელიც დღეს მივიღეთ (აუცილებლად **დამიბრუნეთ**).

უნდა ჩასვათ ეს მოწინავეში (ნაცვლად იმისა, რაც გამოგიგზავნეთ) და ამოშალოთ სტატიიდან ფრაზები, რომ ჩვენ არ ვიცით, დაპატიმრებული არიან თუ არა დეპუტატები და სხვ.

მოიწერეთ თუნდაც ღია ბარათით (მიიღეთ თუ არა ეს).

როდის შეიძლება გამოვიდეს № 34

და № 35.

ახლა ძალიან უნდა ვიჩქაროთ: მიღებულია **უაღრესად საინტერესო** მასალა ორგანიზაციული კომიტეტის ერთი «გამოსვლის» შესახებ [357].

ჯერჯერობით ეს საიდუმლოებაა.

ქართველთა რეზოლუცია **ამოშალეთ.**

სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1914 წლის 1 დეკემბერს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

389

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო მეგობარო!

მივიღე თქვენი წერილი, რომლითაც იუწყებით, რომ კოპენჰაგენს მიემგზავრებით (კვირას, დღეს პარასკევია).

მოიწერეთ (1) საიდან შეიტყეთ ის, რაც გადმოგვეცით? რა წყაროებიდან? ვინ გადმოგცათ?

(2) გაქვთ თუ არა ა ხ ლ ა საკუთარი წყაროები? თუნდაც ერთი მისამართი სპბ-ში? თუ არა? შიფრი და ქიმია გაქვთ ვინმესთან თუ ახლა არავისთან?

კავშირი თუ არა გაქვთ, **შეგიძლიათ** თუ არა დაამყაროთ იგი?

თუ არა გაქვთ, მოდით, მოვიფიქროთ, კავშირი რ ო გ ო რ და ვისი მეშვეობით დავამყაროთ. შემდეგ, ლონდონში ლიტვინოვთან გაქვთ თუ არა მიმოწერა?

ბელენინის გამოსვლა შვეციის კონგრესში **საუცხოო**[358] გამოვიდა. კოპენჰაგენში გამოსვლის შესახებ (1915 წლის იანვრის კონფერენციაზე)[359], მოდით, ახლავე დავიწყოთ მიმოწერა.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Distelweg. 11. *Berne* (Suisse).

დაწერილია 1914 წლის 11 დეკემბერს
გაგზავნილია სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის II კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

390

ვ. მ. კოზეცკის

ძვირფასო ამხანაგო!

ამასთან გიგზავნით წერილს ამხ. «ალექსანდრესათვის».

თუ იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა თქვენთან, მაშინ მისწერეთ წერილი ქალაქის ფოსტით (მისამართი Fru Alexandra Kollontay. Poste restante. Kjobenhavn) და შეატყობინეთ, რომ გაქვთ წერილი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა თ ვ ი ს და რომ სთხოვთ გამოგიაროთ **ამა და ამ დროს.**

რატომ არ იწერებით, სკანდინავიის მუშათა მოძრაობაში რა ახალი ამბებია? სოციალისტთა შოვინიზმის წინააღმდეგ **ვინ** და **როგორ** გამოთქვა პროტესტი?

მ ო მ წ ე რ ე თ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1914 წლის 16 დეკემბრამდე
გაგზავნილია ბერნიდან კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

1915 წელი

391

ა. ბ. ზლიაპნიკოვს

3/I. 1915.

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი ორი წერილი, რომლებითაც მაუწყებთ თქვენი გამგზავრების ამბავს.

იმ მოსაზრებებმა, რაც თქვენ ჩემი ვარაუდის (იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო არ გამგზავრებულიყავით კოპენჰაგენს, არ წასულიყავით სტოკჰოლმიდან) საპირისპიროდ გამოთქვით, სავსებით დამარწმუნეს. ვხედავ, მხედველობაში მართლაც არ მიმიღია ძალიან მნიშვნელოვანი რამ. თუ განაწყენდით ჩემზე, მზად ვარ ყოველნაირად ბოდიში მოვიხადო და გთხოვთ ძალიან ნუ განაწყენდებით.

მართლაც, სოფელი * ახლა გაცილებით უფრო საშიშია (და საქმისათვის მოუხერხებელი), ვიდრე ქალაქი.

საერთოდ კი მდგომარეობა ისეთია, რომ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ახლა უაღრეს სიფრთხილეს მოითხოვს — განსაკუთრებით რეზერვების შენარჩუნების თვალსაზრისით. დავკარგოთ ერთბაშად (ჩვენი უზომო დანაკარგების შემდეგ) კიდევ მეტი ძალები — ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოოდ დავუძლურდეთ ცარიზმის წინააღმდეგ უფრო გადამწყვეტი მოქმედების მომენტისათვის. ამიტომ ძალიან, ძალიან გთხოვთ გაორკეცოთ და გაასამკეცოთ კონსპირაციულობა და 1) ან მხოლოდ ის იკმაროთ, რომ ვინმე გაგზავნოთ შვეციაში, 2)

* ნაგულისხმევია შვეცია. რედ.

ა ნ დ ა დაკმაყოფილდეთ ყველაზე ხანმოკლე ვიზიტით. ყოველნაირად გთხოვთ დაკმაყოფილდეთ პირველით და არ მიმართოთ (თუ არის ამის მცირედი შესაძლებლობაც კი) მეორეს.

სკანდინავთა კონფერენციაზე (16/I) **სჯობს არ წახვიდეთ:** ახლა მე და გრიგოლმა ერთხელ კიდევ ვიმსჯელეთ ამაზე. შვეიცარიელები არ წასულან. მაშასადამე, გერმანელთა და ტროელსტრა + ბრანტინგის აშკარა ინტრიგაა. ისინი ყოველნაირად აურ-დაურევენ და **არ მოგცემენ საშუალებას თქვათ თქვენი შვედური სიტყვა.** უკეთუ არ იქნება **ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი** გარანტია იმისა, რომ თქვენ მოგცემენ საშუალებას თქვათ ა ს ე თ ი სიტყვა, სჯობს სულაც არ წახვიდეთ. ჩვენ კი (ლიტვინოვის მეშვეობით) გამოგვიგზავნოთ α) ჩვენი მანიფესტის სრული თარგმანი, β) რსდმ ფრაქციის დაპატიმრების შესახებ მთავრობის ცნობის თარგმანი — და ყველაფერი ეს გამოგზავნოთ არა როგორც rapport, არა როგორც **ა ნ გ ა რ ი შ ი** (რათა არ გამოვიდეს, რომ ჩვენ ვ ც ნ ო ბ თ კონფერენციას), არამედ როგორც **ცნობა.**

მაგრად გართმევთ ხელს და ყოველივე სიკეთეს გისურვებთ. ფ რ თ ხ ი ლ ა დ ი ყ ა ვ ი თ და sans rancune, n'est-ce pas? *

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 3 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან კოპენჰაგენში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ლენინის II კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

392

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!
გიგზავნით კორექტურებს.

---

* — დავივიწყოთ ჩვენი უთანხმოება, ხომ ასეა? რ ე დ.

საქმე რომ დაჩქარდეს, გამოუშვით № *, ახალი მასალების გამოგზავნას ნუ დაელოდებით: სტატიების განრიგი ხომ უკვე მოგეცით? სწორია ხომ? თუ არა, ახლავე მომწერეთ.

თავს გაართმევს კუზმა ყოველკვირეულ ცენტრალურ ორგანოს?

მომდევნო №-ისათვის როდის უნდა გამოგიგზავნოთ მასალა და რამდენია აწყობილი?

P. S. არის თუ არა ჟენევაში ბიურო, საიდანაც შეიძლება მივიღოთ ცნობები გერმანიაში მყოფ რუს ტყვეთა შესახებ?

Salut! თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წლის 3 და
9 იანვარს შორის
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

393

დ. ბ. რიაზანოვს

ძვირფასო ამხანაგო! თქვენი სტატია გუშინ საღამოს მივიღეთ. ჯერ წაკითხვა და განხილვა ვერ მოვასწარით.

ვრცელი წერილი რომ მოგწეროთ დრო არა მაქვს. ამიტომ გთხოვთ მაპატიოთ, რომ მეტისმეტად მოკლედ გწერთ. რუსეთიდან ახალი ამბები არ მოგვსვლია. საქმის ვითარებას №№ 35 და 36-დან ** დაინახავთ.

«სოვრემენი მირ» არა გვაქვს.

«ნაშა ზარია» მხოლოდ 1 ეგზემპლარია ბერნში, ასე რომ, სამწუხაროდ, გამოგზავნა შეუძლებელია.

---

* იგულისხმება გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 36. რედ.

** იგულისხმება გაზეთი «სოციალ-დემოკრატი». რედ.

«გოლოსისა» [360] და სხვათა შესახებ თქვენ, ჩანს, საკმაოდ არა ხართ ინფორმირებული: წაიკითხეთ მთელი «გოლოსი».

კომპლექტს ვერ გამოგიგზავნით. შევეცდებით, ხომ არ შეიძლება პარიზელებს მოვახერხებინოთ ეს, თუმცა ეს ადვილი არაა.

პარვუსი არ გვინახავს!

საუკეთესო სალამი ჩემგან, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისა და ყველა ბერნელისაგან.

ნ. ლენინი

P. S. აქვეა წერილი თქვენი ცოლისათვის [361].

დაწერილია 1915 წლის 9 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან ვენაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

394

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით კორექტურას.

ძალიან აყოვნებთ!

მოიფიქრეთ, როგორ მოვიქცეთ. კუზმა, შეიძლება, ბუნდელებს უწყობდა.

რა ვიღონოთ, რომ ყოველკვირეულად გამოვუშვათ?

მიიღეთ თუ არა **ყველა** მასალა №№ 36 და 37-სათვის?

მე გთხოვეთ შეგედგინათ **სანიმუშო** განაწილება. თქვენ თუ გიძნელდებათ, ამას ჩვენ შევადგენთ აქ, მაგრამ მაშინ გამოგზავნეთ **ყველა** სტატიისა და შენიშვნის **ნუსხა.**

Salut fraternel! * თქვენი ლენინი

* — ძმური სალამი! რედ.

«გოლოსის» დახურვის შესახებ გამოგიგზავნით 4 — 5-სტრიქონიან შენიშვნას. მოიწერეთ ზუსტად **ვადა.**

დაწერილია 1915 წლის 17
იანვარზე გვიან
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

395

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით კიდევ სტატიას — № 38-სათვის.

ვიმედოვნებ, ახლა უკვე ორივე №-სათვის (37 და 38), უეჭველია, გეყოფათ.

დიდი ხანია გეკითხებოდით, გეყოფოდათ თუ არა მასალა ორივე ნომრისათვის. მაგრამ თქვენ დუმხართ.

კუზმა კი აუტანე-ლია!!!

Salut! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 1 თებერვლამდე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

396

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! ეს-ეს არის მივიღე № 37 (ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნეთ 2 — 3 ეგზემპლარი სტამბიდან — გ ა მ ო ს ვ ლ ი ს თ ა ნ ა ვ ე — ვინაიდან რედაქციისათვის საჭიროა გვქონდეს უფრო ადრე).

რატომ არ შეიტანეთ შესწორება № 36-ის თარიღის შესახებ? [362]

ძალიან გთხოვთ ახლავე მოიწეროთ,

1) როგორ მიმდინარეობს № 38-ის აწყობა?

2) როდის მთავრდება?

3) » შეიძლება გამოვიდეს?

4) » უნდა გამოგიგზავნოთ № 39-სათვის?

5) ჩაეტევა თუ არა მასალა №-ში?

საქმე ის არის, რომ № 37-ის უზომო დაგვიანების გამო მეტი უნდა ჩავსვათ.

გამოგზავნეთ ა რ ს ე ბ უ ლ ი სტ ა ტ ი ე ბ ი ს სი ა.

მოელაპარაკეთ თუ არა ასოთამწყობს? საესებით არის თუ არა გამორკვეული ყოველკვირეულად გამოშვების შესაძლებლობა?

მოუთმენლად ველოდები პასუხს.

საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამასთან გიგზავნით ასაწყობად «ისევ სოციალ-შოვინიზმის შესახებ».

დაწერილია 1915 წლის 8 თებერვალს.
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

397

ი. ს. განეცკის

Werter Genosse! *

ეს-ეს არის მივწერე სკარეტს (ჰაიდუკევიჩის შესახებ). მაგრამ რადგან თქვენ არ მოგიციათ ჩემთვის ჰაიდუკევიჩის მისამართი, მე მივწერე სკარეტს, რომ ჰაიდუკევიჩი შ ე უ ვ ლ ი ს მ ა ს, ჩემი ღია ბარათის მეშვეობით. მაშ ასე, ახლავე მისწერეთ Haidukiewich-ს.

---

* — პატივცემულო ამხანაგო! რ ე დ.

ინფლუენცით ვიყავი ავად, ჯერჯერობით მთლად არ გამოვკეთებულვარ; ამიტომ ვერ გიპასუხეთ თვითონ, ვიმედოვნებ, მაპატიებთ.

ლონდონის კონფერენცია, როგორც მოსალოდნელი იყო, არქისისაძაგლე აღმოჩნდა[363]. რასაკვირველია, ამისათვის ხელშეშლა არ შეიძლებოდა. Beste Grüsse an Ihre Familie und an alle Freunde in Zürich.

Ihr *Lenin* *

დაწერილია 1915 წლის 17 თებერვალს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

398

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

საშინლად შეშფოთებული ვართ, რომ თქვენგან ამბები და კორექტურები არ მიგვიღია, ნუთუ ასოთამწყობმა ისევ სმას მიჰყო ხელი? თუ ისევ სხვათა სამუშაოს ასრულებს? ახლა უაღრესად საჭიროა **დაუყოვნებლივ** გამოვუშვათ (ვინაიდან გვაქვს ერთობ არსებითი და საჩქარო მასალა ლონდონის კონფერენციის შესახებ **). თუ ღმერთი გწამთ, სასწრაფოდ მიპასუხეთ. ეს ერთი. 2) რაც შეიძლება დაიჩქარეთ №. სასწრაფოდ — კორექტურები. 3) შეკრიბეთ თქვენი ჯგუფი და საერთო ძალით ეცადეთ, რომ **ერთხელ და სამუდამოდ** მოეწყოს ცენტრალური ორგანოს წესიერად გამოსვლა. მართ-

---

* — საუკეთესო სალამი თქვენს ოჯახსა და ყველა ციურიხელ მეგობარს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი. რ ე დ.

** იხ. წინა წერილი. რ ე დ.

ლაცდა, ეს დაგვიანება აუტანელია: მუშაობის ხალისს გიკარ-ვავს!!

Salutations!*

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 20 თებერვალს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

399

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! გიგზავნით კორექტურებს და **ა ხ ა ლ ს.** ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ უნდა გაუშვათ ამ №-ში ლ ო ნ დ ო ნ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ი ს შესახებ.

თუ ღმერთი გწამთ, ყ ო ვ ე ლ ი ღონე იხმარეთ საქმის დასაჩქარებლად. (თუ შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა გამოცემა ჩვენს თათბირამდე [364]), მაშინ **უსათუოდ** წამოიღეთ **კორექტურები** (განსაკუთრებით კი სტატიები სამშობლოს დაცვის შესახებ).

NB: მარტოვის შესახებ **გადავდოთ** **. არ დაგავიწყდეთ!!
ე. ი. არ გაუშვათ.

Au revoir! ***

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 24 თებერვალს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — სალამი! რ ე დ.

** სტატია «ისევ მარტოვის შესახებ» დაიბეჭდა 1915 წლის 1 მაისს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 41-ში. რ ე დ.

*** — ნახვამდის! რ ე დ.

400

გ. ე. ზინოვიევს

ჩემი აზრით, § 3 არ ვარგა[365]. ჩემი აზრით, მ ი ს ნ ა ც ვ ლ ა დ საჭიროა პოპულარულად განვმარტოთ, თუ **როგორ** უნდა დავეხმაროთ ცენტრალურ ორგანოს თანამშრომლობით (დავაწვეთ, რომ თანამშრომელთა დახმარება არა ჩანს) და მოვამზადოთ **კიდევ უფრო ხშირი გამოსვლა.**

ხელფეხშეკრული არ უნდა ვიყოთ ბოჟიელთა * მიმართ და დავტოვოთ მცირედი შესაძლებლობა მათთან შესარიგებლად. ასეთი სახით ეს უვნებელია და მთლიანად ჩვენ გვრჩება.

«უფრო ხშირი გამოსვლა (თვით ყოველდღიურიც კი)» — განა ეს საკმარისი არ არის?

ვთქვათ ე რ თ ი ც და მ ე ო რ ე ც: ყოველდღიური გამოსვლა ანდა პარალელური მაინც.

«პარალელურობა» აბსოლუტურად მავნებელია: ეს ნიშნავს, რომ ხელი შევუწყოთ მათ — **მოგვტაცონ** და.

დაწერილია 1915 წლის 27 თებერვალსა
და 4 მარტს შორის ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

401

ს. ნ. რავიჩს **

ძვირფასო ამხანაგო! გიგზავნით რეზოლუციებს მოკლე წინასიტყვაობით***. თუ ღმერთი გწამთ, **დ ა ა ჩ ქ ა რ ე თ მ ა თ ი ა წ ყ ო ბ ა!!**

---

* ბოჟიელები — ნ. ი. ბუხარინი, ე. ფ. როზმიროვიჩი, ნ. ვ. კრილენკო. ჯგუფმა ეს სახელი მიიღო თავისი ადგილსამყოფელის მიხედვით — დაბა ბოჟი (შვეიცარია). რ ე დ.

** ეს წერილი არის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

*** ლაპარაკია რსდმპ საზღვარგარეთული სექციების რეზოლუციებზე (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187). რ ე დ.

აწყობილია თუ არა განცხადება ლონდონის კონფერენციაზე?

სასწრაფოდ გამოიგზავნეთ კორექტურები.

ამ დღეებში გამოგიგზავნით სტატიას რსდმ ფრაქციის გასამართლების შესახებ.* ისინი **ცუდად** იქცეოდნენ. ეს პირდაპირ უნდა ვაღიაროთ.

სალამი. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 9 მარტს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

402

დ. ვაინკოპს

ბერნი, 12 მარტი 1915

პატივცემულო ამხანაგო!

ეს წერილი ჩამაგონა ამხანაგმა ინესამ, რომელსაც დავავალეთ იმუშაოს მემარცხენე სოციალისტ ქალთა დასაახლოებლად [366]. დაჟინებით გთხოვთ მონახოთ ამხანაგი ჰოლანდიელი ქალი, რომელიც თქვენს თვალსაზრისს იზიარებს, და რომელსაც ამოირჩევდით თქვენი პარტიის დელეგატად სოციალისტ ქალთა კონფერენციაზე (თუ პირადად არა, წერილობით მაინც).

ყოველნაირად გილოცავთ გორტერის ბროშურის გამო, რომელიც ასე კარგად ურტყამს ოპორტუნისტებსა და კაუცკის [367].

---

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «რა დაამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 195—202). რ ე დ.

ძალიან დამავალებთ, თუ მიპასუხებთ რაც შეიძლება მალე.

ძმური სალმით! ნ. ლ ე ნ ი ნ ი (ვლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი)

Wl. Uljanow. Distelweg. 11. Berne (Suisse).

გაგზავნილია ამსტერდამში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში «ეროპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

403

3. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

ა ხ ლ ა ვ ე გიგზავნით კორექტურებს. შეასწორეთ, გეთაყვა.

ღმერთმანი, თქვენ კარგად არ იქცევით, ფულს რომ არ იღებთ მიმოწერისათვის. ჯერ 1, ეს დ ა თ ქ მ უ ლ ი პირობის აშკარად არაამხანაგური შეუსრულებლობაა: თქვენ ხომ დათანხმდით გამოგეგზავნათ ტარიფი!

მე-2-ც, ახლა მე რატომ მაიძულებთ?

იმიტომ, რომ მეტად თქვენ აღარ გამოგიგზავნით?

როცა გაჯავრებული და განერვიულებული არ იქნებით წამით დაფიქრდით, — მჯერა, დარწმუნდებით, რომ მართალი არა ხართ. ასე არ შეიძლება!

საუკეთესო სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 23 მარტამდე
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

404

დ. ვაინკოპს

პატივცემულო ამხანაგო ვაინკოპ!

ამასთან გიგზავნით ამხანაგ ინესას წერილს. გულმხურვალედ მოგესალმებით თქვენ და ყველა ამხანაგს მარქსისტული პარტიიდან და გთხოვთ გადასცეთ თანდართული წერილი ამხანაგ გორტერს *.

საუკეთესო სალმით. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ

Wl. Uljanow. Waldheimstrasse 66. Bern.

დაწერილია 1915 წლის 5 მაისს
გაგზავნილია ზვოლეში (ჰოლანდია)

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ეოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

405

ჰ. გორტერს

ამხანაგ ჰ. გორტერს

პატივცემულო ამხანაგო გორტერ!

ამხანაგმა რადეკმა მიჩვენა თქვენი წერილი.

უსათუოდ ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მოგვეხერხებინა ინტერნაციონალური სოციალ-დემოკრატიული ჟურნალის დაარსება პანეკუკის რედაქციით. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ «Neue Zeit»-ის იმ საზიზღარი მანერის წინააღმდეგ, რომ დაიცვას საძაგელი მარკის ოპორტუნიზმი სოფიზმების შემწეობით.

საკითხი მხოლოდ ეს არის: გამოვნახავთ თუ არა საკმაო ფულსა და ლიტერატურულ ძალებს, რომ ახლავე დავაარსოთ ჟურნალი?

თუ ვერ გამოვნახავთ, მაშინ აუცილებლად, ომის დამთავრებას ნუ დაველოდებით, უნდა გამოვუშვათ ერთი (ან ორი)

* იხ. მომდევნო წერილი. რ ე დ.

ბროშურა გერმანულ ენაზე. ბროშურა უნდა შედგებოდეს იმ რუსი, ჰოლანდიელი, გერმანელი (რადეკი), ფრანგი (იქნებ, მერგეიმი), ინგლისელი (იქნებ, როტშტეინი) ამხანაგების სტატიებისაგან, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნიათ ყველაზე ულმობელი ბრძოლა მოღალატე ოპორტუნისტთა (მათ შორის კაუცკის) წინააღმდეგ.

ჩემი აზრით, არ ა ვ ი თ ა რ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი არ უნდა დავაყოვნოთ ეს საქმე. საჭიროა ა ხ ლ ა ვ ე, ომის დროსვე, ვთქვათ სრული სიმართლე — რასაკვირველია, არა გერმანიაში, არამედ შვეიცარიაში, რომ შესაძლებლობა გვქონდეს თავისუფლად, ცენზურის გარეშე, ვილაპარაკოთ რევოლუციურ ბრძოლაზე.

თუ ერთბაშად ვერ ვიპოვით ფრანგ ან ინგლისელ თანამშრომელს — ნუ დაველოდებით; სჯობს პირველი ბროშურა თვითონ (ე. ი. ფრანგთა და ინგლისელთა გარეშე) გამოვუშვათ. ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ მერგეიმის აზრის თარგმანით (სახელდობრ, რომ ლაპარაკი «განმათავისუფლებელი ომის» შესახებ ს ი ც რ უ ე ა).

რადეკი ამბობს, რომ თქვენი ბროშურა გამოვიდა ი ნ გ ლ ი ს უ რ ე ნ ა ზ ე. ეს ძალიან მახარებს: ახლა შემიძლია ყველაფერი წავიკითხო და გავიგო. ჰოლანდიური ენა დაახლოებით 30 — 40%-ით მესმის. გილოცავთ, რომ შესანიშნავად ურტყამთ ოპორტუნიზმსა და კაუცკის. ტროცკის მთავარი შეცდომა ის არის, რომ თავს არ ესხმის ამ ბანდას.

გულითადი სალამი. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი მისამართია: Wl. Uljanow. Waldheimstrasse 66. Bern.
მომწერეთ ღია ბარათი, **როდის** ჩამოხვალთ.

დაწერილია 1915 წლის 5 მაისს
გაგზავნილია ზეოლეში (ჰოლანდია)
პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
დ. ვაინკოპის მიერ
დაწერილი ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

406

ი. თ. არმანდს

Dear friend! *

ორჯერ მოგწერეთ, მაგრამ აქ, გამოგიტყდებით, ახალი ამბები ცოტაა. რუსეთიდან საქმაოდ კარგი ამბები მოგვდის, მაგრამ მათ, იმედი მაქვს, მალე თვითონ წაიკითხავთ მთლიანად, როცა ჩამოხვალთ. რატომ არაფერს იწერებით იმაზე, თუ როდისთვის დაგინიშნათ დანტისტმა განკურნების ვადა? ან თუნდაც მიახლოებით? უნდა იმგზავროთ ან ფოსტით (Flühli-მდე — 2-ჯერ დღეში, დილის 9 საათზე და დღის 4 საათზე Schüpfheim-იდან, ჩვენამდე, Sörenberg-ამდე კი, მხოლოდ დღეში ერთხელ, დილის 9 საათზე Schüpfheim-იდან). დილის ფოსტას (ესე იგი საფოსტო ეკიპაჟს) რომ მოუსწროთ, მგონია, უნდა წამოხვიდეთ ბერნიდან დილის $5^1/_2$ საათზე და დაელოდოთ $1^1/_2$ საათი Schüpfheim-ში. ხოლო თუ ბერნიდან 2 საათსა და 05 წუთზე წამოხვალთ, როგორც ჩვენ, მაშინ საფოსტო ეკიპაჟი მხოლოდ Flühli-მდე იქნება; შემდეგ უნდა დაიქირაოთ ცხენები (ამისათვის კი ტელეფონით უნდა დარეკოთ Schüpfeim-იდან — იქ ვაგზლის პირდაპირ არის რესტორანი. რესტორატორი 10 პფენიგად დაგვირეკავს ტელეფონით აქ, Hotel Marienthal in Sörenberg, იტყვის, რომ შენთან მოდიან და ცხენი გამოგზავნეო. მაშინ სწორედ მოასწრებენ Flühli-ში ჩამოსვლას და თქვენს წამოყვანას Flühli-დან).

ფოსტით ღირს 1 frs 20 Flühli--მდე + 2 frs Flühli-დან Sörenberg-ამდე.

აქაური ცხენი კი ღირს 4 frs 1 კაცისათვის (6 frs 2-სათვის) Flühli-დან Sörenberg-ამდე.

---

* — ძვირფასო მეგობარო! რ ე დ.

თქვენმა წერილმა რატომღაც ლიუცერნში შეიარა! არ მესმის, რატომ. იმიტომ ხომ არა, რომ თქვენ Sörenberg შეცდომით დაწერეთ? ანდა ხომ არ უნდა დაემატოს *via Schüpfheim?*

გართმევთ ხელს.
მალე მენახოთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გუშინ მივწერე გრიგოლს «კ ო მ უ ნ ი ს ტ შ ი» გრიმის მოწვევის შესახებ. დღეს წავიკითხე ტროცკის პასუხი («კომუნისტისადმი») «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო შ ი»[368]. უ ა ღ რ ე ს ა დ ფ რ თ ხ ი ლ ი უნდა იყო, თუ გრიმს მოიწვევ, რომ უარს არ წაა-წყდე. უთხარით ეს გრიგოლს.

ერთ რამესაც გთხოვთ: როცა ნახავთ კასპაროვს, სთხოვეთ იშოვოს იმ ბიუროს (ჟენევაში? ან ბერნში?) **ოფიციალური** მისამართი, რომელიც კისრულობს გერმანიაში რუს ტყვეებს **ფული** გადაუგზავნოს (ფულიც და წერილებიც, განსაკუთრებით კი ფული). ძალზე საჭიროა გვქონდეს სწორედ ოფიციალური მისამართი, რომ შემეძლოს მივმართო იქ და დარწმუნებული ვიყო, რომ ფული არ დაიკარგება.

ერთი დავალებაც (ჰაი-ჰაი! თქვენ მთლად გაგჭყლეტთ ჩვენი ბარგი და დავალებები, არა?): იყიდეთ დაკრისტალებული ლიმონის მჟავა (Zitronensäure). ცუდია, როცა სხვებზე გ ვ ი ა ნ მიდიხართ აგარაკზე!!!

Neufchâtel-იდან კი **პასუხი არა და არ მოდის**[369]

საოცრებავ! Au revior *.
თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

თუ შემთხვევა მოგეცათ, ჰკითხეთ რადეკს წამოსვლის წინ, სურს თუ არა ჩამოსვლა. თუ სურს, ჩვენ **მოვიპატიუებთ.**

---

* — ნახვამდის. რ ე დ.

წამოიღეთ 15 — 20 ეგზემპლარი «კომუნისტის» «უწყებანი» [370].

დაწერილია 1915 წლის
4 ივნისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

407

გ. ე. ზინოვიევს

ძვირფასო მეგობარო!

გიგზავნით «Neue Zeit»-ს.

წავიკითხე «იზვესტია». საუცხოოა! განსაკუთრებით «ნაშე სლოვოს» შესახებ [371]. ახლა ცენტრალური ორგანო აუცილებელია.

მოიწერეთ თემების განაწილების გეგმის შესახებ. მინდოდა ამეღო «დამარცხება» და პოტრესოვ + ორგანიზაციული კომიტეტი + ჩხეიძის კავშირი «ნაშე სლოვოს» vs *.

«ეგოიზმის» თაობაზე ცოტას... თაღლითობთ. თქვენ გამომიგზავნეთ **ი ქ ი დ ა ნ**, **რ ა ც თ ვ ი თ ო ნ გ ქ ო ნ დ ა თ**. მე კი არაფერი არ მქონია!! მე გამომიგზავნეთ ყველა ახალი წიგნის დასახელება, თქვენ კი ჩემთვის **დ ღ ე მ დ ე ერთიც** არ გამოგიგზავნიათ.

მივიღე «ნაშე დელოს» № 2 [372]. გამოგიგზავნით, როცა წავიკითხავ და გამოვიყენებ.

რა ამბავია რადეკის სტატიის გამო? ხომ არ თაღლითობს იგი? ალექსანდრესთან მოლაპარაკება გვაქვს. თქვენ?

---

* — versus — მიბართ. რ ე დ.

ალუბლისათვის ყველანი (მარტო მანდილოსნები კი არა) დიდი მადლობელი იქნებიან. რას დუმხართ — როტჰორნს წასასვლელად აქ ჩამოსვლაზე?

ყოველნაირი Salut! ნ. ლენინი

დაწერილია 1915 წლის
24 ივნისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

408

გ. ე. ზინოვიევს

ძვირფასო მეგობარო! სტატია მივიღე, წავიკითხე და ბუხარინს ვუგზავნი.

შენიშვნიდან, რომელიც ტროცკის შეეხება, ახლა, რასაკვირველია, უნდა ამოვიღოთ ადგილი «კომუნისტის» შიგნით მითქმა-მოთქმის შესახებ. მაგრამ ღირს კი ამოვიღოთ ყველაფერი ჩხეიძის ფრაქციის შესახებ? მასში ხომ პოლიტიკური მდგომარეობის **ღერძია** და საკმაოდ მძლავრიც!

ალუბლისათვის ყველანი დიდ მადლობას გიხდიან!

ახალი წიგნები **არც** ფრანგული და არც სხვა **არ აქვს**, ასე რომ თქვენ ამ მხრივ, რაც უნდა ეცადოთ, თავს ვერ დაიძვრენთ.

«სახელწოდება»: *La Chesnais*: «Le groupe socialiste du Reichstag et la déclaration de guerre» (Paris. 1915 «L'Humanité», 1 fr. 50)*. ვთხოვ გრიშას გამომიგზავნოს.

გიგზავნით რადეკის წერილს: მე ვწერ მას, რომ **გრიმმა** **უნდა** **მისწეროს** **ცენტრალურ** **კომი-**

* — ლა-შენე. «რაიხსტაგის სოციალისტთა ჯგუფი და ომის გამოცხადება» (პარიზი, 1915, «ლუმანიტე», 1 ფრ. 50). რედ.

ტ ე ტ ს. * ჩვენ არ უნდა შევეხვეწოთ. კაუცკისა და კომპ. შემობრუნება ნაგავის შემობრუნებაა, რათა მემარცხენე ფრაზებით ჩამოაცილონ მუშები რევოლუციას. ეს ცხადია.

ე. ფ.-ს გავუგზავნე დეპეშა, მოვიწვიე აქ, და წერილი. თანამდებობებს ნუ მივცემთ, მაგრამ უნდა შევურიგდეთ, რასაკვირველია. და ჩვენც დიდი ხანია «ვურიგდებით». უმჯობესია, თუ აქ ჩამოხვალთ ველოსიპედით. Schüpfheim-ის გამოვლით ეს **სავსებით** შესაძლებელია (20 წუთის სავალია Flühli-მდე!!). გამოგზავნეთ თქვენი (ან მეზობლის) ტელეფონის №: მაშინ დაგირეკავდით, თუ როდის ჩამოდის აქ ე. ფ. ჩვენი ტელეფონის №-ა 111 (Hotel Marienthal).

ყველაზე მოხერხებულია დარეკოთ დილის $8^1/_2$ საათზე. თუ ა რ გამოგზავნით თქვენი ტელეფონის №-ს, მაშინ დეპეშით შეგატყობინებთ (Kommt ** ამა და ამ დღეს): ეს ნიშნავს: ჩამოდით ე. ფ.-სთან შესახვედრად.

სალამი ყველას!

თქვენი ნ. ლ.

დაწერილია 1915 წლის 5 ივლისს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

409

გ. ე. ზინოვიევს

ძვირფასო მეგობარო! ძალიან მიკვირს, რომ თქვენ — გაურკვეველი მიზეზით — დაუდევრად მოეკიდეთ შეხვედრას!

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 366 — 368. რ ე დ.
** — ჩამოდით. რ ე დ.

შერიგება არ დაგვჭირვებია, ვინაიდან სტუმრები ძალიან მშვიდად იყენენ განწყობილი (მხოლოდ ერთ სტუმარს სურს კამენევის გარიცხვა პარტიიდან). შევთანხმდით ჩინებულად (უთანამდებობებოდ) [373].

რადეკის არც თუ მთლად კარგი თარგმანი (I ნაწილი — მოსაწყენია) (მაგრამ მაინც **საჭიროა** სოლიდურობისათვის) გავუგზავნე ნ. ი.-ს [374].

რომ არ დამავიწყდეს! სტუმრებმა დამარწმუნეს, რომ **არა ღირს** პრესაში ვილაპარაკოთ ჩვენს უთანხმოებაზე «კომუნისტის» რედაქციაში (რომ მე და თქვენ ხმა მივეცით ტროცკის წინააღმდეგ). ისინი მართალი არიან. **ამოშალეთ!!**

რაც შეეხება ჩხეიძის ფრაქციას [375], უნდა დავიწყოთ **ლაშქრობა მის წინააღმდეგ**. და ამიტომ მე (ხმის მიცემის შესახებ ადგილის ამოღების შემდეგ) **ისევ** ვაყენებ საკითხს ჩემი პატარა სტატიის — «ჭკუის სასწავლებელი გამოცდილება» — გამო (სტუმრებთან საუბარმა კვლავ დაადასტურა, რომ მთელი ღერძი ახლა ჩხეიძის ფრაქციაშია).

N. B. მასლოვს ჩვენგან არავინ **არ** აძლევს პასუხს!! **რადეკი** რეცენზიას მაინც [376] ხომ არ დაწერს?

საუკეთესო სალამი!

თქვენი ლენინი

რადეკი რატომღაც დუმს!! კიდევ დაველოდები.

მიიღეთ «ნაშე დელოსა» და «იზვესტიის» № 2?

ხომ არ ვთარგმნოთ გორტერის ნაშრომიდან თავი კაუცკისა და კომპანიის შესახებ? საჭიროა!

გიგზავნით **აბრამის** სტატიას [377]. **მე ვეთანხმები.** ძალიან გვჭირდება ფაქტები, მარტო «ტაქტიკა» კი არა. მისი ფაქტების კრებული სასარგებლოა. მე ზოგან შევუსწორე. გირჩევთ კონსპირაციული მოსაზრებით მოაწეროთ ა. ბ. (ავტორის უშიშროება).

P. S.

იმ შემთხვევისათვის, თუ ჩამოხვალთ, დამატებით გწერთ: Schüpfheim — 720 მეტრი, Flühli — მისგან 8 კმ-ზე — 893 მ. და Sörenberg-ი Flühli-დან 10 კმ-ზე — 1165 მ. გზა **სასიარულოა.** შეიძლება გზის 1/3 Flühli-დან Sörenberg-ამდე ვ ე ლ ო ს ი პ ე დ ი თ იაროთ. (Flühli-მდე 20 წუთის სავალია ველოსიპედით).

P. S. როგორ მიდის თქვენი მოლაპარაკება იურისთან ტრანსპორტის ფულის შესახებ? ალექსანდრე ემზადება. მოიწერეთ, რ ა მ დ ე ნ ი და რ ო დ ი ს შეიძლება მიიღოთ.

P. S. რა გამოვიდა კარპინსკის თანამშრომლობისაგან? იგი, მგონია **ნაწყენია.**

წინა ნაწილი გუშინ არის დაწერილი.

ვერ მოვასწარი გუშინ გამომეგზავნა. მივიღე «Vorwärts» + Adler. დ ი დ ი მ ა დ ლ ო ბ ა!

ნ. ი. გთხოვთ აბრამის სტატიას.

გიგზავნით ნ. ი.-ს სტატიასა და რეცენზიას (შენიშვნებითურთ) [378].

გირჩევთ რეცენზია **შენიშვნებში** დაბეჭდოთ. რასაკვირველია, თუ ს ა ჭ ი რ ო ა არჩევანი, მე ნ. ი.-ს ვემხრობი და არა აბრამს.

გიგზავნით რადეკის წერილს. ჩემი აზრით, აუცილებელია ორივე ხელით ჩავეჭიდოთ ბროშურის გეგმას [379]. **ვწერ რადეკს.**

წინადადებას ვაყენებ გამოვცეთ «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ომისადმი»: 1) მანიფესტი; 2) რეზოლუცია; 3) სტატია საგანგებოდ დაწერილი ლოზუნგების შესახებ etc; 4) იგივე — **რსდმპ-ში** გ ა თ ი შ ვ ი ს ისტორიისა და **რსდმ ფრაქციის** შესახებ (ცენტრალური ორგანოს სტატიები **სრულიად** არ გამოდგება). მოდით, წერილობით შევთანხმდეთ და **გავიყოთ თემები.**

ხომ არ მოგვცემს იური ფულს ამ ბროშურისათვის? **ძალიან საჭიროა.**

სალამი ყველას! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გაქვთ თუ არა «ვოპროსი სტრახოვანია» № 3 და 4? თუ არა გაქვთ, გამოგიგზავნით.

დაწერილია 1915 წლის
5 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

410

Გ. Ე. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲡ

გრიგოლს

ძალიან გირჩევთ თქვენი სტატიის დასასრული (ლემბერგი) etc. **ძ ა ლ ი ა ნ** გადააკეთოთ (აქ პათოსი უ ა დ გ ი ლ ო ა — ტ ო ნ ი ყ ა ლ ბ ი გ ა მ ო დ ი ს).

დაუმატეთ № 2 პასუხი («იზვესტიისა») პუნქტებში ორგანიზაციული კომიტეტის მიერ ფრანგი სოციალ-შოვინისტების შერიგებისა გერმანელებთან **(გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ)** ბუნდელთა შოვინიზმისა **(თ ა ღ ლ ი თ ი ა** იონოვი) კავკასიელ თაღლითებთან (ანთან **«ერთიანობისათვის»!!**) (ეს შენიშვნა იქნება ან P. S.).

ნადია ერთობ გაკვირვებულია, რომ არ უბრუნებთ **საჭირო** (ცენტრალური ორგანოსათვის) წერილს და არ **აძლევთ პასუხს!??!**

მე მინდა მოვითხოვო, რომ ტროცკისადმი პასუხს **ჩხეიძის ფრაქციის შესახებ** «კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს» რედაქციაში ვუყაროთ კენჭი *. დაე ჩააგდონ!

(მაშინ «სოციალ-დემოკრატში»)

---

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «აქვთ თუ არა საკუთარი ხაზი ორგანიზაციული კომიტეტისა და ჩხეიძის ფრაქციას?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 157 — 164). რ ე დ.

ისევ მგზავრობის შესახებ: Schüpfheim-იდან Luzern-ისაკენ **აგრეთვე** დაღმართია — ალბათ, შეიძლება დაეშვა ველოსიპედზე ფეხის დაუკარებლადაც კი!

ცენტრალური ორგანოსათვის გიგზავნით 3 მასალას. ვინ დაუკავშირდება სტამბას? მომწერეთ.

დაწერილია 1915 წლის 11
ივლისზე ადრე
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

411

ვ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით უბის წიგნაკს: ინესა გთხოვთ, რომ გადაწერთ **დაუბრუნოთ** *.

გიგზავნით ვაინკოპის წერილს. **დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ** (თუ სასარგებლოა, უჩვენეთ იურის). მემარცხენე ინტერნაციონალის ამ «ბირთვს» ორივე ხელით ჩავეჭიდები. საჭიროა **ყოველნაირად** დავუახლოვდეთ მათ. რადეკს ვაჩქარებ, რომ თარგმნოს ბერნის რეზოლუციები **.

გიგზავნით ბროშურის **შავის** დასაწყისს იმის მოსალაპარაკებლად, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ მომავალში და მივიღოთ ორი ავტორის «ძთლიანი» მასალა (**თუ სასარგებლოა,** უჩვენეთ იურის: იქნებ, ასეთ მასალაში ფული მოგვცენ? თუ არ მოგვცემენ, არა ღირს უჩვენოთ შავი) ***.

---

* თუ რაზეა ლაპარაკი, ვერ დავადგინეთ. რედ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187. რედ.

*** იგულისხმება ვ. ი. ლენინის ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ-ს დამოკიდებულება ომისადმი)» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412). რედ.

შენიშვნები გამოგზავნეთ **საგანგებო** ქაღალდზე დაწერილი.

დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ.

ვფიქრობ, გადაკეთების შემდეგ შეიძლება გამოვიდეს მოსაზრებებისა და მასალების პოპულარული და მნიშვნელოვანი (რუსეთისათვისაც და ევროპისათვისაც) კრებული.

სალამი. ლ ე ნ ი ნ ი.

ზინამ კიდევ გადაიღოს ასლები ანგარიშისა Vorkonferenz-ის შესახებ[380]. ხომ უნდა დავაგზავნოთ!!

დაწერილია 1915 წლის 11 და 30 იელისს შორის
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

412

ბ. ე. ზინოვიევს

ჩვენთან სტუმრად არის ლუდმილა (მიემგზავრება რუსეთში). პარიზიდან ახალი ამბავი შევიტყვეთ: ტროცკისა და კომპანიას სურთ, მემარცხენეთა საერთაშორისო კონფერენციის დამთავრებისთანავე მოაწყონ რუსი მემარცხენეების (ესე იგი, ეტყობა, ოკ+ცკ+«ნაშე სლოვო») კონფერენცია. თავდაპირველად მემარცხენეთა ყრილობაზე მიიღონ «საერთო მემარცხენე» რეზოლუცია, — შემდეგ (დაასაბუთებენ რა ამით «ნაშე სლოვოსა» და ორგანიზაციული კომიტეტის მემარცხენეობას, რომელიც საკარაუდოა, **ყველაფერს იკისრებს** — Mädchen für alle *) შემოგვთავაზონ ჩვენ («ყველას თვალ-

* — ქალიშვილი ყველასათვის. რ ე დ.

წინ»?) **დ ა ვ ე თ ა ნ ხ მ ო თ** მათ, მოწვეულ იქნეს რუსების საერთო კონფერენცია, და ჩვენი უარი გამოიყენონ ჩვენს წინააღმდეგ...

გვარიანი ინტრიგაა! **დაუყოვნებლივ** გადაიღეთ თქვენთვის რადეკის პროექტის ასლი[381] (პროექტი დაუყოვნებლივ დაშიბრუნეთ!) და კარგად მოვიფიქროთ ჩვენი ტაქტიკა.

ახლავე ხომ არ შევთავაზოთ **შ ე ს წ ო რ ე ბ ე ბ ი** რადეკს? (+ **გ ა დ ა მ წ ყ ვ ე ტ ი** ბრძოლა ოპორტუნისტთა წინააღმდეგ; + სამოქალაქო ომი; + გათიშვა ოპორტუნისტებთან). თუ შევიტანოთ ჩვენი პროექტი და, მისი ჩავარდნის შემდეგ, ხმა მივცეთ რადეკისას?. თუ ერთიცა და მეორეც?

«ნაშე სლოვოს» მონაწილეობის წინააღმდეგ შევიტანოთ წერილობითი პროტესტი (ორი მოტივი: 1) დაიშვებიან პარტიები — ისინი **ა რ წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ე ნ** პარტიას — ან «პარტიათა ნაწილი». დაე თქვან, ორგანიზაციული კომიტეტის ნაწილი ვართო. 2) ორმაგი წარმომადგენლობა: მარტოვი ორგანიზაციულ კომიტეტშიც და «ნაშე სლოვოშიც»).

ეს აუცილებელია *.

ცკ-ის დელეგაცია უნდა მოვამზადოთ. საჭიროა **ყველა** ენის მცოდნე: ინესა ფრანგულისა და ინგლისურისათვის. ხოლო გერმანულისათვის? თუ კინკელი წასულია, ხომ არ მოვიხმოთ ხარიტონოვი ციურიხიდან? (ლუდმილა, ალბათ, მოისურვებდა წასულიყო, მაგრამ...). ხარჯები? სად იქნება კონფერენცია? დიდხანს გაგრძელდება? მოვიფიქროთ წინასწარ.

გულდასმით უნდა შევკრიბოთ ყველა დოკუმენტი ჩხეიძისა და კომპანიის შესახებ (მათ წინააღმდეგ). თუ მემარცხენეები (რადეკი+Thalheimer+Wynkoop+??) **გ ვ თ ხ ო ვ ე ნ**, პრივატულად შევიკრიბოთ «**ნ ა შ ე** **ს ლ ო ვ ო ს თ ა ნ**» «სასაუბროდო», — მგონია, ყოველთვის უარს ვერ ვეტყვით?

---

* თუ გავგზავნოთ საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის დელეგაციის 3 წევრი (ცკ-ის 3 წევრის გარდა) და მოვთხოვოთ მათ ხმები. რით არიან ისინი «**ნ ა შ ე** **ს ლ ო ვ ო ს**» ჯგუფზე უარესი? ასევე—ქალთა ორგანიზაციაც.

(ასევე საერთოდ ყველა და ყოველგვარი დოკუმენტები. შევთანხმდეთ წინასწარ).

ხომ არ მოვამზადოთ ჩვენი მანიფესტის ისეთივე დაწვრილებითი პროექტი, როგორიც რადეკისაა, მაგრამ ომი გამოვუცხადოთ ოპორტუნისტებს? თუ რადეკის პროექტს დავემყაროთ?

მიწერე კოლონტაისა* და ბლაგოევს. ვწერ ვაინკოპს: თუ არ შეასრულებს, ეშმაკმა დალახვროს, მე კი ჩემს ვალს მოვიხდი.

მისწერეთ გრიმს, რომ ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი თ შეგატყობინოთ, თუ მოიწვევენ კიდევ Vorkonferenz-ს (შესაძლოა, რომ ისინი მოიწვევენ, თორემ სხვაგვარად, სად, ვინ და როდის განსაზღვრავს შემადგენლობას და სხვ.?). ხომ არ მისწერთ გრიმს აგრეთვე, რომ იგი ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა დაუყოვნებლივ შეატყობინოს (ყოველი შემთხვევისათვის) ნორვეგიელ და შვედ მემარცხენეებს? საჭიროა!! (მისამართი: Fru A. Kollontay-ს მეშვეობით Turisthotel. Holmenkollen. *Kristiania*-Norwegen).

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. შესაძლოა, რომ კონფერენცია გახდება კაუცკისა და რენოდელის «კავშირი» მათ «დასაზავებლად»?? მაშინ სკახდალს მოვახდენთ, პროტესტს შევიტანთ და წამოვალთ.

ჩემი ყველა შენიშვნა («კომუნისტისათვის») გაუგზავნეთ იურის. კამენსკი მე გამომიგზავნეთ. გირჩევთ № 1 (96 გვ.)— 1915 აგვისტო[382]. № 2 (1915 სექტემბერი) — აგრეთვე 96 გვ-გორტერი № 2-ში. ვარინი $^{9}/_{16}$-ით დავიცავი: მათ უნდა დავემუქროთ და უკან დაიხევენ. ეს № 3-სათვის.

დაწერილია 1915 წლის
11 ივლისზე გეიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ნოვაია ი ნოვეიშაია ისტორია» № 2

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 191 — 192. რ ე დ-

413

გ. ე. ზინოვიევს

ძვირფასო მეგობარო!

მიიღეთ თუ არა აბრამის სტატია (უკან) და სტატია ცენტრალური ორგანოსათვის?

გიგზავნით კიდევ პატარა სტატიებს «კომუნისტისათვის». (ჩემი აზრით, მოცულობას არ უნდა მოვერიდოთ. აუცილებლად უნდა ჩასვათ აბრამიც. საჭიროა ფაქტები. საჭიროა მრავალმხრივობა. სჯობს № 1 იყოს უფრო სრული. თუ საჭიროა, 5% მოუმატეთ და დაიქირავეთ მეორე ასოთამწყობი).

გიგზავნით მასალას ცენტრალური ორგანოსათვის.

შეაჯამეთ მოცულობა (ახლა ცენტრალური ორგანო ხომ უფრო მცირე იქნება?) და მოდით, მოვრჩეთ.

ვფიქრობ, ახლა აღარ გაიმართება მემარცხენეთა კონფერენცია: Kautsky & K° მოიწვევენ საერთოს.

რაღეკი დუმს.

თქვენი სტატიის («ნაშე სლოვოს» შესახებ) დასასრულს არ ვეთანხმები. საჭიროა 100-ჯერ უფრო მკვეთრად შეუტიოთ «ნაშე სლოვოს» მოთხოვნილ «ზავს». თავი კი არ უნდა იმართლოთ («საქმე ის კი არ არის», «ჩვენ ვაღიარებთ»), არამედ შეუტიოთ: «ნაშესლოველები» იძლევიან ცარიელ ფრაზებს «ზავის» შესახებ და **ეძიებენ ზავს სოციალ-შოვინისტებთან.** მათი ლოზუნგის არსია — ზავი არის **ზავი სოციალ-შოვინისტებთან.** უნდა აღნიშნოთ (და განავითაროთ), რომ უპირობო ზავი nonsens-ია, ცარიელი ფრაზაა, **სისულელეა.** შემდეგ უნდა განავითაროთ, რომ ზავს ბნელი მასისათვის სხვა მნიშვნელობა აქვს (á la «გაპონადა»), მაგრამ როგორც პარტიის ლოზუნგი, იგი შარლატნობაა. ჩვენ ვემხრობით მონაწილეობას გაპონელთა კავშირებში, მაგრამ გამოვდივართ «გაპონური» ლოზუნგების წინააღმდეგ. ამის შესახებ გირჩევთ, კიდევ მოვილაპარაკოთ.

თქვენი ლენინი.

გიგზავნით ფრიდოლინის წერილს. გირჩევთ მოიწვიოთ იგი; მაცნობეთ, სწერთ თუ არა მას, თუ გსურთ, რომ მე მივწერო. (დამიბრუნეთ რადეკის, ფრიდოლინის etc. ყველა წერილი)...

თუ რა ახალი წიგნები შეიძინეთ, ამაზე თქვენ, მგონი, ყველაფერი არ შეგიტყობინებიათ? არა??

ჩემი აზრით, საჭიროა ვიშოვნოთ ალექსინსკის წიგნი «Le Russie et la guerre»*.

თქვენ რას იტყვით?

«ბიბლიოგრაფია და შენიშვნები» «კომუნისტში», ჩემი აზრით, სჯობს ხელმოუწერელი დარჩეს (მრავალფეროვნებისა და იმისათვის, რომ არ იყოს ერთი და იგივე გვარები).

დაეთანხმეთ ამ წინადადებას. იურიმ, თუ სურს, მოაწეროს ხელი («პეტრე კიევსკი»): მის შენიშვნას[383], გირჩევთ, იმავე განყოფილებაში გაუშვათ.

დაწერილია 1915 წლის
11 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

414

დ. ვაინკოპს

ზიორენბერგი 15/VII. 1915.

პატივცემულო ამხანაგო!

გიგზავნით ჩვენი წარმომადგენლის, ამხ. ზინოვიევის, მოხსენებას ბერნის წინასწარი კონფერენციის შესახებ. ძალიან

* — «რუსეთი და ომი». რედ.

გთხოვთ, გააცანით იგი ამხანაგებს პანეკუკსა და გორტერს და რაც შეიძლება მალე შეგვატყობინეთ თქვენი პარტიისა და პირადად თქვენი აზრი (ან დადგენილება).

ჩემი აზრით, ეს წინასწარი კონფერენცია ფრიად დიდმნიშვნელოვანი და სასარგებლოა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ საბოლოოდ გვიჩვენა ზოგიერთი გერმანელი «მემარცხენის» (და, კერძოდ, ქ-ნ კლარა ცეტკინის) «უცნაური» (რბილად რომ ვთქვათ) როლი. ამ რამდენიმე თვის წინ მე ვკითხე, ამხ. რადეკიც იქ იყო, ერთ-ერთ გერმანელ «მემარცხენეს», თუ საქმე გათიშვამდე მივიდა, კლარა ცეტკინი ძველ პარტიას მიემხრობა თუ ახალს-მეთქი (ესე იგი რევოლუციურს, და არა ნაციონალ-ლიბერალურს, როგორიც ახლაა). «ძველსო», უყოყმანოდ მიპასუხა ამ «მემარცხენემ».

ამხანაგი რადეკი ძალიან გაჯავრდა ამ მემარცხენეზე და მარწმუნებდა, იგი ცდება, ცეტკინი უეჭველად და გულწრფელად იბრძოლებს საზიზღარი გერმანელი სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგო.

ახლა კი ეს დავა საბოლოოდ რადეკის სასარგებლოდ როდი გადაწყდა. ცეტკინს სურს იაროს გააზე-კაუცკის მხარდამხარ, — გააზე-კაუცკის კი სურთ «ერთიანობა» (ზიუდეკუმთან: ჩვენ ამას რუსულად ვუწოდებთ «ლაქიათა ერთიანობას, რევოლუციონერთა გათიშვას», ანუ ეროვნულ ბურჟუაზიასთან ერთიანობას, ინტერნაციონალური მუშათა კლასის გათიშვას)!! დარწმუნებული ვარ, რომ ეს «მემარცხენე» კონფერენცია ცეტკინის, გააზეს მონაწილეობით, «Lichtstrahlen»-ისა და «ტრიბუნისტების» გარეშე, სრული თვალთმაქცობაა: ამ კონფერენციის ობიექტური არსი მხოლოდ ის არის, რომ «მემარცხენეთა» (á la ცეტკინი) და «მემარჯვენეთა» (თანამედროვე ინგლისის ვიგები და ტორები!) მოჩვენებითი ბრძოლის გზით განამტკიცონ ძველი საზიზღარი პარტია.

ჩვენ (ტრიბუნისტებთან და **ზოგიერთ** გერმანელ მემარცხენესთან, და არა á la ცეტკინთან — შესაძლოა, აგრეთვე ლატვიელთა პარტიასთან და პოლონეთის სოციალ-

დემოკრატიასთან (ეგრეთ წოდებულ ოპოზიციასთან) ერთად) რაიმე უნდა ვიღონოთ **ძალიან საჩქაროდ,** თუ არ გვსურს ხელიდან გავუშვათ ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი.

ამ ხანაგი რადეკი შემპირდა გერმანულად ეთარგმნა ჩვენი რეზოლუციები *. ჩვენი მანიფესტი (ცენტრალური კომიტეტისა) თქვენთვის უკვე ცნობილია (იგი დაიბეჭდა — სამწუხაროდ, შემოკლებული სახით — თქვენს «Tribune»-ში). დავიდს თავის წიგნში ე რ თ ო ბ კეთილსინდისიერად მოჰყავს ციტატა ამ მანიფესტიდან (თითქმის ოპორტუნისტისათვის წარმოუდგენელი კეთილსინდისიერებით). გიგზავნით რადეკის თარგმანს და გთხოვთ გვაცნობოთ რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ა ლ ე, შესაძლებლად და მიზანშეწონილად მიგაჩნიათ თუ არა მოვამზადოთ ერთობლივი რეზოლუცია და გამოვიდეთ ერთობლივი საპროტესტო დეკლარაციით «მემარცხენეთა» (ცეტკინი და კომპ.) კონფერენციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ჩვენ, ჩემი აზრით, ამა თუ იმ ფორმით ამას შევძლებთ.

საუკეთესო სალმით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S ძალიან გთხოვთ, ეს გააცანით აგრეთვე ამ ხანაგ ლუთერაანს, რომელმაც ერთხელ ჩვენთან ერთად გაილაშქრა «ჭაობის» (ცენტრის) წინააღმდეგ, (რასაკვირველია, თუ თ ქ ვ ე ნ მიიჩნევთ სასარგებლოდ უჩვენოთ წერილი ამ ხ. ლუთერაანსაც).

Wl. Uljanow *in Sörenberg* (Kanton Luzern) Schweiz.
ყოველივე ეს სავსებით კონფიდენციალურად!

გაგზავნილია ზვოლეში (ჰოლანდია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბერნის კონფერენციის რეზოლუციები (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21. გვ. 180 — 187). რ ე დ.

415

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით კორექტურებს.

თუ № სავსეა (ე. ი. მასალა სრულიად საკმარისია), დაუყოვნებლივ გამოუშვით. (სტატიები რიგის მიხედვით თვითონვე დაალაგეთ: მოწინავე—«დამარცხების შესახებ» *.)

თუ ოდნავ თავისუფალი ადგილი დარჩა, ჩასვით თანდართული პოსტსკრიპტუმი სტატიისათვის «არსებული მდგომარეობის შესახებ» **.

ამ №-ის შემდეგ დაუყოვნებლივ გამოვუშვათ მომდევნო, რომელშიც შევა სტატია პაციფიზმის შესახებ (თუ არის აწყობილი?). სასწრაფოდ მოიწერეთ, რამდენი გაქვთ მასალა ამ (მომდევნო) ნომრისათვის და რამდენი არ გყოფნით!

სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წლის 21 ივლისს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

416

დ. ვაინკოპს

ზიორენბერგი (ლუცერნის კანტონი).
22/VII. 1915.

პატივცემულო ამხანაგო ვაინკოპ!

---

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 330 — 337). რ ე დ.

** იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 338 — 345). რ ე დ.

გიგზავნით ჩვენი პარტიის რეზოლუციებს, რომლებიც თარგმნა ამხანაგმა რადეკმა *. მე მგონია — მას შემდეგ, რაც წაიკითხე თქვენი რეზოლუციები, — რომ ჩვენ შორის უთუოდ არსებობს პრინციპული სოლიდარობა.

ამხანაგი რადეკი მწერს, რომ ჩვენ ერთობლივად უნდა შეგიმუშაოთ თეზისები, და არა რეზოლუციები (ჩვენ — ე. ი. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, ჩვენი პარტია, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიული «ოპოზიცია», შესაძლებელია, აგრეთვე ლატვიის სოციალ-დემოკრატია). ჩემი აზრით, მთავარი როდია თეზისები თუ რეზოლუციები: მთავარია, რომ ჩვენ ნათლად, პოპულარულად ჩამოვაყალიბოთ რევოლუციური ტაქტიკა, დავაზუსტოთ ომის იმპერიალისტური ხასიათი, დავიცვათ მარქსიზმი კაუცკის, პლეხანოვისა და კომპანიის მიერ ფალსიფიკაციისაგან.

სამწუხაროდ, რადეკს ჩემთვის დღემდე არ გამოუგზავნია თავისი დეკლარაციის პროექტი. ვიმედოვნებ, ჩვენს რეზოლუციებს რომ წაიკითხავთ, თქვენ **რაც შეიძლება მალე** მიპასუხებთ, გვეთანხმებით თუ არა პრინციპულად. 7 — 10 აგვისტომდე ყველაფერი მზად უნდა იყოს.

თუ შეგიძლიათ **სავსებით** გარკვეულად თქვათ, რომ რომელიმე თქვენგანს შეუძლია იყოს ბერნში 7 — 10 აგვისტოს, მაშინ, მგონია, შესაძლებელი იქნება ბერნში პატარა თათბირი მოვიწვიოთ და ერთობლივად შეგიმუშაოთ თეზისები. თუ ჩამოსვლას ვერ შეძლებთ, მაშინ იძულებული ვიქნებით შევთანხმდეთ მიწერ-მოწერით, რაც დიდ დროს მოითხოვს.

საუკეთესო სალმით. თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რადეკმა მიამბო, რომ თქვენ ძალიან კარგი ურთიერთობა გაქვთ ჩ ა რ ლ ზ კ ე რ თ ა ნ, ჩ ი კ ა გ ო ე ლ გამომცემელთან. ჩვენ ვაქვეყნებთ რუსულ ენაზე (შემდეგ კი —

---

* იგულისხმება რსდმპ საზღვარგარეთული სექციების ბერნის კონფერენციის რეზოლუციები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187). რ ე დ.

გერმანულზე) პატარა ბროშურას (დაახლოებით 100 000 ნაბეჭდი ნიშანი) ჩვენი რეზოლუციებითა და განმარტებებითურთ. ხომ არ შეგეძლოთ შეკითხოდით ჩარლზ კერს, დათანხმდება თუ არა (და რა პირობებით) გამოაქვეყნოს ჩვენი ბროშურა ინგლისურ ენაზე? *

P. P. S. შევეცდები ჩამოვაყალიბო და გამოგიგზავნოთ პროექტი. ჩვენ უთუოდ და მთლიანად ვიწონებთ თქვენს წინადადებას სხვა მემარცხენეებთან (ინგლისი, შვეიცია, საფრანგეთი და ა. შ.) კავშირურთიერთობის დამყარების შესახებ.

გაგზავნილია ზვოლეში (ჰოლანდია)

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს ჟურნალში «ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი გერმანულიდან

417

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით ვაინკოპს.

დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დ ა მ ი ბ რ უ ნ ე თ. რა ვუყოთ მათ? ისინი აშკარად ეშმაკობენ. ლანძღვა არა ღირს — დუმილი სჯობს, ვითომ?

გიგზავნით კოლონტაის. დ ა მ ი ბ რ უ ნ ე თ. აი, საქმიანი დედაკაცი!

გიგზავნით სტატიას შეერთებული შტატების შესახებ. ნუ დამიბრუნებთ. **თუ არ მეთანხმებით, დაუყოვნებლივ შემატყობინეთ ტელეფონით** (თვითონ ან ზინას, ან შკლოვსკის მეშვეობით).

ხომ არ გახსოვთ **კობას** გვარი?

სალამი! უ ლ ი ა ნ ო ვ ი

---

* იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412). რ ე დ.

N. B. გამოგზავნეთ «ვოპროსი სტრახოვანია», რომელშიც დაბეჭდილია რეცენზია მასლოვზე [384].

დაწერილია 1915 წლის
23 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

418

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! დღეს გამოგიგზავნეთ დეპეშა და გთხოვეთ ცენტრალური ორგანოს მიმდინარე №-ში ჩემი სტატია «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» * შეცვალოთ სტატიით (გრიგოლისა) პაციფიზმის შესახებ. თუ ეს უკვე გვიანაა, ძალიან გთხოვთ, მიეცით ასაწყობად მთელი დანარჩენი მასალა — დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოვცეთ ცენტრალური ორგანოს კიდევ ერთი №.

როგორაა ბროშურის საქმე? ** შეუძლია თუ არა კუზმას ააწყოს იგი? (დაახლოებით 100 000 ასოა. სასურველია ი ა ფ ა დ — 2 სვეტად, რომ უფრო ნაკლები ქაღალდი დაიხარჯოს! მოგვცეს ზუსტი ხარჯთაღრიცხვა და ვადა.)

საუკეთესო სალამი! თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

---

* «საქმეთა მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 338 — 345). რ ე დ.

** იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)». რ ე დ.

სტეპკოსაგან თარგმანი მივიღე. ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ.

დაწერილია 1915 წლის 24 ივლისს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

419

გ. ე. ზინოვიევს

ტყუილად არ გაუგზავნეთ დეპეშა ოლღას — როგორც მე კთხოვდით. ახლა შეიძლება დაგვიანდეს.

აბრამჩიკის სტატია უკან მივიღე. არ გიგზავნით, ვინაიდან იგი არ იბეჭდება.

გიგზავნით ჩვენი რეზოლუციების შეკვეცილ პროექტს — შემარცხენეთა დეკლარაციის პროექტს *. გავუგზავნე იგი ჰოლანდიელებსა და რადეკს და ასე შემდეგ.

მივიღე ანის სტატიის დასასრულის თარგმანი. გამოგიგზავნით.

მივიღე ვორტერის თარგმანიც. გიგზავნით.

სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვიმედოვნებ, სოკოებმა კარგად ჩამოაღწიეს?

გიგზავნით ბროშურის ** ჩემი ნაწილის დასასრულს. სასწრაფოდ დამიბრუნეთ.

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თბზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 420—423. რ ე დ.

** იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)». რ ე დ.

N. B: ინესას მისამართებიდან («კომუნისტისათვის»)
უ ქ მ დ ე ბ ა
კ. მ.-ს მისამართი გენუაში
და სოროკინისა — ტულუზაში.

დაწერილია 1915 წლის
24 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

420

ბ. ე. ზინოვიევს

(ვაინკოპი დამიბრუნეთ: რა ყოჩაღია, ჰა!)

რუსულ წიგნებს (სიას) გამოგიგზავნით.

რაც შეეხება ფრანგულს, ვყოყმანობ: შეიძლება ვიშოვოთ დიდი ნაწილი, თუ ვთხოვთ რომელიმე ბერნელს გამოიწეროს ჟენევისა და ნევშატელის ბიბლიოთეკებიდან (ბევრი ნაგავია: ნაწილი მინახავს პარიზში). ფულის საკითხი დაკავშირებულია შედეგთან.

იურის წერილი, რომელსაც ამასთან ერთად გიგზავნით (ვაინკოპი დამიბრუნეთ) — თავხედური, სულელური მუშტის მოღერებაა. ფ ო რ მ ა ლ უ რ ა დ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ა აქ მოვათავსოთ გოლეი და ვარინი[385]. «საგამომცემლო კომისია» მ ო ვ ა ლ ე ა აღასრულოს გადაწყვეტილება. ისინი კი თავნებობენ!! «ჯიბეც ჩემია, ნებაც ჩემია». ცხადია, ასე მუშაობა არ შეიძლება. წავიდნენ, ჯანდაბას მაგათი თავი. გამოცემა (თუ მოისურვებენ) აქ მოგვიხდება, და მუშაობა გ ა გ ვ ი ა დ ვ ი ლ დ ე ბ ა, შორს ვიქნებით მუშტაობისაგან.

აქვე გადაწყვეტილია **ფორმალურად:** უნდა მიეცათ 1/2 ტრანსპორტისათვის და **ერთი კვირის შემდეგ** მოეწერათ შეტანის ვადების შესახებ.

ერთი სიტყვაც არ მოუწერიათ! — ეს ხომ გამაპხარავებაა!

ბუხარინის წერილი (დამიბრუნეთ!) გვიჩვენებს, რომ ჩვენ ა რ შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა გადავიდეთ ასე ძნელ პირობებში (სხვისი პასპორტით? გაგვიგებენ და ჩაგვსვამენ, მეფეს რომ ს ა მ ს ა ხ უ რ ი გ ა უ წ ი ო ნ!) *. ფული სულ ცოტა დაგვრჩა: ცენტრალური ორგანოს ორი № № + ბროშურა — დასჭირდება დიდი ნაწილი დარჩენილი ათასიდან. მერე გზა? სიძვირე სტოკჰოლმში? იქ მუშაობა კი (ბიბლიოთეკა) უ ა რ ე ს ი ა.

საჭიროა მოვიფიქროთ და მოვიფიქროთ.

ხომ არ აჯობებს, ამ მეკუნლაკე სულელებს ჭკუა ვასწავლოთ?

გოლეი გაგზავნეთ ცენტრალურ ორგანოში (გოლეი უ ნ დ ა დავბეჭდოთ). იურისათვის პასუხის გაცემაც კი არა მსურს: აუტანელია ეს სულელური, ვაჭრულ-თავხედური წერილი. სადღაა ზღვარი? დაპირებები, ფორმალური გადაწყვეტილებები — «მე ბატონი ვარ, არ გადავიხდი»!! არა, ყველაფერს ზომა აქვს! ეს უკვე მეტისმეტად უსირცხვილო სიცრუეა!

სალამი ყველას. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

«რეჩის» ეს № ა რ ა გვაქვს. იურის ხომ არა აქვს?

დაწერილია 1915 წლის
26 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ლაპარაკია «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის სტოკჰოლმში გადასვლის გეგმაზე. რ ე დ.

421

ბ. ე. ზინოვიევს

რაც შეეხება «ბიბლიოგრაფიასა და შენიშვნებს», თანახმა ვარ დაიბეჭდოს. ბოლოსდაბოლოს, რა ღირს 100 — 200 (ნაკლები) ზედმეტი frs?

უფრო საჭიროა **მთლიანი** წიგნაკი *. საჭიროა ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ (Golay, Sinclair, «*Die Internationale*») ხ მ ე ბ ი სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ[386].

როგორ არის საქმე, იური და იაპონელები[387] მიდიან? როდის?

დაწერილია 1915 წლის
26 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

422

ბ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით პანეკუკის სტატიას[388]. ძალიან გირჩევთ თან დაურთოთ მას რედაქციის შენიშვნა (და გადაუგზავნოთ ეს შენიშვნა ავტორს) **.

გიგზავნით ბროშურის გეგმის მონახაზს (დამიბრუნეთ) ***. სჯობს ახლავე ჩავუჯდეთ (ორივენი), მოვიფიქროთ თითოეული ფრაზა, გადავაკეთოთ, შევკვეცოთ და — გამოვცეთ

---

* იგულისხმება ჟურნალ «კომუნისტის» № 1. რ ე დ.

** იხ. დანართი წერილის ბოლოს. რ ე დ.

*** იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412). რ ე დ.

რ უ ს უ ლ ა დ (ომის წლისთავისათვის). ხოლო შემდეგ კიდევ **3** ენაზე.

ვფიქრობ, შესაძლებელია ორი მიზნის შეერთება.

1) Vademekum * რუსი სოციალ-დემოკრატების, აგიტატორებისა და «მუშათა წინამძღოლებისათვის». ნათლად, პოპულარულად, ზუსტად, **ყველა** მოსაზრების **კონსპექტი**. აშკარა შედეგი: «ნაშა ზარიას» გამორიცხვის სისწორე, ბრძოლა მასთან და ორგანიზაციულ კომიტეტთან + ჩ ხ ე ი ძ ე [Vademekum სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის].

2) ზუსტი შინაარსი საზღვარგარეთისათვის: უფრო სერიოზული **პოლიტიკური** საქმეა III ინტერნაციონალის შესაკავშირებლად, ვიდრე ათეულობით საუბარი და შეხვედრა ათეულობით გრიმთან, ცეტკინთან და სხვა შარვლიან-კაბიან Klatsch-Weiber **-თან.

მიპასუხეთ სასწრაფოდ. თუ თანახმა ხართ, **კიდევ უფრო დეტალურად** განვიხილოთ **გეგმა,** შემდეგ გავინაწილოთ თემები.

3) ვაიძულოთ არამზადა ორგანიზაციული კომიტეტი მოგვცეს «თავისი». მათ კ ი ა რ ა ა ქ ვ თ თავისი!

ხომ ვერ გამომიგზავნით რამდენიმე მ ა რ გ ა ლ ი ტ ს «Hamburger Echo»-დან? Wiener «Arbeiter-Zeitung»-ში **მარგალიტია:** წერილი რუსეთიდან, **რომ აქსელროდი უთმობს** «ოპორტუნისტებს» [389]. გ ა მ ო გ ი გ ზ ა ვ ნ ი თ.

წ ე რ ი ლ ი ს დ ა ნ ა რ თ ი

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ. სავსებით ვეთანხმებით ამხანაგ ა. პანეკუკის მშვენიერი სტატიის ყველა ძირითად და არსებით მხარეს, მაგრამ უკანასკნელი სტრიქონები მეტისმეტად პესიმისტურად გვეჩვენება. ჩვენ მოგვყვება მასა, ოპორტუნისტებს, სოციალ-შოვინისტებსა და «კაუცკელებს» — უმცირესობა, ხშირად ჩინოვნიკების, არისტოკრატიის, მეშჩანებისა და ფილისტერების უბადრუკი უმცირესობა. იმ პირობით, თუ

---

* — ცნობარი, მეგზური. რ ე დ.

** — ლაქლაქა ქალებთან. რ ე დ.

სწორ ტაქტიკას გამოვიყენებთ ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ე. ი. გავრიცხავთ მათ და თანმიმდევრულად ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ, ჩვენ გამოგვყვებიან დიდი ორგანიზაციებიც, რევოლუციური პარტიის ლეგალური და არალეგალური აპარატიც.

დაწერილია 1915 წლის
28 ივლისზე ადრე
გაგზავნილია ზიორენშერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა:
წერილის დანართი 1915 წელს
ჟურნალ «კომუნისტში» № 1 — 2;
წერილი — 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება:
წერილი — ხელნაწერის
მიხედვით
დანართი — ჟურნალ
«კომუნისტის»
ტექსტის მიხედვით

423

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

კუზმას პირობებს **ვღებულობთ.** ბროშურა **უკვე** დაწერილია **მთლიანად** *. შემიძლია ხელნაწერი **უფრო ადრეც** გამოგიგზავნოთ, თუკი ეს დააჩქარებს გამოსვლას. გთხოვთ მაცნობოთ დეპეშით (ან დამირეკოთ ტელეფონით — სჯობს დილის $8^1/_2$ — 9 საათზე — Hotel Marienthal in *Sörenberg* Kanton Luzern), თუ შეიძლება დავაჩქაროთ ბროშურის გამოგზავნა. ჩვენ **ძალიან** გვინდა დავაჩქაროთ ეს.

მაშ ასე, ვუშვებთ ცენტრალური ორგანოს კიდევ ერთ ნომერს (მოწინავე სტატია პაციფიზმის შესახებ; მასალებს კიდევ გიგზავნით), შემდეგ კი დაუყოვნებლივ ბროშურას. (მას-

* იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)». რ ე დ.

ში, მგონია, დაახლოებით 115 000 ასოა. მაგრამ ეს მცირე ხსვაობაა.)

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 28 ივლისს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

424

გ. ე. ზინოვიევს

ბროშურას ვგზავნი ჟენევაში (150 frs-ად კისრულობენ დაბეჭდონ 100 000 ასო და ძალიან მალე).

თქვენი შესწორებები თითქმის ყველა გავითვალისწინე.

თქვენ **ძალიან ცოტა** შეგისწორეთ: გამომიგზავნეთ კორექტურაში (უკეთუ გსურთ, უფრო ადრეც გამოვითხოვთ).

ცენტრალური ორგანოს № ყ ო ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ უ ნ დ ა დ ა ვ ა ჩ ქ ა რ ო თ. თქვენს სტატიაში **375** სტრიქონი იქნება!!! ქრონიკა (თითქმის) არაა. დაწერთ $1/2$ სვეტს «ომის» შესახებ? მე დავწერ თვითგამორკვევისა და ევროპის შეერთებული შტატების შესახებ *. **გოლეი უნდა დავბეჭდოთ ცენტრალურ ორგანოში,** თუ იაპონელები არ დათანხმდებიან «კომუნისტში», ვინაიდან გოლეის **ყოველნაირად** უნდა გავუწიოთ რეკლამა აუცილებლად **.

მიპასუხეთ სასწრაფოდ ცენტრალური ორგანოს შესახებ, **რაც შეიძლება იჩქარეთ.**

---

* ეტყობა, ვ. ი. ლენინი გულისხმობს სტატიებს: «რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება» და «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 497 — 506 და 413 — 418). რ ე დ.

** იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 424 — 434). რ ე დ.

ღირს თუ არა გაუშვათ ჩემი შენიშვნა კვარკის შესახებ? *

როგორ შეიძლებოდა დაკარგულიყო დეკლარაციის პროექტი (იგივე=რეზოლუციის შეკვეცილი ვარიანტი) ?? ჩადებული იყო თქვენთვის გამოგზავნილ კონვერტში!!!

გამოვითხოვოთ რადეკისაგან. [თუ თქვენთან აღმოჩნდება, **სასწრაფოდ** დ ა მ ი ბ რ უ ნ ე თ!!]

ამასთან ერთად გიგზავნით წერილს იურისადმი და ვარინს.

სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი კორექტურები **ს უ ლ** გავუგზავნე Benteli-ს **. თუ წერილი დაიკარგა, დაე **ერთხელ კიდევ გამოგზავნონ.**

დაწერილია 1915 წლის
28 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

ბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

425

გ. ე. ზინოვიევს

ოლღა იწერება, რაც შ ე ი ძ ლ ე ბ ა უნდა დავაჩქაროთ ცენტრალური ორგანოს გამოშვება, თორემ კუზმა სხვა სამუშაოს მოჰკიდებს ხელსო!

მასალები კი ცოტაა!! სკანდალია!!

დღეს პირდაპირ სტამბაში ვგზავნი პატარა სტატიას «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (და

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ზავის» ლოზუნგის შეფასებისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 346 — 348). რ ე დ.

** იგულისხმება ბენტელის სტამბა. რ ე დ.

ვთხოვ კორექტურა გამოგიგზავნონ თქვენ) — (ჩვენი მოლაპარაკების სულისკვეთებით არის დაწერილი. აუცილებელია ბროშურად გამოსვლამდე გასწორდეს შეცდომა და ბროშურაში მოთავსდეს შენიშვნა მანიფესტისათვის *). [ბროშურაში დავუმატებ აგრეთვე 1913 წლის რეზოლუციას ეროვნულ საკითხზე].

გიგზავნით სტატიას ეროვნული პროგრამის შესახებ (მინდოდა გადამეკეთებინა; მე მგონია, არ გამოვიდა; სიამოვნებით გადავდებდი) **. ოლღასათვის გაგზავნილი მასალა 400 სტრიქონია + 125 ევროპის შეერთებული შტატები, სულ კი №-ში 736 სტრიქონია!!

ორშაბათ დილისათვის აუცილებლად გაუგზავნეთ (საერთოდ პირველი ფოსტით გაგზავნეთ) ოლღას კიდევ მასალა. კვარკი ***, ვფიქრობ, არა ღირს დაიბეჭდოს თქვენი სტატიის გვერდით.

იყო «ნაშე სლოვოს» № 111-ში[390]	ბრაუნი ხომ არ ყოფილა «ნაშე სლოვოში» ? ნადიამ გამოიკითხა და ამბობს, **იყო.**

რუსეთზე პატარა სტატია მაინცაა საჭირო.
(ავად ვიყავი და მხოლოდ გუშინ შევძელი მემუშავა.)

სალამი ყველას!

თქვენი ლენინი

P. S. ბროშურებისათვის ვმაღლობთ.

---

* იხ. «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შენიშვნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტისათვის ომის შესახებ» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 419) რ ე დ.

** ეტყობა, ლაპარაკია, ვ. ი. ლენინის სტატიაზე «რევოლუციური პროლეტარიატი და ერების თვითგამორკვევის უფლება» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 497 — 506). რ ე დ.

*** იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ზავის» ლოზუნგის შეფასებისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 346 — 348). რ ე დ.

თუ არა გაქვთ შენიშვნა, გაგზავნეთ გოლეი ცენტრალურ ორგანოში.

ბროშურაში თქვენ დაგავიწყდათ ჩაგესვათ ციფრები მუშების რაოდენობის შესახებ «ჩვენს» და ლიკვიდატორთა გუბერნიებში. **გამოგზავნეთ.**

დაწერილია 1915 წლის 28 ივლისსა
და 2 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

426

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! გიგზავნით სტატიას № 44-სათვის * (მისი კორექტურა გაუგზავნეთ — ძალიან გთხოვთ — გრიგოლსაც და ერთდროულად მეც (აგრეთვე — პაციფიზმის შესახებ), უბრძანეთ ამოიღონ 2 ანაბეჭდი. გრიგოლის მისამართია: Herrn Radomyslski bei Fr. Aschwanden *Hertenstein* in *Kanton Luzern*).

გრიგოლი ორშაბათისათვის კიდევ გამოგიგზავნით მასალას № 44-ისათვის.

საჭიროა, რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს (იმასაც კი ნუ დაერიდებით, რომ კუზმას გადაუხადოთ სამუშაო დღისათვის და ა. შ.) ეცადოთ, რომ დაუყოვნებლივ, მუშაობის შეუჩერებლად გამოვიდეს № 44, შემდეგ კი დაიწყოთ ბროშურის აწყობა. ვიმეორებ, იგი მთლიანად მზად მიდევს შინ. გამოგიგზავნით იმ კვირის ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, ხოლო თუ შესაძ-

* იგულისხმება სტატია «ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 413 — 418). რ ე დ.

ლებელია დაჩქარდეს გამოსვლა, დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით, თქვენი დეპეშის მიღებისთანავე.

№ 43 მშვენივრად არის გამოცემული! დიდად გმადლობთ და მოგესალმებით!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წლის 28 ივლისსა
და 2 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

427

დ. ვაინკოპს

30/VII. 1915.

პატივცემულო ამხანაგო! მივიღე თქვენი წერილი და ღია ბარათი. გიგზავნით ჩვენი მანიფესტის სრულ ფრანგულ თარგმანს; რადეკის მიერ შესრულებული ჩვენი პარტიის რეზოლუციების თარგმანი უკვე გამოგიგზავნეთ. ახლა თქვენ ყველა დოკუმენტი გაქვთ (რაც შეეხება «ევროპის შეერთებულ შტატებს», ჩვენ, ვფიქრობ, მივიღებთ გორტერის თვალსაზრისს).

ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ძირითადად შევთანხმდით. ჩვენ გვესაჭიროება არა ბელადების პარადული განცხადებები (რომელთა წინააღმდეგ ასე კარგად დაწერა პანეკუკმა), არამედ პრინციპების თანმიმდევრული რევოლუციური დეკლარაცია. რათა დავეხმაროთ მუშებს იპოვონ სწორი გზა. ეს უაღრესად საჭიროა. განსაკუთრებით იმან გამახარა, რომ თქვენ კავშირი გაქვთ ბელგიელ მეგობრებთან (ჩვენ შეგვეძლო გამოგვეგზავნა მათთვის P. Golay-ს ბროშურა, თუ თქვენ ადრე არ გინახავთ იგი[391]) და გსურთ პირადად მოელაპარაკოთ ზოგიერთ მემარცხენეს სხვა ქვეყანაში. ბელგიელთა ანო-

ნიმურ ჯგუფს «ვარსკვლავს» და კიდევ სხვას, თქვენსა და ჩვენს პარტიასთან ერთად რომ გამოექვეყნებინა პრინციპების დეკლარაცია, — ეს კარგი და სერიოზული წამოწყება იქნებოდა. შვედ მემარცხენეთა ჯგუფი ჰიოგლუნდთან ერთად ჩვენ გვემხრობა: დღეს მივიღე წერილი ამის შესახებ. კარგი იქნებოდა, თუ თქვენ მისწერდით ინგლისში და დაითანხმებდით იქ რომელიმე ჯგუფს (თუნდაც მცირერიცხოვანს) ერთობლივი განცხადების შესამუშავებლად.

გულითადად მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებას.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მეორე წინასწარი კონფერენცია უნდა გამართულიყო 7 აგვისტოს, მაგრამ, ალბათ, უფრო გვიან გაიმართება.

გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ამსტერდამში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

428

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

ძალიან ვწუხვარ ბროშურისათვის. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი მიიღეთ (მთელი მანუსკრიპტი და შენიშვნა მანიფესტისათვის)? როგორ მიმდინარეობს აწყობა და როდის გამოუშვებთ? დ ა ვ ე ლ ო დ ე ბ ი კ ო რ ე ქ ტ უ რ ე ბ ს. (თავების მცირე ქვეგანყოფილებათა სათაურები უნდა აიწყოს ან კურსივით ანდა ძალიან წვრილი შრიფტით, ნონპარელით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — შავი შრიფტით.)

როგორაა ცენტრალური ორგანოს № 44? კორექტურები არ მიმიღია და ეს იმით ავხსენი, რომ თქვენ გსურდათ დაგეჩქარებინათ გამოშვება (როგორც ჩვენ გვქონდა საუბარი ამის

შესახებ). მაგრამ სტატია შეერთებული შტატების შესახებ ხომ შევიდა?

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ნახეთ თუ არა თქვენთან 1913 წლის რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე?

დაწერილია 1915 წლის 11 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

429

დ. ვაინკოპს

პატივცემულო ამხანაგო!

ამასთან ერთად გიგზავნით დეკლარაციას, რომელიც მივიღეთ ნორვეგიის ახალგაზრდობის კავშირისაგან. ბულგარელმა სოციალ-დემოკრატებმა («ტესნიაკებმა») ძირითადად ასეთივე აზრი გამოთქვეს ბალკანეთის II კონფერენციაზე (ამა წლის ივლისში)[392]. მაშასადამე, შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი ა პრინციპების მემარცხენე საერთაშორისო დეკლარაცია. 20 აგვისტოსათვის ეს უკვე მზად უნდა იყოს.

მოუთმენლად ველოდები თქვენს პასუხსა და პროექტს.

საუკეთესო სურვილებით

(ხელმოწერა).

დაწერილია 1915 წლის
15 აგვისტოზე გეიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ამსტერდამში

პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე
1959 წელს ჟურნალში
«Beiträge zur Geschichte der deutschen Arbeiterbewegung» № 2
რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1960 წელს ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
პერლუსტრირებული
ასლის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

5. IX-ს გაიმართებაო. რადეკის პროექტი თქვენთვის, ალბათ, უკვე ცნობილია. ეს პროექტი ძალიან აკადემიურად მეჩვენება (ეს მოსაზრება, რასაკვირველია, არაა მნიშვნელოვანი) და — რაც უფრო მნიშვნელოვანია — არადამაკმაყოფილებლად თვით იმ დიდმნიშვნელოვანი პუნქტის მიმართ, რომელიც ასე კარგად არის აღნიშნული, მაგალითად, გორტერის ბროშურაში, — სახელდობრ: გადამწყვეტი ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. თუ ჩვენ ამის შესახებ მუშებს არაფერს ვეტყვით, მივჩქმალავთ გარემოებას, ურომლისოდაც ვერავითარ რეალურს ვერ შევქმნით.

ძალიან გთხოვთ, შემატყობინეთ თქვენი აზრი და თქვენი ცენტრალური კომიტეტის აზრი. შემატყობინეთ აგრეთვე, ნამდვილად ჩამოვა თუ არა თქვენი პარტიის წარმომადგენელი (თუ არ ჩამოვა, მაშინ ხომ არ მისცემთ მანდატს რადეკს, თუ გამოგზავნით განცხადებას და სხვ.). თუკი ეს შესაძლებელია, მისწერეთ ინგლისში ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის უმცირესობას; დაე ამ უმცირესობამ თავისი წარმომადგენელი, ანდა განცხადება მაინც გამოგზავნოს. თუ ამ კონფერენციის შედეგად ჩვენ მივიღებთ არა მარტო ბელადების დიპლომატიურ ფოკუსებს (რომელნიც ასე კარგად აიგდო სასაცილოდ პანეკუკმა), არამედ პრინციპების მემარცხენე მარქსისტულ ინტერნაციონალურ დეკლარაციასაც, ეს ძალიან სასარგებლო საქმე იქნება.

თქვენთვის ცნობილმა ბელგიელ ინტერნაციონალისტთა ჯგუფმაც უნდა გამოგზავნოს განცხადება ანდა მოგცეთ მანდატი (ნაწილი პარტიებისა აგრეთვე უსათუოდ იქნება დაშვებული). ანტიშოვინისტური ოპოზიცია ვანდერველდეს წინააღმდეგ — სულ უმნიშვნელოც კი — უაღრესად მნიშვნელოვანი იქნებოდა. ძნელია მხოლოდ პირველი ნაბიჯი!

ველოდები თქვენს პასუხს

სოც.-დემ. სალმით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამასთანავე გიგზავნით განცხადების პროექტს (ფრანგულად) — ჯერ კიდევ ვერ გამოვნახე დრო განმეხილა იგი

მეგობრებთან ერთად. ხვალ გაეუგზავნი ამ პროექტს ამხანაგ რადეკს.

დაწერილია 1915 წლის
19 აგვისტოზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ამსტერდამში

პირველად დაიბეჭდა 1960 წელს
ჟურნალში
«ეოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

432

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! გიგზავნით 200 frs-ს. ეგებ «მოთაფლოთ» კუზმა. დიდი merci თქვენი გარჯისათვის. ოლღას წერილი მივიღე. კობამ სალამი გამომიგზავნა და შემატყობინა, კარგად ~~ყოფილა~~. ბროშურის შესახებ ზოგჯერ ღია ბარათით მაცნობეთ, არის თუ არა «იმედი» პროგრესისათვის (კორექტურებში მოვასწრებ კიდევ შეეიტანო ზოგიერთი შესწორება).

Salut! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 21 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

433

გ. ე. ზინოვიევს

თანახმა ვარ № 1-ის (აგვისტო) და № 2-სა (სექტემბერი) *. 50-გვერდიანი სტატია თქვენი — pardon — ფანტაზიაა.

---

* იგულისხმება ჟურნალი «კომუნისტი». რ ე დ.

430

ბ. ე. ზინოვიევს

«Peuple» დამიბრუნეთ. კარგად არის ნათქვამი ვანდერველდეს შესახებ? ასეთი იქნება **ყველა** მათგანის ტაქტიკა.

რადეკისა და კარპინსკისაგან სტრიქონიც კი არ მიმიღია. არ მესმის! ვწერ მათ.

გრიმმა დარეკა ტელეფონით, რომ Vorkonferenz გადაიდო 5. IX-მდე და რომ ცეტკინმა საპატიმროდან სთხოვა მას ბერნის კონფერენციაზე * უმცირესობის რეზოლუცია გაეგზავნა. რუსული ტექსტი გავუგზავნე. გერმანული თუ გაქვთ, გაუგზავნეთ გრიმს.

ჟორესს წავიკითხავთ და გამოგიგზავნით [393].

«J'accuse» **რადეკ**ს მივეცი [394].

დამიბრუნეთ კოლბი [395]

ჰოლანდიელებისაგან *nil!!***

P. S. გირჩევთ გაუშვათ (იხ. ტექსტი), გერმანული გამოთქმები თარგმნეთ.

იაპონელებს ამაოდ იცავთ. ალექსანდრე იწერება **აღშფოთებულ** წერილებს, და მას უფლება აქვს აღშფოთებული იყოს. უნდა შევასრულოთ მიღებული გადაწყვეტილებანი: გადაწყვეტილია (3 კვირის წინათ) **ერთი კვირის შემდეგო**!! ახლა კი **კიდევ ერთი თვის შემდეგ**!???

ესენი თაღლითები არიან და, რაკი თაღლითობენ, მე მათ ხელს ვერ შევუწყობ. მე უფლება მაქვს მოვთხოვო და მოვთხოვ მათ, რომ მომცენ წერილობითი განცხადებები და რომ მდივნებმა ოქმში შეიტანონ საერთო გადაწყვეტილებები (რათა ვამხილოთ თაღლითები, რომელთაც სურთ გათიშვა და ყველაფერს ჩვენ გვაბრალებენ!)

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-5 გამოც. (რუს.), ტომი 26, გვ. 206 — 208. რედ.

** — არაფერია!! რედ.

იურის ნუ შევიყვანთ დელეგაციაში[397]. ენა არ იცის. რა საჭიროა. მათი ლაციცი საზიანოა. გეყავს ერთი «რედაქტორი ქალი» — გინდათ კიდევ ერთი «დელეგატი ცკ-ის დელეგაციიდან?» — საჭირო არაა.

რუსეთის შესახებ ვერ ვწერ. გამოგზავნეთ ბუხარინის წერილი. გაზეთებიდან ვერაფერს ვერ ვხედავ. (მარტო «რეჩი» გვაქვს).

საწყენია, რომ რადეკი ვერ გადაწერეთ. თუ გაქვთ შესწორებები, კიდევ უნდა დაუმატოთ: 1) ბაზელის მოხსენიება 2) არალეგ. ორგ. და სხვ. მაგრამ ღირს კი გაუგზავნოთ მას შესწორებები? (ტროცკისათვის?)

იური მწერს, «ნაშე სლოვოდან» მარტო ტროცკი იქნებაო. ეს კიდევ უფრო გააადვილებს მათ თაღლითობას.

იქნება თუ არა კამენსკი? **ვეჭვობ!!** ახლავე მისწერეთ, ვინაიდან თქვენ ელაპარაკეთ მას.

მახსოვს, თქვენ ამბობდით, გრიმს სურს კონფერენცია ბერნში არ გაიმართოსო? წავიდეთ თუ არა ბერნში? თუ წავალთ, 1. IX. ადრეა. (შეიძლება, თქვენ უფრო ადრე წახვალთ, თუ მანდ გაქვთ განსაკუთრებული საქმეები).

ალექსანდრეს სურს წავიდეს რუსეთში. ვწერ მას და მხარს ვუჭერ ამ გეგმას *. სამწუხაროა, რომ ცკ-ისტები არ არიან. ავიყვანდით მას, რომ კოლონტაი არა (იგი ამერიკაში მიემგზავრება რეფერატებისა და ინტერნაციონალისტური აგიტაციისათვის).

ლუდმილა (sic!) უფულოდ და უპასპორტოდაა!! ვფიქრობ, იგი არსად არ წავა.

ჩამოიტანა ფრანგული წიგნები, რომლებსაც წაკითხვის შემდეგ გამოგიგზავნით (თქვენ კი, რომ წაიკითხავთ. დამიბრუნეთ რაპოპორტი: ისე გამოგიგზავნეთ, რომ ვერ მოვასწარი წამეკითხა).

სალამი. თქვენი ლენინი

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 201. რედ.

რა ბედი ეწია კარპინსკის სტატიას «კომუნისტისათვის»?

რეზოლუციის პროექტის შესახებ: მე ხომ გამოგიგზავნეთ (= რეზოლუციის შეკვეცის პროექტი)? გადაიღეთ თუ არა ასლი? თუ არ გადაგიღიათ, შემიძლია გამოგიგზავნოთ. თუ ვამზადებთ ჩვენს პროექტს, უნდა ვიჩქაროთ.

P. S. ჩემი აზრით, «300 წელი» არ ვარგა. გადააკეთეთ ლეგალურისათვის.

დაწერილია 1915 წლის
23 აგვისტოზე ადრე
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

434

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით ძ ა ლ ი ა ნ მნიშვნელოვან ჩამატებას ბროშურისათვის. თვალყური ადევნეთ, გეთაყვათ, რომ იგი უშეცდომოდ ჩაუმატონ *. თუ ბროშურა გამოვა სამშაბათს ან ოთხშაბათს, 10 — 20 ეგზემპლარი **ექსპრესით** გაუგზავნეთ შკლოვსკის.

საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის
23 აგვისტოზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება ბროშურის «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» II თავის დასაწყისი — «კლასები და პარტიები რუსეთში». რ ე დ.

მიდიან ისინი? როდის? თუ არ მიდიან? ორ სულელს, ფულებს რომ ითვლიან, შეეძლოთ 3 თვეში დაეთვალათ, თუ რამდენი ღირს 100 მანეთი frs-ში ან რამდენი ღირს № 1. ეს უსაფუძვლო მომიზეზებაა, რომლის მოსმენა სასაცილოა. ისინი 10-10 frs-ად გამოიწერენ რუსეთიდან, ტყუილი დაპირებებით აგვავსებენ და გააცურებენ ტრანსპორტიორებს!! მიიღეთ გადაწყვეტილებანი კომედიისათვისო!! არა, ეს ნომერი არ გაუვათ.

ლ ე ნ ი ნ ი

N B: ბუხარინს **ზოგან** (გვ. 133, 132, **129** ქვესათაურებში) დატოვებული აქვს ძველი გამოთქმა: საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ტრესტი (სხვა ადგილებში გასწორებულია: სახელმწიფო-კაპიტალისტური ტრესტი) [396].

ეს უყურადღებობის გამოა თუ განგებ??

თქვენ იწერებით, შენიშვნებს ვინახავ, ვინაიდან «იმედი მაქვს მივაღწიოო». ძ ვ ე ლ **გადაწყვეტილებათა** შესრულებას? რით მიაღწევთ? «ლაპარაკით»?

მე ასეთ ურთიერთობას არ ვეთანხმები.

P. S. ფურცლები უნდა ვწეროთ და ვუგზავნოთ ალექსანდრეს.

დაწერილია 1915 წლის
19 აგვისტოზე ადრე
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

431

დ. ვაინკოპს

პატივცემულო ამხანაგო ვაინკოპ!

რადეკი მწერს, რომ უკვე მოგწერათ თქვენ, კონფერენცია (არა წინასწარი კონფერენცია, არამედ თვით კონფერენცია)

435

ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო ამხ. ოლღა!

გიგზავნით კორექტურებს.

იპოვეთ თუ არა 1913 წლის რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე? თუ ვერ იპოვეთ, აქედან გამოგიგზავნით (იგი ჯერ კიდევ არ უთარგმნიათ გერმანულიდან).

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის
23 აგვისტოზე გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

436

ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო ამხ. ოლღა!

არჩევნების შესახებ ძალიან მიძნელდება პასუხი. ერთი შეხედვით, თითქოსდა, რესპუბლიკაში რატომ არ უნდა ავირჩიოთ ყველგან? მაგრამ ამ ერთი შეხედვის მიღმა მე ვერაფერს ვხედავ: ვერც იმ დაწესებულების ხასიათს, რომელშიც უნდა ავირჩიოთ, ვერც პარტიების ურთიერთობას მასში, ვერც საკითხის ისტორიას, ვერც წარსულის გამოცდილებას. ძნელია ვიმსჯელოთ ასეთ პირობებში, ვინაიდან მარტოოდენ «ერთი შეხედვა», რა თქმა უნდა, არ კმარა.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. გიშველათ თუ არა 200 frs-მა კუზმას ცოლის მოსათაფლავად? შემატყობინეთ ღია ბარათებით: «კუზმას ცოლის გუნება-განწყობილების ბიულეტენი და წარმატების შანსი». თქვენც (და ჩვენც) კუზმამ თავი მოგვაბეზრა. მე მესმის, მაგრამ რას იზამ?

დაწერილია 1915 წლის 26 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

437

ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო ამხ. ოლღა!

თქვენთან სათხოვარი მაქვს: ჩვენი ბროშურის თარგმანისათვის (გერმანულად) საჭიროა გვქონდეს ტექსტი იმ შენიშვნისა მანიფესტისათვის (ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ), რომელიც მე გამოგიგზავნეთ*. ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება გარკვევით გადაიღეთ მისგან ასლი (მთარგმნელისათვის) და გაგზავნეთ მისამართით: Herrn Lialine (bei Fr. Eicher-Müller) Freie Strasse 15. Bern. (თან მისწერეთ, რომ ჩემი თხოვნით გზავნით ბროშურის გერმანული თარგმანისათვის).

სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1915 წლის 27 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 377. რედ.

438

პ. გოლეის

28/VIII. 1915.

ძვირფასო ამხანაგო!

უდიდესი სიამოვნებით შევიტყვე თქვენი წერილიდან, რომ ჩემს პროექტს საერთოდ ეთანხმებით. კონფერენცია უნდა გაიმართოს 5 სექტემბერს. ვიმედოვნებთ, რომ კონფერენციას რამდენიმე ფრანკი მემარცხენე სოციალისტი დაესწრება. მთელ ამ საქმეს გრიმი და მორგარი აწყობენ. თქვენი დასწრება, ჩემი აზრით, ძალიან სასარგებლო იქნებოდა და გთხოვთ დაუყოვნებლივ მისწეროთ გრიმს.

გულითადი სალამი.

გაგზავნილია ზიორენბერგიდან (შვეიცარია) ლოზანაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით თარგმანი ფრანგულიდან

439

ბ. ე. ზინოვიევს

დღეს — ორშაბათი დილაა — რადეკისაგან გადახდილ დეპეშაზე ჯერ კიდევ არ მიგვიღია პასუხი!! რაიმე ინტრიგები ხომ არაა «გრიმის გარშემო» ლატვიელთა წინააღმდეგ?? ნუთუ შეიძლება ისინი არ მოიწვიონ!? თუ მე წავედი ხვალ *, დეპეშას გამოგიგზავნით და მაშინ თქვენ ჩამოდით პ ი რ ვ ე ლ ი მატარებლით. თან წამოიღეთ **ყველა** მასალა (არაფერი დაგავიწყდეთ: «ვ ო პ რ ო ს ი ს ტ რ ა ხ ო ვ ა ნ ი ა ც», **«ნაშე დელოც»**, «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო ც», **ნორვეგიელთა** წერილიც და საერთოდ ყველაფერი).

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის გამგზავრება ციმერვალდს, პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. რ ე დ.

კოლონტაისაგან მიეიღე ღია ბარათი. იგი გამალებით მუშაობს.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 30 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

440

გ. ე. ზინოვიევს

უპასუხეთ მეშჩერიაკოვს.

გირჩევთ გრიმზე შკლოვსკი მიუშვათ (ან თუ იგი მიდის 1. IX-ს), ანდა ტელეფონით. გრიმისაგან პასუხი უნდა მივიღოთ.

ანგარიში (ან მოხსენება რუსეთის შესახებ) დაწერეთ თქვენ [398] (თუ საჭიროა, **«რეჩს»** გამოგიგზავნით).

ვფიქრობ, რეზოლუციები საკმაოდ გვაქვს (პროექტი არის «შეკვეცილი». შეიძლება გავასწოროთ). რაღა საჭიროა დეკლარაცია? თუ რადეკს შევუთანხმდებით, იქ დავწეროთ. თუ ვერ შევუთანხმდებით და მარტონი ვიქნებით, მაშინ ვისთვისღა არის საჭირო **კიდევ** და **კიდევ** დეკლარაცია?

სალამი ყველას!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 30 ან
31 აგვისტოს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

441

ბ. ე. ზინოვიევს

უნდა დავიწყოთ მომზადება ცენტრალური ორგანოს №-ისა, რომელიც მთლიანად მიეძღვნება კონფერენციას. **თემები ან სტატიები**[399].

Etwa: * 1. Vorgeschichte ** და შესაბამისად III ინტერნაციონალი.

2. ანგარიშები (ბალკანები **განსაკუთრებით**).

3. კამათი ლედებურთან (პრინციპული დისკუსია საერთოდ). (გერმანელთა სამი ელფერი.)

შედარება ქალთა რეზოლუციასთან

4. კონფერენციის მნიშვნელობა (პირველი ნაბიჯი III ინტერნაციონალისაკენ; გაუბედავი და არათანმიმდევრული ნაბიჯი ოპორტუნიზმთან გათიშვისაკენ. «რეციდივის» შესაძლებლობა).

5. ჩვენი რეზოლუცია და ჩვენი მანიფესტის პროექტი, ჩვენი განცხადება მანიფესტის შესახებ.

6. ბუნდი და ოკისტები + ტროცკი (Massenaktionen ***).

7. ოფიციალური მანიფესტი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ ავიღოთ №№ 3 და 4?

მოდით, დავაჩქაროთ ცო-ს ეს №.

გიგზავნით ბაუერს.

აუცილებლად გამომიგზავნეთ

1) ლეგინის კრებული + ... ****

2) ბროშურა ლიბკნეხტის შესახებ.

რადეკის წერილი **დამიბრუნეთ.**

---

* — მაგალითად. რ ე დ.

** — წინა ისტორია. რ ე დ.

*** — მასობრივი მოქმედება. რ ე დ.

**** შემდეგ ხელნაწერში ერთი სიტყვა გაუშიფრავია. რ ე დ.

ფურცლების გეგმა შედგენილია; ხვალ გამოვგზავნი; დეტალურია.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ჰოლანდიელთა წერილი ცკ-სადმი **დავკარგე!** [400]

უაღრესად საჭირო საბაბია კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგ.

დაწერილია 1915 წლის 8 სექტემბერზე
გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
ნე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

442

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით რადეკის წერილს და მის ა ნ გ ა რ ი შ ს [401]. ეს უკანასკნელი სასწრაფოდ დაუბრუნეთ მას (კრიტიკით: ანგარიში სუსტია. ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი ჩვენს ბროშურაზე *, აქსელროდის მიერ «ნაშა ზარიას» დაცვაზე და სხვ.).

თქვენ ბევრი დამხმარე გყავთ: უზრუნველყავით ასლის ვადაღება რადეკის ანგარიშიდან.

გიგზავნით ფურცლების გეგმას: დამიბრუნეთ ს ა ს წ რ ა ფ ო დ [402].

სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

---

* იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 357 — 412) რ ე დ.

NB

ჰკითხეთ ინესას, ხომ არ აუღია ჩემგან «Journal de Genève»[403], რომელშიც დაბეჭდილია Romain Rolland-ის სტატია!
თუ ღმერთი გწამთ, გაჩხრიკეთ ყველა და ყველაფერი, რომ იპოვოთ იგი.

დაწერილია 1915 წლის 18 ან
19 სექტემბერს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
კ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

443

ბ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით იურის პასუხს — და სტატიას ცენტრალური ორგანოსათვის (ერთხელ კიდევ გადავაკეთებ). ოღლას მივწერე. ვშიშობ, რომ იქ საქმე უიმედოა. გამოარკვიეთ Bentelli-სთან.

ბროშურას გიგზავნით: ეს-ეს არის მივიღე.

ის გერმანული 2 ახალი წიგნი რა არის?

სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ამასთან გიგზავნით სოციალისტ-რევოლუციონერთა 2 წერილს[404].

დამახასიათებელია, არა?

ორივე უჩვენეთ მანდატურებს და დამიბრუნეთ.
რადეკისაგან ვერა და ვერ მივიღე რეზოლუციის პროექტი.

დაწერილია 1915 წლის 19
სექტემბერზე ადრე
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში. ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

444

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! ბროშურები ჯერ არ მიგვიღია. გვინდა გამოვუშვათ ცენტრალური ორგანოს ორმაგი №, რომელშიც გამოქვეყნდება მემარცხენეთა ბერნის საერთაშორისო კონფერენციის ანგარიში. კუზმას საქმე როგორ არის? შეიძლება თუ არა მოვთაფლოთ იგი, თუ გადავუხდით ბროშურისათვის (თქვენ ხომ გაქვთ ფული სალაროში?). თუ უიმედოა? ახლო მომავალშიც შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა გამოვუშვათ? მომწერეთ, გეთაყვათ, შეიძლება თუ არა ვიცოდეთ რაიმე, თუ არაფერი არ შეიძლება გავიგოთ.

ეგორის წერილები მივიღე და თქვენი მეშვეობით ა მ დ ღ ე ე ბ შ ი ვ უ პ ა ს უ ხ ე ბ.

გართმევთ ხელს.
თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 19 სექტემბერს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

37. ტ. 43.

445

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.! გიგზავნით «Journal de Genéve»-ს, თერმე წამოსვლის წინ ავიღე და გამომყოლია. ძალიან გამეხარდა, რომ ვიპოვე და თქვენს წინაშე მთლად უნამუსო არ აღმოვჩნდი.

რაც შეეხება ცენტრალურ ორგანოს, გრიგოლი გვირჩევს გამოვცეთ იგი ბერნში (ეს № ორმაგია — 4 გვერდი მემარცხენეთა კონფერენციის შესახებ), თუკი კუზმას იმედი არ არის. მოიწერეთ ამის შესახებ «სინამდვილისათვის» (ვინაიდან უკვე მშვენივრად ვიცი ჩვენი საერთო უძლურება კუზმას წინაშე).

რაც შეეხება რეფერატს, მინდოდა დაახლოებით ოქტომბრის შუა რიცხვებამდე წამეკითხა თემაზე: «1915 წლის 5 — 8 სექტემბრის ინტერნაციონალური სოციალისტური კონფერენცია». თუ შ ე ს ა ფ ე რ ი ა, მოვამზადოთ **წინასწარ** (შეიძლება დაბეჭდოთ აფიშები ს ხ ვ ა ქ ა ლ ა ქ ე ბ ი ს-თ ვ ი ს ა ც — ქალაქის დასახელებასა და თარიღს გამოტოვებთ) — შემოსავალს თუ მოგვცემს (ძალიან მჭირდება ფული), დროულია თუ არა და ა. შ. კონფერენციის შესახებ დ ა-ბ ე ჭ დ ა ვ ს **ყველა** (სოციალისტ-რევოლუციონერები, «ნაშა სლოვო» და სხვ.), მაგრამ მე დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ვილაპარაკებდი.

ვწერ ციურიხში ხარიტონოვს *.

საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ამასთან გიგზავნით წერილს ს.-რ. «ეგორისათვის». ძალიან გთხოვთ, წ ა ი კ ი თ ხ ე თ და გადაეცით მას. თუ

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 395. რ ე დ.

თქვენთვის ძნელი არ არის, მოელაპარაკეთ და მომწერეთ თქვენი აზრი მასზე და მის მეგობრებზე. რა ხალხია?

დაწერილია 1915 წლის 19 სექტემბერს
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

446

ალექსანდროვიჩს

19/IX. 1915.

პატივცემულო ამხანაგო! ამხანაგმა კოლონტაიმ გადმომიგზავნა თქვენი წერილი წერილი ორჯერ ყურადღებით წავიკითხე. ჩემთვის გასაგებია თქვენი გულმხურვალე პროტესტი ემიგრაციის წინააღმდეგ, რომელმაც, ცხადია, სრულიადაც არ დაგაკმაყოფილათ. მაგრამ 1905 წლის გამოცდილებამ, ჩემი აზრით, გვიჩვენა, თუ რა არის ემიგრაცია და ემიგრაცია. ემიგრაციის ნაწილი, რომელიც 1905 წლამდე რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგებსა და ტაქტიკას ამუშავებდა, 1905—7 წლებში ერთბაშად აღმოჩნდა მჭიდროდ დაკავშირებული მუშათა კლასის მასობრივ რევოლუციურ მოძრაობასთან ყ ვ ე ლ ა თავისი ფორმით. ჩემი აზრით, ასევე იქნება ახლაც. თუ სწორია ლოზუნგები, თუ სწორია ტაქტიკა, მაშინ მუშათა კლასის მასა მისი რევოლუციური მოძრაობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე გარდუვალად მ ი ვ ა ამ ლოზუნგებთან. თქვენ წერთ, რომ ხალხისათვის «პლეხანოვიც ცარიელა სიტყვაა». ამას ვერ დავეთანხმები, თუმცა, შესაძლოა, აქ ჩვენს შორის მხოლოდ მოჩვენებითი უთანხმოებაა. პლეხანოვი ყველაზე მკაფიო და — რუსეთში ბურჟუაზიული და ლიკვიდატორული პრესის წყალობით —

პოპულარული გამომხატველია ძალზე გავრცელებული «სახალხო» პატრიოტიზმისა. პლეხანოვს რომ ვამხილებთ. ჩვენ, არსებითად, ვუპასუხებთ ხალხში წამოჭრილ უამრავ კითხვას, აზრს, ეჭვს და ა. შ. მაგრამ, რასაკვირველია, ჭკვიანი პროპაგანდისტისა და აგიტატორის ვალია სხვა ენაზე გადაიტანოს რევოლუციური მარქსისტ-ინტერნაციონალისტის დავა პლეხანოვთან, სხვანაირად მიუდგეს საქმეს, გაითვალისწინოს გარემოს თავისებურებანი და სხვ. და ა. შ.

სხვათა შორის, თქვენ თვითონ შესაძლოა, ასევე ფიქრობთ, ვინაიდან გამოჰყოფთ მხოლოდ «მემარცხენე მიმდინარეობებს» (სოციალისტ-რევოლუციონერებსა და სოციალ-დემოკრატებს), ხოლო ჩვენი დავა პლეხანოვთან და კომპანიასთან სწორედ მიმდინარეობათა განსაზღვრა და გამოყოფაა.

თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ რუსეთში ხალხის გაგზავნის ამოცანას საარსებო მნიშვნელობა აქვს და ჩვენ, რაც შეგვიძლია, ამ დარგში სწორედ უკანასკნელ დროს ყოველ ღონეს ვხმარობთ.

ამ დღეებში ერთი სოციალისტ-რევოლუციონერისაგან კიდევ მივიღე წერილი, რომელიც მწერს, რომ მას შემდეგ, რაც გაიმართა ტრუდოვიკთა + სახალხო სოციალისტთა + სოციალისტ-რევოლუციონერთა კონფერენცია რუსეთში (შოვინისტური კონფერენცია) [405], სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიაზე ხელი ჩაიქნია. მეც ვფიქრობ, რომ საეჭვოა მასში იყოს სიცოცხლისუნარიანი ელემენტები. ყოველ შემთხვევაში, მე ფაქტად მიმაჩნია, რომ რუსეთში ახლა არის 2 ძირითადი რევოლუციური მიმდინარეობა: რევოლუციონერი-შოვინისტები (ჩამოვაგდოთ მეფე, რომ დავამარცხოთ გერმანია) და რევოლუციონერ-პროლეტარული ინტერნაციონალისტები (ჩამოვაგდოთ მეფე, რომ დახმარება გავუწიოთ პროლეტარიატის ინტერნაციონალურ რევოლუციას). ცალკეული «ერთობლივი მოქმედების» გარდა შემთხვევიდან შემთხვევამდე ამ მიმდინარეობათა დაახლოება, ჩემი აზრით, შეუძლებელი და საზიანოა. ომმა ერთად შეაკავშირა ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოს პროლეტარიატი,

ომმა დღის წესრიგში დააყენა პროლეტარული სოლიდარობის განხორციელების ამოცანა. თქმა არ უნდა, ძნელი ამოცანაა, მაგრამ იგი ცხოვრების მიერ არის წამოყენებული, და ამას გვერდს ვერ აუვლი.

თუ თქვენ რუსეთში იმუშავებთ და მოისურვებთ დაეხმაროთ მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებსა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს, მე გირჩევდით დახმარებოდით როგორც ერთს, ისე მეორეს, დახმარებოდით დაგეკავშირებინათ* მათი ჯგუფები — როგორც ერთმანეთს შორის სხვადასხვა ადგილებში, ისევე საზღვარგარეთის ცენტრებთან. ცალკე სოციალ-დემოკრატებს, ცალკე სოციალისტ-რევოლუციონერებს. მაშინ სარგებლობა უეჭველი იქნება, კინკლაობა კი ნაკლები. დაახლოება, როცა შესაძლებელია, უფრო ნორმალურად წარიმართება. ნდობაც მეტი იქნება.

გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს და ყოველივე საუკეთესოს.

სოც. სალმით ლენინი

P. S. ჩემთვის მოწერა შეგიძლიათ მისამართით, რომელიც იბეჭდება ჩვენს ჟენევურ «სოციალ-დემოკრატში».

გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ასეთი კავშირის დამყარებით მოიგებს ლიტერატურა, გახდება უფრო ცოცხალი, უფრო სასარგებლო, უფრო დაუახლოვდება ხალხს სოციალისტ-რევოლუციონერებთანაც და სოციალ-დემოკრატებთანაც.

447

ბ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით Axelrod-ს *, «Neue Zeit»-ს (არ დაკარგოთ და არ მისცეთ სხვებს) და Bulletin-ის № 1-ს [406]. ველოდები გერმანულ ბროშურას.

ჩემი აზრით, წერილი იაპონელებისადმი ასე არ ვარგა. ტონი გათიშვისკენაა: თუ გათიშვაა, გათიშვა იყოს, მაგრამ არა ამის გამო. ან გაგზავნეთ ეს წერილი თქვენი სახელით, ანდა მთლიანად გადავაკეთოთ (მეგობრული დარიგებისა და შეცდომის ფრთხილად მითითების ტონით).

გიგზავნით რადეკის წერილს (დამიბრუნეთ). იგი წმინდანავით გულუბრყვილოა. გრიმი არამზადაა, რომელზეც მუდამ უნდა გეჭიროს თვალი. (მე დღემდე ვერ შევძელი მიმეღო ჩვენი Resolutionsentwurf!!!)

ამასთან გიგზავნით კამენევის წერილს. მე ვუპასუხე მას და მივუთითე, რომ მდგომარეობა (გაფუჭებულია) სერიოზულია და საჭიროა სერიოზულად გამოსწორდეს.

ცენტრალური ორგანოსათვის დაწერეთ მოწინავე, ოღონდ არაუმეტეს 10000 ასოსი. (სხვანაირად არ ჩაეტევა!) აუცილებლად უნდა ჩასვათ მასში ორგანიზაციული კომიტეტის ფურცლის განქიქება (1915 წლის 3 სექტემბრის «რუსეთის პროლეტარიატის ამოცანები»), რომელიც შეიცავდა **დამფუძნებელი კრების** ლოზუნგს (ლიბერალურს). ჩვენი **3 ვეშაპისათვის,** კადეტთა წინააღმდეგ, რევოლუციონერ-შოვინისტთა წინააღმდეგ და პროლეტარიატის ინტერნაციონალური რევოლუციისათვის **.

ერთი დღეც დაიცადეთ (ჯერჯერობით რუსეთის შესახებ ცენტრალურ ორგანოში ნუ დაწერთ).

---

* აი, იდიოტი! «ტაქტიკის ინტერნაციონალიზაცია» = მუშათა კანონმდებლობის ინტერნაციონალიზაციას!! ამას უკვე ესწრაფვოდა მარტუშკა «ნაშე სლოვოში», მაგრამ უფრო მოხერხებულად. მინდა «კომუნისტში» ერთი ლამაზად ვამხილო Axelrod-ი.

** ეს აბზაცი ხელნაწერში წაშლილია. რედ.

ხვალ გამოგიგზავნით «რუსეთის პროლეტარიატის ამოცანებს» და შესაძლოა, ჩემს, პროექტს.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის 21 სექტემბერზე
გვიან
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

448

ვ. ე. ზინოვიევს *

გიგზავნით გრიმის წერილს[407] და პასუხის პროექტს.

ჩვენ უნდა დ ა ვ ა წ ვ ე თ დ ა თ ა ვ ი გ ა მ ო ვ ი ჩ ი ნ ო თ.

ცენტრალურ ორგანოში სკანდალია. გაგზავნილია 75 ათასი ასო (სულ 84³/₄) და **დამავიწყდა** ფრანგთა+გერმანელთა დეკლარაცია[408].

ამით ყველაფერი შეივსება.

ჩემი წინადადებაა: ეს № მივუძღვნათ მ ხ ო ლ ო დ კონფერენციას (მომდევნო კი — რუსეთს).

«ეიზნის» დაბეჭდილ დანართებს შორის მხოლოდ № 1 ბიულეტენის თარგმანია. «ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო» ს უ ლ თ ე თ რ ი ა[409].

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

ბუხარინს დაწვრილებით ვუპასუხე.

NB || საჭიროა მას მივწეროთ უფრო დაწვრილებით, უფრო ხშირად.

თუ ეთანხმებით პასუხს გრიმისადმი, გაუგზავნეთ შ კ ლ ო ვ ს კ ი ს, რათა რადეკთან მივიდეს და მ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ თარგმნოს. თუ არ ეთანხმებით, დამიბრუნეთ.

ჩვენ ბერნში კვირას ან ორშაბათს მივდივართ.

---

* ეს წერილი არის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

გიგზავნით იაპონელთა წერილს. **დამიბრუნეთ.** რა ვუყოთ რედაქციის კრებას? (კონფერენციის შესახებ საჭიროა 2 სტატია «კომუნისტის» № 3-ში.)

დაწერილია 1915 წლის 26 სექტემბერსა
და 5 ოქტომბერს შორის
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

449

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო!

გიგზავნით დანარჩენ მასალას. აი, სტატიების რიგი, კორექტურები და ყველაფერი გამომიგზავნეთ **ახალი** მისამართით:

Herrn Wl. *Uljanow*
Poste restante Bern.

გაუგზავნეთ გრიგოლს ყველა კორექტურა.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

სტატიების რიგი № 45 — 46-ში:

---

1. მანიფესტი

(1a)

1. **bis:** რეზოლუცია+
თანაგრძნობის შესახებ

(1b)

1 ter. ფრანგთა და გერმანელთა დელეგაციების განცხადება **(დეკლარაცია) ეს** დეკლარაცია **აიწუვეთ** «ჟიზნ-ში» დაბეჭდილი თანდართული ტექსტის მიხედვით.

NB:

2. ომი და რევოლუციური კრიზისი რუსეთში.

3. 1-ლი ნაბიჯი *.
4. 1 საერთაშორისო კონფერენცია.
5. რევოლუციური მარქსისტები **.
6. ანგარიშებიდან.
7. რეზოლუციის პროექტი.
8. მანიფესტის —«—
9. ჩვენი რუსებიც ინტერნაციონალისტებია.
10. პლეხანოვი და მისი ამხანაგები.

დაწერილია 1915 წლის
6 ოქტომბერზე ადრე
გაგზავნილია ზიორენბერგიდან
(შვეიცარია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

450

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. კ.!

გიგზავნით კორექტურებს.

ოლღას ძალიან ვთხოვ **დაწვრილებით** მიპასუხოს გუშინდელ ღია ბარათზე.

დიდი თხოვნა მაქვს თქვენთან: გაიგეთ (სტეპკოსაგან ან მიხასაგან და ა. შ.) **«კობას»** გვარი (იოსებ ჯ.....?? ჩვენ დაგვავიწყდა). ძალიან საჭიროა!!

---

* «პირველი ნაბიჯი» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 468 — 475). რ ე დ.

** «რევოლუციური მარქსისტები 1915 წ. 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 476 — 481). რ ე დ.

ხომ არ იყიდით ჩემთვის (ცენტრალური ორგანოს ხარჯებისანგარიშზე) Romain Rolland-ის ბროშურას: «Au dessus de la mêlée»? *

თუ ეს ბროშურა არ არის ქენევაში?

ყველაზე საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

გმადლობთ, რომ გამომიგზავნეთ «Appeal to Reason»!! [41]
გამომიგზავნეთ იგი **უფრო ხშირად!**

დაწერილია 1915 წლის
9 ნოემბერზე ადრე
გაგზავნილია ბერნიდან ქენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

451

გ. ლ. შკლოვსკის

ძვირფასო გ. ლ.!

ძალიან გთხოვთ, 500 ცალი ბროშურა ახლავე გაგზავნეთ (მიაწოდეთ Absender-ს** და შ ე მ კ ვ ე თ ე ბ ს) *** რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა ი ა ფ ა დ შემდეგი მისამართით:

Mr *L. Lore.* (for A. Kollontay)
German Language Federation Socialist Party
Spruce Street. 15. *New-York* (N. Y.)
United States of **America.**

თქვენი გაანგარიშებით გამოდის, რომ შეკვეთები არის 500+500=1000 (ი ს დ **** უფასოდ თუ 10—10 პფენიგად?) + 1500 Jugend=2500+500 ამერიკა=3000.

---

* — რომენ როლანი: «შეტაკება». რ ე დ.

** — გამგზავნი. რ ე დ.

*** იგულისხმება ბროშურა «სოციალიზმი და ომი (რსდმპ დამოკიდებულება ომისადმი)». რ ე დ.

**** I. S. D. — «Internationale Sozialisten Deutschlands» — «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები». რ ე დ.

კარგი იქნება მე-2 გამოცემა დაიძრას, ჯერჯერობით ანაწყობი დევს, **მაგრამ ფული არა გვაქვს.** ხომ არ შეიძლება ჩავაგონოთ Jugend-ს *, თუ მივცემთ ახლა 500-ს, ნაცვლად 1500-ისა, რომ **თვითონ** გაურიგდეს ბერნის სტამბას მე-2 გამოცემის შესახებ? (რამდენი დაჯდება იგი? თუ ძალიან ცოტა და თუ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ Jugend-ი არ მოგვატყუებს, მაშინ იქნებ ჩვენ ვისესხოთ და თვითონვე გამოვცეთ?)

ძალიან გთხოვთ კ ა რ გ ა დ მოიფიქროთ და მოაგვაროთ მთელი ეს საქმე.

სალამი! თქვენი ვ. ულ ი ა ნ ო ვი

P. S. თანდართული წერილი გადაეცით, გეთაყვათ, **იმ ლატვიელს** (რომელმაც გამოგართვათ თქვენ დაახლოებით 5 — 8 სექტემბერს ჩემი მისამართი და რომელიც იყო ჩემთან Sörenberg-ში 1915 წლის 10 თუ 11 სექტემბერს). ძალიან საჩქაროა: ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მოძებნოთ იგი და გადასცეთ წერილი.

ფული ამიერიდან **არც ერთი** კაპიკი არ დახარჯოთ. ა რ ა ვ ი ს ა რ მ ი ს ც ე თ.

დაწერილია 1915 წლის 9 ნოემბერზე
ადრე
გაგზავნილია ბერნიდან (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

452

მ. მ. ხარიტონოვს

ძვირფასო ამხანაგო!

თქვენმა გამოსვლამ Aarau-ში ძ ა ლ ი ა ნ გ ა მ ა ხ ა რ ა და გულითადად გილოცავთ წარმატებას. ჩემი აზრით, ჩინებული გამოვიდა [411].

---

* იგულისხმება «Jugendverein» — შვეიცარიის ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაცია. რ ე დ.

(თუ გექნებათ სრული სტენოგრაფიული ანგარიში ყრილობის შესახებ, ცოტა ხნით მაინც გამომიგზავნეთ).

რადეკმა მიამბო, რომ იგი გირჩევდათ პირველს არ აგეღოთ სიტყვა, ვინაიდან თითქოს რუსის გამოსვლა «უტაქტოაო» (რადეკი სრულიადაც არ აღმოჩნდა მართალი), სჯობს პლატენი გამოვიდესო და ა. შ.

თქვენ სავსებით მართალი აღმოჩნდით!

ჩემი აზრით, არა ღირს Gezänk * დავუწყოთ რადეკს «ჯიუტის» გამო და სხვ. წვრილმანებია! ჭორები — რასაც მიმართავენ, როგორც ყოველთვის მიმართავდნენ ოკისტები, დიმკები etc., ხოლო ახლა რიაზანოვი განსაკუთრებით (რადეკმა მიამბო აგრეთვე, რომ ძალიან გაჯავრებულია: უცნაურია, რად შესტოპა იქ. სადაც ცუდად ერკვევა?).

ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჭორებს, რაც შეიძლება ნაკლები დრო მოანდომეთ ციურიხის კოლონიის ჭაობს, რაც შეიძლება მეტი — პლატენთან კავშირს და «Internationale Flugblätter»-ის[412] გამოცემა-გავრცელების საქმეს (თუ ნაკლებს მოანდომებთ ოკისტებს + კომპ., მაშინ მეტი დაგრჩებათ «Internationale Flugblätter»-ისათვის).

ფული «Internationale Flugblätter»-ისათვის (370 ცალი?) და ანგარიში (რამდენი დარჩა? რამდენია გაცემული სესხად? სულ etc.) პირდაპირ მე გამომიგზავნეთ (პლატენის მისამართი მოცემულია მხოლოდ გარეშეთათვის).

რაც შეეხება «Internationale Flugblätter»-ის № 1-ის იტალიურად თარგმნას, ვფიქრობ, ჩვენი საერთო მეგობარი ქალი დაგეხმარებათ **. მან და Siefeldt-მა უკვე გამონახეს რამდენიმე იტალიური მისამართი, თარგმანის გასასინჯად მან იპოვა იტალიელი, თქვენც. ჩემი აზრით, ახლა პირველ რიგში უნდა ვთარგმნოთ იტალიურად და თარგმანი შევამოწმებინოთ იტალიელს. შემდეგ (ბალაბანოვას ჩაურევლად, ვინაიდან იგი, ალბათ, კი არ დაგვეხმარება, არამედ შეუძლია

---

* — კინკლაობა. რედ.

** თუ ვინ იგულისხმება, დადგენილი არ არის. რედ.

ხელიც შეგვიშალოს) უნდა ვეძებოთ პატარა გაზეთი ან იტალიელთა კავშირი შვეიცარიაში, რომლებიც დათანხმდებოდნენ გამოეცათ თავიანთ ხარჯზე: ვფიქრობ, ეს უტოპია არაა, ვინაიდან 2000 ცალად გამოცემა ღირს 80 frs, ხოლო 10 — 10 cts-ად * შეიძლება შემოსავალიც გვქონდეს.

თუ გამომცემელს ვერ გამოვნახავთ, შევეცდებით თვითონ გამოვცეთ, მაგრამ მაშინ განსაკუთრებით გულმოდგინედ უნდა უზრუნველვყოთ გავრცელება: ჩვენი საერთო მეგობარი ქალი, რომელსაც მე მივწერ, აქ დაგვეხმარება.

ძალიან გთხოვთ იქონიოთ და **ყოველნაირად** განავითაროთ თქვენი «ახლო ნაცნობობა» პლატენთან: იგი ახლა **უაღრესად** გვჭირდება «internationale Flugblätter»-ის გამოსაცემად.

დადის თუ არა პლატენი პარტიის გამგეობის სხდომებზე? აქვს თუ არა ოქმები? ხმის უფლება აქვს თუ უხმოდაა? თანახმაა თუ არა განვავითაროთ გადაწყვეტილება **«revolutionäre Aktionen»**-ის** შესახებ, რომ არ დარჩეს ქაღალდზე? (მაშინ უნდა მოვაწყოთ გამოცემები, გამოვუშვათ ბროშურები, შვეიცარიის გაზეთების დამატებანი, რომლებიც დააკონკრეტებენ ცნებას «revolutionäre Aktionen» და ყოველივე ეს ფარულად შევიტანოთ გერმანიაში). თანახმაა თუ არა დაგვეხმაროს გერმანიაში შევიტანოთ «Internationale Flugblätter»-ის № 1?

როგორაა საქმე — იყიდება თუ არა ბროშურა «Sozialismus und Krieg»? *** მომწერეთ. მიატოვეთ ციურიხის კოლონია და ხელი მოჰკიდეთ der Zimmerwalder Linken****-ის საქმეებს!

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს! სალამი თქვენს ცოლს და ყველა მეგობარს.

თქვენი ლენინი

---

* — centimes — სანტიმი. რედ.

** — **«რევოლუციური მოქმედება»**. რედ.

*** — «სოციალიზმი და ომი». რედ.

**** — ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი. რედ.

P. S. მომწერეთ პირდაპირ ჩემი მისამართით:
Wl. Uljanow. Seidenweg. 4-*a.* [111].
(bei *Frau* Schneider) *Bern.*

დაწერილია 1915 წლის
21 ნოემბერზე გვიან
გაგზავნილია ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

453

ბ. ე. ზინოვიევს

ჩემი აზრით, გრიმთან უნდა მიხვიდეთ და სთხოვოთ ზუსტად აღნიშნოს (წითელი ფანქრით) ის ადგილები, რომლებიც მას «სურს ამოიღოს»! [113]

პოლემიკა?

ტროცკისა და «Vie Ouvrière»-სთან [114].

განა Longuet-Pressemanne-ის დამოწმება **ნაკლებ** პოლემიკურია, ვიდრე ჩხეიძისა? Begründung? * ასევეა ტროცკისა და «Vie Ouvrière»-სთანაც.

მე ვყოყმანობ, რისთვის ვაწარმოოთ მოლაპარაკება გრიმთან? თუ იგი დაკმაყოფილდება მცირეოდენი შესწორებებით, მე დავუთმობდი. მაგრამ ეს დაუჯერებელია.

მაშინ ორიდან ერთი: ან სულ უარი ვთქვათ ბიულეტენში დაბეჭდვაზე და ფურცლად გამოვცეთ.

ანდა ბიულეტენში ისე გამოვცეთ, როგორც გრიმს სურს, გარდა ამისა, მთლიანად გამოვცეთ ფურცლად და **აღვნიშნოთ**: «გამოცემულია ცენზურის გაუვლელად».

ყოველ შემთხვევაში ახლა **მთავარია** მივაღწიოთ იმას, რომ გრიმმა **ფანქრით** აღნიშნოს, თუ რის ამოღება სურს. ეს მთავარია. ეცადეთ ამას **კეთილი** ხმით.

---

* — დასაბუთებაა? რედ.

დანარჩენზე გიპასუხებთ საღამოს ან ხვალ, ჯერ **ვერ მოვასწარი** მთლიანად წაკითხვა.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1915 წლის
27 ნოემბერზე ადრე
გაგზავნილია ბერნიდან (ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

454

გ. ი. ბელენკის *

თუ თქვენთან არის ფრანგების თუნდაც რაიმე ჯგუფი, რომელიც დგას ციმერვალდის მემარცხენეთა პ ო ზ ი ც ი ა ზ ე, **აუცილებლად** ამ ჯგუფისაგან აიღეთ და **დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ** გამოგზავნეთ თუნდაც პატარა სტატია (ან განცხადება) ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. იჩქარეთ!!

შემდეგ საჭიროა ამ ჯგუფისაგან კორესპონდენციები. ღვთის გულისათვის!

ბოლოს, **ს რ უ ლ ი ა ნ გ ა რ ი შ ი** ბურდერონის და მერგეიმის სიტყვების შესახებ (1) თვით ფედერაციაზე
(2) მთელი ოპოზიციისა პარტიის **ყრილობაზე** 27.XII.

დაწერილია 1915 წლის
27 დეკემბერზე გვიან
გაგზავნილია ბერნიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* ეს წერილი არის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

1916 წელი

455

ი. თ. არმანდს

15/I. 1916.

ძვირფასო მეგობარო! დღეს აქ უკან მოგვივიდა ამანათი, papiers d'affaires*, სამი რვეული, რომელიც ბერნიდან პარიზს დაზღვეული გაეგზავნა ბელინსკის**. გამგზავნს დაავიწყდა სახლის № დაეწერა, და ამ შეჩვენებულმა ფოსტარებმა უკან დააბრუნეს!! დღესვე გავუგზავნე ეს დაზღვეული ამანათი ბელინსკის.

ჩვენ «შეხლა-შემოხლა» გვაქვს პოლონელ მეგობართან***, რომელიც, ეტყობა, «განაწყენდა» დისკუსიისათვის და სურს არ გაუშვას ჩვენი თეზისები ჟურნალის № 2-ში[415]. ამას შეიძლება მოჰყვეს მასთან ო მ ი. როლანდ-ჰოლსტისაგან მივიღეთ უაღრესად თავაზიანი წერილი და ცნობა, რომ მისი ჰოლანდიელთა კავშირი 1916 წლის 2 იანვარს ერთხმად შეუერთდა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს! ტროცკიმ დაკარგა კიდევ ერთი მოკავშირე!! ჰოლანდიურ-გერმანული ჟურნალი უკვე იწყობა: ძალიან გვჭირდება თანამშრომლები სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ ყველაფერი გამომიგზავნეთ მე და ყველა კავშირი მომეცით მხოლოდ მე, მხოლოდ და მხოლოდ მე ან ჩემს

---

* — საქმიანი ქაღალდები. რ ე დ.

** — იგულისხმება გ. ი. ბელენკი. რ ე დ.

*** — იგულისხმება კ. ბ. რადეკი. რ ე დ.

ახალგაზრდა რ უ ს მეგობარს (არამც და არამც არარუსს, vous comprenez? *).

სხვა ოპერიდან:

დღეს შესანიშნავი მზიანი დღეა, ცოტა თოვს. ინფლუენცის შემდეგ ცოლთან ერთად პირველად გავისეირნე იმ გზით Frauen-Kapellen-ში, რომლითაც — გახსოვთ?—ასე საუცხოოდ რომ ვისეირნეთ ერთხელ სამივემ. ყველაფერი მაგონდებოდა და ვნანობდი, რომ თქვენ არ იყავით.

სხვათა შორის. ცოტა მიკვირს, რომ თქვენი ამბები არ ვიცით. ბარემ მოვინანიებ. მართალი გითხრათ, აზრმა გამიელვა, ხომ არ «განაწყენდით», ერთიც ვნახოთ, იმისათვის რომ, გამგზავრების დღეს თქვენს გასაცილებლად არ მოვედი? ვნანობ, ვნანობ და თავიდან ვიშორებ ამ აზრს, თითქმის უკვე მოვიშორე კიდეც.

გწერთ მეორე ღია ბარათს. პირველი ხომ არ დაიკარგა? გიმეორებთ საჭირო რჩევას: განსაკუთრებით, განსაკუთრებით წაიკითხეთ «ნაშე სლოვოს» № 5 და 6!! კოლონტაი კ ა რ გ ამბებს გვატყობინებს ამერიკიდან, უ შ ვ ე ბ ს «Internationale Flugblätler»-ს. რუსეთიდანაც კ ა რ გ ი ამბებია. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. ლ ე ნ ი ნ ი

გაგზავნილია ბერნიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

456

ი. თ. არმანდს

19/I. 1916.

ძვირფასო მეგობარო!

აი, უკვე მესამე ღია ბარათს გიგზავნით. ამჯერად ფრანგულად, რომ ცენზორებს გავუადვილო სამუშაო, თუკი წერილე-

* — გესმით? — რ ე დ.

ბის დაყოვნების მიზეზი ისინი არიან. მართალი გითხრათ, უკვე რამდენიმე დღეა ვღელავ: თქვენგან არაფერი არ ვიცით! თუ განაწყენებული ხართ ჩემზე, თქვენ, ალბათ, მისწერდით სხვა მეგობრებს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, თქვენ არავის არა სწერთ! თუ უახლოეს დღეებში არ მივიღებ თქვენგან წერილს, მივწერ ჩვენს მეგობრებს, რომ გაიგონ, ავად ხომ არა ხართ. უკვე არაერთხელ მოვითხოვე წერილები მოკითხვამდე — არაფერი არ არისო.

კონფლიქტი ჩვენს ახალგაზრდა მეგობართან — პოლონელთან კეთილად გადაწყდა: მოხდა მხოლოდ ერთგვარი «გაუგებრობა» (ამას თვითონ აცხადებს). ახლა ყველაფერი კარგადაა; ჟურნალის შედგენა უკვე დიწყო; იანვარში უკვე გამოცემული უნდა იყოს *.

მივწერეთ «თქვენს» რედაქტორს რომანული შვეიცარიის ერთ-ერთ ქალაქში **. იგი აბსოლუტურად არაფერს არ გვპასუხობს. მართლაც, საოცარია, არა? ჩვენ ყველანი მოუთმენლად ველოდებით, რომ როგორმე მოაგვაროთ რომანებისა და ნოველების საქმე პარიზში, სადაც, უთუოდ, ნახავთ ბევრ ლიტერატორს, გამომცემელსა და სხვებს, ვინაიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობთ და კარგად იცნობთ ამ ხალხს.

ამინდი მშვენიერია. უკანასკნელ კვირადღეს შესანიშნავად ვისეირნეთ «ჩვენს» გორაკზე. ალპების ხედი უჩვეულოდ ლამაზი იყო; ძალიან ვნანობდი, რომ ჩვენთან არ იყავით.

ერთ-ერთ უკანასკნელ დღეს კამილ ჰიუისმანსმა ჰოლანდიელთა პარტიის კონგრესზე წარმოთქვა ძალიან ვრცელი და «დიპლომატიური» სიტყვა [416]. არ ვიცი, შეძლებთ თუ არა ნახოთ მისი ტექსტი ფრანგულ გაზეთებში. თუ ვერ შეძლებთ, აქ ნახავთ. იგი «გაკვრით» შეეხო სექტემბრის კონფერენციას, ძალიან მძლავრად გაილაშქრა «ექსპროპრიაციის ცდების» წინააღმდეგ (მას არ სურს, «ექსპროპრიირებული იყოს ეს

* იგულისხმება ჟურნალი «Vorbote». რ ე დ.

** ეტყობა, იგულისხმება პ. გოლეი — ლოზანის გაზეთ «Le Grutléen»-ის რედაქტორი. რ ე დ.

მდივანი!) და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. დიდი დიპლომატია, პოლიტიკოსი!.. რა უხეირო ფანდებია!

როგორ ბრძანდებით? კმაყოფილი ხართ? ხომ არ მოიწყინეთ? ძალიან ხართ დაკავებული? დიდად მანაღვლიანებთ, რომ სულ არაფერს მატყობინებთ თქვენს შესახებ!.. სად ცხოვრობთ? სად ჭამთ? ეროვნული ბიბლიოთეკის «ბუფეტში»?

ერთხელ კიდევ გთხოვთ წერილებს «მოკითხვამდე».

თქვენი ერთგული ბ ა ზ ი ლ ი

P. S. ერთხელ კიდევ, არაფერია! თქვენგან წერილები არ მოგვდის.

გაგზავნილია ბერნიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი ფრანგულიდან

457
ი. თ. არმანდს

პარასკევი.

ძვირფასო მეგობარო!

მხოლოდ დღეს მივიღე თქვენი ვრცელი წერილი, რომელმაც ძალიან გამახარა. მე მეოთხე წერილს გწერთ: სამივე პირველი ღია ბარათი poste restante იყო. თუ არ მიგიღიათ, მაშინ ან იკარგება, ანდა რაღაც განსაკუთრებული წესებია შემოღებული (ან უსწორობა) მოკითხვამდე წერილების შესახებ. ტროცკიმ მისწერა ჩვენს ახალგაზრდა პოლონელ მეგობარს, რომ თვითონაც არ დაწერს ჰოლანდიურ ჟურნალში * და არც შეუძლია ურჩიოს ეს იმ ერის წარმომადგენელ თავის მეგობრებს, ვისთანაც ცხოვრობს. მაშასადამე, ამ საკითხზეც არ აგვცდება ტროცკისთან ბრძოლა.

---

* იგულისხმება ჟურნალი «Vorbote». რ ე დ.

დღეს მივიღეთ ღია ბარათი თქვენი ძმისაგან*. ძალიან სასიამოვნოა, რომ მას რაღაც მიუღია (არ ვიცი, წერილი, თუ მარტის დამლევს გამოსული ჩვენი გაზეთის №) და იწერება, «თანაგრძნობაზე». თურმე იქ, სადაც თვითონაა, თანაგრძნობა მეტი ყოფილა, ვიდრე მოელოდა.

ჰო, მართლა. კინაღამ დამავიწყდა (ძალიან მეჩქარება მატარებელზე). თუ მოკითხვამდე წერილების შესახებ შემოღებულია განსაკუთრებული წესები, მაშინ შეიძლება არ ვღებულობ **(არც ერთი** არ მიმიღია თქვენგან), თუმცა თქვენ იწერებით კი? ახლავე მომწერეთ: თუ თარიღს ორჯერ გაუსვამთ ხაზს, მაშასადამე, ი ღ ე ბ თ ჩემს წერილებს და პასუხსაც შ წ ე რ თ. მომწერეთ იმავე მისამართზე, რომელზეც მივიღეთ თქვენი ვრცელი წერილი.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ადრე რატომ არ გამოგზავნეთ თქვენი მისამართი???

დაწერილია 1916 წლის 21 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

458

მ. მ. ხარიტონოვს

კვირა საღამო.

ძვირფასო ამხანაგო! მხოლოდ ახლა შევიტყვე, რომ ო თ ხ შ ა ბ ა თ ს ციურიხში გაიმართება ახალგაზრდობის კავშირების ბიუროს საერთაშორისო კონფერენცია. უნდა დაესწრონ ნორვეგიელები და შვედები (იქაური ახალგაზრდობის კავში-

* ი. თ. არმანდის «ძმად» ვ. ი. ლენინი კოსსპირაციის მიზნით ასახელებს ლ. ბ. კამენევს. რ ე დ.

რები, როგორც იცით, შევიდნენ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფში).

ძალიან გთხოვთ 1) გაიგოთ **(ტაქტიანად:** ყოველივე ეს **კონსპირაციულად)** დაწვრილებით ამის შესახებ: როდის გაიმართება, სად, რამდენი ხნით, რა შემადგენლობით, 2) გამოარკვიოთ, შეიძლება თუ არა დაესწროს ჩვენი პარტიის წარმომადგენელიც; შეეცადეთ, რომ შეიძლებოდეს, და შ ე ა ღ წ ი ო თ თ ვ ი თ ო ნ ვ ე; 3) სპეციალურად შეეცადეთ გაიგოთ, რაც შეიძლება მალე, სახელდობრ, ვინ იქნება სკანდინავიიდან, დაუკავშირდეთ, ინახულოთ ისინი და რაც შეიძლება მალე **დაკავშიროთ** ჩვენთან.

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, მიიღეთ თუ არა ეს წერილი და თუ რას აპირებთ.

Salut! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ძალიან გთხოვთ, ზიფელდტს მადლობა გადაუხადეთ ჩემი სახელით წიგნებისათვის და უთხარით, რომ იმედი მაქვს ც ი უ რ ი ხ შ ი მისგან მივიღებ «პშეგლონდ ს.-დ.»-ს.

P. P. S. მე ჩამოვალ, ალბათ, 10 — 11-ზე ადრე; შესაძლოა, 7 — 9-ში

დაწერილია 1916 წლის 30 იანვარს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

459

კ. ბ. რადეკს

მე პირადად მიმაჩნია, რომ «*Gazeta Robotnicza*»-ს გამოსვლის შემდეგ (II. 1916) ჩვენი ერთობლივი ბრძოლა რუსეთისა და პოლონეთის საქმეებში გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი ა. და ეს არა «მარცხმოსურნეთა» წინააღმდეგ «გამოხდომის» გამო

(ეს მხოლოდ სიმპტომია), არამედ რუსეთის საქმეთა შესახებ P. S. D.-ის რეზოლუციის გამო[417]. თუ P. S. D. 1916 წლის თებერვალში აშკარად და გარკვევით არ გამოთქვამს აზრს გათიშვის შესახებ რუსეთში, მაშინ ეს მხოლოდ მომზადებაა ახალი 1914 წლის 16 ივლისისათვის.

მაშ, ასე, ჩემი აზრით, — ბრძოლა რუსულ, პოლონურ და გერმანულ პრესაში — და (მე მაინც ამის მომხრე ვარ) ერთობლივი გამოსვლები შვეიცარიაში (სადაც ეროვნული საკითხი სრულიადაც არ არის აქტუალური, ამიტომ შ ე ძ ლ ე ბ ი ს ა მ ე ბ რ იგი გამოიყოს).

რამდენადაც ეს ჩემი პირადი აზრია, თქვენს ყ ვ ე ლ ა წერილს ვუგზავნი გრიგოლს.

დაწერილია 1916 წლის 1 თებერვალზე
ბერნიან
გაგზავნილია ბერნიდან
(ადგილობრივი)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

460

ბ. ე. ზინოვიევს

Liebe Freunde! * ძალიან გთხოვთ, რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მალე გამოგზავნეთ «Tagwacht», რომელშიც გამოქვეყნებულია რადეკის სტატიები გორტერის შესახებ და ო რ ი სტატია ავსტრალიის მუშათა მოძრაობის შესახებ. ველოდები აგრეთვე (1) ცენტრალურ ორგანოში გამოსაქვეყნებელი ჩემი სტატიების კორექტურებს და (2) გერმანულ თეზისებს (ისინი ა რ დაბეჭდოთ, ვიდრე ჩემგან პასუხს არ მიიღებთ: ვფიქრობ, ერთი მცირე შესწორება კიდევ შევიტანო) **.

* — ძვირფასო მეგობრებო! რ ე დ.

** იგულისხმება თეზისები «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 173 — 191). რ ე დ.

ველოდები აგრეთვე ცენტრალურ ორგანოში დასაბეჭდად გათვალისწინებულ თქვენს სტატიას და №-ის ზუსტ გეგმას.

ძალიან გთხოვთ, ჩემი მისამართი გადასცეთ რადეკს და სთხოვოთ გამომიგზავნოს დ ა პ ი რ ებ უ ლ ი ამონაჭერი 1916 წლის 12 იანვრის «Vorwärts»-იდან (რიულეს სტატია გათიშვის შესახებ და რედაქციის პასუხი). აქ ვკითხულობ ოთხშაბათს, ვინაიდან დრო ძალიან ცოტაა. აქ ლაყბობენ, რომ «5 მდივნის» * მდგომარეობა განწირულია (რუსეთი მათი წინააღმდეგია) და მათი მთელი იმედი ისღა არის, რომ ჩხეიძე «კათედრიდან» შეჰკივლებს: დავიცვათ ციმერვალდი!!.

Beste Grüße

Ihr *Lenin* **

დაწერილია 1916 წლის 12 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

461

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ვიცი, რომ დაინტერესებული ხართ მეცნიერებით, და არა პოლიტიკით. მაგრამ მაინც თქვენი სიმპათიები, არ ვეჭვობ, საფრანგეთის მხარეზეა. გერმანელ სოციალისტთა შორის მომხდარ გათიშვას, როგორც საფრანგეთის ერთმა მინისტრმა განაცხადა, გულგრილად როდი ეკიდება საფრანგეთი. ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ ვაუწყოთ ეს ფრანგებსაც და რუსებსაც. Otto Rühle, დეპუტატი, «Vorwärts»-ში აშკარად მიემხრო გათიშვას, მაგრამ აუცილებლად უნდა დავუ-

---

* იგულისხმება მენშევიკების ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთის სამდივნო. რ ე დ.

** — საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი. რ ე დ.

მატოთ არა «მარტო» Otto Rühle, არამედ «გერმანიის ინტერნაციონალურ სოციალისტთა» ჯ გ უ ფ ი ც (მათ შესახებ «L'Humanité»-ც წერდა). გეთაყვათ, როცა პეტროგრადში მისწერთ, ჩაურთეთ ეს. აგრეთვე შემდეგი: მ ხ ო ლ ო დ ო. რიუ. ლე და «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტები» უყოყმანოდ მიემხრნენ გათიშვას და გამოვიდნენ «ჭაობის» წინააღმდეგ; «ინტერნაციონალის» ჯგუფში (გერმანელთა ჯგუფი, რომლის შესახებ აგრეთვე წერდა H o m o «L'Humanité»-ში: მშვენიერი გაზეთია!) — ეს ჯგუფი მერყეობს: მისი უმრავლესობა აშკარად ისევ ჭაობისაკენ უხვევს. ამას ადასტურებს როგორც ამ ჯგუფის ამასწინანდელი «თეზისები» [418], ასევე ბეჭდური გამოსვლები Ströbel-ისა «Neue Zeit»-ში და გაზეთ «Die Gleichheit»-ისა [419]. არ დაგავიწყდეთ, დაუმატეთ ესეც! თქვენთვის მეცნიერება ყველაფერია, მაგრამ ცოტა სიმპათიები საფრანგეთისადმი, დ ი დ ი სიმპათიებიც კი, — თქვენ, რასაკვირველია, გაქვთ!

Salutations cordiales! * ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 26 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

462

Ზ. Ე. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲘᲡ

«თავდაცვა» გამოვგზავნე [420].

გეთანხმებით, რომ უნდა გამოუშვათ № 52, და ვკისრულობ დავწერო სტატია 23/IV კონფერენციის [421] ამოცანების შესა-

---

* — გულითადი სალამი! რ ე დ.

ხებ (ან «საზავო პროგრამის შესახებ» და ა. შ. — საერთოდ მოწინავის თემაზე მორიგი ამოცანების შესახებ) *.

ნადიამ თარგმნა მანიფესტი [422]. გამოვგზავნი ამ დღეებში, თქვენ კი გამოგზავნეთ იმ სტატიებისა და შენიშვნების ხელნაწერები, რომლებსაც წერთ № 52-სათვის. მოვამზადებთ ყველაფერს ხელნაწერში, შემდეგ კი ერთბაშად გადავცემთ ასაწყობად.

უნდა შევამციროთ სტატია 5 — 8. II თათბირის შესახებ და ჩავსვათ კიდევ შენიშვნა «ნაშე სლოვოს» № 51 — 2-ში დაბეჭდილ **ორნ.**-ის სტატიაზე [423] და საერთოდ «ნაშე სლოვოს» შესახებ (ვწერ).

გამომიგზავნეთ ამონაჭერი «დ ე ნ ი დ ა ნ» ** სადაზღვევო საბჭოებში ჩვენ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე **(და სთხოვეთ** კასპაროვს თვალყური ადევნოს «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს ა» და **სხვა გაზეთებს**, აბრამსა და სხვებსაც, რათა შეკრიბონ ყველა და ყველაფერი ამის შესახებ).

ძალიან საჭიროა გავიგოთ, ილაპარაკა თუ არა ჩხეიძემ სახელმწიფო სათათბიროში ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ი ს შესახებ. მე წავიკითხე მისი სტატია მ ხ ო ლ ო დ «Leipziger Volkszeitung»-ში: იქ ე რ თ ი ს ი ტ ყ ვ ა ც არ არის ნათქვამი ციმერვალდის შესახებ. შეეცადეთ რადეკის მეშვეობით გადახედოთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესას, სადაც უ ფ რ ო ს რ უ ლ ა დ იქნება ნათქვამი ჩხეიძის სიტყვის შესახებ (მარტოვი და კომპ. სპეკულაციას ეწევიან იმის თაობაზე, რომ ჩხეიძემ თქვა ან იტყვის ციმერვალდის სასარგებლოდ).

ვადგენ ჩვენი «Antrag»-ის *** თეზისებს 23 აპრილისათვის «საზავო პროგრამის» შესახებ.

---

* ვ. ი. ლენინმა დაწერა სტატია «საზავო პროგრამის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 22, გვ. 197 — 206). რ ე დ.

** მე მაქვს მხოლოდ «რეჩიდან».

*** — «წინადადება». რ ე დ.

ჩავაბათ თუ არა ამ საქმეში რადეკი? ვფიქრობ, არა. რადეკი ასე უნამუსოდ იქცევა! **მე დღემდე არა მაქვს** * თეზისების ბ ე ვ რ ი ეგზემპლარი და **აღარ მინდ**ა მივწერო რადეკს, რაკი კინკლაობა **სურს.**

რატომ არ მიპასუხეთ, თეზისებში ჩემი ჩამატება ასაწყობად გადაეცით თუ არა? თქვენ შეგეძლოთ თ ვ ი თ ო ნ გადაგეცათ იგი სტამბაში და იქიდან კორექტურა **თვითონვე** წაგეღოთ (და ბ ე ვ რ ი ეგზემპლარიც **შეგეკვეთათ):** ეშმაკმაც დალახვროს, ეს Dreckseele von Radek!). ჩვენ, როგორც ავტორებს, **უფლება** გვაქვს შევუკვეთოთ თეზისების კორექტურები.

გრიმისაგან უნდა ავიღოთ № 3 ბიულეტენი[424] რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი, ფრანგულიც და გერმანულიც და გავგზავნოთ **ყველგან,** სხვათა შორის ჩვენს **ყველა** საზღვარგარეთულ ჯგუფში. **აქაც.**

თქვენ არ გამოგიგზავნიათ ჩემთვის «B e r n e r T a g w a c h t-ის №, რომელშიც დაბეჭდილია **ბრემენელთა** რეზოლუცია, და საერთოდაც არ გამოგიგზავნიათ, მე კი აქ არ ვღებულობ მას[425].

რას წერს აბრამოვიჩი ფ რ ა ნ გ უ ლ ი «Internationale Flugblätter»-ის № 1-ის გამოცემის შესახებ La Chaux de Fonds-ში? როგორ მოაგვარეს საქმე?

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რიბალკა მესტუმრა ჟენევაში და მითხრა, რომ **ყველა** ძვინელი[426] პატრიოტიზმით განიმსჭვალა, რაზეც დაიწერება «ბოროტბას»[427] № 6-ში (გაქვთ №№ 1 — 5?). ლევინსკი კი ამბობს, რიბალკა მხოლოდ ტყუისო!!??

---

* შეპირებული იყო 1916 წლის 10 თებერვლისათვის. საქმე უღვთოდ ზიანდება. პირდაპირ **აბუჩად აგდებაა.**

გამოგზავნეთ ლატვიელთა მასალა[428]. რა ვუყოთ მას. გაშოვცეთ თუ არა და როგორ?

დაწერილია 1916 წლის 2 და
25 მარტს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

463

ჰენრიეტა როლანდ-ჰოლსტს

8/III. 1916.

ძვირფასო ამხანაგო! გთხოვთ მაპატიოთ, რომ თქვენს წერილზე ასე გვიან გიპასუხებთ. მოხსენებებს ვკითხულობდი შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებში.

თქვენი თავაზიანი პასუხისათვის ძალიან მადლობელი ვარ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ჩვენი თანამშრომლობა დამშვიდებით წარიმართება.

გულახდილად გეტყვით: სავსებით ცხადი იყო, რომ თქვენ და ამხ. პანეკუკი, თქვენი ფორმულირებით, «წესიერი ადამიანები» ხართ. ჩვენ იმან შეგვაშფოთა, რომ უეცრად შეიცვალა დებულება რედაქციის შესახებ. პირველი პროექტით ჩვენ მოცემული გვქონდა რედაქტორის უფლებები (რედაქცია=თქვენი ჯგუფისა (თქვენ+ტროცკი) და «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» კავშირი; ამ მემარცხენეთა ბიუროში კი, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ორი ხმა გვქონდა სამიდან: რადეკის, ზინოვიევისა და ჩემი). პროექტის შეცვლით რედაქტორის უფლებები ჩამოგვერთვა და თანამშრომლებად ვიქეცით. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვეძლო სადავოდ გაგვეხადა თქვენი უფლება შეგემუშავებინათ წესდება. მაგრამ მაინც სავსებით ბუნებრივია — ხომ მართალია? — რომ ჩვენ, როგორც თანამშრომლებს, მაინც გვსურს გვქონდეს რაღაც უფლებრივი გარანტიები?

ვიმედოვნებ, რომ ახლა საქმე გაირკვა და საბოლოოდ გადაწყდა.

თქვენი წერილის ძიღებისთანავე განკარგულება გავეცი, რომ ექსპედიტორებმა გამოგიგზავნონ ჩვენი ორგანო («სოციალ-დემოკრატი» პერიოდული არაა; ომის დაწყებიდან გამოვიდა №№ 33 — 51). იღებთ თუ არა მას?

ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა განვიხილოთ ჩვენს თანამშრომლობასთან დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

(1) ჩვენი თეზისები (თვითგამორკვევის უფლების შესახებ)* თქვენ რადეკმა გამოგიგზავნათ (ძალიან გთხოვთ, გაუგზავნეთ ისინი გორტერსაც: ამის შესახებ მას დაწვრილებით ვწერ მის ბროშურასთან დაკავშირებით). მე მიმაჩნია, რომ ჰოლანდიელ-პოლონელთა თვალსაზრისი თეორიულად ძალიან მცდარია და პრაქტიკულად პატარა სახელმწიფოთა პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს. ნუთუ ჩვენი საერთო ბრძოლა ძველი და ახალი **ანექსიების** (რა არის ანექსია?) წინააღმდეგ რამდენადმე ვერ დაგვაახლოებს? გერმანელების, ინგლისელების, რუსების თვალსაზრისი მაინც უფრო მნიშვნელოვანია (და ობიექტურად უფრო სწორია), ვიდრე ჰოლანდიელების და პოლონელებისა! გორტერი ჰოლანდიის ინდოეთისათვის «ეროვნულ დამოუკიდებლობას მოითხოვს». ძალიან კარგია! მაგრამ ხომ სწორედ ეს არის თვითგამორკვევის უფლება!! თუ კაუცკი და რუსი კაუცკელები (მათ შორის ტროცკიც) საკითხს არასწორად აყენებენ, კაუცკელთა წინააღმდეგ ეს მხოლოდ ზედმეტი საბუთია! (თუ გაინტერესებთ ეს საკითხი, სთხოვეთ გორტერს — გამოგიგზავნოთ ჩემი წერილი. ძალიან მოხარული ვიქნები უფრო დაწვრილებით განვიხილო ეს საკითხი ჰოლანდიელ მარქსისტებთან ერთად).

---

* იხ. «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 173 — 191). რედ.

(2) «Die Internationale»-ს გერმანული ჯგუფი. წაიკითხეთ თუ არა ამ ჯგუფის თეზისები გრიმის ბიულეტენის მე-3 ნომერში? [429]

ჩემი აზრით, ეს გაბედული ნაბიჯია მარჯვნივ ჟურნალ «Die Internationale»-ს პირველი ნომრის შემდეგ. არც ერთი სიტყვა კაუცკელთა «ცენტრის» წინააღმდეგ — ეს კი მთავარია გერმანელთა პარტიისათვის. არც ერთი სიტყვა გათიშვაზე (ოტო რიულე სავსებით მართალია — განა შეიძლება დუმდე ამის შესახებ მისი სტატიის შემდეგ!!). არც ერთი სიტყვა ბრძოლის აშკარა საშუალებებზე, — არალეგალურ ორგანიზაციაზე და ა. შ.

ხოლო ფრაზა: «იმპერიალიზმის ერაში აღარ შეიძლება იყოს ეროვნული ომები»! ეს თეორიულად მცდარია. კოლონიური ომები **არსებითად** ეროვნულ ომებს წარმოადგენენ. (ინდოეთი ინგლისის წინააღმდეგ და სხვ.) ეს — პრაქტიკულად — შოვინიზმია: ჩვენ, დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, **ვუკრძალავთ** ჩაგრულ ხალხებს აწარმოონ ეროვნული ომები!!

ჩემი დასკვნა ასეთია: «Die Internationale»-ს სურს შეუთანხმდეს კაუცკელებს. სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ ეს თეზისები. კიდევ ერთი რამ: შტრიობელი «Neue Zeit»-ში აქებს ბერნშტეინს! [430] ცეტკინი «Gleichheit»-ში წერს «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის» წინააღმდეგ: დიპლომატიური ფრაზაა «ბოლშევიკური სექტანტობის» წინააღმდეგ (!!). ფრაზა ისე დიპლომატიურად არის აგებული, რომ ვერავინ ვერ გაიგებს, **თუ რით** გამოიხატება ჩვენი «სექტანტობა»!! ცეტკინი მოითხოვს «aurea mediocritas»-ს * ლედებურსა და «ციმერვალდის მემარცხენეთა» შორის. მაგრამ ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი იმაზე, თუ **როგორ** უნდა განხორციელდეს ეს. რა არის ჩვენი შეცდომა? — ამის შესახებ დღემდე ერთი სიტყვაც არ თქმულა, სტრიქონიც არ დაწერილა შვეიცარიაში, სადაც ცენზურა არ არსებობს.

---

* — საშუალო ხაზი. რედ.

როგორ ახსნით ამას სხვანაირად, თუ არა იმით, რომ სურთ შეუთანხმდნენ კაუცკისა და კომპანიას?

(3) თქვენი და S. D. P.-ის მიერ შედგენილი «პროექტი» (ბიულეტენი № 3) ძალიან ცუდად მეჩვენება[431]. თვით რადეკ-მაც კი ვერ შეძლო დაეცვა ეს პროექტი. რა საჭიროა პარტიის პროგრამის შეკვეცა? სოციალისტური რევოლუციის პროგრა-მა? ახლა ეს აღარ არის საჭირო, — და ამგვარ პროგრამაში არაა პუნქტი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შესა-ხებ, ამგვარ პროგრამაში § 6 (A) და § 5 (B) ძალიან გასაოცა-რია; § 6 (B) — აგრეთვე უცნაურად ეღერს: სწორედ სოცი-ალისტური რევოლუციის შემთხვევაში დაგვჭირდება მილიცია ახალი წესწყობილების დასაცავად. ჩვენ ხომ პაციფისტე-ბი არა ვართ. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ ერთბაშად მთელ მსოფლიოში მოვიპოვებთ გამარჯვებას (სამო-ქალაქო ომების გარეშე? ომების გარეშე?)! საკოლონიო პროგ-რამა სრულიად არ არის.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავსებით დარწმუ-ნებული ვიქნებით, რომ უშუალოდ ასეთი რევოლუ-ციის ზღურბლთან ვდგავართ, დაგვჭირდება ამგვარი პრო-გრამა — მაგრამ მაშინაც სულ სხვანაირად ფორმულირე-ბული.

მაგრამ ახლა ჩვენ სულ სხვა რამ გვჭირდება: მუშათა მოძ-რაობას უნდა გაეჩინდეს მკაფიო მოსაზრებანი, რომ საჭიროა გათიშვა სოციალ-შოვინისტებთან და კაუცკელებთან, არალე-გალური ორგანიზაცია, მასობრივი ბრძოლის საშუალებანი და მეთოდები და ა. შ.

(4) მალე გამოგიგზავნით ჩვენს თეზისებს მეორე კონფე-რენციის დღის წესრიგის 5 — 8 პუნქტებისათვის *. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ შევთანხმებულიყავით, — თუ ყველა პუნქტში არა, ზოგიერთში მაინც.

---

* იხ. «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალის-ტურ კონფერენციას» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 207 — 221)). რ ე დ.

(5) რა უთანხმოებაა ჩვენსა და ტროცკის შორის? ეს თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ. რამდენიმე სიტყვით: იგი კაუცკელია, ე. ი. სურს ერთობა კაუცკელებთან ინტერნაციონალში, ჩხეიძის ფრაქციასთან რუსეთში. ჩვენ გადაჭრით ვილაშქრებთ ასეთი ერთობის წინააღმდეგ. ჩხეიძე თავისი ფრაზებით ჩქმალავს (იგი თითქოს იცავს ციმერვალდს: იხილეთ მისი უკანასკნელი სიტყვა, 5 მარტს «Vorwärts»-ში) იმ ფაქტს, რომ იზიარებს «ორგანიზაციული კომიტეტისა» და **სამხედრო კომიტეტებში * მონაწილე ადამიანთა** შეხედულებებს. ტროცკი ამჟამად გამოდის «ორგანიზაციული კომიტეტის» (აქსელროდი და მარტოვი) წინააღმდეგ, მაგრამ ჩხეიძის ფრაქციასთან სათათბიროში ერთობას მხარს უჭერს!!

ჩვენ უსათუოდ წინააღმდეგი ვართ.

გულითადად მოგესალმებით თქვენ, ამხანაგ პანეკუკსა და სხვა ჰოლანდიელ ამხანაგებს!

თქვენი ნ. ლენინი

ჩემი მისამართი: Wl. Ulianow
Spiegelgasse. 12.
(Schuhladen Kammerer)
Zürich. I.

P. S. შეიცავენ თუ არა ჭეშმარიტების ნატამალს გაზეთების ცნობები «New Reviews»-ისა (New York) და «Vorbote»-ს ავშირის შესახებ (იხილეთ «Internationale Korrespondenz»[532] № 69).

როგორ გგონიათ, განა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ იქნებოდა გამოგვეშვა «Vorbote»-ს № 2 ჯერ კიდევ მარტში?

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

* იგულისხმება სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები. რედ.

464

Ზ. Ე. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲡ

ძალიან მიხარია, რომ გრიმმა გაამართლა.

ვიმედოვნებ, იგი ბეჭდავს **აგრეთვე განცხადებას ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთის სამდივნოს წინააღმდეგ!**[433] თქვენ ამაზე დუმხართ! მიპასუხეთ.

ᲡᲣᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ (ბროშურის) შესახებ **ორჯერ** შეგეკითხეთ, თქვენ კი არ მიპასუხებთ (გაუგზავნეთ თუ არა ოლღას?).

რა დაემართა «Vorbote»-ს № 2-ს? როდის გამოვა? იქნება თუ არა «Internationale»-ს რეზოლუციების კრიტიკა?

NB

|| თუ იქნება, ხომ არ შეიძლება ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲨᲘ ვნახო?

Junius-ი ᲯᲔᲠ ᲐᲠ მინახავს[434], შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ? (შევეცდები პლატენთან ვიშოვო).

რა კითხვებზე არ გამიცია პასუხი? კოლონტაის უკვე **ᲛᲘᲕᲬᲔᲠᲔ** და კიდევ მივწერ.

(თუ ნახულობთ ხელნაწერებს «Vorbote»-სათვის, ხომ არ შეგიძლიათ გამოგზავნოთ აქ 1/2 დღით?)

Salut. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

დაწერილია 1916 წლის
16 მარტზე ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

465

Ზ. Ე. ᲖᲘᲜᲝᲕᲘᲔᲕᲡ

გიგზავნით მასალას ასაწყობად. სტატიას «საზავო პროგრამის» შესახებ და ასე შემდეგ (მოწინავისათვის) ვამთავრებ და ხვალ გამოვგზავნი.*

---

* იგულისხმება სტატია «საზავო პროგრამის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 197 — 206) რედ.

I. S. K.-ის «მიმართვას» უნდა დაემატოს დღის წესრიგის **შემოკლებული** შინაარსი, დასწრების პირობები და სხვ. [435].

ჩვენ აბსოლუტურად არ შეგვიძლია გავამეღავნოთ ფსევდონიმი «Spartacus» [436]. აბსოლუტურად არ შეგვიძლია: ეს ნიშნავს, რომ ხელი შეეუწყოთ «Internationale Korrespondenz»-ს გადაბეჭდოს ჩვენგან; ამით ჩვენ ხელს შევუწყობდით დამსმენებს.

ჩვენი განცხადება **აუცილებლად** მთლიანად უნდა დაიბეჭდოს (5 — 8. II). «შენიშვნა», ცირკულარისათვის ხმის მიცემისას.

«კალმის ყალთაბანდები» არ ვარგა. გთავაზობთ გადაკეთების პროექტს (1, 2, 3) [437]. საჭიროა ამის შესახებ დაიწეროს რაც შეიძლება ცოტა ლანძღვით, მეტისმეტი ახსნა-განმარტებით. კარგი იქნება ჩამოთვალოთ ფაქტები, მოიშველიოთ ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთის სამდივნოს **მონაცემები** (ბიულეტენი № 2) (+«იზვესტიის» № 3) **სამარის, კავკასიის, ნადისა** და სხვათა შესახებ და **დაამტკიცოთ,** რომ რუსეთში ყველა ოკ-ისტი მონაწილეა. ძალიან გირჩევთ გადააკეთოთ ეს სტატია **კიდევ 2 და 3-ჯერ, გამომიგზავნოთ ერთხელ კიდევ,** მაგრამ კარგად და ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოთ: **ეს უაღრესად საჭიროა.**

«თავდაცვა» მიეცით 2 — 3 დღით შკლოვსკის, კასპაროვსა და კომპანიას, შემდეგ კი **დაუყოვნებლივ** დამიბრუნეთ.

ამონაბეჭდები (გერმანელთა თეზისები თვითგამორკვევის შესახებ) ისევ არა მაქვს. ბოლოსდაბოლოს, როდემდე???

თუ რადეკი აჭიანურებს «Vorbote»-ს № 2-ს, ეს მისი მხრივ თაღლითობაა. უნდა მოვიფიქროთ, თუ **როგორ** ვიბრძოლოთ ამის წინააღმდეგ, ხომ არ გავუგზავნოთ კოლექტიური წერილი როლანდ-ჰოლსტს? რატომაც არა? რას ვერიდებით? ეს ხომ სიტყვის გატეხვაა. ეს საქმისათვის საზიანოა, ეს არალოიალურია, ეს აფერხებს დისკუსიას სწორედ აპრილის კონფერენციისათვის. სწორედ **მასზე!**

ჩემი თეზისები (ზავისა და სხვათა შესახებ) დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ: უნდა გადავაკეთო *. გადაკეთებამდე სჯობს **არ** უჩვენოთ ისინი რადეკს.

Salut! ლენინი

რატომ არ მიგზავნით **«ნაშ გოლოსს»?** [438] მას შემდეგ არ მინახავს, რაც გამოქვეყნდა მარტოვის სტატიები «თვითგამორკვევის» შესახებ. დაიბეჭდა თუ არა იქ მისთვის დაპირებული პასუხი?

ციმერვალდის მემარცხენეთა ბიუროს რა ვუყოთ? აპრილის კონფერენციისათვის მოხსენება მან ხომ უნდა მოამზადოს? [439] და თეზისები?? როგორ მოვიქცეთ?

დაწერილია 1916 წლის
19 მარტზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

466

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით თეზისებს **.

კიდევ უნდა გავასწორო ისინი — **რაც შეიძლება სასწრაფოდ** დამიბრუნეთ.

ყოველნაირად უნდა ვიჩქაროთ: როცა დავამთავრებთ თე-

---

* იგულისხმება «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციის.» (იხ. ვ. ი. ლენინი, **თხზულებანი**, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 207 — 221). **რ ე დ.**

** იგულისხმება «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ კონფერენციას» (იხ. ვ. ი. ლენინი, **თხზულებანი**, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 207 — 221). **რ ე დ.**

ზისებს, ზინამ გადაწეროს მანქანაზე * 4 — 5 ცალად (იკი-რებს კი იგი?), რათა დაუყოვნებლივ გავგზავნოთ საფრანგეთ-ში, ინგლისში, შვეიცარიაში და სხვ.

შემდეგ მაშინვე გერმანულად უნდა ვთარგმნოთ (იქნებ, თქვენ თარგმნოთ, მე კი წავუღებ ხარიტონოვს და მერე პლა-ტენს) (თვითონვე დავბეჭდავთ) და გამოვცეთ. ფრანგულადაც (იტალიელებისა და ფრანგებისათვის).

საჭიროა, რომ კონფერენციამდე რამდენიმე კვირით ადრე ყველა მემარცხენემ და თანამგრძნობმა ნახოს და განიხი-ლოს ეს თეზისები. ჰოლანდიელებმაც.

რადეკს მიეცით, მაგრამ **მხოლოდ** $1/2$ **დღით**, რომ გადაიწე-როს. ისე აბსოლუტურად არა ვარ თანახმა!!

გრიმს მივცეთ ბიულეტენის № 4-ში ** დასაბეჭდად: თუ არ დაბეჭდავს მათ + პროტესტს (მარტოვი ჩხეიძის vs ***), მაშინ **ერთ კაპიკსაც** არ მივცემთ [440].

ჩხეიძის სიტყვა **გამოქვეყნდა. «Vorwärts»-ში** დაბეჭდილია შინაარსი: **ემხრობა** «ცემერვალდის გადაწყვეტილებას და მოი-თხოვს უანექსიო ზავს». ეტყობა, **სიტყვაც არაა** ნათქვამი გვოზდიოველობის წინააღმდეგ!!!

პროტესტში ამას დავაწვები.

ღია ბარათები დამიბრუნეთ.

Salut. ლენინი

დაწერილია 1916 წლის 20 მარტზე
ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ცალ მხარეს, მაგრამ ძალიან მჭიდროდ, უმინდვროდ და სტრიქო-ნებს შუა ადგილის დაუტოვებლად.

** გაიგეთ, როდის არის უკანასკნელი ვადა? 20 თუ 25 მარტი? ხომ არ დავწეროთ ოფიციალურად, სწორად გავიგეთ თუ არა, რომ ვადა 30 მარტამდეა, და რომ ბიულეტენის № 4-ში «ადგილი» დაკავებულად მიგვაჩნია?

*** — versus — მიმართ. რედ.

467

ბ. ე. ზინოვიევს

დამავიწყდა ჩამემატებინა ერთი რამ როგორც თეზისებში, ისე სტატიაში «საზავო პროგრამის შესახებ», მისი ჩამატება კი უსათუოდ საჭიროა.

გამონახეთ ადგილი, სად ჩავუმატოთ (მე არა მაქვს შავი), და ჩაუმატეთ **აუცილებლად:**

> ერთადერთი აუცილებელი მოთხოვნა, რომელიც სოციალ-დემოკრატებს შეუძლიათ წამოაყენონ, როგორც საზავო პროგრამა, რათა ხელი შეუშალონ ოპორტუნისტებს, შემდეგია: **უარისთქმა სამხედრო ვალების გადახდაზე.** და ჩვენც ვაყენებთ ამ მოთხოვნას მასების რევოლუციურ ბრძოლასთან დაკავშირებით *.

Salut. ლენინი

დაწერილია 1916 წლის 20 მარტს
გავზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

468

ბ. ე. ზინოვიევს

მე მქონდა თარგმანი ჰოლანდიური «Annullierung der Staatsschulden»-ისა **. შეიძლება სამხედროს ნაცვლად დაიწეროს სახელმწიფო; განსხვავება, ჩემი აზრით, ერთობ არაარსებითია.

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 205 და 216. რედ.

** «სახელმწიფო ვადების გაუქმება» (ეგრეთ წოდებული პირველი პუნქტი ჰოლანდიის რევოლუციური სოციალისტური კავშირის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის პროექტისა, რომელიც დაიბეჭდა «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში, 1916 წლის 29 თებერვალს). რედ.

როგორ დავსაჯოთ «კონსიერჟები»? მათი წვლილი სესხის ოდენობაში უმნიშვნელოა, და შეიძლება დაენაშნოთ პენსია სახელმწიფო სალაროდან (თუ დიდხანს მსახურობდნენ კონსიერჟებად).

თუ კვლავ «ეჭვობთ», ნუ ჩაუმატებთ **ანდა გადადეთ ნომერი 2 დღით.** ვფიქრობ, ჰოლანდიელთა **ეს** პუნქტი გამონაკლისის სახით **გამოდგება** «საზავო პროგრამისათვის» (შეიძლება დაემატოს) ერთადერთ დადებით მოთხოვნად, **რევოლუციასთან** ან მასობრივ ბრძოლასთან **დაკავშირებით** (არ მახსოვს ჩავურთე თუ არა ეს?)... შესაძლოა...

უხერხულია, თუ შემდეგ ჩავუმატებთ, ხოლო ცენტრალური ორგანოს სტატიაში ამ თემაზე არ იქნება. სჯობს გადავდოთ ორი დღით და მოვილაპარაკოთ.

Wiener «Arbeiter-Zeitung»-თან მოვაგვარებ საქმეს, ტიშს შესახებ (ხომ არ არის ეჭი «*Schriften des Vereins für Sozial-Politik*-ში»? *) გამოეკითხავ.

ალექსანდრესთან შეთანხმებაზე (იგი ვაემგზავრა ნორვეგიაში, სადაც იმყოფება ა. კ., და ახლა საჭიროა განსაკუთრებით დავაწვეთ მას).

ვერასგზით ვერ დავეთანხმები I + II-ს «კომუნისტის» შესახებ.

თქვენი მოსაზრებები უკიდურესად არათანამიმდევრულია.

... «მხოლოდ ვიმანევროთ?» ... თუ ასეა, რა საჭიროა საქმეს საფრთხე შევუქმნათ.

«დამნაშავენი ვართ, რომ დედაკაცს დავუკავშირდითო»... რასაკვირველია! მაგრამ შეცდომას სწორედ ის ასწორებს პირველად, ვინც დამნაშავეა. რა ლოგიკაა: დამნაშავე ვარ, ამიტომ არ ვასწორებო!!!

მე არ მიმაჩნია თავი «დამნაშავედ»: მაშინ სასარგებლო იყო ბლოკი და დავდე კიდეც. ახლა იგი საზიანოა. დამნაშავე ვიქნები, თუ არ შევცელი.

---

* — «სოციალური პოლიტიკის საზოგადოების შრომები». რედ.

ჩემს საქმიან მოსაზრებებს თქვენ არც კი შეხებიხართ: თანამშრომელთა კინკლაობა (3 საკითხში), საჩივრები ცენტრალურ კომიტეტში; წერილები რედაქციაში, წერილები «ნაშე სლოვოში» (ბრონსკის, იქნებ რადეკისა და სხვ.) ΣΣ = კინკლაობაა, და არა საქმე.

რისთვის? «ფირმისათვის»?? სასაცილოა.

მივიღე **ნ. ი.-ს** პასუხი ოეზისებზე: უსინდისობის ძუვერვალია, არც ერთი მოფიქრებული სიტყვა.

ალექსანდრეს **პრინციპულად** უნდა დავუსვათ საკითხი: № 1—2-ის შემდეგ **მათ** გამოთქვეს «უთანხმოება». რედაქციაში არ **შეიძლება** მივცეთ თანასწორობა (ან ადგილი) **ასეთი** უთანხმოების პირობებში. ეს დაუშვებელია. გავიხსენოთ ნ. ი.-ს ძველი მერყეობანი ამავე საკითხზე (დემოკრატიის შესახებ) და მოვითხოვოთ: დაე მოიფიქრონ, მოინელონ, დაწერონ ყველა თავიანთი უთანხმოების დასაბუთება ცენტრალური კომიტეტისათვის (მცირე ბროშურა). არა პრესისათვის, არამედ ცენტრალური კომიტეტისათვის. ჩვენ განვიხილავთ მას და **უარვყოფთ**, ჯერჯერობით კი **«ხბორნიკ სოციალ-დემოკრატა»**[441].

Salut.

მიპასუხეთ.

დაწერილია 1916 წლის
20 ან 21 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

469

ბ. ე. ზინოვიევს

ეს-ეს არის (საღამოს 8 საათზე) მივიღე თქვენი ღია ბარათი. უსათუოდ დაბეჯითებით მოვითხოვ ჩაიწეროს: «უარის თქმა სახელმწიფო ვალების გადახდაზე».

მხოლოდ დღეს ვნახე სტატია «Berner Tagwacht»-ში, ისიც ამ მოთხოვნას აყენებს. წვრილ მეწარმეებზე, კონსიერ-ჟებზე etc იქაც არაფერია ნათქვამი. ჩვენც არ უნდა ვიზრუ-ნოთ მათთვის. მხოლოდ ვთქვათ: «რევოლუციისათვის, მას-თან დაკავშირებით მ თ ე ლ ი სახელმწიფო ვალების გადახ-დის გაუქმება» — აი, ერთადერთი სერიოზული დარტყმა სა-ფინანსო კაპიტალისადმი, ერთადერთი გარანტია «დემოკრა-ტიული ზავისა». იგი მიუღწეველია ურევოლუციოდ? რასაკვირველია. ესაა მოსაზრება არა ასეთი პუნქტის წ ი ნ ა ა ღ მ-დ ე გ, არამედ რევოლუციისათვის.

აუცილებლად. არავითარი საბუთი არა გვაქვს გავემიჯნოთ აქ ჰოლანდიელებსა და «Berner Tagwacht»-ს.

ხვალ გიგზავნით ვრცელ წერილს *.

1912 წლის Tyszka აქ არ არის; არის მხოლოდ 1914 წლის (Löhne ** etc.), ეს ბერნშიც არის, «Schriften des Vereins für Sozial-Politik»-ში. Band 145.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 21 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

470

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით დამატებას (ო. რიულე და ლიბკნეხტი) — ჩემი აზრით, **აუცილებელია** ჩაემატოს, რათა აღინიშნოს ლიბკნეხ-ტის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი სიტყვები.

---

* რომელი წერილი იგულისხმება, ვერ დავადგინეთ. რ ე დ.

** — ხელფასი. რ ე დ.

გიგზავნით 37 სტრიქონით შემოკლების პროექტს. ვიმედოვნებ, კიდევ ნახავთ შესამოკლებელს, რათა რიულე და ლიბკნეხტი* ჩასვათ.

«ჭრიჭინა» **ყოველ** შემთხვევაში უნდა ამოვაგდოთ, ვინაიდან 1) არ გამოდგა; 2) უნდა დავიცადოთ (ვინაიდან ეს არა მარტო ტროცკია, არამედ პლუს «*La Vie Ouvriére*»**: მათთვის ეს შეიძლება პროგრესია) [442].

3) ტროცკის სჯობს «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატაში» დავცხოთ, საჭიროა მას უფრო საფუძვლიანად დავცხოთ.

Salut. ლენინი

თეზისები აუცილებლად პირადად გრიმს გაუგზავნეთ (კარგი იქნება მოიწვიოთ იგი ამის შესახებ სასაუბროდ).

მოფიქრებული მაქვს კიდევ ერთი ჩამატება თეზისებში. დროულად შემატყობინეთ, როდის ააწყობენ თეზისებს.

წერილის დანართი

ოტო რიულე და კარლ ლიბკნეხტი

რიულემ «Vorwärts»-ში 1916 წლის 12 იანვარს აშკარად გამოთქვა აზრი პარტიის გათიშვისათვის. ლიბკნეხტმა 1916 წლის 16 მარტს პრუსიის ლანდტაგში პირდაპირ მოუწოდა «სანგრებში მებრძოლებს»—«დაუშვით იარაღი და გაილაშქრეთ საერთო მტრის წინააღმდეგო», რისთვისაც სიტყვა წაართვეს. — რუს ს. დ.-თაგან ვინ იჩენდა «ფრაქციულობას»: ისინი, ვინც იცავდა სამოქალაქო ომისა და ოპორტუნიზმთან გათიშვის ერთადერთ თანამიმდევრულ ბოლშევიკურ ლოზუნგებს? თუ ისინი, ვინც უარყოფდა

---

* იხ. დანართი წერილის ბოლოს. **რედ.**

** — «მუშათა ცხოვრება». **რედ.**

ამ ლოზუნგების აშკარა სისწორეს, რომლებსაც მოვლენათა მსვლელობის გამო იზიარებენ ინტერნაციონალისტები ყ ვ ე ლ ა ქვეყანაში?

დაწერილია 1916 წლის
23 მარტზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა:
წერილი — 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49;
წერილის დანართი — 1916 წლის
25 მარტს გაზეთ
«სოციალ-დემოკრატში», № 52

იბეჭდება: წერილი
ხელნაწერის მიხედვით;
დანართი — გაზეთ
«სოციალ-დემოკრატის»
ტექსტის მიხედვით

471

ბ. ე. ზინოვიევს

პოკროვსკის წინადადება, რასაკვირველია, მივიღოთ[443]. ვჯდები სამუშაოდ (აქ ბიბლიოთეკა უკეთესია, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური ლიტერატურისა: თუ შესაძლებელია 2 დღით — თუნდაც კვირისათვის — შეეცადეთ ახალი კატალოგის კორექტურა მიშოვოთ).

დაე, პოკროვსკიმ ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ა დ გვიპასუხოს მ ე და თქვენ, რომ პირობები მ ი ღ ე ბ უ ლ ი ა (N. B. გამომიგზავნეთ მისი ძველი წერილები ზომისა და სხვათა შესახებ). ვადის თაობაზე კი დ ა ე ჩ უ მ ა დ ი ყ ო ს (მაისის ან ივნისისათვის, ეგებ, მოვასწრო).

რაკოვსკის სიტყვა და I. S. D.-ის ბ რ ო შ უ რ ა 21 დ ე კ ე მ ბ რ ი ს უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ა რ მ ი ნ ა ხ ა ვ ს[444]. გამომიგზავნეთ ო რ ი ვ ე.

გამომიგზავნეთ, **რაც შეიძლება** სასწრაფოდ, **25** ამონაბეჭდი.

თეზისების კორექტურას * გიგზავნით. მივიღე თქვენი ერთი შესწორება. **აბსოლუტურად** არ გეთანხმებით იმაში, რომ საჭირო არაა პარტიის წევრობაო. 1) გადაიკითხეთ ამის წინა ტექსტი, 2) წაიკითხეთ Austerlitz-ი და კ. კაუცკი «*Neue Zeit*»-ში (1916 წლის 3 მარტი) და მაშინვე დაინახავთ, რომ მართალი არა ხართ. საჭიროა ჩვენ, რედაქციამ, პირდაპირ განვაცხადოთ: პარტიის წევრობასთან **შეუთავსებლად მიგვაჩნია** — მხოლოდ ასე ვახორციელებთ **სწორ** Trennungslinie **-ს **სწორედ** შოვინისტებთან, სწორედ **მარტოვთან** (+პლეხანოვი) + **აქსელროდი** და კომპანია, რომელნიც **არ დაეთანხმებიან** ჩვენს მოთხოვნას. ბუხარინი კი მოიფიქრებს **და დაეთანხმება.** დავნაძლევდეთ?

Salut. ლენინი

N. B. ხომ ვერ მიშოვით «*Chemnitzer Volksstimme*»-ს თუნდაც 2 დღით? შეეცადეთ!! თუ არასგზით არ შეიძლება, მაშინ გამომიგზავნეთ მისი მისამართი და № (ამ სტატიისა) თარიღითურთ: გამოვიწერ.

დაწერილია 1916 წლის
23 და 25 მარტს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

472

ბ. ე. ზინოვიევს

თქვენ მიერ გადმოცემული «შეუთანხმებლობის» «ისტორია» ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს. მაგალითად, ჯერ კი-

* იგულისხმება «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის თეზისები — «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 173 — 191). რედ.

** — გამმიჯნავი ხაზი. რედ.

დევ ბერნიდან წასვლის წინ და ჩვენი არა უკანასკნელი შეხვედრის დროს ჩვენ ვილაპარაკეთ ამ პუნქტზე, და მე არათუ ყურადღებით არ გისმენდით, არამედ გპასუხობდით დაწვრილებით და მრავალგზის, ამასთან თქვენ ერთი სიტყვითაც კი არ გიხსენებიათ არც მაშინ, არც მთელი თვის შემდეგ, რომ თქვენთვის საკითხი გადაუჭრელია, ულტიმატურია და ა. შ. მაგრამ, ცხადია, თუ თქვენ აუცილებლად გსურთ ესა თუ ის «კინკლაობა», მაშინ ფაქტებისთვის არა გცალიათ და მე არ ძალმიძს ხელი შეგიშალოთ. ისღა დამრჩენია, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ორი გამოსავლიდან რომელიმე ამოვირჩიო. პირველს ვირჩევ. დაუსვით ჩემი ხელმოწერა და დაბეჭდეთ ამონაბეჭდები (25) რაც შეიძლება სასწრაფოდ, ვინაიდან მემარცხენეებთან დაკავშირება ამჟამად დარჩენილ მოკლე დროში ძალიან ძნელია. თქვენი «პირადი განცხადება» დაიბეჭდება, რა თქმა უნდა, არა ცენტრალურ ორგანოში, არამედ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში», რუსულ ტექსტთან ერთად.

Salut. ლენინი

დაწერილია 1916 წლის
23 მარტზე გვიან
ზაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
შე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

473

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

ეს-ეს არის მივიღეთ თქვენი ღია ბარათი, ძალიან ვჩქარობ გიპასუხოთ: ფოსტას კეტავენ. თქვენ არც ისე კმაყოფილი ხართ «სამოვარჩიკის» მეგობართა წრით[445], ეს ბიჭები კი აღტაცებული არიან თქვენით: ასე გვწერს «სამოვარჩიკი» მათ ნათქვამს. გულწრფელად გილოცავთ **წარმატებას**

და მომავალში გისურვებთ ასეთსავე და კიდევ მეტს. თქვენ პოლიტიკა არ გაინტერესებთ, მაგრამ მაინც თანაუგრძნობთ საფრანგეთს: ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ცნობები გერმანელ სოციალისტთა შორის მომხდარ გათიშვაზე და «გერმანიის ინტერნაციონალური სოციალისტების» საქმეთა ვითარებაზე. ეს ცნობები საფრანგეთის სასარგებლოდ მეტყველებენ.

ერთხელ კიდევ მაგრად გართმევთ ხელს. გილოცავთ წარმატებას და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ოლიაც.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წლის 31 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან პარიზში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

474

ბ. ე. ზინოვიევს

მიუხედავად იმისა, რომ ვიცი თქვენი მიდრეკილება «განწყობილების სწრაფად დაცემისა» და ნერვიულობისადმი, მაინც... არ მოველოდი, რომ თქვენ დაუჯერებდით ჭორს (ვისია?) Kaltstellung*-ზე!! მე ალექსანდრეს ყველა წერილზე ვუპასუხე; **სამჯერ** ძივწერე (შესაძლოა, მე-2 წერილი დაიკარგა შვეციაში, მე-3 კი ჯერ არ ჩასულა), სასაცილოა ვილაპარაკოთ Kaltstellung-ზე, როცა ადამიანს ყოველნაირად სთხოვენ დაწეროს, ის კი უარს ამბობს (ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი მის მიერ დანიშნული «კოლეგიის» შემადგენლობაზე...) და მხოლოდ ან იმუქრება, ან ბრაზობს: «წავალ ამერიკაში»??? რას ნიშნავს ეს სიზმარი??

* ბოიკოტირება. რედ.

არც ერთი სიტყვა რუსეთში გამგზავრების შესახებ, ამერიკაზე კი ალაპარაკდა?! რასაკვირველია, როცა იგი ასეთ გუნებაზეა, მოლაპარაკება სასარგებლოა. მაგრამ ეს დროული იქნებოდა რუსეთში გამგზავრების წინ. თუმცა, ახლა საქმე შოთავებულია.

შეგპირდათ თუ არა რადეკი თეზისებს 1) თავისას — თვითგამორკვევის შესახებ და როდის? 2) მისი თეზისები მემარცხენეებზე შეპირებულია შაბათისათვის; დღეს სამშაბათია...

როდის უნდა გამოვიდეს «სოციალ-დემოკრატის» რუსული №, რომელშიც დაიბეჭდება შენიშვნა ჩხენკელის შესახებ? [446]

Salut. ლენინი

დაწერილია 1916 წლის 4 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

475

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით თეზისებს. **დამატებანი** იხ. გვ. **21** და **22** (**ისინი გერმანულადაც** უნდა ჩავურთოთ).

ალექსანდრეს შესახებ არ გეთანხმებით. თუ ვერ მოვრიგდებით (მე და თქვენ), მე თავს შევიკავებ, და თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ერთი ხმით, რომ «ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვიძახოთ».

(1) ვაჩვენოთ იგი კონფერენციაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ **დავლუპოთ** კაცი. ეს ცხადია. შვეიცასა და ნორვეგიაში რუსეთის მთავრობას არა ჰყავს ჯაშუშები, აქ კი უამრავია. მარტოვი და კომპ. ქვეყანას გააგებინებენ.

აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ, რომ იგი გამოჩნდეს კონფერენციაზე, თავს კი არ ვიკავებ, წინააღმდეგი ვარ.

(2) რუსეთში კაცს **მოითხოვს თვით ალექსანდრე** (ლუდმილას მე მივწერ).

(3) რაკი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე **ა რ** მიდის, უნდა დ ა ვ ი ც ა დ ო თ და მოვიხმოთ გამგზავრების **წინ**. თორემ ტ ყ უ ი ლ ა დ გავირჯებით.

(4) აჩქარება მით>ზედმეტია, რომ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ზ ე: იმოქმედებს **კიეველი;** დავიცადოთ, შევთანხმდეთ და სხვ. (ალექსანდრეს დაჩქარებული ამოწერით თქვენ **დაჩქარებთ** მის გადასვლას ბუხარინთან და კომპანიასთან, ვინაიდან ალექსანდრე ახლა გაბრუებულია; ხოლო თუ დავიცდით, გამოვა ცენტრალური ორგანო, დაიწყებს მიმოწერას **კიეველ ქალთან**, მე შევადგენ დოკუმენტების **კრებულს** ბუხარინისა და კომპანიის მერყეობის შესახებ; ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს დრო ექნება მოიფიქროს და დაინახოს, თუ სად, როგორ ჭაობში ეფლობიან ბ უ ხ ა რ ი ნ ი და კ ო მ პ.).

ალექსანდრეს გამოძახება ა ხ ლ ა იმას ნიშნავს, რომ ვ ე ბ რ ძ ო ლ ო თ მას ა ხ ლ ა. რატომ? რისთვის? თუ იგი არ მიდის, ჩვენ საბრძოლველი არაფერი გვაქვს. (კავშირს დავამყარებთ შემარიგებელი ჯემსის მეშვეობით და ა. შ.); (ჯემსი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა.).

როგორია რადეკის თეზისები?

№ თვითგამორკვევის შესახებ უნდა დავაყოვნოთ, **თუ** «Vorbote-ს» № 2 გამოვა კონფერენციამდე. **უალრესად** საჭიროა **დაუყოვნებლივ** უკუვაგდოთ რადეკის თეზისები. რადეკის გაშოლტვა აუცილებელია, ხოლო მის «corpore vili»*-ზე შეიძლება «ბ ე ვ რ ი რ ა მ დ ა ვ ზ ო გ ო თ» სტოკჰოლმელთა გაშოლტვაში.

უფრო ზუსტად გაიგეთ, **როდის** მიდის კედროვი? ** იგი ისევ ბერნში ხომ არ არის? მისი ცოლი ლოზანაშია?

---

* — «უმნიშვნელო სხეული». რ ე დ.

** იგულისხმება მ. ს. კედროვის მოსალოდნელი გამგზავრება რუსეთში. რ ე დ.

ბუნდელთან გირჩევთ **ძალიან** ფრთხილად იყოთ!!! Guardez-vous! *

Salut. *Lenin*

დაწერილია 1916 წლის
4 აპრილზე გვიან
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

476

გ. ე. ზინოვიევს

რასაკვირველია, დოლგოლევსკის ახლავე უნდა გავუგზავნოთ 100 frs. გაუგზავნეთ. რიაზანოვი უკვე შეგეპირდა, კაუცკის დოლგოლევსკის შესახებ მივწერო.

რიაზანოვს გრეილიხის შესახებაც ვწერ.

ძალიან გთხოვთ, რაც შეიძლება გულმოდგინედ ადევნეთ თვალყური ბიულეტენის გამოსვლას (ისე, რომ **დაუყოვნებლივ მივიღო**: უაღრესად მჭირდება, რათა ახლავე მქონდეს აქაურ მემარცხენეებთან **სასაუბროდ**). შეეცადეთ რაიმე საბაბით ჩვენი Stellungnahme **-ს კორექტურა იშოვოთ და **სასწრაფოდ** გამომიგზავნოთ.

დღეს გამოგიგზავნეთ დიდი პაკეტი.

Salut. ლენინი

---

* — ფხიზლად იყავით! რედ.

** იგულისხმება დოკუმენტი «Die Stellungnahme des Zentral — Komitees der S. D. A. P. Russlands zu der Tagesordnung der zweiten internationalen sozialistischen konferenz» (გამოქვეყნდა 1916 წლის 22 აპრილს «Bülletin I. S. K.» № 5-ში; რუსულ ენაზე დაიბეჭდა 1916 წლის 10 ივნისს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 54—55-ში სათაურით «რუსეთის ცენტრალური კომიტეტის წინადადება მე-2 სოციალისტურ [illegible] ინტერნაციონალის») (ხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. [illegible] — 22 1). რედ.

N. B. მიპასუხეთ: გაუგზავნეთ თუ არა კარპინსკებს სუხანოვი?

დაწერილია 1916 წლის 10 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

477

ბ. ლ. პიატაკოვს, ე. ბ. ბოშს, ნ. ი. ბუხარინს [447]

თქვენს წერილში ამაოდ გაურბიხართ მთავარს, ვინაიდან არ შეგიძლიათ უარყოთ ფაქტი, რომელიც მშვენივრად იცით, სახელდობრ: რომ ორგანიზაციას საფუძვლად დაედო (დროებით) ფ ე დ ე რ ა ც ი ი ს პრინციპი — ეს ყოველგვარი სიტყვებით, ცხადზე უცხადესად და მრავალგზის გვაქვს ნათქვამი. თქვენი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ამას სრულიადაც ვერ სცვლიან. და შემდეგ, რომ ეს პრინციპი არანორმალური, ანტიპარტიულია. ესეც ნათქვამი გვაქვს. მთავარიც ეს არის.

შეთანხმების ინტერესებისათვის როგორც დროებითი ღონისძიება არანორმალურობა მოსათმენი იყო. თქვენი გადასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თქვენ სამივენი შეთანხმებულხართ «თეზისებზე» [448], რომლებისთვისაც ჩვენ არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ, — ჩვენს პარტიაში მათთან მეზობლობისათვისაც კი, თანასწორუფლებიანობაზე რომ არა ვთქვათ რა — პასუხისმგებლობას ვერ ვიკისრებთ.

თუ გსურთ ეს თეზისები და ასეთი «შეთანხმება» და ფედერაცია დაკინებით დაიცვათ, ძალიან ვწუხვართ.

თქვენ გვეკითხებით თანამშრომლობის შესახებ — რომელ ჟურნალში? «კომუნისტის» გამოსვლა დროებითი შეთანხმების დარღვევის გამო შეწყდა. მაშასადამე, ახალში? ესე იგი თქვენსაში «თეზისების» ბ ა ზ ა ზ ე? ჩვენ არ შეგვიძლია ვითანამშრომლოთ და იძულებული ვიქნებით ვიბრძოლოთ მის წინააღმ-

დეგ, ვინაიდან თქვენი დამოკიდებულება პარტიის პროგრამისადმი (§ 9) მიგვაჩნია არა მარტო არასწორად და სახიანოდ, არამედ არასერიოზულადაც. მართლაც. 8 თვის განმავლობაში, რაც თქვენ ს ა მ ი ვ ე ნ ი შეთანხმდით და ერთად ცხოვრობთ, **არც ერთხელ** არ გამოსულხართ ამ საკითხზე, რომელსაც პარტიაში 12 წლის ისტორია აქვს, არ შეგიტანიათ **არც ერთი განცხადება** ცენტრალური ორგანოს რედაქციაში, **არც ერთხელ არ გიცდიათ გაგეხსენებინათ** პარტიული ლიტერატურა და ა. შ.

ასევე არასერიოზული და უარესიც: ანტიპარტიულია თქვენი მოსაზრებები «თავისუფალი» (პარტიის პროგრამისგან? პარტიის ცენტრალური დაწესებულებებისაგან?) ჟურნალის თაობაზე.

თუ გსურთ დაჟინებით დაიცვათ თეზისები, ჩვენ (1) მზად ვართ გამოვცეთ ისინი და (2) **ვალდებული** ვართ გითხრათ ჩვენი აზრი: თვითონვე გამოეცით (თუ არ გსურთ, რომ ჩვენ გამოვცეთ) და დაურთეთ სადისკუსიო ბროშურა, რომელშიც თქვენ სამივენი შეძლებდით განგემარტათ პარტიისათვის თქვენი გამოსვლის მოტივები.

P. S. თქვენ წერთ, ფულის საკითხი «არასასიამოვნოაო». ყოველთვის არა. როცა ფულს პარტიულად ეპყრობიან, პარტიას ეს სიამოვნებს. როცა ფულს პარტიის **საწინააღმდეგო** ი ა რ ა ღ ა დ აქცევენ, ეს მართლაც «არასასიამოვნოა» და უარესიც კი, ვიდრე არასასიამოვნო.

დაწერილია 1916 წლის
10 აპრილზე გვიან
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე 5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

478

ბ. ე. ზინოვიევს

დღეს გამოგიგზავნეთ ამანათი.

(1) გიგზავნით ჩვენს თეზისებს; მათში **გამოტოვებულია** მთელი ფრაზები. ძალიან გთხოვთ, **ახლავე** ჩაუმატეთ (თქვენ ხომ გაქვთ შავი) და **დაუყოვნებლივ** დამიბრუნეთ (პლატენისათვის).

(2) გაქვთ თუ არა კიდევ ეგზემპლარი? ვშიშობ, გრიმი ხომ არ მოგვატყუებს? და მაშინ ჩვენ — კონფერენციის წინ, კონფერენციაზე — არ გვექნება ჩვენი თეზისები!!

(3) ოდნავ ვყოყმანობ, ღირს კი კონფერენციაზე ჩამოვიდე? მანდატი არა მაქვს (ლატვიელთაგან) და, ალბათ, არც მექნება. «სტუმრად» კი, შესაძლოა, უხერხულიცაა, ანდა, ვინძლო, გამომაგდონ კიდეც (კონფერენციისათვის სავალდებულო არაა 1916 წლის 5—8 თებერვლის თათბირის გადაწყვეტილება) [449].

რას ფიქრობს ამაზე რადეკი?

(4) «მალავს» რადეკი Fröhlich-ს თუ არა? საჭიროა მემარცხენეთა რამდენიმე თათბირი და ფორმალური თათბირები.

(5) Fröhlich-ი და სხვ. თუკი ბერნში იცხოვრებენ, **ჩავარდებიან** (ამის თავდები ვარ), ჩვენი ვალია Fröhlich-სა და სხვებს ვუთხრათ: თუ გსურთ არ ჩავარდეთ, წადით მყუდრო ადგილას. (სადმე კონფერენციის მახლობლად გრიმმა უნდა უთხრას მათ, სად იქნება ეს); მხოლოდ მაშინ შეიძლება არ ჩავარდნენ. იქვე შეიძლება მოეწყოს მემარცხენეთა თათბირი.

მოელაპარაკეთ რადეკსა და Fröhlich-ს (სერბი* რას შვრება? თქვენ გაჩუმდით მის შესახებ) და მიპასუხეთ.

---

* იგულისხმება კაცლეროვიჩი, სერბიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელი. რედ.

(6) ლედებურელები, ესე იგი კაუცკელები უეჭველია, ჩასვრიან **მთელ** კონფერენციას!! ყველა მათ დაუწყებს ყურებას!!

რამდენი იქნება I. S. D.-საგან? **2** (Fr.+...*)?

«Internationale»-საგან?

(7) ჩვენ მარტოვსა და აქსელროდთან მანდატის გამო საბრძოლველად უნდა მოვემზადოთ. კისრულობთ თუ არა შეაგროვოთ მე-2 ნომრის ბიულეტენის მასალები **პუნქტების მიხედვით** («ნაშ გოლოს» + «თავდაცვა» + ჩხეიძისა და ჩხენკელის სიტყვები და ასე შემდეგ)? ეს **ახლავე** უნდა დავიწყოთ.

(8) ჩვენი თეზისები ფრანგულად უნდა ვთარგმნოთ (ინესა, ალბათ, დათანხმდება), თორემ გრიმი ხომ არ თარგმნის.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის
18 აპრილზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

479

გ. ე. ზინოვიევს

ექსპრესს არ გიგზავნით, ვინაიდან იგი ამაოდ გამოგაღვიძებდათ და, ჩემი ვარაუდით, არსებითად არ დააჩქარებდა მიღებას.

სავსებით გეთანხმებით, რომ **გამოვუძახოთ** ფრანგებს და შევპირდეთ 50 frs.

ბრესტელებს ურჩიეთ გაემგზავრონ ჟორჟის **მეშვეობით**: ეს საჭიროა, რათა ისინი ჯერ იმან და ჩვენ «გამოვიჭიროთ», და არა გრიმმა (თუ შესაძლებელია, აჯობებს, პარიზელებიც ასე გავამგზავროთ [450]).

* შემდეგ ხელნაწერში ერთი სიტყვა გაუშიფრავია. რ ე დ.

საბრალდებო აქტი ჯერ კიდევ ვერ წავიკითხე [451]. მოითმინეთ!

გინდათ, გამოგიგზავნით სუხანოვის ახალ ბროშურას, თუ შემპირდებით (თუნდაც $1/2$ დღით) Junius-ს * (იშოვეთ რადეკთან, ოღონდ ჩემზე **ნუ იტყვით**). არც პლატენს აქვს, არც ნობსს.

ს ა ქ მ ი ს ა თ ვ ი ს არქისასარგებლოა, რომ ალექსანდრემ ჯერჯერობით იმუშაოს ინგლისში. ახლა რუსეთში **საშიშია**, ტყუილად დავღუპავთ საქმიან კაცს (შვეციაშიც და რუსეთშიც). აქ ახლა საზიანოა, ვინაიდან ის და თქვენ თავს ვერ შეიკავებთ და კონფერენციაზე ტყუილუბრალოდ **სახელს გავუტეხთ** ფრიად საჭირო ადამიანს. გარდა ამისა, 1 — 2 თვის შემდეგ იგი უფრო სასარგებლო იქნება რუსეთში, ხოლო მანამდე ბევრი **მნიშვნელოვანი** რამ გამოარკვევა და გამომჟღავნდება.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. იგი მხოლოდ ინგლისში მუშაობით «დაისვენებს», ოორემ უსაქმოდ ტყუილად იქანცება.

NB: P. S. თუ გრიმი პროტესტს არ დაბეჭდავს, ეს **ახლავე** უნდა გავიგოთ და თვითონვე **დავბეჭდოთ**, ოღონდ **ტექსტი შევცვალოთ** [452].

P. P. S. სად არის და **როდის იქნება** რადეკის სხვა თეზისები ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის შესათანხმებლად???

დაწერილია 1916 წლის
18 აპრილზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება ბროშურა: Junius (Luxemburg). «Die Krise der Sozialdemokratie». Zürich, 1916 (იუნიუსი (ლუქსემბურგი). «სოციალ-დემოკრატიის კრიზისი». ციურიხი, 1916). რ ე დ.

480

გ. ე. ზინოვიევს

(1) «Vorbote», ცხადია, კონფერენციამდე ვერ გამოვა. საჭიროა **ახლავე** შ ე ვ უ კ ვ ე თ ო თ, რომ ჩვენი თეზისები **რაც შეიძლება მეტი** დაბეჭდონ. რაც შეიძლება მალე.

(2) თეზისებში გერმანული დამატებანი ჩაურთეთ თუ არა?

(3) მ ე რა მასალები უნდა შევაგროვო, **არ ვიცი.** თქვენ უნდა შეაგროვოთ, ხოლო ის, რაც გვაკლია, მომწერეთ. სხვანაირად არაფერი გამოვა.

(4) მარტოვის წინააღმდეგ პროტესტის კორექტურა გამომიგზავნეთ.

(5) სკანდინავიელებზე არაფერი არ ვიცი[453]. ორჯერ მივწერე კოლონტაის. სტოკჰოლმის ამბების შემდეგ იმედები მცირეა.

(6) ჩემი პირადი ფინანსები ჯერჯერობით არც ისე უიმედოა: საიდან მოდის ეს «ცრუ ხმები»???

(7) მიიღეთ თუ არა ამანათი?

(8) გერმანულ თეზისებს გამომიგზავნით თუ არა (შესწორებულ ეგზემპლარს), რაც მე გამოგიგზავნეთ?

(9) პარასკევს ვერ ჩამოვალ. სამუშაო ბევრია და ძალიან ვაგვიანებ.

რაკი რადეკს თეზისები არა აქვს და მასთან შეთანხმება (ანექსიებისა და თვითგამორკვევის უფლების საკითხი) უიმედოა, მაშინ «ბიურო» **ჯერჯერობით** უსარგებლოა. იგი სასარგებლო იქნება კონფერენციის მე-2 დღეს, საღამოს, როცა განისაზღვრება შემადგენლობა.

(10) არ შეგიძლიათ მისამართი უფრო ზუსტად მიმითითოთ, და არა მხოლოდ სოფლის დასახელება, რაც თქვენ მომეცით?[454]

მარტოვთან საომრად მასალების შეგროვება ძალიან მნიშვნელოვანია.

ხელი მოჰკიდეთ უფრო აკურატულად და ცოტა ადრე, თორემ ვერ ვიპოვით იმას, რაც გვაკლია.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 18 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

481

ბ. ე. ზინოვიევს

რადეკს არავითარი საფუძველი არა აქვს ნაწყენი იყოს, და მას მშვიდად და საფუძვლიანად უნდა აუხსნათ ეს. თქვენ რაც შეიძლება მალე (მე ნუ დამელოდებით) უნდა მოეთათბიროთ მას (რათა გაუქარვოთ «წყენა») — თქვენ სავსებით შეგიძლიათ წარმოადგენდეთ ცენტრალურ კომიტეტს ამ თათბირზე, ისევე როგორც საერთოდ წარმოადგენთ ცენტრალურ კომიტეტს ბერნში. იმის შესახებ, რომ თქვენ ეთათბირებით რადეკს თეზისების თაობაზე, ჩვენ უკვე დიდი ხანია გვაქვს მიწერ-მოწერა.

საქმის ვითარება ისეთივეა, როგორც ციმერვალდის წინ იყო: ჩვენ გვაქვს საკუთარი «რეზოლუციები», მაგრამ მემარცხენეთა ბლოკზე უარს სრულიადაც არ ვამბობთ.

შეეცდები ჩამოვიდე პირდაპირ Kiental-ში (შეეცადეთ გაიგოთ სასტუმროს სახელწოდება — იქ სულ ორი — სამია).

საშინლად აღშფოთებული ვარ, რომ Junius-ი არ მიმიღია!

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 18 და
24 აპრილს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

ბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

482

გ. ე. ზინოვიევს

ესერებს უ ა რ ი თ ვუპასუხოთ. «არ შეგვიძლია ვურჩიოთ გაერთიანება». მოგცეს თუ არა მათ პასუხისათვის მისამართი? (აუცილებლად დაიტოვეთ ასლი.)

ალექსანდრეს ვწერ, მაგრამ, რასაკვირველია, არა ისე, როგორც თქვენ «გადაასხვაფერეთ» ჩვენი შეთანხმება, არამედ ისე, როგორც იყო: (1) ძველი ხელშეკრულება უქმდება: (2) ცენტრალური ორგანოს რედაქცია ახორციელებს რედაქტირებას, უ თ ა ნ ხ მ დ ე ბ ა რა გ ა მ ო მ ც ე მ ლ ე ბ ს ყოველ წიგნზე; (3) გამოიცემა ბერნში *.

წერილი ამხანაგებისადმი 25 — 29 აპრილის კონფერენციის შესახებ თქვენ დაწერეთ [455], თქვენ უფრო მეტი მასალა გაქვთ (სხვათა შორის: თუ კაცი ხარ, გამომიგზავნე ჩემი და რადეკის საერთო რეზოლუცია, რომელიც მან წაიკითხა პლენუმზე: ძალიან გვჭირდება, მე კი არა მაქვს).

ამავე წერილიდან, იქნებ, შეადგინოთ მიმართვის პროექტი ფრანგებისათვის (რაზეც ჩვენ ველაპარაკეთ ინესას), მე **არ** გამომდის.

წინადადება მივეცით მეიერსა და კომპანიას Erweiterten Kommission-ზე ხმა მისცენ Leitsätze-ს? ** [456]

ლოზანასა და ჟენევაში ა რ წავიღებ რეფერატს კონფერენციის შესახებ, ასე რომ თქვენ ეს ხელს არ შეგიშლით [457].

ცენტრალური ორგანოს №-ზე კონფერენციის შესახებ გეთანხმებით [458]. გამომიგზავნეთ სტატიების განაწილება. აუცილებლად უნდა გვქონდეს მასალა, თუ როგორ მოატყუა მარტოვმა ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი.

რიბალკა **არ** მიმიღია.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

---

* იგულისხმება ჟურნალ «კომუნისტის» გამოცემის გაგრძელების პირობები. რ ე დ.

** — თეზისები. რ ე დ.

NB P. S. ნათანსონმა მითხრა, რომ ისინი ფიქრობენ «დაუახლოვდნენ» **იმ** «ობორონცებს», რომლებიც ამბობენ: ჯერ რევოლუცია, შემდეგ თავდაცვა—ჰკითხეთ მას (პასუხში), ხომ არ მოისურვებს შეგვატყობინოს მათი ამ მოლაპარაკების შედეგი?

დაწერილია 1916 წლის 2 მაისსა და 2 ივნისს შორის
ჟაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

483

ა. გ. შლიაპნიკოვს

16. V. 1916. ძვირფასო ალექსანდრე! **ჩემს** წერილში * პირობები დიპლომატიისა და ვაჭრობისათვის კი არ იყო წამოყენებული, არამედ როგორც უკანასკნელი ცდა. რამდენადაც ეს პირობები მთლიანად მიღებული არაა, მე მიმაჩნია, რომ შეთანხმება არ მოხდა. ეს უკვე საბოლოოა. ამაზე მეტის თქმა და წერა უნაყოფოა. ესენი ჩემს ყველაზე ცუდ ვარაუდებს ადასტურებენ: სურთ ამოეფარონ რადეკს, არ იმუშაონ დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობა დამაკისრონ მე!!

მორჩა!

თქვენს გამგზავრებაზე დაწვრილებით მოიწერეთ. ნუთუ არსად არ არის სამუშაო სკანდინავიაში? დაუჯერებელია.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 450—452. რედ.

უფრო დაწვრილებით ამ დღეებში მოგწერთ. ნადიამ ბევრჯერ მისწერა გამგზავნ კომისიას[459] და უპასუხეს, რომ თქვენ ყველაფერი გამოგიგზავნეს.

კიდევ გწერთ.

საუკეთესო სალამი. თქვენი ლენინი

გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

484

გ. ე. ზინოვიევს

უსათუოდ საჭიროა **ერთხელ** კიდევ გავუგზავნოთ **თვით** ტექსტი კამენევს და მის პასუხს **დაველოდოთ,** ასევე წერილობითს, და არა მხოლოდ ტელეგრაფულს[460]. საქმე ძალიან მნიშვნელოვანია, ოდნავი გაუფრთხილებლობაც კი საზიანოა. სჯობს გვიან, მაგრამ სოლიდურად.

არ შეიძლება გამოვუშვათ № 0 Kiental-ზე, თუ არ დავბეჭდეთ **ჩვენი** Stellungnahme **ბიულეტენიდან.**

დაწერილია 1916 წლის
17 მაისზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

485

გ. ე. ზინოვიევს

იაპონელთა შესახებ თქვენ 1000-გზის არა ხართ მართალი. დაე გამოსცენ ცალკე თავიანთი სახელით. ამ

სისულელისათვის პასუხისმგებლობა **ჩვენ** არ უნდა დაგვეკისროს: დაე თვითონ აგონ პასუხი. მე **მხარს ვუჭერ** დისკუსიას, მაგრამ არა ხელშეკრულებას «იმპერიალისტურ ეკონომისტთა» რ ე დ ა ქ ც ი ა ს თ ა ნ, და ა რ ა ს გ ზ ი თ არ ვითანამშრომლებ ასეთ ჟურნალში, როგორც უკვე მრავალჯერ მითქვამს.

საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. საჯანჯლო არაფერია. უნდა გამოვაცხადოთ, რომ გამოვცემთ «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას».

რაც შეეხება გამგზავნ კომისიას, საჭირო არაა აქ გადმოვიყვანოთ. აქ ხალხი არა გვყავს, ბერნში კი არიან: ზინა+ინესა (როგორ **დაუშვით** თქვენ მისი წასვლა?? მიკვირს!!)+შკლოვსკი + ილინი + კარპინსკი + კასპაროვი. უნდა დავრაზმოთ ისინი და არავის არ მივცეთ ნება წავიდეს.

ძალიან მსურს ვიღებდე «Avanti!»-ს, ვინაიდან აქ მხოლოდ ბიბლიოთეკაში ვნახულობ. თქვენ რომ მწერთ, ის არ მინახავს.

არ უნდა შევპირდეთ ა — ნდრეს 100 — 150 frs [461]. შეპირებით შევპირდებით და ფული კი არ გვექნება («დავაწვეთ ჯგუფებს» — მხოლოდ სიტყვებია). ნახევარწლიანი გამგზავრება მხოლოდ სასარგებლო იქნება, ვინაიდან იგი ამაზე ადრე მაინც ვერ გაემგზავრება შინ, ხოლო ნორვეგია მარტოოდენ საჭორაო ადგილია.

Stellungnahme აუცილებლად უნდა მოვათავსოთ, ვინაიდან მანიფესტი და სხვა ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ც უ დ ი ა. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ, როგორც ადრე და უ ფ რ ო ზ უ ს ტ ა დ ვთქვით მ თ ლ ი ა ნ ა დ. ეს სტატიაზე უფრო საჭიროა. რამდენი ადგილი უკავია დოკუმენტებს (მანიფესტი+თეზისები + რეზოლუცია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს შესახებ)? [462] მოიწერეთ ზუსტად.

მასალებს ამ დღეებში გამოგიგზავნით.

მაშ, სუხანოვი გაგზავნეთ? როგორც იქნა, უპასუხეთ... 20 შეკითხვის შემდეგ! ისე გამოცა თქვენმა აკურატულობამ, რომ ამაზე ცალკე ვწერ მინინს: ვაშა! [463]

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

მივიღე «Demain»-ი კონფერენციის შესახებ [464]. გაქვთ?

P. S. მინინი გვთავაზობს გამოვცეთ საერთაშორისო კონ-გრესების გადაწყვეტილებათა კრებული [465]. უკვე გვაქვს 300 ეგზ. (70 გვ.) 1904 წლამდე. დავუმატოთ (მივაწებოთ) 1904 — 1912 და წინასიტყვაობა. თითოეული 50 სანტიმად გავყიდოთ. ხარჯები უეჭველად ანაზღაურდება.

მე მომხრე ვარ. მიპასუხეთ.

დაწერილია 1916 წლის 17 მაისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

486

ა. გ. შლიაპნიკოვს

ძვირფასო ა.! მივიღე თქვენი ნერვიული წერილი [466] და ვჩქარობ დაუყოვნებლივ გიპასუხოთ. თქვენ, ჩანს, ძალიან ინერვიულეთ. ამაოდ. ყველაფერი გამოგიგზავნეთ. თუ არ მი-გიღიათ, ეტყობა, ცენზურამ არ გაუშვა. ზინა გვარწმუნებს, ყველაფერი გავგზავნეო; ეტყობა, გამოგზავნა.

თუ ცენზურა არ უშვებს, უნდა იქონიოთ მოთმინება, მოთ-მინება და სიმტკიცე. დაელოდეთ კიდევ ნ. კ.-ს წერილს.

მასალები წავიკითხე [467]. ბევრი მშვენიერია. განსაკუთრე-ბით კარგია სტატია სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების შე-სახებ. საერთოდ ძალიან დიდი საქმე გააკეთა ამ მასალების

შემკრებმა: გადაეცით ჩემი უგულითადესი სალამი და სხვა. ა. შ.

მე უკვე მოგწერეთ და ახლაც გიდასტურებ, რომ აუცილებლად საჭიროა შევწყვიტოთ ყველა მოლაპარაკება იაპონელებსა და კომპანიასთან. წელიწადი (!!) გავიდა «უთანხმოებათა» შემდეგ, ესენი კი არ ფიქრობდნენ, არ მუშაობდნენ, მხოლოდ სხვებს ეფარებოდნენ და ჭორაობდნენ. უკეთუ მათ დღემდე არ გაუგიათ, რომ ეს უნამუსობაა (გადმოგვაკისრონ ჩვენ პასუხისმგებლობა, ვინაიდან პასუხს მე ვაგებ, თუკი დაკავშირებული ვარ არქიუთავბოლო შეხედულებათა რედაქციასთან), მაშინ ისინი უიმედონი არიან. ხოლო თუ სურთ «იბეჭდებოდნენ» და **თვითონ** კისრულობდნენ პასუხისმგებლობას, — დაე თვითონ დაბეჭდონ ბროშურა, ფული აქვთ; სხვების მაგივრად ნუ იმალებიან. დაე **თვითონ** მოგვცენ სტატია ცენტრალური ორგანოსათვის — მოვათავსებთ!!

სერიოზულად უნდა ვიფიქროთ ბელენინზე[468], ძალიან გთხოვთ, იფიქრეთ. იაპონელებს აშკარად არ ძალუძთ იმუშაონ ტრანსპორტის საკითხზე. არის თუ არა კიდევ სხვა ვინმე იმ ქალაქში,* სადაც ამას წინათ იყო ბელენინი? ხომ არ შეუძლია მას მიანდოს საქმე ვინმე უცხოელს (ისინი რუსებს სჯობნიან; თუ აუჩქარებელი არიან, სამაგიეროდ უფრო საიმედონი)? თუ ბელენინი გაემგზავრება, სულ დიდი ½ წლით. მაგრამ სჯობს ვუშოვოთ სამუშაო კოპენჰაგენში: ალბათ, შესაძლებელია. რამდენი სჭირდება ბელენინს საცხოვრებლად თვეში? მიპასუხეთ. დაივიწყეთ ყოველივე პირადი და იფიქრეთ საქმის თვალსაზრისით, რაც შეიძლება კარგად მოვაწყოთ ბელენინი ½ წლით. გულახდილად გეტყვით: იაპონელთა შორის იგი ამაოდ მოიშლის ნერვებს, ფუყეა და მავნე ხალხია, გეფიცებით! მაგრად გართმევთ ხელს და

* იგულისხმება ჭ. ქრისტიანია (ოსლო). რედ.

გთხოვთ ორიოდე სიტყვით მაინც მიპასუხოთ დაუყოვნებლივ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 19 მაისს
გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

487

გ. ე. ზინოვიევს

«Demain»-ს გამოგიგზავნით.

Stellungnahme-ს * დაჟინებით მოვითხოვ.

კრებულზე (საერთაშორისო კონგრესებისა) არ გეთანხმეშით, ვინაიდან, **ბაზელის** რეზოლუცია, მაგალითად, **არა გვაქვს.** ზარჯები რომ ანაზღაურდება, ეს უეჭველია. სასარგებლო იქნება ტყვეებისთვისაც, და პარტიული მუშაკებისთვისაც.

(ზინა + ინ. ** და ა. შ.)

თუ ინესა არ წასულა გამგზავნი კომისიიდან, მაშინ სასაცილოა ვთქვათ, რომ ბერნი ვერ მოაგვარებს გაგზავნას, მართლაც სასაცილოა. ალექსანდრე გაცოფებულია, რომ არაფერს არ იღებს. ს ა ჭ ი რ ო ა ერთხელ კიდევ გავუგზავნოთ დაზღვეული და შემდგომაც ასევე ვგზავნოთ.

იაპონელთა შესახებ თქვენ განსაკუთრებით არა ხართ მართალი. არ გსურთ გაიგოთ, რომ ისინი დისკუსიას თავს არიდებდენ, პასუხისმგებლობას მაკისრებენ მე და ფლიდურად ეფარებიან რადეკს. სურთ დისკუსია — დაბეჭდონ ბროშურა (თ ვ ი თ ო ნ ვ ე გვიპასუხონ!!) ანდა მოგცენ სტატია

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 485. რ ე დ.

** ინესა. რ ე დ.

ცენტრალური ორგანოსათვის — მ ო ვ ა თ ა ვ ს ე ბ თ! წელიწადია ეს არამზადები თვალთმაქცობენ, თქვენ კი მერყეობთ და თავზე ხელს უსვამთ. ტყუილად. მე მათ რედაქციაში და მათ კრებულში ა რ ვითანამშრომლებ და ვიმეორებ ჩემს წინადადებას: ამ უხამსობას ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო.

რაც შეეხება «ა.-ს გარანტირებას $1/2$ წლით», გამოვარკვევ, რამდენი უნდა მას ფული.* ამას თვალზომით ვერ გადაწყვეტ. «სამოგზაუროდ» და $1/2$ წლით საცხოვრებლად ა რ ეყოფა; ეს ჩანს ე რ თ ი გამგზავრებიდან. ტრანსპორტი უმისოდ მიდიოდა და ივლის მისი აგენტების მეშვეობით. და, რაკი იგი შინ არ მიდის, უფრო სასარგებლოა წავიდეს $1/2$ წლით ამერიკაში, ვიდრე უსაქმოდ იჯდეს უსაქმურ არამზადებთან და ნერვიულობდეს.

ჭორიკანები და კომპანია ჯანმრთელ კაცსაც კი დააჭლექებენ, ხოლო თქვენი გეგმები საქმეს კი არ შველიან, არამედ ვნებენ.

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 19 მაისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

488

ბ. ე. ზინოვიევს

იურის წერილმა ძალიან პესიმისტურ გუნებაზე დამაყენა... თაღლითურია[469].

თქვენს შესწორებებს არ ვეთანხმები და ამიტომ გადავწყვიტე ჯერჯერობით უიმათოდ გავუგზავნო წერილი ალექსან-

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 485. რ ე დ.

დრეს * (ვინაიდან საერთოდ ვაჭრობა მცირედით არ უნდა დაიწყო, რაკი ეს ვაჭრუკანები ყველაფერს ჩარჩულად უდგებიან).

დათმობით კი მზად ვარ დავთმო მხოლოდ დისკუსიებში და შემოსავლებში.

ფირმის შეცვლა აუცილებელია, ვინაიდან ხასიათი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ სულ სხვაა (არა ის, რაც «კომუნისტს» სურდა): გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული მოსაზრებებიც ფირმის გამოცვლას გვიკარნახებენ.

რედაქციაში ალექსანდრეს ვერ შევიყვანთ: ეს ნიშნავს, რომ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი სათუო გავხადოთ და ურთიერთობა გ ა ვ ი ფ უ ჭ ო თ ა.-სთან. ეს ძალიან საზიანოა.

საქმე **მხოლოდ** მაშინ აეწყობა, თუ ჩვენ **აქ** გვყავს უმრავლესობა. სხვანაირად **ყოველივე უსარგებლოა.**

(თუ სილვუპლე იურის მოიცილებს, ესეც არაა ცუდი; მაგრამ საეჭვოა).

გამომიგზავნეთ «ნ ა შ გ ო ლ ო ს», რომელშიც გამოქვეყნებულია მარტოვისა და კომპანიის განცხადება [470].

Salut. ლ ე ნ ი ნ ი

ვჩქარობ, ჯერჯერობით ეს იკმარეთ.

დრო არა მაქვს ფოსტაში გასაგზავნად.

ნადია გვთავაზობს 2 რედაქციას: გაფართოებულს და ვიწროს (მე და თქვენ + ბუხარინი). მაგრამ ეს არ გამოდის.

დაწერილია 1916 წლის 24 მაისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 454 — 457. რ ე დ

489

ა. გ. ᲨᲚᲘᲐᲞᲜᲘᲙᲝᲕᲡ

ძვირფასო ა.!

გიგზავნით იაპონელთა პროექტს. ეტყობა, მაგათ ვერ მოვურიგდებით.

გიპასუხებთ მოკლედ:

ხაზგადასმულს აბსოლუტურად არ ვღებულობ.

დათმობით კი მზად ვარ დაეთმო.

(1) რედაქციაში 7-ის,

(2) ცენტრალური კომიტეტისათვის ნორმის 15%-ის,

(3) გამოცემის ადგილის გამო.

თუკი მოვრიგდებით დანარჩენში, სახელდობრ:

(1) მე-6-სა და მე-7-ს კოოპტაციით შეიყვანს ცენტრალური ორგანოს რედაქცია,

(2) კრებულის სახელწოდება ახალია,

(3) შეთანხმება ერთ კრებულზე.

რაც შეეხება ტრანსპორტსა და სხვ., ვიმედოვნებ, თქვენ შეადგენთ ხელშეკრულების დამატებას და ჩაურთავთ (მათ აუცილებლად უნდა მოგვცენ ტრანსპორტისათვის, და ეს აუცილებლად უნდა ჩაუმატოთ; უამისოდ თქვენ ვერ იმუშავებთ, და უაღრეს სისაძაგლედ მიმაჩნია, თუ კაპიტალისტები, «საკუთარ» ფულს რომ იძლევიან, მთავარ ორგანიზატორს არ მისცემენ საარსებო სახსრებს. ეს უაღრესი სისაძაგლეა! მე ამას ვერ ვიზამ!).

თქვენს კითხვებზე ნადიამ გიპასუხათ (მე რეფერატის წასაკითხად მივდიოდი). ვიმედოვნებ, ყველაფერზე გიპასუხათ? თუ არა, მომწერეთ!

კულაკებს მოთმინებით მოეკიდეთ, ტყუილუბრალოდ ნუ ღელავთ, არა ღირს!

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

NB: ძალიან გთხოვთ, დამიბრუნეთ ხელშეკრულების ტექსტის ეს ეგზემპლარი.

დაწერილია 1916 წლის 3 და
6 ივნისს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

490

გ. ე. ზინოვიევს

ცხადია, რომ იაპონელებმა **არაფერიც** არ დათმეს. მე მივწერე ან-დრეს, *, რომ მზად ვარ დავთმო (1) 7-ის (7, და არა 6); (2) 15%-ის; (3) გამოცემის ადგილის გამო, **თუკი** მოვრიგდებით დანარჩენში, სახელდობრ (1) ცენტრალური ორგანოს რედაქცია კოოპტაციით შეიყვანეს მე-6-სა და მე-7-ს (უამისოდ აშკარა თაღლითობაა; და თუ აქ რედაქციაში უმრავლესობა არ გვეყოლება, არც უნდა მოვკიდოთ ხელი); (2) კრებულის სახელწოდება ახალია; (3) შეთანხმება 1 კრებულზე.

ხაზგადასმული უნდა ამოვიღოთ: არც 2-ს, არც 3-ს არ უნდა მიეცეს უფლება «მოაწყოს» თანამშრომლის დისკუსია. ამას მოვითხოვ ულტიმატურად.

ვთხოვ ა.-ს დაუმატოს § ტრანსპორტზე და სხვ.

მაგრამ, ეტყობა, ამ ჩხუბისთავებს ვერ მოვურიგდებით.

Salut. ლენინი

დაწერილია 1916 წლის 6 ივნისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იხ. წინა წერილი. რედ.

491

ბ. ე. ზინოვიევს

როგორც ჩანს, ახლა, ალექსანდრემაც კი დაინახა[471], რომ ი. *-სა და კომპანიას ვერ მოეურიგდებით.

წინადადება შემომაქვს

(1) გადავწყვიტოთ ჩვენი კრებული გამოვუშვათ (სბ. ს-დ);

(2) ახლავე შევადგინოთ სტატიების სია;

(3) მოვიწვიოთ ბუხ. + იურ. + ა. მ.** + საფ. + ვარინი. აწყობა ახლავე დავიწყოთ.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 17 და
25 ივნისს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

492

ბ. ე. ზინოვიევს

(1) გრიშას მივწერთ, რომ შესთავაზოს მესტამბეს გამოსცეს «სბორნიკ «ს-დ»»-ს **ნაწილი** (ან ნაკვეთი). კარგი საქმე იქნებოდა. შეიძლებოდა შეგვერჩია იქ დასაბეჭდად ცენზურული (ფრანგული თვალსაზრისით) სტატიები. ამის შესახებ თქვენც მისწერეთ.

---

* გ. ლ. პიატაკოვი. რ ე დ.

** ა. მ. კოლონტაი. რ ე დ.

ხომ არ ამ-ზადებენ საკუთარ კრებულს?

(2) რადეკის კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია «Bruch» * ბუხარინთან და ლიალინთან, **არ უნდა** ვუპასუ-ხოთ, ჯერ საჭიროა შევთანხმდეთ, გაქვთ თუ არა ცენტრალური ორ-განოს რედაქციის წერილის ასლი (1915 წლის დამლევს — ბუხარი-ნისა და კომპანიისადმი)? [472]

პირდაპირ სისა-ძაგლეა დაიმალო იურის გულისა-თვის თვითგამო-რკვევის საკითხ-ზე.

(3) რუსეთიდან (ცენტრალური კომიტეტის ბიუროდან) იწერებიან, რომ ბუხარინი და კომპ. ცდილობენ **დაამყარონ კავშირი** პეტერბურგის კომიტეტთან, ბიუროს გვერდის ავ-ლით [473]. ყოჩაღ, არა? ისინი არათუ «ატყობინებენ» რადეკს, როგორც თქვენ იწერებით, არამედ რაღაც უარესსაც შვრე-ბიან.

(4) «Neue Zeit»-დან პასუხი მოვიდა **freie Exemplare** ** აკრძალულია. მე გამოვიწერ 1/4 წლით.

(5) რა თემებს იღებთ რუსული გამოც.-თვის? ||| NB

(6) ველოდები პასუხს, თუ რამდენი გვაქვს ახლა **ზუსტად** მასალა «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატასათვის»».

(7) რა უცნაურია, რომ გრიშა და ვარინი იწერებიან «კო-მუნისტის» და არა «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატას»» შესახებ.

(8) «Bruderorgan» ***-ის რა სტატიაა «Berner Tagwacht»-ში?

გამომიგზავნეთ!!

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის
20 ივნისზე ციურიხიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* — «გათიშეა». რ ე დ.

** — უფასო ეგზემპლარები. რ ე დ.

*** — «ძმათა ორგანო». რ ე დ.

493

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

როგორც იქნა, დავიჭირე პლატენი: ამბობს, უიმედოაო. გილბოც ამასვე ეუბნება ოლღას (მას შემდეგ, რაც ძებნას შეეცადა). ნადია ამბობს, მისი ყ ვ ე ლ ა პასპორტი უვარგისიაო. მაშასადამე, მხოლოდ თქვენ უნდა მისწეროთ ოლღასა და სხვებს და ეძებოთ რუსი.

რაც შეეხება გერმანიის საელჩოს, გუშინ პოლონელმა ქალმა უთხრა ნადიას, რომ ახლა არავის ა რ აძლევენ ვავლის უფლებასო. სამწუხაროა!

თქვენ დაგავიწყდათ გამოგეგზავნათ (1) საზღვარგარეთის ორგანიზაციების კომიტეტის რეზოლუცია პოლონური გაზეთის («გაზეტა რობოტნიჩა» *) შესახებ, (2) გრიშას წერილები პარიზის საქმეებზე, ბრიზონის მოხსენებაზე [474] და სხვ. და სხვ. და ა. შ.

Salutations amicales **. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 4 ივლისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

494

გ. ე. ზინოვიევს

ძალიან, ძალიან გამახარა თქვენმა შედგენილმა კრებულის **ჯეგმამ** [475]. **მართლაც, არა** ღირს დავიშუროთ 2000 frs (რაღაც შემოსავალი იქნება და ჩ ვ ე ნ დ ა გ ვ რ ჩ ე ბ ა, და **არა** ჯულაკებს), რომ არ წავიჩხუბოთ და არ მოვიშალოთ ნერვები

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 192 — 196. რ ე დ.
** — მეგობრული სალამი. რ ე დ.

ამ სრულიად უნამუსო ხალხთან. ესენი კი, თუ საკადრისს ვუჩვენებთ, დაჭკვიანდებიან, გეფიცებით.

სავსებით გეთანხმებით, რომ ბუხარინს (და იურის) **ფორმალურად** უნდა შევთავაზოთ ახლავე მოგვცენ სადისკუსიო სტატია თვითგამორკვევის შესახებ. მოვათავსოთ. ხომ არ მისწერთ მათ? მე ახლა ბუხარინზეც ისე ვარ გაბრაზებული, რომ ვერ მივწერ. ახლავე მისწერეთ. ბუხარინს კიდევ: ჰიოგლუნდისა და ნორვეგიელთა გაფიცვის შესახებ.

მაგრამ საჭიროა რაც შეიძლება მკაცრად განვსაზღვროთ ზომა სხვებისთვისაც და ჩვენთვისაც. აუცილებელია!!

სავსებით გეთანხმებით იმაშიც, რომ უნდა მოვათავსოთ რადეკის თეზისები.

მინდოდა დამეწერა თვითგამორკვევაზე, — Junius-ზე **და** მარცხმოსურნეობაზე (+«იმპერიალიზმი და ოპორტუნიზმი» + ჩხეიძის ფრაქციაზე).

ვარინის სტატია ახლავე უნდა გამოვითხოვოთ. ხომ არ შევუკვეთოთ მას კიდევ ირლანდიის შესახებ? კარგი იქნებოდა!

ჟორჟსა და ტინსკის უნდა (პირობითად მეორეს) შევუკვეთოთ რაიმე: უნდა წავახალისოთ ახალგაზრდობა.

«ინტერნაციონალის» შესახებ სჯობს 3—4 მოკლე სტატია და მცირე **შესავალი** რედაქციის სახელით[476].

მოდით, უფრო დაწვრილებით შევთანხმდეთ ზომის თაობაზე.

ყოველნაირი სალამი! ლენინი

დაწერილია 1916 წლის 4 ივლისს
გაგზავნილია ციურიხიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

495

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ნადიას პასპორტები* სრულიად უვარგისია. (იგი შეუძლოდაა; ავდარია, მთაში არ წაისვლება.) თქვენ მთხოვთ გირჩიოთ გრაბერის შესახებ. ჩემი აზრით, არც რედაქციის შემადგენლობის, არც ჩვენი სტატიების აუცილებლად მოთავსების შესახებ მას არ უნდა მოელაპარაკოთ (მას შემდეგ, რაც ასე მოგვატყუა 1915 წელს[477]), ვინაიდან ამით ახლა თავი მოგვეჭრებოდა. თუ ხანგრძლივი, მრავალი თვის თანამშრომლობის გამოცდილება არ გვექნა (თქვენი ან აბრამოვიჩის ანდა ორივესი ერთად — მუდმივად, ზოგიერთი მათგანისა — შემთხვევით) — უამისოდ, ჩემი აზრით, სერიოზულ შეთანხმებაზე ლაპარაკიც კი არა ღირს. ახლა საჭიროა 10-ჯერ «მოშინჯო ფონი» და მერე «შესტოპო წყალში».

წერილები ანკეტის შესახებ ტყვეებს არ მიუღიათ. მალინოვსკის ერთხელ მივწერე და უმარტივესი პროგრამა შევთავაზე: საცხოვრებელი ადგილი; მოსაქმეობა; ასაკი; მდგომარეობა რეწვაში; დამოკიდებულება ომისადმი და ა. შ. პასუხი არ მიმიღია: ცხადია, ცენზურა არ უშვებს! პოპოვს ჩემი და ნადიას სახელით სალამი გადაეცით. მოახერხებთ თუ არა პირდაპირ ან ვინმეს მეშვეობით გაუგზავნოთ მას ორცხობილა და ა. შ.?

გართმევთ ხელს და გულითადად მოგესალმებით! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 7 ივლისს
გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება დოკუმენტები, რომლებსაც ნ. კ. კრუპსკაია შოულობდა ი. თ. არმანდისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ მას განზრახული ჰქონდა წასულიყო ნორვეგიაში. რ ე დ.

496

ი. თ. არმანდს

ინესას

ძვირფასო მეგობარო! რაც შეეხება მიწერ-მოწერას, თავს გავართმევთ.

ვილბოს შესახებ არ ვიცი, რა გითხრა. ჩემთვის გაუგებარია გეგმა: ვინ არის რედაქციაში? (ვილბო + ??) ვილბო **ძალიან** უხეიროა და ყველაფერს გააფუჭებს (ვშიშობ!)...

რა უნდა მქონდეს საწინააღმდეგო კრებულში თქვენი სტატიის მოთავსების თაობაზე? * მხოლოდ ის, რომ თანახმა ვარ.

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რა უცნაურია, რომ რადეკი არ გპასუხობთ? არ მესმის.

გრიგოლს ხომ პასუხობს, ჰა?

დაწერილია 1916 წლის 20 ივლისს
გაგზავნილია ციურიხიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

497

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით ხელნაწერებს და შენიშვნებს თქვენს სტატიაზე (იგი უზომოდ ვრცელია. შე-უ-ძლე-ბე-ლი-ა...) და ვარინის სტატიის შემოკლებას (მან მ ო მ ც ა უფლება შემემოკლებინა «არასამხედრო აბზაცები» და ზოგადი მსჯელობანი. ჩემი აზრით, იგი კ ი დ ე ვ უნდა შემოკლდეს).

* ალბათ, იგულისხმება ი. თ. არმანდის სტატია «ვინ გადაიხდის ომისათვის?». სტატია არ დაბეჭდილა. რ ე დ.

გამოდის, თითქოს, რაღაც უზომო. ეს საშინელებაა. არ ვიცი, რა ვქნათ. ამასთან საჭიროა დავწეროთ აგრეთვე ოპორტუნიზმზე (1/2 მზად მაქვს), მარცხმოსურნეობასა და ტროცკიზმზე (მათ შორის სათათბიროს ფრაქცია + P. S. D.) [478]

რაც შეიძლება მალე და ზუსტად დაიანგარიშეთ, უკვე რამდენი გვაქვს.

იტალიური ამონაჭრები, მგონია, დაგიბრუნეთ. თუ არ დამიბრუნებია, ეტყობა, ციურიხში დავტოვე და იქ ჩასვლამდე ვერ ვიშოვით.

ბუხარინისა და კომპანიის შესახებ საჭიროა ჯგუფებს (+ რადეკს??) კონფიდენციალურად გავუგზავნოთ ცენტრალური ორგანოს წერილი, რომ იგი უარზეა (სხვანაირად ბუხარინი და კომპანია აშკარად «გაგვაცამტვერებენ»). თუ დავიცადოთ ერთი კვირა? რადეკმა კი, თუ სურს შეიტყოს «ჩვენი» აზრი, დაე იმათი შეგატყობინოთ.

თუ რიაბოვსკი სტარკია [479], მაშინ უნდა დაველოდოთ ჯემსის პასუხს. ვინაიდან როგორც სტარკზე, ისე მირონზე ადრეც გვქონდა ეჭვი. (მირონმა, ამბობდნენ კამენევი და მალინოვსკი, თითქმის აღიარა, უმსგავს პოლიციურ საქმეში ვმონაწილეობდიო.)

Salut! ლენინი

P. S. მართალი ხართ, რომ ბუხარინს არ ენდობით.

გამოდგება თუ არა თანდართული («ყური»)? * **დამიბრუნეთ.**

დაწერილია 1916 წლის
23 ივლისზე გვიან
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* თუ რა იგულისხმება, ვერ დავადგინეთ. რ ე დ.

498

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით «ძველი დროშით». რომ წაიკითხავთ (არა>6 დღისა) ძალიან გთხოვთ გაგზავნოთ ამ მისამართით:

Herrn Ussievitsch (bei Frau Frey) Nelkenstr. 21.[II]
Zürich

(აღნიშნეთ Absender-ი *).

თქვენი ხელნაწერი (წიგნისა) გამომიგზავნეთ. წავიკითხავ.

პოკროვსკის ვწერ **. მე 200 გვერდი გამომივიდა. წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა გავგზავნო აკინძული? საგონებელში ვარ ჩავარდნილი. 1) ძალიან თხელი ქაღალდი? 2) განსაკუთრებული ფორმატისა? 3) ორივე მხარეს ვწერო?

«ვოლნასს», ჩემი აზრით, შემდეგი უნდა მივწეროთ:

1) კარგი შემთხვევა გვაქვს ვთხოვოთ მათ დაწერონ კონსპირაციულად (ქიმიური წესით წიგნში) **ყველაფერი** და დაწვრილებით (დამოკიდებულება «პრიბოისადმი» და სხვ.).

2) ი. კამენევი შ ე ი ძ ლ ე ბ ა მივიღოთ[480].

3) ნ. სუხანოვი? ჩვენ წინაღმდეგი ვართ (მაგრამ თუ ეს **აუცილებელია** ფულისათვის ან სხვა მიზეზების გამო), მაშინ ჯერ გაირკვეს, თანამშრომლად მივიღოთ იგი თუ რედაქტორად?

4) მთლიანად ჩვენია რედაქცია (მიმართულების თვალსაზრისით) თუ კოალიციური? (თუ ასეა, სახელდობრ ვისთან და როგორ).

5) კრებულებისა და ბროშურებისათვის თემებს, პირობებს ვაძლევთ, ვიშოვით.

---

* — გამგზავნი. რ ე დ.

** ის მომდევნო დოკუმენტი. რ ე დ.

6) რაც შეეხება ჩემს სტატიას თვითგამორკვევის საკითხზე: თანახმა ვარ შევთავაზო იგი ბროშურის სახით (გადავაკეთებ); გთხოვთ, რაც შეიძლება მალე დათქვათ ზუსტი ვადა *.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

გაქვთ თუ არა ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთის სამდივნოს გერმანული ბროშურა (რომელშიც შესულია მათი კონტალის პროექტი და დანისა და კომპანიის დეკლარაცია, უნამუსოდ «შემოკლებული»[481].

NB | სტატისათვის მ ჭ ი რ დ ე ბ ა Lichtstrahlen-ის ის №, სადაც იყო რადეკის სტატია «Selbstbestimmungsrecht der Völker»[482]. შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ ან მიშოვოთ?

დაწერილია 1916 წლის 24 ივლისს
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

ბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

499

მ. ნ. პოკროვსკის

24/VII. 1916.

პატივცემულო მ. ნ.! გ. ზ. მწერს, რომ ჩემი წერილი უკვე მიიღეთ, ხოლო ხელნაწერი არა. (თქვენ არა მწერთ მასზე). იგი დაზღვეულ წერილთან ერთად, 2 ივლისს, დაზღვეული ბანდეროლით გამოგიგზავნეთ. თუ არ მიგიღიათ, რა ვქნათ? მიზეზების გაგება თქვენ, ალბათ, არ შეგიძლიათ. მე შემიძლია ფოსტის მეშვეობით. მაგრამ ეს ძალიან დიდხანს გასტანს. ერთხელ კიდევ გადავწერო? (შეიძლება 2 ეგზემპლარად და

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 406—459).

ერთი გამოვგზავნოთ შვეციით, ასე უფრო საიმედოა?). მე ყველაფერი **სავსებით** ცენზურული მქონდა, ამიტომ სრულიად არ მესმის, რისთვის და როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. ძალიან გთხოვთ, დაუყოვნებლივ მომწერეთ ან მიდეპეშეთ. საუკეთესო სალამი!

თქვენი ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ფლუმსიდან (შვეიცარია)
Sceaux-ში (*Seine*) (საფრანგეთი)
პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

500

გ. ე. ზინოვიევს

ენისეისკიდან მიღებული დეპეშის* შესახებ — საჭიროა შევეკითხოთ წერილით. ვარაუდით დაბეჭდვა არ შეიძლება. უნდა ვიშოვოთ წერილი.

არ ვიცი, ღირს თუ არა განცხადება დავბეჭდოთ (გრიმის საქმის გამო). მაგრამ თუ ახლა დავბეჭდავთ, ტექსტი უნდა შევცვალოთ — უფრო მკვახე გავხადოთ.

ორგანიზაციული კომიტეტის გერმანულ ბროშურას გიგზავნით. დამიბრუნეთ.

გიგზავნით ჩემს სტატიას. **ზუსტად** დაიანგარიშეთ, **სულ** რამდენი გვაქვს ახლა მასალა. უნდა გადავწყვიტოთ დანარჩენი. (თუ იური გამოგზავნის. იმასაც უნდა ვუპასუხოთ, პირდაპირ უბედურებაა.)

საფაროვის სტატია არ გამოდგა. ჩემი აზრით, უნდა ვურჩიოთ გადააკეთოს ლეგალურ სტატიად (ეს **სავსებით** ადვილია) «ლეტოპისის» ან «ვოლნასათვის». ხომ არა სჯობს ეს ზეპირად უთხრათ, თუ მალე ნახავთ მას?

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 499. — რედ.

როგორ გავუგზავნოთ «ვოლნას»? პირდაპირ და უბრალოდ მათი მისამართით? დაზღვეული ბანდეროლით? დათქმული ხომ არაა მათთან ახალი ფსევდონიმი?

პლეხანოვისა და პოტრესოვის ლეგალური ბროშურები [482] გამომიგზავნეთ [483].

«Neue Zeit»-ის შესახებ ექსპედიციას გავუგზავნე, შეკითხვა.

დაწერილია 1916 წლის 24 ივლისზე
გვიან
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

501

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიბრუნებთ გრიშასა [484] და ფრანგთა წერილებს. ეს უკანასკნელი ცხადყოფს და მეც დიდად მსიამოვნებს, რომ თქვენ ფრანგებზე დიდი გავლენა იქონიეთ და წარუშლელი კვალი დატოვეთ.

რაც შეეხება გილბოს, დაველოდოთ მოვლენათა მსვლელობას; რაკი იგი «რედაქტორად არავის არ მიუწვევია», მაშ როგორ, რედაქტორად თვითონ გაძვრა?

დაველოდოთ გრაბერის პასუხს თქვენდამი და თქვენს ახსნა-განმარტებებს!

თქვენი გეგმა — ჩ ვ ე ნ ფრანგული გაზეთი მოგვიხერხოთ (!?), გ ა რ დ ა «Sentinelle»-სა (!?), ჩემთვის ძალიან გ ა უ გ ე ბ ა რ ი ა... ჰმ, ჰმ...

გამოართვით გრიგოლს (თუ ჯერ არ გამოგირთმევიათ) ჟორჟისა და ჩემი სტატია თვითგამორკვევისა და იუნიუსის შესახებ.

გართმევთ ხელს და გირჩევთ და გთხოვთ იმკურნალოთ, რომ ზამთრისათვის **სავსებით** გამოჯანმრთელდეთ. გაემგზავრეთ სამხრეთში, მზეზე!!

გაქვთ თუ არა «La Feuille», «Ce qu'il faut dire», «The Call»? [485] შემიძლია გამოგიგზავნოთ.

Salut! ლენინი

დაწერილია 1916 წლის 25 ივლისს
გაგზავნილია ფლიუსსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

502

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით ენგელსის სტატიას [486]. ჯერჯერობით ნუ დამიბრუნებთ.

გიგზავნით სტატიას იუნიუსის ბროშურაზე *. თვითგამორკვევის შესახებ ვამთავრებ **.

ხომ არ დაწერთ კრებულისათვის გერმანელ და ავსტრიელ სოციალ-შოვინისტთა თათბირის შესახებ? (ოქმები, რომლებიც თქვენ გამომიგზავნეთ).

ჩემი აზრით, საჭიროა მოკლე შენიშვნა.

რად დუმხართ:

1) ბუხარინზე (და თქვენს წერილზე მისდამი)?

2) ასევე ვარინზე.

3) გაუგზავნეთ თუ არა უსიევიჩს «ძველი დროშით»?

(გამომიგზავნეთ სტატიების ნუსხა ჩვენი კრებულისათვის).

4) «ვოპროსი სტრახოვანიას» შესახებ.

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 385 — 405. რედ.

** იხ. იქვე, გვ. 406 — 459. რედ.

5) «ვოლნას» კრებულების შესახებ. მივწეროთ (და რა?) თუ დაველოდოთ?

გაქვთ თუ არა «Berner Tagwacht»-ი? მე არა მაქვს. ხომ ვერ გამომიგზავნით ამონაჭრებს (გრიმის გადადგომა და სხვა მისთანანი) [487].

Salut. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «ს ბ ო რ ნ ი კ «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა ს ა-თ ვ ი ს»» საფაროვს რაიმე ხომ არ შევუკვეთოთ?

P. P. S. რა სუსტია გილბო «Demain»-ის უკანასკნელ №-ში! [488] ნახეთ?

დაწერილია 1916 წლის 26 ივლისზე
ბერნში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

503

ბ. ე. ზინოვიევს

ხელნაწერი მივიღე.

«Neue Zeit»-ს გიგზავნით + ავსტრ. 2 წიგნი (მათ კიდევ მოვთხოვ, ოღონდ მოგვიანებით: ცალკე მივწერ).

ჯემსს * მივწერეთ [489].

რაც შეეხება წერილს ლეგალური კრებულისათვის, ვშიშობ, რომ ვერ მოვასწრებ.

გამომიგზავნეთ ჩ ვ ე ნ ი «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატას»» სტატიების ნუსხა.

ბილბოს ნუ შევუკვეთავთ: ყბედია; შეიძლება თავი შევიკავებინოთ. დავიცადოთ.

---

* ა. ი ელიზაროვა-ულიანოვა. რ ე დ.

გაუგზავნეთ თუ არა უსიევიჩს «ძველი დროშით»?

Fru Alexandra Kollontay.

Turistholel. *Holmenkollen.*

Kristiania.

მისწერეთ თუ არა ფორმალურად ბუხარინს, რომ ჩვენ ვთავაზობთ სადისკუსიო სტატიის[490] დაბეჭდვას. უსათუოდ აუცილებელია — ფორმალურად მივწეროთ მას და დავიტოვოთ ასლი (გამომიგზავნეთ). მივწეროთ, რასაკვირველია, თავაზიანად: რომ რადეკის თეზისებზე სულერთია მაინც ვუპასუხებთ (რათა ვაგრძნობინოთ, რომ შეუძლია დაელოდოს **ამ** დისკუსიას, თუკი სურს).

გაქვთ თუ არა «ნაშე სლოვოს» კომპლექტი?

რაკი Kriegs-Parteitag-ი შეცვალეს Konferenz-ით, ეს კაუცკელებთან სანახევროდ გარიგების მომასწავებელია.

რა მოხდა, რად ავადმყოფობთ? **აუცილებლად** მიდით სალისთან და ყველაფერი **უმკაცრესად** დაიცავით! ეს უჩვენეთ ზინას.

Salut! ლენინი

დაწერილია არა უადრეს
1916 წლის 30 ივლისისა
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

504

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

რაც შეეხება 30 frs-ს, ცდის მომხრე ვარ (არა > 3 №№-ისა, არა უმეტეს 100 frs-ისა), მაგრამ ჯერ მათი ფურცელი გვენახა, ან გამოგვიგზავნოს კომპლექტი, ანდა აბრამოვიჩმა უფრო ზუსტად შეგვატყობინოს.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად უნდა დავიწყოთ (არ უნდა ვთქვათ ვისია, ვინ არის, დასახელება არაა საჭირო), თორემ საშინლად ვირცხვენთ თავს, როცა ვიწყებთ რამეს (დაუფიქრებლად) და არ ვამთავრებთ. შევტოპავთ.

საშინლად ვირცხვენთ თავს!

Salutations amicales*. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 1 აგვისტოს
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

505

ბ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით განცხადებას. სამწუხაროა, რომ რადეკის წერილი არ გამომიგზავნეთ. მე მაინც არ ვიცი, **რით** გამოიხატება გრიმის «დაცვა»! (ყ ვ ე ლ ა ამონაჭერიც არ გამოგიგზავნიათ.)

NB ||| ძალიან გთხოვთ **დაუყოვნებლივ** შემატყობინოთ მისამართი, რომელზეც წიგნებს უგზავნიდით პოკროვსკის.

სტატია თვითგამორკვევის შესახებ დავამთავრე; გამოვიდა 79 გვერდი.

+ ვწერ — «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა».

+ «ხალხის განიარაღება თუ შეიარაღება?» (დაწერილი მაქვს გერმანულად). დაახლოებით 25 გვერდი.

სად ჩაეტევა ეს? რა ვქნათ? სად არის კორექტურები?

---

* — მეგობრული სალამი. რ ე დ.

რუსულ კრებულზე ამ დღეებში დავწერ.
«Neue Zeit»-ი თვითონ არა მაქვს.

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 2 და
11 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ფლიუმსიდან
პერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

506

მ. ნ. პოკროვსკის

პატივცემულო მ. ნ.!

თქვენი ორივე ღია ბარათი მივიღე. დიდად გმადლობთ. ერთობ სამწუხარო ცნობამ დაკარგვის შესახებ თქვენთვის ცნობილი პლეხანოვისებური ნაწარმოების ავტორი აიძულა გ. ზ.-ის ხერხისათვის[491] მიემართა (ეჰ, ეს გერმანელები! დაკარგვა! ხომ მათი ბრალია! ნეტავ, ფრანგებმა სძლიონ მათ!).

ავტორი ძალიან იმედოვნებს, რომ თქვენ შეეცდებით დაიცვათ ხუთი ფურცელი, თორემ ამაოდ დაიკარგება დროც, გარჯაც, მთლიანობაც და ბევრი სხვაც. გულითადი სალამი.

თქვენი ი ლ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 5 აგვისტოს
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია)
Sceaux (*Seine*)-ში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

507

მ. ნ. პოკროვსკის

პატივცემულო რედაქტორო!

ისე ვარ დაშინებული **უაღრესად ცენზურული** ხელნაწერის უცნაური და დაუჯერებელი დაკარგვის გამო, რომ თქვენს ვინაობასაც კი ვერ ვასახელებ.

ვაითუ ჩემი წერილის ასლიც გადაიღეს. მე იქ გთხოვდით, თუ უხერხულია დაიწეროს ჩვეულებრივი ფსევდონიმი (ვ. ილინი), მაშინ დავწეროთ ნ. ლენინციინი-მეთქი. ახლა უნდა დავწეროთ სხვა: თუნდაც ვ. ი. ივანოვსკი.

მე იქ გირჩევდით სათაური (თუ «საშიშია» სიტყვა «იმპერიალიზმი») თუნდაც ასე შეცვალეთ-მეთქი: «უახლესი კაპიტალიზმის თავისებურებანი»).

ახლა კიდევ სხვანაირად უნდა შეიცვალოს: «უახლესი ეკონომიური მონაცემები თანამედროვე კაპიტალიზმის შესახებ» ანდა რაღაც ამგვარად.

სათაური (თავების სახელწოდება) ამოიშალოს (რუსეთში გაგზავნისას). იქნებ, თავების სახელწოდებანიც შევცვალოთ? ეს შესაძლებელია.

ძალიან გთხოვთ დაიცვათ ეს მოცულობა (ვინაიდან ასე შემიკვეთეს). შემცირება დაუჩხავად შეუძლებელია.

(ვითომ ბოლოში მთელი თავები ამოვიღოთ? რათა ისინი სხვა ადგილას გამოვიყენო? ეს უკვე ყველაზე უარეს შემთხვევაში! მე ყოველნაირად მინდა, რომ არ შემცირდეს).

ძალიან გთხოვთ, შენიშვნები დარჩეს, ვინაიდან ისინი საყურადღებოა (განსაკუთრებით № 101 *), ლიტერატურაც უნდა მივუთითოთ, ვინაიდან რუსეთში სტუდენტიც კითხულობს და სხვა მსგავსი საზოგადოებაც.

---

* იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინის 1916 წლის 2 ივლისის წერილი მ. ნ. პოკროვსკისადმი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 229—230). რედ.

თქვენს რედაქციულ ცვლილებებსა და შესწორებებს, რასაკვირველია, სიამოვნებით მივიღებ.

საუკეთესო სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 5 და
31 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ფლიუმსიდან
(შვეიცარია) საფრანგეთში

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

508

მ. მ. ხარიტონოვს

ძვირფასო ამხანაგო! ნადია გატყობინებთ შეხვედრის ადგილს, პაროლსა და ჩვენთან დაკავშირების ხერხს, რაც უნდა გადასცეთ მარკუს [492].

მან პიტერში ფრანგულად ან გერმანულად მოლაპარაკე პიროვნება გამოიძახოს (პაროლის მეშვეობით) და რაც შეიძლება დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ მოუთხროს ყველა ახალი საზღვარგარეთული ამბავი, რაც კი შეეხება მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე თ ა მოძრაობას, «Vorbote»-ს № 1 და № 2-ს, ჩვენს დავას განიარაღების თაობაზე (ვიგზავნით ჩემს სტატიას *; უჩვენეთ **იგი მას და, ბარემ, მიპასუხეთ, სად არის ნობსი),** გერმანულ «Arbeiterpolitik»-ს [493], დაპატიმრებებს გერმანიაში, ლონგესა და მის მომხრეებს საფრანგეთში, ინგლისში, მაკლინის დაპატიმრებას, საერთოდ დაწვრილებით ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი მემარცხენეთა და ინტერნაციონალისტთა მოძრაობის შესახებ ევროპასა და ამერიკაში.

შემდეგ შესთავაზოს (იქ, პიტერში) თავისი სამსახური შეიაროს მოსკოვში, კიევში, ოდესაში (სადაც იგი მიემგზავ-

* ნობსი თ ვ ი თ ო ნ გაასწორებს ენას.

რება) იმავე მიზნით და მისამართის გადასაცემად, ჩვენ რომ წერილები გამოგვიგზავნონ.

ასწავლეთ მას (საფუძვლიანად) წეროს ქიმიური წესით და რუსეთში რაც შეიძლება კონსპირაციულად დაიჭიროს თავი: ჯარისკაცი ვარ, რუმინეთში მივდივარ საომრად და მორჩა და გათავდა-თქო.

როდის დავბრუნდებით, ჯერ არ ვიცით. ალბათ, 2 კვირის შემდეგ.

სალამი! თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წლის
აგვისტოს დამდეგს
გაგზავნილია ფლიუმსიდან
(შვეიცარია) ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

509

გ. ე. ზინოვიევს

იურის, გირჩევთ, ასეთი პასუხი გაუგზავნოთ *.

(მთავარი, ეტყობა, § 2-ის ბოლოსაა: «ყოველგვარი გამოყენების გარეშე». თუ მას სურს, რომ ახლა არ ვაგინოთ მისი სტატია პრესაში, იგი მართალია.

მაგრამ შემდგომ? თუ მათი ფრაქცია შეიქმნება და ბრძოლა გამწვავდება?

თუ მას სურს, რომ ასლი მისი სტატიიდან არ გადავიღოთ და არ ვუჩვენოთ იგი პარტიის წევრებს, ამას ვერ დავეთანხმებით.

პარტიის წევრებს ჩვენ არ დავუმალავთ).

ვფიქრობ, ჩემი შემოთავაზებული პასუხი ჯერჯერობით საკმარისია. დაე მან სასაცილოდ გაიხადოს თავი.

---

* იხ. მომდევნო წერილი. რედ.

ჩვენ უნდა გვქონდეს მისი სტატია, რათა ვუჩვენოთ ალექსანდრეს, ბიუროსა და სხვას. ეს აუცილებელია.

ბუხარინისადმი თქვენს წერილს ვიწონებ. გთავაზობა (არა ულტიმატურად) ერთ ჩამატებას[494]. სჯობს ჯერ ვხოლოდ თქვენი სახელით გაუგზავნოთ. ნაკლებ ოფიციალურია და ასეთი ტონის გამო შესაფერისიც. ეიმსჯელოთ: ეს არც ისე სასწრაფოა, როგორც პასუხი იურისადმი (არა სჯობს, ჯერ იურის პასუხი მივიღოთ, შემდეგ კი თქვენი წერილი გავუგზავნოთ ბუხარინს?).

Salut! ლენინ-

P. S. თუ არ გჭირდებათ «Le Temps»-სა და «Daily Telegraph»-ში დაბეჭდილი ყველა საომარ მოქმედებათა თეატრის რუკები, ამოჭერით და გამომიგზავნეთ.

დაწერილია 1916 წლის 10 და
20 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ფლიუსსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

510

ვ. ლ. პიატაკოვს

პატივცემულო ამხანაგო!

თქვენ პარტიაში ძალიან უცნაურ პრივილეგიებს მოითხოვთ. ასეთი რამ არც ნახულა და არც გაგონილა, ხოლო თუ რამდენადმე პარტიული თვალსაზრისით მივუდგებით საქმეს, წარმოუდგენელია, რომ თანამშრომლები სტატიის გაგზავნის ულტიმატურ პირობად აყენებდნენ რედაქციის მიერ მესამე პირთა მიწვევას, თანამშრომლის არჩევით, ან იმის «გარანტირებას», რომ რედაქციის პასუხი (მისთვის უცნობ სტატიაზე!) თანამშრომელმა «ამხანაგურად» სცნოს და სხვა მისთანანი.

საქმის სასარგებლოდ ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ოღონდ გამონაკლისის სახით, თქვენი ულტიმატუმი მივიღოთ, სახელდობრ:

1 პუნქტში — ვიწვევთ თქვენ მიერ დასახელებულ ამხანაგსაც * და ყველა სხვასაც, თქვენი სურვილით, ვინც ჩვენს, პარტიას ეკუთვნის;

2 პუნქტში — ყველა თანამშრომელს და ყოველთვის ეძლევა გარანტია ან სტატიის უცვლელად გამოქვეყნებისა, რაკი ეს სურთ, ანდა სტატიის დაბრუნებისა. აქ თქვენი სურვილი პრივილეგია კი არა, მეტისმეტი მოთხოვნაა;

3 პუნქტში — ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია, — ის არის, რომ გამოგიგზავნოთ რედაქციის (ან სხვა თანამშრომლის) პასუხი თქვენს სტატიაზე, რათა თქვენ თვითონ გადაწყვიტოთ, გსურთ თუ არა ორივე სტატიის დაბეჭდვა.

სოციალ-დემოკრატიული სალმით

დაწერილია 1916 წლის 10 და 20 აგვისტოს შორის
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია) ნორვეგიაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

511

ბ. ე. ზინოვიევს

Lecoin სრულიად უვარგისია. ვერ მოვათავსებთ.

ბრუტშუ[495] ერთობ ბრიყვი ანარქისტია; იგი შეიძლება მოვათავსოთ **მხოლოდ რედაქციის შენიშვნით.** (მე დავწერ კორექტურაში.)

ქალთა მოძრაობა (?) — გამომიგზავნეთ ხელნაწერი. თუ ადგილი არ გვეყოფა, მაშინ მისი გადადება მოგვიხდება.

---

* ე. ბ. ბოში. რ ე დ.

გიგზავნით იმპერიალიზმსა და განიარაღებას *. ეს უკანასკნელი დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ. ბერნის კრებულში იგი აუცილებლად უნდა დავბეჭდოთ, ვინაიდან უაღრესად არაცენზურულია და ძალიან საჩქაროა (ახალგაზრდებმა და სხვებმა აქ უღმერთოდ აურ-დაურიეს).

თუ გსურთ მოვილაპარაკოთ თქვენ მიერ განზრახულ უთანხმოებაზე, სჯობს თქვენი სტატია ერთხელ კიდევ გამომიგზავნოთ და ზუსტად აღნიშნოთ, რას არ ეთანხმებით.

ფრაზები «ეპოქის» შესახებ ფრაზებად იქცა — რადეკმა და სხვებმა ცხადყვეს ეს. განა 1789 — 1871 წლების «ეპოქა» გამორიცხავდა არაეროვნულ ომებს?

საერთოდ ლაპარაკი «სამშობლოს დაცვაზე» თეორიულად უაზრობაა, ვინაიდან სამშობლოს დაცვა=ომია **საერთოდ**. სწორედ ეს არის მთავარი.

იუნიუსს ** პარიზში ვერ გავგზავნი, ვინაიდან ეს სტატია განუყრელად დაკავშირებულია თვითგამორკვევასთანაც და განიარაღებასთანაც.

მომწერეთ ზუსტად, სახელდობრ რა იწყობა.

P. S. გიგზავნით «Neue Zeit»-ს, «**Call**»-ს ინესასათვის.

Salut! ლენინი

დაწერილია 1916 წლის
22 აგვისტოზე ადრე
გიგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

---

* იხ. ვ. ი. ლენინი. «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა» და «განიარაღების» ლოზუნგის შესახებ»» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 130 — 151 და 115 — 129). რედ.

** იხ. ვ. ი. ლენინი. «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 385 — 405). რედ.

512

ბ. ე. ზინოვიევს

1) ტინსკის გიგზავნით დამატებებით (საჭიროა ცოტა მაინც ითქვას ანტიესერული სულისკვეთებით, სხვანაირად არა სოციალ-დემოკრატიულია. ამასთან თქვენი «მოტოც» * არ ვარგა). (მოტო თუ საჭიროა, ისიც სხვანაირი.)

2) რუსული კრებულებისათვის დავიწყე წერა «კაუცკელობის შესახებ»[496]. მე უკვე მოგწერეთ ეს.

3) იურისადმი პასუხს შევეცდები მალე ჩავუჯდე[497].

4) კრებულები საკმარისია დავბეჭდოთ 1500 ეგზემპლარი.

5) რაც შეეხება მე-2 კრებულს, წინაღმდეგი ვარ, რომ ერთბაშად გადავწყვიტოთ. გრიშას წერილი გაუგებარია: 500 frs + ქაღალდი? ვწერ მას. **დაველოდოთ პასუხს.** ეშმაკმაც დალაბვროს!! გასაგებად ვერ წერს!!

6) საფ — ჩიკი გაუშვით ფრაქციის შესახებ (ვინაიდან ტყვეებზე უკვე აწყობილია და დაიბეჭდება ინდე **).

7) ქალთა მოძრაობის შესახებ სტატიაზე მე უკვე მოგწერეთ, ვეჭვობ-მეთქი (გამოგზავნეთ de Ms ***, ადგილი ცოტაა). თქვენ კი, **არ მიპასუხეთ** და მწერთ: «შეკვეთილიაო», თუმცა იცით, რომ მე არ შემიკვეთია!! ეს უწესრიგობაა. თუ სტატია არაა დაწერილი, საჭიროა ჯერ გავაცნოთ თემა, გეგმა და წვრილმანები, ვიდრე ვურჩევდეთ დაწეროს.

8) ეროვნულ საკითხზე **ძალიან** მსურს ხელახლა გამოიცეს თვითგამორკვევა **დამატებით.** გამოსცემს თუ არა «ვოლნა»? მისწერეთ თუ არა მას ამის შესახებ?

---

* — ეპიგრაფები. რედ.

** — მის შემდეგ. რედ.

*** — de manuscrit — ხელნაწერი. რედ.

9) გნევიჩის კრებული?? [498] პოლონურად თუ რუსულად?? უნდა გამოვარკვიოთ კიდევ ვინ წერს და რაზე?? უ ნ დ ა გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ო თ. თქვენ რა მისწერეთ მას?

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

10) თანდართული სტატია, რომელიც თარგმნილია «ტრიბუნიდან», გირჩევთ კ რ ე ბ უ ლ შ ი დაბეჭდოთ [499].

დაწერილია 1916 წლის
22 აგვისტოზე ბერნში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
პერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

513

მ. მ. ხარიტონოვს

ძვირფასო ამხანაგო!

გამგზავრებით შესაძლოა ვისარგებლებთ კიდეც. მაგრამ ჯერ უნდა მოვიფიქროთ და გავიგოთ, თუ რამდენად სანდოა იგი საერთოდ და აკურატულობისა და კონსპირაციულობის თვალსაზრისითაც. გრიმს რომ ვკითხოთ, უ ხ ე რ ხ უ ლ ი ა. შემატყობინეთ თ ქ ვ ე ნ ი აზრი და შეგიძლიათ თუ არა ციურიხში მასზე რაიმე გაიგოთ (ფრთხილად). შემიძლია გამოგიგზავნოთ ბროშურა იმპერიალიზმის შესახებ. «თათბირზე» (გრ.+რადეკი+??) წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა არა მაქვს. გაიგეთ ყველაფერი რაც შეიძლება დაწვრილებით და შემატყობინეთ.

სტატიას «Volksrecht»-ისათვის * აგრეთვე გამოგიგზავნიო, როგორც კი გავიგებ, რომ ნობსი დაბრუნდა ციურიხში. ნობსმა მომწერა, Ferien **-ზე მოვდივარ თქვენს მახლობლად და გაცნობებთო, მ ა გ რ ა მ დ ა დ უ მ დ ა. არ ვიცი, სადაა იგი. თქვენ ხომ არ იცით?

გიგზავნით «Ausland-Politik»-ს, რომელშიც დაბეჭდილია სემკოვსკის სტატია.

იყო თუ არა «Volksrecht»-ში რადეკის სტატიები Entwaffnung ***-ის წინააღმდეგ? თუ იყო, ხომ არ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ? ვინ გითხრათ, რომ კვირას ციურიხში უნდა ვიყო?? ეს ძალიან პიკანტურია, ვ ი ს შეეძლო ეთქვა ასეთი რამ!!

ვერ იშოვით ციურიხში პოლონელთა და ბუნდელთა ვარშავულ გაზეთებს, რომლებშიც დაბეჭდილია (დაწვრილებით, რაიონების მიხედვით) მონაცემები ვარშავაში არჩევნების შესახებ? ძალიან საინტერესოა! მივწერე ბრონსკის, მაგრამ დუმს. გართმევთ ხელს და მივესალმები თქვენს ცოლსა და ქალიშვილს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ნადიას თხოვნას «Neues Leben»-ის შესახებ თქვენ არ უპასუხეთ. თუ დრო არა გაქვთ, იქნებ უსიეევიჩი შეძლებს გაიგოს? თუ იგი ახლა გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ დაკავებულია?

დაწერილია 1916 წლის 31 აგვისტოს
გაგზავნილია ფლიუსიდან
(შვეიცარია) ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-3 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* ალბათ, იგულისხმება სტატია «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 91 — 106). რ ე დ.

** — დღესასწაულები, არდადეგები. რ ე დ

*** — განიარაღება. რ ე დ.

514

მ. ნ. პოკროვსკის

პატივცემულო მ. ნ.!

თქვენს წინადადებებს ვეთანხმები. მხოლოდ ძალიან მაღონებს ის, რომ დასასრული უნდა შეიკვეცოს. მაშინ ხომ არ შეიძლება დასასრული ჟურნალში დაიბეჭდოს უცვლელად? და თან დაერთოს რედაქციის შენიშვნა, რომ დასკვნები და დასასრული ბროშურიდან არის ამოღებულია? რაღაც ძალიან საწყენია, როცა მთლიანი ნაწევრდება!! ძალიან საწყენია! თუ ხელს შემიწყობთ, ძალიან მადლობელი დაგრჩებით. ამის შესახებ თვითონაც მოგწერთ, მაგრამ ჩემს წერილს დიდი ხანი სჭირდება და მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მოაღწევს, თუკი მოაღწია.

საუკეთესო სალამი!

თქვენი ულიანოვი

P. S. ამბობენ, პოტრესოვი გამომცემლობაში შედისო!! და სახელგანთქმული ბელეტრისტიც* თახახმაოო!! ეს ხომ სკანდალია, წარმოუდგენელი სკანდალი, არა?

დაწერილია 1916 წლის 31 აგვისტოს
გაგზავნილია ფლიუმსიდან (შვეიცარია)
Sceaux (Seine)-ში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«Вопросы истории КПСС» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

515

გ. ე. ზინოვიევს

1) «შეკვეთილი» სტატიის საკითხში ამაოდ ჩქმალავთ თქვენს მცდარობას. მე რომ მკვახედ კი არა, ძალიან ფრთხი-

* ა. მ. გორკი. რედ.

ლად აღვნიშნე ჩემი არცთუ კმაყოფილება 1-ელ წერილში (რომელზეც თქვენ არ ძიბასუხეთ), ეს არ შეგეძლოთ არ გაგეგოთ.

არალოიალურობაზე მე არ მომიწერია; უწესრიგობაც მხოლოდ ფრთხილი და არა მკვახე სიტყვაა, რომელიც შეიცავს უბრალო გულმავიწყობასაც და უყურადღებობასაც, რაც რომ ნიშნავს არალოიალურობას. რატომ აზვიადებთ. რატომ დაგყავთ «არალოიალურობამდე»?

სად დავწერე ეს ჩემი ხელით 5 ფურცლის შესახებ? გამომიგზავნეთ, თუ ჯერ კიდევ არ დარწმუნებულხართ, რომ მართალი არ იყავით.

2) ფრანცის შესახებ[500] სავსებით დაგეთანხმეთ (მეც დანადიაც): თავიდან უფრო ცუდი ჩანს, ვიდრე შემდეგაა.

3) გიგზავნით ნ. ი.-სადმი წერილის პროექტს *. წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ თავაზიანობას დაუმატებთ: თუ საჭიროდ მიგაჩნიათ[501] შესწორებანი და დამატებანი გამოგზავნეთ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

516

ბ. ე. ზინოვიევს

ეს-ეს არის წავიკითხე შვედური და ნორვეგიული სტატიები.

მათი განცალკევება არ შეიძლება. ისინი ერთად უნდა გავუშვათ და განიარაღების წინააღმდეგ მიმართული ჩვე-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35. გვ. 234 — 235. რ ე დ.

ნი სტატიის გვერდით უნდა დავბეჭდოთ. ეს ცვლის გეგ-
ბებს.

ჩავუჯდები და დავწერ (გადავაკეთებ) ამ სტატიას კრე-
ბულისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა გავადი-
დოთ ამ ფარგლებში და რაც შეიძლება უფრო
შევამციროთ ყველა დანარჩენი. რა სისულელეა ეს განიარა-
ღება, მაგრამ ჩვენს პარტიაშიც კი ზოგ ვინმეს გზას
ურევს!

P. S. მანამ არ გადაჭრილა საკითხი პარიზული კრებულის
შესახებ, უნდა შევაჩეროთ სტრანნიკის სტატია, ვინაი-
NB დან თუ ამოვირჩევთ, ისევ აუცილებლად ალექსანდრეს.

დაწერილია 1916 წლის აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

517

გ. ე. ზინოვიევს

ეს არის შემოკლებათა ნადიასეული პროექტი[502].

სტატია მეორედ წავიკითხე (ერთხელ უკვე წაკითხული
მქონდა). შემოკლებისა გადაჭრით წინააღმდეგი ვარ. ეს იმას
ნიშნავს, რომ სტატია გაფუჭდება. მთლიანი შემაჯამებელი სტა-
ტია (წვრილმანებით, მონაწილის ან თანამოსაუბრის აღნიშ-
ვნით) ძალიან საჭიროა.

გულახდილად რომ გითხრათ, არ შეიძლება ამ სტატიის
შემოკლება.

როგორ მოვიქცეთ?

სიმართლე რომ ვთქვათ, «ვანტვირთვა» სერიოზულად
შეიძლება, ოღონდ თუ გადავდებთ თქვენს სტატიას; მოტი-

1) იგი დაწერილია არა ამ კრებულისათვის.

2) იგი შედის წიგნში, რომლის ვამოცემაზეც უკვე დადებულია ხელშეკრულება; მაშასადამე, ვამოცემის შანსი სერიოზულია. მეორედ დაბეჭდვა — ფუფუნებაა, განსაკუთრებით კი ჩვენი გაჭირვების პირობებში.

3) მთავარი და ძირითადი ინტერნაციონალის ისტორიის შესახებ თქვენ უკვე თქვით «სოციალ-დემოკრატში» გამოქვეყნებულ თქვენს სტატიაში.

4) კრებული საჭიროა შ ე ვ ზ ღ უ დ ო ო (α) რუსული მასალებით+(β) დისკუსიის საჭირბოროტო საკითხებით, პ ა რ ტ ი ი ს სადავო, მტკივნეული საკითხებით.

5) მარცხმოსურნეობა სადღაა და როგორ?

მომწერეთ გ უ ლ ა ხ დ ი ლ ა დ, თუ როგორ ეკიდებით ამ წინადადებას: საქმიანი რედაქტორული მოსაზრებების (და როგორი) თვალსაზრისით თუ წყენის თვალსაზრისით?

ჩვენი დავა და შეთანხმება კი **ყოველ** შემთხვევაში **აუცილებლად** უნდა განვაგრძოთ.

160-გვერდიანი კრებული, ჩემი გეგმით, მოგვცემდა მ დ ი დ ა რ, მეტად მნიშვნელოვან რუსულ მასალას+ დისკუსიას თვითგამორკვევის შესახებ (იურის გარეშე *)

+ მარცხმოსურნეობა + ტროცკი,

+ **ინტერ-** (ჩხეიძე),

ნაციონალის შესახებ

ესე იგი, ყველაფერი ეს **გადაუდებელია.**

ფასი დაახლოებით 2500 frs + 400 ლუდმილას (= ტრანსპორტიც) + დაახლოებით 500 ტრანსპორტისათვის = za ** 3400. ამას ჩვენ კ ი დ ე ვ დავძლევთ, მეტს კი **ვერასგზით.**

---

* ვინაიდან იურის პასუხიც უნდა მივწეროთ 503 და კიდევაც გავუგზავნოთ!!

** — დაახლოებით. რ ე დ.

თანახმა ვარ გამოვუშვათ ცენტრალურ ორგანოს № (+კიდევ 100 — 200 frs).

დაწერილია 1916 წლის აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

518

გ. ე. ზინოვიევს

თქვენც მოილაპარაკეთ რაღა! ღმერთმანი, თავი ვერ შეიკავე ღიმილისაგან. «გასამართლებას» მიპირებთ... მერწმუნეთ, ყოველი «სასამართლო» და ყოველ შემთხვევაში მიიჩნევდა, რომ სტატიის გადადების წინადადების «არაამხანაგურად» გამოცხადება ნიშნავს კოლეგიური მუშაობა შეუძლებელი გავხადოთ.

თქვენი ბედი, რომ «სასამართლო» არაა, თორემ თქვენ უეჭველად «ბრალს» დაგდებდათ.

მაგრამ ხომ უნდა «შევამოკლოთ» როგორმე. ჩვენ ვემყარებოდით და ვემყარებით «კრებულის» წინანდელ გეგმას (რუსული მასალა + დისკუსია თვითგამორკვევის შესახებ). გაიგეთ ზუსტად და ოფიციალურად Benieli-საგან, თუ რა ღირს ფურცელი. მაშინ გამოვიანგარიშოთ **ზუსტად**, რამდენი შეიძლება დავბეჭდოთ (ვინაიდან უფასოდ არ დაბეჭდავენ: არ დაივიწყოთ ეს!)

Salut! ლენინი

გინდათ თუ არა დაგიბრუნოთ «Hamburger Echo»?

ალექსანდრეს სტატიას გიგზავნით: ვერ ვაისრულობ შემცირებას!

მოდის კიდევ შვედური და ნორვეგიული სტატიები!! [504] სკანდალია!!

საფარჩიკი კი უ ნ დ ა მოვათავსოთ, თქვენ მართალი ხართ. **მოვათავსოთ!**

იღებთ თუ არა «Arbeiterpolitik»-ს? არ მინახავს № 5 და № 7 ff *.

დაწერილია 1916 წლის აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუსსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

519

ბ. ე. ზინოვიევს

კონფლიქტი არ მომხდარა: ეს თქვენ, ღმერთმანი, «მეტის-მეტად» მოგეჩვენათ. გაიხსენეთ (ან გადაიკითხეთ) ჩემი წერილი: მე არ განმიცხადებია, რომ ხ მ ა ს ვ ა ძ ლ ე ვ თქვენი სტატიის წინააღმდეგ, მხოლოდ ვწერდი: «მოიწერეთ გულახდილად», როგორ ეკიდებით ამა და ამ გეგმას-მეთქი ** თქვენ მომწერეთ.

და მორჩა.

მაშასადამე, სტატია იბეჭდება.

იური კიდევ უფრო, ვფიქრობ, «შეგვარიგებს» [505], ვინაიდან **მისი** აზრით: «იმპერიალიზმის ე პ ო ქ ა შ ი» არ შეიძლება «სამშობლოს დაცვა».

სინამდვილეში კი: **«იმპერიალისტურ ომში,** რომელსაც იმპერიალიზმის ეპოქა წარმოშობს, სამშობლოს დაცვა სიცრუეა».

ეს სულ სხვადასხვა რამაა.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

---

* — und folgende — და შემდეგი. რ ე დ.
** იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 517. რ ე დ.

P. S. ნ. ი. ბ.-ს განა დრო არ არის ერთად გავუგზავნოთ წერილი ფრაქციის შესახებ? ვფიქრობ, დროა. ხოლო მისი სტატიის შესახებ?

მე ვემხრობი ცენტრალური ორგანოს გამოცემას, თანახმა ვარ!

დაწერილია 1916 წლის აგვისტოში
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

520

გ. ე. ზინოვიევს

1) გიგზავნით როლანდ-ჰოლსტს. ჩემი აზრით, ამასაც ნუ დავბეჭდავთ.

2) პასუხი ბუხარინს *. ვეთანხმები თქვენს ცვლილებებს. მაგრამ ერთი რამ **აუცილებლად უნდა** დაემატოს, სახელდობრ: რომ ჩვენთვის სტატიის **პრინციპული** ნაკლოვანებებია მთავარი.

უამისოდ გამოდის, რომ ჩვენ ვთვალთმაქცობთ.

თუ ეთანხმებით ამ ჩამატებას, მაშინ გამოგზავნეთ წერილი (თან შეარბილეთ ლოგიკური გადასვლები).

თუ არა, კიდევ ვიმსჯელებთ.

3) **ვერ** მოვნახე ფურცელი, რომელსაც თქვენ იმოწმებთ, რომ მე იქ გამოვთქვი რაღაცნაირად თანხმობა შეკვეთის თაობაზე. აქ შეცდომა თქვენი [მხრივაა] **.

---

* იგულისხმება პასუხი ბუხარინისადმი იმის შესახებ, რომ შეუძლებელია «ხბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» დაიბეჭდოს მისი სტატია «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისთვის» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 234 — 235). რედ.

** შემდეგ ხელნაწერის ტექსტი ნაწილობრივ დაზიანებულია. კვადრატულ ფრჩხილებში მოყვანილი სიტყვა აღდგენილია აზრის მიხედვით. რედ.

4) ფრანცმა დაგვიტოვა სტატია. ჩემი აზრით, ძალიან კარგი და მოკლე. მე მომხრე ვარ დაიბეჭდოს. გამოგიგზავნით.

5) პარიზული კრებულისათვის ნუ ავჩქარდებით. გამოვიანგარიშოთ ზუსტად, რა ჩაეტევა (5 ფურცელი თითოზე 50000 = სულ 250000 ასო).

6) პასუხს იურისადმი ვწერ. ოღონდ, ამ საქმეს დიდხანს მოვუნდები.

სალამი. ლენინი

დაწერილია 1916 წლის აგვისტოს
დამლევს — სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა ნაწილობრივ
1932 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში»
№ 22

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

521

გ. ე. ზინოვიევს

1) გიგზავნით ჟორჟის პატარა სტატიას — ფურცელს. ჩემი აზრით, ძალიან ცუდია. არც კი ვიცი, ღირს თუ არა გადაკეთება... ვულგარულია, მოუფიქრებელი, გაცვეთილი, «მდაბიური» სტილის ნაყალბევია. იმის ნიმუშია, თუ როგორ არ უნდა ვწერდეთ პოპულარულ თემაზე...

იქნებ, მოელაპარაკოთ მას, როცა შეხვდებით?

2) რაც შეეხება განიარაღებას, ვყოყმანობ, თუ გავუშვებთ შვედს+ნორვეგიელს კრებულში, იქვე აუცილებლად უნდა მივცეთ სტატია განიარაღების შესახებ. მალე დავწერ, ჩემსას გადავაკეთებ[506]. მაგრამ ჩაეტევა კი?

უნდა გადავწყვიტოთ. მიპასუხეთ.

გამოვიანგარიშოთ ერთხელ კიდევ, თუ რამდენად გაიბერება ჩვენი კრებული, ისედაც გაბერილი.

3) პასუხი ბუხარინისადმი. ესეც უნდა გადავწყვიტოთ. თუ არ გსურთ ვთქვათ, რომ **მთავარია** — პრინციპული უთანხმოებანი, მე თანახმა ვარ ისე შევცვალოთ, რომ თითქოს მიზეზი (მოუთავსებლობის) **ორია:** (α) ტექნიკური და ფინანსური
(β) პრინციპული.

გამომიგზავნეთ ასეთი ვარიანტი (არ დაგავიწყდეთ ლიტერატურულად უკეთ შეჰკრათ წერილის ორივე ნაწილი) და მოდით, რაც შეიძლება მალე გადავწყვიტოთ. რასაკვირველია, თქვენ ითვალისწინებთ, რომ ჩვენს პასუხს ბუხარინისადმი დ ი დ ი მნიშვნელობა აქვს: უნდა მოვიფიქროთ და ასლი შევინახოთ.

4) პარიზული კრებულის შესახებაც უნდა გადავწყვიტოთ: შედგენილობა და ზომა?

თუ 2000 ეგზემპლარი 5 ფურცლად (= 10000 ფურცელი) 500 frs ღირს, 1500 ეგზემპლარი (მეტი არ გვინდა) შეიძლება გამოვცეთ 6 $^2/_3$ ფურცელი

$$\times\ 50\,000$$

330 ათასი ასო.

ალბათ, 330 ათასზე ნაკლები, დაახლოებით **300** ათასი? ასეა, ხომ?

უნდა გამოვარკვიოთ აგრეთვე, იღებენ თუ არა ისინი პარიზში არალეგალურსაც? ე. ი. ბეჭდავენ თუ არა საიდუმლოდ?

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია! გრიშასაგან კი **სრული** პასუხი ისევ არ მიგვიღია!!!

ყოველივე ამას რომ გამოვარკვევთ, შევადგინოთ მასალების ნუსხა პარიზისათვის.

(იურის სტატია და პასუხი მისდამი, ვფიქრობ, შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ, ვინაიდან 1) პასუხი ჯერ არ დამიწერია; 2) არ ვიცით, დაამტკიცებს თუ არა მისი ვაჭრული უდიდებულესობა დაბეჭდვის თანხმობას?)

5) რადეკის თეზისებს[507] (გადათვალიერება) ჩავუჯდები: მათი კორექტურა ჯერ არ წამიკითხავს.

6) გიბრუნებთ სტრანნიკის დამატებებს[508]. რა უნდა ვუყოთ მათ??

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის აგვისტოს
დამლევს — სექტემბრის დამდეგს
გაგზავნილია ფლიუმსიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა ნაწილობრივ
1932 წელს ჟურნალ «ბოლშევიკში»
№ 22

მთლიანად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

522

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით ხელნაწერს. ძალიან გთხოვთ, ა ს ე ვ ე დ ა ზ ღ ვ ე ულ ი თ დამიბრუნოთ: ერთადერთი ეგზემპლარია (და ერთთან სასწრაფოდ მჭირდება ისევ).

სტატიას განიარაღების შესახებ ამ დღეებში გამოგიგზავნით, ახლა შინ არა ვარ. ჩვენ აქ ცოტ-ცოტა გავეცანით ახალგაზრდებს და ძალიან ვინანეთ, რომ არც ერთი ენა სრულყოფილად არ ვიცით. აი, სად არის საინტერესო და ნაყოფიერი სამუშაო! ახალგაზრდების ორგანიზაცია იზრდება მთელს შვეიცარიაში! გართმევთ ხელს, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 15 სექტემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

523

გ. ე. ზინოვიევს

ბუხარინს მივწერეთ.

გიგზავნით სტატიას; იგი ბერნშიც უნდა გავგზავნოთ, ვინაიდან პარიზი დუმს.

უნდა გამოვიანგარიშოთ რაც შეიძლება ზუსტად (თქვენ გაქვთ ხელნაწერიც, კორექტურებიც), **რამდენი** გამოდის ბერნისათვის.

რასაკვირველია, მე «კმაყოფილი» ვერ ვიქნები იმით, რომ ასე ამყავებთ ჩემს სტატიებს. ახლავე სტამბაში გაგზავნეთ: ხომ მაჩქარებდით, როცა მეუბნებოდით, ასოთამწყობი მაჩქარებსო!!

სად არის ჩვენი თეზისები? * სად არის მათი კორექტურა?

რაც შეეხება «სოციალ-დემოკრატს», საკითხი ძნელია, ვინაიდან ვ შ ი შ ო ბ ამით **არ დაყოვნდეს «სბორნიკ** «სოციალ-დემოკრატა»».

როცა დამიბრუნებთ «განიარაღებას» **, საბოლოოდ მოვიფიქრებ. **ზუსტად** ავწონ-დავწონოთ, თუ რა შეიძლება შევიდეს იქ, რამდენად დააყოვნებს სბორნიკს.

«ვოპროსისათვის»*** ჯერჯერობით არა ვწერ. კრებულში კი («ძველი დროშით») მინდა დავწერო კაუცკელობაზე [509] (ხო, მართლა, **საჩქაროდ** დამიბრუნეთ ბროშურა იმპერიალიზმის შესახებ: ციტატისათვის მჭირდება).

Salut! ლ ე ნ ი ნ ი

---

* იხ. «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 173 — 191). რ ე დ.

** (იხ. ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 115 — 129). რ ე დ.

*** ჟურნალი «ვოპროსი სტრახოვანია». **რ ე დ.**

P. S. საქმიან კითხვებზე უმჯობესია ნუღარ უპასუხებთ.

დაწერილია 1916 წლის სექტემბრის
შუა რიცხვებში
გაგზავნილია ციურიხიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

524

ა. გ. შლიაპნიკოვს *

ძვირფასო მეგობარო! ნადიამ ისე დაწვრილებით მოგწერათ[510], რომ დასამატებელი არა მაქვს რა. მაგრად გართმევთ ხელს, ამერიკაში წარმატებას გილოცავთ და გთხოვთ, უკეთ წერილობით შევთანხმდეთ. თუ ბელენინს წამოსვლა სურს, იგი სამგზის ფრთხილად უნდა იყოს (საფრთხე დიდია) და უკეთ მოიფიქროს, კავშირის დასამყარებლად როგორ იმგზავროს. ესეც არა კმარა. სად არის ა. მ.? სალამი!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წლის 3 ოქტომბერს
გაგზავნილია ციურიხიდან

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

525

გ. ე. ზინოვიევს

გიგზავნით სტატიას[511]. ყოჩაღ, ეს კი გამოგივიდათ! ხომ არ დავუმატოთ ორი რამ?

---

* ეს წერილი არის მინაწერი ნ. კ. კრუპსკაიას წერილზე. რ ე დ.

(1) რომ გერმანელებსაც ჰყავთ მარცხმოსურნენი, რომელთაც ისტორია არ დაივიწყებს (გაიხსენეთ Seger-ის მოთხრობა და ბლოხის შესახებ);

(2) «Gazet Robotnicza»-ს უხაშო გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ მარცხმოსურნეობის თაობაზე.

რაც შეეხება საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, ვფიქრობ, სჯობს მიწვევას დაველოდოთ!

«Avanti!»-ს ვნახულობ, ოღონდ გულდასმით არ ვათვალიერებ. ჟორჟიკმა № და თარიღი ზ უ ს ტ ა დ მოიწეროს.

(ეს ხომ არ იყო პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ა რ თ ა შეხვედრა, რაზეც უკვე ამბობდნენ, მგონი, კინტალში?)

პარლამენტარები ხომ ყ ვ ე ლ ა ნ ი კაუცკელები არიან.

რაკი ალექსანდრე უკვე აწყობილია — ჩვენ ძნელ მდგომარეობაში ვართ. რა ვქნათ?

სტრანნიკს ვერ შევამოკლებ! ო რ ჯ ე რ წავიკითხე!! ძალა აღარა მაქვს, კიდევ რომ წავიკითხო.

ჩემს პასუხს იურისადმი ამ დღეებში გამოგიგზავნით *.

ჯერ პარიზს ხომ არ შევუთანხმდეთ უფრო დაზუსტებით?

სისულელე ხომ არ გამოვა, თუ დ ა ვ ი წ ყ ე ბ თ გაგზავნას, მაგრამ ვ ე რ შ ე ვ ძ ლ ე ბ თ ვგზავნოთ განუწყვეტლივ?

საშინლად ვლანძღავ გრიშას დაუღევრობისა და უზუსტობისათვის: არ შეუძლია გასაგებად დაწეროს! სულელურ დეპეშებს გზავნის!

ციურიხში აბსოლუტურად არავინ გვყავს, რომ მიწერ-მოწერისათვის დავსვათ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

---

* იგულისხმება «პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 13 — 21). რ ე დ.

გრიშასაგან ამ დღეებში უნდა მოვიდეს კონსპირაციული წერილი? ხომ ასეა?

დაწერილია არა უგვიანეს 1916 წლის
5 ოქტომბრისა
გაგზავნილია ციურიხიდან
ჰერტენშტაინში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

526

ნ. ი. ბუხარინს[512]

14. X. 1916 წ.

ძვირფასო ნ. ი!

ამ «ბედნავსი», როგორც თქვენ უწოდებთ, სტატიის გამო, გეფიცებით, უცნაურად მსჯელობთ, ან, მართალი გითხრათ, სრულიადაც არ მსჯელობთ, არამედ ცხარობთ და მსჯელობა არ გამოგდით. მართალია, შეხედეთ — შორიდან — იმას, ოასაც თქვენ ამბობთ:

«...მე პირდაპირ ისეთი გრძნობა მაქვს (!), რომ საქმე არა (!) ბრალდების პუნქტებია (!), არამედ «საერთოდ»...».

სწორედ ასე სწერია!! მერედა, განა შეიძლება ასე მსჯელობა? ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ყველას, ვინც მსჯელობს და ბჭობს პირში ბურთი ჩავჩაროთ. რედაქციის წერილში ზუსტად არის აღნიშნული და ჩამოყალიბებული, თუ რაში არ გეთანხმებით, თქვენ კი ცხარობთ: გრძნობა, ბრალდება, საერთოდ...

თქვენ რეფერატი წაიკითხეთ «იმავე თემაზე», და ოკ-ისტ ლიტერატორთაგან არავის «სიტყვაც კი არ წამოსცდენია ანარქიზმზე».

ისევ: განა ეს საბუთია? ანარქიზმზე რედაქციის წერილშიც არაფერია ნათქვამი. რეფერატში რა თქვით, ამის დადგენა შეუძლებელია. ოკ-ისტი ლიტერატორები რომ სულელები

არიან — ეს ფაქტია. თქვენ კი დასძენთ: «მე ისინი სხვა პუნქ-ტებში დავტუქსე»...

«ოპორტუნიზმია — ეშინიათ, რას იტყვის ლიკვიდატორულად ყვითლად შეფერილი მარიამ ალექსის ასული» (პოტრესოვი).

მაგრად. მაგრად არის ნათქვამი. მაგრამ მიზანს სცდება! ვინაიდან მე ვამტკიცებ, რომ პოტრესოვი აქ ბაზაროვის მიმართ[513] მ ა რ თ ა ლ ი ა.

(1) სწორია თუ არა ეს? თქვენ ვერ არჩევთ. — (2) განა ცუდია, თუ ყვითლები მ ა რ თ ა ლ ი ა რ ი ა ნ ჩვენიანების შეცდომათა მიმართ? თქვენ მაგარ-მაგარი სიტყვებით გვერდი აუარეთ საქმის არსს. გამოდის, «გეშინიათ» იფიქროთ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს პოტრესოვის სიმართლეს ბაზაროვის მიმართ!

«. . . თქვენ არ შეგიძლიათ მომაწეროთ, რომ უარვყოფ ბრძოლას დემოკრატიისათვის...» მე თქვენ მოგაწერთ რამდენიმე შეცდომას ამ საკითხში და ზუსტად აღვნიშნავ, რომელს. თქვენ კი არსებითად დავას თავს არიდებთ.

თქვენ მოგყავთ სამი «მტკიცება», თითქოს «აბსოლუტურად უდავო და ორთოდოქსალურად მარქსისტული», რომელთაც «უ ნ დ ა შ ე ი ც ა ვ დ ე ს» პირველი თავი.

მაგრამ ეს მტკიცებები (1) ისე ზოგადია, რომ კონკრეტულობამდე მათგან ძალიან შორსაა; (მე-2 და მთავარი) ეს **ის არაა**, რაც სტატიაშია ნათქვამი!!

«არც გრ., არც თქვენ არც კი ცდილობთ მითხრათ, რა ცოდვა ჩავიდინე».

მაპატიეთ, ეს ტყუილია. რედაქციის წერილში ეს ძ ა ლ ი ა ნ ზ უ ს ტ ა დ არის ნათქვამი, და თქვენ ჩვენს ნ ა თ ქ ვ ა მ ზ ე, ჩვენს მ ი თ ი თ ე ბ უ ლ ზ ე პასუხს არ იძლევით. ჩვენს მრავალ ზუსტ მითითებაზე თქვენ არც ერთს არ უპასუხეთ!!

ჩვენი ერთ-ერთი მითითებაა: მარქსისა და ენგელსის ციტატებს ი ს ე გლეჯთ, რომ აზრს არასწორად გადმოსცემთ ან მცდარი დასკვნები გამოგაქვთ. თქვენ მარტო ამ პუნქტზე

გვპასუხობთ. მერედა როგორ გვპასუხობთ? რომ ვითომ «გაგრძელება (ციტატებისა) მე ჩინებულად ვიცი». «მაგრამ ამ პუნქტებში მათ ჰქონდათ აზრი, რომელიც გადასხვაფერებას არ საჭიროებსო».

და მორჩა!! ეს სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს. ჩვენ სწორედ «გადასხვაფერებაზე» მივუთითებთ ზუსტად; თქვენ არ განიხილავთ ამ მოსაზრებას, არ მოგყავთ **არც** ერთი ციტატა (მე ხომ განგებ შევუდარე ისინი; ტყუილად როდი მოგწერეთ; შევუდარე არა ერთი ციტატა!), და გვერდს უვლით: «გადასხვაფერებას არ საჭიროებსო». ბრალი სავსებით თქვენ მიგიძღვით — ნაცვლად უთანხმოებათა განხილვისა, თავს გვარიდებთ.

ამის გამო თქვენთვის არც «ცოდვა», არც «ანარქიზმი» არ დაუბრალებიათ, არამედ მოგწერეს: «დაე მომწიფდეს». ეს «სულ სხვადასხვა რამაა». თქვენ არათუ არ უპასუხებთ ჩვენს მითითებებს, არამედ მათს მნიშვნელობას ასხვაფერებთ. ასე არ შეიძლება.

«სტატია დიდხანს გედოთო...» ეს უკვე დაგვიანებული შარია. მე და გრ. დიდხანს ვწერდით ერთმანეთს, ვინაიდან სხვა სტატიებს ვამუშავებდით. თქვენ ვადა არ დაგინიშნავთ, თქვენს შესაძლო გამგზავრებაზე არავინ არ იცოდა. ეს შარია.

რაც შეეხება «გაგდებასა» და პოლემიკას შეუწყვეტელი ტონით, უნდა ვთქვა, რომ თქვენთან პრესაში პოლემიკა ჯერჯერობით არ გამიმართავს, არამედ **გწერდით** პოლემიკის სულისკვეთებით და ვცდილობდი თავიდან **ამეცილებინა** იგი. ეს ფაქტია. Facts are stubborn things *. ჭორით ფაქტს ვერ უარყოფ. პ. კიევსკის ვუპასუხებ პრესისათვის (თქვენ კი არა, პ. კიევსკის), და ვაძლევთ შეღავათს, რაც **არავისთვის** არ მიგვიცია **არასოდეს:** წინდაწინ ვუგზავნით სტატიას «თანხმობისათვის». (საუბედუროდ, გადამწერი ავად გახდა მუშაობის დროს; ამის გამო სტატია ჯერ არ არის მზად, და თქვენ, ალბათ, ვერც ნახავთ მას გამგზავრებამდე; მაგრამ **ამერიკასთან**

* — ფაქტები ჯიუტი რანაა. რედ.

გვაქვს ფოსტა, და პ. კიევსკი ალბათ გამოგიგზავნით. ამ გადამწერს რომ გამოვართვათ და სხვას მივცეთ, ეს არ შეიძლება, ვინაიდან იგი სხვა ქალაქშია; სხვა გადამწერი კი არა გვყავს: მას უჭირს, და ეს მცირეოდენი, წინდაწინ შეპირებული, საშუშაოც რომ წავართვათ, ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.)

პ. კიევსკის სტატია ძალიან ცუდია, და იგი საშინლად ურევს (საერთოდ დემოკრატიის საკითხში) *.

ჩვენ ყველანი რომ ყოველთვის დიდად გაფასებდით და თვეების, თვეების განმავლობაში დეტალურად გწერდით, დაწყებული 1915 წლის გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი დ ა ნ, რომ პროგრამა-მინიმუმისა და დემოკრატიის საკითხში მერყეობთ, -- ეს თქვენ იცით. გულწრფელად გამიხარდება, თუ პოლემიკა მ ა რ ტ ო ო დ ე ნ მის წამომწყებ პ. კიევსკისთან გვექნება და თუ თქვენთან უთანხმოება შეწყდება. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ საკითხებს (სადავო) არსებითად და ყურადღებით განიხილავდეთ და თავს არ არიდებდეთ.

ძალიან, ძალიან მიხარია, რომ ერთი აზრი გვაქვს «განიარაღების» მიმართ. ასევე ძალიან გამახარა ფრანცის გაცნობამ: ეტყობა, ბოლშევიკური პროპაგანდის თვალსაზრისით მასთან სერიოზულად იმუშავეს; აქ, ალბათ, თქვენი დამსახურება დიდია. ეს კაცი ცდილობს ჩასწვდეს საქმეს და საკმაო იმედს იძლევა.

ამასთან გიგზავნით მოწმობას. ამერიკასთან მიმოწერა მ ხ ო ლ ო დ სკანდინავიის მეშვეობით შეიძლება აწარმოოთ: სხვანაირად **ყველაფერი** ფუჭად ჩაივლის; ფრანგული ცენზურა უ ს ი რ ც ხ ვ ი ლ ო ა.

ამერიკის შესახებ. მე იქ 1915 წელს გავგზავნე რამდენიმე წერილი: ყ ვ ე ლ ა ს დაწყეულილმა ფრანგულმა და ინგლისურმა ცენზურამ კონფისკაცია უყო.

---

* მე არ ვიცი, თუ რა მოგწერათ გრიგოლმა, და არ შეშიძლია გიპასუხოთ ამ პუნქტის გამო. მისგან მოწერილს თქვენ «თავხედურ ტბდაუბდას» უწოდებთ... ჰმ... ჰმ! არ ეშინიათ, რომ ეს «განხეთქილების» ტონია? მე ვერაფრით ვერ მ ი ვ ს უ ლ ვ ა რ ამ ტონამდე პ. კიევსკისთან პოლემიკაში.

ძალიან სასურველია.

(1) გამოსცეთ იქ ინგლისურად ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის მანიფესტი.

(2) ასევე — ჩვენი ბროშურა ომის შესახებ (უნდა გადაკეთდეს ახალი გამოცემისათვის).

(3) მოახერხოთ, თუ შესაძლოა, უფასოდ გამოუგზავნოთ ცენტრალურ კომიტეტს Socialist party-სა და Socialist Labour Party-ს უმნიშვნელოვანესი გამოცემები და ბროშურები (მე მაქვს **მხოლოდ** «Appeal to Reason»).

(4) ნიუ-იორკის ებრაული გაზეთის რედაქტორი კაგანი იყო ჩემთან კრაკოვში 1912 წელს და, სხვათა შორის, შემპირდა გამოეგზავნა შეერთებული შტატების ოფიციალური ეკონომიური სტატისტიკის გამოცემები (იქ ამ გამოცემებს უფასოდ არიგებენ რედაქციაში), თან მითხრა, ჩემი გაზეთის ექსპედიცია ძალიან დიდია და ასეთი ამანათის გამოგზავნა სრულიადაც არ გაუჭირდებაო. დაპირება არ შეუსრულებია. თუ შეხვდებით, მოსინჯეთ ნიადაგი: უიმედოა თუ საიმედო.

(5) კარგი იქნება რუსი ბოლშევიკებისა და ლატვიელი ბოლშევიკებისაგან პატარა ჯგუფი შექმნათ, რომელიც შეძლებს თვალყური ადევნოს საინტერესო ლიტერატურას, გამოგზავნოს იგი, მოგვწეროს მის შესახებ, თარგმნოს და დაბეჭდოს ჩვენ მიერ აქედან გამოგზავნილი, შემდეგ ერთობლივ განიხილოს და «დაძრახ» სხვადასხვა საკითხები III ინტერნაციონალისა და საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში «მემარცხენე» მიმართულების შესახებ.

ერთი-ორი ბოლშევიკი რაც შეიძლება აქტიურად რომ დაგეკავშირებინათ ინგლისურის კარგად მცოდნე ერთ-ორ ლატვიელთან, საქმე, შესაძლოა, გაიჩარხებოდა.

(6) ლატვიელებს საერთოდ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ და, კერძოდ, შეეცადეთ ბერზინი ნახოთ. ვფიქრობ, მოძებნოთ Strahdneks-ის მეშვეობით.

(7) 1914 წლის დამლევს თუ 1915 წელს ამერიკიდან მივიღე Socialist Propaganda League-ს ფურცელი, და

profession de foi*, დაწერილი ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის სულისკვეთებით. მისამართს გიგზავნით. გავუგზავნე მათ ვრცელი წერილი ინგლისურად. ვითომ დაიკარგა? შეეცდები მოვძებნო და გამოგიგზავნოთ ასლი, თუ ცნობების მიხედვით თქვენ მიიჩნევთ, რომ ღირს გამოგზავნა. იმავე League-ს შესახებ ლატვიელებსაც მივწერე Strahdneks-ის მეშვეობით: ალბათ, ისიც დაიკარგა.

(8) ამერიკაში ბაზა უნდა შევქმნათ, რათა ვიმუშაოთ ინგლისის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელმაც ცენზურა ველურობამდე მიიყვანა. ეს § 5-სათვის.

9) ეცადეთ, დაუყოვნებლივ გვიპასუხოთ 2-სტრიქონიანი ლია ბარათით მაინც, ანდა მოახერხოთ **კარგად** დაუკავშირდეთ ამერიკას; და **წინასწარ** გაგვაფრთხილეთ (1 — 1½ თვით ადრე), როდის დაბრუნდებით.

გაგზავნილია ცოურიხიდან
ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ჟურნალ «ბოლშევიკში» № 22

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

527

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

მივიღეთ ბროშურა იმპერიალიზმის შესახებ და თქვენი ვრცელი წერილი. ყველაფერი მივიღეთ. დიდი მადლობა. «The Call»-ს გამოგიგზავნით. ახალ ლიტერატურას, ალბათ, ბერნიდან გრიგოლიც გამოგიგზავნით. ნადია დაკავებულია ლიგის ყრილობით, მთხოვს მოგიკითხოთ. მან გუშინ ვრცელი წერილი გამოგიგზავნათ. **ნუ** ზიხართ ზიორენბერგში: გაიყინებით და გაცივდებით.

ყოველნაირი სალამი!
თქვენი ლენინი

* — სოციალისტური პროპაგანდის ლიგა და რწმენა, პლატფორმა. რედ.

P. S. იქნებ, სამგზავრო ფული არა გაქვთ? დაუყოვნებლივ მოიწერეთ: ადვილად ვიშოვნით, რამდენიც გჭირდებათ...

დაწერილია 1916 წლის
21 ოქტომბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

528

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

გუშინ გამოგიგზავნეთ «ლეტოპისის»[114] № 7. რომ გამოიყენებთ, დამიბრუნეთ ან ბერნში გადაგზავნეთ, რათა იქიდან **დაუყოვნებლივ** დამიბრუნონ, აღარ გადასცენ სხვებს. აბრამოვიჩი იყო აქ, და ბევრი ვისაუბრეთ. კარგად მუშაობს ჭაბუკი **ქვემოდან**, გუბერზე დამოკიდებული არაა, რომელთან «ხელშეკრულებები» რასაკვირველია, უსარგებლოა. თუ ხანდახან გამომიგზავნით «L'Humanité»-ს **საინტერესო** №№-ს, სადაც დაბეჭდილია «მინორიტერთა» კრიტიკა და ა. შ., ძალიან მადლობელი დაგრჩებით.

მეგობრული სალამი!

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წლის 28 ოქტომბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

529

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ვაპირებ შვეიცარიელთა პარტიის ყრილობაზე (შაბათს, 4 ნოემბერს) წარმოვთქვა მისასალმებელი სიტყვა *. ტექსტს თან გიგზავნით. ძალიან გთხოვდით გეთარგმნათ იგი ფრანგულად **; იმ შემთხვევისათვის, თუ ვერ გაარჩევთ შავს, ცალკე გადაწერილს გიგზავნით (გვ. 4) ორ ყველაზე უსუფთაო ადგილს.

თუ მოლოდინის წინააღმდეგ ვერ შეძლებთ ამას, მ ი დ ე პ ე შ ე თ, გეთაყვა, (Uljanow — Kammerer — Spiegelgasse 14).

თუ შეძლებთ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მიპასუხეთ ღია ბარათით, რომ მიიღეთ ეს წერილი, **როდის** დაამთავრებთ და როდის გამოგზავნით თარგმანს, რომ მივიღო პარასკევს, ვინაიდან ძალიან ვშიშობ დავაგვიანო: დრო ცოტაა, ზიორენბერგთან ფოსტით დაკავშირება კი ძნელი საქმეა.

თარგმნილი ციტატები ამოვწერე ბროშურიდან, მაგრამ ისინი უნდა ჩავურთოთ სიტყვის **დამაკავშირებელ** ფრანგულ ტექსტში.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 30 ოქტომბერს
ვაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ბ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 152 — 156). რ ე დ.
** იხ. აგრეთვე ეს ტომი, დოკუმენტი 531. რ ე დ.

530

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

ჩაურთეთ, გეთაყვა, ტექსტში შემდეგი ორი დამატება:

სიტყვებს:

ჩაგრულ კლასთა მხრივ ძალადობის გამოყენება

დაემატოს: **«მჩაგვრელთა წინააღმდეგ»**

სიტყვებს:

ჩვენ მხარს ვუჭერდით — მაგალითად რევოლუციამდე 4 წლით ადრე — მასის მიერ ძალადობის გამოყენებას

დაემატოს:

«მის მჩაგვრელთა წინააღმდეგ» *.

ხვალ ნადიას სურს მოგწეროთ.

დაწერილია 1916 წლის 31 ოქტომბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

531

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! დიდი მადლობა თარგმანისათვის. მისი წაკითხვა არ მომიხდა; მე ყრილობის დასაწყისშივე ვილაპარაკე, როცა ფრანგები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოსული და არაფერი ფრანგულად არ ითარგმნებოდა. შეეცადეთ მაინც გამოვიყენო თარგმანი, გავუგზავნო აბრამოვიჩს და ა. შ., ეცადეთ დაბეჭდოთ სადმე.

---

* იგულისხმება შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ლენინის მისასალმებელი სიტყვის თარგმანის ტექსტის დამატებანი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 152 — 156). რ ე დ.

დღეს ფოსტას ვერ მოვუსწარი, საღამოს 7 საათზე დაკეტეს, მე კი ყრილობაზე ვიყავი დაკავებული.

ყრილობამ ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველად ომის დაწყების შემდეგ შვეიცარიელთა ყრილობაზე არათუ ჩნდება მემარცხენე ჯგუფი (1914 წელს იგი სრულიაღ არ ყოფილა; 1915-ში ის-ის იყო ჩნდებოდა), არამედ პირდაპირ იწყებს შეკავშირებას ოპოზიციად როგორც მემარჯვენეებთან, ისე «ცენტრთან» (გრიმი). აქ დიდია რადეკის დამსახურება; ადრე, ზაფხულში, მან რაღაც აურდაურია, ვინაიდან გრიგოლი მწერდა პოზიტიურად, რომ რადეკმა კვეხნით მისწერა, როგორ «შევარიგე გრიმი და პლატენიო» (კარგი დამსახურებაა!). ბრონსკი კი სამგზის უფრო მერყევ და სამგზის უფრო უგუნურ ხაზს ატარებს, ვიდრე რადეკი.

რადეკი ჩამოვიდა და ჩვენ «შევრიგდით» (იყო დაძაბულობა, რამაც კინაღამ გათიშვა გამოიწვია). ყრილობის წინადღეს მოვახერხეთ მოგვეწყო მემარცხენე დელეგატთა კერძო თათბირი (რასაც მე უკვე სამი კვირაა დაბეჯითებით მოვითხოვდი, მაგრამ დღემდე უშედეგოდ!). ამ თათბირზე იყო ყველა მემარცხენე ბელადი, მათ შორის ახალგაზრდებიც. * ჩვენ ადვილად დავიყოლიეთ რადეკი ერთსულოვანი მოქმედებით, ჩვენი რეზოლუცია სავსებით მიეღო, დავეთანხმეთ რა მისაღებ დათმობებს. ყრილობაზე უკვე დაიწყო ბრძოლა. პირველი შეტაკება «ნაციონალრატის» ფრაქციის შეფასებამ გამოიწვია. მემარცხენეები უტევდნენ. ნენისა და პლატენის სიტყვები შესანიშნავი იყო. გრეილიხი მემარჯვენეებს ძალზე სუსტად იცავდა. გრიმმა კვლავ ცენტრში ითამაშა და «შესწორებათა» გზით მიაღწია იმას, რომ ერთხმად უყარეს კენჭი (ცოტა აურდაურია). მან დაინახა, რომ უმრავლესობა აშკარად პლატენის მხარეზეა. ხვალ უნდა იყოს ბრძოლა კინტალის საკითხზე: აქ მემარცხენეთა რეზოლუციის პროექტი შემუშავებულია ჩვენი მონაწილეობით; იგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნაც.-რატის

* იხ. მომდევნო წერილი. რედ.

შესახებ. ვნახოთ, რა გამოვა! მე ბებერ ცხენსა ვგავარ ბრძოლაში.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის 4 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

532

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ნაცვლად «იმპერიალისტური ეკონომიზმისა» თქვენ წერთ, რომ არ გესმით გამოთქმა «ეკონომიური იმპერიალიზმი».

ძველი «ეკონომიზმი» არასწორად აყენებდა პოლიტიკური ბრძოლისადმი კაპიტალიზმის დამოკიდებულების საკითხს.

ახალი «ეკონომიზმი» არასწორად აყენებს პოლიტიკური ბრძოლისადმი კაპიტალისტური იმპერიალიზმის დამოკიდებულების საკითხს.

მე უფრო დაწვრილებით ვწერ ამის შესახებ სტატიაში იურის წინააღმდეგ (ამ ვაჭრუკანამ «თანხმობა» მოგვცა იბეჭდებოდეს — მაშასადამე, წავა «სბორნიკის» № 3 ან № 4-ში).

რადეკთან უთანხმოებას რ უ ს ე თ ი ს ა თ ვ ი ს (აგრეთვე გერმანიის, ინგლისისა და კოლონიებიანი ქვეყნებისათვის) მ ა რ ტ ო ო დ ე ნ თეორიული ინტერესი როდი აქვს. შვეიცარიისათვის — კი.

გრიმი თავხედი და არამზადაა. იგი უნამუსოდ მე კი არ მესხმის თავს (როგორც შეცდომით ფიქრობს გრიგოლი, რომელსაც კარგად ვერ აცნობა ზინამ), არამედ რ ა დ ე კ ს. საქმე ასე იყო (entre nous): პარასკევს, საღამოს, ჩვენ მემარცხენეთა თათბირი მოვაწყვეთ (სადაც სავსებით ერთსულოვნად გამოვედით რადეკი და მე) და მივიღეთ (დავნიშნეთ კომისია)

რეზოლუცია კინტალის შესახებ. იყვნენ პლატენი, ნობსი, Münzenberg-ი და კიდევ ზოგი ვინმე, ე. ი. მემარცხენეთა ყველა ბელადი. **შაბათს,** ნასადილევს, როცა ყრილობა ჯერ დაწყებული იყო (იგი დაიწყო შაბათს, დილით), არა ყრილობის შენობაში გაიმართა «ახალგაზრდების» (ამავე დროს ყრილობის დელეგატების) კრება. თავმჯდომარეობდა Münzenberg-ი. მოხსენება **(ჩვენი)** რეზოლუციის შესახებ გააკეთა რადეკმა. მე ვდუმდი. რეზოლუცია მიიღეს. ამ კრებაზე მოვიდნენ (კარი ღია იყო!) მოუწვევლად ქალბატონი (Genossin Block (Bloch) გრიმის მეგობარი ქალი და ჭორიკანა), დიმკა (ასევე ჭორიკანა და მარტოვის დაქალი) და ა. შ. ცხადია, მათ ენა მიუტანეს გრიმს. გრიმმაც გადაწყვიტა (დაუჯერა ბრიყვ დედაკაცებს), «ფაქტიური ავტორი» რადეკიაო, და დაბეჭდა, რომ ეს ავტორი (Urheber) გამოდიოდა «Vor einem arderen Forum»[515]. ხარიტონოვი «Volksrecht»-ში უარყოფას ბეჭდავს.

მე გაძლიერებული აგიტაცია მოვუწყვე პლატენსა და ნობსს მემარცხენეთა დარაზმვის (უფრო სწორად: შეკავშირების) შესახებ *. მოხსენებას წავუკითხავ მათ ამ საკითხზე (პლატენი შემპირდა, მოვაწყობთო). ვნახავ, დავძლევ თუ არა ენას და გამოვა თუ არა რამე.

რადეკი შეგვპირდა გამოვიდეს პირდაპირ გრიმის წინააღმდეგ «Arbeiterpolitik»-ში[516] (გირჩევთ გამოიწეროთ ეს ყოველკვირეული ჟურნალი: ნომერი ღირს 15 პფნ. = 20 სან.).

ვნახოთ, თუ შეასრულებს?

ნუ ავადმყოფობთ.

(ცენტრალურ ორგანოში სტატია მე დავწერე. **)

გართმევთ ხელს. ლენინი

---

* 1916 წლის 20 და 30 ნოემბერს ლენინი ესაუბრა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის წევრებს თეზისებზე «ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის წევრთა ამოცანები შვეიცარიის ს.-დ. პარტიაში». რედ.

** თუ რომელი სტატია იგულისხმება, დადგენილი არ არის. რედ.

P. S. ჩემი «თეზები» თქვენთვის ბერნში გავგზავნე (გრიგოლის მისამართით) და გთხოვეთ ფრანგულად გეთარგმნათ (ქენევის, ლოზანის, შო-დე-ფონისათვის და სხვ.). თუ მიიღეთ? თქვენი აზრი მათ შესახებ?

დაწერილია 1916 წლის 7 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

533

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! Entre nous * — პრივატულად! — **არ** გირჩევთ გამოგზავნოთ **ასეთი** წერილი[517]. **ასეთი** პირდაპირობით შეიძლება მხოლოდ **ძალიან** საიმედო და **ძალიან** მეგობრულად განწყობილ მემარცხენეებს ველაპარაკოთ.

სად არიან ისინი? ვინ არიან?

«ჩვენ გვსურს ხელთ ავიღოთ» — ეს პრესაში მოხვდება და **სასაცილოდ** აგიგდებენ!!

ჩემი რჩევაა: ამგვარად **მხოლოდ** კარგ მეგობრებს **შისწერეთ** (მაგალითად, რადეკის მეშვეობით, თუ **იგი** იკისრებს პასუხისმგებლობას, რომ გაუგზავნოს **მეგობრებს,** და **მხოლოდ** მათ).

ს.-დ. საზოგადოებისათვის **საერთოდ** ძალიან ფრთხილად გადააკეთეთ.

სალამი! **ლენინი**

დაწერილია 1916 წლის
26 ნოემბერზე ადრე
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — ჩვენ შორის დარჩეს. **რ ვ დ.**

534

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! Delaisi-ს წიგნზე, სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ არა მაქვს. შესაძლოა, ბერნში დავტოვე ან ვიღაცამ შეირჩინა.

რაც შეეხება ქალებისადმი თქვენს წერილს, ეტყობა, ჩემი შენიშვნების გამო განაწყენდით? ცოტა არ იყოს, ეს შენიშვნა სხვანაირადაც კი გაიგეთ?

მე გწერდით, რომ გირჩევთ ამოიღოთ ის ადგილი, სადაც ნათქვამია «ჩვენ გვსურს ხელთ ავიღოთ», ვინაიდან ეს სასაცილო აღმოჩნდება-მეთქი. თუ თანახმა არ ხართ, რომ ამოიღოთ, მაშინ გირჩევთ გაუგზავნოთ **მხოლოდ** ყველაზე მახლობელ, საიმედო მეგობრებს, გერმანიაში, მაგალითად, რადეკის მეშვეობით.

თუკი თანახმა ხართ გაუფრთხილებელი გამოთქმები გადაკეთოთ (ხომ შესაძლოა, რომ ახლანდელი საფოსტო წესების, გერმანიასა და საფრანგეთში მიმდინარე დაპატიმრებებისა და სხვა პირობებში წერილი სხვების ხელში მოხვდეს), მაშინ ჩემი რჩევაც უქმდება. ასეთი იყო ჩემი რჩევის არსი. და მეტი სხვა არაფერი. არავითარი «უკმაყოფილება» თქვენს წერილს არ გამოუწვევია, არავითარი მსგავსი რაშ.

თქვენ შემეკითხეთ გამომეთქვა აზრი: მეც გამოვთქვი — **მხ**ოლოდ გირჩევდით ოდნავ გადაგეკეთებინათ.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1916 წლის 26 ნოემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
ზიორენბერგში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

535

მ. ბ. ბრონსკის

ძვირფასო ამხანაგო!

ჩემი აზრით, სასურველია რეზოლუციის შემდეგნაირი ლოგიკური ჩამოყალიბება (პლატენის რეზოლუციის საფუძველზე.[518]) (ფრჩხილებში სიტყვასიტყვით პლატენიდან):

1. «ახლანდელი მსოფლიო ომი იმპერიალისტური ომია».

2. («დანაშაულებრივი საზავო პოლიტიკა»), სწორედ შვეიცარიისა, რომელიც ასევე შეიძლება ჩაითვალოს იმპერიალისტურ ომში, ერთი მხრივ, ამ პოლიტიკის შედეგად, მეორე მხრივ, იმპერიალისტური გარემოცვის გამო.

3. ამიტომ «სამშობლოს დაცვა» შვეიცარიისთვისაც «ფარისევლური ფრაზაა».

4. სამშობლოს დაცვის პრინციპული უარყოფა და «პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ყველაზე ძლიერი საშუალებანი». ამ საშუალებათა რაც შეიძლება სრული ნუსხა.

დაუყოვნებლივი დემობილიზაცია.

5. «მილიტარიზმის სრული მოსპობა» არა პაციფისტური აზრით, არამედ სოციალისტურ რევოლუციასთან მჭიდრო კავშირით და როგორც მისი შედეგი.

ჩემი აზრით, ჩვენ შეგვიძლია ამგვარად მივიღოთ კარგი ხუთპუნქტიანი რეზოლუცია.

თავისთავად ცხადია, რომ აქ არავითარ ფორმულირებებს არ ვიძლევი, მხოლოდ ლოგიკურ თანმიმდევრობას და აზრთა მსვლელობას მივუთითებ.

გულითადი სალმით. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1916 წლის
დეკემბრის დამდეგს
გაგზავნილია ციურიხიდან

პირველად დაიბეჭდა 1931 წელს
ლენინის XVII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

536

მ. ნ. პოკროვსკის

6/XII 1916.

პატივცემულო მიხ. ნიკ.!

მივიღე ღია ბარათი და ორასი ფრანკი, რაც გადავუგზავნე ზინოვიევს (მე მივიღე პიტერიდან 869 frs=500 მან.), ე. ი., ეტყობა, მთელი ჰონორარი; თუ ნაწილი გასამრჯელო არ არის აგრარული სამუშაოსათვის *. სამწუხაროა, სამწუხარო, რომ გამოცემათა «ბატონ-პატრონის» ** გარშემო ინტრიგანები მუშაობენ გამოცემათა წინააღმდეგ!!...

გულითადი სალამი! ვ. ულიანოვი

გაგზავნილია ციურიხიდან
Sceaux (*Seine*-ში) (საფრანგეთი)
პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

537

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ეს-ეს არის თქვენი ღია ბარათი მივიღე. ბერლინში poste restante *** მოკლე ღია ბარათი გამოგვგზავნეთ, რომლითაც მხოლოდ ხმის გაცემას გთხოვდით, ვინაიდან თქვენი დუმილი თანდათან უკვე მაწუხებდა.

ახლა ძალიან გამიტაცა აზრმა, რომ შვეიცარიის საქმეთა გამო ფურცლები გამოვცეთ.

---

* იგულისხმება ჰონორარი ნაშრომებისათვის: «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» და «ახალი მონაცემები მიწათმოქმედებაში კაპიტალიზმის განვითარების კანონთა შესახებ». რ ე დ.

** ა. მ. გორკი. რ ე დ.

*** — მოკითხვამდე. რ ე დ.

აქ რაღაც მემარცხენეთა წრისმაგვარი შეიქმნა. თუმცა, ეს გამოთქმა არაზუსტია: ჯერ მხოლოდ რამდენიმე კრება გაიმართა (ჩემი თეზისებით გამოწვეული). მონაწილეობენ ნობსი, პლატენი, მიუნცენბერგი, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა. მემარცხენეთა ამოცანებთან დაკავშირებით სამხედრო რეზოლუციის შესახებ ვსაუბრობთ. ამ საუბრებმა ჩემთვის განსაკუთრებით ცხადი გახადეს: 1) რაოდენ უზომოდ სუსტნი (ყოველ მხრივ) არიან შვეიცარიელი მემარცხენენი; 2) რარიგ ცუდია ბრონსკისა და რადეკის ზემოქმედების «სისტემა», რომლებიც წერდნენ და წერენ სტატიებს სხვა ქვეყნების მემარცხენეთა შესახებ! სწორედ ის არის მთავარი, რომ საზღვარგარეთის თაობაზე ყველა ერთსულოვნად მემარცხენეა: ეს ადვილია!! შვეიცარიის თაობაზე კი... ცუდადაა საქმე!

აბრამოვიჩი კისრულობს გაავრცელოს 1500 ეგზემპლარი ბროშურა და ფურცელი (ხომ არ იკისრებთ თარგმნოთ? სისტემატურად და გამუდმებით? მიპასუხეთ!), ხოლო მიუნცენბერგი, რომელსაც გუშინ ველაპარაკე, ახალგაზრდათა ორგანიზაციის მეთაური, 4000!! გერმანელ წევრს რომ აერთიანებს, **maximum** 1500 გავრცელებას კისრულობს!!

Guilbeaux, რომელსაც გავუგზავნე თეზისები *, მწერს თეზისებით ძალიან კმაყოფილი ვარ და ჩემ მიერ ახლად შექმნილ ინტერნაციონალისტთა კომიტეტს მათ საფუძვლად დავუდებო. ვნახოთ!

წაიკითხე Humbert-Droz-ის «Plaidoirie»!! [519] ღმერთო ჩემო, რა დომხალია! და ეს 1916 წელს! ტოლსტოელია — ვშიშობ, რომ უიმედო.

გრიგოლი მწერს, რომ «Arbeiterpolitik»-ის № 25-ში დაბეჭდილია შენიშვნა ««კომუნისტის» სამი რედაქტორის» [520] შესახებ და რომ «რადეკი ე. ბ. + ბუხარინის მიმართ იმავე

---

* იხ. «მემარცხენე ციმერვალდელთა ამოცანები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 173 — 188). რედ.

პოლიტიკას ატარებს, რასაც ტიშკა ლიოვასთან»... როგორც იქნა, გრიგოლიც კი მიხვდა ამას, თუმცა მაინც ჯიუტობს, «მიუხედავად ამისა, რადეკთან ურთიერთობის გაწყვეტა არა ღირსო». ხა-ხა!

თქვენ როგორ მოეწყვეთ? Maison Vincent-ის ბინა ხომ ცივია? დადიხართ თხილამურებით? აუცილებლად გირჩევთ: ძალიან სასარგებლოა. იარეთ მთებში თხილამურებით Rocher de Naye-ს მახლობლად

საუკეთესო სალამი!

ლ ე ნ ი ნ ი

P. S. უსიევიჩის ცოლი როგორი ადამიანია? ეტყობა, ენერგიული? გამოიყვანს თუ არა ქმარი მისგან ბოლშევიკს, თუ ცოლი თავისას გაიტანს?

დაწერილია 1916 წლის 17 დეკემბერს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

538

გ. ე. ზინოვიევს *

«კომუნისტის» გამო აღარ ღირს კამათი, რაკი თქვენ უარყოფთ იმ ფაქტს, რომ ისინი ბოლომდე დაჟინებით მოითხოვდნენ თანასწორობას და **არ დაეთანხმნენ** რედაქციის შეცვლას. ეს ხომ ფაქტებია: (1) თანასწორობა; (2) ტიშკა III Hintergrunde **.

* წერილის პირველი ნაწილი წარმოადგენს «შენიშვნებს ნაქსიმალიზმის შესახებ სტატიის გამო» (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., (რუს.), ტომი 30, გვ. 385—388). რ ე დ.

** — უკანა პლანზეა. რ ე დ

200 frs გამოგიგზავნეთ.

სკანდალი, შკლოვსკის რომ შეემთხვა, ძალიან მაშფოთებს და მაწუხებს[521]. თქვენ კი გინდოდათ მთელი სალარო მისთვის მიგეცათ!! ენერგიულად უნდა იმოქმედოთ: უთხარით მას, რომ ფული გვჭირდება ახალი წლისათვის და არ მოეშვათ, სანამ მთლად არ დააბრუნებს! საშინელი სკანდალია! მართლაცდა «პანამა» ჩვენ ცხვირწინაცაა.

«Arbeiterpolitik»-ში გასაგზავნი კოლექტიური წერილის თქვენს გეგმას ვეთანხმები.

სალამი. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. რა იქნა პარიზს გასაგზავნი წერილი? ნუთუ ინესას ჯერ არ გამოუგზავნია? || NB

P. S. «მ უ შ ა თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს ა» და სხვა მასალები 1905 წლის შესახებ **გამომიგზავნეთ.**

დაწერილია 1916 წლის 20 დეკემბერზე ციურიხიდან ბერნში

გაგზავნილია ციურიხიდან ბერნში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა ნე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

1917 წელი

539

მ. ნ. პოკროვსკის

პატივცემულო მ. ნ.!

მივიღე თქვენი ღია ბარათი და ძალიან მადლობელი ვარ, რომ ზრუნავთ ჩემი ბროშურის გადასარჩენად. ღმერთმანი, ამაოდ ფიქრობთ, რომ ოდნავაც გადანაშაულებთ. არავითარი მსგავსი რამ! დარწმუნებული ვარ, თქვენ რომ საქმეში არ ჩარეულიყავით, გაცილებით უარესი იქნებოდა, ვინაიდან გამომცემელი *, ჩანს, ობივატელთა ბანაკის «შემთხვევითს» რჩევადარიგებებს უჯერებს. ისიც კარგია, რომ მაინც მოახერხეთ დაგეცვათ გარკვეული (და ძალიან დიდი) ნაწილი. საუკეთესო სალამი და სურვილები ახალი წლისათვის!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 3 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან
Sceaux (*Seine*)-ში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1958 წლის
22 აპრილს გაზეთ
«კომსომოლსკაია პრავდაში» № 95

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

540

ი. თ. არმანდს

შინდა კიდევ გაგიზიაროთ ჩემი აზრები შემდეგ გეგმაზე. ჩემი თეზისები შეეიცარიელ მემარცხენეთა ამოცანების შე-

* ა. მ. გორკი. რ ე დ.

სახებ გერმანულიც და ფრანგულიც გავამზადე. ამასთან დაკავშირებით დამებადა გეგმა: დავაარსოთ პატარა გამომცემლობა და გამოვუშვათ ფურცლები და პ ა ტ ა რ ა ბროშურები ამ თეზისების გასავითარებლად.

მივწერე აბრამოვიჩს. მიპასუხა: ეკისრულობ გავავრცელო 1500 ეგზემპლარი. კრედიტი მაქვს Imprimerie coopérative *-ში 1/2 წლით. ფურცელი დაჯდება 50 — 70 frs. დაწვრილებით ყველაფერს გავიგებ და შეგატყობინებო (მე ვთხოვე დაწვრილებით გაეგო ფასები 2, 4, 8 ფურცლისა და 2000 და 5000 ეგზემპლარისათვის; მატრიცების ფასები; გამოსვლის სიჩქარე).

მაგრამ არ გამოუგზავნია!

მე აბრამოვიჩს ვუპასუხე, რომ იძულებული ვარ ჯ ე რ ჯ ე რ ო ბ ი თ ამ გეგმაზე ხელი ავიღო: სიძნელეებთან დაკავშირებით, რაზეც ქვემოთ გწერთ, მე მაიძულა ან, უფრო სწორად, პასუხთათვის იმ ფაქტმა წამაქეზა, რომ აბრამოვიჩი, თურმე, რაღაც ნაღველმა შეიპყრო: ზოგჯერ კ ვ ი რ ა ო ბ ი თ არ გზავნის პასუხს!! მიწერ-მოწერას არა ვარ ჩვეული და ვნაღვლიანობთ!! ასე მუშაობა კი არ შეიძლება.

მე სარისკოდ მომეჩვენა მთელი საქმე მარტო აბრამოვიჩისათვის მიგვენდო.

შემდეგ. მივწერე გილბოს — მან მიპასუხა: თეზისები «შესანიშნავია». კეთილი: დაგვეხმარებით გავავრცელოთ ფურცლები!? რამდენი ეგზემპლარი?

პ ა ს უ ხ ი არა და არ გ ა მ ო უ გ ზ ა ვ ნ ი ა! (ცხადია. თ ა ვ ი ს ი ჟურნალის გეგმის გამო.)

წავედი მიუნცენბერგთან: დაგვეხმარებით? დაგეხმარებით. მაგრამ **1500**-ზე მეტს (ეს ძალიან ცოტაა!!) ვერ შევძლებთ: გადატვირთული ვართ ლიტერატურით!

გერმანელი მთარგმნელი არა მყავს. ნობსი ვითომ შემპირდა, მაგრამ **აშკარაა**, არ თარგმნის.

---

* — კოოპერაციული სტამბა. რ ე დ.

გარდა ამისა. პარტია (ე. ი. Parteivorstand *) მხოლოდ ხვალ (7 იანვარს) წყვეტს, გადადებენ ყრილობას, თუ არა. ამაზე, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული.

აი, საქმის ვითარება, რომელმაც დაჰბადა ჩემში «გაბედული გეგმა», შემდეგ კი მასზე უარი მათქმევინა (დროებით).

ხომ არ ისურვებდით ხელი მოგეკიდათ საქმისათვის?

დაახლოებით, შემდეგნაირად:

თქვენ იქნებით ფრანგული ბროშურების გამომცემელი. მე ვკისრულობ რედაქციას (დაწერა და რედაქტირება). თქვენვე იქნებით მთარგმნელი. კარგი იქნებოდა, შეგევლოთ (მოკლე ხნით, რამდენიმე დღით, ვფიქრობ, იქ ცხოვრება არაა საჭირო) ლა-შო-დე-ფონში და გამოგერკვიათ მთლიანად ფინანსური მხარე და ტექნიკა. ასევე გაგეგოთ, შეგიძლიათ თუ არა იშოვოთ (ან დააავანსოთ) ფული ამ გამომცემლობისათვის (რამდენი? არ ვიცი. ვფიქრობ, 100 frs-დან რამდენიმე ას, 300 — 500 frs-მდე, იმისდა მიხედვით, რა პასუხს მოგვცემს სტამბა და რა მოცულობით უნდა დავაყენოთ საქმე).

თქვენ შეგეძლოთ ფრანგული შვეიცარიის რამდენიმე ცენტრი შემოგევლოთ (ლა-შო-დე-ფონი, Fribourg, Genéve, Lausanne, Bern, Neuchâtel და **მისთანანი**, ვასახელებ მხოლოდ მაგალითისათვის). გამავრცელებელი ჯგუფები შეგექმნათ, მოხსენებები წაგეკითხათ და ა. შ., დაკავშირებოდით, აგეწყოთ საქმე, შეგემოწმებინათ.

ვიმეორებ: ეს მუშაობის სანიმუშო გეგმაა მისი ყველაზე ფართო მასშტაბით (ალბათ, ამის ნაწილს თუ განვახორციელებთ). ფრანგული გამომცემლობა შესაძლოა, წააქეზებდა გერმანელებს.

აბრამოვიჩი, ვფიქრობ, არ ტყუის: 1500-ს იგი გაავრცელებს. დავუმატოთ minimum 500 ჟენევისათვის და სხვ. სულ = 2000. შეიძლება დავამატროცოთ, რომ არ დაგვეკარგოს ფული დიდი რაოდენობის შესაქმნელად. გავრცელებისათვის ახალგაზრდობის კავშირებს 20% გადავუხადოთ.

---

* — პარტიის გამგეობა. რედ.

(ა) ხარჯებს ავინაზღაურებთ? (ბ) და რამდენ ხანში დაგვიბრუნდება ფული?

ამ ორ კითხვაზე (ა + ბ) ყველაფერია დამოკიდებული.

თუ (ა) ხარჯებს საერთოდ ვერ ავინაზღაურებთ, მაშინ არც უნდა მოვკიდოთ ხელი, ვინაიდან ფულის შემომწირავი არა გვყავს. მხოლოდ იმდენს უნდა მოვკიდოთ ხელი, რაც ხარჯებს აანაზღაურებს. თუ (ბ) ფული ძალიან ნელა დაგვიბრუნდება, ე. ი. უწესივროდ (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია) და ნელა გადაგვიხდიან ბროშურებისათვის, მაშინ ან სულ არ უნდა წამოვიწყოთ საქმე, ან და გავიღოთ დიდძალი თანხა, რათა გავუშვათ რამდენიმე ფურცელი (შეიძლება ყოველთვის დაგვჭირდეს პოლემიკური პასუხის გამოცემა, ვინაიდან მტრები არ დადუმდებიან, მტრებს გაზეთები აქვთ; პასუხისათვის უნდა შეგვეძლოს გამოვუშვათ ექსტრა-ბროშურა ან ფურცელი). [მდგომარეობა პარტიაში ისეთია, რომ შესაძლოა გაიფთრებული ბრძოლა გაჩაღდეს.]

აი, პლუსები და მინუსები, წარმტაცი პერსპექტივები და სიძნელეები.

თუ ეს აზრი საერთოდ არ გაინტერესებთ ან ამა თუ იმ მიზეზით შესაძლებლად ან თქვენთვის შესაფერისად არ მიგაჩნიათ ხელი მოჰკიდოთ გამომცემლობას და საქმის წამოწყებას, მაშინ, ძალიან გთხოვთ, **უცერემონიოდ**, დახიეთ ეს წერილი. დარჩება მხოლოდ ჩემი საუბარი თქვენთან ერთ-ერთი ჩემი გეგმის შესახებ (მანამდე, სანამ გამოვნახავ მომავალში რაიმე შესაძლებლობას განვაახლო ჩემი გეგმები).

თუკი გაინტერესებთ, მაშინ შეუარეთ აბრამოვიჩს, საქმიანად გაიგეთ ყველაფერი და დაუყოვნებლივ მომწერეთ მიღებული შედეგები. მაშინ ერთხელ კიდევ ერთად და გულდასმით განვიხილავთ ჩვენს გეგმას, ერთმანეთს წერილებს მივწერთ.

ფურცლები, ჩემი აზრით, უნდა იყოს ორგვარი (αα) მასისათვის და (ββ) სოციალისტებისათვის.

ერთიცა და მეორეც მოცულობით პატარა: მცირე ფორმატის (წვრილი და მჭიდრო შრიფტით აწყობილი) **2-დან 8-მდე ნაბეჭდი გვერდი.**

თემები (სანიმუშო):

(αα) — სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ; არაპირდაპირი გადასახადების წინააღმდეგ; სიძვირე; სოციალიზმის შემოღება, როგორც უახლოესი მიზანი; ბანკების ექსპროპრიაცია და ა. შ.

(ββ) — ცუდი და კარგი მოსაზრებანი სამშობლოს დაცვის უარსაყოფად; სოციალ-პატრიოტებისა და «ცენტრის» წინააღმდეგ; უპარტიო და პარტიულ გრიუტლიანელთა წინააღმდეგ და სხვ. და ა. შ.

როგორ მოვემზადოთ პარტიის ყრილობისათვის; ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მუშ. პარტია თუ სოციალისტური?

ყველა ფურცელი შეიძლებოდა ერთი ფირმით გამოგვეცა, ვთქვათ «სვეტ» ან სხვა რომელიც გნებავთ.

მიუნცენბერგმა მითხრა, ისინი («ახალგაზრდები») საკომისიო გასამრჯელოს მოუთხოვნელადაც გაავრცელებენო. მაგრამ ეს, ვფიქრობ, შეუძლებელია. 20%-ით (1 სანტიმი გასაყიდი ფასის ყოველი 5 სანტიმიდან) ისინი, ალბათ, ე ნ ე რ გ ი უ ლ ა დ გაავრცელებდნენ.

ვფიქრობ, რომ ახლა ყველაფერი აგიხსენით, ე. ი. მოგწერეთ ყველაფერი, რაც ვიცი (გეგმებისა და ცნობების თვალსაზრისით) ყველა საქმეზე მსჯელობისათვის:

ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნევდი გამოგვეცა **იგივე** გერმანულადაც და იტალიურადაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა (1) მთარგმნელები; (2) ახალი ფული; ჯერჯერობით არც ერთი არაა და არც მეორე. ვფიქრობ: ფრანგული რომ დაგვეწყო, გერმანელები, იქნებ, მთარგმნელებს **მონახავდნენ.**

შესაძლოა, ჩვენ საქმე მხოლოდ იმიტომ არ გამოგვივა, რომ სწორ ტონს ვერ ავიღებთ ფრანგული mentalité *-ს თვალსაზრისით.

ეს ძალიან მაწუხებს და **ძალიან** მაშინებს.

დაწერილია 1917 წლის 6 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

541

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ძალიან დიდი მადლობა, რომ ჟენევის ამბები შემატყობინეთ. ოლღას ერთობ აღგზნებული წერილი მივწერე, რომელსაც კარპინსკიმ სალანძღავი უწოდა. ვფიქრობ, ოლღა განაწყენებულია. მივწერ საბოდიშო წერილს.

ძნელი მოსათმენი იყო, რომ ბრილიანტმა «უკუაგდო» გილბო.

მაგრამ თქვენი წერილიდან ვხედავ, რომ ეს გარდუვალი იყო: ლუნაჩარსკის (პოეტი!) + ბრილიანტი (მას ფული აქვსო, მწერს გრიგოლი)+Naine+Graber ერთობლივი ზეგავლენის წინააღმდეგ, ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვეძლო გვებრძოლა გილბოს სისუსტის გამო.

დავიცადოთ, რა ორგანო ექნებათ.

თუ იღებთ «L'Humanité»-ს, რომ წაიკითხავთ, გამოგზავნეთ, გეთაყვა, თუ არ გჭირდებათ, ამონაჭრები (კონგრესის რეზოლუციების **ტექსტი**; სტატიები კონგრესის შესახებ; ლონგესა და კომპ. სიტყვები; მათი რეზოლუციები; საინტერესო სტატიები, რაც საერთოდ იშვიათია. და ა. შ.) [522].

რა სამარცხვინო რეზოლუციაზე შეთანხმდნენ Longuet + Renaudel (2800 120-ის წინააღმდეგ!!) და ბურდერონი + Raffin-Dugens-ი გადაბარგდნენ მათთან!! ხოლო Merrheim-ი? მან ხომ ჟუოსთან ერთად ხმა მისცა C. G. T.-ს პაციფისტურ რეზოლუციას!!

ვაი, სირცხვილო!

მე ამას ვუკავშირებ კაუცკის 5 მუხლს ზავის შესახებ (იგივე უხამსობა) + იტალიის სოციალისტური პარტია და ტურატის სიტყვა 1916 წლის 17 დეკემბერს (იგივე უხამსობა).

კაუცკის პაციფიზმმა სძლია ციმერვალდს, რასაც გრიმი (ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის 1916 წლის 30 დეკემბრის მოწოდება)[523] ჩქმალავს რევოლუციური ფრაზებით!! სწორედ ისე, როგორც II ინტერნაციონალში: რევოლუციური აბრა + რეფორმისტული არსი.

ვიწყებ (უფრო სწორად: მინდა დავიწყო) ლაშქრობას ამ სიცრუის გამოსააშკარავებლად.

რა სამარცხვინო ამბავი მოხდა შვეიცარიის პარტიაში! 10 დღის წინ სამხედრო კომისიამ (პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ სპეციალურად არჩეულმა) შეადგინა 2 რეზოლუცია: 4-მა ხმა მისცა სამშობლოს დაცვისათვის და 5-მა წინააღმდეგ.

დღემდე **არც** ერთი **არ** დაუბეჭდავთ!!

ოპორტუნისტები (და გრიმი!) ყოველნაირად ცდილობენ, რომ მოხსნან ეს საკითხი და გადადონ ყრილობა (მუშები მზად არ არიანო! სინამდვილეში კი სწორედ ისინი, ოპორტუნისტები, ა ჭ ი ა ნ უ რ ე ბ ე ნ მზადებას...)

არ სურთ წარმართონ პარლამენტის არჩევნები (1917 წლის შემოდგომა) ლოზუნგით — ნუ დავიცავთ სამშობლოს!!

სრული სირცხვილი და გარყვნილებაა...

მაგრად, მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ სიმხნევესა და ყოველივე საუკეთესოს ახალი წლისათვის.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 6 იანვარზე
გვიან
გაგზავნილია ციურიხიდან ლარანში
(შვეიცარია)

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

542

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით შეპირებულ «Volksrecht»-ის №-ს, რომელშიც დაბეჭდილია რეზოლუცია ყრილობის გადადების წინააღმდეგ საპროტესტო კრების შესახებ[524]. თუკი არიან შვეიცარიელი მემარცხენენი კლარანსა და ლოზანაში, კარგი იქნება თარგმნოთ ეს რეზოლუცია და ისინიც პროტესტისათვის წააქეზოთ.

კამენევი[525] წაკითხვისთანავე უშუალოდ მე დამიბრუნეთ, ვინაიდან ჯერ არ წამიკითხავს.

კატალოგებს გიგზავნით 2 დღით: გადახედეთ და ამოიწერეთ (სახელწოდებანი და ნომრები) ის, **რაც თქვენთვის საინტერესოა.** შემიძლია გამოგიგზავნოთ თითო წიგნი ამ ბიბლიოთეკიდან. მაქვს **სქელი** ძირითადი კატალოგიც: შემიძლია ისიც გამოგიგზავნოთ, თუ გაინტერესებთ და თუ არ არის ადგილობრივ საჯარო ბიბლიოთეკაში.

გართმევთ ხელს. თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წლის 7 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

ბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

543

მ. ნ. პოკროვსკის

პატივცემულო მ. ნ.!

ის-ის იყო გამოგიგზავნეთ ლია ბარათი ბროშურის თაობაზე (თქვენი ბარათის პასუხად), რომ მაშინვე მივიღე ფული და ახლა 2 ჯერზე მიღებული მაქვს 500 frs, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ.

მივიღე აგრეთვე ფორმალური პასუხი (ფოსტისა), რომ ჩემს ხელნაწერს ეკონომიკის შესახებ *, რომელიც 1916 წლის 2 ივლისს გამოგიგზავნეთ, saisi l'autorité militaire!!! **

პირდაპირ დაუჯერებელია!! შეიძლება თუ არა კიდევ სადმე შევეცადოთ თუ უიმედოა?

საუკეთესო სალმითა და სურვილებით

თქვენი ვ. ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 8 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან
Sceaux (*Seine*)-ში (საფრანგეთი)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
ჟურნალში
«ვოპროსი ისტორიი კპსს» № 4

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

544

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. ა.! მაგრად კი «დამამუშავეთ» ნიკოლოზ II-ს გამო. ჰა? ***

რაც შეეხება Garton Foundation-ს, მინიშნებანი არ მინახავს და არ ვიცი, სად და როგორ ვეძებო. არ გახსოვთ, თქვენ სად წაიკითხეთ? ხომ ვერ მოძებნით გაზეთის ამ №-ს — მაშინ მე აქ მოვნახავდი ამ მინიშნებას ბიბლიოთეკაში.

ამასთან გიგზავნით «Volksrecht»-ს, სადაც, გარდა ცენტრალური კომიტეტის განცხადებისა, ყურადღება მიაქციეთ ციურიხის კრების რეზოლუციას ყ ი ლ ო ბ ი ს გ ა დ ა დ ე ბ ი ს წ ი ნ ა აღ მ დ ე გ[526]. ძალიან ვთხოვ ოლღას გააცნოს ეს ციმერვალდის მემარცხენეთა ჟენევის ჯგუფს და ყოველ-

* იგულისხმება ხელნაწერი წიგნისა «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 229 — 384). რ ე დ.

** — კონფისკაცია უყვეს სამხედრო ხელისუფლებმა!!! რ ე დ.

*** თუ რაზეა ლაპარაკი, ვერ დავადგინეთ. რ ე დ.

ნაირად მხარი დაუჭიროს, თარგმნოს რეზოლუცია, მიიღებინოს ასეთივე და სხვ. (ეს რეზოლუცია ჩვენ აქ ციმერვალდის მემარცხენეთა წრეში მოვამზადეთ. სასურველია გავაერთიანოთ ჩვენი საქმიანობა).

ჟენევაში ვერ ჩამოვალ: (1) შეუძლოდ ვარ; ნერვები არ მივარგა. რეფერატებისა მეშინია; (2) 22 იანვარს აქ დაკავებული ვარ, უნდა მოვემზადო გერმანული მოხსენებისათვის. ამიტომ ჩამოსვლას ვერ შეგპირდებით. (მომწერეთ, რა თათბირს გვთავაზობს გილბო, **ვისი შემადგენლობით**, როდის? ხომ არ გამოგადგებით? რით?).

მაგრად გართმევთ ხელს ორივეს და გიგზავნით ყოველნაირ სალამს.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წლის 10 და
22 იანვარს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

545

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

გუშინ მემარცხენე გერმანელთა კრება გვქონდა. უმეტესად მუშები არიან, ახალგაზრდობაცაა. მუშაობა ჯერ კიდევ ვერ ავაწყვეთ: შთაბეჭდილება ორჭოფული, მერყევი მაქვს. ნობსიცაა რა: ერთმა მუშამ ყრილობის გადადების საკითხში საზიზღარი საქციელის გამო მას მემარცხენე სტატია გამოუგზავნა. ნობსმა სტატია ხელმოწერით დაბეჭდა, მეორე დღეს კი სხვა მიმართულებისაც, ამასთან მემარცხენის სტატია **გააფუჭა**, დაანაკუწა, ეს შემთხვევით კრებაზე გავიგე, როცა სტატიის **სწორედ** ის ადგილები გავაკრიტიკე, რომლებიც ნობსმა დაამახინჯა!

ესეც შენი «მემარცხენენი»!

სხვათა შორის: კრებაზე გამოირკვა, რომ არის კავშირი ნევშატელის მემარცხენეებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ადრე ოპორტუნისტთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ჰოდა, ცუდი არ იქნებოდა შეგეგლოთ იქ მისამართით (respective * სარეკომენდაციო წერილებით, რომლებიც აქ შემეძლო მეშოვა) და გესწავლებინათ მათთვის, წაგეკითხათ მოხსენებები, დაკავშირებოდით და სხვა.

მოგწერეთ თუ არა, რომ Naine-მ Parteivorstand-ის კრებაზე (7 იანვარს) კეთილსინდისიერება გამოიჩინა და გრიმის წინააღმდეგ ილაპარაკა, უსაყვედურა მას, როგორც სწორედ «ინტერნაციონალურ მდივანს»!

ოლღა მწერს დღეს, რომ გილბომ ფრანგების ყრილობის შესახებ მოხსენება წაიკითხა, სასტიკად გალანძღა ლონგეტისტები («თქვენზე მაგრად», როგორც იგი წერს), მოითხოვდა გათიშვას. ეს კარგია, მაგრამ მას, გილბოს, ბაზა არა აქვს, იგი თავნება კაცია, საფუძველი, თეორია არა აქვს. ეს საშიშია. იგი პარიზიდან ცოლს ელოდება, რომელიც იქ აგიტაციას ეწევა. გილბო და ბრილიანტი შეთანხმდნენ ყრილობის გადადების გამო საპროტესტო რეზოლუცია მიიღონ. 22 იანვარს მათ დელეგატთა კრება აქვთ დანიშნული, რომ ამ რეზოლუციას კენჭი უყარონ.

ჩვენ აქ ზეგ, კვირას, მემარცხენეთა ბიუროს (გრიგოლი, რადეკი და მე) კრება გვაქვს გრიმის წინააღმდეგ პროტესტის საკითხზე. ვნახოთ!

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და ერთხელ კიდევ გთხოვთ გაემგზავროთ სადმე თუნდაც მცირე ხნით, თუნდაც რეფერატებით ანდა სხვანაირად, რათა გამოცოცხლდეთ და ჩაებათ საქმეში, რომელიც მიმზიდველი და სასარგებლოა ახალ-ახალი ადამიანებისათვის. გეფიცებით, ფრანგებთან მუშაობა ძალიან საჭიროა და ძალიან სასარგებლოა.

---

* — ან. რედ.

წიგნი და კატალოგები მივიღე. Merci.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 13 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

546

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! მივიღე თქვენი წერილი და «რ უ ს-კ ო ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს» ამონაჭერი. ყველაფრისათვის დიდი მადლობა.

ძვირფასო მეგობარო! ვიცი, თუ როგორ გიჭირთ და ძალიან მსურს რითაც შემიძლია ყოველნაირად დაგეხმაროთ. ხომ არ მოსინჯავდით გეცხოვრათ იქ, სადაც მეგობრები არიან და სადაც შეიძლება ქრონიკულად ისაუბროთ პარტიულ საქმეებზე, ქრონიკულად მიიღოთ მონაწილეობა ამ საქმეებში?

დღეს გალბოსაგან, ძალიან მოკლე წერილი მივიღე. წერს, რომ ზავის საკითხზე მიტინგს ამზადებს. 4 სტატია (ანუ თავი) დავწერე ამის შესახებ «ნ ო ვ ი მ ი რ ი ს ა თ ვ ი ს» (სადაც, ამბობენ, სტატიისათვის 5 დოლარს იძლევიან, რაც პირდაპირ სულზე მომისწრებდა) [527]. გიგზავნით ამ სტატიებს: ხომ არ მოიფიქრებთ ასეთ გეგმას: მე შემეძლო მომეწოდებინა თქვენთვის კიდევ დამატებითი მასალები, თქვენ კი შეადგენდით ფრანგულ რეფერატს ამ ძალიან აქტუალურ თემაზე და მოივლიდით ამ რეფერატით ფრანგულ შვეიცარიას? საქმე ძალიან მოიგებდა, ვინაიდან ყველას პაციფისტური აბდაუბდით აქვს თავი **გამოტენილი**, და ეს აბდაუბდა მხოლოდ შეუპოვარი, სისტემატური ზემოქმედებით შეიძლება გავფანტოთ. მართლაც, ხელი მოჰკიდეთ, შეადგინეთ თქვენი რეფერატის

დაწვრილებითი თეზისები (ჩვენ შეგვეძლო ცალკე განგვეხილა ისინი) ანდა დაწერეთ მთელი რეფერატი. ფრანგ მუშებს შვეიცარიაში ვერ ავინ ვერ წაუკითხავს პაციფიზმისადმი მარქსისტული დამოკიდებულების შესახებ, თქვენ კი შეგეძლოთ ეს, რითაც მუშებს ფიქრისათვის ძალიან დიდ მასალას მისცემდით. ახლავე ცოტ-ცოტა დაიწყეთ მზადება; სამუშაო **გაგიტაცებთ,** მერწმუნეთ, რომ ასეთი სამუშაო გამოსაჯანსაღებლად და დასამშვიდებლად ყველაზე მნიშვნელოვანია! მე გამოგიგზავნით ამონაჭრებს «Bataille»-დან[528], რეზოლუციათა ტექსტებს, ტექსტებს «Avanti!»-დან («Avanti!»-ის ძველი №-ბი შემიძლია გიშოვოთ — თქვენ ადვილად შეისწავლით იტალიურად კითხვას; ესეც **ძალიან** საჭიროა. ვინაიდან იტალიელი მუშები შვეიცარიაში ძალიან ბევრია, და მათაც ვერ ავინ ვერ შეასწავლის მარქსიზმს).

23 იანვრისათვის გრიმი იწვევს (ჩვენს შორის დარჩეს) Entente-ს სოციალისტთა კონფერენციას (Entente-ს შოვინისტ-სოციალისტთა კონფერენციაზე მათი საქციელის განსახილველად). ჩვენ ვამზადებთ მკვეთრ პროტესტს გრიმის წინააღმდეგ (იმასაც კი მოვითხოვთ, რომ იგი გავიდეს I. S. K.-დან) ყრილობის გადადების საკითხში მისი უსაზიზღრესი საქციელისათვის *. ძალიან გირჩევთ მოძებნოთ «Volksrecht»-ი (მე გამოგიგზავნით №-ს, რომელშიც დაბეჭდილია რეზოლუცია), «Berner Tagwacht»-ი (ბერნიდან ხომ გამოგიგზავნიან? განსაკუთრებით კი 8 ან 9 იანვრის №) და «Grütlianer»-ი[529] (4 და 9 იანვრისა). მე კიდევ მოგწერთ ამის შესახებ. შვეიცარიელთა პარტიის (Parteivorstand-ის) გამგეობის 1917 წლის 7 იანვრის კრება ისტორიული იყო: განუსაზღვრელი ვადით გადასდეს სწორედ Militärfrage-სადმი ** მიძღვნილი ყრილობა!! და გრიმი გადადების მომხრეებს სოციალ-პატრიოტებთან ერთად სათავეში ედგა!! ეს ამას ვერ

* იხ. მომდევნო წერილი. რედ.

** — ომის საკითხი!! რედ.

ვაპატიებთ მას. დღეს აქ მემარცხენეთა კრება გვაქვს. მე და გრიგოლმა მივწერეთ რადეკს, ვუხმობთ მას და როლანდ-ჰოლსტს და სხვებს პროტესტი გამოთქვან გრიმის წინააღმდეგ. გილბოსაც მოვიხმობთ, მაგრამ იგი სრულიად არ არის მომზადებული საკითხის გასაგებად, და თქვენი რეფერატი (საჯარო ხომ არა, ან დასაწყისისთვის საუბარი მემარცხენეთა ყენევის ჯგუფში) ძალიან სასარგებლო იქნებოდა.

ოლღამ მომწერა, რომ ვიღაც მემარცხენე ფრანგი დადის გილბოსთან (და მან, ოლღამ, ჩააგონა გილბოს იდეა მიმიწვიოს მოსათათბირებლად: მე მეუხერხულება და არ მივდივარ). ეს ფრანგი ის ხომ არ არის, 23 იანვარს რომ მიემგზავრება?? თქვენ რომ დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ამ დროს (23 იანვარს) რამდენიმე ხანი დაგეყოთ ყენევაში და წაგეკითხათ იქ (ან მოგემზადებინათ) რეფერატი, სწორედ თქვენ, შესაძლოა, **შემთხვევით** შეხვდებოდით (აქ კი საჭიროა სწორედ შემთხვევით შეხვედრა) პარიზელ ფრანგსაც და ბევრ რამეს შეასწავლიდით მას. მოამზადეთ რეფერატი ან საუბარი 25 იანვრისათვის?? (ხოლო თუ «ი ს ი ნ ი» არ დაბრუნდებიან 25-სათვის, მაშინ გადადეთ **შემდეგისათვის,** გილბოსთან საუბრის შემდეგ, მათ დაბრუნებამდე: ასე შეიძლება «გამოვიჭიროთ» გილბოც და ფრანგიც, არა?)

აბრამოვიჩთან კი, სჯობს ჯერ ნუ წახვალთ, ვინაიდან გუშინ მომწერა, რომ გ ზ ა ვ ნ ი ს ცნობებს სტამბიდან. უნდა დაველოდოთ ამ ცნობების მოსვლას.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ რაც შეიძლება საჩქაროდ დაამუშაოთ რეფერატი (რომელიც შემდგომ მაინც გამოგადგებათ, ყოველ შემთხვევაში).

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. სწორედ პ ა ც ი ფ ი ზ მ ი ა ახლა ყველაზე აქტუალური საკითხი, სწორედ ა ქ, ე. ი. ამ საკითხზე უნდა ვასწავლოთ ახლა (გილბოსა და ფრანგებს განსაკუთრებით) მისი

მარქსისტულად დაყენება. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ ამ პუნქტზე.

დაწერილია 1917 წლის 14 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

547

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! მხოლოდ დღეს, ორშაბათს, დავამთავრეთ გუშინ დაწყებული თათბირი გრიმის წინააღმდეგ გამგზავრის შესახებ. მონაწილეობდა გერმანელიც, «Die Internationale»-ს ჯგუფის წევრი, სავსებით «მემარცხენე».

ისეთი მტკიცე განცხადება მივიღეთ გრიმის წინააღმდეგ (I. S. K.-დან მის გაძევებას მოვითხოვთ), რომ პლატენმა ამას «პოლიტიკური მკვლელობა» უწოდა.

ეს ჯერჯერობით მხოლოდ ჩვენს შორის დარჩეს.

გაივლის ერთი-ორი კვირა, ვიდრე ეს გაეგზავნება როლანდ-ჰოლსტს და სხვებს და მათგან მოვა პასუხი.

ძალიან დავიღალე — გადავეჩვიე კრებებს!

ვიმედოვნებ, იმიტომ კი არ მიპასუხებთ ჩემს წინადადებაზე გამგზავრებულიყავით ფრანგული რეფერატის წასაკითხავად, რომ აბსოლუტურად ამის წინააღმდეგი ხართ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ გინდათ უკეთ მოიფიქროთ ეს გეგმა და გსურთ დაეთანხმოთ მას. არ გაჩქარებთ და არ ვცდილობ დაჟინებით თქვენს დარწმუნებას, მაგრამ ძალიან მინდა, რომ თქვენ რაც შეიძლება გამოცოცხლდეთ, გამოიცვალოთ ჰაერი,

მოინახულოთ ახალი და ძველი მეგობრები, მინდა გითხრათ რაც შეიძლება მეტი მეგობრული სიტყვა, რათა შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა, ვიდრე განეწყობოდეთ სამუშაოდ, რომელიც მთლიანად გაგიტაცებთ. მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

P. S. ვფიქრობ, დიდ სარგებლობას მოგვიტანს გრიმის წინააღმდეგ გამოსვლა.

დაწერილია 1917 წლის 15 იანვარს
ჟაჟზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

548

ვ. ა. კარპინსკისა და ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო მეგობრებო! უაღრესად მჭირდება რსდმპ ცენტრალურ ორგანოსთან არსებული «სადისკუსიო ფურცელი» (პარიზი, 1910 თუ 1911 წ.), სადაც დაიბეჭდა ჩემი სტატია მარტოვისა და ტროცკის წინააღმდეგ რუსეთის რევოლუციის შესახებ (სტატია შეიცავდა მონაცემებს გაფიცვებისა და იმ მაზრების %-ის შესახებ, რომელთაც გლეხთა მოძრაობა მოედო) *. სულ «სადისკუსიო ფურცლის» №№ ერთობ ცოტა იყო, და ჩვენ უნდა გვქონდეს, სტატია ადვილი მოსა-

* იხ. «ისტორიული აზრი შინაპარტიული ბრძოლისა რუსეთში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 468—492). რედ.

ნახავია. ძალიან გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამომიგზავნოთ. მალე დაგიბრუნებთ ამასაც და ადრე გამოგზავნილსაც.

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 15 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
გერმანულ ენაზე კრებულში
«Lenin, W. I. Rede über die Revolution von 1905.» Leipzig

რუსულ ენაზე პირველად დაიბეჭდა
1929 წელს ლენინის XI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

549

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

თუ შვეიცარია ჩაებმება ომში, ფრანგები დაუყოვნებლივ დაიკავებენ ჟენევას. მაშინ ჟენევაში ყოფნა იმას ნიშნავს, რომ საფრანგეთში იმყოფებით და იქიდან გაქვთ ურთიერთობა რუსეთთან. ამიტომ ვფიქრობ პ ა რ ტ ი უ ლ ი სალარო ჩაგაბაროთ თქვენ (რომ თ ა ნ ატარებდეთ, ამისათვის შეკერილი პარკით, ვინაიდან ომის დროს ბანკიდან არ მოგვცემენ). ამის შესახებ ვწერ გრიგოლს. ეს მხოლოდ გეგმებია, ჯერჯერობით ჩვენს შორის დარჩეს.

ვფიქრობ, რომ ციურიხში დავრჩებით, რომ ომი დაუჯერებელია.

გითვლით საუკეთესო სალამს და გართმევთ ხელს!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 16 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

550

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

თანდართული რეზოლუცია, ძალიან გთხოვთ, თარგმნეთ ფრანგულად და **დამიბრუნეთ** (რომ მივცე გადასაწერად ლოზანის გერმანელთა ჯგუფისათვის)[530].

რეზოლუცია აქ მიღებულია მემარცხენეთა მიერ და ვრცელდება მთელ შვეიცარიაში.

უნდა შევეცადოთ ყოველნაირად გავავრცელოთ იგი პარტიის წევრთა შორის და გავაცნოთ ყველა პარტიულ ორგანიზაციას, თუნდაც ყველაზე მცირერიცხოვანსაც კი.

ერთმა, მცირერიცხოვანმაც კი რომ მიიღოს ეს რეზოლუცია, იგი ოფიციალურად უნდა გავუგზავნოთ პარტიის ადგილობრივ და ცენტრალურ გამგეობასაც (Geschäftsleitung der Soz. Partei. *Zürich.* Volkshaus) და მოვთხოვოთ დაბეჭდვა. საუკეთესო სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ოლღასაც ვუგზავნი გილბოსა და აბრამოვიჩისათვის თითო-თითო ეგზემპლარს.

დაწერილია 1917 წლის 19 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

551

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

ამასთან გიგზავნით აბრამოვიჩის წერილსა (**დაუყოვნებლივ დამიბრუნეთ**) და ამერიკელთა ფურცელს (დამიბრუნეთ შესწავლის შემდეგ, საჯაროფო არაა).

აბრამოვიჩის წერილი გვიჩვენებს, რომ საქმეები კარგად მიდის (აქაც: გუშინ მივიღეთ რეზოლუცია ყრილობის გადადების წინააღმდეგ და ყრილობის შესახებ[531] რეფერენდუმი მოვითხოვეთ).

აქედან ჩანს, რომ ძალიან უნდა დავაჩქაროთ **ჩვენი** ფურცლების გამოცემა. ძალიან დავაჩქაროთ!! (აგრეთვე გერმანელთა ჯგუფების მეშვეობით La Chaux-de-Fonds-სა და ლოზანაში მოვაწყოთ გერმანული გამომცემლობა — **ჩვენი**).

დააჩქარეთ გამგზავრება La Chaux-de-Fonds-ში რამდენიმე დღით, აიღეთ უზუსტესი ხარჯთაღრიცხვები სტამბიდან (თქვენ თვითონ კი არა, აბრამოვიჩის მეშვეობით) და საჩქაროდ მომწერეთ, რამდენი ფული შეგიძლიათ იშოვოთ და რამდენ ხანში: 50 frs? 100 თუ 200?

იჩქარეთ! სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ომი ნუ შეგაშინებთ: მხოლოდ გაზაფხულზე მოელიან საერთო მობილიზაციას.

დაწერილია 1917 წლის 20 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

552

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! თარგმანი მივიღე. დიდი მადლობა. გავგზავნე, სადაც ჯერ არს *.

რაც შეეხება ცენზურას, რომელშიც გაატარეთ ჩემი ფრანგული სტატია **, ღმერთმანი, მიკვირს. ვინაიდან თქვენ არ გა-

---

* იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 550. რ ე დ.

** იხ. «ღია წერილი ბორის სუვარინს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 232, გვ. 252 — 266). **რ ე დ.**

მომიგზავნეთ ორიგინალი, საერთოდ კი მეც არ ვიკისრებდი თვითონვე მეთარგმნა ფრანგულად, გავგზავნე, რასაკვირველია, თქვენი თარგმანის მიხედვით, რომელშიც გამოვტოვე ადგილი ენგელსის შესახებ.

«მარტოოდენ იმიტომ, რომ მე ვიცავ ენგელსის თვალსაზრისს ომისა და მაშინდელ გერმანელთა პოზიციის შესახებ, თქვენ სისხლი გიდუღთ და არ შეგიძლიათ თარგმნოთ ეს...»

ე-ეჰ! არ მოველოდი! ვინაიდან ჩვენ, მეც, გრ.-საც, ეს ადგილი — არა მარტო ადგილი: განცხადება, გამოსვლა, დეკლარაცია - ენგელსისა მრავალგზის მოგვიშველიებია პირდაპირ და არაპირდაპირ, 1914 და 1915 წლებში.

ეს ხომ ენგელსმა თავდაპირველად ფ რ ა ნ გ ი სოციალისტებისათვის დაწერა და მ ა თ ს «Almanach du Parti Ouvrier»-ში [532] დაბეჭდა. და მაშინ ფრანგებს პროტესტი არ გამოუთქვამთ, გრძნობდნენ რა — თუ ნათლად არ ესმოდათ, რომ ბულანჟე + ალექსანდრე III-ის ომი მაშინდელი გერმანიის წინააღმდეგ მ ხ ო ლ ო დ მათი მხრივ იქნებოდა ანტიდემოკრატიული, ხოლო გერმანიის მხრივ (რომლის იმპერიალიზმზე მაშინ **ლაპარაკიც** კი არ შეიძლებოდა!!) იქნებოდა მართლაც მხოლოდ «თავდაცვა», მართლაც ომი ეროვნული არსებობისათვის.

და აი, იმას, რაც თვით ფრანგებმა 1891 წელს სწორად მიიჩნიეს, თქვენ ახლა სპობთ, მერედა როგორ! მანამდე კი, მემარცხენე შვეიცარიელთა საკრებულოში, მათ (ნახევრად პაციფისტებმა, მათთან ვერაფერს გახდება კაცი), წარმოუდგენელი, მხოლოდ მათთვის ჩვეული ქარაფშუტობით უკუაგდეს ჩემ მიერ ენგელსის ამ განცხადების მოშველიება.

თქვენ არაფერი გითქვამთ კიევსკისადმი პასუხად მიწერილ ჩემს სტატიაზეც.

მემარცხენე შვეიცარიელებთან მუშაობა, ასევე ფიქრი იმ უაზრობაზე, რაც რადეკს წამოცდა, სულ უფრო მარწმუნებს, რომ სამშობლოს დაცვის უარყოფის მ ო ტ ი ვ ე ბ ი ს უმნიშვნელოვანეს საკითხში სწორი მ ხ ო ლ ო დ ჩვენი პოზიციაა არის. ნახეთ თუ არა «Jugend-Internationale»-ს № 6, რომელ-

ზეც ვწერდი № 2 კრებულში (მიიღეთ?) «Arbeiterpolitik»-ის № 25? [533].

კამენევისაგან მივიღე ღია ბარათი. გამოგიგზავნით. ოლღა მწერს, რომ მემარცხენეთა საქმეები უმჯობესდება, რომ შეიქმნა ფრანგების + იტალიელების (!! ეს განსაკუთრებით მახარებს) + რუსების — ციმერვალდის მემარცხენეთა ორგანიზაცია და რომ გილბო მომწერს ამის შესახებ (გადმოგიგზავნით, თუ გსურთ). ვცდილობ თვალყური ვადევნო «Avanti!»-ს და ვრწმუნდები, რომ Souvarine მართალია: Turati სავსებით კაუცკელია და იტალიის პალატის მთელ სოციალისტურ ფრაქციას ამ რელსებზე აყენებს. მისი უკანასკნელი სიტყვა (17. I) გაიძვერულია: ბურჟუაზიული პაციფიზმის გაიძვერა სულაც არ არის სოციალისტი.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 22 იანვარს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

553

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გუშინ ოლტენში ძალიან საინტერესო რამ მოხდა: ფრანგები და იტალიელები არ მოვიდნენ და ამან საშუალება მისცა რადეკს + ლევის + გრიგოლს + ძიუნცენბერგს გრიმისათვის მთელი სიმართლე პირში ეთქვათ. მე დღეს მიამბო რადეკმა, თქვენ, ალბათ, გრიგოლი მოგწერთ.

რაც შეეხება «Arbeiterpolitik»-ს, მისწერეთ რადეკს, იგი უკვე გაემგზავრა (Herrn Sobelsohn. Zur Stelle. *Davos-Dorf*).

რა «ცენტრალურ პუნქტზე» არ გიპასუხეთ, ვერ მივმხვდარვარ.

დაველოდები განმარტებას.

მარქსის ინგლისურ თხზულებებს ვიცნობ; ეს სპეციალური ნაწარმოებებია, რომლებიც მომავალში უნდა წავიკითხო (მათი ნაწილი ლონდონში ვიყიდე და კითხვა დავიწყე, მაგრამ არ დამიმთავრებია), ოღონდ ახლა არა მცალია.

თქვენ სავსებით მართალი ხართ, რომ გრიმს «არა სურს მასობრივი მოძრაობა», უფრო სწორად, არა სურს რევოლუციური მუშაობა. საერთოდ მისი სტატია მთლიანად კაუცკურია, «ცენტრულია», თაღლითურია.

ბერნელმა კაუცკელმა და ოკ-ისტმა სპექტატორმა ბერნში გამოუშვა პატარა ბროშურა «Vaterlands-Verteidigung»-ის შესახებ* (25 cts), სადაც ცდილობს გადაგვკიდოს მე და რადეკი (ჯერჯერობით მთლიანად არ წამიკითხავს, მხოლოდ ეს ვნახე)[534], — როგორც გუშინ ამას მარტოვი ცდილობდა (გრიმს რომ იცავდა!!!). ამაო, ტყუილუბრალო ცდებია!

გართმევთ ხელს. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 2 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

554

კ. ბ. რადეკს

ძვირფასო რადეკ! სპექტატორის ბროშურა** იმდენად უაზროა, რომ თავდაპირველად ვეჭვობდი, ღირდა თუ არა პასუხის გაცემა მასზე. მაგრამ რამდენადაც ეს ქონდარა ინტრიგანი

* უსაზიზღრესი კაუცკურ-ოკისტური რამ არის! დამაცადოს, ვუპასუხო! კმაყოფილი დამრჩება!

** იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ.

ცდილობს ჩვენი უთანხმოებანი რაც შეიძლება საზიზღრად და სულელურად გამოიყენოს, ვფიქრობ, — განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი მე, მ ხ ო ლ ო ო დ მე, მასახელებს პირადად, — ჩ ე მ ი უფლება და ჩ ე მ ი ვალია ვუპასუხო მას. ყველაფერს ვიღონებ, რომ პასუხი მ ა რ ტ ო ო დ ე ნ რუსულ ენაზე არ გამოქვეყნდეს.

რაც შეეხება ჩ ვ ე ნ ს რეზოლუციის პროექტს სამშობლოს დაცვის წინააღმდეგ (შვეიცარიისათვის) *, დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის შემდეგი: ჩემმა პროექტმა (ჩემს თეზისებში — პირველი §§) თქვენ დაგაკმაყოფილათ, ესე იგი მე მაშინ შევძელი გამომეხატა საერთო თვალსაზრისი. რატომ არ უნდა მივიღოთ ი გ ი საერთო პროექტის საფუძვლად?

საუკეთესო სალამი.

ულ ი ა ნ ო ვ ი

P. S. ამერიკიდან მივიღე ახალი ყოველკვირეულის «ინტერნაციონალისტის» № 1. მანიფესტში ისინი სოლიდარობას უცხადებენ «ევროპის მემარცხენეებს». გამომცემელია პანეკუკი «Vorbote»-დან. რა გამოგიგზავნოთ — ინგლისური ორიგინალი თუ რუსული თარგმანი?

დაწერილია 1917 წლის 3 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან დავოსში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

555

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! რაღაც კარგა ხანია თქვენგან ერთი სტრიქონიც არ მიმიღია? თითქმის ამ ერთი კვირის წინ შემ-

* იგულისხმება «თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 189 — 192). რ ე დ.

პირდით, «ხვალ» მოგწერთო და არაფერს იწერებით. ნუთუ რაიმე განსაკუთრებულმა გარემოებამ შეგიშალათ ხელი? თუ საერთოდ არ გსურთ წერა, ორიოდე სიტყვა მაინც მოიწერეთ, თორემ ძალიან შეშფოთებული ვარ.

1. II-ის შესახებ, მგონია, მოკლედ მოგწერეთ.

3. II-ს მოეწყო გრიმის თათბირი (უაღრესად კერძო) მის მეგობრებთან + ნობსი და პლატენი. (მიუნცენბერგი და ბრონსკი მიიწვიეს, მაგრამ უარი თქვეს წასულიყვნენ ამ Zentrumsleute-თან * და, რასაკვირველია, კარგიც ქნეს, რომ უარი თქვეს). ნობსი და პლატენი სავსებით უნებისყოფონი (თუ უარესი არა) არიან და გრიმის ცეცხლზე უფრო «ეშინიათ».

მიიღეს რაღაც შესწორებანი რეზოლუციისათვის (რასაკვირველია, გრიმმა «გააცურა» ნობსი და პლატენი). ჯერ არ მინახავს ეს შესწორებანი. ხვალ (ხუთშაბათს) უნდა გამოაქვეყნონ[535]. საერთოდ აქაური მემარცხენენი, მართალი რომ გითხრათ, უაღრესად საძაგელნი არიან.

გუშინ გაიმართა კრება (მოვიქანცე კრებებისაგან; ნერვები დამაწყდა; თავი მტკივა; ბოლომდე ვერ დავიცადე) — საერთო. ხელახლა ირჩევდნენ მთელი ციურიხის ორგანიზაციის გამგეობას. აირჩიეს ბრონსკიც. და წარმოიდგინეთ: არამზადა სოციალ-პატრიოტები (ბაუმანის მეთაურობით) ადგნენ და წავიდნენ **. არა გვსურს ბრონსკისთან ერთად ვიმუშაოთ!!

ნობსმა + პლატენმა მიირთვეს ეს სილა და მხარი დაუჭირეს გადადებას!! სირცხვილი, სირცხვილი!! ესეც შენი მემარცხენენი!! ახალგაზრდობას კი «ეშინია» ნობსის და პლატენის!!

ამბობენ, Humbert Droz-მა უკვე წაიკითხა ჟენევაში და ახალგაზრდობას თავისი იდიოტური პაციფიზმით აცდუნებს. კარგი იქნებოდა მასთან რამდენიმე საჯარო შეტაკება გაგემართათ, თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ გეჩვენებინათ მისთვის პაცი-

---

* — ცენტრისტები. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 379 — 380. რ ე დ.

ფიზმის მთელი შერცხვენა, მთელი მისი უხამსობა და მიგეცათ რევოლუციური პროგრამა!

საუკეთესო სალამი! გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 7 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

556

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო!

რაც შეეხება «უმრავლესობის» შესწორებულ რეზოლუციას (შვეიცარიელთა პარტიისა), თქვენ მართალი ხართ: იგი ცუდზე უცუდესია. იგი სავსებით «ცენტრულია», კაუცკურია; ეს გრიმმა გააფუჭა საქმე, ხოლო ნობსმა და პლატენმა **დათმეს.** კვირას გაიმართა ციურიხის კანტონის ს.-დ. პარტიის ყრილობა; ჩვენებმა («ახალგაზრდებმა») შეიტანეს ჩვენ მიერ მომზადებული მემარცხენეთა რეზოლუცია, რომელმაც 32 ხმა მოაგროვა. ეს დიდი წარმატებაა.

აბრამოვიჩს თქვენთვის ჩემი რეზოლუციის ტექსტი უნდა გამოეგზავნა (რომლიდანაც პრაქტიკული ნაწილი უმეტესად შევიდა გუშინწინ ყრილობაზე შეტანილ რეზოლუციაში (მას თქვენ გაეცნობით გაზეთებიდან, თუ ჯერ არ გაცნობიხართ)) [536].

ვფიქრობ, თქვენ უნდა მოამზადოთ რეფერატი (ფრანგულად) შვეიცარიის პარტიაში არსებულ სამ მიმდინარეობაზე. მასალა — რეფერენდუმი + სამი რეზოლუცია (მემარჯვენეთა, გრიმისა და მემარცხენეთა). მერწმუნეთ, ღირს.

Humb.-Droz-ს, რაკი ის ტოლსტოელია, უნდა ვებრძოლოთ ძ თ ე ლ ი ხაზით. აუცილებლად!

მცდარია, რომ შვეიცარიაში «შეუძლებელია» მასობრივი რევოლუციური გამოსვლები. კი მაგრამ საყოველთაო გაფიცვა ციურიხში 1912 წელს? ჟენევაშიც იყო და La Chaux-de-Fond-შიც. ხოლო ახლა, ომის დროს, კიდევ უფრო შესაძლებელია მასების გამოსვლებიც და რევოლუციაც კი შვეიცარიაში (ამას მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთისა და გერმანიისათვის).

შვეიცარიელთა პარტიაში მემარცხენე მიმართულების შესაქმნელად ნიადაგი **არსებობს**. ეს ფაქტია. ძნელი სამუშაოა, მაგრამ მაღლიანი.

სად ნახეთ დოკუმენტები, რომლებიც შეეხებიან ენგელსის წინასიტყვაობას კლასობრივი ბრძოლის თაობაზე «Neue Zeit»-ში? იცით თუ არა, რომ ამ წინასიტყვაობიდან ბერლინელმა «ბელადებმა» რევოლუციური დასკვნა ამოშალეს.

ომის შესახებ (91 წლისა) ველოდები თქვენს შენიშვნებს იმ «ცენტრალურ პუნქტზე», რომელზეც მე თითქოს ვდუმდი. Jaurès, Disc. parlem *. არა მაქვს მეორე ტომი.

ხომ არ შეგიძლიათ იშოვოთ Fourier-ის თხზულებანი და მონახოთ ჩემთვის ის, რასაც იგი ამბობს ეროვნებათა შერწყმის შესახებ?

მაგრად გართმევთ ხელს. ლენინი

P. S. ახერხებთ თუ არა ზეგავლენას ბელოუსოვასა (ქმარი ხომ სულელია) და უსიევიჩის ცოლზე?

დაწერილია 1917 წლის 14 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის **თხზულებათა**
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* — ჟორესი. საპარლამენტო სიტყვები. **რედ.**

557

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით ფურცელს და ძალიან გთხოვთ თარგმნოთ იგი ფრანგულად და ინგლისურად [537], გერმანულად ვიმედოვნებ, ბერნში მითარგმნიან.

განსაკუთრებით მაინტერესებს აზრი ასეთ პროპაგანდაზე და მეტადრე 1. V. გაფიცვაზე — ასეთი გაფიცვა ერთმა მემარცხენემ შვეიცარიაში შემოგვთავაზა («Holzarbeiter-Zeitung», Schweizerische., von 27. I. 1917). ძალიან მინდა გავგზავნო ეს ფურცელი პარიზში: ვიმედოვნებ, გრიშა შეძლებს გამოსცეს იგი, ხოლო შემდეგ გერმანიაშიც, ვფიქრობ, შეაღწევს.

ძალიან გთხოვთ, თარგმნეთ რაც შეიძლება ძარღვიანი ენით, მოკლე-მოკლე ფრაზებით. წერეთ, გეთაყვათ, 2 ეგზემპლარად თხელ ქაღალდზე და გარკვევით, რომ აწყობის დროს შეცდომები არ გაიპაროს. თუ შესაძლებელია, დაე უსიევიჩმა (ეს საიდუმლოდ შეინახოს) გადაიღოს რ უ ს უ ლ ი ტექსტის პირი აბრამოვიჩისათვის გასაგზავნად (ფრანგული თარგმანის 1 ეგზემპლართან ერთად). ხოლო ორივე ინგლისური ეგზ., 1 ფრანგული და ჩემი რუსული **სასწრაფოდ** დამიბრუნეთ: უნდა ვიჩქაროთ, ვინაიდან თუ დაგზავნა გაძნელდა, 1. V-მდე არც ისე დიდი დრო დარჩა, აგიტაცია კი ხომ წინასწარ უნდა გავწიოთ.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ნადია ღღეს უკეთ არის, თუმცა ისევ წევს. გულით მოგესალმებათ. თანდართული წაიკითხეთ და გადაუგზავნეთ აბრამოვიჩს რუსულ ტექსტსა და ფრანგულ თარგმანთან ერთად.

დაწერილია 1917 წლის 19 და 27
თებერვალს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

558

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! თუ გაგზავნით თქვენს თეზისებს ომის საკითხზე, მე, რასაკვირველია, მოხარული ვიქნები გაგეცნობოთ მათ შესახებ. რაც შეეხება თქვენს გამოსვლას Golay-ს წინააღმდეგ, ვერ გამიგია, რატომ უნდა გეფიქრათ, რომ ეს «უხერხული» იყო. ჩემი აზრით, პირიქით, ძალიან მოხერხებული და ძალიან სასარგებლოა. სწორედ რაც შეიძლება პირდაპირ და გადაჭრით უნდა გამოვიდეთ ფრანგების სასაცილო პაციფიზმის (მიაღწიონ სოციალიზმს ურევოლუციოდ და ა. შ.) და დემოკრატიისადმი სასაცილო რწმენის წინააღმდეგ. ჩემი აზრით, გოლეი სპეციალურად საჯაროდ უნდა გავშოლტოთ იმისათვის, რომ უკუაგდო თავისივე მნიშვნელოვანი აღიარება, რაც ჰქონდა ბროშურაში «Le Socialisme qui meurt»*. მე მგონია, ეს ბროშურა შესანიშნავი მასალაა, საბაბია ფრანგ მემარცხენეთა სისუსტის, მოუფიქრებლობის გასაკრიტიკებლად.

თქვენგან მივიღე ფურცლის რუსული ტექსტის პირი (ძალიან მიხარია, რომ მოგეწონათ). ფრანგული ტექსტი კი არა და არ არის!! მე კი გთხოვეთ გეწერათ 2 ეგზემპლარად!!! მტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ დავაგვიანებთ. — I. V-მდე ხომ უკვე სულ 2 თვეღა დარჩა, ხოლო მეომარ ქვეყნებთან დაკავშირების სიძნელეები განუზომლად დიდია.

უსიევიჩზე თქვენ წერთ, «უხერხემლოაო». ჩანს, ტყუილუბრალოდ არ გამომილანძღავს (წერილი აჩვენეთ-მეთქი, სწორედ იმიტომ გთხოვეთ, რომ შეგეძლებოდა გამოგვენახა მასზე ზემოქმედების საშუალებანი).

მაშ ასე, თუ შესაძლოა, **ყოველნაირად** დააჩქარეთ ფურცლის ფრანგულად და ინგლისურად თარგმნა. რაიმე მიზეზით

---

* — «მომაკვდავი სოციალიზმი». რ ე დ.

და ვინიცობაა, ვერ მოახერხეთ 2 ეგზემპლარად წერა, ის მაინც შემატყობინეთ, თუ როდის გაუგზავნეთ აბრამოვიჩს ფურცელი (ფრანგული).

ძალიან მახარებს, რომ ახალგაზრდობის წინაშე სულ უფრო ხშირად გამოდიხართ. სასარგებლოა! მართლაც მხოლოდ ახალგაზრდობასთან ღირს მუშაობა! მათი პაციფიზმი და ურწმუნოება მასობრივი მოძრაობისადმი ყოველნაირად უნდა გავფანტოთ (1912 წლის გაფიცვა ციურიხში? 1900 ან 1902 წლი-საყენევაში?). კარგი იქნებოდა შეგეკრიბათ მასალა ფრანგული შვეიცარიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში მომხდარი დიდი გაფიცვების შესახებ.

ნადია გამოკეთდა.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. წავიკითხე პანეკუკის დისკუსია კაუცკისთან «Neue Zeit»-ში (1912 წ.): კაუცკი უაღრესად უნამუსოა, ხოლო პანეკუკი თ ი თ ქ მ ი ს მართალი; მას მხოლოდ უ ზ უ ს ტ ო ბ ა ნ ი, მცირე შეცდომები აქვს. კაუცკი კი ოპორტუნიზმის მწვერვალია.

დაწერილია 1917 წლის 27 თებერვალს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

559

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! რატომღაც კარგა ხანია თქვენგან არაფერი შემიტყვია.

ჩვენ აქ, ციურიხში გერმანელ მემარცხენეებთან ძალიან ცუდად გვაქვს საქმე. მას შემდეგ, რაც ნობსი და პლატენი «გრიმს დაუბრუნდნენ», მათ «ახალგაზრდათა» ბელადებიც მიჰყვნენ. მიუნცენბერგმა რადეკის სტატიები გრიმის წინაალმდეგ უკუაგდო, ბუხერი და მიუნცენბერგის სხვა მეგობრები «გათიშვის» საფრთხის შესახებ იმავე ფრაზებს იმეორებენ.!! სასაცილო იქნებოდა, ასე საზიზღრული რომ არ იყოს...

ვარწმუნებ გრიგოლს, რომ მოსინჯოს გერმანული გაზეთი (მას აძლევენ სტატიისათვის 300 frs-ს?), მაგრამ, მგონია, ეს უკანასკნელი იმედიც ქრება.

თქვენი და გრიგოლისა იმიტომ მშურს, რომ ორივეს შეგიძლიათ ღია რეფერატებით გამოხვიდეთ. ასეა თუ ისე, ღია რეფერატით რომ გამოდიხარ, წინ გყვანან ახალი ადამიანები, მუშები, ხალხი, და არა ჩინოვნიკები ან მომავალი ჩინოვნიკები ანდა ჩინოვნიკთა მიერ დაშინებული მცირერიცხოვანი ჯგუფი. ღია რეფერატით რომ გამოდიხარ, ელაპარაკები მასას, უშუალო კავშირს ამყარებ მასთან, ხედავ, ეცნობი მას, ზეგავლენას ახდენ თავისებურად.

ჩანს, აქ ციურიხში ბოლო მოეღო გერმანელ მემარცხენეებთან დავიდარაბას. რეფერენდუმის მოტივირება და მემარცხენეთა რეზოლუცია Töss-ში — **ამის** ნაყოფია. თუმცა არ ვნანობ დაკარგულ დროზე (ახლა ძალიან გაბოროტებული ვარ, ვინაიდან დავბრუნდი მემარცხენეთა კრებიდან, რომელიც ჩაიშალა: ხალხი გაგვექცა!). არ ვნანობ იმიტომ, რომ ევროპის პარტიების სიდამპლის თეორიულ გაგებას ჩემში შეემატა არანაკლებ სასარგებლო პრაქტიკული გაგებაც.

ღია რეფერატები კი ყოველ შემთხვევაში სასარგებლოა. ამ რეფერატებით უნდა ვებრძოლოთ პირდაპირ «ცენტრსაც» (გრიმი და კომპ.) და «მემარცხენეებსაც» (ნობსის, პლატენის, ნენის, გრაბერის, დროსა და სხვათა მსგავსთ).

თქვენ, ალბათ, ფურცლის ინგლისურ თარგმანს გული ვერ დაუდეთ? მაშინ თავი გაანებეთ: ასე გავგზავნი პარიზში, ეგებ

იქ მონახონ ინგლისელი. აბრამოვიჩი ყოჩაღობს, აი, ვის გამოუდის მუშაობა კარგად!

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 8 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

560

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ეტყობა, თქვენი დუმილის ჩემეული წინანდელი ახსნა მცდარი იყო.

ხომ არ «განაწყენდით» იმის გამო, რომ მოგწერეთ, ფრანგული ტექსტი არ გადასინჯოთ-მეთქი? წარმოუდგენელია! წარმოუდგენელი, ვინაიდან ამავე თემაზე აბრამოვიჩმაც მომწერა, საერთოდ კი, ასეთი რამის გამო წ ყ ე ნ ა განა შეიძლება?? არ შეიძლება!!

მეორე მხრივ კი, სრული დუმილი, მაგალითად, ინგლისური თარგმანის საკითხზე უცნაურია...

რასაკვირველია, თუ თქვენ არა გსურთ მიპასუხოთ, ანდა «გსურთ» კიდეც და გადაწყვიტეთ არ მიპასუხოთ, მაშინ კითხვებით თავს არ შეგაწყენთ.

შვეიცარიაში მყოფი მემარცხენენი ახლა შემოგვეფანტნენ აქაც და ბერნშიც. (მხოლოდ აბრამოვიჩსა და თქვენ გაქვთ საქმე კარგად, ვინაიდან პ ი რ დ ა პ ი რ ხართ დაკავშირებული მ ა ს ა ს თ ა ნ: თქვენ — რეფერატებით, აბრამოვიჩი კი — პირადი ურთიერთობით.)

იურისა და კომპანიასთან დამთავრდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ მ ა თ გამოსცენ ბროშურები ცენტრალური

კომიტეტის საზღვარგარეთული ნაწილის დამტკიცებით. ეს სასიამოვნოა!

რუსეთიდან არაფერი მიგვიღია, წერილებიც კი!! ვცდილობთ მივიღოთ სკანდინავიის მეშვეობით.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

P. S. უსიევიჩს ვწერ დღეს, მისი წერილის პასუხად, «შერიგების» სულისკვეთებით.

დაწერილია 1917 წლის 13 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

561

ი. თ. არმანდს [538]

ძვირფასო მეგობარო! ვწერ გზაში: რეფერატის გულისთვის ვიყავი წასული. გუშინ (შაბათს) წავიკითხე ამნისტიის შესახებ [539]. ყველანი გამგზავრებაზე ვოცნებობთ. თუ შინ მიდიხართ, ჯერ ჩვენთან შემოიარეთ. მოვილაპარაკოთ. ძალიან მინდა დაგავალოთ ინგლისში შეიტყოთ ჩუმად და ნაღდად, შევძლებდი თუ არა გავლას.

გართმევთ ხელს.

თქვენი ვ. უ

დაწერილია 1917 წლის 18 მარტს
გაგზავნილია Ambulant-იდან
(შვეიცარია) კლარანში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

562

ი. თ. არმანდს

ძვირფასო ვეგობარო! გწერთ პასუხს დღეს მიღებულ თქვენს წერილებზე და ტელეფონით საუბრის გამო.

ვერ დაგიმალავთ. რომ ძალიან გულგატეხილი ვარ. ვფიქრობ, ახლა ყოველ ადამიანს ერთი აზრი უნდა ჰქონდეს: გავიქცეთ. ხალხი კი რაღაცას «მოელის»!!..

დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისში, თუ ჩემი გვარით წავალ, დამპატიმრებენ ან უბრალოდ დამაკავებენ, ვინაიდან სწორედ ინგლისმა ჩემ მიერ ამერიკაში გაგზავნილ მთელ რიგ წერილებს არათუ კონფისკაცია უყო, არამედ (მისმა პოლიციამ) «მამილო» 1915 წელს დაკითხა, აქვს თუ არა მიწერ-მოწერა ჩემთან და ჩემი მეშვეობით გერმანელ სოციალისტებთან ხომ არ არის დაკავშირებული.

ფაქტია! ამიტომ არ შემიძლია ვიმოქმედო პირადად, თუ ერთობ «საგანგებო» ზომები არ მივიღე.

ხოლო სხვები? დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ დაუყოვნებლივ გაქანდებოდით ინგლისში, ვინაიდან მხოლოდ იქ შეიძლება შევიტყოთ, როგორ გავიაროთ და დიდია თუ არა რისკი (ამბობენ, ჰოლანდიის გავლით: ლონდონი — ჰოლანდია — სკანდინავია რისკი ნაკლებია) და ა. შ.

გუშინ გზიდან მოგწერეთ ღია ბარათი *, ვფიქრობდი რა, რომ თქვენ უეჭველად უკვე ფიქრობთ და გადაწყვიტეთ წახვიდეთ ბერნში კონსულთან. თქვენ კი მიპასუხებთ: ვყოყმანობ, მოვიფიქრებო.

რა თქმა უნდა, ნერვები მეტისმეტად მაქვს აშლილი. მერედა როგორ! ვითმინო, ვიჯდე აქ...

თქვენ, ალბათ, გაქვთ განსაკუთრებული მიზეზები, შეიძლება თავს ვერ გრძნობთ კარგად და ა. შ.

---

* იხ. წინა წერილი. რ ე დ.

შევეცდები ვალია წამოსვლაზე დავიყოლიო (მან შაბათს მოირბინა ჩვენთან მას შემდეგ, რაც წელიწადია არა ყოფილა!). მაგრამ მას რევოლუცია ნაკლებად აინტერესებს.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა. აი, რის გაკეთება შეიძლება და უნდა გააკეთოთ ახლავე კლარანში: ეძებოთ პასპორტი (α) რუსებთან, რომლებიც დათანხმდებოდნენ მოეცათ თავიანთი (არ **ეტყვით, რომ ჩემთვის**) სხვა პირის წასასვლელად; (β) შვეიცარიელ ქალებთან ან კაცებთან, რომლებსაც შეეძლოთ მოეცათ რუსისათვის.

ანა ევგ. და აბრამი უნდა ვაიძულოთ საელჩოში ა ხ ლ ა ვ ე წავიდნენ, აიღონ საშვი (თუ არ მისცემენ, შესჩივლონ ტ ე ლ ე გ რ ა ფ ი თ მილიუკოვსა და კერენსკის) და გაემგზავრონ ან, თუ არ გაემგზავრებიან, მოგვცენ პასუხი **საქმის** (და არა სიტყვის) საფუძველზე: როგორ იძლევიან და იღებენ საშვს.

გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

კლარანში (და ახლომახლო) ბევრი რუსი მდიდარი და ღარიბი სოციალ-დემოკრატი არის და ა. შ. (ტროიანოვსკი, რუბაკინი და სხვ.), რომლებმაც გერმანელებს კოპენჰაგენამდე სხვადასხვა რევოლუციონერთათვის საშვი — ვაგონი უნდა სთხოვონ.

რატომაც არა?

მ ე ეს არ შემიძლია. მე «მარცხმოსურნე» ვარ.

ხოლო ტროიანოვსკისა და რუბაკინს + კომპ. **შეუძლიათ.**

ეჰ, რომ შემეძლოს ვასწავლო ამ არამზადებსა და ბრიყვებს იყვნენ გონიერნი!..

თქვენ, შესაძლოა, იტყვით, გერმანელები ვაგონს ა რ მოგვცემენო. მოდით დავნაძლევდეთ, რომ მ ო გ ვ ც ე მ ე ნ!

რასაკვირველია, თუ გაიგებენ, რომ ეს აზრი მ ე მ ე კ უ თ ვ ნ ი ს ან თ ქ ვ ე ნ გამოთქვით, მაშინ საქმე გაფუჭდება...

ჟენევაში არ არიან ტუტუცები ამ მიზნისათვის?..

დაწერილია 1917 წლის 19 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან კლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

563

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ამხანაგო! ძალიან, ძალიან გმადლობთ ინფორმაციისათვის. ახლა არც რეფერატზე წავალ და არც მიტინგზე [540], ვინაიდან ყოველდღე უნდა მივწერო «პრავდას» პიტერში.

საუკეთესო სალამი!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

კვლავაც შემატყობინეთ სხვადასხვა მიმართულებათა ახალი ამბები და სიტყვები.

დაწერილია 1917 წლის 21 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

564

ი. ს. განეცკის

22/III. 1917.

ძვირფასო მეგობარო! ეს-ეს არის ჩქარი ფოსტით ქრისტიანიაში (ვიდნესი, «სოციალ-დემოკრატი», კოლონტაისათვის) გამოვგზავნე ორი წერილი, რომლებშიც არის ორი სტატია *

* იგულისხმება «წერილები შორიდან. წერილი პირველი. პირველი რევოლუციის პირველი ეტაპი. წერილი მეორე. ახალი ნთავრობა და პროლეტარიატი» (იხ. თხზ., მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 391 — 422). რ ე დ.

პეტროგრადის «პრავდისათვის». ვიმედოვნებ, რომ ორივე წერილი გამგზავრებამდე ჩამოუსწრებს კოლონტაის ქრისტიანიაში (იგი მიემგზავრება 27. III, დილით). თუ ვერ ჩამოუსწრებს, ძალიან გთხოვთ, ჯერ-ერთი, შეამოწმოთ, ქრისტიანიაში გადაგზავნის აპარატი კარგად მუშაობს თუ არა; მეორეც, თუ საჭიროა, თ ვ ი თ ო ნ ვ ე გადაგზავნეთ ყველაფერი. ჯერჯერობით პეტროგრადში მხოლოდ ერთი მისამართით ვსარგებლობ: გამომცემლობა «ჟიზნ ი ზნანიე», ბ-ნ ვლად. ბონჩ-ბრუევიჩს, ფონტანკა, 38, ბინა 19, პეტროგრადი. ეს გამომცემელი დაუყოვნებლივ გადასცემს «პრავდას».

ვიმედოვნებ, რომ დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამომიგზავნით «პრავდასა» და **ყველაფერ** სხვას ამგვარადვე, ხომ მართალია? ამ წერილის მიღებისთანავე გთხოვთ მიდეპეშოთ: «წერილი მივიღე, უზრუნველვყავი გადაგზავნა».

გესალმებით, ხელს გართმევთ და გილოცავთ!

თქვენი ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი

P. S. ძალიან, ძალიან გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია.

გაგზავნილია ციურიხიდან
ქრისტიანიაში (ოსლო)

პირველად დაიბეჭდა 1928 წლის
21 იანვარს გაზეთ «პრავდაში» № 18

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

565

ᲨᲕᲔᲓᲣᲠᲘ «ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

«სოციალ-დემოკრატის» რედაქციას

პატივცემულო ამხანაგებო! *

თქვენ იცით, რომ რუსეთში სერიოზული რევოლუციური ამბები ხდება. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა

* პირველი ორი სტრიქონი დაწერილია ნ. კ. კრუპსკაიას ხელით. რ ე დ.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ამიტომ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ უცხოელი ამხანაგები სწორად იყვნენ ინფორმირებული ამ მოძრაობის შესახებ. რსდმპ ცენტრალური კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს ამხ. ა. კ ო ლ ო ნ ტ ა ი ს, რომლის ინფორმაციები სრულიად სანდოა.

ს.-დ სალმით რსდმპ ცკ-ის დავალებით

დაწერილია 1917 წლის 22 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

566

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! გიგზავნით კამენევის ღია ბარათებს. რომ წაიკითხავთ, დამიბრუნეთ!

ნახეთ «Frankfurter Zeitung»-ში (და «Volksrecht»-ში) ამონაწერები ცენტრალური კომიტეტის მანიფესტიდან? ხომ კარგია!

გილოცავთ.

საუკეთესო სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. იყიდეთ «Times»: საუკეთესო ცნობებია.

ვალიას უთხრეს, ინგლისის გავლით საერთოდ არ შეიძლებაო (ინგლისის საელჩოში).

აი, ა რ ც ინგლისმა, ა რ ც გერმანიამ ა რ ა ს გ ზ ი თ რომ არ გაგვიშვან!!! ეს კი ხომ შესაძლებელია!

P. S. ჩემი სტატიების თანდართული ასლები * წაიკითხეთ დაუყოვნებლივ, წააკითხეთ უსიევიჩს და **მაშინვე** გაუგზავნეთ ჟენევაში კარპინსკებს, რომ მათაც **მაშინვე** დააბრუნონ!

---

* იგულისხმება «წერილები შორიდან» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 391 — 422). რ ე დ.

N. B. ეს ასლები მჭირდება ორშაბათისათვის.

დაწერილია 1917 წლის 23 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

567

ი. თ. არმანდს

ძვირფასო მეგობარო! დღეს მივიღე კარპინსკისაგან ჩემი 1-ლი წერილი, რომელიც თქვენ, ჩანს, დროზე გადაუგზავნეთ მას. გმადლობთ

მ ე ო რ ე წ ე რ ი ლ ი ა რ მ ი მ ი ღ ი ა. თქვენ კი ხომ მიიღეთ იგი?? სად უნდა იყოს?

ჩემს მე-3 და მე-4 წერილებს «პრავდისათვის» გამოგიგზავნით ხვალ, ოთხშაბათს, რომ წაიკითხავთ და უჩვენებთ უსიევიჩს, გაუგზავნეთ, გეთაყვათ, კარპინსკეს. დღეს აქ რეფერატი მაქვს *.

საინტერესოა, რას იტყვით № 3 წერილზე — ჩვენი საუბრების გამო.

მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვფიქრობდი, რომ ლია ბარათით შემატყობინებდით კარპინსკისათვის წერილის გაგზავნას და გუშინ მივწერე უსიევიჩს, რადგან თქვენ წასული მეგონეთ.

დაწერილია 1917 წლის 27 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან
კლარანში (შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

* 1917 წლის 27 მარტს ლენინმა ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარიელ მუშათა კრებაზე წაიკითხა რეფერატი «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 468 — 476) რ ე დ.

ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო ოლღა!

ძალიან გთხოვთ, იზრუნეთ, რომ ვიაჩ. ალ.-მა არ ატეხოს აურზაური გადაწერის გამო *: იგი ხელნაწერს გრიგოლისაგან ხვალ მიიღებს. **დათქმულია:** გასამრჯელო მაშინდელზე **არანაკლებია.**

წერა სასურველია (არა სავალდებულო) 2 **ეგზ.** ფორმატის მეოთხედზე.

თქვენი ქორწინების გეგმა[541] ძალიან გონივრულად მეჩვენება, და მოვითხოვ (ცენტრალურ კომიტეტში), რომ მოგცენ 100 frs: 50 frs ადვოკატისათვის და 50 frs «მარჯვე ბებრისათვის» ** თქვენზე დასაქორწინებლად!

რა ბედნიერებაა!! გქონდეს გერმანიაშიც და რუსეთშიც შესვლის უფლება!

ვაშა! თქვენ შესანიშნავად მოიფიქრეთ!

საუკეთესო სალამი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ჩემი წერილები «პ რ ა ვ დ ი ს ა თ ვ ი ს» გთხოვთ **ძალიან** თხელ ქაღალდზე გადაწეროთ.

დაწერილია 1917 წლის 27 მარტს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

---

* იგულისხმება ვ. ი. ლენინის წიგნის «სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 13, გვ. 265 — 540) ხელნაწერის გადაბეჭდვა. რ ე დ.

** აიყვანეთ აქსელროდი!

569

ი. ს. განეცკის [542]

გთხოვთ შეძლებისამებრ დაწვრილებით შემატყობინოთ, ჯერ ერთი, თანახმაა თუ არა ინგლისის მთავრობა გაგვიშვას რუსეთში მე და ჩვენი პარტიის, რსდმპ (ცენტრალური კომიტეტი) რიგი წევრები, შემდეგი პირობებით: (ა) შვეიცარიელი სოციალისტი ფრიც პლატენი იღებს ინგლისის მთავრობისაგან უფლებას წაიყვანოს ინგლისის გავლით რამდენიც უნდა პირი, განურჩევლად იმისა, თუ რა პოლიტიკური მიმართულებისა არიან და რა შეხედულება აქვთ ომსა და ზავზე; (ბ) მხოლოდ პლატენი აგებს პასუხს, როგორც წასაყვანი ჯგუფების შემადგენლობის, ისე წესრიგისათვის, რისთვისაც ინგლისში გასავლელად ვაგონს იღებს, რომელსაც იგი, Platten-ი, ჩაკეტავს. ამ ვაგონში არავის არ შეუძლია შევიდეს პლატენთან შეუთანხმებლად. ეს ვაგონი სარგებლობს ექსტერიტორიულობის უფლებით; (გ) ინგლისის ნავსადგურიდან პლატენს მიჰყავს ჯგუფი რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის გემით, რისთვისაც იღებს უფლებას შეატყობინოს ყ ვ ე ლ ა ქვეყანას ამ სპეციალური გემის გასვლის დრო; (დ) რკინიგზით გადაყვანისათვის პლატენი იხდის ტარიფის თანახმად, დაკავებული ადგილების რაოდენობის მიხედვით; (ე) ინგლისის მთავრობა კისრულობს ვალდებულებას არ დააბრკოლოს რუს პოლიტიკურ ემიგრანტთა სპეციალური გემის დაქირავება და გასვლა და არ შეაჩეროს გემი ინგლისში და მისცეს შესაძლებლობა წავიდეს უსწრაფესი გზით.

მეორე, თანხმობის შემთხვევაში, ამ პირობების შესრულების რა გარანტიებს მოგვცემს ინგლისი და წინააღმდეგი ხომ არაა, რომ გამოვაქვეყნოთ ეს პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ ტელეგრაფით შეეკითხებით ლონდონს, ჩვენ ვკისრულობთ დეპეშის გაგზავნის ხარჯებს წინასწარ გადახდილი პასუხით.

ვადა...

დაწერილია 1917 წლის
30 მარტზე ადრე

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

570

ი. თ. არმანდს

წინა ფურცელი გუშინწინ მოვხაზე თქვენი, კითხვებიანი, წერილის პასუხად. არ მინდოდა შეუვსებლად გამომეგზავნა.

იმდენი ფაციფუცი ატყდა, რომ ვერ მოვასწარი, ვერ შევავსე დღევანდელ საღამომდე.

ვიმედოვნებ, რომ ოთხშაბათს მივდივართ — ვიმედოვნებ, თქვენთან ერთად.

გრიგოლი იყო აქ, დავთქვით, ერთად წავიდეთ.

ფული (100 frs), ვიმედოვნებ, მიიღეთ დილით გამოგზავნილი ექსპრესით.

გამგზავრებისათვის საჭირო ფული ჩვენ მეტი გვაქვს, ვიდრე ვფიქრობდი, 10 — 12 კაცს ეყოფა, ვინაიდან კ ა რ გ ა დ დაგვეხმარნენ სტოკჰოლმელი ამხანაგები.

სავსებით შესაძლებელია, რომ პიტერში ახლა მუშების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა სოციალ-პატრიოტია...

წავიომებთ.

ომიც გაგვიწევს აგიტაციას.
ათასი სალამი. Au revoir *.

თქვენი ლენინი

დაწერილია 1917 წლის 31 მარტსა
და 4 აპრილს შორის
გაგზავნილია ციურიხიდან ლარანში
(შვეიცარია)

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

571

დეპეშა ი. ს. განეცკის

გამოყავით ორი ათასი, ჯობია სამი ათასი, კრონი ჩვენს გასამგზავრებლად. ვაპირებთ წამოსვლას ოთხშაბათს ** მინიმუმ 10 კაცი. მიდეპეშეთ.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 1 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

572

ვ. ა. კარპინსკის და ს. ნ. რავიჩს

ძვირფასო მეგობრებო! საქმეები კარგად მიდის. ხორციელდება გეგმა, რომელიც იცის ამხ. მინინმა. პლატენი კისრულობს ყველაფერს. ქვემოთ გაუწყებთ იმ პირობების ასლს, რომლე-

* — ნახვამდის. რ ე დ.
** 4 აპრილს. რ ე დ.

ბიც პლატენძა წამოგვიყენა. მათ, ალბათ, მივიღებთ. უამისოდ ვერ წავალთ. გრიმი ისევ არწმუნებს მეკენს, მაგრამ ჩვენ, რასაკვირველია, სავსებით დამოუკიდებლად ვმოქმედებთ. ვფიქრობთ, გავემგზავრებით პარასკევს, ოთხშაბათს, შაბათს. ახლა კი აი რა. ჩვენ გვინდა, რომ გამგზავრების წინ ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებითი ოქმი შედგეს. ხელმოსაწერად მოწვეულ იქნებიან პლატენი, ლევი (პრესის წარმომადგენელი «Berner Tagwacht»-დან) და ა. შ. ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ ფრანგებსაც მიეღოთ მონაწილეობა. N. B. დაუყოვნებლივ მოელაპარაკეთ გილბოს, აუხსენით ვითარება, უჩვენეთ პირობა და, თუ თანაგვიგრძნობს, აქედან სთხოვეთ დეპეშით ჩ ა მ ო ვ ი დ ე ს (ხარჯებს ავუნაზღაურებთ). ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ერთობ შესაძლებელია, რომ მოვიწვევთ შარლ ნენსაც (პლატენი მას ტელეფონით მოელაპარაკება).

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: თუ გილბო თანაგვიგრძ- *NB*
ნობს, ხომ ვერ შეძლებს მოიზიდოს ხელმოსაწერად რომენ როლანიც. უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ჭ ი რ ო ა: «Petit Parisien»-ში იყო შენიშვნა, რომ მილიუკოვი სამართალში მიცემით ემუქრება ყველას, ვინც გერმანიის გავლით გაემგზავრება. უთხარით ეს გილბოს. ფრანგების მონაწილეობა ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. დაუყოვნებლივ მიპასუხეთ. გულითადი სალამი. 4/IV — 1917 წ.

პერმიდან დეპეშა მოვიდა: «Salut fraternel Ulianow, Zinowieff, Aujourdhui partons Petrograd etc.* ხელს აწერენ: კამენევი, მურანოვი, სტალინი».

გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ასლის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

* — ძმური სალამი ულიანოვს, ზინოვიევს. დღეს მივემგზავრებით პეტროგრადს და ა. შ. რ ე დ.

573

დეპეშა ვ. ა. კარპინსკის

აბსოლუტურად შეუძლებელია შევჩერდეთ. ჩამოდით უქაღალდებოდ. მიხა, ბრენ-დისტენი ასევე უსათუოდ უნდა გავიდნენ ბერნიდან დილის 10. 40-ზე.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 6 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

574

დეპეშა ვ. ა. კარპინსკის

გავდიეართ ხვალ დილის 10. 45-ზე ბერნიდან. დაუყოვნებლივ ჩამოდით.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 6 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

575

დეპეშა ი. ს. განეცკის

ხვალ მიემგზავრება 20 კაცი. ლინდჰაგენი და სტრიომი აუცილებლად დაგველოდონ ტრელებორგში. სასწრაფოდ გამოუძახეთ ბელენინს, კამენევს ფინეთში.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 7 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

576

დეპეშა ი. ს. განეცკის

საბოლოო გამგზავრება ორშაბათს *. 40 კაცი. ლინდჰაგენი, სტრიომი უსათუოდ ტრელებორგში.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 7 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

577

დეპეშა მ. მ. ხარიტონოვს

პლატენმა უნდა მიიღოს ნებართვა, რომ თან წავიღოთ სურსათი, შესრულება შეგვატყობინეთ ტელეფონით 12. 11 ** ხვალ 12 საათზე.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 7 აპრილს
გაგზავნილია ბერნიდან ციურიხში

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

578

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. ა.!

ამასთან გიგზავნით წერილს თქვენთვის და გილბოსათვის, კარგად მიადევნეთ თვალყური, რომ გრიმს გაუგზავ-

---

* 1917 წლის 9 აპრილს. რედ.

** ციფრები აღნიშნავენ ტელეფონის ნომერს. რედ.

ნონ ასლი და მიიღონ პასუხი. გრიმის წერილი-პროტესტი[543] რადეკმა გაუგზავნა გილბოს. გამოსათხოვარი წერილის* რუსულ ტექსტს აქსელროდი გამოგიგზავნით (მისი ახალი მისამართია: Ottikerstr. 37).

თქვენი ლენინი

პლატენის ცნობას **თან ვურთავ**[544].

დაწერილია 1917 წლის 9 აპრილს
გაგზავნილია ციურიხიდან ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

579

დეპეშა მ. გ. ბრონსკისა და ა. ბ. რადეკს

ვარშავსკის, რადეკს. კლუზვეგი, მ. ციურიხი.

ახლავე თარგმნეთ ყველა დოკუმენტი[545]. დასაწყისი გილბოს აუცილებლად დღესვე გაუგზავნეთ, დანარჩენი — ხვალ**. — — — ასლი ბერნს.

დაწერილია 1917 წლის
9 აპრილზე გვიან
გაგზავნილია ციურიხში
შვეიცარიიდან რუსეთში მგზავრობისას

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

---

* იგულისხმება «გამოსათხოვარი წერილი შვეიცარიელი მუშებისადმი» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 484 — 493) რ ე დ.

** ხელნაწერის უკანა მხარეს ლენინის მიერ დაწერილია ა. გილბოს მისამართი: «Guilbeaux. 15. Rue Merle d'Aulignе. 15. *Genève*». რ ე დ.

580

დეპეშა ი. ს. განეცკის

ჩამოვდივართ დღეს 6 საათზე ტრელებორგში.

პლატენი, ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 12 აპრილს
გაგზავნილია სტოკჰოლმში
ზასნიციდან (გერმანია)
ტრელებორგში (შვეცია)
მგზავრობისას

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 1

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

581

დეპეშა ვ. ა. კარპინსკის

გერმანიის მთავრობა ლოიალურად ცავდა ჩვენი ვაგონის ექსტერიტორიულობას. გზას განვაგრძობთ. დაბეჭდეთ გამოსათხოვარი წერილი. სალამი.

ულიანოვი

დაწერილია 1917 წლის 14 აპრილს
გაგზავნილია ჟენევაში
რუსეთისაკენ მგზავრობისას

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

582

ვ. ა. კარპინსკის

ძვირფასო ვ. ა.! ვიმედოვნებ, თქვენ უკვე მიიღეთ ჩვენი დეპეშა * **(გადაგზავნეთ იგი** züricher «Volksrecht»-**ში დასაბეჭდად)** და მიეცით ასაწყობად «გამოსათხოვარი წერილი».

---

* იხ. წინა დოკუმენტი. რ ე დ.

ვიმედოვნებ აგრეთვე, რომ თქვენ უკვე გაუგზავნეთ რადეკს (მისამართი: Fürstenberg — შიგნით: რადეკისათვის Birgerjarlsgatan, 8. Stockholm) ოქმებისათვის საჭირო დოკუმენტი, რომელიც მას არა ჰქონდა, სახელდობრ: მენშევიკთა, «ნაჩალოელთა»[546] და სხვ. კრების რეზოლუცია გამგზავრების წინააღმდეგ.

მოგეცით თუ არა ჩემი შინაურების მისამართი? მარიამ ილიას ასული ულიანოვა (ვ. ი. უ.-სათვის), პეტროგრადი, შოროკაია ქუჩა, სახლი 48/9, ბინა 24, მომწერეთ ღია ბარათი ამ მისამართით, გამოვიდა თუ არა (და რა ენებზე) Abschiedsbrief *, გაიგზავნა თუ არა იგი სტოკჰოლმში და ა. შ.

არ დაგავიწყდეთ დაუკავშირდეთ გრიშას და მიიღოთ მისგან ფრანგული და ინგლისური ოპოზიციური გაზეთები რადეკისათვის.

სალამი! თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის 15 აპრილს
გაგზავნილია ჰაპარანდიდან
(შვეცია) ჟენევაში

პირველად დაიბეჭდა 1930 წელს
ლენინის XIII კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

583

ი. ს. განეცკის

ძვირფასო ამხანაგო, № 1 წერილი (22 — 23 აპრილისა) მივიღეთ დღეს 21/IV — ძვ. სტ...

ფული (2 ათ.) კოზლოვსკისაგან მივიღეთ. პაკეტები დღემდე არ მიგვიღია. გაზეთები პროვინციიდან ძალიან უწესრი-

* — გამოსათხოვარი წერილი. რ ე დ.

გოდ მოდის, ასე რომ ჩვენ თვითონ გვაქვს არა კომპლექტები, არამედ მხოლოდ შემთხვევითი ნომრები. საერთოდ გამოდის 15-მდე ბოლშევიკური გაზეთი: ჰელსინგფორსში, კრონშტადტში, ხარკოვში, კიევში, კრასნოიარსკში, სამარაში, სარატოვსა და სხვა ქალაქებში. მოსკოვში გამოდის ყოველდღიური გაზეთი «სოციალ-დემოკრატი». ხარკოვში, კრონშტადტში, ჰელსინგფორსშიც — ყოველდღიური გაზეთები. ხვალ იწყება სრულიად რუსეთის კონფერენცია, მოსალოდნელია 300-მდე დელეგატი. პიტერში ყველაფერი დუღს და გადმოდის; მთავრობის ნოტის გამო გუშინდლიდან მიმდინარეობს მიტინგები და დემონსტრაციები. მთელ ამ დუღილში ძალიან ძნელია ორგანიზება. ყველას აუარება საქმე აქვს. შიკრიკებთან მორიგება ადვილი როდია, მაგრამ მაინც ყველაფერს ვიღონებთ. ახლა სპეციალურად მოდის კაცი მთელი საქმის ასაწყობად. ვიმედოვნებთ, იგი შეძლებს ყველაფრის მოგვარებას. დეპეშებს საშინლად აგვიანდება, თვით ქვეყნის შიგნითაც კი გაძნელებულია სატელეგრაფო კავშირი. იმის გამო, რომ კაცი მოდის, დეპეშა № 1 წერილის მიღების შესახებ არ გამოგვიგზავნია. რაც შეეხება შტეინბერგს, მივიღებთ ზომებს.

რადეკს ვუთვლით სალამს. დღეს ისეთი გახურებული მუშაობა გვაქვს, რომ არ შეგვიძლია დავწეროთ დაწვრილებითი წერილი და რეზოლუციები კონფერენციის შესახებ და სხვ. ყველაფერს შეიტყობთ «პრავდიდან», რომელსაც გიგზავნით. დეპეშები არ მოგვდის. ამიტომ სატელეგრაფო კავშირის ორგანიზაციის საკითხი ღიად რჩება. სხვა გზით უნდა მოვაგვაროთ კავშირი. რა ცნობები გაქვთ პლატენზე? დაბრუნდა თუ არა იგი და მშვიდობიანად თუ ჩამოვიდა?

ყოველნაირი სალამი.

ეს-ეს არის მივიღეთ ცნობები გრანდიოზული დემონსტრაციების, სროლის შესახებ და სხვ.

დაწერილია 1917 წლის
21 აპრილს (4 მაისს)
გაგზავნილია პეტროგრადიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1923 წელს
ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია» № 9

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით
(პერლუსტრაცია)

584

მისალმება ამხანაგ ჰიოგლუნდს

საპყრობილიდან თქვენი განთავისუფლების დღეს რსდმპ ცენტრალური კომიტეტი თქვენი სახით მიესალმება იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლსა და III ინტერნაციონალის ერთგულ მომხრეს.

ცენტრალური კომიტეტი
ლ ე ნ ი ნ *

პირველად დაიბეჭდა 1917 წლის
23 აპრილს (6 მაისს)
გაზეთ «პრავდაში» № 39

იბეჭდება
გაზეთის ტექსტის
მიხედვით

585

საფრონტო ყრილობის პრეზიდიუმს [547]

საფრონტო ყრილობის დელეგატთა პრეზიდიუმს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი მოწვევა და სულითა და გულით გმადლობთ ამისათვის. ძალიან გთხოვთ მაპატიოთ, რომ აბსოლუტურად არა მაქვს შესაძლებლობა ვიმყოფებოდე თქვენთან დღეს ჩვენი პარტიის სრულიად რუსეთის კონფერენციის წინაშე ჩემ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა გამო.

---

* მისალმებას ც. ჰიოგლუნდისადმი ხელს აწერდა აგრეთვე ზინოვიევი. რ ე დ.

კონფერენცია დაყოვნდა, ალბათ, მთელ ღამეს დავრჩებით და ერთი წუთითაც კი არ შემიძლია წამოვიდე.

ამხანაგური სალმით.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია არა უგვიანეს
1917 წლის 29 აპრილისა
(12 მაისისა)

პირველად დაიბეჭდა 1958 წელს
წიგნში «რსდმპ (ბოლშევიკების)
მეშვიდე (აპრილის) სრულიად
რუსეთის კონფერენცია.
რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის
საერთო საქალაქო კონფერენცია.
1917 წლის აპრილი. ოქმები (რუს.)»,
გვ. 364, 175-ე შენიშვნა

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

586

კ. ბ. რადეკს [548]

ამხ. **რადეკს**

29. V. 1917.

ძვირფასო მეგობარო! გწერთ პირველად, № 1 წერილს, და გთხოვთ მიპასუხოთ, მიიღეთ თუ არა. შეეცადეთ სასწრაფოდ გამომიგზავნოთ № 1 ბიულეტენი («პრავდის» ბიულეტენი) [549], — შემდეგ მიპასუხეთ, მიიღეთ თუ არა **პასუხი** ჟენევიდან კარპინსკისაგან (მე ვთხოვე გამოეგზავნა ჩემთვის **დასასრული** — «დასკვნა» — წიგნისა აგრარულ საკითხზე—და ორივე სტატია: იურის, «პეტრე კიეველისა», და ჩემი თვითგამორკვევის შესახებ).

სავსებით გეთანხმებით, რომ ციმერვალდი საბოლოოდ მუხრუჭად იქცა, რომ სჯობს ჩამოვშორდეთ მათ (თქვენ იცით, რომ მე არ დავეთანხმე კონფერენციას ამ პუნქტში) [550]. მემარცხენეთა თათბირი ყოველი ღონისძიებით უნდა დავაჩქაროთ,

საერთაშორისო და **მხოლოდ** მემარცხენეთა. მომწერეთ, **რა** შეგიძლიათ იღონოთ ამისათვის: ფულს (გარკვეულ თანხას 3 — 4 ათას მანეთამდე) მალე გამოგიგზავნით.

მემარცხენეთა საერთაშორისო თათბირი რომ რაც შეიძლებოდა ჩქარა მოგვეწვია, შეიქმნებოდა მესამე ინტერნაციონალი.

შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ სკანდინავიელ მემარცხენეთა იმედი? გაანათლეთ თუ არა ჰიოგლუნდი და კომპანია? შეგვიძლია თუ არა ვიქონიოთ იმედი, რომ მოგვემხრობიან ინგლისელები და ამერიკელები? საჭირო ხომ არაა თქვენმა სტოკჰოლმელმა სამეულმა ჩვენი ცენტრალური კომიტეტის სახელით, პლუს პოლონელების, პლუს «Arbeiterpolitik»-ის, პლუს ჰიოგლუნდისა და კომპანიის სახელით **ახლავე** გამოსცეს საერთაშორისო მოწოდება, რომ მოწვეულ იქნეს **მხოლოდ** მემარცხენეთა (ნუსხა იხ. ჩვენს რეზოლუციაში) თათბირი საერთაშორისო მასშტაბით?

მომწერეთ, რას საქმიანობთ.

მაპატიეთ, რომ იშვიათად გწერთ: საშინლად **არა** მცალია. ვიმედოვნებ, ახლა ყველაფერი გიამბეთ.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის
29 მაისს (11 ივნისს)
გაგზავნილია პეტროგრადიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1932 წელს
ჟურნალში
«კრასნაია ლეტოპის» № 5 — 6

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

587

იურიდიულ კომისიას [551]

პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ჯგუფების აღმასრულებელი კომიტეტის მიერ იურიდიული კომისიი-

სათვის გადაცემული განცხადების თაობაზე ვთხოვ კომისიას მიიღოს მხედველობაში, რომ ამ განცხადების პუნქტი განეცკისათვის «ახსნა-განმარტებების მოთხოვნის» შესახებ შეიცავს სავსებით დაუშვებელ გამოხდომას აქ არმყოფი (პ ა რ ტ ი უ ლ ი საქმეების გამო) ამხანაგისა და ამასთან ცენტრალური კომიტეტის აგენტის ღირსების წინააღმდეგ.

აშკარა ცილისმწამებლის, ბ-ნ ზასლავსკის, გაზეთში არაერთგზის ცილისმწამებლად დასახელებულის, მითითებით, «ახსნა-განმარტების მოთხოვნა» ს ა ე რ თ ო დ დაუშვებელია, განსაკუთრებით კი ეს დაუშვებელია პრესის მეშვეობით.

ბ-ნი ზასლავსკი მხოლოდ ჭორიკანასავით მოიქცა. საჭიროა ზუსტად, იურიდიულად განვასხვავოთ ჭორიკანასა და ცილისმწამებლის ცნება მამხილებლისაგან (რომელიც მოითხოვს ზუსტად გათვალისწინებული ფაქტების დადგენას).

საჭიროა დავადგინოთ პრინციპი, რომ პ ა რ ტ ი ა არ უნდა უპასუხებდეს ჭორსა და ცილისწამებას (უთუოდ განმეორებით, რომ ცილისმწამებლები ცილისმწამებლები არიან), **ვიდრე** პრესაში არ გამოცხადდება (1) გარკვეული პირის, არა აშკარა ცილისმწამებლის, ხელმოწერით, ზუსტი ბრალდება, (2) რომელიც უნდა აძლევდეს ო რ ი ვ ე მხარეს შესაძლებლობას გამოვიდნენ ლეგალური სასამართლოს წინაშე, (3) სერიოზული ხასიათის ბრალდება, რომელსაც მხარს დაუჭერენ პოლიტიკური ორგანიზაციები.

უამისოდ დასაშვებია პასუხი არა პ ა რ ტ ი ი ს, არამედ ა მ ხ ა ნ ა გ ი ს ა, რომელსაც შეეხნენ და ან ცალკე ბროშურაში (ან ფურცელში: დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი თ უ რ თ), ანდა მხოლოდ ჭორის აღკვეთის თვალსაზრისით.

განსაკუთრებით დაუშვებელია თუნდაც მცირეოდენი ეჭვის თვალით შევხედოთ პარტიის თანამდებობის პირის პატიოსნებას ან შევეცადოთ ხელი ვაფათუროთ («ახსნა-განმარტებების მოთხოვნა») მის პირად ცხოვრებაში, თუ **წინასწარ** არ დავკითხეთ მოწმეები (როზანოვი, ჩუდნოვსკი, შტერი და სხვა კოპენჰაგენელები) და არ შევისწავლეთ **დოკუმენტები.**

მე ვთხოვ იურიდიულ კომისიას განიხილოს ჩემი ეს განცხადება ასეთი პუბლიკაციების სრული ამხანაგური და საქმიანი დაუშვებლობის შესახებ (ამასთან პოლონელთა ცენტრალური კომიტეტის სახელითაც კი არა), როგორც იურიდიული კომისიისათვის გადაცემული განცხადება.

13. VI. 1917.

ნ. ლენინი

დაწერილია 1917 წლის
13 (26) ივნისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

588

დეპეშა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს

კვირას მთელი რევოლუციის მანიფესტაციაა. ჩვენი ლოზუნგები ასეთია: ძირს კონტრრევოლუცია, IV სათათბირო, სახელმწიფო საბჭო, იმპერიალისტები, რომლებიც კონტრრევოლუციას აწყობენ. მთელი ძალაუფლება საბჭოებს. გაუმარჯოს წარმოებისადმი მუშათა კონტროლს. მთელი ხალხის შეიარაღება. არც სეპარატული ზავი ვილჰელმთან, არც საიდუმლო ხელშეკრულებანი ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან. საბჭოებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოაქვეყნონ ზავის ნამდვილად სამართლიანი პირობები. გამოვდივართ შეტევათა პოლიტიკის წინააღმდეგ. მოვითხოვთ პურს, ზავს, თავისუფლებას.

დაწერილია 1917 წლის
16 (29) ივნისს
გაგზავნილია პეტროგრადიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს
წიგნში: ვ. ი. ლენინი, 1917 წლის
თხზულებანი სამ ტომად, ტ. II

იბეჭდება
დეპეშის ბლანკის
ტექსტის მიხედვით

კ. ბ. რადეკს

17. VI. 1917.

ძვირფასო რადეკ! ავადმყოფობის გამო უკანასკნელ დღეებში ვერ შევძელი თვალყური მედევნებინა დეპეშებისათვის. ამიტომ ციმერვალდის საქმეები ნათლად არა მაქვს წარმოდგენილი.

თუ სიმართლეა, რომ თავგზააბნეულმა, საცოდავმა გრიმმა (კარგია, რომ ჩვენ არასოდეს არ ვენდობოდით ამ მინისტერიაბელურ არამზადას!) მთელი ციმერვალდის საქმეები მემარცხენე შვედებს ჩააბარა და რომ ეს უკანასკნელნი, ამ დღეებში ციმერვალდელთა კონფერენციას იწვევენ, მაშინ მე — პირადად ჩემი სახელით (ყოველივე ამას ვწერ მხოლოდ ჩემი სახელით) — ძ ა ლ ი ა ნ გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ თ, რომ არ აჰყვეთ ციმერვალდს.

«რა კარგი იქნება, ხელთ ვიგდოთ ახლა ციმერვალდის ინტერნაციონალი», — ამბობდა დღეს გრიგოლი.

ჩემი აზრით, ეს უაღრესად ოპორტუნისტული და მავნე ტაქტიკაა.

«ხელთ ვიგდოთ» ციმერვალდი? ესე იგი **ავიკიდოთ** იტალიელთა პარტიის (კაუცკელთა და პაციფისტთა), შვეიცარიელი გრეილიხისა და კომპანიის, ამერიკის S. P.-ის (კიდევ უარესი!), სხვადასხვა Peluso-ების, ლონგეტისტებისა და სხვათა და სხვათა უქმი ტვირთი.

ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უკუგვეგდო ყველა ჩვენი პრინციპი, დაგვევიწყებინა ყველაფერი, რასაც ვწერდით და ვამბობდით ცენტრის წინაალმდეგ, თვითონვე თავგზა აგვბნეოდა და შევრცხვენილიყავით.

არა, თუკი მემარცხენე შვედები ხელთ იგდებენ ციმერვალდს და მოისურვებენ საქმის არევას, მ ა თ უნდა წავუყენოთ ულტიმატუმი: **ან** ისინი ციმერვალდელთა პირველსავე კონფერენციაზე აცხადებენ, რომ ციმერვალდი დაიშალა, და III ინტერნაციონალს აარსებენ, **ან** ჩვენ ვტოვებთ.

ასე თუ ისე უნდა დავასამაროთ საზიზღარი («გრიმისა»: იგი მაინც გრიმისაა) ციმერვალდი რადაც უნდა დაგვიჯდეს და დავაარსოთ **ნამდვილი** III ინტერნაციონალი **მხოლოდ** მემარცხენეთაგან, **მხოლოდ კაუცკელთა წინააღმდეგ.** დღევანდელი კვერცხი მირჩევნია ხვალინდელ ქათამს.

ეს წერილი ორლოვსკისა და განეცკის წაუკითხეთ. საუკეთესო სალამი.

მაპატიეთ, მოკლედ რომ გწერთ: ავად ვარ.

აქ ყველაფერი ძალიან წააგავს 1848 წლის ივნისის წინადღეებს. მენშევიკებმა და ესერებმა ყველა და ყველაფერი ჩააბარეს და აბარებენ კადეტებს (= კავენიაკებს). Qui vivra verra *.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წლის
17 (30) ივნისს
გაგზავნილია პეტროგრადიდან
სტოკჰოლმში

პირველად დაიბეჭდა 1932 წლის
7 ნოემბერს გაზეთ «პრავდაში» № 309

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

590

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს [552]

მხოლოდ ახლა, 7 ივლისს, დღის $3^1/_4$ საათზე, შევიტყვე, რომ წუხელ ღამით ჩემს ბინაში შეიარაღებულმა პირებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ წერილობითი ბრძანება, მიუხედავად ცოლის პროტესტისა, მოაწყვეს ჩხრეკა. მე პროტესტს ვაცხადებ ამის წინააღმდეგ და ვთხოვ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს გამოიძიოს კანონის ეს აშკარა დარღვევა.

---

* — აღდგომა და ხვალაო. რ ე დ.

ამასთანავე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ოფიციალურად და წერილობით დავადასტურო ის, რაშიც, დარწმუნებული ვარ, არ დაეჭვდებოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არც ერთი წევრი, სახელდობრ: იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გასცემს ბრძანებას ჩემი დაპატიმრების შესახებ და ამ ბრძანებას დაამტკიცებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მე გამოვცხადდები დაპატიმრების ადგილას, რომელსაც მიმითითებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი
ვ ლ ა დ ი მ ერ ი ლ ი ა ს ძ ე უ ლ ი ა ნ ო ვ ი
(ნ. ლ ე ნ ი ნ ი)

პეტროგრადი, 7/VII. 1917.

დაწერილია 1917 წლის 7 (20) ივლისს

პირველად დაიბეჭდა 1964 წელს
ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-5 გამოცემაში, ტომი 49

იბეჭდება
მანქანაზე დაბეჭდილი
პირის მიხედვით

591

გ. როვიოს

ამხანაგო როვიო! თუ შეიძლება გადაეცით თანდართული წერილი სმილგას (ოლონდ პირადად, და **არა** ფოსტით) *.

ამხანაგი, რომელიც ამ წერილს გადმოგცემთ, ძალიან მალე ბრუნდება უკან: **გ ა მ ო ა ტ ა ნ ე თ მ ა ს** დარჩენილი გაზეთები და ჩემთვის **თუ რამეა მიღებული.**

---

* იხ. «წერილი ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს» (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 64 — 69). რ ე დ.

გადაგზავნეთ თუ არა ის, რაც მოგეცით, ჩრდილოეთში შვედი ამხანაგებისათვის გადასაცემად? *. მიპასუხეთ ამ წერილის მომტანის ძეშვეობით.

საუკეთესო სალამი!
თქვენი კ. ივანოვი

დაწერილია 1917 წლის 27 სექტემბერს
(10 ოქტომბერს)
გაგზავნილია ვიბორგიდან
ჰელსინგფორსში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

592

გ. როვიოს

ძვირფასო ამხანაგო როვიო!

ვსარგებლობ ხელსაყრელი შემთხვევით, რომ შევიტყო, მიიღეთ თუ არა ჩემი წერილი, რომელშიც ჩადებული იყო წერილი სმილგასადმი? ** და გადაეცით თუ არა მას წერილი?

ეს ხელსაყრელი შემთხვევა ორი დღის შემდეგ თქვენც მოგეცემათ. ძალიან გთხოვთ, გადასცეთ ეს წერილი სმილგას, რათა მანაც იცოდეს, რომ ვწუხვარ, მიიღო თუ არა წერილი და ველოდები მის პასუხს.

სალამი! თქვენი კ. ივანოვი

ხომ ვერ გამომიგზავნით უკანასკნელი $1^1/_2$ კვირის (1) «პრიბოისა»[553] და (2) «სოციალისტ-რევოლუციონერის»[554] კომპლექტს?

---

* ეტყობა, იგულისხმება ვ. ი. ლენინის წერილი «ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 336—344). რედ.

** «წერილი ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 26, გვ. 64—69). რედ.

P. S. გაგზავნეთ თუ არა შვეიცარიაში მეგობრების მეშვეობით წერილი და გაზეთები?

დაწერილია 1917 წლის 27 სექტემბერზე
(10 ოქტომბერზე) გვიან
გაგზავნილია ვიბორგიდან
ჰელსინგფორსში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის XXI კრებულში

იბეჭდება
ხელნაწერის მიხედვით

593

ბარათი მ. ვ. ფოფანოვასადმი

წავედი იქ, სადაც თქვენ არ გინდოდათ, რომ წავსულიყავი. ნახვამდის.

ი ლ ი ჩ ი

დაწერილია 1917 წლის 24 ოქტომბერს
(6 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1934 წელს წიგნში:
ნ. კ. კრუპსკაია. მოგონებანი
ლენინზე. ნაწ. III. მ.,
პარტგამომცემლობა

იბეჭდება
წიგნის ტექსტის
მიხედვით

შენიშვნები

1 იგულისხმება ნ. ე. ფედოსეევის სტატიები, რომლებშიც გაანალიზებულია რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და გაკრიტიკებულია ნაროდნიკების მცდარი შეხედულებანი. სტატიების ხელნაწერები ვ. ი. ლენინს ჰქონია. — 1.

2 «რ უ ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1880 წლიდან 1918 წლამდე; 1905 წლამდე ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულებისა იყო. 90-იან წლებში თავის ფურცლებზე ზოგჯერ მარქსისტთა სტატიებს ბეჭდავდა. — 2.

3 «რ უ ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო» — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც 1876 წლიდან 1918 წლამდე გამოდიოდა პეტერბურგში. 90-იანი წლების დამდეგს გადავიდა ლიბერალური ნაროდნიკების ხელში, რომლებსაც ნ. კ. მიხაილოვსკი მეთაურობდა. ჟურნალი მეფის მთავრობასთან შერიგებას ქადაგებდა და გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა მარქსიზმისა და რუსი მარქსისტების წინააღმდეგ. — 6.

4 წერილში ლაპარაკია, როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინის ნაწარმოებზე «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?», რომელიც უნდა გამოცემულიყო საზღვარგარეთ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 1, გვ. 623 — 624). წერილში ნახსენებია ფ. ენგელსის ნაშრომები «ბინის საკითხისათვის» და «ბოლოსიტყვაობა ნაშრომისა «რუსეთის სოციალური საკითხის შესახებ»» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 1. გვ. 632 — 740; თხზულებანი, მე-2 გამოც. (რუსული), ტ. 22, გვ. 438 — 453).

1894 წლის ზაფხულში ვ. ი. ლენინი ახლობლებთან ცხოვრობდა მოსკოვის მახლობლად (კუზმინსკში), აგვისტოში დაბრუნდა პეტერბურგში. — 7.

5 «რაბოჩეე დელო» — ჟურნალი, «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის კავშირის» ორგანო; გამოდიოდა ქენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის, პ. ფ. ტეპლოვის (ციმბირელის), ვ. პ. ივანშინის, შემდეგ კი ა. ს. მარტინოვის რედაქციით; გამოვიდა 12 ნომერი (ცხრა წიგნი). «რაბოჩეე დელოს» რედაქცია «ეკონომისტთა» საზღვარგარეთის ცენტრი იყო.

«რაბოჩედელოელთა» შეხედულებების კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 431 — 673). — 9.

6 «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი — პირველი რუსული მარქსისტული ჯგუფი, რომელიც გ. ვ. პლეხანოვმა დააარსა 1883 წელს ქენევაში. გარდა პლეხანოვისა, ჯგუფში შედიოდნენ პ. ბ. აქსელროდი, ლ. გ. დეიჩი, ვ. ი. ზასულიჩი, ვ. ნ. იგნატოვი.

«შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია მარქსიზმის პროპაგანდისათვის რუსეთში, სერიოზული დარტყმა აგემა ნაროდნიკობას. რსდმპ II ყრილობაზე ჯგუფმა გამოაცხადა თავისი არსებობის შეწყვეტა. — 9.

7 ლაპარაკია მარქსისტულ-პოლიტიკურ ჟურნალ «ზარიაზე», რომელსაც 1901 — 1902 წლებში შტუტგარტში «ისკრის» რედაქცია არალეგალურად სცემდა. — 9.

8 ჩაიკოვსკელები — რევოლუციური ნაროდნიკების პეტერბურგის წრე. რომელსაც ერთ-ერთი მისი წევრის — ნ. ვ. ჩაიკოვსკის სახელი ეწოდა. ჩაიკოვსკელები ამოცანად ისახავდნენ თვითგანათლებას და რევოლუციურ პროპაგანდას ახალგაზრდობას შორის; ისინი სცემდნენ და ავრცელებდნენ კ. მარქსის, ნ. გ. ჩერნიშევსკის, დ. ი. პისარევის, ნ. ფლეროვსკის (ვ. ვ. ბერვის) თხზულებებს; შვეიცარიაში თავიანთი სტამბა ჰქონდათ. შემდგომში ჩაიკოვსკელები მუშებსა და გლეხებს შორის რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ, მუშებს საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ისტორიას აცნობდნენ, წრეებში კ. მარქსის «კაპიტალის» პირველ ტომს სწავლობდნენ. მაგრამ ჩაიკოვსკელებს არ ესმოდათ პროლეტარიატის ისტორიული როლი და თვლიდნენ მას შუამავლად რევოლუციურ ინტელიგენციასა და გლეხობას შორის. ჩაიკოვსკელთა საქმიანობა შეწყვიტა მასობრივმა დაპატიმრებამ 1874 წლის დამდეგს. — 10.

9 «23-ის რეზოლუცია» მიღებულ იქნა, როგორც ჩანს, ვიატკის გუბერნიის ქალაქ ორლოვის გადასახლებულ სოციალ-დემოკრატთა კრებაზე (ვ. ვ. ვოროვსკი, ნ. ე. ბაუმანი, ა. ნ. პოტრესოვი და სხვ.) როგორც სოლიდარობის გამოხმაურება «ჩვიდმეტთა პროტესტზე» («რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტი», რომელიც ვ. ი. ლე-

ნინმა დაწერა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 197 — 215). — 11.

10 იგულისხმება პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის წევრთან ს. ს. ტრუსევიჩთან გამართული მოლაპარაკება პოლონეთის გაელით ლიტერატურის ტრანსპორტის ორგანიზაციის თაობაზე, რის შესახებ ი. მ. სტეკლოვი სწერდა ვ. ი. ლენინს. ტრანსპორტი არ მოგვარებულა — 12.

11 ლაპარაკია გაზეთ «ი ს კ რ ა ზ ე» — პირველ საერთო-რუსულ არალეგალურ მარქსისტულ გაზეთზე, რომელიც ვ. ი. ლენინმა დააარსა 1900 წელს და რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის შექმნაში.

«ისკრის» რედაქციაში შედიოდნენ ვ. ი. ლენინი, პ. ბ. აქსელროდი, ვ. ი. ზასულიჩი, ი. ო. მარტოვი, გ. ვ. პლეხანოვი და ა. ნ. პოტრესოვი. რედაქციის მდივანი ჯერ იყო ი. გ. სმიდოვიჩ-ლემანი, 1901 წლის გაზაფხულიდან — ნ. კ. კრუპსკაია, რომელიც განაგებდა აგრეთვე «ისკრის» მთელ მიმოწერას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან.

პარტიის II ყრილობის შემდეგ, № 52-დან, გაზეთი «ისკრა» მენშევიკების ორგანოა. — 15.

12 იგულისხმება «ისკრის» რედაქციის მოლაპარაკება ლიბერალებთან ჟურნალ «ზარიას» დამატების «სოვრემენნოე ობოზრენიეს» გამოცემის შესახებ. განცხადებანი «სოვრემენნოე ობოზრენიეს» გამოსვლის შესახებ დაწერეს «ისკრისა» და «ზარიას» სახელით გ. ვ. პლეხანოვმა, «დემოკრატიული ოპოზიციის» ჯგუფის სახელით — პ. ბ. სტრუვემ. მაგრამ არ გამოცემულა იმის გამო, რომ დიტცმა უარი თქვა დაებეჭდა განცხადება, როგორც ისეთი განცხადება, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ცენზურის მოთხოვნებს. «ისკრის» წარმომადგენელთა შემდგომი მოლაპარაკება სტრუვესთან შეწყდა და არ განახლებულა (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 467 — 470; ტომი 36, გვ. 45 — 46, 49 — 50; მე-5 გამოც., ტომი 4, გვ. 389 — 390). — 16.

13 იგულისხმება «ბ ო რ ბ ა ს» ჯ გ უ ფ ი (დ. ბ. რიაზანოვი, ი. ნ. სტეკლოვი, ე. ლ. გურევიჩი); შეიქმნა 1900 წლის ზაფხულში პარიზში, როგორც დამოუკიდებელი ჯგუფი ჩამოყალიბდა 1901 წელს, «გამაერთიანებელი» ყრილობის შემდეგ. თავის გამოცემებში ჯგუფი ამახინჯებდა მარქსიზმის თეორიას, უარყოფდა «ისკრის» რევოლუციურ ტაქტიკას. მტრულად ეკიდებოდა პარტიის აგების ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს. სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ტაქტიკისაგან გადახრების, დეზორგანიზატორული მოქმედებისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის უქონლობის გა-

ნო ჯგუფი არ დაუშვეს პარტიის II ყრილობაზე. რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებით «ბორბას» ჯგუფი დაშლილ იქნა. — 17.

14 ლაპარაკია სტუდენტთა დემონსტრაციებზე, რომლებიც გაიმართა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ 1899 წლის 29 ივლისს შემოიღეს დროებითი წესები და მთავრობამ კიევის უნივერსიტეტის 183 სტუდენტი ჯარისკაცად გაგზავნა (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 4, გვ. 510 — 516). 1901 წლის 6 თებერვალს ლონდონში რუსების კოლონიის კრებამ მიიღო პროტესტი მთავრობის ამ აქტის წინააღმდეგ, რომელიც ჟურნალ «ნაკანუნეს» № 26-27-ში გამოქვეყნდა სათაურით «ლონდონის პროტესტი». — 17.

15 «რაბოჩაია მისლ» — გაზეთი, «ეკონომისტთა» ორგანო; გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე; რედაქციას უკეთებდნენ კ. მ. ტახტარიოვი და სხვ. — 17.

16 იგულისხმება «რაბოჩეე ზნამიას» ჯგუფი, რომელიც 1897 წლის მეორე ნახევარში შეიქმნა. ჯგუფი უარყოფითად ეკიდებოდა «ეკონომიზმს»; მუშაობის მიზნად მუშებს შორის პოლიტიკურ პროპაგანდას ისახავდა; სცემდა გაზეთ «რაბოჩეე ზნამიას» (გამოვიდა სამი ნომერი); დაიბეჭდა რამდენიმე სტატია და პროკლამაცია. ამ ჯგუფის მოღვაწენი იყვნენ ს. ვ. ანდროპოვი, ვ. პ. ნოგინი, მ. ბ. სმირნოვი და სხვ. 1901 წლის იანვარში პეტერბურგის «რაბოჩეე ზნამიას» ჯგუფი შეუერთდა «სოციალისტის» ჯგუფს, მაგრამ იანვარ — აპრილში დაეპატიმრეს რუსეთში მყოფი გაერთიანებული ჯგუფის მოღვაწეები. «რაბოჩეე ზნამიას» პეტერბურგის ჯგუფის წევრთა უმრავლესობა გადავიდა «ისკრის» ორგანიზაციაში. — 17.

17 წერილი კრიზისის შესახებ დაიბეჭდა ხელმოუწერლად «ისკრის» № 1-ის განყოფილებაში «ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან». წერილი მუშებს აფრთხილებდა კრიზისის პირობებში მორიდებოდნენ არაორგანიზებულ გაფიცვებს, ვინაიდან ფაბრიკანტები ამ გაფიცვებს იყენებდნენ მუშათა მასობრივი დათხოვნის საბაბად. — 17.

18 «იუჟნი რაბოჩი» — სოციალ-დემოკრატიული არალეგალური გაზეთი, სცემდა იმავე სახელწოდების ჯგუფი 1900 წლის იანვრიდან 1903 წლის აპრილამდე. პარტიის II ყრილობაზე «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის წევრებმა «ცენტრის» პოზიცია დაიკავეს.

რსდმპ II ყრილობამ დაადგინა დაშალა «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფი, ისევე როგორც ყველა ცალკეული დამოუკიდებლად არსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი და ორგანიზაცია.

აქ იგულისხმება კორესპონდენციები პროხოროვკის მაღაროებში (დონეცზე) მომხდარი გაფიცვის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნდა გა-

ზეთებში «ისკრა» № 2 (1901 წლის თებერვალი) და «იუჟნი რაბოჩი» № 3 (1900 წლის ნოემბერი). — 18.

19 ვ. პ. ნოგინის წინადადება იყო ლ. მარტოვის სტატია «რუსეთის პროლეტარიატის ახალი მეგობრები» დაემთავრებინათ უფრო მკვეთრი ანალოგიით ს. ვ. ზუბატოვის ქადაგებასა და «რაბოჩაია მისლის» პროგრამას შორის ეკონომიური ბრძოლის გაგების საკითხში. — 19.

20 ვ. პ. ნოგინი წერდა, «ისკრამ» დევიზად დეკაბრისტების სიტყვები აიღო, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებაზეო. — 19.

21 «ბ ი ლ ო ე» — ისტორიული ჟურნალი, რომელიც უმთავრესად მიეძღვნა ნაროდნიკობისა და უფრო ადრინდელ საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიას; გამოდიოდა 1900 — 1904 და 1906 — 1907 წლებში ჯერ საზღვარგარეთ, შემდეგ პეტერბურგში. — 19.

22 «*Justice*» («სამართლიანობა») — ყოველკვირეული გაზეთი, გამოდიოდა ლონდონში 1884 წლის იანვრიდან 1925 წლის დამდეგამდე; სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის ორგანო, 1911 წლიდან — ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. 1925 წლის თებერვლიდან 1933 წლის დეკემბრამდე გამოდიოდა სახელწოდებით «Social-Demokrat» («სოციალ-დემოკრატ»). — 19.

23 1901 წლის მაისში ვ. პ. ნოგინი რუსეთში გამოემგზავრა, წინასწარ ერთი კვირით შეიარა მიუნხენში ვ. ი. ლენინთან, რომელთანაც განიხილა რუსეთში მომავალი მუშაობა. — 20.

24 «ნ ა კ ა ნ უ ნ ე» — ნაროდნიკული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა ლონდონში რუსულ ენაზე 1899 წლის იანვრიდან 1902 წლის თებერვლამდე ე. ა. სერებრიაკოვის რედაქციით; გამოვიდა 37 ნომერი. — 20.

25 საქმე ეხება «ბორბას» ჯგუფის წარმომადგენელთა გამოხმაურებას «ისკრის» № 1-ის გამო (იხ. შენიშვნა 13). — 21.

26 იგულისხმება «*Aus Weltpolitik*» («მსოფლიო პოლიტიკის სფეროდან») — ყოველკვირეული ფურცელი, რომელსაც პარვუსი სცემდა; გამოდიოდა მიუნხენში 1898 წლიდან 1905 წლამდე. — 21.

27 «ს ა ს ა ხ ე ლ ო პ ო ს ტ ზ ე» — ლიტერატურული კრებული, რომელიც ნაროდნიკებმა გამოუშვეს ნაროდნიკობის ერთ-ერთი იდეოლოგის ნ. კ. მიხაილოვსკის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლის (1860—1900) იუბილეს აღსანიშნავად. რეცენზია ამ წიგნის გამო არ გამოქვეყნებულა არც «ისკრაში», არც «ზარიაში». — 22.

28 იგულისხმება «ისკრის» ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც შეიქმნა ბერლინში 1900 წლის შემოდგომაზე. «ისკრის» ტრანსპორტის ორგანიზაციასა და სახსრების შეგროვებაში ჯგუფი დიდ როლს ასრულებდა. «ისკრის» ანალოგიური ხელშემწყობი ჯგუფები იქმნებოდა ევროპის სხვა ქალაქებშიც (ჟენევა, ციურიხი, პარიზი და ა. შ.), სადაც ცხოვრობდა და სწავლობდა რუსეთიდან ჩასული ახალგაზრდობა და ემიგრანტი-რევოლუციონერები იმყოფებოდნენ. ეს ჯგუფები «ისკრისათვის» აგროვებდნენ სახსრებს, აგვარებდნენ არალეგალურ გამოცემათა ტრანსპორტს რუსეთში, შოულობდნენ პასპორტებს, ამყარებდნენ კავშირს და ეწეოდნენ სხვა მუშაობას „ისკრისათვის“.

ბერლინის სოციალ-დემოკრატთა ნეიტრალური ჯგუფი ჩამოყალიბდა ვ. ა. ბაზაროვის გარშემო 1900 წლის შემოდგომაზე; იგი ამოცანად ისახავდა აღმოეფხვრა განხეთქილება, რომელიც «რუსი სოციალ-დემოკრატების საზღვარგარეთის კავშირის» II ყრილობის შემდეგ ჩამოვარდა ჟურნალ «რაბოჩეე დელოს» მომხრეებსა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფს შორის. ამ ჯგუფში შედიოდნენ აგრეთვე მ. გ. ვეჩესლოვი, ი. ბ. ბასოვსკი და სხვები. 1900 წლის დამდეგს ჯგუფს, ბაზაროვის სიტყვით, თავისი წარმომადგენლები გაუგზავნია ჟენევაში იმ მიზნით, რომ დაეყოლიებინა «ისკრის» და «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაცია შერიგებოდნენ «კავშირს». ჯგუფმა გამოუშვა 3 — 4 ფურცელი-პროკლამაცია პოლიტიკურ თემებზე და 1901 წლის ზაფხულამდე იარსება. — **28.**

29 იხ. შენიშვნა 13. — **24.**

30 1901 წლის ივნისში ჟენევაში მოწვეულ იქნა საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს რეზოლუცია, რომელშიც საჭიროდ ცნობდნენ რუსეთის მთელი სოციალ-დემოკრატიული ძალების შეკავშირებას «ისკრის» რევოლუციური პრინციპების საფუძველზე და საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა გაერთიანებას. რეზოლუციაში დაგმობილი იყო ოპორტუნიზმი და მისი ყველა გამოვლინება და ნაირსახეობა: «ეკონომიზმი», ბერნშტეინელობა, მილიერანიზმი და მისთ. (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, გვ. 24 — 26). კონფერენციის შემდეგ «რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირმა» და მისმა ორგანომ — ჟურნალმა «რაბოჩეე დელომ» გააძლიერეს ოპორტუნიზმის ქადაგება, შეუძლებელი გახადეს ისკრელებისა და რაბოჩედელოელების გაერთიანება, წინასწარ განსაზღვრეს «გამაერთიანებელი» ყრილობის წარუმატებლობა. — **24.**

31 ბიულეტენების გამოშვებას აპირებდა «ისკრის» ხელშემწყობი ბერლინის ჯგუფი, მაგრამ სახსრებისა და მასალების ნაკლებობის გამო გამოცემა არ განხორციელებულა. — **25.**

32 იგულისხმება რ. ე. კლასონის მონაწილეობა კრებულში «მასალები ჩვენი სამეურნეო განვითარების დახასიათებისათვის», რომელიც დაიბეჭდა 1895 წლის აპრილში. — **29.**

33 ლაპარაკია გ. ვ. პლეხანოვის სარედაქციო შენიშვნებზე ვ. ი. ლენინის სტატიის გამო — «ერობის მდევნელნი და ლიბერალიზმის ჰანიბალები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 25 — 89). — **31.**

34 «*Vorbote*» («მაუწყებელი») — ყოველთვიური ჟურნალი, I ინტერნაციონალის გერმანული სექციების ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ჟენევაში 1866 წლიდან 1871 წლამდე. — **32.**

35 იგულისხმება ის გარემოება, რომ ვ. მ. ჩერნოვი თავის სტატიაში «კაპიტალისტური და აგრარული ევოლუციის ტიპები» იმოწმებს რიტინგჰაუზენის წინადადებას, საზოგადოებამ მიწით სარგებლობა «სოლიდარიზებულ თემებს» გადასცესო; — ეს წინადადება რიტინგჰაუზენმა შეიტანა I ინტერნაციონალის ბაზელის 1869 წლის IV კონგრესის აგრარულ კომისიაში და მიღებულ იქნა კომისიის უმრავლესობის მიერ. — **32.**

36 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც. ტ. 19, გვ. 327 — 345 (რუს.). — **33.**

37 «*Die Neue Zeit*» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორიული ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883 წლიდან 1923 წლამდე. 1917 წლის ოქტომბრამდე ჟურნალს რედაქციას უკეთებდა კ. კაუცკი, შემდეგ — გ. კუნოვი. — **33.**

38 «*Die schlesische Milliarde*» («სილეზიის მილიარდი») — ვ. ვოლფის სტატიების სერია, რომელიც ამ სახელწოდებით გამოქვეყნდა 1849 წლის მარტ-აპრილში გაზეთ «*Neue Rheinische Zeitung*». 1886 წელს ეს სტატიები მცირეოდენი ცვლილებებით გამოიცა ცალკე ბროშურად ფ. ენგელსის წინასიტყვაობით «პრუსიის გლეხობის ისტორიისათვის» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., ტ. 21, გვ. 246—257).

«*Neue Rheinische Zeitung*» («ახალი რაინის გაზეთი») გამოდიოდა ყოველდღიურად კელნში კ. მარქსის რედაქციით 1848 წლის 1 ივლისიდან 1849 წლის 19 მაისამდე. — **33.**

39 «*Vorwärts*» («წინ») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1891 წლიდან. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის სიკვდილის

შემდეგ, «Vorwärts»-ის რედაქცია ხელში ჩაუვარდა პარტიის მემარჯვენე ფრთას და სისტემატურად ბეჭდავდა ოპორტუნისტთა სტატიებს. ტენდენციურად აშუქებდა რა ბრძოლას ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ რსდმ პარტიაში, «Vorwärts»-ი მხარს უჭერდა «ეკონომისტებს», ხოლო მერე, გათიშვის შემდეგ, მენშევიკებს. — 34.

40 «ვესტნიკ რუსკოი რევოლუციი. სოციალ-პოლიტიჩესკოე ობოზრენიე» — არალეგალური ჟურნალი; გამოდიოდა საზღვარგარეთ (პარიზი — ჟენევა) 1901 — 1905 წლებში. გამოვიდა ოთხი ნომერი. № 1 გამოსცა «ძველ ნაროდოვოლელთა ჯგუფმა» ნ. ს. რუსანოვის (კ. ტარასოვის) რედაქციით; № 2-დან ჟურნალი ესერთა პარტიის თეორიული ორგანო ხდება. — 35.

41 იგულისხმება რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციათა «გამაერთიანებელი» ყრილობა, რომელიც ნიმდინარეობდა 1901 წლის 4 — 5 ოქტომბერს ციურიხში. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო «ისკრისა» და «ზარიას» საზღვარგარეთის ორგანიზაციის 6 წევრი, «სოციალ-დემოკრატის» ორგანიზაციის 8 წევრი (მათ შორის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის 3 წევრი), «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» 16 წევრი (მათ შორის ბუნდის საზღვარგარეთის კომიტეტის 5 წევრი) და «ბორბას" ჯგუფის 3 წევრი. დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო «პრინციპული შეთანხმება და ინსტრუქციები რედაქციებისადმი» — მკაფიო სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც ამხილა «კავშირის» ოპორტუნისტული მოქმედება. მას შემდეგ, რაც ყრილობაზე წაიკითხეს «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» III ყრილობის მიერ მიღებული ოპორტუნისტული შესწორებანი და დამატებანი ივნისის დეკლარაციისა, ყრილობის რევოლუციურმა ნაწილმა («ისკრის», «ზარიას», «სოციალ-დემოკრატის» წევრებმა) წაიკითხა განცხადება გაერთიანების შეუძლებლობის შესახებ და დატოვა ყრილობა. ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1901 წლის ოქტომბერში ეს ორგანიზაციები გაერთიანდნენ რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგად. — 36.

42 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მოსკოვის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა დიდი დაპატიმრებანი, რომელთა დროს 1896 წელს დაუპატიმრეს ა. ი. ფინ-ენოტაევსკი. ორგანიზაციის ჩავარდნამ ხელი შეუწყო პროვოკატორმა რუმამ. — 39.

43 ლაპარაკია რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციათა «გამაერთიანებელი» ყრილობის შესახებ (იხ. შენიშვნა 41). — 42.

44 «ისკრის» პეტერბურგის ჯგუფში ამ დროს შედიოდნენ ე. ე. მანდელშტამი, ა. ნ. მინსკია, რ. მ. რუბინჩიკი, რომლებიც ბერლინიდან ჩამოვი-

დნენ იმ დავალებით, რომ მოეგვარებინათ «ისკრის» გავრცელება, აგრეთვე პეტერბურგის ჯგუფის «სოციალისტის» წევრები. 1901 წლის 2 ოქტომბერს ვ. პ. ნოგინის დაპატიმრებამდე ჯგუფი მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. ურთიერთობას ჯგუფსა და კავშირს შორის პეტერბურგში ახორციელებდა ს. ი. რადჩენკო. 1901 წლის 4 დეკემბერს ჯგუფი სრული შემადგენლობით დაპატიმრეს. — **43.**

45 ლაპარაკია ბროშურის ««გამაერთიანებელი» ყრილობის დოკუმენტები» შედგენაზე. ბროშურის წინასიტყვაობა დაწერა ვ. ი. ლენინმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 5, გვ. 376 — 379). ბროშურა დაიბეჭდა ჟენევაში რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგის სტამბაში. ვ. ი. ლენინის სიტყვებიდან გ. დ. ლეიტეიზენისა და თ. ი. დანის შესახებ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყრილობაზე ისინი იყვნენ მდივნებად «ისკრისა» და «ზარიას» ორგანიზაციისაგან. — **44.**

46 რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგა შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1901 წლის ოქტომბერში როგორც ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა საზღვარგარეთ მყოფ რევოლუციონერ მარქსისტებს. რსდმპ II ყრილობის შემდეგ ლიგა აღმოჩნდა მენშევიკების ხელში. 1903 წლის ოქტომბერში, ლიგის II ყრილობის შემდეგ, ბოლშევიკებმა დატოვეს იგი და შექმნეს დამოუკიდებელი საზღვარგარეთული ორგანიზაცია. — **44.**

47 ვ. ი. ლენინი მიიწვიეს ბერლინში, რომ გამოსულიყო იმ სიტყვის 25 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც 1876 წლის 6 დეკემბერს წარმოთქვა ვ. ვ. პლეხანოვმა პეტერბურგის ყაზანის მოედანზე. — **49.**

48 საქმე ეხება გ. ვ. პლეხანოვის გამგზავრებას საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს კონფერენციაზე, ბიუროსი, რომლის წევრად პლეხანოვი ბ. ნ. კრიჩევსკისთან ერთად არჩეულ იქნა II ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე 1900 წელს. კონფერენცია მიმდინარეობდა 1901 წლის 30 დეკემბერს ბრიუსელში. «ისკრის» 1902 წლის 15 იანვრის № 15-ში დაიბეჭდა პლეხანოვის საინფორმაციო ცნობა კონფერენციის მუშაობის შესახებ მისი დამთავრებისთანავე სათაურით «ბრიუსელიდან. წერილი «ისკრის» რედაქციას» (იხ. გ. ვ. პლეხანოვი. თხზულებანი, ტ. XII, 1924, გვ. 193 — 198. რუს.). — **51.**

49 იგულისხმება პოლემიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ «Vorwärts» («წინ»), კ. კაუცკისა და «ზარიას» შორის, რომელიც წარმოიშვა მარტოვის (Ignotus-ის) სტატიის გამო «გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლუბეკის პარტიტაგი»

(«ზარია» № 2-3, 1901 წლის დეკემბერი). უფრო დაწვრილებით პოლემიკის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 6, შენიშვნა 93. — **54.**

50 ლაპარაკია თ. ი. დანის დაპატიმრებაზე. იგი იყო «ისკრის» რედაქციის წარმომადგენელი რსდმპ კომიტეტებისა და ორგანიზაციების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბელოსტოკში 1902 წლის 23 — 28 მარტს (5 — 10 აპრილს). უფრო დაწვრილებით კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 6, შენიშვნა 131.—**59.**

51 ლაპარაკია საპირველმაისო ფურცელზე, რომელიც დაამტკიცა რსდმპ კომიტეტებისა და ორგანიზაციების ბელოსტოკის კონფერენციამ. ფურცელს საფუძვლად დაედო პროექტი, რომელიც შეიმუშავა «ისკრის» რედაქციამ (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 30 — 34). — **59.**

52 ვ. ი. ლენინი 1902 წლის 27 ივნისს გამოვიდა პარიზში რეფერატი ესერთა წინააღმდეგ რუს პოლიტემიგრანტთა კრებაზე. — **61.**

53 როგორც ჩანს, საქმე ეხება გ. ვ. პლეხანოვის გამგზავრებას საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე. — **62.**

54 ი. ო. მარტოვი (ბერგი) მოლაპარაკებას აწარმოებდა «რუს სოციალ-დემოკრატთა კავშირის» წევრებთან პარიზში საზღვარგარეთ პარტიული ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის განყოფილების შექმნის შესახებ, რაც გათვალისწინებული იყო ბელოსტოკის კონფერენციის გადაწყვეტილებით. — **62.**

55 ლაპარაკია ბემკვიდრეობაზე, რომელიც საზღვარგარეთ გარდაცვლილ ერთ რუს ქვეშევრდომს დაუტოვებია. ვ. გ. შკლიარევიჩი, ატყობინებდა რა ამას ვ. ი. ლენინს 1902 წლის 5 ივნისის წერილით, წინადადებით მიმართავდა «ისკრის» რედაქციას მოენახა ვექილი საქმის საწარმოებლად, რისთვისაც «ისკრა» მიიღებდა მემკვიდრეობის მესამედს. «ისკრის» რედაქციამ უარი თქვა ამ წინადადებაზე. — **63.**

56 ლაპარაკია ყირიმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე, რომელიც ვ. გ. შკლიარევიჩმა დაუკავშირა «ისკრის» რედაქციას. «ისკრის» №№ 24 და 25-ში დაბეჭდილი კორესპონდენციები სიმფეროპოლიდან, ფეოდოსიიდან და იალტიდან ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ. — **63.**

57 «ო ლ ი ა» რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის კონსპირაციული სახელწოდებაა. ამ შემთხვევაში იგულისხმება, ალბათ, პეტერბურგის კომი-

ტეტის წევრი ვ. პ. კრასნუხა, რომელიც 1902 წლის აგვისტოში ვ. ი. ლენინთან ჩავიდა ლონდონში. — 66.

58 «ძ ვ ე ლ ი მ ე გ ო ბ ა რ ი», რომელმაც ფული ჩაუტანა გ. ვ. პლეხანოვს, პ. ა. კრასიკოვი უნდა იყოს. ფული 500 მანეთის ოდენობით შეკრიბეს «ისკრის» წარმომადგენლებმა პეტერბურგში და გაზეთის გამოცემისათვის იყო განკუთვნილი. — 66.

59 ლაპარაკია პეტერბურგის კომიტეტის რეორგანიზაციის კომისიაზე, რომელიც შეიქმნა 1902 წლის იელისში «ისკრის», პეტერბურგის «ბრძოლის კავშირისა» და მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე. — 68.

60 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თავისი გამოსვლა რეფერატით ესერთა პროგრამასა და ტაქტიკაზე ლოზანაში და ჟენევაში 1902 წლის 10 და 11 ნოემბერს. — 71.

61 «კ რ ა ს ნ ო ე ზ ნ ა მ ი ა» — ჟურნალი, «ეკონომისტთა» ორგანო; მას სცემდა «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის კავშირი» ჟენევაში 1902 წლის ნოემბრიდან 1903 წლის იანვრამდე «რაბოჩეე დელოს» ნაცვლად. გამოვიდა ჟურნალის სამი ნომერი. — 72.

62 1902 წლის დამლეგს ოდესაში არსებობდა ორი ორგანიზაცია: სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, თავისი მიმართულებით ანტიისკრული, და «სამხრეთის სოციალ-დემოკრატთა რევოლუციური კავშირი», რომელიც შეიქმნა 1902 წლის სექტემბერში. 1902 წლის დეკემბერში «სამხრეთის კავშირმა» შეწყვიტა თავისი არსებობა როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ. «ეკონომისტებისა» და «ბორბისტების» წინააღმდეგ «ისკრის» ოდესელი მომხრეების (რ. ს. ზემლიაჩკა, კ. ო. ლევიცკი და სხვ.) შეუპოვარი ბრძოლის შედეგად «სამხრეთის კავშირი» 1903 წლის აპრილში შეუერთდა «ისკრის» ორგანიზაციას. ვ. ი. ლენინი ამ საკითხს განიხილავს 1902 წლის 18 დეკემბრის წერილში ლ. ი. აქსელროდისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 60). — 72.

63 ლაპარაკია საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მომავალ სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 1902 წლის 29 დეკემბერს. გ. ვ. პლეხანოვი სხდომას არ დასწრებია. — 75.

64 რსდმპ II ყრილობის მოწვევის ს ა ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ო კ ო მ ი ტ ე ტ ი შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით სოციალ-დემოკრატიული კომიტეტების თათბირზე ფსკოვში 1902 წლის 2 — 3 ნოემბერს. ახალ კომიტეტში დიდი უმრავლესობა ისკრელებს ეკუთვნოდა. «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციისაგან საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში კოოპტირებული იყვნენ პ. ა. კრასიკოვი, თ. ვ. ლენგნიკი, პ. ნ. ლეპე-

შინსკი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, «რსდმპ ჩრდილოეთის კავშირისაგან» — ა. მ. სტოპანი. — **76.**

65 «ბ უ ნ ა გ ს» ხუმრობით ეძახდნენ საერთო ოთახს ვ. ი. ზასულიჩის, ი. ო. მარტოვისა და ი. ს. ბლუმენფელდის ლონდონის ბინაში მუდმივი უწესრიგობის გამო. — **79.**

66 «ი ს კ რ ი ს» რ უ ს ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა აერთიანებდა რუსეთში მოქმედ ისკრელებს (უფრო დაწვრილებით იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 8, შენიშვნა 34). — **79.**

67 იგულისხმება რუსეთიდან მიღებული კორესპონდენციები, რომლებიც შეკრიბა ჟურნალ «ჟიზნის» რედაქციამ და ჟურნალის ლიკვიდაციის შემდეგ ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა გადასცა «ისკრის» რედაქციას. — **81.**

68 «ე ნ ი ა» «იუჟნი რაბოჩის» ჯგუფის კონსპირაციული სახელწოდებაა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა, რომლის შესახებაც წერს ვ. ი. ლენინი შემდეგ, მიღებულ იქნა 1902 წლის დეკემბერში რსდმპ II ყრილობის მოწვევის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 376 — 381). — **85.**

69 ს ა მ ი რ ო ს ტ ო ვ ე ლ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ჩავიდნენ: ი. ი. სტავსკი, მოჩალოვი და ზ. მიხაილოვი. «ისკრის» № 35-ში 1903 წლის 1 მარტს დაიბეჭდა რსდმპ დონის კომიტეტის წერილი, რომელშიც კომიტეტი პროგრამის, ტაქტიკისა და ორგანიზაციის ყველა საკითხში სოლიდარობას უცხადებდა «ისკრასა» და «ზარიას». — **85.**

70 იგულისხმება «ცნობა «საორგანიზაციო კომიტეტის» შექმნის შესახებ», დაბეჭდილი გაზეთ «ისკრაში» № 32, 1903 წლის 15 იანვარს, და ლ. დ. ტროცკის სტატია «კეთილშობილება პროგრამის ნაცვლად და ნერვულობა ტაქტიკის ნაცვლად», დაბეჭდილი «ისკრაში» № 33, 1903 წლის 1 თებერვალს. — **86.**

71 ლაპარაკია ა. ნ. პოტრესოვის სტატიაზე «ორსახოვანი დემოკრატიის შესახებ», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «ისკრაში» № 35, 1903 წლის 1 მარტს. — **86.**

72 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ» — არალეგალური გაზეთი სომხურ ენაზე, «სომეხ სოციალ-დემოკრატთა კავშირის» ორგანო. გამოვიდა სულ ერთი ნომერი 1902 წლის ოქტომბერში თბილისში (კონსპირაციული მოსაზრებით გაზეთში აღნიშნულია, რომ იგი ქენევაში იბეჭდებოდა). გაზეთი დააარსა ს. გ. შაუმიანმა, მისი გამოშვების ორგანიზაციაში მონაწილეობდა ბ. ბ. კნუნიანცი. — **87.**

73 სტატია ა. რუდინის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინს არ დაუწერია. ცალკე გამოცემად გამოვიდა ლენინის ბროშურა «რევოლუციური ავანტიურიზმი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 225 — 253), მაგრამ ესერების წინააღმდეგ მისი სხვა სტატიების დაურთველად (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 206 — 211). — **88.**

74 საორგანიზაციო კომიტეტის საზღვარგარეთის განყოფილება შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: ლ. გ. დეიჩი «ისკრის» რედაქციისაგან, ა. ი. კრემერი ბუნდისაგან და ნ. ნ. ლოხოვი (ოლხინი) «რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის კავშირისაგან». — **89.**

75 «ს.-პეტერბურგსკიე ვედომოსტი» — გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1728 წლიდან როგორც პირველი რუსული გაზეთის «ვედომოსტის» გაგრძელება, რომელიც გამოდიოდა 1703 წლიდან. გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის დამლევამდე. — **93.**

76 კ. კაუცკის ბროშურა «სოციალური რევოლუცია» გამოიცა ენენევაში 1903 წელს რუსულ ენაზე ნ. კარპოვის თარგმანით ვ. ი. ლენინის რედაქციით. 129 — 130-ე გვ. მოცემული იყო შენიშვნა რედაქციისაგან: «მკითხველს რომ ეუჩვენოთ, თუ რაოდენ დიდია მრეწველობის კონცენტრაცია თანამედროვე რუსეთში, მოვიყვანთ ორ მაგალითს. 1894 — 1895 წლებში ევროპულ რუსეთში ფაბრიკები და ქარხნები (ე. ი. მექანიკურ-ძრავიანი ან სულ ცოტა 16-მუშიანი საწარმოები) იყო 14 578, სადაც მუშაობდა 885 555 კაცი და წარმოების თანხა 1 345 მილიონ მანეთს შეადგენდა. მათ შორის ყველაზე დიდი ფაბრიკები, ე. ი. ისეთები, რომლებსაც ჰყავდა 100-100 და მეტი მუშა, იყო სულ 1468, ე. ი. 1/10, მაგრამ მუშა იქ იყო 656 ათასი — თითქმის $^3/_4$ მუშათა მთელი რიცხვისა, ხოლო წარმოების თანხა შეადგენდა 955 მილიონ მანეთს, ე. ი. წარმოების მთელი თანხის $^7/_{10}$-ს. ანიტომ შეიძლება განვსაჯოთ, რარიგ ავამაღლებდით შრომის ნაყოფიერებას, გავადიდებდით ხელფასს და შევამცირებდით სამუშაო დღეს, რომ მოგვეხდინა ყველა ფაბრიკანტის ექსპროპრიაცია, დაგვეხურა წვრილი დაწესებულებანი და დაგვეტოვებინა მხოლოდ ათას ხუთასი უდიდესი ფაბრიკა, სადაც იქნებოდა რვა-რვა საათიანი ორ ცვლად ან ხუთ-ხუთ საათიანი სამ ცვლად მუშაობა! — სხვა მაგალითი. 1890 წელს ევროპულ რუსეთში იყო 9 ათასნახევარი შინამრეწველური ტყავის ფაბრიკა, სადაც მუშაობდა 21 ათასი კაცი და წარმოების თანხა 12 მილიონ მანეთს შეადგენდა. ამავე დროს 66 ორიოქლის ტყავის ქარხანა $5^1/_2$ ათასი მუშით აგრეთვე 12 მილიონი მანეთის პროდუქტს აწარმოებდა!». — **96.**

77 ლაპარაკია ფ. ენგელსის ნაშრომზე «გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, 2 გამოც., ტ. 22, გვ. 501 — 525. რუს.). — 97.

78 იგულისხმება მოხსენება «გათიშვა და სექტანტობა რუსეთში», რომელიც ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა დაწერა ვ. ი. ლენინისა და გ. ვ. პლეხანოვის წინადადებით რსდმპ II ყრილობისათვის. მოგვიანებით მოხსენება გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიულ ფურცელში სექტანტებისათვის «რასვეტში» № 6-7 1904 წელს. პროექტი რეზოლუციისა სექტანტებისათვის ორგანოს გამოცემის შესახებ დაწერა ვ. ი. ლენინმა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 589). — 97.

79 იგულისხმება ვ. ი. ლენინისა და ი. ო. მარტოვის «პირადი კონფლიქტი» ლიგის II ყრილობაზე. მარტოვმა ლენინს ბრალად დასდო, თითქოს ლენინს ინტრიგანად და მატყუარად წარმოედგინოს ნარტოვი ცენტრალური ორგანოს რედაქციის ორგანიზაციის საკითხში პარტიის მეორე ყრილობაზე, და ლენინი სამედიატორო სამართალში გამოიწვია. ლენინმა პროტესტი განაცხადა ბრძოლის ასეთ მეთოდის წინააღმდეგ, მიიღო მარტოვის გამოწვევა და, თავის მხრივ, სამედიატორო სამართალში გამოიწვია იგი ამის გამო. კონფლიქტი აღიკვეთა გ. მ. კრჟიჟანოვსკის შუამავლობით საზღვარგარეთ ნისი ყოფნის დროს 1903 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ლენინსა და მარტოვს შორის ბარათების ურთიერთგაცვლის გზით. ლენინისა და მარტოვის ბარათები დაიბეჭდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარში», ჟენევა, 1904. — 97.

80 საქმე ეხება სექტანტებისათვის განკუთვნილ სოციალ-დემოკრატიულ ფურცელს «რასვეტს», რომელსაც რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი სცემდა ჟენევაში. — 99.

81 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ცენტრალური კომიტეტის «ივლისის დეკლარაციისა» და ცენტრალური კომიტეტის წევრების — შემარიგებლების მხრივ რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებათა ღალატის საკითხი.

ცენტრალური კომიტეტის «ივლისის დეკლარაცია» დადგენილებაა, რომელიც მიიღეს ცენტრალური კომიტეტის წევრებმა — შემარიგებლებმა ლ. ბ. კრასინმა, ვ. ა. ნოსკოვმა და ლ. ე. გალპერინმა 1904 წლის ივლისში. დადგენილება მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტის ორი წევრის ვ. ი. ლენინისა და რ. ს. ზემლიაჩკას დაუკითხავად, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება ცენტრალურ კომიტეტში პარტიის უმრავლესობის პოზიციები დაეცვათ. ამ დადგენილებით შემარიგებლებმა ცნეს გ. ვ. პლეხანოვის მიერ კოოპტირებული «ისკრის» ბენშევიკური რედაქციის შემადგენლობა და ცენტრალური კომიტეტის

შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეიყვანეს კიდევ სამი შემარიგებელი — ა. ი. ლიუბიმოვი, ლ. ი. კარპოვი და ი. თ. დუბროვინსკი. შემარიგებლები გამოვიდნენ პარტიის III ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ და დაშალეს ცენტრალური კომიტეტის სანხრეთის ბიურო, რომელიც აგიტაციას ეწეოდა ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ. მათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებანი აჰყარეს ვ. ი. ლენინს და აკრძალეს მის ნაწარმოებთა ბეჭდვა ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის უნებართვოდ.

პარტიის ადგილობრივმა კომიტეტებმა — პეტერბურგის, მოსკოვის, რიგის, ბაქოსა და სხვა კომიტეტებმა — მხარი დაუჭირეს ვ. ი. ლენინს და გადაჭრით დაგმეს «ივლისის დეკლარაცია» (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 86). — **101.**

82 საქმე ეხება გალიორკის (ვ. ს. ოლმინსკის) და რიადოვოის (ა. ბოგდანოვის) ბროშურის «ჩვენი უთანხმოებების» გაცემას, რომელიც პარტიულ სტამბას გადაეცა დასაბეჭდად.

1904 წლის 12 სექტემბრის წერილში ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩისადმი ვ. ა ნოსკოვი იტყობინებოდა, რომ გალიორკის ბროშურას გასცემდნენ (იხ. ლენინის XV კრებული, გვ. 167). — **102.**

83 ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიურო შეიქმნა 1904 წლის თებერვალში ვ. ი. ლენინის უშუალო ხელშეწყობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ვ. ვ. ეოროვსკი, ი. ქ. ლალაიანცი და სხვ. სამხრეთის ბიუროს მუდმივი ადგილსამყოფელი ოდესა იყო. სამხრეთის ბიურო მენშევიკებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ თანმიმდევრულ ბრძოლას ეწეოდა, მოითხოვდა პარტიის III ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევას ცენტრების — პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური ორგანოსა და საბჭოს ნების მიუხედავად.

ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიურომ იარსება 1904 წლის აგვისტოს შუა რიცხვებამდე და დაიშალა ცენტრალური კომიტეტის უკანონოდ მიღებული «ივლისის დეკლარაციის» გამო. აღდგენილ იქნა 1904 წლის შემოდგომაზე სამხრეთში პირველი რსდმპ კომიტეტების ბოლშევიკური კონფერენციის მიერ. ცენტრალური კომიტეტის სამხრეთის ბიურომ ჩრდილოეთისა და კავკასიის ბიუროებთან ერთად შეადგინა სრულიად რუსეთის უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს ბირთვი, რომელიც გაფორმდა 1904 წლის დეკემბერში. — **104.**

84 იგულისხმება ვ. ბონჩ-ბრუევიჩისა და ნ. ლენინის სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის გამომცემლობა, რომელიც ბოლშევიკებმა შექმნეს 1904 წლის მარტის დამლევს, მას შემდეგ, რაც «ისკრის» მენშევიკურმა რედაქციამ უარი თქვა დაებეჭდა პარტიის იმ ორგანიზაციათა და წევრთა განცხა-

დებანი, რომლებიც გამოდიოდნენ II ყრილობის გადაწყვეტილებათა დასაცავად და პარტიის III ყრილობის მოწვევას მოითხოვდნენ. — **108.**

85 საქმე ეხება ცენტრალური კომიტეტის მუშათა განყოფილების წინა შემადგენლობის დაშლას მის საზღვარგარეთელ აგენტებთან ერთად იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა საქმე ვ. ა. ნოსკოვის გამგებლობაში გადავიდა — **108.**

86 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს თ. ვ. ლენგნიკის წერილი, დაწერილი 1904 წლის 22 აგვისტოს ნოსკოვის ტაგანკის საპყრობილეში (იხ. ლენინის XV კრებული, გვ. 159 — 162). — **110.**

87 საქმე ეხება ვ. ა. ნოსკოვისა და ცენტრალურ კომიტეტში კოოპტირებული მენშევიკის ვ. ნ. როზანოვის წერილებს, რომლებიც ი. ა. პიატნიცკიმ მაშინვე გადაუგზავნა ვ. ი. ლენინს ჟენევაში. თავის ბროშურაში «განცხადება და დოკუმენტები პარტიასთან ცენტრალურ დაწესებულებათა კავშირის გაწყვეტის შესახებ» ვ. ი. ლენინს მოჰყავს აღნიშნული წერილები (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 7, გვ. 661 — 673). — **121.**

88 იგულისხმება რსდმპ მოსკოვის კომიტეტის 1904 წლის შემოდგომაზე მიღებული რეზოლუცია, რომელშიც მოსკოვის კომიტეტი სრულ სოლიდარობას უცხადებდა ვ. ი. ლენინის შეხედულებებს, დიდად აფასებდა მის საქმიანობას, რომელიც მიმართული იყო «ნამდვილად მტკიცე პროლეტარული პარტიის შესაქმნელად». და ლენინს ყოველნაირ ხელშეწყობას აღუთქვამდა ბოლშევიკური ლიტერატურული გაძმცემლობის მოწყობის საქმეში. — **128.**

89 1904 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში მრავალი დაპატიმრება მოხდა. ამიტომ ვ. ი. ლენინი შიშობდა, რომ პოლიციამ მოსკოვის კომიტეტის კონსპირაციული მისამართი იცოდა და წერილი შეიძლება ხელში ჩავარდნოდა მას. — **128.**

90 იგულისხმება უკანონო მოქმედება რსდმპ ბაქოს კომიტეტის წევრი მენშევიკისა, რომელსაც დაპატიმრებულთა ნაცვლად კომიტეტში კოოპტაციის წესით მენშევიკებიდან ახალი წევრები შეიყვანა. კავკასიის კავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად კავკასიის კავშირის წესდების საფუძველზე ბაქოს კომიტეტი, როგორც არასწორად შექმნილი, დათხოვნილად გამოაცხადა. დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ორლოვსკის (ვ. ვ. ვორროვსკის) ბროშურაში «საბჭო პარტიის წინააღმდეგ», ჟენევა, 1904, გვ. 24 — 39 (რუს.). — **130.**

91 საქმე ეხება არალეგალური ბოლშევიკური გაზეთის «ვპერიოდის» გამოცემას. გაზეთი გამოდიოდა ჟენევაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით

1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. — **135.**

92 იგულისხმება მენშევიკური «ისკრის» რედაქციის წერილი, რომელიც 1904 წლის ნოემბერში გამოვიდა. წერილში მენშევიკები სოციალ-დემოკრატიის მთავარ ამოცანად სახავდნენ «ორგანიზებული ზეგავლენა მოეხდინათ ბურჟუაზიულ ოპოზიციაზე» იმ გზით, რომ ბურჟუაზიული ლიბერალებისა და ერობელი მოღვაწეების მეშვეობით მთავრობისათვის მოთხოვნები წაეყენებინათ. — **137.**

93 «ისკრის» № 78-ში გამოქვეყნებულ სტატიაში «ჩვენი ფათერაკები» ა. ნ. პოტრესოვმა (სტაროვერმა), გამოდიოდა რა ვ. ი. ლენინის წინააღმდეგ, ფრანგ რადიკალთა პარტიის პროგრამა დაიმოწმა, რომლის ლიდერი იყო ჟ. კლემანსხო. — **137.**

94 ვ. ი. ლენინის განცხადება, რომელიც გაეგზავნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ბოლშევიკ-შემარიგებლებს ლ. ბ. კრასინს, ვ. ა. ნოსკოვსა და ლ. ე. გალპერინს, დაწერილია ცენტრალური კომიტეტის «ივლისის დეკლარაციასთან» დაკავშირებით (იხ. შენიშვნა 81).

1904 წლის ივლისში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბოლშევიკ-შემარიგებლებმა (ლ. ბ. კრასინი, ვ. ა. ნოსკოვი, ლ. ე. გალპერინი) ისე, რომ ლენინისათვის არ უცნობებიათ, დადგენილება გამოიტანეს, რომელშიც კანონიერად ცნეს პლეხანოვის მიერ «ისკრის« რედაქციაში იმ მენშევიკების კოოპტირება, რომლებიც გააშავეს რსდმპ II ყრილობაზე, და ლენინს, როგორც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთელ წარმომადგენელს, აუკრძალეს ცენტრალური კომიტეტის დავალების გარეშე განეხორციელებინა პასუხსაგები მოქმედებანი, ამით კი მას პარტიის საზღვარგარეთელი წარმომადგენლის უფლებანი აჰყარეს.

თუმცა 1904 წლის 18 აგვისტოს ლენინმა გააპროტესტა ეს დადგენილება როგორც უკანონო, რადგან იგი არ მიუწვევიათ ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე და არც კი უცნობებიათ მისთვის, რომ ეს საკითხი განსახილველად იყო დასმული, ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დაიბეჭდა «ისკრის» 25 აგვისტოს № 72-ში.

შემდეგ 5 ნოემბერს «ისკრის» № 77-ში გამოქვეყნდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც ბრალად სდებდნენ ლენინს, რომ კვლავ თვლის თავს ცენტრალური კომიტეტის წევრად, ამის შესახებ აშკარად აცხადებს და ამას თითქოს სჩადის «პარტიის დეზორგანიზაციის მიზნით». ცენტრალური კომიტეტის წინადადება იყო ეს კონფლიქტი სამედიატორო სასამართლოს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ბელადების შემადგენლობით გაერჩიათ. — **145.**

95 საქმე ეხება ერობელთა კრებებს, რომლებზეც ლიბერალური ბურჟუაზია იღებდა პეტიციას მეფისადმი კონსტიტუციის ბოძების შესახებ. «საერობო კამპანიის» გეგმის კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიაში «საერობო კამპანია და «ისკრის» გეგმა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც. ტომი 7, გვ. 621 — 648). — **146.**

96 1904 წელს რუსეთში მომხდარ გაფიცვებთან დაკავშირებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა ლონდონში შექმნეს რუს გაფიცულთა დამხმარე კომიტეტი, რომელმაც ინგლისის პროფკავშირებს დაუგზავნა მოწოდება თხოვნით დახმარების შესახებ. გადაწყდა აგრეთვე მიეგზავნათ «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტისადმი» («Labour Representation Committee»), რომლის მდივანი მაკდონალდი იყო. «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტი» გამოეხმაურა თხოვნას დახმარების შესახებ, ამასთან პირობა წამოაყენა, რომ ფულის ნაწილი გადაეცათ 1905 წლის 9 (22) იანვრის მრავალი მსხვერპლის ქვრივებისა და ობლების დასახმარებლად. — **147.**

97 საქმე ეხება ფრანგ სოციალისტთა ყრილობას. ყრილობა გაიმართა 1905 წლის 23 — 25 აპრილს პარიზში; ამ ყრილობაზე გედისტებისა და ჟორესისტების გაერთიანება მოხდა. — **149.**

98 იგულისხმება ი. ო. მარტოვის სტატია «პარტიული ყრილობა თუ წრეების ყრილობა?» «ისკრის» 1905 წლის 25 მარტის № 94-ში. ამ სტატიაში მარტოვს «ლენინელებისათვის» მაგალითად მოჰყავდა გედისტთა ქცევა, ამასთან ყალბ ცნობებს იძლეოდა, თითქოს გედისტებს შუამავლობისათვის ბებელისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიისათვის მიემართოთ. ლენიტეზენმა მარტოვის სტატიაზე უპასუხა წერილით «პატარა შესწორება!» «ვპერიოდის» 20 (7) აპრილის № 15-ში.—**149.**

99 კ. კაუცკის სტატია «Die Neue Zeit»-ის № 29-დან — «Die Differenzen unter den russishen Sozialisten» რუსულ ენაზე თარგმნილი დაიბეჭდა «ისკრის» № 97-ში სათაურით «რუს სოციალისტთა უთანხმოებანი». ამ სტატიაში ნათქვამი იყო: «... რევიზიონისტები რუსეთის პარტიაში სულაც არ არიან... იგი (ლენინი. **რედ.**) იცავს მკაცრ ცენტრალიზმსა და ცენტრალური კომიტეტის დიქტატორულ უფლებებს, მაშინ როცა აქსელროდსა და მის მეგობრებს სურთ ადგილობრივი კომიტეტების საქმიანობას მეტი გასაქანი მისცენ». — **149.**

100 «წინააღმდეგობათა დაძლევა» იმას გულისხმობდა, რომ საშუალება არ მიეცათ მენშევიკებისათვის დაუფლებოდნენ ბოლშევიკების იატაკქვეშურ სტამბას სამარაში, რასაც შეუპოვრად ცდილობდნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის აგენტები — მენშევიკები. — **150.**

101 ლენინი იყო ა. ა. პრეობრაჟენსკის მეზობელი, როცა 1889 წლიდან 1893 წლამდე ზაფხულობით ცხოვრობდა ალაკაევკაში. ა. ა. პრეობრაჟენსკი ცხოვრობდა რამდენიმე ვერსზე ალაკაევკიდან შორნელის ხუტორში. — **150.**

102 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო პარტიის III ყრილობის შემდეგ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით 1905 წლის 27 აპრილს (10 მაისს) ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელ რედაქტორად ვ. ი. ლენინი დაინიშნა. რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი, მ. ს. ოლმინსკი. რედაქციაში დიდ მუშაობას ეწეოდნენ ნ. კ. კრუპსკაია, ვ. ა. კარპინსკი, ვ. მ. ველიჩკინა. — **152.**

103 თავისი პოზიცია დროებითს რევოლუციურ მთავრობაში რუს სოციალ-დემოკრატია მონაწილეობის საკითხში პ. ლაფარგმა ჩამოაყალიბა ინტერვიუში, რომელიც გ. დ. ლეიტეიზენს მისცა საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის პირველი კონგრესის დროს 1905 წლის 29 (16) ოქტომბერს (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 132 და შენიშვნა 120). — **152.**

104 ლაპარაკია ფ. ენგელსის ბროშურის «ლუდვიგ ფოიერბახის» მეორე გამოცემაზე, რომელიც თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ვ. პლეხანოვმა. გ. ვ. პლეხანოვის წინასიტყვაობისადმი მიძღვნილი სტატია ვ. ი. ლენინს არ დაუწერია, ამ ნაშრომში პლეხანოვის ცალკეულ დებულებათა კრიტიკა იხ. წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 14, გვ. 183—186). — **156.**

105 «დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიის ნარკვევები» იბეჭდებოდა გაზეთებში «ვპერიოდსა» და «პროლეტარიში». შემდეგ კი ქენევაში გამოიცა ცალკე ბროშურად ავტორის წინასიტყვაობით. — **156.**

106 ა. ვ. ლუნაჩარსკის ფელეტონი «თებერვლის რევოლუცია და მისი შედეგები», რომელიც მიეძღვნა 1848 წლის ამბებს, დაიბეჭდა «პროლეტარის» № 20-ში 1905 წლის 10 ოქტომბერს (27 სექტემბერს).—**156.**

107 ვ. ი. ლენინი იხსენიებს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრის დ. ს. პოსტოლოვსკის 1905 წლის 26 მაისის წერილს, რომელშიც ეს უკანასკნელი წერდა: «მეტად სასურველია, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ვოინოვმა კვირაში ერთხელ მაინც წეროს საერთო-პოლიტიკური ფურცელი, რომლის ხელნაწერი დაეგზავნებოდა ორგანიზაციებს დასაბეჭდად». — **156.**

108 «ლ უ შ ი ნ ი ს წ ე რ ი ლ ი» — «ღია წერილი III ყრილობის დელეგატებს». კონსტანტინე სერგის ძე (ნ. ვ. დოროშენკო) ჩამოაშორეს მუშაობას პეტერბურგის კომიტეტში იმის გამო, რომ ხელი მოაწერა «ლუშინის წერილს». ლენინის განმარტების შემდეგ იგი კვლავ მიიზიდეს სამუშაოდ. — **158.**

109 ხელშეკრულება მარიამ მალიხის (ედელმანის) გამომცემლობასთან შემუშავდა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გამომცემლობამ მიმართა ლენინს წინადადებით მთელი რიგი მისი ნაწარმოებებისა და სხვა ლიტერატორ-ბოლშევიკთა ნაშრომების გამოცემის შესახებ.

ხელშეკრულება მ. ა. მალიხთან არ განხორციელებულა, რადგან ამავე დროს პეტერბურგში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო მოლაპარაკება კ. პ. პიატნიცკისა და ა. მ. გორკის მიერ ორგანიზებულ გამომცემლობა «ზნანიესთან», რაც ამ წერილის პასუხად აცნობა ლენინს პ. პ. რუმიანცევმა. იგი ლენინისაგან ითხოვდა სანქციას, რომ დაედო ხელშეკრულება «ზნანიესთან». 2 (15) ოქტომბერს ლენინმა დეპეშით შეუთვალა თანხმობა (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 127). ხელშეკრულებას გამომცემლობა «ზნანიესთან» 1905 წლის 21 (8) ოქტომბერს ხელი მოაწერეს ლ. ბ. კრასინმა და პ. პ. რუმიანცევმა.—**158.**

110 კონფერენციის შესახებ, რომელიც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წინადადებით უნდა გამართულიყო რსდმ პარტიის გაერთიანების მიზნით, იხ. ლენინის 1905 წლის 16 სექტემბრის წერილი საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 305 — 306). — **159.**

111 რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1905 წლის 3 (16) ოქტომბრის წერილით ლენინს აცნობა, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა წარმომადგენლობა კონფერენციაზე ვ. ი. ლენინს, თ. ვ. ლენგნიკსა და პ. პ. რუმიანცევს დაკისრა. ლენინმა ეს შეატყობინა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს 1905 წლის 14 (27) ოქტომბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 9, გვ. 481 — 482). — **159.**

112 «დ ნ ე ვ ნ ი კ ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — არაპერიოდული ორგანო, რომელსაც გ. ვ. პლეხანოვი სცემდა; გამოდიოდა ჟენევაში დიდი ხანგამოშვებით 1905 წლის მარტიდან 1912 წლის აპრილამდე; გამოვიდა 16 ნომერი. «დნევნიკის» გამოცემა განახლდა 1916 წელს პეტროგრადში; გამოვიდა ერთი ნომერი.

«დნევნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში (1905 წლის აგვისტო) დაიბეჭდა გ. ვ. პლეხანოვის სტატია «მეგობრებთან მიმოწერიდან ამოკრეფილი ადგილები (წერილი გაზეთ «პროლეტარის» რედაქციას)», რომელშიც ავტორი უპასუხებდა ვ. ი. ლენინის სტატიას «დროებითი რევოლუციური მთავრობის შესახებ. სტატია პირველი. პლეხანოვის

ისტორიული ცნობა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 8, გვ. 545 — 559), და ლენინსა და ბოლშევიკებს ბრალად სდებდა ბლანკიზმს. — **159.**

113 ლაპარაკია ბროშურის — «სოფლის ღარიბებს» — ლეგალური გამოცემის მომზადებაზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 6, გვ. 445—537).

წერილის ტექსტში მოხსენიებული: პ ე ტ რ ო ვ ი — მ. მალიხის გამომცემლობა, ბ ე ლ ო ვ ი — გამომცემლობა «მოლოტი»; ნ ო ლ ი ნ ი — გამომცემლობა «ზნანიე». — **160.**

114 «რაბოჩის» № 2-ში დაბეჭდილი ფელეტონი სათაურით «წერილი მუშებს. II» ხელმოწერილია ფსევდონიმით «მესამე»; დადგენილი არ არის, ვინ იყო მისი ავტორი.

«რ ა ბ ო ჩ ი» — არალეგალური პოპულარული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; პარტიის III ყრილობის დადგენილებით სცემდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტი მოსკოვში 1905 წლის აგვისტო-ოქტომბერში; გაზეთის ფაქტიური რედაქტორი ა. ა. ბოგდანოვი იყო. — **162.**

115 ჟენევის სტამბის მფლობელის შ ო ლ ც ი ს ს ა ქ მ ე, — შეუსრულებლობა იმ ხელშეკრულების პირობებისა, რომლის თანახმად მასთან უნდა დაბეჭდილიყო ა. მ. გორკის პიესა «მზის შვილები».

ა. მ. გორკის პიესის აწყობა წარმოებდა პარტიულ სტამბაში და შრიფტის უკმარობის გამო დაყოვნდა; რამდენადაც დაირღვა შოლცის სტამბაში დასაბეჭდად ანაწყობის გადაცემის ვადა, მან აღძრა სარჩელი და ზარალის ანაზღაურებას მოითხოვდა.

ი. პ. ლადიჟნიკოვის მოწმობით, საქმე სასამართლომდე არ მისულა, რადგან გარკვეული თანხა შოლცს გადაუხადეს. — **162.**

116 1905 წლის ნოემბრის დამდეგს რუსეთში ლენინის გამგზავრების შემდეგ სანეურნეო კომისიამ საქმეთა ლიკვიდაცია მოახდინა და სტოკჰოლმში, ბრანტინგის სახელზე გაგზავნა ბიბლიოთეკა და პარტიული არქივი, სადაც იგი ერთხანს ინახებოდა სახალხო სახლში (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 137). — **165.**

117 ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა თ ა კ ო მ ი ტ ე ტ ი არჩეულ იქნა რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ჯგუფების თათბირზე 1911 წლის დეკემბერში. საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. რსდმ პარტიის საზღვარგარეთის ჯგუფების კონფერენციაზე, რომელიც ბერლინში გაიმართა 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს, საზღვარგარეთის ორგანიზაციათა კომიტეტში აირჩიეს ნ. კ. კრუპსკაია, ი. თ. არმანდი, გ. ლ. შკლოვსკი, ვ. მ. კასპაროვი. ომის წლებში საზღვარგარეთის ორგანიზა-

ციათა კომიტეტი, რომელიც შვეიცარიაში იყო და ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, ეწეოდა დიდ მუშაობას რსდმ პარტიის საზღვარგარეთის სექციათა საქმიანობის კოორდინაციისათვის, აწარმოებდა ბრძოლას სოციალ-შოვინისტების წინააღმდეგ, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ინტერნაციონალისტთა შეკავშირებისათვის. — **166.**

118 გ. დ. ლეიტეიზენი ესწრებოდა საფრანგეთის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის პირველ კონგრესს შალონში, რომელიც გაიხსნა 1905 წლის 29 ოქტომბერს. რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატთან სოლიდარობის ნიშნით იგი პრეზიდიუმში შეიყვანეს და ადგილი დაიკავა შეკრებილთა ერთსულოვანი ტაშის გრიალში. «პროლეტარის» მისასალმებელი დეპეშის წაკითხვას მოწონებით შეხვდნენ. კონგრესმა მიიღო პ. ლაფარგის მიერ შეტანილი რეზოლუცია სოლიდარობისა რუსეთის რევოლუციასთან. — **167.**

119 «ნ ო ვ ა ი ა ე ი ზ ნ» — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; ყოველდღიურად გამოდიოდა 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. მას შემდეგ, რაც ნოემბერში ვ. ი. ლენინი ემიგრაციიდან პეტერბურგში დაბრუნდა, გაზეთმა იწყო გამოსვლა მისი უშუალო ხელმძღვანელობით. **«ნოვაია ჟიზნ»** ფაქტობრივად რსდმ პარტიის ცენტრალური ორგანო იყო.

27 ნოემბრის გამოსვლის შემდეგ 2 დეკემბერს გაზეთი დახურა მეფის მთავრობამ. — **168.**

120 გ. დ. ლეიტეიზენმა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის შალონის კონგრესის დროს ინტერვიუ ჩამოართვა ბრაკე-დერუსოს, პ. ლაფარგსა და ჟ. გედს. ძირითად კითხვაზე, თუ როგორ ეკიდებიან რუს სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობას დროებითს რევოლუციურ მთავრობაში, სამივემ უპასუხა, ასეთი მონაწილეობა აუცილებლად მიგვაჩნიაო.

პასუხი მთლიანად დაიბეჭდა «პროლეტარის» 1905 წლის 25 (12) ნოემბრის № 26-ში მოთავსებულ წერილში «გედისტები და რუს სოციალ-დემოკრატთა მონაწილეობა დროებითს რევოლუციურ მთავრობაში». — **168.**

121 პაკეტში, რომლის შესახებ ვ. ი. ლენინი გ. ა. კუკლინს სწერდა, ინახებოდა ალექსანდრე ილიას ძე ულიანოვის დოკუმენტები, კერძოდ მისი ფოტოსურათები, რომლებიც მ. ა. ულიანოვას თხოვნით სიკვდილით დასჯის წინ გადაუღიათ ციხეში.

ეს პორტრეტები ამჟამად ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. — **169.**

122 წერილი **«L'Humanité»**-ს კორესპონდენტ ე. ავენარისადმი დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ, ჩამოართვა რა ვ. ი. ლენინს 1907 წლის 17 თებერვალს (2 მარტს) ინტერვიუ თემაზე «რსდმპ ტაქტიკა საარჩევნო კომპანიის დროს», ე. ავენარმა ჩანაწერის ტექსტი გადასათვალიერებლად ლენინს გაუგზავნა.

ლენინის შესწორებანი და შენიშვნები, როგორც **«L'Humanité»**-ში დაბეჭდილი ინტერვიუს ტექსტიდან ჩანს, ზუსტად გაუთვალისწინებია კორესპონდენტს (იხ თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 12, გვ. 161 — 169).

«L'Humanité» («კაცობრიობა») — ყოველდღიური გაზეთი, რომელიც 1904 წელს დააარსა ჟ. ჟორესმა როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ორგანო. მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში (1914 — 1918) გაზეთს სოციალ-შოვინისტური პოზიცია ეკავა.

1918 წელს გაზეთს სათავეში ჩაუდგა, მისი პოლიტიკური დირექტორი გახდა საფრანგეთისა და საერთაშორისო ბუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მარსელ კაშენი. 1920 წლის დეკემბრიდან, საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გათიშვისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შექმნის შემდეგ, გაზეთი მისი ცენტრალური ორგანო გახდა. — **170.**

123 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან 1917 წლამდე. ჯერ ზომიერ-ლიბერალური, გაზეთი, მას შემდეგ, რაც 1876 წელს მისი გამომცემელი ა. ს. სუვორინი გახდა, გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურობისა და ჩინოვნიკბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. 1905 წლიდან შავრაზმელთა ორგანოა. — **171.**

124 «რ.», «რ ა დ უ გ ა» — ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში 1907 წლის ივნისიდან 1908 წლის თებერვლამდე. ჟურნალში თანამშრომლობდნენ ა. მ. გორკი, ნ. ა. სემაშკო, მ. გ. ცხაკაია და სხვ. შესაძლებელია, რომ ლენინი ესაუბრა ბ. მ. კნუნიანცს, რომელიც II ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის დროს ბოლშევიკური დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა, და ნ. ს. სემაშკოს. რომელიც კონგრესს ესწრებოდა. — **172.**

125 წერილის მიმტანი იყო ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა, რომელიც 1907 წლის ოქტომბერში საზღვარგარეთ იმყოფებოდა. მას დაევალა სტოკჰოლმიდან გამოეგზავნა ლენინისათვის ბოლშევიკური გაზეთები («ისკრის» სრული კომპლექტი, «ვპერიოდისა» და «პროლეტარის» 1905 წლის ცალკეული ნომრები), რადგან ამ გაზეთებში დაბეჭდილ. ლენი-

ნის სტატიებს უნდა შეედგინა მესამე ტომი მისი თხზულებების პირველი, სამტომიანი, კრებულისა, რომელსაც იგი იმ დროს ამზადებდა. — **174.**

126 წერილი, როგორც ჩანს, გაეგზავნა კ. ი. ბრანტინგს, რომელიც ხელს უწყობდა ბოლშევიკებს მათს კავშირურთიერთობაში რუსეთთან.—**175.**

127 ლენინს მხედველობაში აქვს გ. ვ. პლეხანოვის სტატია «სინდიკალიზმის თეორიისა და პრაქტიკის კრიტიკა», რომელიც დაიბეჭდა «სოვრემენი მირის» 1907 წლის №№ 11 და 12-ში, და რომელშიც გ. ვ. პლეხანოვი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შტუტგარტის კონგრესზე პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების ურთიერთობის საკითხში ნეიტრალისტთა თვალსაზრისმა გაიმარჯვა.

«ს ო ვ რ ე მ ე ნ ი მ ი რ» — ყოველთვიური ლიტერატურული, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის ოქტომბრიდან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები. მენშევიკ-პარტიელებთან ბოლშევიკების ბლოკის პერიოდში «სოვრემენი მირში» ბოლშევიკებიც თანამშრომლობდნენ. 1914 წლიდან — სოციალ-შოვინისტთა ორგანო. — **177.**

128 საქმე ეხება რსდმ პარტიის V (ლონდონის) ყრილობის ოქმების ორიდან ერთ ოფიციალურ ეგზემპლარს, რომელიც საზღვარგარეთ დატოვეს და მერე ვეღარ იპოვეს. — **178.**

129 «*Berner Tagwacht*» («ბერნის გუშაგი») — გაზეთი, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო. — **182.**

130 დაპატიმრებანი ჟენევაში დაკავშირებული იყო 1907 წლის 13 ივნისს თბილისში ექსპროპრიირებული ფულის გადაცვლასთან. ექსპროპრიაციის ორგანიზატორნი კამომ (ტერ-პეტროსიანმა) და ყველა მისმა მონაწილემ მოახერხეს მიმალულიყვნენ. მაგრამ მეფის მთავრობამ პოლიციასა და საზღვარგარეთს აცნობა ექსპროპრიაციის დროს გატაცებული 500-მანეთიანი საკრედიტო ბილეთების სერიები და ნომრები; 1907 წლის დეკემბერში ერთსა და იმავე დროს ბერლინში, მიუნხენში, პარიზში, კოპენჰაგენში, სტოკჰოლმში, ჟენევაში დაიპატიმრეს პირნი, რომლებიც ამ ბილეთებს ცვლიდნენ. 1907 წლის ნოემბერში ბერლინში დაიპატიმრეს თბილისის ექსპროპრიაციის ორგანიზატორი, რომელიც პროვოკატორმა ი. ა. ჟიტომირსკიმ გასცა. კამოს ვინაობა რომ გამოარკვია, მეფის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ იგი გადასცეს როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე. თბილისის ექსპროპრიაციის მონაწილეთა ძიებაში მოხდა დაპატიმრებანი ბერლინის, პარიზის, მიუნხენის, ჟენევის, სტოკჰოლმის რუსი სოციალ-დემოკრატების კო-

ლონიებში. პოლიტიკურ ემიგრანტთა თავშესაფრის უფლების დარღვევის წინააღმდეგ განცხადებული პროტესტების გამო დასავლეთ ევროპის პოლიცია იძულებული იყო ხანმოკლე პატიმრობის შემდეგ დატუსაღებულნი გაეთავისუფლებინა. — **182.**

131 «საიუბილეო» იყო «პროლეტარის» № 24, რომელიც მიეძღვნა კ. მარქსის გარდაცვალების 25 წლისთავს. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ აცნობა ვ. ი. ლენინს, რომ სტატიას პარიზის კომუნის შესახებ ვერ დაწერს.—**184.**

132 იგულისხმება პარტიული გამოძიება ცილისმწამებლურ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომლებიც მენშევიკებმა წაუყენეს მ. მ. ლიტვინოვს საზღვარგარეთ იმ ფულის გადაცვლის გამო, რომელიც გაიტაცეს კამოს მიერ ორგანიზებული თბილისის ექსპროპრიაციის დროს (იხ. შენიშვნა 130). ლ. ტიმკა მონაწილეობდა საგამომძიებლო კომისიაში გამოძიების პირველ ეტაპზე. შემდეგ გამოძიებას აწარმოებდა საზღვარგარეთის ცენტრალური ბიურო, და, ბოლოს, საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს წევრების მიერ კონსპირაციის დარღვევის გამო, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის აგვისტოს პლენუმის დადგენილებით, საქმე ჩამოერთვა საზღვარგარეთის ცენტრალურ ბიუროს და გადაეცა ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებულ კომისიას (რომელშიც შედიოდა 5 წევრი — თითო-თითო ბოლშევიკებისაგან, მენშევიკებისა და ეროვნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან). — **186.**

133 ვ. ი. ლენინს მზედველობაში აქვს სარედაქციო სტატია «განა დრო არ არის ბოლო მოვუღოთ?», რომელიც დაიბეჭდა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» № 1-2-ში. სტატიაში წამოყენებული იყო ცილისმწამებლური ბრალდებანი ბოლშევიკების მიმართ თბილისის ექსპროპრიაციის გამო.

«გ ო ლ ო ს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ა» — გაზეთი, მენშევიკთა საზღვარგარეთული ორგანო; გამოდიოდა 1908 წლის თებერვლიდან 1911 წლის დეკემბრამდე ჯერ ჟენევაში, შემდეგ პარიზში. 1909 წლის მაისიდან გაზეთი საბოლოოდ შემოიფარგლა როგორც ლიკვიდატორთა იდეური ცენტრი. — **186.**

134 ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ბ ი უ რ ო — რსდმ პარტიის ხელშემწყობი ყველა საზღვარგარეთული ჯგუფის ცენტრი — ამ დროს მენშევიკების ხელში იყო. 1908 წლის აგვისტოში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გამოიტანა საერთო დადგენილება რსდმ პარტიის ხელშემწყობი საზღვარგარეთული ჯგუფების, საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს ფუნქციებისა და ორგანიზაციულ

სტატუსის შესახებ. საზღვარგარეთის ცენტრალურ ბიუროს ნიშნავდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტი 10 კაცის შემადგენლობით (მათ შორის ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრი veto-ს უფლებით); საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს საქმიანობა განისაზღვრებოდა იმით, რომ მომსახურებას უწევდა ხელშემწყობი საზღვარგარეთული ჯგუფების საჭიროებებს და ასრულებდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს საერთო-პარტიულ დავალებებს. — **167.**

135 სტატია «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის» დაიბეჭდა «პროლეტარის» 1908 წლის 23 (10) მაისის № 30-ში.

«Przegląd Socialdemokratyczny» («სოციალ-დემოკრატიული მიმოხილვა») — პოლონელ სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა კრაკოვში 1902 წლიდან 1904 წლამდე და 1908 წლიდან 1910 წლამდე. — **167.**

136 როგორც ჩანს, საქმე ეხება მ. მ. ლიტვინოვის ჩვენებათა ოქმს, რომელმაც 1908 წლის 10 მარტს რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს შეუთვალა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენებანი გადაეცა საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროსათვის. ლ. ტიშკა ვარაუდობდა, რომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტი განიხილავდა პროტესტს და გააფრთხილა ფ. კონი დაეცვა კონსპირაცია. — **188.**

137 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინი მოკლე ხნით შეჩერდა ბრიუსელში, როცა მიემგზავრებოდა ლონდონში, სადაც მუშაობდა ბრიტანეთის მუზეუმში წიგნზე «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». — **188.**

138 სამუშაოები რუსეთის ისტორიის შესახებ დაიწყო ძმები გრანატების ენციკლოპედიური ლექსიკონის გამომცემლობამ. ლენინი ამ სამუშაოებში მიიზიდეს 1907 წლის შემოდგომაზე, როცა ლექსიკონის რედაქციის ერთ-ერთი წევრი — ა. ვ. ტრუბჩინსკი — სპეციალურად გაემგზავრა ფინეთში და მოლაპარაკება ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. ვ. ი. ლენინი დაეთანხმა დაეწერა ნაშრომი «რუსეთის აგრარული წყობილება XIX საუკუნის დამლევისათვის», რომელიც გამოვიდა მხოლოდ 1918 წელს გამომცემლობა «ჟიზნ ი ზნანიეში» სათაურით «აგრარული საკითხი რუსეთში XIX საუკუნის დამლევს».

როგორც ჩანს, როცა ლენინი მოინახულა ჟენევაში, ა. ვ. ტრუბჩინსკიმ მას შესთავაზა დაეწერა სტატია საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ისტორიის შესახებ. ეს ნაშრომი არ დაწერილა. — **191.**

139 იხ. შენიშვნა 130. — **192.**

140 დადგენილი არ არის, სახელდობრ სად გაემგზავრა ვ. ი. ლენინი 1908 წლის სექტემბრის დამდეგს. — **193.**

141 საქმე ეხება რსდმპ პარტიის ყოველწლიური საწევრო შენატანების გადახდას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. — **194.**

142 «*Le Peuple*» («ხალხი») — ყოველდღიური გაზეთი. ბელგიის მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდის 1885 წლიდან ბრიუსელში ამჟამად—ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანო. — **195.**

143 საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომის ანგარიშის ცალკე გამოცემად გამოქვეყნების დროს (იხ. Compte-rendu officiel. Cand, 1909, p. 44, 61 — 62) ტექსტი ვ. ი. ლენინის შესწორებისა კ. კაუცკის წინადადებისათვის გაასწორეს იმ მითითების შესაბამისად, რომელიც დაერთო ამ წერილს.

შინაარსი თავისი გამოსვლებისა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე ინტერნაციონალში ინგლისის მუშათა პარტიის (ლეიბორისტების) მიღების საკითხის გამო ვ. ი. ლენინმა მოიყვანა სტატიაში «საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომა», რომელიც გამოქვეყნდა «პროლეტარის» 1908 წლის 16 (29) ოქტომბრის № 37-ში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 275 — 295). — **195**

144 საქმე ეხება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლობას პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის VI ყრილობაზე. ყრილობა გაიმართა 1908 წლის დეკემბრის დამდეგს. — **198.**

145 საქმე ეხებოდა III სათათბიროს დეპუტატების — სოციალ-დემოკრატების გაფორმებას საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსთან არსებულ საპარლამენტთაშორისო გაერთიანებაში და მათ მიერ სათანადო შენატანების გადახდას. — **198.**

146 «პ ა რ ტ ი უ ლ ი ს კ ო ლ ა» — სკოლა, რომელიც კაპრის კუნძულზე მოაწყვეს ოტზოვისტებმა, ულტიმატისტებმა და ღვთისმშენებლებმა, რომლებიც ცდილობდნენ ამით შეექმნათ ახალი ანტიბოლშევიკური ფრაქციის იდეურ-ორგანიზაციული ცენტრი. კაპრის სკოლის შესახებ იხ. რეზოლუციები «პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ №№-ში» და «ამხ. მაქსიმოვის გათიშვის შესახებ», რომლებიც მიღებული იყო «პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირზე 1909 წლის ივნისში, აგრეთვე ვ. ი. ლენინის სტატიები «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ», და «სამარცხვინო ჩავარდნა» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 552 — 553; ტომი 16, გვ. 20 — 64; 95 — 97). — **202.**

147 როგორც ჩანს, საქმე ეხება გამოძიებას მ. მ. ლიტვინოვის საქმის გამო, რომელშიც გადიოდნენ აგრეთვე ესერთა პარტიის წარმომადგენლები (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი (148). — **205.**

148 ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ რით გამოიხატა ინციდენტი «იური-ნიკიტიჩი». მეტსახელ იურის ატარებდა დ. ს. გროჟანი, რომელმაც ლ. ბ. კრასინის დაკალებით 1907 წლის დამლევს პარტიული სალაროსათვის ერთი კერძო პირისაგან ისესხა ფული. შესაძლებელია, ინციდენტი გამოიწვია იმან, რომ ვალი დროზე არ დაფარეს. — **205.**

149 საქმე ეხება ვოლსკის წიგნს «ბრძოლის ფილოსოფია». მ., 1909.—**209.**

150 საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ, მიიღო რა ვ. ი. ლენინის წერილი, რომელსაც ხელს აწერდა აგრეთვე სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენელი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში ი. რუბანოვიჩი, მოწოდებით მიმართა ყველა სოციალისტურ პარტიას პროტესტი განეცხადებინათ მათს ქვეყნებში მეფის ჩასვლის გამო და ჩასვლის შემთხვევაში ცხადყოთ მისადმი ევროპის მუშათა დამოკიდებულება.

შვეიცის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და სხვათა წარმომადგენლობითს ორგანოებში სოციალისტურმა და მუშათა ფრაქციებმა შეკითხვით მიმართეს თავიანთ მთავრობებს მეფის ჩასვლის გამო; შვეიცაში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში მოეწყო საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები.—**214.**

151 «ს ო ც ი ა ლ ი ზ მ» («Le Sozialisme) — ჟურნალი; გამოდიოდა პარიზში 1907 წლიდან 1914 წლის ივნისამდე; მისი გამომცემელი და რედაქტორი იყო ფრანგი სოციალისტი ჟ. გედი. — **215.**

152 პარტიათაშორისმა სასამართლომ ბ. ჰერციკის საქმის გამო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ენენვეის ჯგუფების — რსდ პარტიის (ბოლშევიკებისა და მენშევიკების), ბუნდელების, სოციალისტ-რევოლუციონერების წარმომადგენლები, პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის და ციურიხის ჯგუფის, ლატვიის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლები, ჰერციკი უღირსად ცნო, რომ იგი რომელიმე რევოლუციურ ორგანიზაციაში ყოფილიყო; ბოლშევიკების ენენვეის ჯგუფმა იგი **პროვოკატორად** ცნო. — **218.**

153 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 23 თებერვლიდან (8 მარტიდან). გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). მოგვიანებით (1918 წლის აგვისტომდე) გამოდიოდა სახელწოდებით «ნაშა რეჩ», «სკობოდნაია რეჩ», «ვეკ», «ნოვაია რეჩ», «ნაშ ვეკ». — **220.**

154 ვ. ი. ლენინი გულისხმობს წიგნის «მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის» რეცენზიებს, რომლებიც 1909 წელს დაიბეჭდა ჟურნალ

«ეოზროჟდენიეს» მაისის წიგნში № 7-8 ა—ოვის (ა. ი. ავრამოვის) ხელმოწერით და «სოვრემენნ მირის» ივლისის წიგნში ორთოდოქსის (ლ. ი. აქსელროდის ლიტერატურული ფსევდონიმი) ხელმოწერით.

«ეოზროჟდენიე» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1908 წლის დეკემბრიდან 1910 წლის ივლისამდე. — **221.**

155 გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანო «Vorwärts»-ში 1909 წლის ივლისის დამლევს და აგვისტოში ყოველდღიურად იბეჭდებოდა სტატიები და დაწვრილებითი კორესპონდენციები ბარსელონაში მომხდარი აჯანყების შესახებ (29 ივლისის № 174-დან) და შვეიცარიაში გამოცხადებული საყოველთაო გაფიცვის შესახებ (2 აგვისტოს № 178-დან). ლენინი ამ მასალას უგზავნიდა ზინოვიევს სტატიებისათვის «პროლეტარში» დასაბეჭდად.

ქვემოთ ლაპარაკია ლ. ბ. კამენევის სტატიის შესახებ «პროლეტარიატის ჰეგემონიის ლიკვიდაცია რუსეთის რევოლუციის მენშევიკურ ისტორიაში (როგორ უყო ლიკვიდაცია ა. პოტრესოვმა გ. პლეხანოვსა და «ისკრას»)» მენშევიკური ხუთტომიან გამოცემაზე «საზოგადოებრივი მოძრაობა რუსეთში XX საუკუნის დამდეგს», რომელიც ლ. მარტოვის, პ. მასლოვისა და ა. პოტრესოვის რედაქციით გამოდიოდა. ეს სტატია დაიბეჭდა «პროლეტარის» 1909 წლის 5 (18) სექტემბრისა და 3 (16) ოქტომბრის №№ 47-48 და 49-ში. — **221.**

156 როგორც ჩანს, საქმე ეხება გაზეთ «გოლოს ბუნდას» 1909 წლის სექტემბრის № 2-ს (ბუნდის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, რომელიც არალეგალურად გამოდიოდა რუსეთში). «პროლეტარში» ამ თემაზე არაფერი არ დაბეჭდილა. «სოციალ-დემოკრატის» 13 ნოემბრის (31 ოქტომბრის) № 9-ში «გოლოს ბუნდას» № 2-ის შესახებ არის ქრონიკის ხასიათის წერილი. — **228.**

157 პასუხში «№№-ის სკოლაში ჩასულ ამხანაგ მუშებს», რომელიც «პროლეტარის» რედაქციის სახელით დაიბეჭდა «პროლეტარის» 1909 წლის 11 (24) სექტემბრის № 47-48-ის დამატებაში, არაფერი არ ყოფილა ნათქვამი იმის შესახებ, რომ პარიზში გამოეძახებინათ მოლაპარაკებისათვის კაპრის სკოლის რწმუნებული თუ მსმენელები. — **225.**

158 ეს წერილი «პროლეტარის» რედაქციის სახელით დაიწერა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთი ოტზოვისტი საზღვარგარეთ ავრცელებდა ფერცელს, რომელშიც ბრალად სდებდნენ ბოლშევიკურ ცენტრს, თითქოს თავი აერიდებინოს და დახმარება არ გაეწიოს იმ პირთათვის, ვიზედაც ეჭვი ჰქონდათ მიტანილი, რომ ურალის ექსკროპრიაციაში მონაწილეობდნენ.

«პროლეტარის» № 47-48-ის დამატებაში დაიბეჭდა რედაქციის შენიშვნა, რომელშიც ბრალდება ყალბად იყო აღიარებული. «პროლეტარის» რედაქცია იუწყებოდა, რომ თხოვნით მიმართა რსდმპ ცენტრალურ ორგანოს გაერკვია ეს საქმე. — **225.**

159 კ. კაუცკის 1909 წლის 20 აგვისტოს წერილი, იმ მიწვევის პასუხად დაწერილი, რომ ლექციები წაეკითხა კაპრის კუნძულის სკოლაში, დაიბეჭდა ცალკე ფურცლად. შემდეგ კი ვენის «ბრავდის» 1909 წლის 29 სექტემბრის (3 ოქტომბრის) № 5-ის დამატებაში. კაუცკიმ უარი თქვა ლექციების წაკითხვაზე, მაგრამ მიესალმა სკოლის მოწყობას. კაუცკი აღნიშნავდა, «სასიხარულო იქნებოდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიას თავი გაერთმია, ბოლოს და ბოლოს, ფრაქციული დაყოფისათვის, რაც ასე ასუსტებს მას», და მოუწოდებდა პროპაგანდასა და ორგანიზაციაში წინა პლანზე არ წამოეწიათ ფილოსოფიური უთანხმოება. — **228.**

160 როგორც ჩანს, საქმე ეხება მ. ნ. პოკროვსკის პოზიციას, რაც გამოიხატა იმით, რომ მან მხარი დაუჭირა (პირობითად და ნაწილობრივ) ფურცელს ««პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის გაძევებული წევრების ანგარიში ამხ. ბოლშევიკებს», რომელიც ა. ა. ბოგდანოვმა და ლ. ბ. კრასინმა გამოუშვეს. ფურცლის გარჩევა მოცემულია ვ. ი. ლენინის მიერ სტატიაში «ოტზოვიზმისა და ღვთისმშენებლობის მომხრეთა ფრაქციის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 20 — 63). — **231.**

161 კაპრის კუნძულის სკოლის საბჭოს გაეგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი: «პატივცემულო ამხანაგებო! ჩვენს წერილში დასახული ორ: **პერსპექტივიდან** მართლდება მეორე: თქვენ გსურთ არ შეასრულოთ ადგილობრივ ორგანიზაციათა დადგენილებანი და ბოლშევიკების ორგანოს შეუთანხმდეთ მხოლოდ როგორც განცალკევებული კარდახშული ჯგუფი. თქვენ მშვენივრად გესმით, ამ ნიადაგზე რომ დგებით, თვითონ აძნელებთ შემდგომ მოლაპარაკებას. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია გირჩიოთ: დაბეჭდეთ თქვენი უკანასკნელი წერილი ჩვენ-დამი».

მაგრამ სკოლის საბჭოს წერილი დაიბეჭდა ეხოლოდ მეცადინეობის დასრულების შემდეგ «მუშათა პირველი უმაღლესი სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდისტულ-აგიტატორული სკოლის ანგარიშში» 1909 წლის დამლევს პარიზში. — **232.**

162 საქმე ეხება ენენეკიდან პარიზში «რუსი პროლეტარის ბიბლიოთეკის» გადატანას, რომელიც შეკრიბა 1905 წელს ბოლშევიკებს ნიმხრობილმა სოციალ-დემოკრატმა გ. ა. კუკლინმა და სრულ საკუთრებად გადასცა რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს 1905 წლის ივლისში, რასაც იუწყე-

ბოდა «განცხადებაში» («პროლეტარი» № 7, 1905 წლის 10 ივლისი (27 ივნისი).

1909 წლის 18 ოქტომბრის საპასუხო წერილში ვ. ა. კარპინსკი, რომელიც ბიბლიოთეკას გამგებლობდა, დათანხმდა გადატანაზე იმ პირობით, რომ ბიბლიოთეკა შეინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და იმუშავებდა არა ცენტრალური ორგანო «სოციალ-დემოკრატის» რედაქციასთან, არამედ შეუერთდებოდა პარიზში არსებულ ერთ-ერთ ბიბლიოთეკას. — **238.**

163 იგულისხმება ბოლშევიკების ბიბლიოთეკა, რომელიც ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩმა მოაწყო. 1905 წლის ივლისში ვ. ი. ლენინმა თავისი პირადი ბიბლიოთეკიდან მას გადასცა 400-ზე მეტი დასახელების წიგნი. — **238.**

164 ვ. ი. ლენინის ეს წერილი დაკავშირებული იყო შემდეგ გარემოებასთან. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ უარი თქვა სარედაქციო წერილად გამოექვეყნებინა მისი სტატია «ჩვენი პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების მეთოდების შესახებ» და შესთავაზა ლენინს თავისი ხელმოწერით მიეცა სტატია. ამის პასუხად ლენინმა რედაქციის განსახილველად დააყენა პარტიისა და მისი ერთიანობის განმტკიცების მეთოდების საკითხი და შეიტანა პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 85). რეზოლუციას ხმა მისცეს ლენინმა და კამენევმა, წინააღმდეგ — მარტოვმა და ვარსკიმ, თავი შეიკავა ზინოვიევმა, რომელიც საერთოდ წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მიეღოთ პოლიტიკური რეზოლუცია ამ საკითხზე. იმის გამო, რომ სტატია და რეზოლუცია უარყვეს, ლენინმა შეიტანა განცხადება ცენტრალური ორგანოს რედაქციიდან გამოსვლის შესახებ.

ბოლშევიკური ცენტრის აღმასრულებელმა კომისიამ შეიმუშავა ტექსტი რედაქციის წევრი ბოლშევიკებისა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლის კოლექტიური განცხადებისა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციისადმი იმის შესახებ, რომ ეს «ინციდენტი», როგორც გაუგებრობით გამოწვეული, უნდა ჩაითვალოს ბათილად (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 47, გვ. 287). — **287.**

165 ვერ მოხერხდა იმის დადგენა, თუ ვინ შესთავაზა ვ. ი. ლენინს დაეწერა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისტორიის ნარკვევი. შესაძლებელია, რომ ეს იყო Schulthers Europäischer Geschichts — kalender-ის რედაქტორი. — **289.**

166 «*Leipziger Volkszeitung*» («ლაიფციგის სახალხო გაზეთი») — ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა 1894 წლიდან 1933 წლამდე; მთელი რიგი წლების განმავლობაში გამოდიოდა ფ. მეერინგისა და რ. ლუქსემბურგის რედაქტორობით და იყო მემარცხენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. 1917 წლიდან 1922 წლამდე გაზეთი იყო გერმანელ «დამოუკიდებელთა» ორგანო, 1922 წლის შემდეგ — მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ორგანო. — **240.**

167 *«Der Kampf»* («ბრძოლა») — ყოველთვიური ჟურნალი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო; გამოდიოდა ვენაში 1907 წლიდან 1934 წლამდე; ეკავა ოპორტუნისტული, ცენტრისტული პოზიცია, რომელსაც მემარცხენე ფრაზებით ნიღბავდა. — **240.**

168 ა. ეკის (მუხინის) საქმე — ბრალდება საძრახის საქციელში — 1909 წელს გაარჩია სპეციალურმა კომისიამ, რომელმაც აღიარა, რომ «არავითარი მასალა არ არის იმისა, რომ ეკი მიეცეს პარტიულ სამართალში». ეკისათვის ეს გადაწყვეტილება არ უცნობებიათ; მან შეკითხვით მიმართა ფ. ე. ძერჟინსკის (იუზეფს), რაზედაც 1910 წლის 9 მარტს მიიღო პასუხი, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა «უცვლელად დაამტკიცა კომისიის გადაწყვეტილება». მაგრამ მოგვიანებით ეკის საქმე კვლავ აღიძრა; უკანასკნელმა კომისიამ ვერ დაამთავრა მუშაობა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო. — **242.**

169 საქმე ეხება ლ. ბ. კამენევის სტატიას «პროლეტარული მოძრაობის კიდევ ერთი «კრიტიკოსი»», რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატის» № 14-ში, 1910 წლის 22 ივნისს (5 ივლისს). — **244.**

170 რსდმპ ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია განსაზღვრა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა 2 ბოლშევიკის, 2 მენშევიკისა და პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის 1 წარმომადგენლის შემადგენლობით. იგი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ბოლშევიკებისაგან — ვ. ი. ლენინი და გ. ე. ზინოვიევი, მენშევიკებისაგან — ი. ო. მარტოვი და თ. ი. დანი, პოლონელ სოციალ-დემოკრატებისაგან — ა. ვარსკი. მარტოვი და დანი, რჩებოდნენ რა უმეცირესობად ამა თუ იმ საკითხში, ქმნიდნენ კონფლიქტებს, ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს მიმართავდნენ საჩივრებით ბოლშევიკებსა და პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელზე. ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა შეკითხვით, «თუ რამდენად შედის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს კომპეტენციაში იმ კონფლიქტების საკითხები, რომლებიც ცენტრალური ორგანოს რედაქციაში წარმოიშობა». ბოლშევიკებმა მიმართეს აგრეთვე ცენტრალურ კომიტეტს წინადადებით მოეწვიათ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რათა ცენტრალური ორგანოს რედაქციაში მარტოვი და დანი მენშევიკ-პარტიულებით შეეცვალათ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 233 — 237). — **244.**

171 ჟურნალ «მისლის» გამოცემა განხორციელდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბერში. ჟურნალი დაიბეჭდა 1911 წლის აპრილში; ბოლო, მეხუთე, ნომერი კონფისკებულ იქნა. — **244.**

172 საქმე ეხება მენშევიკურ-ლიკვიდატორულ გაზეთს «პრავდას», ტროცკის ფრაქციულ ორგანოს, რომელიც 1908 — 1912 წლებში გამოდიოდა. პირველი ნომრები გამოვიდა ლვოვში, № 4-დან გაზეთი გამოდიოდა ვენაში. — **244.**

173 იგულისხმება «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციის გამოსვლა 1910 წლის თებერვალში პარიზში ცალკე ფურცლად «წერილი ამხანაგებს!», რომელსაც ხელს აწერდნენ აქსელროდი, დანი. მარტოვი ი. ბარტინოვი. ფურცლის ავტორები ბრალად სდებდნენ გაზეთ «სოციალ-დემოკრატს», რომ იგი «პროლეტარის» ფილიალად გადაიქცა, ეს აცხადებდნენ, რომ განზრახული აქვთ განაგრძონ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» გამოცემა. ლენინმა გააანალიზა ეს დოკუმენტი და პოლიტიკურად შეაფასა სტატიებში «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ (პასუხად «გოლოს სოციალ-დემოკრატას»)» და «პარტიული გაერთიანება საზღვარგარეთ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 16, გვ. 188 — 199 და 225 — 229). — **246.**

174 «სოციალ-დემოკრატის» № 12-ში დაიბეჭდა ხელმოუწერელი სტატია «პარტიული კონფერენციის საკითხისათვის».

«წერილი პარტიული ორგანიზაციებისადმი (მორიგი პარტიული კონფერენციის შესახებ)» დაწერა კომისიამ გ. ე. ზინოვიევის, ი. თ. დუბროვინსკისა და ი. ო. მარტოვის შემადგენლობით. — **249.**

175 იგულისხმება ბუნდის ცენტრალური კომიტეტის წევრის მ. მ. როზენის (ეზრას) წერილი გ. ე. ზინოვიევისადმი. — **252.**

176 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «ლიკვიდატორთა «გოლოსი» პარტიის წინააღმდეგ (პასუხი «გოლოს სოციალ-დემოკრატას»)», რომელშიც დოკუმენტურად დადასტურებული იყო, რომ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა მენშევიკ-ლიკვიდატორებმა უარი თქვეს ცენტრალური კომიტეტის ბუშაობაში მონაწილეობაზე და იმაზეც კი, რომ მონაწილეობა მიეღოთ სხდომაში ახალ წევრთა კოოპტაციისათვის (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 16, გვ. 188 — 189). — **254.**

177 ლ. ბ. კამენევი გაგზავნეს ტროცკის გაზეთ «პრავდის» რედაქციაში ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება უახლოესი კონფერენციისათვის გადაედო ცენტრალური კომიტეტის ორგანოდ «პრავდის» გადაქცევის საკითხი, მაგრამ სუბსიდია მიეცა «პრავდისათვის» და მის რედაქციაში დელეგატად გაეგზავნა თავისი წარმომადგენელი, «როგორც ზესამე

რედაქტორი». მას შემდეგ, რაც № 14 «პრავდაში» დაიბეჭდა ««პრავდის» წერილი მოაზროვნე მუშებისადმი», რომელშიც ტროცკიმ გამოაცხადა ერთობა ლიკვიდატორებთან და ოტზოვისტებთან, კამენევი რედაქციიდან გამოვიდა. — **254**.

178 იგულისხმება № 11 «დნევნიკ სოციალ-დემოკრატაში» (1910 წლის მარტი) გამოქვეყნებული გ. ვ. პლეხანოვის სტატია «ჩვენი ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენარული კრება», რომელშიც ავტორი წერდა: «... რა არის «გოლოს სოციალ-დემოკრატა» გარკვეული მიმართულების მენშევიკებისათვის? ეს არის მათი ფაქტობრივად ფრაქციული, — ამასთან უპასუხისმგებლო, — ცენტრი. ჩვენმა «მენშევიკებმა» — ცენტრალური კომიტეტის წევრებმა იმით, რომ ხმა მისცეს რეზოლუციას, რომელიც დაგვპირდა «გოლოსის» დახურვას..., პარტიის სამსხვერპლოზე მიიტანეს, შეიძლება ითქვას, თავიანთი ფრაქციის გული. სკეპტიკოსი იტყვის, ყველა დაპირება როდი სრულდებაო. მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენ უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამხანაგები, რომლებიც ამას დაგვპირდნენ, გულწრფელი არ იყვნენ». — **255**.

179 ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრის ბ. გორევ-გოლდმანის (იგორის) მიერ პარტიული გაერთიანების ჩაშლა გამოიხატა შემდეგი ფაქტით. 1910 წლის 16 მარტს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ ცალკე ფურცლად გამოუშვა წერილი «საზღვარგარეთ მყოფი ყველა ამხანაგისადმი», რომელშიც მოუწოდა ყველა ფრაქციას დამორჩილებოდნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რაც შეიძლება ენერგიული ზომები მიეღოთ ორგანიზაციული გათიშვის აღმოსაფხვრელად, მიებაძათ ბოლშევიკების მაგალითისათვის და დაეხურათ ფრაქციული ორგანოები. ბ. გორევ-გოლდმანმა და ბუნდის წარმომადგენელმა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში ხმა მისცეს ამ წერილის მიღების წინააღმდეგ. ეს ფაქტი გამოაქვეყნა «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციამ «წერილში ამხანაგებისადმი!» — **258**.

180 იგულისხმება პროექტები რეზოლუციებისა და წინადადებებისა კოპენჰაგენის VIII საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის დღის წესრიგის საკითხებზე, აგრეთვე რსდმ პარტიის ანგარიში.

ანგარიში გამოიცა ფრანგულ ენაზე ცალკე ბროშურად სათაურით: «Rapport du Parti socialiste-démocrate ouvrier de Russie au VIII-e Congrès Socialiste International à Copenhague (28 août—3 septembre 1910)» («რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მოხსენება სოციალისტური ინტერნაციონალის VIII კონგრესზე კოპენჰაგენში (1910 წლის 28 აგვისტო—3 სექტემბერი)»). — **259**.

181 იხ. შენიშვნა 130. — **260.**

182 მოსაწვეები ბილეთები ლენინმა მიიღო კოპენჰაგენში; ერთი მათგანი განკუთვნილი იყო ი. თ. არმანდისათვის. — **261.**

183 როგორც ჩანს, საქმე ეხება კოპენჰაგენის კონგრესის მომწვეები საორგანიზაციო კომიტეტის ცნობას. — **261.**

184 ლენინი გულისხმობს თავისი დედის—მ. ა. ულიანოვას სანახავად სტოკჰოლმში გამგზავრებას. სტოკჰოლმში იგი წავიდა 1910 წლის 12 სექტემბერს და კოპენჰაგენში დაბრუნდა 26 სექტემბერს. — **265.**

185 საქმე ეხება ტრიას (ვლ. მგელაძის) მოხსენებას, რომელიც უნდა ყოფილიყო კოპენჰაგენის კონგრესისადმი რსდმპ მოხსენების დანართი. მოგვიანებით მოხსენება დაიბეჭდა რუსულ ენაზე ცენტრალური ორგანოს განსაკუთრებული დადგენილებით (იხ. 1910 წლის 14 ნოემბრის წერილი გორკისადმი. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 34, გვ. 496 — 498). კოპენჰაგენის კონგრესის ანგარიშის დანართებში ტრიას მოხსენება არ არის. — **265.**

186 იგულისხმება ანონიმური სტატია «Die russische Sozialdemokratie (Von unserem russischen Korrespondenten)», რომელიც № 201 «Vorwärts»-ში დაიბეჭდა II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის კონგრესის გახსნის დღეს, 1910 წლის 28 აგვისტოს. სტატიის ავტორი იყო ლ. ტროცკი. ლენინი ამ სტატიას ახსენებს 1912 წელს სტატიაში «ანონიმი «Vorwärts»-იდან და საქმეთა ვითარება რსდმ პარტიაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 655). — **266.**

187 ცენტრალური ორგანოს რედაქციის კრების თავმჯდომარე ალბათ იყო ან ვარსკი, ან მისი შემცვლელი ვ. ლედერი. — **271.**

188 ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმზე სხვათა შორის იდგა საკითხი ბოლშევიკური ცენტრის წევრის ვ. კ. ტარატუტას (ვიქტორის) საქმის გამო, რომელმაც ცენტრალურ კომიტეტს მოსთხოვა დაენიშნა გამოძიება იმის გამო, რომ პარტიაში გავრცელდა ხმები, რომლებიც მას ჩირქს სცხებდნენ. ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დანიშნა საგამომძიებლო კომისია, რომელმაც საგულდაგულო გამოძიების შემდეგ ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არ არის რაიმე მონაცემები, რათა ვიქტორს ბრალად დაედოს პროვოკატორობა, და სავსებით გაამართლა იგი. — **272.**

189 საქმე ეხება გაზეთ «ზვეზდას», რომლის გამოცემა მზადდებოდა პეტერბურგში. გაზეთი გამოდიოდა 1910 წლის 16 (29) დეკემბრიდან 1912 წლის 22 აპრილამდე (5 მაისამდე). «ზვეზდას» უშუალო გაგრძელება იყო გაზეთი «ნევსკაია ზვეზდა», რომლის გამოცემა დაიწყეს

«ზვეზდის» ხშირ კონფისკაციასთან დაკავშირებით. «ნეესკაია ზვეზდის» ბოლო ნომერი გამოვიდა 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს. «ზვეზდის» რედაქციაში თავდაპირველად შედიოდნენ: ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, ნ. ი. იორდანსკი (პლეხანოველი) და ი. პ. პოკროვსკი (III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა). გაზეთის გამომცემელი იყო სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკი ნ. გ. პოლეტაევი. — 272.

190 ვ. ი. ლენინი გულისხმობს რუსეთის ზოგიერთი ბოლშევიკის განზრახვას გადაექცეთ «ზვეზდა» III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორგანოდ. ამ საფუძველზე «ზვეზდაში» თანამშრომლობისათვის მიიწვიეს სათათბიროს დეპუტატი მენშევიკები გეგეჭკორი და კუზნეცოვი. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა რედაქციაში გაუგებრობა. — 273.

191 «ნაშა ზარია»—მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910—1914 წლებში.—274.

192 ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის ცნობით, გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ ი. პ. პოკროვსკი არ დათანხმდა «ზვეზდის» რედაქციაში ჩაერიცხათ ბოლშევიკი ტურუტინი, რაზეც წინასწარ მიიღეს ვ. ი. ლენინის თანხმობა. — 274.

193 საქმე ეხება ჟურნალ «მისლს» (იხ. შენიშვნა 171). — 274.

194 საქმე ეხება ფულს, რომელიც საჭირო იყო გაზეთ «ზვეზდის» გამოსაცემად. 1910 წლის 9 დეკემბრის წერილში ბონჩ-ბრუევიჩისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 216) ვ. ი. ლენინი წერდა, რომ გაზეთის გამოსაცემად ფული გაგზავნა. — 275.

195 1910 წლის 17 დეკემბერს ვ. ი. ლენინმა მიიღო საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს 1910 წლის 15 დეკემბრის ცირკულარი II ინტერნაციონალის პარტიებისადმი, რომელიც შეიცავდა თხოვნას, განეხილათ ერთ-ერთი შესწორება კოპენჰაგენის კონგრესის (1910) რეზოლუციისა სამედიატორო სასამართლოსა და განიარაღების საკითხზე, რომელიც კონგრესმა განსახილველად გადასცა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. შესწორებაში ნათქვამი იყო, რომ სამხედრო მრეწველობის მუშათა გაფიცვები ომის თავიდან აცილების მიზანშეწონილი საშუალებაა. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ წინადადება მისცა ყველა პარტიას მიემართათ შესაბამისი პროფკავშირებისათვის და მოხსენება წარედგინათ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში. ლენინმა ცირკულარს წაუწერა შენიშვნები (იხ. ლენინის XXV კრებული, გვ. 260, 261). ლენინმა ეს წერილი დაურთო საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ცირკულარს, რომელიც გამო-

საქვეყნებლად გაგზავნა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციაში. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს ცირკულარი და ვ. ი. ლენინის წერილი «სოციალ-დემოკრატში» არ დაბეჭდილა. — **276.**

196 ჟურნალ «მისლში» № 5 (1911 წლის აპრილი) გამოქვეყნდა დასაწყისი კ. კაუცკის ნაშრომისა «გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკური მიმართულებანი». — **278.**

197 საქმე ეხება, ერთი მხრივ, პოლონეთის სოციალ-დემოკრატიასა და, მეორე მხრივ, ბოლშევიკებისა და შემარიგებლების «შეთანხმების პუნქტებს», რომლებიც მიიღეს 1911 წლის 11 თებერვალს პარიზში პარტიის ცენტრალურ დაწესებულებათა შემადგენლობისა და უახლოესი ამოცანების საკითხზე, კერძოდ შეთანხმების მე-2 პუნქტზე, რომლის შინაარსია: «ცენტრალური კომიტეტი იქმნება შემდეგი შემადგენლობით: 4 ბოლშევიკი + 1 პსდ + 2 პლეხანოველი (ვარიანტი: პლეხანოველი + 1 გოლოსელი) +1 ბუნდელი + 1 ლატვიელი». შემდეგ მოჰყვება ის შენიშვნა, რომელსაც ლენინი აკრიტიკებს იმის გამო, რომ აქარწყლებს პუნქტის პირველი ნაწილის მთელ შინაარსს: «მხოლოდ შას შემდეგ, რაც ლატვიელმა და ბუნდელმა თავიანთი ორგანიზაციების სახელით ფორმალურად განაცხადეს, რომ გამოვლენ ცენტრალური კომიტეტიდან, თუ ასეთი შემადგენლობა იქნა, — ჩვენები, როგორც მინიმუმს, ულტიმატურად მოითხოვენ: 3 ბოლშევიკი + 1 პსდ + 1 გოლოსელი + 1 პლეხანოველი + 1 ლატვიელი + 1 ბუნდელი». შეთანხმების ხელმოწერაში მონაწილეობდნენ ლ. ტიშკა, ა. რიკოვი, გ. ზინოვიევი და სხვები. — **281.**

198 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — ბოლშევიკების არალეგალური პოპულარული ორგანო, ირაპერიოდულად გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. «რაბოჩაია გაზეტას» შექმნის ინიციატორი იყო ვ. ი. ლენინი. ოფიციალურად ამ გაზეთის გამოცემის საკითხი გადაწყდა 1910 წლის აგვისტოში რსდმპ-ს — ბოლშევიკების, პარტიული მენშევიკების, სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და სხვა წარმომადგენელთა თათბირზე. «რაბოჩაია გაზეტას» ხელმძღვანელობდა და რედაქტორობდა ლენინი. —

რსდმპ VI (პრაღის სრულიად რუსეთის) კონფერენციამ აღნიშნა რა, რომ «რაბოჩაია გაზეტა» მტკიცედ და თანმიმდევრულად იცავდა პარტიასა და პარტიულობას, გამოაცხადა იგი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ოფიციალურ ორგანოდ. — **282.**

199 საქმე ეხება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, რომელიც ცნობილია «გამაერთიანებელი» პლენუმის სახელწოდებით და გაიმართა პარიზში 1910 წლის 2 — 23 იანვარს (15 იანვარს — 5 თებერვალს).

უფრო დაწვრილებით პლენუმის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოცემა, ტომი 19, შენიშვნა 91. — **288.**

200 იგულისხმება ბ. გორევის (იგორის) განცხადება, რომელიც 1911 წლის 17 თებერვალს შეიტანა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროში ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის ადგილისა და მენშევიკების მიერ დასახელებულ კანდიდატთა საკითხზე (იხ. ლენინის XVIII კრებული, გვ. 16 — 17). — **284.**

201 ცენტრალური კომიტეტის წესდებით, რომელიც მიიღო რხდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმმა, პლენუმის მუშაობაში შეეძლოთ მონაწილეობა ცენტრალური კომიტეტის იმ კანდიდატებს, რომლებიც აირჩია რსდმპ V (ლონდონის) ყრილობამ და, რომლებიც «ასრულებენ რაიმე პარტიულ მუშაობას რუსეთში»; კანდიდატად მენშევიკებმა დაასახელეს რომანი (კ. მ. ერმოლაევი), რომელიც წელიწადნახევრის მანძილზე სხვა ლიკვიდატორებთან ერთად ფუშავდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს მუშაობას. — **285.**

202 «5 მ ე ნ შ ე ვ ი კ ი» — რსდმპ ხელშემწყობი პარიზის «პირველი» (მენშევიკური) ჯგუფის წევრები, რომლებმაც პარიზის ჯგუფის საერთო კრებაზე პარტიის საქმეთა მდგომარეობის საკითხზე რეზოლუციის სახით მიიღეს მიმართვა «პარტიის ყველა წევრს», რომელიც შემდეგ გამოქვეყნდა 1911 წლის თებერვალში № 24 «გოლოს სოციალ-დემოკრატას» დამატებაში. — **285.**

203 საქმე ეხება ფურცელს «წერილი ამხანაგებს», რომელიც პარიზში გამოუშვა 1911 წლის თებერვალში «გოლოს სოციალ-დემოკრატას» რედაქციამ. — **287.**

204 1911 წლის 20 მარტს (2 აპრილს) მოსკოვში გაიმართა III სახელმწიფო სათათბიროს დამატებითი არჩევნები. ამ არჩევნებზე სოციალ-დემოკრატებმა დაასახელეს კანდიდატურა ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვისა, რომელიც თებერვალში დააპატიმრეს და თითქმის არჩევნების დაწყებისას 3 წლით გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში. — **288.**

205 საქმე ეხება ბუნდელი იუდინისა (რსდმპ ცენტრალური კომიტეტის, რუსეთის ბიუროს წევრის) და ბუნდელი ლიბერის (ბერის) (ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრის) პროტესტებს, საზღვარგარეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის წინააღმდეგ. — **289.**

206 1911 წლის 9 (22) თებერვალს პეტერბურგში დააპატიმრეს ლ. მ. კნიპოვიჩი, ლ. ნ. რადჩენკო, ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი და სხვ. — **289.**

207 ტიშკას 1911 წლის 20 მარტის წერილიდან ლენინისა და ზინოვიევისადმი ჩანს, რომ ნოგინის წინადადებას «რუსეთის შემადგენლობის» ცენტრალური კომიტეტის სხდომა გადაეტანათ საზღვარგარეთ, რომელიც მან წამოაყენა 1911 წლის თებერვლის დამლევსა თუ მარტის დამდეგს ბოლშევიკების საზღვარგარეთის ცენტრის მოთხოვნათა გავლენით, პროტესტით შეხვდნენ იუდინი და ლინდოვი. რამდენიმე ხნის შემდეგ იუდინი კავკასიაში წავიდა მენშევიკ ადრიანოვის ჩამოსაყვანად, რათა დაბრუნების შემდეგ სხდომა მოეწვია რუსეთში. სხდომა არ მოუწვევიათ, რადგან ნოგინმა შეამჩნია, რომ მას თვალყურს ადევნებდნენ და რამდენიმე ხნით გადაიკარგა ტულიდან. — **290.**

208 საქმე ეხება კამპანიას ვითომდა «საერთო პარტიული» კონფერენციის მოწვევისათვის, რომელიც დაიწყო ტროცკის «პრავდამ» ვენაში 1911 წლის № 18 — 19-ში. ამ კამპანიას მოაყვა ლიკვიდატორთა ანტიპარტიული კონფერენციის მოწვევა 1912 წლის აგვისტოში ვენაში.—**291.**

209 საქმე ეხება ლინდოვს (გ. დ. ლეიტეიზენს). რომელსაც რიკოვმა ლენინისათვის მიწერილ ერთ-ერთ წერილში 1911 წელს «ობივატელი და ლაჩარი» უწოდა. ლინდოვი, რომელიც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრი იყო, პლენუმის მოწვევის საკითხზე გაუბედობას იჩენდა და ყოყმანობდა. — **292.**

210 ესე იგი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს რვა წევრიდან — 4 ბოლშევიკი + პოლონელ სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენელი. — **292.**

211 სასკოლო პარტიული კომისიის (შეიქმნა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1910 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებით) ამოცანა იყო 1911 წელს ეპერიოდული სკოლის, კურსდამთავრებულ მსმენელთათვის პარიზში დამატებითი ლექციები მოეწყო.

მ. ლ. ველტმან-პავლოვიჩი (ვოლონტიორი), ბოლონიაში ეპერიოდული სკოლის ერთ-ერთი ლექტორი, 1911 წლის მარტში შედიოდა სასკოლო პარტიული კომისიის შემადგენლობაში. იმით, რომ ცალმხრივად, ფრაქციულად აშუქებდა კომისიის მუშაობას, მან კომისიის წინააღმდეგ განაწყო მსმენელები და ხელი შეუწყო მეცადინეობის ჩაშლას. — **293.**

212 «ტ რ ი ბ უ ნ ა» («Trybuna») — გაზეთი, პოლონელთა და ლატვიელთა სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა ვარშავაში 1910 — 1911 წლებში. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ლ. ტიშკა. — **294.**

213 1911 წლის 10 მარტის წერილში ა. ი. რიკოვისადმი (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 222) ვ. ი. ლენინი წერდა, რომ უგზავნის ნ. ა. სემაშკოს

(ალექსანდროვის) როგორც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს წევრის, წერილის პირს. ამ შემთხვევაშიც ლენინი, ალბათ იმავე წერილის შესახებ ეკითხება. — **294.**

214 როგორც ჩანს, ფრჩხილებში ჩასმული ხელმოწერა — პოკროვსკი + გეგეკკორი — ნიშნავს, თუ ვის უნდა მოეწერა ხელი ამ წერილზე ფრაქციის ოფიციალური პასუხისათვის. — **295.**

215 რსდმპ ხელშემწყობი პარიზის II ჯგუფი შეიქმნა 1908 წლის 18 ნოემბერს (ახ. სტ.). იგი გამოეყო მენშევიკებთან საერთო პარიზის ჯგუფს. 1911 წელს პარიზის II ჯგუფში შედიოდნენ: ბოლშევიკები — ვ. ი. ლენინი, ნ. კ. კრუპსკაია, ნ. ა. სემაშკო, ვ. თ. ვლადიმირსკი, ი. თ. არმანდი და სხვ; შემარიგებლები — ა. ი. ლიუბიმოვი, მ. კ. ვლადიმიროვი და სხვ. აგრეთვე ზოგიერთი ვპერიოდელი.

ჯგუფის 1911 წლის 1 ივლისის (ახ. სტ.) კრებაზე განიხილეს პარტიაში საქმის მდგომარეობის საკითხი. 27 ხმის უმრავლესობით ჯგუფმა მიიღო ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 248 — 259). შემარიგებლურმა რეზოლუციამ, რომელიც ჯგუფის უმცირესობამ შეიტანა, მიიღო 10 ხმა. ლიუბიმოვისა და ვლადიმიროვის შემარიგებლურ გამოსვლებს ლენინმა სწორედ ამ კრებაზე უწოდა ««ეკონომისტთა» უარესზე უარესი სიტყვების უარესი განმეორება». — **297.**

216 შემარიგებელთა და პოლონელ სოციალ-დემოკრატთა «ბლოკი» (ამ შემთხვევაში საქმე ეხება ტიშკასა და ლედერს) მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1911 წლის ივნისის თათბირის შემდეგ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთ მყოფმა წევრებმა შემარიგებლებმა ლიუბიმოვმა და ვლადიმიროვმა პოლონეთის ს. დ.-თა წარმომადგენელ ტიშკასთან ერთად წამოიწყეს კამათი კონფერენციის მომწყობი საზღვარგარეთის საორგანიზაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ და ცდილობდნენ პოლონელ ს.-დ.-თა მხარდაჭერით კომისიაში უზრუნველეყოთ შემარიგებელთა უმრავლესობა.

შემარიგებელთა და პოლონელ ს.-დ.-თა «ინტრიგობა» გოლოსელებთან იმით გამოიხატა, რომ მათ მხარი დაუჭირეს მარტოვსა და დანს, რომლებიც ივნისის თათბირის შემდეგ ცენტრალური ორგანოს — «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის შემადგენლობიდან გამოვიდნენ. «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის მეხუთე წევრმა, ლედერმა ულტიმატურად (იმუქრებოდა რედაქციიდან «გამოვალო») ნოთხოვა, რომ რედაქციის შემადგენლობაში შეეყვანათ ორი სხვა მენშევიკი. შემარიგებლები პოლონელ ს.-დ.-ებთან სოლიდარული იყვნენ — **297.**

217 იგულისხმება სპარსეთის დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1911 წლის 5 დეკემბრის დეპეშა, რომელიც მიიღო რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა. დეპეშა შეიცავდა პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთის ცარიზმი და ინგლისის იმპერიალიზმი ერეოდნენ სპარსელი ხალხის საშინაო საქმეებში. — **302.**

218 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

გადაწყვეტილება, რომ საჭიროა მასობრივი ყოველდღიური მუშათა გაზეთის გამოცემა, მიღებულ იქნა რსდმპ სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის მუშაობის დროს.

ლენინი იდეურად ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. იგი ცდილობდა, რომ გაზეთს ჰქონოდა საბრძოლო, რევოლუციური სულისკვეთება.

«პრავდას» განუწყვეტლივ დევნიდა პოლიცია. 1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა მხოლოდ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 5 (18) მარტიდან «პრავდა» გამოდიოდა, როგორც რსდმპ ცენტრალური და პეტერბურგის კომიტეტების ორგანო. — **309.**

219 «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს» მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველკვირეული ლეგალური გაზეთი; მას პეტერბურგში გამოსცემდა დ. თ. კოსტროვი გაზეთ «ყოველ დღეს»-ნაცვლად 1912 წლის 20 მაისიდან (2 ივნისიდან) 31 აგვისტომდე (13 სექტემბრამდე). გამოვიდა 9 ნომერი. — **310.**

220 «რ უ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან, გამოხატავდა ზომიერად ლიბერალური ინტელიგენციის შეხედულებებს. 1905 წლიდან გაზეთი იყო კადეტთა პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო. 1918 წელს «რუსკიე ვედომოსტი» დახურეს სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად. — **312.**

221 «ს ო ვ რ ე მ ე ნ ი კ ი» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო დაჯგუფებული იყვნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, ესერები, «სახალხო სოციალისტები» და მემარცხენე ლიბერალები. 1914 წელს ლენინმა დაახასიათა «სოვრემენიკის» მიმართულება, როგორც «ნაროდნიკობისა და მარქსიზმის ნარევი» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი, 20, გვ. 357). — **314.**

222 *Wiener «Ardeiter-Zeitung»* (ვენის «მუშათა გაზეთი») — ყოველდღიური გაზეთი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო.

1889 წელს ვენაში დააარსა ვ. ადლერმა. 1934 წელს გაზეთი დახურეს. 1945 წელს კვლავ დაიწყო გამოსვლა, როგორც ავსტრიის სოციალისტური პარტიის ორგანომ. — **315.**

223 «კ ი ე ვ ს კ ა ი ა მ ი ს ლ» — ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1906—1918 წლებში.—**316.**

224 «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური თეორიული ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალი შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით ჟურნალ «მისლის» მაგვარად, რომელიც დახურეს.

პირველი მსოფლიო ომის წინ ჟურნალი «პროსვეშჩენიე» დახურა მეფის მთავრობამ. 1917 წლის შემოდგომაზე ჟურნალის გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი (ორმაგი). — **316.**

225 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის ბროშურაზე «რსდმპ თანამედროვე მდგომარეობის გამო» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 237—263). ბროშურა გაეგზავნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობის დელეგატებს. ყრილობა მიმდინარეობდა ხემნიცში 1912 წლის 15—21 სექტემბერს. — **317.**

226 «რ უ ს კ ო ე ს ლ ო ვ ო» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან, გამოსცემდა ი. დ. სიტინი. ეს ფორმალურად უპარტიო გაზეთი იცავდა რუსი ბურჟუაზიის ინტერესებს ზომიერ-ლიბერალური პოზიციებიდან.

1917 წლის ნოემბერში გაზეთი დახურეს. 1918 წლის იანვრიდან გაზეთი ერთხანს გამოდიოდა «ნოვოე სლოვოსა» და «ნაშე სლოვოს» სახელწოდებით. 1918 წლის ივლისში საბოლოოდ დაიხურა. — **317.**

227 საქმე ეხება ლიკვიდატორთა ეგრეთწოდებულ აგვისტოს კონფერენციას, რომელიც ვენაში გაიმართა 1912 წლის აგვისტოში; ამ კონფერენციაზე გაფორმდა ანტიპარტიული აგვისტოს ბლოკი, რომლის ორგანიზატორი იყო ტროცკი. უფრო დაწვრილებით ლიკვიდატორთა აგვისტოს კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, შენიშვნა 60. — **318.**

228 «ზ ა ვ ე ტ ი» — ესერული მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის აპრილიდან 1914 წლის ივლისამდე. — **320.**

229 «*Bremer Bürger-Zeitung*» («ბრემენის სამოქალაქო გაზეთი») — ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი; გამოდიოდა 1890 წლიდან 1919 წლამდე; 1916 წლამდე მასზე გავლენას ახდენდნენ ბრემენის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, შემდეგ გადავიდა სოციალ-შოვინისტთა ხელში.

ვ. ი. ლენინის სტატია დღემდე არ არის მოძებნილი. — **324.**

230 საქმე ეხება კ. რადეკს, რომელსაც პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიის მთავარი გამგეობის მიერ მოწყობილმა სასამართლომ ბრალად დასდო მთელი რიგი არაეთიკური საქციელი. ამ სასამართლოს დადგენილებით რადეკი გარიცხეს პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის წევრობიდან და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

1913 წლის სექტემბრის დამდეგს პარიზში პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის სექციების ბიუროს («როზლამოველთა») ინიციატივით შეიქმნა კომისია სასამართლოს გადაწყვეტილების გადასასინჯად.

ლენინი კ. რადეკის საქმის გადასინჯვის მომხრე იყო. მას მიაჩნდა, რომ მთავარი გამგეობის მიერ რადეკისადმი წაყენებული ბრალდება დაკავშირებულია იმ მძაფრ ბრძოლასთან, რომელსაც მთავარი გამგეობა აწარმოებდა «როზლამოველთა» წინააღმდეგ.

კომისია ხუთ თვეს მუშაობდა და გამოიტანა დასკვნა, რომ კ. რადეკის პარტიულ სასამართლოზე გადაცემა და პარტიიდან მისი გარიცხვა, უსაფუძვლო იყო, და შეიტანა წინადადება, რომ რადეკი კვლავ მიეჩნიათ პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიისა და რსდმპ-ს წევრად (იხ. ბროშურა «Sprawozdanie komisji badajace jsprawe czlonka S. D. K. P. iL. Karola Radka» («პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს ს.-დ. წევრის კარლ რადეკის საქმის გამომძიებელი კომისიის ანგარიში»), რომელიც 1914 წლის მარტში გამოსცა პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ბიურომ).

პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიისა და «როზლამოველთა» უთანხმოების ისტორიის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «განხეთქილება პოლონეთის სოციალ-დემოკრატიაში» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 581—587). — **324.**

231 იგულისხმება ვ. ბ. ლიტვინოვ-ფალინსკის წიგნი «მუშათა დაზღვევის ახალი კანონები». სპბ, 1912 და ი. ჩისტიაკოვის წიგნი «მუშების დაზღვევა რუსეთში. მუშების დაზღვევის ისტორიის გამოცდილება მათი უზრუნველყოფის სხვა ზოგიერთ ღონისძიებასთან დაკავშირებით». მ., 1912. — **327.**

232 1912 წლის 17 (30) ოქტომბერს გაიმართა პეტერბურგის მუშათა კურიის რწმუნებულთა მეორე ყრილობა იმ ამრჩევთა ასარჩევად, რომელთაგან უნდა აერჩიათ IV სახელმწიფო სათათბიროს მუშა დეპუტატი. — **328.**

233 ბ. ი. **სუდაკოვი** — მუშა; სპბ. გუბერნიის მუშათა რწმუნებულების პირველ ყრილობაზე 1912 წლის 5 (18) ოქტომბერს გავიდა «პრავდის»

მომხრეთა ხმების მეოხებით. 6 (19) ოქტომბერს დაიბეჭდა მისი წერილი «რწმუნებულთა კრებაზე» («პრავდა» № 136), რომელშიც წერდა, რომ «პრავდისა» და «ზვეზდის» მომხრეა. მეორე დღეს, 7 (20) ოქტომბერს, № 19 «ლუჩში» გამოქვეყნდა მისი «წერილი რედაქციას», რომელშიც უარყოფდა თავის განცხადებას «პრავდაში». სუდაკოვთან ინციდენტის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინ, «პოლიტიკური სისუსტის შესახებ (წერილი რედაქციას)» (თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 22, გვ. 144—145). — **328**

234 ვ. ი. ლენინის წერილის საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი პირი, რომელიც დამოწმებულია ა. მ. გორკის მიერ, ინახება ვ. ა. დესნიცკის პირად არქივში. წერილი დაწერილი იყო რევოლუციის ისტორიის მასალების შეგროვების გეგმის პასუხად, რომელიც ლენინს გორკიმ გაუგზავნა ამ გეგმის შესახებ გორკიმ 1912 წლის 8 ოქტომბერს (ახ. სტ.) მიწერა ვ. ვ. ვერესაევს (მ. გორკი. თხზულებათა კრებული 30 ტომად, ტომი 29, გვ. 255).

ა. მ. გორკი ვარაუდობდა მუზეუმისათვის მიეღო ბიბლიოთეკა და არქივი, რომლებიც შეაგროვა სოციალ-დემოკრატთა თანამგრძნობმა თავადმა ი. დ. ბებუთოვმა. ბებუთოვმა ბიბლიოთეკა და არქივი უანდერძა რსდმ პარტიას და შესანახად გადასცა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარ გამგეობას (ცკ). ა. მ. გორკიმ პეტერბურგის ჟურნალ «სოვრემენიკის» რედაქტორის მეშვეობით მიმართა ი. დ ბებუთოვს, რომელმაც უპასუხა, საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, რომ ჩემი ბიბლიოთეკა გადაეცეს საიმედო დაწესებულებასო. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდო პირად შეხვედრამდე.

ი. დ. ბებუთოვის ბიბლიოთეკის შემდგომი ბედი დღემდე გაურკვეველია. — **329.**

235 საქმე ეხება ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ყრილობას, რომელიც ვენაში გაიმართა 1912 წლის 31 ოქტომბერს — 4 ნოემბერს. — **329.**

236 ვ. ი. იაგელო — პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრი; აირჩიეს IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ვარშავიდან. ბოლშევიკები კატეგორიულად წინააღმდეგი იყვნენ ს.-დ. ფრაქციაში იაგელოს მიღებისა, რადგან იაგელო სათათბიროში გავიდა ბურჟუაზიის დახმარებით და პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და ბუნდის ბლოკის მეოხებით. ერთი ხმის უმრავლესობით (მენშევიკის ხმა) იაგელო მიიღეს ს.-დ ფრაქციის წევრად. მაგრამ ბოლშევიკ-დეპუტატთა ზეგავლენით მისი უფლებები ფრაქციაში შეზღუდული იყო: ყველა შიდაპარტიულ საკითხში იაგელოს ჰქონდა მხოლოდ სათათბირო ხმა. ამ საკითხზე იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «მუშათა კლასი და მისი «საპარლამენტო» წარმომადგენლობითობა», აგრეთვე რსდმპ ცენტრალუ-

რი კომიტეტისა და პარტიულ მუშაკთა კრაკოვის თათბირის რეზოლუ-
ცია «სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გა-
მოც., ტომი 18, გვ. 530 — 531. 556 — 557). — **330.**

237 საქმე ეხება II ინტერნაციონალის საგანგებო საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესს, რომელიც ბაზელში გაიმართა 1912 წლის 24 — 25 ნოემბერს (ახ. სტ.). კონგრესი მოიწვიეს, რათა გადაეწყვიტათ მეორე იმპერიალისტური ომის მოახლოების საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაიზარდა ბალკანეთის პირველი ომის დაწყების შემდეგ. კონგრესს ესწრებოდა 555 დელეგატი. რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა 6 დელეგატი.

კონგრესის 5 ნოემბრის სხდომაზე ერთხმად მიიღეს მანიფესტი ომის წინააღმდეგ.

იმპერიალისტური ომის დაწყების შემთხვევაში მანიფესტი ურჩევდა სოციალისტებს ომით გამოწვეული ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი გამოეყენებინათ სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე II ინტერნაციონალის ბელადებმა დავიწყებას მისცეს ბაზელის მანიფესტი და გადავიდნენ თავიანთ იმპერიალისტურ მთავრობათა მხარეზე. — **330.**

238 ვ. ი. ლენინი გულისხმობს კ. კაუცკის სტატიას «Der Krieg und die Internationale» («ომი და ინტერნაციონალი»), რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალში «Die Neue Zeit» № 6, 1912 წლის 8 ნოემბერს, გვ. 191 — 192. — **330.**

239 1912 წლის 7 ნოემბრის წერილში ჰაუისმანსი ვ. ი. ლენინს ატყობინებდა ბაზელის კონგრესის მოწვევის დღეს და ურჩევდა მიეღო ზომები დელეგატთა დანიშვნისათვის; წერდა, რომ 1912 წლის 17 ნოემბერს ევროპის დიდ ქალაქებში მოსალოდნელია დემონსტრაციები სომარი მოქმედების ასპარეზის გაფართოების წინააღმდეგ; სთხოვდა, დათანხმდით, თუ რომელიმე პარტია მოგმართავთ თხოვნით, მიტინგზე სიტყვა წარმოთქვითო; ატყობინებდა კონგრესის რეზოლუციის პროექტის სარედაქციო კომისიის შემადგენლობას და სთხოვდა წარმომადგენელი დაენიშნა ამ კომისიაში. — **331.**

240 საქმე ეხება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომას, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 1912 წლის 28 — 29 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის დაუსწრებლად. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს მოეწვიათ საგანგებო სოციალისტური კონგრესი. რუსეთის წარმომადგენლებად სხდომაზე იყვნენ გ. პლეხანოვი და ი. რუბანოვიჩი. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს განსაკუთრებული დახურული სხდომა მიეძღვნა რუსეთის

საქმეებს. ამ სხდომის ოფიციალური ანგარიში არ გამოქვეყნებულა. ლენინმა სხდომის შესახებ შეიტყო ლ. მარტოვის სტატიიდან «საერთაშორისო ბიურო ს.-დ. ერთობის შესახებ», რომელიც 1912 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ «ლუჩში» № 37. მარტოვს ლენინმა უპასუხა სტატიაში «სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 568 — 570). — **332.**

241 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 16 (29) სექტემბრიდან 1913 წლის 5 (18) ივლისამდე. გამოვიდა 237 ნომერი. ძირითადად გაზეთი არსებობდა ლიბერალთა შეწირულებით. — **334.**

242 საქმე ეხება IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის მ. კ. მურანოვის ხელმოწერას სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წერილზე, რომელიც შეიცავდა პროტესტს ომის წინააღმდეგ. დეპეშა, რომ დაემატებინათ მურანოვის ხელმოწერა, ვ. ი. ლენინმა ბაზელში გაგზავნა 1912 წლის 24 ნოემბერს (ან. სტ.). — **336.**

243 იგულისხმება «პრავდის» რედაქტორის ნ. ნ. ბატურინის დაპატიმრება 1912 წლის ნოემბერში. — **337.**

244 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომა კრაკოვში 1912 წლის 12 ან 13 (25 ან 26) ნოემბერს, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. — **342.**

245 კ ო ო პ ე რ ა ტ ი ვ ი — კონსპირაციულ მიმოწერაში — IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. — **343.**

246 «დ ე ნ» — გაზეთ «პრავდის» პირობითი სახელწოდება. — **343.**

247 «ნ ო მ რ ე ბ ს» კონსპირაციის მიზნით უწოდებენ IV სახელმწიფო სათათბიროს ს.-დ. დეპუტატებს: № 1 — ა. ე. ბადაევი, № 3 — რ. ვ. მალინოვსკი (შემდგომში ამხილეს როგორც პროვოკატორი), № 4 — ნ. რ. შაგოვი, № 5 — მ. კ. მურანოვი, № 6 — კ. ი. პეტროვსკი, № 7 — ფ. ნ. სამოილოვი. — **343.**

248 მ ი შ ა ს კ ო ლ ე გ ი ა — როგორც ჩანს, რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის კონსპირაციული სახელწოდებაა. — **343.**

249 1912 წლის დამლევს «პრავდის» გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმეები მისი კანტორის მუშაკთა მიზეზით უაღრესად ხელმაშვებული იყო, რაც ქმნიდა საფუძველს ეფიქრათ, რომ ხდებოდა მტაცებლობა და ბოროტმოქმედება. — **344.**

250 წერილები №№ 264 და 266 1960 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ «ისტორიჩესკი არხივში» № 2, როგორც ნ. კ. კრუპსკაიას წერილები.

თხზულებათა მეხუთე გამოცემის 48-ე ტომის მომზადების დროს დადგინდა, რომ ეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წერილებია და მხოლოდ კონსპირაციის მიზნით გადაწერა კრუპსკაიამ ქიმიური საშუალებით ლეგალური წერილების სტრიქონებს შორის — **345.**

251 საქმე ეხება IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაციას, რომელსაც საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის თეზისები «მუშა დეპუტატების ზოგიერთი გამოსვლის საკითხისათვის» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 500 — 508).

ლენინის მითითებათა შესაბამისად დეკლარაციაში შეიტანეს პროგრამა-მინიმუმის თითქმის ყველა მთავარი პუნქტი. მაგრამ მენშევიკებმა მაინც მოახერხეს გაეყვანათ პუნქტი, რომელიც მოითხოვდა კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას. 1912 წლის 7 (20) დეკემბერს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დეკლარაცია წაიკითხეს სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე.

1912 წლის დეკემბერში ლიკვიდატორთა მოთხოვნით IV სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში წარმოებდა მოლაპარაკება, რომ «პრავდა» და «ლუჩი» გაერთიანებულიყვნენ «არაფრაქციულ მუშათა გაზეთად». ამ მოლაპარაკების შედეგად IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ბოლშევიკებმა ა. ე. ბადაევმა, გ. ი. პეტროვსკიმ, თ. ნ. სამოილოვმა და ნ. რ. შაგოვმა 1912 წლის 18 დეკემბერს გაზეთ «ლუჩის» № 78-ში განაცხადეს, რომ შედიან «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობაში, ხოლო შვიდი დეპუტატი-ლიკვიდატორი შევიდა «პრავდის» თანამშრომელთა შემადგენლობაში. მაგრამ 1913 წლის 30 იანვარს ბოლშევიკი დეპუტატები გამოვიდნენ «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან, გამოაცხადეს, რა, რომ არ ეთანხმებიან გაზეთის ლიკვიდატორულ მიმართულებას (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 75 და შენიშვნა 54). — **349.**

252 1912 წლის 5 დეკემბრის (ახ. სტ.) წერილში კ. ჰიუისმანსმა ვ. ი. ლენინს შეატყობინა, რომ დროებითად მიაჩნია რსდმპ წარმომადგენლის შეცვლა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში და საბოლოო გადაწყვეტილება წარმომადგენლობის შესახებ შესაძლებელი იყო მიეღოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლენინი შეუთანხმდებოდა «ხსნა ს.-დ. ფრაქციას» (ე. ი. ლიკვიდატორებს). — **352.**

253 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან, რომელსაც კონსპირაციული მოსაზრებებით «თებერვლის» თათბირი დაარქვეს. თათბირი გაიმართა კრაკოვში 1912 წლის 26 დეკემბრიდან 1913 წლის 1 იანვრამდე (1913 წლის 8-14 იანვარი). უფრო

დაწვრილებით ამ თათბირის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 22, შენიშვნა 125. — **355.**

254 «უარესზე უარესი ტიპის ფედერაციად» პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებები დახასიათებულია ურთიერთობა ეროვნულ ს.-დ. ორგანიზაციებთან, რომლებიც რსდმ პარტიაში არსებობდნენ IV (გამაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, როცა «ნაციონალები» მუშაობდნენ «რუსული ორგანიზაციებისაგან სრულიად განკერძოებით», რაც უაღრესად უარყოფით გავლენას ახდენდა რსდმ პარტიის მთელ მუშაობაზე (ამის შესახებ იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც, ტომი 17, გვ. 554 — 556 და ტომი 18, გვ. 489 — 499). — **359.**

255 ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც ერთიანი პარტია, **გაუქმდა** 1897 წელს ვიმბერგის (ვენის) ყრილობაზე და მის ნაცვლად შეიქმნა ექვსი ეროვნული «სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის»: გერმანელთა, ჩეხთა, პოლონელთა, რუსინთა, იტალიელთა და სამხრეთსლაველთა ჯგუფების ფედერაციული კავშირი. ეს ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ მხოლოდ საერთო ყრილობით და საერთო ცენტრალური გამგეობით. 1899 წელს ბრიუნის ყრილობაზე პარტიის ცენტრალური გამგეობა გარდაიქმნა ფედერაციულ ორგანოდ, რომელიც შედგებოდა ეროვნული სოციალ-დემოკრატიული პარტიების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან. — **360.**

256 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს «ბუნდისა და რსდმპ გაერთიანების პირობების პროექტი», რომელიც მიიღო რსდმპ IV (გამაერთიანებელმა) ყრილობამ. ეს ყრილობა გაიმართა 1906 წლის 10 — 25 აპრილს (23 აპრილს — 8 მაისს) (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ. 165 — 166) — **361.**

257 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., ტომი 24, გვ. 534. — **363.**

258 «*Hamburger Echo*» («ჰამბურგის ექო») — ყოველდღიური გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჰამბურგის ორგანიზაციის ორგანო; დაარსდა 1875 წელს როგორც «Hamburg-Altonaer Volksblatt» («ჰამბურგ-ალტონის სახალხო ფურცელი»); 1887 წლიდან დღემდე გამოდის სახელწოდებით «Hamburger Echo». 1933 წლის მარტში ნაცისტურმა მთავრობამ ეს გაზეთი დახურა. კვლავ გამოსვლა დაიწყო 1946 წლის აპრილში. — **363.**

259 ვ. ი. ლენინის წერილი პასუხია რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ბერლინის არქივის გამგის გ. მ. ვიაზმენსკის წერილზე. ვიაზმენსკი თავის

წერილში ლენინს სთხოვდა არქივის შესავსებად გაეგზავნა პოლონეთის არალეგალური ლიტერატურა, აგრეთვე რსდმპ ყველა არალეგალური გამოცემა; სთავაზობდა 1907 წლის «იზვესტია ცკ რსდრპ»-ს გამოგზავნას, რომელიც ლენინმა ნახა, როცა პირველად იყო არქივში 1912 წლის ზაფხულში, და რომლებიც ძალიან სჭირდებოდა. — **365.**

260 «ი ზ ვ ე ს ტ ი ა ც კ რ ს დ რ პ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი. გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის 16 (29) იელისიდან 11 (24) ოქტომბრამდე. გამოვიდა 3 ნომერი. — **365.**

261 მხედველობაშია ვ. ი. ლენინის წერილი ნ. ვ. კუზნეცოვისადმი (საპოჟკოვისადმი), რომელიც პარიზში გაგზავნა; ამ წერილში, რომელშიც გ. მ. ვიაზმენსკის აძლევდა რეკომენდაციას, ლენინი, როგორც ჩანს, სთხოვდა კუზნეცოვს ვიაზმენსკისთვის გადაეცა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა ბერლინის სოციალისტური არქივისათვის. ვიაზმენსკის ცნობით, იგი პარიზში ყოფილა 1915 წლის იანვარ-თებერვალში და კუზნეცოვს მისთვის მიუცია ურალის ბოლშევიკური კომიტეტების არალეგალურ გამოცემათა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნომერი. — **365.**

262 მხედველობაშია ვ. ი. ლენინის სტატია «ბ ო ლ შ ე ვ ი ზ მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ», რომელიც დაწერა ნ. ა. რუბაკინის წიგნის «წიგნებს შორის» მეორე ტომისათვის (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 18, გვ. 588 — 590). — **366.**

263 1913 წლის 5 იანვრის № 4 «ლუჩში» ვ. ი. ლენინს, როგორც ჩანს, აინტერესებდა წერილი «საერთაშორისო ბიუროში წარმომადგენლობია შესახებ», რომელიც დაწერილი იყო 1912 წლის 23 დეკემბრის № 201 «პრავდაში» ამავე სათაურით დაბეჭდილი წერილის პასუხად. ლიკვიდატორები «ლუჩში» აცხადებდნენ, რომ რსდმპ წარმომადგენლობა საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში (ლენინი და პლეხანოვი) ცალმხრივად მიაჩნიათ და აყენებდნენ საკითხს, რომ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროში არ არის ბენშევიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი. — **367.**

264 საქმე ეხება გაზეთ «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაციას პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. რედაქციის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ცნობების უქონლობა სერიოზულად აწუხებდა ვ. ი. ლენინს, რადგან 1913 წლის იანვარში «პრავდამ» კვლავ დაუშვა მთელი რიგი შეცდომები თავის მუშაობაში. 15 და 23 იანვარს გაზეთში გამოქვეყნდა პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრის დეპუტატ ე. ი. იაგელოს წერილები რედაქციას, რომლებშიც თავისთავს რეკლამაც

უკეთებდა, რომ პოლონეთის მუშათა კლასის წარმომადგენელია; 17 და 24 იანვარს «პრავდამ» პირველ გვერდზე დაბეჭდა სარეკლამო განცხადებანი ბუნდის ორგანოს — ლიკვიდატორული გაზეთის «ციტის» მორიგი ნომრების გამოსვლის შესახებ; ყოყმანობდა ლიკვიდატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში; კრაკოვის თათბირის მითითების მიუხედავად არ დაბეჭდა ზოგიერთი სტატია, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიურომ გამოუგზავნა გაზეთში გამოსაქვეყნებლად და სხვ.

22 იანვარს (ძვ. სტ.) გაიმართა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს წევრებისა და «პრავდის» რედაქციის მუშაკთა გაერთიანებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდა 12 კაცი, მათ შორის ცენტრალური კომიტეტის წევრები — ი. მ. სვერდლოვი, გ. ი. პეტროვსკი, ფ. ი. გოლოშჩოკინი, რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მდივანი ვ. ნ. ლობოვა და სხვები. სხდომაზე მოისმინეს მოხსენება რედაქციის რეორგანიზაციის თაობაზე ცენტრალური კომიტეტისა და კრაკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა შესახებ; გაზეთის რედაქტორად veto-სა და ყველა სტატიის ცენზურის უფლებით დაამტკიცეს ი. მ. სვერდლოვი, რედაქციის შემადგენლობაში პეტერბურგის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან უფრო მჭიდრო კავშირისათვის შეიყვანეს პეტერბურგის კომიტეტის წევრი, რედაქციის მდივნად დაამტკიცეს კ. ნ. სამოილოვა.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამაღლდა გაზეთის საერთო დონე. 10 თებერვლიდან (ძვ. სტ.) დაიწყო საკვირაო ჩანართი ფურცლების გამოშვება. გაიზარდა გაზეთის ტირაჟი, მთელ რიგ მომდევნო წერილებში ლენინი აღნიშნავდა რედაქციის მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

«ц а й т ц и» («დრო») — ყოველკვირეული გაზეთი, ბუნდის ორგანო, ებრაულ ენაზე გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის 20 დეკემბრიდან (1913 წლის 2 იანვრიდან) 1914 წლის 5 (18) მაისამდე. — **867.**

265 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინი გულისხმობს წერილს «პატარა შარი», რომელიც დაიბეჭდა 1913 წლის 8 იანვრის № 6 «პრავდაში». ამ წერილში «პრავდა» ამხილებდა გაზეთ «ლუჩის» არასწორ საქციელს, მაგრამ დაუშვა შეცდომა იმით, რომ წაეჩხუბა ჟურნალ «რაბოჩი გოლოსის» რედაქციას არაპრინციპულ საკითხებზე.

ჟურნალი «რაბოჩი გოლოს» — საქსოვი წარმოების მუშათა პროფესიული საზოგადოების ორგანო, რომელიც დასაბეჭდად მზადდებოდა, არ გამოსულა. — **867.**

266 საქმე ეხება ნ. გ. პოლეტაევის არასწორ დამოკიდებულებას ლიკვიდატორთა გაზეთ «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან ბოლშევიკი დეპუტატების გამოსვლისადმი. პოლეტაევს მიაჩნდა, რომ შესაძ-

ლებელია ბოლშევიკებისა და ლიკვიდატორთა ურთიერთთანამშრომლობა «პრავდასა» და «ლუჩში». ეს თვალსაზრისი დაგმო ვ. ი. ლენინმა. — 369.

267 «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის შემდეგ ნ. გ. პოლეტაევი პეტერბურგიდან წავიდა და გაზეთს ჩამოშორდა. უმისოდ შეწყვიტა არსებობა «ნევსკაია ზვეზდამ» («დიდმა დამ»). ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა «პრავდაში» პოლეტაევის მონაწილეობას. — 370.

268 1913 წელს ა. ბოგდანოვმა დაიწყო გამოცემა თავისი ნაშრომისა «საყოველთაო საორგანიზაციო მეცნიერება (ტექნოლოგია)». ეს ნაშრომი იყო ემპირიომონისტური თვალსაზრისის შემდგომი განვითარება.—370.

269 იგულისხმება ბრძანებულება აბნისტიის შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა რომანოვთა სახლის 300 წლისთავთან დაკავშირებით. — 373.

270 საქმე ეხება ბაზელის კონგრესზე რსდმპ დელეგაციის პროტესტს საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სამდივნოს არასწორი მოქმედების წინააღმდეგ. სამდივნომ განაცხადა, რომ რსდმპ დელეგატებს უფლება არ ჰქონდათ დამტკიცებინათ ბაზელის კონგრესზე პოლონეთის ოპოზიციის დელეგატთა მანდატები და თქვა, რომ ანგარიშში კონგრესის შესახებ პოლონეთის ოპოზიციის იმ ხუთი დელეგატის გვარი, რომლებიც სხდომებს ესწრებოდნენ, აღნიშნული იქნება ასო «X»-ით.—374.

271 საქმე ეხება იმ სტატიების ავტორთა სახელების გამოქვეყნებას, რომლებიც ხელმოუწერლად იბეჭდებოდა ლენინურ «ისკრაში», «პროლეტარსა» და «სოციალ-დემოკრატში». — 375.

272 «ს ე ვ ე რ ნ ი ე ზ ა პ ი ს კ ი» — ლიტერატურულ-პოლიტიკური ყოველთვიური. პეტერბურგში გამოდიოდა 1913 — 1917 წლებში. — 376.

273 საქმე ეხება, როგორც ჩანს, ლ. ბ. კამენევის ბროშურას «ლიკვიდატორობის არსის შესახებ», რომლის გამოშვებას აპირებდა გამომცემლობა «პრიბოი». — 376.

274 1913 წლის 13 (26) აპრილს ვ. ი. ლენინმა ლაიფციგში წაიკითხა რეფერატები თემაზე «საზოგადოებრივი აღმავლობა რუსეთში და სოციალ-დემოკრატთა ამოცანები». — 377.

275 ზუსტად დადგენილი არ არის ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური კომიტეტის რომელ «ფურცელზეა» ლაპარაკი. როგორც ჩანს, ეს იყო განცხადება ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელიც იმ ხანებში საზღვარგარეთ

გამოუშვეს და გამოქვეყნდა 1913 წლის 29 მარტს ცენტრალურ ორგანოში «Zihna» («ბრძოლა»).

ლატვიელ ბოლშევიკთა ხელმძღვანელებმა ეს განცხადება გადაბეჭდეს თავის ორგანოში «Biletens» («ბიულეტენში») და ამასთან დაურთეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები ყრილობის დღის წესრიგის გამო, რომელიც ლიკვიდატორთა ცენტრალურმა კომიტეტმა შეადგინა, ვინაიდან აქ გამოვლინდა მისწრაფება გვერდი აეცალოთ უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხებისათვის. განსაკუთრებით მკვეთრად გააკრიტიკეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ის პუნქტი, სადაც ცენტრალური კომიტეტი აცხადებდა, რომ განზრახული აქვს ყრილობის მომზადებას შეუდგეს მხოლოდ მაშინ, როცა ამ მიზნისთვის ცენტრალური კომიტეტის სალაროში შეტანილი იქნება 3.000 მანეთი. ლატვიელმა ბოლშევიკებმა მიიჩნიეს, რომ ეს არის ახალი ცდა გადადონ ყრილობის მოწვევა, რასაც დაბეჯითებით მოითხოვდა პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობა. — 878.

276 ვ. ი. ლენინის მითითებით ლატვიელმა ბოლშევიკებმა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის წინ გამოაქვეყნეს საკუთარი პლატფორმა და რეზოლუციათა პროექტი. ყრილობისათვის პლატფორმის პროექტი დაწერა ლენინმა 1913 წლის მაისში და გამოქვეყნდა 1913 წლის აგვისტოში გაზეთში «Cinas Biedrs» № 4 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 110 — 121). — 879.

277 ვ. ი. ლენინმა გადაგზავნა ა. ა. ტროიანოვსკის 1913 წლის 15 მაისის (ახ. სტ.) წერილი. ამ წერილში ტროიანოვსკი სთხოვდა ლ. ბ. კამენევს პასუხი დაეწერა მენშევიკ-ლიკვიდატორ ს. სემკოვსკის (ს. ი. ბრონშტეინის) სტატიაზე «რუსეთის პროლეტარიატის აღორძინება» («Die Wiederbelebung des russischen Proletariats»), რომელიც დაიბეჭდა 1913 წლის 1 მაისს ჟურნალში «Der Kampf» № 8. იგი პირდებოდა, რომ ჟურნალ «Der Kampf»-ში სტატიის დასაბეჭდად უზრუნველყოფდა დ. ბ. რიაზანოვის მხარდაჭერას. — 880.

278 საქმე ეხება II ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესს, რომელიც ვენაში უნდა გამართულიყო 1914 წლის აგვისტოში. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დაწყების გამო კონგრესი არ გამართულა.—881.

279 საყოველთაო გაფიცვა ბელგიაში მიმდინარეობდა 1913 წლის 14—24 აპრილს (ახ. სტ.). «პრავდა» სისტემატურად აშუქებდა გაფიცვის მსვლელობას, ბეჭდავდა ცნობებს გაფიცულთა სასარგებლოდ რუსი მუშების შეწირულებათა შესახებ. უფრო დაწვრილებით გაფიცვის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «ბელგიელთა გაფიცვის გაკვეთილები» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 36, გვ. 245 — 247). — 881.

280 იგულისხმება ი. ა. ბერზინის მეორე სტატია ციკლიდან «შენიშვნები ტაქტიკის შესახებ», რომელიც 1913 წლის მაისში დაიბეჭდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ჯგუფების ბიულეტენის № 2 — 3 «ბიულეტენში» ქვესათაურით «პარტიული ერთობის საფუძვლები». ამ სტატიაში ბერზინმა არასწორად ჩამოაყალიბა რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის (1906 წელი) გადაწყვეტილება რსდმ პარტიასთან ლატვიელთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გაერთიანების პირობების შესახებ. — **888.**

281 იგულისხმება რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობის გადაწყვეტილებანი: 1) «პოლონეთის და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისა და რსდმპ გაერთიანების პირობები»; 2) «ლატვიელთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და რსდმპ გაერთიანების პირობების პროექტი»; 3) «ბუნდისა და რსდმპ გაერთიანების პირობების პროექტი» (იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში» ნაწ. I, 1954. გვ. 162 — 166). — **884.**

282 იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწ. I, 1954, გვ 251). — **884.**

283 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ სრულიად რუსეთის VI (პრაღის) კონფერენციის რეზოლუცია «საერთო პარტიულ კონფერენციაზე ეროვნული ცენტრების დელეგატთა არყოფნის შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 17, გვ. 554 — 556). — **885.**

284 იგულისხმება პეტერბურგის მელითონელთა კავშირის გამგეობის ხელახალი არჩევნები. კრება გაიმართა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს); ესწრებოდა სამი ათასამდე კაცი. მიუხედავად ლიკვიდატორთა ცდებისა შეკრებილნი **განეწყოთ კავშირის ბოლშევიკური გამ-**გეობის წინააღმდეგ, დიდმა უმრავლესობამ ტაშის გრიალში მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მადლობა გადაუხადეს გამგეობას მუშაობისათვის. ლიკვიდატორთა სიაში მოაგროვა მხოლოდ 150-მდე ხმა. ბოლშევიკთა სია, რომელიც წინასწარ დაიბეჭდა გაზეთ «სევერნაია პრავდაში», მიიღეს ხმის დიდი უმრავლესობით.

პეტერბურგის მელითონელთა კავშირის გამგეობის მდივანი 1913 წლის 25 აგვისტომდე (7 სექტემბრამდე) იყო ლიკვიდატორი ვ. აბრო-**სიმოვი, რომელიც შემდგომში ამხილეს როგორც პროვოკატორი.—887.**

285 1913 წლის 22 მაისს (4 ივნისს) IV სახელმწიფო სათათბიროში, ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ხარჯთაღრიცხვის განხილვის შემდეგ, კენჭი უყარეს კადეტთა ფრაქციის წინადადებას ფოსტა-ტელეგრაფის მო-

სამსახურეთათვის 7-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავი შეიკავა და მონაწილეობა არ მიუღია კენჭისყრაში «სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის შესახებ» რსდმპ 1908 წლის V (სრულიად რუსეთის) კონფერენციის რეზოლუციის 3 (ზ) პუნქტის საფუძველზე. ამის შედეგად ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთათვის 7-საათიანი სამუშაო დღის შესახებ კენჭისყრის პუნქტი უარყვეს. «პრავდამ» პოლემიკა გაუმართა «ლუჩს» სტატიებში «ლიბერალური წარუმატებლობა» 23 მაისის № 17-ში და ««ლუჩი» ს.-დ. ფრაქციის წინააღმდეგ» 1913 წლის 25 მაისი № 119-ში, რომლებშიც იცავდა სათათბიროს ს.-დ. ფრაქციის მცდარ მოქმედებას.

ლენინის მითითების შემდეგ შეცდომა გამოასწორეს.

პარტიულ მუშაკებთან ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის პორონინის თათბირის რეზოლუციაში «ს.-დ. სათათბიროში მუშაობის შესახებ» პუნქტი 3 (ზ) გადასინჯეს და ახალი, გაუმჯობესებული რედაქციით დაამტკიცეს. — **888.**

286 ვ. ს. ოლმინსკის (ვიტიმსკის) სტატია «პრავდა», რომელიც მიეძღვნა გადიდებული ზომით გაზეთის გამოსვლას, დაიბეჭდა 1913 წლის 30 მაისის № 123-ში.

«პრავდის» იმავე ნომერში დაიბეჭდა ნაწყვეტი ამერიკელი პოეტის, ყოფილი მუშის ტრობელის პოემიდან «მამაკაცები და ქალები მხოლოდ...», რომელიც ლ. სტალმა თარგმნა. — **890.**

287 ვ. ი. ლენინი გულისხმობს ა. ბოგდანოვის წერილ-განცხადებას «ფაქტიური განმარტება», რომელიც 1913 წლის 26 მაისს დაიბეჭდა № 120 «პრავდაში». ამ წერილში ბოგდანოვი ცდილობდა უარეყო ფაქტი, რომელიც ლენინმა აღნიშნა სტატიაში «სადავო საკითხები», რომ სათათბიროში მუშაობისა და სხვა ლეგალურ შესაძლებლობათა უარყოფა დაკავშირებული იყო «ვპერიოდულობასთან» (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 161). ლენინმა «პრავდაში» გაგზავნა წერილი «ბ-ნ ბოგდანოვისა და «ვპერიოდის» ჯგუფის საკითხისათვის» (იხ. იქვე, გვ. 192 — 194) და მასთან ერთად შენიშვნა ბოგდანოვის მიერ პარტიის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ (ეს შენიშვნა მაშინ არ გამოქვეყნებულა და დღემდე არ არის მოძებნილი). მას შემდეგ, რაც დაწერა სტატია «იდეოლოგია», რომელიც შეიცავდა ბახისტურ შეხედულებათა აშკარა პროპაგანდას, ბოგდანოვი გარიცხეს «პრავდის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან. — **890.**

288 1913 წლის აპრილ-ივნისში «პრავდაში» იბეჭდებოდა გ. ვ. პლეხანოვის სტატიები «ტყეის სეტყვაში (შენიშვნები გაკვრით)». ერთი მათგანი მიმართული იყო ა. ნ. პოტრესოვის წინააღმდეგ: «ბატონი პოტრესოვი ჩემი ბრალდებლის როლში» (№№ 112 და 114 1913 წლის 17 და 19

მაისი). შემდეგ 7 ივნისამდე «პრავდა»ს არ დაუბეჭდია პლეხანოვის სტატიები, ხოლო პოტრესოვი ფელეტონში «საკუთარი წარსულის მარწუხებში (პლეხანოვის შესახებ)», რომელიც დაიბეჭდა №№ 119, 121 და 122 «ლუჩში» 1913 წლის 25, 28 და 29 მაისს, კვლავ «ლაფში სვრიდა» პლეხანოვს. პლეხანოვის წინააღმდეგ პოტრესოვის გამოსვლები ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა სტატიაში «მუშათა პარტია და ლიბერალი მხედრები (პოტრესოვის შესახებ)» (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 23, გვ. 223 — 224). — **391.**

289 «*Bulletin périodique du Bureau Socialiste International*» («საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს პერიოდული ბიულეტენი»), გამოდიოდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ბრიუსელში 1910 — 1914 წლებში. — **393.**

290 «ნ ი კ ი ტ ი ჩ ი ს», ესე იგი ნიკიტიჩთან დაკავშირებული. «ნიკიტიჩი» ლ. ბ. კრასინის რევოლუციური ფსევდონიმია. შესაძლოა საქმე ეხებოდა სოციალ-დემოკრატ ვ. ნ. მალიანტოვიჩს — მოსკოველი ადვოკატის პ. ნ. მალიანტოვიჩის ძმას, — რომელიც ოდესაში ცხოვრობდა 1901 — 1907 წლებში. — **394.**

291 საქმე ეხება ინჟინერ ბ. ნ. სმირნოვს, რომელიც იმ დროს ბერნში ცხოვრობდა. კასპაროვის აზრით, სმირნოვისაგან შეიძლებოდა მიეღოთ ფულადი დახმარება პარტიისათვის. — **398.**

292 «ს ე ვ ე რ ნ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» — ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც ბოლშევიკური «პრავდა» გამოდიოდა 1913 წლის 1 (14) აგვისტოდან 7 (20) სექტემბრამდე. გამოვიდა 31 ნომერი. — **398.**

293 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» — ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი «პრავდა» 1913 წლის 13 (26) ივლისიდან 1 (14) აგვისტომდე. — **398.**

294 «ქ ი ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1913 წლის 11 (24) ივლისიდან; იყო ლიკვიდატორთა გაზეთ «ლუჩის» გაგრძელება. სულ გამოვიდა 19 ნომერი; 1 (14) აგვისტოს გაზეთი დახურეს.

კრიტიკული გარჩევა ვ. ი. ზასულიჩის სტატიისა «ერთი საკითხის გამო» მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაშრომში «როგორ კლავს ვ. ზასულიჩი ლიკვიდატორობას» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 465 — 492). — **398.**

295 «ნ ო ვ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური გაზეთი; პეტერბურგში გამოდიოდა «ქივაია ჟიზნის» ნაცვლად 1913 წლის 8 (21) აგვისტოდან 1914 წლის 23 იანვრამდე (5

თებერვლამდე). ვ. ი. ლენინს მრავალგზის უწოდებია მისთვის «ახალი ლიკვიდატორული გაზეთი». — **398.**

296 «ნ ა შ პ უ ტ» — ლეგალური მუშათა გაზეთი, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1913 წლის 25 აგვისტოს (7 სექტემბერს). ვ. ი. ლენინი აქტიურად მონაწილეობდა გაზეთში. 1913 წლის 12 (25) სექტემბერს გაზეთი დახურეს; სულ გამოვიდა 16 ნომერი. მოსკოველმა მუშებმა გაზეთის დახურვას უპასუხეს გაფიცვით, მაგრამ მისი გამოცემის განახლება ვერ მოხერხდა. — **399.**

297 «ზ ა პ რ ა ვ დ უ» — ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც გამოდიოდა ბოლშევიკური «პრავდა» 1913 წლის 1 (14) ოქტომბრიდან 5 (18) დეკემბრამდე. სულ გამოვიდა 52 ნომერი, აქედან 21 ნომერი კონფისკებული და 2 ნომერი დაჯარიმებული იყო. — **400.**

298 სტატია «მ ა რ ქ ს ი ს ტ თ ა თ ა თ ბ ი რ ი», რომელიც დაიბეჭდა 1913 წლის 12 ოქტომბერს გაზეთ «ზა პრავდუს» № 8-ში, იძლევა დაწვრილებითს ცნობას პარტიულ მუშაკებთან რსდმ ცენტრალური კომიტეტის პორონინის თათბირის შესახებ, რომელიც გაიმართა 1913 წლის 23 სექტემბერს — 1 ოქტომბერს (6 — 14 ოქტომბერს). ამ სტატიის ავტორი იყო მ. ჩერნომაზოვი, რომელიც, როგორც შემდგომში გამოირკვა, საიდუმლო პოლიციის აგენტი ყოფილა. — **400.**

299 საქმე ეხება გ. ი. პეტროვსკის სტატიებს «ჩემი შთაბეჭდილების გამო» (კიევში, ეკატერინოსლავში, ხერსონისა და პოლტავის გუბერნიებში მოგზაურობის შესახებ), «ბინძური ხერხი» (ბეილისის საქმის გამო) და «ყოფილი შემარიგებლის» ნ. ბორინის (ნ. კრესტინსკის) სტატიას «ორი მორალური საზომი». ეს სტატიები არ გადაუბეჭდიათ. — **401.**

300 X — კ. ა. კომაროვსკი (ბ. გ. დანსკი). 1911 წელს იგი შევიდა რსდმ პარტიაში, თანამშრომლობდა «ზვეზდასა» და «პრავდაში», მონაწილეობდა სადაზღვევო მოძრაობაში; 1913 — 1914 წლებში შედიოდა ბოლშევიკური ჟურნალის «ვოპროსი სტრახოვანიას» რედაქციის შემადგენლობაში. ბოლშევიკების **დისკრედიტაციის მიზნით ლიკვიდატორებმა** დანსკის წაუყენეს ბრალდება, რომ მონაწილეობს ბურჟუაზიულ პრესაში. პარტიულმა კომისიამ განიხილა ეს საქმე და დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც დანსკი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში, თავი დაანება ბურჟუაზიულ პრესაში მუშაობას და ამიტომ იგი ცნო პარტიის პატიოსან წევრად, ხოლო ლიკვიდატორთა ბრალდებანი — ცილისმწამებლურად.

კომაროვსკის საკითხი მეორედ განიხილა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ გაზეთ «ზა პრავდუს», ჟურნალების «პროსვეშჩენიეს», «ვოპ-

როსი სტრახოვანიანა» წარმომადგენლები, ექვსი მუშა დეპუტატი, გამომცემლობა «პრიბოის» თანამშრომლები და «ორგანიზებული მარქსისტი მუშების» წარმომადგენელი. 1913 წლის 10 ნოემბრის გაზეთში «ზა პრავდუ» № 32 დაბეჭდა ამ კომისიის დასკვნა სათაურით «ცილისწამების დასასრული», რომელშიც ნათქვამი იყო: «კომისია ვერ ხედავს აბსოლუტურად ვერავითარ დაბრკოლებას, რომ x-მა შემდგომშიც ითანამშრომლოს მარქსისტულ გამოცემებში და იყოს ამხანაგთა წრეში».

კომაროვსკის წინააღმდეგ ლიკვიდატორთა ცილისმწამებლური კამპანიის შესახებ ვ. ი. ლენინი მიუთითებს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ბრიუსელის თათბირზე (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 650). — **401.**

301 «ეოპროსი სტრახოვანია» — ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალი; პეტერბურგში გამოდიოდა ხანგამოშვებით 1913 წლის ოქტომბრიდან 1918 წლის მარტამდე. ჟურნალში მონაწილეობდნენ სადაზღვევო კამპანიის თვალსაჩინო მოღვაწენი—ბოლშევიკები ნ. ა. სკრიპნიკი, პ. ი. სტუჩკა, ა. ნ. ვინოკუროვი, ნ. მ. შვერნიკი და სხვები.—**404.**

302 ვ. ი. ლენინის სტატია «მასალები სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შიგნით არსებული ბრძოლის საკითხისათვის», რომელიც პირველად დაიბეჭდა გაზეთში «ზა პრავდუ» № 22 1913 წლის 29 ოქტომბერს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 544 — 565), მეორედ გაზეთში აღარ დაბეჭდილა. 1914 წელს სტატია გადაიბეჭდა კრებულში «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა» სათაურით «მასალები სათათბიროში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის შექმნის ისტორიისათვის».

გაზეთ № 22 «ზა პრავდუს» კონფისკაცია უყვეს მოწინაღე სტატიისათვის «ბეილისი გამართლებულია». — **406.**

303 საქმე ეხება მ. ჩერნომაზოვის (ფირინის) სტატიას «პასუხი დ. კოლცოვს», რომელიც 1913 წლის 23 ნოემბერს გამოქვეყნდა გაზეთში «ზა პრავდუ» № 42. სტატია იყო პასუხი მენშევიკ კოლცოვის (ბ. გინზბურგის) სტატიაზე «ღია წერილი მ. ფირინს», რომელიც 1913 წლის 20 ნოემბერს დაიბეჭდა № 37 «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში». კოლცოვმა, რომელიც მონაწილეობდა ბოლშევიკთა დეგნაში დასსკის საქმესთან დაკავშირებით (იხ. შენიშვნა 300), ბრალად დასდო ჩერნომაზოვს სიცრუე და ცილისწამება იმის გამო, რომ უკანასკნელმა განაცხადა, თვით კოლცოვი, როცა მსახურობდა ბაქოში ნავთობმრეწველთა ყრილობის საბჭოში, იქ ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორსაც ასრულებდა დასსკი, რომელსაც «ნოვაია რაბოჩაია გაზეტამ» პოლიტიკური ორპირობა დაბრალაო. «სტატიაში «პასუხი დ. კოლცოვს», რომელიც იწყებოდა ბიმართვით «პატივცემულო ამხანაგო», ჩერნომაზოვი წერდა, რომ «უდი-

დესი გულისტკივილით წაიკითხა «ღია წერილი მ. ფირინს», ამართლებდა თავის პოზიციას და ეკამათებოდა კოლცოვს.

ლენინის ეს დოკუმენტი მინაწერია ლ. ბ. კამენევის წერილზე გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციისადმი. — **407.**

304 გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციისადმი წერილი იყო მეორე წერილი, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა, როგორც კი მიიღო პირველი ცნობები რსდმ პარტიის გაერთიანების საკითხზე II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დეკემბრის სესიის გადაწყვეტილებათა შესახებ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 618 — 620).

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დეკემბრის სესიამ, რომელიც ლონდონში გაიმართა 1913 წლის 13 და 14 დეკემბერს (იხ. სტ.), ამ საკითხზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც გერმანიის დელეგაციის სახელით შეიტანა კაუცკიმ. 14 დეკემბერს წარმოთქმულ სიტყვაში კაუცკიმ თავისი რეზოლუციის დასასაბუთებლად განაცხადა, «რუსეთში გაქრა ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიაო». საჭიროა მისი აღდგენა ერთობისადმი რუსი მუშების მისწრაფების საფუძველზე. სტატიებში «კარგი რეზოლუცია და ცუდი სიტყვა» და «კაუცკის შეუწყნარებელი შეცდომის შესახებ» ლენინმა ამხილა რეზოლუციის შინაარსი და კაუცკის სიტყვა შეაფასა როგორც საზარელი სიტყვა (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც, ტომი 19, გვ. 632 — 635 და 654 — 656).

საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად 1914 წლის ივლისში ბრიუსელში გაიმართა თათბირი, რომელზეც II ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა ბოლშევიკებისა და ლიკვიდატორების «შერიგების» საბაბით მოსთხოვეს ბოლშევიკებს შეეწყვიტათ ლიკვიდატორთა კრიტიკა. ბოლშევიკები არ დაემორჩილნენ ამ მოთხოვნას და განაგრძობდნენ შეურიგებელ ბრძოლას ლიკვიდატორებთან, მუშათა მოძრაობის მტრებთან. — **407.**

305 საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დეკემბრის სესიასთან დაკავშირებით ლიკვიდატორთა «ნოვაია რაბოჩაია გაზეტამ» 1913 წლის 3 დეკემბრის № 97-ში დაბეჭდა ლონდონიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო, თითქოს საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ უარყო ბოლშევიკთა მოთხოვნა «ექვსეულის» წარმომადგენლის II ინტერნაციონალის საპარლამენტთაშორისო სექციის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ. ამ დროს კი საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს არ განუხილავს ეს საკითხი, ხოლო ბოლშევიკებს არ წაუყენებიათ ეს მოთხოვნა, რადგან საპარლამენტთაშორისო სექციის წესდებით მასში წარმომადგენლობა ეძლეოდა თითოეული პარლამენტის მხოლოდ ერთ სოციალისტურ ფრაქციას, იმას, რომელსაც მეტი დეპუტატი ჰყავდა. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სახელმწიფო სათათ-

ბიროსაგან სექციის შემადგენლობაში შედიოდა ლიკვიდატორთა «შვიდეულის» წარმომადგენელი, რადგან ლიკვიდატორებს ფორმალური უფლებამოსილება ჰყავდათ. ეს საკითხი დაწვრილებით განხილა ვ. ი. ლენინმა სტატიაში «როგორ იტყუებენ მუშებს ლიკვიდატორები» (იხ. თხზულებანი, მე-5 გამოც., ტომი 24, გვ. 205—307).—**408.**

306 როგორც ჩანს, საქმე ეხება ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ სტატიას საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს დეკემბრის სესიის გადაწყვეტილებისა და იმ ცილისმწამებლური კამპანიის გამო, რომელიც ლიკვიდატორთა გაზეთებმა გააჩაღეს რსდმპ «გამაერთიანებელი» თათბირის მოწვევის შესახებ სესიის რეზოლუციის გარშემო.

პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის კრაკოვის თათბირის გადაწყვეტილებაში «გაზეთ «პრავდის» რედაქციის რეორგანიზაციისა და მუშაობის შესახებ» აღნიშნული იყო, რომ ყველა «სტატია, რომელთა დაბეჭდვა ცენტრალურ კომიტეტს სავალდებულოდ მიაჩნია (პირობითი ხელმოწერით), დაუყოვნებლივ უნდა დაიბეჭდოს» (ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-5 გამოცემა, ტომი 22, გვ. 270). სწორედ ეს პირობითი ხელმოწერა იყო ასოები «ККК». 1913 წლის დეკემბერში რსდმპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე კვლავ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება: «ძალაში რჩება ძველი დადგენილება, რომ სტატიები, რომლებიც ხელმოწერილია სამი პირობითი ასოთი, იბეჭდება დაუყოვნებლივ და უცვლელად» («ისტორიჩესკი არხივ» № 4, 1959, გვ. 42). — **412.**

307 საქმე ეხება დელეგატის წასვლას ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე, რომელიც 1914 წლის 13—26 იანვარს (26 იანვარს — 8 თებერვალს) მიმდინარეობდა ბრიუსელში. სახელდობრ ვის ეხება საქმე, დადგენილი არ არის. — **413.**

308 ვ. ი. ლენინის შეხვედრა ი. რუდის-გიპსლისთან და ი. ე. ვერმანთან გაიმართა ბერლინში, გერმანის ბინაში. — **416.**

309 როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინმა სთხოვა ვ. პ. მილიუტინს გამოეგზავნა მისთვის სტატია «ა. ბოგდანოვის ფილოსოფიის ზოგიერთი ნიშნის შესახებ». ეს სტატია 1914 წლის თებერვალში გამოქვეყნდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 2-ში ვლ. პავლოვის (ვ. პ. მილიუტინის) ხელმოწერით. — **419.**

310 1914 წლის 9 (22) იანვარს ვ. ი. ლენინი პარიზში გამოვიდა სოციალ-დემოკრატთა ორ მიტინგზე, რომლებიც მიეძღვნა 1905 წლის 9 იანვრის წლისთავს. — **420.**

311 ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის წინადღეს, 1914 წლის 25 იანვარს (ახ. სტ.) საღამოს ვ. ი. ლენინმა ყრილობის დელე-

გატებს ბრიუსელში წაუკითხა რეფერატი ეროვნულ საკითხზე, რომელიც უდიდესი ინტერესით ნოისმინეს. მისი შეხვედრა ყრილობის დელეგატებთან უაღრესად გულითადი იყო.

ყრილობა, რომელიც მეორე დღეს გაიხსნა, გარდამტეხი იყო ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. თითქმის ყველა საკითხზე მან მიიღო ბოლშევიკური ხასიათის რეზოლუციები იმ ზოგიერთი შესწორების გარდა, რომელთა გაყვანა მოახერხეს მენშევიკებმა და შემარიგებლებმა. უდიდესი მიღწევა იყო, რომ ყრილობამ აირჩია ბოლშევიკურ პოზიციებზე მდგარი ცენტრალური კომიტეტი, აგრეთვე ბოლშევიკების მომხრეთა ხელში გადავიდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო «Zihna». — **420.**

312 «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ბიულეტენი» გამოიცა პორონინის თაოსნობით გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის, ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაობის შესახებ ინფორმაციისათვის.

№ 1 «ბიულეტენი» ვამოვიდა 1914 წლის იანვარში პარიზში. სახსრების ნაკლებობის გამო მისი გამოცემა შეჩერდა. — **422.**

313 1914 წლის იანვარში ი. თ. პოპოვმა, რომელიც ბრიუსელში იყო, ბელგიის მუშათა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით კავშირი დაამყარა ბელგიელ მეზღვაურებთან, რომლებიც სავაჭრო გემით ანტვერპენიდან რუსეთის სამხრეთ ნავსადგურებში მიდიოდნენ. პოპოვმა სთხოვა მეზღვაურებს რუსეთში წაეღოთ არალეგალური პარტიული გამოცემები. პოპოვის ეს წინადადება ვ. ი. ლენინმა მოიწონა. ბრიუსელში ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობაზე ჩამოსვლის დროს ლენინი შეხვდა ბელგიელ მეზღვაურთა ორ წარმომადგენელს და ესაუბრა რუსეთში რევოლუციური მუშაობის პირობებზე. — **420.**

314 1914 წლის 29 იანვრის (ახ. სტ.) წერილში კ. ჰიუისმანსი გამოთქვამდა სინანულს, რომ ვერ შეხვდა ვ. ი. ლენინს ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის ყრილობაზე, სთხოვდა ლენინს ბრიუსელიდან წასვლამდე პირადად გაეკეთებინა მოკლე მოხსენება რსდმ პარტიაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ, სთავაზობდა, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე ერთმანეთს ბრიუსელის სახალხო სახლში შეხვედროდნენ. — **428.**

315 ვ. ი. ლენინი გაზეთ «Vorwärts»-ს იღებდა ბოლშევიკური გამოცემების სანაცვლოდ. 1914 წლის 4 მარტს (ახ. სტ.) ვ. მ. კასპაროვმა ვ. ი. ლენინს უპასუხა, ვიყავი «Vorwärts»-ის ექსპედიციაში, სადაც მითხრეს, ლიტერატურას ლენინს აკურატულად ვუგზავნით და თუ არ მიუღია, ესე იგი კონფისკაცია უყვესო. — **430.**

316 პრიბოელები — ლეგალური ბოლშევიკური წიგნის გამომცემლობის «პრიბოის» თანამშრომლები. ეს გამომცემლობა პეტერბურგში შეიქმნა 1913 წლის დამდეგს და მუშაობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით. მსოფლიო იმპერიალისტური ომის დასაწყისში იმასთან დაკავშირებით, რომ მეფის მთავრობამ გაიძლიერა მუშათა პრესის დევნა, გამომცემლობა «პრიბოი» იძულებული გახდა შეეწყვიტა საქმიანობა და მუშაობა განაახლა მხოლოდ 1917 წლის მარტში. 1918 წელს გამომცემლობა «პრიბოი» შეუერთდა გამომცემლობა «კომუნისტს», რომელიც შეიქმნა მთელ რიგ გამომცემლობათა («ვოლნა», «ჟიზნ ი ზნანიე» და სხვ.) გაერთიანების შედეგად. — **431.**

317 1914 წლის მარტის ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 3-ში გამოქვეყნდა ლ. კამენევის წერილი ა. ბოგდანოვის წიგნზე «პოლიტიკური ეკონომიის შესავალი», რომელიც წიგნის გამომცემლობა «პრიბოიმ» გამოუშვა. — **431.**

318 «მარქსიზმი და ლიკვიდატორობა. სტატიების კრებული თანამედროვე მუშათა მოძრაობის ძირითად საკითხებზე. ნაწილი II» 1914 წლის ივლისში გამოსცა პარტიულმა გამომცემლობა «პრიბოიმ». კრებულში უნდა ყოფილიყო ორი ნაწილი, რომელთა შინაარსი გამოაცხადა გაზეთმა «პუტ პრავდიმ» 1914 წლის 21 მარტის № 42-ში.

კრებულის პირველი ნაწილი არ გამოსულა. კრებულის მეორე ნაწილის რამდენიმე ათეულ ეგზემპლარს, რომელთა დროულად გატანა სტამბიდან გამომცემლობამ ვერ მოასწრო, კონფისკაცია უყვეს. ტირაჟის ძირითადი ნაწილის გავრცელება მოხერხდა. კრებულის მეორე ნაწილში შევიდა ლენინის 14 ნაშრომი, გარდა წინასიტყვაობისა და დასკვნისა, რომლებიც აგრეთვე მან დაწერა. — **431.**

319 საქმე ეხება თაობირს, რომელიც სანქტ-პეტერბურგში 1914 წლის იანვარში იმასთან დაკავშირებით, რომ გაძლიერდა პრესის დევნა და მზადდებოდა მთავრობის რეაქციული კანონპროექტი პრესის შესახებ. თათბირზე გადამწყვეტი როლი შეასრულეს ლიბერალთა და ლიკვიდატორთა წარმომადგენლებმა; თათბირმა მიიღო ლიბერალური რეზოლუცია — **431.**

320 საქმე ეხება სახსრების შეგროვებას პარტიის ყრილობის მოსაწყობად. ფულადი სუბსიდიის შესახებ შეთანხმება არსებობდა პროგრესისტთა ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიის ზოგიერთ ლიდერთან, კერძოდ ა. ი. კონოვალოვთან («პრიანიკი») (იხ. ჟურნალი «ისტორიჩესკი არხივ» № 6, 1958, გვ. 8 — 13). — **436.**

321 1914 წლის 3 მარტს (ახ. სტ.) კ. ჰიუისმანსმა წერილი გაუგზავნა ვ. ი. ლენინს, რომელშიც სთხოვდა, რაც შეიძლება მალე გაეგზავნა

თავისი მოხსენება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსთვის. ამასთან ეცნობებინა, რომ მიიღო ლიკვიდატორებისაგან ინფორმაცია რსდმ პარტიის მდგომარეობის შესახებ. — **437.**

322 1914 წლის 12 მარტის (ახ. სტ.) წერილში ი. რუდის-გიპსლისი აკრიტიკებდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის ზოგიერთი რეზოლუციის შემარიგებელურ ხასიათს და განსაკუთრებით შემარიგებლების ი. იანსონ — ბრაუნის წინადადებას, რომელიც შეტანილი იყო რეზოლუციაში რსდმ პარტიისადმი დამოკიდებულების შესახებ. ეს წინადადება ავალებდა ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიას დროებით, «სანამ გაერთიანების საქმეს მტკიცე ნიადაგი არ ექნებოდა», ორგანიზაციულად არ დაკავშირებოდა არც ცენტრალურ კომიტეტს, არც საორგანიზაციო კომისიას. ი. რუდის-გიპსლისი იტყობინებოდა, რომ ადგილებზე ამხანაგები აგრეთვე უკმაყოფილო არიან ყრილობის შემარიგებლური რეზოლუციებით და მიაჩნიათ, რომ უნდა განაგრძონ ბრძოლა შემარიგებელთა წინააღმდეგ. — **438.**

323 სტატიები ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის IV ყრილობის შესახებ, სადაც მოცემული იყო ციტატები ყრილობის რეზოლუციებიდან, გამოქვეყნდა 1914 წლის 30 მარტის № 50 «პუტ პრავდის» დამატებაში სათაურით «ბალტიისპირეთის მხარე». — **439.**

324 1914 წლის 10 მარტის (ახ. სტ.) წერილში კ. ჰიუისმანსი სთხოვდა ი. თ. პოპოვს, რაც შეიძლება მალე გადაეცა ვ. ი. ლენინის მოხსენება საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსათვის

იმავე დღეს ჰიუისმანსმა წერილი გაუგზავნა ლენინს, რომელშიც ბოდიშს იხდიდა თავისი წინა არაოფიციალური წერილის ირონიული ტონისათვის. — **440.**

325 სადაზღვევო საბჭოს არჩევნები პეტერბურგში გაიმართა 1914 წლის 2 (15) მარტს. არჩევნების გამო გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა, ერთი მხრივ, ბოლშევიკებსა და მეორე მხრივ, ლიკვიდატორებსა და ესერებს შორის. სადაზღვევო საბჭოს არჩევნებზე ლიკვიდატორებმა სრული დამარცხება განიცადეს: კრებაში მონაწილე ამრჩევთა სამმა მეოთხედმა მხარი დაუჭირა ბოლშევიკთა განაწესს და უარყო ლიკვიდატორთა და ესერთა ბლოკის განაწესი. ლიკვიდატორთა დამარცხება ცხადყო აგრეთვე სრულიად რუსეთის სადაზღვევო დაწესებულების არჩევნებმაც. 57 რწმუნებულიდან 82%-ს პრავდისტები შეადგენდნენ. — **441.**

326 ქალბატონი კაიო — საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწის, რადიკალის, 1913 წელს ფინანსთა მინისტრის — ჟოზეფ კაიოს ცოლი. იმ დევნის პასუხად, რომელიც ჟ. კაიოს წინააღმდეგ წამოიწყო გაზეთ **«Le Fiqaro»** («ფიგაროს») რედაქტორმა ნაციონალისტმა კალმეტმა,

ქალბატონმა კაიომ 1914 წლის მარტში რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დაჭრა კალმეტი. ამასთან დაკავშირებით ქ. კაიო იძულებული გახდა გადამდგარიყო. — **441.**

327 *«Sozialistische Monatshefte»* («სოციალისტური ყოველთვიური») — ჟურნალი, გერმანელ ოპორტუნისტთა მთავარი ორგანო და საერთაშორისო რევიზიონიზმის ერთ-ერთი ორგანო; გამოდიოდა ბერლინში 1897 წლიდან 1933 წლამდე. პირველი მსოფლიო ომის დროს (1914 — 1918) ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **445.**

328 კრებული «ნ ა ჩ ა ლ ო» სარატოვში გამოვიდა 1914 წელს. ამ კრებულში პირველი იყო ნ. ვლადიმიროვის სტატია «შეხვედრები და ფიქრები», რომელშიც აღწერილი იყო შეხვედრები გ. ვ. პლეხანოვთან, პ. ბ. აქსელროდთან, ვ. ი. ლენინთან, ლ. მარტოვთან, ა. ნ. პოტრესოვთან და ა. მ. გორკისთან. — **440.**

329 საქმე ეხება კამპანიას, რომელიც «ეპერიოდის» ჯგუფმა და გ. ა. ალექსინსკიმ წამოიწყეს რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის წევრის ა. ვ. ანტონოვის (ბრიტმანის) წინააღმდეგ, რომელსაც აბრალებდნენ, რომ თანამეპროცესენი გასცა 1906 წელს რსდმპ კრონშტადტის ორგანიზაციის საქმის გამო დაკითხვის დროს. ეს ბრალდება, როგორც დაუსაბუთებელი, გაუქმდა ჯერ კიდევ 1907 წელს ათი კატორღელის (ბოლშევიკების, მენშევიკებისა და უპარტიოების) კომისიის გადაწყვეტილებით. ამ კომისიაში შედიოდა ანტონოვთან ერთად პროცესში მონაწილე ექვსი კაცი. კომისიის გადაწყვეტილება იმავე წელს ეცნობა ვ. ი. ლენინსა და რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც ანტონოვი უდანაშაულოდ მიაჩნდა და არაფრით არ შეუზღუდავს მისი, როგორც პარტიის წევრის, უფლებები. 1912 — 1914 წლებში ალექსინსკიმ კვლავ აღძრა «ანტონოვის» საქმე, რათა გამოეყენებინა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს «ხელს აფარებდნენ მოღალატეს».

1914 წლის 18 აპრილს (ახ. სტ.) რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვა გულისწყრომა ალექსინსკის მოქცევის გამო და განაცხადა, რომ წყვეტს მასთან ყოველგვარ ურთიერთობას. 1914 წლის 10 ივნისს საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტმა თავის რეზოლუციაში მოუწოდა პარიზის სოციალისტურ ორგანიზაციებსა და ყველა პარტიულ ცენტრს (რუსეთისა და ეროვნულ ცენტრებს) საკადრისი პასუხი გაეცათ ალექსინსკისა და «ეპერიოდის» ჯგუფის წევრების პროვოკაციული გამოხდომებისათვის, არ მიეჩნიათ «ეპერიოდის» ჯგუფი პოლიტიკურ ორგანიზაციად და არ ჰქონოდათ მასთან რაიმე ურთიერთობა. საზღვარგარეთის ორგანიზაციის კომიტეტის ამ რეზოლუციას 20 ივნისს შეუერთდა რსდმპ საზღვარგარეთის ორგანიზაციის პარიზის სექციის საერთო კრება. ამ ფაქ-

ტის შესახებ ვ. ი. ლენინი წერს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ბრიუსელის თათბირისადმი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 651). — **446.**

330 ვ. ი. ლენინის დეპეშა გაიგზავნა მუშათა პრესის დღის დღესასწაულის გამო, რომელიც დაუკავშირეს გაზეთ «პრავდის» ორი წლისთავს. — **447.**

331 1914 წლის 3 მაისს (ახ. სტ.) თ. ნ. სამოილოვმა ვ. ი. ლენინს მისწერა წერილი, რომელშიც შეატყობინა, რომ იმყოფება ბერნის ქალაქის სანატორიუმში, რომ ექიმი — ნერვიულ დაავადებათა სპეციალისტი — ურჩევს ცოტ-ცოტა ხელი მიჰყოს ფიზიკურ შრომას.

12 მაისს გ. ლ. შკლოვსკიმ ლენინს შეატყობინა, რომ სამოილოვს უშოვნა სამუშაო სუფთა ჰაერზე. — **447.**

332 «ც ი ნ ი ა» («Zihna» — («ბრძოლა») — გაზეთი, ლატვიელთა სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; დაარსდა 1904 წლის მარტში. 1909 წლის აგვისტომდე გამოდიოდა არალეგალურად, დიდი შეალედებით, რიგაში, შემდეგ — საზღვარგარეთ. 1917 წლის აპრილიდან «Zihna» ლეგალურად გამოდიოდა პეტროგრადში როგორც ლატვიის ბოლშევიკთა ცენტრალური ორგანო, შემდეგ რიგასა და სხვა ქალაქებში. 1919 წლის აგვისტოდან ლატვიაში კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვების შემდეგ, კვლავ არალეგალურად გამოდიოდა რიგაში. 1940 წლის ივნისში ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო გახდა. — **449.**

333 როგორც ჩანს, საქმე ეხება ნ. რუბაკინის წიგნის «წიგნებს შორის» II ტომს, რომელზეც ვ. ი. ლენინმა დაწერა რეცენზია. ეს რეცენზია 1914 წლის აპრილში დაიბეჭდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეში» № 4 (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 309 — 312). პირველი ტომი კი, როგორც წერილიდან ჩანს, ლენინს არ ჰქონია. — **450.**

334 საქმე ეხება საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე წასვლას, რომელიც ვენაში უნდა გამართულიყო 1914 წლის აგვისტოში. — **451.**

335 1914 წლის მაისში რ. ვ. მალინოვსკი, რომელსაც მხილებისა ეშინოდა და ამიტომ დეპუტატის რწმუნებულობაზე უარი თქვა, საზღვარგარეთ წავიდა. შემდგომში გამოირკვა, რომ მალინოვსკი პროვოკატორი ყოფილა; 1918 წელს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უმაღლესი ტრიბუნალის განაჩენით მალინოვსკი დახვრიტეს. — **451.**

336 «ე დ ი ნ ს ტ ვ ო» — ლეგალური გაზეთი, რომელსაც გამოსცემდა გ. ვ. პლეხანოვის მეთაურობით პარტიულ მენშევიკთა და ბოლშევიკ-შემა-

რიგებელთა ჯგუფი პეტერბურგში 1914 წლის მაისიდან ივნისამდე; გამოვიდა 4 ნომერი. — **454.**

337 რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით «პოლონეთის ოპოზიცია» (ი. ს. განეცკი, ა. მ. მალეცკი და სხვ.) საერთაშორისო სოციალისტურმა ბიურომ მიიწვია ბრიუსელის «გამაერთიანებელ» თათბირზე. — **457.**

338 იგულისხმება ოქმები რსდმპ მეოთხე (გამაერთიანებელი) ყრილობისა, რომელიც გაიმართა 1906 წლის აპრილ-მაისში სტოკჰოლმში.

1914 წლის მარტის ჟურნალ «ნაშა ზარიას» № 3-ში გამოქვეყნდა ფ. ა. ბულკინისა და ლ. მარტოვის სტატიები ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბულკინისა და მარტოვის გამოსვლები ვ. ი. ლენინმა მკაცრად გააკრიტიკა სტატიებში «იდეური ბრძოლა მუშათა მოძრაობაში», «ჰლეხანოვი, რომელმაც არ იცის რა უნდა», «ერთიანობის დარღვევა, რასაც ფარავენ ყვირილით», «მუშების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბრძოლის ხერხები» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20. გვ. 331 — 335, 372 — 376, 393 — 422, 561 — 602). — **458.**

339 საქმე ეხება ვენის საერთაშორისო ქალთა კონფერენციის დელეგატებს. კონფერენცია დანიშნული იყო 1914 წლის აგვისტოში, ბაგრამ ომის გამო გაიმართა ბერნში 1915 წლის 26 — 28 მარტს. — **462.**

340 «ს ტ ო ი კ ა ი ა მ ი ს ლ» — ერთ-ერთი სახელწოდება მემარცხენე ნაროდნიკული (ესერული) გაზეთისა «ტრუდოვოი გოლოს». გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წელს სამჯერ კვირაში. — **466.**

341 1914 წლის 4 (17) აპრილს რსდმპ პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით პეტერბურგში გაიმართა დემონსტრაცია პეტერბურგელ ქარხნის მფლობელთა მიერ გამოცხადებული ლოკაუტის პასუხად. დემონსტრაცია დაუკავშირეს ლენის დახვრეტის მეორე წლისთავს. ამ დღეს გაზეთში «პუტ პრავდი» სარედაქციო სტატიად გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის სტატია «მუშათა მოძრაობის ფორმების შესახებ (ლოკაუტ და მარქსისტული ტაქტიკა)» (იხ. თხზულებანი მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 248 — 252). ბრიუსელის თათბირზე რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ლენინმა დიდი ადგილი დაუთმო ამ დემონსტრაციის მნიშვნელობის გაშუქებას და ამხილა ლიკვიდატორთა საქციელი (იხ. იქვე, გვ. 630 — 635). — **466.**

342 «ს ე ვ ე რ ნ ა ი ა რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური გაზეთი; «ნოვაია რაბოჩაია გაზეტას» ნაცვლად გამოდიოდა პეტერბურგში 1914 წლის 30 იანვრიდან (12 თებერვლიდან) 1 (14) მაისამდე. — **467.**

343 «ტ რ უ დ ო ვ ა ი ა პ რ ა ვ დ ა» — ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც მეფის მთავრობის მიერ დევნილი ბოლშევიკური გაზეთი «პრავდა» გამოდიოდა 1914 წლის 23 მაისიდან (5 ივნისიდან) 8 (21) ივლისამდე. გამოვიდა 35 ნომერი. — **467.**

344 1914 წლის 12 და 19 ივლისს შუა (ახ. სტ.) პორონინში მიმდინარეობდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სხდომები ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით და რუსეთიდან ჩამოსული გ. ი. პეტროვსკის, ა. ს. კისელიოვის, ნ. პ. გლებოვ-ავილოვისა და ა. ნ. ნიკიფოროვას მონაწილეობით. სხდომები მიეძღვნა უმთავრესად პარტიული ყრილობის მომზადების — მისი მოწვევის დროის, საზღვარზე მისი დელეგატების გადმოყვანის საშუალებებისა და სხვ. საკითხებს. მაგრამ მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა, რომელიც მაშინ დაიწყო, ხელი შეუშალა ყრილობის მოწვევას. — **478.**

345 იგულისხმება თათბირი, რომელიც 1914 წელს მოიწვიეს საორგანიზაციო კომისიამ, «ვპერიოდისა» და «ედინსტვოს» ჯგუფებმა, ბუნდმა, პოლონეთისა და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატიის მთავარმა სამმართველომ, პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ და სხვებმა.—**474.**

346 რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ი დ ღ ე ე ბ ი რ უ ს ე თ შ ი — გაფიცვებისა და დემონსტრაციების დღეები, რომლებიც მოეწყო პეტერბურგში, ბაქოში, რიგასა და სხვა ქალაქებში 1914 წლის ივლისის განმავლობაში. — **475.**

347 «*Berliner Tageblatt und Handelszeitung*» («ბერლინის ყოველდღიური ფურცელი და სავაჭრო გაზეთი») — გერმანული ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა 1872 — 1939 წლებში. — **475.**

348 «რ ა ბ ო ჩ ი» — ერთ-ერთი სახელწოდება, რომლითაც გამოდიოდა მეფის მთავრობის მიერ დევნილი ბოლშევიკური «პრავდა» 1914 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან) 7 (20) ივლისამდე. გამოვიდა 9 ნომერი. — **480.**

349 უპასუხებდა რა ლენინის შეკითხვებს, რომლებიც მის წერილში იყო დასმული, ი. რუდის-გიპსლისი 1914 წლის 29 ივლისს წერდა, რომ მომხრეა. ლატვიელებს მართლაც ჰყავთ «მემარცხენე ოპოზიცია» ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ და იგი, გიპსლისი მისი მომხრეა; ოპოზიციის გამოსვლები ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ უაღრესად ლოიალურია, ლატვიელთა ცენტრალური კომიტეტი მემარცხენდება. გიპსლისი იტყობინებოდა, რომ არა მარტო რიგის უდიდეს მე-4 რაიონს, არამედ ყველა შეგნებულ ლატვიელ მუშას საჭიროდ მიაჩნია უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება რუსეთის ცენტრალურ კომიტეტთან, რომ ბუნდს ლატვიელ მუშებზე სულ უმნიშვნელო გავლენა აქვს

და მათი უმრავლესობა «ყოველთვის მხარს დაუჭერს რუს ამხანაგთა ენერგიულ და დაუნდობელ ბრძოლას სეპარატისტების, ნაციონალისტებისა და ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ვინც უნდა იყვნენ ისინი». გიპსლისი წერდა, რომ მიიღო «14 პირობა», რომლებიც ლენინმა ჩამოაყალიბა ბრიუსელის «გამაერთიანებელი» თათბირისათვის. — **482**.

350 იგულისხმება «რეზოლუცია ეროვნულ საკითხზე», რომელიც მიიღეს პარტიულ მუშაკებთან რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის ზაფხულის თათბირზე (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 19, გვ. 505 — 507). — **484**.

351 საქმე ეხება გ. ვ. პლეხანოვის სტატიას «ახალი აღმავლობა», რომელიც დაიბეჭდა მენშევიკებისა და შემარიგებლების პარიზის ჯგუფების ფურცლის «ზა პარტიუს» № 5-ში. 1914 წლის 1 მარტს «Vorwärts»-ის № 59-ში დაიბეჭდა ამ სტატიის პირველი ნაწილის თარგმანი. — **485**.

352 კრაკოვის პოლიციის დირექტორს ლენინმა დეპეშა გაუგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ 1914 წლის 7 აგვისტოს დაბეზოობის შედეგად, რომლითაც ჯაშუშობას აბრალებდნენ, გაჩხრიკეს მისი ბინა დაბა პორონინში. ჩხრეკის დროს ჟანდარმთა ვახმისტრმა წაიღო ვ. ი. ლენინის ხელნაწერი აგრარულ საკითხზე, ვინაიდან ეგონა, რომ ხელნაწერში მოყვანილი სტატისტიკური ცხრილები დაშიფრული ჩანაწერი იყო. და დაავალა მეორე დილას გამოცხადებულიყო სამაზრო ქალაქ ნოვი-ტარგში, სადაც სამხედრო ხელისუფლები იყვნენ. მეორე დღეს, ნოვი ტარგში ჩასვლისას, ლენინი დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. ლენინის დაპატიმრებამ პოლონეთის საზოგადოებრიობის პროგრესული ფენების აქტიური პროტესტი გამოიწვია. მის დასაცავად გამოვიდნენ პოლონელი სოციალ-დემოკრატები ი. ს. განეცკი, ს. ი. ბაგოცკი, ძველი ნაროდოვოლეცი, ზაკოპანელი ექიმი დლუსკი, ცნობილი პოლონელი მწერლები იან კასპაროვიჩი, ვლადისლავ ორკანი და სხვ. ნ. კ. კრუპსკაიას თხზენით, ავსტრიის პარლამენტის დეპუტატებმა ვიქტორ ადლერმა და გერმან დიამანდმა, რომლებიც ლენინს იცნობდნენ როგორც საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს წევრს, მთავრობას მიმართეს და თავდებად დაუდგნენ. ჯაშუშობის ბრალდება იმდენად სულელური იყო, რომ კრაკოვის პოლიციამ აღიარა: «ულიანოვის წინააღმდეგ აქ არაფერი საძრახისი არ არისო», და 19 აგვისტოს ვლადიმერ ილიას ძე გაათავისუფლეს. — **486**.

353 საქმე ეხება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტს «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკატია» და «პასუხი ე. ვანდერველდეს», რომელთა დაბეჭდვა ვ. ი. ლენინს განზრახული ჰქონდა ფრანგულ ენაზე კაზეთ «La Sentinelle»-ში.

«La Sentinelle» («გუშაგი») — გაზეთი, შვეიცარიის ნეუშატელის კანტონის (საფრანგეთის შვეიცარია) სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ორგანო; დაარსდა 1890 წელს. პირველი მსოფლიო ომის წლებში გაზეთს ეკავა ინტერნაციონალისტური პოზიცია. 1914 წლის 13 ნოემბერს გაზეთის № 265-ში შემოკლებით დაიბეჭდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია».

პასუხი ე. ვანდერველდეს სათათბიროს რსდმპ ფრაქციისადმი გაგზავნილ დეპეშაზე დაიბეჭდა 1914 წლის 1 ნოემბერს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 33-ში. — **487.**

354 ლაპარაკია ოზერკაში, პეტროგრადის მახლობლად, გამართული კონფერენციის მონაწილე ბოლშევიკთა დაპატიმრებაზე, რომელთა შორის იყვნენ IV სახელმწიფო სათათბიროს რსდმ ფრაქციის წევრები.

კონფერენცია ოზერკაში მიმდინარეობდა 1914 წლის 2 — 4 (15 — 17) ნოემბერს. IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბოლშევიკების გარდა კონფერენციას ესწრებოდნენ პეტროგრადის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ხარკოვისა და რიგის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კონფერენციის ყველა მონაწილე დააპატიმრეს, გარდა დეპუტატ-ბოლშევიკებისა, რომლებიც დაპატიმრებას გადაურჩნენ დეპუტატის ხელშეუხებლობის გამო. მაგრამ ორი დღის შემდეგ ისინიც დაპატიმრეს, მერე კი სამართალში მისცეს და სამუდამოდ გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში (იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «რა დამტკიცა რსდმ ფრაქციის გასამართლებამ?» — თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 195 — 202). — **498.**

355 პეტერბურგელ ლიკვიდატორთა (ვ. ბ. მასლოვის, ა. ნ. პოტრესოვის, ნ. ჩერევანინის (ფ. ა. ლიპკინი) და სხვ.) პასუხი ე. ვანდერველდეს იმ დეპეშაზე, რომლითაც მოუწოდებდა რუს სოციალ-დემოკრატებს წინააღმდეგობა არ გაეწიათ ომისათვის. თავიანთ პასუხში ლიკვიდატორები ამართლებდნენ ბელგიელ, ფრანგ და ინგლისელ სოციალისტთა შესვლას ბურჟუაზიულ მთავრობებში, მთლიანად იწონებდნენ სოციალ-შოვინისტთა პოზიციას და აცხადებდნენ, რომ თავიანთი საქმიანობით რუსეთში ისინი წინააღმდეგობას არ უწევენ ომს. ლიკვიდატორთა პასუხი დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატის» № 34-ში რედაქციის შენიშვნებით. — **494.**

356 იგულისხმება რეზოლუცია «ჟენევაში და მის მახლობლად მცხოვრებ ქართველ სოციალ-დემოკრატთა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა პასუხი ერთ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს ერთ-ერთ მეომარ სახელმწიფოში». ამ

ორგანიზაციამ ქართველ ბოლშევიკებს მიმართა წინადადებით — გამოეყენებინათ ომი ცარიზმის მიერ ჩაგრული ერების გაერთიანებისა და ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს მფარველობითა და მატერიალური მხარდაჭერით რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებათა მოწყობის მიზნით. თავიანთ პასუხში ქართველმა ბოლშევიკებმა უარყვეს ეს წინადადება, შეაფასეს რა იგი იმპერიალისტთა მხრივ როგორც პროვოკაცია.

რეზოლუციის ტექსტი ლენინის შენიშვნებით დაიბეჭდა 1931 წელს ლენინის XVII კრებულში, გვ. 321 — 322. — **496.**

357 იგულისხმება მენშევიკური ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენლის ი. ლარინის გამოსვლა შვეიცის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც იმიდინარეობდა სტოკჰოლმში 1914 წლის 23 ნოემბერს. იხ. ამის შესახებ ვ. ი. ლენინის სტატიები «როგორი «ერთიანობა»

ოცადა ლარინმა შვეიცის ყრილობაზე?» და «შემდეგ რა? (ბუნდოვანი პარტიების ამოცანებზე ოპორტუნიზმისა და სოციალ-შოვინიზმის მიმართ)» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 126—128, 116 — 125) — **497.**

358 ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენიებული შვეიცის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობა, მიმდინარეობდა სტოკჰოლმში 1914 წლის 23 ნოემბერს. ყრილობის მთავარი საკითხი იყო ომისადმი დამოკიდებულების საკითხი. ყრილობას რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მიესალმა ა. გ. შლიაპნიკოვი, მან წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც შვეიცელ მოწოდებას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ საბრძოლველად და გმობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და სოციალ-შოვინიზმის გზაზე დამდგარი სხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიების ლიდერთა ღალატს. ანგარიში ყრილობის მუშაობის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატში», № 36, 1915 წლის 9 იანვარს. — **498.**

359 იგულისხმება ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტთა კონფერენცია, რომელიც მოწვეულ იქნა პ. ტრულსტრასა და ტ. სტაუნინგის ინიციატივით. კონფერენცია მიმდინარეობდა კოპენჰაგენში 1915 წლის 17—18 იანვარს. მას ესწრებოდნენ შვეიცის, დანიის, ნორვეგიისა და ჰოლანდიის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები, კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ნეიტრალური ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს აეძულებინათ მთავრობები, შუამავლობა ეკისრათ მეომარ ქვეყნებს შორის და დაეჩქარებინათ მშვიდობის აღდგენა. ზოგიერთმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ კონფერენციას წარუდგინა თავისი დეკლარაციები ომისადმი დამოკიდებულების შესახებ. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სახელით

კონფერენციას გადაეცა «სოციალ-დემოკრატის» № 33, რომელშიც დაბეჭდილი იყო მანიფესტი «ომი და რუსეთის სოციალ-დემოკრატია» და მთავრობის ცნობა სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბოლშევიკების დაპატიმრების შესახებ. — **498.**

360 «გ ო ლ ო ს» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პარიზში 1914 წლის სექტემბრიდან 1915 წლის იანვრამდე, როცა დახურა საფრანგეთის მთავრობამ. — **508.**

361 იგულისხმება ნ. კ. კრუპსკაიას წერილი ა. ლ. რიაზანოვასადმი, რომელშიც სთხოვდა შეეტყობინებინა ავსტრიელი სოციალისტი ქალებისათვის, რომ აპირებენ ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევას. — **508.**

362 იგულისხმება «სოციალ-დემოკრატის» № 36-ის სათაურში შეცდომით აღნიშნული თარიღის შესწორება. «სოციალ-დემოკრატის» № 39-ის ბოლოს დაიბეჭდა შემდეგი შესწორება: «№ 36-ის სათაურში უნდა იკითხებოდეს: ჟენევა, 1915 წლის 9 იანვარი (და არა 1914 წლის 12 დეკემბერი)». — **504.**

363 «ს ა მ თ ა შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ი ს» ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ თ ა ლ ო ნ დ ო ნ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა გაიმართა 1915 წლის 14 თებერვალს. კონფერენციის დღის წესრიგში იყო საკითხები: 1) ერთა უფლებანი, 2) კოლონიები; 3) მომავალი მშვიდობის გარანტიები.

ბოლშევიკები კონფერენციაზე მიწვეული არ ყოფილან, მაგრამ ვ. ი. ლენინის დავალებით იქ გამოცხადდა მ. მ. ლიტვინოვი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დეკლარაციის გამოსაქვეყნებლად. დეკლარაციას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი. დეკლარაციის გამოქვეყნების დროს ლიტვინოვს ლაპარაკი შეაწყვეტინეს და სიტყვა წაართვეს. მან გადასცა პრეზიდიუმს დეკლარაციის ტექსტი და დატოვა კონფერენცია. ლონდონის კონფერენციის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინის სტატიები «ლონდონის კონფერენციის შესახებ» და «ლონდონის კონფერენციის გამო» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 147 — 150; 203 —206). — **508.**

364 ი გ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ა რ ს დ მ პ ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ უ ლ ი ს ე ქ ც ი ე ბ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა, რომელიც გაიმართა ბერნში 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს. იგი მოწვეულ იქნა ლენინის ინიციატივით და ჰქონდა საერთო-პარტიული კონფერენციის მნიშვნელობა. კონფერენციის დღის წესრიგის ძირითადი პუნქტი იყო საკითხი ომისა და პარტიის ამოცანების შესახებ. მოხსენება ამ საკითხებზე გააკეთა ლენინმა.

კონფერენციის ყველა ძირითადი რეზოლუცია და მათი შესავალი ლენინის მიერ იყო დაწერილი. ისინი დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკ-

რატში» და დანართის სახით — ვ. ი. ლენინის ბროშურაში «სოციალიზმი და ომი», რომელიც გამოიცა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ბერნის კონფერენციის რეზოლუციები გამოიცა აგრეთვე ფრანგულ ენაზე ცალკე ფურცლად, რომელიც დაურიგდათ ციმერვალდის სოციალისტური კონფერენციის დელეგატებს და გაეგზავნათ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ელემენტებს. კონფერენციის რეზოლუციები იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 180 — 187. — **507.**

865 იგულისხმება 1915 წლის 27 თებერვალს — 4 მარტს ბერნში მოწვეულ რსდმპ საზღვარგარეთული სექციების კონფერენციაზე განხილული რეზოლუციის პროექტის — «ცენტრალური ორგანო და ახალი გაზეთი» — მესამე პუნქტი. — **508.**

366 იგულისხმება ი. თ. არმანდის მიერ ჟურნალ «რაბოტნიცას» საზღვარგარეთული ნაწილის სახელით დაწერილი წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ აპირებენ მოაწყონ მემარცხენე სოციალისტ ქალთა კონფერენცია, და იწვევდა ამ კონფერენციის დელეგატად ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს.

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მიმდინარეობდა ბერნში 1915 წლის 26 — 28 მარტს. იგი მოწვეულ იქნა ჟურნალ «რაბოტნიცას» საზღვარგარეთული ორგანიზაციის ინიციატივით, კლარა ცეტკინის უშუალო მონაწილეობით, რომელიც მაშინ სოციალისტ ქალთა საერთაშორისო ბიუროს თავმჯდომარე იყო. კონფერენციის მოწვევისათვის მთელ მოსამზადებელ მუშაობას ეწეოდნენ ი. თ. არმანდი, ნ. კ. კრუპსკაია და სხვანი ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით.

ქალთა საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მასალები დაიბეჭდა 1915 წლის 1 ივნისს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 42-ის დამატებაში. — **509.**

67 იგულისხმება ბროშურა: Gorter, H. «Het Imperialisme, de Wereldoorlog en de Social-Democratie» (ჰ. გორტერი, «იმპერიალიზმი, მსოფლიო ომი და სოციალ-დემოკრატია»). ამსტერდამი. — **509.**

368 «კომუნისტში» სათანამშრომლოდ ლ. დ. ტროცკის მიწვევა გაუგზავნეს გ. ლ. პიატაკოვმა და ე. ბ. ბოშმა, ვ. ი. ლენინის აზრის საწინააღმდეგოდ. მოწვევის პასუხად ტროცკიმ 1915 წლის 4 ივნისს «ნაშე სლოვოს» № 105-ში დაბეჭდა «ღია წერილი ჟურნალ «კომუნისტის» რედაქციას», რომელშიც უარი თქვა თანამშრომლობაზე და დაუშვა თავშეუკავებელი გამოხდომები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ჟურნალი «კომუნისტი» შექმნა ვ. ი. ლენინმა და გამოსცემდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია გ. ლ. პიატაკოვსა და ე. ბ. ბოშთან ერთად, რომლებიც აფინანსებდნენ მის გამოცემას. ჟურ-

ნალის რედაქციაში შედიოდა აგრეთვე ნ. ი. ბუხარინი. გამოვიდა ჟურნალის ერთი (ორმაგი) ნომერი.

ლენინი ვარაუდობდა გადაექცია «კომუნისტი» მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა ორგანოდ. მაგრამ მალე გამოვლინდა «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის სერიოზული უთანხმოება ბუხარინთან, პიატაკოვსა და ბომთან, რაც გამწვავდა ჟურნალის № 1 — 2-ის გამოსვლის შემდეგ.

«ნ ა შ ე ს ლ ო ვ ო» — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ტროცკის უშუალო მონაწილეობით პარიზში 1915 წლის იანვრიდან 1916 წლის სექტემბრამდე გაზეთ «გოლოსის» ნაცვლად. — **514.**

369 იგულისხმება ნევშატელის ბიბლიოთეკის პასუხი ვ. ი. ლენინის თხოვნაზე—გაეგზავნათ მისთვის წიგნები ზაორენბერგში. — **514.**

370 იგულისხმება «ცნობა ჟურნალ «კომუნისტის» გამოცემის შესახებ», რომელიც, როგორც ჩანს, დაწერილია ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით. «ცნობა» დაიბეჭდა ცალკე ფურცლად, რომელიც დათარიღებულია 1915 წლის 20 მაისით, და დაეგზავნათ რსდმპ ორგანიზაციებს რუსეთში და საზღვარგარეთ, აგრეთვე დასავლეთ ევროპის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს. «ცნობის» ტექსტი სათაურით «რედაქციისაგან» დაიბეჭდა აგრეთვე ჟურნალ «კომუნისტში». — **515.**

371 იგულისხმება სტატია «დემაგოგია და მომიჯნეობა», რომელიც დაიბეჭდა «რსდმპ ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს უწყებების» № 2-ში 1915 წლის 14 ივნისს. — **515.**

372 «ნ ა შ ე დ ე ლ ო» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველთვიური ორგანო; გამოვიდა 1915 წლის იანვარში, ნაცვლად 1914 წლის ოქტომბერში დახურული ჟურნალისა «ნაშა ზარია». «ნაშე დელო» იყო სოციალ-შოვინისტთა მთავარი ორგანო რუსეთში.

ჟურნალის მეორე ნომერი ლენინმა ფართოდ გამოიყენა ნაშრომში «სხვისი დროშით» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 151—179). — **515.**

373 ეტყობა, იგულისხმება ე. ფ. როზმიროვიჩი, გ. ლ. პიატაკოვი, ე. ბ. ბოში, რომლებიც 1915 წლის ივლისში ეწვივნენ ვ. ი. ლენინს ზაორენბერგში ჟურნალ «კომუნისტის» შესახებ მოსალაპარაკებლად. — **518.**

374 ლენინს მხედველობაში აქვს კ. რადეკის სტატია «იმპერიალიზმის განვითარების მვოთხედი საუკუნე» (მისი პირველი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ «კომუნისტის» № 1 — 2-ში). — **518.**

375 ჩ ხ ე ი ძ ი ს ფ რ ა ქ ც ი ა — IV სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკური ფრაქცია ნ. ს. ჩხეიძის მეთაურობით, — ეკავა ცენტრისტული პოზიციები, სინამდვილეში კი ყოველნაირად მხარს უჭერდა რუს სოციალ-შოვინისტთა პოლიტიკას. ჩხეიძის ფრაქციის ოპორტუნისტული ხაზი

ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა სტატიებში «ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი», «აქვთ თუ არა საკუთარი ხაზი ორგანიზაციულ კომიტეტსა და ჩხეიძის ფრაქციას?» და სხვა ნაწარმოებებში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 219—224 და ტომი 22, გვ. 157—164). — **518.**

376 ლაპარაკია პ. მასლოვის წიგნზე «მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები», რომელიც 1915 წელს გამოვიდა მოსკოვში.

რეცენზია ამ წიგნზე დაწერა ნ. ი. ბუხარინმა, მაგრამ ჟურნალის გამოსვლის შეწყვეტის გამო იგი არ დაბეჭდილა. — **518.**

377 იგულისხმება ნ. ვ. კრილენკოს სტატია «Qui prodest?» («ვისთვის არის ხელსაყრელი?»), რომლის გამოქვეყნება განზრახული იყო ჟურნალ «კომუნისტში». სტატია არ დაბეჭდილა. — **518.**

378 ეტყობა, იგულისხმება ნ. ი. ბუხარინის სტატია «მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი» და მისი რეცენზია პ. მასლოვის წიგნზე «მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები» ჟურნალ «კომუნისტისათვის». — **519.**

379 იგულისხმება კ. ბ. რადეკის 1915 წლის 5 ივლისის წერილი ვ. ი. ლენინისადმი, რომელშიც წინადადებას აძლევდა დაეწერა ბროშურა და ჩამოეყალიბებინა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის შეხედულებანი ომისადმი დამოკიდებულების შესახებ. — **519.**

380 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის წერილი — ანგარიში პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოსაწვევად 1915 წლის 11 ივლისს მოწვეული წინასწარი თათბირის შესახებ. წერილი დაეგზავნათ პარტიულ ორგანიზაციებს (ლენინის XIV კრებული, გვ. 161 — 163). — **522.**

381 იგულისხმება კ. ბ. რადეკის მიერ დაწერილი მემარცხენე სოციალდემოკრატთა რეზოლუციის პროექტი პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის. ამ პროექტის კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის წერილში კ. ბ. რადეკისადმი (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 35, გვ. 204). — **522.**

382 იგულისხმება ჟურნალ «კომუნისტში» გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული სტატიები: კამენსკისა — «პოლონეთის ს.-დ-ტია და ომი», გორტერისა — «პროლეტარიატის ნაციონალიზმის მიზეზები» და ვარინისა — «ჩვენი ბაზაა ჯარები». სტატიები არ დაბეჭდილა.— **524.**

383 იგულისხმება ი. პიატაკოვის რეცენზია რ. ლუქსემბურგისა და ფ. მერინგის მიერ გამოცემულ ჟურნალ «ინტერნაციონალის» № 1-ზე. — **526.**

384 რეცენზია პ. მასლოვის წიგნზე «მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები» დაიბეჭდა «ი. რუსის» ხელმოწერით ჟურნალში «ვოპროსი სტრახოვანია», № 5, 1915 წლის 10 ივლისს. — **582.**

385 იგულისხმება ჟურნალ «კომუნისტში» ვ. ი. ლენინის სტატიის «ფრანგი სოციალისტის პატიოსანი ხმა» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 424 — 434) და ვარინის სტატიის «ჩვენი ბაზაა ჯარები» — გამოქვეყნება; ადგილის უკმარობის გამო ეს უკანასკნელი არ დაბეჭდილა «კომუნისტში». — **584.**

386 იგულისხმება: 1) P. Golay-ს ბროშურა «Le Socialisme qui meurt et le Socialisme qui doit renaître»; 2) U. Sinclair-ის სტატია (მანიფესტი) «A Manifesto against it» ბროშურაში: Sinclair, U. and Blatchford, R. «Socialism and War» და 3) ჟურნალი «Die Internationale», რომელიც გერმანელმა მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა გამოსცეს 1915 წლის აპრილში. — **586.**

387 «იაპონელებს» ეწოდებოდნენ გ. ლ. პიატაკოვსა და ე. ბ. ბოშს, რომლებიც ემიგრაციაში წაიყვანეს ამერიკაში იაპონიის გავლით. აქ იგულისხმება მათი გამგზავრება ნორვეგიაში. — **586.**

388 იგულისხმება ა. პანეკუკის სტატია «იმპერიალიზმი და პროლეტარიატის ამოცანები». სტატია დაიბეჭდა ჟურნალ «კომუნისტის» 1915 წლის № 1 — 2-ში ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი შენიშვნით «რედაქციისაგან». — **586.**

389 აქ ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს 1915 წლის 7 ივლისს «Arbeiter-Zeitung»-ის № 186-ში დაბეჭდილი სტატია «Die innere Krise Rußlands». ამ სტატიას მიეძღვნა შენიშვნა «აქსელროდის ჯგუფი დაკავშირებულია სოციალ-შოვინისტებთან», რომელიც დაიბეჭდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 43-ში, 1915 წლის 26 ივლისს. — **587.**

390 «ნაშე სლოვოს» 1915 წლის 11 ივნისის № 111-ში დაიბეჭდა სტატია «ბალტიისპირეთის მხარიდან» ხელმოწერით «ბრ» (ბრაუნი). ამ სტატიის გაგრძელება გამოქვეყნდა გაზეთ «ნაშე სლოვოს» №№ 112 და 113-ში 1915 წლის 12 და 13 ივნისს. — **541.**

391 იგულისხმება P. Golay-ს ბროშურა «Le Socialisme qui meurt et le Socialisme qui doit renaître» («პ. გოლეი. სოციალიზმი მომაკვდავი და სოციალიზმი, რომელიც უნდა აღორძინდეს»). ლოზანა, 1915. — **548.**

392 ბალკანეთის მეორე სოციალ-დემოკრატიული კონფერენციაზე გაიმართა ბუქარესტში 1915 წლის 6 — 8 ივლისს. კონფერენციას ესწრებოდნენ რუმინეთის, ბულგარეთის, საბერძნეთის მუშათა მოძრაობის წარმომადგენლები. სერბიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაეგზავნა თავისი

წარმომადგენელი, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობის სახელით მისალმება გაუგზავნა კონფერენციას. კონფერენციამ შექმნა ბალკანეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია, მიიღო «ბალკანეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის პრინციპების დეკლარაცია», რეზოლუცია «ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიული ფედერაცია და ინტერნაციონალი» და სპეციალური რეზოლუცია «პროვოკაციების წინააღმდეგ, ზავისა და ფედერაციისათვის!». — **545.**

393 იგულისხმება წიგნი: Charles Rappoport. «Jean Jaurés. L'Homme. Le Penseur. Le Socialiste (შარლ რაპოპორტი. «ჟან ჟორესი. ადამიანი. მოაზროვნე. სოციალისტი»). პარიზი, 1915. — **546.**

394 იგულისხმება ე. ზოლას ღია წერილი დრეიფუსის საქმეზე საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ე. ფორისადმი. — **546.**

395 იგულისხმება ვ. კოლბის ბროშურა «Die Sozialdemokratie am Scheidewege» («სოციალ-დემოკრატია გზაჯვარედინზე»). კარლსრუე, 1915 ეს ბროშურა ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა თავის სტატიაში «ვილჰელმ კოლბი და გიორგი პლეხანოვი» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 170 — 172). — **546.**

396 იგულისხმება ნ. ი. ბუხარინის სტატია «მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი». — **547.**

397 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობა პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. დელეგაციის შემადგენლობაში შევიდნენ ვ. ი. ლენინი, გ. ე. ზინოვიევი, ი. თ. არმანდი. — **550.**

398 იგულისხმება «ანგარიში ომის დროს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ», რომელიც წარედგინა პირველ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას. ანგარიში დაწერილია გ. ე. ზინოვიევის მიერ, რედაქტირებული — ვ. ი. ლენინის მიერ და დაიბეჭდა «ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის (ისკ) ბიულეტენის» № 2-ში. 1915 წლის 27 ნოემბერს. — **555.**

399 იგულისხმება პირველი საერთაშორისო კონფერენცია ციმერვალდში, რომელიც გაიმართა 1915 წლის 5 — 8 სექტემბერს. კონფერენციაზე მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ლენინის მეთაურობით მოქმედ რევოლუციურ ინტერნაციონალისტებსა და კონფერენციის კაუცკიურ უმრავლესობას შორის, რომელსაც მეთაურობდა გერმანელი სოციალ-დემოკრატი გ. ლედებური.

კონფერენციის მუშაობის დროს შეიქმნა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ბიურო ვ. ი. ლენინის მეთაურობით.

ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია ინტერნაციონალისტურ ელემენტთა ორგანიზაციისათვის ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში.

«სოციალ-დემოკრატის» № 45 — 46-ში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ნაშრომები: «პირველი ნაბიჯი» და «რევოლუციური მარქსისტები 1915 წლის 5 — 8 სექტემბრის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 468—481). წერილის მეორე პუნქტის შესაბამისად გაზეთში იბეჭდებოდა შენარჩევი მასალა «ციმერვალდის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე წაკითხული ანგარიშებიდან», რომელშიც პირველი ადგილი დაეთმო ბულგარელ დეპუტატს ვასილ კოლაროვს. წერილის მე-6 პუნქტის შესაბამისად განყოფილებაში «ქრონიკა» გამოქვეყნდა შემდეგი შენიშვნები: «ბუნდს «არა სეალია»», «ორგანიზაციულ კომიტეტში ყველაფერი რიგზეაა», «ტროცკიმ «არ იცის», თუ რას ნიშნავს მასობრივი რევოლუციური მოქმედება». — **556.**

400 იგულისხმება დ. ვაინკოპის 1915 წლის 6 აგვისტოს წერილი, რომელიც შეეხებოდა ორ დოკუმენტს: 1) რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის ანგარიშს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხზე 1915 წლის 11 ივლისს გამართული წინასწარი თათბირის შესახებ და 2) ვ. ი. ლენინის მიერ პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისათვის დაწერილ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის რეზოლუციის პროექტს (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გგ. 420 — 423).

ვაინკოპი წერდა, რომ «ჩვენ მთლიანად და სავსებით ვეთანხმებით» რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებებს კონფერენციის მოწვევის პირობების შესახებ. კონფერენციაში მონაწილეობის წინააღმდეგ «უაღრესად საჭირო მოსაზრებებზე» რომ ლაპარაკობდა, ვ. ი. ლენინს მხედველობაში ჰქონდა ვაინკოპის წერილის შემდეგი ადგილი: «ჩვენი პარტიული კომიტეტი დაბეჯითებით გთხოვთ განაცხადოთ... რომ თქვენი პარტია, ისევე როგორც ჩვენი, მონაწილეობას არ მიიღებს არ ა ვ ი თ ა რ კონფერენციაში, რომელიც ამ მინიმუმს არ მიიჩნევს მოწვევის საფუძვლად, ვინაიდან მაშინ ვერ განვაცხადებთ, რომ ეს არის ინტერნაციონალის რევოლუციური ნაწილის კონფერენცია» (სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტიული არქივი). — **557.**

401 ეტყობა, იგულისხმება კ. ბ. რადეკის მიერ დაწერილი ანგარიში ციმერვალდის პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის შესახებ. — **557.**

402 წერილს თან ერთვოდა ზინოვიევის მიერ დაწერილი გეგმა ფურცლებისა, რომელთა გამოცემასაც ვარაუდობდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიურო. — **557.**

403 «*Journal de Genéve*» («ჟენევის გაზეთი»)—ლიბერალური მიმართულების გაზეთი; გამოდიოდა 1826 წლიდან. — **558.**

404 იგულისხმება მემარცხენე ესერების ალექსანდროვიჩისა და პოლუბინოვის წერილები ვ. ი. ლენინისადმი ომის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთობლივი მოქმედების შესახებ. ვ. ი. ლენინის სპასუხო წერილი ალექსანდროვიჩისადმი იბეჭდება ამ ტომში (იხ. დოკუმენტი 446); ვ. ი. ლენინის წერილი პოლუბინოვისადმი ნაპოვნი არაა. — **558.**

405 რუსეთის სახალხო სოციალისტების, ტრუდოვიკებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების კონფერენცია 1915 წლის ივლისში გაიმართა პეტროგრადში. მის მიერ მიღებული რეზოლუცია მოუწოდებდა ბასებს მონაწილეობა მიეღოთ იმპერიალისტურ ომში «სამშობლოს დასაცავად». — **562.**

406 იგულისხმება ციმერვალდის გაერთიანების აღმასრულებელი ორგანოს — «ბერნში არსებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენი» («Bulletin. Internationale Sozialistische kommission zu Bern»). «ბიულეტენი» გამოდიოდა 1915 წლის სექტემბრიდან 1917 წლის იანვრამდე ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. სულ გამოვიდა 6 ნომერი. Bulletin I. S. K»-ის № 1-ში გამოქვეყნდა ციმერვალდში (შვეიცარია) გამართული საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მანიფესტი და ოფიციალური ანგარიში კონფერენციის შესახებ. — **564.**

407 იგულისხმება რ. გრიმის წერილი, რომელიც შეიცავდა წინადადებას ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის სახელით შექმნილიყო გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისია, და თხოვნას შეეტყობინებინათ, თუ ვინ იქნებოდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამ კომისიაში. ვ. ი. ლენინის სპასუხო წერილი იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 454—461. — **565.**

408 იგულისხმება «ციმერვალდში (შვეიცარია) გამართულ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე საფრანგეთისა და გერმანიის დელეგაციების საერთო დეკლარაცია», რომელიც გამოქვეყნდა «სოციალ-დემოკრატის» № 45—46-ში. 1915 წლის 11 ოქტომბერს. — **565.**

409 იგულისხმება ციმერვალდის კონფერენციის მასალები. გაზეთ «ჟიზნის» 1915 წლის 26 სექტემბრის № 15-ში «ისკ-ის ბიულეტენის» № 1-დან გადაბეჭდეს კონფერენციის მასალები. გაზეთ «ნაშე სლოვოს» 1915

წლის 25 სექტემბრის № 200-დან ცენზურამ კონფერენციის ყველა მასალა ამოშალა. — **565.**

410 *«Appeal to Reason»* («მოწოდება გონიერებისათვის») — ამერიკელ სოციალისტთა გაზეთი; დაარსებულია 1895 წელს კანზასის შტატის ქალაქ ჟირარდში (აშშ). ოფიციალურად არ იყო რა დაკავშირებული ამერიკის სოციალისტურ პარტიასთან, გაზეთი ეწეოდა სოციალისტური იდეების პროპაგანდას და დიდი პოპულარობით სარგებლობდა მუშათა შორის. გაზეთში ამერიკელი სოციალისტი ი. დებსი თანამშრომლობდა. — **568.**

411 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს მ. მ. ხარიტონოვის გამოსვლა შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის აარაუს ყრილობაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 20 — 21 ნოემბერს. ყრილობის დღის წესრიგის ცენტრალური პუნქტი იყო საკითხი ინტერნაციონალისტთა ციმერვალდის გაერთიანებისადმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულების შესახებ. ბოლშევიკმა მ. მ. ხარიტონოვმა, რომელიც ყრილობას ესწრებოდა შვეიცარიის ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან გადამწყვეტი ხმით არჩეული დელეგატის უფლებებით, შეიტანა შესწორება გრიმის ცენტრისტულ რეზოლუციაში; შესწორება ითვალისწინებდა, რომ საჭიროდ ეცნოთ მასობრივი რევოლუციური ბრძოლის გამლა ომის წინააღმდეგ და აცხადებდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლუციას შეუძლია ბოლო მოუღოს იმპერიალისტურ ომს. ხმის უმრავლესობით (258 141-ის წინააღმდეგ) ყრილობამ მიიღო მემარცხენეთა შესწორება. — **569.**

412 1915 წლის ნოემბერში ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფმა გერმანულ ენაზე გამოსცა ბროშურა სახელწოდებით **«Internationale Flügblätter», № 1 (Die Zimmerwalder Linke über die Aufgaben der Arbeiterklasse)** («ინტერნაციონალური მფრინავი ფურცლები» № 1 (ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფი მუშათა კლასის ამოცანების შესახებ). — **570.**

413 იგულისხმება მზადება «ისკ-ის ბიულეტენის» № 2-ში «ომის დროს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ანგარიშის» პუბლიკაციისათვის ზეორე საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციასთან დაკავშირებით — **572.**

414 *«La vie Ouòriere»* («მუშათა ცხოვრება») — ფრანგ რევოლუციონერ სინდიკალისტთა ჟურნალი; გამოდიოდა 1909 — 1914 წლებში.—**572.**

415 იგულისხმება ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი «სოციალ-დემოკრატის» რედაქციის თეზისები — «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება». ოფზისები დაიბეჭდა ჟურნალ **«Vorbote»**

(«წინასწარმაუწყებელი»), № 2-ში, 1916 წლის აპრილში, და «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში, 1916 წლის ოქტომბერი (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 173—191).

«Vorbote» («წინასწარმაუწყებელი») — თეორიული ჟურნალი, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ორგანო; გამოდიოდა გერმანულ ენაზე ბერნში. ჟურნალის ოფიციალური გამომცემლები იყვნენ ჰ. როლანდ-ჰოლსტი და ა. პანეკუკი. ლენინმა ქმედითი მონაწილეობა მიიღო ჟურნალის დაარსებაში, ხოლო ჟურნალის № 1-ის გამოსვლის შემდეგ — მისი უფრო ფართოდ გავრცელების მიზნით ფრანგულ ენაზე თარგმნის ორგანიზაციაში. — **574.**

416 კ. ჰიუისმანსი 1916 წლის 9 იანვარს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობაზე არნემში გამოდიოდა მოხსენებით, რომელშიც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ II ინტერნაციონალს კრახი არ განუცდია, და აყენებდა «ზავის დემოკრატიულ პროგრამას». კ. ჰიუისმანსის სიტყვა ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა რეფერატში ««ზავის პირობები» ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით» იხ. ლენინის კრებული, XVII, გვ. 237). — **576.**

417 პოლონეთისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის ოპოზიციური ვარშავის კომიტეტის არალეგალური ორგანოს — გაზეთ «Gazeta Robotnicza»-ს («მუშათა გაზეთი») 25-ე ნომერში დაიბეჭდა «1915 წლის 1 — 2 ივნისს მოწვეული სარედაქციო კოლეგიის თათბირის რეზოლუციები». ვ. ი. ლენინმა რეზოლუციები გააკრიტიკა «საზღვარგარეთული ორგანიზაციების კომიტეტის წერილში რსდმპ სექციებისადმი» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 192 — 196).

ქვემოთ ვ. ი. ლენინი იხსენიებს, თუ როგორ მისცეს ხმა პოლონელმა სოციალ-დემოკრატებმა (ოპოზიციამ) საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს რეზოლუციას ბრიუსელის «გამაერთიანებელ» თათბირზე (1914 წლის 14 — 18 ივლისი). — **580.**

418 ივულისხმება რ. ლუქსემბურგის მიერ დაწერილი თეზისები «საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ», რომლებიც მიღებულ იქნა გერმანელ მემარცხენეთა კონფერენციაზე ბერლინში 1916 წლის იანვარში. იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 385 — 405). — **582.**

419 *«Die Gleichheit»* («თანასწორობა») — სოციალ-დემოკრატიული ორკვირეული ჟურნალი; გერმანიის მუშა ქალთა მოძრაობის, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ქალთა მოძრაობის ორგანო; გამოდიოდა შტუტგარტში 1890 — 1925 წლებში; 1892-დან 1917 წლამდე რედაქტორობდა კლარა ცეტკინი. — **582.**

420 იგულისხმება 1916 წელს პეტროგრადში გამოცემული კრებული «თავდაცვა», რომელშიც შედიოდა ვ. ზასულიჩის, ა. პოტრესოვის, პ. მასლოვის, ანის (ნ. ჟორდანიას) და სხვათა სტატიები. — **582.**

421 იგულისხმება იმ დროისათვის განზრახული მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია. — **582.**

422 ეტყობა, იგულისხმება მიმართვა «ყველა მიმხრობილ პარტიასა და ჯგუფს», რომელიც მიღებულ იქნა გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირზე ბერნში 1916 წლის 5—9 თებერვალს. მიმართვა გამოქვეყნდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 52-ში, 1916 წლის 25 მარტს. — **583.**

423 იგულისხმება გ. ვ. ჩიჩერინის სტატია «დავა საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მოწვევის შესახებ (წერილი ინგლისიდან)», «ორნ»-ის ხელმოწერით; სტატია დაიბეჭდა გაზეთ «ნაშე სლოვოს» № № 51 და 52-ში 1916 წლის 1 და 2 მარტს. ამ სტატიას ვ. ი. ლენინი იხსენიებს თავის შენიშვნაში «გათიშვა თუ ლპობა?» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 222—223). — **583.**

424 «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში, 1916 წლის 29 თებერვალს დაიბეჭდა მიმართვა «ყველა მიმხრობილ პარტიასა და ჯგუფს». — **584.**

425 იგულისხმება გაზეთ «Berner Tagwacht»-ის 1916 წლის 28 თებერვლის № 49, რომელშიც დაბეჭდილია ბრემენის სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის კრების რეზოლუცია. ამ რეზოლუციაში, კერძოდ, გამოთქმული იყო მოთხოვნა, რომ გაზეთი «Bremer Bürger-Zeitung»-ს თანამიმდევრულად დაეცვა თავისი მემარცხენე რადიკალური პოზიცია, რაც ომის წინ დაიკავა. — **584.**

426 «ძ ვ ი ნ ე ლ ე ბ ი» — მენშევიკური მიმართულების ლეგალური ნაციონალისტური ჟურნალის თანამშრომლები და თანამოზრაზეები; «ძვინ» («ზარი») გამოდიოდა უკრაინულ ენაზე კიევში 1913 წლის იანვრიდან 1914 წლის შუა ხანებამდე. — **584.**

427 «ბ ო რ ო ტ ბ ა» («ბრძოლა») — უკრაინის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის ყოველთვიური ორგანო, რომელიც გამოდიოდა ჟენევაში (შვეიცარია) 1915 წლის 3 თებერვლიდან 1916 წლის დეკემბრამდე. ჟურნალი მარქსიზმის ალმით მოითხოვდა უკრაინელ მუშათა გამოყოფას ცალკე სოციალ-დემოკრატიულ პარტიად, აგრეთვე იბრძოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების ბოლშევიკური ლოზუნგის წინააღმდეგ. — **584.**

428 ეტყობა, იგულისხმება ი. ზიმელისის სტატია «ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიის საქმიანობის შესახებ ომის დროს»; სტატია მოგვიანებით გამოქვეყნდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში.—**585.**

429 იგულისხმება «ინტერნაციონალის» ჯგუფის თეზისები, რომლებიც 1916 წლის 29 თებერვალს დაიბეჭდა «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში სათაურით «Ein Vorschlag deutscher Genossen» («გერმანელი ამხანაგების წინადადება»). — **587.**

430 იგულისხმება შტრიობელის სტატია «სოციალისტური კრიზისის მიზეზები», რომელიც დაიბეჭდა «Neue Zeit»-ის 1915 წლის 17 დეკემბრის № 12-ში. — **587.**

431 იგულისხმება ჰოლანდიის «რევოლუციურ-სოციალისტური კავშირისა» და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ერთობლივი პროექტი, რომელიც დაიბეჭდა «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში. — **588.**

432 «*Internationale Korrespondenz*» («საერთაშორისო კორესპონდენცია»)— გერმანელ სოციალ-შოვინისტთა ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა ბერლინში 1914 წლის სექტემბრის დამლევიდან 1918 წლის 1 ოქტომბრამდე. — **589.**

433 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის განცხადება — პროტესტი ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიისადმი, რომლითაც ასაბუთებდა ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენლობის არაუფლებამოსილებას მეორე საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციულ კომიტეტთან დაკავშირებულმა, რუსეთში არსებულმა, ყველა ორგანიზაციამ მოიწონა მონაწილეობა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში, რითაც გადავიდა «სოციალ-პატრიოტიზმის ნიადაგზე».

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება განცხადების კორექტურის ამონაბეჭდი, რომლის ზომა ემთხვევა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» სვეტებს. შესაძლებელია, რომ ლენინი მონაწილეობდა ამ პროტესტის შედგენაში. 1916 წლის 10 ივნისს «სოციალ-დემოკრატში» დაიბეჭდა განცხადება: «გადაიდო შემდგომ ნომრამდე ცენტრალური კომიტეტის განცხადება. I. S. K.-ში ორგანიზაციული კომიტეტის წარმომადგენლობის თაობაზე». მაშინ დოკუმენტი პრესაში არ გამოქვეყნებულა. — **590.**

434 იგულისხმება რ. ლუქსემბურგის ბროშურა «Die Krise der Sozialdemokratie» («სოციალ-დემოკრატიის კრიზისი»). მისი კრიტიკა იხ. ვ. ი. ლენინის სტატიაში «იუნიუსის ბროშურის შესახებ» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 385—405). — **590.**

435 ლაპარაკია იმაზე, რომ «სოციალ-დემოკრატის» № 52-ში გამოქვეყნდეს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მიმართვა «ყველა მიმხრობილ პარტიასა და ჯგუფს» მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის შესახებ, კონფერენციის დღის წესრიგის მოკლე შინაარსი და კონფერენციაზე დაშვების პირობები, რომლებიც დაიბეჭდა «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში, 1916 წლის 29 თებერვალს. — **591.**

436 წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ დასაბეჭდად მზადდება სტატია «ალტერნატივა», რომელიც შემდეგ დაიბეჭდა 1916 წლის 30 დეკემბერს «სოციალ-დემოკრატის» № 57-ში ქვესათაურით: «ეს სტატია გადმოვბეჭდეთ გერმანელ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატთა არალეგალური ორგანოს — «სპარტაკის» № 1-დან».

წერილის მომდევნო აბზაცში მოხსენიებულია განცხადება ინტერნაციონალური საერთაშორისო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე 1916 წლის თებერვალში, როცა განიხილავდნენ მიმართვას «ყველა მიმხრობილ პარტიასა და ჯგუფს». ხმა მისცეს რა მიმართვის ტექსტს, ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენლებმა თათბირზე განაცხადეს, რომ, თუმცა მის ყველა დებულებას როდი თვლიან დამაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც აძლევენ ხმას, რადგანაც მიაჩნიათ წინგადადგმულ ნაბიჯად ციმერვალდში გამართული პირველი საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის გადაწყვეტილებებთან შედარებით.—**591.**

437 იგულისხმება ზინოვიევის სტატია «როგორ გადაიქცა ლიკვიდატორობა სოციალ-შოვინიზმად» (დაბეჭდილია «სბორნიკ «სოციალ-დემოკრატში»). — **591.**

438 «ნაშა გოლოს» — ლეგალური მენშევიკური გაზეთი, გამოდიოდა სამარაში 1915 — 1916 წლებში; ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. — **592.**

439 იგულისხმება მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია, რომლის მოწვევა განზრახული იყო 1916 წლის აპრილში.

440 იგულისხმება «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებები მეორე სოციალისტურ კონფერენციას», რომლებიც დაიბეჭდა «ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის ბიულეტენის» № 4-ში. პროტესტი მარტოვ-ჩხეიძის წინაადმდეგ არ დაბეჭდილა. — **593.**

441 «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას», რომელიც ვ. ი. ლენინმა დააარსა, გამოსცემდა გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქცია. 1916 წელს გამოვიდა კრებულის ორი ნომერი. მათში დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის მთელი რიგი ნაწარმოებები. მომზადდა მასალა კრებუ-

ლის მე-3 ნომრისათვის, რომელშიც ვათვალისწინებული იყო დაბეჭდვა ვ. ი. ლენინის სტატიისა «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ», მაგრამ უსახსრობის გამო ამ კრებულის გამოცემა ვერ განხორციელდა. — **596.**

442 ალბათ, იგულისხმება სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული იყო მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მანიფესტის პროექტი, რომელიც ინტერნაციონალურ სოციალისტურ კომისიას წარუდგინეს ჟურნალ «La vie Ouvriere»-სა და გაზეთ «ნაშე სლოვოს» გარშემო დაჯგუფებულმა პირებმა. პროექტი 1916 წლის 29 თებერვალს «ისკ-ის ბიულეტენის» № 3-ში დაიბეჭდა. — **598.**

443 ნ. ნ. პოკროვსკი წერილში გ. ე. ზინოვიევისადმი იტყობინებოდა, რომ ვარაუდობდნენ პეტროგრადში გამოეცათ ბროშურების სერია იმპერიალიზმისა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. იგი მიმართავდა ვ. ი. ლენინს თხოვნით — დაეწერა ბროშურა იმპერიალიზმის შესახებ. ვ. ი. ლენინმა დაწერა წიგნი «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». — **599.**

444 იგულისხმება ხ. გ. რაკოვსკის სიტყვა 1916 წლის 8 თებერვალს ბერნში გამართულ ინტერნაციონალურ მიტინგზე, რომელიც მოეწყო გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირის მუშაობასთან დაკავშირებით. (სიტყვა გამოიცა ბუქარესტში ცალკე ბროშურად.)

გერმანიის ინტერნაციონალურ სოციალისტთა ჯგუფმა (I. S. D.) გამოუშვა ბროშურა «Die Minderheit des 21. Dezember 1915» («1915 წლის 21 დეკემბრის უმცირესობა»), რომელშიც გაანალიზებული იყო რაიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის უმცირესობის კენჭისყრა 1915 წლის 21 დეკემბერს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. — **599.**

445 ეტყობა, ნაგულისხმევი არიან იმ დროს პარიზში მცხოვრები გ. ი. საფაროვის ნაცნობი ახალგაზრდა სოციალისტები. — **601.**

446 1916 წლის 13 აპრილს «სოციალ-დემოკრატის» № 53-ში დაიბეჭდა სტატია «ჩხეიძე და მისი ფრაქცია — «გეოზდიოველთა» პარტიის ხელშემწყობნი». ამ სტატიაში გაკრიტიკებული იყო ჩხეიძისა და ჩხენკელის შოვინისტური გამოსვლები სახელმწიფო სათათბიროში. «სოციალ-დემოკრატის» «რუსულ» ნომრის ლენინი უწოდებს № 53-ს, რომელიც მთლიანად რუსეთის ამბებს მიეძღვნა. — **608.**

447 ეს წერილი დაწერილია გ. ლ. პიატაკოვის, ე. ბ. ბოშის, ნ. ი. **ბუხარინის** იმ წერილის პასუხად, რომელიც მათ გაუგზავნეს «სოციალ-დემო-

კრატის» რედაქციას ჟურნალ «კომუნისტის» რედაქციაში წარმოქმნილ უთანხმოებათა შესახებ. — **606.**

448 იგულისხმება გ. ლ. პიატაკოვის, ე. ბ. ბოშის, ნ. ი. ბუხარინის გადასვლა ქრისტიანიაში (ოსლო) და მათი თეზისები «ერთა თვითგამორკვევის უფლების ლოზუნგის შესახებ», რომლებიც გაუგზავნეს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას 1915 წლის ნოემბერში.

«თეზისების» ავტორები გამოდიოდნენ რსდმ პარტიის პროგრამის მე-9 პარაგრაფის წინააღმდეგ, რომელიც შეეხებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას. — **606.**

449 იგულისხმება გამგზავრება მეორე საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. გაფართოებული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის თათბირზე, რომელიც 1916 წლის 5 — 9 თებერვალს მიმდინარეობდა ბერნში, გამოტანილ იქნა დადგენილება იმის შესახებ, რომ კინტალის კონფერენციაზე დასწრება შეუძლია ყველას, ვინც მონაწილეობდა ციმერვალდის კონფერენციის მუშაობაში. ლენინი კინტალის კონფერენციას ესწრებოდა როგორც რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი. — **608.**

450 იგულისხმება ფრანგი დელეგატების ჩამოსვლა მეორე საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე. საფაროვი (ორრი) მაშინ შვეიცარიაში იმყოფებოდა. თუ ვის უწოდებს ვ. ი. ლენინი «ბრესტელებს», დადგენილი არ არის. — **609.**

451 იგულისხმება საბრალმდებო აქტი IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკთა საქმეზე. — **610.**

452 იხ. შენიშვნა 433. — **610.**

453 ეტყობა, ნაგულისხმევი არიან სკანდინავიის ქვეყნების (შვეიცის, ნორვეგიის) მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა წარმომადგენლები მეორე საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე.—**611.**

454 იგულისხმება მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის მოწვევის ადგილის ზუსტი მისამართი. — **611.**

455 წერილი კინტალის კონფერენციის შედეგების შესახებ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს სახელით დაეგზავნათ პარტიულ ორგანიზაციებს. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ი. თ. არმანდის მიერ ფრანგულად თარგმნილი წერილის ტექსტი. რუსულ ენაზე წერილი დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალ «კრასნაია ლეტოპისის» № 2-ში. — **618.**

456 იგულისხმება «ინტერნაციონალის» ჯგუფის წარმომადგენლის მეიერის გამოსვლა 1916 წლის 2 მაისს ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელზეც ამტკიცებდნენ კინტალის კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუციების საბოლოო ტექსტებს. — **613.**

457 ლოზანაში 3 ივნისს და ჟენევაში 2 ივნისს ვ. ი. ლენინი კითხულობდა რეფერატს თემაზე «ორი მიმდინარეობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში». — **613.**

458 მასალები 1916 წლის 24 — 30 აპრილს კინტალში გამართული მეორე საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციის შესახებ დაიბეჭდა 1916 წლის 10 ივნისს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» № 54—55-ში. — **613.**

459 იგულისხმება გამგზავნი კომისია, რომელიც ახორციელებდა პარტიული დოკუმენტებისა და ბოლშევიკური ლიტერატურის გადაგზავნას რსდმპ სხვადასხვა სექციებისათვის. კომისია იმყოფებოდა ბერნში და შედგებოდა ხუთი თანამშრომლისაგან. ერთხანს კომისიაში შედიოდა ი. თ. არმანდი. კომისიის მდივანი იყო ზ. ი. ლილინა (ზინა). — **615.**

460 იგულისხმება «სოციალ-დემოკრატისათვის» განკუთვნილი შენიშვნის პროექტი, რომელიც გ. ე. ზინოვიევმა დაწერა ენისეის გუბერნიაში გადასახლებული ლ. ბ. კამენევის თხოვნით. შენიშვნაში ზინოვიევი ცდილობდა შეემცირებინა კამენევის დანაშაული, რაც მას მიუძღოდა IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის სასამართლო პროცესზე ჩადენილი საქციელით. — **615.**

461 იმასთან დაკავშირებით, რომ ა. შლიაპნიკოვმა დააყენა საკითხი რამდენიმე თვით წასულიყო ამერიკაში, ზინოვიევი ურჩევდა ლენინს არ დათანხმებოდა შლიაპნიკოვის გამგზავრებას და შეპირებოდა მას ყოველთვიურად 100 — 150 ფრანკს უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში. — **616.**

462 იგულისხმება «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წინადადებები მეორე სოციალისტურ კონფერენციას» და კინტალის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები: მანიფესტი «გაკოტრებისა და დახოცვის პირას მისულ ხალხებს», თეზისები «პროლეტარიატის დამოკიდებულება ზავის საკითხისადმი», რეზოლუცია «ჰაგის საერთაშორისო სოციალისტური ბიუროსადმი დამოკიდებულების შესახებ». — **616.**

463 იგულისხმება სუხანოვის ნაშრომი «ჩვენი მემარცხენე პარტიები», რომელიც უნდა გაეგზავნათ მინინისათვის (ვ. ა. კარპინსკისათვის). — **617.**

464 მასალები კინტალის კონფერენციის შესახებ დაიბეჭდა ჟურნალ «Demain»-ის № 5-ში, რომელიც გამოვიდა 1916 წლის 15 მაისს. ჩანს, ლენინს მხედველობაში ჰქონდა ამ ნომრის მოწინავე სტატია — «ციმერვალდი», რომელიც ა. გ[illegible]ლბომ დაწერა.

«Demain» («ხვალ») — ფრანგ ინტერნაციონალისტთა ჟურნალი, გამოდიოდა ჟენევაში 1916 — 1918 წლებში; უკანასკნელი, 31-ე ნომერი გამოვიდა მოსკოვში 1919 წელს, როგორც ფრანგ კომუნისტთა ჯგუფის ორგანო. — **617.**

465 II ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებათა კრებული უნდა გამოეცა რსდმპ საზღვარგარეთული ორგანიზაციების კომიტეტთან არსებულ სამხედრო ტყვეთა დამხმარე კომისიას. კრებული გათვალისწინებული იყო გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში განლაგებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში გასავრცელებლად. კრებულის გამოცემა არ განხორციელდა. — **617.**

466 1916 წლის 13 მაისის წერილში ა. შლიაპნიკოვი დაბეჯითებით თხოულობდა გაეგზავნათ მისთვის ყველა მასალა კინტალის კონფერენციის შესახებ და უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ დიდი დაგვიანებით ღებულობს «ისკ-ის ბიულეტენს», შეეიცარიის გაზეთებსა და სხვა აუცილებელ მასალებს. — **617.**

467 იგულისხმება რუსეთში ყოფნის დროს ა. შლიაპნიკოვის მიერ შეკრებილი დიდი რაოდენობის მასალები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დოკუმენტებს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების საქმიანობის შესახებ. 1916 წლის 13 აპრილს ამ დოკუმენტების ნაწილი დაიბეჭდა პარტიის ცენტრალურ ორგანოში — გაზეთ «სოციალ-დემოკრატში» საერთო სათაურით «ცნობები რუსეთიდან». ამავე განყოფილებაში გამოქვეყნდა ა. შლიაპნიკოვის მიერ დაწერილი სტატია «მუშები და სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები». — **617.**

468 კონსპირაციის მიზნით ლენინი შლიაპნიკოვს ბელენინად იხსენიებს. ამ წერილში ნაგულისხმევია მისი მომავალი გამგზავრება ამერიკაში. შლიაპნიკოვი გაემგზავრა 1916 წლის 25 ივნისს, ხოლო ევროპაში დაბრუნდა იმავე წლის 29 სექტემბერს. — **618.**

469 იგულისხმება პიატაკოვის წერილი, რომელიც მან 1916 წლის 18 მაისს ქრისტიანიიდან (ოსლო) გაგზავნა ლენინისა და ზინოვიევის სახელზე. ამ წერილში პიატაკოვი აყენებდა რამდენიმე პირობას, რომელთა გათვალისწინებით მას შესაძლებლად მიაჩნდა მოლაპარაკების განგრძობა «კომუნისტის» გამოცემის განახლების შესახებ. — **620.**

470 ალბათ, იგულისხმება ლ. მარტოვის სტატია «რა გამომდინარეობს «ეროვნული თვითგამორკვევის» უფლებიდან», რომელიც დაიბეჭდა

გაზეთ «ნაშ გოლოსის» № 3 და № 4-ში 1916 წლის 17 და 24 იანვარს. — **621.**

171 იგულისხმება შლიაპნიკოვის წერილი, რომელშიც იგი იუწყებოდა, «იაპონელებს» ახლა რედაქციის გაფართოებაც არა სურთ, ჯიბეს უფრთხილდებიანო. — **624.**

472 1915 წლის ზამთარში «სოციალ-დემოკრატის» რედაქციამ გაუგზავნა პიატაკოვს, ბოშსა და ბუხარინს წერილი, რომელშიც განაცხადა, რომ უარს ამბობს «კომუნისტში» მონაწილეობაზე, რადგან არ შეუძლია იკისროს პარტიული პასუხისმგებლობა თანარედაქტორებისათვის, რომლებიც არაპარტიულად ეკიდებიან საქმეს. — **625.**

473 პიატაკოვმა და ბოშმა მიმართეს ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს მოთხოვნით, რომ მათი ჯგუფი გაეფორმებინა როგორც ცალკე ჯგუფი, რომელიც არ ექვემდებარებოდა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთულ ბიუროს, და მიეცა მისთვის ცენტრალური კომიტეტის რუსულ ნაწილთან დამოუკიდებელი კავშირის დამყარების, ფურცლებისა და სხვა ლიტერატურის გამოცემის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ უარი მიიღეს, ისინი მაინც შეეცადნენ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროსაგან სეპარატულად დაემყარებინათ კავშირი რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროსთან. — **625.**

474 იგულისხმება გ. ი. ბელენკის წერილები რსდმპ პარიზის სექციის საქმიანობის შესახებ, 1916 წლის 24 ივნისს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ბ. ბრიზონის გამოსვლის შესახებ.

კინტალის კონფერენციის მონაწილე ბ. ბრიზონი სამი სოციალისტი დეპუტატის სახელით გამოვიდა დეკლარაციით, რომელშიც მოუწოდებდა დეპუტატებს მოეთხოვათ მთავრობისათვის დაუყოვნებლივ დაედო უანექსიო ზავი. ორ სხვა სოციალისტ დეპუტატთან ერთად ბრიზონმა ხმა მისცა სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ. თავისი გამოსვლა ბრიზონმა დაამთავრა სიტყვებით: «ჩვენ ხმას ვაძლევთ ზავს, საფრანგეთს, სოციალიზმს!». — **626.**

475 იგულისხმება «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» გეგმა.

ი უ რ ი მ — გ. ლ. პიატაკოვმა — დაწერა სტატია «პროლეტარიატი და ერთა თვითგამორკვევის უფლება ფინანსური კაპიტალის ეპოქაში», მაგრამ მცდარ დებულებათა გამო იგი არ დაბეჭდილა კრებულში.

ნ ო რ ვ ე გ ი ე ლ თ ა გ ა ზ ე ფ ი ც ვ ა, რომელიც 1916 წლის 6 ივნისს დაიწყო, გაშუქებულია ა. ჰანსენის სტატიაში «ზოგიერთი მომენტი თანამედროვე მუშათა მოძრაობისა ნორვეგიაში», რომელიც დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში.

ამ წერილში ლენინი ასახელებს თავის ნაშრომებს: «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» და «იუნიუსის ბროშურის შესახებ», რომლებიც შემდეგ შევიდა კრებულის № 1-ში, და სტატიებს: «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა», «ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი», რომლებიც კრებულის № 2-ში დაიბეჭდა.

«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ის გარეკანზე იმ სტატიებს შორის, რომლებიც მიიღო რედაქციამ კრებულის № 3-სათვის, დასახელებული იყო სტრანიკის (გარინის) სტატია «რა ხდება ჯარებში». — **626.**

476 იგულისხმება «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასათვის» განკუთვნილი სტატიები «ინტერნაციონალის» ჯგუფის საქმიანობის შესახებ გერმანიაში. კრებულის მეორე ნომერში დაიბეჭდა ორი სტატია ამ საკითხზე: «გერმანიის მემარცხენე ოპოზიციის არალეგალური გაზეთები», «გერმანიაში რევოლუციური ბრძოლის ქრონიკიდან». — **627.**

477 გრაბერს ომის დასაწყისში ინტერნაციონალისტური პოზიციები ეკავა, მონაწილეობდა ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციებში, და ამავე დროს, როცა 1915 წელს ვაუდერველდე ჩავიდა შვეიცარიაში, რათა აკიტაცია გაეწია II ინტერნაციონალის აღდგენისათვის, გრაბერმა მოხსენებისას შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. — **628.**

478 წერილის პირველ ნაწილში ნაგულისხმევია «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასათვის» განკუთვნილი სტატიები.

ოპორტუნიზმის კრიტიკას მიეძღვნა ლენინის ნაშრომი «იმპერიალიზმი და სოციალიზმის გათიშვა», სათათბიროს ფრაქციისა და ტროცკიზმის კრიტიკას — ლენინის ორი სტატია: «ოპორტუნიზმის გათეთრების ცდები» და «ჩხეიძის ფრაქცია და მისი როლი», რომლებიც კრებულის მეორე ნომერში შევიდა. — **630.**

479 ჰ. რ ი ა ბ ო ვ ს კ ი ლ. ნ. სტარკის ფსევდონიმია. 1916 წლის 16 ივნისს ზინოვიევის სახელზე გაგზავნილ წერილში რიაბოვსკი უწყებოდა, რომ პეტროგრადში შეიქმნა ახალი გამომცემლობა «ვოლნა», და წინადადებას აძლევდა მას და ლენინს მონაწილეობა მიეღოთ კრებულებში, რომელთაც გამოუშვებდა გამომცემლობა.

მოგვიანებით, როცა გამოირკვა, რომ «რიაბოვსკის» ფსევდონიმით წერს სტარკი და რომ იგი ეჭვმიტანილია პროვოკატორობაში, ლენინმა უარი განაცხადა ეთანამშრომლა ამ გამომცემლობაში. — **630.**

480 იგულისხმება ლ. ბ. კამენევის ბროშურა «ინტერნაციონალის მარცხი», რომელიც გამოვიდა გამომცემლობა «ვოლნაში». — **631.**

481 იგულისხმება ბროშურა «Kriegs und Friedensprobleme der Arbeiterklasse» («მუშათა კლასი და ომისა და ზავის პრობლემები»).

ამ ბროშურაში დამატების სახით დაიბეჭდა მენშევიკების დეკლარაცია ომის შესახებ, რომელიც 1916 წლის 10 ივნისს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე რსდმპ ორგანიზაციული კომიტეტის საზღვარგარეთული სამდივნოს გაზეთში «იზვესტია ზ'ოკ რსდრპ» (№ 5) სათაურით: «პეტერბურგელი და მოსკოველი მენშევიკები ომის შესახებ». ბროშურაში გამოტოვებული იყო დეკლარაციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც შეიცავდა მოწოდებებს ლიბერალურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობისათვის, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობისათვის და ა. შ.

«იზვესტია ზსოკ რსდრპ» — მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა 1915 წლის თებერვლიდან 1917 წლის მარტამდე შვეიცარიაში. გამოვიდა 10 ნომერი. გაზეთს ცენტრისტული პოზიციები ეკავა.—**682.**

482 კ. რადეკის სტატია «ერთა თვითგამორკვევის უფლება», რომელსაც ლენინი ასახელებს, დაიბეჭდა 1915 წლის 5 დეკემბერს ჟურნალ «Lichtstrahlen»-ის № 3-ში. ეს სტატია ლენინმა გააკრიტიკა ნაშრომში «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 444 — 445). — **682.**

483 შესაძლოა, იგულისხმება ბროშურები გ. ვ. პლეხანოვისა — «ინტერნაციონალიზმი და სამშობლოს დაცვა» და ა. ნ. პოტრესოვისა — «ომი და საერთაშორისო დემოკრატიული სოციალიზმის საკითხები», რომლებიც 1916 წელს გამოიცა პეტროგრადში. — **684.**

484 გ. ი. ბელენკი (გრიშა) წერდა, რომ გაიზარდა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის გავლენა საფრანგეთის მუშათა მოძრაობაში.—**684.**

485 «*The Call*» («მოწოდება») — გაზეთი, ბრიტანეთის სოციალისტური პარტიის ორგანო; გამოდიოდა ლონდონში 1916—1920 წლებში.—**685.**

486 იგულისხმება ფ. ენგელსის სტატიების სერია «რა ესაქმება მუშათა კლასს პოლონეთთან?» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზულებანი, მე-2 გამოც., (რუს.), ტ. 16, გვ. 156 — 166). — **685.**

487 იგულისხმება გრიმის განცხადება, რომელიც დაიბეჭდა 1916 წლის 26 ივლისს გაზეთ «Berner Tagwacht»-ის № 173-ში. თავის განცხადებაში გრიმი აკრიტიკებდა პლატენის რეზოლუციას, რომელიც ეროვნული საბჭოს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის საქმიანობის განხილვის დროს 1916 წლის 24 ივლისს ხმის უმრავლესობით მიიღეს პარტიულ

კრებაზე ციურიხში. მიღებული რეზოლუცია გმობდა არა მარტო ფრაქციის მემარჯვენე ფრთის, არამედ გრიმის მეთაურობით მოქმედ. ცენტრის რეფორმისტულ საქმიანობას, აკრიტიკებდა ბუნდესრატის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომელთაც შეიძლებოდა შვეიცარიის ნეიტრალიტეტის დარღვევა გამოეწვია. გრიმი არ ესწრებოდა კრებას. რეზოლუციას რომ კაეცნო, მან განაცხადა, არ ეთანხმები მის დებულებებს და ამასთან დაკავშირებით განზრახული მაქვს «ჩავაბარო პარტიის განკარგულებაში ჩემთვის მოცემული მანდატი». გრიმი თხოულობდა განეხილათ მისი განცხადება, რათა შეძლებოდა შემდგომ საკავშირო კრებამდე განეცხადებინა თავისი გადადგომის შესახებ.—**686.**

488 ჟურნალ «Demain»-ის ივლისის (მეშვიდე) ნომერი იწყებოდა გილბოს სტატიით «ომი ომს». — **686.**

489 იგულისხმება წერილი ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვასადმი, რომელიც შეიცავდა თხოვნას მოეწოდებინა ცნობები გამომცემლობა «ვოლნასა» და პ. რიაბოვსკის პიროვნების შესახებ, რომელიც წინადადებას აძლევდა ლენინსა და ზინოვიევს ეთანამშრომლათ ამ გამომცემლობის მიერ გამოშვებულ კრებულებში (იხ. შენიშვნა 479). — **686.**

490 «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასათვის» ბუჯარინმა დაწერა სტატია «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის», მაგრამ სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხზე მცდარი ანტიმარქსისტული დებულებების გამო რედაქციამ სტატია უარყო.

«სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში დაიბეჭდა «თეზისები იმპერიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის შესახებ», რომლებიც კ. რადეკმა დაწერა და «გაზეტა რობოტნიჩას» რედაქციის ხელმოწერით 1916 წლის აპრილში გამოქვეყნდა ჟურნალ «Vorbote»-ში. თეზისების პასუხი იყო ვ. ი. ლენინის სტატია «შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ», რომელიც კრებულში მოთავსებული იყო უშუალოდ რადეკის თეზისების შემდეგ. — **687.**

491 კონსპირაციის მიზნით ლენინმა ასე უწოდა თავის ნაშრომს «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია». გამოთქმა «გ. ზ.-ის ხერხი» გულისხმობს ფრანგული წიგნის ყდაში ჩაწებებული ხელნაწერის გადაგზავნას. — **689.**

492 იგულისხმება ვალერიუ მარკუ — რუმინელი სოციალ-დემოკრატი, რომელიც ომის დროს შვეიცარიაში ცხოვრობდა. 1916 წელს ლენინის დავალებით იგი ჩავიდა პარიზში, მოსკოვსა და რუმინეთში. — **641.**

493 «*Arbeiterpolitik*» («მუშათა პოლიტიკა») — ყოველკვირეული ჟურნალი მეცნიერული სოციალიზმის საკითხებზე, მემარცხენე რადიკალთა

ბრემენის ჯგუფის ორგანო; ეს ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდნენ ი. კნიფი და პ. ფრიოლიხი, 1919 წელს შევიდა გერმანიის კომუნისტურ პარტიაში; ჟურნალი გამოდიოდა ბრემენში 1916-დან 1919 წლამდე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჟურნალი ფართოდ აშუქებდა საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას.

ქვემოთ მოხსენიებულია ა. გ. შლიაპნიკოვის სტატია «მუშათა რუსეთი ომის 20 თვის მანძილზე», რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 1-ში. — **641.**

494 იგულისხმება გ. ე. ზინოვიევის მიერ დაწერილი პროექტი წერილისა ნ. ი. ბუხარინისადმი. ამ წერილში გაკრიტიკებული იყო ე. ბოშისა და ი. პიატაკოვის პოზიცია ჟურნალ «კომუნისტის» გამოცემის განახლების საკითხზე მოლაპარაკების დროს.

ზინოვიევის ხელით დაწერილ სიტყვებს: «... ჩვენ გვსურს ვიმუშაოთ თქვენთან, მიუხედავად უთანხმოებისა...», — ლენინმა მიაწერა: «რომელსაც თქვენ, ჩანს, მაინც უფრო წინდახედულად ეკიდებით, ნაწილობრივ, შესაძლოა, იმიტომ, რომ უფრო მეტს ეკონომიურ საკითხებზე წერდით, ვიდრე პოლიტიკურზე». — **643.**

495 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ბრუტშუს სტატია ფრანგულ ენაზე სათაურით: «საფრანგეთში. ომის წინააღმდეგ ოპოზიციის შესახებ საფრანგეთში», რომელზეც მიწერილია: «კრებულისათვის». ბრუტშუს სტატია «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაში» არ დაბეჭდილა.

ბერნის კრებულს ლენინი უწოდებს «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» პირველ ნომერს, რომელიც ბერნში აწყვეს. მეორე ნომრის აწყობა განზრახული ჰქონდათ პარიზში. სტატია «იუნიუსის ბროშურის შესახებ» შევიდა პირველ კრებულში. ზინოვიევის ხსენებული სტატიაა «მეორე ინტერნაციონალი და ომის პრობლემა». — **644.**

496 ლენინს განზრახული ჰქონდა სტატია კაუცკელობის შესახებ დაებეჭდა კრებულში «ძველი დროშით», მაგრამ მისი გამოცემა შეწყდა პირველი კრებულის გამოსვლის შემდეგ. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება სტატიის გეგმა, რომელიც ლენინის მიერ დასათაურებულია «კაუცკელობის შესახებ» (იხ. ლენინის XXX კრებული, გვ. 133 — 134). ლენინმა სპეციალური ნაშრომი კაუცკის შესახებ დაწერა 1918 წელს (იხ. «პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი». თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 28, გვ. 271—401). — **646.**

497 იგულისხმება ვ. ი. ლენინის სტატია «პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)», (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 13 — 21).

4 — 7 პუნქტებში ლაპარაკია «სბორნიკ სოციალ-დემოკრატაზე». მეხუთე პუნქტში იგულისხმება ბელენკის წინადადება კრებულის მეორე ნომრის პარიზში გამოცემის შესახებ. საფაროვის სტატიები კრებულებში არ დაბეჭდილა. ხსენებული სტატია ქალთა მოძრაობის შესახებ ზ. ლილინას ეკუთვნოდა. — **646.**

498 გ ნ ე ვ ი ჩ ი — ფსევდონიმია პოლონეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი მოღვაწის — ფაბერკევიჩისა, რომელიც მაშინ პეტროგრადში ინ-ყოფებოდა. მისი მონაწილეობით 1916 წელს პოლონურ ენაზე გამო

ამ სტატიისა და მასზე ლენინის პასუხის დაბეჭდვა განზრახული იყო კრებულის მესამე ნომერში, რომელიც უსახსრობის გამო მაშინ არ გამოსულა.

ლენინის პასუხს პიატაკოვის სტატიაზე წარმოადგენდა ორი ნაშრომი: «პასუხი პ. კიევსკის (ი. პიატაკოვს)» და «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 13—21 და 22—90). — **652.**

504 იგულისხმება სტატიები: კარლ ჩილბუმისა — «შვეიცის სოციალ-დემოკრატია და მსოფლიო ომი» და არვიდ ჰანსენისა — «ზოგიერთი მომენტი თანამედროვე მუშათა მოძრაობისა ნორვეგიაში» (ორივე «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» მეორე ნომერში შეიდა). — **653.**

505 ამ ირონიული გამოთქმით ლენინი ხაზს უსვამს იმ ფორმულირებათა მცდარობასა და ერთგვარ თანამთხვევას, რომელთაც საშობლოს «დაცვის» საკითხისადმი მიძღვნილი პიატაკოვისა და ზინოვიევის სტატიები შეიცავდნენ (იხ. «სბორნიკ სოციალ-დემოკრატა», № 2, 1916 წლის დეკემბერი, გვ. 27). — **654.**

506 თავის სტატიად განიარაღების შესახებ ლენინი ასახელებს «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამას», რომელიც მან გერმანულად დაწერა, ხოლო «სბორნიკ სოციალ-დემოკრატასათვის» რამდენადმე გადაამუშავა და სათაურით ««განიარაღების» ლოზუნგის შესახებ» მეორე ნომერში დაბეჭდა. — **656.**

507 რადეკის თეზისები — ესაა დოკუმენტი «თეზისები იმპერიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის შესახებ», რომელიც «გაზეტა რობოტნიჩას» ხელმოწერით დაიბეჭდა ჟურნალ «Vorbote»-ში და «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» პირველ ნომერში გადაიბეჭდა. — **658.**

508 ეტყობა, იგულისხმება სტრანიკის (ვ. ი. ფრიდოლინის) სტატია «ომი ხდება ჯარებში». ეს სტატია დასახელებული იყო «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 3-სათვის რედაქციაში მიღებულ მასალებში. — **658.**

509 მეორე გამოშვება კრებულისა «ძველი დროშით», რომლისთვისაც ლენინს განზრახული ჰქონდა დაეწერა სტატია კაუცკელობის შესახებ, არ გამოქვეყნებულა. — **659.**

510 ლენინის ბარათი და კრუპსკაიას წერილი შლიაპნიკოვისადმი იყო პასუხი მის პირველ წერილზე, რომელიც მან ამერიკიდან ევროპაში დაბრუნების შემდეგ დაწერა (23 სექტემბერს იგი დაბრუნდა კოპენჰაგენში). თავის წერილში შლიაპნიკოვი აბარებდა ანგარიშს ამერიკაში გაწეული მუშაობის შესახებ და იუწყებოდა, რომ განზრახული ჰქონდა წასულიყო რუსეთში. ამასთან დაკავშირებით ლენინი თავის წერილში შლიაპნიკოვს კონსპირაციულად უწოდებს «ბელ.»-ს. — **660.**

511 ამ შემთხვევაში ლენინი გამოთქვამს აზრს ზინოვიევის სტატიაზე ««მარცხმოსურნეობა» წინათ და ახლა», რომელიც დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» პირველ ნომერში. ლენინის შენიშვნება ზინოვიევმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა.

წერილის მეორე პუნქტში ლენინი გულისხმობს «1915 წლის 1 — 2 ივნისს მოწვეული სარედაქციო კოლეგიის თათბირის რეზოლუციის» პუბლიკაციას «გაზეტა რობოტნიჩას» 1916 წლის № 25-ში. ამ რეზოლუციაში აკრიტიკებდნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მიერ ომის დასაწყისში წამოყენებულ ლოზუნგს მეფის მონარქიის დამარცხების შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ იგი თითქოს აძლევს «არგუმენტებს გერმანელ სოციალ-პატრიოტებს». — **660**.

512 ლენინის წერილი პასუხია 1916 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში მიღებული ბუხარინის წერილისა, რომელშიც იგი ყოველნაირად სადავოდ ხდიდა მისი სტატიის — «იმპერიალისტური სახელმწიფოს თეორიისათვის»—თაობაზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებს.—**661**.

513 ჟურნალ «ლეტოპისის» 1916 წლის მაისის № 5-ში დაიბეჭდა ვ. ბაზაროვის სტატია «მინდინარე მომენტი და პერსპექტივები», რომელიც მიეძღვნა იმპერიალისტური ომის შედეგად რუსეთში წარმოშობილი ეკონომიური კრიზისის ანალიზს. ამ სტატიაში ბაზაროვი «ანაქრონიზმს» უწოდებდა პარტიის პროგრამის დაყოფას პროგრამა-მინიმუმად და პროგრამა-მაქსიმუმად და ამბობდა, საჭირო არაა ბრძოლა დემოკრატიული გარდაქმნებისათვისო.

ა. პოტრესოვი სტატიაში «პუბლიცისტის შენიშვნები», რომელიც 1916 წლის აგვისტოში დაიბეჭდა მენშევიკური ჟურნალის «დელოს» № 1-ში, წერდა, რომ «მაქსიმალისტური ოპტიმიზმი» (ასე ახასიათებდა იგი ბაზაროვის შეხედულებებს) აუქმებს «დემოკრატიის ყველა მორიგ ამოცანას» და «არის დემოკრატიული მოძრაობის ყველაზე დიდი მტერი, მისი საუკეთესო და ყველაზე საიმედო დეზორგანიზატორი».

ამ შემთხვევაში ლენინი, ყველაზე შესაძლებელია, გულისხმობდა პოტრესოვის სტატიის სწორედ ამ დებულებებს. — **662**.

514 «ლ ე ტ ო პ ი ს» — ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი, რომელშიც თანამშრომლობდნენ ყოფილი ბოლშევიკები (მახისტები ვ. ა. ბაზაროვი და ა. ა. ბოგდანოვი), აგრეთვე მენშევიკები. ჟურნალის ლიტერატურულ განყოფილებას უძღვებოდა ა. მ. გორკი. ჟურნალი გამოდიოდა 1915 წლის დეკემბრიდან 1917 წლის დეკემბრამდე — **668**.

515 იგულისხმება მოწინავე სტატია «პარტიული ყრილობა», რომელიც 1916 წლის 7 ნოემბერს დაიბეჭდა გაზეთ «Berner Tagwacht»-ში. სტატიის ის ნაწილი, სადაც ძალიან მოკლედ იყო გადმოცემული კინტალის კონფერენციისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვა ყრილობაზე, შეიცავდა ბოროტ გადაკრულ სიტყვებს რეზოლუციის პროექტის უცნობ ავტორზე და ამტკიცებდა, რომ ამ პროექტზე ხელმოწერები უკანონოდ იყო დასმული.

1916 წლის 8 ნოემბერს გაზეთ «Volksrecht»-ის № 262-ში დაიბეჭდა ე. ნობსის განცხადება, რომელშიც იგი წერდა, რომ «სავსებით იზიარებს» მემარცხენე სოციალ-დემოკრატთა მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტში გამოთქმულ მოსაზრებებს. — **673.**

516 კრიტიკული სტატია გრიმის წინააღმდეგ «Arbeiterpolitik»-ში მოწინავის სახით დაიბეჭდა 1916 წლის 2 დეკემბერს სათაურით «შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის პარტიული ყრილობის შემდეგ», ხელს აწერდა Arnold Struthahn-ი. — **678.**

517 იგულისხმება პროექტი წერილისა «გერმანიის ერთი სოციალ-დემოკრატი ქალისადმი» (ალბათ, კ. ცეტკინისადმი), რომელშიც არმანდი ჟურნალ «რაბოტნიცას» რედაქციის სახელით წინადადებას აძლევდა გაეზიარებინა მოსაზრებანი მუშა ქალთა მოძრაობის საკითხებზე, გამოთქვამდა სურვილს მოეწვიათ მემარცხენე სოციალისტ ქალთა არაოფიციალური კონფერენცია.

ვ. ი. ლენინის მიერ ციტირებული სიტყვები აღებულია ი. არმანდის წერილის შემდეგი ტექსტიდან: «ჩვენ გვგონია, რომ ომის დროს ამ მოძრაობას (ე. ი. ქალთა მოძრაობას. რ ე დ.) შეეძლო შეესრულებინა ძალიან მნიშვნელოვანი როლი სოციალიზმისათვის. როცა პროლეტარიატის დიდი ნაწილი — მამაკაცები ფრონტებზე იმყოფებიან, პროლეტარიატის მეორე ნაწილმა — მუშა ქალებმა ომის დროს ხელთ უნდა აიღონ ჩვენი სოციალისტური საქმე». — **674.**

518 იგულისხმება პლატენის რეზოლუციის პროექტი ომის საკითხზე, რომელიც მან შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მომავალ საგანგებო ყრილობასთან დაკავშირებით დაწერა. ამ ყრილობაზე ომისადმი დამოკიდებულების საკითხი უნდა განეხილათ.

(პლატენის რეზოლუციის პროექტთა ვარიანტები ლენინის შენიშვნებითურთ იხ. ლენინის XVII კრებულში, გ. 57—64). — **676.**

519 იგულისხმება ემბერ-დროს ბროშურა «Guerre à la Guerre. A bas L'Armée. Plaidoirie complète devant le Tribunal Militaire à Neuchâtel le 26 août 1916» («ომი ომს. ძირს არმია. 1916 წლის 26 აგვისტოს ნეშატელში, სამხედრო ტრიბუნალში წარმოთქმული დაცვითი სი-

ტყვის სრული ტექსტი». ემბერ-დრო დააპატიმრეს იმისათვის, რომ უარი თქვა გამოცხადებულიყო გასაწვევ პუნქტში. — **678.**

520 გაზეთ «Arbeiterpolitik»-ის 1916 წლის 9 დეკემბრის № 25-ში, განყოფილებაში «ჩვენი პოლიტიკური დღიურიდან» დაბეჭდილია 1916 წლის 6 დეკემბრით დათარიღებული ხელმოუწერელი შენიშვნა. ეხება რა ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხზე «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» პირველი ნომრის ფურცლებზე გაშლილ დისკუსიას, შენიშვნის ავტორი წერს, რომ ლენინის შეხედულებებს ამ საკითხზე არ იზიარებს «რუს მეგარცხენე რადიკალთა თეორიული მიმოხილვის — «კომუნისტის» რედაქციის სამი წევრი». ასეთი შენიშვნას შეეძლო გამოეწვია მკითხველთა დეზორგანიზაცია, ვინაიდან მასში **ერთი სიტყვაც** კი არ იყო ნათქვამი არც თეორიულ შეცდომებზე, არც ანტიპარტიულ ფრაქციულ მოქმედებაზე, რასაც ეს ჯგუფი ეწოდა «კომუნისტის» გამოსვლის შემდეგ.

«Arbeiterpolitik»-ის ამავე ნომერში მოწინავის სახით დაბეჭდილია ბუხარინის პატარა სტატია «იმპერიალისტური სახელმწიფო», რომელსაც ერთვის რედაქციის სტრიქონქვეშა შენიშვნა, სადაც ციტირებულია ამ სტატიის დადებითი შეფასება. — **678.**

521 «შკლოვსკის სკანდალის» თაობაზე ზინოვიევი წერდა: «... შკლოვსკის რაღაც კრიზისი შეემთხვა, და — **ჩვენთვის ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს** — მთელი პარტიული ფული შემოეხარჯა!.. დარწმუნებული ვარ, რომ მალე დააბრუნებს. მაგრამ ახლა საქმე ისეა, რომ სანტიმიც კი არა გვაქვს საფოსტო ხარჯებისათვის...». — **680.**

522 აქ იგულისხმება ზავის საკითხზე რეზოლუციების კენჭისყრა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის კონგრესზე, რომელიც 1916 წლის 25 — 30 დეკემბერს მიმდინარეობდა პარიზში, და შრომის გენერალური კონფედერაციის (Confédération générale du Travail) კონგრესზე 1916 წლის 24 — 26 დეკემბერს. ამ საკითხის გამო კენჭისყრის შედეგები ლენინს მოჰყავს თავისი ნაშრომის «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური» III თავში «საფრანგეთის სოციალისტებისა და სინდიკალისტების პაციფიზმით» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 240—245). — **686.**

523 ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის მოწოდება «მუშათა კლასისადმი» დაიბეჭდა 1917 წლის 6 იანვარს «Bullettin I. S. K.»-ის № 6-ში. ამ მოწოდების ანალიზს მიეძღვნა სტატიის «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური» IV თავი, რომელსაც ლენინმა უწოდა «ციმერვალდი გზაჯვარედინზე» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 246 — 251). — **687.**

524 იგულისხმება გაზეთ «Volksrecht»-ის 1917 წლის 6 იანვრის № 5, რომელშიც დაიბეჭდა სტატია 5 იანვარს ციურიხის სახალხო სახლში გამართული პარტიული კრების შესახებ. მიღებული რეზოლუციის ერთ-ერთ პუნქტში გამოთქმულია პროტესტი პარტიის ყრილობის გადადებისათვის «კულისებში მიმდინარე აგიტაციის» წინააღმდეგ.—**688.**

525 ეტყობა, იგულისხმება ლ. ბ. კამენევის ბროშურა «ინტერნაციონალის მარცხით». — **688.**

526 შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება პარტიის ყრილობის გადადების შესახებ დაიბეჭდა «Volksrecht»-ის № 7-ში, 1917 წლის 9 იანვარს (იხ. სტატია «Der ausserordentliche Parteitag verschoben»—«პარტიის საგანგებო ყრილობა გადაიდო»), ხოლო 1916 წლის 10 იანვრის № 8-ის განყოფილებაში «Vereine und Versammlungen» («კავშირები და კრებები») მოთავსებულ შენიშვნაში მოყვანილია ციურიხში გამართული ერთ-ერთი საოლქო პარტიული კრების რეზოლუცია, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას, რომ ყრილობა მოწვეულიყო არა უგვიანეს 1917 წლის გაზაფხულისა. — **689.**

527 ლენინს მხედველობაში აქვს სტატია «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური». მას განზრახული ჰქონდა ეს სტატია გამოექვეყნებინა გაზეთ «ნოვი მირში», რომელსაც ნიუ-იორკში უშვებდნენ რუსი ემიგრანტი სოციალისტები. სტატია ამ გაზეთში არ დაბეჭდილა. სტატიის პირველი ორი თავი გადამუშავებული სახით დაიბეჭდა 1917 წლის 31 იანვარს გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» უკანასკნელ, 58-ე, ნომერში სათაურით «მობრუნება მსოფლიო პოლიტიკაში» (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 345 — 357). — **692.**

528 *«La Bataille»* («არძოლა») — გაზეთი, ფრანგ ანარქოსინდიკალისტთა ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1915 — 1920 წლებში. პირველი მსოფლიო ომის წლებში ეკავა შოვინისტური პოზიცია. — **693.**

529 *«Grütlianer»* («გრუტლიანელი») — გაზეთი, შვეიცარიის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული «გრუტლი-კავშირის» ორგანო; დაარსდა ციურიხში 1851 წელს. მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში (1914—1918) გაზეთს ეკავა სოციალ-შოვინისტური პოზიცია. ამ გაზეთს ლენინი «მუშათა ბოძრაობაში ბურჟუაზიის თანამიმდევარ და აშკარა მსახურთა» გაზეთს უწოდებდა. — **693.**

530 ლენინს მხედველობაში აქვს შვეიცარიელ მემარცხენეთა რეზოლუცია, რომელშიც წამოყენებული იყო მოთხოვნა პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხზე რეფერენდუმის მოწყობის შესახებ. ეს

ყრილობა განსაზღვრული ვადით გადაიდო შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის დადგენილებით. რეზოლუციის ტექსტი გერმანულ ენაზე ვ. ი. ლენინის შესწორებებით ინახება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში. მემარცხენეთა რეზოლუცია საფუძვლად დაედო რეფერენდუმს, რომელიც მოეწყო მას შემდეგ. რაც ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მოითხოვეს ყრილობის მოწვევა გაზაფხულზე. 1917 წლის 23 იანვარს გაზეთ «Volksrecht»-ის № 19-ში დაიბეჭდა რეფერენდუმის მომწყობი საინიციატივო ჯგუფის მიმართვა სათაურით: «Das Referendum gegen den Parteivorstandsbeschlüss ergriffen» («რეფერენდუმი პარტიის გამგეობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ დაიწყო».—**698.**

531 იგულისხმება რეფერენდუმი შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საგანგებო ყრილობის მოწვევის საკითხზე, რომელიც მოეწყო ომისადმი დამოკიდებულების საკითხის განსახილველად. მიუხედავად ბრძოლისა, რომელიც გაჩაღდა ამ რეფერენდუმის წინაალმდეგ პარტიის ლიდერებმა რ. გრიმმა, ე. შმიდმა, ფ. შნაიდერმა, გ. გრეიფლიხმა, გ. მიულერმა (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 376 — 380). რეფერენდუმმა მხურვალე გამოხმაურება პოვა გერმანიისა და საფრანგეთის შვეიცარიის მუშებში. — **699.**

532 იხ. ფ. ენგელსი. «სოციალიზმი გერმანიაში» (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, მე-2 გამოც., (რუს.), ტომი 22, გვ. 255—260).—**700.**

533 ჟურნალ «Jugend-Internationale»-ს № 6-ში, რომელიც 1916 წლის 1 დეკემბერს გამოვიდა, დაბეჭდილი იყო (Nota Bene-ს ხელმოწერით) ბუხარინის სტატია «იმპერიალისტური ყაჩაღური სახელმწიფო». ეს სტატია ლენინმა გააკრიტიკა ნაშრომში «ახალგაზრდობის ინტერნაციონალი», რომელიც დაიბეჭდა «სბორნიკ სოციალ-დემოკრატას» № 2-ში (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 208—213).

ჟურნალ «Arbeiterpolitik»-ის 1916 წლის 9 დეკემბრის № 25-ში რანდენადმე შემოკლებული სახით დაბეჭდილია ბუხარინის იგივე სტატია სათაურით «იმპერიალისტური სახელმწიფო». — **701.**

534 იგულისხმება სპექტატორის (მ. ი. ნახიმსონის) ბროშურა «Vaterlands-Verteidigung und auswärtige Politik der Sozial-Demokratie» («სამშობლოს დაცვა და სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკა»).—**702.**

535 იგულისხმება «წინადადებები სამხედრო საკითხზე კომისიის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ», რომლებიც 1917 წლის 9 თებერვალს გამოქვეყნდა გაზეთ «Volksrecht»-ის

№ 34-ში სათაურით «Abänderungsanträge zu der Resolution der Mehrheit der Militärkommission». იმ პირთა შორის, რომელთაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტს, იყვნენ გრიმი, ნობსი და პლატენი.

უმრავლესობის თავდაპირველი პროექტი, რომელიც უარყოფდა «სამშობლოს დაცვას», დაიბეჭდა 1917 წლის 9 იანვარს გაზეთ «Volksrecht»-ის № 7-ში აფოლტერის, გრაბერის, ნენის, ნობსისა და შმიდის ხელმოწერით. — **704.**

536 იგულისხმება ლენინის მიერ დაწერილი «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ», რომელიც მიიღო ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კანტონალურმა ყრილობამ ტიოსში.

ციურიხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კანტონალური ყრილობა ტიოსში (Töss) გაიმართა 1917 წლის 11—12 თებერვალს. პარტიის ორგანომ «Volksrecht» («ხალხის უფლება») 1917 წლის 12 თებერვლის № 36-ში ყრილობას მიუძღვნა მოწინავე «Der Parteitag in Töss» («პარტია: ყრილობა ტიოსში»).

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო რეზოლუციის ორი პროექტი. 1) კომისიის უმცირესობის რეზოლუციის პროექტი სამხედრო საკითხზე, რომელიც მემარჯვენეებმა შეადგინეს სოციალ-შოვინიზმის სულისკვეთებით, და 2) კომისიის უმრავლესობის რეზოლუციის ცენტრისტული პროექტი. კენჭისყრის დროს (93 65-ის წინააღმდეგ) ყრილობამ მიიღო უმრავლესობის პროექტი. სოციალ-შოვინისტთა რეზოლუცია რომ არ გასულიყო, მემარცხენეებმა ხმა მისცეს უმრავლესობის რეზოლუციას, მაგრამ შეიტანეს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ», რომელიც მიიღო ყრილობამ (იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 374 — 375). — **705.**

537 იგულისხმება ფურცელი № 1 — «Gegen die Lüge der Vaterlandsverteidigung» («სამშობლოს დაცვის გამო სიცრუის წინააღმდეგ»), რომელიც მოგვიანებით გამოიცა ხელმოწერით: «ციმერვალდის მემარცხენეთა ჯგუფი შვეიცარიაში». ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა ამ წერილის შედგენასა და რედაქტირებაში. მასში შეტანილია ლენინის დოკუმენტი «წინადადება სამხედრო საკითხზე წარმოდგენილ რეზოლუციაში ცვლილებათა შესახებ» და რიგი დებულებანი ვ. ი. ლენინის სხვა ნაწარმოებებიდან. — **706.**

538 ეს წერილი (ღია ბარათი) ი. თ. არმანდისადმი ლენინმა დაწერა ლა-შო-დე-ფონიდან ციურიხს მგზავრობისას და გაგზავნა კლარანში Ambulant-იდან (შვეიცარია). ლა-შო-დე-ფონში — შვეიცარიის მსხვილ

მუშურ ცენტრში — ლენინმა მუშათა კლუბის შენობაში წაიკითხა რეფერატი (გერმანულ ენაზე) პარიზის კომუნასა და რუსეთის რევოლუციის განვითარების პერსპექტივებზე («წავა თუ არა რუსეთის რევოლუცია პარიზის კომუნის გზით?»). — 712.

539 ლენინს მხედველობაში აქვს დროებითი მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მისი პოლიტიკური პროგრამა. ამ დეკლარაციის სხვა პუნქტებს შორის იყო პუნქტი პოლიტიკური და რელიგიური საქმეების გამო დაპატიმრებულთა სრული და დაუყოვნებელი ამნისტიის შესახებ (იხ. «ვესტნიკ ვრემენნოგო პრავიტელსტვა», № 1, 1917 წლის 5 მარტი). — 712.

540 ვ. ა. კარპინსკიმ მიიწვია ვ. ი. ლენინი ჩასულიყო ჟენევაში და წაეკითხა რუსი ემიგრანტებისა და შვეიცარიის სოციალისტების წინაშე რეფერატი რევოლუციაში პარტიის ამოცანების შესახებ.

რუსი და შვეიცარიელი ინტერნაციონალისტების მიტინგი, რომელიც მოხსენიებულია წერილში, გაიმართა 1917 წლის 9 (22) მარტს. ვ. ი. ლენინი მიტინგს არ დასწრებია. — 715.

541 ვ. ა. კარპინსკი თავის მოგონებებში წერდა: «იყო, სხვათა შორის, ცალკეული ამხანაგების გამგზავრების ასეთი გეგმაც: ცოლად გაჰყოლოდა შვეიცარიის მოქალაქეს და ამრიგად მიეღო გერმანიასა და რუსეთში შესვლის უფლება. ვლ. ილიას ძეს ძალიან მოსწონდა ეს გეგმა და ურჩევდა აქს. რავიჩს მოეანახა «მარჯვე ბებერი», სთავაზობდა რა ამ მიზნით მენშევიკ პ. ბ. აქსელროდს (რომელიც შვეიცარიის მოქალაქე იყო)». — 719.

542 ვ. ი. ლენინის ხელნაწერში, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება, ადრესატი არაა მითითებული. ყველაზე სავარაუდოა, რომ წერილი შეიძლება გათვალისწინებული იყო ი. ს. განეცკის ან ი. თ. არმანდისათვის. 1917 წლის 18 მარტს ვ. ი. ლენინმა მიმართა ი. თ. არმანდს თხოვნით — გაეგო, შესაძლებელი იყო თუ არა მისი ლეგალური გამგზავრება შვეიცარიიდან რუსეთში ინგლისის გავლით (იხ. ეს ტომი, დოკუმენტი 561). მაგრამ 19 მარტს ვ. ი. ლენინმა შეიტყო, რომ მან უარი თქვა ინგლისში გამგზავრებაზე. ამიტომ ვ. ი. ლენინს საფუძველი არა ჰქონდა ეს დოკუმენტი გაეგზავნა ი. თ. არმანდისათვის. და მისთვის გაგზავნილ შემდგომ წერილებში ვ. ი. ლენინი აღარ უბრუნდება ამ თხოვნას.

ლენინის ხელნაწერში თარიღი არაა დასმული. როგორც შინაარსიდან ჩანს, წერილი, ეტყობა, უფრო გვიან არის დაწერილი, ვიდრე ი. თ. არმანდისათვის გაგზავნილი აღნიშნული წერილები. მასში ჩამოყალიბებულია შვეიცარიელი სოციალ-დემოკრატის ფ. პლატენის მეშ-

ვეობით პოლიტიკურ ემიგრანტთა ჯგუფის გამგზავრების პირობები. ეს პირობები რამდენადმე შეცვლილი სახით შევიდა ფ. პლატენის მიერ 1917 წლის 4 აპრილს ხელმოწერილ დოკუმენტში «გერმანიის გავლით პოლიტიკურ ემიგრანტთა რუსეთში დაბრუნების გამო მოლაპარაკების საფუძვლები» (იხ. ლენინის კრებული II, გვ. 382 — 383).

ი. ს. განეცკი თავის მოგონებებში აღნიშნავდა, რომ «თებერვლის რევოლუციის შესახებ პირველი ცნობების მიღებისთანავე» წინადადებას აძლევდა ვ. ი. ლენინს წასულიყო რუსეთში ინგლისის გავლით. ამიტომ, სავარაუდოა, აღნიშნული დოკუმენტი ვ. ი. ლენინს შეეძლო გაეგზავნა ი. ს. განეცკისათვის — რსდმპ წევრისათვის, რომელიც ქმედით მონაწილეობას იღებდა რუსი პოლიტიკური ემიგრანტების შვეიცარიიდან რუსეთში გადაყვანის ორგანიზაციაში. ამ საკითხზე ტომში იბეჭდება რამდენიმე წერილი და დეპეშა ი. ს. განეცკისადმი. — **720.**

543 იგულისხმება რ. გრიმის 1917 წლის 2 აპრილის წერილი რუსი ემიგრანტების დაბრუნების მომწყობი კომიტეტისადმი, რომელშიც იგი პროტესტს აცხადებდა «რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის კოლეგიის დადგენილების» წინააღმდეგ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 23, გვ. 482 — 483). — **726.**

544 იგულისხმება პლატენის მიერ 1917 წლის 4 აპრილს გერმანიის დესპანისათვის გადაცემული წერილობითი პირობები, რომელთა პირველ პუნქტში ნათქვამი იყო: «მე, ფრიც პლატენი, ვღებულობ სრული და განუწყვეტელი პირადი პასუხისმგებლობით ვაგონს პოლიტიკური ემიგრანტებისა და ლეგალური პირებისათვის, რომელთაც სურთ ჩავიდნენ რუსეთში გერმანიის გავლით». — **726.**

545 იგულისხმება რუსეთში გამგზავრებასთან დაკავშირებული რეზოლუციები და ოქმები (იხ. ლენინის კრებული II, გვ. 385 — 393) — **726.**

546 ნ ა ჩ ა ლ ო ე ლ ე ბ ი — მენშევიკურ-ტროცკისტული გაზეთის «ნაჩალოს» გარშემო შემოკრებილი ჯგუფის მომხრენი. ეს გაზეთი პარიზში გამოდიოდა 1916 წლის სექტემბრიდან 1917 წლის მარტამდე. — **728.**

547 მოქმედი არმიის დელეგატთა საფრონტო ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24 აპრილიდან 4 მაისამდე (7—17 მაისს)—**780.**

548 კ. რადეკი მაშინ შედიოდა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სტოკჰოლმის საზღვარგარეთული ბიუროში. — **781.**

549 ««პ რ ა ვ დ ი ს» ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი» გერმანულ ენაზე გამოდიოდა სტოკჰოლმში 1917 წლის ივნისიდან ნოემბრამდე სათაურით «Russische Korrespondenz «Prawda»» (««პრავდის» რუსული ბიულეტენი»). უშ-

ვებდა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის წარმომადგენლობა. ბიულეტენში ქვეყნდებოდა სტატიები რუსეთის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, დოკუმენტები, მიმოხილვები, ქრონიკა, რომლებიც აშუქებდნენ პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებას. ბიულეტენი გამოდიოდა ფრანგულ ენაზეც. — **781.**

550 ლენინს მხედველობაში აქვს პუნქტი სრულიად რუსეთის აპრილის კონფერენციის რეზოლუციისა «მდგომარეობა ინტერნაციონალში და რსდმპ(ბ) ამოცანები», რომელშიც ნათქვამია: «ჩვენი პარტია რჩება ციმერვალდის ბლოკში, თავის ამოცანად ისახავს დაიცვას იქ ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფის ტაქტიკა და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს დროულად გადადგას ნაბიჯები III ინტერნაციონალის დასაარსებლად» (იხ. «რსდმპ (ბოლშევიკების) სრულიად რუსეთის მეშვიდე (აპრილის) კონფერენცია. რსდმპ (ბოლშევიკების) პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენცია. 1917 წლის აპრილი. ოქმები». მ., სახპოლიტგამომცემლობა, 1958, გვ. 255). ნაცვლად ამ პუნქტისა ლენინი აყენებდა ასეთ ფორმულირებას: «უნდა დავრჩეთ ციმერვალდში მ ხ ო ლ ო დ ინფორმაციისათვის» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 79). — **781.**

551 პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის რუსეთის ჯგუფების აღმასრულებელმა კომიტეტმა რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის იურიდიულ კომისიაში შეიტანა განცხადება ბურჟუაზიულ პრესაში ი. ს. განეცკის წინააღმდეგ ატეხილ ცილისმწამებლურ კამპანიასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება ამ განცხადების ასლი, რომელშიც ი. ს. განეცკის პოლიტიკური საქმიანობა აღიარებულია უმწიკვლოდ, ბაგრამ არის პუნქტი იმის შესახებ, რომ მოეთხოვოს «განეცკისა და სხვა საზღვარგარეთელ ამხანაგებს, რომლებიც იცნობენ ამხ. განეცკის პირად ცხოვრებას, ახსნა-განმარტებანი ამხ. განეცკის ბრალდებისა გამო, რაც მიმართულია მისი ცხოვრების ამ მხარის წინააღმდეგ».

პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის აღმასრულებელ კომიტეტს განზრახული ჰქონდა გამოექვეყნებინა თავისი განცხადება.

ამ მასალას რომ გაეცნო, ვ. ი. ლენინმა ეს წერილი გაუგზავნა იურიდიულ კომისიას.

ი. ს. განეცკი, როგორც რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთული ბიუროს წევრი, მაშინ სტოკჰოლმში იმყოფებოდა. — **782.**

552 ეს წერილი ვ. ი. ლენინმა სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს მისწერა.

7 (20) იელისს საღამოს ძველი ბოლშევიკის, მუშა ს. ი. ალილუევის ბინაში, სადაც იმ დროს იმალებოდა ლენინი, გაიმართა ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და ზოგიერთი პარტიული მუშაკის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ვ. ი. ლენინი, ვ. პ. ნოგინი, გ. კ. ორჯონიკიძე, ი. ბ. სტალინი, ე. დ. სტასოვა და სხვები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ლენინი არ უნდა გამოცხადებულიყო კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის სასამართლოში. 1917 წლის 13 — 14 (26 — 27) იელისს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულმა თათბირმა, შემდეგ კი პარტიის VI ყრილობამ მიიღეს რეზოლუცია სასამართლოში ლენინის გამოცხადების წინააღმდეგ (იხ. «რსდმპ. (ბოლშევიკებისა) მეექვსე ყრილობა. ოქმები». მ.. 1958, გვ. 270).—**786.**

553 «პ რ ი ბ ო ი» — ყოველდღიური გაზეთი, რსდმპ(ბ) ჰელსინგფორსის კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა ჰელსინგფორსში 1917 წლის 27 იელისიდან (9 აგვისტოდან) 1918 წლის მარტამდე, კერენსკის მთავრობის მიერ აკრძალული ბოლშევიკური გაზეთის «ვოლნისა» ნაცვლად. № 57-დან (19 ოქტომბრამდე) იყო რსდმპ (ბ) ფინეთის საოლქო ბიუროსა და ჰელსინგფორსის კომიტეტის ორგანო. — **788.**

554 «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ-რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი» — გაზეთი, მემარცხენე ესერთა ორგანო ფინეთში. გამოდიოდა ჰელსინგფორსში 1917 წლის 9 იელისიდან 1918 წლის დამდეგამდე. — **788.**

სახელთა საძიებელი

ა

ა., ა-დრ, ალ-დრ — იხ. შლიაპნიკოვი, ა. გ.

ა. ბ. — იხ. კრილენკო, ნ. ვ.

ა. კ.—იხ. კოლონტაი, ა. მ.

ა. მ.—იხ. კოლონტაი, ა. მ.

ა. მ. — **იხ. გორკი, ა. მ.**

ე. ნ. — იხ. პოტრესოვი, ა. ნ.

აბელი — იხ. ენუქიძე, ა. ს.

აბრამი, აბრამჩიკი — იხ. კრილენკო, ნ. ვ.

აბრამი — იხ. სკოვნო, ა. ა.

აბრამოვიჩი—ა. ე.—584. 637, 668. 670, 678, 682, 683, 694, 698, 699, 705, 707, 709, 711.

აბრამოვიჩი, რ. (რეინი, რ. ა.*, მოვიჩი)—584, 682, 683, 711.

აბსოლუტი — იხ. სტასოვა, ე. დ.

ადლერი (adler), ვიქტორი — 519.

ადრიანოვი — 283, 284.

ავენარი (Awenard), **ეტიენი** — 170 — **171.**

აიზენშტადტი, ი. ლ. (იუდინი) — 290.

აკიმი — იხ. გოლდმანი, ლ. ი.

აკიმოვი (მახნოვეცი), ვ. ბ. — 66.

ალბერტი — იხ. პიატნიცკი, ი. ა.

ალექსანდრე — იხ. კრემერი, ა. ი.

ალექსანდრე — იხ. შლიაპნიკოვი, ა. გ.

ალექსანდრე III (რომანოვი) — 700.

ალექსანდროვა, ე. მ. (ჟაკი)—95.

ალექსანდროვიჩი — 561 — 563.

ალექსეევი (კ) — 117, 119, 132.

ალექსეევი, ნ. ა. — 56, 57, 58.

ალექსეენკო, მ. მ. — 389.

ალექსი — 451.

ალექსი — 308.

ალექსი — 367.

ალექსის და—იხ. კანცელი, ლ. ო.

ალექსი — იხ. მარტოვი, ლ.

ალექსინსკი, გ. ა. (ბ., პეტრე) — 171 — 174, 186, 209, 225, 228, 321, 342, 354, 370, 375, 377, 390, 392, 396, 446, 449, 458, 474, 476, 526.

ანი — იხ. ჟორდანია, ნ. ნ.

ან. ვ., ან. ვას., ანატოლი ვასილის ძე — იხ. ლუნაჩარსკი, ა. ვ.

ანა ივან. — იხ. კონსტანტინოვიჩი, ა. ე.

* ფრჩხილებში ნახევრად მუქი შრიფტით აღნიშნულია ნამდვილი გვარები.

ანდრეევა, მ. თ. — 265.
ანდრეი — იხ. სვერდლოვი, ი. მ.
ანდრეი ნიკოლოზის ძე—იხ. ა. ი. ელიზაროვა-ულიანოვა.
ანენსკი, ნ. თ. — 261.
ანტონი — იხ. მაკაძიუბა მ. ს.
ანტონოვი — იხ. პოპოვი, ა. ვ.
ანტონოვიჩი, მ. ა. — 261.
არკადი — იხ. რადჩენკო, ი. ი.
არმანდი, ა. ა. — 458.
არმანდი, ი. თ. (ინესა)—418, 419, 423, 426, 427, 434, 435, 441, 446, 455, 456, 457, 458, 459, 460, 462, 463, 464, 465, 468, 469, 473, 474, 475, 476, 477, 478, 487, 488, 492, 509, 511, 513, 514, 521, 523, 558, 574, 575, 576, 577, 581, 582, 609, 613, 616, 619, 626, 628, 629, 634, 635, 637, 645, 658, 667, 668, 669, 670, 671, 673, 674, 675, 677, 678, 679, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 718, 721.
ასტრახანცევი, ა. ბ. — 216.
აუსტერლიცი (Austerlitz), **ფრიდრიხი** — 600.
აფანასიევი, ს. ნ. — 117.
ახალი ნაცნობი — იხ. პოტრესოვი, ა. ნ.
ახალი თავმჯდომარე — იხ. პეტროვსკი, გ. ი.

ბ

ბ. აბრ. — იხ. კოლცოვი, დ.
ბ. ნ., ბ. ნ-ჩი—იხ. ნოსკოვი, ვ. ა.
„ბ-ნი“—იხ. ფინ-ენოტაევსკი, ა. ი.
ბაბინი — 305.
ბადაევი, ა. ე. (№ 1)—345, 421.
ბაზაროვი (რუდნევი), ვ. ა.—133, 161.
ბაზილი — იხ. ლენინი, ვ. ი.
ბარონი — იხ. ესენი, ე. ე.
ბასოვსკი, ი. ბ. (დემენტიევი) — 89.
ბატონი თავმჯდომარე—იხ. პეტროვსკი, გ. ი.
«ბატონ-ბატრონი» — იხ. გორკი, მაქსიმ.
ბაუმანი (Baumann), **რუდოლფი**—704.
ბაუერი (Bauer), **ოტო**—556.
ბებელი (Bebel), **ავგუსტი** — 240.
ბებუთოვი, ი. დ.—329.
ბედნი, დემიან (პრიდვოროვი, ე. ა.)—337.
ბეილისი, მ. თ.—419.
ბეკზადიანი, ა. ა. (იური) — 312, 333, 340, 374, 456, 536.
ბელენინი—**იხ.** შლიაპნიკოვი, ა. კ.
ბელენკი, გ. ი. (ბელინსკი, გრიშა)—516, 573, 574, 624, 625, 634, 646, 657, 661, 707, 728.
ბელინსკი — იხ. ბელენკი, გ. ი.
ბელოუსოვა — 706.
ბელოუსოვი, ტ. ო.—216.
ბელსკი—იხ. კრასიკოვი, პ. ა.
ბენტელი (Benteli) — 540, 558, 653.
ბერგი — იხ. მარტოვი, ლ.
ბერდიაევი, ნ. ა.—29, 30.
ბერზინი (ბერზინ-ზიემელისი), ი. ა—383, 384, 465, 473, 666.
ბერნშტეინი (Bernstein), **ედუარდი** — 41, 454, 587.
ბერნჰაიმი (Bernheim)—192.

ბესპრიზორნი—316.
ბიურესონი (Börjesson)—174.
ბიორკი (Björck)—174.
ბლაგოევი (Blagoev), **დიმიტრი**—524.
ბლიუმენფელდი, ი. ს. (ცვეტოვი)—37, 49, 50.
ბლოხი (Bloch) — 502.
ბლოხი (Bloch), იოსები—661.
ბობროვსკაია (ზელინსონი), ც. ს. (ლენა)—128, 131.
ბოგდანოვი, ა. (მალინოვსკი, ა. ა., ვერნერი, მაქსიმოვი, რახმეტოვი, რიაღოვოი, სისოიკა) — 102, 105, 108, 132, 133, 134, 137, 141, 159, 161, 187, 204, 206, 210, 228, 231, 370, 390, 395, 419, 430, 432, 434, 446.
ბოგდანოვიჩი, ა. ი.—79.
ბოგდასარიანი, ტ.—192, 217.
ბოგუჩარსკი (იაკოვლევი, ვ. ი.) — 376.
ბოლშაკი — იხ. სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი.
ბონჩ-ბრუევიჩი, ვ. დ.—77, 81, 82, 84, 87, 90, 96, 99, 102, 105, 108, 118, 155, 162, 165, 168, 272, 275, 276, 716.
ბორინი—იხ. კრესტინსკი, ნ. ნ.
ბორისი — იხ. ნოსკოვი, ვ. ა.
ბოროდა — იხ. დესნიცკი, ვ. ა.
ბოში, ე. ბ. (იაპონელები) — 536, 539, 546, 564, 566, 606 — 607, 615, 618, 622, 623.
ბრაკე (Bracke) **(Деруссо, Александр-Мари)**—152, 167.
ბრანტინგი (Branting), **კარლ იალმარი**—174, 213, 493, 500.
ბრაუნი — იხ. იანსონი, ი. ე.
ბრენდისტენი — 724.
ბრილიანტი — იხ. სოკოლნიკოვი, გ. ი.
ბრიტმანი — იხ. პოპოვი, ა. ვ.
ბროდიაგა — იხ. სილვინი, მ. ა.
ბროკჰაუზი, თ. ა. და **ეფრონი**, ი. ა.—96.
ბრონოვსკი, ი. — 359.
ბრონსკი, მ. გ. (ვარშავსკი)—596, 648, 671, 676, 678, 704, 726.
ბრონშტეინი, პ. ა. (იური)—250, 252, 253.
ბრუტუსი—იხ. კრეიანოვსკი, გ. მ.
ბრუტშუ (Broutchoux), ბ.—644.
ბუკვა — იხ. გორკი, მაქსიმ.
ბულანჟე — (Boulanger), **ჟორჟი ერნესტი** — 700.
ბულგაკოვი, ს. ნ. — 22.
ბულკინი (სემიონოვი), **თ. ა.** — 468.
ბურდერონი (Bourderon), **ალბერი**—573, 686.
ბურენინი, **ვ. პ.** — 407, 410.
ბურიანოვი, **ა. ფ.** — 355, 421.
ბურცევი, **ვ. ლ.**—218, 451, 452.
ბუხარინი, **ნ. ი.** (დოლგოლევსკი)—421, 432, 508, 516, 535, 547, 550, 565, 596, 600, 604, 606, 607, 621, 624, 627, 630, 635, 637, 643, 650, 655, 657, 659, 662—667, 678.
ბუხერი (Bucher), **ალფრედი** — 710.

გ.

გ., გრ. — იხ. ზინოვიევი, გ. ე.
გ. ვ.—იხ. პლეხანოვი, გ. ვ.
გ. ზ.—იხ. ზინოვიევი, გ. ე.
გალიორკა — იხ. ოლმინსკი, მ. ს.
გალინა—იხ. როზმიროვიჩი, ე. თ.
გალბერშტადტი, **რ. ს.** (კოსტია)—95.

გალპერინი, ლ. ე. (ვალენტინი, კონიაგინი) — 36—37, 145.
გამა — იხ. მარტოვი, ლ.
განეცკი (ფიურსტენბერგი), ი. ს.— 374, 447, 505, 715, 716, 720, 722, 724, 727, 728—729, 733, 736.
გეგეჭკორი, ე. ბ. — 215, 295.
გედი (Guesde), **ჟიული**—168.
გერ-ნი — 313.
გერმანი, ი. ე. — 378—379, 383, 413—415, 417, 438, 450.
გილბო (Guilbeaux), **ანრი** — 626, 629, 634, 636, 678, 682, 686, 690, 692, 694, 698, 701, 723, 725.
გილკა — იხ. მელენევსკი, მ. ი.
გიმერი, ნ. ნ. — იხ. სუხანოვი, ნ.
გინზბურგი, ბ. ა. — იხ. კოლცოვი, დ.
გლებოვი, ბ.—იხ. ნოსკოვი, ვ. ა.
გნევიჩი—იხ. ფაბერკევიჩი, ზბიგნევი.
გობი (**ზნიტნიკოვა**), **ლ. ხ.** (ირინა)—112.
გოლდენბერგი, ი. პ. (მეშკოვსკი)— 119, 120, 209.
გოლდენდახი, დ. ბ. — იხ. რიაზანოვი, დ. ბ.
გოლდმანი, ლ. ი. (აკიმი)—37—38.
გოლეი (Golay), **პოლი**—534, 536.
გოლოშჩეკინი, ფ. ი. (ფრამი) — 367.
გოლუბევა, მ. ბ. (მარია პეტრეს ასული, იასნევა)—119. 141.
გორევი, ბ. ი. (**გოლდმანი, ბ. ი.**, იგორევი, იგორი) — 198, 255, 258, 285, 297.
გორკი, მაქსიმ (**პეშკოვი, ა. მ., ა. მ.**, ბუკვა, «ბატონ-პატრონი»)—119, 137, 177, 179, 320, 329, 354—355, 364, 370, 373, 393, 396, 496, 677, 681.
გორტერი (Gorter), **გერმანი** — 509, 511, 512, 518, 524, 527, 533, 543, 548, 580, 586.
გოცი, მ. რ. (რაფაილოვი მ.)—22.
გრაბერი (Graber), **ერნსტ პოლი**—628, 634, 686, 710.
გრეილიხი (Greulich), **გერმანი** — 32, 605, 671, 735.
გრიგოლი—იხ. ზინოვიევი, გ. ე.
გრიგოლის ცოლი — იხ. ლილინა, ზ. ი.
გრიმი (Grimm), **რობერტი**—514, 516, 524, 537, 546, 550, 555, 564, 565, 572, 584, 590, 593, 598, 608, 636, 638, 671, 672, 687, 691, 693, 695, 696, 701, 702, 704.
გრიშა — იხ. ბელენკი, გ. ი.
გრიცკო — 106, 109.
გროჟანი — (**გვოზდოვი**), **დ. ხ.** (იური)—205.
გრუმბახი (Grumbach), **სოლომონი** (Homo)—582.
გულიკო — 431.
გურევიჩი, ე. ლ. — 12.
გურვიჩი, ი. ა. — 4.
გუროვიჩი, მ. ი.—69—70.
გუსევი, ს. ი. (დრაბკინი ო. დ.)— 119.

დ

დავიდი (David), **ედუარდი**—230, 528.
დავიდოვი, ნ. მ.—221.
დათუნია—იხ. ულიანოვა, მ. ი.
დანი (გურვიჩი), **თ. ი.**—44, 107, 245—253, 254, 272, 632.

დანსკი, ბ. გ. (კომაროვსკი, კ. ა., X.)—401—403, 431.
დეიჩი, ლ. გ. (Alleman, Л. Гр., Лео)—57, 58, 61, 63, 84, 89.
დელეზი (Delaisi), **ფრანსისი**—675.
დემენტიევი—იხ. ბასოვსკი, ი. ბ.
დემიდოვსკი, ი.—300.
დემონი—იხ. ზემლიაჩკა, რ. ს.
დენნიცკი, ვ. ა. (ბოროდა)—119.
დილონი—105.
დიმკა—იხ. სმიდოვიჩი, ი. გ.
დირკსი—იხ. ნასიმოვიჩი, ნ. თ.
დიტცი (Dietz), **იოჰან ჰენრიხ ვილჰელმი**—49, 57, 63, 65, 400.
დიუბრეილი (Dubreuil), **ლუი**—184.
დნევნიცკი, პ. ნ. (ცედერბაუმი, ფ. ო.)—319, 355, 370.
დოლგოლევსკი—იხ. ბუხარინი, ნ. ი.
დომოვი—იხ. პოკროვსკი, მ. ნ.
დომსკი, გ. გ. (კამენსკი)—524.
დოროშენკო, ნ. ვ. (კონსტანტინე სერგის ძე)—157—158.
დრო—იხ. ემბერ-დრო, ჟიული.
დუბროვინსკი, ი. თ. (ინოკენტიევი, ინოკი)—204, 208, 231, 238, 284.

ე

—ე.—.—285—286.
ე.—იხ. როზენი, მ. მ.
ე. ბ.—იხ. ბოში, ე. ბ.
ე. ფ.—იხ. როზმიროვიჩი, ე. თ.
ეგორი—იხ. პოლუბინოვი.
ეგოროვი, ნ. მ.—216.
ედიშეროვი—427.
ევსეი—იხ. ლეიბოვიჩი, მ.
ეკი, ა.—242.
ელიზაროვა-ულიანოვა, ა. ი. (ანდრეი ნიკოლოზის ძე, ჯემსი)—432, 604, 630, 636.
ემა, **ემანუილი**—იხ. კორენევსკი, მ.
ემბერ-დრო (Humber-Droz), **ჟიული**—678, 704, 705, 710.
ენგელსი (Engels), **ფრიდრიხი**—7, 33, 97, 635, 663.
ენუქიძე, ა. ს. (აბელი)—399.
ერმოლაევი, კ. მ. (რომანი)—250.
ესენი, ე. ე. (ბარონი)—109, 119, 132.
ესენი, მ. მ.—104.
ეფრონი, ი. ა.—48.

ვ

ვ. ვ.—იხ. ვორონცოვი, ვ. პ.
ვ. ი.—იხ. ზასულიჩი, ვ. ი.
ვ. მ.—იხ. ველიჩკინა, ვ. მ.
ვადიმი—იხ. პოსტოლოვსკი, დ. ს.
ვაინკოპი (Wijnkoop, wynkoop), **დავითი**—509, 511, 521, 526, 531, 534, 543, 545, 547.
ვაკარი ვ. ვ.—65.
ვალენტინი—იხ. გალპერინი, ლ. ე.
ვალენტინოვი, ნ. (ვოლსკი, ნ. ვ., სამსონოვი)—113.
ვალია—იხ. საფაროვი, ვ. ს.
ვალიანი (ვაიანი) (Vaillant), **ედუარდ მარი**—163.
ვანდერველდე (Vandervelde), **ემილი**—476, 478, 494, 546, 548.
ვარი, ა.—იხ. ვარსკი, ადოლფი.
ვარინი—იხ. ფრიდოლინი, ვ. ი.
ვარსკი (Warski), **ადოლფი** (ვარი, ა.)—268.

ვარშავსკი — იხ. ბრონსკი, მ. გ.
ვას. ვას.—იხ. ოლმინსკი, მ. ს.
ვასერბერგი, ე. ა.—44.
ვასილევი—იხ. სტალინი, ი. ბ.
ველიკა, ველ. დმ., ველიკა დიმიტრის ასული—იხ. ზასულიჩი, ვ. ი.
ველიჩკინა, ვ. მ.—97, 273, 276.
ვერა—იხ. ლობოვა, ვ. ნ.
ვერნერი—იხ. ბოგდანოვი, ა.
ვეტროვი — იხ. საველიევი, მ. ა.
ვეტჩინკინი — 165.
ვეჩესლოვი, მ. გ. (იურიევი) — 23, 25.
ვიაზმენსკი, გ. მ. — 365.
ვიაჩ. ალ.—იხ. კარპინსკი, ვ. ა.
ვილენსკი, ი. ს. (ილია)—102.
ვინიჩენკო, ვ. კ.—448.
ვინიცკი—იხ. მედემი, ვ. დ.
ვიტიმსკი, ა.—იხ. ოლმინსკი, მ. ს.
ვიქტორი—იხ. ტარატუტა, ვ. კ.
ვლ. ქრ.—427.
ვლადიმიროვი, მ. კ. (**ზეინფინკელი, მ. კ.,** ლიოლა)—296, 422, 679.
ვლადიმირსკი, მ. თ. (**კამსკი**)—356, 358, 427, 449, 456, 460, 463, 466.
ვლასოვი—იხ. რიკოვი, ა. ი.
ვოიტლოშნიკოვი, ა. ა.—216.
ვოინოვი—იხ. ლუნაჩარსკი, ა. ვ.
ვოიტინსკი, ვ. ს. — 408.
ვოლკოვი—486.
ვოლოდინი—იხ. საფაროვი, გ. ი.
ვოლონტიორი — იხ. პავლოვიჩი, მ. პ.
ვოლსკი, ს. (**სოკოლოვი, ა. ვ.**)— 209.
ვოლფი (Wolff), **ვილჰელმი** — 33.
ვოროვსკი, ვ. ვ. (ეოზეფინა, ორლოვსკი, შვარცი)—111, 145, 148, 205, 210, 262, 736.
ვორონინი, ს. ა.—216.
ვორონცოვი, ვ. პ. (ვ. ვ.) — 3, 4.

ზ

ზაგორსკი (**ლუბოცკი**), **ვ. მ.**—334.
ზალეკსკი, კაზიმირი—359.
ზასლავსკი, დ. ი. — 733.
ზასულიჩი, ვ. ი. (ვ. ი. ველიკა, ველ. დმ., ველიკა დიმიტრის ასული)—15, 29, 49, 55, 61, 89, 98, 398.
ზაუერი — იხ. სკარე, ვ.
ზაქსი, ს. მ. (გლადნევი, ს. მ.) — 316.
ზახაროვი, მ. ვ.—216.
ზეგერი (Seger), **იოჰან ფრიდრიხი**—661.
ზემლიაჩკა, რ. ს. (ზალკინდი, რ. ს., დემონი, ოსიპოვი)—101, 103, 105, 119, 137, 141.
ზინა—იხ. ლილიანა, ზ. ი.
ზინოვიევი, გ. ე. (**რადომისლსკი,** გ. ე., გ., გრ., გ. ზ., გრიგორლი)—208, 209, 221—222, 224, 231, 238, 252—253, 255, 257, 261, 289, 296, 317, 342, 375, 380, 387, 388, 393, 415, 455, 456, 460, 463, 472, 476, 488, 501, 508, 514, 515—526, 531, 533—538, 539—542, 546—547, 549 — 551, 554 — 559, 560, 561 — 566, 572, 580 — 581, 582—584, 590—601, 608 — 617, 619 — 621, 629 — 632, 633—634, 635 — 637, 638 — 639, 642 — 643, 644 — 647, 649 — 658, 659 — 662, 667,

671, 672, 678, 691, 694, 697, 700, 701, 710, 719, 721, 723, 735.
ზიფელდტი (სიმუმიაში), ა. რ. — 579.
ზუბატოვი, ს. ვ. — 19.

თ

თავქარიანი—იხ. ლუნაჩარსკი, ა. ვ.

ი

ი., იურ., იური—იხ. პიატაკოვი, გ. ლ.
ი. კ. — იხ. კამენევი, ლ. ბ.
ი. პ., ივ. პ. — იხ. ლადიჟნიკოვი, ი. პ.
იაგელო (Jagèello), ე. ი. (№ 16)— 251, 341, 343, 345, 346, 346, 351, 355.
«იაკობინელი» — 123.
იაკუბოვა, ა. ა. — 13—14.
იანსონი (Jansson), ვილჰელმი — 481—482.
იანსონი, ი. ე. (ბრაუნი) — 385, 541.
იაპონელები—იხ. ბოში, ვ. ბ., პიატაკოვი, გ. ლ.
იასნევა — იხ. გოლუბევა, მ. პ.
იგორევი, იგორი—იხ. გორევი, ბ. ი.
ივანე ვასილის ძე—160.
ივანოვსკი, ვ. ი. — იხ. ლენინი, ვ. ი.
ილია — იხ. ეილენსკი, ი. ს.
ილინი, ვ.—იხ. ლენინი, ვ. ი.
ილინი, ფ. ნ. — 616.
ილინი, ფ. ფ. — 165.
ილინ-ჟენევსკი, ა. ფ.—450.
ინესა — იხ. არმანდი, ი. თ.
ინოკენტიევი, ინოკი — იხ. დუბროვინსკი, ი. თ.
ითონოვი (კოიგენი, ფ. მ.)—520.
ოორდანსკი, ნ. ი. (ნეგორეევი) — 294, 496.
ირინა—იხ. გობი, ლ. ხ.
ისაენკო, ა. ი.—143.
ისეცკი—იხ. სოლომონი, გ. ა.
ისუკი, ი. ა. (მიხეილი)—250, 252, 253.
იუდინი—იხ. აიზენშტადტი, ი. ლ.
იუზეფი—იხ. ძერჟინსკი, ფ. ე.
იული—იხ. მარტოვი, ლ.
იუნიუსი—იხ. ლუქსემბურგი, როზა.
იუჟაკოვი, ს. ნ.—22.
იურევი—იხ. ვეჩესლოვი, მ. გ.
იური—იხ. ბეკზადიანი, ა. ა.
იური—იხ. ბრონშტეინი, პ. ა.
იური—იხ. გროჟანი, დ. ს.
იური—იხ. კამენევი, ლ. ბ.
იურიხონი (მარტნა), მ.—179, 180.
იურკევიჩი, ლ. (რიბალკა) — 584, 613.

კ

კ. მ.—იხ. მოვშოვიჩი, მ. ი.
კ — ძე — იხ. კონსტანტინოვიჩი, ა. ე.
კაგანი, ა. პ. — 666.
კავენიაკი (Cavenignac), ლუი ეუენი —736.
კაიო (Caillaux)—441.
კაიო (Caillaux), ეოზეფი—441.
კამენევი, ლ. ბ. (როზენფელდი, ლ. ბ., კამენევი, ი., ი. კ., ეუარი)—94, 138—139, 161, 208, 220—222, 242, 244, 308—309,

311 — 312, 314, 316 — 324, 329 — 342, 354 — 358, 367, 371—372, 374—378, 380—381, 386, 389, 392—393, 405, 421, 425, 430, 431, 434, 518, 564, 579, 615, 630, 631, 688. 701, 717, 723, 724.

კამენსკი—იხ. დომსკი, გ. გ.

კამსკი—იხ. ვლადიმირსკი, მ. ფ.

კანცელი, ლ. ო. (ალექსის და)—35.

კარლსონი, კ. მ. (ოგრეტისი) — 415, 438.

კარპინსკები—იხ. კარპინსკი, ვ. ა. და რავიჩი, ს. ნ.

კარპინსკი, ვ. ა. (მინინი) — 233, 450, 489 — 492, 494 — 497, 501—502, 503—505, 510, 519, 529, 532, 538 — 539, 542, 544—545, 546, 549, 551, 559, 560—561, 566—568, 606. 616, 686, 689 — 690, 696, 715, 717, 718, 722—728, 731.

კარსკი—იხ. მარხლევსკი, ი.

კასპაროვი, ვ. მ.—397, 399, 475, 485, 514, 583, 591, 616.

კაუცკი (Kautsky), **კარლ**—22, 41, 75, 90, 95 — 96, 111 — 112, 114—115, 149, 170, 195, 228, 278—281, 319, 330, 422, 444, 456, 464, 467, 469, 471, 478. 479, 509, 512, 517, 524, 525, 527, 530, 586, 588, 600, 605, 687, 709.

კაცლეროვიჩი (Katzlerowitch), **ტრიშა**—608.

კვარკი (Quarck), **მაქსი**—540, 541.

კველჩი (Quelch), **ჰარი**—55.

კვესელი (Quessel), **ლიუდვიგი**—280.

კედროვი, მ. ს.—604.

კერენსკი, ა. თ. —714.

კერი (Kerr), **ჩარლზი**—530.

კეფველები—იხ. ბოში, ე. ბ. და პიატაკოვი, გ. ლ.

კიეველი, პეტრე—იხ. პიატაკოვი, გ. ლ.

კიკნაძე, ნ. დ. (Cmenko)—533.

კისელიოვი, ა. ს.—316.

კისლიკოვი, დ. ი.—150.

კისტიაკოვსკი, ბ. ა.—29.

კლასონი, რ. ე. — 28.

კლემანსო (Klemenceau), **ჟორჟი ბენჟამენი**—137.

კნიპოვიჩი—397.

კნიპოვიჩი, ლ. მ. (პაპა)—140.

კნუნიანცი, ბ. მ. (რადინი)—161, 173.

კობა—იხ. სტალინი, ი. ბ.

კობეცკი, მ. ვ.—264—265, 268—269, 498.

კოზლოვსკი, მ. ი.—728.

კოკოვცოვი, ვ. ნ.—348.

კოლი—იხ. ლენგნიკი, ფ. ვ.

კოლას ცოლი—იხ. ლენგნიკი, ა. მ.

კოლბი (Kolb), **ვილჰელმი**—546.

კოლონტაი, ა. მ.—463, 493, 498, 524, 531, 550, 555, 561, 568, 575, 590, 611, 624, 637, 660, 715—716.

კოლცოვი, დ. (**გინზბურგი, ბ. ა., ბ. აბრ.**) — 49, 75, 244, 406.

კონი, ფ. ი.—186—187.

კონიაგინი—იხ. გალპერინი, ლ. ე.

კონოვალოვი, ა. ი.—443.

კონსტანტინე სერგოს ძე—იხ. დოროშენკო, ნ. ვ.

კონსტანტინოვიჩი, ა. ე. (ანა ეგგ.)—459, 714.

კორენევსკი, მ. (თომიჩ-ემანუილ-

ემა)—104.
კორიჩონერი (Koritschoner), ფრანცი—650, 656, 665.
კოსტია — იხ. გალბერშტადტი, რ. ს.
კოსტია—იხ. მალინოვსკი, რ. ვ.
კოსტროვი—იხ. ჟორდანია, ნ. ნ.
კოტლიარენკო, დ. მ.—224, 243.
კოხერი (Kocher), **თეოდორ** — 379—380, 396, 397.
კრასიკოვი, პ. ა. (ბელსკი, მუსიკოსი, პ. ანდრ., პავლოვიჩი)—122, 145, 205, 210, 394.
კრასნუხა, ვ. პ. (მოქალაქე)—66. 68.
კრასი—იხ. პოლეტაევი, ნ. გ.
კრემერი, ა. ი. (ალექსანდრე) — 58—59.
კრესტინსკი, ნ. ნ. (ბორინი)—401.
კრილენკო, ნ. ვ. (აბრამი, აბრამჩიკი) — 312, 422 — 423, 508. 518—519, 525, 533.
კრიჩევსკი, ბ. ნ.—54, 66.
კრუიუანოვსკი, გ. მ. (ბრუტუსი, ტრავიანსკი)—80, 94—95, 101.
კროხმალი, ვ. ნ.—53.
კრუპსკაია, ნ. კ. (**Ульянова, Н. К., Ленина**, Надя, Шарко) — 38 — 39, 61, 104, 108, 165, 172, 266, 276, 373, 379, 391, 393, 394, 395, 433, 439. 447, 451, 459, 490, 503, 575, 615, 617, 621, 626, 628, 641, 648, 650, 651, 600, 667, 670, 707, 709, 736.
კრუჩინინა — იხ. მანდელშტამი, ლ. ბ.
კუგელმანი (Kugelmann), **ლიუდვიგი**—184.
კუზმა—იხ. ლიახოცკი, კ.
კუზმიხა—იხ. ლიახოცკაია.
კუზნეცოვი, გ. ს.—215.
კუზნეცოვი, ნ. ვ. — იხ. საპოჟკოვი, ნ. ი.
კუკლინი, გ. ა.—87—88, 169.
კურცი—იხ. ლენგნიკი, ფ. ვ.
კუსკოვა, ე. დ.—204, 221.

ლ

ლ. — იხ. ლეიტეიზენი, გ. დ.
ლ. ბ.—იხ. კამენევი, ლ. ბ.
ლ. გრ., ლ. გ-ჩი — იხ. დეიჩი, ლ. გ.
ლ. ი.—იხ. აქსელროდი, ლ. ი.
ლა-შენე (La Chesnais)—516.
ლადიჟნიკოვი, ი. პ. (ი. პ., ივ. პ.)—163, 165, 173.
ლალაიანცი, ი. ხ. — 59, 75, 79, 87.
ლაფარგი (Lafargue), **პოლი** — 152, 168.
ლიოვა—იხ. ვლადიმიროვი, მ. კ.
ლევი — (Lewi) (**გარტშტეინი**), **პაულ**—701, 723.
ლევინსკი, ვ.—584.
ლევინსონი—75.
ლეგინი—(Legien), **კარლ** — 201, 278, 445, 556.
ლედებური (Ledebour), **გეორგ** — 556—587.
ლედერი, ვ. ლ.—297, 420.
ლეიბოვი (ლეიბ.)—44, 46.
ლეიბოვიჩი, მ. (ევსეი (მალიუტკინი), ლ.)—106—109.
ლეიტეიზენი, გ. დ. (ლ. ლინდოვი)—21, 27—28, 46—48, 54—55, 68—70, 135 — 137, 167, 205, 210, 284, 289.
ლემანი—32.

ლემანი—(Lehmann), **კარლ** — 20, 31.

ლემანი, მ. ნ. (ლიზა)—94.

ლენგნიკი, ა. მ. (კოლას ცოლი)—110, 114.

ლენგნიკი, ფ. ვ. (კურცი, კოლ)—95, 104, 112—114.

ლენივცინი, ნ.—იხ. ლენინი, ვ. ი.

ლენინა — იხ. კრუპსკაია, ნ. კ.

ლენინი, ვ. ი. (**ულიანოვი, ვ. ი.**, ბაზილი, ვ. ი. ივანოვსკი, ვ. ილინი, კ. ივანოვი, ნ. ლენივცინი, ლ. ლენინი, ლენინი, ნ., მეიერი, პეტროვი, რიხტერი, სტარიკ, ფრეი, Meyer, №. №., Oulianoff, Petroff, Richter, Iacob) — 3, 16, 31, 35, 40, 44, 46, 48, 49, 50, 51, 52, 54, 55, 57, 58, 60, 61, 70, 71, 72, 82, 83, 86, 88, 89, 91, 96, 97, 99, 101, 102, 103, 105, 106, 109, 110, 111, 112, 113, 121, 123, 124, 125, 127, 128, 129, 131, 132, 157, 160, 161, 163, 173, 176, 177, 179, 180, 181, 182, 184—185, 187, 188, 189, 192, 193, 194, 196, 199, 200—201, 211, 214, 220, 223, 225, 233, 237, 238, 242, 256, 257, 258, 259, 264, 265, 268, 288, 296, 303, 306, 310, 311, 315, 317, 363—364, 376, 378, 379, 393, 404, 420 — 425, 429—430, 433, 438, 439, 442, 447, 449, 450, 453, 455, 459, 464, 478, 486, 487, 488, 505, 511, 535, 541, 552, 553, 560, 566, 577, 603, 612, 613, 621, 640, 669, 672, 689, 694, 715, 716, 718, 724, 725, 727, 723, 730, 731, 737, 739.

ლენოჩკა—იხ. ბობბოვსკაია, ც. ს.

ლეპეშინსკი, პ. ნ. (ოლინი) — 60, 76, 102.

ლიადოვი (მანდელშტამი), **მ. ნ.** (ლიდინი, მ. ნ., მიხეილ მიროლნის ძე, რუსალკა) — 101, 102, 111, 117, 119, 132, 161, 209, 225, 231, 284, 289.

ლიალინი—იხ. პიატაკოვი, გ. ლ.

ლიახოცკაია — (კუზმას ცოლი) — 549, 553, 559, 560.

ლიახოცკი, კ. (კუზმა)—502, 504, 532, 538, 540, 542, 553.

ლიბერი (გოლდმანი), **მ. ი.**—284, 290, 294, 361.

ლიბკნეხტი (Liebknecht), **ვილჰელმი**—15, 32, 34.

ლიბკნეხტი (Liebknecht), **კარლ** — 556, 597, 598.

ლიდინი — იხ. ლიადოვი, მ. ნ.,

ლიზა—იხ. ლემანი, მ. ნ.

ლილინა, ზ. ი. (ზინა) — 460, 463, 522, 531, 593, 616, 617, 619, 637, 672.

ლინდოვი—იხ. ლეატეიზენი, გ. დ.

ლინდჰაგენი (Lindhagen), **კარლ**—724.

ლიტვინოვი, მ. მ. (ქარისონი, მაშილო, ფელიქსი) — 119, 131, 186, 464, 498, 501, 713.

ლიტვინოვ-ფალინსკი, ვ. პ. (ფალინსკი)—327, 350.

ლიუბიმოვი, ა. ი. (მარკი)—224—225, 230 — 231, 237 — 238, 262—263, 296—297.

ლიუბიჩი—იხ. სამერი, ი. ა.

ლიუბოვ ისაკის ასული—იხ. აქსელროდი, ლ. ი.

ლიუდმილა—იხ. სტალი, ლ. ნ.
ლორე (Lore), **ლიუდვიგი**—568.
ლოხოვი, ნ. ნ. (ოლხინი)—52, 89.
ლუთერაანი (Luteraan), **ბარენდი**—528.
ლუნაჩარსკი, ა. ვ. (ვოინოვი, თავქარიანი, ნაღმოსანი)—117, 133, 145, 176, 178, 184, 228. 316, 342, 375, 392, 448, 686.
ლუქსემბურგი (Luxemburg), **როზა** (როზა, იუნიუსი, Iunius) — 111, 114, 209, 341, 362, 365, 469, 470, 474, 476, 479, 610, 612, 627, 634, 635, 645.
ლუშინი —იხ. შიპულინსკი, ფ. პ.

მ

მ. — იხ. მაევსკი, ე.
მ. გ. გ.—იხ. ჰოპფენჰაუზი, მ. გ.
მ. მ. — იხ. ლიადოვი, მ. ნ.
მ. ნ. მიხ. ნიკ. — იხ. პოკროვსკი, მ. ნ.
მ. თ.—იხ. ანდრეევა, მ. თ.
მაევსკი. ე. (გუტოვსკი, ვ. ა.) — 355.
მაკარი—იხ. ნოგინი, ვ. პ.
მაკაძიუბა, მ. ხ. (ანტონი) — 103—105.
მაკდონალდი (MacDonald), **ჯეიმს რამსეი** — 147.
მაკლინი (Maklean), **ჯონი** — 641.
მალეცკი, ა. მ.—324.
მალიანტოვიჩი, ვ. ნ.—394.
მალიანტოვიჩი, პ. ნ.—394.
მალინოვსკი, რ. ვ. (№ 3, კოსტია)—231, 336, 341, 346, 350, 355, 358, 359, 420, 423, 451—452, 486, 489, 628, 630.
მალიუტკინი — იხ. ლეიბოვიჩი, მ.
მალიხი, მ. ა. — 158.
მამილო—იხ. ლიტვინოვი, მ. მ.
მანდელშტამი, ლ. პ. (კრუჩინინა)—165.
მარატი—იხ. შანცერი, ვ. ლ.
მარია პეტრეს ასული—იხ. გოლუბევა, მ. პ.
მარკი—იხ. ლიუბიმოვი, ა. ი.
მარკუ, ვალერიუ—641.
მარტინოვი, ა. (პიკერი, ა. ს.) — 66, 255, 340, 487.
მარტოვი, ლ. (ცედერბაუმი, ი. ო., ალექსი, ბერგი, გამა, მარტუშკა, იული)—11 — 12, 20, 22, 39, 49, 51, 54, 56, 57, 58, 61, 62, 89, 97 — 98, 99, 122, 124, 126, 149, 182, 183, 237, 242, 245 — 251, 255, 272, 278, 374, 407, 468, 473, 507, 523, 564, 583, 589, 592, 593, 600, 603, 609, 611, 613, 621, 673, 696, 702.
მარტუშკა—იხ. მარტოვი, ლ.
მარქსი (Marx), **კარლ**—184, 363, 439, 453, 663, 702.
მარხლევსკი (Marchlewski), **იულიანი** (კარსკი)—294.
მარცელი—(**ეიდუკევიჩიუსი**), პრანასი ვინცოვიჩი—201.
მასლოვი. პ. პ. — 1 — 2, 3 — 6, 6,7, 280, 518, 532.
მაქსიმოვი — იხ. ბოგდანოვი, ა.
მახი (Mach), **ერნსტი**—156.
მახლინი, ლ. დ. («მიშა ასოთამწყობი»)—73—74.
მგელაძე, ვ. დ. (ტრია)—265.
მედემი, ვ. დ. (**გრინბერგი, ვ. დ.,** ვინიცკი)—361.
მეიერი—იხ. ლენინი, ვ. ი.
მეიერი—(Meyer), ერნსტი—459.

მელენევსკი, მ. ი. (გილკა)—314.
მერგეიმი (Merheim), **ალფონსი** — 512, 573, 686.
მერინგი (Mering), **ფრანცი**—301.
მეშჩერიაკოვი, ნ. ლ.—555.
მილიერანი (Millerand), **ალექსანდრე ეტიენი**—54.
მილოვიდოვა (პეტროვა), **ლ. თ.**— 7—8.
მილიუკოვი, პ. ნ.—171, 714, 723.
მილიუტინი, ვ. პ. (პაველოვი) — 419, 432.
მინინი—იხ. **კარპინსკი, ე. ა.**
მირონი—იხ. **ჩერნომაზოვი, მ. ე.**
მიუნცენბერგი (Münzenberg), **ვილჰელმი** — 673, 678, 682, 685, 701, 704, 710.
«მიშა ასოთამწყობი»—იხ. **მახლინი, ლ. დ.**
მიხა—იხ. **ცხაკაია, მ. გ.**
მიხაილოვი, ზ. — 85.
მიხაილოვსკი, ნ. კ.—5, 22.
მიხეილი—იხ. **ისუკი, ი. ა.**
მიხეილ მირონის ძე—იხ. **ლიადოვი, მ. ნ.**
მიხეილ ნიკოლოზის ძე—იხ. **პოკროვსკი, მ. ნ.**
მოვიჩი—იხ. **აბრამოვიჩი, რ.**
მოვშოვიჩი, მ. ი. (კ. მ.)—534.
მონტეგიუსი (Montégus), **ბრუნსვიკი გაატონი**—315.
მორგარი (Morgari), **ოდინო**— 554.
მოროზოვი, მ. ვ. — 316.
მოსკოვსკი, ალექსი—იხ. **ხუნდაძე, გ. ი.**
მოქალაქე—იხ. **კრასნუხა, ვ. პ.**
მოჩალოვი—85.
მურანოვი, მ. კ. (№ 5)—336. 339, 343—344, 345, 348. 382, 723.
მურომცევი, ხ. ა.—274.
მუსიკოსი—იხ. **კრასიკოვი, პ. ა.**

ნ

ნ. — 207.
ნ. ვ.—იხ. **საპოჟკოვი, ნ. ი.**
ნ. ე.—იხ. **ფედოსეევი, ნ. ე.**
ნ. ი., ნ. ი. ბ.—იხ. **ბუხარინი, ნ. ი.**
ნ. კ., ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, ნადია—იხ. **კრუპსკაია, ნ. კ.**
ნად—591.
ნადეჟდინი, ლ. (**მელენსკი, ე. ო., სოკოლოვსკი**)—34, 35, 75.
ნადსონი, ს. ი. —139.
ნათანსონი, მ. ა.—614.
ნალმოხანი—იხ. **ლუნაჩარსკი, ა. ვ.**
ნახამკისი—იხ. **სტეკლოვი, ი. მ.**
ნახიმსონი, მ. ი. (**სპექტატორი**)— 702.
ნეგორეევი—იხ. **ეორდანსკი, ნ. ი.**
ნევზოროვი—იხ. **სტეკლოვი, ი. მ.**
ნევსკი, ვ. ი. (**სპიცა**)—344.
ნეკრასოვა—იხ. **ფოტიევა, ლ. ა.**
ნეკრასოვი, ნ. ა.—82, 87. 88.
ნემეცი—იხ. **პლეხანოვი, გ. ვ.**
ნენი (Nainc), **შარლი**—671, 686, 691, 710, 723.
ნიკ. ვახ. — იხ. **საპოჟკოვი, ნ. ი.**
ნიკ. ვახილის ძე—165.
ნიკ. ივ.—233.
ნიკიტიჩი—იხ. **კრასინი, ლ. ბ.**
ნიკოლოზ II (რომანოვი)—213, 689.
ნილსენი (Nilssen), **მაგნუსი** — 179—180.
ნობსი (Nobs), **ერნსტი**—610, 641, 648, 673, 678, 682, 690, 704, 705, 710.

ნოგინი, ვ. პ. (მაკარი, ნოვოსელოვი)—11—12, 17—20, 21—22, 109, 255, 284, 289, 293, 422.
ნოვიჩი, სტივა—იხ. პორტუგეისი, ს. ი.
ნოვოსელოვი—**იხ.** ნოგინი, ვ. პ.
№ 1 — **იხ.** ბადაევი, ა. ე.
№ 3 — **იხ.** მალინოვსკი, რ. ვ.
№ 5 — **იხ.** მურანოვი, მ. კ.
№ 6 — **იხ.** პეტროვსკი, გ. ი.
№ 16 — **იხ.** იაგელო, ვ. ი.
ნოსკოვი, ვ. ა. (ბ. ნ., ბ. ნ-ჩი, ბორისი, გლებოვი, ბ.)—56, 57, 85, 101, 102, 122, 130, 145.

ო

ო. ა — 263.
ოლინი—**იხ.** ლეპეშინსკი, პ. ნ.
ოლმინსკი (ალექსანდროვი), მ. ს. (გალიორკა, ვას. ვას., ეიტიმსკი, ა.) — 102, 105, 108, 122, 133, 151, 156, 390, 402, 431, 434.
ოლღა, ოლია—**იხ.** რავიჩი, ს. ნ.
ოლხინი—**იხ.** ლოხოვი, ნ. ნ.
ორთოდოქსი — **იხ.** აქსელროდი, ლ. ი.
ორლოვსკი—**იხ.** ვოროვსკი, ვ. ვ.
ორნ. (ორნატსკი, ა)—**იხ.** ჩიჩერინი, გ. ვ.
ოს. პეტრ.—288.
ოსინსკი, ნ. (ობოლენსკი, ვ. ვ.)—368—369.
ოსიპოვი—**იხ.** ზემლიაჩკა, რ. ს.

პ

პ. ანდ.—**იხ.** კრასიკოვი, პ. ა.
პ. ბ., პავლე ბორისის ძე — **იხ.** აქსელროდი, პ. ბ.
პავლოვი—**იხ.** მილიუტინი, ვ. პ.
პავლოვიჩი—**იხ.** კრასიკოვი, პ. ა.
პავლოვიჩი, მ. პ. (ვილტმანი, მ. ლ., ვოლონტიორი)—293.
პანეკუკი (Panneckoek), **ანტონი**—319, 324, 511, 527, 536, 543, 548, 585, 589, 703, 709.
პაპა—**იხ.** კნიპოვიჩი, ლ. მ.
პარვუსი (გელფანდი, ა. ლ.) — **31—32, 131,** 503.
პაშევი, ნ.—300.
პედერი — 105.
პელუზო (Peluso), **ედმონდი პეტრეს ძე** — 735.
«პერო»—**იხ.** ტროცკი, ლ. დ.
პეტრე—**იხ.** ალექსინსკი, გ. ა.
პეტრე—**იხ.** რამიშვილი, ნ. ვ.
პეტროვი—**იხ.** ლუნინი, ვ. ი.
პეტროვი—271.
პეტროვსკი, გ. ი. (ბატონი თავმჯდომარე, ახალი თავმჯდომარე, № 6)—346, 356, 358, 401, 451, 460, 463, 465, 468, 473, 474.
პეშეხონოვი, ა. ვ. — 376.
პლატენი (Platten), **ფრიდრიხი** (ფრიცი)—570, 571, 590, 593, 608, 610, 626, 671, 673, 676, 695, 704, 705, 710, 720, 722, 723, 725, 789.
პლეხანოვი, გ. ვ. (გ. ვ., X, ნემეცი)—29—30, 31, 35, 37, 40, 41, 45, 48—49, 52, 54, 55—56, 58, 61—63, 66—67, 74—78, 83—84, 88—90, 91—94, 96, 110, 122, 126, 129, 135, 150, 153, 154, 159, 177, 225, 231, 247, 252, 255, 268, 278,

284, 288, 293, 313, 314, 315, 332, 333, 349, 351, 355, 370, 374, 376, 391, 393, 396, 421, 454, 464, 469, 474, 476, 480, 491, 530, 561, 567, 600, 634.
პიატკოვი, გ. ლ. (კიეველი, პეტრე, ლიალინი, იური, იაპონელი, Lialine)—519, 521, 524, 526, 535, 536, 546, 550, 553, 558, 564, 566, 606—607, 615, 618, 620, 621, 624, 627, 633, 642, 643—644, 646, 652, 654, 656, 657, 661, 665, 672, 700, 711, 731.
პიატნიცა—იხ. პიატნიცკი, ი. ა.
პიატნიცას ცოლი—იხ. მარშაკი, ნ. ს.
პიატნიცკი, ო. ა. (ალბერტი, პიატნიცა)—121 — 123, 262, 321, 324, 358—362.
პიატნიცკი, კ. პ.—162.
პოკროვსკი, ი. ბ.—216, 269, 295.
პოკროვსკი, მ. ნ. (დომოვი) — 191—192, 204, 206, 211, 231, 599, 631, 632, 634—641, 649, 681, 688—689.
პოლეტაევი, ნ. გ. (კრასი)—216, 218, 274—275, 285—288, 294, 295, 296, 327 — 328, 345, 369—371.
პოლონსკი, ი. მ. (სტეფანე)—392, 425.
პოლუბინოვი (ეგორი)—559, 560.
პოპოვა, ო. თ.—117.
პოპოვი, ა. ვ. (ბრიტმანი, ა. ვ., ანტონოვი)—261, 318—319, 421, 425, 426, 628.
პოპოვი, ი. თ. — 331, 334, 414, 416, 417, 429, 434, 437, 440, 456, 459, 463, 465, 466, 471, 472, 478, 479.
პორტუგეისი, ს. ი. (ნოვიჩი, სტიფა)—431.
პოსე, ვ. ა.—77, 82.
პოსტნიკოვი, ვ. ე.—1—2, 3—5, 6.
პოსტოლოვსკი, დ. ს. (ვადიმი) — 289.
პოტრესოვი, ა. ნ. (ა. ნ. არსენიევი, ახალი ნაცნობი, სტაროვერი)—9, 10, 29, 76, 77, 79, 82—83, 86, 89, 221, 273, 286, 391, 454, 515, 649, 663.
პრედკალნი (პრიედკალნი), ა. ი.— 215.
პრეობრაჟენსკი, ა. ა.—150
პროკოპოვიჩი, ს. ნ.—204, 221.
პურიშკევიჩი, ვ. მ.—462.
პუტიატინი, ვ. პ. — 216.

ჟ

ჟაკი—იხ. ალექსანდროვა, ე. მ.
ჟიტომირსკი, ი. ა. — 123.
ჟოზეფინა — იხ. ეოროვსკი, ვ. ვ.
ჟორდანია, ნ. ნ. (ანი, კოსტროვი)—289, 290, 533.
ჟორესი (Joures), **ჟანი**—164, 184, 546, 706.
ჟორჟი, ჟორჟიკი—იხ. საფაროვი, გ. ი.
ჟუო (Jouhaux), **ლეონი**—686.

რ

რადეკი, კ. ბ.—319, 324, 511, 512, 514, 516, 518, 521, 523, 525, 526, 527, 530, 533, 540, 543, 546, 548, 549, 550, 554, 555, 559, 564, 570, 574, 576, 577, 579,

581, 583, 585, 586, 588, 591, 596, 603, 604, 608, 610, 611, 613, 614, 619, 625, 627, 629, 630, 632, 637, 638, 645, 647, 648, 658, 671, 672, 673, 674, 675, 678, 679, 694, 700, 701, 710, 726, 728, 729, 731 — 732, 735—736.

რადინი — იხ. კნუნიანცი, ბ. მ.

რადჩენკო, ი. ი. (არკადი) — 60, 65, 67.

რავიჩი, ს. ნ. (ოლღა, ოლია) — 192, 233, 451, 490—491, 503, 533, 540, 549, 552, 553, 558, 567, 590, 602, 626, 686, 689, 691, 694, 696—697, 698, 701, 719, 729—783.

რაკოვსკი, ხ. გ. — 599.

რამიშვილი, ნ. ვ. (პეტრე)—289, 290.

რაპაპორტი, შარლი — 214, 223, 227, 229, 261, 550.

რაფაილოვი, მ.—იხ. გოცი, მ. რ.

რაფენ-დიუფანი (Raffen-Dygens), **ჟან პიერი**—686.

რახმეტოვი—იხ. ბოგდანოვი, ა.

რაჩინსკი, ზიგმუნდი—41.

რენოდელი (Renodel), **პიერი** — 524, 686.

რიაბოვსკი—იხ. სტარკი, ლ. ნ.

რიადოვი—იხ. ბოგდანოვი, ა.

რიაზანოვა, ა. ლ.—503.

რიაზანოვი (გოლდენდახი), **დ. ბ.**— 9, 10, 16—17, 27, 108, 316, 337, 341, 381, 502—503, 605.

რიბალკა—იხ. იურკევიჩი, ლ.

რიკოვი, ა. ი. (ვლასოვი) — 205, 209, 211 — 212, 281 — 285, 289—293.

რისკინი — 425.

რიტინგჰაუზენი (Rittinghausen), **მორიცი**—32.

რიტმეიერი (Rittmeyer), **გ.** — 15, 32.

რიულე (Rühle), **ოტო**—581, 587, 597—598.

რიხტერი, ი.—იხ. ლენინი, ვ. ი.

როგოვა — 125, 139.

როვიო — (Rovio), **გ. ს.** — 738—739.

როზა—იხ. ლუქსემბურგი, რ.

როზანოვი, ვ. ნ.—733.

როზენი, ვ. მ. (ე.)—252.

როზმიროვიჩი, ე. ფ. (სტრო�ოვსკაია, გალინა)—364, 372, 374, 435, 508, 517, 714.

როლანდ-ჰოლსტი (Roland Holst), **ჰენრიეტა**—574, 585—589, 591, 655, 694, 695.

როლანი (Rolland), **რომენი**—558, 568, 723.

რომანი—იხ. ერმოლაევი, კ. მ.

რომანოვი, ი. რ.—188, 189.

რომანოვები — 373.

რომშინი, ვ.—იხ. სავინკოვი, ბ. ვ.

როუკოვი, ნ. ა.—278, 370.

როტშტეინი, ფ. ა.—512.

როძიანკო, მ. ვ.—405.

რუბაკინი, ნ. ა.—366, 450, 714.

რუბანოვიჩი, ი. ა.—214.

რუდინი, ა. (პოტაპოვი, ა. ი.) — 88.

რუდის-გიპსლისი, ი. (რუდე) — 383 — 385, 415 — 416, 417, 438—439, 449.

რუმა, ლ. ნ. — 39—40, 45, 47.

რუმიანცევი, ბ. ბ. (შმიდტი) — 161.

რუსალკა—იხ. ლიადოვი, მ. ნ.

რუსანოვი, ა. ნ.—346.

რუსანოვი, ნ. ს. (ტარასოვი) — 75, 78, 89.
რუსელი (Russel), **ანუელა**—202.

ს

საველიევი, მ. ა. (ვეტროვი) — 345, 350.
სავინკოვი, ბ. ვ. (რობშინი, ვ.) — 320, 376.
სალი (Sahli), **გერმანი**—637.
სამერი, ი. ა. (ლიუბიჩი) — 206, 285, 289—290, 292—293.
სამოვარჩიკი—იხ. საფაროვი, გ. ი.
სამოვრები—იხ. ლეიტეიზენი, გ. დ. და ნოგინი, ვ. პ.
სამოილოვი, ფ. ნ. — 396, 433 — 434, 435, 445, 447, 474.
სამსონოვი—იხ. ვალენტინოვი, ნ.
სანინი, ა. ა.—79.
საპოჟკოვი, ნ. ი. (კუზნეცოვი, ნ. ვ., ნიკ. ვას.) — 356, 365, 419, 422, 424—225, 449, 458.
საფაროვა, ვ. ს. (ვალია) — 714, 717.
საფაროვი, გ. ი. (ეოლოდინი, ეორეი, ეორეიკი, სამოვარჩიკი, საფარჩიკი, საფ-ჩიკი) — 312, 460, 464, 601, 609, 624, 627, 633, 634, 636, 646, 654, 656.
საფარჩიკი, საფ-ჩიკი,—იხ. საფაროვი, გ. ი.
სვერდლოვი, ი. მ. (ანდრია)—367.
სემაშკო, ნ. ა. (ალექსანდროვი)— 182—183, 289, 293, 294, 295. 341.
სემკოვსკი, ს. (**ბრონშტეინი**, ს. ი.)—380, 648.
სეპინი, ე. გ. — 179—180.
სერგეევი, ვ.—იხ. ტარატუტა, ვ. ა.
სერგეი ვასილის ძე—160.
სიგი (Sigg), **ეანი**—491.
სილვინი, მ. ა. (ბროდიაგა)—111, 113.
სინკლერი (Sinclair), **ეპტონი** — 310, 536.
სისოიკა—იხ. ბოგდანოვი, ა.
სკარე, ვ. (ზაუერი)—417.
სკარეტი (Skaret), **ფერდინანდი**— 505.
სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი. (ბოლშაკი) —125, 140, 204, 442 — 444.
სკოვნო, ა. ა. (აბრამი)—487, 483, 583, 714.
სკრიპნიკი, ნ. ა. (შჩური)—209.
სმიდოვიჩი, ი. გ. (დიმკა)—673.
სმილგა, ი. ტ. — 737, 738.
სოკოლნიკოვი (**ბრილიანტი**), **გ. ი.**— 686, 691.
სოკოლოვი, ნ. დ.—220, 431.
სოკოლოვსკი—იხ. ნადეედინი, ლ
სოლომინი, გ. ა. (ისეეკი) — 189, 192, 193.
სოროკინი — 534.
სპანდარიანი, ბ. ს.—307—308.
სპანდარიანი, ო. ვ.—307—308.
სპანდარიანი, ს. ა.—307—308.
სპანდარიანი, ს. ს.—307—308.
სპეეტატორი—იხ. ნახიმსონი, მ. ი.
სპიცა—იხ. ნევსკი, ვ. ი.
სტავსკი, ი. ი.—73, 76.
სტალი, ლ. ნ. (ლიუდმილა)—449, 522, 523, 550, 604, 652.
სტალინი, ი. ბ. (**ჯუღაშვილი, ი. ბ.**, ვასილიევი, კობა) — 245, 335, 245, 335. 342, 343—347, 350— 351, 355, 372, 531, 549, 723.
სტარეკი—იხ. ლენინი, ვ. ი.

სტარკი, ლ. ნ. (რიაბოვსკი)—394. 630.
სტაროვერი—იხ. პოტრესოვი, ა. ნ.
სტასოვა, ე. დ. (აბსოლუტი) — 110—111, 112—114.
სტეკლოვი, ი. მ. (ნახამკისი, ნევზორეოვი) — 9, 12, 28, 151 — 152, 295, 354, 380, 421.
სტეპანოვი—იხ. სკვორცოვ-სტეპანოვი, ი. ი.
სტეპკო—იხ. კიკნაძე, ნ. დ.
სტეფანე—იხ. პოლონსკი, ი. მ.
სტოლიპინი, პ. ა.—171.
სტრანიკი—იხ. ფრიდოლინი, ვ. ი.
სტრიომი (Ström), **ფრედრიკი** — 724.
სტრუვე, პ. ბ. — 127.
სუდაკოვი, პ. ი.—328.
სუვარინი (Souvarine), **ბორისი**— 701.
სურკოვი, პ. ი.—216.
სუხანოვი, ნ. (გიმერი, ნ. ნ.)— 454, 590, 606, 610, 617, 631.

ტ

ტ.—313.
ტალგეიმერი (Thalheimer), **ავგუსტი**—523.
ტარასოვი—იხ. რუსანოვი, ნ. ს.
ტარატუტა, ვ. კ. (ვიქტორი, სერგეევი, ვ.) — 197 — 198, 208, 233, 238, 272.
ტეოდოროვიჩი, ი. ა. (ფედოროვიჩი)—161.
ტერ-იოანესიანი, ვ. ა.—307.
ტინსკი—იხ. უსიევიჩი, გ. ა.
ტიხონოვი, ა. ნ.—354.
ტოლსტოი, ლ. ნ.—278.
ტომიჩი—იხ. კორენევსკი, მ.
ტომსკი, მ. პ. — 227—229.
ტრავინსკი — იხ. კრეიანოვსკი, გ. მ.
ტრია—იხ. მგელაძე, ვ. დ.
ტროიანოვსკი, ა. ა. — 333, 364, 372, 374, 380, 714.
ტროცკი (ბრონშტეინი), ლ. დ. («პერო»)—86, 91, 93. 107, 113, 126, 173, 228, 240, 254, 255, 278, 281, 297, 318, 322, 323, 512, 514, 516, 518, 520, 522, 550, 556, 572, 574, 577, 585, 586, 589, 652, 696.
ტრულსტრა (Troelstra), **პიტერ იელესი**—501.
ტუგან-ბარანოვსკი, მ. ი. — 84, 191, 261, 362.
ტულიაკოვი, ი. ნ.—396, 412.
ტუნი (Thun), **ალფონსი**—89, 90.
ტურატი (Turati), **ფილიპო**—687, 701.
ტიშკა (Tyszka), **იანი** (იოგიხესი, ლეო)—185—188, 198, 294, 319, 341, 359, 365, 414, 595, 597, 679.

უ

ულიანოვა, მ. ი. (დათუნია)—95, 728.
უსიევიჩი, გ. ა. (ტინსკი) — 627, 635, 637, 646, 648, 679, 706, 708, 712, 718.
უსიევიჩი, ე. თ.—706.

ფ

ფაბერკევიჩი (Faberkievicz), **ზბიგნევი** (ვნეეიჩი)—647.

ფალინსკი—იხ. ლიტვინოვ-ფალინსკი, ვ. პ.
ფედოროვიჩი—იხ. ტეოდოროვიჩი, ი. ა.
ფედოსეევი, ნ. ე.—1.
ფელიქსი—იხ. ლიტვინოვი, მ. მ.
ფერი (Ferri), **ენრიკო**—184.
ფილიპოვი, მ. მ. — 84.
ფინიკოვი—293.
ფინ-ენოტაევსკი, ა. ი. («ბ-ნი»)—39, 40, 44—47.
ფოტიევა, ლ. ა. (ნეკრასოვა) — 125.
ფოფანოვა, მ. ვ.—739.
ფრამი—იხ. გოლოშჩეკინი, თ. ი.
ფრანცი—იხ. კორიჩონერი, ფრანცი.
ფრეი—იხ. ლენინი, ვ. ი.
ფრიოლიხი (Fröhlich), **პაული** — 608.
ფრიდლინი, ვ. ი. (ვარინი, სტრანიკი) — 524, 526, 534, 540, 624, 625, 627, 629, 635, 651, 658, **661.**
ფრიმუ, ი. — 300.
ფურიე (Fourier), **შარლი**—706.

შ

შანცერი, ვ. ლ. (მარატი)—206—207, 211, 212.
შარკო—იხ. კრუპსკაია, ნ. კ.
შაუმიანი, ს. გ.—461—462.
შვარცი — იხ. ვოროვსკი, ვ. ვ.
შვეიცერი (Schweitzer), **იოჰან ბაპტისტი**—301.
შელგუნოვი, ვ. ა.—73.
შენდეროვიჩი—397.
შიპულინსკი, ფ. პ. (ლუშინი) — 157—158.
შკლოვსკი, გ. ლ.—374, 379—380, 394, 397, 399, 447, 474—475, 531, 551, 555, 565, 568, 591, 616, 680.
შკლიარევიჩი, ვ. გ. — 63.
შლიაპნიკოვი, ა. გ. (ა., ალექსანდრე, ბელენინი)—493—494, 497, 498, 500—501, 515, 519, 546, 547, 550, 595, 596, 602, 604, 610, 613, 614 — 615, 617—619, 620, 622—623, 624, 643, 651, 653, 660, 724.
შმიდტი—იხ. რუმიანცევი, პ. პ.
შოლცი—162—163.
შოუერი, მ. მ.—21.
შტეინბერგი, ს.—729.
შტერი — 793.
შტიცი, ოტო—481.
შტრიობელი (Ströbel) **ჰენრიხი** — 582, 587.
შურკანოვი, ვ. ე.—216.
შჩური—იხ. სკრიპნიკი, ნ. ა.

ჩ

ჩარუშნიკოვი, ა. პ.—137.
ჩასოვნიკოვი—289.
ჩაჩინა, ო. ი. — 110.
ჩებოტარიოვი, ი. ნ.—169.
ჩერევანინი, ნ. (ლიპკინი, თ. ა.)—240.
ჩერკეზი, მ. — 300.
ჩერნიშევსკი, ნ. გ.—261.
ჩერნოვი, ვ. მ.—22, 32, 33, 84.
ჩერნომაზოვი, მ. ე. (მირონი) — 368, 372, 396, 630.
ჩისტიაკოვი, ი. — 327.
ჩიჩერინი, გ. ვ. (ორნ., ორნატსკი, ა.)—583.
ჩუდნოვსკი, გ. ი.—733.

ჩხეიძე, ნ. ს.—216, 342, 345, 515, 516, 518, 520, 523, 537, 572, 581, 583, 589, 593, 609, 627, 652.
ჩხენკელი, ა. ი.—603, 609.

ძ

ძერუინსკი, ფ. ე. (იუზეფი)—243.

ჭ

«ჭრიჭინა»—5, 98.

ხ

ხარიტონოვი, მ. მ. — 523, 560, 569 — 572, 578 — 579, 593, 641—642, 647—648, 673, 725.
ხარლამოვი, ვ. ა.—261.
ხეიხინი, მ. ლ.—431.
ხოჯამირიანი, მ. ხ.—192.
ხუნდაძე, გ. ი. (მოსკოვსკი, ალექსი)—252.

ჯ

ჯემსი—იხ. ელიზაროვა-ულიანოვა, ა. ი.

ჰ

ჰააზე (Haase), **ჰუგო**—336.
ჰაიდუკევიჩი (Haidukiewich) — 505.
ჰიოგლუნდი (Höglund), **კარლ ცეტ კონსტანტინე** — 544, 627, 730, 732.
ჰიუისმანსი (Huysmans), **კამილი**—178, 179, 180, 181, 184—185, 188—189, 190, 192, 193, 194, 195, 196—197, 198—199, 200, 201, 202, 214—216, 217, 218 — 219, 223 — 224, 226 — 227, 229, 259, 260, 262, 269, 270, 271, 299, 303, 304, 305, 325, 326—327, 331—332, 339, 352—353, 358, 381—382, 393, 404 — 405, 428, 429, 437—438, 440, 471, 476, 477—478, 576.
ჰოპფენჰაუზი, მ. გ. (მ. გ. გ.)—6.
ჰუბერი (Huber), **იოჰანესი**—668.

A

Adler—იხ. ადლერი, ვიქტორი.
Alleman, Leo—იხ. დეიჩი, ლ. გ.
Austerlitz — იხ. აუსტერლიცი, ფრიდრიხი.
Axelrod—იხ. აქსელროდი, პ. ბ.

B

Benteli—იხ. ბენტელი.
Block (Bloch)—იხ. ბლოხი.

D

Delaisi—იხ. დელეზი, ფრანსისი.

F

Fourier—იხ. ფურიე, შარლი.
Fröhlich—იხ. ფრიოლიხი, პაული.

G

Golay P.—იხ. გოლეი, პოლი.
Graber—იხ. გრაბერი, ერნსტ პოლი.

Guilbeaux—იხ. გილბო, ანრი.

H

Homo—იხ. გრუმბახი, სოლომონი.
Humbert-Droz—იხ. ემბერ-დრო. ჟიული.

J

Jacob—იხ. ლენინი, ვ. ი.
Jaurés—იხ. ჟორესი, ჟანი.
Junius—იხ. ლუქსემბურგი, როზა.

K

Kautsky—იხ. კაუცკი, კარლ.
Kollontay, Alexandra — იხ. კოლონტაი, ა. მ.

L

Legien—იხ. ლეგინი, კ.
Lialine—იხ. პიატაკოვი, გ. ლ.
Lore L.—იხ. ლორე, ლიუდვიგი.

M

MacДonald, Ramsay — იხ. მაკდონალდი, რამსეი.
Mayer, Gust.—301.
Meyer—იხ. ლენინი, ვ. ი.
Merrheim — იხ. მერჰაიმი, ალფონსი.
Montégus—იხ. მონტეგიუსი.
Münzenberg—იხ. მიუნცენბერგი, ვილჰელმი.

N

Naine—იხ. ნენი, შარლი.

P

Peluso—იხ. პელუზო, ედმონდო პეტრეს ძე.
Petroff — იხ. ლენინი, ვ. ი.
Platten—იხ. პლატენი, ფრიდრიხი (ფრიცი).
Popoff—იხ. პოპოვი, ი. თ.

R

Raffin-Dygens—იხ. რაფენ-დიუჟანი, ჟან პიერი.
Renaudel—იხ. რენოდელი, პიერი.
Richter, Iacob—იხ. ლენინი, ვ. ი.
Rolland, Romain—იხ. როლანი, რომენი,
Rühle, Otto— იხ. რიულე, ოტო.

S

Salomon, Georges — იხ. სოლომონი, გ. ა.
Seger—იხ. ზეგერი, იოჰან ფრიდრიხი.
Sinclair—იხ. სინკლერი, ეპტონი.
Souvarine—იხ. სუვარინი, ბორისი.
Ströbel—იხ. შტრიობელი, ჰენრიხი.

T

Thalheimer—იხ. ტალჰაიმერი, ავგუსტი.

Turati—იხ. ტურატი, ფილიპო.
Tyszka — იხ. ტიშკა, იანი.

U

Ussievitsch—იხ. უსიევიჩი, გ. ა.

W

Wynkoop (Wijnkoop)—იხ. ვაინ-კოპი, დავითი.

X

X. — იხ. დანსკი, ბ. გ.
X — იხ. ბლეხანოვი, გ. ვ.

Z

Zinowieff—იხ. ზინოვიევი, გ. ე.

შინაარსი

წინასიტყვაობა . IX

1893 წელი

1. პ. პ. მასლოვს. დეკემბრის მეორე ნახევარი 1

1894 წელი

2. პ. პ. მასლოვს. 30 მაისი . . 3
3. პ. პ. მასლოვს. 31 მაისი . . . 6
4. ლ. ფ. მილოვიდოვას. 21 ივლისი 7

1900 წელი

5. ი. მ. სტეკლოვს. 25 სექტემბერი . 9
6. დ. ბ. რიაზანოვს. 25 სექტემბერი 10
7. ვ. პ. ნოგინს. 10 ოქტომბერი . 11
8. ი. მ. სტეკლოვს. 10 ოქტომბერი 12
9. ა. ა. იაკუბოვას. 26 ოქტომბერი 13
10. პ. ბ. აქსელროდს. 7 დეკემბერი . 15

1901 წელი

11. დ. ბ. რიაზანოვს. 5 თებერვალი . 16
12. ვ. პ. ნოგინს. 5 თებერვალი . 17
13. ვ. პ. ნოგინს. 21 მარტი . 20
14. პ. ბ. აქსელროდს. 11 მარტი . 21
15. ვ. პ. ნოგინს. 23 მარტი . 21
16. ბ. ვ. პლეხანოვს. 15 აპრილი . 22
17. მ. ბ. ვეჩესლოვს. 22 აპრილი . 23
18. «ბორბას» ჯგუფს. 12 მაისი . 24
19. მ. ბ. ვეჩესლოვს. 18 მაისი . 25

20. გაზეთ «ისკრის» სტამბას. 22 მაისსა და 1 ივნისს შუა 26
21. ბ. დ. ლეიტეიზენს. 24 მაისი 27
22. რ. ე. კლასონს. 28 მაისი . . 28
23. ბ. ვ. პლეხანოვს. 12 ივნისი . . 29
24. დაუდგენელ ადრესატს. 18 ივლისი . 30
25. პ. ბ. აქსელროდს. 21 ივლისი . . . 31
26. პ. ბ. აქსელროდს. 30 ივლისი 34
27. ლ. ე. გალპერინს. 31 ივლისსა და 12 აგვისტოს შუა . 36
28. ლ. ი. გოლდმანს. 31 ივლისსა და 12 აგვისტოს შუა . 37
29. პ. ბ. აქსელროდს. 4 აგვისტო 38
30. ბ. ვ. პლეხანოვს. 18 სექტემბერი 41
31. ლ. ი. აქსელროდს. 5 ან 6 ოქტომბერი 42
32. პეტერბურგის ისკრელთა ჯგუფს. 15 ოქტომბერზე გვიან 43
33. ლ. ი. აქსელროდს. 22 ოქტომბერი . . 43
34. ბ. დ. ლეიტეიზენს. 10 ნოემბერი . 44
35. ბ. დ. ლეიტეიზენს. 14 ნოემბერი . 45
36. ბ. ვ. პლეხანოვს. 19 ნოემბერი . . . 48
37. ლ. ი. აქსელროდს. 17 დეკემბერი . . 49
38. ბ. ვ. პლეხანოვს. 20 დეკემბერი . . . 50
39. პ. ბ. აქსელროდს. 23 დეკემბერი . . 51

1902 წელი

40. ვ. ნ. კროხმალს. 3 იანვარი . . . 53
41. პ. ბ. აქსელროდს. 3 მარტი . . . 54
42. ბ. დ. ლეიტეიზენს. 23 მარტზე ადრე 54
43. ბ. ვ. პლეხანოვს. 17 აპრილი . . 55
44. პ. ბ. აქსელროდს. 23 აპრილი 56
45. პ. ბ. აქსელროდს. 23 აპრილი . 57
46. ა. ი. კრემერს. 4 მაისი 58
47. რუს სოციალ-დემოკრატთა საზღვარგარეთის კავშირს. 4 მაისი 59
48. ა. ნ. ლეპეშინსკისა და ი. ი. რადჩენკოს. 5 მაისი . 60
49. ლ. ი. აქსელროდს. 23 ივნისი 60
50. ბ. ვ. პლეხანოვს. 12 ივლისი . . 61
51. ვ. ბ. შკლიარევიჩს. 29 ივლისი 63
52. კარტავცევს. 4 აგვისტო . . 64
53. ი. ი. რადჩენკოს. 7 აგვისტო 65
54. ბ. ვ. პლეხანოვს. 8 აგვისტო 66
55. ი. ი. რადჩენკოს. 12 აგვისტო 67

56. ბ. დ. ლეიტეიზენს. 5 ოქტომბერზე ადრე 68
57. ლ. ი. აქსელროდს. 11 ნოემბერი . . 71
58. ლ. ი. აქსელროდს. 28 ნოემბერი 71
59. ფიტს. 16 დეკემბერი 72
60. ლ. ი. აქსელროდს. 18 დეკემბერი 73
61. ბ. ვ. პლეხანოვს. 19 დეკემბერი . 74
62. ბ. ვ. პლეხანოვს. 25 დეკემბერი . . . 75
63. ა. ნ. პოტრესოვს. 26 დეკემბერი 79
64. «ისკრის» რუსეთის ორგანიზაციის ბიუროს. 28 დეკემბერი . 79

1903 წელი

65. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 1 იანვარი 81
66. ა. ნ. პოტრესოვს. 1 იანვარი 82
67. ბ. ვ. პლეხანოვს. 10 იანვარი 83
68. «იუჟნი რაბოჩის» რედაქციას. 10 იანვარი . 80
69. ლ. ი. აქსელროდს. 15 იანვარი 85
70. ბ. ვ. პლეხანოვს. 28 იანვარი . . 85
71. ბ. ვ. პლეხანოვს. 5 თებერვალი . 88
72. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 8 თებერვალი. 90
73. ბ. ვ. პლეხანოვს. 2 მარტი . . 91
74. ბ. ვ. პლეხანოვს. 10 აპრილი . 93
75. ბ. მ. კრჟიჟანოვსკის. 24 მაისი . 94
76. კ. კაუცკის. 29 ივნისი . . . 95
77. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 16 ივლისი 96
78. ი. ო. მარტოვს. 29 ნოემბერი 97
79. ვ. ი. ზასულიჩს. 3 დეკემბერი 98
80. ი. ო. მარტოვს. 19 დეკემბერი 99

1904 წელი

81. «ისკრის» რედაქციას. 18 მარტი 100
82. «ისკრის» რედაქციას. 20 ივნისი . . 101
83. მ. ნ. ლიადოვს. 1 სექტემბერი 101
84. პარტიული სტამბის ასოთამწყობებს. 3 სექტემბერი 102
85. ი. ს. ვილენსკის. 5 და 13 სექტემბერს შუა . . 102
86. მ. ს. მაკაძიუბას. 16 სექტემბერი . . 103
87. მ. ლეიბოვიჩს. 20 სექტემბერი . 106
88. ვ. ა. ნოგინს. 21 სექტემბერი 109
89. ე. დ. სტასოვას, ფ. ვ. ლენგნიკსა და სხვ. 23 სექტემბერი . 110

90. კ. კაუცკის. 10 ოქტომბერი 111
91. ე. დ. სტასოვას, ფ. ვ. ლენგნიკსა და სხვ. 14 ოქტომბერი . 112
92. კ. კაუცკის. 26 ოქტომბერი 114
93. ი. ი. რადჩენკოს. 28 ოქტომბერი 115
94. ა. ა. ბოგდანოვს. 2 ნოემბერი 117
95. ი. ჰ. გოლდენბერგს. 2 ნოემბერი 119
96. ო. ა. პიატნიცკის. 16 ნოემბერზე ადრე 121
97. რსდმპ ტვერის კომიტეტს. 26 ნოემბერი 124
98. რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს. 28 ნოემბერი . 125
99. რსდმპ მოსკოვის კომიტეტს. 29 ნოემბერი 128
100. რსდმპ ბაკოს კომიტეტს. 29 ნოემბერი 123
101. რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს. 5 დეკემბერი. . 130
102. მ. მ. ლიტვინოვს. 8 დეკემბერი 131
103. გ. დ. ლეიტეიზენს. 12 დეკემბერი 135
104. რ. ს. ზემლიაჩკას. 13 დეკემბერი 137
105. ლ. ბ. კამენევს. 14 დეკემბერი 138
106. რსდმპ ტვერის კომიტეტს. 20 დეკემბერი 139
107. მ. ჰ. გოლუბევას. 1904 წლის დეკემბერსა და 1905 წლის 4 იანვარს შუა 140
108. რსდმპ კავკასიის ბიუროს. არა უადრეს 25 დეკემბრისა 141
109. ა. ი. ისაევკოს. 26 დეკემბერი 143

1905 წელი

110. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს ვ. ა. ნოსკოვს, ლ. ბ. კრასინს, ლ. ე. ბალაბერინს. 13 იანვარი 145
111. «ვპერიოდის» კორესპონდენტს. იანვარი 146
112. ინგლისის «მუშათა წარმომადგენლობის კომიტეტის» მდივანს. 27 თებერვალი 147
113. რსდმპ პეტერბურგის კომიტეტს. 13 მარტი 147
114. ი. ი. შვარცს. არა უადრეს 31 მარტისა 148
115. გ. დ. ლეიტეიზენს. 19 აპრილი 149
116. ა. ა. პრეობრაჟენსკის. 21 აპრილამდე 150
117. პროექტი წერილისა რუსეთის რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის საზღვარგარეთის ლიგისადმი. 23 და 26 მაისს შუა 151
118. ი. მ. სტეკლოვს. 27 მაისზე გვიან 151
119. ბრაკე-დერუსოს. არა უადრეს 11 ივნისისა 152
120. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს მდივანს. 3 ივლისი 153

121. კ. ჰიუისმანსს. 8 ივლისი . . 154
122. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 31 ივლისი . . 155
123. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 1 აგვისტო 156
124. რსდმპ ცენტრალურ და პეტერბურგის კომიტეტებს. 14 აგვისტო 157
125. რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 30 სექტემბერი . . 158
126. ხერსონელ ბოლშევიკებს. 10 ოქტომბერი . 159
127. რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 16 ოქტომბერი 160
128. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 17 ოქტომბერი . . 162
129. რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 18 ოქტომბერი . . . 163
130. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო კომისიას. 20 ოქტომბერი 165
131. ბ. დ. ლეიტეიზენს. 23 ოქტომბერი . 167
132. ბ. დ. ლეიტეიზენს. ნოემბრის დამდეგი . 168
133. ნ. თ. ნასიმოვიჩს. 9 ნოემბერზე ადრე 168

1906 წელი

134. ბ. ა. კუკლინს. 14 სექტემბერი 169

1907 წელი

135. ე. ავენარს. 1 (14) მარტი 170
136. ბ. ა. ალექსინსკის. სექტემბრის დამლევს—ოქტომბრის დამ-დეგს 171
137. კ. ი. ბრანტინგს. ოქტომბრის დამდეგი 174
138. დაუდგენელ ადრესატს. 28 დეკემბერი 175

1908 წელი

139. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 13 იანვარი . 176
140. კ. ჰიუისმანსს. 14 იანვარი 178
141. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 14 იანვარსა და 13 თებერვალს შუა. 178
142. ვ. ნილსენს. 27 იანვარი 179
143. კ. ჰიუისმანსს. 27 იანვარი . 180
144. კ. ჰიუისმანსს. 29 იანვარი 181
145. გაზეთ «BERNER TAGWACHT»-ის რედაქციას. 30 იანვარსა და 2 თებერვალს შუა 182
146. ა. ვ. ლუნაჩარსკის. 27 თებერვალი . 184
147. კ. ჰიუისმანსს. 1 მარტი . . . 184
148. ლ. ტიშკას. 18 მარტი . 185

149. ა. ა. ბოგდანოვს. მარტის დამდეგი . 188
150. კ. ჰიუისმანსს. 16 მაისი . . 188
151. კ. ჰიუისმანსს. 30 ივნისი . . 189
152. კ. ჰიუისმანსს. 8 ივლისი . . 190
153. მ. ნ. პოკროვსკის. 18 აგვისტო 191
154. კ. ჰიუისმანსს. 19 აგვისტო 192
155. კ. ჰიუისმანსს. 8 სექტემბერი . . 193
156. კ. ჰიუისმანსს. 25 სექტემბერი . 194
157. კ. ჰიუისმანსს. 26 ოქტომბერი 195
158. კ. ჰიუისმანსს. 7 ნოემბერი . 196
159. ვ. კ. ტარატუტას. 1 დეკემბერი 197
160. კ. ჰიუისმანსს. 13 დეკემბერი . 198

1909 წელი

161. კ. ჰიუისმანსს. 19 იანვარი . 200
162. კ. ჰიუისმანსს. 25 თებერვალი 201
163. კ. ჰიუისმანსს. 9 მარტი 202
164. რსდმპ მოსკოვის კომიტეტს. 11 აპრილამდე . . 202
165. ი. თ. დუბროვინსკის. 23 აპრილი 204
166. წერილი «პროლეტარის» რედაქციას. არა უგვიანეს 26 აპრილისა 206
167. ი. თ. დუბროვინსკის. 29 აპრილი . 208
168. ი. თ. დუბროვინსკის. 4 მაისი 209
169. ი. თ. დუბროვინსკის. 5 მაისი 211
170. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტს. 26 მაისი 213
171. კ. ჰიუისმანსს. 20 ივლისი 214
172. კ. ჰიუისმანსს. 29 ივლისი 215
173. კ. ჰიუისმანსს. 30 ივლისი 217
174. კ. ჰიუისმანსს. 26 აგვისტო . 217
175. ლ. ბ. კამენევს. 27 აგვისტო . . 220
176. ზ. ე. ზინოვიევს. 27 აგვისტო . . 221
177. კ. ჰიუისმანსს. 11 სექტემბერი 223
178. ა. ი. ლიუბიმოვს. სექტემბრის პირველი ნახევარი . 224
179. რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 17 სექტემბერი . 225
180. კ. ჰიუისმანსს. 17 სექტემბერი 226
181. მ. ბ. ტომსკის. 20 სექტემბერზე ადრე . . 227
182. კ. ჰიუისმანსს. 30 სექტემბერი 229
183. ა. ი. ლიუბიმოვს. არაა უადრეს 2 ოქტომბრისა . . 230

184. პროექტი პასუხისა კაპრის სკოლის საბჭოს წერილზე. არა უადრეს 2 ოქტომბრისა 232
185. ვ. ა. კარპინსკის. ოქტომბრის პირველი ნახევარი 233
186. ბოლშევიკური ცენტრის სამეურნეო კომისიას. არა უადრეს ოქტომბრისა 234
187. ამხანაგ ცენტრალური ორგანოს რედაქციის მდივანს. 4 ნოემბერი 235
188. რსდმპ ცენტრალურ კომიტეტს. 14 ნოემბერი 237
189. მიმართვა-თხოვნა საერობო, საქალაქო და მთავრობის დაწესებულებათა სტატისტიკოსებს. 9 დეკემბერი . 239

1910 წელი

190. დაუდგენელ ადრესატს. 22 იანვარი 239
191. მისალმება ა. ბებელს. 22 თებერვალი 240
192. ა. ეკს. 23 თებერვალი 242
193. ლ. ბ. კამენევს. 21 მარტი 244
194. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს. 5 აპრილი 245
195. ლ. ბ. კამენევს. 6 აპრილი 251
196. პოლონეთის სოციალ-დემოკრატიის მთავარ გამგეობას. 10 აპრილი 253
197. ა. ი. ლიუბიმოვს. 10 აპრილი 257
198. ა. ი. ლიუბიმოვს. 10 აპრილი 258
199. კ. ჰიუისმანსს. 6 ივნისი . . 259
200. კ. ჰიუისმანსს. 15 ივნისი . . . 260
201. დ. მ. კოტლიარენკოს. 1 აგვისტო 261
202. ა. ი. ლიუბიმოვს. 2 აგვისტო 262
203. მ. ვ. კოგბეცკის. 8 აგვისტო 263
204. მ. ვ. კოგბეცკის. 12 და 23 აგვისტოს შუა . . . 264
205. მ. თ. ანდრეევას. 14 აგვისტო 265
206. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას. 2 სექტემბერი 266
207. მ. ვ. კოგბეცკის. 16 სექტემბერი 268
208. ი. პ. პოკროვსკის. 5 ოქტომბერი 269
209. კ. ჰიუისმანსს. 17 ოქტომბერი. 270
210. კ. ჰიუისმანსს. 6 ნოემბერი 271
211. ამხანაგ ცენტრალური ორგანოს რედაქციის კრების თავმჯდომარეს. 7 ნოემბერი 271
212. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 8 ნოემბერი . . . 272

213. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 10 ნოემბერი 273
214. ნ. ბ. პოლეტაევს. 4 დეკემბერი 274
215. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს. 5 დეკემბერი 275
216. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩს. 9 დეკემბერი 275
217. გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას. 17 დეკემბერი. 276

1911 წელი

218. კ. კაუცკის. 31 იანვარი 278
219. ა. ი. რიკოვს. 11 თებერვალზე გვიან . 281
220. ა. ი. რიკოვს. 17 თებერვალი . . . 284
221. ნ. ბ. პოლეტაევს. 7 ან 8 მარტი . . . 285
222. ა. ი. რიკოვს. 10 მარტი 289
223. ა. ი. რიკოვს. მარტის პირველი ნახევარი . . 290
224. ა. ი. რიკოვს. მარტი 291
225. N N. მარტი 294
226. III სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას. 19 აპრილამდე 295
227. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს. 30 აპრილი 296
228. ა. ი. ლიუბიმოვს და მ. კ. ვლადიმიროვს. 3 ივლისი . 296
229. ლ. ბ. კამენევს. 2 აგვისტომდე . . . 298
230. კ. ჰიუისმანსს. 5. სექტემბერი . 299
231. ი. ფრიმს. 4 ნოემბერი . . . 300
232. ლ. ბ. კამენევს. 10 ნოემბერი . 301
233. კ. ჰიუისმანსს. 7 დეკემბერი . 302

1912 წელი

234. კ. ჰიუისმანსს. 10 მარტამდე . . 303
235. კ. ჰიუისმანსს. 5 აპრილი . . 304
236. კ. ჰიუისმანსს. 19 აპარილამდე . 305
237. ვ. ა. ტერ-იოანესიანს. 5 მაისი . . . 307
238. ლ. ბ. კამენევს. 28 ივნისამდე 308
239. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. არა უგვიანეს 6 ივლისისა . 309
240. ლ. ბ. კამენევს. 24 ივლისი 311
241. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 28 ან 29 ივლისი . 313
242. ლ. ბ. კამენევს. 30 ივლისი 315
243. ლ. ბ. კამენევს. 25 აგვისტომდე 316

244. ლ. ბ. კამენევს. 25 აგვისტომდე . . 318
245. ლ. ბ. კამენევს. 6 სექტემბრამდე 319
246. ბარათი ცენტრალური ორგანოს რედაქციას. 6 სექტემბერზე გვიან 320
247. ლ. ბ. კამენევს. 15 სექტემბერი . . 321
248. ლ. ბ. კამენევს. 17 სექტემბერზე გვიან 324
249. კ. ჭიუსმანსს. 9 ოქტომბერზე გვიან 325
250. კ. ჭიუისმანსს. 23 ოქტომბერზე ადრე . 325
251. კ. ჭიუისმანსს. 24 ოქტომბერზე ადრე 326
252. ნ. ბ. პოლეტაევს. 25 ოქტომბერი . . 327
253. ა. მ. გორკის. ოქტომბრის მეორე ნახევარი 329
254. ლ. ბ. კამენევს. 8 ნოემბერი . . . 329
255. ლ. ბ. კამენევს. 10 ნოემბერი . 330
256. კ. ჭიუისმანსს. 10 ნოემბერი 331
257. ლ. ბ. კამენევს. 17 და 23 ნოემბერს შუა 332
258. ლ. ბ. კამენევს. 20 ნოემბრამდე . . 334
259. ლ. ბ. კამენევს. 25 ნოემბერზე გვიან . 335
260. ლ. ბ. კამენევს. 3 დეკემბერი . . 336
261. დემიან ბედნის. 5 დეკემბერი 337
262. ლ. ბ. კამენევს. 8 დეკემბერი 337
263. ი. ბ. სტალინს. 14 დეკემბერი . . 343
264. ი. ბ. სტალინს. 16 დეკემბერი 345
265. IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბოლშევიკებს. 17 დეკემბერი 347
266. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. 19 დეკემბერი 348
267. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. 20 დეკემბერი 350
268. კ. ჭიუისმანსს. 22 დეკემბერი . . 352

1918 წელი

269. ლ. ბ. კამენევს. 8 იანვარი 354
270. ლ. ბ. კამენევს. 10 იანვარი . . 355
271. ლ. ბ. კამენევს. 12 იანვარი . . . 357
272. ლ. ბ. კამენევს. არა უადრეს 14 იანვრისა . 357
273. ი. ა. პიატნიცკის. 14 იანვარზე გვიან 358
274. «BREMER BURGER-ZEITUNG»-ის რედაქციას. იანვრის პირველი ნახევარი 362
275. ა. მ. გორკის. 21 იანვარი 364

276. ბ. მ. ვიაზემსკის. 22 იანვარზე გვიან . . 365
277. ნ. ა. რუბაკინს. 25 იანვარი 366
278. IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკ დეპუტატებს. 25 იანვარი 366
279. ლ. ბ. კამენევს. თებერვლის დამდეგი . 367
280. ნ. ოსინსკის. 13 თებერვალი . . . 368
281. ნ. ბ. პოლეტაევს. 25 თებერვალი . 369
282. ლ. ბ. კამენევს. 25 თებერვალი . 371
283. ა. მ. გორკის. 6 მარტზე გვიან . 373
284. ლ. ბ. კამენევს. 8 მარტი . . 374
285. ლ. ბ. კამენევს. 7 აპრილი . . 374
286. ლ. ბ. კამენევს. 17 აპრილი . . . 375
287. ლ. ბ. კამენევს. 26 აპრილზე გვიან . 377
288. ი. ე. ბერმანს. 6 მაისამდე . . . 378
289. ბ. ლ. შკლოვსკის. 8 მაისი . . 379
290. ლ. ბ. კამენევს. 20 მაისამდე 380
291. კ. ჰიუისმანსს. 4 ივნისზე გვიან . 381
292. ი. რუდის-ბიასლისს. 7 ივნისამდე . 383
293. ი. რუდის-ბიასლისს. 7 ივნისი 385
294. ლ. ბ. კამენევს. 8 ივნისი 386
295. მელითონეთა პროფკავშირის გამგეობის წევრ ბოლშევიკთა ჯგუფს. 16 ივნისი 387
296. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 16 ივნისი . 387
297. ლ. ბ. კამენევს. 16 ივნისი . . 392
298. ა. მ. გორკის. 22 ივნისი 393
299. გაზეთ «პრავდის» რედაქციას. არა უადრეს 25 ივნისისა . 395
300. ლ. ბ. კამენევს. 29 ივნისი 395
301. ლ. მ. კნიპოვიჩს. 5 და 7 აგვისტოს შუა . . . 397
302. ვ. მ. კასპაროვს. 21 აგვისტო 397
303. გაზეთ «სევერნაია პრავდის» რედაქციას. 21 აგვისტოზე გვიან 398
304. ვ. მ. კასპაროვს. 25 აგვისტო . 399
305. ბ. დიტცს. 3 ოქტომბერი 400
306. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არა უადრეს 27 ოქტომბრისა 400
307. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არა უადრეს 1 ნოემბრისა 401
308. კ. ჰიუისმანსს. 3 ნოემბერი 404
309. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 11 და 28 ნოემბერს შუა . 405
310. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. არა უადრეს 14 ნოემბრისა 405
311. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 8 ან 9 დეკემბერი . 406

312. გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 16 დეკემბერი 407
313. დეპეშა გაზეთ «ზა პრავდუს» რედაქციას. 18 დეკემბერი . 408
314. ვ. ს. ვოროტინსკის. 20 დეკემბერი 408
315. ბარათი გაზეთ «პროლეტარსკაია პრავდის» რედაქციას. დეკემბრის მეორე ნახევარი 412

1914 წელი

316. ი. ე. ბერმანს. 2 იანვარი 413
317. ი. ე. ბერმანს და ი. რუდის-ბიპსლისს. 7 იანვარი 415
318. ი. თ. პოპოვს. 7 იანვარი 416
319. ი. რუდის-ბიპსლისს ან ი. ე. ბერმანს. 11 იანვარი . . 417
320. ი. თ. არმანდს. არა უადრეს 11 იანვრისა . 418
321. ვ. პ. მილიუტინს. 14 იანვარი . . 419
322. ი. თ. არმანდს. 22 იანვრამდე . 419
323. ი. თ. არმანდს. 25 იანვარი 420
324. ი. თ. არმანდს. 26 იანვრამდე 421
325. ი. თ. არმანდს. 26 იანვარი . 423
326. ნ. ვ. კუზნეცოვს. 26 იანვარი 424
327. ი. თ. არმანდს. 28 იანვარი 426
328. კ. ჰიუისმანსს. 29 იანვარი 428
329. კ. ჰიუისმანსს. 2 თებერვალი 429
330. კ. მ. კასაროვს. 11 თებერვალზე გვიან . . 430
331. ლ. ბ. კამენევს. 27 თებერვალი 430
332. ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» რედაქციას. 27 თებერვალი 432
333. თ. ნ. სამოილოვს. თებერვალი 433
334. ი. თ. არმანდს. 2 მარტი 434
335. რსდპვ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს. 4 მარტი 435
336. კ. ჰიუისმანსს. 7 მარტი 437
337. ი. რუდის-ბიპსლისს. 12 მარტამდე 438
338. ძმეგი გრანატეგის ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციის მდივანს. 15 მარტი . . 439
339. კ. ჰიუისმანსს. 15 მარტი 440
340. ი. თ. არმანდს. 15 მარტზე გვიან . . 441
341. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვს. 24 მარტი 442
342. ი. თ. არმანდს. 8 აპრილამდე . . 444
343. ი. თ. არმანდს. 11 აპრილი 445
344. დეპეშა გაზეთ «პუტ პრავდის» რედაქციას მისი ორი წლის იუბილეს დღეს. 5 მაისამდე 447
345. ბ. ლ. შკლოვსკის. 12 მაისი 447
346. ი. თ. არმანდს. მაისის პირველი ნახევარი 448

347. ი. რუდის-გიპსლისს. 15 და 31 მაისს შუა . 449
348. ვ. ა. კარპინსკის. 19 მაისი 450
349. ი. თ. არმანდს. 25 მაისი 451
350. გ. ი. პეტროვსკის. 25 მაისის შემდეგ 452
351. ძმები გრანატების ამხანაგობის ენციკლოპედიური ლექსიკონის რედაქციის მდივანს. 6 ივნისსა და 21 ივლისს შორის . 453
352. ფირილიდან გაზეთ «ტრუდოვაია პრავდის» რედაქციისადმი. 18 ივნისის შემდეგ 454
353. ი. თ. არმანდს. 4 ივლისამდე 455
354. საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს. არა უადრეს 4 ივლისისა 457
355. ი. თ. არმანდს. 6 ივლისამდე . 457
356. ი. თ. არმანდს. 6 ივლისამდე . 459
357. ს. გ. შაუმიანს. 6 ივლისამდე . 461
358. ი. თ. არმანდს. 9 ივლისამდე . 462
359. ი. თ. არმანდს. 9 ივლისამდე . . 463
360. ი. თ. არმანდს. 9 ივლისამდე . . 464
361. ი. თ. პოპოვს. 10 ივლისამდე 465
362. ფიგნის გამომცემლობა «პრიბოის». 11 ივლისი 467
363. ი. თ. არმანდს. 12 ივლისი 468
364. ი. თ. არმანდს. 13 ივლისამდე 469
365. ი. თ. არმანდს. არა უგვიანეს 16 ივლისისა . 473
366. ბ. ლ. შკლოვსკის. 18 ივლისზე გვიან 474
367. ვ. მ. კასპაროვს. 18 ივლისზე გვიან 475
368. ი. თ. არმანდს. 19 ივლისი . . 476
369. ი. თ. არმანდს. 19 ივლისი . . 477
370. ი. თ. არმანდს. 24 ივლისამდე . . 478
371. იანსონს ან შტიცს. 25 ივლისი . . 481
372. ი. რუდის-გიპსლისს. 26 ივლისი 482
373. ვ. მ. კასპაროვს. ივლისის მეორე ნახევარი 485
374. დეპეშა ქალაქ ბრაკოვის პოლიციის დირექტორს. 7 აგვისტო 486
375. გრანატის გამოცემათა რედაქციის მდივანს. 15 სექტემბერი 486
376. ი. თ. არმანდს. 28 სექტემბრამდე 487
377. ვ. ა. კარპინსკის. 20 ოქტომბერი 489
378. ვ. ა. კარპინსკის. 14 ნოემბერი 490
379. ვ. ა. კარპინსკისა და ს. ნ. რავიჩს. 18 ნოემბერი . 490
380. ვ. ა. კარპინსკის. 20 ნოემბერი 491
381. ვ. ა. კარპინსკისა და ს. ნ. რავიჩს. 21 ნოემბერი . 491

382. ვ. ა. კარპინსკის. 22 ნოემბერი . 492
383. ვ. ა. კარპინსკის. 25 ნოემბერი . 492
384. ა. გ. შლიაპნიკოვს. 25 ნოემბერი . 493
385. ვ. ა. კარპინსკის. 26 ან 27 ნოემბერი 494
386. ვ. ა. კარპინსკის. 28 ნოემბრამდე 494
387. ვ. ა. კარპინსკის. 28 ნოემბერი 495
388. ვ. ა. კარპინსკის. 1 დეკემბერი . 497
389. ა. გ. შლიაპნიკოვს. 11 დეკემბერი 497
390. ვ. მ. კოტეცის. 16 დეკემბრამდე 498

1915 წელი

391. ა. გ. შლიაპნიკოვს. 3 იანვარი . . 500
392. ვ. ა. კარპინსკის. 3 და 9 იანვარს შორის . 501
393. დ. ბ. რიაზანოვს. 9 იანვარი . . 502
394. ვ. ა. კარპინსკის. 17 იანვარზე გვიან . 503
395. ვ. ა. კარპინსკის. 1 თებერვლამდე . 504
396. ვ. ა. კარპინსკის. 3 თებერვალი . 504
397. ი. ს. განეცკის. 17 თებერვალი . . 505
398. ვ. ა. კარპინსკის. 20 თებერვალი 506
399. ვ. ა. კარპინსკის. 24 თებერვალი 507
400. ბ. ე. ზინოვიევს. 27 თებერვალსა და 4 მარტს შორის 508
401. ს. ნ. რავიჩს. 9 მარტი 508
402. დ. ვაინკოპს. 12 მარტი . 509
403. ვ. ა. კარპინსკის. 23 მარტამდე 510
404. დ. ვაინკოპს. 5 მაისი 511
405. ვ. ბორტეერს. 5 მაისი 511
406. ი. თ. არმანდს. 4 ივნისზე გვიან . 513
407. ბ. ე. ზინოვიევს. 24 ივნისზე გვიან . 515
408. ბ. ე. ზინოვიევს. 5 ივლისამდე . 516
409. ბ. ე. ზინოვიევს. 5 ივლისზე გვიან . 517
410. ბ. ე. ზინოვიევს. 11 ივლისამდე 520
411. ბ. ე. ზინოვიევს. 11 და 30 ივლისს შორის 521
412. ბ. ე. ზინოვიევს. 11 ივლისზე გვიან . . 522
413. ბ. ე. ზინოვიევს. 11 ივლისზე გვიან 525
414. დ. ვაინკოპს. 15 ივლისი . . . 526
415. ვ. ა. კარპინსკის. 21 ივლისი . 528
416. დ. ვაინკოპს. 22 ივლისი 529
417. ბ. ე. ზინოვიევს. 23 ივლისზე გვიან . 531
418. ვ. ა. კარპინსკის. 24 ივლისი . 532

419. ბ. ე. ზინოვიევს. 24 ივლისზე გვიან 533
420. ბ. ე. ზინოვიევს. 26 ივლისზე გვიან . 534
421. ბ. ე. ზინოვიევს. 26 ივლისზე გვიან 536
422 ბ. ე. ზინოვიევს. 28 ივლისზე ადრე 536
423 ვ. ა. კარპინსკის. 28 ივლისი . 538
424. ბ. ე. ზინოვიევს. 28 ივლისზე გვიან 539
425 ბ. ე. ზინოვიევს. 28 ივლისსა და 2 აგვისტოს შორის . 540
426. ვ. ა. კარპინსკის. 28 ივლისსა და 2 აგვისტოს შორის 542
427. დ. ვაინკოპს. 30 ივლისი 543
428. ვ. ა. კარპინსკის. 11 აგვისტო . 544
429. დ. ვაინკოპს. 15 აგვისტოზე გვიან . 545
430. ბ. ე. ზინოვიევს. 19 აგვისტოზე ადრე 546
431. დ. ვაინკოპს. 19 აგვისტოზე გვიან 547
432. ვ. ა. კარპინსკის. 21 აგვისტო . 549
433. ბ. ე. ზინოვიევს. 23 აგვისტოზე ადრე 549
434. ვ. ა. კარპინსკის. 23 აგვისტოზე გვიან . 551
435. ს. ნ რავიჩს. 23 აგვისტოზე გვიან 552
436. ს. ნ. რავიჩს. 26 აგვისტო . 552
437. ს. ნ. რავიჩს. 27 აგვისტო 553
438. პ. გოლეის. 28 აგვისტო . 554
439. ბ. ე. ზინოვიევს. 30 აგვისტო . 554
440. ბ. ე. ზინოვიევს. 30 ან 31 აგვისტო . 555
441. ბ. ე. ზინოვიევს. 8 სექტემბერზე გვიან 556
442. ბ. ე. ზინოვიევს. 18 ან 19 სექტემბერი . 557
443. ბ. ე. ზინოვიევს. 19 სექტემბერზე ადრე . 558
444. ვ. ა. კარპინსკის. 19 სექტემბერი 559
445. ვ. ა. კარპინსკის. 19 სექტემბერი 560
446. ალექსანდროვიჩს. 19 სექტემბერი . 561
447. ბ. ე. ზინოვიევს. 21 სექტემბერზე გვიან 564
448. ბ. ე. ზინოვიევს. 26 სექტემბერსა და 5 ოქტომბერს შორის . 565
449. ვ. ა. კარპინსკის. 6 ოქტომბერზე ადრე . 566
450. ვ. ა. კარპინსკის. 9 ნოემბერზე ადრე . 567
451. ბ. ლ. შკლოვსკის. 9 ნოემბერზე ადრე 568
452. ვ. ვ. ხარიტონოვს. 21 ნოემბერზე გვიან . 569
453. ბ. ე. ზინოვიევს. 27 ნოემბერზე ადრე . 572
454. ბ. ი. ბელენკის. 27 დეკემბერზე გვიან . 573

1910 წელი

455. ი. თ. არმანდს. 15 იანვარი . 574
456. ი. თ. არმანდს. 19 იანვარი . 575
457. ი. თ. არმანდს. 21 იანვარი . . 577
458. მ. მ. ხარიტონოვს. 30 იანვარი . . 578
459. ა. ბ. რადეკს. 1 თებერვალზე გვიან 579
460. ბ. ე. ზინოვიევს. 12 თებერვალი . 580
461. ი. თ. არმანდს. 26 თებერვალი . . . 581
462. ბ. ე. ზინოვიევს. 2 და 25 მარტს შორის 582
463. ჰენრიეტა როლანდ-ჰოლსტს. 8 მარტი 585
464. ბ. ე. ზინოვიევს. 16 მარტზე გვიან . 590
465. ბ. ე. ზინოვიევს. 19 მარტზე ადრე . 590
466. ბ. ე. ზინოვიევს. 20 მარტზე ადრე . 592
467. ბ. ე. ზინოვიევს. 20 მარტი . . . 594
468. ბ. ე. ზინოვიევს. 20 ან 21 მარტი . 594
469. ბ. ე. ზინოვიევს. 21 მარტი . . . 596
470. ბ. ე. ზინოვიევს. 23 მარტზე ადრე . 597
471. ბ. ე. ზინოვიევს. 23 და 25 მარტს შორის . . 599
472. ბ. ე. ზინოვიევს. 23 მარტზე გვიან . 600
473. ი. თ. არმანდს. 31 მარტი . . . 601
474. ბ. ე. ზინოვიევს. 4 აპრილი . . 602
475. ბ. ე. ზინოვიევს. 4 აპრილზე გვიან . 603
476. ბ. ე. ზინოვიევს. 10 აპრილი 605
477. ბ. ლ. პიატაკოვს, ე. ბ. ბოშს, ნ. ი. ბუხარინს. 10 აპრილზე გვიან 605
478. ბ. ე. ზინოვიევს. 18 აპრილზე ადრე 608
479. ბ. ე. ზინოვიევს. 18 აპრილზე ადრე . 609
480. ბ. ე. ზინოვიევს. 18 აპრილი 611
481. ბ. ე. ზინოვიევს. 18 და 24 აპრილს შორის . 612
482. ბ. ე. ზინოვიევს. 2 მაისსა და 2 ივნისს შორის 613
483. ა. ბ. შლიაპნიკოვს. 16 მაისი . . . 614
484. ბ. ე. ზინოვიევს. 17 მაისზე ადრე 615
485. ბ. ე. ზინოვიევს. 17 მაისი . . 615
486. ა. ბ. შლიაპნიკოვს. 19 მაისი . 617
487. ბ. ე. ზინოვიევს. 19 მაისი . 619
488. ბ. ე. ზინოვიევს. 24 მაისი 620
489. ა. ბ. შლიაპნიკოვს. 3 და 6 ივნისს შორის 622
490. ბ. ე. ზინოვიევს. 6 ივნისი 623
491. ბ. ე. ზინოვიევს. 17 და 25 ივნისს შორის . 624
492. ბ. ე. ზინოვიევს. 20 ივნისზე გვიან 624

493. ი. თ. არმანდს. 4 ივლისი 626
494. ბ. ე. ზინოვიევს. 4 ივლისი . 625
495. ი. თ. არმანდს. 7 ივლისი 628
496. ი. თ. არმანდს. 20 ივლისი . . . 629
497. ბ. ე. ზინოვიევს. 23 ივლისზე გვიან 629
498. ბ. ე. ზინოვიევს. 24 ივლისი . 631
499. მ. ნ. პოკროვსკის. 24 ივლისი . 632
500. ბ. ე. ზინოვიევს. 24 ივლისზე გვიან 633
501. ი. თ. არმანდს. 25 ივლისი . . 634
502. ბ. ე. ზინოვიევს. 26 ივლისზე გვიან 635
503. ბ. ე. ზინოვიევს. 30 ივლისზე ადრე 636
504. ი. თ. არმანდს. 1 აგვისტო 637
505. ბ. ე. ზინოვიევს. 2 და 11 აგვისტოს შორის 638
506. მ. ნ. პოკროვსკის. 5 აგვისტო 639
507. მ. ნ. პოკროვსკის. 5 და 31 აგვისტოს შორის 640
508. მ. მ. ხარიტონოვს. აგვისტოს დამდეგი . . 641
509. ბ. ე. ზინოვიევს. 10 და 20 აგვისტოს შორის . . 642
510. ბ. ლ. პიატაკოვს. 10 და 20 აგვისტოს შორის . 643
511. ბ. ე. ზინოვიევს. 22 აგვისტოზე ადრე . 644
512. ბ. ე. ზინოვიევს. 22 აგვისტოზე ადრე . 646
513. მ. მ. ხარიტონოვს. 31 აგვისტო . . . 647
514. მ. ნ. პოკროვსკის. 31 აგვისტო . 649
515. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტო : 649
516. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტო . 650
517. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტო . 651
518. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტო 653
519. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტო 654
520. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტოს დამლეგი და სექტემბრის დამდეგი 655
521. ბ. ე. ზინოვიევს. აგვისტოს დამლეგი და სექტემბრის დამდეგი 656
522. ი. თ. არმანდს. 15 სექტემბერი 658
523. ბ. ე. ზინოვიევს. სექტემბრის შუა რიცხვები . 659
224. ა. ბ. შლიაპნიკოვს. 3 ოქტომბერი . . . 660
525. ბ. ე. ზინოვიევს. ალბა უგვიანეს 5 ოქტომბრისა 660
526. ნ. ი. ბუხარინს. 14 ოქტომბერი 662
527. ი. თ. არმანდს. 21 ოქტომბერი . 667
528. ი. თ. არმანდს. 28 ოქტომბერი 668
529. ი. თ. არმანდს. 30 ოქტომბერი 669
530. ი. თ. არმანდს. 31 ოქტომბერი 670
531. ი. თ. არმანდს. 4 ნოემბერი 670
532. ი. თ. არმანდს. 7 ნოემბერი 672

533. ი. თ. არმანდს. 26 ნოემბერზე ადრე 674
534. ი. თ. არმანდს. 26 ნოემბერი . . 675
535. მ. ბ. ბრონსკის. დეკემბრის დამდეგი . 676
536. მ. ნ. პოკროვსკის. 6 დეკემბერი . 677
537. ი. თ. არმანდს. 17 დეკემბერი . . 677
538. ბ. ე. ზინოვიევს. 20 დეკემბერზე გვიან 679

1917 წელი

539. მ. ნ. პოკროვსკის. 3 იანვარი 681
540. ი. თ. არმანდს. 6 იანვარი . . 681
541. ი. თ. არმანდს. 6 იანვარზე გვიან 686
542. ი. თ. არმანდს. 7 იანვარი . . 688
543. მ. ნ. პოკროვსკის. 8 იანვარი 693
544. ვ. ა. კარპინსკის. 10 და 22 იანვარს შორის . 689
545. ი. თ. არმანდს. 13 იანვარი . . . 690
546. ი. თ. არმანდს. 14 იანვარი . . 692
547. ი. თ. არმანდს. 15 იანვარი 695
548. ვ. ა. კარპინსკის და ს. ნ. რავიჩს. 15 იანვარი 696
549. ი. თ. არმანდს. 16 იანვარი . . . 697
550. ი. თ. არმანდს. 19 იანვარი 698
551. ი. თ. არმანდს. 20 იანვარი 693
552. ი. თ. არმანდს. 22 იანვარი 699
553. ი. თ. არმანდს. 2 თებერვალი 701
554. კ. ბ. რადეკს. 3 თებერვალი 702
555. ი. თ. არმანდს. 7 თებერვალი . 703
556. ი. თ. არმანდს. 14 თებერვალი . . . 705
557. ი. თ. არმანდს. 19 და 27 თებერვალს შორის . 707
558. ი. თ. არმანდს. 27 თებერვალი . 708
559. ი. თ. არმანდს. 8 მარტი 709
560. ი. თ. არმანდს. 13 მარტი 711
561. ი. თ. არმანდს. 18 მარტი . 712
562. ი. თ. არმანდს. 19 მარტი . 713
563. ვ. ა. კარპინსკის. 21 მარტი . 715
564. ი. ს. განეცკის. 22 მარტი 715
565. შვედური «სოციალ-დემოკრატის» რედაქციას 716
566. ი. თ. არმანდს. 24 მარტი 717
567. ი. თ. არმანდს. 27 მარტი 718
568. ს. ნ. რავიჩს. 27 მარტი . 719
569. ი. ს. განეცკის. 30 მარტზე ადრე 720

570. ი. თ. არმანდს. 31 მარტსა და 4 აპრილს შორის . 721
571. დეპეშა ი. ს. ბანეცკის. 1 აპრილი 722
572. ვ. ა. კარპინსკის და ს. ნ. რავიჩს. 4 აპრილი . . . 722
573. დეპეშა ვ. ა. კარპინსკის. 6 აპრილი 724
574. დეპეშა ვ. ა. კარპინსკის. 6 აპრილი 724
575. დეპეშა ი. ს. ბანეცკის. 7 აპრილი . . . 724
576. დეპეშა ი. ს. ბანეცკის. 7 აპრილი. 725
577. დეპეშა მ. მ. ხარიტონოვს. 7 აპრილი 725
578. ვ. ა. კარპინსკის. 9 აპრილი 725
579. დეპეშა მ. ბ. ბრონსკის და კ. ბ. რადეკს. 9 აპრილზე გვიან . 726
580. დეპეშა ი. ს. ბანეცკის. 12 აპრილი 727
581. დეპეშა ვ. ა. კარპინსკის. 14 აპრილი 727
582. ვ. ა. კარპინსკის. 15 აპრილი 727
583. ი. ს. ბანეცკის. 21 აპრილი (4 მაისი) 728
584. მისალმება ამხანაგ ჰიოგლუნდს. 23 აპრილი 730
585. საფრონტო ყრილობის პრეზიდიუმს. არა უგვიანეს 29 აპრილისა (12 მაისი) 730
586. კ. ბ. რადეკს. 29 მაისი 731
587. იურიდიულ კომისიას. 13 ივნისი 732
588. დეპეშა ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთის ბიუროს. 16 (29) ივნისი 734
589. კ. ბ. რადეკს. 17 ივნისი 735
590. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს. 7 ივლისი 736
591. ბ. როვიოს. 27 სექტემბერი (10 ოქტომბერი) 737
592. ბ. როვიოს. 27 სექტემბერზე გვიან (10 ოქტომბერი) . . . 739
593. ბარათი მ. ვ. ფოფანოვასადმი. 24 ოქტომბერი (6 ნოემბერი) 739
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი 741
სახელთა საძიებელი 864

ქართული თარგმანის რედაქტორი
გერასიმე ფირცხალავა

გამომცემლობის რედაქტორები:
ნუნუ ლობჟანიძე, ლილი წიფეწიფაძე
ტექრედაქტორი ივანე ხუციშვილი
კორექტორები: ნორა თავაძე, თამარ მაჩაბელი
გამომშვები ნოე მაჭარაშვილი

გადაეცა წარმოებას 30/X-69 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X-72 წ. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 47,46. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 39,40.
ტირაჟი 5000. შეკვ. № 1501. ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, კამოს ქ. 18.

Комбинат печати Главполиграфпрома
Государственного комитета Совета
Министров Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Камо № 18.